

ପ୍ରକାଶନ କ୍ରମ

ଆମେ ମଧ୍ୟ ଏମିତି କଲେ

ფიოდორ დოსტოევსკი

ემმაკნი

რომანი

თუნდა მომკალ, კვალი არ ჩანს.

რა ვქნათ, ავცდით, მგონი, ხაზს?

ალბათ სადმე ეშმა გაჩნდა, გვაწვალებს და გვიბნევს გზას...

...

რამდენია, ვინ გაფანტა, რად მოსთქვამენ ასე ზარს?

ქაჯს მარხავენ იქნებ სადმე, კუდიან ქალს რთავენ ქმარს?

ა. პუშკინი (თარგ. პ. იაშვილისა) და იყო მუნ კოლტი ღორთაი მრავალი, მძოვარი მთასა ზედა; და ევედრებოდეს მას, რაითა უბრძანოს მათ ღორებსა მას შესვლაი და თავადმან უბრძანა მათ. და გამოვიდეს ეშმაკნი იგი კაცისა მისგან და შევიდეს ღორთა მათ. და მიჰმართა ყოველმან კოლტმან კბოდესა მას ტბად და დაიშთვნეს. ვითარცა იხილეს მწყემსთა მათ საქმე ესე, ივლტოდეს და შევიდეს და უთხრეს ქალაქსა და დაბნებსა. და გამოვიდეს ხილვად, რომელი-იგი იქმნა, და მოვიდეს იესოისა და იხილეს კაცი იგი მჯდომარე, რომლისაგან ეშმაკნი იგი განსრულ იყვნეს, შემოსილი და გონიერი, ფერხთა თანა იესოისთა, და შეეშინა, რამეთუ უთხრეს, რომელთა-იგი ეხილვა, ვითარ-იგი ცხოვნდა ეშმაკეული.

სახარებაი ლუკაისი, თავი 8, 32-36

ნაწილი პირველი

თავი პირველი. რამდენიმე წვრილმანი დიდად სათაყვანო სტეპან ტროფიმოვიჩ ვერხოვენსკის ბიოგრაფიიდან, წინასიტყვაობის ნაცვლად

I

ვიდრე იმ უცნაური ამბების აღწერას შევუდგებოდე, რაიც დიდი ხანი არ არს ამ ჩვენს აქამდე მიყრუებულ ქალაქში მოხდა, იძულებული ვარ ჩემი უუნარობის გამო ცოტა შორიდან მოვუარო, კერძოდ, ზოგიერთი ბიოგრაფიული წვრილმანი გაგაცნოთ დიდად ნიჭიერ და სათაყვანო სტეპან

ტროფიმოვიჩის ცხოვრებიდან. დაე, ეს წვრილმანი მხოლოდ წინასიტყვაობად ჩამითვალოს მკითხველმა წინამდებარე ქრონიკისათვის. თვით ამბავს კი, რომლის აღწერა განზრახული მაქვს, შემდგომ მოგახსენებთ.

პირდაპირ ვიტყვი: სტეპან ტროფიმოვიჩი ჩვენ შორის მუდამ რაღაც განსაკუთრებულ, ასე ვთქვათ, მოქალაქეობრივ როლს თამაშობდა და იმდენად უყვარდა ეს როლი, ვფიქრობ, უამისოდ ერთ წუთს ვერ გამლებდა. ისე ნუ ჩამომართმევთ, თითქოს მსახიობს ვადარებდე თეატრისას: ღმერთმა დამიფაროს, განა მეც თვითონ მისი პატივისმცემელი არა ვარ! შესაძლოა მიზეზი ამისა ჩვევა იყო, უფრო სწორად, ბავშვობითვე თანდაყოლილი კეთილშობილური ლტოლვა და ოცნება მოქალაქის ლამაზ მდგომარეობაზე. სტეპან ტროფიმოვიჩს, მაგალითად, საოცარ სიამოვნებას ჰგვრიდა „დევნილისა“ და, ასე ვთქვათ, „გადასახლებული“ კაცის სახელი. ამ ორ სიტყვას კი ისეთი თავისებური, კლასიკური ემზი სდევს, ერთხელ და სამუდამოდ დაატყვევა მისი სული და გული, ნელინელ აღუმაღლა საკუთარ თავზე წარმოდგენა შემდგომი მრავალი და მოყვარეობისათვის დიახაც სასიამოვნო კვარცხლბეკზე წამოასკუპა. გასული საუკუნის ერთ ინგლისურ სატირულ რომანში ლილიპუტების ქვეყნიდან დაბრუნებული ვინმე გულივერი, სადაც ხალხი ორი გოჯი სიმაღლისა ყოფილა, იმდენად მიეჩვია თურმე თავის გოლიათობას, რომ, ნუ იტყვით და, ლონდონის ქუჩებშიაც თავისდა უნებურად გამვლელებსა და მეეტლეებს უკიჟინებდა, ფრთხილად, ჩამომეცალეთ, აქაოდა არ გაგსრისოთო. თავი ისევ გოლიათი ეგონა და ისინი კი - ერთი ციდანნი.

ამის წყალობით ბევრი დაცინვა იწვნია და ხეპრე მეეტლეების ბევრი მათრახიც მოხვდა, მაგრამ ვითომდა მართებულად კი? მიჩვევას რა არ შეუძლია? ამ მიჩვევამ ხომ იგივე დამართა სტეპან ტროფიმოვიჩსაც, თუმცა უფრო უვნებელი და უწყინარი სახით, თუ შეიძლება ასე ითქვას, რამეთუ მართლაც ჩინებული ადამიანი გახლდათ.

მე ასეც მეგონა, დაბოლოს იგი ყველამ მიივიწყა-მეთქი. მაგრამ იმას კი ვერ ვიტყვი, წინათაც არ იცნობდნენ-თქო. ეჭვი არაა, რამდენიმე ხანს იგი ჩვენი აწ გარდასული თაობის ზოგიერთ სახელგანთქმულ მოღვაწეთა დიდებულ პლეადას ეკუთვნოდა და ერთხანს, - თუმცა სულ რაღაც მცირედზე მცირედ ხანს - მის სახელს ბევრი იმდროინდელი სულსწრაფი კაცი ლამის ჩაადაევის, ბელინსკის, გრანოვსკისა და მაშინ საზღვარგარეთ ასპარეზზე ახლადგამოსულ გერცენის გვერდით იხსენიებდა. მაგრამ ვაი რომ სტეპან ტროფიმოვიჩის მოღვაწეობა დაწყების უმაღლ ჩაკვდა, ასე ვთქვათ, „ვითარებათა ქარაშოტმა“ მოაშთო. და რა გგონიათ? როგორც შემდგომ აღმოჩნდა, არათუ „ქარაშოტს“, წარმოიდგინეთ, „ვითარებებსაც“ არ ჰქონია თურმე ადგილი, ამ შემთხვევაში მაინც. ჩემდა გასაკვირად მხოლოდ

ახლახან შევიტყვე ყოვლად სარწმუნო წყაროებიდან, რომ სტეპან ტროფიმოვიჩი ჩვენს გულბერნიაში გადმოსახლებული კი არ იყო, როგორც ჩვენში ეგონათ, არამედ თავის დღეში მეთვალყურეობის ქვეშაც არასოდეს არ ყოფილა. აბა უყურეთ, სადამდე მიიყვანს კაცს საკუთარი წარმოდგენა! სტეპან ტროფიმოვიჩს ხომ მთელი სიცოცხლე წრფელი გულით სჯეროდა, რომ ზოგიერთ წრეებში მუდამ მისი შიში ჰქონდათ, ყოველ მის ნაბიჯს უთვალთვალეებდნენ და ამ უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე სამჯერ გამოცვლილი გუბერნატორებიდან ყოველ მათგანს, გუბერნიის ჩაბარებამდე, ზემოდან ჰქონდა უკვე ჩაწვეთებული მისი ამბავი. ვისმე რომ მაშინ ჩვენი უპატიოსნესი სტეპან ტროფიმოვიჩისათვის ეთქვა და უტყუარი საბუთებით დაემტკიცებინა, საშიში სულაც არაფერი გაქვსო, უთუოდ დიდად იწყენდა. მერე რა რომ უჭკვიანესი და უნიჭიერესი კაცი იყო, ასე

ვთქვათ, მეცნიერი კაცი, თუმცაღა მეცნიერებაში... ერთი სიტყვით, მეცნიერებაში ბევრი არაფერი ჰქონდა გაკეთებული; მგონი, სულაც არაფერი, მაგრამ მეცნიერ ხალხს რომ ჩვენს რუსეთში ეს ხშირად მოსდგამთ.

უკვე ორმოციანი წლების მიწურულს ჩამობრძანდა იგი საზღვარგარეთიდან და უნივერსიტეტის კათედრაზე როგორც ლექტორმა გაითქვა სახელი. წაიკითხა კი მხოლოდ სულ რამდენიმე ლექცია, ისიც, მგონი, არაბებზე; აგრეთვე ბრწყინვალე დისერტაცია დაიცვა იმაზე, თუ როგორ გაძლიერდა 1413 და 1428 წლებში გერმანიის ქალაქ განაუს სამოქალაქო და ჰანზეატური[1] მნიშვნელობა და ის განსაკუთრებული და არცთუ დიდად გასაგები მიზეზებიც ამცნო, რატომ ვეღარ მიაღწია მერე ქალაქმა ამას. ამ დისერტაციამ დიახაც მარჯვედ გაჰკრა კლანჭი მაშინდელ სლავიანოფილებს და მრავალი გააფთრებული მტერი შესძინა მათ რიგებს. შემდგომ, როცა უკვე კათედრა დაჰკარგა, მოასწრო და ყოველთვის პროგრესულ ჟურნალში, სადაც დიკენსს თარგმნიდნენ და ჟორჟ სანდის ქადაგებას ეწოდნენ[2], გამოაქვეყნა ერთი ფრიად ღრმა გამოკვლევის დასაწყისი, - მგონი, რომელიღაც ეპოქაში რომელიღაც რაინდების საოცარი ზნეობრივი კეთილშობილების მიზეზებზე[3] თუ რაღაც ამდაგვარი (ასე ვთქვათ, შურისძიების მიზნით და იმის დასამტკიცებლად, რა კაცს ჰკრეს ხელი და დაკარგეს). ყოველ შემთხვევაში, შიგ რაღაც საოცრად მაღალი და კეთილშობილური აზრი იყო გატარებული. შემდგომ ამბობდნენ, ამ გამოკვლევის გაგრძელება სასწრაფოდ აიკრძალა და პროგრესულ ჟურნალსაც ძვირად დაუჯდა პირველი ნახევრის დაბეჭდვაო. დიახაც შესაძლოა ასე მომხდარიყო, ვინაიდან რა არ ხდებოდა იმ დროს? მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო დასაჯერებელია, რომ არაფერიც არ მომხდარა და თვით ავტორს დაეზარა გამოკვლევის გაგრძელება. არაბებზე ლექციების კითხვას კი იმიტომ დაანება თავი, ვიღაცის მიზეზით (ეტყობა, რეტროგრად მტრების მეოხებით) ერთ კაცთან მიწერილი მისი წერილი ჩაიგდეს ხელთ, სადაც

რაღაც „ვითარებანი“ იყო აღწერილი[4] და რის გამოც რაღაც ახსნა-განმარტება მოსთხოვეს[5]. ვერ ვიტყვი, რამდენად სწორია ეს ცნობა, ოღონდაც იმასაც ირწმუნებოდნენ კიდევ, იმხანად პეტერბურგში რაღაც დიდი, ანტიბუნებრივი და ანტისახელმწიფოებრივი საზოგადოება აღმოაჩინეს. ასე ცამეტი კაცის შემადგენლობით[6], რომლებიც ლამის სახელმწიფო შენობის შერყევას აპირებდნენ და თვით ფურის[7] თარგმნას ფიქრობდნენო, თითქოსდა განზრახ იმხანად სტეპან ტროფიმოვიჩის პოემაც ჩაეგდოთ ხელთ, რომელიც ექვსიოდე წლის უკან ჭაბუკობის დროს დაეწერა ბერლინში და ორი პოეზიის მოყვარული და ერთი სტუდენტი დაატარებდა ხელნაწერის სახით. ეს პოემა ახლა მეც მიდევს მაგიდის უჯრაში. სწორედ გასულ წელს მივიღე იგი თვით სტეპან ტროფიმოვიჩისაგან წარწერით, ტარსიკონის მშვენიერ წითელ ყდაში ჩასმული, მისივე ხელით ამ ცოტა ხნის წინ ხელახლად გადაწერილი. უნდა ვაღიარო, რომ ამ პოემას არც პოეტურობა აკლია და არც ნიჭი. მართალია, ცოტა უცნაური კია, მაგრამ მაშინ (უფრო სწორად, ოცდაათიან წლებში) მეტწილად ასე წერდნენ. შინაარსის გადმოცემა, მართალი გითხრათ, მიჭირს, ვინაიდან, ესეც უნდა ვთქვა, ვერაფერი გავიგე. ეს გახლავთ ერთგვარი ალეგორია ლირიკულ-დრამატული სახისა[8]. წაიკითხავთ და „ფაუსტის“ მეორე ნაწილი მოგაგონდებათ. სცენა იწყება ქალთა ქოროთი, შემდეგ ვაჟთა ქორო გამოდის, შემდეგ რაღაც ძალები გამოჩნდებიან, ბოლოს კი იმ სულთა მთელი გუნდი ამთავრებს, რომელთაც ჯერ არ უცხოვრიათ, მაგრამ ცხოვრება კი დიდად სწყურიათ. რაზე მღერიათ ეს გუნდები, ვერ გაიგებ, მეტწილად ვიღაცას სწყევლიან, ოღონდაც დიდი იუმორი კი იგრძნობა შიგ. უეცრივ სცენა იცვლება, დგება რაღაც „ნადიმი სიცოცხლისა“, ამ ნადიმზე მღერიათ მწერებიც, შემდეგ კუ გამოდის და რაღაც ლათინურ საკრამენტალურ სიტყვებს ამბობს. რამდენადაც მახსოვს, ერთმა უსულო საგანმა, მინერალმაც კი წაიმღერა რაღაც. საერთოდ ყველა გაუთავებელივ მღერის, ხოლო თუ ვინმემ დაილაპარაკა, უთუოდ რაღაც გაურკვეველი, თუმცაღა ზენაარი მნიშვნელობით აღსავსე ლანძღვა-თათხვა გახლავთ. ბოლოს ისევ იცვლება სცენა, გამოჩნდება რაღაც უდაბური ადგილი, კლდე-ღრეებში ერთი ცივილიზებული ჭაბუკი დაეხეტება, რაღაც ბალახებს წყვეტს და წუწნის. ფერიის შეკითხვაზე: ამ ბალახებს რად წუწნიო? ჭაბუკი პასუხობს, სიცოცხლის იმდენ ძალას ვგრძნობ, თავდავიწყებას ვეძიებ და მას ბალახების წვენში ვპოვებო; მაგრამ ყველაზე მეტად კი მინდა, რაც შეიძლება მალე დავკარგო გონებაო (იქნებ ზედმეტი სურვილი გახლდათ). ერთბაშად კალმით ნახატი ყმაწვილი შემოაჭენებს შავ რაშს. ყმაწვილს სხვადასხვა ჯურის ზღვა ხალხი მოჰყვება. ყმაწვილი სიკვდილის განსახიერება გახლავთ, რომელიც ყველა ამ ხალხს სწყურია. ბოლოს, უკვე უკანასკნელ სცენაში, უეცრივ ბაბილონის გოდოლი გამოჩნდება და ვიღაც გოლიათები ახალი იმედებით აღსავსე სიმღერით ამთავრებენ მის აშენებას. ხოლო

ბოლომდე რომ აიყვანენ გოდოლს, მეუფე, გინდაც ვთქვათ, მეუფე ოლიმპოსი, სასაცილო მანჭვა-გრეხით გარბის. გონს მოგებული კაცობრიობა კი მის ადგილს ეპატრონება და მაშინვე ახალ ცხოვრებას იწყებს, ახლებური გაგებითა და შეხედულებებით ყოველივეზე. ჰოდა, სწორედ ეს პოემა მიიჩნიეს მაშინ საშიშად. შარშან მე თავად შევთავაზე სტეპან ტროფიმოვიჩს, რაკი ამჟამად ყოვლად უვნებელი რამ არის, მოდით და გამოაქვეყნეთ-მეთქი. მაგრამ მან უარი მითხრა და აშკარა უკმაყოფილებაც დაეტყო. ალბათ არ მოეწონა, ყოვლად უვნებელი რომ ვუწოდებ. იმის მერმე მთელი ორი თვე ცივად რომ მექცეოდა, მიზეზი, ჩემი აზრით, ეს იყო. და რა გგონიათ? მოულოდნელად, თითქმის იმ ხანებში, როცა მე შევთავაზე, ეს პოემა აქ დაბეჭდეთ-მეთქი, ერთივ ვნახოთ და იქ, ანუ საზღვარგარეთ ერთ რომელიღაც რევოლუციურ კრებულში არ დაბეჭდეს სტეპან ტროფიმოვიჩის დაუკითხავად! თავდაპირველად შეშინდა, მაგრამ რა შეშინდა. უმაღლეს გუბერნატორთან გაიქცა, მერე კეთილშობილური და თავის გასამართლებელი წერილიც დაწერა პეტერბურგში გასაგზავნად, ორჯერ მეც წამიკითხა, მაგრამ აღარ გაგზავნა, ვინაიდან არ იცოდა, ვის სახელზე გაეგზავნა. ერთი სიტყვით, მთელი თვე დიდ შფოთსა და ფორიაქში იყო; თუმცა დარწმუნებული ვარ, სადღაც, გულის კუნჭულში დიდად ნასიამოვნებიც გახლდათ. ღამღამობით ამ კრებულის გამოგზავნილი ცალი ლამის გულში ჰქონდა ჩახუტებული, დღისით კი ლეიბქვემ მალავდა და დედაკაცს ნებას არ აძლევდა, ქვეშაგები დაეღებინა. მართალია, ყოველ ცისმარე დღე რაღაც ტელეგრამას ელოდებოდა საიდანღაც, მაგრამ მედიდურად კი იყურებოდა. ტელეგრამა არსაიდან მოსულა. სწორედ იმხანად შემომირიგდა მეც, რაც მისი უწყინარი და უბოროტო გულის საოცარ სიკეთეს მოწმობს.

II

მე განა იმას ვამტკიცებ, ვითომცდა სულ არ დაზარალებულა-მეთქი. მაგრამ თავის დროზე რომ საჭირო ახსნა-განმარტება მიეცა, დარწმუნებული ვარ, იმ თავის არაბებზე ლექციების კითხვას არავინ დაუშლიდა. იმან კი ამბიცია გამოიჩინა და გასაოცარი სისწრაფით დაირწმუნა თავი ერთხელ და სამუდამოდ, ჩემს კარიერას ვითარებათა ქარაშოტმა“ საუკუნოდ დაუსვა ჯვარიო. სიმართლე თუ გნებავთ, კარიერის შეცვლის ჭეშმარიტი მიზეზი გენერალ-ლეიტენანტის მდიდარზე მდიდარი მეუღლის, ვარვარა პეტროვნა სტავროვინას თხოვნა იყო, მისი ერთადერთი ვაჟის აღზრდა და განათლება ეკისრა, ვითარცა უდიდეს პედაგოგსა და მეგობარს, თუ არას ვიტყვით ბრწყინვალე გასამრჯელოზე. ამ წინადადებით ჯერ კიდევ ბერლინში მიმართა, სწორედ იმხანად, როცა სტეპან ტროფიმოვიჩი პირველად დაქვრივდა. მისი პირველი ცოლი ჩვენი გუბერნიის ერთი ცერცეტა ქალი იყო, ვისზეც ჭაბუკობის უგუნურ წლებში დაიწერა ჯვარი და, მგონი, ბევრი მწუხარებაც იწვნია მერმე ამ შესახედად ტურფა არსებისაგან ცალკერძ სახსრების უქონლობისა და ცალკერძ სხვა დელიკატური მიზეზების გამო. სტეპან ტროფიმოვიჩის ცოლი პარიზში გარდაიცვალა, სამი უკანასკნელი წელი ქმართან გაყრილი იყო და ხუთი წლის ვაჟი

დაუტოვა - „ნაყოფი პირველი ბედნიერი და უღრუბლო სიყვარულისა“, როგორც ერთხელ წამოცდა ჩემთან დარდიან გულზე. ბარტყს მაშინათვე რუსეთის რომელიღაც მიყრუებულ სოფელში უკრეს თავი, სადაც შორეული ნათესავი ქალების ხელში იზრდებოდა. სტეპან ტროფიმოვიჩმა მაშინ უარი უთხრა ვარვარა პეტროვნას ამ წინადადებაზე. არ გასულა ერთი წელი, რომ ადგა და ჰაიჰარად ერთი ჩუმი, უთქმელი ბერლინელი გერმანელი ქალი შეირთო, თუმცა რატომ და რისთვის, თვითონაც არ იცოდა. ამას გარდა კიდევ სხვა მიზეზმაც ათქმევინა უარი აღმზრდელის ადგილზე: მაშინ საქვეყნოდ ქუხდა ერთი დაუვიწყარი პროფესორის სახელი და ამით მოხიბლულმა სტეპან ტროფიმოვიჩმა თავის მხრივ ფრენა-ფრენით მიაშურა კათედრას, რომ ბედი ეცადა და თავისი არწივის ფრთები გაეშალა. ჰოდა, როცა ეს ფრთები მოეტრუსა, რა გასაკვირია, რომ უმაღლ ვარვარა პეტროვნას წინადადება მოაგონდა, რომელმაც წინათაც შეაყოყმანა. ხოლო როცა მეორე ცოლიც მოულოდნელად გარდაეცვალა რაღაც ერთ წელიწადში, ამ ამბავმა საბოლოოდ მოაგვარა ყველაფერი. პირდაპირ გეტყვით: ყოველივე ვარვარა პეტროვნას მხურვალე თანაგრძნობამ და ფასდაუდებელმა, ასე ვთქვათ, კლასიკურმა მეგობრობამ გადაწყვიტა, თუკი შეიძლება მეგობრობაზე ასე ითქვას. სტეპან ტროფიმოვიჩმა ამ მეგობრულ „უბეს“ მიაშურა და საქმეც ოც წელზე მეტი ხნით გაიჩარხა. რომ ვთქვი, „უბეს“ -მეთქი, ღმერთმა დაიფაროს ვინმე, ზედმეტი ან უადგილო რამ იფიქროს: ამ „უბეში“ ყოვლად ამაღლებული და წმინდა რამ იგულისხმება. უფაქიზესმა და უნაზესმა გრძნობამ შეაკავშირეს ორი შესანიშნავი არსება ერთმანეთთან სამუდამოდ.

აღმზრდელის ადგილზე სტეპან ტროფიმოვიჩი კიდევ იმიტომაც დათანხმდა, რომ პირველი ცოლისაგან დატოვებული მისი ერთი ციცქნა მამული სკვორეშნიკის მეზობლად მდებარეობდა. სკვორეშნიკი სტავროგინების დიდებული მამული გახლდათ ჩვენს გუბერნიაში, რომელიც ქალაქიდან მოშორებით მდებარეობდა, თანაც სტეპან ტროფიმოვიჩს აქ საშუალება ექნებოდა თავის მყუდრო კაბინეტში მეცნიერებისათვის შეეწირა თავი და მშობლიური ლიტერატურა ღრმაზე ღრმა გამოკვლევებით გაემდიდრებინა. უნივერსიტეტში სწავლების უდიდესი საქმეც აღარ შეუშლიდა ხელს. გამოკვლევები არ დაწერილა. სამაგიეროდ, შესაძლებელი გახდა მთელი დანარჩენი ხანი, ოც წელზე მეტი, ასე ვთქვათ, „ცოცხალ საყვედურად“ მდგარიყო მამულის წინაშე, ერთი სახალხო პოეტის თქმისა არ იყოს: „ცოცხალ საყვედურად

.....

იდექ მამულის წინაშე, ლიბერალ-იდეალისტო“.[9]

იმ პიროვნებას, ვისზედაც ეს სიტყვები თქვა სახალხო პოეტმა, იქნებ უფლებაც ჰქონდა, თუკი გული ერჩოდა, მთელი სიცოცხლე ამ პოზაში მდგარიყო, თუმცა მე მის ადგილზე მომწყინდებოდა. რაც შეეხება ჩვენს სტეპან ტროფიმოვიჩს, მართალი გითხრათ, იგი ამგვარ ხალხთან შედარებით მხოლოდ მიმბამველი გამოდიოდა. თან დგომაც ღლიდა და შიგადაშიგ მხარ-თეძოზე წამოწებოდა. მაგრამ მხარ-თეძოზე წამოწოლილიც ხორცშესხმული საყვედურის იერს ინარჩუნებდა - ამას მართლაც ვერ წაართმევდა კაცი, მით უმეტეს, რომ ჩვენი გუბერნიისათვის ეს საკმარისზე მეტიც იყო. ერთი გენახათ, რა სახით ჩაუჯდებოდა ხოლმე ბანქოს ჩვენს კლუბში. მთელი მისი გამომეტყველება ღაღადებდა: „ვაჰმე! მე თქვენ ბანქო უნდა გეთამაშოთ! მერედა მეკადრება ეს? მაგრამ ვისი ბრალია? ვინ მომისპო მოღვაწეობის საშუალება და

დომხალად მიქცია მთელი ცხოვრება? ეჰ, წასულა შენი საქმე, რუსეთო!“ და მედიდურად ჩამოვიდოდა ნაზუქის თულფს.

ისე კი, მართალი თუ გნებავთ, საოცრად უყვარდა ბანქოს თამაში. ამის გამო, მეტადრე ამ ბოლო ხანს, ხშირი უსიამოვნება მოსდიოდა ვარვარა პეტროვნასთან, მით უმეტეს, მუდამ წაგებული რჩებოდა. მაგრამ ამაზე მერე მოგახსენებთ. ერთს კი ვიტყვი, რომ ამასთან დიდი სინდის-ნამუსის კაცი იყო და ამიტომ ხშირად დარდი აიყოლიებდა ხოლმე. ვარვარა პეტროვნასთან მეგობრობის ოცი წლის მანძილზე წელიწადში სამჯერ თუ ოთხჯერ მაინც „მოქალაქეობრივი ჭმუნვა“ აიტანდა, როგორც ჩვენ მოვნათლეთ ეს მისი გუნებ-განწყობილება. ანუ, უბრალოდ რომ ვთქვათ, მოწყენა სძლიევდა. მაგრამ დიდად პატივცემულ ვარვარა პეტროვნას რატომღაც ის გამოთქმა უფრო მოსწონდა. შემდგომში, მოქალაქეობრივი ჭმუნვის გარდა, შამპანურის ტრფიალიც წასძლიევდა ხოლმე. მაგრამ გულისხმიერი ვარვარა პეტროვნა მთელი სიცოცხლე ყოველგვარ უხამს მიდრეკილებისგან იცავდა მას. ძიძა კი დიახაც სჭირდებოდა, დროდადრო ისეთ უცნაურ ხასიათს იჩენდა: ყოვლად ამაღლებულ ჭმუნვის ჟამს უეცრად ყოვლად მდაბიურად ჩაიკუჭკუჭებდა ხოლმე. ისეთი წუთებიც გამოერეოდა, როცა საკუთარ თავზე იუმორულ აზრებს გამოთქვამდა, ვარვარა პეტროვნას კი ისე არაფრის ეშინოდა, როგორც ამ იუმორული აზრების. ის გახლდათ ქალი-კლასიკოსი, ქალი-მეცენატი, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ უზენაესი მოსაზრებანი ამოქმედებდა. დიდზე დიდი იყო ოცი წლის მანძილზე ამ ამაღლებული სულის მანდილოსნის გავლენა მის საბრალო მეგობარზე. იგი ღირს არს საგანგებო მოხსენიებისა და ვასრულებ კიდევ ამას.

III

არის ამქვეყნად უცნაური სახის მეგობრობა: ორმა მეგობარმა შეიძლება ცოცხლად დაჭამონ ერთმანეთი და მაინც ვერა და ვერ დაშორდნენ. გადიდგულებული მეგობარი პირველი თვითონ გახდება ავად და შესაძლოა დარდსაც გადაჰყვეს, თუკი დაშორდა. მე დანამდვილებით ვიცი, ვარვარა პეტროვნასთან ყოველი ინტიმური, გულახდილი ლაპარაკის შემდეგ მარტოდ დარჩენილი სტეპან ტროფიმოვიჩი არაერთხელ წამომხტარა დივნიდან და სულ მუშტები უბრაახუნებია კედლისთვის.

არ გეგონოთ, ამას ალეგორიულად ვამბობდე. სტეპან ტროფიმოვიჩმა ერთხელ ბათქაშიც კი ჩამოანგრია კედელს. იქნებ და მკითხოს ვინმემ: ამნაირ წვრილმანს აბა ვინ გეტყოდაო? ვთქვათ და მე თვითონ ვიყავ მოწმე? ვთქვათ და სტეპან ტროფიმოვიჩს არაერთხელ უფრქვევია ჩემს მხარზე ცრემლები და ცოცხალ ფერებში უამბნია ყველაფერი? (მერედა რას არ იტყოდა ხოლმე ამ დროს!) ეს კია, რომ ამ ცრემლთა ფრქვევის მეორე დღეს მუდამ მზად იყო ხოლმე ლამის ჯვარზე ეცვა საკუთარი თავი უმადურობისათვის; სასწრაფოდ დამიბარებდა ან თვითონვე მოვარდებოდა ჩემთან მხოლოდ და მხოლოდ იმის საუწყებლად, ვარვარა პეტროვნა პატიოსნებითა და გულისხმიერებით სავსე ანგელოზია, მე კი სრულიად საპირისპირო ვინმეო, და განა მარტო ჩემთან მოსვლას დასჯერდებოდა, ქალსაც მისწერდა ხოლმე ყოვლად მჭევრმეტყველურ წერილს და გულახდილად გამოუტყდებოდა, გუშინ, მაგალითად, სრულიად უცხო კაცს ვუამბე, ვარვარა პეტროვნა პატივმოყვარეობის გამო არ მიშორებს, ჩემი სწავლა-განათლება შურს, ვძულვარ და თუ ამ სიძულვილს პირდაპირ არ მიჩვენებს, ეს იმიტომ, ეშინია, ვაითუ დავშორდე და მის ლიტერატურულ სახელს ამით ვავნო რამეო. რომ ამიტომ სმაგს

საკუთარი თავი და გადაწყვეტილი აქვს თავი მოიკლას, ოღონდაც ქალის საბოლოო სიტყვას ელის, რაიც გადაწყვეტს ყველაფერს. ერთი სიტყვით, სულ ასე და ამგვარად, ადვილი წარმოსადგენია ამის კვალობაზე, რა ისტერიკამდე მიჰყავდა ზოგჯერ ნერვიულ გაფიცებას ეს მიამიტზე მიამიტი კაცი იმათ შორის, ვისაც ორმოცდაათი წლის ასაკში ბალური სული და გული შერჩენია. ერთხელ მე ჩემი თვალთ წავიკითხე ერთი ასეთი გესლიანი წერილი, რომელიც სულ უბრალო მიზეზის გამო ატეხილმა ჩხუბმა დააწერინა. მართალი გითხრათ, შემადრწუნა ამ წერილმა და ბევრი ვეხვეწე, არ გაუგზავნოთ-მეთქი.

- არ შემძლია.. ჩემი სინდისი... მოვალეობა... რა ვქნა... მოვკვდები, თუ ყველაფერი, ყველაფერი არ გაუუმხილე! - მითხრა ციებცხელებიანივით აკანკალებულმა და წერილი მაინც გაგზავნა. განსხვავებაც სწორედ ეს იყო ამ ორ ადამიანს შორის, რომ ვარვარა პეტროვნა არამც და არამც არ გამოუგზავნიდა ამისთანა წერილს. ისიც მართალი არის, სტეპან ტროფიმოვიჩს რომ წერილების ტრფიალი სჭირდა. წერილების წერას მაშინაც არ იშლიდა, როცა ვარვარა პეტროვნას სახლში ცხოვრობდა, ხოლო ასეთ ისტერიკულ შემთხვევებში დღეში ორსაც უგზავნიდა. დანამდვილებით ვიცი, ვარვარა პეტროვნა მუდამ გულდასმით კითხულობდა ამ წერილებს, თუნდაც დღეში ორი გამოუგზავნა, და წაკითხვს შემდეგ საამისოდ მიჩენილ უჯრაში ჩაჰკეტავდა, სადაც მისი დანიშნული და დახარისხებული წერილები ეწყო; გარდა ამისა, გულშიც ჩაიხვევდა ხოლმე ამ ამბავს. შემდეგ მთელი დღე უპასუხოდ აყურყუტებდა მეგობარს და მერე ისეთი სახით შეხვდებოდა, ვითომცდა აქ არაფერი მომხდარაო. ნელ-ნელა ისე გამოიწვრთნა სტეპან ტროფიმოვიჩი, გუშინდელ ამბავზე ვერც ის ბედავდა ხმის ამოღებას და რამდენიმე ხანს მხოლოდ თვალ-წარბში შესცივინებდა. ვაი რომ სტეპან ტროფიმოვიჩს მეტისმეტად მალე ავიწყდებოდა ყველაფერი; ქალის სიმშვიდით დაარბიანებულს იმ დღესვე შეემლო შამპანური ესვა, ეცინა და ბავშვივით ეცელქნა, თუ მეგობრები მოუვიდოდნენ. მაგრამ ქალს არაფერი ავიწყდებოდა. ალბათ რა გესლით უყურებდა იგი სტეპან ტროფიმოვიჩს ასეთ წუთებში! ის კი ვერაფერს ამჩნევდა, მაგრამ თუ ერთი კვირის, ერთი თვის ან ნახევარი წლის შემდეგ კაცს უნებლიედ გაახსენდებოდა რომელიმე თავისი გამოთქმა ასეთი წერილიდან, ან მთელი წერილი და ის ვითარება, რამაც დააწერინა, უეცრივ ისეთი სირცხვილის ალმური მოედებოდა, ისე შეაწუხებდა სინდისის ქენჯნა, მყის თავისი ქოლერინა შემოუტევდა. ქოლერინას ეს შეტევები ჩვეულებრივ იმ შემთხვევებში მოუვლიდა ხოლმე, როცა რაიმე უსიამოვნება შეხვდებოდა და მისი აგებულების, ასე ვთქვათ, თავისებურ კურიოზს წარმოადგენდა.

ვარვარა პეტროვნას ალბათ მართლაც ხშირად სძულდა იგი; მაგრამ ერთი რამ ვერ შეამჩნია სიკვდილამდე სტეპან ტროფიმოვიჩმა ქალს. ვერ შეამჩნია, რომ ვარვარა პეტროვნასთვის ბოლოს და ბოლოს იგი, თუ შეიძლებოდა ითქვას, საკუთარ ქმნილებად იქცა, მისი სისხლ-ხორცი გახდა და თუ გვერდიდან არ იშორებდა, განა ამიტომ, „სტეპან ტროფიმოვიჩის ნიჭისა შურდა“. ალბათ რარიგად შეურაცხყოფდა მას სტეპან ტროფიმოვიჩის ეჭვები! ვარვარა პეტროვნას რაღაც გამწარებით უყვარდა იგი, მიუხედავად იმისა, რომ ხან სძულდა და ხან ეჭვიანობდა. მთელი ოცდაორი წელი მის ლოლიაობაში გაატარა, ცივ ნიავს არ აკარებდა, მთელ ღამეებს თეთრად გაათენებდა, სტეპან ტროფიმოვიჩის სახელი, ვითარცა პოეტის, სწავლულის და საზოგადო მოღვაწისა, რაიმეს რომ შეებლალა. იგი იყო ვარვარა პეტროვნას ოცნებით

შექმნილი და გამონაგონი, რაც მან თვითონვე ირწმუნა პირველმა... სამაგიეროდ, ბევრისგან ბევრსაც მოითხოვდა მისგან, ზოგჯერ ყურმოჭრილ მონობასაც. მერედა რა წარმოუდგენლად გულღრმოდ იყო ვარვარა პეტროვნა. ბარემ აქვე გაიმბობთ ორ ანეკდოტს ამაზე.

IV

ერთხელ, როცა ხმა გლეხების განთავისუფლებაზე ახალი დარბეული იყო და მთელი რუსეთი უეცრივ ზეიმმა და აღორძინების სურვილმა აიტანა, ვარვარა პეტროვნას ჩვენს ქალაქში გავლით ჩამოსული ერთი პეტერბურგელი ბარონი ეწვია, კაცი გავლენიანი და ხელისუფლებასთან ახლოს მდგომი. ვარვარა პეტროვნა დიდად აფასებდა ასეთი ხალხის სტუმრობას. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ თანდათან შეუთხელდა დიდკაცთა ნაცნობობის წრე და ბოლოს სულაც შემოეფანტა. ბარონმა ერთი საათი დაჰყო მის სახლში და ჩაი მიირთვა. უცხო არავინ დასწრებიან, მაგრამ სტეპან ტროფიმოვიჩი კი მოიწვია ქალმა და დიდის ამბითაც წარუდგინა. ბარონს, მგონი, წინათაც ზოგი რამ სმენოდა მასზე, ყოველ შემთხვევაში, ისე მოაჩვენა თავი, თითქოს სმენოდა, მაგრამ მუსაიფი არ გაუბამს მასთან. ცხადია, სტეპან ტროფიმოვიჩი თავს არ შეირცხვენდა, მეტადრე, რომ მოხდენილი თავდაჭერა სჩვეოდა. რა ვუყოთ, თუ დიდი ოჯახიშვილი არ იყო, სამაგიეროდ პატარაობიდანვე ერთი დიდკაცის ოჯახში იზრდებოდა მოსკოვში და, მაშასადამე, რიგიანი აღზრდაც ჰქონდა მიღებული. ფრანგულს პარიზელივით ლაპარაკობდა. ასე რომ ბარონს პირველი შეხედვისთანავე უნდა შეემჩნია, რა ხალხი ეხვია ვარვარა პეტროვნას ამ მიყრუებულ გუბერნიაშიც. სამწუხაროდ, საქმე სულ სხვანაირად შეტრიალდა. როცა ბარონმა გადაჭრით დაადასტურა დიდ რეფორმაზე დარბეული ხმები, სტეპან ტროფიმოვიჩს უეცრად ვედარ მოუთმინა გულმა, ვაშაო, შესძახა და ხელიც კი აიქნია აღტაცების ნიშნად. შესძახა ხმადაბლა და მოხდენილად, აღტაცებაც იქნებ წინასწარ განზრახული იყო, ხელის აქნევაც ალბათ ნახევარი საათით ადრე სარკის წინ ნავარჯიშევი, მაგრამ, ეტყობა, რაღაც მთლად ისე ვერ გამოუვიდა. ბარონმა ოდნავ შესამჩნევად ჩაიღიმია, თუმცაღა მაშინვე საოცარი თავაზიანობით დასძინა, ეს დიდებული ამბავი, უეჭველია, უკლებლივ ყველა რუსს აუჩქროლებს გულსო. შემდეგ მალე დაემშვიდობა დიასახლისს. არც სტეპან ტროფიმოვიჩი დავიწყებია და ორი თით გაუწოდა. სასტუმროში მობრუნებული ვარვარა პეტროვნა სამიოდე წუთს მდუმარედ იდგა მაგიდასთან, თითქოს რაღაცას ეძებსო, მერე უეცრივ მოუტრიალდა სტეპან ტროფიმოვიჩს და გაფითრებულმა, თვალეზანთებულმა გამოსცრა კბილებში: - ამას თავის დღეში არ დაგივიწყებთ!

მეორე დღეს ისე შეხვდა თავის მეგობარს, ვითომდა აქ არაფერი მომხდარაო. არც მერე გაუხსენებია ეს ამბავი. მხოლოდ ცამეტი წლის შემდეგ მოაგონა და დააყვედრა ერთ ტრაგიკულ წუთს და მაშინაც ისევე გაფითრდა, როგორც ამ ცამეტი წლის წინათ. „ამას თავის დღეში არ დაგივიწყებთ!“ - მხოლოდ ორჯერ უთხრა თავის სიცოცხლეში. ბარონის ამბავი მეორე გახლდათ; მაგრამ პირველიც მისდათავად იმდენად დამახასიათებელი იყო და, მგონი, იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სტეპან ტროფიმოვიჩის ცხოვრებაში, რომ გავბედავ და იმასაც მოგახსენებთ.

ეს ამბავი ორმოცდათხუთმეტში მოხდა, გაზაფხულზე, მაისის თვეში. მაშინ სწორედ ახალი მოსული იყო ცნობა გენერალ-ლეიტენანტ სტავროგინის გარდაცვალებაზე. ამ უდარდელი მოხუცისათვის კუჭის აშლილობას მოესწრაფა სიცოცხლე გზაში, როცა

ის დანიშნულების ადგილზე, ყირიმში მიემშურებოდა მოქმედ არმიამში. დაქვრივებული ვარვარა პეტროვნა ძაძებში შეიმოსა. თუმცაღა ქმრის სიკვდილს დიდად არ დაუდარდიანებია. ეს ოთხი წელი თითქმის გაყრილები იყვნენ ხასიათის შეუწყობლობის გამო და ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. ქალი მხოლოდ პენსიას უზნავნიდა (გენერალ-ლეიტენანტს ას ნახევარი სული ყმისა და ჯამაგირის მეტი არა ებადა რა, თუ არას ვიტყვით კაი გვარიშვილობასა და დიდკაცურ ნაცნობობაზე; მთელი სიმდიდრე და სკვორეშნიკის მამული ვარვარა პეტროვნას მზითევი გახლდათ, რომელიც მეტად მდიდარი მოიჯარეს ერთადერთი ასული იყო). ქმრის უეცარმა სიკვდილმა მაინც შეაძრწუნა ქალი და განმარტოებულ ცხოვრებას მიეცა. სტეპან ტროფიმოვიჩი, ცხადია, განუყრელად ახლდა გვერდით.

შუა მაისი იყო, განსაცვიფრებელი საღამოები იდგა. აყვავდა შოთხიც. მეგობრები ყოველ საღამოს ბაღში ჩადიოდნენ და დაღამებამდე ისხდნენ ტალავერში, ერთმანეთს გრძნობებსა და ფიქრებს უზიარებდნენ. არაერთხელ ჰქონიათ პოეტური წუთებიც. ვარვარა პეტროვნაზე ბედის შეტრიალებას ემოქმედა და ჩვეულებრივზე მეტად აშლოდა ლაპარაკის საღერღელი. თავის მეგობარს ლამის სულსა და გულში ჩაძვრენოდა. ასე გაგრძელდა რამდენიმე საღამო. უეცრივ სტეპან ტროფიმოვიჩს ერთმა უცნაურმა აზრმა გაუელვა თავში: „ნეტა ჩემი იმედი ხომ არა აქვს უნუგემო ქვრივს და ხომ არ მოელის, როცა ერთი წლის შემდეგ ძაძებს გაიხდის, ცოლობას ვთხოვ?“ დიახ, ამისთანა უხეშმა აზრმა გაუელვა, მაგრამ რაც უფრო დიდბუნოვანია კაცი, მით უფრო სჩვევია ასეთი უხეში აზროვნება, თუნდაც თავისი მრავალმხრივი განვითარების გამო. ჩაუკვირდა სტეპან ტროფიმოვიჩი და გადაწყვიტა, რაღაც ამას უნდა ჰგავდესო. დაფიქრდა კაცი: „ქონება კი დიდი აქვს, მაგრამ...“ ვარვარა პეტროვნაზე მართლაც ვერავინ იტყოდა, ლამაზი ქალიაო: ერთი ხმელ-ხმელი, ყვითელი, გაძვალტყავებული ქალი იყო, სახეც თითქოს ცხენივით ჩამოგრძელებოდა, უფრო და უფრო ყოყმანობდა სტეპან ტროფიმოვიჩი, ეჭვები ტანჯავდა, ერთი ორჯერ ცრემლიც გადმოაყრევინა ამ ორჭოფობამ (ცრემლი კი მუდამ მზად ჰქონდა). ახლა უკვე საღამოობით ტალავერში მისდა უნებლიედ რაღაც ჟინიანი და დამცინავი იერი ეხატებოდა სახეზე, რაღაც არშიყულად და ამავე დროს ამპარტავნულად ეჭირა თავი. ეს მისდა უნებურად მოსდის ხოლმე კაცს და რაც უფრო კეთილშობილი ბუნების არის, მით უფრო მეტად ემჩნევა. ღმერთმა უწყის, ასე იყო თუ არა, მაგრამ ჰკუასთან უფრო ახლოა, რომ ვარვარა პეტროვნას ისეთი არაფერი ედო გულში, რაც სტეპან ტროფიმოვიჩის ეჭვებს მთლიანად გაამართლებდა. არც ის მგონია, სტავროგინობას შელეოდა და სტეპან ტროფიმოვიჩის გინდაც ასეთ სახელმორჭმულ გვარზე გაეცვალა. ვინ იცის, მისი მხრივ მართოდენ ქალური სიკვკლუცე იყო, ქვეშეცნეული ქალური ბუნების გამოვლინება, რაც საერთოდ სჩვევიათ ხოლმე ქალებს; ქალის გული დღემდე არავის ამოუცვნია! მაგრამ ვაგრძელებ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ვარვარა პეტროვნა ძალე მიუხვდა მეგობარს ამ უცნაური გამომეტყველების მიზეზს; ალღოც კარგი ჰქონდა და თვალიც უჭრიდა, სტეპან ტროფიმოვიჩი კი ხშირად ფრიად გულუბრყვილო იყო. მაგრამ საღამოები მაინც ძველებურად გრძელდებოდა და მათი მუსაიფიც კვლავ პოეტური და საინტერესო იყო. ერთხელაც ფრიად ცოცხალი და პოეტური ბაასის შემდეგ დაღამებისას დაშორდნენ და გრძნობით ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი იმ ფლიგელის კართან, სადაც სტეპან ტროფიმოვიჩს ჰქონდა ბინა. ყოველ ზაფხულს იგი მუდამ ამ პატარა, ბაღში მდგარ ფლიგელში გადმობარგდებოდა ხოლმე დიდი საბატონო სახლიდან.

ჰოდა, შევიდა სტეპან ტროფიმოვიჩი თავის სადგომში და ფიქრით აფორიაქებულმა სიგარა აიღო, მაგრამ ისე იყო დაღლილი, მოკიდების თავი არ ჰქონდა. იდგა ღია ფანჯარასთან და კაშკაშა მთვარის ირგვლივ მოსრიალე თეთრ, ფუმფულა ღრუბლებს მიჩერებოდა. უეცრად რაღაც შარიშურის ხმამ შეაკრთო და მოტრიალდა. მის წინ ვარვარა პეტროვნა იდგა, რომელსაც ოთხიოდე წუთის წინ დაშორდა, - ჩაყვითლებული სახე გალურჯებოდა, მოკუმული ტუჩები უცახცახებდა. მთელი ორი წუთი უყურა თვალებში უღმობლად და უეცრად წაუსისინა: - ამას თავის დღეში არ დაგივიწყებ!

როცა ათიოდე წლის შემდეგ სტეპან ტროფიმოვიჩმა ჩურჩულით მიაშო ეს სამწუხარო ამბავი, ჯერ კარი მაგრად ჩაკეტა და მერე შემომფიცა, იმდენად სახტად დავრჩი და გავხევდი კაცი, ვერც გავიგონე და ვერც შევამჩნიე, ვარვარა პეტროვნა როგორ გაქრაო. რაკი მას აქეთ ქალს ერთი სიტყვაც აღარ გადაუკრავს წარსულ ამბავზე და ყველაფერი ისე გაგრძელდა, თითქოს არც არაფერი მომხდარაო, სტეპან ტროფიმოვიჩმა თავი დააჯერა, ეს მხოლოდ ჰალუცინაცია იყო ავადმყოფობის წინო. ის მართლაც ავად გახდა ამავე საღამოს, მთელი ორი კვირა არ წამომდგარა და ტალავერშიც შეწყდა პაემნები.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ამბავი ჰალუცინაციად წარმოიდგინა, მთელი თავისი სიცოცხლე მაინც ელოდა მის გაგრძელებას და, ასე ვთქვათ, დასასრულს; ვერა და ვერ დაეჯერებინა, რომ ეს ამბავი უკვე დასრულდა! ხოლო თუ ასეა, ადვილი წარმოსადგენია, რა თვალთ გადახედავდა ხოლმე ზოგჯერ თავის გულითად მეგობარს.

V

ვარვარა პეტროვნამ ტანსაცმელიც თვითონ მოუგონა სტეპან ტროფიმოვიჩს, სხვა რამ აღარც ჩაუცვამს მერე. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს სამოსი ძალზე თავისებური და მოხდენილი იყო: თითქმის ყელამდე შესკვნილი გრძელკალთებიანი შავი სერთუკი მუდამ კობტად ადგა ტანზე; მის რბილ შლაპას (ზაფხულობით ჭილისას) განიერი ფარფლები ჰქონდა; ფართოდ განასკული თეთრი ბატისტის ჰალსტუხის ბოლოები მკერდზე უფრიალებდა, ხელში ვერცხლის ბუნიკიანი ტროსტი ეკავა, თმა მხრებზე ჩამოჰფენოდა. სტეპან ტროფიმოვიჩის ღია წაბლისფერ თმას მხოლოდ ამ ბოლო ხანს შეეპარა ჭადარა. უღვაშსა და წვერს მუდამ იპარსავდა. ამბობენ, სიყმაწვილეში საოცრად ლამაზი ვაჟკაცი იყო. მე თუ მკითხავთ, სიბერეშიაც ფრიად წარმოსადეგი გახლდათ. თუმცა ორმოცდაცამეტი წლის კაცზე აბა სადაური სიბერე ითქმის? მაგრამ მოქალაქეობრივი სიკეკლუცის ემხით ახალგაზრდობას არ დაგიდევდათ და უფრო დარბაისლობაზე იდებდა თავს. სტეპან ტროფიმოვიჩის მაღალი, ხმელ-ხმელი ტანი, მხრებზე ჩამოფენილი თმა, ეს ჩაცმულობა პატრიარქს, ან, უფრო სწორად, პოეტ კუკოლნიკის[10] სურათს მოაგონებდა კაცს, რომელიღაც გამომცემლობის მიერ ორმოცდაათიან წლებში ლითოგრაფირებულს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ორივე ხელით ტროსტს დაბჯენილი ბაღში იჯდა აყვავებული იასამნის ქვეშ, გვერდით გაშლილი წიგნი ედო და პოეტურად ჩაფიქრებული ჩამავალ მზეს გაჰყურებდა. იმასაც შევნიშნავ რომ ამ ბოლო ხანს რატომღაც თავი ანება კითხვას, თუმცა მხოლოდ ამ ბოლო ხანს. ვარვარა პეტროვნას გამოწერილ უამრავ ჟურნალ-გაზეთს მუდამ კითხულობდა. რუსული ლიტერატურის წარმატება ნიადაგ აინტერესებდა, ოღონდ არც თავის ღირსებას ივიწყებდა ამ დროს. ერთი პირობა ჩვენი თანამედროვე საშინაო

და საგარეო პოლიტიკის შესწავლამაც გაიტაცა, მაგრამ მალე ხელი ჩაიქნია და თავი ანება. ხანდახან ასეც იყო: ბაღში ტოკვეილს[11] წაიღებდა საკითხავად, ჯიბით კი პოლ დე კოკი[12] მოჰქონდა მალულად. თუმცა ასეთი წვრილმანი აბა რა მოსატანია.

კუკოლნიკის სურათზეც მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას ფრჩხილებში: ვარვარა პეტროვნა პატარა გოგონა იყო და მოსკოვის ერთ-ერთ კეთილშობილთა პანსიონში სწავლობდა, როცა ეს სურათი პირველად ჩაუვარდა ხელთ. ჩაუვარდა და მაშინვე გაუმიჯნურდა პანსიონელი გოგონების ჩვეულებისამებრ, რომელთა სიყვარულის საგანს ყველა და ყველაფერი წარმოადგენს, ასე გასინჯეთ, საკუთარი მასწავლებელიც, მეტწილად მართლწერისა და ხატვისა. მაგრამ აქ ყურადსაღები იმდენად პატარა ქალების ჩვევა არ არის, რამდენადაც ის ამბავი, რომ ვარვარა პეტროვნას თავის ინტიმურ საუნჯეთა შორის ეს სურათი მაშინაც ჰქონდა შემონახული, როცა უკვე კაი ორმოცდაათი წლისა ბრძანდებოდა. ვინ იცის, იქნებ სტეპან ტროფიმოვიჩსაც სწორედ ამ სურათის მიხედვით შეურჩია ტანსაცმელი. მაგრამ, ცხადია, ესეც წვრილმანი გახლავთ.

პირველ წლებში, უფრო ზუსტად, ვარვარა პეტროვნას კარზე ცხოვრების პირველ ნახევარში, სტეპან ტროფიმოვიჩს მაინც ჰქონდა გუნებაში რაღაც თხზულების დაწერა და ყოველდღე სერიოზულად აპირებდა მუშაობას. მაგრამ მეორე ნახევარში, ეტყობა, რაც იცოდა, ისიც დავიწყებოდა. ახლა უკვე ხშირხშირად ამბობდა ჩვენთან: „თითქოს მზადა ვარ სამუშაოდ, მასალებიც შეგროვილი მაქვს, მაგრამ თავი ვერ მომიბამს! გული ვერ დამიდევს!“ და მჭმუნვარედ ჩაქინდრავდა თავს. უეჭველია, სწორედ ამას უნდა შეემოსა შარავანდედით იგი ჩვენს თვალში, ვითარცა მეცნიერებისათვის წამებული. მაგრამ თვითონ კი სულ სხვა რამეზე წყდებოდა გული. „დამიწყეს, აღარავის ვჭირდები!“ - არაერთხელ წამოსცდენია სტეპან ტროფიმოვიჩს. ეს ნაღველი განსაკუთრებით ორმოცდაათიანი წლების მიწურულს მოეძალა. ბოლოს ვარვარა პეტროვნაც მიხვდა, საქმე სერიოზულად არისო. ანკი თავად როგორ შეურიგდებოდა იმ აზრს, რომ მისი მეგობარი დაივიწყეს და აღარავის სჭირდებოდა. სტეპან ტროფიმოვიჩის გასართობად და ამასთან მისი დიდების განსაახლებლად მან იგი მოსკოვს წაიყვანა. იქ რამდენიმე წელიწადი ჰყავდა ლიტერატურისა და მეცნიერების წრეებიდან. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვერც მოსკოვი აკმაყოფილებს თურმე კაცს.

მაშინ სულ სხვა დროება იყო, სულ სხვა, ახალი სიო ქროდა, რაღაც მეტისმეტად უცნაური, მაგრამ იმდენად საგრძნობი, მისი ქროლვა სკვორეშნიკშიაც კი აღწევდა. ათასწილი ხმები დადიოდა. ფაქტები მეტ-ნაკლებად ცნობილი იყო, მაგრამ ამ ფაქტებს კიდევ რაღაც იდეები ახლდა და, რაც მთავარია, კარგა ბლომდაც. სწორედ ეს ჩააგდებდა კაცს საგონებელში: ძნელი იყო ალღოს აღება და ზუსტად გარკვევა, სახელდობრ რას ნიშნავდა ეს იდეები? ვარვარა პეტროვნას, თავისი ქალური ბუნების გამო, უთუოდ რაღაც საიდუმლო უნდოდა ეგულისხმა ამაში. ერთი პირობა თვითონ სცადა ჟურნალ-გაზეთების, საზღვარგარეთ დაბეჭდილი აკრძალული წიგნებისა და მაშინ ახლად გავრცელებული პროკლამაციების[13] კითხვა (ეს ყველაფერი მოჰქონდათ მისთვის); მაგრამ თავბრუ დაეხვა და მეტი არაფერი. შემდეგ წერილების წერას მიჰყო ხელი: პასუხი ნაკლებ მოსდიოდა, ხოლო რაც დრო გადიოდა, სულ უფრო გაუგებარი ხდებოდა ეს პასუხები. ბოლოს სტეპან ტროფიმოვიჩი მოიწვია დიდის ამბით, რომ ერთხელ და სამუდამოდ აეხსნა, რას წარმოადგენდა „ეს იდეები“. მაგრამ მისმა ახსნა-განმარტებამ დიახვაც ვერ დააკმაყოფილა ქალი. სტეპან ტროფიმოვიჩი საყოველთაო მოძრაობას ფრიად ქედმაღლურად უყურებდა, მისთვის

თავიდათავი მარტო ის იყო, მე დამივიწყეს, აღარავის ვახსოვარო; ბოლოს, როგორც იყო, სტეპან ტროფიმოვიჩიც მოიგონეს, თავდაპირველად საზღვარგარეთულ გამოცემებში, ვით გადასახლებაში ნაწამები კაცი; ამ ამბავს მყის პეტერბურგშიც გამოეხმაურნენ და სტეპან ტროფიმოვიჩი ცნობილი თანავარსკვლავედის ყოფილ ვარსკვლავად გამოაცხადეს. რატომღაც რადიშჩევსაც კი შეადარეს. შემდეგ ვილაცამ დაბეჭდა, უკვე გარდაცვლილია და ნეკროლოგს მალე გამოვაქვეყნებთო. სტეპან ტროფიმოვიჩი მყის მკვდრეთით აღსდგა და წელში გაიმართა. მაშინვე გაუქრა მთელი თავისი ქედმაღლობა თანამდეროვეთა მიმართ და ახალმა ოცნებამ გაიტაცა: ამ მოძრაობაში ჩაბმულიყო და თავისი შესაძლებლობანი გამოეჩინა. ვარვარა პეტროვნასაც უმაღლესად განუახლდა მისი რწმენა და ჯარასავით დატრიალდა. გადაწყვიტეს დაუყოვნებლივ გამგზავრებულიყვნენ პეტერბურგს, სადაც ყოველივეს უკეთ გაარკვედნენ, პირადად წასწვდებოდნენ და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, მთელი არსებით ჩაებმებოდნენ ახალ საქმიანობაში. ვარვარა პეტროვნამ, სხვათა შორის, ისიც განაცხადა, მზადა ვარ საკუთარი ჟურნალი დავაარსო და მთელი სიცოცხლე შევწირო. სტეპან ტროფიმოვიჩმა დაინახა რა, საქმე აქამდე მივიდაო, უფრო გადიდგულდა და ლამის წყალობის თვალთ დაუწყო ცქერა ვარვარა პეტროვნას. ქალმა ეს უმაღლეს გულში ჩაიხვია. ვარვარა პეტროვნას სხვა ფრიად მნიშვნელოვანი მიზეზიც ჰქონდა გამგზავრებისთვის, კერძოდ, დიდკაცთა წრეში ნაცნობობის განახლება სურდა. საჭირო იყო შეძლებისდაგვარად თავი გაეხსენებინა ამ დიდკაცებისათვის. ხმამაღლა კი გამგზავრების მიზეზად ვაჟის ნახვის სურვილი გამოაცხადა. მის ერთადერთ ვაჟს იმხანად პეტერბურგის ლიცეიში სწავლის კურსი დაემთავრებინა.

VI

პეტერბურგში თითქმის მთელი ზამთარი დაჰყვეს, მაგრამ დიდმარხვისათვის ყველაფერი საპნის ფერადი ბუმბუტებით გაუქრათ. ოცნებანი დაიმსხვრა, დომხალი და აზნეულობა არათუ გაირკვა, უფრო გულისამრევი გახდა. ჯერ ერთი, დიდკაცებთან ნაცნობობის გაბმა თითქმის ვერ მოხერხდა, ხოლო რაც მოხერხდა, იმდენად მიკროსკოპიული ზომისა იყო და ისეთი დამამცირებელი ვაი-ვაგლახით მოპოვებული, სათვალავში ჩასაგდებად არ ღირდა. შეურაცხყოფილი ვარვარა პეტროვნა ახლა მთელი არსებით „ახალ იდეებს“ მიეცა და საღამოები მოაწყო თავის სახლში. მოიწვია ლიტერატორები და მყის საკმაოდ ბლომად მოჰგვარეს. შემდეგ მოწვევაც აღარ სჭირდებოდათ, თვითონვე მოჰყავდათ ერთმანეთი. ვარვარა პეტროვნას თავის დღეში არ უნახავს ამნაირი ლიტერატორები. ამ წარმოუდგენლად პატივმოყვარე ხალხს თითქოსდა მოვალეობად მიაჩნდათ არც დაემალათ ეს თავისი პატივმოყვარეობა. ზოგიერთები (თუმცა ყველანი არა) მთვრალეებიც მობრძანდებოდნენ, თანაც ისეთი სახით, თითქოს მხოლოდ გუშინ აღმოაჩინეს ამ ამბის უჩვეულო ეშხი. ყველა საოცრად ამყობდა რაღაცით. ყველას სახეზე ეწერა, თითქოსდა ეს-ეს არის რაღაც დიდზე დიდი საიდუმლო აღმოაჩინაო. ლანძღვა-გინებაც თავისდა სასახელოდ მიაჩნდათ. კაცი ძნელად გაარკვევდა, ამ კრიტიკოსებს, რომანისტებს, დრამატურგებს, სატირიკოსებსა და მამხილებლებს შორის კერძოდ ვის რა დაეწერა. სტეპან ტროფიმოვიჩმა ამ მოძრაობის მმართველ-გამგებელთა უზენაესს წრესაც შეაღწია. მმართველ-გამგებელნი ეგზომ ხელმიუწვდომელ სიმაღლეზე იდგნენ, ვაგლახად არავის იკარებდნენ, მაგრამ სტეპან ტროფიმოვიჩი გულთბილად მიიღეს, რა ვუყოთ, რომ არავინ იცნობდა და არავის არაფერი გაეგონა მის შესახებ,

გარდა იმისა, „იდუის განმსახიერებელი“ გახლავთო. თავის მხრივ, სტეპან ტროფიმოვიჩმა იმდენი უტრიალა მათ, რომ ოლიმპიურობის მიუხედავად ერთი ორჯერ ვარვარა პეტროვნასაც მიჰგვარა სალონში. ესენი ძალზე დარბაისელი და ზრდილი ხალხი გამოდგა, თავი მშვენივრად ეჭირათ, დანარჩენებს, ეტყობოდათ, მათი ეშინოდათ. მაგრამ ცხადი იყო, ამ ხალხს არ ეცალა. იმხანად პეტერბურგში ორისამი ძველი დიდების მქონე ლიტერატორი აღმოჩნდა ჩამოსული. ვარვარა პეტროვნას დიდი ხანია ფრიად ნატიფი ნაცნობობა ჰქონდა გაბმული მათთან, ჰოდა, ისინიც ეწვივნენ სალამოზე. მაგრა, მისდა გასაკვირად, ეს მართლაც რომ სახელმოხვეჭილი ხალხი გატრუნული იჯდა მთელი სალამო, ხოლო ზოგი მათგანი პირდაპირ სამარცხვინოდ ელაქუცებოდა ამ ახალი ჯურის ჯოღლომოდლოებს. თავდაპირველად სტეპან ტროფიმოვიჩს ბედმა გაუღიმა; მცისვე დაავლეს ხელი და ლიტერატურულ სალამოებზე გააქანეს გამოსაჩინებლად. როცა ერთ-ერთ ასეთ საჯაროდ გამართულ ლიტერატურულ სალამოზე სტეპან ტროფიმოვიჩი პირველად გამოვიდა ესტრადაზე, იგრიალა ტაშმა და მთელი ხუთი წუთი არ შეწყვეტილა. ცხრა წლის შემდეგაც ცრემლმორეული იგონებდა ამ ამბავს - თუმცა ეს ცრემლი უფრო მისი გრძნობიერებით იყო გამოწვეული, ვიდრე მაღლიერებით. „ღმერთს გეფიცებით და სანაძლეოსაც ჩამოვალ, - გამანდო მე (დიახ, მარტო მე და ისიც საიდუმლოდ), - რომ იმ ხალხიდან კაციშვილს წარმოდგენა არ ჰქონდა ჩემზე!“ ეს გასაოცარი აღსარება გახლდათ: მაშასადამე, მაინც გამჭრიახი ჰკუის კაცი იყო, რაკი იქვე, ესტრადაზე, მთელი აღტაცების მიუხედავად, ასე კარგად გაერკვა თავის მდგომარეობაში, და, მაშასადამე, არც დიდი გამჭრიახი ჰკუა ჰქონდა, თუკი ცხრა წლის შემდეგაც ასე გულდაწყვეტით იგონებდა ამ ამბავს. სტეპან ტროფიმოვიჩს ორსა თუ სამ კოლექტიურ საპროტესტო განცხადებაზე[14] მოაწერინეს ხელი (ვისა და რის წინააღმდეგ, თვითონაც არ იცოდა); ვარვარა პეტროვნასაც რაღაც უგვანო და „საზიზღარი საქციელის“ გამო შედგენილ საპროტესტო წერილზე მოაწერინეს მისი გვარი. თუმცა ამ ახალი ხალხის უმრავლესობა ვარვარა პეტროვნას ხშირი სტუმარი იყო, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყველა რატომღაც მოვალედ რაცხდა თავს აგდებითა და დაუფარავი დაცინვით ეცქირა მისთვის. სტეპან ტროფიმოვიჩს მწარე წუთებში არაერთხელ გადაუკრავს მერე ჩემთვის, მას აქეთ შურს ჩემიო. ვარვარა პეტროვნას, რა თქმა უნდა, ესმოდა, რომ სულაც არ შეეფერებოდა ამისთანა ხალხში ტრიალი, მაგრამ ისტერიული ქალური სულსწრაფობით ეტანებოდა მათ საზოგადოებას, რაც მთავარია, სულ რაღაც ელოდა. სალამოებზე ვარვარა პეტროვნა ლაპარაკში ნაკლებ ერეოდა, თუმცა შეეძლო ჩარევა; მეტწილად სმენად იყო გადაქცეული ლაპარაკობდნენ ცენზურისა და ასო ზ-ს მოსპობაზე, რუსული ანბანის ლათინური ასოებით შეცვლაზე[15], მავან და მავან კაცის გუშინდელი გადასახლების ამბავზე, პასაჟში მომხდარ რაღაც ალიაქოთზე[16], იმაზე, თუ რა სარგებლობას მოუტანს რუსეთს თავისუფალი ფედერაციული კავშირის საფუძველზე ეროვნებების მიხედვით დაყოფა. ლაპარაკი იყო ჯარისა და ფლოტის მოსპობაზე, პოლონეთის საზღვრების აღდგენაზე დნეპრის ჩათვლით, გლეხთა რეფორმასა და პროკლამაციებზე, მემკვიდრეობის, ოჯახის, შვილებისა და მღვდლების მოსპობაზე, ქალთა უფლებებზე, კრავესკის სახლზე[17], რაიც ვერავის ეპატიებინა ბატონ კრავესკისათვის[18] და სხვა და სხვა. ცხადია, ამ ნაირ-ნაირი ჯურის ახალი მოდგმის ხალხში ბევრი თაღლითი და სალახანა იყო, მაგრამ, უეჭველია, ბევრი პატიოსანი, მიმზიდველი პიროვნებაც ერია, მიუხედავად მათი უცნაური მიდრეკილებებისა. ოღონდ ეს პატიოსნები უპატიოსნებსა და ხეპრეებზე გაცილებით უფრო აგიბნევდნენ თავგზას. კაცი ვერ გაარკვევდა, ვის ვინ აეყოლიებინა. როცა ვარვარა პეტროვნამ

გამოაცხადა, ჟურნალის გამოცემას ვფიქრობო, კიდევ მეტი ხალხი მოაწყდა, მაგრამ ამასთან ისიც მიახალეს პირში, კაპიტალისტი ბრძანდები და შრომის ექსპლოატაცია გასურსო, - ბრალდება იმდენადვე მოურიდებელი იყო, რამდენადვე მოულოდნელი! აწ განსვენებულ გენერალ სტავროგინის ძველი მეგობარი და თანამოსამსახურე, ღრმად მოხუცებული გენერალი ივან ივანოვიჩ დროზდოვი, კაცი, ასე ვთქვათ, ფრიად საპატო, ვისაც აქ ყველა ვიცნობთ, წარმოუდგენლად უჯიათო და ფიცხი ბუნების, სმა-ჭამის დიდი მოტრფიალე და ათეიზმის საოცრად მოშიშარი, ვარვარა პეტროვნასთან ერთ-ერთ ასეთ საღამოზე სახელგანთქმულ ჭაბუკს შეეკამათა; - გენერალი ხომ არ ბრძანდებით, ამას რომ ამბობთო, მაშინვე მიახალა ჭაბუკმა, ვითომ იმ აზრით, გენერალზე უარესი რაღა იქნებაო. ივან ივანოვიჩი მეტისმეტად გაცხარდა: „დიახ ჩემო ბატონო, გენერალიც გახლავართ და გენერალ-ლეიტენანტიც, ჩემი ხელმწიფის ერთგული მსახური, შენ კი, ჩემო ბატონო, ლაწირაკი და უღმერთო ვინმე“. ატყდა, მაგრამ რა ალიაქოთი ატყდა. მეორე დღეს ეს ამბავი გაზეთში გამოწერეს და კოლექტიური ხელმოწერის შეგროვებაც დაიწყეს ვარვარა პეტროვნას ამ „უგვანო საქციელის“ წინააღმდეგ, რადგან მაშინვე არ ისურვა გენერლის გაძევება. ილუსტრირებულ ჟურნალში კარიკატურაც იყო დაბეჭდილი, - ვარვარა პეტროვნა, გენერალი და სტეპან ტროფიმოვიჩი, ვითარცა სამი რეტროგრადი მეგობარი, ერთად იყვნენ სურათზე დიდი გესლით დახატულნი. სურათს ლექსიც ახლდა, რომელიც სახალხო პოეტს საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის დაეწერა ესეც უნდა ითქვას, რომ ბევრ გენერალს აქვს ასეთი სასაცილო ჩვევა: ისე იტყვიან, „ჩემი ხელმწიფის ერთგული მსახური გახლავართ“, თითქოსდა იმათ სულ სხვა ხელმწიფე ჰყავთ და ჩვენ კი, ხელმწიფის უბრალო ქვეშევრდომთ, სულ სხვა.

ამის შემდეგ პეტერბურგში დარჩენას, რა თქმა უნდა აზრი არ ჰქონდა, მეტადრე რომ სტეპან ტროფიმოვიჩმაც საბოლოო fiasco[19] განიცადა. მას გულმა ვეღარ გაუძლო და ხელოვნების უფლებებზე აღიმადლა ხმა, რის გამოც მთლად სასაცილოდ აიგდეს. თავის უკანასკნელ საღამოზე დააპირა მოქალაქეობრივი მჭევრმეტყველებით ემოქმედნა, ეგონა, მსმენელებს გულს აუჩვილებდა, იმის იმედიც ჰქონდა, „გადანასახლები კაცის“ პირობაზე პატივს დამდებნო. სტეპან ტროფიმოვიჩი ულაპარაკოდ დაეთანხმა იმას, სიტყვა „მამული“ უსარგებლო და სასაცილოა, ამ აზრსაც - რელიგია მავნებელიაო, მაგრამ მტკიცედ განაცხადა, ჩექმები პუშკინზე უფრო დაბლა და გაცილებითაც დაბლა დგასო[20]. ამის საპასუხოდ ისე უწყალოდ უსტვინეს და ისეთი ყიჟინა დასცეს, სტეპან ტროფიმოვიჩი იქვე, ესტრადაზე ატირდა. ვარვარა პეტროვნამ ცოცხალ-მკვდარი მოიყვანა შინ. „on m'a traite comme un vieux bonnet de coton“[21] - უაზროდ ლულულულებდა იგი. ვარვარა პეტროვნა მთელი ღამე თავზე ადგა, დამამშვიდებელ წვეთებს ასმევდა და გათენებამდე უმეორებდა: „თქვენ კიდევ საჭირო კაცი ხართ; კიდევ გამოიჩინთ თავს; კიდევ დაგაფასებენ.. სადმე სხვაგან“.

მეორე დღეს, დილაადრიან ეწვია ვარვარა პეტროვნას ხუთი ლიტერატორი. აქედან სამს სულ არ იცნობდა, თვალთ არ ენახა. გოროზი სახით აუწყეს, თქვენი ჟურნალის საქმე გავარჩიეთ და ამ საქმეზე გადაწყვეტილება გამოვიტანეთო. ვარვარა პეტროვნას თავის დღეში არავისათვის დაუვალეზია მისი ჟურნალის საქმე გაერჩიათ და რაიმე გადაწყვეტილებათ. გადაწყვეტილება შემდეგში მდგომარეობდა: როგორც კი ვარვარა პეტროვნა ჟურნალს დააარსებდა, მაშინვე ფულთან ერთად მათთვის უნდა გადაეცა ჟურნალი, თავისუფალი ასოციაციის უფლებებით. თავად კი სკვორეშნიკში

დაბრუნებულიყო და სტეპან ტროფიმოვიჩი თან წაეყვანა, რამეთუ უკვე „მოძველდაო“. იმდენი ზრდილობაც გამოიჩინეს, რომ თქვეს, საკუთრების უფლებას არ წაგართმევთ და ყოველწლიურად სუფთა მოგების ერთ მეექვსედს გამოგიგზავნიოთ. მაგრამ ყველაზე ამაღლებელი ის ამბავი იყო, რომ ამ ხუთი კაციდან ოთხს ნამდვილად არავითარი გამოძალვის სურვილი არ ამოძრავებდა და მხოლოდ და მხოლოდ „საერთო საქმეზე იღებდნენ თავს“.

- რეტდასხმულები გამოვემგზავრეთ უკან, - მიაშობდა სტეპან ტროფიმოვიჩი. - ჩემს ჭკუაზე არ ვიყავი, მახსოვს მხოლოდ, ბორბლების რახრახის ხმაზე მოსკოვამდე სულ ამას ვიმეორებდი: ვეკი, ვეკი, ლევ კამბეკი, ლევ კამბეკი, ვეკი, ვეკი...[22]

ემმაკმა იცის, კიდევ რას. მარტო მოსკოვში მოვედი გონს - თუმცა ან იქ რა სიკეთე ვნახე? მეგობარნო ჩემნო! - შესძახებდა ზოგჯერ ზემთაგონებით, - თქვენ წარმოდგენაც არა გაქვთ, რა ნაღველი და ბოლმით აგვესება გული, როცა წლების მანძილზე წმინდად ნალოლიავებ შენს დიად იდეას უვიცები აიტაცებენ, ქუჩაში გაათრევენ და თავისნაირ რეგვენების სათრეველად გახდიან! როცა ამ შენს იდეას უეცრად ქუჩაში წააწყდები, სულ შეცვლილს, დამახინჯებულსა და ლაფში ამოსვრილს, ყოველგვარი ჰარმონიის, აზრისა და სილამაზისაგან განძარცულს და ბრიყვების საბურთაოდ გამხდარს! არა! ჩვენი დრო სულ სხვა იყო, ჩვენ სულ სხვა მიზნისკენ მივისწრაფოდით. დიახ, სულ სხვა მიზნისკენ. მე აქ უკვე ვეღარაფერს ვცნობ... მაგრამ ჩვენი დრო ისევ მოვა და სწორ გზაზე დააყენებს ყველაფერს, რაც დღეს მოირყა და მოყანყალდა. აბა სხვანაირად როგორ იქნება?..

VII

პეტერბურგიდან დაბრუნების უმაღლეს ვარვარა პეტროვნამ თავისი მეგობარი საზღვარგარეთ გაისტუმრა „დასასვენებლად“. გრძნობდა, რომ მათი დროებითი განშორება საჭირო იყო. სტეპან ტროფიმოვიჩი აღტაცებული გაემგზავრა. „იქ ხელახლა დავიბადები! - იძახდა იგი, - იქ ბოლოს და ბოლოს მეცნიერებას მოვკიდებ ხელს!“ მაგრამ ბერლინიდან მოწერილ პირველსავე წერილში ჩვეულებრივი წუწუნი გააბა: „გული მკვდარია! ბერლინში ყველაფერი ჩემს წარსულს, ჩემს პირველ აღტაცებასა და პირველ ტანჯვას მაგონებს, სად არის იგი? სად არის ახლა ორთავე? სადა ხართ, ჩემო ანგელოზებო, ვისი ღირსიც მე არასოდეს ვყოფილვარ? სადაა ჩემი ვაჟი, ჩემი საყვარელი ვაჟი? ან მე რაღა ვარ, სად გაქრა ჩემი წინანდელი გაუტეხავი ძალა და კაჟივით უდრეკი ნება, ახლა ხომ ყოველ ვიგინდარა andrejeff-ს, ყოველ მართლმადიდებელ გრძელწვერა ტაკიმასხარას peut briser mon eexistence en deux“[23] და სხვადასხვა. რაც შეეხება სტეპან ტროფიმოვიჩის ვაჟს, მამამ მხოლოდ ორჯერ ნახა იგი თავის სიცოცხლეში, პირველად, როცა დაიბადა, და მეორედ - ამ ცოტა ხნის წინათ პეტერბურგში ყოფნისას, სადაც ყმაწვილი კაცი უნივერსიტეტში შესასვლელად ემზადებოდა. როგორც მოგახსენეთ, ყმაწვილი ვიღაც ნათესავ ქალებთან იზრდებოდა ო-ის გუბერნიისაში (ვარვარა პეტროვნას ხარჯზე), სკვორემნიკიდან შვიდასი ვერსის დაშორებით. Andrejeff კი, ანუ ანდრეევი ერთი ჩვენებური ვაჭარი იყო, დუქნების პატრონი და დიდი ახირებული ვინმე. არქეოლოგია თავისით შეესწავლა, გატაცებით აგროვებდა ძველ რუსულ ნივთებს, ხანდახან კი სტეპან ტროფიმოვიჩს ეჯიბრებოდა ცოდნაში და, რაც მთავარია, მიმართულებაში. ამ ჭადრაწვერიანმა ვაჭარმა, ვერცხლის დიდ სათვალეს რომ ატარებდა, სტეპან ტროფიმოვიჩის მამულში (სკვორემნიკის მეზობლად) რამდენიმე დესეტინა ტყე იყიდა გასაჩეხად და ოთხასი

მანეთი დააკლო. მართალია, ვარვარა პეტროვნამ თავის მეგობარს ბერლინში გამგზავრებისას ფული გულუხვად გაატანა, მაგრამ სტეპან ტროფიმოვიჩს ამ ოთხასი მანეთის განსაკუთრებული იმედი ჰქონდა, ალბათ თავისი საიდუმლო ხარჯებისათვის. ჰოდა, როცა andrejeff-მა სთხოვა, ერთი თვე კიდევ მადროვეო, ცოტა გაწყდა არ იტირა. ვაჭარს კიდევაც ჰქონდა საამისო უფლება, ვინაიდან ექვსი თვით ადრე ჩაუთვალა პირველი ნახევარი, როცა სტეპან ტროფიმოვიჩს ძალზე უჭირდა. ვარვარა პეტროვნამ გაფაციცებით ჩაიკითხა ეს პირველი წერილი, ხაზი გაუსვა წამოძახილს: „სადა ხართ, ჩემო ორო ანგელოზო?“ რიცხვი წააწერა და უჯრაში ჩაკეტა. ცხადია, სტეპან ტროფიმოვიჩი თავის ორ გარდაცვლილ ცოლს გულისხმობდა. ბერლინიდან გამოგზავნილ მეორე წერილში უკვე სხვა ჰანგი ჟღერდა: „ვმუშაობ დღე-ღამეში თორმეტი საათი („თერთმეტსაც არა უშავდა რა“, - ჩაიბუტბუტა ვარვარა პეტროვნამ), ვიქექები ბიბლიოთეკებში, ვამოწმებ, ვიწერ, დავრბივარ; ვიყავი პროფესორებთან. დუნდასოვების ჩინებულ ოჯახთან კვლავ განვაახლე ნაცნობობა. რა ტურფა რამაა ნადეჟდა ნიკოლაევნა ახლაც კი! მოკითხვას გითვლით. მისი ახალგაზრდა ქმარი და სამივე დისწული ბერლინში არიან. სადამოებით ყმაწვილკაცობას ვესაუბრები გათენებამდე, ლამის ათენური სადამოები გვაქვს[24], ანუ ისევე ნატიფი და დახვეწილი. ყოველივეს კეთილშობილური იერი სცხია: ბლომად მუსიკა, ესპანური მოტივები, ოცნებანი კაცობრიობის განახლებაზე, მარადიული სილამაზის იდეა, სიქსტის მადონა, ნათელს შიგადაშიგ ბნელი ცვლის, მაგრამ მხესაც ხომ აქვს ლაქები! ჰოი, ჩემო მეგობარო, ჩემო კეთილშობილო, ერთგულო მეგობარო! მე გულით თქვენთან ვარ, მარად თქვენთან, en tout pays[25], გინდაც dans le pays de makar et de ses veaux[26], გახსოვთ, რამდენი ვილაპარაკეთ გულის კანკალით ამაზე პეტერბურგიდან გამომგზავრების წინ. ახლა ღიმილით ვიხსენებ. საზღვარს რომ გავცდი, თავი უშიშრად ვიგრძენი. ეს გრძნობა უცნაურია და ახალი ამდენი ხნის შემდეგ“... და ა.შ. ა.შ.

„რაებს ჩმახავს! - გაიფიქრა ვარვარა პეტროვნამ და ეს წერილიც უჯრაში შეინახა, - თუ გათენებამდე ათენური სადამოები აქვთ, მაშ თორმეტ საათს როგორღა უზის წიგნებს. მთვრალმა ხომ არ დაწერა? ან დუნდასოვა როგორ მიბედავს მოკითხვის შემოთვლას? თუმცა დაე დრო გაატაროს...“

„Dans le pays de makar et de ses veaux“- ნიშნავდა: „სადაც მაკარს ხბორები არ გაურეკავს“, ანუ ცხრა მთას იქით. სტეპან ტროფიმოვიჩი განგებ თარგმნიდა ხოლმე ასე სულელურად რუსულ ანდაზებს ფრანგულ ენაზე. უეჭველია, უკეთ შეეძლო თარგმნა, მაგრამ ასე უფრო მახვილგონივრულად მიაჩნდა.

დიდხანს არ უსერიანია სტეპან ტროფიმოვიჩს. ოთხი თვეც ვერ გაძლო და ისევ სკვორეშნიკს მოაშურა. მისი უკანასკნელი წერილები მხოლოდ და მხოლოდ შორს მყოფი მეგობრის უნაზესი სიყვარულით იყო აღსავსე და პირდაპირ განშორების ცრემლით დანამული. ზოგიერთმა ხომ ოთახის ფინიასავით იცის შეჩვევა. დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ერთმანეთს ეს ორი მეგობარი. ორი დღის შემდეგ კი კვლავ ძველებურად წარიმართა ყოველივე და ძველებურზე უფრო მოსაწყენადაც. „ჩემო კარგო, - დიდი საიდუმლოებით გამანდო ორი კვირის შემდეგ სტეპან ტროფიმოვიჩმა, - მე ერთი საშინელი ამბავი აღმოვაჩინე: je suis un[27] უბრალოდ მუქთახორა et rien de plus! Mais r-rien de plus![28]“

ეს იყო და ეს, ამის შემდეგ თითქმის ცხრა წელიწადი არაფერს დაურღვევია ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება. მართალია, დროდადრო კვლავ ძველებურად მეორდებოდა ჩემს მხარზე ისტერიკული ცრემლი და ქვითინი, მაგრამ ჩვენს კეთილდღეობას ეს არას აკლებდა. მიკვირს პირდაპირ, ამ ხანში ღიპი როგორ არ დაედო სტეპან ტროფიმოვიჩს. ეს კია, ცოტა ცხვირი გაუწითლდა და უფრო არხეინიც გახდა. ნელ-ნელა ირგვლივ ნაცნობ-მეგობართა მცირე წრე შემოიკრიბა. ვარვარა პეტროვნას ამ წრესთან კავშირი თითქმის არ ჰქონდა, მაგრამ ყველამ მაინც ჩვენ პატრონ ქალად შევრაცხეთ. პეტერბურგის გაკვეთილის შემდეგ იგი საბოლოოდ დასახლდა ჩვენს ქალაქში; ზამთრობით ქალაქში ცხოვრობდა საკუთარ სახლში, ზაფხულობით - თავის ქალაქგარეთ მდებარე მამულში. ვარვარა პეტროვნას არასოდეს ჰქონია იმდენი წონა და გავლენა ჩვენს საგუბერნიო საზოგადოებაში, როგორც ამ შვიდი უკანასკნელი წლის მანძილზე, ე.ი. მანამდე, ვინემ ჩვენი ახლანდელი გუბერნატორი დაინიშნებოდა. ჩვენი ძველი გუბერნატორი, ჩვენი დაუვიწყარი, ლმობიერი ივან ოსიპოვიჩი ვარვარა პეტროვნას ახლო ნათესავად ერგებოდა და თავის დროზე დიდად ნაწყალობევიც იყო მისგან. ვარვარა პეტროვნას არ ვაწყენინო, სულ ამის შიშში იყო გუბერნატორის მეუღლე. ხოლო გუბერნიის საზოგადოება ისეთ თაყვანს სცემდა, ცოდვადაც კი ჩაითვლებოდა. ასე რომ არც სტეპან ტროფიმოვიჩი გრძნობდა ცუდად თავს. დაიარებოდა კლუბში, დარდიმანდულად აგებდა ფულს, დაიმსახურა პატივისცემაც, თუმცა ბევრი მას მხოლოდ „მეცნიერ“ კაცად სცნობდა, ხოლო როცა ვარვარა პეტროვნამ ნება დართო ბინად სხვაგან ეცხოვრა, ჩვენ უფრო ლაღად ვიგრძენით თავი, კვირაში ორჯერ ვიკრიბებოდით სტეპან ტროფიმოვიჩთან და მხიარულად ვატარებდით დროს, მეტადრე თუ შამპანურს არ დაიშურებდა. ღვინოს იმავე ანდრეევის დუქნიდან ეზიდებოდნენ. ყოველ ნახევარ წელიწადში ანგარიში ვარვარა პეტროვნას ეგზავნებოდა გასანაღლებლად. ფულის გადახდის დღე თითქმის მუდამ ქოლერინის დღე იყო.

ჩვენი წრის უძველესი წევრი გუბერნიის მოხელე ლიპუტინი[29] გახლდათ, კაცი ხანში შესული და დიდი ლიბერალი ვინმე. ქალაქში მას ათეისტის სახელი ჰქონდა დავარდნილი. მისი მეორე ცოლი ახალგაზრდა და ლამაზი იყო და მზითვიც კარგი მოჰყვა. ლიპუტინს სამი მოჩიტული ქალიშვილიც ჰყავდა. მთელ ოჯახს ღვთის რისხვასავით ეშინოდა მისი, გარეთ არავის უშვებდა. ამასთან მეტისმეტად ძუნწი იყო, კაპიკს კაპიკზე ადებდა. თავისი ჯამაგირით პატარა სახლიც იყიდა და ფულიც დაიგროვა. ამ დაუდეგარ კაცს არც ჩინი ჰქონდა დიდი; ქალაქში პატივს ნაკლებად სცემდნენ, ხოლო მაღალი საზოგადოება ახლოს არ იკარებდა, თანაც მისი ჭორხაბარობის გამო არაერთხელ შეახურეს და კარგა მაგრადაც შეახურეს, ერთხელ ერთმა ოფიცერმა და მეორედ დარბაისელმა ოჯახის პატრონმა მემამლემ. მაგრამ ჩვენ კი გვიყვარდა, ისეთი მახვილი ჭკუის კაცი იყო, ცნობისმოყვარე და ღვარძლიანი, კვიმატი ენისა. ვარვარა პეტროვნას არ უყვარდა ლიპუტინი, თუმცა ის მაინც მუდამ ახერხებდა მისი გულის მოგებას.

ვარვარა პეტროვნა დიდად არც შატოვს სწყალობდა. ეს შატოვი მხოლოდ უკანასკნელ წელს გახდა ჩვენი წრის წევრი. იგი უნივერსიტეტიდან ერთი სტუდენტური ისტორიის გამო გამოერიცხათ. ბავშვობაში სტეპან ტროფიმოვიჩის მოწაფე იყო, დაბადებით კი ვარვარა პეტროვნას ყმა, მისი განსვენებული კამერდინერის პაველ ფეოდოროვის შვილი. ვარვარა პეტროვნას მასზე დიდი ამაგი ჰქონდა, თუმცა სულ უჩიოდა, ამაყი და უმადურიყო. ვერა და ვერ ეპატიებინა, უნივერსიტეტიდან რომ

გამორიცხეს, რატომ მაშინვე ჩემთან არ ჩამოვიდაო; უფრო მეტიც, როცა იმ ხანებში ვარვარა პეტროვნამ საგანგებო წერილი გაუგზავნა, შატოვმა პასუხის ღირსიც არ გახადა. მასთან ჩამოსვლას ერთი ვიღაც ცივილიზებული ვაჭრის შვილების მასწავლებლად დადგომა არჩია. ამ ვაჭრის ოჯახს ის საზღვარგარეთაც გაჰყვა, უფრო მომვლელისა და ლალის როლში, ვინემ გუვერნიორისა. აბა რა ექნა, თუკი საზღვარგარეთ წასვლა უნდოდა. ყმაწვილებს აღმზრდელად კიდევ ერთი თამამი რუსი ახალგაზრდა ქალი ჰყავდათ. ისიც სწორედ გამგზავრების წინ აეყვანათ, უფრო იმიტომ, გასამრჯელო დიდი არ უთხოვია. ორიოდე თვის შემდეგ ეს ახალგაზრდა ქალი ვაჭარმა „თავისუფალი აზრებისათვის“ გამოაგდო. შატოვი უკან გაეკიდა და მალე ჯვარიც დაიწერა ჟენევაში ამ ქალზე. სამიოდე კვირა იცხოვრეს ერთად, შემდეგ თავთავის გზას ეწივნენ, თავისუფალი და ერთმანეთზე დამოუკიდებელი ადამიანების კვალობაზე. რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მიზეზი სიღარიბეც იყო. დიდხანს იხეტიალა შატოვმა ამის შემდეგ ევროპაში, ღმერთმა უწყის, რით გაჰქონდა თავი. ამბობდნენ, ქუჩაში ფეხსაცმელებს წმენდდა და რომელიღაც ქალაქის ნავსადგურში ბარგს ეზიდებოდაო, ბოლოს, ერთი წლის უკან თავის მშობლიურ ბუდეს მოაშურა და მოხუცებულ მამიდასთან ერთად დასახლდა, რომელიც ერთ თვეში დასამარხი გაუხდა. მისი და დაშა ვარვარა პეტროვნასთან იზრდებოდა, რომელსაც გამორჩეული და განებივრებული ჰყავდა იგი. მაგრამ შატოვი არც თავის დას ნახულობდა ხშირად, თავი შორს ეჭირა მისგან. ჩვენს წრეში ნიადაგ სახედაღრეჯილი იჯდა, სიტყვას ვერ ამოქაჩავდი პირიდან, მაგრამ თუ მის შეხედულებებს შეეხებოდი, ავადმყოფურად გაგულისდებოდა და კარგებსაც გაკადრებდა. „შატოვი ჯერ უნდა შეკრა, მერე ეკამათო“, - გაიხუმრებდა ხოლმე სტეპან ტროფიმოვიჩი, თუმცა შატოვი უყვარდა. საზღვარგარეთ შატოვმა რადიკალურად შეიცვალა თავისი წინანდელი სოციალისტური შეხედულებანი და მეორე უკიდურესობაში გადავარდა. არიან ისეთ იდეალური ბუნების რუსები და შატოვიც მათ რიცხვს ეკუთვნოდა, ვისაც ერთხელ და სამუდამოდ ისე გააოგნებს უეცრად ერთი რომელიმე დიდი იდეა, თითქოს ლოდი დაეცა და ქვეშ დაიტანაო, ზოგჯერ სამუდამოდაც კი. ამაოდ ეჭიდება მერე ამ იდეას, მაგრამ უკვე მგზნებარედ ირწმუნა იგი და მთელი სიცოცხლე წელში გაწყვეტილ ჭიკაყელასავით იგრიხება მისი სიმძიმის ქვეშ. შატოვს გარეგნობაც თავისი შეხედულებების შესაფერისი ჰქონდა: ეს იყო ერთი ტლანქი, გაბანჯგვლული, ჯმუხი ტანის კაცი, ქერა, ბეჭებგანიერი, სქელტუჩა, დაბღვერილი, თვალებზე გადმოხურული დაფანჩული ჟღალი წარბებით. თითქოს რაღაცის რცხვენიაო, თავს ზევით არ აიღებდ, სულ ძირს იყურებოდა. როგორც არ უნდა დაევარცხნა თმა, ერთ ადგილას მაინც ბუმგა-ბუმგად აეფშიკებოდა. ხნით ოცდაშვიდისა და ოცდარვის იქნებოდა. „ახლა აღარ მიკვირს, ცოლი რომ გაექცა“, - გამოაცხადა ერთხელ ვარვარა პეტროვნამ, კარგად რომ დააკვირდა. მიუხედავად უკიდურესი სიღარიბისა, მუდამ სუფთად ეცვა. ვარვარა პეტროვნასათვის არც ახლა მიუმართავს დახმარებისათვის, რასაც შოულობდა, იმით გაჰქონდა თავი; სცადა ვაჭრებთან მუშაობაც. ერთი პირობა დუქანში დადგა, მერე საქონლით დატვირთულ გემს უნდა გაჰყოლოდა ნოქრის თანაშემწედ, მაგრამ გამგზავრების წინ ავად გახდა. კაცი ძნელად წარმოიდგენს, რა გაჭირვების ატანა შეეძლო, შეეძლო კი არადა, აინუნშიაც არ აგდებდა, ავადმყოფობის შემდეგ ვარვარა პეტროვნამ საიდუმლოდ გაუგზავნა ასი მანეთი. შატოვმა მაინც შეიტყო გამომგზავნის ვინაობა, იფიქრა, იფიქრა, ფული დაიტოვა და ვარვარა პეტროვნას მადლობის სათქმელად ეახლა. ვარვარა პეტროვნამ გულმხურვალედ მიიღო, მაგრამ შატოვმა აქაც სამარცხვინოდ გაუცრუა იმედები: სულ ხუთი წუთი იჯდა, კრინტი არ დაუძრავს, გამოლენჩებული

ჩამტერებოდა იატაკს და ბრიყვულად იღრიჯებოდა. შემდეგ ყველაზე საინტერესო საუბრის დროს წამოდგა, სირცხვილისაგან აწურულმა რაღაც მოუხეშავად, ულაზათოდ დაუკრა თავი, ვარვარა პეტროვნას ხელსაქმის ძვირფასი მაგიდაც წამოაყირავა, დაამსხვრია და ცოცხალ-მკვდარი გაეცალა იქაურობას. ლიპუტინი შემდეგში ძალზე აყვედრიდა, ის ასი მანეთი როგორ არ მიუგდე უკან იმ შენს ყოფილ მტარვალ ქალბატონსო. და არათუ არ მიუგდე, მადლობის სათქმელადაც მიჩანჩალდიო. შატოვი ქალაქის განაპირას ცხოვრობდა განმარტოებით. ჩვენი მისვლაც კი არ სიამოვნებდა, მაგრამ სტეპან ტროფიმოვიჩის საღამოებს მუდამ ესწრებოდა და გაზეთები და წიგნები მოჰქონდა მისგან საკითხავად...

ამ საღამოებზე კიდევ ერთი ახალგაზრდა კაცი დადიოდა, აქაური მოხელე, გვარად ვინმე ვირგინსკი. იგი თითქოს შატოვს მოგაგონებდა, თუმცა საერთო მათ არაფერი ჰქონდათ. იმასაც ოჯახი ჰყავდა. საწყალი და მეტისმეტად წყნარი ახალგაზრდა იყო, თუმცა უკვე ოცდაათი წლისა, საკმაოდ განათლებული, ეს კია, ცოდნა უფრო თავისით ჰქონდა შემენილი. ცხოვრობდა ხელმოკლედ, მსახურობდა და თავის ცოლის დასა და დეიდას არჩენდა. მისი ცოლი და საერთოდ მისი ოჯახის ყველა ქალი სულ უკიდურესი შეხედულებების ხალხი გახლდათ, მაგრამ რაღაც უხეშად კი გამოსდიოდათ ეს ყველაფერი. სწორედ ეს იყო „საბაზროდ გამხდარი იდეა“, როგორც ერთხელ თქვა სტეპან ტროფიმოვიჩმა სულ სხვა საგანზე ლაპარაკისას. იმათ ყველაფერი წიგნებიდან ჰქონდათ ამოკრეფილი და ჩვენი დიდი ქალაქების პროგრესული წრეებიდან პირველსავე ჩამოღწეულ ხმაზე მზად იყვნენ ყველაფერი ფანჯრიდან გადაესროლათ, ოღონდ კი ვისმე ერჩია. M-me ვირგინსკაია ჩვენს ქალაქში ბებიაქალის ხელობას მისდევდა. ვირგინსკი იშვიათად ალალმართალი, უმწიკვლო კაცი იყო და იშვიათადაც შემხვედრია ასეთ სპეტაკი, წმინდა გულის ადამიანი. „ჩემს სიცოცხლეში არასოდეს, არასოდეს არ ვუღალატებ ამ ნათელ იმედებს“, - მეტყოდა ხოლმე თვალეგაბრწყინებული. „ნათელ იმედებზე“ მუდამ ნეტარებით, თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობდა, თითქოს საიდუმლო რასმე ამბობსო. ტანად საკმაოდ მაღალი იყო, ოღონდაც მეტისმეტად ვიწრო მხრები ჰქონდა. მის თხელ თმას წითური ფერი დაჰკრავდა. სტეპან ტროფიმოვიჩი რომ ქედმაღლურად გაუქიქებდა ზოგიერთ შეხედულებას, უწყინრად მოუსმენდა, ზოგჯერ ფრიად დინჯად შეეპასუხებოდა და ბევრ რამეშიაც გააცბუნებდა ხოლმე. სტეპან ტროფიმოვიჩი ტკბილად ექცეოდა, თუმცა საერთოდ ჩვენ ყველას მამაშვილურად გვეპყრობოდა.

- თქვენ ყველანი გამოუჩეკავი წიწილები ხართ, - ეტყოდა ხოლმე ხუმრობით ვირგინსკის, - თქვენ და თქვენისთანა ხალხი, თუმცა ის გონებაჩლოუნგობა, რაც პეტერბურგში შემხვედრია chez ces seminaristes[30], თქვენთვის არ შემიმჩნევია. მაგრამ მაინც გამოუჩეკავი წიწილები ხართ. აგერ შატოვსაც ძალიან უნდა გამოიჩეკოს, მაგრამ არც ეგ გამოჩეკილა ჯერაც.

- ჩემზე რას იტყვით? - ჩაეკითხებოდა ლიპუტინი.

- თქვენ უკიდურესობაში არასოდეს გადავარდებით, ყველაფერს მშვენივრად შეეგუებით... როგორც გჩვევიათ.

ლიპუტინი გაიბუსებოდა.

ამბობდნენ და, სამწუხაროდ, ფრიად სარწმუნოდაც ამბობდნენ, თითქოს კანონიერი ქორწინებიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ ცოლმა მოულოდნელად

გამოუცხადა ვირგინსკის, შენთან ცხოვრება არ მინდა, შენს თავს ლეზბიადკინი ვარჩიეო. ჩვენთან დროებით ჩამოთესლილი ეს ლეზბიადკინი შემდეგში ძალზე საეჭვო პიროვნება აღმოჩნდა და არც გადამდგარი შტაბ-კაპიტანი ყოფილა თურმე, როგორც თვითონ ირწმუნებოდა. ულვაშის გრეხის, ლოთობისა და ყოვლად წარმოუდგენელი სისულელეების რომის მეტი სხვა არაფერი ეხერხებოდა. აქაოდა, მუქთა ლუკმა მექნებო, ლეზბიადკინი მაშინვე უბოდიშოდ ვირგინსკებთან გადაბარგდა, იქ ჭამდა, იქ ეძინა და ბოლოს იმდენად გათავხედდა, სახლის პატრონს აბუჩად აგდება მოუნდომა. იმასაც ირწმუნებოდნენ, როცა ცოლმა უთხრა, აღარ მინდიხარო, ვირგინსკიმ თითქოს ეს უპასუხა: „ჩემო მეგობარო, აქამდე მხოლოდ მიყვარდი, ახლაკი პატივსაც გცემ“ [31]. თუმცა არა მგონია, მართლა ეს ძველი რომაული გამოთქმა ეხმარა. ამბობენ, პირიქით, გულამოსკვნილი ქვითინებდაო. ერთხელ, ვირგინსკის ქმრობიდან გადაყენების ორიოდ კვირის შემდეგ, მთელმა მისმა „ოჯახმა“ ქალაქგარეთ გაისეირნა ჭალაში, ნაცნობებთან ერთად ჩაის დასალევად [32]. ვირგინსკი რალაც ძალზე აღვზნებულ და მხიარულ გუნებაზე ყოფილა და სხვებთან ერთად ცეკვავდა. მაგრამ უეცრად, ყოვლად უმიზეზოდ, ეცა თურმე ღრიალით ლეზბიადკინს, რომელიც ამ დროს ცალკე იგრხებოდა თავისთვის და ეს გოლიათი კაცი ორივე ხელით თმით ათრია. თან თვალეზიდან ღაპა-ღუპით ცვიოდა ცრემლი. გოლიათი ისე დაფრთხა, არც თავი დაუცავს და თითქმის არც ხმა გაუღია, თმით რომ ათრევდნენ. მაგრამ რომ გააშველეს, მერე კი გაფიცებულა და რა გაფიცებულა, როგორც ეს კეთილშობილ კაცს შეშვენის. ვირგინსკი კი მთელი ღამე მუხლმოდრეკილი ემუდარებოდა თურმე ცოლს, მაპატიეო. პატიება ვერ მიიღო, ვინაიდან ვერაფრის დიდებით ვერ დაითანხმეს წასულიყო და ლეზბიადკინთან ბოდიში მოეხადა; ამასთან შეარცხვინეს კიდევ, ბრიყვი ხარ და ყოვლად ჩამორჩენილი აზრებისაო. ბრიყვი იმიტომ, ქალის წინაშე მუხლი მოიდრიკეო. შტაბს-კაპიტანი მალე გაქრა ჩვენი ქალაქიდან. მხოლოდ ამ ბოლო ხანს გვეწვია ახალი მიზნებით შეპყრობილი და თან თავისი და ჩამოიყვანა. მაგრამ ამაზე მერე მოგახსენებთ. ჰოდა, რა გასაკვირია, თუ ეს საცოდავი კაცი, წრე ასე ესაჭიროებოდა. თუმცა თავის ოჯახურ ამბებზე ჩვენთან არასოდეს კრინტი არ დაუძრავს. მხოლოდ ერთხელ, სტეპან ტროფიმოვიჩისაგან ერთად რომ წამოვედით, მოიარებით ჩამომიგდო სიტყვა თავის ამბავზე, მაგრამ მაშინვე ხელი მტაცა და გატაცებით წამოიძახა: - ეს არაფერია, ეს მხოლოდ კერძო შემთხვევაა; ეს სულაც, სულაც არ შეუშლის ხელს „საერთო საქმეს!“

ჩვენს წრეში შემთხვევითი სტუმრებიც დაიარებოდნენ: ებრაელი ლიამშინი, კაპიტანი კარტუზოვი, რამდენიმე ხანს ერთი ცნობისმოყვარე ბებერიც შემოგვეწვია, მაგრამ მალე მოკვდა. ლიპუტინმა ერთხელ გადმოსახლებული ქსენძი სლონცევსკიც მოიყვანა, რამდენიმე ხანს პრინციპის გამო ვიღებდით, მერე კი აღარ გავიკარეთ.

IX

ერთხანობას ქალაქში ხმა გაგვივრცელეს, თითქოსდა ჩვენი წრე თავისუფალი აზროვნების, გარყვნილებისა და უღმერთოების კერა იყო. ერთხანობას კი არადა, მუდამაც ამას ფიქრობდნენ. მაგრამ ღმერთია მოწამე, რომ ყოვლად უწყინარი, საამური, პირწმინდა რუსული და თავმესაქცევი ლიბერალური ყბედობის მეტს ჩვენ არაფერს ვაკეთებდით. „ერთობ დიდი ლიბერალიზმი“ და „ერთობ დიდი ლიბერალი“, ანუ ისეთი ლიბერალი, რომელსაც არავითარი მიზანი არ გააჩნია, მარტო რუსეთში გახლავთ შესაძლებელი. სტეპან ტროფიმოვიჩს, როგორც ყველა

ენამოსწრებულ კაცს, მსმენელი სჭირდებოდა, გარდა ამისა, იდეათა პროპაგანდის დიადი ვალიც უნდა მოეხადა და გული მოეფხანა. ესეც რომ არა, შამპანურს მარტო ხომ ვერ მოუღებდა, ხომ უნდა ჰყოლოდა ამფსონები, ვისთანაც ამა თუ იმ თავშესაქცევ აზრებს გამოთქვამდა რუსეთისა და „რუსული სულის“ ირგვლივ, ღმერთზე საერთოდ და „რუსულ ღმერთზე“ კი განსაკუთრებით. ან ვისთვის ეამბნა მეთავერ ყველასაგან დაზეპირებული რუსული სკანდალური ანეკდოტები. თუმცა არც ქალაქურ ჭორებზე ვამბობდით უარს და ზოგჯერ ფრიად მკაცრი განაჩენიც გამოგვქონდა. არც ზოგადსაკაცობრიო საქმეთ ვივიწყებდით, გოროზად ვმსჯელობდით ევროპისა და კაცობრიობის მომავალ ბედზე; მეცნიერულად ვამტკიცებდით წინასწარ, რომ საფრანგეთი ცეზარიზმის შემდეგ[33] ერთბაშად მეორეხარისხოვანი სახელმწიფო გახდება და ექვიც არ გვეპარებოდა, რომ ეს სულ მალე და სულ იოლად მოხდებოდა. რომის პაპს ადრევე ვუწინასწარმეტყველებდით უბრალო მიტროპოლიტის როლი გაერთიანებულ იტალიაში[34] და სავსებით დარწმუნებული ვიყავით, ათასეული წლების მანძილზე ამ გადაუჭრელი საკითხის გადაჭრა ჩვენს ჰუმანურ სამრეწველო და რკინიგზების ეპოქაში სულ უბრალო საქმე იქნება. მაგრამ „ერთობ დიდი რუსული ლიბერალიზმი“ ხომ სხვანაირად არც უდგება საკითხს. სტეპან ტროფიმოვიჩი შიგადაშიგ ხელოვნებაზე გველაპარაკებოდა და დიახაც ჩინებულად ლაპარაკობდა, თუმცა ცოტა განყენებულად კი. თავისი ახალგაზრდობის დროის მეგობრებსაც იგონებდა, - ეს სულ ჩვენი განვითარების ისტორიაში ცნობილი პირები იყვნენ. იგონებდა მოწიწებითა და გრძნობამორევით, ოღონდაც თითქოს ოდნავ შურით. თუ მეტისმეტი მოწყენა აგვიტანდა, ებრაელი ლიამშინი (ფოსის წვრილფეხა მოხელე) ფორტეპიანოს მიუჯდებოდა, - მართლა მშვენივრად უკრავდა, - ან ტრაქტებში კი ან ღორს და ავდარს, ან მშობიარობასა და ბავშვის პირველ ტირილს თუ სხვა რამ ასეთს წარმოგვიდგენდა. ამიტომაც ვიწვევდით ხოლმე. ხოლო თუ მეტისმეტად შევჭიკჭიკდებოდით - არც უამისობა იყო, თუმცა არც ისე ხშირად - ისეთ აღტაცებაში მოვიდოდით, რომ ერთხელ ლიამშინის აკომპანემენტით, ასე გასინჯეთ, „მარსელიოზაც“ კი ვიმღერეთ ყველამ ერთად, ოღონდ ვერ გეტყვით, კარგად გამოგვივიდა თუ არა. ცხრამეტი თებერვლის დიადი დღე დიდი აღფრთოვანებით ვიზეიმეთ და ამ დღის აღსანიშნავად სადღეგრძელოები კარგა ხნით ადრე შევსვით. მაგრამ ეს იყო წინად, მაინ არც შატოვი დადიოდა ჩვენთან და არც ვირგინსკი. სტეპან ტროფიმოვიჩი მაშინ ჯერ კიდევ ვარვარა პეტროვნას სახლში ცხოვრობდა. ამ დიად თარიღამდე რამდენიმე დღით ადრე სტეპან ტროფიმოვიჩი თავისთვის სულ იმ ცნობილ, ცოტა არ იყოს, ხელოვნური ლექსის სტრიქონებს ბურტყუნებდა, რომელიც ალბათ ვიღაც წინანდელ ლიბერალ მემამულეს შეეთხზა: მოდის გლეხოზა, მოაქვთ ცულები, ვაჰ, რა შავი დღე დატრიალდება.

ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ, მგონი, ამას კი წააგავდა. ვარვარა პეტროვნამ ერთხელ ყური მოჰკრა, დაუცაცხანა: „რაებს ჩმახავთ!“ და განრისხებული გავიდა. ლიპუტინი მაშინ იქ ყოფილიყო და სტეპან ტროფიმოვიჩისათვის გესლიანად ეთქვა: - სამწუხარო იქნება, თუ ჩვენს ბატონებს მათი ყოფილი ყმები გახარებულ გულზე მართლაც ცოტა უსიამოვნებას მიაყენებენ, - და საჩვენებელი თითი კისრის ირგვლის შემოიტარა.

- Cher ami[35], - გულთბილად შენიშნა სტეპან ტროფიმოვიჩმა, - მერწმუნეთ, ეგ ამბავი (და ლიპუტინივით მანაც კისრის ირგვლივ შემოიტარა თითი) არც ჩვენს ბატონებს

დააყრის ხეირს და არც ჩვენ. ჩვენ უთავოდაც ვერაფერს მოვახერხებთ, თუმცა ყველაზე მეტად სწორედ ეს თავები გვიშლის ხელს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენში ბევრს ეგონა, მანიფესტის დღეს რაღაც არაჩვეულებრივი რამ მოხდებაო, იმისდამაგვარი, რაც ლიპუტინმა იწინასწარმეტყველა; ასე ეგონათ სწორედ ხალხისა და სახელმწიფოს ამბებში ჩახედულსა და გარკვეულ ადამიანებს. თუ არ ვცდები, სტეპან ტროფიმოვიჩიც იზიარებდა ამ აზრებს, იმ ზომამდეც კი, რომ ამ დიადი თარიღის თითქმის წინა დღეებში ვარვარა პეტროვნას უეცრად სთხოვა, საზღვარგარეთ გამიშვიო. ერთი სიტყვით, შფოთმა და ფორიაქმა მოიცვა. მაგრამ გავიდა ეს დიადი დღე, გავიდა კიდევ ხანი და სტეპან ტროფიმოვიჩს კვლავ ქედმაღლური ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე. მან რამდენიმე შესანიშნავი აზრი გვამცნო რუს კაცზე საერთოდ და რუს გლეხზე განსაკუთრებით.

- როგორც სულსწრაფ ხალხს სჩვევია, მეტისმეტად ვიჩქარეთ ჩვენი გლეხუჭების ამბავში, - დაასკვნა ბოლოს სხვადასხვა შესანიშნავი აზრების გამოთქმისას. - ჩვენ ისინი მოდად შემოვიღეთ, ლიტერატურის მთელი ნაწილი წლების მანძილზე ისე ელოლიავებოდა მათ, როგორც ახლად აღმოჩენილ საუნჯეს... ტილიანი თავები ჩვენ დაფნის გვირგვინებით შევამკეთ. მთელი თავისი არსებობის ათასეული წლების მანძილზე რუსულმა სოფელმა მარტოოდენ კომარინსკი შეგვძინა. შესანიშნავმა რუსმა პოეტმა, ამასთან ფრიად მოსწრებული ენის პატრონმა, როცა სცენაზე დიდი რაშელი[36] პირველად იხილა, აღტაცებულმა წამოიძახა: „არ გავცვლი რაშელს გლეხში!“ მე უფრო მეტსაც ვიტყვი: მთელ რუს გლეხობას მე ერთ რაშელში მივცემდი. დროა თვალი გავახილოთ და ჩვენი მყრალი მშობლიური კუპრი bouquet de l'imperatrice[37]-ში არ ავრიოთ.

ლიპუტინი უმაღლეს დაეთანხმა სტეპან ტროფიმოვიჩს, მაგრამ შენიშნა, არაგულწრფელობა და გლეხების შექება იმ დროს აუცილებელი იყო მიმართულების გამო, რომ მაღალი წრის ბანოვანებიც კი ცრემლს აფრქვევდნენ „ბედშავ ანტონის“[38] წიგნზე და ზოგიერთმა პარიზიდანაც კი მოსწერა თავის მოურავს, ამიერიდან გლეხებს რაც შეიძლება ღმობიერად მოექცითო. თითქოს და განგებ, ანტონ პეტროვის ამბის გახმაურების უმაღლეს[39] ჩვენს გუბერნიაში, ისიც სკვორემნიკიდან სულ თხუთმეტობდე ვერსის დაშორებით, რაღაც არეულობა მოხდა და ცხელ გულზე იქ რაზმი გაგზავნეს. ამჯერად იმ ზომამდე შეგვიფუცხუნდა სტეპან ტროფიმოვიჩი, ჩვენც შეგვაშინა. ჯერ იყო და კლუბში აყვირდა, მეტი ჯარი უნდა გაიგზავნოს, ტელეგრაფით მეორე მაზრიდან გამოიწვიონო. მერე გუბერნატორს მიეჭრა დასარწმუნებლად, მე აქ არაფერ შუაში ვარო; სთხოვა, მე არაფერში გამრიონ, ძველი არ მომიგონონო, ახლავე პეტერბურგში მისწერეთ, რაც მე განვაცხადებო. კიდევ კარგი, მალე ჩაიარა ყველაფერმა უკვალოდ და უშედეგოდ. მაგრამ მაშინ კი მართლა გამაკვირვა სტეპან ტროფიმოვიჩის საქციელმა.

სამიოდე წლის შემდეგ, როგორც მოგეხსენებათ, ნაციონალობაზე შეიქნა ლაპარაკი და „საზოგადოებრივი აზრიც“ წარმოიშვა. სტეპან ტროფიმოვიჩი ბევრს იცინოდა და გვარიგებდა: - მეგობრებო თუ მართლაც „წარმოიშვა“ ჩვენი ნაციონალობა, როგორც ახლა იქაური გაზეთები ირწმუნებიან, იცოდეთ, ის ჯერ კიდევ სკოლაში უზის მერხს, რომელიმე გერმანულ პეტერშულეში[40], გერმანული წიგნი უდევს წინ, თავის მარადიულ გერმანულ გაკვეთილს იზეპირებს და დანაშაულისათვის გერმანელი

მასწავლებელი მუხლზე აჩოქებს. გერმანელი მასწავლებელი რომ ჰყავს, ეს საქებრად მიმაჩნია. ოღონდაც უფრო ის მგონია, რომ ისეთი არც არაფერი მომხდარა და ისეთი არც არაფერი წარმოშობილა, ყველაფერი ძველებურად მიდის, ღვთის წყალობითა და განგებით. ჩემი აზრით, ესეც საკმარისია რუსეთისათვის, pour notre sainte Russie[41], თანაც ეს სლავიანობა და ნაციონალობა - კარგა ძველი ამბავია. ნაციონალობა, თუ გინდათ იცოდეთ, ჩვენში მხოლოდ და მხოლოდ ბატონკაცური კლუბების წამოწყება გახლავთ და სხვა არაფერი, თანაც მოსკოვური კლუბებისა. რა თქმა უნდა, იგორის დროზე არ მოგახსენებთ. დაბოლოს, ეს ყველაფერი უსაქმურობით მოგვდის, დიახ, ყველაფერი, ავიცა და კარგიც, ჩვენი საამური, განათლებული, გააზიზებული ბატონკაცური უსაქმურობით! ოცდაათი ათასი წელია ამას გავიძახი. ჩვენ ჩვენი შრომით ცხოვრება არ შეგვიძლია. ახლა რომ ერთ ყოფაში არიან და ერთ ამბავი ატეხეს იმ რაღაც ჩვენში „წარმოშობილ“ საზოგადოებრივი აზრის თაობაზე) ვითომდა რაო, ასე მზამზარეულად, უეცრად ჩამოვარდა ციდან? ნუთუ არ ესმით, რომ აზრის წარმოსაშობად პირველ ყოვლისა შრომაა საჭირო, საკუთარი შრომა, საკუთარი თაოსნობა, საკუთარი გამოცდილება! ხელის გაუნძრევლად არასოდეს არაფერი გაკეთებულა. ვიმუშაოთ და ჩვენი აზრიც გვექნება. მაგრამ მუშაობის თავი ჩვენ ვინ მოგვცა, მაშ აზრიც იმათგან უნდა ვისესხოთ, ვინც აქამდე ჩვენ მაგიერ მუშაობდა, მამასადაძმე, ისევ ევროპასა და ისევ იმ გერმანელებს მივაკითხოთ, ვინც აგერ ორასი წელია ჩვენი მასწავლებლები არიან. ესეც არ იყოს, რუსეთი იმდენად დიდი გაუგებრობა გახლავთ, გერმანელებისა და შრომის გარეშე ჩვენ ამ გაუგებრობას ვერც მოვკრევივით და ვერც თავს გავართმევთ. აგერ უკვე ოცი წელია, რაც განგაშს ვცემ და შრომისაკენ მოვუწოდებ! ამას შევალე მთელი ჩემი ცხოვრება და მე უგუნურს მართლაც მწამდა! ახლა უკვე დავკარგე რწმენა, მაგრამ განგაშის ცემას მაინც არ ვეშვები და სამარის კარამდე არც მოვეშვები.

ვაი რომ, ჩვენ მხოლოდ კვერს ვუკრავდით გატაცებით და ტაშსაც ვაყრიდით! მაგრამ, ბატონებო, ვითმ ახლაც არ ისმის ხშირად ასეთივე „საამური“, „ჰკვიანური“, ძველი რუსული „ლიბერალური“ აბდაუბდა?

ღმერთი ჩვენს მასწავლებელს სწამდა. - პირდაპირ ვერ გამიგია, აქ ყველა უღმერთოდ რატომ მნათლავსო? -იტყოდა ზოგჯერ, - მე ღმერთი მწამს, mais distinguons[42]: მწამს არსება, რომელსაც მე ჩემში ვატარებ და ჩემში შევიცნობ. ხომ არა შემიძლია მართლა და მართლა ისე ვიწამო, როგორც ჩემს ნასტასიას (მოახლეს) ან რომელიმე ბატონკაცს სწამს, ასე ვთქვათ, „ყოველი შემთხვევისათვის“, - ან როგორც ჩვენს საყვარელ შატოვს, - თუმცა არა, შატოვი სათვალავში ჩასაგდები არ გახლავთ, შატოვს მოსკოველი სლავიანოფილივით იძულებით სწამს. რაც შეეხება ქრისტიანობას, მართალია, გულწრფელ პატივსაც ვცემ, მაგრამ ქრისტიანობას ვერ დავიჩემებ. მე უფრო ძველი წარმართი გახლავართ, ვით დიდი გოეთე ან ძველი ბერძენი. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ქრისტიანობამ ქალი ვერ დააფასა, - რაც დიდებულად განავითარა ჟორჟ სანდმა თავის ერთ-ერთ გენიალურ რომანში[43]. ხოლო თუ თაყვანისცემაზე, მარხვასა და სხვა ამისთანებზე მიდგება საქმე, პირდაპირ არ მესმის, ვის რაში ენაღვლება ჩემი ამბავი? რაც არ უნდა ეცადონ ჩვენმა მამებუღარებმა, იეზუიტად მაინც ვერ გამხდებიან. ორმოცდაშვიდ წელს ბელინსკიმ, საზღვარგარეთ ყოფნისას, გოგოლს თავისი ცნობილი წერილი გაუგზავნა[44], სადაც სასტიკად უსაყვედურებდა, „ვიღაც ღმერთისა“ როგორ გწამსო. Entre nous soit dit[45], და იმ წუთზე სასაცილო ვერაფერი წარმომიდგენია, როცა გოგოლმა (მაშინდელმა გოგოლმა!) ეს სიტყვები და... მთელი

ეს წერილი წაიკითხა! თუმცა მოვეშვათ სასაცილოს და რამეთუ მაინც ვეთანხმები საქმის შინაარსს, ამასლა ვიტყვი და აღვნიშნავ: კაცური კაცნი თუ იყვნენ, აი ისინი იყვნენ! რამეთუ უყვარდათ თავის ხალხი, თავი დადეს მისთვის, ყველაფერი შესწირეს მას და ამავე დროს, როცა საჭირო იყო, თავზე ხელს არ უსვამდნენ და ზოგ რამეებს არ უთმობდნენ. ზეთსა და თალგამიან მუხუდოს შექამადში ხომ არ შეედლო მართლა და მართლა ბელინსკის გზა ხსნისა ეპოვა!...

აქ კი შატოვიც ამოიღებდა ხმას; სკამზე მოუთმენლად შეტრიალდებოდა და თავდახრილი კუმტად ჩაიბუზღუნებდა: - მაგ თქვენ კაცურ კაცთ თავის დღეში არ ჰყვარებიათ ხალხი, თავის დღეში არ დაუდვიათ მისთვის თავი და არც არაფერი შეუწირავთ, თავს ტყუილად ნუ ინუგეშებთ!

- რაო, იმათ არ ჰყვარებიათო ხალხი! - დასჭექდა სტეპან ტროფიმოვიჩი, - ჰოი, იმათ უყვარდათ თუ უყვარდათ რუსეთი!

- არც რუსეთი და არც ხალხი! - აღრიალდებოდა შატოვიც და თვალებს დააბრიალებდა, - რაც არ იცი ვერც შეიყვარებ, იმათ კი რუსი ხალხისა არაფერი გაეგებოდათ! მაგ კაცურმა კაცებმა და მათთან ერთად თქვენც გამოგეპარათ, ვერ დაინახეთ რუსი ხალხი, ბელინსკიმ მეტადრე; სწორედ გოგოლისადმი გაგზავნილი ის წერილი მოწმობს ამას. კრილოვის ცნობისმოყვარისა არ იყოს, კუნსტკამერაში ვერც ბელინსკიმ შენიშნა სპილო, მთელი გულისყური ფრანგ სოციალისტ ჭიალუებზე[46] გადაიტანა და ამით მოათავა. თუმცა კი ჭკუით, მგონი, ყველას გჯობდათ! თქვენ არათუ ვერ დაინახეთ ხალხი, გულის ამრევი ზიზღითაც ექცეოდით, თუნდაც იმიტომ, რომ ხალხად მარტო ფრანგები წარმოგედგინათ, ისიც მარტოდენ პარიზელები და გრცხვენოდით, რომ რუსი ხალხი არ ჰგავდა მათ. დიახ, ეს წმინდა ჭეშმარიტება გახლავთ! ხოლო ვისაც ხალხი არ ჰყავს, იმას არც ღმერთი გააჩნია! ისიც იცოდეთ, ვისაც თავისი ხალხისა არა ესმის რა და ვინც მას მოწყდება, მყისვე მამულის რწმენასაც დაჰკარგავს და ათეისტი ან ყველაფერზე გულაყრილი კაცი გახდება. მართალს მოგახსენებთ! ეს ჭეშმარიტებაა და მუდამ ჭეშმარიტებად დარჩება. ამიტომაც თქვენ ყველა და ჩვენც ყველა ახლა - ან სულმდაბალი ათეისტები ვართ, ან გულაყრილი, გათახსირებული ვიგინდარები და მეტი არაფერი! თქვენც ასეთი ბრძანდებით, სტეპან ტროფიმოვიჩ, არ იფიქროთ, თქვენ არ გგულისხმობდეთ, პირიქით, იცოდეთ, სწორედ თქვენი მისამართით ვამბობ ამას!

მონოლოგს რომ ჩაათავებდა (ასეთ შემთხვევები კი ხშირი იყო), შატოვი ქუდს დაავლებდა ხელს და კარისკენ გავარდებოდა, ღრმად დარწმუნებული, რომ ახლა ყველაფერი გათავდა და სავსებით და სამუდამოდ გაწყვიტა ყოველგვარი მეგობრული კავშირი სტეპან ტროფიმოვიჩთან. მაგრამ სტეპან ტროფიმოვიჩი დროულად შეაჩერებდა ხოლმე.

- ხომ არ შევრიგდეთ, შატოვ, ყველა ამ კაი-კაი სიტყვების შემდეგ? - ეტყოდა და სავარძლიდან კეთილი ღიმილით გამოუწვდიდა ხელს.

შატოვი ტლანქი, მაგრამ მორცხვი კაცი იყო და გრძნობების აყოლა არ უყვარდა. გარეგნულად მოუხეშავს გული ნაზზე ნაზი ჰქონდა, მერე რა, რომ ზომიერების გრძნობა ხშირად ღალატობდა, პირველი თვითონვე წუხდა ამას. სტეპან ტროფიმოვიჩის შემარიგებელ სიტყვებზე რაღაცას წაიდუდღუნებდა ცხვირში, დათვივით ატოკდებოდა ერთ ადგილას, მერე მოულოდნელად გაიღრიალებოდა,

ქუდს ისევ დადებდა, ძველ ადგილზე დაჯდებოდა და ისევ ჩაციებით დააშტერდებოდა იატაკს. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, შემოიტანდნენ ღვინოს და სტეპან ტროფიმოვიჩიც რაიმე შესაფერის სადღეგრძელოს წარმოთქვამდა რომელიმე გარდასულ მოღვაწის მოსაგონრად.

თავი მეორე. უფლისწული ჰარი. გარიგება

I

ამქვეყნად იყო კიდევ ერთი არსება, რომელიც ვარვარა პეტროვნას სტეპან ტროფიმოვიჩზე არანაკლებ უყვარდა. ეს გახლდათ მისი ერთა ვაჟი ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩ სტავროგინი, რომლის აღსაზრდელადაც მოიწვია ქალმა სტეპან ტროფიმოვიჩი. ბიჭი მაშინ რვა წლისა იყო. მისი ცუნცრუკა მამა გენერალი სტავროგინი იმხანად უკვე ცალკე ცხოვრობდა და ბიჭი დედის კალთის ქვეშ იზრდებოდა. რაც მართალი მართალია, სტეპან ტროფიმოვიჩმა დიახაც შეძლო მოწაფის გულის მონადირება. ან როგორ ვერ შეძლებდა, თუკი თვითონაც გული ბაღლისა ჰქონდა. მე მაშინ იმ ქალაქში არ ვცხოვრობდი, ჭეშმარიტი მეგობარი კი სტეპან ტროფიმოვიჩს ნიადაგ სჭირდებოდა. ჰოდა, ოდნავ მოიჩიტა თუ არა ეს ერთი ციციქა არსება, სტეპან ტროფიმოვიჩმა დაუფიქრებლად გაიხადა თავის მეგობრად. როგორღაც თავისთავად წაიშალა მათ შორის ყველანაირი ზღვარი. სტეპან ტროფიმოვიჩს არაერთხელ გაუღვიძებია ღამით თავისი ათი თუ თერთმეტი წლის მეგობარი, რომ ცრემლთაფრქვევით ეუწყებინა მისთვის შელახული გრძნობებისა და ოჯახური საიდუმლოების ამბავი. თავშიც არ მოსდიოდა, რამდენად შეუწყნარებელი იყო ეს ბავშვთან. ისინი ერთმანეთს ეხვეოდნენ და ცრემლად იღვრებოდნენ. ყმაწვილმა იცოდა, დედას რომ ძალიან უყვარდა, მაგრამ საეჭვოა თვითონაც დიდი სიყვარული ჰქონოდა მისი. დედა ბევრი ჩიჩინით გულს არ უწყალებდა, იშვიათად უშლიდა რასმე, მაგრამ თვალს კი არ აცილებდა და ყმაწვილიც ავადმყოფურად განიცდიდა ამას. თუმცა სწავლებისა და ზნეობრივი აღზრდის საქმე დედას მთლიანად სტეპან ტროფიმოვიჩისთვის მიენდო. მაშინ ჯერ კიდევ ბრმად სწამდა მისი. უნდა ვიფიქროთ, რომ გამზრდელმა, ცოტა არ იყოს, ძარღვები აუშალა თავის შეგირდს, როცა თექვსმეტი წლის ყმაწვილი ლიციეში მისაცემად წაიყვანეს, ერთი სუსტი, გამხდარი, ფერნაკლული ბიჭი იყო, საკვირვლად ჩუმი და ჩაფიქრებული (შემდეგში საოცარი ფიზიკური ღონით გამოირჩეოდა). ისიც უნდა ვიგულისხმოთ, რომ მართო ოჯახური ანეკდოტები არ ატირებდათ მეგობრებს, როცა ღამლამობით ერთმანეთს ეხვეოდნენ და ქვითინებდნენ. სტეპან ტროფიმოვიჩმა შეძლო ღრმად ჩასწვდომოდა გულში თავის პატარა მეგობარს და პირველს აეჟღერებინა, თუმცაღა ჯერ გაურკვეველად, სიმი იმ მარადიული, წმიდათაწმიდა სევდისა, რამაც ერთხელ თუ აუბგერა გული რომელიმე მგრძნობიარე გულის ადამიანს, მერე თავის დღეში არ გაცვლის იმას სხვა იაფფასიან სიამოვნებაზე (ზოგს ხომ ეს სევდა ყოველგვარ სიამოვნებას ურჩევნია). ყოველ შემთხვევაში, კარგი იყო, რომ ბარტყი და მისი გამზრდელი ბოლოს მაინც დააშორეს ერთმანეთს.

პირველ ორ წელს ყმაწვილი კაცის ლიციეიდან არდადეგებზე ჩამოდიოდა. ვარვარა პეტროვნასა და სტეპან ტროფიმოვიჩის პეტერბურგში ყოფნის ხანს ზოგჯერ

ესწრებოდა დედამისის ლიტერატურულ სადამოებს. უსმენდა, აკვირდებოდა, თუმცა ბევრს არ ლაპარაკობდა და ძველებურად ჩუმი, მოკრძალებული ყმაწვილი ჩანდა. სტეპან ტროფიმოვიჩსაც წინანდელი სინაზით ექცეოდა, მაგრამ უფრო თავდაჭერით კი: ამალღებული საგნებისა თუ წარსულზე ლაპარაკს ერიდებოდა. კურსის დამთავრების შემდეგ დედის სურვილისამებრ სამხედრო სამსახურში მოეწყო და მალე ერთ-ერთ ყველაზე წარჩინებული გვარდიის საკავალერიო პოლკში ჩაირიცხა. მაგრამ დედასთან აღარ ჩამოსულა ახალი მუნდირის საჩვენებლად და წერილებსაც იშვიათად უგზავნიდა პეტერბურგიდან. რეფორმის შემდეგ ვარვარა პეტროვნას იმდენად შეუმცირდა მამულების შემოსავალი, პირველ ხანებში წინანდელის ნახევარიც აღარ შემოუდიოდა. მაგრამ ფულს მაინც უხვად უგზავნიდა ვაჟს, - დიდი ხნის ეკონომიის შემდეგ კარგა დიდი თანხა დაგროვებოდა. ვარვარა პეტროვნას ძალზე აინტერესებდა თავისი ვაჟის წარმატებანი პეტერბურგის მაღალ საზოგადოებაში; რაც დედამ ვერ მოახერხა, ის ადვილად შეძლო მდიდარმა და კარგი მომავლის მქონე ოფიცერმა. ვაჟმა ისეთ ხალხთან განაახლა ნაცნობობა და ყველგან ისეთი სასურველი სტუმარი შეიქნა, ვარვარა პეტროვნა ოცნებაშიაც ვერ წარმოიდგენდა. მაგრამ მალე პეტერბურგიდან საკმაოდ უცნაურმა ხმებმა მოაღწია; ყმაწვილმა კაცმა როგორღაც მოულოდნელად აიწყვიტა თურმე თავი. ის კი არა, თითქოს ლოთობდა ან კარტს თამაშობდა, ლაპარაკი იყო რაღაც საშინელ ალვირახსნილობაზე. ჰყვებოდნენ, ეტლით გასრისაო რამდენიმე კაცი, ერთი კარგი საზოგადოების ქალს, ვისაც ემიჯნურებოდა, მხეცურად მოექცა და საჯარო შეურაცხყოფა მიაყენაო. ამ ამბავში რაღაც მეტისმეტად ბინძური რამ იგრძნობოდა. იმასაც ამბობდნენ, ერთი ვიღაც ჩხუბისთავი უნდა იყოს, ამოიჩემებს ვისმეს და სანამ შეურაცხყოფას არ მიაყენებს, არ მოუსვენებს, კაცის შეურაცხყოფა სიამოვნებას ჰგვრისო. ვარვარა პეტროვნა საშინლად ღელავდა და დარდობდა. სტეპან ტროფიმოვიჩი არწმუნებდა, ასეთი შმაგი გატაცებანი მუდამ სჩვევია მეტისმეტად მდიდარ ბუნებას ახალგაზრდობაში, არა უშავს, დაცხრება და დაშოშმინდება. უფლისწული ჰარიც ხომ ასე გიჟობდა ფალსტაფისა, პოინსის და მისტრის კვიკლის საზოგადოებაში[47], როგორც შექსპირს აქვს აღწერილიო. ვარვარა პეტროვნას ამჯერად აღარ დაუცაცხანებია სტეპან ტროფიმოვიჩისათვის: „რაებს ჩმახავთო!“ როგორც ამ ბოლო ხანებში სჩვეოდა ხოლმე. პირიქით, გულდასმით მოუსმინა, მოსთხოვა, უფრო დაწვრილებით მიაიმბეო, მერე თვითონ აიღო შექსპირი და დიდი გულისყურით წაიკითხა ეს უკვდავი ქრონიკა. მაგრამ ქრონიკამ ვერ დაამშვიდა, ვერც დიდი მსგავსება ჰპოვა შიგ. გულის კანკალით ელოდა პეტერბურგში გაგზავნილ რამდენიმე წერილის პასუხს. პასუხმაც არ დაახანა; მალე სამწუხარო ცნობა მოვიდა, რომ უფლისწულ ჰარის თითქმის ერთდროულად ორი დუელი ჰქონია ზედიზედ, ორთავე შემთხვევაში თვითონ ყოფილა ყველაფერში დამნაშავე, ერთი მოწინააღმდეგე იქვე მოუკლავს, მეორე დაუსახიჩრებია და ასეთ საქმეთა გამო სამართალში მიუციათ. უფლისწული ჰარი ჯარისკაცად ჩამოაქვეითეს, უფლებანი აჰყარეს და ქვეითი ჯარის ერთ-ერთ პოლკში გაამწესეს, ისიც განსაკუთრებული წყალობით.

სამოცდასამ წელში ახალგაზრდა სტავროგინმა მოახერხა და თავი გამოიჩინა. იგი ჯვრით დააჯილდოვეს და უნტერ-ოფიცრობა მისცეს, სულ მალე ოფიცრობაც მიიღო. ვინ მოსთვლის, ამ ხნის მანძილზე რამდენი ხვეწნისა და მუდარის წერილი გაგზავნა ვარვარა პეტროვნამ დედაქალაქში. ამისთანა უჩვეულო შემთხვევაში არც თავის დამცირებას დაერიდა. ოფიცრად წარდგენის შემდეგ ახალგაზრდა კაცმა

მოულოდნელად თავი ანება სამხედრო სამსახურს, თუმცა სკვორემნიკში მაინც არ ჩამოსულა და დედასაც თითქმის სულ შეუწყვიტა წერილები. ბოლოს სულ სხვა გზებით შეიტყვეს, სტავროგინი ისევ პეტერბურგშია, ოღონდაც წინანდელ საზოგადოებაში აღარავის უნახავს, სადღაც უნდა იმალებოდესო. შემდეგ იმასაც მიაკვლიეს, რომ ვიღაც უცნაურ ხალხს გადაჰკიდებია პეტერბურგში, ვიღაც-ვიღაც ნაძირალებს, ბოგანო მოხელეებს, გამათხოვრებულ, გადამდგარ სამხედროებსა და ლოთებს, მათ ბინძურ ოჯახებში დაიარება, დღედაღამ, ღმერთმა არ იცის, რა საექვო ადგილებში დაეხეტება, მოეშვა, თვითონაც გამათხოვრდა, მამასადაძამე, ასეთი ცხოვრება სიამოვნებას ჰგვრისო. დედას იგი ფულს არ თხოვდა; მამისეული მამლუი - ერთი პატარა სოფელი ალბათ რაღაც შემოსავალს მაინც აძლევდა, ამბობდნენ, სოფელი ერთ საქსონელ გერმანელს იჯარით გადასცაო. ბოლოს, დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ, როგორღაც იქნა, დედამ დაიყოლია და უფლისწული ჰარიც ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა. სწორედ მაშინ ვნახე პირველად, მანამდე თვალით არ მენახა.

ახალგაზრდა სტავროგინი მეტად ლამაზი ყმაწვილი იყო, ასე ოცდახუთი წლისა. გამოგიტყდებით, და დიახაც სახტად დავრჩი, როცა გარყვნილი ცხოვრებით მოტეხილი და არყით ამყრალებული ჩამობრანძული კაცის მაგივრად ისეთი ჩინებულად ჩაცმული, კოხტა და მოხდენილი ჯენტლმენი ვნახე, რომლის მსგავსი იშვიათად შემხვედრია ცხოვრებაში. თავიც ისე რიგად ეჭირა, როგორც ყოვლად დახვეწილი ქცევების კაცს. თუმცა მარტო მე არ ვიყავი განცვიფრებული. გაოცებული იყო მთელი ქალაქი. ქალაქში კი, რა თქმა უნდა, უკვე მშვენივრად იცოდნენ სტავროგინის მთელი ბიოგრაფია, თანაც ისეთი წვრილმანებით, წარმოდგენითაც რომ ვერ წარმოიდგენდი, საიდან და რა გზით გაეგოთ. საოცარი კიდევ ის იყო, რომ წვრილმანების ნახევარი დასტურ მართალი გამოდგა. ახალმა სტუმარმა ლამის გააგიჟა ჩვენი ბანოვანები. ისინი ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაიყვნენ - ერთი ნაწილი რომ აღმერთებდა, მეორეს ჭირივით სძულდა. მაგრამ ერთნიც და მეორენიც ჭკუაზე იყვნენ შეშლილნი. ზოგს ის ხიბლავდა, ამ კაცს რაღაც საბედისწერო საიდუმლო უმძიმებს სინდისსო. სხვებს ის- კაცისმკვლეელი არისო. ისიც აღმოჩნდა, რომ სტავროგინს საკმაოდ რიგიანი განათლება მიეღო, ასე ვთქვათ, განსწავლულიც იყო. თუმცა ჩვენს გასაოცებლად კაცს დიდი განსწავლულობა არ სჭირდებოდა. შეეძლო საჭირბოროტო და დიახაც საინტერესო თემებზე მსჯელობა და, რაც მთავარია, ფრიად გონივრული მსჯელობაც. უნდა ავღნიშნო, რომ თითქმის პირველი დღიდან ჩვენში იგი მეტისმეტად გონიერ კაცად მიიჩნია ყველამ. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, უბრალოდ, მოხდენილად და გასაოცარი მოკრძალებით ეჭირა თავი, ამავე დროს არც ასეთი გაბედული და თავდაჯერებული კაცი მინახავს ოდესმე. ჩვენი კოხტაპრუწები შურის თვალით უყურებდნენ და მის გვერდით სულ იჩრდილებოდნენ. გამაოცა აგრეთვე მისმა სახემაც: თმა მეტისმეტად ურწყვი შავი ჰქონდა, ღია თაფლისფერი თვალები მეტისმეტად მოკრიალბული, პირისკანი მეტისმეტად ნაზი და თეთრი, ლოყები მეტისმეტად ფეროვანი, კბილები მარგალიტივით ჩაწიკნიკებული, ბაგე მარჯნისფერი - მოკლედ, თითქოსდა კალმით ნახატი ვაჟკაცი იყო და ამავე დროს თითქოს გულისამრევიც. ამბობდნენ, სახე ნიღაბს უგავსო. თუმცა თქმით ბევრს რასმე ამბობდნენ, მათ შორის იმასაც, არაჩვეულებრივად ღონიერიაო. სიმაღლით თითქმის მაღალი იყო. ვარვარა პეტროვნას გული სიამაყით ევსებოდა მისი შემყურე, მაგრამ მუდამ რაღაცის შიში ჰქონდა. ყმაწვილმა კაცმა უხალისოდ და საკმაოდ უგუნებოდ გაატარა თითქმის ნახევარი წელი ჩვენს ქალაქში. საზოგადოებას არ აკლდებოდა და მუდამ დიდი გულისყურით ასრულებდა მთელ ჩვენს საგუბერნიო ეტიკეტს. მამის

მხრიდან გუბერნატორს ენათესავებოდა და მის სახლში შინაური კაცი იყო, მაგრამ განვლო რამდენიმე თვემ და მხეცმა უეცრად გამოაჩინა ბრჭყალები...

ბარემ აქვე შევნიშნავ ფრჩხილებში, რომ ჩვენი ყოფილი გუბერნატორი, ჩვენი საყოველთაო და ლმობიერი ივან ოსიპოვიჩი ცოტა მოიქალაჩუნებდა, მაგრამ კარგი ჩამომავლობისა იყო და გავლენიანი ნაცნობობაც ჰყავდა. ალბათ ამით აიხსნება ის ამბავი, რომ ხელი არ გაუნძრევია და მაინც ამდენი წელი შემორჩა აქაურობას. ამ პურმარილიანსა და სტუმართმოყვარ კაცს ძველი დალოცვილი დროსი თავადაზნაურობის წინამძღოლობა უფრო შეეფერებოდა, ვინემ გუბერნატორობა ამ ჩვენს აფორიაქებულსა და მოუსვენარ დროში. ქალაქში სულ იმას ლაპარაკობდნენ, გუბერნიის გამგებელი ვარვარა პეტროვნაა და არა ივან ოსიპოვიჩიო. მართალია, მოსწრებულად იყო ნათქვამი და ბევრსაც ენამწარობდნენ ამის ირგვლივ, მაგრამ მტკნარი სიცრუე კი გახლდათ! პირიქით, ვარვარა პეტროვნამ, მიუხედავად საზოგადოების მისდამი დიდზე დიდი პატივისცემისა, ამ ბოლო წლებში განგებ და შეგნებულად თქვა უარი თავის მაღალ დანიშნულებაზე და ნებაყოფლობით ჩაიკეტა იმ საზღვრებში, რაც თვითონვე მკაცრად დაუწესა თავს. სამაგიეროდ, თავის მამულს მიხედა და ორ-სამ წელიწადში შემოსავალი თითქმის ძველებურამდე აიყვანა. წინანდელი პოეტური გატაცებების (პეტერბურგში გამგზავრების, ჟურნალის გამოცემის სურვილის და სხვათა) ნაცვლად ფულს ხელი მოუჭირა. წარმოიდგინეთ, სტეპან ტროფიმოვიჩიც გაირიდა და ნება მისცა სხვაგან დამდგარიყო ბინად (ამას რა ხანია უკვე თვითონ სტეპან ტროფიმოვიჩი სთხოვდა სხვადასხვა საბაბით). სტეპან ტროფიმოვიჩმა პროზაული ქალი შეარქვა ვარვარა პეტროვნას. ჩემი პროზაული მეგობარიო, გაიხუმრებდა ხოლმე ზოგჯერ, რასაკვირველია, როცა დროს შეარჩევდა და ისიც დიდი მოწიწებით.

ვარვარა პეტროვნას რომ ვაჟი რაღაც ახალ სასოებად და რაღაც ახალ ოცნებად მოევილინა, ეს ყველა მისმა ახლობელმა ვიგრძენით, ყველაზე მტკივნეულად კი სტეპან ტროფიმოვიჩმა. შვილის გადამკვდარი სიყვარული იმ ხნიდან დაეწყო, როცა ვაჟს პეტერბურგის საზოგადოებაში დიდი წარმატება ხვდა წილად და განსაკუთრებით მაშინ გაუძლიერდა, როცა მისი ჯარისკაცად ჩამოქვეითების ცნობა მოუვიდა. მაგრამ რომ ეშინოდა მისი და თითქმის ყურმოჭრილი მონა იყო, ესეც ამკარად იგრძნობოდა. ეტყობოდა, ს

ულ რაღაც გაურკვეველი იდუმალი შიში ჰქონდა, მაგრამ რისი, თვითონაც ვერ გაერკვია. ბევრჯერ ჩუმ-ჩუმად აკვირდებოდა Nicolas-ს, რაღაც აფიქრებდა, რაღაც უნდოდა ამოეხსნა.. და ჰა, ბოლოს მხეცმაც გამოაჩინა ბრჭყალები.

II

ჩვენმა უფლისწულმა აიღო და მოულოდნელად ისე თავხედურად შეურაცხყო ორი-სამი ადამიანი, წარმოდგენაც შეუძლებელია. რაც მთავარია, ეს იყო ყოველად გაუგონარი, უმსგავსო და ლაწირაკული საქციელი, არა ისე, როგორც ჩვეულებრივად ხდება ხოლმე. არამედ კაცმა არ იცის, რისთვის და რა მიზეზით ჩადენილი. ჩვენი კლუბის ერთ-ერთ დარბაისელ მამასახლისს, პაველ პავლოვიჩ გაგანოვს, უკვე ხანში შესულსა და კიდევაც დამსახურებულ კაცს, უწყინარი ჩვეულება ჰქონდა ყოველ სიტყვაზე გულფიცხად დაეყოლიებინა: ვერა, ბატონო, თავის ჭკუაზე ვერავინ გამატარებს, ცხვირით ვერავინ დამითრევსო. დიდი ამბავი, თუ კაცმა ესა თქვა. ჰოდა,

როცა ერთხელ კლუბში გამწვავებული საუბრის დროს ისევ გაუმეორა ეს თავისი აფორიზმი ირგვლივ შემოხვეულ კლუბის წევრებს (იმაზე არანაკლები წონისა და გავლენის ხალხს), ნიკოლაი სტავროგინი, რომელიც განზე იდგა ეულად და არავის ელაპარაკებოდა, მივიდა პაველ პავლოვიჩთან, ორი თითით მოულოდნელად სწვდა ცხვირში და დარბაზში ორი-სამი ნაბიჯი გაატარა. რომ ვთქვათ, ბატონ გაგანოვის ჯავრი სჭირდაო, ან წმინდა ბავშვურმა სიცელქემ ჩაადენინა ეს დიახაც მიუტევებელი ოინი, სწორი არ იქნება. როგორც მერე ჰყვებოდნენ, ამ ოპერაციის პირველ წუთს თითქმის ჩაფიქრებული სახე ჰქონდაო, „გეგონებოდათ, კაცი ჰკუიდან შეცდა“, მაგრამ ეს უკვე კარგა ხნის მერე გაიხსენეს და მოისაზრეს. ამ ალიაქოთში ყველას მხოლოდ ის მეორე წუთი დაამახსოვრდა, როცა სტავროგინი უკვე მიმხვდარი უნდა ყოფილიყო, რაც გააკეთა, და არათუ შეცბა და დაირცხვინა, პირიქით, ბოროტად და მხიარულად გაიკრიჭა, „ყოველგვარი სინანულის გარეშე“. ატყდა, მაგრამ რა ამბავი ატყდა. სტავროგინს ხალხი დაეხვია. ისიც ხან აქეთ მოტრიალდებოდა, ხან იქით, ცნობისმოყვარეობით უცქეროდა აყაყანებულ ხალხს, მაგრამ პასუხს კი არავის ამღევდა. ბოლოს თითქოს ისევ ჩაფიქრდა, - ყოველ შემთხვევაში, ასე გადმოსცემდნენ, - წარბი შეიკრა, მტკიცე ნაბიჯით მიუახლოვდა შეურაცხყოფილ პაველ პავლოვიჩს და გულამრეხილმა აჩქარებით წაიბურტყუნა: - ო, ცხადია, მომიტევებთ... მეც არ ვიცი, უეცრად რამ წამომიარა... სისულელეა...

ასეთი დაუდევარი მობოდიშება ახალ შეურაცხყოფას უდრიდა. ატყდა უარესი ამბავი. სტავროგინმა მხრები აიჩეჩა და დარბაზიდან გავიდა.

ერთი სიტყვით, ერთობ სულელური ამბავი გამოვიდა, რომ არაფერი ვთქვათ უმსგავსობაზე - დიახ, თითქოს წინასწარ მოფიქრებულსა და გაანგარიშებულ უმსგავსობაზე, რაც მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის წინასწარ განზრახულ, კადნიერ შეურაცხყოფას წარმოადგენდა. ასეც მიიჩნია იგი ყველამ ჰოდა, პირველ ყოვლისა ადგნენ და ბატონი სტავროგინი დაუყოვნებლივ და ერთხმად გარიცხეს კლუბიდან; შემდეგ გადაწყვიტეს, მთელი კლუბის სახელით გუბერნატორისთვის თხოვნით მიემართათ, რათა დაუყოვნებლივ (ვინემ საქმე სასამართლოში გადავიდოდა) ლაგამი ამოედო ამ მავნე ხელაღებული კაცისათვის, ამ პეტერბურგელი „ჩხუბისთავისთვის მის ხელთ არსებული ადმინისტრაციული ძალაუფლებით, რომ ჩვენი ქალაქის რიგიანი საზოგადოება დაეცვა ამ მავნე კაცის თავდასხმებისაგან“. იმასაც დასძენდნენ მზაკვრულად: „იქნებ ბატონ სტავროგინზე მოინახოს რაიმე კანონი“. დიახ, სწორედ ამ ეკლის ჩხვლეტას უპირებდნენ გუბერნატორს ვარვარა პეტროვნას გულისთვის. მერედა რა ნიშნისმოგებით იმეორებდნენ ამ წინადადებას. მაგრამ, თითქოს ჯიბრზე, გუბერნატორი იმხანად ქალაქში არ იყო. ის იქვე ახლოს გაემგზავრა ერთ ახლახან დაქვრივებულ ტურფა ქალთან ბავშვის მოსანათლად, რომელიც ქმრის სიკვდილის შემდეგ ორსულად დარჩა, და მალე უნდა დაბრუნებულიყო. მის მოლოდინში კი დიდი ოვაცია გაუმართეს დარბაისელსა და შეურაცხყოფილ პაველ პავლოვიჩს; ეხვეოდნენ, ჰკოცნიდნენ, ეფერებოდნენ, მთელი ქალაქი ვიზიტით ეწვია. განიზრახეს კიდევ მისდა პატივსაცემად ფული შეეგროვებინათ და სადილი გაემართათ. მხოლოდ პაველ პავლოვიჩის დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ აიღეს ხელი ამ განზრახვაზე, - რადგან მოისაზრეს ბოლოს და ბოლოს, რომ კაცი მაინც ცხვირით ათრიეს და, მაშასადამე, დიდი საზეიმო არაფერი ჰქონდა.

არა, მაინც როგორ მოხდა ან როგორ შეიძლება მომხდარიყო ეს ამბავი? საკვირველი სწორედ ის გარემოება გახლავთ, რომ მთელ ქალაქში არავის ჩაუთვლია ეს უცნაური საქციელი სიგიჟედ, მაშასადამე, ჭკუაზე მყოფ სტავროგინისაგანაც ამგვარ საქციელს მოელოდნენ. ჩემდა თავად, მე დღემდე ვერ ამიხსნია ეს, თუმცა სულ მალე მომხდარმა ერთმა ამბავმა თითქოსდა ყველაფერი ახსნა და ყველა დააშოშმინა. იმასაც დავუმატებ: როცა ოთხი წლის შემდეგ ნიკოლაი სტავროგინს ფრთხილად შევაპარე კითხვა კლუბში მომხდარ წასულ ამბავზე, წარბი შეიკრა და მითხრა: ჰო, მაშინ მთლად კარგად ვერ ვიყავიო. მაგრამ წინ გასწრება რა საჭიროა.

განმაცვიფრა საყოველთაო სიძულვილმაც, რომელიც პეტერბურგელმა „ჩხუბისთავმა“ გამოიწვია. ყველას უნდოდა მის საქციელში წინასწარ მოფიქრებული თავხედური განზრახვა და მთელი საზოგადოების შეურაცხყოფის სურვილი დაენახა. ჭეშმარიტად, ვერავის აამა კაცმა, პირიქით, ყველანი აიმხედრა, - მერედა რითი? ამ უკანასკნელ შემთხვევამდე კაციშვილს არ წაჩხუბებია, არავისთვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია; თანაც ისე ზრდილობიანად იქცეოდა, პირდაპირ მოდური სურათიდან გადმოსული კავალერი გეგონებოდათ. ამ უკანასკნელს რომ ლაპარაკი შეძლებოდა. ჩემი აზრით, მისი ქედმაღლობისთვის სძულდათ. ჩვენი ბანოვანებიც კი, აქამდე რომ აღმერთებდნენ, ახლა მამაკაცებზე უფრო მეტს გაჰკვიოდნენ მის წინააღმდეგ.

ვარვარა პეტროვნას მეხი დასცა ამ ამბავმა. შემდეგ გამოუტყდა სტეპან ტროფიმოვიჩს, - დიდი ხანია გული მიგრძნობდა ამას, ეს ნახევარი წელია ყოველ ცისმარე დღე ველოდიო სწორედ „ამისთანა რამეს!“ საკვირველი აღსარება გახლავთ, ღმერთმანი, ისიც ღვიძლი დედისაგან. „დაიწყო!“ - გაიფიქრა მან და ტანში ჟრუანტელმა დაუარა. ამ უკუღმართი ამბის მეორე დილას ვარვარა პეტროვნამ ფრთხილად, მაგრამ დაბეჯითებით მოსთხოვა შვილს პასუხი, თუმცა საწყალს შიშით გული უკანკალებდა. ის ღამე თეთრად გაათენა და დილაადრიან სტეპან ტროფიმოვიჩთანაც მივიდა რჩევის საკითხავად. იტირა კიდევ, რაც თავის დღეში არ მოსვლია სხვასთან. ოღონდაც რაიმე ეთქვა Nicolas-ს, ოღონდაც ახსნა-განმარტების ღირსი გაეხადა და სხვა არაფერი უნდოდა. Nicolas, მუდამ ზრდილი და მოწიწებული Nicolas ახლა მოღუშული, მაგრამ ფრიად დინჯად უსმენდა დედას, მერე ადგა, პასუხი არ გაუცია, ისე აკოცა ხელზე და გავიდა. იმავე საღამოს, თითქოსდა განზრახ, ამ ამბავს მეორეც დაერთო, პირველთან შედარებით გაცილებით უფრო უმნიშვნელო, მაგრამ რომელმაც საერთო განწყობის გამო კიდევ უფრო ააყაყანა ხალხი.

ჩვენი ნაცნობი ლიპუტინი, რომლის მიზეზითაც მოხდა ყველაფერი, დედასთან ლაპარაკის შემდეგ ეახლა თურმე ნიკოლაი სტავროგინს და დაბეჯითებით სთხოვა, ამაღამ პატარა წვეულება მაქვს, ჩემი ცოლის დღეობაა და გთხოვთ მეწვიოთო. ვარვარა პეტროვნას რა ხანია გულზე ეკლად ესობოდა ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩის ნაცნობობა ამისთანა ხალხთან, მაგრამ თქმით კი ვერაფერს უბედავდა. Nicolas-ს უკვე რამდენიმე ნაცნობი გაეჩინა ჩვენი საზოგადოების მესამეხარისხოვან და უფრო დაბალ წრეებში - მაგრამ რას იზამ, კაცია და გუნებაო. ლიპუტინსაც უკვე იცნობდა, მაგრამ მის სახლში არ ყოფილა. სტავროგინი მიხვდა, რომ ლიპუტინი კლუბში მომხდარი სკანდალის ეშხით ეპატიჟება, რომ ადგილობრივი ლიბერალის კვალობაზე უზომოდ გახარებულია ამ აურზაურით და გულწრფელად ფიქრობს, ასე მოუხდება კლუბის მამასახლისთ და მათზე ახიც არისო. სტავროგინს გაეცინა და შეპირდა მოვალეო.

სტუმრებს ბლომად მოეყარა თავი. მაინცდამაინც ვერაფერი შვილი ხალხი იყო, მაგრამ სითამამე კი არ აკლდათ. თავმოყვარე და შურიანი ლიპუტინი წელიწადში ორჯერ პატიჟებდა სტუმრებს, მაგრამ მაშინ კი არაფერს იშურებდა. ყველაზე საპატიო სტუმარი, სტეპან ტროფიმოვიჩი, ავადმყოფობის გამო არ მობრძანდა. გააწყვეს ჩაი, გამოიტანეს ნაირ-ნაირი საუზმე და არაყი, კარტის სათამაშოდ სამი მაგიდა გაშალეს. ვახშმის მოლოდინში ყმაწვილკაცობამ ფორტეპიანო დააკვრევინა და ცეკვა გამართა. ნიკოლაი სტავროგინმა მადამ ლიპუტინა გამოიწვია, ლამაზი და მოხდენილი ქალი, რომელიც ძალიან დარცხვნილი ჩანდა. შემოატარა ორი წრე, მერე გვერდით მოუჯდა, გამოელაპარაკა, გააცინა. რომ შეამჩნია, ქალს სიცილი დაშვენდაო, წელზე ხელი მოხვია ამდენ ხალხში და ერთი სამჯერ ზედიზედ მაგრად ჩაკოცნა ტუჩებში. საბრალო ქალს შიშისაგან გული წაუვიდა. შეიქნა ჩოჩქოლი. ნიკოლაი სტავროგინმა ქუდს დაავლო ხელი, სახტად დარჩენილ ქმარს მიუახლოვდა, მისი სახის დანახვაზე თვითონაც დაირცხვინა, აჩქარებით წაიბურდლუნა: არ გეწყინოთო, და გავიდა. ლიპუტინი უკან გაეკიდა, თავისი ხელით მიაერთა ქურქი და კიბემდე ისე მიაცილა, სულ თავს უკრავდა. მეორე დღეს შედარებით ამ უწყინარ ამბავს ერთი სასაცილო შემთხვევაც დაერთო, რომელმაც ლიპუტინს ერთგვარი პატივიც კი მოუხვეჭა და რომელიც მან ფრიად მოხერხებულად გამოიყენა თავისდა სასარგებლოდ.

დილის ათ საათზე სტავროგინების სახლს ლიპუტინის ენატიტყინა სახელაჟღაჟა მოახლე მოადგა, ოცდაათიოდე წლის დედაკაცი, სახელად აგაფია. ლიპუტინს გამოეგზავნა ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩთან დავალებით. აგაფიამ თავი მოიკლა, გინდა თუ არა“ ბატონთან“ მიმიყვანეთო. ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს თავი ძალზე სტკიოდა, მაგრამ მაინც გამოვიდა. ვარვარა პეტროვნა ამ დავალების გადაცემას დაესწრო.

აგაფია მოურიდებლად ატარტარდა: - სერგეი ვასილიჩმა (ანუ ლიპუტინმა) მიბრძანა, უპირველეს ყოვლისა, დიდი სალამი მოგახსენოთ და თქვენი კარგადმყოფობის ამბავი გავიგო. მიბრძანა, ისიც გკითხოთ, როგორ გეძინათ და როგორ ბრძანდებით წუხანდელს შემდეგ?

ნიკოლაი სტავროგინს ჩაეცინა.

- ჩემგანაც მოიკითხე და მადლობა მოახსენე. ისიც უთხარი ჩემი სახელით შენს ბატონს, აგაფია, მთელ ქალაქში შენისთანა ჭკვიანი კაცი არ არის-თქო.

- ამაზე ჩემმა ბატონმა მიბრძანა მოგახსენოთ, - უფრო თამამად მიატანა აგაფიამ, - უთქვენოდაც ვიცი ეგ ამბავი და თქვენთვისაც იგივე მისურვებიაო.

- უყურე ერთი! მერე საიდან გაიგო, მე რას ვეტყობდი?

- მე რა ვიცი, საიდან რა გაიგო, უკვე შესახვევის ბოლოში ვიყავი, გავიგონე, თავშიშველი მომდევდა: „შენო, აგაფიუშკა, თუ რომ ასე გიბრძანონ: იმ შენს ბატონს უთხარი, ქალაქში იმაზე ჭკვიანი კაცი არ არისო, არ დაგავიწყდეს და მაშინვე ეს მოახსენე: თვითონაც ძლიერ კარგად იცის და თქვენთვისაც იგივე უსურვებია-თქო...“

III

დადგა გუბერნატორთან ახსნა-განმარტების დღე. ჩვენი საყვარელი და ღმობიერი ივან ოსიპოვიჩი უკვე ქალაქში ჩამობრუნებულიყო და კლუბის წევრთა აღელვებულ

ჩივილი მოესმინა. ეჭვი არაა, რაღაც უნდა ელონა, მაგრამ დაიბნა კაცი. ჩვენს სტუმართმოყვარე ბებერსაც თითქოს ეშინოდა თავისი ახალგაზრდა ნათესავისა. მაინც გადაწყვიტა დაეყოლიებინა, რომ ბოდიში მოეხადა ცალკე შეურაცხყოფილისა და ცალკე კლუბის წევრთა წინაშე, თუ საჭირო იქნებოდა, წერილობითაც, ოღონდ ისე, რომ ყველა კმაყოფილი დარჩენილიყო, შემდეგ ლმობიერად ერჩია, დაეტოვებინა აქაურობა და დასათვალისწინებლად წასულიყო იტალიაში ან სადმე სხვაგან საზღვარგარეთ. სტავროგინი მან ამჯერად დარბაზში მიიღო (სხვა დროს, ნათესავის პირობაზე, იგი მთელ სახლში თავისუფლად დასეირნობდა), სადაც გუბერნატორის მოხელე, ყოვლად ზრდილი და მისი აღმატებულების ოჯახში ფრიად გამინაურებული კაცი, ალიოშა ტელიატნიკოვი კუთხეში მდგარ მაგიდასთან პაკეტებს ხსნიდა. მეორე ოთახში, დარბაზის კარის ახლოს, ფანჯარასთან ივან ოსიპოვიჩის მეგობარი და ყოფილი თანამშრომელი, ჩვენს ქალაქში სტუმრად ჩამოსული ზორბა პოლკოვნიკი „გოლოსს“ [48] კითხულობდა. რა თქმა უნდა, დარბაზისაკენ არ იყურებოდა, პირიქით, ზურგითაც იჯდა. ივან ოსიპოვიჩმა შორიდან მოუარა, თითქმის ჩურჩულით ელაპარაკებოდა, მაგრამ შიგადაშიგ სიტყვა ემლებოდა. Nicolas ძალზე მოღუშული უსმენდა, ნათესაური არაფერი ეტყობოდა, ფერი დაკარგოდა, თავი ძირს დაეხარა და ისე შეეკრა წარბები, თითქოს რაღაც ძალიან ტკივა და ცდილობს არ შეიმჩნიოსო.

- კეთილშობილი კაცი ხართ, Nicolas, - ესეც ჩაურთო სხვათა შორის ბერიკაცმა, - განათლებული, კარგ საზოგადოებაში ნამყოფი. აქამდე ჩვენშიაც სამაგალითოდ გეჭირათ თავი და ჩვენთვის ძვირფას დედათქვენს გულს უხარებდით... ახლა კი კვლავ გამოვლინდა ყველაფერი ესოდენ აუხსნელი და საშიში სახით ყველასათვის! მე თქვენი ოჯახის მეგობარი ვარ, თქვენი გულწრფელი მოყვარული, ჩემისთანა ხნიერი და ახლობელი კაცისაგან არაფერი არ უნდა გეწყინოთ... მაშ მითხარით, რა გაიძულებთ ასე თავშეუკავებლად მოიქცეთ, ის ჩაიდიხოთ, რაც არსად არ არის მიღებული? რას ნიშნავს ასეთი საქციელი, რასაც მხოლოდ უგონოდ მყოფი თუ ჩაიდეხს?

Nicolas ერთხანს გაბეზრებული უსმენდა. ერთბაშად თვალებში რაღაც მზაკვრულმა ნაპერწკალმა გაუელვა.

- კეთილი, გეტყვით, რაც მაიძულებს, - წაიბურღლუნა წარბშეკრულმა, მერე მიმოიხედა და ივან ოსიპოვიჩის ყურისაკენ დაიხარა. ზრდილმა ალიოშა ტელიატნიკოვმა სამი ნაბიჯით უკან, ფანჯრისაკენ დაიხია, პოლკოვნიკმა ჩაახველა. საბრალო ივან ოსიპოვიჩმა მყისვე ნდობით მიუშვირა ყური; ზედმიწევნით ცნობისმოყვარე გახლდათ. ის, რაც ამის შემდეგ მოხდა, ერთი მხრივ სრულიად დაუჯერებელი იყო და მეორე მხრივ სავსებით ცხადი. იმის მაგივრად, Nicolas-ს რაიმე საყურადღებო საიდუმლო ეჩურჩულებინა, ბერიკაცმა უეცრივ იგრძნო, რომ ყურში საკმაოდ მაგრად ჩააფრინდნენ კბილებით; ბერიკაცი აცახცახდა, სუნთქვა შეეკრა.

- Nicolas, რა ხუმრობაა, - წამოიკვნესა უნებურად შეცვლილი ხმით.

ალიოშამ და პოლკოვნიკმა ვერც გაიგონეს და ვერც დაინახეს, რაში იყო საქმე. იმათ ეგონათ, ჩურჩულებენო. მაგრამ ბერიკაცის სასოწარკვეთილმა სახემ შეაშინათ, თვალებდაჭყეტილი შეჰყურებდნენ ერთმანეთს, აღარ იცოდნენ, საშველად

მივარდნოდნენ, როგორც დათქმული ჰქონდათ, თუ კიდევ მოეცადათ. Nicolas-მ ალბათ შეატყო ეს და კბილები უფრო მოუჭირა.

- Nicolas, Nicolas! - წამოიკნავლა საცოდავმა მსხვერპლმა, - კარგი, იხუმრე და კმარა...

კიდევ წამი და საბრალო შიშისაგან სულს გააფრთხობდა; მაგრამ იმ მტარვალმა შეიწყალა და ყურს კბილი უშვა. ეს მომაკვდინებელი შიში მთელი ერთი წუთი გაგრძელდა. მერე ბერიკაცს კრუნჩხვები დაემართა. ნახევარი საათის შემდეგ Nicolas დაიჭირეს, ჯერ საპატიმროში წაიყვანეს, იქ საგანგებო საკანში ჩაკეტეს და საგანგებო ყარაულიც დაუყენეს კართან. განაჩენი დიახაც მკაცრი იყო, მაგრამ ჩვენი ღმობიერი გულის ბერიკაცი იმ ზომამდე გაჯავრდა, აღარც ვარვარა პეტროვნას შეეპუა. მთელი ქალაქის გასაკვირად, ამ პატივცემულ მანდილოსანს, რომელიც გაგულისებული მიიჭრა გუბერნატორთან ახსნა-განმარტების მოსათხოვად, პარმალზევე უარი უთხრეს და არ მიიღეს. კარეტიდან აღარ გადმოსულა, ისე გაბრუნდა უკან. თავის ყურებს არ უჯერებდა.

ბოლოს ყველაფერი გაირკვა! ნაშუადამევის ორ საათზე პატიმარმა, რომელიც საკვირვლად მშვიდ გუნებაზე იყო მანამდე და კიდევ ეძინა, უცებ ერთი ამბავი ატეხა, გააფთრებით დაუშინა მუშტები კარს, არაადამიანური ძლით ჩამოგლიჯა კარის სარკმელს რკინის ხარიხა, ჩაღწეა მინები და ხელები დაისისხლიანა. როცა ყარაულის ოფიცერი მოვარდა გასაღებებით და რაზმიც მოიყვანა გაცოფებულის გასათოკად, აღმოჩნდა, რომ პატიმარს ხურვება დაწყებოდა. იგი შინ, დედასთან გადაიყვანეს. ყველაფერი ნათელი გახდა. ჩვენი ქალაქის სამმა ექიმმა ერთხმად დაასკვნა, შესაძლოა სნეული უკვე სამი დღით ადრეც არ იყო თავის ჭკუაზე და თუმცა შეგნება და ემმაკობა, როგორც ჩანს, შერჩა, მაგრამ გონიერება და ნებისყოფა კი არაო, რაც ფაქტებითაც მტკიცდებოდა. ჰოდა, ისე გამოდიოდა, რომ ლიპუტინს ყველაზე ადრე მიეკვლია სიმართლისათვის. გულისხმიერსა და გრძნობიერ ივან ოსიპოვიჩს ძალიან შერცხვა; მაგრამ საგულისხმო ის გახლავთ, რომ, მაშასადამე, ისიც მოელოდა ნიკოლაი სტავროგინისაგან ამგვარ რასმე. შერცხვათ კლუბის წევრებსაც და გაოცებული ეკითხებოდნენ ერთმანეთს, ყველამ როგორ ვერ შევნიშნეთ სპილო და როგორ გამოგვეპარა ერთადერთი შესაძლებელი ახსნა ამ გასაოცარი ამბისათვის. თავისთავად ცხადია, რომ იმათში სკეპტიკოსებიც ერივნენ, მაგრამ ისინიც მალე ჩაჩუმდნენ.

ორ თვეზე მეტი იავადმყოფა Nicolas-მა. მოსკოვიდან ცნობილი ექიმი ჩამოუყვანეს კონსილიუმისათვის; მთელმა ქალაქმა მოინახულა ვარვარა პეტროვნა და იმანაც გული მოიბრუნა ყველაზე. როცა გაზაფხულისათვის ნიკოლასი სულ გამოჯანმრთელდა და ხმამაღულელებიც დაყაბულდა დედის წინადადებას, იტალიაში გამგზავრებულიყო, დედამ ისიც თხოვა, ყველასთან მიდი გამოსამშვიდობებლად და სადაც საჭიროა, ბოდიში მოიხადეო. Nicolas დიდი ხალისით დათანხმდა. კლუბში შეიტყვეს, პაველ პავლოვიჩ გაგანოვს შინ ეწვია. ფრიად გულისხმიერად ელაპარაკა და ისიც სრულიად კმაყოფილი დარჩაო. ამ ვიზიტების დროს Nicolas-ს ძალზე დინჯად ეჭირა თავი და ოდნავ მოღუშულიც ჩანდა. როგორც ჩანს, ყველამ დიდი თანაგრძნობით მიიღო, მაგრამ ყველა რატომღაც უხერხულად გრძნობდა თავს და უხაროდათ, იტალიაში მიემგზავრებო. ივან ოსიპოვიჩს ცრემლიც კი მოერია, თუმცა გამომშვიდობებისას მაინც ვერ გაბედა გადახვეოდა. ესეც კია, რომ ზოგი მაინც

დარწმუნებული იყო, ამ უსინდისო არამზადამ უბრალოდ ყველა გაგვამასხარავა და ავადმყოფობა უბრალოდ დაერთო. ნიკოლაი სტავროგინმა ლიპუტინთანაც შეიარა.

- ერთი ეს მითხარით, საიდან მიხვდით მაშინ, რას ვიტყვოდი თქვენს ჭკუაზე და აგაფიას პასუხიც დააბარეთ? - ჰკითხა მან.

- საიდან და მეც ჭკვიან კაცად მიმაჩნებართ, ამიტომაც მიგიხვდით პასუხს, - გაეცინა ლიპუტინს.

- საოცარი დამთხვევაა მაინც. თუმცა მოიცათ: რაკი აგაფია გამომიგზავნეთ, მაშასადამე, ჭკვიან კაცად მიგაჩნდით და არა გიჟად?

- დიახ, ჭკვიანზე ჭკვიანად და გონიერზე გონიერად, ოღონდაც თავი მოვიკატუნე, თითქოს მჯერა, რომ ჭკუაზე აღარ ბრძანდებით... თქვენც ხომ მაშინვე მიმიხვდით გულსნადებს და აგაფიას პირით ჭკუამახვილობის პატენტი მიბოძეთ.

-- აქ კი სცდებით, მე მართლაც... ვერ ვიყავი კარგად... - წაიდუდუნა ნიკოლაი სტავროგინმა და შუბლი შეიკრა. მერე უეცრად წამოიძახა: - ვაჰ! ნუთუ მართლა გგონიათ, რომ ჭკუაზე მყოფი ამას ჩავიდენდი? ვითომ რათა და რისთვის?

ლიპუტინი დაიწმინხა და ვერაფერი უპასუხა. Nicolas-ს ოდნავ ფერი ეცვალა, ან იქნებ ასე მოეჩვენა ლიპუტინს.

- ასეა თუ ისე, უცნაურად კი მსჯელობთ, - განაგრძო Nicolas-მა, - მაგრამ იმას კი მივხვდი, რომ აგაფია გასალანძლად გამომიგზავნეთ.

- მაშ არადა დუელში უნდა გამომეწვიეთ?

- ჰო, მართლა! თქვენზე მითხრეს, დუელი არ უყვარსო...

- ფრანგების აყოლა რაში გვარგია! - ისევ დაიწმინხა ლიპუტინი.

- ხალხოსნობას არჩევთ?

ლიპუტინი კიდევ მეტად დაიგრია. -- ოჰო-ჰო! ამას რას ვხედავ! - შესძახა Nicolas-მა, მაგიდის გამოსაჩენ ადგილზე დადებული კონსიდერანის[49] ტომი რომ დაინახა, - იქნებ ფურიეს მიმდევარი ბრძანდებით? მაგრამ ესეც ხომ ფრანგების აყოლა არის? - გაეცინა სტავროგინს და წიგნზე დააკაკუნა თითები.

- არა, ეს ფრანგების აყოლა არ გახლავთ, ბატონო ჩემო! - რაღაცნაირი ბრაზით კიდევ შეხტა ლიპუტინი, - ეს ზოგადსაკაცობრიო აზრები გახლავთ, არა მარტო ფრანგებისა! დიახ, ზოგადსაკაცობრიო სოციალური რესპუბლიკა და ჰარმონია, აი, რა, ბატონო ჩემო! დიახ, ზოგადსაკაცობრიო ენაზე თქმული, არა მარტო ფრანგებისა!..

- ფუი, ეშმაკმა დალახვროს! ეგეთი ენა არც არსებობს! - ხარხარებდა Nicolas.

ზოგჯერ პატარა წვრილმანიც კი საოცრად გაგაკვირვებს და გონებაში დიდი ხნით ჩაგრჩება. ბატონ სტავროგინზე ლაპარაკი ჩვენ შემდეგ გვექნება. ახლა მარტო იმას შევნიშნავ კუროზისთვის, რომ ბატონ სტავროგინს ჩვენს ქალაქში ნანახისა და გაგონილისგან ყველაზე მეტად ეს ჩია და ლამის გაიძვერა წვრილფეხა მოხელე ჩარჩა მებსიერებაში. ყველაზე მეტად ამ ეჭვიანი და თავისი შინაურების სულთამხუთავის,

ამ წუწურაქისა და მევახშის სახე დაამახსოვრდა, რომელიც სადილის ნარჩენებსა და სანთლის ნამწვებს კარადაში კეტავდა და ამასთან, ღმერთმა უწყის, რომელი მომავალი „სოციალური ჰარმონიის“ სექტის წევრობაზე იღებდა თავს, ღამლამობით მომავალი ფალანსტერას[50] ფანტასტიკური სურათების წარმოდგენით ტკბებოდა და სწამდა საკუთარ არსებობასავით, რომ რუსეთსა და ჩვენს გუბერნიაში ეს სულ მალე განხორციელდებოდა. სწამდა იქ, სადაც „საკუთარი სახლის“ საყიდლად ფული დაიგროვავა, სადაც მეორე ცოლი მოიყვანა და მზითევეში ფული აიღო, სადაც იქნებ მთელი ასი ვერსის ირგვლივ მისი ჩათვლით კაცი არ იყო, გარეგნულად მაინც ჰგვანებოდა „საერთო-საკაცობრიო სოციალური რესპუბლიკისა და ჰარმონიის“ მომავალ წევს.

„ღმერთმა იცის, საიდან წარმოიშვება ასეთი ხალხი!“ - გაცხებული ფიქრობდა ხოლმე Nicolas ამ მოულოდნელი ფურიერისტის გახსენებისას.

IV

ჩვენმა უფლისწულმა სამ წელზე მეტი იმოგზაურა. ქალაქში თითქმის სულ გადაავიწყდათ მისი ამბავი. ჩვენ კი სტეპან ტროფიმოვიჩისაგან ვიცოდით, რომ მთელი ევროპა შემოიარა, ეგვიპტეშიაც იყო და იერუსალიმიც ინახულა; შემდეგ ისლანდიაში მიმავალ რომელიღაც მეცნიერულ ექსპედიციას აეკიდა და მართლაც იყო ისლანდიაში. იმასაც ამბობდნენ, ერთ ზამთარს ერთ გერმანულ უნივერსიტეტში ლექციებს ისმენდაო. დედამისს იშვიათად, წელიწადში ერთი-ორჯერ წერდა წერილებს. მაგრამ ვარვარა პეტროვნას არ სწყინდა და არც გული მოსდიოდა. უდრტვინველად შეურიგდა ვაჟთან ერთხელ და სამუდამოდ დამყარებულ ურთიერთობას. ოღონდაც ძალიან დარდობდა და სულ თავის Nicolas-ზე ფიქრობდა. ესეც კია, რომ არც თავისი საფიქრალი და არც სამდურავი არავისთან წამოსცდენია. სტეპან ტროფიმოვიჩი ცოტა არ იყოს ჩამოიშორა. რაღაც გეგმებს აწყობდა თავისთვის, წინანდელზე უფრო ხელმოწერილი გახდა, კაპიკს კაპიკზე ადებდა და სტეპან ტროფიმოვიჩსაც უჯავრდებოდა კარტში წაგებული ფულისთვის.

დაბოლოს, ამა წლის აპრილში პარიზიდან წერილი მოუვიდა გენერლის მეუღლის პრასკოვია ივანოვნა დროზდოვასაგან, რომელიც მისი ბავშვობის ამხანაგი იყო. პრასკოვია ივანოვნა აგერ უკვე რვა წელია არ ენახა ვარვარა პეტროვნას და არც მიწერ-მოწერა ჰქონდა მასთან. ის ატყობინებდა, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი ძალიან დაგვიახლოვდა და ლიზასაც (მის ერთადერთ ქალს) დაუმეგობრდა. ამ ზაფხულს შვეიცარიაში აპირებს გამოგვეყვოს Vernex-Montreux-ში, მიუხედავად იმისა რომ გრაფ კ.-ის, (პეტერბურგში ფრიად გავლენიანი კაცის) ოჯახში - ისინიც ახლა პარიზში იმყოფებიან - ღვიძლი შვილივით არის მიღებული და ლამის იმათთან ცხოვრობსო. წერილი მოკლე იყო და აშკარად იგრძნობოდა მისი დაწერის მიზანი. თუმცა ზემოთ მოყვანილი ფაქტების გარდა სხვა არაფერი ეწერა. ვარვარა პეტროვნას ბევრი არ უფიქრია, ხელად გადაწყვიტა და მოემზადა, თან თავისი აღზრდილი დაშა (შატოვის და) წაიყვანა და აპრილის შუა რიცხვებში პარიზში გაემგზავრა, იქიდან კი შვეიცარიაში. ივლისში მარტო დაბრუნდა უკან, დაშა დროზდოვებთან დაეტოვებინა; მისი თქმით, დროზდოვები ჩვენს ქალაქში აგვისტოს ბოლოს ჩამოვიდოდნენ.

დროზდოვებსაც ჩვენს გუბერნიაში ჰქონდათ მამული, მაგრამ გენერალ ივან ივანოვიჩს (ვარვარა პეტროვნას ძველ ნაცნობსა და მისი ქმრის თანამშრომელს)

სამსახური არ აძლევდა საშუალებას ამ თავის დიდებულ მამულს ოდესმე სწევოდა ოჯახით. გენერლის გარდაცვალების შემდეგ, რაც შარშან მოხდა, უნუგემოდ დამწუხრებული პრასკოვია ივანოვნა საზღვარგარეთ გაემგზავრა თავის ქალთან ერთად. სხვათა შორის, ყურძნის წვენიტ მკურნალობაც უნდოდა ჩაეტარებინა და საამისოდ Vernex-montreux-ში უნდა ჩასულიყო ზაფხულის მეორე ნახევარში. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კი გადაწყვეტილი ჰქონდა ჩვენს გუბერნიაში სამუდამოდ დასახლება. დროზდოვების ვეებერთელა სახლი ჩვენს ქალაქში კარგა ხანია ფანჯრებაჭედილი და ცარიელი იდგა. ქონება დიდი ჰქონდათ. პრასკოვია ივანოვნას პირველი ქმარი ტუშინი იყო. მისი პანსიონის ამხანაგის, ვარვარა პეტროვნას მსგავსად, პრასკოვია ივანოვნაც ძველი დროის მოიჯარადრის ქალი გახლდათ და მასაც დიდი მზითევი მოჰყვა. სამსახურიდან გადამდგარ შტაბროტმისტრ ტუშინსაც კაი შეძლება ჰქონდა და არც მთლად უნიჭო კაცი იყო. სიკვდილის წინა თავის ერთადერთ ქალს, შვიდი წლის ლიზას კარგა დიდი თანხა დაუტოვა. ლიზავეტა ნიკოლაევნას, ახლა უკვე ოცდაორი წლის ქალს, ამჟამად ორას ათასამდე ექნებოდა საკუთარი ფული, თუ არას ვიტყვით იმ ქონებაზე, რაც დედის შემდეგ დარჩებოდა; დედამისს მეორე ქმრის ხელში შვილი არ ჰყოლია. ეტყობოდა, ვარვარა პეტროვნა ძალზე კმაყოფილი იყო თავისი მოგზაურობით, მისი აზრით, პრასკოვია ივანოვნას უკვე ყველაფერზე მოელაპარაკა. ჩამოსვლისთანავე ყოველივე გაანდო სტეპან ტროფიმოვიჩს, ფრიად დიდი გულახდილობაც გამოიჩინა მასთან, რაც კარგა ხანია არ უქნია.

- ვაშა! - შეჰყვირა სტეპან ტროფიმოვიჩმა და თითები დაატკაცუნა.

სტეპან ტროფიმოვიჩი სიხარულით ცას ეწია, მეტადრე, რომ მეგობართან განშორება ძალიან იდარდა. ვარვარა პეტროვნა საზღვარგარეთ ისე გაემგზავრა, ხეირიანად არ გამომშვიდობებია და არც თავისი გეგმები გაუმხელია ამ „ქალაჩუნასათვის“, სადმე არ წამოაყრანტალოსო. გულმოსული კი იმაზე იყო, რომ სტეპან ტროფიმოვიჩმა მაშინ საკმაოდ დიდი თანხა წააგო და ეს უეცრივ გამომჟღავნდა. მაგრამ შვეიცარიაშივე მოუბრუნდა გული და გადაწყვიტა, მიტოვებული მეგობრისთვის დაბრუნების შემდეგ აენაზღაურებინა ყველაფერი, მით უფრო, რომ ეს რამდენიმე ხანია მეტად მკაცრად ექცეოდა. ამ ნაჩქარევმა, იდუმალმა გამგზავრებამ ძალიან გააოცა და გული მოუკლა სტეპან ტროფიმოვიჩს. ყოველივე ამას, თითქოსდა განგებ, თან დაერთო სხვა უსიამოვნო ამბებიც, ერთი ძველი, საკმაოდ მნიშვნელოვანი ვალი აწუხებდა, რასაც ვარვარა პეტროვნას დაუხმარებლად ვერასგზით ვერ გაისტუმრებდა. ესეც არ იყოს, ამა წლის მაისში დასრულდა ბოლოს და ბოლოს ჩვენი კეთილი და ლმობიერი ივან ოსიპოვიჩის გუბერნატორობა; მოხსნეს და დიდი უსიამოვნებაც შეხვდა. შემდეგ, ვარვარა პეტროვნას არყოფნაში, ჩვენი ახალი გუბერნატორი ანდრეი ანტონოვიჩ ფონ ლემბკეც ჩამობრძანდა. მისი ჩამობრძანების უმაღლესი თითქმის მთელ ჩვენს გუბერნიის საზოგადოებას შესამჩნევად შეეცვალა განწყობილება ვარვარა პეტროვნასა და, მამასადამე, სტეპან ტროფიმოვიჩის მიმართაც. ყოველ შემთხვევაში, მას უკვე შეეგროვებინა რამდენიმე არასასიამოვნო, უტყუარი ცნობა და, მგონი, ძალზეც დაფრთხა, რაკი ვარვარა პეტროვნა იქ არ ჰყავდა. გულაკანკალებულს ეჭვი ჰქონდა, რომ ახალ გუბერნატორს უკვე ჩააწვეთეს მისი ამბავი, ვითარცა საშიში კაცისა. დანამდვილებით შეეტყო, რომ ზოგიერთ ჩვენს ბანოვანს გადაეწყვიტა ვარვარა პეტროვნას სახლში ფეხი აღარ მიეღდა. ახალი გუბერნატორის მეუღლეზე კი (მას შემოდგომისათვის ელოდნენ ჩვენთან) იმახდნენ, მართალია, გულზვიადი ქალია,

სამაგიეროდ ნამდვილი არისტოკრატი არის, „ჩვენს საცოდავ ვარვარა პეტროვნას“ კი არ ჰგავსო. საიდანღაც გაეგოთ და დაწვრილებითაც, გუბერნატორის მეუღლე და ვარვარა პეტროვნა ერთ დროს თურმე ხვდებოდნენ კიდეც ერთმანეთს პეტერბურგის მაღალ საზოგადოებაში და მტრულად დაშორდნენ, ასე რომ, ქალბატონ ფონ ლემბკეს ვარვარა პეტროვნას გახსენებაც კი ეკლად ესობა გულზეო. ვარვარა პეტროვნას მხნე და გამარჯვებულმა იერმა, მისმა გულგრილმა ზიზღმა ჩვენი ქალბატონების აზრებისა და საზოგადოების მღელვარების მოსმენისას გამოაცოცხლა და მყის გაამხიარულა სულით დაცემული და დამფრთხალი სტეპან ტროფიმოვიჩი. ჰოდა, ვარვარა პეტროვნას საამებლად შეეცადა რაც შეიძლება მეტი იუმორით აღეწერა ახალი გუბერნატორის ჩამობრძანება.

- თქვენ, უეჭველია, მოგეხსენებათ, ჩემო excellente amie[51], - დიდი სიკეცკლუციითა და გატყლარჭვით დაიწყო სტეპან ტროფიმოვიჩმა, - რას წარმოადგენს რუსი ადმინისტრატორი, ზოგადად რომ ვთქვათ, და რას წარმოადგენს რუს ადმინისტრატორად ახლად დანიშნული კაცი. ანუ ახლად გამომცხვარი... ოჰ, ces interminables mots russes![52] მაგრამ არა მგონია პრაქტიკულად გამოგეცადოთ, რას წარმოადგენს ადმინისტრაციული აღტაცება, რა ხილია იგი?

- ადმინისტრაციული აღტაცება? არაფერი ვიცი მაგისი.

- ანუ, vous savez, Chez nous... en un mot[53], დააყენეთ ერთი არარაობა ვინმე ერთი რაღაც უბედური ბილეთების გასაყიდად რკინიგზაზე და ნახავთ, რა იუპიტერად წარმოიდგენს მყისვე ეს არარაობა თავს და როგორ შემოგხედავთ, როცა ბილეთის საყიდლად მიხვალთ, pour vous montrer son pouvoir[54], ნახე ერთი, რა ძალა მაქვს შენზეო... კაცს პირდაპირ ადმინისტრაციული აღტაცება იპყრობს... en un mot, მე წავიკითხე, რომ ვიღაც დიაკვანმა ერთ-ერთ ჩვენს საყდარში საზღვარგარეთ, - mais c'est tres curieux[55], - დიდმარხვის წირვა ლოცვის წინ - vous savez ces chants et le livre de job[56] - საყდრიდან გამოაგდო თურმე, დიახ, დიახ, პირდაპირ გამოაგდო ინგლისელების ერთი ჩინებული ოჯახი. Les dames charmantes[57]. მერედა არ იკითხავთ, რა მიზეზით? წესი არაა უცხოელების ყიალი რუსულ საყდრებში, დანიშნულ დროს მობრძანდნენო... ქალებს გული წაუვიდათ... ეგ დიაკვანიც ადმინისტრაციული აღტაცებით იყო შეპყრობილი et il a montre son pouvoir[58]...

- თუ შეიძლება მოკლედ მოსჭერთ, სტეპან ტროფიმოვიჩ.

- ბატონო ფონ ლემბკე ახლა გუბერნიის დასათვალისწინებლად წაბრძანდა. En un mot, ეს ანდრეი ანტონოვიჩი, მართალია, გარუსებული გერმანელია, სჯულითაც მართლმადიდებელი და არც იმას დავუკარგავ, ერთობ ლამაზი კაცი, ასე ორმოცი წლისა...

- საიდან მოიტანეთ, ლამაზიო? ცხვარივით გამოშტერებული თვალები აქვს.

- დიახ, დიახ, ნამდვილად. მაგრამ რა ვქნა, ჩვენს ბანოვანებს ვერ შევედავები...

- მაგას მოვეშვათ, სტეპან ტროფიმოვიჩ, გთხოვთ! ერთი ეს მითხარით, მაგ წითელ ჰალსტუხს როდის აქეთ ატარებთ?

- არა... ყოველთვის არა.

- ეგრეც ვიცოდი! ჯერ კიდევ შვეიცარიაში მიგრძნო გულმა, - გაჯავრებით შესძახა ვარვარა პეტროვნამ, - ახლა ექვს კი არა, ათსაც გაივლით! საშინლად მოშვებულხართ! კი არ დაბერდით, დაჩაჩანაკდით... წელან რომ დაგინახეთ, გულზე შემომეყარა, მაგ თქვენი წითელი ჰალსტუხის მიუხედავად... quelle idee rouge![59] მითხარით კიდევ ფონ ლემბკეს ამბები, თუ მართლა გაქვთ რამე სათქმელი, და მორჩით ბარემ. დავიღალე.

- En un mot, იმას მოგახსენებდით, რომ ეგ ერთი იმ ახალბედა ადმინისტრატორთაგანია, რომელნიც ორმოც წლამდე არარაობას წარმოადგენენ, მერე კი უეცრად ახლად შერთული ცოლი ან რაიმე არანაკლებ უკიდურესი საშუალება წამოატივტივებთ და კაცად გახდით... ერთი სიტყვით, ახლა აქ არ არის, წასულია... ანუ ის მინდა გითხრათ, რომ ჩემზე მაშინვე ჩააწვეთეს ორივე ყურში, ყმაწვილკაცობას რყვნის და გუბერნიაში ათეიზმს ნერგავსო... იმანაც მაშინვე გამოიკითხა თურმე ყოველივე.

- მართალი კია?

- დიახ, ზომებიც მივიღე. თქვენზე რომ „მოახსენეს“, აქაოდა, „გუბერნიის ბატონ-პატრონი“ ეგ იყო, vous savez[60], ასე უბრძანებია, ეგ აღარ გამეორდებაო.

- ეგრე უთქვამს?

- დიახ, ეგ აღარ გამეორდებაო, მერედა avec cette morque[61]... იულია მიხაილოვნას, მის მეუღლეს, აგვისტოს ბოლოს ვიხილავთ. პეტერბურგიდან ჩამობრძანდება.

- არა, საზღვარგარეთიდან. იქ შევხვდი.

- Vraiment?[62]

- პარიზშიც და შვეიცარიაშიც. დროზდოვებს ენათესავება.

- ენათესავება? რა დიდებული დამთხვევაა! ამბობენ, პატივმოყვარე ქალია და... დიდი ნაცნობობაც აქვსო.

- ხუთით. დედამისმა მოსკოვში კარი ამიტალახა. სამოწყალოდ ვპატიჟებდი წვეულებებზე, როცა ვსევლოდ ნიკოლაევიჩი ცოცხალი იყო. მისი ქალი კი შუბლზე დაკოსებული ფირუზის ბუზით მთელი ღამე კუთხეში იჯდა ხოლმე, საცეკვაოდ არავინ იწვევდა; მერე შემეცოდებოდა და ღამის სამ საათზე კავალერს გავუგზავნიდი. მაშინ კაი ოცდახუთი წლისა იქნებოდა, თუმცა პატარა გოგოსავით მოკლე კაბებში დაატარებდნენ. მაგათი სტუმრობა სამარცხვინოც კი იყო.

- ეგ ბუზი თითქოს თვალწინ მიდგას.

- გეუბნებით, ჩავედი თუ არა, დამხვდა, მაგრამ რა ხრიკები დამხვდა. ხომ წაგაკითხეთ ახლა დროზდოვას წერილი, ნათლად არ წერია ყველაფერი? იქ კი რა სურათი ვნახე! ეგ შტერი დროზდოვა, მუდამ შტერი იყო, გაკვირვებული მიყურებს. აქაოდა, ვითომდა რაზე ჩამობრძანდიო? წარმოგიდგენიათ ჩემი განცვიფრება! ვხედავ, ეგ ლემბკეს კნეინა არ ტრიალებს იქა, ის კუზენიც თან ახლავს, ბებერი დროზდოვის ძმისწული. მაშინვე მივხვდი ყველაფერს! ცხადია, უმალ ჩემებურად მოვატრიალე

საქმე, პრასკოვია ისევ ჩემს მხარეზე გადმოვიბირე, მაგრამ უყურე ერთი, რა ხრიკები სცოდნია!

- და მაინც თქვენ სძლიეთ ყველას. ბისმარკი ხართ, ნამდვილი ბისმარკი!

- ბისმარკისა რა მოგახსენოთ, და სიყალბესა და სისულელეს კი ვერავინ გამომაპარებს. ლემბკე - თავით ფეხამდე ყალბია, პრასკოვია კი - სულელი. იშვიათად მინახავს ეგეთი ბოთე დედაკაცი, თან ფეხებიც რომ უსივდება და კეთილიც არი. ბრიყვი და ისიც კეთილი ბრიყვი, ამაზე სულელური რა იქნება?

- ბოროტი ბრიყვი, ma bonne amie[63], ბოროტი ბრიყვი კიდეც უფრო უარესია, - დინჯად ჩაურთო სტეპან ტროფიმოვიჩმა.

- იქნებ არც სცდებით. ლიზა რომ გახსოვთ?

- Charmante enfant![64]

- ახლა enfant კი არადა, ქალია, თანაც მტკიცე ხასიათის ქალი, კეთილშობილი და გულფიცხი, მომწონს, თავის შტერ, ყველაზე მიმნდობ დედას რომ არაფერს უთმობს. იმ კუხუნის გამო კინაღამ ერთი ამბავი არ დატრიალდა.

- ვაჰ, ეგ ხომ მართლა ნათესავად არც ერგება ლიზავეტა ნიკოლაევნას... ვითომ თვალი უჭირავს?

- ეგ ერთი ახალგაზრდა ოფიცერია, ფრიად სიტყვაძვირი, წარმოიდგინეთ, თავმდაბალიც კი. მე მუდამ სიმართლის თქმა მიყვარს. ჩემი აზრით, თვითონაც წინააღმდეგი იყო ამ ხრიკებისა და არც არაფერს გამოელოდა, ეს სულ ლემბკეს კნეინას ოინებია. Nicolas-ს დიდ პატივს სცემდა. ხომ გესმით, ყველაფერი ლიზაზეა დამოკიდებული. მე რომ წამოვედი, ლიზა და Nicolas დიდებულად იყვნენ ერთმანეთთან. Nicolas შეჰპირდა, ნოემბერში უთუოდ ჩამოვალო. მამასადამე, ეგ სულ ლემბკეს კნეინას ოინებია. პრასკოვია კი ბრმაა და მეტი არაფერი. ადგა და უცებ მომახალა, ეგ შენი ეჭვები - სულ ფანტაზია არისო. პირში ვუთხარი, შტერი ხარ-მეთქი. განკითხვის დღესაც არ გადავფიცავ. Nicolas რომ არ შემხვეწნოდა, ჯერ-ჯერობით მოემვიო, მანამ არ წამოვიდოდი, სანამ მაგ ფლიდ დედაკაცს სააშკარაოზე არ გამოვიყვანდი: Nicolas-ს მეშვეობით გრაფ კ-ის ოჯახში უნდოდა შეძრომა, დედა-შვილის გათიშვა მოიწადინა. მაგრამ ლიზა ჩვენს მხარეზე, პრასკოვიას კ მე მოველაპარაკე. იცით, კარმაზინოვი რომ მაგის ნათესავია?

- რაო? მაღამ ფონ ლემბკეს ნათესავი?

- ჰო, შორეული.

- კარმაზინოვი, ნუველისტი კარმაზინოვი?

- ჰო, მწერალი, რა გაიკვირვებთ? თავი დიდ მწერლად მოაქვს ამ გაბლენძილ სალახანას! მაგ ქალბატონს ჩამოჰყვება ახლა იქ თავს ევლება კარმაზინოვს. რაღაც ლიტერატურული შეკრებების მოწყობას აპირებს ჩვენთან. კარმაზინოვი ერთი თვით ჩამოვა. უკანასკნელი მამულიდა დარჩენია და მისი გაყიდვა უნდა. შვეიცარიაში კინაღამ შეეხვდი, არც მაინცდამაინც მინდოდა. იმედია, იკადრებს და მიცნობს. ძველად წერილებს მწერდა, ჩვენსა დაიარებოდა. რა იქნება, თავს მიხედოთ და უკეთ

ჩაიცვათ, სტეპან ტროფიმოვიჩ, დღითიდღე უფრო ბელეშა ხდებით... ო, როგორ მაწამებთ! ახლა რას კითხულობთ?

- მე... მე...

- მესმის, წინანდელივით კვლავ ამფსონები, სმა, კლუბი, კარტი და ათეისტის სახელი. მე ეგ სახელი არ მომწონს, სტეპან ტროფიმოვიჩ. არ მინდა, რომ ათეისტი დაგიძახონ, მეტადრე ახლა. არც წინად მსიამოვნებდა მაინცდამაინც, ვინაიდან ცარიელი ლაქლაქია და მეტი არაფერი. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა ითქვას სიმართლე.

- Mais, ma chere[65]...

- ყური მიგდეთ, სტეპან ტროფიმოვიჩ, რაც ცოდნას და სწავლას შეეხება, მე, რა თქმა უნდა, ვერ შეგედრებით, მაგრამ აქეთ რომ მოვდიოდი, გზაში სულ თქვენზე ვფიქრობდი და ერთ რამეში დავრწმუნდი.

- მაინც რაში?

- იმაში, რომ მე და თქვენ ყველას ვერ ვაჯობებთ ჭკუით, ჩვენზე ჭკვიანებიც მოიძებნებიან.

- მოსწრებულებიც არის და მარჯვედ ნათქვამიც. თუ ჩვენზე ჭკვიანები არიან, მაშასადამე, ჩვენზე მართლებიც არიან და, მაშასადამე, ჩვენც შეიძლება შევცდეთ, ხომ ასეა? Mais, ma bonne amie, ვთქვათ და მე შევცდი, მაგრამ მეც ხომ მაქვს ჩემი ადამიანური უფლება, როგორც მთელ კაცობრიობას, მქონდეს თავისუფალი სინდისი? ხომ მაქვს უფლება არ ვიყო თვალთმაქცი და ღვთის გარეგანი, თუკი ასე მსურს, ამიტომ რა გასაკვირია, მთელი სიცოცხლე ვიღაც ვაჟბატონებს ვძულდე. Et puis, comme on trouve toujours plus de moines que de raison[66], ჰოდა, რაკი მეც სავსებით ვიზიარებ ამას...

- როგორ, როგორა თქვით?

- ეს პასკალმა[67] თქვა.

- ეგრეც მეგონა... რომ თქვენი არ იყო! ასე მოკლედ და მოსწრებულად რატომ თქვენ არ იტყვით ხოლმე და მუდამ უსაშველოდ აჭიანურებთ? ეს უფრო ჭკვიანურია იმაზე, რაც წელან ადმინისტრაციულ აღტაცებაზე თქვით...

- რატომ? Ma foi, chere[68]... პირველ ყოვლისა, ალბათ იმიტომ, რომ მე პასკალი არ გახლავართ, et puis[69], ჩვენ, რუსებს, ჩვენს ენაზე არაფრის თქმა არ გვებერხება... ყოველ შემთხვევაში აქამდე არაფერი გვითქვამს.

- ჰმ! ვფიქრობ, ვცდებით. ყოველ შემთხვევაში, ზედმეტი არ იქნებოდა ასეთი სიტყვები ჩაგეწერათ და დაგემახსოვრებინათ, თუკი ვთქვათ და ლაპარაკში დაგჭირდათ... ოჰ, სტეპან ტროფიმოვიჩ, მოვდიოდი და სულ იმას ვფიქრობდი, ძალიან, ძალიან სერიოზულად მოველაპარაკები-მეთქი!

- Chere, chere amie!...[70]

- ახლა, როცა ეს ლემბკეები, ეს კარმაზინოვები... ოჰ, ღმერთო ჩემო, მაინც როგორ დაჩაჩანაკებულხართ! ოჰ, როგორ მაწამებთ!.. მე მინდა ყველა გაფასებდეთ, ვინაიდან

თქვენი ფრჩხილის, დიახ, ფრჩხილის ღირსი არავინაა, თქვენ კი როგორ იქცევით? სად გამოგაჩინოთ? იმის მაგივრად, კვლავ მაგალითად დარჩეთ ხალხისთვის კეთილშობილურ საქმეთა მოსაგონარად, ადექით და ვიღაც ნაძირალები დაიახლოვებთ, რაღაც აუტანელი ჩვევები შეითვისებთ, დაუძღვრდით, ღვინისა და კარტის მეტი არაფერი გახსოვთ, მარტო პოლ დე კოკს კითხულობთ, არაფერს არ წერთ, მაშინ როცა იქ ყველანი წერენ. მთელი დღეები ყბედობთ. ან გეკადრებათ ისეთ სალახანას გაუყადროთ თავი, როგორც ეგ თქვენი განუყრელი ლიპუტინია?

- ვითომ რატომ გახლავთ ჩემი და ისიც განუყრელი? - შეჰბედა სტეპან ტროფიმოვიჩმა.

- ახლა სად ბრძანდება? - მკვახედ განაგრძო ვარვარა პეტროვნამ.

- ეგ.. თქვენი უსაზღვრო პატივისმცემელია, ახლა ს-კში გაემგზავრა, დედა გარდაეცვალა და მემკვიდრეობა უნდა მიიღოს.

- ეგ, მგონი, სულ ფულების ხვეტაშია. შატოვი რას აკეთებს? ისევ ისეა?

- Jrascible, mais bon[71].

- დარია პავლოვნა როგორ ბრძანდება?

- დაშაზე მეკითხებით? რამ მოგაგონათ? - ცნობისმოყვარეობით შეხედა ვარვარა პეტროვნამ. - კარგად არის, დროზდოვებთან დავტოვე... შვეიცარიაში მითხრეს რაღაც თქვენს ვაჟზე, თუმცა კარგი არაფერი.

- Oh, c'est une histoire bien bête! Je vous attendais, ma bonne amie, pour vous raconter...[72]

- კმარა სტეპან, ტროფიმოვიჩ, მომასვენეთ, სული ნუ ამომხადეთ. მოვასწრებთ ლაპარაკს, მეტადრე ცუდზე. სიცილის დროს დორბლები გცვივათ, მთლად დაჩაჩანაკებულხართ! ან ეგ რა უცნაური სიცილი დაგჩემდათ. ღმერთო, რამდენი ცუდი ზნე შეგითვისებიათ! კარმაზინოვი თქვენ არ გესტუმრებათ! აქ კი ოღონდაც გაგვჭორონ და... თქვენც ხომ ახლა სულ გამოამყდვენთ თავი. აბა, კმარა, გეყოფათ, დავიღალე! ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა შეიცოდოთ ადამიანი!

სტეპან ტროფიმოვიჩმა „შეიცოდა ადამიანი“, მაგრამ შემცბარი კი გასცილდა.

V

მართლაც ბევრი ცუდი ზნე დასჩემებოდა ჩვენს მეგობარს. მეტადრე ამ ბოლო ხანს. თვალსა და ხელს შუა შემოგვაბერდა. ისიც მართალია, რომ ბელეშა გახდა. სმას უმატა. ცრემლიც ახლა უფრო ხშირად ერეოდა. ნერვებმაც უმტყუნა. ყოველივე ლამაზი და ნატიფი რაღაც მეტისმეტად უჩვილებდა გულს. ეს ერთი უცნაურობაც დაეწყო: ამ წუთს რომ, მაგალითად ბრძენის სახე ჰქონდა, მეორე წუთს ყოვლად სასაცილო და სულელური გაუხდებოდა. მარტოობა ვეღარ აეტანა, წარამარა გართობა სწყუროდა. ყოველდღე ცინცხალი ჭორი ან ანეკდოტი უნდა გეამბნა. თუ დიდხანს არავინ მოინახულებდა, დაღონებული დაბორილებდა ოთახებში, ფანჯარას მიადგებოდა, ჩაფიქრებული აცმაცუნებდა ტუჩებს, ღრმად ოხრავდა, ბოლოს კი ლამის ტიროდა. სულ რაღაც ავს უთქვამდა გული, სულ რაღაცის ემინოდა, რაღაც

მოულოდნელისა და გარდუვალის; მფრთხალი გახდა, სიზმრებისა ახლა მეტად სჯეროდა.

მთელი ის დღე და საღამო მეტისმეტად დაღონებული იყო, კაცი გამომიგზავნა, ძალზე ღელავდა, ბევრი მელაპარაკა და საკმაოდ უთავბოლოდაც. რომ ის არაფერს მიმალავდა, ვარვარა პეტროვნამ დიდი ხანია იცოდა, ბოლოს ეჭვი ავიღე, ალბათ რაღაც ისეთი აწუხებს, რაშიც თვითონაც ვერ გარკვეულა-მეთქი. წინათ, როცა მარტო დავრჩებოდი და თავის სატკივარს შემომძივლებდა ხოლმე, ცოტა ხნის შემდეგ მაგიდაზე უთუოდ ბოთლი გაჩნდებოდა და ისიც დაშოშმინდებოდა. ამჯერად ღვინო აღარ გამოუტანიათ. შევატყვე, რამდენჯერმე კი მოინდომა ღვინოზე კაცის გაგზავნა, მაგრამ თავი შეიკავა.

- ნეტა რას მერჩის, რას მიბრაზდება! - წარამარა შემომჩიოდა ბავშვივით, - Tous les homes de genie et de progress en Russia etaient, sont et seront toujours des კარტის მოთამაშენი et des ლოთები, qui boivent en zapoi...[73]

მე კი ჯერ არც დიდი კარტის მოთამაშე ვარ და არც ისეთი ლოთი... მაყვედრის, რატომ არაფერს წერო? საოცრება თუ გინდა!.. რად წევხარო? „ცოცხალ მაგალითად და საყვედურად“ უნდა იდგეთო. Mais, entre nous soit dit[74], სხვა აბა რა დარჩენია კაცს, ვისაც ცოცხალ „საყვედურად“ ყოფნა არგუნა ბედმა, თუ არ მხარეთემოზე წამოწოლა, ნუთუ არ იცის?

როდის-როდის მივაკვლიე, რა აღონებდა და აწუხებდა ყველაზე მეტად სტეპან ტროფიმოვიჩს. ბევრჯერ მიადგა იმ საღამოს სარკეს და დიდხანს უცქირა თავის თავს. ბოლოს მოტრიალდა და საოცარი სასოწარკვეთილებით მითხრა: - Mon cher, მე მართლა დავჩაჩანაკებულვარ!

დიახ, აქამდე ამ დღემდე მოყოლებული, რა „ახალი აზრები“ და რა „იდეები“ არ უნდა ერწმუნა ვარვარა პეტროვნას, სტეპან ტროფიმოვიჩს ის მაინც მუდამ სწამდა და სჯეროდა, რომ ქალის გული კვლავ მოხიბლული და დატყვევებული ჰქონდა არა მარტო როგორც დევნილსა ან დიდებულ სწავლულს, არამედ როგორც ლამაზ მამაკაცს. ოცი წელი ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი ეს მისი თავმოყვარეობისათვის ფრიად საამური და სანუგეშო რწმენა და იქნებ სხვა დანარჩენზე უფრო მისი დაკარგვა ემძიმა ახლა. ნეტა თუ უგრძნო გულმა იმ საღამოს, რა დიდზე დიდ გამოცდას უმზადებდა ბედი მომავალში?

VI

ახლა კი რამდენადმე სასეირო ამბის აღწერას შევუდგები, საიდანაც იწყება სწორედ ჩემი ქრონიკა.

ავვისტოს მიწურულში, როგორც იყო, დაბრუნდნენ დროზდოვები. ჩამოვიდნენ ცოტა უფრო ადრე, ვინემ მათ ნათესავი ქალი, ჩვენი ახალი გუბერნატორის მეუღლე, რომელსაც რა ხანია ელოდა მთელი ქალაქი. დროზდოვების ჩამოსვლამ საერთოდ ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. მაგრამ ამ საყურადღებო ამბებზე შემდეგ მოგახსენებთ; ახლა მხოლოდ იმასლა ვიტყვი, რომ პრასკოვია ივანოვნამ ერთი თავსამტვრევი გამოცანა ჩამოუტანა ვარვარა პეტროვნას, რომელიც მოუთმენლად ელოდა მის ჩამოსვლას; Nicolas ჯერ კიდევ ივლისის თვეში

დაგვმორდა, რაინზე გრაფ კ-ის ოჯახს შეხვდა და მათ პეტერბურგში გაჰყვავა (გრაფს სამი გასათხოვარი ქალი ჰყავდა) - ლიზავეტას სიამაყისა და უჯიათობის ამბავი მოგეხსენებათ, ვერაფერი დავაცდენინე, - დაასკვნა ბოლოს პრასკოვია ივანოვნამ. - მაგრამ რომ ლიზავეტასა და ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს შორის რაღაც მოხდა, ეს კი აშკარად შევატყვე. მიზეზი არ ვიცი, მე მგონია, ჩემო ძვირფასო ვარვარა პეტროვნა, მიზეზი თქვენს დარი პავლოვნას უნდა ჰკითხოთ. ჩემი აზრით, ლიზა ნაწყენი დარჩა. მე კი უზომოდ მოხარული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს ეგ თქვენი გულის საყვარელი ჩამოგიყვანეთ და უკანვე ჩაგაბარეთ: თავიდან მაინც მოვიშორე.

ეს გესლიანი სიტყვები დიდი გაგულისებით იყო ნათქვამი, ეტყობოდა, ამ „ბოთე დედაკაცს“ წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული და წინასწარ ნეტარებდა იმის წარმოდგენით, რა ლახვარს ჩასცემდა ვარვარა პეტროვნას. მაგრამ ვარვარა პეტროვნა ისეთ ქალი როდი იყო, ამ სანტიმენტალურ სიტყვებსა და გამოცანებს შეეცბუნებინა. მკაცრად მოსთხოვდა ზუსტი, დამაკმაყოფილებელი ცნობები. პრასკოვია ივანოვნამ ხელად დაუწია ხმას, ბოლოს კი ატირდა და მეგობრულად დაფქვა ყველაფერი. სტეპან ტროფიმოვიჩისა არ ყოს, ამ ფხუვიან, მაგრამ სანტიმენტალურ ქალბატონსაც ნიადაგ ჭემმარტი მეგობარი სჭირდებოდა და ყველაზე მეტად იმას უჩიოდა თავის ქალს, ლიზავეტა ნიკოლაევნას, შვილი მეგობრად ვერ გაეზარდეთ.

მისი ნალაპარაკებიდან ზუსტი მხოლოდ ის გამოდგა, რომ ლიზას და Nicolas-ს შორის მართლაც რაღაც უსიამოვნება მოხდა. ოღონდ რა უსიამოვნება - პრასკოვია ივანოვნას, ეტყობა, ამაზე გარკვეული წარმოდგენა ვერ შეექმნა, ხოლო დარია პავლოვნას მიმართ წაყენებულ ბრალდებაზე არათუ უარი თქვა ბოლოს, პირიქით, განსაკუთრებითაც შეეხვეწა, ჩემს წელანდელ სიტყვებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ, „გაჯავრებულ გულზე“ წამომცდაო. მოკლედ, ისეთი დაბურდული საქმე გამოდიოდა, ადამიანს დააეჭვებდა. მისი გადმოცემით, უსიამოვნება ლიზას „უჯიათსა და დამცინავ ხასიათს“ გამოეწვია; „ამაყმა ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩმა კი დაცინვა ველარ მოითმინა, თუმცა ძალიან შეყვარებული კი იყო, და თვითონაც დაცინვა დაუწყო“.

- არ გასულა ამის შემდეგ დიდი ხანი, ერთი ყმაწვილი კაცი გავიცანით. მგონი, თქვენი პროფესორის“ ძმისწული უნდა იყოს, გვარიც იგივე აქვს...

- ძმისწული კი არადა, ვაჟი გახლავთ, - შეუსწორა ვარვარა პეტროვნამ. პრასკოვია ივანოვნას ადრეც ვერა და ვერ დაეხსომებინა სტეპან ტროფიმოვიჩის გვარი და მუდამ „პროფესორს“ ეძახდა.

- ვაჟია და ვაჟი იყოს, უფრო უკეთესი, მე რაში მენადვლება, ერთი ჩვეულებრივი ყმაწვილია, ძალიან ცქვიტი და თამამი, თუმცა დიდი არაფერი. ეს კი მართლა დააშავა ლიზამ, რომ ყმაწვილი დაიახლოვა, აქაოდა, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს დავაეჭვიანებო. მაინცდამაინც ვერ გავამტყუნებ ამისთვის, ჩვეულებრივი ამბავია, ყმაწვილ ქალებს ასე მოსდგამთ, შეშვებით კიდევ. მაგრამ იეჭვიანა კი არადა, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი იქით დაუმეგობრდა ამ ყმაწვილს, თითქოს ვერაფერი შეამჩნია, ან არადა, სულაც არაფრად ჩააგდო. ამან ხომ სულ გაამწარა ლიზა. მალე ის ყმაწვილი გაემგზავრა (სადღაც ეშურებოდა ძალიან). ჰოდა, ლიზაც გაეკიდა ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს, შემთხვევას არ გაუშვებდა, კბილი არ გაეკრა. შეამჩნია, ზოგჯერ დაშას ელაპარაკებო, და სულ გადაირია, მას აქეთ მოსვენება აღარც მე მქონდა, გეთაყვა. მე კი ექიმებმა ამიკრძალეს, გული არ მოიყვანო. იმათმა ნაქებმა ტბამაც

მომაბეზრა თავი, კბილების ტკივილი დამიწყო, ისეთი რევმატიზმი დამემართა. ამაზე წერენ კიდეც, ჟენევის ტბამ კბილის ტკივილი იცის, ასეთი თვისება აქვსო. აქ კიდეც ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს უეცრივ გრაფის მეუღლის წერილი მოუვიდა, ჰოდა, დაჰკრა ფეხი და წავიდა, ერთ დღეში გაემზადა. ერთმანეთს მეგობრულად დასცილდნენ, ლიზამაც მხიარულად გააცილა, სულ კისკისებდა. ოღონდაც ნამალადევი იყო ეს ყველაფერი. მერე ძალიან ჩაფიქრებული დადიოდა, არც თვითონ ახსენებდა მის სახელს და მეც მიკრძალავდა. ახლა, ჩემო კარგო ვარვარა პეტროვნა, ჩემი რჩევას, ამ საგანზე ლიზას ნურც თქვენ დაუწყებთ ლაპარაკს, საქმეს გააფუჭებთ მხოლოდ. თუ გაუჩუმდებით, პირველი თვითონ ჩამოგიგდებთ სიტყვას; მაშინ უფრო მეტს შეიტყობთ. ჩემი ფიქრით, ისევ მორიდებიან, თუკი ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩმა პირობა არ დაარღვია და ჩამოსვლა არ დაანახა.

- ახლავე მივწერ. თუ ყველაფერი ასე იყო, მარტო უბრალო უსიამოვნება ყოფილა. სისულელეა! დარიასაც მშვენივრად ვიცნობ. ტყუილია.

- სულო ცოდვილო და, დაშენკაზე მართლა შევცოდე. ჩვეულებრივი ლაპარაკი ჰქონდათ მარტო, მეტი არაფერი, ისიც ხმამაღლა. მაგრამ რა ვქნა, გეთაყვა, ძალიან მომშალა მაშინ მაგ ამბებმა. ლიზაც მერე წინანდელივით დაუახლოვდა...

ვარვარა პეტროვნამ იმავე დღეს მისწერა ნიკოლაის წერილი, ემუდარებოდა, დათქმულ დროზე ერთი თვით ადრე ჩამოდიო. მაგრამ გულში მაინც რაღაც ხინჯი ჩარჩა. მთელი ის საღამო და ის ღამე სულ ფიქრებში გაატარა. „პრასკოვიას“ აზრი მეტისმეტად გულუბრყვილო და სანტიმენტალური ეჩვენა. „პრასკოვია გრძნობების ამყალი იყო პანსიონიდანვე, - ფიქრობდა ვარვარა პეტროვნა, - ი Nicolas ისეთი კაცი არაა, გოგოს დაცინვამ გააქციოს. თუ მართლა ჩხუბი მოუვიდათ, მიზეზი სხვა იქნება. ეგ ოფიცერიც აქ ჩამოიყვანეს, მაგათთან ჩასახლდა ნათესავივით. დარიაზეც პრასკოვიამ რაღაც მეტისმეტად სწრაფად წაიღო სიტყვები უკან. ალბათ რაღაც ჩაიტოვა გულში, რისი თქმაც არ უნდოდა...“

დილას ვარვარა პეტროვნას უკვე დაწყობილი ჰქონდა გეგმა. ასეა თუ ისე, ერთ საგონებელს მაინც გადარჩებოდა. გეგმა მოულოდნელი და საკვირველი იყო. რა უთხრა გულმა ამის გადაწყვეტისას? ეს არ ვიცი და ვერც წინასწარ ვიკისრებ მთელ ამ წინააღმდეგობათა ხლართის გამოხსნას. მე ქრონიკის აღმწერი ვარ და ჩემს მოვალეობას მხოლოდ ის შეადგენს, ზუსტად იმ სახით წარმოგიდგინოთ ყველაფერი, როგორც მოხდა. ჩემი ბრალი არაა, თუ კაცს დაუჯერებლად მოეჩვენება. ოღონდ იმას კი დავამოწმებ, რომ დილისათვის უკვე ყოველგვარი ეჭვია გაეფანტა დამაზე, თუმცა, მართალი რომ ითქვას, არც არასოდეს აღძვრია, იმდენად სწამდა მისი. ვერც იმას დაიჯერებდა, რომ Nicolas თავს გაუყადრებდა იმ... „დარიას“. მთელი დილა თვალი არ მოუცილებია დარია პავლოვნასთვის, როცა ის ჩაის ასხამდა. გუმინდილიდან მოყოლებული ბარე ოცჯერ მაინც დარწმუნდებით ჩააგონა თავს.

- ტყუილია ყველაფერი!

ოღონდ ეს კი შენიშნა, რომ დარია რაღაც მოთენთილი გამოიყურებოდა და წინანდელზე მეტად გარინდული, უგულისყურო იყო. ჩაის მერე წესისამებრ ორივე ხელსაქმეს ჩაუჯდა. ვარვარა პავლოვნამ მოსთხოვა, ყველაფერი მიაძმე, როგორ მოგეჩვენა იქაური ბუნება, ხალხი, ქალაქი, ზნე-ჩვეულება, მათი ხელოვნება, მრეწველობა, - ერთი სიტყვით, რის შემჩნევაც მოასწარიო. დროზდოვებზე და მათთან

მის ყოფნაზე ერთი კრინტი არ დაუძრავს. დაშა გვერდით ეჯდა სამუშაო მაგიდასთან და ქარგვაში შველოდა. წყნარად და ერთფეროვნად უამბობდა მთელი ნახევარი საათი ამ ამბებს. ოღონდაც ხმა რამდენადმე მისუსტებოდა.

- დარია, - გააწყვეტინა უეცრივ ვარვარა პეტროვნამ, - სხვა არაფერი გაქვს ჩემთვის სათქმელი?

დაშამ წამით იყუჩა და ვარვარა პეტროვნას ნათელი თვალები შეანათა.

- არა, არაფერი.

- გულსა და სულში არაფერი ჩაგრჩა, სინდისზე არაფერი გაწევს?

- არაფერი, - წყნარად, მაგრამ ჯიუტად და მტკიცედ გაიმეორა დაშამ.

- ეგრეც ვიცოდი! გახსოვდეს, დაშა, შენში ეჭვი არასოდეს შემეპარება. ახლა იჯექი და ყური მიგდე. არა, აი ამ სკამზე გადმოდი, წინ დამიჯექი. მინდა გიყურო. აი, ეგრე, გამიგონე - არ გინდა გაგათხოვო?

დაშამ შეხედა, ერთხანს თვალი არ მოაცილა, თუმცა დიდად გაოცდაო, ვერ იტყოდი.

- ჩუ, არაფერი თქვა. ჯერ ერთი, ასაკში დიდი სხვაობაა, მაგრამ შენც კარგად იცი, ეს რა სისულელეა. გონიერი ქალი ხარ და ცხოვრებაში მცდარი ნაბიჯი არ უნდა გადადგა. თუმცა ის ჯერ კიდევ ლამაზი მამაკაცია... ერთი სიტყვით, სტეპან ტროფიმოვიჩზე გეუბნები. შენ მუდამ გქონდა მისი პატივისცემა, რას იტყვი?

დაშამ კიდევ უფრო გაკვირვებით შეხედა და ამჯერად შესამჩნევად გაწითლდა.

- ჩუ, არაფერი თქვა, არ იჩქარო! მართალია, ანდერძით ფულს გიტოვებ, მაგრამ რომ მოვკვდე, ფული რას გიშველის? მოგატყუებენ და ფულს დაგცინცლავენ, ჰოდა, დაიღუპები. მის ხელში კი ცნობილი კაცის ცოლი გახდები. ახლა მეორე მხრივ განსაჯე: ამ წუთს რომ მოვკვდე, იმას რა ეშველება, თუნდაც რომ ფული დავუტოვო? შენი იმედი კი მექნება. დამაცა, არ გამითავებია: ქერქეტა რომაა, დოყლაპია, გულქვა, ეგოისტი, ცუდი ზნე რომ აქვს, ამას ლაპარაკი არ უნდა, მაგრამ, ჯერ ერთი, იმიტომ უნდა დააფასო, რომ იმაზე უარესებიც არიან. ხომ არ გგონია, შენი თავიდან მოშორება მინდა და ვიღაც ვიგინდარას გატან? რაც მთავარია, იმიტომ უნდა დააფასო, მე გთხოვ ამას, - მოსჭრა უეცრივ ვარვარა პეტროვნამ, - გესმის? რას გაკერპდი, ხმას რად არ იღებ?

დაშა დუმდა და უსმენდა.

- ჩუ, ჯერ დაიცა, ქალაჩუნაა - მაგრამ ეს შენთვის ხომ უკეთესია. გლახაკი და ქალაჩუნაა. რა ღირსია ქალს უყვარდეს. მაგრამ უმწეოა და უმწეობისთვის უნდა გიყვარდეს. გესმის ჩემი? გესმის?

დაშამ თავი დაუქნია.

- ეგრეც ვიცოდი, სხვას არც მოველოდი შენგან. იმას კი ეყვარები, მოვალეა შეგიყვაროს, დიახ, დიახ, უნდა შეგიყვაროს, უნდა გაგაღმერთოს! - რაღაც უცნაური გაგულისებით აღმოხდა ვარვარა პეტროვნას, - თუმცა ისედაც შეგიყვარებს, ვიცი მაგისი ამბავი. თან მეც აქ არა ვარ, ნუ გეშინია, მე მუდამ აქ ვიქნები. იცოდე, სულ შენს

საყვედურებში იქნება, ცილს დაგწამებს, ყველასთან გაგჭორავს, იწუწუნებს, სულ იწუწუნებს; ერთი ოთახიდან მეორეში წერილებს გამოგიგზავნის, დღეში ორ-ორს, მაგრამ უშენოდ მაინც ვერ გასძლებს, თავიდათავი ესაა. აიძულე დაგემორჩილოს, ვერ დაიმორჩილებ და შენს უჭკუობას დააბრალებ. თავის ჩამოხრჩობას დააპირებს, დაგემუქრება - არ დაუჯერო; სულ ტყუილებია! არ დაუჯერო, მაგრამ მაინც ფხიზლად იყავი, ეგებ ადგეს და მართლა ჩამოიხრჩოს, მაგისთანებისგანაა სწორედ მოსალოდნელი. ვაჟკაცობით კი არა, ლაჩრობით მოსდით, ამიტომაც მეტისმეტად ნუ გაამწარებ, - ცოლქმრობაში ესაა პირველი კანონი. ისიც გახსოვდეს, რომ პოეტია. გამიგონე, დარია: თავგანწირვაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. რაც მთავარია, მეც დიდად მამებ. არ გეგონოს, სისულელეს ვროშავდე. ვიცი, რასაც ვამბობ. მე ეგოისტი ვარ და შენც ეგოისტი იყავი. ძალას არ გატან. ყველაფერი შენს ნება-სურვილზეა, როგორც იტყვი, ისე იქნება. აბა, რას გაჩუმებულხარ, თქვი რამე!

- ჩემთვის სულ ერთია, ვარვარა პეტროვნა, თუკი აუცილებელია ჩემი გათხოვება, - მტკიცედ თქვა დაშამ.

- აუცილებელიო? რას გულისხმობ ნეტა? - წარბები შეჰყარა და დაკვირვებით შეხედა ვარვარა პეტროვნამ.

დაშამ საქარგავში ნემსს აცოდვილებდა და დუმდა.

- ჭკვიანი ქალი ხარ, მაგრამ როშავ კი რაღაცას. მართალია, შენი გათხოვება უთუოდ ახლა მაქვს განზრახული, ოღონდ იმიტომ კი არა, აუცილებლობა მოითხოვდეს. უბრალოდ ასე მომაფიქრდა, ისიც მართო სტეპან ტროფიმოვიჩის გულისთვის. სტეპან ტროფიმოვიჩი რომ არა, თავშიაც არ მომივიდოდა ახლა შენი გათხოვება, რა ვუყოთ, რომ უკვე ოცი წლისა ხარ... რას იტყვი?

- როგორც გენებოთ, ვარვარა პეტროვნა.

- მაშასადამე, ყაბულსა ხარ! ჩუ, არაფერი თქვა, რა გაჩქარებს, მე არ მომითავებია სათქმელი. ანდერძში თხუთმეტი ათასი მანეთი მაქვს შენს სახელზე ჩაწერილი. ამ ფულს ახლავე ჩაგითვლი, ჯვრისწერის შემდეგ. აქედან რვა ათასს მას მისცემ, ესე იგი, მას კი არა, მე. რვა ათასი ვალი აქვს; მე გადავიხდი, მაგრამ უნდა იცოდეს, რომ შენი ფულით გადავიხადე შვიდი ათასი ხელზე დაგრჩება. მანეთი არ მისცე არასოდეს არც მისი ვალები გადაიხადო. ერთხელ თუ გადაიხადე - მერე მორჩა. თუმცა მე სულ აქ არ ვიქნები. ყოველწლიურად ჩემგან ას ოც თუმანს მიიღებთ, რასაც სხვა შემთხვევისათვის დაგიმატებთ, იმიანად ას ორმოცდაათი გამოვა. ბინისა და საჭმლის ხარჯი ჩემი იქნება, ისევე, როგორც ახლა არის. ოღონდაც მოსამსახურე თქვენ აიყვანეთ. მთელი წლის ფულს ერთად მოგცემ ხოლმე ხელში. მაგრამ ზოგჯერ მაგასაც მიეცი შეღავათი, ცოტ-ცოტა აძლიე, მეგობრების მოყვანაც არ დაუშალო კვირაში ერთხელ, თუ მეტჯერ მოვიდნენ, გაყარე. თუმცა მეც აგერ ვიქნები. ხოლო თუ მოვკვდი, სანამ ის ცოცხალია, პენსიონს მაინც მიიღებთ, გესმის, სანამ ის ცოცხალია, ვინაიდან ეს მისი პენსიონია და არა შენი. შენ კი მაგ შვიდასი თუმნის გარდა, რომელიც, თუ ჭკუას გამოიჩენ, უკლებლივ დაგრჩება, კიდევ რვაას თუმანს დაგიტოვებ ანდერძში. მეტს ჩემგან ვერაფერს მიიღებ, ეს უნდა იცოდე. აბა, თანახმა ხარ? ბოლოს და ბოლოს ამოშაქრავ რამეს?

- აკი გითხარით, ვარვარა პეტროვნა.

- გახსოვდეს, ნება შენია, როგორც იტყვი, ისე იქნება.
- ვარვარა პეტროვნა, სტეპან ტროფიმოვიჩმა რამე გითხრათ უკვე?
- არა, არაფერი უთქვამს, არ იცის, მაგრამ... მაგრამ ახლავე იტყვის!

ვარვარა პეტროვნა ფიცხლავ წამოხტა და შავი მოსახვევი მოიხვია. დაშა კვლავ ოდნავ წამოწითლდა და გაკვირვებულმა თვალი გააყოლა. ვარვარა პეტროვნა უეცრად მოუტრიალდა; სახე რისხვით ანთებოდა.

- შე ბრიყვო, შენა! - ეცა ქორივით. - შე უმადურო ბრიყვო! რას ფიქრობ? ხომ არ გგონია, ოდნავ მაინც ჩრდილი მოგაყენო, თუნდაც ერთი ბეწო! ის დაჩოქილი შეგებხვეწება, სიხარულისაგან გაგაჟდება, აი, როგორ იქნება! ხომ იცი, შენს თავს არავის დავაჩაგვრინებ. ან იქნებ გგონია, იმ რვაასი თუმნისთვის წაგიყვანს და მე ახლა შენს გასაყიდად მივრბივარ? შე ბრიყვო, ბრიყვო, თქვენ ყველა ბრიყვებო და უმადურებო! ქოლგა მომე!

ვარვარა პეტროვნა აგურის სველ ფილაქანსა და ფიცრულ წანწალებს გაუყვა და სტეპან ტროფიმოვიჩისაკენ გაქანდა.

VII

ვარვარა პეტროვნა მართლაც არავის დააჩაგვრინებდა „დარიას“. პირიქით, ახლა ფიქრობდა სწორედ, გავაბედნიერეო. მაგრამ თავისი გაზრდილის შემცბარი, უნდო მზერა რომ დაიჭირა, გული კეთილშობილი აღშფოთებით აევსო. ბავშვობიდანვე გულწრფელად უყვარდა იგი. პრასკოვია ივანოვნა მართალი იყო, როცა დარია პავლოვნას მისი გულის საყვარელი უწოდა. დიდი ხანია უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ვარვარა პეტროვნას ერთხელ და სამუდამოდ, „დარია ხასიათით მმას არ ჰგავს“ (ანუ ივან შატოვს), ჩუმი, თვინიერი გოგოა, თავს გაწირავს შენთვის, ერთგულია, საოცარი მოკრძალებული, იშვიათი გონიერი და, რაც მთავარია, მადლიერი. აქამდე დაშას, ეტყობა, არ გაუცრუებია მისი იმედები. ჯერ თორმეტი წლისა იყო დაშა, როცა ვარვარა პეტროვნამ გადაწყვიტა: „ეს თავის ცხოვრებას მცდარი გზით არ წაიყვანს“. ჰოდა, რაკი ისეთი თვისება ჰქონდა, რაიმე ოცნება რომ გაიტაცებდა, რაიმე ახალი ზრახვა და, მისი აზრით, ნათელი ფიქრი აღემვროდა, ჯიუტად და მთელი გულით ერწმუნა, ამიტომ მყისვე გადაწყვიტა დაშა საკუთარი შვილივით აღეზარდა. ვარვარა პეტროვნამ დაუყოვნებლივ ფული გადადო მის სახელზე და გუვერნანტად მისს კრისგი მოიწვია. მის სკრისგმა მანამ დაჰყო მასთან, სანამ დაშა თექვსმეტი წლისა არ გახდა. მერე რატომღაც მოულოდნელად დაითხოვა. მოდიოდნენ გიმნაზიის მასწავლებლებიც. ერთი ნამდვილი ფრანგი იყო, რომელმაც დაშას ფრანგული ასწავლა. ისიც მოულოდნელად დაითხოვეს, თითქოს გააგდესო. ერთი ღარიბი ქვრივი, რომელიც ჩვენთან დროებით იყო ჩამოსული, ფორტეპიანოს ასწავლიდა. მაგრამ სტეპან ტროფიმოვიჩი მაინც მის მთავარ მასწავლებლად ითვლებოდა. სინამდვილეში, პირველმა მან მიაქცია ყურადღება გოგონას: ამ წყნარ გოგოს მაშინ დაუწყო სწავლება, როცა ვარვარა პეტროვნა არც კი ფიქრობდა ამაზე. ისევ გავიმეორებ, საკვირველია პირდაპირ, რარიგ უყვარდათ იგი ბავშვებს! ლიზავეტა ნიკოლაევნა ტუშინა რვა წლიდან თერთმეტამდე მისი მოწაფე იყო (ცხადია, უფასოდ, სტეპან ტროფიმოვიჩი არაფრის გულისთვის არ გამოართმევდა ფულს დროზდოვებს.) საოცრად შეუყვარდა ეს მშვენიერი ბავშვი და პოეტურად უამბობდა

ქვეყნის გაჩენისა და კაცობრიობის ისტორიის ამბებს. პირველყოფილ ხალხებსა და პირველყოფილ ადამიანებზე ლექციებმა არაბული ზღაპრებიც კი დაჩრდილა. ლიზა გაფაციცებით უსმენდა ნაამბობს, შინ კი საოცრად სასაცილოდ აჯავრებდა სტეპან ტროფიმოვიჩს. ამ უკანასკნელმა შეიტყო ეს და ერთხელ წაასწრო კიდეც მოულოდნელად. ლიზას შერცხვა, მიიღბინა, გადაეხვია და ატირდა. სტეპან ტროფიმოვიჩსაც აღტაცების ცრემლი მოერია. მაგრამ ლიზა მალე გაემგზავრა და მარტო დაშალა შერჩა. დაშას რომ მასწავლებლები დაუყენეს, სტეპან ტროფიმოვიჩმა მიატოვა მასთან მეცადინეობა და ნელა-ნელა სულაც მიივიწყა. ასე გაგრძელდა კარგა ხანს. დაშა უკვე ჩვიდმეტი წლისა იყო, როცა ერთხელ ვარვარა პეტროვნასთან სუფრაზე სტეპან ტროფიმოვიჩმა შეხედა და მისმა სანდომიანობამ განაცვიფრა. გამოელაპარაკა ყმაწვილ ქალს, ძალზე მოეწონა მისი პასუხები და ბოლოს შესთავაზა, რუსული ლიტერატურის ისტორიის ვრცელ კურსს წაგიკითხავო. ვარვარა პეტროვნამ მოუწონა ეს მშვენიერი აზრი, დაშაც ცას ეწია სიხარულით. სტეპან ტროფიმოვიჩი დიდი მონდომებით მოემზადა ამ ლექციებისთვის. დაიწყო უძველესი დროიდან; პირველი ლექცია დიდად საინტერესო გამოდგა. ვარვარა პეტროვნაც ესწრებოდა. როცა სტეპან ტროფიმოვიჩმა დაამთავრა და წასვლისას დაშას უთხრა, მეორე ლექციაზე „იგორის ლაშქრობის ამბავს“ გავარჩევთო, ვარვარა პეტროვნა უცბად წამოდგა და განაცხადა, ლექციები მეტი აღარ შედგებაო. სტეპან ტროფიმოვიჩს ეჩოთირა, მაგრამ არაფერი უთქვამს, დაშა აილანძა. ასე დამთავრდა ეს ამბავი, რომელიც ვარვარა პეტროვნას ახლანდელ მოულოდნელ ფანტაზიამდე ზუსტად სამი წლით ადრე მოხდა.

საწყალი სტეპან ტროფიმოვიჩი მარტო იჯდა, გული არაფერს უგრძნობდა. დაღონებული და ჩაფიქრებული რა ხანია ფანჯარას მიშტერებოდა, იქნებ ვინმე ნაცნობმა შემოიაროსო. მაგრამ მოსვლას არავინ ფიქრობდა. გარეთ ცრიდა, აცივდა კიდეც; ღუმლის დანთება იყო საჭირო. სტეპან ტროფიმოვიჩმა ამოიოხრა. უეცრივ საშინელი მოლანდება დაუდგა თვალწინ: ვარვარა პეტროვნა ასეთ ამინდში, ასეთ უდროო დროს მასთან მოდის! ისიც ფეხით! ელდანაცემ სტეპან ტროფიმოვიჩს ტანისამოსის გამოცვლაც კი დაავიწყდა და იმ თავის ვარდისფერი ფუფაიკით დაუხვდა.

- Ma bonne amie!.. - ესლა აღმოხდა შეგებებისას.

- რა კარგია, რომ მარტო დამხვდით, ვერ ვიტან მაგ თქვენს მეგობრებს! ფუჰ, როგორ გაგიბოლიათ ოთახი! ღმერთო, რა ჰაერია! ჩაიც არ დაგილევიათ, თორმეტი კი დაიწყო! უწესრიგობას არაფერი გირჩევნიათ! ნაგავში ჯდომა ცხონებაა თქვენთვის! ეს რა ნაფხრეწები ჰყრია იატაკზე? ნასტასია, ნასტასია! რას მიკეთებს ეგ თქვენი ნასტასია? დააღე, გეთაყვა, ფანჯრები, სარკმლები, კარები, ჩვენ კი დარბაზში გავალთ; საქმე მაქვს თქვენთან. ერთხელ მაინც გამოგავე, გეთაყვა, ოთახი!

- რა ვქნა, ანაგვიანებენ, ბატონო! - გაგულისებით წამოიკნავლა ნასტასიამ.

- შენც ადექი და გამოგავე, თხუთმეტჯერ გამოგავე დღეში! ეს რა უბადრუკი დარბაზია! (დარბაზში რომ გავიდნენ). კარი კარგად მიკეტეთ, მოგვაყურადებს. შპალერი უთუოდ უნდა გამოცვალოთ. ხომ გამოგიგზავნეთ შპალერის გამკვრელი და ნიმუშებიც, ვერ აირჩიეთ?.. დაჯექით და ყური მიგდეთ. დაჯექით ბოლოს და ბოლოს, რას უყურებთ, გთხოვთ. სად წახვედით? სად წახვედით-მეთქი? სად?

- ახლავე... ახლავე, - გამოსძახა მეორე ოთახიდან სტეპან ტროფიმოვიჩმა, - აი, მოვედი!

- ოჰო, ტანსაცმელი გამოგიცვლიათ! - დამცინავად ახედ-დახედა ვარვარა პეტროვნამ (სტეპან ტროფიმოვიჩს ფუფაიკის ზემოთ სერთუკი ჩაეცვა). - მართლაც ეგ უფრო.. შესაფერია ჩვენი საუბრისათვის... დაჯექით ბოლოს და ბოლოს, გთხოვთ.

ვარვარა პეტროვნამ უმაღვე ყველაფერი გადმოულაგა მკვახედ და დაბეჯითებით. რვას თუმანზეც გადაუკრა, რომელიც ასე სჭირდებოდა სტეპან ტროფიმოვიჩს. დაწვრილებით უამბო მზითევზე. სტეპან ტროფიმოვიჩი თვალედაჭყეტილი უსმენდა და კანკალებდა. გონს ვერ მოსულიყო. ლაპარაკი დააპირა, ხმა ჩაუწყდა. იცოდა, ყველაფერი ისე მოხდებოდა, როგორც ვარვარა პეტროვნამ თქვა, რომ აზრი არ ჰქონდა არც შეპასუხებასა და არც უარს და მისი დაცოლშვილების ამბავი გათავებული საქმე იყო.

- Mais, ma bonne amie, მესამე ცოლის მოყვანა, ისიც ჩემს ასაკში.. ისიც ასეთი ბაღლისა!
- ამოილაპარაკა როგორც იყო. - Mais, c'est une enfant![75]

- ეგ ბავშვი უკვე კაი ოცი წლისა გახლავთ, მადლობა ღმერთს! თვალეხს ნუ აცეცებთ, თუ შეიძლება, თეატრში არ ბრძანდებით. ძალზე ჭკვიანი და განსწავლული კაცი ხართ, მაგრამ ცხოვრების არაფერი გესმით, ნიადაგ ძიძა უნდა დაგდევდეთ კუდში. მე რომ მოვკვდე, რა გეშველებათ? ეგ კი კარგი ძიძა იქნება თქვენთვის; მორიდებული, მტკიცე ხასიათის, გონიერი ქალია. მერე მეც აქ არა ვარ, ახლავე ხომ არ ვკვდები. შინ ჯდომა უყვარს, ანგელოზის ხასიათი აქვს. ჯერ კიდევ შვეიცარიაში მომივიდა ეს ბედნიერი აზრი. გესმით თუ არა, რომ თვითონ გეუბნებით, ანგელოზია-მეთქი! - აენტო უცებ ვარვარა პეტროვნა. - ნავაგში ზიხართ, ის კი აქაურობას დაგიკრიალებთ, წესრიგში მოიყვანს ყველაფერს, სარკესავით გახდის... როგორ გგონიათ, ასეთ საუნჯეს გითმობთ და კიდევ იქით გეხვეწით და გარწმუნოთ, რა სახარბიელოა თქვენთვის. იმის მაგივრად, რომ დამიჩოქოთ და... ო, რა სულმოკლე და თავქარიანი კაცი ხართ!

- კი მაგრამ.. მე ხომ უკვე ბებერი ვარ!

- ორმოცდაცამეტი წელი რა სიბერეა! ორმოცდაათი წელი ცხოვრების ნახევარია და არა ბოლო. თავადაც მოგეხსენებათ, ლამაზი ვაჟკაცი ხართ, ისიც იცით, რა პატივსა გცემთ! მე რომ მოვკვდე, იმას რა ეშველება? თქვენს ხელში კი არხეინად იქნება და მეც არხეინად ვიქნები. წონა გაქვთ, სახელი, მგრძნობიარე გული; პენსიონს იღებთ, რომელიც მე ჩემს მოვალეობად მიმაჩნია. ვინ იცის, მისთვის ეს ხსნაა, დიახ, ხსნა! ყოველ შემთხვევაში, დიდი პატივი და სახელი. გამოიყვანთ ხალხში, გრძნობებს, აზრებს განუვითარებთ. მერე რამდენ კაცს ღუპავს ახლა უხეირო აზრები! ამასობაში თხზულებასაც მოათავებთ და თავსაც გაახსენებთ ხალხს.

სტეპან ტროფიმოვიჩს გულზე ეფონა ვარვარა პეტროვნას ეს მოხერხებული შექება და წაიდუღუნა.

- დიახ, სწორედ ახლა ვაპირებდი ჩავჯდომოდი ჩემს „მოთხრობებს ესპანეთის ისტორიიდან“[76]...

- აი, ხომ ხედავთ, რა კარგად დაემთხვა.

- ოღონდ... მან რაო? ელაპარაკეთ?

- ეგ ამბავი ნუ გაწუხებთ და ნურც კითხულობთ, თქვენი საქმე არ არის. რა თქმა უნდა, თვითონ უნდა სთხოვოთ, შეეხვეწოთ, რომ პატივი დაგდოთ, გესმით? მაგრამ ნუ გეშინიათ, მე აქა ვარ. ესეც არ იყოს, ხომ გიყვართ იგი...

სტეპან ტროფიმოვიჩს თავბრუ დაეხვა. კედლები თვალწინ დაუტრიალდა. ერთი საშინელი აზრი არ აძლევდა მოსვენებას.

- Excellente amie! - აუკანკალდა უეცრივ ხმა, - ჩემს სიცოცხლეში ვერ წარმოვიდგენდი, რომ გადაწყვეტილით და სხვა... სხვა ქალს მომათხოვებდი!

- თქვენ გასათხოვარი ქალი არ ბრძანდებით, სტეპან ტროფიმოვიჩ. ასე გასათხოვარ ქალებს ათხოვებენ, თქვენ თავად თხოულობთ ცოლს, - გესლიანად წაუსისინა ვარვარა პეტროვნამ.

- oui, j'ai pris un mot pour un autre. Mais... c'est egal[77]. - სტეპან ტროფიმოვიჩი დაბნეული მიაშტერდა.

- ვხედავ, რომ c'est egal, - ზიზღით გამოსცრა ქალმა. - ღმერთო! გული წაუვიდა! ნასტასია, ნასტასია! წყალი ჩქარა!

მაგრამ სტეპან ტროფიმოვიჩი უწყლოდაც მალე მობრუნდა. ვარვარა პეტროვნამ ქოლგა აიღო.

- ვხედავ, ახლა ვერაფერს მეტყვით.

- oui, oui, je suis incapable[78].

- მაგრამ ხვალისთვის დაწყნარდებით და მოიფიქრებთ, შინ იჯექით, თუ რამე მოხდა, გინდაც ღამე იყოს, შემატყობინეთ. წერილები არ გამომიგზავნოთ, არ წავიკითხავ. ხვალაც ამ დროს თავად მოვალ, მარტო, საბოლოო პასუხისათვის, იმედი მაქვს დამაკმაყოფილებელი იქნება. შეეცადეთ არავინ იყოს, არც ეს ნაგავი დამახვედროთ, თორემ რასა ჰგავს? ნასტასია, ნასტასია!

რა სალაპარაკოა, რომ მეორე დღეს სტეპან ტროფიმოვიჩი დათანხმდა; ან როგორ არ დათანხმდებოდა, როცა ისეთი მდგომარეობა ჰქონდა...

VIII

მამული, რომელსაც ჩვენ სტეპან ტროფიმოვიჩის მამულს ვეძახდით (სკვორეშნიკის მომიჯნე და ძველებური ანგარიშით ორმოცდაათი სულისაგან შედგებოდა), მისი პირველი ცოლისა იყო და, მაშასადამე, ახლა მათ ვაჟს, პიოტრ სტეპანოვიჩ ვერხოვენსკის ეკუთვნოდა. სტეპან ტროფიმოვიჩი მხოლოდ მეურვეობდა და, როცა ბარტყი მოიჩიტა, მისგან მიღებული ფორმალური მინდობილობით მოქმედებდა. ეს გარიგება ყმაწვილი კაცისთვის დიახაც ხელსაყრელი გამოდგა: მამულის შემოსავლის სახით მამისაგან წლიურად ას თუმნად ღებულობდა, მაშინ როცა ეს მამული ახალი წესების მიხედვით ორმოცდაათსაც ძლივს მისცემდა (იქნებ ამაზე ნაკლებსაც). ღმერთმა იცის, რატომ და რისთვის დამკვიდრდა ასე. თუმცა ას თუმანსაც მთლიანად ვარვარა პეტროვნა უგზავნიდა, სტეპან ტროფიმოვიჩისა მანეთი არ ერია შიგ.

პირიქით, მამულის მთელ შემოსავალს საკუთარ ჯიბეში ტოვებდა, გარდა ამისა, მამულიც საბოლოოდ გააჩანაგა, ერთ ვიღაც მრეწველს იჯარით გადასცა და თან ვარვარა პეტროვნას უჩუმრად გასაჩხხად გაჰყიდა მამულის მთავარი სიმდიდრე - ჭალა. ამ ჭალას დიდი ხანია ნაწილ-ნაწილ ჰყიდდა. მისი ფასი მთლიანად სულ ცოტა რვაასი თუმანი იქნებოდა, სტეპან ტროფიმოვიჩმა კი მხოლოდ ხუთასი აიღო. მაგრამ რა ექნა, ზოგჯერ ბლომად ფულს აგებდა კლუბში, ვარვარა პეტროვნას კი შიშით ვერ თხოვდა. სულ კბილები აკრაჭუნა ვარვარა პეტროვნამ, როცა ბოლოს ეს ამბავი შეიტყო. ახლა კი უეცრივ ვაჟმა შემოუთვალა, მე თვითონ ჩამოვალ მამულის გასაყიდადო, და მამას ავალეზდა დაუყოვნებლივ დაეჭირა გაყიდვის თადარიგი. რა თქმა უნდა, კეთილშობილმა და უანგარო სტეპან ტროფიმოვიჩმა სინდისის ქენჯნა იგრძნო ce cher enfant[79]-ის წინაშე (რომელიც უკანასკნელად ამ ცხრა წლის წინათ ნახა პეტერბურგში, სტუდენტობის დროს). თავდაპირველად მთელი მამული ათას სამასი, ათას ოთხასი თუმანი მაინც ეღირებოდა, ახლა კი ხუთას თუმანსაც არავინ მისცემდა. უეჭველია, სტეპან ტროფიმოვიჩს სრული უფლება ჰქონდა, ფორმალური მინდობილობის თანახმად, ტყე გაეყიდა და ანგარიშის გასწორებისას შვილისთვის გამოექვითა ის ას-ასი თუმნები, ყოველ წელს რომ დაუბრკოლებლივ ეგზავნებოდა წლიური შემოსავლის პირობაზე, თუმცადა მისი მამული ამდენს თავის დღეში არ მისცემდა. მაგრამ სტეპან ტროფიმოვიჩი კეთილშობილი კაცი იყო და ასეთი ანგარიშიანობა არ სჩვეოდა. ოცნება სულ სხვა, ლამაზ სურათს უხატავდა: პეტრუშა რომ ჩამოვა, ადგება და კეთილშობილურად დაულაგებს წინ ფასის maximum[80]-ს, ანუ ათას ხუთას თუმანს, ერთ სიტყვას არ ეტყვის აქამდე გაგზავნილ თანხაზე, ცრემლმორეული მაგრად ჩაიკრავს გულში ce cher fils[81]-ს და ამით გაათავებს ანგარიშებს, ეს სურათი დიდი სიფრთხილითა და შეპარვით გადაუშალა ვარვარა პეტროვნას. გადაუკრა, ეს რაღაც თავისებურ კეთილშობილურ ელფერს მისცემს ჩვენს მეგობრობასო... ჩვენს „იდეას“. ეს დიახაც უანგაროდ და სულგრძელად გამოაჩენს წინანდელ მამებსა და საერთოდ წინანდელ ხალხს ამ ახალ, ცერცეტა, სოციალისტ ყმაწვილკაცებთან შედარებითო მოკლედ, კიდევ ბევრი სხვაც თქვა, მაგრამ ვარვარა პეტროვნა დუმდა. ბოლოს ცივად აუწყა, რომ თანახმაა იყიდოს მამული და ფასის maximum-იც მისცეს, ანუ ექვსასი თუ შვიდასი თუმანი (თუმცა ოთხასადაც შეიძლება ეყიდა კაცს). ჭალასთან ერთად დაკარგულ დანარჩენ რვაას თუმანზე კრინტი არ დაუძრავს.

ეს მოხდა ერთი თვით ადრე, ვინემ ცოლის თხოვნაზე დაიწყებოდა ლაპარაკი. სტეპან ტროფიმოვიჩს ამ ამბავმა თავზარი დასცა და საგონებელში ჩააგდო. წინათ კიდევ იყო რაღაც იმედი, ეგებ ვაჟი სულაც არ ჩამოვიდესო. თუმცა ასე გარეშე კაცს შეეძლო ეფიქრა, თორემ სტეპან ტროფიმოვიჩი, ვითარცა მამა, დიახაც აღშფოთდებოდა, ვისმე რომ მისთვის ეთქვა, ამის იმედი გაქვსო. ასეა თუ ისე, პეტრუშაზე რაღაც უცნაური ხმები აღწევდა ჩვენამდე. თავდაპირველად, უნივერსიტეტის კურსი რომ დაამთავრა ამ ექვსიოდე წლის წინ, პეტერბურგში უსაქმოდ დაყიალებდა. უეცრად ამ ექვსიოდე წლის წინ, პეტერბურგში რაღაც პროკლამაციის გავრცელება ბრალდება და სამართალში მისცესო. მერე ისიც თქვეს, საზღვარგარეთ, ჟენევაში ამოჰყო უეცრივ თავი, - ალბათ გაიქცაო.

- საოცრად მიკვირს, - გაიძახოდა იმხანად ფრიად შემცბარი სტეპან ტროფიმოვიჩი, - პეტრუშა ხომ c'est une si pauvre tete![82] მართალია, კეთილია, პატიოსნებით სავსე, ძალზე მგრძობიარე. გახარებული დავრჩი, მაშინ რომ პეტერბურგში თანამედროვე

ყმაწვილკაცებს შევადარე, მაგრამ c'est un pauvre sire tout de meme[83]... და, იცით, იმასაც ეს სანტიმენტალობით მოსდის, ისიც გამოუჩეკავია და იმიტომ! მაგათ რეალიზმი კი არა, სოციალიზმის გრძნობიერი, იდეალური მხარე ატყვევებთ, ასე ვთქვათ, მისი რელიგიური ელფერი, მისი პოეზია... და, რა თქმა უნდა, სხვისი აყოლით, მაგრამ მე რა დღეში ჩამავდო! აქ იმდენი მტერი მყავს, იქ კიდევ მეტი, ყველაფერს მამის გავლენას მიაწერენ.. ღმერთო! პეტრუშა და მოძრაობის სულის ჩამდგმელი! რას მოვესწართ!

თუმცა პეტრუშამ შვეიცარიიდან სულ მალე გამოგზავნა ზუსტი მისამართი, რა არის ფული გადაეგზავნათ მისთვის. მაშასადამე, მთლად ემიგრანტი არ ყოფილა გავიდა ოთხი წელი და პეტრუშა საზღვარგარეთიდან კვლავ მოევლინა სამშობლოს. მამას შემოუთვალა, მალე ჩამოვალო: მაშასადამე, არაფერი ბრალდებოდა. კიდევ მეტი, თითქოს ვიღაცა უთანაგრძნობდა და მფარველობდა კიდევ. ახლა სამხრეთ რუსეთიდან იწერებოდა წერილს. იქ ვიღაცის კერძო, მაგრამ მნიშვნელოვან საქმეზე იმყოფებოდა თურმე და რაღაცაზე ჩირთიფირთობდა. ამას რა სჯობდა, ოღონდ საიდან ეშოვა სტეპან ტროფიმოვიჩს დანარჩენი შვიდასი-რვაასი თუმანი, რომ მამულის maximum-ი დაეხვედრებინა? არ დაახვედროს და ვაითუ ერთი ვაიუშველებლი ატეხოს და დიდებული სურათის ნაცვლად სასამართლოში მისცეს? გული რატომღაც უთქვამდა სტეპან ტროფიმოვიჩს, მგრძნობიარე პეტრუშა თავისას არ დაკარგავსო. კიდევ ჩამჩურჩულა ერთხელ იმ ხანებში: „მანც რად არის ყველა ეს თავდადებული სოციალისტი და კომუნისტი, როგორც შევამჩნიე, ასე არაჩვეულებრივად ძუნწი, შეძენასა და კერძო საკუთრებაზე იმდენად დახარბებული, რომ რაც უფრო მეტად სოციალისტია, რაც უფრო მეტად შეტოპილია ამ ამბებში, მით უფრო მეტი მესაკუთრეა.. რატომ, რა მიზეზით? ნუთუ ესეც სანტიმენტალობის ბრალია?“ არ ვიცი, რამდენად მართალია სტეპან ტროფიმოვიჩის ეს ვარაუდი; ვიცი მხოლოდ, რომ პეტრუშას ზოგი რამ უკვე გაგებული ჰქონდა - ჭალის გაყიდვა თუ სხვა რამე და სტეპან ტროფიმოვიჩმაც იცოდა, რომ პეტრუშასათვის ცნობილი იყო ეს ამბები. პეტრუშას წერილებიდან ზოგი მეც მქონდა წაკითხული. მამას იშვიათად სწერდა, წელიწადში ერთხელ. მართო ამ ბოლო ხანს გამოგზავნა ზედიზედ ორი წერილი, იტყობინებოდა, მალე ჩამოვალო. წერილები მოკლე იყო, მშრალი, მხოლოდ და მხოლოდ განკარგულებებს შეიცავდა. მამა და შვილი ახალი მოდის მიხედვით ჯერ კიდევ პეტერბურგიდან ერთმანეთს შენობით მიმართავდნენ, ასე რომ პეტრუშას, წერილები წინანდელი მეპატრონეების ძველებურ წერილობით ბრძანებებს უფრო მიაგავდა, თავიანთ მოურავად დაყენებულ შინაყმებს რომ გამოუგზავნიდნენ ხოლმე. ახლა კი ვარვარა პეტროვნას წინადადების წყალობით ეს რვაასი თუმანი, ყველაფრის გადამწყვეტი და გადამჭრელი, ციდან უფრინდებოდა სტეპან ტროფიმოვიჩს, ამასთან ქალმა აშკარად აგრძნობინა, რომ სხვა გზით ვერსაიდან მიიღებდა. რა თქმა უნდა, სტეპან ტროფიმოვიჩი დათანხმდა.

წავიდა თუ არა ვარვარა პეტროვნა, სტეპან ტროფიმოვიჩმა მაშინვე მიხბო, სხვებისაგან კი ჩაიკეტა. რასაკვირველია, ცოტა წაიტირა, ბევრი ილაპარაკა და კარგადაც. ბევრჯერ გადაუხვია სათქმელს, შემთხვევით კალამბურიც წამოცდა და ფრიად გაიხარა, შემდეგ მისმა ქოლერინამ შემოუტია, - ერთი სიტყვით, ყოველივე ჩვეულებისამებრ მოხდა. ბოლოს თავისი ოცი წლის წინათ გარდაცვლილი გერმანელი ცოლის სურათი გამოიტანა და საწყალობლად შეჰღაღადა: „მაპატიებ თუ არა ამას?“ მოკლედ, ძალზე დაბნეული გახლდათ. დარდიან გულზე ცოტა დავლიეთ

კიდევ. თუმცა მალე ტკბილად ჩაეძინა. დილით კი ოსტატურად გამოინასკვა ჰალსტუხი, გულდაგულ გამოეწყო, სარკეში ბევრჯერ ჩაიხედა. ცხვირსახოცს ნელსაცხებელი დაასხურა, თუმცა სულ ოდნავ, მაგრამ ფანჯარაში ვარვარა პეტროვნას რომ მოჰკრა თვალი, უმალ სხვა ცხვირსახოცს წაეტანა, ის კი ბალიშქვეშ შეკუჭა.

ვარვარა პეტროვნამ დიდად შეაქო თანხმობისათვის.

- ძალიან კარგი! ჯერ ერთი, კეთილშობილური გადაწყვეტილებაა, მეორეც გონივრული, რაც პირად საქმეში ნაკლებ გჩვევიათ, მაგრამ საჩქარო არაფერია, - დასძინა ქალმა და თვალი შეავლო მის გამონასკველ თეთრ ჰალსტუხს. - ჯერჯერობით კრინტი არ დასძრათ, არც მე ვიტყვი რასმე. მალე თქვენი დღეობა იქნება; მე და დაშა ერთად მოვალთ. ჩაი გამოაწყვეთ, ოღონდაც ვახშამი და ღვინო არ გინდათ; თუმცა მე თვითონ მოვაწყობ ყველაფერს. მეგობრები დაპატიჟეთ, - ოღონდ მოვიფიქროთ, ვინ. თუ საჭირო იქნა, წინა დღეს მოელაპარაკებით; თქვენს დღეობაზე არც არაფერს გამოვაცხადებთ და არც ნიშნობას მოვაწყობთ, მხოლოდ გადავუკრავთ ერთ-ორ სიტყვას ყოველგვარი ზარ-ზეიმის გარეშე. ორიოდ კვირის შემდეგ კი ჯვარსაც დაიწერთ ასევე გაუხმაურებლად... კარგი იქნებოდა, დროებით სადმე წასულიყავით ჯვრისწერის შემდეგ, თუნდაც მოსკოვში მაგალითად. იქნებ მეც გამოგყვით... რაც მთავარია, მანამდე ენას კლიტე დაადეთ.

- ეგ რისთვის? ჯერ მოითმინეთ, იქნებ სულაც არაფერი მოხდეს...

- როგორ თუ არ მოხდეს! - წაილულლულა ახლა უკვე მთლად რეტდასხმულმა საქმრომ.

- როგორ და ისე. ჯერ კიდევ ვიფიქრებ.. თუმცა, როგორც ვთქვი, ისე იქნება. ნუ შეწუხდებით, დაშას მე თვითონ მოვამზადებ. თქვენ არავინ გეკითხებათ. რაც საჭიროა, ყველაფერს ვეტყვი და გავაკეთებ, თქვენ იქ რა გესაქმებათ. ან რად უნდა მიხვიდეთ? რისი გულისთვის? ნურც ფეხს მოადგამთ და ნურც წერილებს გამოგზავნით. არც ავი თქვათ, არც კარგი, ძალიან გთხოვთ. მეც ჩუმად ვიქნები.

ეს იყო და ეს, სხვა არაფერი უთქვამს. ვარვარა პეტროვნა, ეტყობოდა, უგუნებოდ წავიდა. ალბათ არ ეგონა, სტეპან ტროფიმოვიჩი თუ ასე ადვილად დათანხმდებოდა, და სახტად დარჩა. ვაი რომ სტეპან ტროფიმოვიჩი ვერ ჩამხვდარიყო თავის მდგომარეობას და ეს საკითხი სხვა თვალსაზრისით არ განეხილა. პირიქით, რაღაც სულ სხვანაირად დაიწყო ლაპარაკი, რაღაც გამარჯვებული, ცერცეტული კილო შეეპარა. თავს იფასებდა კაცი.

- იფ, რა კარგია! - დამიდგებოდა ხოლმე წინ და გაშლიდა ხელებს. 0 გაიგონეთ? იქამდე მიმიყვანს, ბოლოს და ბოლოს უარს მათქმევინებს. ხომ შეიძლება მეც დამეკარგოს მოთმინება და... მართლა უარი ვთქვა! „აქ იჯექით, თქვენი მოსვლა არაფერი საჭიროა!“ ვითომ რა აუცილებელია ცოლი შევიერთო? იმიტომ რომ ამისთანა სასაცილო ფანტაზია მოუვიდა თავში? მაგრამ ჩემისთანა დარბაისელმა კაცმა იქნებ არც მოინდომოს დამთხვეული ქალის ფანტაზიების აყოლა! მე ანგარიში უნდა გავუწიო ჩემს ვაჟს და... საკუთარ თავსაც! ესმის თუ არა, რა მსხვერპლზე მივდივარ? იქნებ სულაც იმიტომ დავთანხმდი, რომ ცხოვრება მომბეზრდა და ჩემთვის ყველაფერი სულ ერთია. მაგრამ თუ გამაბრაზა, მაშინ სულ ერთი აღარ იქნება; გული მომივა და უარს ვიტყვი. En enfin le ridicule[84]... რას იტყვიან კლუბში? რას იტყვის..

ლიპუტინი? იქნებ არც მოხდესო, - ჰა, როგორია! ამაზე მეტი გინდა! რასა ჰგავს, ჰა? Je suis un forcat, un badinguet[85], ჩიხში მოქცეული კაცი!..

ასე ჩიოდა სტეპან ტროფიმოვიჩი, მაგრამ ამასთან რაღაც კმაყოფილება ეტყობოდა მის შემახილებში. საღამოს ისევ შეეჭიკჭიკდით.

თავი მესამე. სხვისი ცოდვები

I

გამოხდა ერთი კვირა და ამბებიც თანდათანობით უფრო გაირკვა. ამ უკუღმართმა კვირამ, შევნიშნავ გაკვრით, მართლაც ძალიან გადამიღია გული, ვინაიდან უახლოესი კონფიდენტის[86] კვალობაზე გვერდიდან არ მოვცილებივარ სიძვედ გარიგებულ საბრალო მეგობარს ჩემსას. ყველაზე უფრო სირცხვილი კლავდა, თუმცა მთელი ის კვირა არავინ გვინახავს და სულ მარტონი ვისხედით; წარმოიდგინეთ, ჩემიც კი რცხვენოდა, ისე რცხვენოდა, ბოლოს ბრაზიც მოსდიოდა თავის გულახდილობაზე. ბუნებით ეჭვიანს ისიც ეგონა, მთელმა ქალაქმა უკვე იცის ჩემი ამბავიო. ჰოდა, არა მარტო კლუბში, ჩვენს წრეშიაც უფრთხოდა გამოჩენას. აუცილებელი მოციონისთვისაც სასეირნოდ მხოლოდ მაშინ გამოდიოდა, როცა ქუჩაში კარგად დაბნელდებოდა.

გავიდა კვირა და მაინც ვერა და ვერ გაიგო დანამდვილებით, იყო თუ არა სასიძო. საცოლე თვალთ არ უნახავს, ისიც არ იცოდა, საცოლედ ჩაეთვალა თუ არა, მართალი იყო თუ ტყუილი ეს ამბავი! ვარვარა პეტროვნამ რატომღაც სულ არ მიიკარა. მისი პირველი წერილის პასუხად (სტეპან ტროფიმოვიჩმა უამრავი წერილი გაუგზავნა) პირდაპირ შემოუთვალა, თუ შეიძლება დამეხსენით, არა მცალია, მე თავადაც ბევრი მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ განგებ გადავდე. როცა მოვიცლი, თავის დროზე მევე შეგატყობინებთ, როდის შეგეძლება ჩემთან მოსვლაო. ისიც აღუთქვა, რომ წერილებს წაუკითხავად დაუბრუნებდა, ვინაიდან წერილების წერა „თავგასულობაა და მეტი არაფერი“. ეს ბარათი ჩემი თვალთ წავიკითხე; სტეპან ტროფიმოვიჩმა თვითონ მაჩვენა.

მაგრამ ამ უხეშ პასუხებსა და გაურკვევლობაზე უფრო სხვა რამ აწუხებდა და აღონებდა. სხვა იყო მისი მთავარი სადარდებელი, სხვა არ აძლევდა წუთით მოსვენებას, სხვა ადნობდა და სასოს უკვეთდა. ამის რცხვენოდა ყველაზე მეტად და ჩემთანაც კი სიტყვას არ სძრავდა. პირიქით, პატარა ბიჭივით ტყუოდა და სიტყვას ბანზე მიგდებდა, თუკი ლაპარაკი ჩამოვარდებოდა. თუმცა ყოველდღე კაცს მიგზავნიდა და ისე ვერ სძლებდა უჩემოდ, როგორ უწყლოდ და უჰაეროდ ვერ გაძლებდა.

მისი ასეთი ქცევა ძალიან მწყინდა. ცხადია, ის მე ვერაფერს გამომაპარებდა, კარგა ხანია მივუხვდი ყოველივეს. ჩემი მაშინდელი ღრმა რწმენით ამ მთავარი საიდუმლოსა და სადარდებლის გამომჟღავნება ვერაფერი სასახელო იქნებოდა სტეპან ტროფიმოვიჩისათვის. მაშინ მე ყმაწვილი ვიყავ და ამიტომაც მაშფოთებდა მისი გრძნობების სიტლანქე და ზოგი მისი უღამაზო ეჭვი. გაცხარებულ გულზე იქნებ მეტისმეტად ვადანაშაულებდი, ან იქნებ ამის მიზეზი უფრო ის იყო, რომ მისმა

გულის მესაიდუმლოებამ თავი გამაბეზრა. შეუბრალებლად ვცდილობდი როგორმე მისთვისვე წამომეცდინა ეს ყველაფერი, თუმცა ისიც ვიცოდი, ზოგი რამის აღიარება მართლაც ძნელია ადამიანისათვის, ისიც მშვენივრად მაძჩნევდა ყველაფერს, ასე ვთქვათ, ნათლად ხედავდა, რომ ყველაფერს კარგად ვხვდებოდი და გულიც კი მომდიოდა მასზე. ჰოდა, მისდათავად ჩემზე მოსდიოდა გული, როგორ თუ მივუხვდი ყველაფერს. შესაძლოა ჩემი გაბრაზება წვრილმანობა და უგუნურება იყო, მაგრამ ჭეშმარიტ მეგობრებისთვის ზოგჯერ მართლაც მავნე გახლავთ ერთმანეთთან განმარტობა. ისიც უნდა ითქვას, თავისი მდგომარეობის შეფასებაში ხშირად არ სცდებოდა და ფრიად მოსწრებულადაც განსაზღვრავდა ხოლმე. თუკი ჩემგან დამალვას საჭიროდ არ სცნობდა.

- ეჰ, განა ასეთი იყო მაშინ! - წამოსცდებოდა ხანდახან ვარვარა პეტროვნაზე. - განა ასეთი იყო მაშინ, როცა ვსაუბრობდით... იცით კი, რომ მაშინ უყვარდა კიდევ საუბარი? დამიჯერებთ, რომ მაშინ აზრები ჰქონდა, თავისი აზრები. ახლა ყველაფერი შეიცვალა! მეუბნება, ეგ სულ დრომოჭმული ყბედობაა და მეტი არაფერიო! წინანდელს ვერაფერს მოაგონებ... ახლა ანგარიშიანი გახდა, გული ქვად ექცა, ყველაფერზე ბრაზობს...

- რაღაზე უნდა ბრაზობდეს, თუკი მოთხოვნა შეუსრულეთ? - შევესიტყვე მე.

მან თვალი შემავლო.

- Cher ami, არ დავთანხმებულებიყავი და მაშინ გენახათ, რა საშინლად, რა სა-შინ-ლად გაბრაზდებოდა! მაგრამ ისე მაინც არა, როგორც ჩემმა თანხმობამ გაახელა.

ამ სიტყვებმა ფრიად აამა სტეპან ტროფიმოვიჩს. იმ საღამოს კიდევ ერთი ბოთლი გამოვწრუპეთ, მაგრამ ეს წუთიერი სიამე გამოდგა. მეორე დღეს კიდევ უფრო ჩამოსტიროდა სახე და კიდევ უფრო უგუნებოდ დამხვდა, ვინემ ოდესმე.

მე კი ყველაზე მეტად ის მწყინდა, რომ ვერა და ვერ გადავაწყვეტინე დროზდოვებს სწევოდა. ისინი უკვე ჩამოსულიყვნენ და მათთან მისვლა აუცილებელი იყო ნაცნობობის განსაახლებლად. როგორც შევიტყვეთ, დროზდოვებსაც თურმე ძალიან ნდომებოდათ სტეპან ტროფიმოვიჩის ნახვა და კიდევ უკითხავთ მისი ამბავი. სტეპან ტროფიმოვიჩსაც გული ყოველდღე ეწეოდა მათკენ. ლიზავეტა ნიკოლაევნაზე ისეთი აღფრთოვანებით მელაპარაკებოდა, მიკვირდა კიდევ. უეჭველია, ის პატარა გოგონა აგონდებოდა, რომელიც ასე უყვარდა ერთ დროს. გარდა ამისა, რატომღაც ისე წარმოედგინა, თითქოს ლიზავეტა ნიკოლაევნას ნახვა ახლანდელ სატანჯველს შეუმსუბუქებდა და მთავარ ეჭვებსაც გაუქარწყლებდა. ლიზავეტა ნიკოლაევნა რაღაც არაჩვეულებრივ არსებად დაესახა. მისვლით კი მაინც არ მიდიოდა, თუმცა ყოველდღე აპირებდა და ემზადებოდა. რაც მთავარია, იმხანად მეც საშინლად მინდოდა ლიზავეტა ნიკოლაევნას გაცნობა, ეს კი მხოლოდ სტეპან ტროფიმოვიჩს შეეძლო. გასაოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე მასთან ხშირ-ხშირი შეხვედრები, რა თქმა უნდა, ქუჩაში, როცა საცხენოსნო კაბაში გამოწყობილი მშვენიერ ტაიქს მოაგელვებდა, გვერდით კი მისი ეგრეთ წოდებული ნათესავი, ცხონებულ გენერალ დროზდოვის ძმისწული, ლამაზი ოფიცერი მოჰყვებოდა. ჩემი დაბრმავება წუთიერი იყო, სულ მალე თვითონვე მივხვდი ჩემი ოცნების მიუწვდომლობას - მაგრამ თუნდაც წუთიერი ყოფილიყო, ხომ მაინც მქონდა ეს გრძნობა. ამიტომაც ადვილად

წარმოიდგენთ, როგორი აღშფოთებით ვუყურებდი ხოლმე ჩემი საბრალო მეგობრის ამ ჯიუტ განდევილობას.

ჩვენებიდან ყველა სათითაოდ გაფრთხილებული იყო, სტეპან ტროფიმოვიჩი რამდენიმე ხანს არავის მიიღებს და ყველას სთხოვს არ შეაწუხონ. ჩემი რჩევის მიუხედავად მანვე დაიჟინა ეს ცირკულარული დაფრთხილება. მევე ჩამოვუარე ყველას მისი თხოვნით და ყველას ვუთხარი, ვარვარა პეტროვნამ ჩვენს „ბებერს“ (ასე ვეძახდით ერთმანეთში სტეპან ტროფიმოვიჩს) ერთი საჩქარო სამუშაო დაავალა, წლების მანძილზე დაგროვილი რაღაც წერილების წესრიგში მოყვანა და დათარიღება. ისიც ამიტომაც ჩაკეტილი, მე კი ვეხმარები-მეთქი და სხვა. მარტო ლიპუტინთან ვერ მოვახერხე მისვლა და სულ მეორე დღისათვის ვდებდი, - უფრო სწორად, მეშინოდა მისი. წინასწარ ვიცოდი, ერთ სიტყვას არ დამიჯერებდა, იფიქრებდა, რაღაცას მიმაღავენო პირადად მე, და მაშინვე მთელ ქალაქს მოედებოდა ამბის გასაგებად და ჭორების მოსაფენად. სანამ ამ ფიქრსა და ვარაუდში ვიყავი, ერთიც ვნახოთ და შემთხვევით არ შევეყარე ქუჩაში. თურმე ყველაფერი უკვე ჩვენებისაგან შეეტყო, რომლებიც ის-ის იყო გავაფრთხილე. მაგრამ, საკვირველია, არათუ დაინტერესდა და სტეპან ტროფიმოვიჩის ამბები გამომკითხა, პირიქით, მე რომ ბოდიში მოვუხადე, აქამდე ვერ შემოგიარეთ-მეთქი, თვითონვე გამაწყვეტინა და უმაღლეს სხვა საგანს გადასწვდა. საამბოზელი მართლაც ბევრი დაგროვებოდა; საოცრად აღგზნებულ გუნებაზე იყო და მსმენელის მოხელთება გაუხარდა. მომიყვა ქალაქის ახალი ამბები, გუბერნატორის მეუღლის ჩამობრძანება, მის „ახალ საუბრებზე“. ისიც თქვა, კლუბში უკვე ოპოზიცია შეიქმნა, ყველა ახალ იდეებზე გაჰყვირის, ყველა როგორ აჰყვა ფეხის ხმას, და სხვა. ასე ილაპარაკა მთელი თხუთმეტი წუთი და ისე გავერთე, ვეღარ მოვშორდი. ლიპუტინი ჭირივით მძულდა, მაგრამ ლაპარაკის ნიჭი რომ ჰქონდა და შენდა უნებლიეთ დაგაინტერესებდა, ამას ვერ წაართმევდი; მეტადრე თუ რამეზე იყო გაწინამატებული. ეს ადამიანი, ჩემი აზრით, ჯამუშად იყო დაბადებული. რა წუთსაც არ უნდა გეკითხა, სულ ზეპირად იცოდა მთელი ქალაქის ცინცხალი ამბები თუ საიდუმლოებები, მეტწილად: სულ ბინძური ჭორები. გასაკვირი იყო, რაოდენ ახლოს მიჰქონდა გულთან ისეთი ამბები, რაც ზოგჯერ მას სრულიად არ ეხებოდა. მე ყოველთვის ვფიქრობდი, მისი ხასიათის მთავარი თვისება შური არის-მეთქი. იმ საღამოსვე ვუამბე სტეპან ტროფიმოვიჩს, დილით ლიპუტინს შევხვდი და ასეთი ლაპარაკი გვქონდა-მეთქი. ჩემდა გასაკვირად, საოცრად აღელდა და უცნაური შეკითხვა მომცა: „იცის თუ არა ლიპუტინმა?“, ბევრი ვუმტკიცე, ასე მალე საიდან ან ვისგან გაიგებდა-მეთქი, მაგრამ თავისი მაინც ვერ გადავათქმევინე. ბოლოს მოულოდნელად მითხრა: - თქვენი არ ვიცი და მეკი დარწმუნებული ვარ, რომ არათუ დაწვრილებით იცის მთელი ჩვენი ამბავი, ისეთი რამეც ექნება გაგებული, რასაც ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, ანდა ისე გვიან გავიგებთ, როცა აღარაფერი ეშველება!..

მე არაფერი ვთქვი, თუმცა ეს სიტყვები ბევრ რასმე გულისხმობა. ამის შემდეგ მთელი ხუთი დღე კრინტი აღარ დაგვიძრავს ლიპუტინზე; ამკარად შევატყვე, სტეპან ტროფიმოვიჩი ძალზე ნანობდა, ჩემთან რომ გამოამყლავნა ასეთი ეჭვები.

II

ერთ დილას - ანუ სტეპან ტროფიმოვიჩის სიძეობაზე დათანხმებიდან მეშვიდე თუ მერვე დღეს - ასე საათის თორმეტზე, როცა ჩვეულებისამებრ ჩემს მჭმუნვარე

მეგობართან მივიჩქაროდი, გზაში ერთი ამბავი შემემთხვა. მოკლედ, როგორც ლიპუტინი უწოდებდა, ჩვენი „დიდი მწერალი“ კარმაზინოვი შემხვდა.

კარმაზინოვს მე ბავშვობიდანვე ვკითხულობდი. მის დიდსა თუ პატარა მოთხრობებს კარგად იცნობდა როგორც ძველი, ისე ჩვენი თაობა, მე ხომ პირდაპირ გაბრუებული ვიყავი ამ მოთხრობებით. მათ უდიდესი ნეტარება მომანიჭეს ყრმობასა და ჭაბუკობაში. მაგრამ გავიდა ხანი და მეც რამდენადმე გული ავიყარე მის ნაწერებზე. ამ უკანასკნელ დროს დაწერილი იდეური მოთხრობები უკვე ისე აღარ მომწონდა, როგორც პირველები, რომლებსაც იმდენი უშუალო პოეტურობა გააჩნდათ, ხოლო უკანასკნელი ნაწარმოებები ხომ სულაც აღარ მომწონდა.

თუ კადნიერებად არ ჩამეთვლება ესოდენ საჩოთირო საკითხში ჩემი აზრის გამოთქმა, მე ვიტყვოდი, რომ ყველა ეს სიცოცხლეში გენიოსებად მონათლული ნიჭის ჩვენი ვაჟბატონები არა მარტო სიკვდილის შემდეგ ქრებიან უკვალოდ ხალხის ხსოვნიდან, ზოგჯერ სიცოცხლეშიაც წარმოუდგენლად მალე ივიწყებს მათ ძველი თაობის შემცველი ახალგაზრდობა. ეს ისე სწრაფად ხდება ჩვენში, როგორც დეკორაციების შეცვლა თეატრის სცენაზე. ოო, არ იფიქროთ, მე პუშკინებს, გოგოლებს, მოლიერებს, ვოლტერებსა თუ სხვა მისთანა მოღვაწეთ ვგულისხმობდე, ვინც ახალი სიტყვის სათქმელად მოსულან! ისიც მართალია, რომ ეს ჩვენი საშუალო ნიჭის ვაჟბატონები ხანდაზმულობის წლებში ჩვეულებრივ ძალზე საცოდავად იფიტებიან, თუმცა თვითონ ამას ვერ ამჩნევენ. ხშირად რომელიმე მწერალი ხალხს წლების მანძილზე ღრმა აზრების მატარებლად მიაჩნია, ჰგონია, საზოგადოების გარდაქმნაზე განსაკუთრებულსა და საოცარ გავლენას ახდენსო, მაგრამ დაბოლოს მისი ძირეული იდეა ეგზომ წყალწყალა და უსუსური გამომდგარა, გული არავის დასწყვეტია, ასე მალე რად გამოიფიტაო, ხოლო თმაჭადარა ბებრები ამას ვერ ამჩნევენ და გული მოსდით. მათი პატივმოყვარეობაც საოცრად იზრდება სწორედ ასპარეზის დასასრულს, - თავი მართლა ღმერთები ჰგონიათ. კარმაზინოვზე ამბობდნენ, გავლენიანი და მაღალი საზოგადოების ხალხი საკუთარ სულსაც ურჩევნიაო. ჰყვებოდნენ, გაგიცნობს, მოგეფერება, ლამის სუმი ჩაგიძვრენს, მოგხიბლავს, დაგატყვევებს თავისი გულმართლობით, მეტადრე თუ შენგან რასმე გამოეღის ან წინასწარ ვინმემ ჩააწვეთა ყურში შენზეო. მაგრამ საკმარისია რომელიმე თავადი, გრაფის მეუღლე ან ისეთი კაცი გამოჩნდეს სადმე ახლოს, ვისი შიში აქვს, თავის წმინდა მოვალეობად ჩასთვლის ყოვლად უსინდისოდ დაგივიწყოს და ზურგი შეგაქციოს, იქვე, იმ წუთში, თავისივე სახლში, თითქოს ნაფოტი ან ბუზი იყო. მას ნამდვილად სჯერა, ასეც შეშვენის ნატიფი ზრდილობის კაცსო. იმასაც ამბობდნენ, ამ ნატიფი ზრდილობისა და თავდაჭერის მიუხედავად თურმე იმ ზომამდე პატივმოყვარე და ისტერიულია, საზოგადოების იმ წრეებშიც ვერ მალავს თავის ავტორისეულ პატივმოყვარეობას, სადაც ლიტერატურა ნაკლებ აინტერესებთო. ხოლო თუ ისე მოხდა, ვინმე გულგრილად მოექცა, უნდა ნახოთ, რა მტკივნეულად განიცდის და როგორ ცდილობს სამაგიერო გადაუხადოსო.

ამ ერთი წლის წინათ ჟურნალში წავიკითხე მისი წერილი[87], სადაც თავს იღებდა ყოვლად გულუბრყვილო პოეტურობასა და ფსიქოლოგიის ცოდნაზე. ინგლისის რომელიღაც ნაპირთან ერთი გემის დაღუპვას აღწერდა, რისი მოწმეც თვითონ ყოფილა. თავისი თვალთ ენახა, როგორ ლამობდნენ განწირულთა გადარჩენას და როგორ ამოჰქონდათ ზღვიდან დამხრჩვალთა გვამები. ეს საკმაოდ გრძელი და გაჭიანურებული წერილი მხოლოდ და მხოლოდ თავის გამოჩენის მიზნით იყო

დაწერილი „აბა, შემომხედეთ, აბა, მნახეთ, როგორი ვიყავი მე ამ წუთებში, - იკითხებოდა სტრიქონსა და სტრიქონს შუა, - ნეტა რაში გენაღვლებათ ეს ზღვა, ქარიშხალი და კლდეები, ეს ნაფოტ-ნაფოტ დამსხვრეული გემი? მე საკმარისად აღვიწერეთ ეს ყველაფერი ჩემი ყოვლისშემძლე კალმით. ნეტა რას მისჩერებიხართ ამ დამხრჩვალ ქალს, ვისაც უსულო მკლავებში ჩაუხუტებია უსულო ბავშვი? ამას არა სჯობს, მე მიცქიროთ, ხედავთ, ვით ვერ გავუძელო ამ სურათს და ზურგი ვაქციე. ხედავთ, რა თავზარდაცემული ვარ და უკან მოხედვა არ ძალმიძს, თვალეებს ვხუჭავ - განა ეს უფრო საინტერესო არ არის? - სტეპან ტროფიმოვიჩიც დამეთანხმა, როცა ეს ჩემი აზრი ვამცნე კარმაზინოვის წერილზე.

ჩვენში რომ ხმა დაირხა, კარმაზინოვი ჩამოდისო, რა თქმა უნდა, მეც დიდი სურვილი აღმემრა მისი ნახვისა და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, გაცნობისაც. ვიცოდი, ისა და სტეპან ტროფიმოვიჩი ოდესღაც მეგობრები იყვნენ და შემედლო მისი მეშვეობით გამეცნო, და აი, მოულოდნელად გზაჯვარედინზე შემომხვდა. მაშინვე ვიცანი; ამ სამი დღის წინათ გუბერნატორის მეუღლესთან ერთად ეტლით ჩაიარა და დამანახვეს, ეგ არისო.

კარმაზინოვი მომცრო ტანის გოროზი მოხუცი იყო, თუმცა ორმოცდათხუთმეტზე მეტისა არ იქნებოდა, ცილინდრით მრგვალი შლაპიდან ჭაღარა კულულები გამოსწეწოდა და პატარა, ვარდისფერ ყურებთან დახუჭუჭებოდა. დაჟღაჟა გადატკეცილი სახე მაინცდამაინც ლამაზი არ მეჩვენა, ცბიერულად მოკუმული თხელი, მოგრძო ტუჩები, პატარა ჭკვიანური ნემსებივით თვალეები და მოგრძო, ხორციანი ცხვირი ჰქონდა. ეცვა საკმაოდ ძველმოდურად, ისეთ ლაბადას, მას რომ ეცვა, ამ სეზონში, მაგალითად, სადმე შვეიცარიაში ან ჩრდილოეთ იტალიაში თუ ნახავდით. რაც შეეხება სხვა წვრილმან სამკაულებს: მაჯის საკინძეს, საყელოს, ღილეებს, შავ, წვრილ ზონარზე დაკიდებულ კუს ბაკნის ლორწეტსა და ბეჭედს, ყველაფერი ისეთი ჰქონდა, როგორც მხოლოდ უზადო გემოვნების ხალხს შეჰფერის. დარწმუნებულივარ, ზაფხულობით უთუოდ პრუნელის ღია ფერის ფეხსაცმელს ატარებდა, გვერდზე ჩაყოლებული სადაფის ღილეებით. მე რომ შევეფეთე, მოსახვევში იდგა და აქეთ-იქით დაკვირვებით იხედებოდა. შემამჩნია, რა ცნობისმოყვარეობით ვუყურებდი, ჰოდა, ცოტა არ იყოს, წიკვინა ხმით მკითხა: - უკაცრავად, ბიკოვის ქუჩაზე აქედან როგორ გავალ?

- ბიკოვის ქუჩაზე? ეს აქვე გახლავთ, - შევმახე საოცრად აღელვებულმა. - სულ პირდაპირ გაჰყევით ამ ქუჩას და მარცხნივ, მეორე შესახვევში შეუხვით.

- დიდ მადლობას მოგახსენებთ.

წყეულიმც იყოს იწ წუთი. მგონი, დავიბენი და თვალეებში მოწიწებით შევაცქერდი! რა თქმა უნდა, ყველაფერი უმაღვე შეამჩნია და, რა თქმა უნდა, ყველაფერს მიხვდა. მიმიხვდა, რომ ვიცი, ვინც არის, რომ პატარაობიდანვე მისი მოკრძალებული მკითხველი ვარ და ახლა დაბნეული შევცვიცინებ თვალეებში, კარმაზინოვს ჩაეღიმა, ერთხელ კიდევ დამიქნია თავი და, როგორც მე ვუთხარი, პირდაპირ დაადგა ქუჩას. არ ვიცი, რად გავბრუნდი და რად გავსდიე ათიოდე ნაბიჯზე. კარმაზინოვი უცებ შედგა და ისევ შემომჩხავლა: - ხომ არ მეტყოდით, აქ ახლოს სად იქნებიან მეეტლეები?

ჰოი, რა საძაგელი, რა მჩხავანა ხმა ჰქონდა!

- მეეტლეები? მეეტლეები აქვე... ტაძართან იქნებიან, მუდამ იქ დგანან ხოლმე, - ვთქვი და ლამის თავად არ მოვტრიალდი და არ გავიქეცი ეტლის მოსაყვანად. მგონი, სწორედ ამას ელოდა ჩემგან. რა თქმა უნდა, უმალ გონს მოვეგე და გავჩერდი, მაგრამ ეს ჩემი მოძრაობა ძალიან კარგად შეამჩნია. თვალს არ მაცილებდა, პირზე კი კვლავ ის საძაგელი ღიმი დასთამაშებდა. ამას ერთი ამბავიც მოჰყვა, რაც ჩემს დღეში არ დამავიწყდება.

კარმაზინოვს მარცხენა ხელში პაწაწკინეტელა საკი ეჭირა და ეს საკი უეცრად ხელიდან გაუვარდა. თუმცა საკი კი არა, კოლოფი იყო ან უფრო სწორედ პატარა პორტფელი; არა, არც პორტფელი, მომცრო რედიკული, ქალის ძველებური რედიკულის მსგავსი. მოკლედ ვერ ვიტყვი, რა იყო, ეს კი ვიცი, რომ, მგონი ასაღებად ვეცი.

არა, დარწმუნებული ვარ, არ ამიღია, მაგრამ ასაღებად რომ გავიწიე, ეს უდავოა, ამას ვერც დავმაღავდი და ამიტომ სულელივით გავწითლდი. იმ ცბიერმა კი მშვენივრად შეიფერა ყველაფერი, რისი შეფერებაც შეიძლებოდა.

- ოჰ, ნუ შეწუხდებით, მე თვითონ ავიღებ, - მომხიბლავი ღიმილით ჩაილაპარაკა მან, რახან შენიშნა, რედიკულს არ მივაწოდებდი, თვითონ დასწვდა, ვითომცდა მე დამასწრო, ხელმეორედ დამიქნია თავი, და თავის გზას გაუდგა. მე გაბრიყვებული დავრჩი. ისე გამოიყვანა, თითქოს მე ამეღოს ხუთიოდე წუთი ასე მეგონა, ამ სირცხვილს ჩემს დღეში ვერ ჩამოვირეცხავ-მეთქი; მაგრამ სტეპან ტროფიმოვიჩის სახლთან მისვლისას უეცრივ სიცილი წამსკდა. ჩვენი შეხვედრა ისეთი სასაცილო მეჩვენა, უმალ გადავწყვიტე, სტეპან ტროფიმოვიჩსათვის მეამბნა გასართობად და მთელი ეს სურათიც წარმომედგინა.

III

ჩემდა გასაკვირად, სტეპან ტროფიმოვიჩი მეტისმეტად აფორიაქებული დამხვდა, ოღონდაც ამ ამბის მოყოლა რომ დავიწყე, ისეთი დაბნეული სახით მიგდებდა ყურს, ეტყობოდა, არაფერი ესმოდა. მაგრამ კარმაზინოვის სახელის გაგონებაზე გაცეცხლდა და რა გაცეცხლდა.

- არ გამაგონოთ, არ მიხსენოთ! - აყვირდა გაცოფებული, - აჰა, ნახეთ, წაიკითხეთ! წაიკითხეთ!

მერე უჯრა გამოაღო და მაგიდაზე ქაღალდის სამი პატარა ნაგლეჯი დააგდო, სამივე ნაჩქარევად ფანქრით დაწერილი და სამივე ვარვარა პეტროვნას გამოგზავნილი. პირველი ბარათი სამი დღის უკან გამოეგზავნა, მეორე - გუშინ, მესამე კი - დღეს, ერთი საათის წინ. შიგ დიდი არაფერი ეწერა, ოღონდაც ვარვარა პეტროვნას ფუჭსა და პატივმოყვარე მღელვარებას ამხელდა, ვაითუ კარმაზინოვს დავავიწყდე და ვიზიტით არ მეწვიოსო. აი, რა ეწერა პირველში, რომელიც სამი დღის წინ გამომიგზავნა (ალბათ სხვა წერილებიც იქნებოდა მოწერილი ოთხი ან ხუთი დღის წინ): „თუ ვინიცობაა, დღეს გეწვიოთ, არამც და არამც ჩემი სახელი არ უხსენოთ, სიტყვაც არ გადაუკრათ და არც მოაგონოთ.

ვ.ს.“

გუშინდელში: „თუ ბოლოს და ბოლოს იკადრა და ამ დილას გეწვიათ, უკეთესი იქნება არ მიიღოთ. მე ასე ვფიქრობ, არ ვიცი, თქვენ როგორ მიგაჩნიათ.

ვ.ს.“

დღევანდელსა და უკანასკნელში: „დარწმუნებული ვარ, სახლი ნაგვით გექნებათ სავსე და ოთახიც გაბოლილი. მარიასა და ფომუშკას გამოგიგზავნით, ნახევარ საათში დაალაგებენ. ხელი რომ არ შეუშალოთ, მანამდე სამზარეულოში იჯექით. გიგზავნით ბუხარულ ნოხსა და ორ ჩინურ ლარნაკს: ადრევე ვაპირებდი ჩუქებას. გარდა ამისა ჩემს ტენიერსაც[88] მოიტანენ (დროებით). ლარნაკები ფანჯარაზე დადგით, ტენიერი გოეთეს სურათის ზემოთ, მარჯვნივ დაკიდეთ, იქ დილაობით მეტი შუქი ადგება და უფრო გამოჩნდება. თუ ვინიცობაა იკადრა და მოვიდა, დიდი თავაზით მიიღეთ, ელაპარაკეთ უმნიშვნელო საგნებზე, რამე მეცნიერულზე, ისეთ სახით, თითქოს მხოლოდ გუშინ დაშორდით ერთმანეთს. ჩემზე კრინტიც არ დაძრათ. შეიძლება ამ საღამოს შემოვიაროთ.

ვ.ს.

P.S. თუ დღესაც არ მოვიდა, ალბათ აღარც მოვა“.

წავიკითხე და გამიკვირდა, ასეთმა უბრალო რამემ ნეტა ასე როგორ ააღელვა-მეთქი. ისიც შევამჩნიე, ვინემ მე წერილებს წავიკითხავდი, მოესწრო და თეთრი ჰალსტუხი წითლით შეეცვალა. შლაპა და ჯოხი მაგიდაზე ეწყო. თავად ფერი არ ედო და ხელებით უკანკალებდა.

- მე რაში მეკითხება მაგის ღელვა და ფეთება! - იყვირა გაცოფებულმა ჩემი გაკვირვებული მზერის პასუხად. - Je m'en fishe![89] იმის თავი აქვს, კარმაზინოვზე იხეთქოს გული, მე კი წერილებზე პასუხს არ მაძლევს! აი, აგერ დევს ჩემი გაუხსნელი წერილი მაგიდაზე, „L'homme qui rit“[90] ქვეშ, გუშინ რომ დამიბრუნა. ეგ თუ ნი-კო-ლენკაზე იკლავს თავს, მე რაში მენადვლება! Je m'en fishe et je prie ma liberte. Au diable le karmazinoff! Au diable la Lembke![91] ლარნაკები წინკარში მივაგდე, ტენიერი კამოდში ჩავკუჭე; იმას კი მოვთხოვე, ახლა მიმიღეთ-მეთქი. გესმით თუ არა: მოვთხოვე! მეც ასეთივე ქალაღლის ნაგლეჯი გავუგზავნე ნასტასიას ხელით, ფანქრით ნაჯღაბნი და დაუბეჭდავი. ახლა ვზივარ და პასუხს ველი. მე მინდა, დარია პავლოვნამ თავისი პირით მითხრას ყველაფერი ღვთის წინაშე ან ყოველ შემთხვევაში, თქვენ წინაშე. Vous me seconderez, n'est ce pas, comme ami et temoin[92]. მე არ მინდა შევრცხვე, არ მინდა ვიცრუო, არ მინდა არაფერი დამალული, მითხრან ყველაფერი, გულწრფელად და პატიოსნად მითხრან და მაშინ... დიახ, მაშინ ეგებ მთელი თაობა განვაცვიფრო ჩემი დიდსულოვნებით!.. უნამუსო კაცი ვარ თუ რა, მოწყალეო ხელმწიფე?- დაასკვნა მოულოდნელად და ისეთი რისხვით შემომხედა, თითქოს მე ვთვლიდი მას უნამუსოდ.

ვთხოვე, წყალი დალიეთ-მეთქი. ასეთ მდგომარეობაში ჯერ არ მენახა. ბორგავდა, ხან ერთ კუთხეს მიაწყდებოდა, ხან მეორეს, მერე უცებ წინ დამიდგა, რაღაც უჩვეულო პოზა მიიღო, თავით ფეხამდე ამხედ-დამხედა და ავადმყოფური ამპარტავნობით ხელახლა მომდგა: - ხომ არ გგონიათ, მე, სტეპან ვერხოვენსკი, იმდენ სულიერ ძალას ვერ გამოვიჩენ, ავიკრა ჩემი გუდა-ნაბადი, ჩემი მათხოვრული გუდა-ნაბადი, ჩემს უძლურ მხრებზე მოვიგდო და სამუდამოდ გავეცალო აქაურობას, თუკი ამას

პატოსნება და დამოუკიდებლობის დიადი პრინციპი მომთხოვს? არა ერთხელ და ორჯერ უპასუხებია სტეპან ტროფიმოვიჩს მტარვალობაზე სულგრძელობით, თუნდაც დამთხვეული ქალის მტარვალობაზე, ეს კი ყველაზე შეურაცხმყოფელი და საშინელი სახეა მტარვალობისა ამქვეყნად! მგონი, ჩემს სიტყვებზე ჩაგეცინათ, მოწყალეო ხელმწიფეო! ოო, ვიცი, არ გჯერათ, რომ შევძლებ და იმდენ სულგრძელობას გამოვიჩენ, რომელიმე ვაჭარს გუვერნიორად დავუდგე და მის კარზე გავლიო ჩემი დღენი, ან არადა, ღობის ძირას დავლიო სული! მითხარით-მეთქი, გჯერათ თუ არა?

მე განზრახ გავჩუმდი და ისეთ სახე მივიღე, თითქოს ვერც არა მითქვამს, რომ გული არ ვატკინო, და ვერც ჰო. სტეპან ტროფიმოვიჩის ასეთი გაგულისება ნამდვილად საწყენად მრჩებოდა, მიუხედავად იმისა, პირადად არ მეხებოდა. ო, არა! თუმცა.. თუმცა მერე აგიხსნით ამასაც.

სტეპან ტროფიმოვიჩს ფერიც კი ეცვალა.

- იქნებ თავი მოგაბეზრეთ, გ-ვო (ეს ჩემი გვარი გახლავთ) და აღარ... გნებავთ ჩემთან სიარული? - მითხრა ისეთი ნაძალადევი სიმშვიდით, რასაც მუდამ უჩვეულო აფეთქება მოსდევს ხოლმე. შეშინებული წამოვხტი ფეხზე. ამ დროს ნასტასია შემოვიდა და უხმოდ მიაწოდა ქალაღი. ზედ ფანქრით იყო რაღაც დაწერილი. სტეპან ტროფიმოვიჩმა დახედა და მე გადმომიგდო. ქალაღის ნაგლეჯზე ვარვარა პეტროვნას ხელით ორი სიტყვა ეწერა: „იყავით შინ“.

სტეპან ტროფიმოვიჩმა უხმოდ დაავლო ქუდსა და ჯოხს ხელი და კარისაკენ გაქანდა; ანგარიშმიუცემლად მეც უკან მივყევი. ანაზდად დერეფანში ლაპარაკი და აჩქარებული ფეხის ხმა გაისმა. ტეპან ტროფიმოვიჩი მეხდაცემულივით გაქვავდა.

- დავიღუპე კაცი, ლიპუტინია! - ხელი მტაცა და მიჩურჩულა.

იმავე წუთს ოთახში ლიპუტინმა შემოაბიჯა.

IV

არ ვიცი, ლიპუტინის მოსვლა რად დაღუპავდა და არც არაფრად ჩამიგდია მისი სიტყვები, ეს ყველაფერი ნერვებს მივაწერე. მაგრამ რაკი ასე უჩვეულოდ დაფრთხა და შეშინდა, გადავწყვიტე თვალი დაკვირვებით მედევნებინა.

ლიპუტინი ისეთი რიხით შემოვიდა, ზედვე ეტყობოდა, დაკრძალვის მიუხედავად ამჯერად განსაკუთრებული უფლება ჰქონდა შემოსვლის. უკან ერთი უცხო ვაჟბატონი მოჰყვებოდა. გახევებული სტეპან ტროფიმოვიჩის უაზრო შეხედვაზე მყისვე ხმამაღლა შესძახა: - სტუმარი მომყავს და რა სტუმარი! გავბედე და განმარტოება დაგირღვიეთ. იცნობდეთ, ბატონი კირილოვი გახლავთ, შესანიშნავი ინჟინერი და მშენებელი. რაც მთავარია, თქვენს ვაჟიშვილს, დიდად პატივცემულ პიოტრ სტეპანოვიჩს ძალიან ახლოს იცნობს. დავალება აქვს მისგან. ეს-ეს არის ჩამობრძანდა.

სტუმარმა მკვახედ გააწყვეტინა: - დავალების ამბავი თქვენი დამატებულია, არავითარი დავალება არ ყოფილა. თუმცა ვერხოვენსკის კი ვიცნობ. ხ-იც გუბერნიაში დავტოვე ამ ათიოდე დღის წინათ.

სტეპან ტროფიმოვიჩმა მექანიკურად ჩამოართვა ხელი და, დაბრძანდითო, ანიშნა. მერე მე შემომხედა, შემდეგ ლიპუტინს და უეცრივ, თითქოს გონს მოეგო, თვითონაც დაჯდა. ქუდი და ჯოხი ხელში შერჩა, მაგრამ ამას ველარ ამჩნევდა.

- ვაჰ, თქვენ თურმე წასვლას აპირებთ! მე კი მითხრეს, ამდენი მუშაობისაგან ავად გახდაო.

- ჰო, ავად ვარ, ახლა გასეირნება მინდოდა, მე... - სტეპან ტროფიმოვიჩს სიტყვა გაუწყდა, გაწითლდა და ქუდი და ჯოხი სწრაფად დივანზე ისროლა.

ამასობაში ჰაიჰარად შევათვალაიერე სტუმარი. ჯერ ახალგაზრდა კაცი იყო, ასე ოცდაშვიდი წლისა, შავთმიანი, ხმელ-ხმელი, რიგიანად ჩაცმული, ფერმკრთალ სახეზე რაღაც მიწისფერი დაჰკრავდა და შავი უსიცოცხლო თვალები ჰქონდა, თითქოს ჩაფიქრებული და უგულისყურო ჩანდა. მისი ნაწყვეტ-ნაწყვეტი წინადადებანი გრამატიკულად მოიკოჭლებდა, სიტყვებს უცნაურად ალაგებდა და გრძელი წინადადების შედგენა უჭირდა. ლიპუტინს არ გამოჰპარვია სტეპან ტროფიმოვიჩის მეტისმეტად დაფრთხობა და ძალზე კმაყოფილი დარჩა. თავისი დაწნული სკამი ლამის შუა ოთახში გამოათრია, რა არის ერთნაირ მანძილზე ჰყოლოდა მოპირდაპირე დივნებზე მჯდარი სტუმარიცა და მასპინძელიც. მისი კვიმატი თვალები დიდი ყურადღებით ათვალაიერებდნენ ყოველ კუთხე-კუნჭულს.

- პეტრუშა დიდი ხანია არ მინახავს... საზღვარგარეთ შეხვდით? - ძლივს წამოილულულა სტეპან ტროფიმოვიჩმა.

- აქაც და საზღვარგარეთაც.

- ალექსეი ნილიჩი ეს არის საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა, ოთხი წელი დაჰყო, იქა, - ჩააკერა ლიპუტინმა. - თავის სპეციალობაში დაოსტატება უნდოდა. ჩვენთანაც იმიტომ ჩამობრძანდა, იმედი აქვს რკინიგზის ხიდის მშენებლობაზე მოეწყოს. ახლა პასუხს ელის. პიოტრ სტეპანოვიჩის მეშვეობით ლიზავეტა ნიკოლაევნასა და მის ოჯახს იცნობს.

ინჟინერი დაბლვერილი იჯდა და უკმაყოფილოდ უგდებდა ყურს. ისე მეჩვენა, თითქოს რაღაცაზე ბრაზობდა.

- ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩსაც იცნობს, ბატონო.

- ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩსაც იცნობთ? - ჰკითხა სტეპან ტროფიმოვიჩმა.

- ვიცნობ მაგასაც.

- მე კარგა ხანია პეტრუშა არ მინახავს... ასე მგონია, უფლება არა მაქვს მამის სახელი მერქვას... c'est le mot[93]; მაინც როგორ არის?

- როგორც არის... თვითონ ჩამოვა, - კვლავ მოკლედ მოსჭრა ბატონმა კირილოვმა. ნამდვილად ბრაზობდა.

- ჩამოვაო! ძლივს არა... იცით, მე მეტისმეტად დიდი ხანია არ მინახავს პეტრუშა! - ველარ გაართვა თავი სტეპან ტროფიმოვიჩმა ამ წინადადებას, - ჰოდა, ველი ახლა ჩემს საწყალ ბიჭს, ვის წინაშეც... ო, ვის წინაშეც ასე დამნაშავე ვარ! ანუ ის მინდა ვთქვა,

რომ მაშინ, პეტერბურგში ყოფნისას მე.. ერთი სიტყვით, მაშინ არარაობა მეგონა, quelque chose dans ce genre[94]; იცით ნერვიული, ძალზე მგრძობიარე და... მშიშარა ბიჭი გახლდათ. დაძინებისას ხატის წინ იჩოქებდა და ბალიშს პირჯვარს სახავდა, ღამით არ მოვკვდეთ... Je m'en souviens. Enfin[95] არავითარი სილამაზის გრძობა, არავითარი მაღალი და დიდი გრძობები, მომავალი იდეის პაწაწა ჩანასახიც არ გაჩნდა... c'etait comme un petit idiot[96]. თუმცა, მგონი, ავურიე, უკაცრავად, მე.. თქვენ ისეთ დროს მესტუმრეთ.

- არა, მართლა ბრძანეთ, ბალიშს პირჯვარს სახავდაო? - რაღაც განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით ჩაჰკითხა უეცრივ ინჟინერმა.

- დიახ...

- არა, არაფერი; განაგრძეთ.

სტეპან ტროფიმოვიჩმა ლიპუტინს გადახედა.

- დიდ მადლობას მოგახსენებთ, რომ მეწვიეთ, მაგრამ, გამოგიტყდებით და, ახლა... კარგად ვერა ვარ.. თუმცა ნება მიბოძეთ გკითხოთ, სადა ხართ ბინად?

- ბოგოიაველენსკაის ქუჩაზე, ფილიპოვის სახლში.

- შატოვიც ხომ იქ ცხოვრობს, - წამომცდა უნებლიედ.

- დიახ, დიახ, იმ სახლში, - შესძახა ლიპუტინმა. - ოღონდაც შატოვი მაღლა, მეზონინში დგას, ეს ბატონი კი ქვევით, კაპიტან ლეზიადკინთან მოთავსდა. შატოვსაც იცნობს და შატოვის ცოლსაც, საზღვარგარეთ ძალიან დაუახლოვდა.

- Comment![97] ნუთუ იცით რაიმე de ce pauvre ami[98] იმ უბედური ქორწინების შესახებ, იცნობთ იმ ქალსაც? - უცებ გაიტაცა გულისთქმამ სტეპან ტროფიმოვიჩი, - პირველ კაცს ვხედავ, რომელიც პირადად იცნობს და თუ...

ინჟინერი ენთო და მკვახედ მოუჭრა: - რა სისულელეა! რად ამლაშებთ, ლიპუტინ! შატოვის ცოლი სულაც არ მინახავს; მხოლოდ ერთხელ დავინახე შორიდან, ახლოს არა... შატოვს ვიცნობ. რად უმატებთ რაღაც-რაღაცეებს?

ინჟინერი უცებ მიტრიალდა დივანზე, თავის ქუდს დაავლო ხელი, მერე ისევ დადო, ისევ ისე დაჯდა და შავი თვალები რაღაც გამომწვევად შეანათა სტეპან ტროფიმოვიჩს. ვერასგზით ვერ გავიგე, რად ბრაზობდა ასე.

- მაპატიეთ, - დინჯად შენიშნა სტეპან ტროფიმოვიჩმა, - იქნებ არ უნდა მეკითხა..

- აქ არაფერი საბოდიშო არ არის, სირცხვილიცაა ამაზე ლაპარაკი. სისულელეა-მეთქი, ლიპუტინს ვუყვირე და არა თქვენ, რომ ამლაშებს, იმიტომ. უკაცრავად, თუ თქვენს თავზე მიიღეთ. შატოვს მე ვიცნობ, ცოლს კი არ ვიცნობ, სულ არ ვიცნობ!

- მესმის, მესმის, თუ ასე ჩაგაცივდით, მხოლოდ იმიტომ, რომ ძალზე მიყვარს ჩვენი საბრალო მეგობარი, notre irascible ami[99] და მუდამ მაინტერესებდა მისი ამბები... ამ კაცმა, ჩემი აზრით, მეტისმეტად მკვეთრად შეიცვალა წინანდელი, იქნებ მეტად ახალგაზრდული, მაგრამ მაინც სწორი შეხედულებანი. ისეთ რაღაცებს გაიძახის ახლა notre sainte russie-ზე, რომ მისი ორგანიზმის ამ გარდაქმნას - დიახ, სხვანაირად ვერ

ვუწოდებ - რა ხანია უკვე დიდ ოჯახურ უსიამოვნებას და კერძოდ ამ უკუღმართ ქორწინებას ვაბრალებ. მე ჩემი საცოდავი რუსეთი ხელისგულივით მაქვს შესწავლილი, მთელი ჩემი სიცოცხლე რუს ხალხს შეეწირე, ამიტომ შემძლია დაგარწმუნოთ, რომ რუსი ხალხისა იმან არაფერი იცის და თანაც...

- არც მე ვიცი არაფერი რუსი ხალხისა და... არც დრო მაქვს შესწავლის! - მოუჭრა ისევ ინჟინერმა და ისევ შეტრიალდა დივანზე. სტეპან ტროფიმოვიჩს სათქმელი გაუწყდა.

- არა, სწავლობს, სწავლობს, - ჩაერია ლიპუტინი, - და საინტერესოზე საინტერესო წერილს ამზადებს რუსეთში თვითმკვლევლობის გახშირების მიზეზებსა და საერთოდ საზოგადოებაში თვითმკვლევლობის გამახშირებელსა თუ შემაბრკოლებელ მიზეზებზე. საოცარ შედეგებამდე მივიდა.

ინჟინერი საშინლად აღელდა და გაბრაზებით ალულლულდა: - მაგის უფლება სულაც არ გაქვთ. მე წერილს სულაც არ ვამზადებ. ამ სისულელეებისათვის არა მცალია. მე კონფიდენციალურად გკითხეთ, სულ შემთხვევით. ეგ წერილი არ არის. ბეჭდვით არ ვბეჭდავ. თქვენ კი უფლება არ გაქვთ...

ლიპუტინი ნეტარებდა: - უკაცრავად, ჩემო ბატონო, იქნებ შევცდი, რომ თქვენს ლიტერატურულ ნაშრომს წერილი ვუწოდებ. ეს ბატონი დაკვირვებებს აწარმოებს, ხოლო საკითხის არსს, ანუ, ასე ვთქვათ, მის ზნეობრივ მხარეს სრულიად არ იხილავს, თვით ზნეობასაც სავსებით უარყოფს, საყოველთაო განადგურების უახლოეს პრინციპს მისდევს საბოლოო სიკეთის დასამყარებლად. იგი უკვე ას მილიონზე მეტ თავს თხოულობს ევროპაში საღი აზრის დასანერგად, იმაზე გაცილებით მეტს, ვინემ მშვიდობის უკანასკნელ კონგრესზე[100] მოითხოვეს. ამ თვალსაზრისით ალექსეი ნილიჩმა ყველას გადააჭარბა.

ინჟინერი ზიზღნარევი მკრთალი ღიმილით უსმენდა. ნახევარი წუთი ყველანი ვდუმდით.

- არაა ჭკვიანური, ლიპუტინ, - თქვა ბოლოს თავშეკავებით ბ-მა კირილოვმა. - თუკი ზოგი რამ უნებურად წამომცდა და ხელზე დაიხვიეთ, ეს თქვენი ნებაა. მაგრამ უფლება არა გაქვთ, ვინაიდან მე არავის არაფერს ვეუბნები. მე მეზიზღება ლაპარაკი... კაცს თუ რწმენა აქვს, მაშინ ჩემთვის ნათელია... ეს ჭკვიანურად არ მოგივიდათ. მე ისეთ რამეებზე არ ვმსჯელობ, რაც უკვე გადაწყვეტილია. ვერ ვიტან მსჯელობას. არ მიყვარს მსჯელობა...

- იქნებ მართალიც ბრძანდებით, - ვერ მოითმინა სტეპან ტროფიმოვიჩმა.

სტუმარმა ცხარედ და სხაპასხუპით განაგრძო: - თქვენთან უკაცრავად, მაგრამ აქ გული არავისზე მომდის. ოთხი წელია ხალხს არ შევხვედრივარ და არ მილაპარაკია, ჩემი მიზნები მქონდა. ეს არავის საქმე არ არის, დიახ, ოთხი წელი. ლიპუტინმა გაიგო და დამცინის. ვამჩნევ დ არად ვაგდებ. მე ფხუკიანი არა ვარ, ოღონდაც ენას თავისუფლებას რომ აძლევს, მწყინს. ხოლო თუ ჩემს შეხედულებებს თქვენ არ გამცნობთ, - დაასკვნა მოულოდნელად და მტკიცედ გადმოგვხედა ყველას, - იმიტომ კი არა, მეშინია, მთავრობასთან დამაბეზლებთ; არა, თუ შეიძლება, ეგ სისულელე არ გაიფიქროთ...

ამ სიტყვებზე ერთმანეთს გადავხედეთ, პასუხი არ გაგვიცია. ლიპუტინსაც დაავიწყდა ჩახითხითება.

სტეპან ტროფიმოვიჩი დივნიდან წამოდგა.

- ძალიან ვწუხვარ, ბატონებო, მაგრამ უქეიფოდ და უგუნებოდ გახლავართ. მაპატიეთ.

- აჰ, მაშასადამე, უნდა წავიდეთ, - გონს მოეგო ბატონი კრილოვი და ქუდს დაავლო ხელი, - კარგია, რომ თქვით, თორემ გულმავიწყი ვარ.

კირილოვი სახეგაშლილი მიუახლოვდა სტეპან ტროფიმოვიჩს და ხელი გაუწოდა. - მწყინს, რომ უქეიფოდ ხართ, მე კი გეახელით და შეგაწუხეთ.

სტეპან ტროფიმოვიჩმა გულთბილად ჩამოართვა ხელი.

- გისურვებთ ჩვენთან ბედმა გაგიღიმოთ მე, რა თქმა უნდა, მესმის, თუკი საზღვარგარეთ ამდენი ხანი დაჰყავით, და, როგორც ბრძანეთ, თქვენი მიზნებისათვის ხალხს ერიდებოდით და რუსეთი დაივიწყეთ, რასაკვირველია, აქაურ რუსობას ნება-უნებლიედ უცხო თვალთ შემოგვხედავთ. ასევე ჩვენც. Mais cela passera [101]. ოღონდ ის კი ვერ ამიხსნია: ხოიდის აშენება გნებავთ ჩვენში და ამავე დროს აცხადებთ, საყოველთაო განადგურების პრინციპს ვიზიარებო. არა, ბატონო, ჩვენში ხიდს თქვენ არ აგაგებინებენ!

- რაო? როგორ თქვით... უყურე ერთი, - განცვიფრდა კირილოვი და უეცრივ მხიარულად გადაიხარხარა. წამით ბავშვური სახე გაუხდა და ძალიან დაშვენდა. სტეპან ტროფიმოვიჩის მოსწრებულმა სიტყვამ ლიპუტინიც აღაფრთოვანა და ხელებს იფშვნეტდა. მე კი მიკვირდა და ვერ ამეხსნა: რად დააფრთხო ასე სტეპან ტროფიმოვიჩ ლიპუტინის მოსვლამ და მისი ხმის გაგონებაზე რად შეჰყვირა: დავიღუპეო.

V

ყველანი კარის ზღურბლზე ვიდექით. ეს იყო სტუმარ-მასპინძლის გაყრის წუთი, როცა ისინი კიდევ ერთხელ დიდი თავაზით ემშვიდობებიან ერთმანეთს და მერე ყველა თავ-თავისი გზით მიდის.

ლიპუტინი ოთახიდან გადიოდა, მაგრამ უეცრივ მოტრიალდა და თითქოს სხვათა შორის გადმოგვიდო: - კაპიტან ლეზიადკინთან დღეს უსიამოვნება მოუვიდა დის გამო და ამიტომ გახლავთ ასე უგუნებოდ. კაპიტანი ლეზიადკინი ყოველ ცისმარე დღეს თავის მშვენიერ გიჟ დას მათრახით სცემს, დიახ, ნამდვილი კაზაკური მათრახით, ყოველ დილა-საღამოს. ალექსეი ნილიჩი ფლიგელშიაც კი გადავიდა, ოღონდაც ამ ამბავს გავერიდოო. აბა, კარგად ბრძანდებოდეთ.

- დას? ავადმყოფს? მათრახით? - ისე შეჰყვირა სტეპან ტროფიმოვიჩმა, თითქოს თვითონ მას გადაუჭირეს მათრახი, - ვინ დას? ვინ ლეზიადკინი?

წელანდელი შიში მყისვე დაუბრუნდა სტეპან ტროფიმოვიჩს.

- ვინ და გადამდგარი კაპიტანი ლეზიადკინი რომ გახლავთ; ოღონდ წინათ შტაბს-კაპიტანს უწოდებდა თავს...

- ეე, მისი ჩინი რაში მენაღვლება! რომელ დას? ღმერთ ჩემო.. ლეზბიანობა, მეუბნებით? ერთი ლეზბიანობის ხომ აქაც იყო.

- სწორედ ის ლეზბიანობის გახლავთ, ჩვენი ლეზბიანობის, გახსოვთ, ვირჯინსკისთან?

- აკი ყალბ ფულზეზე ჩავარდაო?

- მერე რა, აგერ უკვე სამი კვირა იქნება დაბრუნდა და თანაც რა ამბით დაბრუნდა!

- ეგ ხომ ერთი არამზადა ვინმეა?

- ვითმ ჩვენში არ არიან არამზადები? - გაიღრიჯა ლიპუტინი და სტეპან ტროფიმოვიჩს ეშმაკური თვალები ჩაასო.

- ოჰო, ღმერთო ჩემო, მაგას როდი გეკითხებით... თუმცა არამზადებზე კი გეთანხმებით, სწორედ თქვენ გეთანხმებით. მაგრამ მერე, მერე რა იყო? ამით რისი თქმა გინდოდათ?.. თქვენ ხომ უთუოდ რაღაც გაქვთ გუნებაში!

- დიდი არაფერი გახლავთ... უბრალოდ ეგ კაპიტანი მაშინ, მგონი, სულაც იმ ყალბი ფულების გამო არ წასულა, მხოლოდ და მხოლოდ თავისი დის მოძებნა უნდოდა. და თურმე სადღაც ეძებებოდა; ახლა თან ჩამოიყვანა, ესაა და ეს. ნეტა რამ შეგაშინათ, სტეპან ტროფიმოვიჩ, თუმცა, რაც მთვრალმა იყბედა, იმას ვამბობ, სიფხიზლეში ვერაფერს წამოაცდევინებ ამაზე. ბრაზიანი კაცია, ასე ვთქვათ, მხედრულ-ესთეტიური ყაიდისა, ოღონდ ცოტა უწესო ჩვევების. მისი და კი გიჟიც არის და ამასთან კოჭლაუხაც. ამბობენ, ვილაცამ შეაცდინა და ბატონი ლეზბიანობის აგერ რამდენი წელია ყოველწლიურ ხარკს იღებს პატიოსანი კაცის შეურაცხყოფისთვისო, როგორც მისი ყბედობიდან გამომდინარეობს - თუმცა, ჩემი აზრით სიმთვრალე აყბედებს: მხოლოდ ტრაზახობს. აბა ამდენ ფულს ვინ მისცემს ამისთვის? თუმცა ფული რომ აქვს, ეს მართალია. კვირანახვერის წინ თითებგამოყრილი დადიოდა, ახლა კი ჩემი თვალთ ასიანები დავუნახე ხელში. დას ყოველდღე რაღაც ზნე უვლის, ჭყვირილით იკლებს იქაურობას, ძმას კი „ჭკუაზე მოჰყავს“ მათრახით. ქალსო, ამბობს, შენი რიდი და შიში უნდა ჩაუნერგო. არ მესმის, შატოვს რა აძლებინებს მაგათ თავზე. ალექსეი ნილიჩმა მარტო სამი დღე დაჰყო მაგათთან და ახლა ფლიგელში გადაბარგდა, აყალმაყალს რომ გარიდებოდა, პეტერბურგიდან კი იცნობდა თურმე.

- მართალს ამბობს? - მიუბრუნდა სტეპან ტროფიმოვიჩი ინჟინერს.

- ბევრს ყბედობთ, ლიპუტინ, - გაჯავრებით წაიდუდუნა კირილოვმა.

სტეპან ტროფიმოვიჩმა ველარ მოითმინა და იყვირა: - სულ რაღაც საიდუმლოებებია! ნეტავ საიდან გამოგიტყვრათ ახლა ამდენი საიდუმლო?

ინჟინერმა წარბი შეიკრა, გაწითლდა, მხრები აიჩეჩა და კარისკენ გაემურა.

- ალექსი ნილიჩმა მათრახიც კი გამოგლიჯა ხელიდან, დაუმტვრია და ფანჯრიდან გადაუგდო. დიდი ჩხუბი ჰქონდათ, - დასძინა ლიპუტინმა.

- რა გატარტარებთ, ლიპუტინ, რა სისულელეა, ნეტა რისი გულისთვის? - მყისვე მოუტრიალდა ალექსეი ნილიჩი.

- აბა რა დასამალია გულის კეთილშობილური ზრახვანი, მე თქვენს გულზე მოგახსენებთ, ჩემსაზე არა.

- რა სისულელეა... ან რაში გჭირდებათ... ლებიადკინი ბრიყვია და ტუტუცი - საქმისათვის გამოუსადეგარი.. თუ გნებავთ, მავნეც, აბა რა გაყბედებთ ამდენს? მე წავედი.

ლიპუტინს სახე გაეზადრა.

- აფსუს, აფსუს! თორემ ერთ ანეკდოტსაც გეტყოდით, სტეპან ტროფიმოვიჩი, და ბარემ გაგაცინებდით. იმ განზრახვითაც მოვედი, რომ მეთქვა, თუმცა იქნებ გაგებულიც გაქვთ. არა უშავს, სხვა დროს იყოს, ალექსეი ნილიჩს ძალიან ეჩქარება... ნახვამდის, ბატონო ჩემო. ვარვარა პეტროვნაზეა ანეკდოტი, ამ სამი დღის წინ განგებ დამიბარა, მომკლა კაცი სიცილით. ნახვამდის, ჩემო ბატონო.

მაგრამ ახლა კი სტეპან ტროფიმოვიჩმა აღარ გაუშვა მხრებში ჩააფრინდა, ოთახში შემოაბრუნა და სკამზე დასვა. ლიპუტინს შეეშინდა კიდევ.

- აბა რა, - დაიწყო ისევ და სტეპან ტროფიმოვიჩს მორიდებით გამოხედა სკამიდან, - ერთბაშად დამიბარა და „კონფიდენციალურად“ მკითხა, როგორ ფიქრობთ: ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი შეშლილია თუ არაო? საკუთრივ თქვენი აზრი მინდა ვიცოდეთ. მოდი და ნუ გაიკვირვებ კაცი!

- გაგიჟდით და ეგ არის! - წაიდუღუნა სტეპან ტროფიმოვიჩმა და უეცრივ ბრაზი წაეკიდა: - თქვენ მშვენივრად იცით, ლიპუტინ, რომ მარტო ამ სისაძაგლისა და... კიდევ უარესის სათქმელად ხართ მობრძანებული!

უმაღლ მომაგონდა მისი ნათქვამი, ლიპუტინმა ჩვენს საქმეში არათუ ჩვენზე მეტი იცის, ისეთი რაღაც იცის, რასაც ჩვენ ვერასდროს შევიტყობთო.

- რას ბრძანებთ, სტეპან ტროფიმოვიჩ! - ლულულულებდა ვითომდა დამფრთხალი ლიპუტინი, - რას ბრძანებთ...

- ხმა ჩაიგდეთ და დაიწყეთ! ძალიან გთხოვთ, ბატონო კირილოვ, მობრუნდეთ და დაგვესწროთ, ძალიან გთხოვთ! დაბრძანდით. აბა, ლიპუტინ, პირდაპირ დაიწყეთ... მიუკიბ-მოუკიბავად.

- რომ მცოდნოდა, ეგრე „ფრაპირებული“ [102] დარჩებოდით, ხმას როგორღა ამოვიღებდი... მე მეგონა, ვარვარა პეტროვნასაგან უკვე ყოველივე იცოდით!

- არაფერიც არ გეგონათ! აბა დაიწყეთ; დაიწყეთ-მეთქი, გეუბნებიან!

- ოღონდ წყალობა მოიღეთ და თქვენც დაბრძანდით, თორემ მე სკამზე ვიჯდე და თქვენ ასე აღელვებულნი... დარბოდეთ, ჩემთვის უხერხულია.

სტეპან ტროფიმოვიჩმა თავს სძლია და დინჯად დაეშვა სავარძელში. ინჟინერი მოღუშული დასჩერებოდა იატაკს. ლიპუტინი დიდი ნეტარებით შეჰყურებდა მათ.

- აბა როგორ დავიწყო.. შემარცხვინეთ კაცი...

- ერთიც ვნახოთ ამ სამი დღის წინ ვარვარა პეტროვნამ კაცი გამომიგზავნა: გთხოვთ, ხვალ თორმეტ საათზე მობრძანდეთო. დაიჯერებთ ამას? მე ჩემი საქმე მივატოვე და გუშინ, ზუსტად შუადღისას დავრეკე ზარი. პირდაპირ სასტუმროში შემიყვანეს; ერთ ხუთი წუთი ვიცადე - გამობრძანდა. დამსვა, თვითონ პირდაპირ დამიჯდა, ვზივარ და ჩემს თვალებს არ ვუჯერებ; თავადაც მოგეხსენებათ, როგორ აბუჩად მიგდებდა მუდამ! პირდაპირ დამიწყო, როგორც სჩვევია ხოლმე: „ალბათ გახსოვთ, მითხრა, ამ ოთხი წლის წინათ ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი ავად რომ იყო და ისეთ უცნაური რამეები ჩაიდინა, მთელი ქალაქი საგონებელში ჩააგდო, სანამ ყველაფერი არ გაირკვა. ერთ-ერთი ამბავი პირადად თქვენ შეგეხბოთ. ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩმა გამოჯანმრთელების მერე რომ შემოგიარათ მაშინ, ეს ჩემი თხოვნითაც იყო. ისიც ვიცი, მანამდეც რამდენჯერმე გელაპარაკათ. ჰოდა, გულახდილად და დაუფარავად მითხარით, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩზე მაშინ რა აზრისა... (აქ სიტყვა გაუწყდა) - ერთი სიტყვით, როგორ მოგეჩვენათ მაშინ ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი... საერთოდ რას ფიქრობდით... რა აზრის იყავით მაშინ... ან ახლა?..“

აქ უკვე საბოლოოდ დაებნა სათქმელი, მთელი ერთი წუთი დუმდა და უეცრად გაწითლდა. მე გული გადამიქანდა. მერე ისევ გააგრძელა, მუდართ-მეთქი, ვერ ვიტყვი, მის ბუნებას არ შეჰფერის, მაგრამ მეტად საგულისხმოდ კი: „მე მინდა, მითხრა, კარგად და უშეცდომოდ გამიგოთ. ახლა იმიტომ დაგიბარეთ, გამჭირახი და მახვილი გონების კაცი მგონიხართ, ადამიანს სწორად აუღებთ ალღოს (ქათინაურებს ვერ უყურებთ!), თქვენ იმასაც გამიგებთ, რომ დედა ვარ და იმიტომ გელაპარაკებით... ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს ცხოვრებაში სამწუხაროც ბევრი შეხვდა და უსიამოვნებაც ბევრი გამოსცადა. ვინ იცის, იქნებ ყოველივე ამან იმოქმედა მისი გონების წყობაზე. ცხადია, იმას არ ვიტყვი, ჭკუაზე არ არის-მეთქი, ეს თავის დღეში არ მოხდება! (მტკიცედ და ამაყად ბრძანა). მაგრამ ხომ შეიძლება რაღაც უცნაურად შეტრიალებოდა ტვინი, რაღაც უცნაურ შეხედულებებისაკენ მიდრეკილიყო (სიტყვასიტყვით ასე ბრძანა, სტეპან ტროფიმოვიჩ, გავოცდი კიდეც, რა ზუსტად იცის ხოლმე ვარვარა პეტროვნამ საქმის ვითარების ახსნა. დიდი ჭკვიანი ქალია!) ასეა თუ ისე, მეც შევამჩნიე, რომ მუდამ რაღაც აფორიაქებულია, რაღაც უცნაური მიდრეკილებანი აქვს. მაგრამ მე დედა ვარ, თქვენისთანა გარეშე კაცს კი, ისიც თქვენებრ ჭკვიანს, რა თქმა უნდა, მეც შევამჩნიე, რომ მუდამ რაღაც აფორიაქებულია, რაღაც უცნაური მიდრეკილებანი აქვს. მაგრამ მე დედა ვარ, თქვენისთანა გარეშე კაცს კი, ისიც თქვენებრ ჭკვიანს, რა თქმა უნდა, უფრო შეუძლია პირუთვნელი აზრი შეიქმნას. გემუდარებით (დიახ, ასე მითხრა, გემუდარებითო), თავი დაანებეთ მიკიბულ-მოკიბულს და პირდაპირ მითხარით სიმართლე, ხოლო თუ იმის პირობასაც მომცემთ, ეს საუბარი ჩვენ შორის დარჩება, იცოდეთ, მუდამ მზად ვიქნები, თუ შემთხვევა მექნა, სამაგიერო მაღლობა გადაგიხადოთ“. მაშ, მაშ, ვერ უყურებთ!

- თქვენ... თქვენ ისე გამაკვირვეთ... რომ არაფერი მჯერა.. - წაილულლულა სტეპან ტროფიმოვიჩმა.

ლიპუტინმა თითქოს ვერ გაიგონა და გააგრძელა: - არა, ისიც ინიშნეთ, რაოდენ ადევლებული და შემფოთებული უნდა იყოს, რომ ჩემისთანა კაცს ასეთ რამ ჰკითხოს და ისიც ვინ! არც იმის თხოვნა იუკადრისოს, საიდუმლოდ შეინახეო. რას ნიშნავს ნეტა? მოულოდნელი ხომ არაფერი გაიგო ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩზე?

- არ ვიცი... არაფერი ვიცი... ეს რამდენიმე დღეა არ მინახავს, მაგრამ... იმას კი გეტყვით... - ლულულულებდა სტეპან ტროფიმოვიჩი, ეტყობოდა, გონი ვერ მოეკრიბა, - იმას კი გეტყვით, ლიპუტინ, თუ ეს საიდუმლოდ გითხრეს და თქვენ კი ახლა აქ...

- დიახ, სრულიად საიდუმლოდ! ღმერთი გამიწყრეს, მე თუ... ხოლო თუ აქ... მერედა რა? განა ჩვენ უცხონი ვართ, გინდაც ალექსეი ნილიჩის ჩათვლით?

- მე მაგ აზრს არ ვიზიარებ; უეჭველია, ჩვენ სამნი საიდუმლოებას არ გავთქვამთ. მაგრამ თქვენ მეოთხე ხართ და თქვენი ყველაზე მეტად მეშინია და არაფერი მწამს!

- მაგას რად ბრძანებთ, სტეპან ტროფიმოვიჩ? ყველაზე მეტად მე გახლავართ დაინტერესებული, კაცს საუკუნო მადლიერება აღმითქვეს! სწორედ ახლა მინდოდა ერთი უცნაური შემთხვევა მომეხსენებინა ამ ამბავთან დაკავშირებით, უფრო, ასე ვთქვათ, ფსიქოლოგიური, ვინემ მარტო უცნაური. წუხელ ვარვარა პეტროვნასთან ლაპარაკის შემდეგ (თავად მოგეხსენებათ, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ეს ჩემზე), ალექსეი ნილიჩს მოიარებით შევეკითხე: ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს თქვენ საზღვარგარეთაც იცნობდით და აქაც, ჰოდა, რას იტყვით-მეთქი მისი ჭკუისა და გონების ირგვლივ? ლაკონიური პასუხი გამცა, როგორც სჩვევია ხოლმე, დიდი მახვილი ჭკუისა და საღი გონების კაციაო. ხომ არ შეამჩნიეთ-მეთქი ამ ხნის მანძილზე რამდენადმე იდეების ანუ აზროვნების ერთგვარი გამრუდება, რამდენადმე, ასე ვთქვათ, ჭკუაზე შერყევა-მეთქი. ერთი სიტყვით, თვითონ ვარვარა პეტროვნას შეკითხვა გავუმეორე. წარმოიდგინეთ: ალექსეი ნილიჩი ჩაფიქრდა, შეიჭმუხნა, აი, როგორც ახლა, და თქვა: „დიახ, ზოგჯერ რაღაც უცნაურად კი მეჩვენებოდა“. ისიც ინიშნეთ, თუ ალექსეი ნილიჩს უცნაურად ეჩვენა, სინამდვილეში რაღა იქნება, ჰა?

- მართალს ამბობს? - მიუბრუნდა სტეპან ტროფიმოვიჩი ალექსეი ნილიჩს.

ინჟინერმა უეცრივ თავი ასწია და თვალები დააბრიალა: - არ მსურს ამაზე ლაპარაკი. უნდა შეგედავოთ, ლიპუტინ. არავითარი უფლება არ გქონდათ ეს ჩემი შემთხვევა გეამბნათ. ჩემი აზრი სულაც არ მითქვამს თქვენთვის. მართალია, პეტერბურგში ვიცნობდი, მაგრამ... მას აქეთ დიდმა ხანმა განვლო. ისიც მართალია, რომ ახლაც შევხვდი, მაგრამ ნიკოლაი სტავროვიჩს ნაკლებ ვიცნობ. გთხოვთ, მე ნუ გამრევთ ამ.. ამ ჭორებში.

ლიპუტინმა უცოდველი კაცივით გაშალა ხელები.

- ჭორებშიო? იქნებ ჯამუშიც ვიყო, ჰა? ეჰ, ალექსეი ნილიჩ, თქვენთვის ადვილია კრიტიკა, ყველაფერს თავიდან იცილებთ. არ დამიჯერებთ, სტეპან ტროფიმოვიჩ, და ხომ ისეთი რეგენი კაცია კაპიტანი ლეზიადკინი.... მრცხვენია კიდეც, რომ ვთქვა, როგორი; რუსებს გვაქვს ერთი ასეთი შედარება, ხარისხს რომ ნიშნავს, მაგრამ ისიც კი ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩისაგან თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, თუმცაღა ქედს იდრეკს მისი მახვილგონიერების წინაშე; განმაცვიფრა პირდაპირ ამ კაცმა, უბრძნესი გველიაო (მისი საკუთარი სიტყვებია). მეც ვკითხე (ისევ გუშინდელი შთაბეჭდილებით, ალექსეი ნილიჩთან ლაპარაკის შემდეგ), რას იტყვით, კაპიტანო როგორ გგონიათ თქვენი მხრივ: შეშლილია ეგ თქვენი უბრძნესი გველი თუ არა-მეთქი? დამიჯერებთ, ისე გულს მოხვდა ეს ჩემი სიტყვა, თითქოს ზურგზე მათრახი გადამეჭიროს მისდა დაუკითხავად. შეხტა კიდეც: „დიახ, - მითხრა... - ოღონდაც ეგ გავლენას ვერ მოახდენსო..“ მაგრამ რაზე ვერ მოახდენდა გავლენას, არ თქვა და ისე

მწარედ ჩაფიქრდა, ისე მწარედ, რომ გამოფხიზლდა კიდეც. ფილიპოვის დუქანში ვისხედით მაშინ. მერე აიღო და ნახევარი საათის შემდეგ მუშტი დაახეთქა მაგიდას: დიახო, მითხრა, შეიძლება შემლილიც იყოს, მაგრამ ეს გავლენას არ მოახდენსო... და არც მაშინ თქვა, რაზე მოახდენდა გავლენას. ცხადია, მე ახლა მოკლედ მოგახსენებთ ჩვენს საუბარს, მაგრამ აზრი ხომ გასაგებია; ვისაც არ ჰკითხავ, ყველას ეს მოსდის თავში, გინდაც წინათ არც ეფიქრათ ამაზე: დიახ, ამბობენ, შემლილია; დიდი ჭკუისაა, მაგრამ იქნებ შემლილი გახლავთო.

სტეპან ტროფიმოვიჩი ჩაფიქრებული იჯდა და რაღაცას გამწარებით საზრობდა.

- ლებიადკინმა საიდან იცის?

- ეგ ინებეთ და ალექსეი ნილიჩს ჰკითხეთ, რომელმაც მე აქ ჯაშუში მიწოდა. მე ჯაშუში ვარ და არაფერი ვიცი. მაგან კი იცის ყველაფერი და დუმს, დიახ.

- მე არაფერი ვიცი, თუ ვიცი, ძალიან ცოტა, - ახლაც გაბრაზებით გაეხმაურა ინჟინერი. - ლებიადკინი თქვენ დაგყავთ და ათრობთ, რომ საიდუმლო გამოსტყუოთ. მეც აქ იმიტომ მომიყვანეთ, რამე მათქმევინოთ მაშასადამე, ჯაშუში ბრძანდებით!

- მე ეგ არ დამითვრია, არც ისა და არც მისი საიდუმლო ამაღ არა ღირს. თქვენი არ ვიცი და მე ასე ვუყურებ მაგ ამბავს. პირიქით, ფულს ეგ ფანტავს აქეთ-იქით, თუმცა ამ თორმეტიოდე დღის წინათ სამი შაურის სასესხებლად მომადგა. შამპანურს ეგ მასმევს და არა მე. მაგრამ ეგ თქვენ კარგი მითხარით, თუ დამჭირდა, მართლაც დავათრობ, სწორედ იმიტომ, რომ ვათქმევინო და იქნებ დავსტყუო კიდეც... ეგ თქვენი საიდუმლოებანი, - ღვარძლიანად შეუღრინა ლიპუტინმა.

სტეპან ტროფიმოვიჩი გაოგნებული მიშტერებოდა ორივე მოკამათეს, რომლებმაც ასე უბოდიშოდ გამოამჟღავნეს თავი. ვიფიქრე, ლიპუტინმა სწორედ იმ მიზნით მოგვიყვანა-მეთქი ეს ალექსეი ნილიჩი, რომ მესამე პირის საშუალებით ლაპარაკში ჩაეთრია; ეს მისი ნაცადი ხერხი იყო.

- არ ამხელს, თორემ ალექსეი ნილიჩი ძალიან კარგად იცნობს ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს, - განაგრძო ლიპუტინმა გაგულისებით, - კაპიტანი ლებიადკინიც ჩვენზე ადრე ჰყავს გაცნობილი პეტერბურგში, ასე ხუთი, ექვსი წლის წინ, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩის ცხოვრების, თუ შეიძლება ითქვას, იმ ნაკლებად ცნობილ ხანაში, როცა ჯერ კიდევ აზრად არ ჰქონია აქ ჩამობრძანება და ჩვენი გაბედნიერება. უნდა დავასკვნათ, ჩვენს უფლისწულს საკმაოდ უცნაური ნაცნობები ჰყოლია იმხანად პეტერბურგში. მგონი, მაშინ გაეცნო ალექსეი ნილიჩსაც.

- ჭკუით იყავით, ლიპუტინ, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი მალე ჩამოვა. ის კი თავს არავის დააჩაგვრინებს.

- მე რა შუაში ვარ, ბატონო? მე პირველი გავიძახი, მახვილზე მახვილი და ნატიფი ჭკუის კაცია-მეთქი. ვარვარა პეტროვნასაც გუშინ ამით დავუმშვიდე გული. ეს არის, ხასიათზე ვერაფერს ვიტყვი, მაგაში თავდებად ვერ დავუდგები-მეთქი. ლებიადკინმაც ეს არ გაიმეორა გუშინ: რაც მჭირს, მისი ხასიათისაგან მჭირსო. ეჰ, სტეპან ტროფიმოვიჩ, ადვილია ჭორიკანობა და ჯაშუშობა შემწამოთ, როცა ყველაფერი უკვე ასეთი ცნობისმოყვარეობით დამტყუეთ. აგერ ვარვარა პეტროვნამ გუშინ შიგ გულში მომახვედრა: „ვიცი, ამ საქმეში დაინტერესებული ბრძანდებით და

იმიტომაც მოგმართავთ“. მაშ არადა! რა მიზნები, რის მიზნები, როცა მისმა აღმატებულებამ ასეთი სირცხვილი მაჭამა ამოდენა ხალხში! მგონი, საკმაო მიზეზი მაქვს არა მარტო საჭოროად გამოვიკვლიო ყველაფერი. დღეს კაცი ხელს გართმევს, ხვალ კი, თუ მოეპრიანება, შენივე სახლში ამისთანა სირცხვილს გაჭმევს მთელი პატიოსანი ხალხის წინაშე, შენს პურ-მარილზე, ყოვლად უმიზეზოდ და გაგასილაქებს კიდეც. კაი ცხოვრების ბრალია, ჩემო ბატონო! მთავარი მათთვის ქალთა სქესია, ვინაიდან ფარვანები ბრძანდებიან, ჩემო ბატონო, გულადი მამლაყინწები! ცელქი ამურებივით მოფარვატე თავადები, ჩემო ბატონო, მუსუსი პეჩორინები! თქვენ რა გიჭირთ, სტეპან ტროფიმოვიჩ, უცოლოდ დაბერდით, თქვენთვის ადვილია ლაპარაკი და მისი აღმატებულების გულისთვის ჩემი ჭორიკანად მონათვლა, მაგრამ აბა ერთი მოიყვანეთ ლამაზი, ახალგაზრდა ცოლი, მე შენ გეტყვი, ჭარმაგად არ გამოიყურებით, და მაშინ ნახავთ, თუ ჩვენს უფლისწულს კარს არ ჩაუკეტავთ და ბარიკადებსაც არ აუშრთავთ სახლში! რა სათქმელია. აბა ერთი ის mademoiselle ლებიადკინა, ყოველ ცისმარე დღეს რომ ამათრახებენ, გიჟი და კოჭლაუხა არ იყოს, ღმერთმანი, ვიფიქრებდი, ჩვენი გენერლის ვნებათაღელვის მსხვერპლია და კაპიტან ლებიადკინს სწორედ მან შეულახა „ოჯახური ღირსება“ - მეთქი, როგორც თვითონ გაიძახის. ეს არის, მისი აღმატებულების ნატივ გემოვნებას არ შეეფერება. თუმცა გუნებაზე ნუ იქნება, თორემ ხელს რა შეუშლის - ხილი ხილია, ბატონო! აგერ ჭორიკანობას მწამებთ, მაგრამ განა მარტო მე ვამბობ, მთელ ქალაქში ყაყანებენ უკვე ამაზე. მე მხოლოდ ვისმენ და კვერს ვუკრავ. კვერის დაკვრა ხომ აკრძალული არ არის.

- ქალაქში ყაყანებენო? რას ყაყანებენ ქალაქში?

- რასაც მთვრალი კაპიტანი ლებიადკინი გაჰყვირის ყველგან, ეს კი იგივეა, თუნდაც მთელ მოედანს უკიჟინია! ჩემი რა ბრალია? მე მხოლოდ მეგობრებში ვამბობ, ვინაიდან აქ მაინც მეგობრებს შორის ვთვლი თავს, - მიამიტი სახით გადმოგვაველო თვალი ლიპუტინმა, - აბა მე ერთ ამბავს გეტყვით და თქვენ დაუფიქრდით: როგორც თქვენს, მის აღმატებულებას თურმე შვეიცარიიდან ერთი კეთილშობილი ქალიშვილისა და, ასე ვთქვათ, მოკრძალებული ობლისათვის, ვისაც პატივი მაქვს ვიცნობდე, ოცდაათი თუმანი გამოუტანებია კაპიტან ლებიადკინისთვის გადასაცემად. რამდენიმე ხნის შემდეგ კი კაპიტანმა ლებიადკინმა დანამდვილებით შეიტყო, არ ვიტყვი, ვისგან, მაგრამ კეთილშობილზე კეთილშობილ და, მამასადამე, სანდო პირისაგან, რომ ოცდაათი თუმანი კი არა, ასი თუმანი ყოფილა გამოგზავნილი. ჰოდა, ლებიადკინიც გაჰყვირის ახლა, იმ ქალიშვილმა სამოცდაათი თუმანი ამწაპნაო, და ლამის პოლიციის ჩარევით უნდა უკან დაიბრუნოს. ყოველ შემთხვევაში, ასე იმუქრება და ასე მოსდო მთელ ქალაქს...

ინჟინერი ერთბაშად სკამიდან წამოხტა: - ეგ დიდი უნამუსობაა თქვენი მხრივ!

- ვაჰ, განა თქვენ თვითონ არ ბრძანდებით ის კეთილშობილზე კეთილშობილი კაცი, რომელმაც ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩის სახელით დაუმოწმა ლებიადკინს, ოცდაათი კი არა, ასი თუმანი იყო გამოგზავნილი. მე ხომ კაპიტანმა თავისი პირით მითხრა სიმთვრალეში..

- ეგ.. სამწუხაროდ გაუგებრობა არის, ვიღაცას შეეშალა და... ეგ სისულელეა, თქვენ კი უნამუსოდ იმეორებთ!

- მეც ეგ მინდა, რომ სისულელე იყოს, მეც დიდად მწყინს მაგის მოსმენა, ვინაიდან, რაც უნდა იყოს, კეთილშობილი ქალიშვილია, ჯერ ერთი, მაგ სამოცდაათი თუმნის ამბავში გარეული და მეორეც, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩთან საექვო სიახლოვე ბრალდება. თუმცა მისი აღმატებულებისთვის რა ბედენაა კეთილშობილ ქალიშვილს სახელი გაუტეხოს ან სხვის ცოლს თავი მოჭრას საქვეყნოდ, როგორც მე მიქნა. თუ ვინმე დიდსულოვანი კაცი ჩაუვარდათ ხელში, იცოცხლე, სხვის ცოდვებს თავისი პატიოსანი სახელით დააფარვინებენ, მეც ხომ ასე მიყვეს; მე ჩემს თავზე მოგახსენებთ...

- ჭკუით, ლიპუტინ! - ფერი ეცვალა სტეპან ტროფიმოვიჩს და სავარძლიდან წამოიწია.

- არ დაუჯეროთ, არ დაუჯეროთ! ვიღაცას შეეშალა, ლებიადკინი კი მთვრალი იყო... - იძახდა წარმოუდგენლად აღელვებული ინჟინერი, - ყველაფერი გაირკვევა, მე, მე კი მეტის ატანა არ შემიძლია... ეს სიმდაბლედ მიმაჩნია... კმარა, კმარა!

ინჟინერი ოთახიდან გავარდა.

- სად წახვედით? მეც ხომ თქვენთან მოვდივარ! - აწრიალდა ლიპუტინი, წამოხტა და ალექსეი ნილიჩს გასდია.

VII

წუთით ჩაფიქრებული იდგა სტეპან ტროფიმოვიჩი, მერე ისე შემომხედა, თითქოს ვერ მხედავსო, აიღო ქუდი და ნელა გავიდა ოთახიდან. წელანდელივით ახლაც უკვე გავდიე. ჭიშკართან შემამჩნია, რომ მივეყვებოდი და მითხრა: - ჰო, მოწმედ გამომადგებით... de l'accident. Vous m'accompagneres, n'est-ce pas?[103]

- სტეპან ტროფიმოვიჩ, მართლა ისევ იქ მიდიხართ? ნუთუ არ ფიქრობთ რა მოჰყვება ამას?

სტეპან ტროფიმოვიჩ წამით შედგა, შემომღიმა საწყლად და დაბნეულად, თუმცაღა უცნაური აღტყინებით, და წაიჩურჩულა: - მაშ, „სხვის ცოდვებზე“ ხომ ვერ დავიწერ ჯვარს!

სწორედ ამ სიტყვებს ველოდი მისგან. სწორედ ეს სიტყვები ვერ დავაცდენინე მთელი კვირაა და ამდენი მალულობისა და მანჭიაობის შემდეგ, როგორც იყო, წამოცდა ახლა. მე ბრაზი მომერია: - როგორ გაივლეთ ეგ ბინძური... ეგ სულმდაბალი ფიქრი, ისიც როდის... ლიპუტინამდე ადრე!... ეგ ეკადრება სტეპან ვერხოვენსკის ნათელ გონებასა და კეთილ გულს!

სტეპან ტროფიმოვიჩმა შემომხედა, არაფერი მიპასუხა და განაგრძო. მე არ ჩამოვრჩი. მსურდა მოწმედ წარვმდგარიყავი ვარვარა პეტროვნას წინაშე. მე ყველაფერს ვაპატიებდი, თუ რომ თავისი ქალაჩუნური ბუნებით მარტო ლიპუტინის ჭორი დაეჯერებინა. მაგრამ ჩემთვის ცხადი იყო, რომ ეს ყველაფერი თვითონ მოიფიქრა ლიპუტინზე უფრო ადრე. ლიპუტინმა მხოლოდ ეჭვები დაუდასტურა და ცეცხლზე ნავთი დაასხა. მან პირველი დღიდანვე განუკითხავად მიიტანა ეჭვი ყმაწვილ ქალზე, თუმცა არავითარი საბაზი არ გააჩნდა, ლიპუტინის ჭორებიც კი არა. ვარვარა პეტროვნას დესპოტური საქციელი მარტოდმარტო იმით ახსნა, გამწარებულია

თავისი ძვირფასი Nicolas-ის თავადური ცოდვები დარბაისელი კაცის სახელით დაფაროსო! მე ძალიან მინდოდა დასჯილიყო ამისთვის.

- ჰო! Dieu qui est si grand et si bon![104] ვინ მანუგეშებს და დამამშვიდებს მე! - შესძახა მან ასიოდე ნაბიჯის გავლის შემდეგ და შედგა.

მე ხელი მოვკიდე და სახლისაკენ გამოვაბრუნე.

- ახლავე შინ წავიდეთ და ყველაფერს აგიხსნიო.

- ის არის, ის! სტეპან ტროფიმოვიჩი, ეს თქვენა ხართ? თქვენ? - გაისმა ზარივით წვრილა ხმა ჩვენ ახლოს.

ლიზავეტა ნიკოლაევნა და მისი მუდმივი მხლებელი ისე ამოგვდგომოდნენ გვერდით, ვერც შევამჩნიეთ. ლიზავეტა ნიკოლაევნამ ცხენი შეაყენა.

- ჩქარა, ჩქარა მოდიო! - ეძახდა მხიარულად, - თორმეტი წელია აღარ მინახავს და მაინც ვიცანი, მაგან კი... ნუთუ მართლა ვერა მცნობთ?

სტეპან ტროფიმოვიჩი დაეწაფა მისკენ გამოწვდილ ხელს და მოწიწებით ეამბორა. სალოცავ ხატივით შეჰყურებდა და სიტყვა ვერ დაეძრა.

- მიცნო და უხარია! მავრიკი ნიკოლაევიჩი, ხედავთ, ჩემმა ნახვამ აღაფრთოვანა! ეს ორი კვირა სად იყავით, რომ არ მოდიოდით? დეიდა მიმტკიცებდა, ავად არის და მისი შეწუხება არ შეიძლებაო. თუმცა ვიცოდი, რომ ტყუის. სულ ფეხებს ვაბაკუნებდი და გლანძღავდით, მაგრამ არავინ გამოგიგზავნეთ, ისე მინდოდა პირველი თქვენ მოსულიყავით. ღმერთო, სულ არ შეცვლილა! - ლიზავეტა ნიკოლაევნა უნაგირიდან გადმოიხარა. - ერთი ბეწოთი არ შეცვლილა! თუმცა არა, აგერ ნაოჭები გაგჩენიათ თვალებთან, ლოყები დაგღარვიათ, ჭადარა გაგრევიათ, მაგრამ თვალები იგივე დარჩა! მე თუ შევიცვალე? შევიცვალე? რატომ არაფერს ამბობთ?

იმავე წუთს მომაგონდა, რომ მიაშხეს, თითქმის ავადმყოფი წაიყვანეს პეტერბურგში თერთმეტი წლისა და ავადმყოფობისას სულ ტიროდა და სტეპან ტროფიმოვიჩს უხმობდაო.

- თქვენ... მე... - ლულულულებდა სიხარულისაგან მისუსტებული ხმით სტეპან ტროფიმოვიჩი, - ეს წუთია შევძახე: „ვინ მანუგეშებს, ვინ დამამშვიდებს-მეთქი!“ და უცებ თქვენი ხმა გავიგონე... ეს სასწაულია et je commence a croire[105].

- En dieu? En Dieu, qui es la-haut et qui est si grand et si bon?[106] ხედავთ, თქვენი ლექციები ზეპირად მახსოვს. იცით, მავრიკი ნიკოლაევიჩი, რა რწმენას მინერგავდა ამ მოწყალე და დიდებული ღმერთისა! გახსოვთ, რომ მიაშხობდით, როგორ აღმოაჩინა კოლუმბმა ამერიკა და რა ყიჟინა დასცა ყველამ: „მიწა, მიწა!“ ალიონა ფროლოვნამ, ჩემმა გადიამ მითხრა, იმ ღამეს სულ ბოდავდი და ძილში ყვიროდი: „მიწა, მიწა!“ გახსოვთ, უფლისწულ ჰამლეტის ამბავიც რომ მიაშხებთ? გახსოვთ, ევროპიდან ამერიკაში საცოდავი ემიგრანტების მგზავრობას რომ ამიწერდით? ეს ტყუილი იყო, მერე გავიგე, როგორც ამგზავრებდნენ, მაგრამ ჰოი, რა ლამაზი ტყუილი იყო! მისი ტყუილი, მავრიკი ნიკოლაევიჩი, თითქმის სიმართლეს სჯობდა! ასე რად უყურებთ მავრიკი ნიკოლაევიჩს? მაგისტანა კარგსა და ერთგულ კაცს დედამიწის ზურგზე ვერ იბოვით, უთუოდ ჩემსავით უნდა შეიყვაროთ! Il fait tout ce qui je veux[107]. მაგრამ,

მვირფასო სტეპან ტროფიმოვიჩი, ალბათ ისევ უბედური ხართ, რახან შუა ქუჩაში გაჰყვირით, ნუგეშს ვინ მომცემსო? უბედური ხართ, ხომ?

- ახლა ბედნიერი ვარ...

- დეიდა გჩაგრავთ? - განაგრძობდა თავისას ლიზავეტა ნიკოლაევნა, - ავგული, უსამართლო და მაინც ყველაზე მვირფასი დეიდა! გახსოვთ, ბაღში რომ ჩამიხუტებდით, მე კი გამშვიდებდით და ვტიროდი, - კარგით ერთი, მავრიკი ნიკოლაევიჩისა რას გერიდებათ; მან უკვე დიდი ხანია ყველაფერი იცის თქვენზე, ყველაფერი. ჩამოადევით მხარზე თავი და რამდენიც გინდათ იტირეთ, არ დაიღლებათ, გაგიძლებთ! გადაიწიეთ ქუდი, არა, სულ მოიხადეთ, თავი გამოსწიეთ, ფეხისწვერებზე დადექით, შუბლზე გაკოცებთ, აი, როგორ უკანასკნელად გაკოცეთ გამომშვიდობებისას. შეხეთ, აგერ ქალიშვილი ფანჯრიდან გვიყურებს და ტკბება ჩვენი მხერით... აბა ახლოს მოდით, ახლოს. ღმერთო, როგორ გაჭაღარავებულხართ!

ლიზავეტა ნიკოლაევნა უნაგირიდან გადმოიხარა და შუბლზე აკოცა.

- ახლა კი თქვენთან წავიდეთ! ვიცი, სადაც ცხოვრობთ. ახლავე, ამ წუთს გეახლებით. რა გაეწყობა, თქვენებრ ჯიუტს პირველი მე ვეწვევი, მერე კი მთელი დღით ჩვენთან წავიყვანთ. აბა წადით, დასახვედრად მოემზადეთ.

ლიზავეტა ნიკოლაევნამ და მისმა კავალერმა გაჰქუსლეს. ჩვენ შინ დავბრუნდით. სტეპან ტროფიმოვიჩი დივანზე დაჯდა და ატირდა.

- Dieu! Dieu! Enfin une minute de Bonheur![108]

არ გასულა ათი წუთი, რომ ლიზავეტა ნიკოლაევნაც შემობრძანდა პირობისამებრ. მავრიკი ნიკოლაევიჩი თან ახლდა.

- Vous et le Bonheur, vous arrivez en meme temps![109] - შეეგება სტეპან ტროფიმოვიჩი.

- ინებეთ თაიგული, madame შევალისაგან წამოვიღე ეს წუთია. მთელი ზამთარი ყვავილები ექნება დღეობებისთვის. კეთილინებეთ და მავრიკი ნიკოლაევიჩიც გაიცანით. თაიგულის ნაცვლად ღვეზლის მოტანა მინდოდა, მაგრამ მავრიკი ნიკოლაევიჩმა დამიშალა, რუსული ადათი არ არისო.

მავრიკი ნიკოლაევიჩი არტილერიის კაპიტანი გახლდათ, მაღალ-მაღალი, ლამაზი, ერთობ რიგიანი და წესიერი კაცი, ასე ოცდაცამეტი წლისა, მედიდური და თითქოს გოროზი გამომეტყველება ჰქონდა, თუმცა მისი გულის გასაოცარ სინაზესა და სიკეთეს ლამის გაცნობის პირველსავე წუთიდან გრძნობდა ყველა. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, დინჯი და საოცრად თავდაჭერილი გახლდათ. და არც არავის ახვევდა თავს. შემდეგ ბევრი ამბობდა ჩვენში, მაინცდამაინც დიდი ჭკუის პატრონი არ იყო, მაგრამ, მგონი, რომ სცდებოდნენ.

მე არ აგიწერთ ლიზავეტა ნიკოლაევნას სილამაზეს. მის სილამაზეზე უკვე მთელი ქალაქი ლაპარაკობდა, მერე რა, რომ ჩვენი ზოგიერთი ქალბატონი და ყმაწვილი ქალი აღშფოთებით უარყოფდა ამას. ბევრს მათ შორის უკვე ჭირვით სძულდა ლიზავეტა ნიკოლაევნა, ჯერ ერთი, ამაყიაო: დროზდოვები ჯერ არავის სწვეოდნენ ვიზიტით, თუმცა მიზეზი ამისა პრასკოვია ივანოვნას ავადმყოფობა იყო. მეორეც - გუბერნატორის მეუღლე ენათესავებაო; მესამეც - ყოველდღე ცხენით დასეირნობსო.

ჩვენში აქამდე არავის ენახა ცხენით მოსეირნე ქალი. ბუნებრივია, რომ ლიზავეტა ნიკოლაევნას ქალაქში ცხენით სეირნობა, როცა ვიზიტით ჯერ არავის სწევოდა, საზოგადოებისთვის დიდ შეურაცხყოფას წარმოადგენდა. თუმცა ისიც იცოდა ყველამ, რომ ცხენით სეირნობა ექიმებს ერჩიათ მისთვის. უნდა გენახათ, რა გესლით იხსენიებდნენ მის ავადმყოფობას. ლიზავეტა ნიკოლაევნა მართლაც ავად იყო. პირველი შეხედვისთანავე მოგხვდებოდა თვალში მისი ნერვიული, ავადმყოფური მოუსვენრობა. ვაი, რომ საწყალს თურმე ძალიან სტანჯავდა სენი და ამან ბევრი რამ ახსნა შემდეგში. როცა ახლა ძველ ამბებს ვიხსენებ, ვერ ვიტყვი, იყო თუ არა ისეთ ლამაზი, როგორც მაშინ მეჩვენებოდა. იქნებ სულაც არ იყო ლამაზი, დაწყობილი ნაკვთები არ ჰქონდა, თუმცა მაღალი, წერწეტა და მოქნილი იყო. ფერნაკლულ, შავგვრემან, ლაწვმაღალსა და გამხდარ სახეს მრუდე, ყალმუხური ჭრილის თვალები ამშვენებდა. მაგრამ რაღაც ძალუმ გატყვევებდა და გიზიდავდა ამ სახეში. მის შავ, მწველ თვალებს რაღაც საოცარი ანდამატის ძალა ჰქონდა. მისი გამოჩენა და „ყველას დამონება, დამორჩილება“ ერთი იყო. ზოგჯერ ამაყი და კადნიერიც კი გეჩვენებოდა. არ ვიცი, იყო თუ არა კეთილი და გამოსდიოდა თუ არა ეს. მაგრამ ვიცი, რა საშინლად სტანჯავდა იმის სურვილი, კეთილი ყოფილიყო. ბუნებით, რა თქმა უნდა, კარგი ბევრი მოსდგამდა, გულით სიმართლისაკენ ილტვოდა, მაგრამ თითქოს არაფერი აკმაყოფილებდა, ნიადაგ ღელვასა და ფორიაქში იყო. იქნებ მეტისმეტად ბევრსა სთხოვდა თავს, ძალა კი არ შესწევდა, ეს მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა.

ლიზავეტა ნიკოლაევნა დივანზე ჩამოჯდა და ოთახი მოათვალიერა.

- მითხარით ერთი, რად შემომაწვება ხოლმე ასეთ წუთებში სევდა, მეცნიერო და სწავლულო კაცო? მუდამ ვფიქრობდი, როგორ გამიხარდებოდა თქვენი ნახვა, როგორ მოვიგონებდი ყველაფერს, ახლა კი ვზივარ და თითქოს არც მიხარია, მერე რა რომ მიყვარხართ... აჰ, ღმერთო, აგერ ჩემი სურათი! მოიტათ აქ, მახსოვს, როგორ არ მახსოვს!

პეტერბურგიდან ცხრა წლის უკან გამოეგზავნათ დროზდოვებს თორმეტი წლის ლიზას ეს ჩინებული, აკვარელით ნახატი მინიატურული სურათი სტეპან ტროფიმოვიჩისათვის. მას აქეთ სულ კედელზე ეკიდა.

- მართლა ასეთ ლამაზი ბავშვი ვიყავი? ეს მართლა ჩემი სახეა?

ლიზავეტა ნიკოლაევნა სურათიანად მიადგა სარკეს და ჩაიხედა.

- წაიღეთ ჩქარა! - შესძახა და სურათი უკანვე მისცა. - ოღონდ ახლა ნუღარ დაკიდებთ, მერე იყოს, არ მინდა ვუყურო! - ლიზავეტა ნიკოლაევნა ისევ დივანზე დაჯდა. - გათავდა ცხოვრების ერთ ხანა, დაიწყო მეორე, გათავდა მეორე - დაიწყო მესამე და ბოლო აღარ უჩანს, თითქოს მაკრატლით მოკვეცესო ყველა. ხედავთ, რა ძველ ზღაპრებს ვყვები, თუმცა რამდენი სიმართლეა ამაში!

ლიზავეტა ნიკოლაევნამ ღიმილით გადმომხედა. ეს უკვე მერამდენეჯერ გადმომხედა, მაგრამ აღელვებულ სტეპან ტროფიმოვიჩს არც გახსენებია ჩვენი გაცნობა.

- ხანჯლების ქვემოთ რად გიკიდიათ ჩემი სურათი? ან ამდენი ხანჯალი და ხმალი რად გინდათ?

არ ვიცი, რატომ და სტეპან ტროფიმოვიჩს მართლაც ეკიდა კედელზე ჯვარედინად ორი ხანჯალი და მათ ქვემოთ ნამდვილი, ჩერქეზული ხმალი. ლიზავეტა ნიკოლაევნამ ამ კითხვაზე ისევ პირდაპირ შემომხედა, პასუხის თქმა დავაპირე, მაგრამ მყის თავი შევიკავე. სტეპან ტროფიმოვიჩმა, როგორც იყო, მოისაზრა და გაგვაცნო.

- ვიცი, ვიცი, და ძალიან მიხარია, - თქვა ლიზავეტა ნიკოლაევნამ, - დედასაც ბევრი სმენია თქვენზე იცნობდეთ მავრიკი ნიკოლაევიჩსაც, მშვენიერი ადამიანია. მე თქვენზე უკვე სასაცილო აზრი შემექმნა: ხომ სტეპან ტროფიმოვიჩის მესაიდუმლე ბრძანდებით?

მე ავილანძე.

- ოჰ, მაპატიეთ, სულ სხვა სიტყვა წამომცდა; სასაცილო კი არა და... (ლიზავეტა ნიკოლაევნას შერცხვა და გაწითლდა) - თუმცა რა სამარცხვინოა, თუ კარგი ადამიანი ბრძანდებით? მავრიკი ნიკოლაევიჩი, წავიდეთ, დროა უკვე! სტეპან ტროფიმოვიჩი, იცოდეთ, ნახევარ საათში ჩვენსა გელით. ღმერთო, რამდენს ვილაპარაკებთ! ახლა უკვე მე ვიქნები თქვენი მესაიდუმლე და ყველაფერზე, გესმით, ყველაფერზე ვილაპარაკებთ, ხომ?

სტეპან ტროფიმოვიჩს მყის გული გადაუქანდა.

- ო, მავრიკი ნიკოლაევიჩმა ყველაფერი იცის, მისი ნუ მოგერიდებათ!

- მაინც რა იცის?

ლიზავეტა ნიკოლაევნამ განცვიფრებით შესძახა: - რას მალავთ! არა, თურმე მართლა მალავენ! მე არ მჯეროდა. დაშასაც აღარ აჩენენ. დეიღამ ამას წინათ დაშასთან არ შემიშვა. თავი სტკივაო, მითხრა.

- მერე... მერე საიდან შეიტყვეთ?

- ოჰ, ღმერთო ჩემო, საიდანაც ყველამ. რა დიდი ამბავი ეს არის!

- ნუთუ ყველამ?

- მაშ როგორ? ისე კი დედას პირველად ალიონა ფროლოვნამ უთხრა, ჩემმა გადიამ; მისთვის კი თქვენს ნასტასიას მოურბენინებია ეგ ამბავი. ხომ უთხარით ნასტასიას? ასე ამბობს, თვითონ მითხრაო.

- მე... მე ერთხელ კი ვუთხარი... - წაილულლულა გაწითლებულმა სტეპან ტროფიმოვიჩმა, - მაგრამ... მხოლოდ გადავუკარი... j'etais si nerveux et malade et puis...[110]

ლიზავეტა ნიკოლაევნამ გადაიკისკისა.

- თანაც მესაიდუმლე არ გყავდათ გვერდით, ამასობაში კი ნასტასია შემოვიდა და მეტიც აღარ გინდოდათ! იმას კი ქვეყნის ნათლიდედები ჰყავს ქალაქში! კარგით, კარგით, სულ ერთი არაა; უკეთესიცაა იცოდნენ. არ დააგვიანოთ, ჩვენ აღრიანად ვსადილობთ... ჰო, დამავიწყდა, - დაჯდა ისევ ლიზავეტა ნიკოლაევნა, - გამიგონეთ, ეგ შატოვი ვინაა?

- შატოვი? დარია პავლოვნას ძმა გახლავთ...

- ვიცი, რომ ძმას, როგორ ხართ მართლა! - გააწყვეტინა მოუთმენლად. - მე მინდა ვიცოდე, ვინ არის, რა კაცია?

- C'est un pense-creux d'ici, c'est le meilleur et le plus irascible home du monde...[111]

- მეც გამიგონია, ერთი უცნაური ვინმეაო, თუმცა ეს სხვაა. ასე მითხრეს, სამი ენა იცისო, ინგლისურიც კიო, და ლიტერატურული სამუშაოების გაკეთება შეუძლიაო. თუ ასეა, მე ბევრი სამუშაო მექნება მისთვის; დამხმარე მჭირდება. რაც მალე იქნება, სჯობია. აიღებს თუ არა სამუშაოს? ძალიან მიქვს...

- ოო, უეჭველია, et vous fairez un bienfait[112]...

- Bienfait-ზე სულ არ მიფიქრია, მე თვითონ მჭირდება დამხმარე.

- შატოვს საკმაოდ კარგად ვიცნობ, - ჩავერიე მე, - თუ დამავალებთ, ახლავე წავალ და გადავცემ.

- გადაეცით, ხვალ დილას მოვიდეს თორმეტისთვის. დიდი მადლობელი ვიქნები. მაგრიკი ნიკოლაევიჩი, მზადა ხართ?

ისინი წავიდნენ. მე, რა თქმა უნდა, უმალ შატოვთან გავიქეცი.

- Mon ami, - დამეწია პარმალზე სტეპან ტროფიმოვიჩი, - ათი ან თერთმეტისათვის დავბრუნდები და უთუოდ გამომიარეთ. ოო, რა დამნაშავე ვარ თქვენთან და... ყველასთან, ყველასთან...

VIII

შატოვი შინ არ დამიხვდა. ორი საათის შემდეგ შევურბინე - არც მაშინ იყო შინ. ბოლოს, რვა საათზე წავედი ისევ, თუ სახლში არ დამხვდა, ბარათს მაინც დავუტოვებ-მეთქი, და ვერც მაშინ შევისწარი. ბინა დაკეტილი ჰქონდა, მარტო ცხოვრობდა, მოახლე არ ჰყავდა. ერთი პირობა ვიფიქრე, ქვევით, კაპიტან ლებიადკინს დავუკაკუნებ და შატოვის ამბავს ვკითხავ-მეთქი. მაგრამ იქაც დაკეტილი დამხვდა კარი. ბაიბური არ ისმოდა, არც სინათლე ენთო, თითქოს გამოცარიელებულიყო ყველაფერი. წელანდელი საუბრის შთაბეჭდილებით ცნობისმოყვარეობით ჩავუარე ლებიადკინის კარს. ბოლოს გადავწყვიტე, ხვალ ადრიანად შემოვუვლი-მეთქი. მართალი გითხრათ, ბარათის იმედი არ მქონდა; ვიცოდი, რა კერპი და მორცხვი იყო და შეიძლება არ მოსულიყო, ყურადღება არ მიექცია. ჭიშკარში რომ გამოვდიოდი და ამ ჩემს უიღბლობას ვწყევლიდი, ერთიც ვნახოთ, ბატონი კირილოვი არ შემეფეთა. შინ მოდიოდა და პირველმა მიცნო. რაკი თვითონ მკითხა, მეც ყველაფერი ვუამბე; ვუთხარი, ბარათი მაქვს-მეთქი გადასაცემი.

- წამოდით, მე ყველაფერს გავაკეთებ, - მითხრა.

გამახსენდა, ლიპუტინმა რომ თქვა, დილით ეზოში მდგარ ფლიგელში გადაბარგდაო. ამ საკმაოდ დიდ ფლიგელში კიდევ ერთი ვიღაც ყრუანჩელა დედაბერი იდგა ბინად, რომელიც კირილოვს ემსახურებოდა. სახლის პატრონს სხვა ქუჩაზე წამოეჭიმა ახალი სახლი და იქვე მოეწყო დუქანი. ეს დედაბერი, მგონი, მისი ნათესავი იყო და ამ ძველი

სახლის მოსავლელად დარჩენილიყო. ფლიგელის ოთახები საკმაოდ სუფთა აღმოჩნდა, ეს კია, ჭუჭყიანი შპალერი ეკრა. იმ ოთახში, სადაც ჩვენ შევედით, სხვადასხვა ყაიდის ყოვლად უხეირო ავეჯი იდგა; ორი ბანქოს სათამაშო მაგიდა, თხმელის კამოდი, დიდი ხის მაგიდა, ალბათ რომელიმე ქოხიდან თუ სამზარეულოდან გამოტანილი. სკამებსა და დივანს ხის ზურგები და ტყავის ხმელი ბალიშები ჰქონდათ. კუთხეში, ძველებური ხატის წინ, ლამპარი ბჟუტავდა, რომელიც ჩვენს მოსვლამდე დაენთო დედაბერს. კედლებზე ორი დიდი, გახუნებული, ზეთის საღებავებით ნახატი სურათი ეკიდა: ერთზე განსვენებული იმპერატორი ნიკოლოზ პირველი ეხატა, როგორც ეტყობოდა, ოციან წლებში იყო დახატული; მეორეზე - ვიღაც არქიელი.

ბატონმა კირილოვმა შესვლისთანავე სანთელი აანთო. მერე კუთხეში მდგარ ამოულაგებელ ჩემოდნიდან კონვერტი, ლუქი და ბროლის პატარა ბეჭედი ამოიღო.

- ეგ წერილი დალუქეთ და კონვერტზე გვარი დააწერეთ.

ვუთხარი, არ გინდათ-მეთქი, მაგრამ არ დაიჯერა. კონვერტზე გვარი დავაწერე და ქუდი ავიღე..

- მეგონა, ჩაიხე დამეწვეოდით, - მითხრა, - ჩაი ვიყიდე. არ გნებავთ?

უარი არ მითქვამს. დედაბერმა მალე შემოიტანა ცხელი წყლით სავსე ვეება ჩაიდან, პატარა ჩაიდან ჩაის ფერისთვის, ულახათოდ მოხატული თიხის ორი დიდი ფინჯანი, კალაჩი და ნატეხი შაქრით სავსე მათლაფა.

- მიყვარს ღამე ჩაის სმა, - მითხრა კირილოვმა, - ბევრსა ვსვამ, დავდივარ და გათენებამდე ვსვამ. საზღვარგარეთ ჩაის ვერ მოითხოვ ღამით, უხერხულია.

- გათენებისას წვებით?

- მუდამ; დიდი ხანია. მე ცოტას ვჭამ; სულ ჩაის ვსვამ. ლიპუტინი დიდი ვერაგია, ოღონდ სულსწრაფი.

გამიკვირდა, გამოლაპარაკების სურვილი რომ შევატყვე, და გადავწყვიტე ამ წუთით მესარგებლა.

წელან უსიამოვნო გაუგებრობა მოხდა-მეთქი, შევნიშნე.

ინჟინერმა წარბი შეიკრა.

- ეგ სისულელე იყო, არც ღირდა სალაპარაკოდ. ვინაიდან ლებიადკინი მთვრალია. ლიპუტინისთვის მე არაფერი მითქვამს, უბრალოდ ავუხსენი ეს სისულელეები, გადაამლაშა და იმიტომ. ლიპუტინს დიდი ფანტაზია აქვს, სისულელეები გაბერა და გააზვიადა. გუშინ ლიპუტინისა მჯეროდა.

მე გამეცინა: - დღეს კი ჩემი?

- წელან ხომ მოისმინეთ ყველაფერი. ლიპუტინი ან უძლურია ან სულსწრაფი ან მავსე და... შურიანი.

უკანასკნელმა სიტყვამ განმაცვიფრა.

- თქვენ იმდენი რამ ჩამოთვალეთ, რა გასაკვირია, ერთი რომელიმე მიუდგეს.

- ეგებ ყველაც.

- ეგეც მართალია. ლიპუტინი - ეს დომხალი გახლავთ! ერთი მითხარით, წელან რომ თქვა, რაღაც თხზულების დაწერას აპირებსო, იცრუა თუ არა?

კირილოვმა ისევ შეიკრა შუბლი და იატაკს დააჩერდა.

- ვითომ რად უნდა ეცრუა?

მოვიბოდიშე, არ იფიქროთ, ძალით მინდა დაგტყუოთ-მეთქი რამე. ინჟინერი გაწითლდა.

- მართალი თქვა, მე ვწერ. მაგრამ ეს სულ ერთია.

წუთით დუმილი ჩამოვარდა. მერე წელანდელივით ბავშვურად გაიღიმა.

- იმ თავებზე რომ თქვა წელან, თვითონ მოიგონა და თვითონვე მითხრა, წიგნში წაუკითხავს. კარგად ვერც ერკვევა. მე მხოლოდ მიზეზებს ვეძებ, რად ვერ ბედავენ ადამიანები თავის მოკვლას; მეტი არაფერი, მაგრამ ესეც სულ ერთია.

- ვერ ბედავენო? განა ცოტა იკლავს თავს?

- ძალიან ცოტა.

- არა, მართლა ფიქრობთ ასე?

კირილოვმა პასუხი არ გამცა. ადგა და ჩაფიქრებულმა გაიარ-გამოიარა.

- მაშ, თქვენი ფიქრით, რა უშლის ხელს ადამიანებს თავი მოიკლან? - ვკითხე მე.

ისე დაბნეულად შემომხედა, თითქოს დაავიწყდა, რაზე ვლაპარაკობდით.

- მე... მე ჯერ ცოტა ვიცი... ისე კი ორი რამ უშლის, მხოლოდ ორი: ერთი ძალიან პატარა, მეორე ძალიან დიდი. მაგრამ ეს პატარაც ძალიან დიდია.

- პატარა რაღაა?

- ტკივილი.

- ტკივილი? ნუთუ ასე ბევრს ნიშნავს... ამ შემთხვევაში?

- ძალიან ბევრს. გვხვდება ორი ჯურის ხალხი: ვინც დიდი მწუხარებისა და გაბოროტებისაგან იკლავს თავს, ან შემლილობით მოსდით თუ რაღაც სხვა მიზეზით, ისინი ბევრს არ ფიქრობენ, უცებ გადაწყვეტენ ხოლმე. ტკივილი ნაკლებ ადარდებთ; მაგრამ თუ სრულ გონებაზე მყოფი იკლავს თავს, - ის ბევრს ფიქრობს.

- ვითომ შეიძლება სრულ გონებაზე მყოფმა მოიკლას თავი?

- ძალიან ბევრი იკლავს. ტკივილის შიში რომ არა, უფრო მეტიც იქნებოდა. ძალიან ბევრი, ყველა.

- ვითომ ყველა?

კირილოვმა არა თქვა რა.

- განა არ შეიძლება, უმტკივნეულოდ მოიკლა თავი?

კირილოვი გაჩერდა და შემომხედა.

- წარმოიდგინეთ, თქვენ ქვემოთ დგახართ, ზემოდან კი ვეება, სახლისოდენა ლოდი საცაა უნდა დაგეცეთ თავზე. რომ დაგეცეთ, გეტკინებათ?

- ვეება ლოდი? რა თქმა უნდა, შემეშინდება.

- შიშზე არ გეკითხებით. გეტკინებათ თუ არა-მეთქი?

- მილიონი ფუთი, მთის ხელა ლოდი? ცხადია, ტკივილს ვერც ვიგრძნობ.

- ხოლო მართლა რომ მის ქვეშ იდგეთ, ძალიან შეგეშინდებათ, მეტკინებაო! გინდ პირველი მეცნიერი იყოთ და გინდ პირველი ექიმი, შიშით მაინც შეგეშინდებათ. იცი, არ გეტკინება, და მაინც გული გაგეწურება, მეტკინებაო.

- მეორე დიდი მიზეზი რაღაა?

- საიქიო.

- ესე იგი სასჯელი, არა?

- რაც გინდა დაარქვით, ისე კი საიქიოზე ფიქრია, - მხოლოდ საიქიოზე.

- ხომ არიან ათეისტები, საიქიოსი რომ არა სწამთ?

არც ამაზე მიპასუხა რა.

- იქნებ საკუთარი თავით სჯით?

კირილოვი გაწითლდა.

- ყველა საკუთარი თავით სჯის. სავსებით თავისუფალი მაშინ ხარ, როცა სიკვდილ-სიცოცხლე შენთვის სულ ერთია. აი, თავიდათავი მიზანი.

- მიზანით? მაშ ეგებ არც არავის მოუნდეს სიცოცხლე?

- არავის, - თქვა გადაჭრით.

- ადამიანს სიცოცხლე უყვარს და სიკვდილის იმიტომ ეშინია, მე ასე მესმის. ბუნებაც ამას გვკარნახობს.

- ეგ არის მისი ვერაგობა, ამით ატყუებს სწორედ ადამიანს! - თვალები წამოენთო ინჟინერს. სიცოცხლე ტკივილი და შიშია, ადამიანი კი უბედურია. ახლა ყოველივე ტკივილი და შიშია. ახლა ადამიანს სიცოცხლე უყვარს, რამეთუ ტკივილი და შიში უყვარს. ასე მოუწყვეს. სიცოცხლე ახლა ტკივილისა და შიშის ფასად ეძლევა ადამიანს, აი, ამით აბრმავებენ ხოლმე. ახლა ადამიანი ჯერ კიდევ ის ადამიანი არ არის. გაჩნდება სხვა, ახალი ადამიანი, ბედნიერი და ამაყი და მისთვის სულ ერთი იქნება სიკვდილ-სიცოცხლე. ვინც ტკივილსა და შიშს დასძლევს, ის თვითონ გახდება ღმერთი. ის ღმერთი კი აღარ იქნება.

- თქვენი აზრით, მაშ ის ღმერთი მაინც არსებობს?

- ის არ არსებობს, მაგრამ მაინც არის. ლოდში ტკივილი არ არის, მაგრამ ლოდის შიშში არის ტკივილი. ღმერთი სიკვდილის შიშია. ვინც შიშსა და ტკივილს დასძლევს, ის თვითონ ღმერთი იქნება. მაშინ დაიწყება ახალი ცხოვრება, მაშინ შეიქმნება ახალი ადამიანი, მაშინ ყოველივე ახლებურად იქნება... მაშინ ისტორია ორ ნაწილად გაიყოფა: გორილადან ღმერთის მოსპობამდე და ღმერთის მოსპობიდან...

- გორილამდე?

- ...დედამიწისა და ადამიანის ფიზიკურ გარდაქმნამდე. ადამიანი ღმერთი გახდება და ფიზიკურად გარდაიქმნება. ქვეყნიერებაც გარდაიქმნება, სულ სხვა აზრები და გრძნობები წარმოიშობა. როგორ გგონიათ, ადამიანი მაშინ ფიზიკურად შეიცვლება?

- თუ სიკვდილ-სიცოცხლე ერთი გახდება, მაშინ ყველა თავს მოიკლავს და ალბათ ცვლილებაც ეს იქნება.

- მაგას მნიშვნელობა არა აქვს. ტყუილს ხომ მოკლავენ. ვისაც თავისუფლება ყველაფერს ურჩევნია, იმან უნდა გაბედოს თავის მოკვლა. ვინც გაბედავს თავის მოკვლას, ის ჩასწვდება ტყუილის არსს. ამის მიღმა თავისუფლება არ არსებობს. ყოველივე აქ არის, ამის იქით აღარაფერია. ვინც გაბედავს და თავს მოიკლავს, ის ღმერთია. ახლა ყველას შეუძლია ისე გააკეთოს, აღარც ღმერთი იყოს და აღარც არაფერი. მაგრამ ჯერჯერობით ეს არავის გაუკეთებია.

- თავის მკვლელები მილიონობით იყვნენ.

- ოღონდ ამიტომ არა, ყველას შიში აიძულებდა და არა ის, შიში მოეკლა. ვინც მხოლოდ შიშის მოსაკლავად მოიკლავს თავს, უმალ ღმერთი გახდება.

- იქნება ვერც მოასწროს.

- ეგ სულ ერთია, - მითხრა დინჯად და ამაყად, ლამის ზიზღითაც. მერე დასძინა: - მწყინს, რომ თითქოს დამცინით კიდევ.

- მე კი ის მიკვირს, წელან როგორ ბრაზობდით და ახლა რა დინჯად, თუმცა ცხარედ ლაპარაკობთ.

- წელან? წელან სასაცილო იყო, - გაიღიმა კირილოვმა და მერე დაღონებით დააყოლა, - მე არც ლანძღვა მიყვარს და არც არასდროს ვიცინი.

მე წამოვდექი და ქუდი ავიღე.

- ჰო, გეტყობათ, მხიარულად ვერ ატარებთ დროს.

- ეგრე გგონიათ? - გაეღიმა ოდნავ გაკვირვებით, - რატომ მაინც? არა, მე... მე არ ვიცი, - აირია უცებ, - სხვებისა არ ვიცი, მაგრამ ვგრძნობ, სხვებივით არ შემძლია. სხვებს შეუძლიათ ერთი ფიქრიდან მაშინვე სხვა ფიქრზე გადახტნენ. მე სხვაზე არ შემძლია, მთელი ჩემი სიცოცხლე სულ ერთზე ვფიქრობ. მთელი სიცოცხლე ღმერთი მტანჯავდა, - დაასკვნა უცებ საოცარი გულახდილობით.

- ნუ გეწყინებათ და ეს მითხარით, ეგეთი უხეირო რუსულით რად ლაპარაკობთ? ნუთუ იმ ხუთ წელიწადში გადაეჩვიეთ საზღვარგარეთ?

- უხეიროო, ამბობთ? არ ვიცი. არა, საზღვარგარეთ არა. მე მუდამ ასე ვლაპარაკობდი. ჩემთვის სულ ერთია...

- ნუ მიწყენთ და კიდევ ერთი უფრო დელიკატური შეკითხვა მაქვს, მჯერა რომ ადამიანების ნახვა და მათთან ლაპარაკი არ გიყვართ. მე კი რად გამომელაპარაკეთ?

- თქვენ? წელან მომეწონა, ისე კარგად იჯექით, და... ეჰ, სულ ერთია... ჩემს ძმას ძალიან ჰგავხართ, ძალიან, მეტისმეტად, - თქვა და გაწითლდა, - შვიდი წელია მოკვდა. უფროსი იყო, ძალიან, ძალიან ჰგავხართ.

- ალბათ დიდი გავლენა ჰქონდა თქვენს აზრებზე.

- არა, ცოტას ლაპარაკობდა, სულ არ ლაპარაკობდა. თქვენს ბარათს გადავცემ.

კირილოვმა ფარნით გამომაცილა, ჭიშკარი უნდა დაეკეტა. შექანებულა-მეთქი საწყალი, - გადავწყვიტე გულში.

IX

ის იყო ჭიშკრის მაღალ დირეზე შევდგი ფეხი, რომ უცებ ვიღაც ღონივრად მწვდა მკლავში და იღრიალა: - ვინა ხარ? მტერი თუ მოყვარე? გამოტყედი!

- ეს ჩვენი კაცია, ჩვენი! - გაისმა ლიპუტინის წიკვინა ხმა. - ეგ ბატონი გ-ვია, კლასიკური განათლებისა და დიდ-დიდი ხალხის ნაცნობი.

- მიყვარს დიდ-დიდ ხალხში გარეული კაცი და კლასიკურ... მაშასადამე გა-ნა-თლე-ბული... გადამდგარი კაპიტანი იგნატ ლებიადკინი, ბატონო ჩემო, ამა ქვეყნისა და მეგობრების მონა-მორჩილი... თუ რომ, თუ რომ ერთგულნი არიან ის არამზადები!

ჩემ წინ ათიოდე გოჯის სიმაღლე, ჩასუქებული, თმახუჭუჭა, გაჟინებული და გაღეშილი კაპიტანი ლებიადკინი ბანცალებდა და ენას ძლივს იბრუნებდა. მე ის წინათაც მყავდა ნანახი შორიდან...

- ოჰ, ესეც აქა ბრძანდება თურმე! - აღრიალდა ისევ კირილოვის დანახვაზე, რომელიც იქვე იდგა ფარნით ხელში. კაპიტანმა მუშტი ასწია, მაგრამ იქვე დაუშვა.

- მიპატიებია სწავლულობისთვის! იგნატ ლებიადკინი უუგანათლებულესი...

ტრფობის ყუმბარა აღმოდებული

გასკდა იგნატის მკერდში დებული

და კვლავ ატირდა მწარე წუხილით

სევასტოპოლის გამო ცალხელა.

- თქვენ რითმები ნახეთ, რითმები! თუმცა არც სევასტოპოლში ვყოფილვარ[113] და არც ცალხელა ვარ, - იწეოდა ლებიადკინი ჩემკენ და თავის გაღეშილ სიფათს ლამის ცხვირში მჩრიდა.

- ახლა არა სცალია, არა, შინ მიბრძანდება, - არწმუნებდა ლიპუტინი, - ლიზავეტა ნიკოლაევნას ხვალვე მოახსენებს ყველაფერს.

- ლიზავეტასო! - კვლავ იბღავლა ლეზიადკინმა, - მოიცა, დადექ! ვარიანტი მაქვს: მიჰქრის ვარსკვლავი ლამაზი ცხენით, სხვა ამორძალთა ფერხულის ქარში.

და ცხენზე მჯდარი მილიმის ლხენით

არისტოკრატულ იერის ბავშვი.

„ამორძალთა ვარსკვლავს“.

- ეს ხომ ჰიმნია! ჰიმნი-მეთქი, თუ მართლა ვირი არა ხარ! ამ ლაზღანდარებს კი არ ესმით! დადექ-მეთქი! - ჩამაფრინდა პალტოში, როცა მე ჰიმნისაკენ გავიწიე, - გადაეცი, რომ რაინდი ვარ კეთილშობილების, დაშკა კი... დაშკას მე ორი თითით... ვინ მიგდია ყმა გომბიო, რომ...

მე ხელიდან დავუსხლტი და გავიქეცი. ლეზიადკინი დაეცა. ლიპუტინი უკან დამედევნა.

- მაგას ალექსეი ნილიჩი ააყენებს. იცით, რა გავიგე ახლა მაგისაგან? - ქაქანებდა გულამოვარდნილი, -ლექსი ხომ მოისმინეთ? ჰოდა, მაგ ლექსს, „ამორძალთა ვარსკვლავს“, თავისი ხელმოწერით ლიზავეტა ნიკოლაევნას უგზავნის. დახე ერთ მაგას!

- სანამღელოს ჩამოვალ, თქვენვე შეაგულიანეთ!

- ჩამოხვალთ და წააგებთ! - გადაიხარხარა ლიპუტინმა, - სიყვარულით დამწვარ-დადაგულია კაცი. იცით, პირველად სძულდა. ისე სძულდა, ცხენით რად დასეირნობსო, ლამის ხმამაღლა აგინებდა ქუჩაში: დიახ, დიახ, მართლა აგინებდა! ამ სამი დღის წინათ ლიზავეტა ნიკოლაევნამ ჩაუარა და ისე შეაგინა, მაგის ბედი, ვერ გაიგონა! დღეს კი ლექსს უგზავნის! იცით, ხელის თხოვნასაც აპირებს? მართლა, მართლა!

- თქვენი არ მიკვირს, ლიპუტინ, ყოველ ვიგინდარასა და სალახანას როგორ უნდა გადაეყაროთ და მაშინვე წინამძღოლად გაუხდეთ! - მივახალე გააფთრებულმა.

- თავს მაინცდამაინც ნუ გაგივათ, ბატონო გ-ვო: გულმა რეჩხი ხომ არ გიყოთ, მეტოქისა ხომ არ შეგეშინდათ, ჰა?

- რაა? - შევყვირე მე და გავჩერდი.

- ჯიბრზე მეტს არაფერს გეტყვით! არადა, ალბათ როგორ გინდათ გაიგოთ რამე? მარტო ის რადა ღირს, რომ ეს რეგენი ახლა უბრალო კაპიტანი კი არ არის, ჩვენი გუბერნიის მემამულეა და საკმაოდ დიდი მამულის პატრონიც. ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩმა მთელი თავისი მამული, ორასი ყმა სულისაგან შემდგარი, ამ დღეებში მაგას მიჰყიდა. ღმერთმანი, არ ვტყუი! ეს წუთია შევიტყვე, ისიც ყოვლად სარწმუნო წყაროდან. ჰოდა, დანარჩენი, ინებეთ და თავად გამოიძიეთ; მეტს არაფერს გეტყვით. ნახვამდის ჩემო ბატონო!

X

სტეპან ტროფიმოვიჩი მოუთმენლობას ლამის გაეგიჟებინა ჩემს მოლოდინში. ერთი საათის წინ დაბრუნებულიყო. პირველი ხუთი წუთი ასე მეგონა, მთვრალია-მეთქი. ვაი რომ დროზდოვებთან სტუმრობას სულ აერია მისთვის გზა-კვალი.

- Mon ami, საბოლოოდ დავკარგე თავგზა... Lise... ანგელოზია და კვლავინდებურად მიყვარს, დიახ, კვლავინდებურად პატივსაც ვცემ, მაგრამ ორივე, მგონი, იმიტომ მელოდა, რაღაც-რაღაცეები გამოერკვიათ, ანუ, უფრო სწორად, დაეცინცლათ ჩემგან, მერე კი მშვიდობით ბრძანდებოდეთო... დიახ, დიახ, ეგრეა.

მე ველარ მოვითმინე და შევუყვირე: - როგორ არ გრცხვენიათ!

- ჩემო მეგობარო, მე სულ მარტო დავრჩი. Enfin, c'est ridicule[114], წარმოიდგინეთ, იქაც სულ საიდუმლოებებით არიან დატენილნი. შევედი თუ არა, მეცნენ ჯერ ცხვირისა და ყურის ამბები გამომკითხეს, მერე რაღაც პეტერბურგის საიდუმლოებებზე ჩამაცივდნენ. პირველად აქ გაუგიათ თურმე, რაც ჩაიდინა Nicolas-მ ამ ოთხი წლის წინათ. „ხომ აქ იყავით, თქვენი თვალით ნახეთ, მართლა გიჟია?“ არ მესმის, საიდან შეიქმნა ეს აზრი, ნეტა რად უნდა პრასკოვიას, უთუოდ გიჟი გამოიყვანოს Nicolas. უნდა კი, ნამდვილად უნდა. Ce Maurice თუ მავრიკი ნიკოლაევიჩი brave homme tout de même[115]. მაგრამ ნუთუ მისი გულისთვის ცდილობს ასე; მერედა როდის, როცა თვითონვე პირველმა მოსწერა პარიზიდან cette pauvre amie-ს... Enfin, ეგ პრასკოვია, როგორც მას cette chere amie ეძახის, გოგოლის უკვდავი კორობოჩკა გახლავთ, ოღონდაც ბოროტი, ხუსტურიანი კორობოჩკა, ისიც პატარა კი არა, კაი დიდი კორობოჩკა.

- ეგრე ხომ ზანდუკი გამოვიდა. ვითომ მართლაც ასეთი დიდი კორობოჩკაა?

- გინდაც პატარა, სულ ერთი არ არის. ოღონდ ნუ მაწყვეტინებთ, ისედაც ყველაფერი მერევა თავში. იქ ერთ ამბავში არიან, Lise-ას გარდა; ის ჯერ კიდევ დეიდა, დეიდაო, იძახის, მაგრამ Lise ცბიერია, აქ რაღაც სხვა უნდა იყოს. რაღაც საიდუმლო უნდა იმალებოდეს. დედაბერთან ჩხუბი მოუვიდა. ისიც მართალია, cette pauvre დეიდას ყველაზე ბატონობა უნდა... ამას კიდევ გუბერნატორის მეუღლის ამბავი დაერთო, საზოგადოებისა და კარმაზინოვის „უპატივცემულობა“; უცბად ეს სიგიჟის ამბავი გამოტყვრა, ce Lipoutine, ce qui je ne comprends pas[116], ჰოდა, ამბობენ, თავი ძმრიანი ტილოთი აქვს შეხვეულიო, ამ დროს კი მე და თქვენ სულს ვუწუხებთ ჩვენი წუწუნით და წერილებით... ო, როგორ ვაწამებდი და ისიც რა დროს! Je suis un ingrat![117] წარმოგიდგენიათ, შინ რომ დავბრუნდი, მისი წერილი დამხვდა. წაიკითხეთ, დიახ, წაიკითხეთ! ოჰ, რა არაკეთილშობილური საქციელია ჩემი მხრივ.

სტეპან ტროფიმოვიჩმა ვარვარა პეტროვნასაგან ახლახან გამოგზავნილი წერილი მომცა. ვარვარა პეტროვნა, ვგონებ, ნანობდა, ამ დილას რომ მოწერა, - „შინ დარჩით“. წერილი თავაზიანი, მაგრამ მოკლე და გადაჭრილი იყო. ვარვარა პეტროვნა სთხოვდა სტეპან ტროფიმოვიჩს, ზეგ, კვირა დღეს, ზუსტად თორმეტ საათზე სწვეოდა და ურჩევდა, ერთ-ერთი მეგობარიც მოეყვანა (ფრჩხილებში ჩემი გვარი ეწერა). თავის მხრივ პირდებოდა, რომ დარია პავლოვნას ძმას, შატოვს დაუძახებდა, „შეგიძლიათ ქალისაგან საბოლოო პასუხი მიიღოთ. კმაყოფილი ხართ თუ არა? ამ ფორმალობისთვის იკლავდით თავს?“

- ნახეთ, რა გაგულისებით წერს ბოლოში, თავს იკლავდითო. საწყალი, საწყალი მეგობარი მთელი ჩემი სიცოცხლისა! გამოგიტყდებით და, ჩემი ბედის ეს უეცარი გადატრიალება თითქოს ლოდივით დამაწვა... მართალი გითხრათ, კიდევ მქონდა იმედი, მაგრამ ახლა tout est dit[118] ვიცი, რომ ყველაფერი მორჩა; c'est terrible[119]. ჰოი, ნეტამც ეს კვირა არ გათენდეს და ყველაფერი ძველებურად დარჩეს; თქვენ ჩვეულებისამებრ ივლიდით ჩემთან, მე კი აქ...

- ეგ სულ ლიპუტინის საძაგელი ჭორების ბრალია. იმან აგირიათ თავგზა.

- ჩემო მეგობარო, ეგ თქვენი მეგობრული თითი ახლა სხვა მტკივნეულ ადგილას მატაკეთ. ეგ მეგობრული თითები, უკაცრავად და, საერთოდ ფრიად დაუნდობელი და ზოგჯერ უაზროც გახლავთ. მაგრამ, გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, მე თითქმის დამავიწყდა ეგ ამბები, ეგ საძაგელი ჭორები, არა, კი არ დამავიწყდა, ჩემი უჭკუობით Lise-ასთან ყოფნისას ვცდილობდი თავი ბედნიერად წარმომედგინა და თავს ვარწმუნებდი, ბედნიერი ვარ-მეთქი. მაგრამ ახლა... ჰოი, ახლა ამ სულგრძელ, ამ ჰუმანურ, ამ ჩემი საზიზღარი ხასიათის ამტან ქალზე, - არა, სულ ამტანზე-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ ჩემი ქერქეტული, საძაგელი ხასიათიც იკითხეთ! ჩემი უჯიათობა, ჟინიანობა, ბავშვური ეგოისტობა, ოღონდ ბავშვური გულუბრყვილობის გარეშე. ოცი წელია გადიასავით დამდევდა და მივლიდა cette pauvre დეიდა, როგორც მოხდენილად ეძახის Lise... ჰოდა, ოცი წლის შემდეგ უცებ ამ ბავშვს ცოლი მოუნდა, მათხოვნიე და მათხოვნიეო, წერილს წერილზე უგზავნის, ის კი ძმრიანი ტილოთი თავშეხვეული დადის... და აი, მივალწიე კიდევ, კვირას უკვე ცოლიანი კაცი გავხდები, ხუმრობა საქმეა... ნეტა რას დავიჟინე, რად ვწერდი წერილებს? ჰო, დამავიწყდა: Lise აღმერთებს დარია პავლოვნას, ყოველ შემთხვევაში, ასე იძახის: „C'est un ange[120], ოღონდაც ცოტა გულჩახვეული“. ორთავემ მირჩია, პრასკოვიამაც კი... თუმცა, პრასკოვიას არ ურჩევია. ჰოი, რამდენი შხამია ამ კორობოჩკაში! რომ ვთქვა, არც Lise-ას ურჩევია. „ნეტა ცოლი რად გინდათ? მეცნიერული შრომა ხომ ისედაც ბევრ სიამოვნებას განიჭებთ“, კისკისებს მაგრამ ვაპატიე ეს კისკისი, ვიცი გულს რა დარდი უღრღნის. თუმცა, მითხრეს, უცოლოდაც ვერ გაძლებთ, დაბერდებით, დაუძლურდებით, ის კი მოგივლით, შეგივრდომებთო, თუ როგორც ამბობენ ხოლმე... Ma foi[121], მთელი ეს დღეები რაც თქვენთან ერთად ვზივარ, ჩემდა თავად სულ ამას ვფიქრობდი, განგება მიგზავნის ამ ქალს და ის შემვივრდომებს-მეთქი ჩემი მღელვარე ცხოვრების დასალიერზე, თუ როგორც ამბობენ ხოლმე... Enfin[122] ოჯახს გამოადგება-მეთქი. აგერ, რამდენი ნაგავი ყრია, შეხეთ, ყველაფერი ძირსაა; წელან ვუბრძანე, დაალაგე-თქო, წიგნი კი ისევ იატაკზე გდია. La pauvre amie სულ ჯავრობდა, ნაგვით გაქვს სახლი სავსეო... ვაჰმე, აწ ველარ გავიგონებ მის ხმას! Vingt ans[123]! იქაც, მგონი, ანონიმური წერილები მიუღიათ, წარმოგიდგენიათ, Nicolas-ს თითქოს ლებიადკინისთვის მამული მიუყიდა. C'est un monster; et enfin[124], ვინ არის, გამაგებინეთ, ეს ლებიადკინი? Lise უსმენს, უსმენს, ჰოი, რა სახით უსმენს ყველაფერს! მისი კისკისი ვაპატიე, რომ დავინახე, რა სახით უსმენდა, ce Maurice-იც... არ ვინატრებდი ახლა მის ადგილზე ყოფნას, brave home tout de meme, მაგრამ ცოტა გაუბედავი კაცი ჩანს; თუმცა ღმერთმა კარგად ამყოფოს...

სტეპან ტროფიმოვიჩი გაჩუმდა. დაღლილი და დავთრებაბნეული იჯდა, თავი ჩაელუნა, მოღლილი თვალებით იატაკს დაჩერებოდა. ვისარგებლე მისი სიჩუმით და ჩემი სტუმრობის ამბავი მოვუყევი, ფილიპოვის სახლში. მოკლედ და მკვახედ გამოვთქვი ჩემი აზრიც, რომ ლებიადკინის და (რომელიც არ მინახავს) იქნებ მართლა

იყო ოდესღაც Nicolas-ს მსხვერპლი, მისი ცხოვრების საიდუმლოებით მოცულ ხანაში, როგორც ლიპუტინი ამბობს-მეთქი, და ისიც სულ ადვილი შესაძლებელია, რომ ლებიადკინი რაღაც მიზეზების გამო მართლა იღებს ფულს Nicolas-საგან, მაგრამ ესაა და ეს. რაც შეეხება ჭორებს დარია პავლოვნას თაობაზე, ეს ყველაფერი მოჩმახული ამბავია, არამზადა ლიპუტინის მიერ გაბერილი. ყოველ შემთხვევაში, ასე ამტკიცებს თავგამოდებით ალექსეი ნილიჩი. მას კი საფუძველი არა გვაქვს არ დავუჯეროთ-მეთქი. სტეპან ტროფიმოვიჩმა ისე გულგრილად მომისმინა, თითქოს მას სულაც არ ეხებოდა. ვუამბე აგრეთვე ჩემი კირილოვთან საუბარი და ისიც დავუმატე, კირილოვი, ვინ იცის, გიჟია-მეთქი.

- გიჟი არ არის, მაგრამ ეგ ხალხი მოკლე აზრების ხალხია, - რაღაც უნდილად წაილაპარაკა მან, - ces gens-la supposent la nature et la societe humaine autres que dieu ne les a faites et qu'elles ne sont reelement[125]. მაგათ ელაქუცებიან და თავზე ხელს უსვამენ, მაგრამ სტეპან ვერხოვენსკისაგან ამას ნუ მოელიან. მაშინ პეტერბურგში ვნახე ეგ ხალხი, avec cette chere amie (ჰოი, რამდენი შეურაცხყოფა მივაყენე მაშინ) და არათუ მათ ლანძღვა-გინების., მათი ქებისაც არ შემშინებია. არც ახლა შემეშინდება, mais parlons d'autre chose[126]... მე, მგონი, საშინელი ამბები ჩავიდინე; წარმოიდგინეთ, გუშინ დარია პავლოვნას წერილი გავუგზავნე და... რარიგ ვიწყევლი ახლა თავბედს!

- რა მისწერეთ?

- ო, ჩემო მეგობარო, მერწმუნეთ, დიდად კეთილშობილური წერილი იყო. ვაცნობე, ხუთიოდე დღის წინ Nicolas-ს წერილი გავუგზავნე-მეთქი, ისიც ასევე კეთილშობილური.

- ახლა კი მესმის! - შევძახე ფიცხად. - არა, რა უფლება გქონდათ მაინც ერთმანეთთან დაგეკავშირებინათ?

- Mon cher, სულ ნუ გამასწორებთ მიწასთან ნუ მიყვირით; ისედაც გასრესილი ვარ, როგორც... ტარაკანი, ჩემი აზრით, დიახაც კეთილშობილურად მოვიქეცი, ვთქვათ და იქ მართლაც რაღაც მოხდა... იმ en Suisse[127]... ან იწყებოდა რაღაც. ხომ უნდა დავეკითხო წინასწარ მათ გულს, რომ... enfin ხელი არ შევუშალო და გზა არ გადავულოხო... მე მხოლოდ კეთილშობილური ზრახვა მამომრავებდა.

- ო, ღმერთო, რა სისულელე გიქნიათ! - უნებლიეთ წამომცდა მე.

- დიახ, დიახ, სისულელე! - სწრაფად დამიკრა კვერი, - ამაზე ჭკვიანური არაფერი გითქვამთ, c'etait bete, mais que faire, tout est dit[128]. სულ ერთია, ჯვარს მაინც ვიწერ, გინდაც „სხვის ცოდვებზე“ იყოს, ჰოდა, მიწერა რაღა საჭირო იყო? ასეა თუ არა?

- ისევ თქვენსას გაიძახით!

- ოო, ახლა ვეღარ შემაშინებთ ყვირილით, ახლა მე ის სტეპან ვერხოვენსკი არ გეგონოთ; ის დამარხულია, enfin, fout est dit[129]. ან რა გაყვირებთ? იმიტომ ხომ არა, თქვენ არ თხოულობთ ცოლს და თქვენ არ დაგიმშვენებთ თავს საყოველთაოდ ცნობილი სამკაული! ეს სიტყვებიც გეხამუშათ? ეჰ, ჩემო საბრალო მეგობარო, არ გცოდნიათ ქალის გული, მე კი ამის შესწავლის მეტი არაფერი მიკეთებია. „თუ გინდა ეს ქვეყანა დაიმორჩილო, ჯერ შენი თავი დაიმორჩილე“, - ეს ერთადერთი ჭკვიანური ნათქვამი გამოუვიდა მეორე თქვენისთანა რომანტიკოსს, ჩემი მეუღლის ძმას შატოვს,

ხალისით დავესესხები ამ სიტყვებს. ჰოდა, აი, მეც მზად ვარ ჩემი თავი დავიმორჩილო და ცოლი ვითხოვო, მაგრამ რას მოვიგებ ამით მთელი ქვეყნიერების მაგივრად? ვაგლახ, რომ ქორწინება, ჩემო კარგო, ყოველი დამოუკიდებელი, ყოველი ამაყი სულის ადამიანის ზნეობრივი სიკვდილი გახლავთ; ქორწინება გამრყვნის, ენერგიას გამომაცლის, ვაჟკაცობას დამაკარგვინებს ქვეყნის სამსახურისათვის. გაჩნდება ბავშვები, მგონი, ჩემიც არა და, რასაკვირველია, ჩემი არა, ბრძენს არ ეშინია სიმართლეს თვალი გაუსწოროს... წედან ლიპუტინმა მითხრა, Nicolas-საგან თავის დასაცავად ბარიკადები დაგჭირდებაო. ლიპუტინი ბრიყვია, მაგრამ რა იცის, რომ ქალი ყოვლისმხილველ თვალსაც მოატყუებს. Le bon Dieu[130]-მა, როცა ქალი გააჩინა, რა თქმა უნდა, იცოდა, რა საფრთხეშიც იგდებდა თავს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თვითონ ქალმა აიძულა ასეთი და... ასეთნაირი ატრიბუტებით შეექმნა; თორემ ამისთანა დავიდარაბას ტყუილ-უბრალოდ ვინ აუტეხავდა თავს? ნასტასია იქნებ გამიჯავრდეს ამ თავისუფალი აზრებისათვის, მაგრამ... Enfin tout est dit.

სტეპან ტროფიმოვიჩი რის სტეპან ტროფიმოვიჩი იქნებოდა, ამ იაფფასიანი, უკბილო კალამბურის გარეშე დაემთავრებინა სიტყვა, რომელიც მის დროს დიდ გასავალში იყო. ყოველ შემთხვევაში, ცოტა მაინც მოიფხანა გული, მაგრამ ვაი რომ დიდი ხნით არა.

- ოჰ, რა იქნება ის დღე, ის კვირა სულ არ გათენდეს! - შესძახა უცებ სასოწარკვეთილმა, - რა იქნება ეს ერთი კვირა მაინც გავიდეს ამ კვირა დღის გარეშე, si le miracle existe[131]. რა დიდი ამბავი იქნება განგებისთვის, კალენდრიდან მარტო ეს ერთი კვირა ამოშალოს, ამოშალოს თუნდაც იმიტომ, რომ ათეისტს თვისი ყოვლისშემძლეობა დაუმტკიცოს et que tout soit dit[132]! ვაი, როგორ მიყვარდა! მთელი ოცი წლის მანძილზე მიყვარდა, მაგრამ ჩემი კი არასოდეს ესმოდა!

- ნეტა ვისზე ლაპარაკობთ, ვერაფერი გავიგე! - ვკითხე გაოცებულმა.

- Vingt ans! და ერთხელ რაა, ერთხელაც ვერ გამიგო, ოო, ეს საშინელი გულქვაობაა! ნუთუ ჰგონია, მე შიში ან გაჭირვება მაიძულებს ვითხოვო ცოლი? ვაი სირცხვილო! მე მხოლოდ შენთვის, შენთვის, დეიდავ!.. დეე, გაიგოს ამ დეიდამ, რომ მხოლოდ მას ვაღმერთებდი მთელი ოცი წლის მანძილზე! დეე, იცოდეს, თორემ არც არაფერი მოხდება და მე მხოლოდ ძალით თუ წამათრევენ იმ ce qu'on appelle le[133] ჯვრის წერაზე!

პირველად გავიგონე მისგან ეს აღსარება, ისიც ასეთი ძალით ნათქვამი. არ დავმაღავ და იმ წუთს ერთი გაცინება ყველაფერს მერჩია, მაგრამ ვცდებოდი თურმე.

- მხოლოდ ისღა დამრჩა ახლა, ისღა მყავს ერთადერთ იმედად! - მოულოდნელად გაასავსავა ხელები სტეპან ტროფიმოვიჩმა, თითქოს ერთბაშად რაღაც ახალმა აზრმა გაუელვაო, - ის ერთი მყავს ახლა, ის ჩემი საწყალი ბიჭი, ის მიხსნის - ოო, რატომ არ მიდის! ჰოი, შვილო ჩემო, ჩემო... პეტრუშა... მართალია, ღირსი არა ვარ მამის სახელისა, უფრო სისხლისმსმელი ვეფხვი ვიყავი შენთვის, მაგრამ... laissez-moi mon ami[134], ცოტა ხანს მივწვდები, აზრი მინდა მოვიკრიბო. დავიღალე, ძალიან დავიღალე, და მგონი თქვენი ძილის დროცაა, voyez-vous[135], უკვე თორმეტი საათია.

თავი მეოთხე. კოჭლაუხა

I

შატოვი არ გაკერპებულა და ჩემი ბარათის თანახმად ნაშუადღევს ეწვია ლიზავეტა ნიკოლაევნას. თითქმის ერთად შევედით; მეც პირველად მივდიოდი მათთან. ყველა - ლიზა, დედამისი და მავრიკი ნიკოლაევიჩი დიდ დარბაზში დაგვხვდნენ. დავა მოსვლოდათ. დედას ეთხოვა ლიზასთვის, ესა და ეს ვალსი ფორტეპიანოზე დამიკარიო. ლიზას დაუკრავს, დედამისს კი დაუჩემებია, სხვას უკრავო. გულუბრყვილო მავრიკი ნიკოლაევიჩი თურმე ლიზას გამოექომაგა, სწორედ ის ვალსი გახლავთო. დედაბერს ბრაზით ტირილი მორევია. ავად იყო და ძლივს დადიოდა, ფეხები დასიებოდა. ამიტომაც ეს რამდენიმე დღე სულ ჟინიანობდა, სულ შარზე იყო, თუმცაღა ლიზასი მუდამ ეშიწოდა. ჩვენი მისვლა ყველას გაუხარდა, ლიზა სიამოვნებისაგან წამოწითლდა, merci-ო, მითხრა, რა თქმა უნდა, შატოვის მოყვანისათვის, და მისკენ წავიდა შესაგებებლად.

შატოვი უხერხულად აიტუხა კართან. ლიზამ მადლობა გადაუხადა მოსვლისთვის და დედას მიჰგვარა.

- ეს ბატონი შატოვი გახლავთ, დედა, აი, მე რომ გელაპარაკეთ, ეს კი ბატონი გ-ვია. ჩემი და სტეპან ტროფიმოვიჩის დიდი მეგობარი. მავრიკი ნიკოლაევიჩმაც გაიცნო გუშინ.

- პროფესორი რომელია?

- პროფესორი არც ერთია და არც მეორე.

- არა, არის, შენ თვითონ არ მითხარი, პროფესორი მოვაო; ალბათ ეგ იქნება, - დედაბერმა ზიზღით მიაშვირა თითი შატოვს.

- აბა როდის გითხარით, პროფესორი მოვა-მეთქი. ბატონი გ-ვი მსახურობს, ბატონი შატოვი კი ყოფილი სტუდენტია.

- რა სტუდენტი და რა პროფესორი, სულ ერთია, ყველა მაინც უნივერსიტეტიდან არის! შენ კამათს არაფერი გირჩევნია იმ შვეიცარიელს კი წვერ-ულვაში ჰქონდა.

- დედა სტეპან ტროფიმოვიჩის ვაჟს ეძახის პროფესორს, - თქვა ლიზამ და შატოვი დარბაზის მეორე ბოლოში, დივნისაკენ წაიყვანა.

- ფეხები რომ დაუსივდება, მუდამ ასე იცის ხოლმე. ავად არის და იმიტომ, - ჩაუჩურჩულა ლიზამ შატოვს. იგი ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა შატოვს, განსაკუთრებით მის გაბურბენილ ქოჩორს.

- სამხედრო ბრძანდებით? - მომიტრიალდა დედაბერი, რომელსაც ასე შეუბრალებლად შემატოვა ლიზამ.

- არა, ვმსახურობ...

- ბატონი გ-ვი სტეპან ტროფიმოვიჩის დიდი მეგობარია, - უმაღ გამოეხმაურა ლიზა.

- სტეპან ტროფიმოვიჩთან მსახურობთ? მერედა ისიც ხომ პროფესორია?

- იპ, დედა, ალბათ სიზმარშიაც სულ პროფესორები გელანდებათ, - გულმოდგინედ გამოსძახა ლიზამ.

- ცხადშიც მეყოფა. შენ რომ დედას კრიჭაში არ ჩაუდგე, როგორ იქნება. ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი რომ აქ იყო, ამ ოთხი წლის წინათ, თქვენც აქ იყავით?

ვიყავი-მეთქი, - ვუპასუხე.

- ინგლისელი თუ იყო ვინმე მაშინ?

- არა, არ გახლდათ.

- აი, ხომ ხედავ, ინგლისელი არ ყოფილა, მაშასადამე, სულ ტყუილებს ამბობენ. ვარვარა პეტროვნა და სტეპან ტროფიმოვიჩიც - ორივე ტყუის. ყველანაც ტყუიან, - სიცილით უთხრა ლიზამ და მერე ჩვენ მოგვიტრიალდა, - დეიდამ და სტეპან ტროფიმოვიჩმა გუშინ ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი უფლისწულ ჰარის შეადარეს, შექსპირს რომა ჰყავს „ჰენრიხ მეოთხეში“. დედაჩემიც იმიტომ კითხულობს, ინგლისელი ხომ არ ყოფილაო.

- თუ ჰარი არ ყოფილა, მაშ არც ინგლისელი ყოფილა. ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩის პამპულაობა იქნებოდა.

- მერწმუნეთ, დედა განზრახ ამბობს ასე, თორემ შექსპირი კარგად იცის, - მიუბრუნდა ისევ შატოვს ლიზა ასახსნელად, - მე თვითონ წავუკითხე „ოტელოს“ პირველი აქტი; მაგრამ ახლა ტკივილები ძალიან აწუხებს. დედა, გესმით, თორმეტმა დაჰკრა, წამლის დაღვევის დროა.

- ექიმი გეახლათ, - მოადგა კარს მოახლე.

დედაბერი წამოდგა. „ზემირკა, ზემირკა, შენ მაინც წამომყევი“, - გასძახა პატარა ფინიას.

ბებერმა და ავმა პატარა ზემირკამ ყურიც არ გაიბარტყუნა და იმ დივნის ქვეშ შეძვრა, სადაც ლიზა იჯდა.

- არ გინდა? მაშ აღარც მე მინდიხარ. მშვიდობით, ჩემო ბატონო, არ ვიცი თქვენი სახელი, -მომიტრიალდა დედაბერი მე.

- ანტონ ლავრენტევიჩი გახლავართ...

- იპ, სულ ერთია, ერთ ყურში შევა, მეორეში გამოვა, ნუ გამაცილებთ, მავრიკი ნიკოლაევიჩ, მე მარტო ზემირკას დავუძახე. მადლობა ღმერთს, ჩემით შემიძლია სიარული, ხვალ სასეირნოდაც წავალ...

დედაბერი გაჯავრებული გავიდა.

- ანტონ ლავრენტევიჩ, ამასობაში მავრიკი ნიკოლაევიჩს ესაუბრეთ, მერწმუნეთ, ახლოს გაცნობით არც ერთი არ წააგებთ, - მითხრა ლიზამ და მეგობრულად შეჰღიმა მავრიკი ნიკოლაევიჩს. კაცს სახე გადაებადრა ამ ღიმილზე. სხვა რა გზა იყო, დავრჩი ისევ მავრიკი ნიკოლაევიჩთან.

II

ძალიან გამიკვირდა, როცა ლიზავეტა ნიკოლაევნამ მართლაც ლიტერატურულ სამუშაოზე გაუბა ლაპარაკი შატოვს. რატომღაც მეგონა, სულ სხვა მიზნით იბარებ-მეთქი. რაკი ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, მე და მავრიკი ნიკოლაევიჩმა ყური მივუგდეთ. მერე ჩვენს მიგვიწვიეს რჩევის საკითხად. ლიზავეტა ნიკოლაევნას თურმე დიდი ხანია გადაეწყვიტა მისი აზრით ერთი სასარგებლო წიგნის გამოცემა. ხოლო რაკი გამოცდილება არ ჰქონდა, თანამშრომელს საჭიროებდა. განვცვიფრდი კიდეც, ასე სერიოზულად რომ დაუწყო თავისი გეგმის ახსნა შატოვს. „ალბათ ახლებიდან იქნება, - ვიფიქრე გულში, - ტყუილად კი არ იყო შვეიცარიაში!“ შატოვი იატაკს ჩასჩერებოდა და გულმოდგინედ უსმენდა, თითქოს სულაც არ უკვირდა, რომ ეს მაღალი წრის უგულისყურო ქალიშვილი ასეთ შეუფერებელ საქმეს მოსჭიდებოდა.

ეს ლიტერატურული საქმე შემდეგი სახისა გახლდათ. რუსეთის სატახტოსა და პროვინციულ ქალაქებში აუარება ჟურნალ-გაზეთი გამოდის ხოლმე, სადაც ყოველდღე იბეჭდება უამრავი სხვადასხვა ამბავი და შემთხვევა. ერთი წლის შემდეგ ამ გაზეთებს ან კარადებში ინახავენ ან ხევენ და შესახვევად თუ ჩაჩებად ხმარობენ. გადის წლები და მრავალი გამოქვეყნებული ამბავი, რომელიც საზოგადოებაზე შთაბეჭდილებას ახდენს, მივიწყებას ეძლევა. თუ ვისმე დასჭირდა შემდეგში ამ ამბის შესახებ რაიმე ცნობა, ვის ძალუმს ამ ზღვა ჟურნალ-გაზეთებში მისი მოძებნა, მეტადრე თუ არც დღე, არც ადგილი და არც წელი ახსოვს იმ ამბისა? მაგრამ ერთი წლის მანძილზე მომხდარ ამ ფაქტებს რომ ერთ წიგნში მოეყაროს თავი, გარკვეული გეგმით დალაგდეს, სათაურები გაუკეთდეს, მითითებები დაერთოს, თვეებისა და რიცხვების მიხედვით დახარისხდეს, ამ თავმოყრამ შესაძლოა მთელი წლის მანძილზე რუსული სინამდვილის სურათი წარმოგვიდგინოს, მიუხედავად იმისა, რომ გამოქვეყნებული ამბები მეტისმეტად მცირე ნაწილი იქნება იმისა, რაც სინამდვილეში ხდება.

- აუარება ჟურნალ-გაზეთის მაგიერ რამდენიმე სქელტანიანი წიგნი გამოვა, ესაა და ეს, - შენიშნა შატოვმა.

ლიზავეტა ნიკოლაევნა მაინც თავამოდებით იცავდა ამ თავის განზრახვას, თუმცა დალაგებით გადმოცემა უჭირდა. ირწმუნებოდა, წიგნი ერთი უნდა იყოს და ისიც არც ძალიან დიდი. მაგრამ გინდაც დიდი იყოს, ის მაინც გასაგები და ნათელი უნდა გამოვიდეს, ვინაიდან აქ მთავარია, ამბები როგორ იქნება დალაგებული და წარმოდგენილი. რა თქმა უნდა, ყველაფერი არ გადმოიბეჭდება: მთავრობის ბრძანებულებანი და მოქმედებანი, ადგილობრივი განკარგულებანი, კანონები, ცხადია, დიდი მნიშვნელობისა გახლავთ, მაგრამ განზრახულ გამოცემაში ესენი სულაც შეიძლება გამოტოვო და მარტო იმ ამბებით დაკმაყოფილდე, რაიც მეტ-ნაკლებად გამოხატავს ხალხის ზნეობრივ, პირად ცხოვრებას. კერძოდ კი რუსი ადამიანის პიროვნებას ამჟამად. რა თქმა უნდა, შევა იქ სასაცილო შემთხვევებიც, სად და როდის მოხდა ხანძარი, საზოგადოებრივი საქმისათვის ვინ რამდენი გაიღო, რა სიკეთე ქნა და რა ბოროტება ჩაიდინა, დაიბეჭდება ყველა წარმოთქმული სიტყვა, ასე გასინჯეთ, მდინარეთა ადიდების შემთხვევებიც, მთავრობის ზოგიერთი ბრძანებულებანიც, მაგრამ ამათგან მხოლოდ ის შეირჩევა, რაც ეპოქას ასურათხატებს; ეს ყველაფერი გარკვეული მსოფლმხედველობით დალაგდება, რაც ამ მთლიანობას, ამ თავმოყრას ნათელს მოჰყენს, დაბოლოს წიგნი უნდა გამოვიდეს საინტერესო,

იკითხებოდეს იოლად, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რაოდენ სასურველი და საჭირო იქნება იგი ცნობების საძიებლად! ეს იქნება, ასე ვთქვათ, რუსული ცხოვრების სულიერი და ზნეობრივი სურათი მთელი წლის მანძილზე. „ისე უნდა გავაკეთოთ, წიგნი ყველამ შეიძინოს და ის მაგიდის წიგნად იქცეს, - ირწმუნებოდა ლიზა, - ვიცი, რომ თავიდათავი აქ გეგმაა და ამიტომაც მოგმართეთ თქვენ“, - დაასვენა ბოლოს. ლიზა ძალზე გაცხარებული ლაპარაკობდა, მისი ახსნა დაბნეული და გაურკვეველი გამოვიდა, მაგრამ შატოვმა მაინც გაუგო.

- მაშასადამე, გარკვეული გეზისა უნდა გამოვიდეს და ამბებიც გარკვეული მსოფლმხედველობით შეირჩეს, - ჩაიბურტყუნა შატოვმა, რომელსაც თავი არც ახლა აუწყევია.

- სულაც არა, არც გეზი უნდა და არც გარკვეული მსოფლმხედველობით შერჩევა. მისი გეზი პირუთვნელობა და მიუკერძოებლობა იქნება.

- გეზი არც დააშავებს რამეს, - შეტოვდა შატოვი, - ამას ვერც აცდები, თუკი შერჩევას დაიწყებ. ამბების შერჩევა უკვე მიუთითებს ყველაფერს. ეგ თქვენი აზრი ურიგო არ გახლავთ.

ლიზას გაუხარდა.

- მაშასადამე, ასეთი წიგნის გამოცემა შესაძლებელია?

- ამას მოფიქრება უნდა. ეს დიდი საქმეა. ასე უცებ ვერ გადაწყვეტ, გამოცდილებაა საჭირო. რომც გამოცემა წიგნი, არა მგონია, მაშინაც გვეცოდინოს, როგორ უნდა გამოცემა. აი, ბევრჯერ თუ გამოვა, მაშინ კი გავერკვევით. მაგრამ რაღაც კი უნდა გამოვიდეს. ეგ აზრი სასარგებლო გახლავთ.

შატოვმა თავი ასწია. იმდენად იყო დაინტერესებული, თვალებიც კი გაუბრწყინდა.

- ეგ თქვენდათავად მოიფიქრეთ? - თითქოს დარცხვენით ჰკითხა ლიზას.

- თავიდათავი გეგმაა, თორემ ამის მოგონება რა დიდი ამბავია, - გაეღიმა ლიზას, - მე ბევრი არაფერი მესმის, არც იმდენი ჭკუა მაქვს, მხოლოდ იმას მივსდევ, რაც გასაგებად მიმაჩნია...

- მისდევთ?

- ალბათ ეს სიტყვა არ უნდა მეთქვა? - ჩაჰკითხა ლიზამ.

- ეგ სიტყვაც შეიძლება. მე არაფერი მითქვამს.

- ჯერ კიდევ საზღვარგარეთ ვფიქრობდი, შესაძლოა მეც რაღაცაში გამოვდგე, რაღაც სასარგებლო გავაკეთო-მეთქი. ფული ტყუილ-უბრალოდ მიდევს. ჰოდა, ვიფიქრე, რა იქნება საერთო საქმისათვის მეც ხელი გავანძრიო-მეთქი? ეს აზრი რაღაც თავისთავად მომივიდა; სულაც არ მიჭყლეთია ტვინი და ძალიან გამიხარდა მისი მოფიქრება; მაგრამ ახლა მივხვდი, რომ თანამშრომელი მჭირდება, მარტო ვერაფერს გავხდები, მე თვითონ არაფერი შემიძლია. ცხადია, თანამშრომელი თანაგამომცემელიც იქნება. საქმეს გავიყოფთ: გეგმა და მუშაობა თქვენი, იდეა და გამოცემის ხარჯები - ჩემი. წიგნი ხომ ამოიღებს ხარჯებს?

- თუ სწორ გეგმას მივაგნებთ, წიგნი გავა.

- წინასწარ გეუბნებით, მოგება არ მადარდებს, მაგრამ ძალიან კი მინდა წიგნი გასაღდეს და საამაყოდაც დამრჩება მოგება.

- კი მაგრამ, მე რა შუაში ვარ?

- მე ხომ თქვენ გიწვევთ თანამშრომლად... სანახევროდ, გეგმას თქვენ მოიფიქრებთ.

- საიდან იცით, გეგმის მოფიქრება შემიძლია?

- თქვენზე ბევრი გამიგონია, აქაც მელაპარაკენ... ვიცი, ძალიან ჭკვიანი კაცი ხართ... მუშაობთ და... ბევრს ფიქრობთ; პიოტრ სტეპანოვიჩ ვერხოვენსკი მელაპარაკა თქვენზე შვეიცარიაში, - მსწრაფლ დააყოლა ლიზამ. - ის ხომ ჭკვიანი კაცია?

შატოვმა ერთ კი შეავლო თვალი ლიზას და ისევ დახარა თავი.

- ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩიც ბევრს მელაპარაკებოდა თქვენზე...

შატოვი უეცრივ აიღანძა.

- აგერ გაზეთებიც, - ლიზამ საჩქაროდ დასტაცა ხელი სკამზე დადებულ გაზეთების დასტას. - ვცადე და მე თვითონ შევარჩიე ამბები, დავნომრე კიდეც... გადაათვალიერეთ, ნახეთ.

შატოვმა შეხვეული გამოართვა.

- შინ წაიღეთ და გადახედეთ. სად ცხოვრობთ?

- ბოგოიაველენსკაიას ქუჩაზე, ფილიპოვის სახლში.

- ვიცი. ამბობენ, იქ კიდეც ვიღაც კაპიტანი ლეზიადკინი ცხოვრობსო? - ლიზა კვლავინდებურად ჩქარობდა.

შატოვი მთელი ერთი წუთი მდუმარედ იჯდა და იატაკს ჩასჩერებოდა. გაზეთების დასტა ისევ ხელში ეჭირა.

- მაგ საქმისათვის სჯობდა სხვა ვინმე აგერჩიათ, მე არ გამოგადგებით, - წაილაპარაკა ბოლოს.

ლიზა წამოენთო.

- რა საქმეზე მეუბნებით? მავრიკი ნიკოლაევიჩი, თუ შეიძლება, წედანდელი წერილი მომაწოდეთ.

მე და მავრიკი ნიკოლაევიჩი მაგიდას მივუახლოვდით.

ძალზე ადელვებულმა ლიზამ წერილი გახსნა და ერთბაშად მე მომიტრიალდა.

- აბა დახედეთ, თუ ოდესმე გინახავთ ამისთანა რამ? ძალიან გთხოვთ, ხმამაღლა წაიკითხოთ. მინდა ბატონმა შატოვმაც გაიგონოს.

დიდად განცვიფრებულმა ხმამალა წავიკითხე ესე უსტარი: ქალწულ ტუშინას უზადობის

მოწყალეო ხელმწიფევ, ელიზავეტა ნიკოლაევნავ!

ო, რა კარგია გარეთაც, შინაც

ელიზავეტა ტუშინა.

თვისტომთან ერთად უნაგირზე რომ მოექცევა

და დალალეები დაიწყებენ ნიავში რხევას.

და როს საყდარში მუხლს მოიყრის ის დედის გვერდით

და მხიბლავს ხილვა მოკრძალებულ სახეთა ეშხის; მსურს კანონიერ ქორწინების სიამე ნახოს.

და როს დედასთან ერთად მიდის, ვიხრჩვები ცრემლში.

შეთხზა კამათის უცოდინარმა.

„მოწყალეო ხელმწიფავ!

ყველაზე მეტად იმაზე მწყდება გული, სევასტოპოლში არ ვიყავი და სახელის მოსახვეჭად არ დავკარგე ხელი, მთელი ომი სამაგელი პროვიანტის ჩაბარებას მოვუნდი, რასაც სიმდაბლედ ვთვლი. თქვენ ქალღმერთი ხართ, ქალღმერთი ძველი დროისა, მე კი არარაობა და ჩავხვდი ჩვენ შორის არსებულ უსაზღვროებას. ჩათვალეთ, ვითარცა ლექსი, მეტად არა, ვინაიდან ლექსი მაინც სისულელეა და ამართლებს იმას, რაც პროზაში თავხედობად შეირაცხება. შეიძლება კი მზე განურისხდეს ინფუზორიას, რომელიც წყლის წვეთში გაჩენილა, სადაც, მიკროსკოპში თუ ჩაიხედავ, მისთანები ბევრი ირევა, და იქიდან ასხამს ხოტბას? პეტერბურგში მაღალ საზოგადოებასთან არსებულ მსხვილფეხა პირუტყვის მოყვარულთა კლუბიც[136] კი, რომელიც ცხენსა და ძაღლს იცოდებს, ზიზღით უყურებს პატარა ინფუზორიას და ხსენების ღირსადაც არა თვლის, რამეთუ არ გაიზარდა და ერთი ციცქნა დარჩა. ასევე არარაობად დავრჩი მეც. ჩემთან ქორწინებაზე ფიქრი შეიძლება სასაცილო იყოს, მაგრამ მალე ერთი კაცთმომულის მეოხებით, ვინც თქვენ გეზიზღებათ, ორასი სული ყმა მეყოლება. შემეძლია ბევრი რამ გაცნობოთ საბუთებით, თუნდაც ციმბირში მიკრან თავი ამისთვის. ნუ აიგდებთ აბუჩად წინადადებას. წერილი ინფუზორიისაგან ლექსად მიიღეთ.

კაპიტანი ლეზიადკინი, უმორჩილესი მეგობარი, ვისაც დრო ბევრი აქვს“.

- ეს მთვრალისა და არამზადის დაწერილია! - შევძახე აღშფოთებულმა. - მე მაგ კაცს ვიცნობ!

ლიზა გაწითლდა.

- წერილი გუშინ მივიღე, - აჩქარებით აგვიხსნა მან, - მაშინვე მივხვდი, ვილაც ბრიყვისაგან იქნებოდა. დედაჩემისთვის არ მიჩვენებია, არ მინდა შევაწუხო. მაგრამ თუკი ამ კაცმა თავისი არ მოიშალა, აღარც ვიცი, რა ვქნა. მავრიკი ნიკოლაევიჩი

ამბობს, მივალ და ავუკრძალავო. მაგრამ რახან თქვენ თანამშრომლად მიმაჩნისართ და იქვე ცხოვრობთ, - მიუბრუნდა ლიზა შატოვს, - მინდოდა თქვენთვის გამომეკითხა, კიდევ რას უნდა მოველოდე-მეთქი ამ კაცისაგან.

- ერთი ლოთი და არამზადაა, - უნდილად წაიბურტყუნა შატოვმა.

- მაშასადამე, ბრიყვიც, ხომ?

- არა, სიფხიზლეში ბრიყვი სულაც არ არის.

მე გამეცინა და ვთქვი: - ერთ გენერალს ვიცნობდი, ისიც ზუსტად ასეთ ლექსებს წერდა.

- ამ წერილითაც ეტყობა, რომ კაი ჭკვიანია, - მოულოდნელად ჩაურთო აქამდე გაჩუმებულმა მავრიკი ნიკოლაევიჩმა.

- ამბობენ, დაც მასთან ცხოვრობსო? - იკითხა ლიზამ.

- დიახ, დაც.

- ისიც მართალია, რომ ამბობენ, აწვალეზსო?

შატოვმა ისევ ახედა ლიზას, წარბი შეიკრა, რა ჩემი საქმეაო! - ჩაიბურტყუნა და კარისაკენ გაიწია.

- აჰ, მოიცათ, - შეშფოთდა ლიზა, - სად მიდიხართ? სალაპარაკო კიდევ ბევრი გვაქვს...

- რაზე უნდა ვილაპარაკოთ? მე ხვალ გაცნობებთ...

- რაც მთავარია, სტამბაზე არაფერი გვითქვამს! მერწმუნეთ, არ ვხუმრობ, მართლა მინდა საქმის გაკეთება, - არწმუნებდა უფრო და უფრო აღელვებული ლიზა. - თუ გამოცემას გადავწყვეტთ, სად დავბეჭდოთ? ეს ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია, ვინაიდან ამისთვის მოსკოვში ვერ წავალთ, აქაურ სტამბაში კი ამის დაბეჭდვა არ მოხერხდება. რა ხანია გადავწყვიტე საკუთარი სტამბა დამეარსებინა, გინდაც თქვენს სახელზე. ვიცი, დედა არ დამიშლის, თუკი თქვენს სახელზე იქნება...

- ვინ გითხრათ, მე რომ სტამბის საქმე ვიცი? - კუმტად ჰკითხა შატოვმა.

- შვეიცარიის მიტხრა პიოტრ სტეპანოვიჩმა თქვენზე. სტამბის საქმე იცის და კარგად გაუძღვებაო. ბარათიც უნდოდა გამოეტანებინა თქვენს სახელზე, მაგრამ დამავიწყდა.

როგორც ახლა მახსენდება, შატოვს ფერი ეცვალა. რამდენიმე წუთს კიდევ იდგა, მერე უეცრივ გატრიალდა და გავიდა.

ლიზა გაბრაზდა და მე მომიბრუნდა: - ასე იცის ხოლმე წასვლა?

მე მხრები ავიჩიქე. მოულოდნელად შატოვი დაბრუნდა, მაგიდას მიუახლოვდა და გაზეთების დასტა უკანვე დაუდო: - მე თანამშრომლობას ვერ გაგიწევთ, დრო არა მაქვს...

- რატომ, რა მიზეზით? ხომ არ გაჯავრდით? - შეწუხებული და ვედრების კილოთი ჰკითხა ლიზამ.

მისმა ხმამ, ეტყობა, შეაცბუნა შატოვი; რამდენიმე წამს ისე დააშტერდა, თითქოს გულის სიღრმეში უნდა ჩასწვდესო.

- სულ ერთია, არ მინდა, - ჩაიდუდუნა ბოლოს, გატრიალდა და გავიდა. ლიზა ისეთი გაოგნებული სახით იდგა, კიდევაც გამიკვირდა.

- დიდი უცნაური კაცია! - გამოაცხადა მავრიკი ნიკოლაევიჩმა.

III

რასაკვირველია, „უცნაური“ იყო, მაგრამ ჩემთვის კი ბევრი რამ მაინც გაურკვეველი დარჩა. აქ სულ სხვა რაღაც უნდა ყოფილიყო. ამ წიგნის ამბავი დიახაც არ მჯეროდა. არა, ის ბრიყვული წერილი მაინც რაღა იყო, სადაც საკმაოდ ნათლად გახლდათ შემოთავაზებული რაღაც „საბუთების“ გაცხადება და რაზედაც კრინტი არავინ დაძრა. ან ეს სტამბა რას ნიშნავდა და რად წავიდა შატოვი მოულოდნელად, როცა სწორედ სტამბაზე ჩამოვარდა ლაპარაკი? ყოველივე ამან მაფიქრებინა, ჩემამდე აქ რაღაც ისეთ მოხდა, რაც მე არ ვიცი, მაშასადამე, მე აქ ზედმეტი ვარ და ეს ყველაფერი ჩემი საქმე არ არის-მეთქი. თანაც პირველი ვიზიტი საკმაოდ ხანგრძლივი გამომივიდა. მეც ავდექი და ლიზავეტა ნიკოლაევნას გამოსამშვიდობებლად მივუახლოვდი.

ლიზას ჩემი იქ ყოფნა აღარც ახსოვდა. ჩაფიქრებული იდგა მაგიდასთან და გარინდებული დაშტერებოდა ხალიჩაზე ერთ წერტილს.

- ჰოო, თქვენც მიბრძანდებით, ნახვამდის, - მითხრა მისთვის ჩვეული ალერსიანი კილოთი, -სტეპან ტროფიმოვიჩი მომიკითხეთ და როგორმე დაიყოლიეთ, მალე მეწვიოს. მავრიკი ნიკოლაევიჩ, ანტონ ლეონტიევიჩი მიდის. უკაცრავად, დედა ვერ დაგემშვიდობებათ.

კიბე უკვე ჩათავებული მქონდა, როცა ლაქია წამომეწია პარმალზე: - ქალბატონმა გთხოვათ მობრძანდეთ.

- ქალბატონმა თუ ლიზავეტა ნიკოლაევნამ?

- ლიზავეტა ნიკოლაევნამ.

ლიზა მახლობელ სასტუმრო ოთახში დამხვდა. იმ დიდი დარბაზის კარი, სადაც ჩვენ ვისხედით და სადაც ახლა მარტო მავრიკი ნიკოლაევიჩი დარჩა, მიხურული იყო.

ლიზამ გამიღიმა, თუმცა გაფითრებული ჩანდა. იგი შუა ოთახში იდგა, ეტყობა, ყოყმანობდა, თავს ებრძოდა. მერე უცბად მომკიდა ხელი და უხმოდ მიმიყვანა ფანჯარასთან.

- მე ახლავე უნდა ვნახო ის ქალი, - ჩამიჩურჩულა და ანთებული თვალები ისე მოუთმენელი გზნებით მომაპყრო, ვიგრძენი, უარი არ გამოვიდოდა, - მე იგი ჩემი თვალთ უნდა ვნახო და გთხოვთ დამეხმაროთ.

ლიზა წყობიდან გამოსული და სასოწარკვეთილი ჩანდა.

- ვისი ნახვა გნებავთ, ლიზავეტა ნიკოლაევნა? - ვკითხე შეშინებულმა.

- ვისი და იმ ლებიადკინის კოჭლი დისა... მართლა კოჭლია?

სახტად დავრჩი.

- მე არასოდეს არ მინახავს, მაგრამ გამიგონია კი, კოჭლიაო, გუშინ მითხრეს სწორედ, - წავილულულულე სწრაფად და ასევე ჩურჩულით.

- აუცილებლად უნდა ვნახო. არ შეგიძლიათ დღესვე მომიხერხოთ?

საოცრად შემეცოდა ლიზა და დავაპირე გადამეთქმევინებინა მისთვის ეს განზრახვა.

- არა, არ შემიძლია და ვერც წარმომიდგენია, როგორ უნდა მოვახერხო ეს. აი, შატოვთან წავალ...

- თუ ხვალისთვის ვერ მოახერხებთ, იცოდეთ, ავდგები და მარტო მივალ. მავრიკი ნიკოლაევიჩმაც უარი მითხრა. მხოლოდ თქვენი იმედი მაქვს, სხვა არავინ მყავს. შატოვს სულელურად ველაპარაკე... ვიცი, პატიოსანი კაცი ხართ და ალბათ ჩემი ერთგულიც, ოღონდ კი მომიხერხეთ რამე.

სულით და გულით მომინდა ყველაფერში დავხმარებოდი.

- იცით რას ვიზამ, - ჩავფიქრდი წამით, - მე თვითონ წავალ და დღესვე უთუოდ, უ თ უ ო დ ვნახავ! ისე მოვახერხებ, რომ ვნახო, პატიოსან სიტყვას გაძღვეთ; ოღონდ ნება მომეცით შატოვს გავენდო.

- უთხარით, რომ ასე მსურს და მეტი დაცდა არ შემიძლია. ისიც უთხარით, ახლა არ თვალთმაქცობდა-თქო. ალბათ იმიტომაც წავიდა, რომ ძალზე პატიოსანი კაცია, ეგონა, ვატყუებდი და არ მოეწონა. არკი ვატყუებდი, მე მართლა მინდა წიგნის გამოცემა და სტამბის დაარსება...

- დიახ, პატიოსანი კაცია, პატიოსანი, - გულფიცხად ვარწმუნებდი მეც.

- თუმცა ხვალისთვის თუ არაფერი მოხერხდა. მე თვითონ წავალ, გინდაც ერთი ამბავი ატყდეს და ყველამ გაიგოს.

მე ცოტა გონს მოვედი და ვუთხარი: - ხვალ სამ საათამდე თქვენთან ვერ მოვალ.

- მაშ, სამზე გელოდებით. ხომ არ შევმცდარვარ, გუშინ სტეპან ტროფიმოვიჩთან ვიფიქრე თქვენზე, ცოტაოდენ ჩემი ერთგულიც არის-მეთქი? - გამიღიმა ლიზამ, საჩქაროდ ხელი ჩამომართვა და მიტოვებულ მავრიკი ნიკოლაევიჩს მიაშურა.

გაოგნებული გამოვედი, ვერ გამეგო, რა მოხდა. ჩემი დაპირება გულზე ლოდივით მაწვა. ვხედავდი, ქალი ისეთ სასოწარკვეთილებაში იყო, არ დაერიდა და თითქმის უცხო კაცს გამენდო. გული დამისერა ლიზას ქალურმა ღიმილმა და ასეთ მძიმე წუთს მისმა ქარაგმულმა სიტყვებმა, გუშინვე რომ შეამჩნია ჩემი გრძნობები; მაგრამ შემეცოდა, შემეცოდა, მორჩა და გათავდა! მისი საიდუმლოებანი ჩემთვის უცბად ისეთი წმიდათაწმიდად იქცა, ამ წუთს ვისმე გაემხილა ისინი ჩემთვის, მგონი, ყურებში თითებს დავიცობდი და არ მოვუსმენდი. ეს კია, გული რაღაცას მიგრძნობდა... მაგრამ არ ვიცოდი, რანაირად უნდა მომიხერხებინა აქ რამე. კიდევ მეტი, ისიც არ მესმოდა, კერძოდ რა უნდა მომიხერხებინა: პაემანი, მაგრამ რა პაემანი? ან როგორ შევახვედრო ერთმანეთს? ერთადერთი იმედი შატოვისა მქონდა. თუმცა

წინასწარ უნდა მცოდნოდა, ის რომ არაფერში დამეხმარებოდა. მაინც მისკენ გავქანდი.

IV

მხოლოდ საღამოს რვა საათზე შევისწარი შატოვი შინ. ჩემდა გასაკვირად, სტუმრები ჰყოლოდა

- ალექსეი ნილიჩი და კიდევ ვირგინსკის ცოლისძმა შიგალიოვი, რომელსაც მე კარგად არ ვიცნობდი.

ეს შიგალიოვი აგერ ორი თვეა, რაც ჩვენს ქალაქს ესტუმრა; არ ვიცი, საიდან ჩამოვიდა, ვიცოდი მხოლოდ, პეტერბურგის რომელიღაც პროგრესულ ჟურნალში რაღაც წერილი დაებეჭდა. ერთხელ ვირგინსკიმ შემთხვევით გამაცნო ქუჩაში. ამისთანა დაღრეჯილი და უჟმური სახის კაცი ჩემს სიცოცხლეში არ შემხვედრია. ისე გამოიყურებოდა, თითქოს ქვეყნის დაქცევის ამბავი იცის და თანაც სხვისი წინასწარმეტყველებით კი არა - რაც შეიძლება არც ამხდარიყო - არამედ დანამდვილებით აქვს გაგებული, ეს ქვეყანა ზეგ დილას, ზუსტად თერთმეტის ოცდახუთ წუთზე დაიქცევაო. თუმცაღა მაშინ თითქმის არ გვილაპარაკნია და მხოლოდ ორი შეთქმულივით უხმოდ ჩამოვართვით ერთმანეთს ხელი. ყველაზე მეტად მისმა არაბუნებრივად დიდმა, განიერმა და სქელმა ყურებმა გამაოცა, აქეთ-იქით რომ გამოსჩროდა. ზოზინა და მოუქნელი კაცი ჩანდა, თუ ლიპუტინს ოდესმე უოცნებია, ფალანსტერა ჩვენს გუბერნიაში განხორციელდებაო, ამ კაცს უთუოდ დღე და საათიც ეცოდინებოდა, ეს როდის მოხდა. მან ჩემზე შემადრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა. ჰოდა, გამიკვირდა, ახლა რომ შატოვთან დამხვდა, მით უმეტეს, შატოვს არც მაინცდამაინც უყვარდა სტუმრები.

კიბეზევე გავიგონე მათი ხმამაღალი ლაპარაკი. სამთავე ერთად ყვიროდა, მგონი, რაღაცაზე დაობდნენ. მაგრამ შევედი თუ არა, გაჩუმდნენ და დასხდნენ. მეც დავჯექი. მთელი სამი წუთი არ დარღვეულა ეს სულელური სიჩუმე. შიგალიოვმა კი მიცნო, მაგრამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს ვერა მცნობსო. დარწმუნებული ვარ, მტრობით არ მოსვლია. ალექსეი ნილიჩმა და მე ოდნავ დავუკარით ერთმანეთს თავი, მაგრამ არც არაფერი გვითქვამს და არც ხელი ჩამოგვირთმევია. შიგალიოვმა ბოლოს იკადრა და ისე გოროზად შემომხედა, თითქოს ეგონა, მართლა ავდგებოდი და წავიდოდი. ბოლოს შატოვი წამოდგა სკამიდან და ისინიც მაშინვე წამოხტნენ. წასვლისას არც ერთი არ დაგვემშვიდობა, მხოლოდ შიგალიოვი მოუტრიალდა გასაცილებლად გაყოლილ შატოვს და უთხრა: - არ დაგავიწყდეთ, რომ მოვალე ხართ ანგარიში ჩავგაბართ.

- ფეხებზე მკიდია ეგ თქვენი ანგარიში და არც მოვალე ვარ ვისმე ჩავაბარო, - მიაყოლა შატოვმა და კარი რაზით გადაკეტა.

- შტერები! - ჩაილაპარაკა მერე, შემომხედა და ნაძალადევად გაილიმა.

ძალზე გაბრაზებული გამოიყურებოდა, გამიკვირდა, თვითონ რომ დამელაპარაკა. მასთან რომ მოვიდოდი (თუმცა ძალიან იშვიათად), მოლუმული მიჯდებოდა ხოლმე კუთხეში, გულმოსული პასუხობდა და მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ ამოიდგამდა ენას და სიამოვნებით გააბამდა საუბარს. სამაგიეროდ, გამომშვიდობებისას კვლავ

დაიხაკავდა შუბლს და ისე გამოგისტუმრებდა, თითქოს მისი პირადი მტერი იყავი და ძლივს მოგიშორა თავიდან.

- მაგ ალექსეი ნილიჩთან გუშინ ჩაი დავლიე. მგონი, ათეიზმზე უნდა იყოს შეშლილი, - ვუთხარი მე.

- რუსული ათეიზმი კალამბურს არასოდეს არ გასცილებია, - წაიბურტყუნა შატოვმა და ძველი ნამწვის ნაცვლად შანდალში ახალი სანთელი ჩადგა.

- არა, კალამბურების ოსტატისა მაგას არაფერი სცხია. როგორც შევატყვე, კალამბურები კი არადა, მგონი, ჩვეულებრივი ლაპარაკიც უჭირს.

- საცოდავი ხალხია, ქაღალდის მორჩილნი, ლაქიობით მოსდით ეგ აზრები, - დინჯად შენიშნა შატოვმა, კუთხეში მიჯდა და ორივე ხელისგულით მუხლებს დაეყრდნო.

- ამასთან სიმულვილიც ამომრავებთ, - განაგრძო წუთიერი დუმილის შემდეგ, - რუსეთი რომ რაღაც განგების ძალით უცებ უმდიდრესი და უბედნიერესი ქვეყანა გახდეს, როგორც თავად წარმოუდგენიათ, პირველი ეგენი ჩამოუშვებენ ცხვირს. ვილა შეიძულონ, ვილას მიაფურთხონ და ვილა გაქირდონ მაშინ! რუსეთი მაგათ ცხოველური, უზომო სიმულვილით სძულთ, ეს სიმულვილი ძვალ-რბილში უზით... რის უხილავი ცრემლი და რა უხილავი ცრემლიო! ამისთანა ყალბი სიტყვები ჯერ არავის უთქვამს მთელ რუსეთში, როგორც ამ უხილავ ცრემლებზეა ნათქვამი! - წამოიძახა ლამის გააფთრებით შატოვმა.

მე გამეცინა.

- ერიჰაა, მაგას კი აჭარბებთ!

- თქვენ კი „ზომიერი ლიბერალი“ ბრძანდებით, - ჩაეცინა შატოვსაც და უცებ დაუმატა, - იცით, ლაქიობით მოსდით-მეთქი, რომ ვთქვი, ეგ წამოვროშე. ვინ იცის მიპასუხოთ: „ლაქიის შვილი მე კი არა, შენა ხარ!“

- რას ამბობთ... არც მიფიქრია!

- ბოდიშს ნუ მიხდით, მე თქვენი არ მეშინია. მე მხოლოდ ლაქიამ გამაჩინა, ახლა კი თქვენსავით მეც ლაქია გავხდი. ჩვენი რუსი ლიბერალი პირველ ყოვლისა ლაქიაა და თვალი იმისკენ უჭირავს, ვის გაუწმინდოს ჩექმები.

- ჩექმებო? ეგ რაღა ალეგორიაა!

- ალეგორია კი არადა! დამცინით თუ... სტეპან ტროფიმოვიჩმა მართლა თქვა ჩემზე, კარგად შემადარა: მართლა ლოდმა მომიტანია ქვეშ, მაგრამ ვერ კი გამჭყლიტა და მხოლოდ ვიკლაკნები კაცი. ეგ კარგი შედარება გამოუვიდა.

- სტეპან ტროფიმოვიჩი მარწმუნებს თქვენზე, გერმანელებზეა გაგიჟებულიო, - გავიცინე მე, - მაგრამ გერმანელებს ხომ მაინც დავცანცლეთ რაღაც.

- ორშაურიანი დავცანცლეთ, ასი მანეთი კი ჩვენი მივეცი თქვით.

წამით ორივენი ვდუმდით.

- მაგას ეგ ამერიკაში გდებამ უქნა.

- ვის რა უქნა გდებამ?

- კირილოვზე ვამბობ. მე და ეგ ოთხი თვე ერთ ქოხში იატაკზე ვეგდეთ იქა.

გამიკვირდა: - როგორ, ამერიკაში იყავით? ეგ არასოდეს გითქვამთ.

- რა სათქმელი ეს იყო. ამ სამი წლის წინათ ემიგრანტების გემით სამნი გავემგზავრეთ ამერიკის შტატებში უკანასკნელ კაპიკებზე, „რა არის ამერიკელი მუმის ცხოვრება საკუთარ ტყავზე გამოგვეცადა და ს ა კ უ თ ა რ ი გამოცდილებით შეგვემოწმებინა ადამიანის მდგომარეობა ყველაზე მძიმე საზოგადოებრივ პირობებში“. აი, რა მიზანი გვქონდა.

მე გამეცინა: - ღმერთო ჩემო! მაგის გულისთვის ამერიკაში რა მიგარბენინებდათ, აგერ ჩვენს რომელიმე გუბერნიაში წასულიყავით ალოობაზე და „საკუთარი გამოცდილებით შეამოწმებდით!“

- იქ ერთ ექსპლოატატორს მოჯამაგირეებად დავუდექით. ექვსი რუსი შევგროვდით მასთან, - სტუდენტები, ოფიცრები, რამდენიმე მემამულეც კი იყო, ერთი სიტყვით, ყველას ეს დიადი მიზანი გვამომრავებდა. ჰოდა, რაც შეგვეძლო, ოფლში ვიღვრებოდით და წელს ვიწყვედით. ბოლოს მე და კირილოვი წამოვედით - ვეღარ გავძელით, ავად გავხდით. ჩვენმა ექსპლოატატორმა პატრონმა ანგარიშშიც მოგვატყუა, გარიგებული ოცდაათი დოლარის ნაცვლად მე რვა მომცა, კირილოვს თხუთმეტი. არც ცემა-ტყეპა დაგვაკლო. მაშინ იყო, მე და კირილოვი ერთ პატარა ქალაქში ოთხი თვე ერთად ვეგდეთ მიწაზე; ის თავისას ფიქრობდა, მე ჩემსას.

- არა, მართლა გცემდათ თქვენი პატრონი და ისიც ამერიკაში? წარმომიდგენია, როგორ ლანძღავდით ალბათ!

- სულაც არა. პირიქით, მე და კირილოვმა მაშინვე გადავწყვიტეთ, „ჩვენ, რუსები, ამერიკელებთან შედარებით უსუსური ბალები ვართ, კაცი ან ამერიკაში უნდა დაიბადო, ან კარგა ხანს იცხოვრო იქ, თუ გინდა იმათ დონემდე მიაღწიო.“ კიდევ მეტიც; როცა კაპიკის საღირსად საქონელში დოლარს გვახდევინებდნენ, არა მარტო სიამოვნებით, აღტაცებითაც ვაძლევდით. ყველაფერს ხოტბას ვასხამდით: სპირიტუიზმს, ლინჩის კანონს, რევოლუციებს, მაწანწალებს. ერთხელ გზაში ვიღაც კაცი ჯიბეში ჩამიდგრა, ჩემი თმის ჯაგრისი ამოიღო და თმა დაივარცხნა, მე და კირილოვმა ერთმანეთს გადავხედეთ და გადავწყვიტეთ, უყურე ერთი, რა ჩინებულად მოიქცა-თქო...

- მე ის მიკვირს ჩვენების, რაიმე აზრი რომ აეკვიატებათ, უთუოდ საქმედაც აქცევენ, - შევნიშნე მე.

- საცოდავი ხალხი ვართ-მეთქი, - გაიმეორა შატოვმა.

- არა, კაცი რომ ემიგრანტების გემით ოკეანეს გადასცურავს და უცხო ქვეყანაში წავა, გინდაც იმიტომ, „საკუთარი გამოცდილებით შეამოწმოს“ და ა.შ. - ღმერთმანი, რაღაც დიდი სულიერი ძალა უნდა ჰქონდეს... იქიდან როგორღა გამოაღწიეთ?

- ევროპაში ერთ კაცს მივწერე და ასი მანეთი გამომიგზავნა.

შატოვი გაფიცების დროსაც მუდამ იატაკს ჩასჩერებოდა. ახლა კი უცებ ასწია თავი.

- გითხრათ იმ კაცის გვარი?

- ვინ იყო?

- ნიკოლაი სტავროგინი.

მერე წამოდგა, თავის ცაცხვის საწერ მაგიდას მიუბრუნდა და იქ რაღაცას დაუწყო ძებნა. ჩვენს ქალაქში ყრუ, მაგრამ სარწმუნო ხმები დადიოდა, შატოვის ცოლს ერთხანს მიკოლაი სტავროგინი ჰყვარებიაო პარიზში. ეს იყო სწორედ ორი წლის წინათ, მამასადამე, იმ ხანებში, როცა შატოვი ამერიკაში იმყოფებოდა. ესეც კია, რომ შატოვი ცოლს უკვე კარგა ხნის მიტოვებული ჰყავდა ჟენევაში. „თუ ეს მართალია, ნეტავ ვინ ეწეოდა ენაზე, გვარი ეთქვა?“ - გამკრა თავში.

- აქამდე არც დამიბრუნებია, - მომიტრიალდა ისევ შატოვი, დაკვირვებით შემომხედა, ისევ კუთხეში მიჯდა და უკვე სხვა კილოთი მომახალა: - ალბათ რაღაც მიზეზმა მოგიყვანათ. რა გნებავთ?

მაშინვე ვუამბე ყველაფერი ზუსტი ისტორიული თანამიმდევრობით. ისიც დავუმატე, მართალია, წელან გრძნობებს ავეყვი და ყველაფერს შევპირდი, მაგრამ გზაში დავფიქრდი და ახლა აღარ ვიცი, რა ვქნა: ვგრძნობ, ეს რატომღაც ძალიან დიდ რასმე ნიშნავს ლიზავეტა ნიკოლაევნასათვის და ძალიანაც მინდა დავეხმარო, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, არ ვიცი, პირობა როგორ ავუსრულო, ისიც არ მესმის ახლა, კერძოდ, რა შევპირდი-მეთქი. შემდეგ კიდევ ერთხელ დავუმოწმე ბეჯითად, რომ ლიზავეტა ნიკოლაევნას არც სურდა და არც ფიქრობდა მის მოტყუებას, რომ რაღაც გაუგებრობა მოხდა და ძალიან დასწყვიტა გული მისმა წელანდელმა უცნაურმა წასვლამ.

შატოვმა გულისყურით მომისმინა.

- შესაძლოა წელან მართლაც სისულელე ჩავიდინე, როგორც მჩვევია ხოლმე... ხოლო თუ თვითონ ვერ მიხვდა, ასე რად წამოვედი... მით უკეთესი მისთვის.

შატოვი წამოდგა, კარი გააღო და კიბეს მიაყურა.

- იმ ქალის ნახვა გნებავთ?

- ძალიანაც მინდა, მაგრამ როგორ მოვახერხო? - წამოვბტი გახარებული.

- სულ უბრალოდ, ვინემ მარტოა, მივიდეთ. ძმამ რომ გაიგოს, ჩვენ ვიყავით, სცემს. მე ხშირად ვნახულობ უჩუმრად. ამას წინათ რომ სცემა, ავდექი და კარგად მივბეგვე.

- მიბეგვეთ?

- დიახ, დიახ, ქოჩორში ვწვდი და გამოვათრიე. ხელის შემობრუნება დამიპირა, როგორ გამიბედეთ, მაგრამ შევაშინე და გაჩერდა. მთვრალი რომ მოვიდეს მეშინია არ გაიხსენოს და ისევ არ სცემოს.

ჩვენ მაშინვე ქვევით ჩავედით.

V

ლებიადკინების ბინაში თავისუფლად შევედით კარი მხოლოდ მიხურული აღმოჩნდა. ეს იყო ორი პატარა საძაგელი ოთახი. გაჭვარტლულ კედლებზე ჭუჭყიანი შპალერი ნაგლეჯებად ეკიდა. რამდენიმე წელი აქ დუქანი ჰქონდათ გამართული, ვინემ სახლის პატრონმა ფილიპოვმა იგი ახალ სახლში არ გადაიტანა. დუქნის სხვა ოთახები ახლა დაკეტილი იყო. ლებიადკინს მარტო ეს ორი ოთახი ეჭირა. შიგ ხის გამოჩორკნილი მერხები, მაგიდები და კიდევ ერთი სახელურმომტვრეული სავარძელი იდგა.

მეორე ოთახის კუთხეში m-Ile ლებიადკინას საწოლი ჩანდა, რომელზეც ჩითის საბანი ეგარა.

კაპიტანს კი პირდაპირ იატაკზე ეძინა, ხშირად ტანგაუხდელსაც. მთელი ბინა მონაგვიანებული და მოწუწული იყო. პირველსავე ოთახის შუაგულში სველი ჩვარი ეგდო. იქვე, წყლის გუბეში ძველი ჩათელილი ფეხსაცმელი ცურავდა. აშკარა იყო, აქ არავინ იწუხებდა თავს, არავინ აჩაღებდა ღუმელს და არავინ ამზადებდა კერძს, როგორ შატოვმა დაწვრილებით მიამბო, სამოვარიც კი არ გააჩნდათ. კაპიტანი მთლად დაგლახაკებული ჩამოვიდა თავის დასთან ერთად და, ლიპუტინის თქმისა არ იყოს, პირველ ხანებში მათხოვრობდა კიდევ კარდაკარ. მაგრამ უეცარი გამდიდრების შემდეგ სმა დაიწყო და ისე გამოთაყვანდა, ოჯახის მიხედვის თავი აღარ ჰქონდა.

M-Ile ლებიადკინა, რომლის ნახვა მე ასე მინდოდა, მეორე ოთახის კუთხეში წყნარად იჯდა თავისთვის სამზარეულოს ყავრის მაგიდასთან. ჩვენს შემოსვლაზე არ განძრეულა და არ უკითხავს, ვინ არისო. შატოვმა მითხრა, მაგათი კარი არ იკეტება, ერთხელ მთელი ღამე სულაც ღია დარჩათო. რკინის შანდალში წვრილი სანთელი ბჟუტავდა. მის შუქზე ძლივს გავარჩიე ასე ოცდაათიოდე წლის ქალი. გამჭკნარ-გალეულს თალხი ფერის ძველი ჩითის კაბა ეცვა. გრძელ კისერს არაფერი უფარავდა. კეფაზე დახვეული მუქი ფერის თხელი თმა ორი წლის ბავშვის მუჭაზე სქელი არ იქნებოდა. საკმაოდ მხიარულად შემოგვხედა. შანდლის გარდა მაგიდაზე პატარა სოფლური სარკე, ძველი კარტი, სიმღერების დაფლეთილი წიგნი და ერთი-ორჯერ ჩაკბეჩილი გერმანული თეთრი ფუნთუშა ედო. ეტყობოდა, ფერუმარილს ხმარობდა და ტუჩებს რაღაცით იღებავდა. მგონი, ისედაც გრძელ, წვრილსა და შავ წარბებს ისურმავდა. მაღალსა და ვიწრო შუბლზე, ფერუმარილის მიუხედავად, საკმაოდ გარკვევით აჩნდა სამი გრძელი ნაოჭი. ვიცოდი, კოჭლი რომ იყო, თუმცა ჩვენი იქ ყოფნისას არ წამომდგარა და არ გაუვლია. თავის დროზე ამ გალელულ სახეს ალბათ არც ეშხი აკლდა და არც სილამაზე, მაგრამ მშვიდი, მწყაზარი ნაცრისფერი თვალები ახლაც მოხიბლავდა კაცს. ისე ოცნებითა და თითქმის მხიარულად შემოგყურებდა ეს თვალები, ღიმილშიაც ისეთი უშფოთველი სიხარული გამოსჭვიოდა, ყველაზე მეტად ამ უშფოთველობამ განმაცვიფრა იმის შემდეგ, რაც მისი ძმის მათრახებსა და უხამსობაზე მქონდა გაგონილი. საოცარია, რომ შიშისა და ზიზღის მაგივრად, რასაც მუდამ გვერის ამისთანა ღვთისაგან დაბეჩავებული არსება - პირველი წუთიდანვე თითქმის მეამა მისი დანახვა და მხოლოდ სიბრალოლმა ამივსო გული.

- ა, სულ ასე ზის მარტოდმარტო მთელი დღეები, ფეხსაც არ მოიცვლის, ხან კარტს არჩევს, ხან სარკეში იყურება, - მითხრა შატოვმა ზღურბლზევე. - ძმა ხომ არ აჭმევს,

ზოგჯერ თუ სამადლოდ მოუკითხავს ფლიგელიდან დედაბერი კერძს, ნეტა როგორ ტოვებენ მარტოს, ისიც სანთელთან.

შატოვი ისე ხმამაღლა მელაპარაკებოდა, თითქოს m-Ile ლეზიადკინა ოთახშიც არ იყო.

- გამარჯობა შენი, შატუნია! - ტკბილად ჩაილაპარაკა m-Ile ლეზიადკინამ.

- სტუმარი მოგიყვანე, მარია ტიმოფეევანა.

- სტუმარი ღვთისაა, თუმცა არ ვიცი, ვინ მოიყვანე, რაღაც არ მახსოვს ეგეთი ვინმე, - გამომხედა დაკვირვებით ქალმა სანთლის იქიდან და უმაღლეს შატოვს მიუბრუნდა (ჩემთვის მერე ზედაც არ შემოუხედავს ლაპარაკისას, თითქოსდა არც ვიყავი იქ) - მოგწყინდა განა მარტოკას ოთახში ყალი? - შესცინა მან და მშვენიერი თეთრი კბილები გამოაჩინა.

- მომწყინდა კიდეც და შენც მომენატრე.

შატოვმა მერხი მისწია მაგიდასთან, დაჯდა და მეც გვერდით მომისვა.

- მუსაიფი მუდამაც მიყვარს, მაგრამ მაინც მეცინება შენზე, შატუნია, ბერივით რომ ხარ. თმა როდის აქეთ არ დაგვარცხნია? მოდი, დაგვარცხნო, - m-Ile ლეზიადკინამ ჯიბიდან სავარცხელი ამოიღო - ალბათ, რაც მე დაგვარცხნე, მას აქეთ ხელი არ გიხლია?

შატოვს გაეცინა.

- მე ხომ სავარცხელიც არ მაქვს.

- მართალს ამბობ? მაშ ჩემსას გაჩუქებ, ამას არა, მეორეს, ოღონდაც გამახსენე.

M-Ile ლეზიადკინამ გულდაგულ გადაუვარცხნა შატოვს თმა, გვერდზეც გაუყო, მერე უკან გადაიხარა, შეხედა, კარგად თუ დაგვარცხნო, და სავარცხელი ისევ ჯიბეში ჩაიღო.

- იცი რა, შატუნია, - გადაიქნია თავი, - გონიერი კაცი ხარ, მაგრამ მოწყენით კი ცხოვრობ. გიყურებთ და მიკვირს თქვენი; არ მესმის, მოწყენამ როგორ უნდა დაიმორჩილოს კაცი. დარდმა არ უნდა გმლიოს. მე მუდამ მხიარული ვარ.

- შენი ძმის პატრონიც?

- ლეზიადკინზე მეუბნები? ეგ ჩემი ლაქიაა. ჩემთვის სულ ერთია, გინდა გდებულა აქ და გინდა არა. დავუძახებ: „ლეზიადკინ, წყალი მომიტანე, ლეზიადკინ, ფეხსაცმელი მომართვი“, და სირბილით მოაქვს; სულო ცოდვილო, და გამეცინება ზოგჯერ მისი შემყურე.

- ზუსტად ეგრეა, - ისევე ხმამაღლა და უბოდიშოდ მომიტრიალდა შატოვი, - მართლა ლაქიასავით ექცევა; ჩემი ყურით გავიგონე, რომ უყვიროდა, ლეზიადკინ, წყალი მომართვიო, და თან კისკისებდა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ წყალი კი არ მოაქვს, გემოზე მიბეგვავს ხოლმე ამისთვის. მაგრამ ამას არ ეშინია. რაღაც ნერვიული ავადმყოფობა სჭირს, ლამის ყოველდღე ზნესავით უვლის. რომ მოუვლის, ყველაფერი ავიწყდება. დროს მუდამ ურევს ხოლმე. გგონიათ, ახსოვს ჩვენი

შემოსვლა? თუ ახსოვს, ალბათ თავისებურად გადააკეთა უკვე ყველაფერი და სულ სხვა ხალხი ვგონივართ, თუმცა მე რომ შატუნია ვარ, ეს იცის. ნუ გიკვირთ, ხმამაღლა რომ ვლაპარაკობ; თუ მაგას არ ელაპარაკები, ყურს არ გათხოვებს, იმ წუთში ოცნებებში გადავარდება; სწორედ გადავარდება. საოცარი მეოცნებე ვინმეა; რვა-რვა საათობით, მთელი დღეობით ერთ ადგილზე ზის. აგერ ფუნთუშა უდევს წინ. იქნებ დილით მხოლოდ ერთხელ ჩაკვირება, ხვალამდე არც დაამთავროს. შეხეთ, კარტი გაშალა ახლა...

- გაშლით კი გავშალე, შატუნია, მაგრამ რაღაც არ გამომდის, - გამოეხმაურა ამ უკანასკნელ სიტყვებს მარია ტიმოფეევნა, მარცხენა ხელი ფუნთუშისაკენ წაიღო (ალბათ ესეც ჩასწვდა ყურში) და რამდენიმე ხანს ხელში ეჭირა, მაგრამ ლაპარაკმა ისევ გაიტაცა და ჩაუკბეჩავად ისე მაგიდაზე დადო.

- სულ ერთ და იგივე გამოდის: გზა, ბოროტი კაცი, ვერაგობა, სიკვდილი, საიდანღაც წერილი, მოულოდნელი ამბავი - მე მგონი, სულ ტყუილებია, შენ რას იტყვი, შატუნი? თუ ხალხი ტყუის, კარტმა რატომ არ უნდა მოიტყუოს? - მარია ტიმოფეევნამ ერთბაშად კარგი არია. - ასეც ვუთხარი ერთხელ დედა პრასკოვიას, დიდი დარბაისელი ქალი იყო, დედა-წინამძღვრის უჩუმრად წამდაუწუმ ჩემს სენაკში მორბოდა, კარტს მაშლევიანებდა. თუმცა მარტო ის კი არა, სხვებიც შემორბოდნენ. ეჰ, რას ვიშვიშებდნენ, თავს აქნევდნენ რას არ ვარაუდობდნენ. მე მეცინებოდა: „აბა წერილი საიდან უნდა მიიღოთ, დედაო პრასკოვია, თუკი თორმეტი წელი არ მოგსვლიათ-მეთქი?“ მისი ქალი სადღაც თურქეთში წაყვანა ქმარს და თორმეტი წელია არაფერი იცოდა მისი. მეორე საღამოს დედა-წინამძღვართან ვსხედვართ, ჩაის ვსვამთ (თავადის ქალი იყო ჩვენი წინამძღვარი), ვიღაც ჩამოსული ქალბატონი იჯდა იქ, დიდი მეოცნებე ვინმე, კიდევ ერთი ათონელი ბერი იყო, გზას შემოვლილი. ჩემი აზრით, დიდი სასაცილო ვინმე. და რა გგონია, შატუნი, სწორედ ამ ბერმა იმ დილას დედა პრასკოვიას თურქეთიდან შვილის წერილი ჩამოუტანა, - ესეც შენი წკენტის ვალეტი და მოულოდნელი ამბავი, მაშ! ჰოდა, ჩაის შევექცევით. იმ ათონელმა ბერმა დედა-წინამძღვარს უთხრა: „ყველაზე მეტად იმით დალოცა უფალმა ეს თქვენი სავანე, კურთხეულო დედა-წინამძღვარო, რომ ამისთანა ძვირფასი განძი მოგივლინათ“. - „რა განძი?“ - ჰკითხა დედა-წინამძღვარმა. „რაღა ლიზავეტა ღვთის გლახა“. ეს ლიზავეტა ღვთის გლახა გალავანთან ჩაჭედდით ერთი საჟენი სიგრძისა და ორი არშინის სიმაღლის რკინის გალიაში იჯდა. ჩვიდმეტი წელი არ გამოსულა იქიდან, ზამთარ-ზაფხულ ხამი პერანგის მეტი არა ცმია რა, ხან ჩალისა და ხან წკნელის ღერს იჩხიკინებდა ამ პერანგში, ჩვიდმეტი წელი ხმა არ ამოუღია, არ დაუვარცხნია, პერანგი არ გაურეცხავს და არ დაუბანია. ზამთარში ტყაპუჭს შეუგდებდნენ, ყოველ ცისმარე დღე კი პურის ქერქსა და ერთ ტოლჩა წყალს აწოდებდნენ. მლოცველები ირგვლივ ეხვეოდნენ, ვიშვიშებდნენ, ოხრავდნენ, ფულს აძლევდნენ. „ნახეთ რაღა განძი, - უთხრა დედა-წინამძღვარმა (გაბრაზდა, საშინლად სძულდა ლიზავეტა), - ლიზავეტა ღვარძლიანია და იმიტომ ზის იქ, სიკერპით მოსდის, თვალთმაქცობს და მეტი არაფერი“. არ მომეწონა მისი სიტყვები. მაშინ მეც ვფიქრობდი განდგომას: ჩემი აზრით, ღმერთი და ბუნება ერთია-მეთქი, ვთქვი. ყველამ ერთად შემომძახა: „უყურე ერთი!“ წინამძღვარს გაეცინა, რაღაც გადაუჩურჩულა იმ ქალბატონს, მიმიხმო, დამიყვავა. იმ ქალბატონმა კი ვარდისფერი ბაფთა მაჩუქა. გინდა გაჩვენო? ბერმა დარიგება დამიწყო, ისე ტკბილად, თავმდაბლად მელაპარაკა, ისე ჭკვიანურად. ვზივარ და ვუსმენ. გაიგეო? - მკითხა.

ვერაფერიც ვერ გავიგე, თავი გამანებეთ-მეთქი, - ვუთხარი. ის იყო და ის, თავი გამანებეს, შატუნი. იმ ხანობას ერთმა ჩვენმა მოხუცმა დედაკაცმა, რომელიც ქადაგი იყო და ჩვენს მონასტერში ცხოვრობდა ცოდვების მოსანანიებლად, საყდრიდან გამოსვლისას ჩამჩურჩულა: „ღვთისმშობელი ვინ არის, თუ იცი?“ დიდი დედაა, ადამიანთა დიდი ნუგეში-მეთქი, - ვუთხარი. „ეგრეა, მითხრა, ღვთისმშობელი დიდი დედაა ამ წუთისოფლისა, ადამიანის დიდი სიხარული და ნუგეში. ყოველი ამქვეყნიური ვარამი და ყოველი ამქვეყნიური ცრემლი ჩვენთვის ღმერთისა არის. გააღებ ცრემლით მიწა ნახევარ არშინის სიღრმეზე და მწუხარება ღმერთად შეგეცვლება, მას შემდეგ, მითხრა, დარდი აღარ შემოგაწვება, ასეა ნაწინასწარმეტყველები“. გულში ჩამრჩა მაშინ ეს სიტყვები. მას აქეთ, ლოცვად რომ დავდგებოდი, მუდამ მიწას ვკოცნიდი, ვკოცნიდი და ვტიროდი. ჰოდა, იცი, რას გეტყვი, შატუნი, ამ ცრემლის არ უნდა შეგრცხვეს. კიდევ რომ არაფერი გაწუხებდეს, მარტოდენ სიხარული აგატირებს, შენდა უნებურად აგატირებს. მართალს გეუბნები. წავიდოდა ხოლმე ხანდახან ტბის პირას: აქეთ ჩვენი მონასტერი იდგა, იქით - მთა მაღალი, ასეც ერქვა, მთა მაღალი. ავალ იმ მთაზე, პირს აღმოსავლეთისკენ ვიზამ, დავემხობი და ვტირი, ვტირი. არ მახსოვს, რამდენ ხანს ვტირი, არ მახსოვს არაფერი და არ ვიცი არაფერი. ავდგები მერე, უკან მოვიხედავ, მზე ჩადის, დიდი, მცხუნვარე, ლამაზი, - გიყვარს მზის ცქერა, შატუნი? კარგია, ოღონდაც გაღონებს. მოვტრიალდები ისევ აღმოსავლეთისკენ, მთის ჩრდილი ისარივით მისრიალებს ტბაზე. ვიწრო, გრძელზე გრძელი. ტბაში ერთი ვერსის სიშორეზე კუნძული იდგა და ის კლდიანი კუნძული შუაზე გაკვეთდა ამ აჩრდილს. ჰოდა, რა წამს გაკვეთდა, მზეც ჩავიდოდა და უცბად დაბნელდებოდა. მაშინ კი ამიტანდა ნაღველი, მაშინ კი მეხსიერება დამიბრუნდებოდა. სიბნელის მეშინია, შატუნი, უფრო კი ჩემი შვილიკოს დარდი მატირებდა...

- გყავდა კი შვილი? - იდაყვი გამკრა შატოვმა, რომელიც მეტისმეტად გულისყურით უსმენდა.

- მაშ როგორ: პატარა იყო ჩემი შვილი, ვარდისფერი, პაწაწინა ფრჩხილები ჰქონდა. ის მკლავს და მაღონებს, რომ არ მახსოვს, გოგო იყო თუ ბიჭი. ხან ბიჭი მახსენდება და ხან გოგო. გამიჩნდა თუ არა, მაშინვე ბატისტებსა და მაქმანებში გავახვიე. ვარდისფერი ბავთები გავუკეთე, ყვავილებით მოვრთე და მოვკაზმე, დავლოცე და მოუნათლავი წავიყვანე. ტყეში მიმყავს და მეშინია ტყისა, ძრწოლა მიტანს, ყველაზე უფრო კი ის მატირებს, ქალმა შვილი გავაჩინე და ქმარი კი არ ვიცი.

- იქნებ გყავდა ქმარი, ჰა? - ფრთხილად შეაპარა შატოვმა.

- მეცინება შენს სიტყვებზე, შატუნი. იქნებ კი მყავდა, მაგრამ მერე რა, რომ მყავდა, თუკი მაინც არ მყოლია? თუ ბიჭი ხარ, გამოცანა გამოიცანი! - ჩაეცინა მარია ტიმოფერევნას.

- შვილი რაღა უყავ?

- გუბურაში ჩავაგდე, - ამოიოხრა ქალმა.

შატოვმა ისევ იდაყვი გამკრა.

- იქნებ არ გყოლია და ეგ ყველაფერი მოგეჩვენა, ჰა?

- მწელი კითხვა მომეცი, შატუნი - ჩაფიქრებით თქვა ქალმა, ეს კითხვა არ გაკვირვებია, - ამაზე არაფერს გეტყვი, იქნებ არც მყოლია: ჩემი აზრით, ეს სულ შენი ცნობისმოყვარეობაა და სხვა არაფერი. მე ხომ მაინც ჩემს შვილივით ტირილს არ მოვიშლი, მართლა სიზმარში ხომ არ დამესიზმრებოდა? - ქალს ცრემლით აევსო თვალები. - შატუნი, შატუნი, მართლა გაგექცა ცოლი - მართლაც ტიმოფეევანამ უცბად ორივე ხელი მხრებზე დაადო და სიბრაღულით მიაჩერდა. - შენ გული ნუ მოგივა, დარდი მეცა მაქვს. იცი, შატუნი, რა სიზმარი ვნახე: მოვიდა ისევ და მეძახის: „ფისო, ფისო, გამოდი ჩემთან!“ ყველაზე უფრო ამ „ფისომ“ გამახარა: ვუყვარვარ-მეთქი, ვიფიქრე.

- რა იცი, ცხადშიც მოვიდეს, - ხმადაბლა წაიდუღუნა შატოვმა.

- არა, შატუნი, ეგ სიზმარი იყო... ცხადში არ მოვა. იცი ეს სიმღერა: მე არ მჭირდება მაღალი კოშკი, ამ სენაკშივე დავრჩები ისევ, ლოცვად დავდგები შენი გულისთვის, გავიწმინდები და სულს ვიცხონებ.

ოჰ, შატუნი, შატუნი, ჩემო ძვირფასო, რატომ არასოდეს არაფერს მკითხავ?

- ვიცი, არ მეთყვი და იმიტომ არ გკითხავ.

- არ გეტყვი, არა, გინდაც ყელი გამომჭრა, არ გეტყვი - უმალ დაეთანხმა ქალი, - ცეცხლზე რომ დამწვა, მაინც არ გეტყვი. რამდენიც უნდა მაწამონ, არაფერს ვიტყვი, ხალხი ვერაფერს გაიგებს!

- აი, ხომ ხედავ, ყველას თავისი დარდი აქვს, - კიდევ უფრო ხმადაბლა წაილაპარაკა შატოვმა და თავი ჩაჰკიდა.

- მაგრამ რომ გეთხოვა, იქნებ კი მეთქვა, იქნებ კი მეთქვა! - აღტაცებით გაიმეორა ქალმა. - რატომ არა მთხოვ? მთხოვე, ძალიან მთხოვე, შატუნი, იქნებ კი გითხრა; შემეხვეწე, შატუნი, ისე შემეხვეწე, მე თვითონ გითხრა... ჰო, შატუნი, ჰო!

მაგრამ შატუნი დუმდა; წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. უმარლით გათხიპნილ ლოყებზე ცრემლები ნელა ჩამოსდიოდა ქალს. იჯდა და ხელები კვლავ შატოვის მხრებზე ეწყო, მაგრამ აღარ უყურებდა.

- ეეჰ, შენ რა უნდა მოგკითხოს კაცმა, ცოდვაც არის! - წამოდგა უეცრივ შატოვი. - აბა ადექით! - გაჯავრებით გამომაცალა მერხი და ისევ ძველ ადგილას მიდგა. - მაგის ძმა რომ მოვა, არ მიხვდეს. ჩვენ კი დროა წავიდეთ.

მარია ტიმოფეევანას უცებ გაეცინა: - ოჰ, იმ ჩემს ლაქიაზე ამბობ! იმისი გეშინია! აბა, მშვიდობით, ჩემო კეთილებო; მოიცა, ყური მიგდე ერთ წუთს, რა გითხრა. წელან აქ ნილიჩი მოვიდა ფილიპოვთან ერთად, აი, წითელწვერა, სახლის პატრონი რომაა. ჩემი კი ის წუთი იყო, მეცა. სახლის პატრონმა სტაცა ხელი და გაათრია. ჩემმა ყვირილი მორთო: „უდანაშაულო ვარ, სხვისი გულისთვის ვეწამები!“ დამიჯერებ, ყველანი სიცილით დავიხოცეთ.

- ეეჰ, ტიმოფეევანა, ეგ ხომ მე ვიყავი და არა წითელწვერა, მე ვწვდი თმაში წელან და მოგაშორე; სახლის პატრონი კი ამ სამი დღის წინათ მოგივარდათ სალანძღავად, შეგეშალეთ ერთმანეთში.

- მოიცა, აკი მართლაც შემეშალეთ, იქნებ შენ იყავი, თუმცა ეს წვრილმანები რა სადავოა. სულ ერთი არ არის მისთვის, ვინ დაითრევს ქოჩრით, - გაეცინა ქალს.

- წავიდეთ, - მომქაჩა უცებ შატოვმა, ჭიშკარმა გაიჭრიალა; თუ მოგვისწრო, მაგას მიბეჭავს.

კიბეზე არ ვიყავით ასული, რომ ჭიშკართან ერთი ყვირილი და ლანძღვა-გინება შეიქნა. შატოვმა ოთახში შემიყვანა და კარი ჩაკეტა.

- ერთი წუთით აქ უნდა დაიცადოთ, თუ არ გინდათ დავიდარაბა აიტეხოთ. უყურე ერთი, რა გოჭივით ჭყვიტინებს, ალბათ ისევ დირეს წამოედო; როგორ იქნება არ გაიშოტოს.

უდავიდარაბოდ მაინც ვერ გადავრჩით.

VI

შატოვი ჩაკეტილ კართან იდგა და ყურს უგდებდა, ქვემოთ რა ხდებოდა. უცებ უკან გადმოხტა.

- აქეთ მოდის, ეგრეც ვიცოდი! ახლა იქნებ შუალამემდე აღარ მოგვეშვას, - წაიჩურჩულა გააფთრებით.

კარზე მუშტები აბრაგუნდა.

- შატოვ, შატოვ, კარი გამიღე! - ღრიალებდა კაპიტანი - შატოვ, მეგობარო!...

მე მოვედი მოგესალმო, გითხრა, ამობრწყინდა მზეო, და რომ იმის მწველი შუქი ტყეებს... თავზე... გადაეველ.

გიამბო, რომ გამეღვიძა, ეშმაკმა წაგიღოს, გა-გა-მეღვიძა ტოტების... ქვეშ...

თითქოს მათრახის ქვეშ, ჰა-ჰა!

ჩიტუნებს... წყალი უნდა, მეც გიამბობ, თუ რას დავლევ, დავლევ... მაგრამ რას, არ ვიცი.[137]

ჯანდაბას შენი თავი და ეგ შენი სულელური ცნობისწადილი! შატოვ, გესმის თუ არა, რა ტკბილია ქვეყნად სიცოცხლე!

- ხმა არ გასცეთ! - ჩამჩურჩულა ისევ შატოვმა.

- გამიღე-მეთქი! გესმის თუ არა, რომ არის რაღაც უფრო დიდი, ვინემ... ადამიანებს შორის ჩხუბი. არის კეთილ-შო-ბილური გრძნობების წუთები... შატოვ, მე კეთილი ვარ, მე შეგინდობ... შატოვ, ჯანდაბას პროკლამაციები, ჰა?

დუმილი.

- გესმის თუ არა, შე ვირო შენა, რომ მე გამიჯნურებული ვარ, აგერ ფრაკი ვიყიდე, შეხე ერთი, სიყვარულის ფრაკია, თხუთმეტი მანეთი მიმიცია; კაპიტნის სიყვარულმა

მაღალი წრის წესები უნდა დაიცვას... გამიღე-მეთქი! - მხეცივით იღრიალა უცებ კაპიტანმა და ისევ გააფთრებით დაუშინა მუშტები კარს.

- აქედან დამეკარგე! - იბლავლა უცებ შატოვმაც.

- შე მონავ შენა! შენც მონა ხარ და შენი გომბიო დაც... ქურდი!

- შენ კი შენი და გაყიდე.

- ტყუი! ტყუილ-უბრალოდ ვეწამები კაცი, როცა ერთი სიტყვით შემიძლია... გესმის კი შენ, ვინ არის ჩემი და?

- ვინ? - ერთბაშად მიადგა კარს დაინტერესებული შატოვი.

- არა, გესმის თუ არა?

- შენ თქვი და როგორმე გავიგებ!

- დიახაც ვიტყვი! დიახაც მუდამ შემიძლია ყველაფერი ვთქვა ყველგან!

- არა მგონია შეგეძლოს, - გააღიზიანა შატოვმა და მე თავი დამიქნია, ყური უგდეო.

- მაშ, არ შემიძლია?

- მე მგონი, არა.

- არ შემიძლია?

- თქვი, თქვი, თუ ბატონის მათრახისა არ გეშინია... შენ ხომ ლაჩარი ხარ, თუმცა კაპიტანი კი ბრძანდები!

- მე... მე... ჩემი და... ჩემი და არის..., - ალუღლუღდა ყბააკანკალებული და ალელვებული კაპიტანი.

- აბა, აბა? - ყური მიადო კარს შატოვმა.

სიჩუმე თითქმის ნახევარ წუთს გაგრძელდა.

- სალა-ხანავ! - გაისმა ბოლოს, კაპიტანი სასწრაფოდ მოწყდა კარს და სამოვარით აქშუტუნებული ბორძიკ-ბორძიკით დაეშვა კიბეზე.

- კაი ვირეშმაკაა, მთვრალსაც ვერაფერს დასტყუებ, - მოშორდა კარს შატოვი.

- რას ნიშნავს ეს ყველაფერი? - ვკითხე.

შატოვმა ხელი აიქნია, კარი გააღო და ისევ კიბეს მიაყურადა; კარგა ხანს იდგა ასე, რამდენიმე საფეხური ქვევით ჩავიდა კიდეც ფეხაკრეფით. ბოლოს მობრუნდა.

- არაფერი ისმის, ეტყობა, არ უჩხუბია, მაშასადამე, პირდაპირ მიეგდო და დაიძინა. თქვენი წასვლის დროა.

- გამიგონეთ, შატოვ, რა დასკვნა გამოვიტანო აქედან?

- ეეჰ, რაც გინდათ, ის გამოიტანეთ! - მიპასუხა ზიზღნარევი, მოღლილი ხმით და თავის საწერ მაგიდას მიუჯდა.

წამოვედი. ერთი სრულიად დაუჯერებელი აზრი მომივიდა თავში და არ მაძლევდა მოსვენებას. ხვალინდელი დღის მოგონება მზარავდა...

VII

ეს „ხვალინდელი დღე“, ანუ სწორედ ის კვირა, რომელსაც საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა სტეპან ტროფიმოვიჩის ბედი, ჩემი ქრონიკის ყველაზე ღირსშესანიშნავი დღე გახლდათ. ეს იყო დღე მოულოდნელი შემთხვევებისა, დღე, რომელმაც გადაწყვიტა ძველი გამოცანები და წარმოშვა ახალი, რომელმაც, ერთი მხრივ, მოულოდნელად ახსნა ბევრი რამ და, მეორე მხრივ, უფრო დაბურდა საქმე. როგორც მკითხველს მოეხსენება, იმ დილას მე ჩემს მეგობარს ვარვარა პეტროვნასთან უნდა მივყოლოდი, ნაშუადღევს სამ საათზე კი ლიზავეტა ნიკოლაევენას ვხვდებოდი, რომ ის მომეხსენებინა, რაც არ ვიცოდი და იმაში შემეწყობო ხელი - რაზეც წარმოადგენა არ მქონდა. მაგრამ განგებამ საკვირვლად მოაწყო ყველაფერი. ერთ სიტყვით, ეს გახლდათ დღე ყოვლად მოულოდნელი შემთხვევების და დამთხვევებისა.

ჯერ იყო და ვარვარა პეტროვნასვე მოწვევით ზუსტად თორმეტ საათზე გამოცხადებულებს დიასახლისი შინ არ დაგვიხვდა, - წირვიდან ჯერ არ მობრუნებულეყო. ჩემი საბრალო მეგობარი ისეთ გუნებაზე, ანუ უკეთ, ისე უგუნებოდ იყო, ამ ამბავმა მისვე მოკვეთა მუხლები და თითქმის უღონოდ ჩაეშვა სავარძელში. წყალი დალიეთ-მეთქი, შევთავაზე, მაგრამ მან დიდი ღირსებით მითხრა უარი, თუმცაღა ხელები უკანკალებდა და ფერი არ ედო. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ამჯერად ძალზე გამოკოხტავებული ჩანდა; ბატისტის ნაქარგი პერანგი ეცვა, როგორც მეჯლისებზე აცვიათ ხოლმე; თეთრი ჰალსტუხი ეკეთა, ხელში ახალი ქუდი ეკავა და ახალი ჩალისფერი ხელთათმანები, თან ოდნავ ნელსაცხებლის სუნსაც აფრქვევდა. დავჯექით თუ არა, კამერდინერმა შატოვიც შემოიყვანა. ცხადი იყო, ისიც საგანგებოდ მოეწვიათ. სტეპან ტროფიმოვიჩი ხელის ჩამოსართმევად წამოიწია, მაგრამ შატოვმა მხოლოდ დაკვირვებით შეგვაგლო თვალი, მერე ზურგი შეგვაქცია და კუთხეში ისე მიჯდა, თავიც არ დაუქნევია. სტეპან ტროფიმოვიჩმა კვლავ შიშნეულად გადმომხედა.

რამდენიმე წუთს სრული სიჩუმე იდგა. სტეპან ტროფიმოვიჩმა აჩქარებით რაღაც გადმომიჩურჩულა, მაგრამ ვერაფერი გავიგე. თუმცა აღელვებისაგან ვედარც თვითონ დაამთავრა და ჩაჩუმდა. კამერდინერი ისევ შემოვიდა და მაგიდაზე რაღაც გაასწორა. უფრო კი ჩვენს დასახედად უნდა შემოსულიყო. შატოვმა უცებ ხმამაღლა ჰკითხა: - არ იცით, ალექსეი ეგორიჩი, დარია პავლოვნაც გაჰყვა ტამარში?

- ვარვარა პეტროვნა მარტო წაბრძანდა, დარია პავლოვნა კი ზემოთ გახლავთ, თავის ოთახში, შეუძლოდ არის, - დინჯად, დამრიგებლური კილოთი მოახსენა ალექსეი ეგორიჩმა.

ჩემმა საბრალო მეგობარმა კვლავ წამიერად და ისევ შეშფოთებით გადმომხედა, ბოლოს პირიც კი ავარიდე. უეცრად სადარბაზოსთან ეტლი მოგრიალდა. ქვემოთ ატეხილმა წრიალმა გვამცნო, - დიასახლისი მობრძანებულეყო. ყველანი ზეზე

წამოვხტით, მაგრამ მოულოდნელად მარტო არ იყო და გაცეცხული დავრჩით, ვინაიდან თვითონ დაგვინიშნა ეს საათი.

ბოლოს ისეთი უცნაური, გამალებული ნაბიჯების ხმა გავიგონეთ, თითქოს ვიღაცა მორბოდა. ცხადია, ეს ვარვარა პეტროვნა არ იქნებოდა. უცებ გაიღო კარი და ოთახში აქომინებული და საოცრად აღელვებული ვარვარა პეტროვნა შემოვარდა. უკან კი ხელიხელგაყრილი ლიზავეტა ნიკოლაევნა და მარია ტიმოფეევნა ლებიადკინა მოჰყვებოდნენ! ეს რომ სიზმარში მენახა, მაშინაც არ დავიჯერებდი.

ამ საკვირველების ასახსნელად უთუოდ დაწვრილებით უნდა გიამბოთ, რა გასაოცარი ამბავი შეემთხვა ვარვარა პეტროვნას ამ ერთი საათის წინ ტაძარში.

ჯერ ერთი, წირვაზე ლამის მთელი ქალაქი, ანუ მთელი ჩვენი რჩეული საზოგადოება გამოცხადდა. ყველამ იცოდა, გუბერნატორის მეუღლე დღეს პირველად დაესწრებოდა წირვას. აქვე შევნიშნავ, რომ ჩვენში ხმა დაირხა, გუბერნატორის მეუღლე თავისუფალ აზრებს იზიარებს და „ახალ წესებს“ მისდევსო, ისიც იცოდნენ ჩვენმა მანდილოსნებმა, რა დიდი გემოვნებით და რა მდიდრულად იქნებოდა მორთული. ამიტომ ისინიც ერთობ გამოპრანჭულიყვნენ. მარტო ვარვარა პეტროვნა იყო ჩვეულებრივ სადად და სულ შავებში ჩაცმული. ეს უკანასკნელი ოთხი წელია უცვლელად ასე იცვამდა. სობოროში თავის ჩვეულებრივ ადგილას დადგა მარცხენა მხარეს, პირველ რიგში. ლივრეინმა ლაქიამ წინ პატარა ხავერდის ბალიში დაუდო, რომ მუხლის მოხრისას ზედ დამდგარიყო, ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე იყო, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე. ეს კი შენიშნეს მაინც, რომ ვარვარა პეტროვნა ამჯერად რაღაც მეტისმეტი გულმოდგინებით ლოცულობდა; მერე ირწმუნებოდნენ, როცა ყველაფერი გაიხსენეს, თვალეზე ცრემლიც მოადგაო. როგორც იქნა, წირვა დამთავრდა. ჩვენი დეკანოზი პაველი საზეიმო ქადაგების სათქმელად გამოვიდა. მისი ქადაგებანი ჩვენში ძალიან უყვარდათ და ძალიანაც აფასებდნენ. ურჩევდნენ კიდევ, დაბეჭდო, მაგრამ ჯერჯერობით ვერ გაეხედნა. ამჯერად ქადაგება რაღაც ძალიან გაჭიანურდა.

ამ ქადაგების დროს ტაძართან ძველებური მსუბუქი დროშკით ერთი მანდილოსანი მოგრიალდა. ასეთ დროშკაზე ქალები მხოლოდ გვერდულად თუ სხდებოდნენ, მეეტლის ქამარს ეჭიდებოდნენ და ეტლის ყანყალზე ისე ირხეოდნენ, როგორც მინდვრის ბალახი ქარისაგან. ეს ვანკა-მეეტლეები დღემდე დარახრახებენ ჩვენს ქალაქში. დროშკა ტაძრის კუთხეში გაჩერდა, ტაძრის კარიბჭესთან უამრავი ეტლი იდგა და ჟანდარმები ტრიალებდნენ. ქალი დროშკიდან გადმოხტა და ვანკა მეეტლეს ოთხი ვერცხლის კაპიკიანი გაუწოდა.

- ხომ არ გეცოტავა, ვანია! - შესძახა ქალმა მეეტლეს დაღრეჯილი სახის დანახვაზე და საბრალისად დააყოლა, - რა ვქნა, მეტი არა მაქვს.

- რაც არის, არის, არ გაგრიგებოვარ და რას ვიზამ, - ხელი ჩაიქნია ვანკამ და ისე შეხედა, თითქოს გაიფიქრა: „ცოდვაც იქნება, შენისთანას რომ ვაწყენინო“. შემდეგ ტყავის ქისა უბეში ჩაიკუჭა, ცხენი დაძრა და წავიდა. ახლომანლო მდგარმა მეეტლეებმა სიცილი დააყარეს. ასეთივე გაცეცხული შეძახილებითა და სიცილ-ხარხარით გააცილეს ქალიც, სანამ იგი ბატონების გამოსვლის მოლოდინში ტაძრის კართან მდგარ ლაქიებსა და ეტლებს შორის გზას გაიკვლევდა. მართლაც რაღაც უჩვეულო და მოულოდნელი სანახავი იყო ყველასათვის ამ შუა ქუჩაში ეს გალეული

და კოჭლი ქალი. ფერ-უმარილი დაუზოგავად წაეთხიპნა სახეზე, გრძელ კისერს არაფერი უფარავდა, ამ ცივ, ქარიან, თუმცა კი მზიან სექტემბრის დღეს მარტო თალხი კაბის ამარა იყო, თავზე არაფერი ეხურა, კეფაზე დაკოსებულ თხელ თმაში მარჯვენა მხრიდან მხოლოდ ერთი ქალაღის ვარდი გაერჭო, ასეთი ვარდებით ბზობის ქერუბიმებს ამკობენ ხოლმე. გუმინ მარია ტიმოფეევნასთან სწორედ ასეთი ბზობის ქერუბიმს მოვკარი თვალი კუთხეში ხატებქვეშ, ქალაღის ვარდების გვირგვინით თავზე. თანაც თავდახრილი მოდიოდა და პირზე მხიარული, ეშმაკური ღიმილი დასთამაშებდა. წუთით რომ დაეყოვნებინა, ეგებ არც შეეშვათ ტაძარში, მაგრამ მოასწრო და შევიდა, შემდეგ კი შეუმჩნევლად გამვრა წინ.

ტაძარში მყოფნი სულგანაბული უსმენდნენ ქადაგებას, უკვე ნახევარზე რომ იყო მისული, მაგრამ რამდენიმემ მაინც ცნობისმოყვარეობით და გაცეცხებით გამოაპარა თვალი შემოსულისკენ, რომელიც საკურთხევლის წინ განერთხა, ფურ-უმარილით შეთხიპნილი სახე იატაკს დაამხო და დიდხანს იყო ასე. ეტყობა, ტიროდა. მაგრამ წამოდგა თუ არა, უმალ გამოუკეთდა გუნება და გაერთო. დიდი სიამოვნებით ათვალიერებდა ხალხს, სობოროს კედლებს; განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით დააკვირდა ზოგიერთ მანდილოსანს, ფეხისწვერებზეც კი შედგა, რომ უკეთ დაენახა და ერთი-ორჯერ ჩაიხითხითა კიდეც რაღაც უცნაურად. ამასობაში ქადაგება დამთავრდა და ჯვარი გამოასვენეს. გუბერნატორის მეუღლე პირველი გაემართა ჯვრისკენ, მაგრამ ორ ნაბიჯზე შეჩერდა, ალბათ ვარვარა პეტროვნას დაუთმო გზა, რომელიც ისე თავადერილი მოდიოდა, თითქოს ვერავის ამჩნევსო. გუბერნატორის მეუღლის ეს უჩვეულო თავაზიანობა ყველამ აშკარა დაცინვად ჩათვალა. ასე შეაფასა ალბათ ვარვარა პეტროვნამაც. მაგრამ არ შეიმჩნია, ემთხვია ჯვარს და მყისვე გასასვლელს მიაშურა. ლივრეიანი ლაქია გზას უკვლევდა, თუმცა ისედაც ყველა ჩამოეცალა. კართან შექუჩულმა ხალხმა წამით გადაუღობა გზა. ვარვარა პეტროვნა შედგა. იმავ წუთს ერთმა უცნაურმა არსებამ, თმაში გარჭობილი ქალაღის ვარდით, ხალხის წრე გაარღვია და მის წინ

დაიჩოქა. ვარვარა პეტროვნამ გოროზად შეხედა ქალს. მისი შეცბუნება, მეტადრე ხალხში, არცთუ ისე ადვილი იყო.

აქვე მოგახსენებთ მოკლედ, რომ ვარვარა პეტროვნა ამ უკანასკნელ წლებში, მართალია, მეტისმეტად ხელმოჭერილი და, როგორც ამბობდნენ, ძუნწიც გახდა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში, კერძოდ, საქველმოქმედო საქმეებზე, ფულს არასოდეს იშურებდა. იგი ჩვენი სატახტო ქალაქის ერთ-ერთი საქველმოქმედო საზოგადოების წევრი გახლდათ. ამ რამდენიმე წლის წინათ, როცა ჩვენში შიმშილობა იყო, ვარვარა პეტროვნამ პეტერბურგში არსებულ დაზარალებულთა დახმარების მთავარ კომიტეტს ორმოცდაათი თუმანი გაუგზავნა და ამაზე კიდეც აალაპარაკა ყველა. დაბოლოს, სულ უკანასკნელ ხანს, ახალი გუბერნატორის ჩამოსვლამდე, ლამის სავსებით ჩამოაყალიბა ადგილობრივ ქალთა კომიტეტი, რომელიც ქალაქსა და გუბერნიაში მყოფ გაჭირვებულ მშობიარეებს დახმარებას გაუწევდა. ჩვენში მაშინ დიდად საყვედურობდნენ ვარვარა პეტროვნას, ეს ყველაფერი პატივმოყვარეობით მოსდისო. მაგრამ მისმა საყოველთაოდ ცნობილმა სიჯიუტემ ლამის გადალახა ყოველგვარი დაბრკოლებანი. საზოგადოება თითქმის ჩამოყალიბდა. აღტაცებული ვარვარა პეტროვნა უკვე იმაზე ოცნებობდა, ამგვარი კომიტეტები მოსკოვსა თუ სხვა გუბერნიებში დაეარსებინა და მათი სამოქმედო არეც თანდათან გაეფართოვებინა. მაგრამ გუბერნატორის უეცარმა შეცვლამ ყველაფერი ჩაშალა. ახალი გუბერნატორის

მეუღლეს, როგორც ამბობდნენ, უკვე გამოეთქვა საზოგადოებაში რამდენიმე გესლიანი და, რაც მთავარია, საქმიანი შენიშვნა ასეთი კომიტეტის მთავარი იდეის არაპრაქტიკულობაზე. ეს ამბავი, უფრო შელამაზებული და გაზვიადებული სახით, რა თქმა უნდა, მაშინვე მოახსენეს ვარვარა პეტროვნას. ღმერთის მეტი არავინ არის ადამიანის გულთამხილავი, მაგრამ, ჩემი აზრით, ვარვარა პეტროვნა ახლა დიდად ნასიამოვნები გაჩერდა ტაძრის კარიბჭეში, რაკი იცოდა, საცაა გუბერნატორის მეუღლე და მისი ამაღლა ჩაუვლიდა: „დაე თავისი თვალთ ნახოს, როგორ არაფრად ვაგდებ, რას ფიქრობს და რას ენამწარობს ჩემს ქველმოქმედებაზე. ახია მაგაზე!“

- რა იყო, გეთაყვა, რასა მთხოვ? - დაკვირვებით ჩახედა ვარვარა პეტროვნამ მის წინ დაჩოქილ ქალს, რომელიც დარცხვენითა და სასოებით შეჰყურებდა და უცებ კვლავ უცნაურად ჩაიხითხითა.

- ვინ არის? რა უნდა? - მოუბრუნდა ვარვარა პეტროვნა ირგვლივ მდგარ ხალხს და გოროზად მოავლო თვალი.

ყველა დუმდა.

- უბედური ხართ? დახმარებას მთხოვთ?

- მე მინდა... მე იმიტომ მოვედი... - ლულულუღებდა „უბედური“ აკანკალებული ხმით, - იმიტომ მოვედი, ხელზე გემთხვიოთ... - და კვლავ ჩაიხითხითა. შემდეგ ბავშვური მუდარით, როცა ვისმე მიეალერსებიან, რომ რამე გამოთხოვონ, ახედა ვარვარა პეტროვნას და ხელზე წაეპოტინა, მაგრამ შემინებულმა უმაღვე უკან წაიღო ხელი.

- ამის გულისთვის მოხვედით? - სიბრალულით გაუღიმა ვარვარა პეტროვნამ. მერე სწრაფად ამოიღო ჯიბიდან სადაფის პორტმონე, იქიდან - თუმნიანი და უცნობს მისცა. ქალმა ჩამოართვა. ვარვარა პეტროვნა ძალზე დაინტერესებული ჩანდა. ეს უცნობი ქალი უბრალო მთხოვნელი არ უნდა ყოფილიყო.

- დახე, თუმნიანი მისცა, - წაილაპარაკა ვიღაცამ ხალხში.

- ხელი მიბოძეთ, ხელი, - ბუტბუტებდა „უბედური“, რომელსაც მარცხენა ხელის თითები მაგრად ჩაეჭიდა აფრიალებულ თუმნიანისთვის. ვარვარა პეტროვნამ რატომღაც ოდნავ შეიკრა წარბები და გოროზი სახით გაუწოდა ხელი. ქალი მოწიწებით ემთხვია. მაღლიერი თვალები რაღაც აღტაცებითაც გაუბრწყინდა. სწორედ ამ წუთს გუბერნატორის მეუღლე მიუახლოვდა ჩვენი მანდილოსნებისა და დარბაისელ მოხელეთა თანხლებით. გუბერნატორის მეუღლე ძალაუნებურად უნდა შეჩერებულიყო ამ ჭედვაში. გაჩერდნენ სხვებიც.

- ადექით, ადექით-მეთქი, გთხოვთ! - ქალი წამოდგა. - სად ცხოვრობთ? ნუთუ არავინ იცის ბოლოს და ბოლოს, სად ცხოვრობს ეს ქალი? - მოუთმენლად მიმოიხედა ისევ ვარვარა პეტროვნამ, მაგრამ წელანდელი მდაბიოების ნაცვლად ახლა სულ ნაცნობი, მისი წრის ხალხი ეხვია. ისინი გოროზი გაოცებით უყურებდნენ ამ სურათს, ზოგს ცბიერი ცნობისწადილით ეღიმებოდა სეირის მოლოდინში.

- მგონი, ლებიადკინებისა უნდა გახლდეთ, - როგორც იქნა, გამოჩნდა ერთი კეთილი კაცი და გასცა პასუხი. ეს გახლდათ ჩვენი დარბაისელი ჭადარაწვერიანი და სათვალისანი ვაჭარი ანდრეევი, რომელსაც რუსული ტანსაცმელი ეცვა და ხელში

მრგვალი ცილინდრი ეჭირა. -ფილიპოვის სახლში დგანან, ბოგოიავლენსკაიას ქუჩაზე.

- ლებიადკინიო? ფილიპოვის სახლში? რაღაც გამიგონია... მადლობას მოგახსენებთ, ნიკონ სეიონიჩ. ეგ ლებიადკინი ვინლაა?

- კაპიტანი ვარო, იძახის. უნდა ითქვას, დიდი თავზეხელაღებული ვინმე გახლავთ. ეს კი ნამდვილად მისი და უნდა იყოს. ჩაკეტილი ჰყავთ და ახლა ალბათ გამოეპარათ, - ხმა დაუწია ნიკონ სემიონიჩმა და მრავლისმეტყველად შეხედა ვარვარა პეტროვნას.

- მესმის; გმადლობთ, ნიკონ სემიონიჩ. მაშ, ჩემო კარგო, თქვენ ქალბატონი ლებიადკინა ხართ?

- არა, ლებიადკინა არა ვარ.

- მაშ, იქნებ თქვენი ძმია ლებიადკინი?

- ჩემი ძმა ლებიადკინია.

- მაშინ აი რას ვიზამ, ჩემო კარგო, ახლა ჩემთან წაგიყვანთ, იქიდან კი სახლში გაგისტუმრებთ. წამომყვებით?

- კი, წამოგყვებით! - ხელი ხელს შემოჰკრა ქალბატონმა ლებიადკინამ.

- დეიდა, დეიდა! მეც წამიყვანეთ? - გაისმა ლიზავეტა ნიკოლაევნას ხმა. შევნიშნავ, რომ ლიზავეტა ნიკოლაევნა წირვაზე გუბერნატორის მეუღლესთან ერთად მოსულიყო, პრასკოვია ივანოვნას კი ექიმის ბრძანებით ამ ხანში კარეტით გაესეირნა და გასართობად თან მავრიკი ნიკოლაევიჩიც წაეყვანა. ლიზამ მოულოდნელად გუბერნატორის მეუღლე მიატოვა და ვარვარა პეტროვნას მიექრა.

- ხომ იცი, ჩემო კარგო, შენი მოსვლა მუდამ გამიხარდება, ოღონდ რას იტყვის დედაშენი? - დაიწყო მედიდურად ვარვარა პეტროვნამ, მაგრამ ლიზას რომ უჩვეულო აღელვება შეამჩნია, სიტყვა გაუწყდა.

- არა, არა, დეიდა, ახლა უსათუოდ უნდა წამიყვანოთ, - ემუდარებოდა და ჰკოცნიდა ლიზა ვარვარა პეტროვნას.

- Mais qu'avez-vous donc, Lise![138] - მრავლისმეტყველი განცვიფრებით ჩაულაპარაკა გუბერნატორის მეუღლემ.

- ოჰ, მაპატიეთ, გენაცვა, chere cousine[139], დეიდას მინდა წავყვე, - მსწრაფლ მოუბრუნდა ლიზა თავის უსიამოდ განცვიფრებულ chere cousine-ას და ორჯერ აკოცა.

- Maman-საც უთხარით, ახლავე მომაკითხოს დეიდასთან, უსიკვდილოდ აპირებდა დღეს თქვენთან მოსვლას, წელან მითხრა, დამავიწყდა გადმომეცა, - ტიკტიკებდა ლიზა, - მაპატიეთ, ნუ გამიწყვებით, Julie... chere cousine... დეიდა, მოვდივარ!

- თუ არ წამიყვანთ, იცოდეთ, თქვენს კარეტას კივილით გამოვეკიდები, - სწრაფად, სასოწარკვეთილებით ჩასჩურჩულა ყურში ლიზამ ვარვარა პეტროვნას; კიდევ კარგი, არავის გაუგია. ვარვარა პეტროვნამ გაოცებისაგან უკანაც კი დაიხია, ამ დამთხვეულ ყმაწვილ ქალს თავლები დააშტერა და ერთბაშად გადაწყვიტა ლიზას წაყვანა.

- უნდა მოვრჩეთ ამ ამბავს, - ჩაილაპარაკა თავისთვის და მყისვე ხმამაღლა დაუმატა, - კეთილი, სიამოვნებით წაგიყვან, ლიზა, ცხადია, თუ იუღია მიხაილოვნაც ნებას დაგვრთავს, - ვარვარა პეტროვნა დიდი ღირსებით მიუბრუნდა გუბერნატორის მეუღლეს.

იუღია მიხაილოვნა საოცრად თავაზიანად ატიტინდა: - ოო, ამ სიამოვნებას როგორ დავუშლი, მეტადრე რომ... კარგად ვიცი, რა ფანტასტიკური და თავნება თავის პატრონი ვბრძანდებით (იუღია მიხაილოვნამ კეკლუცად გაიღიმა)...

- უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, - მედიდურად და თავაზიანად დააქნია თავი ვარვარა პეტროვნამ.

იუღია მიხაილოვნა წამოწითლდა კიდევ სიამოვნებისაგან და თითქმის აღტაცებული ტიტინით განაგრძო: - მით უფრო სასიამოვნოა, რომ ლიზას ისეთი მშვენიერი, ასე ვთქვათ, ისეთი მაღალი გრძნობა ამოდრავებს, როგორც სიბრალულია... (იუღია მიხაილოვნამ „უბედურს“ გადახედა)... და ისიც... ტაძრის კარიბჭეზე...

- ეგ შეხედულება დიახაც პატივსა გდებთ, - მედიდურად მოუწონა ვარვარა პეტროვნამ. იუღია მიხაილოვნამ მსწრაფლ ხელი გაუწოდა. ვარვარა პეტროვნამ მაშინვე თითები შეაგება. ამ სურათმა მშვენიერი შთაბეჭდილება დასტოვა ყველაზე, ზოგს სახე გაუბრწყინდა კმაყოფილებით, ზოგმა პირმოთნედ გაიღიმა.

ერთი სიტყვით, მთელი ქალაქისთვის ნათელი გახდა, რომ იუღია მიხაილოვნა კი არ იგდებდა აბუჩად და მასთან სტუმრად არ მიდიოდა, პირიქით, ვარვარა პეტროვნას ეჭირა განზე თავი, თორემ იუღია მიხაილოვნა ეგებ საკუთარი ფეხითაც წაცუნცულელებულიყო მასთან, თუკი დარწმუნებული იქნებოდა, ვარვარა პეტროვნა არ გამაგდებსო. ვარვარა პეტროვნა ერთბაშად მეტისმეტად ამაღლდა საზოგადოების თვალში.

- დაჯექით, ჩემო კარგო, - უთხრა ვარვარა პეტროვნამ m-lle ლებიადკინას, როცა კარეტა მოადგა ტაძარს. ქალი გახარებული გაიქცა კარეტისაკენ. ლაქიამ ხელი შეაშველა და ჩასვა.

- როგორ! კოჭლი ხართ! - შიშით აღმოხდა ვარვარა პეტროვნას და ფერი ეცვალა. (მაშინ ყველამ შენიშნა ეს, მაგრამ მიზეზს ვერ მიხვდნენ...) კარეტა გაგრიალდა. ვარვარა პეტროვნას სახლი ტაძრიდან ახლოს იყო. მერე მიაიმბო ლიზამ, ლებიადკინა ის სამი წუთი, რაც გზას მოვუნდით, ისტერიკულად კისკისებდა, ვარვარა პეტროვნა კი „მონუსხულივით“ იჯდაო (სწორედ ასე თქვა ლიზამ).

თავი მეხუთე. უბრძნესი გველი

I

ვარვარა პეტროვნამ ზარი დააწკარუნა და ფანჯარასთან მოწყვეტით დაეშვა სავარძელში.

- აქ დაჯექით, ჩემო კარგო, - მიუთითა მარია ტიმოფეევნას შუაში მდგარ დიდ მრგვალ მაგიდაზე. - ეს რას ნიშნავს, თუ იცით, სტეპან ტროფიმოვიჩ? აი, ამ ქალს შეხედეთ, რას ნიშნავს-მეთქი?

- მე... მე... - ალუღლუღდა სტეპან ტროფიმოვიჩი. - ამ დროს ლაქია შემოვიდა.

- ახლავე ერთი ფინჯანი ყავა მორთვით საგანგებოდ და სწრაფად! კარეტამ დაიცადოს.

- Mais, chere et excellente amie, dans quelle inquietude...[140] - ჩამწყდარი ხმით შესძახა სტეპან ტროფიმოვიჩმა, რა დიდკაცებში ვარ! - ტაში შემოჰკრა აღტაცებით მარია ტიმოფეევნამ და ფრანგული მასლაათის მოსასმენად მოემზადა. ვარვარა პეტროვნა ლამის შიშით მიაჩერდა.

ჩვენ ყველანი ვდუმდით და ველოდით, რით დამთავრდებოდა ეს ყოველივე. შატოვს თავი არ აუწევია. სტეპან ტროფიმოვიჩი ისეთი აფორიაქებული ჩანდა, თითქოს ყველაფრის მიზეზი თვითონ იყო. საფეთქლებზე ოფლმაც კი დაასხა. მე ლიზას შევხედე (ის შატოვის გვერდით კუთხეში დამჯდარიყო). ლიზა ხან ვარვარა პეტროვნას ბურღავდა თვალებით და ხან კოჭლაუხას. პირზე ბოროტი ღიმილი დასთამაშებდა. ვარვარა პეტროვნა კარგად ამჩნევდა ამ ღიმილს. ამასობაში მარია ტიმოფეევნა აღფრთოვანებით ათვალთქვებდა ვარვარა პეტროვნას მშვენიერ სასტუმრო ოთახს, - ავეჯს, ხალიჩებს, სურათებს, ძველებურად მოხატულ ჭერს. დიდ ბრინჯაოს ჯვარცმას კუთხეში, ფაიფურის ლამპას, ალბომებს, ლამაზ-ლამაზ ნივთებს მაგიდაზე. დარცხვენილი სულაც არ იყო.

- შენც აქა ხარ, შატუშკა! - შესძახა უცებ. - წარმოგიდგენია, რა ხანია გიყურებ და ვფიქრობ, არა, ის არ არის, აქ საიდან გაჩნდებოდა-მეთქი! - მარია ტიმოფეევნამ გადაიკისკისა.

- იცნობთ ამ ქალს? - მყისვე მიუბრუნდა შატოვს ვარვარა პეტროვნა.

- ვიცნობ, - წაიდუღუნა შატოვმა, ასადგომად შეტოკდა, მაგრამ არ ამდგარა.

- მერე რას იტყვით? თუ შეიძლება, ჩქარა თქვით!

- რა უნდა ვთქვა... - ნამალადევად გაიღრიჯა შატოვი და სიტყვა გაუწყდა... - თავადაც ხედავთ...

- რას ვხედავ? რად გაჩერდით, ამოშაქრეთ ბარემ!

- ეგეც იქ ცხოვრობს, სადაც მე... ძმასთან... ოფიცერია ერთი.

- მერე?

შატოვს ისევ ყელში გაეხირა სიტყვა.

- არცა ღირს სალაპარაკოდ... - წაიზმულია და დადუმდა. გაწითლდა კიდევ კაცი.

- თქვენგან სხვას რას უნდა ელოდო! - აღშფოთებით მოუჭრა ვარვარა პეტროვნამ. მისთვის აშკარა იყო, რომ ყველამ რაღაცა იცის, მაგრამ რატომღაც ეშინიათ და უმაღავენ, მის შეკითხვებს თავს არიდებენ.

ამ დროს ლაქიამ პატარა ვერცხლის ლანგრით საგანგებოდ შეკვეთილი ფინჯანი ყავა შემოიტანა და ვარვარა პეტროვნას მიართვა. ვარვარა პეტროვნამ ხელით ანიშნა და ლაქიაც უმაღლ მარია ტიმოფეევნასაკენ გაემართა.

- ჩემო კარგო, წელან ძალიან შეგცივდათ, ჩქარა დალიეთ და გათბებით.

- Merci, - ჩამოართვა ფინჯანი მარია ტიმოფეევნამ, მაგრამ უცბად სიცილი წასკდა, ლაქიას merci როგორ ვუთხარიო. ვარვარა პეტროვნამ მრისხანედ გადახედა. ქალს შეეშინდა და ფინჯანი მაგიდაზე დადგა.

- ხომ არ მიწყრებით, დეიდა? - წაიტიტინა რაღაც ქარაფშუტული სიკეკლუცით.

- რაოო? - სავარძლიდან წამოიწია და წელში გაიმართა ვარვარა პეტროვნა. - სადაური დეიდა ვარ თქვენი? რა გინდათ მაგითი თქვათ?

მარია ტიმოფეევნა არ მოელოდა ასეთ რისხვას, მთელი ტანით აცახცახდა, თითქოს ბნელად მოუარაო, და სავარძლის ზურგს მიეკრა.

- მე... მე მეგონა შეიძლებოდა, - წაილულლულა და თვალდაჭყეტილი მიაშტერდა ვარვარა პეტროვნას, - ლიზამ ასე დაგიძახათ.

- ვინ ლიზამ?

- აი, ამ ქალიშვილმა, - თითი გაიშვირა მარია ტიმოფეევნამ.

- მაშე ეგეც უკვე ლიზა გახდა თქვენთვის?

- წელან თქვენც ხომ ასე დაუძახეთ, - ცოტა გული მოეცა მარია ტიმოფეევნას და თითქოს უნებურად ჩაეცინა, - ზუსტად ეგეთი მზეთუნახავი ვნახე სიზმარში.

ვარვარა პეტროვნა მიხვდა და ცოტა დამშვიდდა, მარია ტიმოფეევნას უკანასკნელ სიტყვებზე ოდნავ გაეღიმა. რომ დაინახა, ვარვარა პეტროვნამ გაიღიმაო, ქალი წამოდგა და კოჭლობ-კოჭლობით გაუბედავად მიუახლოვდა.

- ინებეთ, წელან დამავიწყდა მოცემა, ნუ გამიჯავრდებით უზრდელობისთვის, - თქვა და მოულოდნელად მხრებიდან შავი შალი მოიხსნა, რომელიც ვარვარა პეტროვნამ მოახვია წელან.

- ახლავე მოისხით ისევ, თქვენთვის მიჩუქნია. წადით, დაჯექით და ყავა დალიეთ, ნურც ჩემი გეშინიათ, ჩემო კარგო. მგონი, უკვე მიგიხვდით.

- Chere amie.. - გაბედა და ისევ დაიწყო სტეპან ტროფიმოვიჩმა.

- აჰ, სტეპან ტროფიმოვიჩ, უთქვენოდაც არეული მაქვს ტვინი, თქვენ მაინც დამინდეთ... თუ შეიძლება მაგ ზარს ჩამოჰკარით, თქვენ გვერდით რომ არის, სამოახლოსას.

სიჩუმე ჩამოვარდა. ვარვარა პეტროვნა ეჭვითა და გაგულისებით გვიყურებდა ყველას, მისი საყვარელი მოახლე აგაშა შემოვიდა.

- ჩემი კუბორკული მოსასხამი მომიტანე, ჟენევაში ნაყიდი. დარია პავლოვნა რას აკეთებს?

- შეუძლოთ გახლავთ.

- წადი და სთხოვე, მოვიდეს. უთხარი, ძალიან გთხოვია, გინდაც შეუძლოდ იყო-თქო.

იმავე წუთს მეზობელ ოთახებში კვლავ რაღაც უჩვეულო ფეხის ხმა და ლაპარაკი გაისმა: ერთბაშად ზღურბლზე აქოშინებული და „გუნებააშლილი“ პრასკოვია ივანოვნა გამოჩნდა, რომელიც მავრიკი ნიკოლაევიჩს მოჰყავდა.

- ოჰ, ღმერთო ჩემო, ძლივს არ მოვითრეე ფეხები! ლიზა, შე გადარეულო, ნეტა რას უშვრები დედაშენს! - შემოსვლისთანავე შეჰკვივლა პრასკოვია ივანოვნამ და როგორც უნებისყოფო, უხასიათო ადამიანებს სჩვევია ხოლმე, მთელი გაგულისება ამ კვილიში ჩააქსოვა.

- ვარვარა პეტროვნა, გეთაყვა, ჩემი ქალის წასაყვანად გაეხელი!

ვარვარა პეტროვნამ ქვემ-ქვემ გახედა. ეტყობა, მისი მოსვლა არაფრად ეპრიანა და ოდნავ წამოიწია შესაგებებლად: - გამარჯობა შენი, პრასკოვია ივანოვნა, მოილე წყალობა, დაბრძანდი.

II

პრასკოვია ივანოვნასთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო ასეთი დახვედრა. ვარვარა პეტროვნას ბავშვობიდანვე მუდამ დაჯახებული ჰყავდა თავისი პანსიონის მეგობარი და მეგობრობის საბაზით ლამის აგდებითაც ექცეოდა. მაგრამ ამ შემთხვევაში განსაკუთრებული გარემოება შექმნილიყო. როგორც ზემოთ გაკვრით მოგახსენეთ, უკანასკნელ დღეებში ამ ოჯახებს შორის დიდი განხეთქილება ჩამოვარდა. მიზეზი ამ განხეთქილებისა ჯერჯერობით საიდუმლოებით იყო მოცული ვარვარა პეტროვნასათვის და, მამასადამე, უფრო საწყენადაც რჩებოდა. მთავარი ის იყო, რომ პრასკოვია ივანოვნას ამ ბოლო ხანს მეტისმეტად ქედმაღლურად ეკავა მასთან თავი. ვარვარა პეტროვნამ, რა თქმა უნდა, ეს შეურაცხყოფად მიიღო. ამასობაში მის ყურამდეც მოაღწია უცნაურმა ხმებმა და ამანაც ძალზე გააღიზიანა, მით უფრო, რომ ეს ხმები მეტად გაურკვეველი იყო. ვარვარა პეტროვნა ამაყი და პირდაპირი ხასიათის ქალი ბრძანდებოდა, ჭირვიით სძულდა ჩუმობა, ზურგს უკან ლაპარაკი. ყოველივე ამას მუდამ აშკარა ომი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეტევაზე გადასვლა ერჩივნა. ასეა თუ ისე, ეს ხუთი დღე ამ ორ მანდილოსანს ერთმანეთი არ ენახა. უკანასკნელად ვარვარა პეტროვნა ეწვია სადარბაზოდ და „დროზდოვას კნეინასაგან“ ნაწყენი და შეფიქრიანებული წამობრძანდა. შემცდარი არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ პრასკოვია ივანოვნა ახლა ამ გულუბრყვილო რწმენით შემოვიდა, ვარვარა პეტროვნას ჩემი მოსვლა რატომღაც შეაშინებსო; ეს სახეზეც კი ეწერა. მაგრამ ვარვარა პეტროვნა, როგორც ჩანს, ყველაზე მეტად სწორედ მაშინ გაამპატუნდებოდა, როცა ეჭვი ეპარებოდა, ვინმეს დამცირებულად მივაჩნივარო. პრასკოვია ივანოვნას კი, როგორც ყველა სუსტი ხასიათის არსებას, რომლებიც ნაჩვევი არიან სხვებისგან უდრტვინველად მოითმინონ ყველაფერი, მაშინვე მოეცემოდა გული, რა წამს მის სასარგებლოდ შეტრიალდებოდა საქმე და თვითონ გადადიოდა იერიშზე. ისიც მართალია, რომ ახლა ავად იყო, ავადმყოფობის დროს კი მუდამ კიდევ უფრო ბრაზიანი ხდებოდა. დაბოლოს, ამ ორ სიყრმის მეგობარს შორის კიდევ რომ ჩხუბი ატეხილიყო, ჩვენი იქ ყოფნა ხელს ვერ შეუშლიდათ, რადგან შინაურ და თითქმის დაქვემდებარებულ ხალხად ვითვლებოდით. მაშინვე გამკრა ამ

აზრმა თავში, ცოტა არ იყოს, შიშითაც. სტეპან ტროფიმოვიჩი, რომელიც ვარვარა პეტროვნას მოსვლის შემდეგ სულ ფეხზე იდგა, პრასკოვია ივანოვნას კივილის გაგონებაზე უღონოდ ჩაეშვა სავარძელში და სასოწარკვეთილებით მომაპყრო თვალი. შატოვი მკვახედ შეტრიალდა სკამზე და რაღაცა წაიზმუვლა. ვგონებ, ადგომა და წასვლა დააპირა. ლიზა ოდნავ წამოიწია, მაგრამ მაშინვე ისევ დაჯდა. დედამისის კივილს ყურიც არ ათხოვა, განა იმიტომ, „უჯიათი ხასიათისა“ იყო, ეტყობა, სხვა დიდი საგონებელი გასჩენოდა. ახლა სადღაც ზევით იყურებოდა უგულისყუროდ და მარია ტიმოფეევასაც აღარ აქცევდა ყურადღებას.

III

- უჰ, აქ დავჯდები! - მაგიდასთან მდგარ სავარძელზე მიათითა პრასკოვია ივანოვნამ და მავრიკი ნიკოლაევიჩის დახმარებით მძიმედ დაეშვა, - ფეხები არ მტკიოდეს, თქვენთან არ დავჯდებოდი, გეთაყვა! - დასძინა ალგზნებით.

ვარვარა პეტროვნამ, რომელსაც მარჯვენა ხელი საფეთქელზე მიედო შეწუხებული სახით, ალბათ ძალიან სტკიოდა (tic douloureux[141] ჰქონდა), ოდნავ ასწია ახლა თავი.

- რა იყო, პრასკოვია ივანოვნა, ვითომ რატომ არ უნდა დაჯდე ჩემთან? ცხონებული შენი ქმრისაგან კარგის მეტი არაფერი მახსოვს. მე და შენ კი პანსიონში დედოფლობანას ვთამაშობდით ერთად.

პრასკოვია ივანოვნამ ხელები გაასავსავა.

- ეგრეც ვიცოდი! არ იქნება პანსიონი არ ახსენოთ, როცა საყვედურებს დამიწყებთ ხოლმე, - ხერხი გახლავთ თქვენი. ჩემი აზრით კი ეგ მხოლოდ ლამაზი სიტყვებია და მეტი არაფერი. ჭირივით მძულს ეგ თქვენი პანსიონი.

- შენ, მგონი, მეტისმეტად ცუდ გუნებაზე ბრძანდები დღეს. ფეხები რას გიშვრება? აგერ ყავა მოგიტანეს, მიირთვი და ნუ შემოგვწყრები.

- გეთაყვა, რა პატარა გოგოსავით მელაპარაკები. არ მინდა ყავა და მორჩა!

პრასკოვია ივანოვნამ ჭირვეულად აუქნია ხელი მსახურს, რომელმაც ყავა მიართვა (მე და მავრიკი ნიკოლაევიჩის გარდა ყავაზე ყველამ უარი თქვა. სტეპან ტროფიმოვიჩმა აიღო და მყის მაგიდაზე დადგა ფინჯანი. მარია ტიმოფეევამ დააპირა მეორე ფინჯნის აღება, ხელიც კი გასწია, მაგრამ გადაიფიქრა, დინჯად თქვა უარი, და, ეტყობა, კმაყოფილი დარჩა თავისი საქციელით) ვარვარა პეტროვნას ნაძალადევად გაედიმა.

- იცი რას გეტყვი, ჩემო კარგო პრასკოვია ივანოვნა, შენ მუდამ ასე გჩვევია. აქ რომ მოდიოდი, ალბათ რაღაც წარმოიდგინე, მთელი სიცოცხლე წარმოიდგენებით ცხოვრობ. ახლა პანსიონის მოგონებაზე გული მოგივიდა; გახსოვს კი, ერთხელ რომ ჩამოხვედი და მთელი კლასი დაარწმუნე, ჰუსარმა შაბლიკინმა ცოლობა მთხოვაო. Madame Lefebure-მა მაშინვე დაგიჭირა ტყუილში. მაგრამ კი არ ტყუოდი, უბრალოდ საკუთარი თავის გასართობად წარმოიდგინე და შეთხზე. აბა, თქვი: ახლა რა წარმოიდგინე, რითი ხარ უკმაყოფილო?

- თქვენ კი პანსიონში ხუცესი გიყვარდათ, საღვთო სჯულს რომ გვასწავლიდა, ეგეც თქვენ მაგ გულღრმობისთვის, ჰა-ჰა-ჰა!

პრასკოვია ივანოვნამ ღვარძლიანად ჩაიხიბითა და ხველა აუტყდა.

- აა, ეგ ხუცესი აღარ დაგავიწყდა... - სიძულვილით გადახედა ვარვარა პეტროვნამ და სახე გაუმწვანდა. პრასკოვია ივანოვნა წელში გაიმართა.

- მე, გეთაყვა, სიცილის თავი როდი მაქვს ახლა, თქვენ ის მითხარით, ჩემი ქალი რად გარიეთ მთელი ქალაქის თვალწინ ამ თქვენს სამარცხვინო ამბებში?

- ჩემს სამარცხვინო ამბებში? - ვარვარა პეტროვნა წელში გასწორდა.

- დედა, მეც ძალიან გთხოვთ, ცოტა თავი შეიკავოთ, - უთხრა უეცრად ლიზავეტა ნიკოლაევნამ.

- რა, რა თქვი? - ასაკვილებლად მოემზადა პრასკოვია ივანოვნა, მაგრამ შვილის ანთებული თვალები რომ დაინახა, უმალ ენა ჩაუვარდა.

- ეგ სიტყვა რამ გათქმევინათ, დედა? - აპილპილდა ლიზა. - მე ჩემით წამოვედი, იულია მიხაილოვნას ნებართვით, მინდოდა ამ უბედურის ამბავი გამეგო და დავხმარებოდი.

- „ამ უბედურის ამბავი!“ - ღვარძლიანად ჩაიცინა პრასკოვია ივანოვნამ, - მერედა რა შენი საქმეა ასეთ „ამბებში“ გარევა? იცი, რას გეტყვი, გეთაყვა! - გააფთრებული მიუბრუნდა ვარვარა პეტროვნას, - გვეყო ეგ თქვენი მტარვალობა. ტყუილად კი არ ამბობენ, თელი ქალაქი ფეხქვეშ გაიგდო, შიშით ხმას ვერავინ იღებსო, მაგრამ, ეტყობა, თქვენზედაც მოიძებნა სამართალი!

ვარვარა პეტროვნა მოშვილდული ისარივით იჯდა. ერთი ათიოდე წამი გოროზად და უმოძრაოდ მისჩერებოდა პრასკოვია ივანოვნას. მერე ავის მომასწავებელი სიმშვიდით უთხრა: - ღმერთს მადლობა შესწირე, პრასკოვია, რომ აქ ყველა შინაურია. ბევრი ზედმეტი თქვი.

- მე, გეთაყვა, ზოგიერთებივით საზოგადოების აზრისა არ მეშინია; ეგ თქვენ გაფრთხობთ სხვების აზრი, თუმცა კი თავი ამაყად გიჭირავთ. ხოლო თუ აქ შინაურებია, მით უკეთესი თქვენთვის, უცხოები არ მოისმენენ.

- რა იყო, ხომ არ დაჰკვიანებულხარ ამ კვირაში?

- კი არ დაჰკვიანებულვარ, როგორც ჩანს, სიმართლე გამომჟღავნდა ამ კვირაში.

- რა სიმართლე გამომჟღავნდა ამ კვირაში? გამიგონე, პრასკოვია ივანოვნა, გული არ მომაყვანინო, ახლავე ამიხსენი ყველაფერი ადამიანურად: რა სიმართლე გამომჟღავნდა, რას გულისხმობ?

- აგერ აქ გიზის ეგ სიმართლე! - თითი მიაშვირა პრასკოვია ივანოვნამ მარია ტიმოფეევნაზე. ამ წუთს აღარ ედარდებოდა, რა მოჰყვებოდა მის სიტყვებს, ოღონდ კი ახლა მოეკლა გული ვარვარა პეტროვნასთვის. მარია ტიმოფეევნამ, რომელიც მხიარულად და დიდი ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა პრასკოვია ივანოვნას, ამ

ბრაზიანი სტუმრის მისკენ გაშვერილი თითი რომ დაინახა, ალტაცებით ჩაიხიბითა და სავარძელში შეტოკდა.

- ღმერთო ჩემო, გაგიჟდა ყველა თუ რა არის! - შეჰყვირა ვარვარა პეტროვნამ და გადაფითრებული მიესვენა სავარძლის ზურგს.

მისმა გადაფითრებამ ყველანი შეგვაშინა. სტეპან ტროფიმოვიჩი პირველი მივარდა. მიუახლოვდი მეც. ლიზაც წამოდგა, ოღონდ თავის სავარძელთან გაჩერდა. მაგრამ ყველაზე მეტად პრასკოვია ივანოვნა დაფრთხა. ერთი შეჰკვივლა, რის ვაი-ვაგლახით წამოიწია და აღრიალდა: - ვარვარა პეტროვნა, გენაცვალე, მაპატიეთ მე სულელსა და ბოროტს! წყალი მაინც მოუტანეთ ვინმემ.

- ნუ ფშლუკუნებ, პრასკოვია ივანოვნა, ძალიან გთხოვ. ქენით სიკეთე და გაიწიეთ, ბატონებო, წყალი არ მინდა! - მტკიცედ, თუმცა ხმადაბლა წაილაპარაკა ვარვარა პეტროვნამ, რომელსაც ტუჩები გათეთრებოდა..

- ჩემო კარგო ვარვარა პეტროვნა, გენაცვალე! - განაგრძო ოდნავ დამშვიდებულმა პრასკოვია ივანოვნამ, - მართალია, დაუკვირვებელი სიტყვები წამომცდა, მაგრამ რა ვქნა, გული გამისივა ამ უსახელო წერილებმა, მიგზავნიან და მიგზავნიან ვიღაცები; ბარემ თქვენი გამოგიგზავნონ, თუკი თქვენზე მწერენ, მე, გენაცვა, ქალის პატრონი ვარ!

ვარვარა პეტროვნა გაშტერებული მიჩერებოდა უხმოდ. ამ დროს უხმაუროდ გაიღო კუთხის კარი და დარია პავლოვნა შემოვიდა. ჩვენმა აფორიაქებულმა სახეებმა ისე განაცვიფრა, შედგა და ირგვლივ მიმოიხედა. ალბათ ვერც მარია ტიმოფეევანა შენიშნა ერთბაშად, ვინაიდან არავის გაუფრთხილებია, თუ აქ იყო. პირველმა სტეპან ტროფიმოვიჩმა დაინახა იგი, შეტოკდა, გაწითლდა და რატომღაც ხმამაღლა გამოაცხადა: „დარია პავლოვნა!“ ყველამ მას შევხედეთ.

- მაშ, ეს არის თქვენი დარია პავლოვნა! - შეჰყვირა მარია ტიმოფეევანამ. - არა, შატუნი, და არ გგვანებია! ამ მშვენიერ ქალს ნეტა როგორ ეძახის ჩემი ძმა ყმა გომბიოს!

დარია პავლოვნა ის იყო ვარვარა პეტროვნას მიუახლოვდა; მაგრამ მარია ტიმოფეევანას შეძახილზე უმალ მოტრიალდა და ამ უბედურს თვალი ვედარ მოაშორა მონუსხულივით.

ვარვარა პეტროვნამ შემაზრზენი სიმშვიდით უთხრა: - დაჯექი, დაშა, უფრო ახლოს, აი მანდ; მანდედანაც კარგად დაინახავ მაგ ქალს. იცნობ?

- თავის დღეში არ მინახავს, - ნელი ხმით მიუგო დაშამ და მერე დასძინა: - ეგ ალბათ ვინმე ბატონ ლეზიადკინის სნეული და არის.

მარია ტიმოფეევანამ აღფრთოვანებით წამოიძახა: - მეც პირველად გხედავთ, ჩემო სულიკო, თმცა დიდი ხანია ძალიან მაინტერესებდა თქვენი გაცნობა, ვინაიდან ყოველ თქვენს მოძრაობაში კარგი აღზრდა გამოსჰკვივის. ჩემი ლაქია რომ ილანძღება, დავიჯერო, ასეთმა ზრდილმა და ასეთმა კარგმა მართლა ფული წაართვით? იმიტომ რომ კარგი და საყვარელი ხართ, კარგი და საყვარელი, ამას ჩემდათავად გეუბნებით! - დაასკვნა ალტაცებით და თავის პატარა ხელიც კი აიქნია.

- გესმის რამე? - ამაყად ჰკითხა ვარვარა პეტროვნამ.

- მე ყველაფერი მესმის...

- ფულზე გაიგონე?

- ალბათ იმ ფულზე ლაპარაკობს, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩმა რომ შვეიცარიაში მთხოვა, ბატონ ლეზიადკინს, ამ ქალის ძმას, გადაეციო!

დუმილი ჩამოვარდა.

- ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩმა თვითონ გთხოვა, გადაეციო?

- ძალიან უნდოდა ამ ფულის გამოგზავნა ლეზიადკინისთვის. სულ ოცდაათი თუმანი იყო. მაგრამ მისამართი არ ჰქონდა, იცოდა კი, ჩვენს ქალაქში უნდა ჩამოსულიყო. ჰოდა, მთხოვა, რომ ჩამოვა, გადაეციო.

- რა ფულს.. გედავებიან? რაზე თქვა ამ ქალმა?

- ეს უკვე აღარ ვიცი; მეც გავიგე, ბატონ ლეზიადკინს უთქვამს თურმე ჩემზე, მთლიანად არ გადმომცაო. მაგრამ არ მესმის, რას ამბობს. ოცდაათი თუმანი იყო და მეც ოცდაათი გავუგზავნე.

დარია პავლოვნა ახლა უკვე დამშვიდებული ჩანდა. რაც მართალი მართალია, ამ ყმაწვილ ქალს ადვილად ვერავინ გააკვირვებდა და დააბნევდა, რაც არ უნდა ეგრძნო თვითონ გულში. დინჯად, აუჩქარებლად ლაპარაკობდა, ყოველ კითხვაზე ამომწურავად პასუხობდა, არც წელანდელი ალელვება ეტყობოდა და არც დაბნევა, რომ გეფიქრა, გულში რაღაც დანაშაულს გრძნობსო. ვარვარა პეტროვნას წუთით თვალი არ მოუცილებია მისთვის.

- თუკი ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩმა მეც არ მომმართა და შენ გთხოვა, - დაიწყო წამიერი დუმილის შემდეგ ვარვარა პეტროვნამ უფრო დამსწრეთა გასაგონად, თუმცა დაშას უყურებდა, - მაშასადამე, საამისო მიზეზიც ჰქონდა. ნებას არ მივცემ ჩემს თავს ის გამოვიკითხო, რასაც მიმაღავენ. იცოდე, დარია, მე ახლა გული სავსებით დამიწყნარდა, რაკი შენ ურევიხარ ამ საქმეში. მაგრამ, ჩემო მეგობარო, შენ ამ ქვეყანას კარგად არ იცნობ და წმინდა გულით შეგეძლო მცდარი ნაბიჯი გადაგედგა და გადადგი კიდევ იმ ნაძირალასთან დაკავშირებით. მაგ შენს შეცდომას იმ არამზადას დარხეული ხმები ამტკიცებს. მაგრამ მე გამოვირკვევ იმ კაცის ამბავს და იმდენს კი შევძლებ, რომ დაგიცვა, ვინაიდან შენი მფარველი მე ვარ. ახლა კი უნდა მოვრჩეთ ამ ამბავს.

მარია ტიმოფეევამ სავარძლიდან თავი გამოჰყო და მოულოდნელად გამოაცხადა: - ყველაფერს სჯობია, თქვენთან რომ მოვა, საფარეშოში გაგზავნოთ. იქ იჯდეს და მისებურად სუნდუკზე ეთამაშოს ლაქიებს, ჩვენ კი აქ ვისხდეთ და ყავას შევექცეთ. თუმცაღა ერთი ფინჯანი ყავა შეიძლება გავუგზავნოთ, მეტი არა. ოღონდაც მე იმას არაფრად ვაგდებ.

მარია ტიმოფეევამ მრავლისმეტყველად დააქნია თავი.

ვარვარა პეტროვნამ გულდასმით მოუსმინა მარია ტიმოფეევას და მერე გაიმეორა: - უნდა მოვრჩეთ ამ ამბავს. სტეპან ტროფიმოვიჩ, გთხოვთ ზარს ჩამოჰკრათ.

სტეპან ტროფიმოვიჩმა ჩამოჰკრა ზარს და მერე საოცრად აღელვებული წამოდგა წინ.

- თუკი... თუკი მეც... - ციებცხელებიანივით ალულლულდა წამოწითლებული, სიტყვა წარამარა უწყდებოდა, - თუკი მეც ჩამწვდა ყურს ეს საძაგელი ამბავი, ანუ უკეთ, ჭორი, მე... მე დიდად აღშფოთებული ვარ... Enfin, c'est un home perdu et quelque chose comme un forcat evade...[142]

სტეპან ტროფიმოვიჩს სიტყვა ყელში გაეხირა და ვედარ დაამთავრა. ვარვარა პეტროვნამ თვალები მოწკურა და ისევ ახედ-დახედა. ამ დროს ალექსეი ეგოროვიჩი შემოვიდა დინჯად.

- კარეტა მოამზადონ, - უბრძანა ქალმა, - შენც გაემზადე ალექსეი გორიჩ, და ქალბატონი ლებიადკინა შინ გააცილე, მისამართს თვითონ გეტყვის.

- ბატონი ლებიადკინი რა ხანია ქვემოთ უცდის და ძალიან მთხოვა მისი მოსვლა მომეხსენებინა.

- ეგ ყოვლად შეუძლებელი გახლავთ, ვარვარა პეტროვნა, - ერთბაშად წამოდგა წინ მავრიკი ნიკოლაევიჩი, რომელიც აქამდე აღუშფოთებლად დუმდა, - უკაცრავად, მაგრამ ეგ ისეთ კაცი არ გახლავთ, საზოგადოებაში შემოუშვათ, ეგ... ეგ... აუტანელი კაცია, ვარვარა პეტროვნა.

- მოიცადოს, - მიუბრუნდა ვარვარა პეტროვნა ალექსეი ეგორიჩს და ისიც გავიდა.

- C'est un home malhonnete et je crois meme que c'est un forcat evade ou quelque chose dans ce genre[143], - წაიბუტბუტა ისევ სტეპან ტროფიმოვიჩმა, ისევ გაწითლდა და ისევ გაუწყდა სიტყვა.

- ლიზა, დროა წავიდეთ, - ამრეზით წამოიძახა პრასკოვია ივანოვნამ და წამოდგა, ვგონებ, ნანობდა უკვე, შეშინებულს რომ წამოსცდა წელან, სულელი ვარო. დარია პავლოვნას ლაპარაკს იგი ქედმაღლური ღიმილით უსმენდა. მაგრამ ყველაზე უფრო ლიზავეტა ნიკოლაევნას სახემ განმაცვიფრა, როცა დარია პავლოვნა შემოვიდა: თვალები ზიზღითა და სიძულვილით აუბრიალდა და, მგონი, არც მალავდა ამას.

- ერთი წუთით მოითმინე, პრასკოვია ივანოვნა, - შეაჩერა ვარვარა პეტროვნამ კვლავ მეტისმეტი სიდიინჯით, - კეთილ ინებე და დაბრძანდი, მე მინდა ყველაფერი ვთქვა. შენ კი ფეხები გტკივა. აი, ეგრე, მადლობელი ვარ. მე წელან წონასწორობა დაკვარე და ზედმეტი რაღაცები გითხარი. თუ შეიძლება მაპატიე. სისულელე მომივიდა და თვითონვე ვნანობ. ვინაიდან ყველაფერში სამართლიანობა მიყვარს. რა თქმა უნდა, შენც წონასწორობიდან გამოხვედი და რაღაც ანონიმი ახსენე. ყოველი ანონიმური წერილი ზიზღის ღირსია, თუნდაც იმიტომ, რომ ხელმოუწერელი არის. შენ თუ სხვანაირად გესმის, არ მშურს შენი. ყოველ შემთხვევაში შენს ადგილზე ჯიბეში ხელს არ ჩავიყოფდი ამ სიბინძურის ამოსაღებად, ხელს არ გავისვრიდი. შენ კი გაისვარე. მაგრამ რაკი თვითონ დაიწყე ამაზე ლაპარაკი, გეტყვი, რომ ამ ექვსიოდე დღის წინ მეც მივიღე ანონიმური წერილი. ამ წერილში ვიღაც სალახანა მარწმუნებს, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი ჭკუაზეა შეშლილი და ვიღაც კოჭლი ქალისა უნდა გეშინოდესო, რომელიც თქვენს ბედ-იღბალში დიდზე დიდ როლს ითამაშებსო, ეს გამოთქმა კარგად დამამახსოვრდა. ვიცი, რამდენი მტერიც ჰყავს ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს, ამიტომ კარგა დიდი ფიქრის შემდეგ ავდექი და ერთი მისი ყველაზე უფრო მოშურნე

მტერი დავიბარე. მისი ნალაპარაკებიდან მყისვე დავრწმუნდი, ვისგანაც იყო ეს საზიზღარი ანონიმი. ჰოდა, თუკი შენც, ჩემო საბრალო პრასკოვია ივანოვნა, ჩემ გამო ამ საზიზღარი წერილებით გული შეგიწუხეს და, როგორც შენა თქვი, გაუთავებელივ გიგზავნიან და გიგზავნიან, ცხადია, პირველი მე ვწუხვარ, რომ უნებლიე მიზეზი გამოვდექი. აი, რისი თქმა მინდოდა შენთვის. სამწუხაროდ, გატყობ, რომ დაიღალე და ახლა არაფრის თავი არა გაქვს, თანაც გადავწყვიტე უსათუოდ შემოვუშვა ის საექვო კაცი, თუმცა მავრიკი ნიკოლაევიჩმა კი თქვა: მისი შემოშვება შეუძლებელიაო მეტადრე ლიზას აქ არაფერი ესაქმება. მოდი, ლიზა, ჩემო კარგო, მინდა ერთხელ კიდევ გაკოცო.

ლიზა მიუახლოვდა და უხმოდ გაუჩერდა წინ. ვარვარა პეტროვნამ აკოცა, მერე ხელები დაუჭირა, ოდნავ უკან დახია, გრძნობით შეხედა, პირჯვარი გადაწერა და ისევ აკოცა.

- აბა, მშვიდობით, ლიზა (ვარვარა პეტროვნას ხმა აუკანკალდა), გწამდეს, მუდამ მეყვარები, რაც არ უნდა გადაგიწყვიტოს ბედმა შენმა ამიერიდან... ღმერთი იყოს შენი მფარველი. დაილოცოს მისი მარჯვენა...

კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა და გაჩუმდა. ლიზა თავის ადგილისაკენ წავიდა ისევე უხმოდ და თითქოს ჩაფიქრებული, მაგრამ უეცრად დედას მიუბრუნდა და ნელი ხმით უთხრა: - დედა, მე არ წამოვალ, ცოტა ხანს კიდევ დავრჩები დეიდასთან, - ამ ნელი ხმით ნათქვამ სიტყვებში რკინისებული გადაწყვეტილება გაისმა.

- ღმერთო ჩემო, ეს რა ხდება! - შეჰკვივლა პრასკოვია ივანოვნამ და უღონოდ გაასავსავა ხელები. ლიზამ არაფერი უპასუხა, თითქოს არც გაუგონია. ისევ კუთხეში დაჯდა და სივრცეს მიაშტერა თვალები.

ვარვარა პეტროვნას ამაყმა, გამარჯვებულმა იერმა გადაურბინა სახეზე.

- მავრიკი ნიკოლაევიჩ, ძალიან გთხოვთ, თუ შეიძლება ქვევით ჩაბრძანდეთ, ის კაცი ნახოთ და თუ ოდნავ მაინც შესაძლებელია მისი შემოშვება, აქ მოიყვანეთ.

მავრიკი ნიკოლაევიჩმა თავი დახარა და გავიდა. ერთი წუთის შემდეგ ბატონი ლეზიადკინი შემოიყვანა.

IV

მე უკვე მოგახსენეთ ორიოდ სიტყვა ამ ვაჟბატონის გარეგნობაზე: ეს იყო მაღალ-მაღალი, თმახუჭუჭა, მკვრივად ჩასხმული, ასე ორმოციოდე წლის კაცი. გაფიჭვებულ ჭარხალივით წითელ სახეს უღვაშები და ქილვაშები უმშვენებდა. თავის ყოველ გაქნევაზე ლოყები უთახთახებდა. მისი პატარა, დასისხლიანებული თვალები შიგადაშიგ საკმაოდ მზაკვრულად იყურებოდნენ. პატარა ხვანჩიც საკმაოდ უსიამოდ წამოხურცოდა. მაგრამ ამჟამად ყველაზე მეტად მისი ფრაკი და გაქათქათებული პერანგი გეცემოდა თვალში. „ზოგ ადამიანს სუფთა პერანგი არც კი შეშვენის“, უთხრა ერთხელ ლიპუტინმა სტეპან ტროფიმოვიჩს, როცა ამ უკანასკნელმა ხუმრობით უსაყვედურა, ბელეშა ხარო. ხელთათმანებიც შავი ჰქონდა კაპიტანს. ერთი მარჯვენა ხელში ეკავა, მეორეში ძლივს ჩაეკვებებინა თავისი ვეება, მსუქანი ტორი და ველარც შეეკრა. ამ ხელში ახალთახალი, მრგვალი, ბრჭყვიალა

ქუდი ეკავა, ალბათ სულ უხმარი. თურმე მართალი იყო, გუშინ რომ შატოვს უყვიროდა, სიყვარულმა ფრაკი მაყიდინაო. ეს ყველაფერი, ფრაკიცა და პერანგიც (როგორც შემდეგ შევიტყვე) ადრევე შეეძინა ლიპუტინის რჩევით რაღაც იდუმალი მიზნებისთვის. ეჭვია არაა, ახლაც უთუოდ სხვისი ჩაგონებითა და სხვისი დახმარებით მოსულიყო დაქირავებული ეტლით, თორემ თვითონ რას მოისაზრებდა ან მოასწრებდა ამ ორმოცდახუთიოდე წუთში, კიდეც რომ ტაძრის კარიბჭესთან მომხდარი ამბავი მაშინვე შეეტყო. მთვრალი არ იყო, მაგრამ ისე გამოიყურებოდა, როგორც კარგა დიდი ხნის ნალოთარი კაცი გამოღვიძების შემდეგ. ვგონებ, მხარში რომ ჩაგვევლო ხელი და ერთი-ორჯერ შეგენჯღრია, ღვინო ისევ თავში აუვარდებოდა.

კაპიტანი ჯიქურ შემოიჭრა სასტუმროში, მაგრამ კარშივე წამოედო ხალიჩას. ამის დანახვაზე მარია ტიმოფეევნა სიცილისაგან ჩაბყრდა. ძმამ ერთი კი გადაუბრიალა მხეცურად თვალები, მერე სწრაფად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი ვარვარა პეტროვნასკენ და ბუკივით დაიბუბუნა: - მე იმიტომ გეახელით ქალბატონო...

ვარვარა პეტროვნა წელში გაიმართა: - კეთილინებეთ, მოწყალეო ბატონო, და აგერ იქ, იმ სკამზე დაბრძანდით. იქიდანაც კარგად გავიგონებ და უკეთაც დავინახავ!

კაპიტანი გაშტერებული შედგა, მერე უცებ გატრიალდა და სადაც მიუთითეს, იქ დაჯდა, კარის წინ. საშინლად დაბნეული იყურებოდა, მაგრამ ამასთან დიდი უტიფრობა და გაგულისება ეწერა სახეზე. ეტყობოდა, ძალიან დაფრთხა და შეშინდა, თუმცა ისიც აშკარა იყო, რომ თავმოყვარეობა შელახოდა და სწორედ ეს შელახული თავმოყვარეობა ჩაადენინებდა ახლა რაიმე თავხედობას. ამ მოუქნელ კაცს განძრევისაც კი ეშინოდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თუ ასეთი ვაჟბატონი რაღაც სასწაულით საზოგადოებაში მოხვდა, ყველაზე მეტ სატანჯველს მისთვის საკუთარი ხელები წარმოადგენს, აღარ იცის, სად წაილოს და რა უქნას. კაპიტანი სკამს მიეყინა და უაზროდ მიაჩერდა ვარვარა პეტროვნას გოროზ სახეს. ქუდი და ხელთათმანები ხელში ეჭირა. იქნებ უნდოდა კიდეც მეტი დაკვირვებით მოევლო თვალი იქაურობისთვის. მაგრამ ჯერხნობით ვერ ბედავდა. მარია ტიმოფეევნას ალბათ ისევ სასაცილოდ მოეჩვენა თავისი ძამია და გადაიკისკისა. კაპიტანი არ განძრეულა. მთელი ერთი წუთი შეუბრალებლად ამყოფა ასე ვარვარა პეტროვნამ და დაუნდობლად ათვალიერებდა.

- თუ შეიძლება, ჯერ თქვენვე გვიბრძანეთ თქვენი გვარი? - ჩამარცვლით და მკაფიოდ უთხრა მან.

- კაპიტანი ლებიადკინი გახლავართ, - დაიგუფუნა კაპიტანმა და ისევ შეტოკდა: - მე იმიტომ გეახელით, ქალბატონო...

- მოითმინეთ! - ისევ გააწყვეტინა ვარვარა პეტროვნამ. - ეს საცოდავი არსება, რომელმაც ასე დამაინტერესა, მართლა თქვენი და გახლავთ?

- და გახლავთ, ქალბატონო, უჩუმრად გამოპარული, რამეთუ მისი მდგომარეობა...

კაპიტანს ენა დაემა და წამოჭარხლდა.

- სხვანაირად არ გამიგოთ, ქალბატონო, საკუთარი ძმა თავს არ მოსჭრის. მისი მდგომარეობა-თქო, რომ ვთქვი, ეს როდი ნიშნავს თითქოსდა სახელის გამტეხი... ამ ბოლო ხანს...

კაპიტანმა უცებ გაწყვიტა სიტყვა.

- მოწყალეო ბატონო! - თავი ასწია ვარვარა პეტროვნამ.

- ეს ნიშნავს აი, ამას! - უცერივ მოსჭრა კაპიტანმა და შუბლზე მიიღო თითი. ერთხანს სიჩუმე იდგა.

- დიდი ხანია ამ დღეშია? - ოდნავ გააჭიანურა სიტყვა ვარვარა პეტროვნამ.

- ქალბატონო, მე იმიტომ გეახელით, მადლობა გადამეხადა ეკლესიაში გამოჩენილი სულგრძელობისთვის. რუსული მადლობა, ძმური მადლობა...

- ძმური?

- ანუ ძმური კი არა, მხოლოდ იმ გაგებით, რომ მე ძმა ვარ მისი, ქალბატონო, - მიაყარა კაპიტანმა სხაპასხუპით და ისევ წამოჭარხლდა, - მერწმუნეთ, ქალბატონო, არც ისე გაუნათლებელი ვარ, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგეჩვენოთ თქვენს სასტუმროში. მე და ჩემი და არარაობა ვართ, ქალბატონო, იმ სიმდიდრესთან შედარებით, რასაც აქ ვხედავ. არც ცილისმწამებელნი გვაკლია. მაგრამ სახელით კი, სახელით ლებიადკინი ამაყია და... და... მე მადლობის მოსახსენებლად გეახელით... აი, ფული, ქალბატონო!

კაპიტანმა ჯიბიდან სასწრაფოდ საფულე ამოიღო, იქიდან რამდენიმე ქალაქის ფული ამოგლიჯა და თვლა დაუწყო. მოუთმენლობისაგან ხელები უკანკალებდა. ეტყობა, რაღაც უნდოდა აეხსნა და საჭიროც იყო აეხსნა. მაგრამ გრძნობდა, რომ ფულების თვლა უფრო სასაცილოს ხდიდა და მთლად აებნა თავგზა. ფული ვერა და ვერ დათვალა, ხელებში ებლანდებოდა, თანაც ერთი მწვანე ქალაქის ფული საფულედან გამოუსხლტა და მისდა სამარცხვინოდ ფრიალ-ფრიალით დაეშვა ხალიჩაზე.

- აი, ოცი მანეთი, ქალბატონო, - წამოხტა უცებ კაპიტანი ფულებით ხელში; სახეზე სიმწრის ოფლმა დაასხა. მერე იატაკზე დაგდებული ფულის ასაღებად დაიხარა, მაგრამ რატომღაც შერცხვა და ხელი ჩაიქნია.

- თქვენს მსახურებს ჰქონდეთ, ქალბატონო, ლებიადკინის სამახსოვროდ!

- მაგის უფლებას ვერ მოგცემთ, - წამოიძახა, ცოტა არ იყოს, შეშინებულმა პეტროვნამ.

- რაკი ასეა...

კაპიტანი დაიხარა და ფული აიღო. სახეზე სისხლი მოაწვა; მერე ვარვარა პეტროვნას მიუახლოვდა და გადათვლილი ფული გაუწოდა.

- ეგ რა არის? - ვარვარა პეტროვნა მართლა ისე შეშინდა, სავარძლის ზურგს აეკრა. მავრიკი ნიკოლაევიჩმა, მე და სტეპან ტროფიმოვიჩი წინ წამოვიწიეთ.

- დაწყნარდით, დაწყნარდით, გიჟი არა ვარ, ღმერთმანი, არა ვარ გიჟი! - არწმუნებდა ყველას კაპიტანი.

- არა, მოწყალეო ბატონო, ნამდვილად გაგიჟებულხართ!

- არა, ქალბატონო, არა, რაც თქვენ გგონიათ, ის არ არის! მე, რა თქმა უნდა, ერთი უმნიშვნელო რგოლი ვარ... ჰოი, ქალბატონო, დიდებულია თქვენი დარბაზები და ღარიბია მარია უსახელოს ქოხი, დიახ, ჩემი დის, დაბადებით მარია ლეზიადკინას ქოხი, ვისაც ჯერჯერობით მარია უსახელო ვუწოდოთ, ჯერჯერობით-მეთქი, ქალბატონო, მხოლოდ ჯერჯერობით, რამეთუ ღმერთი არ ინებებს და არ დატოვებს ნიადაგ ასე! ქალბატონო, თქვენ ერთი თუმანი უბოძეთ და მან მიიღო, იმიტომ, რომ ეს თქვენ უბოძეთ, ქალბატონო! გესმით თუ არა! ამქვეყნად არავისგან აიღებს ფულს მარია უსახელო, რომ აიღოს, ხომ საფლავში გადაბრუნდა მისი პაპა შტაბ-ოფიცერი, კავკასიაში თვითონ ერმოლოვის თვალწინ განგმირული, მაგრამ თქვენგან მიიღებს, ქალბატონო, თქვენგან ყველაფერს მიიღებს. მაგრამ ერთი ხელით რომ გამოგართმევთ, მეორეთი ორ თუმანს უკანვე დაგიბრუნებთ, რა არის ქველმოქმედების ერთ-ერთ კომიტეტს შესწიროთ, რომლის წევრიც თქვენ ბრძანდებით, ქალბატონო... ვინაიდან თქვენვე გამოაქვეყნეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტში“, ჩვენი ქალაქის დავთარი, სადაც ყოველ კაცს შეუძლია ხელი მოაწეროს, ჩემთან ინახებაო...

კაპიტანმა უცებ გაწყვიტა სიტყვა, ისე ქშინავდა, თითქოს რაღაც საოცარი გმირობა ჩაედინოს. საქველმოქმედო კომიტეტის ამბავი ალბათ წინასწარ ჰქონდა გაზეპირებული ლიპუტინისვე რედაქციით. საფეთქლებზე ოფლმა წვეთებად დაასხა. ვარვარა პეტროვნა თვალებით ბურღავდა.

- ეგ დავთარი, - თქვა ბოლოს გოროზად, - ქვემოთ, ჩემს შვეიცართან ინახება, იქ შეგიძლიათ დატოვოთ თქვენი შესაწირი და ხელი მოაწეროთ, თუკი გსურთ. ახლა კი გთხოვთ ფულები შეინახოთ, ცხვირწინ ნუ მიფრიალებთ. აი, ასე. იმასაც გთხოვთ, ისევ იქ დაჯდეთ. აი, ასე. ძალიან ვწუხვარ, მოწყალეო ბატონო, რომ შევცდი და თქვენს დას გასაკითხი მივეცი. თურმე მდიდარი ყოფილა. ოღონდ ერთი რამ ვერ ამიხსნია, ჩემგან ვითომ რატომ აიღებს და სხვას არამც და არამც არ გამოართმევს. ასე დაჟინებით რომ ბრძანებთ, ამიხსენით კიდეც.

- ქალბატონო, ეს საიდუმლოება გახლავთ და იგი ჩემთან ერთად დაიმარხება! - მიუგო კაპიტანმა.

- მაინც რა მიზეზია? - ჰკითხა ვარვარა პეტროვნამ, თუმცა უკვე ისე მტკიცე ხმით არა.

- ვაჰ, ქალბატონო, ქალბატონო!..

კაპიტანი კუმტად დადუმდა, თავი ჩაჰკიდა და მარჯვენა ხელი გულზე მიიღო. ვარვარა პეტროვნა თვალს არ აცილებდა.

- ქალბატონო! - შეჰღალადა უეცრად კაპიტანმა. - ნებას დამრთავთ ერთი რამ გკითხოთ, მხოლოდ ერთი რამე მაგრამ მთელი სულითა და გულით, როგორც რუს კაცს სჩვევია?

- ბატონი ბრძანდებით.

- ცხოვრებაში სიმწარე თუ გინახავთ?

- ალბათ იმის თქმა გსურთ, რომ ვიღაცამ გაგამწარათ, ან ახლა გამწარებთ.

- ვაჰ, ქალბატონო, ქალბატონო! - წამოხტა ისევ კაპიტანი და გულში მჯიღი ჩაირტყა. - აჰ, ამ გულში იმდენი ბოღმაა დაგროვილი, ღმერთიც კი გაოცდება, როცა სამსჯავროზე გამომჟღავნდება!

- ჰმ, მაგარი თქმაა.

- ქალბატონო, მე იქნებ გაგულისებული ვლაპარაკობ...

- ნუ წუხხართ, ეს მე ვიცი, როდის შეგაჩეროთ.

- ნებას დამრთავთ კიდევ ერთი კითხვა მოგცეთ?

- ბრძანეთ.

- შეიძლება ადამიანი თავისივე კეთილშობილების მსხვერპლი შეიქნეს?

- ვერაფერს გეტყვით, ეს არასოდეს მიკითხავს ჩემი თავისთვის.

- ვერაფერს მეტყვით! არასოდეს გიკითხავთ თქვენი თავისთვის! - პათეტიკური ირონიით შესძახა კაპიტანმა, - მაშ თუ ასეა -

გული, დადუმდი უიმედოვ! -[144]

კაპიტანმა გააფთრებით ჩაირტყა მჯიღი გულში და ისევ გააბოტ-გამოაბოტა ოთახში.

სწორედ ესაა ამისთანა ხალხის დამახასიათებელი, რომ არ ძალუბთ ოდნავ მაინც შეიკავონ თავი და სძლიონ გულისთქმას. პირიქით, ხელად აჰყვებიან ხოლმე თავიანთ ბინძურ სურვილებს და თავშეუკავლებლივ ესწრაფვიან მათ გამომჟღავნებას. ამისთანა ვაჟბატონი თუ უცხო საზოგადოებაში მოხვდა, თავდაპირველად გაუბედავად უჭირავს თავი, მაგრამ საკმარისია ერთი ბეწო დაუთმო, რომ მყისვე გათავხედდეს. კაპიტანი უკვე არავის უსმენდა. გაცხარებული მოურიდებლად დააბოტებდა, ხელებს იქნევდა, სულ თავის თავზე ლაპარაკობდა და იმდენს ლაპარაკობდა, შიგადაშიგ ენაც ებმოდა. ერთი წინადადებიდან უეცრად მეორეზე გადახტებოდა. ესეცაა, სულ ფხიზელი არ უნდა ყოფილიყო. თანაც აქ ლიზავეტა ნიკოლაევნა იჯდა და თუმცა კაპიტანს ერთხელაც არ შეუხედავს მისთვის, მისი აქ ყოფნა, ეტყობოდა, თავბრუს ახვევდა, მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდებია. ერთი სიტყვით, ალბათ იყო რაღაც მიზეზი, რაკი ვარვარა პეტროვნამ ზიზღის მიუხედავად ამ კაცის მოსმენა გადაწყვიტა. პრასკოვია ივანოვნა შიშისაგან ცახცახებდა, თუმცა რაში იყო საქმე, ვგონებ, კარგად არც ესმოდა. კანკალებდა სტეპან ტროფიმოვიჩიც, თუმცა მისი კანკალის მიზეზი უფრო ის იყო, რომ სინამდვილეში არსებულზე მეტს ხედავდა. მავრიკი ნიკოლაევიჩი ყველას დამცველივით იდგა. ფერწასული ლიზა დამთხვეულ კაპიტანს თვალს არ აცილებდა. შატოვი ისევ ისე იჯდა. მაგრამ ყველაზე საკვირველი მარია ტიმოფეევნას ამბავი იყო. არათუ სიცილი შეწყვიტა, საოცრად დაუღონდა სახე. მარჯვენა ხელით მაგიდას დაყრდნობოდა და თავის ენად გაკრეფილ ძმას ნაღვლიანად ადევნებდა თვალს. მარტოოდენ დარია პავლოვნა იყურებოდა, ჩემი აზრით, მშვიდად.

- ეგ ყველაფერი სულელური ალეგორიებია, - გაჯავრდა ბოლოს ვარვარა პეტროვნა. - ჩემს კითხვაზე „რატომ“ - მეთქი, პასუხი არ მომეცით. მე კი პასუხს ველი.

- „რატომზე“ არ გიპასუხეთ? „რატომზე“ ელით პასუხს? - გაიმეორა კაპიტანმა და თვალი ჩაუკრა, - ამ პატარა სიტყვას ჰგოდებს ქვეყნიერების გაჩენის პირველი დღიდან მთელი დედამიწა. ყოველ წუთს ამას შეჰღაღადებს თავის გამჩენს მთელი ბუნება, და პასუხი აგერ უკვე შვიდი ათასი წელია ვერ მიუღია. ნუთუ მარტო კაპიტანმა ლებიადკინმა უნდა გასცეს ამაზე პასუხი? ვითომ სამართლიანი იქნება, ქალბატონო?

- ეგ სისულელეებია და არა პასუხი! - გული მოდიოდა მოთმინებადაკარგულ ვარვარა პეტროვნას, - ეგ ალეგორიებია., გარდა ამისა მეტისმეტად ბრტყელ-ბრტყელად ლაპარაკობთ, მოწყალეო ბატონო, და ეგ უტიფრობად მიმაჩნია.

- ქალბატონო, - თავისას განაგრძობდა კაპიტანი, - მე იქნებ მინდა ერნესტი მერქვას, მაგრამ განგებამ მაიძულა ეს ხეპრული სახელი - იგნატი ვატარო. როგორ გგონიათ, რატომ? მე მინდა თავადი დე მონბარი ვიყო, ვარ კი მხოლოდ და მხოლოდ ლებიადკინი, - რატომ? მე პოეტი ვარ, ქალბატონო, სულით პოეტი, შემემლო გამომცემლიდან ასი თუმანი მიმელო, მაგრამ ვარცლში კი ვცხოვრობ, რატომ, რისთვის? ქალბატონო! ჩემი აზრით, რუსეთი - ეს ბუნების შეცდომაა და მეტი არაფერი!

- უფრო გარკვევით ვერაფერს მეტყვით?

- მე შემიდლია პიესა „ტარაკანი“ წაგიკითხოთ, ქალბატონო!

- რაა?

- მე ჯერ შეშლილი არა ვარ, ქალბატონო! შეიძლება კი შევიშალო, ალბათ შევიშლები კიდეც, მაგრამ ჯერ არა, ჯერ არა! ქალბატონო, ერთმა ჩემმა მეგობარმა - უკეთილშობილესმა კაცმა, კრილოვის ერთი იგავ-არაკი დაწერა, სახელად „ტარაკანი“, - შემიდლია წაგიკითხო?

- თქვენ კრილოვის რომელიღაც იგავ-არაკი გინდათ წაგიკითხოთ?

- არა, კრილოვის იგავ-არაკი არა, ჩემი იგავ-არაკი, საკუთრად ჩემი შეთხზული! მერწმუნეთ, ქალბატონო, არც ისე გაუნათლებელი და გათახსირებული კაცი ვარ, არ ვიცოდე, რომ რუსეთს ერთი დიდი მეიგავე კრილოვი ჰყავს, ვისაც განათლების მინისტრმა საზაფხულო ბაღში ძეგლი დაუდგა ყმაწვილების თავშესაქცევად. აი, თქვენ მეკითხებით, არა, ქალბატონო: „რატომ?“ მაგის პასუხი ამ იგავშია, დიახ, ამ იგავშია ცეცხლოვანი ასოებით!

- წაიკითხეთ თქვენი იგავი.

იყო ერთი ტარაკანი, დახობავდა აქაც, იქაც, ერთხელ ჭიქაში ჩავარდა, ბუზით სავსე იყო ჭიქა...

- ღმერთო ჩემო, ეს რა არის? - აღმოხდა ვარვარა პეტროვნას.

კაპიტანმა ისე აიქნია ხელები, როგორც გულმოსულმა ავტორმა, რომელსაც კითხვისას ხელი შეუშალეს, და საჩქაროდ განაგრძო: - ესე იგი, როცა ზაფხულში ჭიქაში ბუზები შეძვრებიან, რომ იქ ერთმანეთი დაჭამონ, ყველა ბრიყვს ესმის ეს, ნუ მაწყვეტინებთ, აი, მოუსმინეთ და ნახავთ... (კაპიტანმა კვლავ აიქნია ხელები.).

დაიკავა ადგილი და

ატყდნენ ბუზნი უცებ იქ.

- სავსე არის ჭიქა, - შესწყრნენ.

იუპიტერს ბუზები.

მაგრამ სანამ იქ ყვირილი

იყო, კარგად ცნობილი

ნიკიფორი მოხუციც

გაჩნდა კეთილშობილი.

აქ ჯერ დამთავრებული არა მაქვს, მაგრამ სულ ერთია, ჩემი სიტყვებით მოგახსენებთ!
- ქაქანებდა კაპიტანი, - ნიკიფორმა აიღო ჭიქა და მათი გოდების მიუხედავად ყველას ვარცლში გადაუძახა, რისი ღირსნიც დიდი ხანია იყვნენ, მაგრამ ისიც ინიშნეთ, ქალბატონო, ისიც ინიშნეთ, ტარაკანი არ ჩივის! აი, პასუხიც თქვენს კითხვაზე „რატომ?“ - შეჰყვირა გამარჯვებული სახით კაპიტანმა: - „ტარაკანი არ ჩივის-მეთქი!“ რაც შეეხება ნიკიფორს, ის ბუნებას ანსახიერებს, - დააყოვნა სხაპასხუპით და კმაყოფილმა ისევ გააბოტა ოთახში.

ვარვარა პეტროვნა შემოსწყრა: - თქვენ ეს მიბრძანეთ, რა ფულს აბრალეხთ ჩემს ოჯახში მცხოვრებ ერთ ადამიანს, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩმა ფული გამოატანა და მთლიანად არ გადმომცაო?

- ცილისწამება გახლავთ! - შეჰბლავლა ლეზიადკინმა და ტრაგიკულად ალაპყრო მარჯვენა ხელი.

- არა, ცილისწამება არ გახლავთ.

- ვაჰმე, ქალბატონო, ზოგიერთ გარემოებათა გამო მირჩევნია ოჯახის შერცხვენა ავიტანო, ვინემ ხმამალა ვალიარო ჭემმარიტება. ლეზიადკინს ვერავინ ვერაფერს წამოაცდენინებს, ქალბატონო!

კაპიტანს თვალისჩინი წართმეოდა, იგი ზემთაგონებას შეეპყრო. გრძნობდა თავის ძალას, თავი მართლა რაღაცად წარმოედგინა. ოღონდაც შეურაცხყოფა მიეყენებინა, მოეშხამა, თავისი ძალა ეჩვენებინა, სხვა არაფერი უნდოდა ახლა.

- თუ შეიძლება ზარს ჩამოჰკარით, სტეპან ტროფიმოვიჩ, - სთხოვა ვარვარა პეტროვნამ

- ლეზიადკინი ეშმაკია ქალბატონო! - ბილწი ღიმილით ჩაუკრა თვალი კაპიტანმა. - დიახ, ეშმაკი, მაგრამ იმასაც ჰყავს თავისი ეშმაკი, იმასაც სძლევს ხოლმე ცთუნება და ეს ცთუნება დენის დავიდოვის[145] ნაქებ-ნადიდები ჰუსარული ბოთლი გახლავთ. ჰოდა, როდესაც მას ეს ცთუნება დასძლევს, ქალბატონო, მაშინ აგზავნის ხოლმე დიდებულზე დიდებულ გალექსილ უსტარს; მაგრამ მერე კი ნანობს, ისე ნანობს, ოღონდაც უკან დაიბრუნოს და არაფერს დაიშურებს, რამეთუ მშვენიერების გრძნობა ირღვევა. მაგრამ გაფრენილ ჩიტს კუდით ვინ დაიჭერს! ჰოდა, შეიძლება ამ მდგომარეობაში მყოფ ლეზიადკინს, ვითარცა შეურაცხყოფით კეთილშობილურად

აღშფოთებულ კაცს, მართლა რაღაც დასცდენოდა კეთილშობილ ასულზე, რაც ხელზე დაიხვიეს მისმა ცილისმწამებლებმა. მაგრამ ლებიადკინი ეშმაკია, ქალბატონო ამაოდ უთვალთვალეს ბოროტი მეელი, ამაოდ უსხამს ცეცხლზე ნავთს და ელის დასასრულს. ლებიადკინს არაფერი დასცდება, ლებიადკინი ეშმაკია და მტრებს მუდამ ხელში მისი ეშმაკობა შერჩებათ. მაგრამ კმარა, კმარა! ჰოი, ქალბატონო, ეს თქვენი დიდებული პალატები შეიძლება უკეთილშობილესი კაცისა ყოფილიყო, მაგრამ ტარაკანი არ ჩივის, არა! მამ ინიშნეთ, ინიშნეთ, რომ არ ჩივის და სცანით სული დიადი.

იმავ წუთს მეკარის ოთახში გაიწკარუნა ზარმა და თითქმის მაშინვე ალექსეი ეგორიჩი შემოვიდა, რომელმაც სტეპან ტროფიმოვიჩის ზარზე შემოსვლა დააგვიანა. ბებერ, დარბაისელ მსახურს უჩვეულო აღელვება ეტყობოდა.

- ეს-ეს არის ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი გეახლათ და აქ მობრძანდება, - მოახსენა გაოცებულ ვარვარა პეტროვნას.

მე არასოდეს დამავიწყდება ვარვარა პეტროვნას სახე იმ წუთს: თავდაპირველად ფერი ეცვალა, მერე უცებ დააკვესა თვალები და წელში გასწორდა. ეტყობა, რაღაც მტკიცე გადაწყვეტილება მიეღო. თუმცა სხვებიც სახტად დარჩნენ; ნიკოლაი სტავროგინის მოულოდნელი ჩამოსვლა, რომელსაც მხოლოდ ერთი თვის შემდეგ მოელოდნენ ჩვენში, მით უფრო უცნაური იყო, რომ ამ საბედისწერო წუთს დაემთხვა. ასე განსაჯეთ, კაპიტანიც პირდაღებული გაჩერდა შუა ოთახში და ფრიად ბრიყვული სახით მიაშტერდა კარს.

და აი გრძელსა და ვეებერთელა დარბაზიდან გაისმა აჩქარებული ფეხის ხმა, მოკლე-მოკლე და ხშირ-ხშირი ნაბიჯები, თითქოს ვიღაც კი არ მოდის, მოსრიალებსო; წუთიც და სასტუმროში ნიკოლაი სტავროგინის ნაცვლად ყველასათვის უცნობი ყმაწვილი კაცი შემოიჭრა.

V

გავბედავ და ასე უეცრივ მოვლენილ პიროვნებას რამდენიმე სიტყვით მაინც ავუწერ მკითხველს.

ეს იყო ოცდაშვიდი წლის ყმაწვილი, საშუალოზე ოდნავ მომაღლო, თხელი ქერა თმა საკმაოდ გრძლად ჩამოზრდოდა, მეჩხერი წვერ-ულვაში აქა-იქ ძლივს ემჩნეოდა. სუფთად და, წარმოიდგინეთ, მოდაზე ეცვა, ოღონდ სიკოხტავისა არაფერი ეტყობოდა, ერთი შეხედვით, ბეჭებში მოხრილი, დონდლო ვინმე გეჩვენებოდათ, სინამდვილეში კი არც ბეჭებში იყო მოხრილი, არც დონდლო გახლდათ. თითქოს რაღაცნაირი უხიაკი ვიღაცა ჩანდა, მაგრამ შემდგომ კი თავდაჭერასაც ყველა უწონებდა ჩვენში და მისი საუბარიც ყველას მუდამ საქმიანად მიაჩნდა.

მახინჯიაო, ვერავინ იტყოდა მასზე, და მაინც მისი სახე არავის მიიზიდავდა. წაგრძელებული და გვერდებიდან შეჭყლეტილი თავი სახეს თითქოს წაწვეტებულს აჩენდა. მაღალი და ვიწრო შუბლის მიუხედავად წვრილი ნაკვეთები ჰქონდა: პატარა კვიმატი თვალები, პატარა, წაწინწილებული ცხვირი, თხელი და გაწელილი ტუჩები. სახეზე თითქოს ავადმყოფური იერი გადაჰკრავდა და კანიც ლოყებსა და თვალებთან

დიდი ხნის ნაავადმყოფარივით დაღაროდა, თუმცა ჯანზე მშვენივრად იყო და არც არასოდეს ავადმყოფობდა.

სიარული და მოძრაობა მარდი ჰქონდა, მერე რა რომ არსად მიიჩქაროდა, რა გარემოებასა და რა საზოგადოებაშიც არ უნდა მოხვედრილიყო, იხტიბარს არ გაიტეხდა, ისეთი რწმენა ჰქონდა საკუთარი თავისა; თუმცა ამას თვითონ ვერ ამჩნევდა.

ლაპარაკიც ჩქარა-ჩქარი იცოდა, ამავე დროს თავდაჯერებული, ენაზე ჭავლი არ მოედებოდა. მიუხედავად ამისა, აზრები დაწყობილი გამოსდიოდა. ეს განსაკუთრებით შეიმჩნეოდა. ისეთი საოცარი მკაფიო გამოთქმა ჰქონდა, გეგონებოდა, პირდაპირ მსხვილ-მსხვილი, სულ კაკალ-კაკალ დარჩეული მარცვლები სცვივავო, თავდაპირველად შენ ეს მოგწონს, მაგრამ მერე კი სწორედ ეს მკაფიო გამოთქმა, სიტყვების სწორედ ეს გაუთავებული ნაკადი გულისამრევად მოქმედებს შენზე. ისე გეჩვენება, თითქოს ენაც რაღაც სხვანაირი აქვს, რაღაც საოცრად გრძელი და წვრილი და ამ წვრილი, წითელი ენის წვერს გაუჩერებლივ ასანსალებს.

სწორედ ეს ყმაწვილი შემოვარდა ახლა სასტუმროში. მართალი გითხრათ, აქამდეც ასე მგონია, თითქოს ლაპარაკი ჯერ კიდევ მეზობელ დარბაზში დაიწყო და ასე ქაქანით შემოვიდა-მეთქი. იგი მაშინვე ვარვარა პეტროვნას მიეჭრა და სხაპასხუპით მიაყარა: - ... წარმოიდგინეთ, ვარვარა პეტროვნა, შემოვდივარ და ვფიქრობ, უკვე თხუთმეტი წუთის მოსული დამხვდება-მეთქი; საათ-ნახევარია რაც ჩამოვიდა; კირილოვთან შევხვდით ერთმანეთს. ნახევარი საათის უკან პირდაპირ აქეთ გამოეშურა. მეც დამიბარა, თხუთმეტი წუთში იქ გაჩნდიო...

- ვისზე ამბობთ? ვინ დაგიბარათ? - ეკითხებოდა ვარვარა პეტროვნა.

- ვინა და ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩმა! ნუთუ მართლა მხოლოდ ამ წუთს შეიტყვეთ? სხვა რომ არა, მისი ბარგი მაინც უნდა მოსულიყო, როგორ არ გითხრეს? მაშასადამე, პირველი მახარობელი მე ვარ. იქნებ კაცი გაგვეგზავნა, ჰა? თუმცა არა, საცაა თვითონაც გეახლებათ და, მგონი, კაი დროსაც გეახლებათ. ნახავს იმას, რასაც ელოდა, ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც ვიცი, რისი ვარაუდიც ჰქონდა. - მან თვალი მოავლო ოთახს და განსაკუთრებით კაპიტანს დააკვირდა, - აჰ, ლიზავეტა ნიკოლაევნა, რარიგ მიხარია, ჩამოსვლისთანავე რომ შეგხვდით, დიდი სიხარულით ჩამოგართმევთ ხელს. - უმაღ მიეჭრა იგი მხიარულად მოდიმარე ლიზავეტა ნიკოლაევნას და ხელი ჩამოართვა, - რამდენადაც ვამჩნევ, მგონი, არც დიდად პატივცემულ პრასკოვია ივანოვნას დავიწყნია მისი „პროფესორი“ და აღარ უწყრება, როგორც შვეიცარიაში უწყრებოდა ხოლმე. აქ როგორა გაქვთ ფეხები, პრასკოვია ივანოვნა, მართალი გამოდგა შვეიცარიული კონსილიუმი, ჩვენი მიწა-წყლის ჰავა რომ გირჩიათ?... რას ბრძანებთ? საფენებიო? მართლაც შეიძლება მოგხიდე. ოჰ, როგორ მეწყინა, ვარვარა პეტროვნა (კვლავ სასწრაფოდ მოტრიალდა იგი), საზღვარგარეთ რომ ვეღარ ჩამოგისწართ და პირდადად ვერ გამოგიცხადეთ პატივისცემა, მერედა რამდენი რამ მქონდა სათქმელი... კი მოვწერე აქ ჩემს ბებერს, მაგრამ თავის ჩვეულებისამებრ ალბათ...

- პეტრუშა! - შეჰყვირა აქამდე გახევებულმა სტეპან ტროფიმოვიჩმა, ხელები გაასავსავა და შვილს მივარდა. - Pierre, mon enfant[146], ვეღარ გიცანი! - მაგრად ჩაიკრა გულში შვილი და ცრემლი გადმოსცვივდა.

- აბა, აბა, ცუნცრუკი არ იყოს, კმარა, კმარა, გთხოვ, - ბუტბუტებდა პეტრუშა და მამის მკლავებიდან დასხლტომას ლამობდა.

- მე მუდამ, მუდამ დამნაშავე ვიყავი შენთან!

- ჰოდა, გეყოფა. ამაზე მერე იყოს. აკი ვიცოდი, რომ აცუნცრუკდებოდი. გონებას ძალა დაატანე, გთხოვ.

- აკი ათი წელი არ მინახავხარ!

- მით უმეტეს არაა საჭირო გრძნობების გადმოფრქვევა...

- Mon enfant!

- კი, მჯერა, მჯერა, რომ გიყვარვარ, ოღონდ ხელები მომაშორე. სხვებს უშლი... ოჰო, აგერ ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი. კმარა, ნუ ცუნცრუკობ-მეთქი, რამდენჯერ უნდა გთხოვო!

ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი მართლაც უკვე ოთახში იყო. ძალზე წყნარად შემოვიდა, წუთით ზღურბლზე გაჩერდა და წყნარადვე მოავლო თვალი შეკრებილობას.

როგორც პირველად ამ ოთხი წლის წინათ, სწორედ ისევე გამაოცა ახლაც მისმა გარეგნობამ. მე იგი სულაც არ დამვიწყნია, მაგრამ არის ისეთი სახეები, ყოველ ნახვაზე რომ მუდამ სხვანაირი გეჩვენება, მუდამ რაღაც ისეთს შეამჩნევ, რაც მანამდე არ შეგიმჩნევია, გინდაც ასჯერ გყავდეს ნანახი. როგორც ეტყობოდა, ამ ოთხ წელიწადში არ შეცვლილიყო, ისევე მოხდენილად და დინჯად ეჭირა თავი, ისევე დინჯად შემოდიოდა, როგორც წინათ, თითქმის ისევე ახალგაზრდად გამოიყურებოდა. პირზე ისეთივე ალერსიანი და თვითკმაყოფილი ოფიციალური ღიმილი დასთამაშებდა, ისევე გოროზად, ჩაფიქრებით, თითქოს უგულისყუროდაც იცქირებოდა, ერთი სიტყვით, ასე მეგონა, მხოლოდ გუშინ დავშორდით-მეთქი ერთმანეთს. მაგრამ ერთმა რამემ კი განმაცვიფრა: თუმცა წინათაც ლამაზ ვაჟკაცად ითვლებოდა, მაგრამ სახე, ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი ენაძწარე მანდილოსნის თქმისა არ იყოს, მართლაც „ნიღაბს მიუგავდა“. ახლა კი, ახლა არ ვიცი, რატომ, და პირველივე დანახვისთანავე უდავოდ კალმით ნახატ ვაჟკაცად მეჩვენა. ახლა უკვე ვერავინ იტყოდა, სახე ნიღაბს მიუგავსო. იქნებ იმიტომ, რომ წინანდელთან შედარებით ოდნავ გასცრეცოდა სახე და თითქოს ოდნავ გამხდარიყო კიდევ ან იქნებ რაღაც ახალი ფიქრი ჩადგომოდა თვალებში?

- ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი! - შესძახა ვარვარა პეტროვნამ და წელში გამართულმა ხელები ბრძანებით ასწია. - ერთი წუთით მანდ გაჩერდი!

იმ საოცარი შეკითხვის ასახსნელად, რაც ამ შეძახილს და ხელის აწევას მოჰყვა და რასაც თვით ვარვარა პეტროვნასაგანაც არ მოველოდი, - მე ვთხოვ მკითხველს გაიხსენოს ვარვარა პეტროვნას ხასიათი მთელი მისი ცხოვრების მანძილზე და მისი გასაოცარი თავდაუჭერლობა ზოგ საგანგებო წუთებში. - მე ვთხოვ, არც ის დაივიწყოს, რომ საოცრად მედგარი ხასიათის, საკმაოდ დიდი გონივრულობისა და, ასე ვთქვათ, პრაქტიკული ჭკუის მიუხედავად, ვარვარა პეტროვნა ბევრჯერ აჰყოლია ცხოვრებაში გულისთქმას და, თუ შეიძლება ასე ითქვას, სრულიად ვერ დაუოკებია თავი. დაბოლოს ვთხოვ, ისიც მიიღოს მხედველობაში, რომ ეს წუთ შესაძლოა

მართლაც ისეთი წუთი ყოფილიყო მისთვის, როდესაც ადამიანის მთელი ცხოვრება, მისი წარსული, აწმყო და იქნებ მომავალიც ერთ ფოკუსში იყრის თავს. გაკვრით გავახსენებ აგრეთვე იმ ანონიმურ წერილსაც, რომელიც ვარვარა პეტროვნას მიეღო და რომლის ამბავი წელან გაგულისებულ გულზე დასცდა პრასკოვია ივანოვნასთან. თუმცა რა იყო კიდევ წერილში, ეს, მგონი, აღარ გაუმხელია. იქნებ ისეთი რამ ეწერა, რაც გასაგებს გახდიდა ვაჟისთვის მოულოდნელად მიცემულ იმ საშინელ შეკითხვას.

- ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი, - გაიმეორა ვარვარა პეტროვნამ მტკიცედ და მკაფიოდ. მის ხმაში მრისხანე გამოწვევა ისმოდა; - გთხოვთ ახლაცე მითხრათ, მაგ ადგილიდან:: ეს უბედური, ეს კოჭლი ქალი, აი ის, შეხედეთ, იქ რომ ზის, მართლა... თქვენი კანონიერი მეუღლეა?

ის წუთი მე ძალიან კარგად მახსოვს; ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩის თვალშიც არ დაუხამხამებია, დაჟინებით უცქეროდა დედას. სახე ოდნავადაც არ შეცვლია. ბოლოს რაღაც შემწყნარებელი ღიმილი გამოესახა სახეზე, ნელა მიუახლოვდა დედას, უხმოდ გამოართვა ხელი, მოწიწებით მიიტანა ტუჩებთან და აკოცა. დედამ ახლაც ვერ გაბედა ხელის გამოგლეჯა, იმდენად დიდი გავლენა ჰქონდა შვილს მასზე. ოღონდაც ისე მიშტერებოდა და ისე მოუთმენლად მოელოდა პასუხს, გეგონებოდა, კიდევ წუთი და გაურკვევლობა გულს გაუხეთქავსო.

მაგრამ ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი კვლავ დუმდა. შემდეგ ერთხელ კიდევ მოავლო თვალი იქაურობას და ასევე აუჩქარებლად გაემართა მარია ტიმოფეევნასკენ. ზოგჯერ ძალზე ძნელია ადამიანის სახის გამომეტყველების აღწერა. მე, მაგალითად, დამამახსოვრდა, რომ მარია ტიმოფეევნა, შიშისაგან სუნთქვაშეკრული, ნელა წამოდგა მის შესახვედრად და თითქოს მუდარით დაიკრიფა გულ-ხელი. მაგრამ ისიც მაგონდება, როგორ აღფრთოვანებით აენტო თვალები, როგორმა გიჟურმა აღტაცებამ მოუქანჯა სახე, - ასეთ აღტაცებას ძნელად უძლებს ადამიანის გული. იქნებ ორივე ერთად იყო, შიშიცა და აღტაცებაც; ეს კი მახსოვს, რომ სწრაფად გავიწიე მისკენ (თითქმის გვერდით ვიდექი). ისე მომეჩვენა, ამ წუთს გული წაუვა-მეთქი.

- თქვენ აქ რა გინდათ, - ტკბილად, ალერსიანად უთხრა ნიკოლაი სტავროგინმა და თვალებში საოცარი სინაზე ჩაუდგა. იგი მოწიწებით იდგა ქალის წინ და ყოველ მის მოძრაობაში გულწრფელი პატივისცემა გამოსჭვიოდა. საცოდავ ქალს სული შეუფუზბდა და სწრაფად წასჩურჩულა.

- შეიძლება... ახლა დაგიჩოქოთ?

- არა, არ შეიძლება, - გაიღიმა და ბროლის კბილები გამოანათა ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩმა. ქალს უეცრივ სიხარულით გაუბრწყინდა სახე. შემდეგ ისევე ტკბილად, თითქოს ბავშვს ელაპარაკებო, დასძინა: - აბა, იფიქრეთ, თქვენ ქალიშვილი ხართ, მე კი უცხო, გარეშე კაცი, არც ქმარი, არც მამა და არც საქმრო თქვენი, თუმცა ყველაზე ერთგული მეგობარი. მომეცით ხელი და წავიდეთ; მე მიგაცილებთ კარეტამდე და, თუ ნებას დამრთავთ, სახლამდეც მიგყვებით.

მარია ტიმოფეევნამ მოუსმინა და თითქოს ჩაფიქრებით დახარა თავი.

- წავიდეთ, - თქვა ამოოხვრით და ხელი გაუწოდა.

მაგრამ ამ დროს ერთი პატარა უსიამო ამბავი შეემთხვა. არ ვიცი, მარჯვედ ვერ მოტრიალდა თუ მტკივან, დამოკლებულ ფეხს დაეყრდნო, ეს კია, სავარძელზე გვერდით დაეცა. სავარძელი რომ არა, იქნებ იატაკზეც გაშხლართულიყო. სტავროგინმა უმაღ ხელი მიაშველა, მკლავში გაუყარა და ნაზად წაიყვანა კარისაკენ. მარია ტიმოფეევნას, ეტყობა, შერცხვა, რომ დაეცა, გაწითლდა. თავდახრილი და ლამის მკლავზე ჩამოკონწიალებული კოჭლობ-კოჭლობით მიჰყვებოდა უკან უსიტყვოდ. სანამ ისინი გავიდოდნენ, დავინახე, რომ ლიზა უეცრივ წამოხტა სავარძლიდან და გაშტერებული მხერა გააყოლა მათ. შემდეგ ასევე უხმოდ დაჯდა, მაგრამ სახე კი ისეთნაირად დაეღრიჯა, თითქოს ქვეწარმავლისთვის წაევილო ხელი.

ვინემ ეს ამბავი ხდებოდა ნიკოლაი სტავროგინსა და მარია ტიმოფეევნას შორის, ყველა განცვიფრებით დუმდა; ბუზის გაფრენას გაიგონებდა კაცი; მაგრამ გავიდნენ თუ არა, ყველა ერთბაშად ალაპარაკდა.

VI

თუმცა ლაპარაკზე მეტი გაკვირვებული შემახილები იყო, ახლა მაინცდამაინც კარგად არ მახსოვს, რა იყო და როგორ იყო, ვინაიდან ყველაფერი აირია. სტეპან ტროფიმოვიჩმა რაღაც შესძახა ფრანგულად და ხელები გაასავსავა, მაგრამ ვარვარა პეტროვნას მისი თავი არ ჰქონდა. რაღაც სწრაფად და ნაწყვეტ-ნაწყვეტ წაიბურტყუნა მავრიკი ნიკოლაევიჩმაც, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც პიოტრ სტეპანოვიჩი ფაციფუცობდა. იგი რაღაცას გამწარებული უმტკიცებდა ვარვარა პეტროვნას ხელების ქნევით, ოღონდ რას, კარგა ხანს ვერ გავიგე. ელაპარაკებოდა პრასკოვია ივანოვნასა და ლიზავეტა ნიკოლაევნასაც, ცხელ გულზე რაღაც შეუძახა მამასაც, - ერთი სიტყვით, ჯარასავით ტრიალებდა. წამოწითლებული ვარვარა პეტროვნა ერთი პირობა წამოხტა და პრასკოვია ივანოვნას დაუყვირა: „ხომ გაიგე, ხომ გაიგე, რა უთხრა ახლა?“ მაგრამ იმას პასუხის თავიც აღარ ჰქონდა, რაღაც ჩაიდუღუნა და ხელი ჩაიქნია. საწყალს თავისი დარდი აწუხებდა: წარამარა ლიზას უყურებდა შემინებული, მაგრამ ვიდრე ქალიშვილი არ ადგებოდა, წასვლაზე ფიქრი ზედმეტი იყო. ისიც შევამჩნიე, რომ ნიკოლაი სტავროგინის გამოჩენით აშკარად დამფრთხალმა კაპიტანმა გაპარვა დააპირა, მაგრამ პიოტრ სტეპანოვიჩმა ხელი სტაცა და არ გაუშვა.

- ეს აუცილებელია, აუცილებელი, - სიტყვებად იფრქვეოდა იგი ვარვარა პეტროვნას წინაშე და რაღაცას უმტკიცებდა. ვარვარა პეტროვნა ახლა უკვე სავარძელში იჯდა და, რამდენადაც მახსოვს, გაფაციცებით უსმენდა: პიოტრ სტეპანოვიჩმა მაინც მიაღწია თავისას და მისი ყურადღება მიიპყრო.

- ეს მაინც აუცილებელია, ვარვარა პეტროვნა, თვითონაც ხედავთ, რომ აქ გაუგებრობას აქვს ადგილი, ერთი შეხედვით ბევრი რამ საკვირველად ეჩვენება კაცს, თუმცა საქმე დღესავით ნათელი და უბრალოა. ძალიან კარგადაც მესმის, რომ ამის თქმა არავის დაუძალეზია ჩემთვის და ეს შეიძლება მეტიჩრობად ჩამომართვან. მაგრამ, ჯერ ერთი, თვით ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი არაფრად აგდებს ამ საქმეს და, მეორეც, ხომ არის ისეთი შემთხვევა, როცა კაცს უჭირს თვითონ ლაპარაკი. ჰოდა, აუცილებელია ეს მესამე პირმა იკისროს, ვისაც არ გაუჭირდება ზოგიერთი საჩოთირო ამბების გადმოცემა. მერწმუნეთ, ვარვარა პეტროვნა, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩის ბრალი არ არის, წელანდელ კითხვაზე რომ მაშინვე არ გიპასუხათ, მერე რა რომ საქმე სულ უბრალოა. მე ეს ჯერ პეტერბურგიდან ვიცი. თანაც მთელი ეს

ანეკდოტი მხოლოდ პატივსა დებს ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს, თუკი მაინცდამაინც აუცილებელია ეს არაფრის მთქმელი სიტყვა „პატივი“ ვიხმაროთ...

- თქვენ გინდათ თქვათ, რომ იმ ამბის მოწმე იყავით, რამაც... ეს გაუგებრობა შექმნა? - ჰკითხა ვარვარა პეტროვნამ.

- მოწმეც და მონაწილეც, - სასწრაფოდ დაუდასტურა პიოტრ სტეპანოვიჩმა.

- თუ სიტყვას მაძლევთ, ეს ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს არ ეწყინება, მე ვიცი, რა გრძნობითაა იგი ჩემდამი, ჩემთან ის არაფერს მალავს... და თუ ამასთან დარწმუნებული ხართ, კიდევ ასიამოვნებთ ამით...

- უთუოდ ვასიამოვნებ, ვინაიდან ჩემთვისაც ეს დიდად სასიამოვნო გახლავთ. მჯერა, რომ თვითონვე მთხოვდა.

ფრიად უცნაური იყო და ყოვლად უჩვეულო ამ ციდან ჩამოვარდნილი ვაჟბატონის დაჩემება, გინდა თუ არა სხვის ამბავს ვიტყვიო. მაგრამ იგი ვარვარა პეტროვნას მტკივნეულ ადგილს შეეხო და ამით წამოაგო ანკესზე. მე მაშინ კარგად არ ვიცნობდი ამ კაცის ხასიათს და მით უფრო არ ვიცოდი მისი განზრახვები.

- მაშ გისმენთ, ბატონო ჩემო! - თავშეკავებით აუწყა ვარვარა პეტროვნამ, რომელსაც მაინც ხინჯად რჩებოდა გულში ეს დათმობა.

- ამბავი ძალიან მოკლე გახლავთ; რომ ვთქვათ, ანეკდოტიც არ არის, - აჭიკჭიკდა ყმაწვილი კაცი. - თუმცა უსაქმურ რომანისტს შეეძლო აქედან ერთი კაი რომანი გამოეცხო. საკმაოდ საინტერესო ამბავი გახლავთ, პრასკოვია ივანოვნა, მჯერა, რომ ლიზავეტა ნიკოლაევნაც გულისყურით მოისმენს, ვინაიდან თუ საკვირველი არა, უცნაური მაინც გახლავთ. ამ ხუთიოდე წლის წინ ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩმა პეტერბურგში ეს ვაჟბატონი გაიცნო. - დიახ, აი ეს ბატონი ლეზიადკინი, ახლა რომ პირდაღებული დგას და, მგონი, ეს წუთია გაპარვას აპირებდა. უკაცრავად, ვარვარა პეტროვნა. თუმცა გაპარვას არ გირჩევდით, ყოფილი უწყების ყოფილო ბატონო მოხელეე! (ხედავთ, რა მშვენივრად მახსოვხართ). მე და ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩმა ჩინებულად ვიცი თქვენი აქაური ოინები, რისთვისაც, არ დაივიწყოთ, და პასუხი უნდა აგოთ. კიდევ უკაცრავად თქვენთან, ვარვარა პეტროვნა. ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი იმახდა მაშინ ამ ვაჟბატონზე, ჩემი ფალსტაფი არისო. ძველად იყო ალბათ ასეთი ხალხი (განმარტა უეცრივ), ასეთი burlesque[147], ვისაც ყველა აპამპულეებს და ისიც არავის უშლის თავის გაპამპულეებას, თუკი ფულს მისცემენ. ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი იმახნად პეტერბურგში, ასე ვთქვათ, დამცინავ ცხოვრებას ეწეოდა, - სხვა სიტყვა ვერ მომიძებნია საამისოდ, ვინაიდან ეს კაცი გულგატეხილობას არ ეძლეოდა, მაგრამ საქმეზე მაშინ თვითონაც გულაყრილი იყო. მე მხოლოდ იმ დროზე მოგახსენებთ, ვარვარა პეტროვნა. ამ ლეზიადკინს და ჰყავდა, - აი, სწორედ ეს ქალი, ახლა რომ აქ იჯდა. და-მმას თავისი კუთხე არ გააჩნდათ, კარდაკარ დაწანწალებდნენ. ეს ვაჟბატონი ქარვასლაში მათხოვრობდა, თავის ძველ მუნდირში გამოწყობილი, გამვლელებს აჩერებდა და, თუ რამეს ხელთ ჩაიგდებდა - ლოთობდა. მისი და ღვთის ანაბარა ცხოვრობდა. ლუკმაპურისთვის ხან ვის და ხან ვის ემსახურებოდა. ერთი სიტყვით, საშინელი სოდომი გახლდათ; მე ამ კარდაკარ წანწალის შესახებ აღარას ვიტყვი, ვინაიდან ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩიც იმ თავისი ახირებული ხასიათის გამო ასეთ ცხოვრებას მისდევდა. მე მხოლოდ მაშინდელ

დროზე მოგახსენებთ, ვარვარა პეტროვნა; რაც შეეხება „ახირებული“ - მეთქი რომ ვთქვი, ეს თვით ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩის გამოთქმა გახლავთ. მე ის თითქმის არაფერს მიმაღავს. M-Ile ლებიადკინა ერთ ხანობას მეტისმეტად ხშირად ხვდებოდა ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს და მისმა გარეგნობამ დაატყვევა. ეს იყო, ასე ვთქვათ, მის შავზნელ ცხოვრებაში წმინდა წყლის აღმასი. მე გრძნობების ვერაფერი აღმწერი ვარ და ამიტომ ამ ამბავს გვერდს ავუვლი, ოღონდაც სადაგელმა ადამიანებმა იგი მაშინვე მასხრად აიგდეს. ქალი დაღონდა. მანამდეც ყველა დასცინოდა, მაგრამ ამას ვერ ამჩნევდა. ჭკუაზე მაშინაც ვერ იყო კარგად, მაგრამ ახლანდელთან რა შედარებაა! უნდა ვიფიქროთ, რომ ბავშვობაში ვიღაც კეთილისმყოფელმა ცოტაოდენი აღზრდა მისცა. ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს ყურადღება არასოდეს მიუქცევია მისთვის. მეტწილად ჩინოვნიკებს ეთამაშებოდა გაქონილი კარტით პრეფერანსს. მაგრამ ერთხელ, როცა m-Ile ლებიადკინას აწვალეზდნენ, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი (მიზეზის გამოუკითხავად) ერთი ჩინოვნიკს ქეჩოში მისწვდა და მეორე სართულის ფანჯრიდან გადაუძახა. არავითარი რაინდული აღშფოთება შეურაცხყოფილი უმანკოების დასაცავად აქ არ ყოფილა; ამ ოპერაციის დროს ყველა ხარხარებდა და ყველაზე მეტად ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი. ამ ამბის მშვიდობით დამთავრების შემდეგ შერიგდნენ და პუნში დალიეს. მაგრამ თვით დაჩაგრულმა უმანკოებამ თავად ვერ დაივიწყა ეს ამბავი და საბოლოოდ შეერყა ჭკუაც. ვიმეორებ, გრძნობების აღმწერი არა ვარ-მეთქი, მაგრამ მთავარი აქ ოცნება იყო. ხოლო ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი თითქოს განზრახ უფრო უღვივებდა ამ ოცნებას. იმის მაგივრად, ხუმრობაში ჩაეტარებინა ყოველივე, ერთიც ვნახოთ, m-Ile ლებიადკინას დიდი მოწიწებით დაუწყო მოპყრობა. კირილოვი, რომელიც მაშინ იქ იყო (იცით, ვარვარა პეტროვნა, ეს მეტისმეტად თავისებური კაცია, მეტისმეტად პირდაპირი და მკვახე; იქნებ გაიცნოთ კიდეც, ახლა აქ ცხოვრობს), ჰოდა, ეს კირილოვი, რომელსაც ჩვეულებრივ სიტყვას ვერასოდეს ამოქაჩავს კაცი, უცბად გაცხარდა და, მახსოვს, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს უთხრა: ამ ქალს მარკიზასავით რომ ექცევით, სულ მთლად ჭკუაზე შემლितო. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს ცოტა არ იყოს ამ კირილოვის ხათრი ჰქონდა. ჰოდა, იცით, რა უპასუხა: „თუ გგონიათ, ბატონო კირილოვ, რომ დავცინი, შემცდარი ბრძანდებით, მე მართლაც პატივსა ვცემ, ეგ ჩვენ ყველას გვჯობია“. მერედა რა სერიოზული კილოთი თქვა. თუმცა კი ამ ორი-სამი თვის მანძილზე გამარჯობისა და მშვიდობის მეტი სინამდვილეში არაფერი უთქვამს ქალისთვის. მეც მაშინ იქ ვიყავი და ყველაფერი კარგად მახსოვს. ქალი იქამდე მივიდა, თითქმის საქმროდ თვლიდა. ხოლო თუ ეს საქმრო არ „იტაცებდა“, მართოდენ იმიტომ, რომ ბევრი მტერი ჰყავდა, ოჯახიც ხელს უშლიდა, მოკლედ, რაღაც ამდაგვარი მიზეზები ჰქონდა. ოჰ, რამდენს ვიცინოდით ამაზე! ბოლოს, როცა ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს აქეთ მოუხდა გამომგზავრება, წამოსვლისას, მგონი, საკმაოდ მნიშვნელოვანი პენსიონი დაუნიშნა ყოველწლიურად, ყოველ შემთხვევაში, ოცდაათი თუმანი მაინც, თუ მეტი არა. ვთქვათ და ეს თავშესაქცევად გააკეთა, ვთქვათ და დროზე ადრე მოღლილი კაცის ფანტაზია გახლდათ - გინდაც, კირილოვის თქმის არ იყოს, გულმოყირჭებული კაცის ახალი ეტიუდი იმის გამოსარკვევად, სანამდე შეიძლება მიიყვანო შემლილი, გაუბედურებული ქალი. „თქვენ, უთხრა, განზრახ ამოირჩიეთ ეს დაბეჩავებული, ეს გაუბედურებული და ნაცემ-ნაგვემი არსება - ისიც იცით, რა კომიკურადაა თქვენზე შეყვარებული, და განზრახ ატყუებთ და აბრიყვებთ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, სეირს უყუროთ! „მაგრამ ამ კაცის რა ბრალია ბოლოს და ბოლოს შემლილი ქალის ფანტაზიები, ვისთვისაც, კარგად ინიშნეთ, მთელი ამ ხნის განმავლობაში ორი წინადადება ერთად

არ უთქვამს! ზოგ საგანზე, ვარვარა პეტროვნა, არამცთუ არ შეიძლება კაცმა ილაპარაკოს, ლაპარაკის წამოწყებაც კი უჭკუობაა, დიდი-დიდი, ახირებად ჩათვალოს ეს საქციელი, მეტს ხომ ვერაფერს ვიტყვით. აქედან კი მთელი ამბავი შეუქმნიათ თურმე... მე ნაწილობრივ გაგებულნი მაქვს, ვარვარა პეტროვნა, აქაური ამბები...

მთხრობელმა უცებ გაწყვიტა სიტყვა და ლებიადკინისკენ დააპირა მიბრუნება: მაგრამ ვარვარა პეტროვნამ შეაჩერა; იგი დიდზე დიდ მღელვარებას აეტანა.

- მორჩით? - ჰკითხა მან.

- ჯერ არა; თუ ნებას მომცემთ, მინდა აი ამ ვაჟბატონს ზოგი რამ კიდევ ვკითხო... ახლავე გაიგებთ, რაშია საქმე, ვარვარა პეტროვნა...

- კმარა, ეგ მერე იყოს, გთხოვთ ერთი წუთი მომითმინოთ. ოჰ, რა კარგი ვქენი, რომ გალაპარაკეთ!

- ისიც მიიღეთ მხედველობაში, ვარვარა პეტროვნა - გამოცოცხლდა პიოტრ სტეპანოვიჩი, - შეეძლო კი ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს წელან თვითონ აეხსნა ეს ყველაფერი თქვენს იქნებ მეტისმეტად მკვახე და ჯიქურ კითხვაზე?

- ო, გეთანხმებით, მეტისმეტად მკვახე და ჯიქური იყო!

- განა მართალი არა ვთქვი, ზოგ შემთხვევაში მესამე პირი უფრო ადვილად ახსნის, ვინემ თვით დაინტერესებული-მეთქი?

- დიახ... დიახ... მაგრამ ერთში კი შეცდით და, სამწუხაროდ, მგონი, ახლაც ცდებით.

- ნუთუ? რაში?

- იცით... თუმცა ხომ არ დაბრძანდებით, პიოტრ სტეპანოვიჩ?

- ო, როგორც გნებავთ, დავიღალე კიდევ, მადლობას მოგახსენებთ.

პიოტრ სტეპანოვიჩმა უმაღლესი სავარძელი გამოსწია და ისე დაჯდა, ერთ მხარეს ვარვარა პეტროვნა მოიქცია, მეორეზე - მაგიდასთან მჯდომი პრასკოვია ივანოვნა, ბატონი ლებიადკინი კი, ვისაც წუთითაც თვალს არ აცილებდა, პირდაპირ ედგა.

- ცდებით იმაში, რომ მთელი ეს ამბავი „ახირებად“ ჩათვალიეთ...

- ოჰ, თუ სხვაში არა...

- არა, არა, მომითმინეთ, - შეაჩერა ვარვარა პეტროვნამ. ეტყობოდა, სათქმელი ბევრი ჰქონდა და გატაცებითაც აპირებდა ლაპარაკს. პიოტრ სტეპანოვიჩმა ეს შენიშნა და სმენად იქცა.

- არა, ეს ახირებაზე მეტი იყო და, გარწმუნებთ, რაღაც წმინდაც! კაცი ამაყი, კაცი ცხოვრებისაგან ნაადრევად შეურაცხყოფილი, ვინც ამ ცხოვრებამ, თქვენი ასე მოსწრებული თქმისა არ იყოს, „დაცინვამდე“ მიიყვანა, - ერთი სიტყვით, უფლისწული ჰარი, როგორც მაშინ დიდებულად შეადარა სტეპან ტროფიმოვიჩმა და სრულიად სწორი იქნებოდა, თუ, რომ, ჩემი აზრით, ჰამლეტს უფრო არ ჰგვანებოდა...

- Et vous avez raison[148], - გრძნობით და მტკიცედ დაემოწმა სტეპან ტროფიმოვიჩი.

- მაღლობელი ვარ, სტეპან ტროფიმოვიჩ, თქვენი განსაკუთრებით მაღლობელი ვარ, სწორედ იმიტომ, რომ მუდამ გწამდათ Nicolas-სი, გწამდათ მისი დიდი ბუნება და მოწონება. თქვენ მეც მიღვივებდით მაგ რწმენას, როცა სულით დავეცემოდი ხოლმე.

- Chere, chere... - წინ წამოდგა სტეპან ტროფიმოვიჩი, მაგრამ გაგრძელების შეეშინდა და გაჩერდა.

- ჰოდა, Nicolas-ს რომ გვერდში დინჯი ჰორაციუსი ჰყოლოდა (ლამის ჭიკჭიკებდა ვარვარა პეტროვნა), რომელსაც მორჩილება ესოდენ სიდიადეს ანიჭებს - ეს თქვენი მეორე მშვენიერი გამოთქმაა, სტეპან ტროფიმოვიჩ, - იქნებ ადრევე გადარჩენოდა სავალალოსა და მოულოდნელ დემონს ირონიისას“, რაიც მთელი სიცოცხლე თან სდევდა (ირონიის დემონიც თქვენი საკვირველი თქმაა, სტეპან ტროფიმოვიჩ). მაგრამ Nicolas-ს თავის დღეში არ ჰყოლია არც ჰორაციუსი და არც ოფელია. იმის მარტო დედა ჰყავდა, მაგრამ რა ექნა მარტო დედას და ისიც ასეთ ვითარებაში? იცით, პიოტრ სტეპანოვიჩ, ჩემთვის უკვე სავსებით გასაგებია, რომ Nicolas-სთან ადამიანს შეეძლო ისეთ ბინძურ ჯურღმულებში ყოფნა, როგორც თქვენ აგვიწერეთ. ახლა ისე ნათლად მაქვს წარმოდგენილი ეგ „დაცინვა“ ცხოვრებისა (საოცრად მოსწრებულად კი ბრძანეთ!), კონტრასტების ეს გაუმაძღარი წყურვილი, ის ბნელი, შავი ფონი, სადაც, კვლავ თქვენი თქმისა არ იყოს, პიოტრ სტეპანოვიჩ, იგი ალმასივით გამობრწყინდა. ჰოდა, ხედავს იქ ბუნებისაგან დაბეჩავებულ, მთლად გაუბედურებულ, ნახევრად შეშლილ არსებას, მაგრამ ამავე დროს იქნებ კეთილშობილი გრძნობებით სავსეს!

- ჰმ, დიახ, შესაძლებელია.

- და გიკვირთ ამის შემდეგ, რატომ სხვებივით არ დასცინის ამ ქალს! ჰოი, ადამიანებო! გიკვირთ, რომ იცავს მას მჩაგვრელებისაგან, რომ „მარკიზასავით“ პატივს სცემს (ამ კირილოვს ალბათ კარგად ესმის ადამიანების, თუმცა Nicolas-ს ვერ გაუგო). თუ გნებავთ იცოდეთ, სწორედ ეგ კონტრასტი იყო უბედურების მიზეზი; ეს საცოდავი რომ სხვა მდგომარეობაში ყოფილიყო, იქნებ არც აჰყოლოდა ასეთ გიჟურ ოცნებას. მხოლოდ ქალს შეუძლია, პიოტრ სტეპანოვიჩ, ამის გაგება, აფსუს, რომ თქვენ... არა, ის კი არ მინდა, ქალი იყოთ, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც, რომ გაიგოთ!

- მესმის, მესმის, ვარვარა პეტროვნა, რისი თქმაც გნებავთ, რელიგიაც ხომ ასევეა. რაც უფრო საშინელ დღეშია ადამიანი, ან რაც უფრო დაჩაგრული და ღარიბია ხალხი, მით მეტი სიკერპით ეჭიდება ოცნებას, სამოთხეში ამინაზღაურდება ყველაფერიო. ხოლო თუ ამასთან ერთად ასი ათასი მღვდელიც თავგამოდებით უღვივებს ამ ოცნებას თავისდა სასარგებლოდ, მაშინ... მესმის თქვენი, ვარვარა პეტროვნა, არხეინად ბრძანდებოდეთ!

- არა, მგონი, სულ კარგად ვერ გამიგეთ. მაგრამ ერთი ეს მითხარით, ამ საცოდავ ორგანიზმში რომ ეს ოცნება ჩაეხშო (რად იხმარა ვარვარა პეტროვნამ სიტყვა „ორგანიზმი“, ვერ გამიგია), ნუთუ Nicolas-ს თვითონაც მასხარად უნდა აეგდო იგი და სხვა ჩინოვნიკებივით მოქცეოდა? ნუთუ უარყოფთ იმ წმინდა თანაგრძნობას, მისი არსების იმ კეთილშობილურ თრთოლვას, როცა ასე მკვახედ უთხრა კირილოვს: „მე არ დავცინი“. ეს წმინდაზე წმინდა პასუხი გახლავთ!

- Sublime[149], - წაიდუღუნა სტეპან ტროფიმოვიჩმა.

- ამასთან არ დაივიწყოთ, რომ Nicolas არც ისეთი მდიდარია, როგორც გგონიათ. მდიდარი მე ვარ და არა ის. ჩემთვის კი მაშინ თითქმის არაფერი გამოურთმევია.

- მესმის, ყველაფერი მესმის, ვარვარა პეტროვნა, - მოუთმენლად ცმუტავდა უკვე პიოტრ სტეპანოვიჩი.

- ო, ეს ჩემი ხასიათია! მე ჩემს თავს ვცნობ Nicolas-ში, ვცნობ სიყმაწვილის წლებს, როცა შესაძლებელია ასეთი მძაფრი გატაცებანი. ჩვენ თუ ოდესმე დავახლოვდით, პიოტრ სტეპანოვიჩ, მე ეს წრფელი გულით მწადია, მეტადრე რომ ასეთი სიკეთე მიყავით, მაშინ იქნებ გაიგოთ ისიც...

- ოჰ, მერწმუნეთ, მეც სულითა და გულით, - მსწრაფლ მიატანა პიოტრ სტეპანოვიჩმა.

- გაიგოთ ისიც, რომ კეთილშობილებით დაბრმავებულ გულს ძალუძს ყოვლად უღირსი ადამიანი, ვისაც შენი არა ესმის რა, ვინც მზადაა, როგორც კი შემთხვევა მიეცემა, სიცოცხლე გაგიმწაროს, აი ასეთი კაცი, მიუხედავად ყველაფრისა, იდეალად გაიხადო, ოცნებად დაისახო, მთელი იმედები მასზე დაამყარო, შეიყვარო და მთელი სიცოცხლე ხატად დაისვა, თუმცა არც იცი, რატომ და რისთვის - იქნებ სწორედ იმისთვის, რომ ამისი ღირსი არ არის... ვაი რამდენი ვეწამე მთელი სიცოცხლე, პიოტრ სტეპანოვიჩ!

სტეპან ტროფიმოვიჩმა ჩემკენ გამოაპარა შეწუხებული მზერა. მაგრამ მე დროზე ავარიდე თვალი.

- ...და აი, ამ ცოტა ხნის წინათ, სულ ცოტა ხნის წინათ, - ჰოი, რა დამნაშავე ვარ Nicolas-სთან!.. იცით კი, როგორ გამაწამეს ყოველი მხრიდან ყველამ, ყველამ, მტრებმა, არაკაცებმა და მეგობრებმა; მეგობრებმა იქნებ მტრებზე მეტად, როცა ის პირველი საზიზღარი ანონიმური წერილი გამომიგზავნეს, პიოტრ სტეპანოვიჩ, არ დაიჯერებთ და ძალა არ მეყო ამ გულბილწობაზე ზიზღით მეპასუხა... თავის დღეში არ ვაპატიებ ჩემს თავს ამ სულმოკლეობას!

პიოტრ სტეპანოვიჩი ერთბაშად გამოცოცხლდა: - ზოგი რამ უკვე გავიგე მაგ ანონიმურ წერილებზე, ნუ გეშინიათ, იმ ხალხს მე მოგიძებნით.

- ვერ წარმოიდგენთ, რა ინტრიგები გააბეს აჰ! ჩვენი საწყალი პრასკოვია ივანოვნაც კი არ დაინდეს. ნეტა ამას რას ერჩოდნენ? დღეს იქნებ ძალიან დავაშავე შენთან, ჩემო კარგო პრასკოვია ივანოვნა, - დაასკვნა სულგრძელად, თუმცა ცოტა არ იყოს ნიშნის მოგებით, ვარვარა პეტროვნამ.

- კარგი ერთი, გენაცვა, - უგულოდ წაიბუტბუტა პრასკოვია ივანოვნამ, - მე თუ მკითხავ, დროა მორჩეთ ამ ამბებს. ისედაც ბევრი სიტყვა დაიხარჯა...პრასკოვია ივანოვნამ კვლავ გაუბედავად გახედა ლიზას. მაგრამ ლიზა პიოტრ სტეპანოვიჩს მისჩერებოდა.

- ეს საცოდავი კი, ეს უბედური, შეშლილი არსება, რომელსაც გულის გარდა ყველაფერი წაართვა განგებამ, მე განზრახული მაქვს ახლა ვიშვილო, - წამოიძახა უეცრად ვარვარა პეტროვნამ, - ეს ჩემი ვალია და ამ ვალს წმინდად შევასრულებ. ამ დღიდან მისი ქომაგი და მფარველი მე ვიქნები!

- ეგ ერთგვარად დიახაც კარგი იქნება, - სულ გამოცოცხლდა პიოტრ სტეპანოვიჩი. - უკაცრავად და წელან აღარ დავამთავრე. მე სწორედ მაგ მფარველობაზე მინდა მოგახსენოთ. როცა ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი გაემგზავრა (მე სწორედ იმ ადგილიდან ვაგრძელებ, სადაც გავჩერდი, ვარვარა პეტროვნა), ამ ვაჟბატონმა, დიახ, დიახ, სწორედ ამ ბატონმა ლეზიადკინმა მყის წარმოიდგინა, რომ შეუძლია მისი დისათვის დანიშნული პენსიონი მთლიანად თვითონ მოიხმაროს და მოიხმარა კიდევ. ზუსტად არ ვიცი, როგორ მოაწყო მაშინ ეს საქმე ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩმა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, უკვე საზღვარგარეთ ყოფნისას, გაიგო, რაც მოხდა, ის იძულებული შეიქნა სხვანაირი თადარიგი დაეჭირა. დაწვრილებით არც ახლა ვიცი, ის თვითონ გაიმბობთ, მაგრამ ეს კი ვიცი, რომ ჩვენთვის საინტერესო პიროვნება რომელიღაც შორეულ მონასტერში მოათავსეს ფრიად კომფორტულად, ოღონდ მეგობრული მეთვალყურეობის ქვეშ - ხომ გესმით? ჰოდა, რა გგონიათ, რა გადაწყვიტა ბატონმა ლეზიადკინმა? ჯერ ძალა და ღონე არ დაიშურა იმის გასაგებად, სად გადაუმალეს საშემოსავლო წყარო ანუ და. მერე, როგორც იქნა, ამ ცოტა ხნის წინ მიაღწია მიზანს, მონასტერში რაღაც ცნობა მიიტანა, წამოიყვანა იქიდან თავისი და და პირდაპირ აქ ჩამოიყვანა. აქ არც აჭმევს, არც ასმევს, სცემს, აწვალებს. ბოლოს რაღაც საშუალებით ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩისაგან კარგა დიდი თანხა მიიღო და უმაღლოთობას მიჰყო ხელი. მადლობის ნაცვლად კი ახლა ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს უტიფრად უყენებს რაღაც უაზრო მოთხოვნებს, ემუქრება, თუ ამიერიდან პენსიონს პირდაპირ ხელში არ ჩამითვლით, სასამართლოში გიჩივლებთო. ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩის ნებაყოფლობით საჩუქარს ის ხარკად იღებს - წარმოგიდგენიათ ეს? ბატონო ლეზიადკინ, მართალია თუ არა ყველაფერი, რაც ახლა ვთქვი?

კაპიტანი აქამდე მდუმარედ იდგა და თავი დაეხარა. ახლა კი სწრაფად გადმოდგა ორი ნაბიჯი. სახე ჭარხალივით გაუხდა.

- პიოტრ სტეპანოვიჩ, ძალიან სასტიკად მექცევით, - აღმოხდა მხოლოდ ეს.

- რატომ ან რისთვის? მაგრამ სისასტიკესა თუ ლმობიერებაზე მერე იყოს, ახლა კი გთხოვთ იმაზე მიპასუხოთ: მართალია თუ არა ყველაფერი, რაც ახლა ვთქვი? თუ, თქვენი ფიქრით, მართალი არ არის, შეგიძლიათ ახლავე განაცხადოთ.

- მე... თქვენ მაინც ხომ იცით, პიოტრ სტეპანოვიჩ... - წაილულლულა კაპიტანმა და სიტყვა გაუწყდა. უნდა შევნიშნოთ, რომ პიოტრ სტეპანოვიჩი ფეხიფეხ გადადებული იჯდა სავარძელში, კაპიტანი კი მოწინებით ატუზულიყო მის წინ.

ბატონი ლეზიადკინის ყოყმანი, ეტყობა, არაფრად ეჭაშნიკა პიოტრ სტეპანოვიჩს; სახე ბოროტად დაეღრიჯა და თვალები მოწკურა.

- მართლაც ხომ არ გსურთ რაიმე განაცხადოთ? თუ ასეა, ბატონი ბრძანდებით, გელით.

- თქვენც იცით, პიოტრ სტეპანოვიჩ, რომ არაფრის განცხადება არ შემიძლია.

- არა, არ ვიცი, პირველად მესმის. ვითომ რატომ არ შეგიძლიათ?

თავდახრილი კაპიტანი დუმდა.

- გამიშვით წავიდე, პიოტრ სტეპანოვიჩ, - წაილაპარაკა გადაჭრით.

- მანამდე არა, ვიდრე ჩემს პირველ კითხვაზე არ მიპასუხებთ: მართალია ყველაფერი, რაცა ვთქვი?

- მართალი გახლავთ, - ყრუდ წაილაპარაკა ლებიადკინმა და თავის მტანჯველს ახედა. საფეთქლებზე ოფლმაც დაასხა.

- ყველაფერი მართალია?

- ყველაფერი მართალი გახლავთ.

- ხომ არაფერს დაუმატებთ, ხომ არაფერი გაქვთ კიდევ სათქმელი? თუ გრძნობთ, რომ მართალი არა ვარ, განაცხადეთ, უარყავით, ხმამაღლა გამოთქვით თქვენი უკმაყოფილება.

- არა, სათქმელი არაფერი მაქვს.

- ემუქრებოდით ამას წინათ ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს?

- ეს... ეს უფრო სიმთვრალის ბრალი იყო, პიოტრ სტეპანოვიჩ (კაპიტანმა უცებ ასწია თავი). პიოტრ სტეპანოვიჩ! თუ რომ ოჯახის პატიოსნება და დაუმსახურებელი სირცხვილი ადამიანს ხმას აამაღლებინებს, ნუთუ ესეც დანაშაულად ჩაეთვლება? - შეჰღრიალა მან წელანდელივით.

პიოტრ სტეპანოვიჩმა გამჭვალავად შეხედა: - ახლა თუ ხართ ფხიზელი, ბატონო ლებიადკინ?

- მე... მე ფხიზელი ვარ.

- რას ნიშნავს ოჯახის პატიოსნება და დაუმსახურებელი სირცხვილი?

- მე, მე... არაფერს ვამბობ. მე ეს ჩემს თავზე... - წახდა ისევ კაპიტანი.

- მგონი, ძალზე გეწყინათ, რაც თქვენზე და თქვენს საქციელზე ვთქვი? დიდი ფხუკიანი კაცი ყოფილხართ, ბატონო ლებიადკინ. მაგრამ, დაიცათ, მე ჯერ არაფერი მითქვამს თქვენს საქციელზე. ნამდვილად კი ვიტყვი. დიახ, შესაძლებელია ვთქვა, მაგრამ ჯერჯერობით კი არაფერი მითქვამს, სინამდვილეში როგორცაა.

ლებიადკინი შეკრთა და გაოგნებით მიაჩერდა პიოტრ სტეპანოვიჩს.

- პიოტრ სტეპანოვიჩ, მხოლოდ ახლა გამოვფხიზლდი კაცი!

- ჰმ. მე გამოგაფხიზლეთ?

- დიახ, თქვენ გამომაფხიზლეთ, პიოტრ სტეპანოვიჩ, ოთხი წელია მეძინა, საფრთხე კი თურმე მემუქრებოდა. შემოდოდა წავიდე ახლა, პიოტრ სტეპანოვიჩ?

- წადით, თუ ვარვარა პეტროვნას საწინააღმდეგო არაფერი აქვს...

მაგრამ ვარვარა პეტროვნამ ხელები აუქნია.

კაპიტანმა თავი დახარა, ორი ნაბიჯი გადადგა კარისკენ, მერე ერთბაშად შედგა, გულზე ხელი მიიღო, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ არა თქვა რა და გავარდა. კართან ნიკოლაი სტავროგინს შეეჩხა. იმან გზა უტია. კაპიტანი მთლად მოიკუნტა, გაშეშდა

და ისე მიაშტერდა, როგორც კურდღელი მახრჩობელა გველს. ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩმა ცოტა შეიცადა, მერე გზიდან ჩამოიშორა და სასტუმროში შემოვიდა.

VII

სტავროგინი დამშვიდებული და მხიარული ჩანდა. ვინ იცის, იქნებ ძალზე სასიამოვნო რამ შეემთხვა და ჩვენ არაფერი ვიცოდით ამაზე. ეს კია, მეტად კმაყოფილი გამოიყურებოდა.

ვარვარა პეტროვნას გულმა ველარ მოუთმინა და მის შესაგებებლად წამოიჭრა.

- მაპატიებ კი, Nicolas?

- ასეც მოველოდი! როგორც გატყობთ, უკვე ყველაფერი იცით, არა? - იცინოდა ხუმრობით და უწყინრად Nicolas, მე კი მხოლოდ კარეტაში მომაგონდა: აბა ასე როგორ წამოვედი, რამე ანეკდოტი მაინც მქამბნა-მეთქი? მაგრამ რომ მომაგონდა, პიოტრ სტეპანოვიჩი დაგიტოვებ, დარდი გადამეყარა.

სტავროგინმა სწრაფად გადაჰკრა თვალი იქ მყოფთ.

- პიოტრ სტეპანოვიჩმა ერთი ძველი ამბავი გვიამბო ერთი ახირებული კაცისა პეტერბურგში, - აღტაცებით ჩამოართვა სიტყვა ვარვარა პეტროვნამ, - ერთი ჟინიანი და დამთხვეული კაცის ამბავი, ვისაც გრძნობები მუდამ სპეტაკი აქვს და მუდამ რაინდულად კეთილშობილია...

- ოჰ, რაინდულადაც? აქამდეც მივიდა საქმე? - ხარხარებდა Nicolas, - თუმცა მადლობის მეტი რა მეთქმის ამჯერად პიოტრ სტეპანოვიჩისთვის მისი სულსწრაფობის გამო (Nicolas-მ და პიოტრ სტეპანოვიჩმა მსწრაფლ გადახედეს ერთმანეთს). უნდა იცოდეთ, maman, რომ პიოტრ სტეპანოვიჩი ყოვლის და ყველას მომრიგებელია. ამაზეა შეშლილი, ამაზე იდებს თავს და ამ მხრივ, ვფიქრობ ფრიად გამოგადგებათ. წარმომიდგენია, რა არ გაგიჭრელათ აქ. თავში ნამდვილი კანცელარია აქვს. ისიც იცოდეთ, რომ რეალისტის კვალობაზე ტყუილს არ იტყვის და ჭეშმარიტება ყველაფერს ურჩევნია... რა თქმა უნდა, თუ განსაკუთრებული შემთხვევა არა, როცა წარმატება ჭეშმარიტებას ურჩევნია... (Nicolas ლაპარაკობდა და თან-აქეთ-იქით იხედებოდა) ამგვარად, თქვენ არაფერი გაქვთ ჩემთან მოსანანიებელი და, თუ აქ ვინმეა გიჟი, რა თქმა უნდა, მე და მხოლოდ მე. სხვა რომ არა, ჩემი აქაური რეპუტაცია ხომ მაინც უნდა გავამართლო.

Nicolas ნაზად გადაეხვია დედას.

- ასეა თუ ისე, ეს ამბავი გაირკვა და მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს, - დასძინა ბოლოს რაღაც მტკიცედ და ცივად. მაგრამ ამ სიტყვებმა ვარვარა პეტროვნას აღფრთოვანება არ გაუნელა, პირიქით.

- ერთ თვეზე ადრე არაფრით არ გელოდით, Nicolas!

- Maman, მე ყველაფერს აგისხნით, ახლა კი...

Nicolas პრასკოვია ივანოვნასკენ გაიმართა.

პრასკოვია ივანოვნას მისმა მოსვლამ პირველ წუთებში თავზარი დასცა, მაგრამ ახლა არც მიუბრუნდა - სხვა თავსატეხი გასჩენოდა: კაპიტანი რომ ზღურბლზე ნიკოლაი სტავროგინს შეეჩება, ლიზას უეცრივ ჩუმი სიცილი წასკდა, მერე თანდათან მოერია და ახლა ხმამაღლა, დაუფარავად კისკისებდა. წამოწითლდა კიდეც, ეს კი მის წელანდელ მოღუშულ სახეს სულაც არ შეეფერებოდა. ვინემ ნიკოლაი სტავროგინი ვარვარა პეტროვნას ელაპარაკებოდა, ლიზამ ერთი-ორჯერ მიიხმო მავრიკი ნიკოლაევიჩი, თითქოს რაღაც უნდაო უთხრას, მაგრამ რა წამს მავრიკი ნიკოლაევიჩი მისკენ დაიხრებოდა, მყისვე კისკისი აუტყდებოდა, გეგონებოდა, სწორედ საწყალ მავრიკი ნიკოლაევიჩს დასცინისო. ესეც კია, სიცილის შეკავებას ცდილობდა და ცხვირსახოცს ტუჩებზე იფარებდა. ნიკოლაი სტავროგინი ყოვლად უწყინარი და მშვიდი იერით მიესალმა.

- თუ შეიძლება მაპატიეთ, - საჩქაროდ მიაგება ლიზამ, - მავრიკი ნიკოლაევიჩ... ალბათ ნახეთ უკვე.. ღმერთო, რა აუტანელი მაღალი ხართ, მავრიკი ნიკოლაევიჩ!

ლიზამ ისევ გადაიკისკისა. მავრიკი ნიკოლაევიჩი მაღალი კი იყო, მაგრამ არც ისეთი აუტანელი მაღალი.

- დიდი ხანია... ჩამობრძანდით? - წაიდუდუნა ლიზამ და სიცილი ძლივს შეიკავა. შერცხვა კიდეც, თუმცა თვალები ნაკვერჩხლებივით უღვიოდა.

- ორ საათზე მეტი იქნება, - მიუგო Nicolas-მ და დაკვირვებით შეხედა. აქვე შევნიშნავ, რომ სტავროგინი საოცრად თავშეკავებული და თავაზიანი ჩანდა. ეს თავაზიანობა რომ არა, სრულიად გულგრილი და უხალისოც გეჩვენებოდათ.

- ბინად სად იქნებით?

- აქ.

ვარვარა პეტროვნაც ლიზას მისჩერებოდა. ერთბაშად რაღაც ფიქრმა გაჰკრა თავში და მათკენ წამოვიდა.

- ეს ორი საათი სად იყავი, Nicolas? მატარებელი ხომ ათზე ჩამოდის.

- ჯერ პიოტრ სტეპანოვიჩი მივიყვანე კირილოვთან. პიოტრ სტეპანოვიჩს მატვეევოში შევხვდი (სამი სადგურის იქით), ერთი ვაგონით ჩამოვედით.

- ალიონიდან მატვეევოში ვყურყუტებდი, - უმაღლესო პიოტრ სტეპანოვიჩმა, - უკანა ვაგონები ღამით ლიანდაგიდან გადავარდა, კინაღამ ფეხები მოვიტეხეთ.

- ფეხები მოიტეხეთ! - შეჰყვირა ლიზამ, - maman, maman, აკი მე და თქვენ მატვეევოში ვაპირებდით წინა კვირას წასვლას, წარმოგიდგენიათ, ფეხები რომ მოგვეტეხა.

- ღმერთმა დაგვიფაროს! - პირჯვარი გადაიწერა პრასკოვია ივანოვნამ.

- Maman, maman, ჩემო კარგო, არ შეგეშინდეთ, თუ მართლა ფეხები მოვიტეხე; აკი მეუბნებით, ისე დააჭენებ ცხენს, კისერს მოიტეხო. მავრიკი ნიკოლაევიჩ, ხომ მატარებთ, თუ დაგვოჭლდები? - გადაიკისკისა ისევ ლიზამ. - ეს თუ მოხდა, იცოდეთ თქვენს მეტს არავის მივცემ უფლებას მატაროს. თუნდაც მარტო ერთი ფეხი

მოვიტეხო... ზრდილობის გულისთვის მაინც მითხარით, ჩემთვის ბედნიერება იქნება-თქო.

მავრიკი ნიკოლაევიჩმა დინჯად შეჰყარა წარბები.

- რა ბედნიერებაა ცალფეხა ყოფნა?

- სამაგიეროდ, თქვენ მატარებთ, მხოლოდ თქვენ, სხვა არავინ.

- მაშინაც თქვენს ჭკუაზე მატარებთ, ლიზავეტა ნიკოლაევნა, - დინჯად მიუგო მავრიკი ნიკოლაევიჩმა.

- ღმერთო ჩემო, კინალამ კალამბური არა თქვა! - შეძრწუნებით შეჰკვივლა ლიზამ. - მავრიკი ნიკოლაევიჩ, თავის დღეში აღარ გაბედოთ ეს! მაგრამ რა ეგოისტი ყოფილხართ თურმე! თუმცა დარწმუნებული ვარ, თქვენს თავს ახლა ცილს სწამებთ. პირიქით: იქნებ დილიდან საღამომდე მარწმუნოთ, უფეხო უფრო ლამაზიც ხარო! მაგრამ ამას რა ეშველება, ხელიხელგაყრილი როგორ მატარებთ, როცა თქვენ ასეთი მაღალი ხართ, მე კი უფეხო სულ პატარა ვიქნები. რა შესაფერისი წყვილი გამოვალთ!

ლიზას ისტერიკულად გაეცინა. უკბილო იყო მისი ხუმრობა და ქარაგმები, მაგრამ, ეტყობა, ამას აღარ დაეძებდა.

- ისტერიკამ მოუარა! - ჩამჩურჩულა პიოტრ სტეპანოვიჩმა. - წყალი ჩქარა!

პიოტრ სტეპანოვიჩი მართალი გამოდგა; ერთი წუთის შემდეგ ყველა დაფეთებული დარბოდა, წყალიც მოიტანეს. ლიზა დედამისს ეხვეოდა, მხურვალედ კოცნიდა, ხან მის მხარზე ქვითინებდა, ხან თავს გადააგდებდა, სახეში ჩახედავდა და ისევ კისკისებდა. მალე დედამისიც აფშლუკუნდა. ვარვარა პეტროვნამ ისინი საჩქაროდ თავის ოთახში გაიყვანა და სწორედ იმ კარით, საიდანაც წელან დარია პავლოვნა შემოვიდა. იქ დიდხანს არ დარჩენილან, დიდი-დიდი ოთხიოდე წუთი.

ახლა ვცდილობ ყოველი წვრილმანი მოვიგონო ამ სამახსოვრო დილისა. როცა ქალები გავიდნენ (დარია პავლოვნას გარდა, ის ადგილიდან არ დაძრულა), მახსოვს, ნიკოლაი სტავროგინმა ყველას ჩამოგვიარა და შატოვის გარდა სათითაოდ ყველას ჩამოგვართვა ხელი. შატოვი ისევ კუთხეში იჯდა თავჩაქინდრული. სტეპან ტროფიმოვიჩმა რაღაც გონებამახვილური საუბარი გაუბა ნიკოლაი სტავროგინს, მაგრამ ამ უკანასკნელმა საჩქაროდ დარია პავლოვნას მიაშურა. პიოტრ სტეპანოვიჩმა გზა გადაუჭრა და თითქმის ძალით მიათრია ფანჯარასთან. სახის გამომეტყველებასა და ხელების ქნევაზე ეტყობოდა, რაოდენ დიდად მნიშვნელოვან საქმეზე ეჭურჩულებოდა. სტავროგინი თავისი ოფიციალური ღიმილით უგულისყუროდ უსმენდა, ბოლოს მოუთმენლობა დაეტყო. როცა ჩვენი ქალბატონები დაბრუნდნენ, სტავროგინიც მოშორდა ფანჯარას. ვარვარა პეტროვნამ ლიზა ისევ სავარძელში ჩასვა, არწმუნებდა, ათიოდე წუთი მაინც უნდა შეიცადოთ, ახლა სუფთა ჰაერზე გასვლა გაღიზიანებულ ნერვებს ავნებსო. ლიზას ის რაღაც მეტისმეტი ზრუნვით დატრიალებდა და გვერდითაც მოუჯდა. მათ უმაღლეს პიოტრ სტეპანოვიჩი მიეახლა და სასწრაფოდ მხიარული ბაასი გააბა. სწორედ მაშინ მიუახლოვდა სტავროგინი აუჩქარებლად დარია პავლოვნას; დაშა მთელი ტანით შეტოკდა მის მიახლოებაზე და ალანძული სახით წამოხტა.

- მგონი, შეიძლება მოგილოცოთ... თუ ჯერ კიდევ არა? - უთხრა სტავროგინმა უცნაური გამომეტყველებით.

დაშამ რაღაც უპასუხა, მაგრამ რა, ვერ გავარჩიე.

ნიკოლაი სტავროგინმა ხმას აუმაღლა: - მაპატიეთ კადნიერება, მაგრამ იცით თუ არა, რომ საგანგებოდ შემატყობინეს ეს ამბავი?

- დიახ, ვიცი.

ნიკოლაი სტავროგინს გაეცინა: - იმედია, ჩემი მოლოცვით ხელი არ შეგიშალებთ და თუ სტეპან ტროფიმოვიჩი...

- რაო, რას ულოცავთ? - გამოქანდა მათკენ პიოტრ სტეპანოვიჩი, - რას გილოცავენ, დარია პავლოვნა? ვა! იმას ხომ არა? გაწითლება მოწმობს, რომ გამოვიცანი. მართლაც და სხვა რა უნდა მიულოცო ჩვენს ტურფა და კდემამოსილ ქალიშვილებს და რისი მოლოცვა აწითლებთ ხოლმე ყველაზე მეტად? ჰოდა, ჩემგანაც მიიღეთ მოლოცვა, თუკი გამოვიცანი, და წაგებულნი სანადლეოც ჩამოდით: გახსოვთ, შვეიცარიაში ნადლევი რომ დამიდეთ, თავის დღეში არ გავთხოვდებიო... ჰო, მართლა, როგორ დამავიწყდა, კაცი თითქმის ამისთვის ჩამოვედი. ერთი მითხარი, შენ როდისღა მიემგზავრები შვეიცარიაში? - მიუბრუნდა იგი სტეპან ტროფიმოვიჩს.

- მე... შვეიცარიაში? - შეცბა სტეპან ტროფიმოვიჩი.

- როგორ? არ მიდიხარ? აკი ცოლს ვირთავო... მომწერე.

- Pierre! - შესძახა სტეპან ტროფიმოვიჩმა.

- რა შუაშია Pierre... თუ გინდა იცოდე, მე უფრო იმის სათქმელად გამოვქანდი აქეთ, წინააღმდეგი სულაც არა ვარ-მეთქი, რაკი ჩემი აზრის გაგება ასე გემურებოდა. ხოლო თუ შენი „გადარჩენა“ საჭირო, როგორც იქვე მწერ და მემუდარები (სხაპასხუპით აყრიდა იგი), კი ბატონო, მიმსახურე, როგორც გინდა. არა, მართლა თხოულობს ცოლს, ვარვარა პეტროვნა? - მიუბრუნდა იგი ვარვარა პეტროვნას, - იმედია, მოურიდებლობაში არ ჩამომართმევთ; თვითონვე მწერს, მთელმა ქალაქმა იცის და ყველა მილოცავს, ამიტომაც მხოლოდ დამდამობით გამოვდივარ ქუჩაშიო. წერილი ჯიბეში მიდევს. მაგრამ დამიჯერებთ კი, ვარვარა პეტროვნა, ვერაფერი გავუგე ამ წერილს! შენ მარტო ის მითხარი, სტეპან ტროფიმოვიჩ, მოგილოცო თუ „გადაგარჩინო“. არ დაიჯერებთ და უბედნიერეს სტრიქონებს უაღრესად სასოწარკვეთილი სტრიქონები მოსდევს. ჯერ ერთი, პატიებას მთხოვს; ეს არაფერი, ეს მაგას მუდამ ჩვევია... თუმცა არ შემიძლია არა ვთქვა: კაცს ცხოვრებაში ორჯერ ვყავარ ნანახი, ისიც შემთხვევით, ახლა კი, მესამე ცოლის თხოვისას, უცებ წარმოიდგინა, თითქოსდა ამით მამობრივ მოვალეობას დალატობს. ამ სიშორიდან მემუდარება, არ გაჯავრდე და თანხმობა მომეო! არ გეწყინოს კი, სტეპან ტროფიმოვიჩ, მაგრამ შენი დროის ხალხისთვის ეს დამახასიათებელია. მე ვიწრო თვალსაზრისის კაცი არა ვარ ცხოვრებაში და მესმის ყველაფერი, შეიძლება მოსაწონიც იყოს შენი მხრივ და სხვა და სხვა, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ მთავარი არ მესმის. იქ რაღაც „შვეიცარიის ცოდვებზე“ კიდევ ლაპარაკი, სხვის ცოდვებზე თუ ცოდვების გამო ვქორწინდებიო, ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, ცოდვები კია ნახსენები. მწერს, თვით ქალიშვილი მარგალიტი და ალმასიაო, ჰოდა,

ცხადია, ღირსი არა ვარო, - ერთი სიტყვით, როგორც სჩვევიათ ხოლმე წერა მაგის დროის ხალხს, მაგრამ რაღაც ცოდვებისა თუ გარემოების მიზეზით „იძულებული ვარ ჯვარი დავიწერო და შვეიცარიაში გავემგზავრო“, ამიტომ „ყველაფერს თავი ანებე და სასწრაფოდ ჩამოდი, გადამარჩინე“. თუ გესმით რამე? თუმცა.. თუმცა (პიოტრ სტეპანოვიჩი გულუბრყვილო ღიმილით აჩერდებოდა ყველას, წერილი ხელში ეჭირა), სახეზე გატყობთ, ჩვეულებისამებრ რაღაც შემცდა... ჩემი სულელური გულახდილობით, თუ როგორც ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი ამბობს, სულსწრაფობით. მე მეგონა, აქ ყველანი ჩვენიანები არიან, ანუ შენიანები არიან, სტეპან ტროფიმოვიჩ, შენიანები და არა ჩემიანები, ვინაიდან მე აქ უცხო ვარ და ვატყობ... ვატყობ, ყველამ რაღაც იცის, მე კი არაფერი ვიცი.

პიოტრ სტეპანოვიჩი კვლავ აქეთ იქით იყურებოდა.

- სტეპან ტროფიმოვიჩმა მართლა მოგწერათ, „შვეიცარიაში მომხდარ სხვის ცოდვებზე“ ვქორწინდები და აქ ჩამოდი, გადამარჩინე, სწორედ ამ სიტყვებით? - მიუახლოვდა და უცებ პიოტრ სტეპანოვიჩს მთლად გამწვანებული ვარვარა პეტროვნა, რომელსაც ტუჩები უცახცახებდა. პიოტრ სტეპანოვიჩი თითქოს შეშინდა და სხაპასხუპით მიაყარა: - არა, თუ მე აქ რაიმე კარგად ვერ გავიგე, რა თქმა უნდა, მისი ბრალია, ასე რომ იწერება. აი, წერილი. იცით, ვარვარა პეტროვნა, რამდენ წერილს მიგზავნიდა, უკანასკნელი ორი-სამი თვე კი წერილს წერილზე მაყრიდა, გამოგიტყდებით, და ზოგჯერ ბოლომდე არც ვკითხულობდი: უკაცრავად შენთან, სტეპან ტროფიმოვიჩ, ამ სულელური გულახდილობისთვის, მაგრამ შენთვის სულ ერთი არ არის, შენ ხომ ჩემთვის არ წერდი, უფრო შთამომავლობისთვის წერდი... კარგი, კარგი, გული ნუ მოგდის; მე და შენ მაინც შინაურები ვართ! მაგრამ ეს წერილი კი, ვარვარა პეტროვნა, ბოლომდე ჩავიკითხე. ეგ „ცოდვები“, ეგ „სხვისი ცოდვები“ ალბათ ჩვენი საკუთარია და თანაც ყოვლად უმანკო ცოდვებია, რომლის გულისთვისაც ავტეხეთ ეს ვაი-უშველებელი კეთილშობილების გამოსაჩენად - სწორედ ამ კეთილშობილებისთვისაც ავტეხეთ. იცით, ალბათ ფულის საქმეც ვერა გვაქვს კარგად - ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გამოვტყდეთ. რა ვქნათ, კარტის თამაში ძალიან გვიყვარს... თუმცა რას ვამბობ, ეს სულ ზედმეტია, უკაცრავად, მეტისმეტი ყბედი გახლავართ, მაგრამ, ღმერთმანი, ვარვარა პეტროვნა, ძალიან შემაშინა და მართლა მოვემზადე, ასე ვთქვათ მის „გადასარჩენად“. ბოლოს და ბოლოს მე თვითონ მრცხვენია. რა არის, მართლა და მართლა, დანით ხომ არ ვადგავარ ყელზე? რა ისეთი შეუბრალებელი მევალე მე მნახა? იქ რაღაცას იწერება მზითევზე... თუმცა მართლა თხოულობ კი ცოლს, სტეპან ტროფიმოვიჩ? ჩვენგან რა გასაკვირია, ვიქაქანოთ, ვიქაქანოთ, უფრო კი ლამაზი სიტყვებისთვის... აჰ, ვარვარა პეტროვნა, დარწმუნებული ვარ, რომ მგონი, თქვენც მკიცხავთ ახლა სწორედ ამ ლამაზი სიტყვებისთვის...

- პირიქით, პირიქით, გატყობთ, მოთმინების ფიალა აგვესოთ, რა თქმა უნდა, მიზეზიც გქონდათ საამისოდ, - ღვარძლიანად მიატანა ვარვარა პეტროვნამ.

პიოტრ სტეპანოვიჩის ეს „გულმართალი“ მჭევრმეტყველება ნიშნის მოგებით მოისმინა ვარვარა პეტროვნამ. ეს ყმაწვილი რაღაც როლს თამაშობდა (თუმცა რა როლს, მაშინ არ ვიცოდი. მაგრამ რომ თამაშობდა და მეტისმეტად უხეშადაც თამაშობდა, ეს აშკარა იყო.) - პირიქით, მე დიდად მადლობელი ვარ თქვენი, - განაგრძო ვარვარა პეტროვნამ, - უთქვენოდ ვერაფერს გავიგებდი. ამ ოცი წლის

მანძილზე პირველად ამეხილა თვალი. ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი, მგონი, თქვით, მეც საგანგებოდ შემატყობინესო: თქვენც ხომ არ მოგწერათ სტეპან ტროფიმოვიჩმა მსგავსი რამ?

- მე მისგან უწყინარი და... კეთილშობილური წერილი მივიღე.

- გაგიჭირდათ? შესაფერისი სიტყვა ვერ მოძებნეთ? ო, კმარა, კმარა. სტეპან ტროფიმოვიჩი, - მიუბრუნდა ერთბაშად ვარვარა პეტროვნა და თვალები აუბრიალდა, - მოიღეთ წყალობა და ახლავე დატოვეთ აქაურობა, ამიერიდან ჩემი სახლის ზღურბლს აღარ გადმოაბიჯოთ.

გთხოვთ გაიხსენოთ, რა „ეგზალტაციამ“ აიტანა წედან ვარვარა პეტროვნა და არც ახლა იყო დამშვიდებული. სტეპან ტროფიმოვიჩიც რომ ერთობ დამნაშავე იყო, ესეც მართალია, მაგრამ მაშინ კი უფრო იმან განმაცვიფრა, რა გასაოცარი ღირსებით მოისმინა მან პეტრუმას „მხილებანი“ - ერთხელაც არ შეაწყვეტინა - და ვარვარა პეტროვნას „შერისხვაც“. სად აღმოაჩნდა უცებ ამდენი სულიერი ძალა? ერთი კი ცხადი იყო ჩემთვის, რომ სწორედ პეტრუმასთან წედანდელმა შეხვედრამ, სწორედ ამ წედანდელმა ხვევნა-კოცნამ გულის სიღრმემდე შეურაცხყო იგი. ეს იყო ღრმა, ჭეშმარიტი მწუხარება, ყოველ შემთხვევაში, მის თვალში. მაგრამ იმ წუთს სხვა დარდიც აწუხებდა. გრძნობდა, რა სიმდაბლე ჩაიდინა და ეს უღრღნიდა გულს. შემდეგ თვითონაც გამომიტყდა გულახდილად ამაში. ხოლო ჭეშმარიტი მწუხარება ზოგჯერ ფუქსავატ კაცსაც დაადინჯებს და საოცარ ძალას შემატებს, თუნდაც სულ მცირე ხნით. მეტსაც ვიტყვი, ნამდვილი მწუხარება ზოგჯერ ბრიყვსაც დააჭკვიანებს, ცხადია, იმასაც დროებით, ასე იცის თურმე მწუხარებამ. ჰოდა, თუ ასეა, მაშ რაღა დაემართებოდა სტეპან ტროფიმოვიჩისთანა კაცს? მთელ გარდატეხას გამოიწვევდა - რა თქმა უნდა, მხოლოდ დროებით. სტეპან ტროფიმოვიჩმა დიდი ღირსებით დაუკრა თავი ვარვარა პეტროვნას. კრინტი არ დაუძრავს (ან კი რა ჰქონდა სათქმელი). ასეც დააპირა გასვლა, მაგრამ ვეღარ მოითმინა და დარია პავლოვნასკენ გაემართა. დარია პავლოვნას, ეტყობა, გულმა უგრძნო და მაშინვე ფეხზე წამოვარდა შემინებული.

- ღვთის გულისთვის, სტეპან ტროფიმოვიჩი, ძალიან გთხოვთ, ნურაფერს მეტყვიით, - დაასწრო შეწუხებულმა ქალმა და ხელი გაუწოდა, - მერწმუნეთ, კვლავ ისევე პატივსა გცემთ... ისევე გაფასებთ და... ნურც ჩემზე იფიქრებთ ცუდს, ეს ჩემთვის მეტად ძვირფასი იქნება...

სტეპან ტროფიმოვიჩმა მდაბლად, ძალზე მდაბლად დაუკრა თავი.

- ნება შენია, დარია პავლოვნა, შენ იცი, რომ მუდამ შენი ნება იყო და იქნება! - მრავლისმეტყველად დაასკვნა ვარვარა პეტროვნამ.

- ვაჰ! ახლა მეც მესმის ყველაფერი! - შუბლში იტკიცა ხელი პიოტრ სტეპანოვიჩმა, - მაგრამ... ეს რა მიყვეს, რა დღეში ჩამაგდეს? დარია პავლოვნა, თუ შეიძლება მაპატიეთ!.. ეს რა მიყავი, ჰა? - მიუტრიალდა მამამისს.

- Pierre, არ შეგიძლია სხვანაირად მელაპარაკო, ჩემო მეგობარო? - ძალზე ჩუმი ხმით წაულაპარაკა სტეპან ტროფიმოვიჩმა.

- ნუ ყვირი, გეთაყვა, - ხელები აუქნია Pierre-მა. - მერწმუნე, დაბერდი, დაუძღვრდი და ნერვებმა გიმტყუნა. ყვირილი არაფერს გიშველის. შენ ისა თქვი, თავიდან რატომ არ გამაფრთხილე, როგორ ვერ იფიქრე, რაღაც წამომცდებოდა.

სტეპან ტროფიმოვიჩმა გამჭვალავად შეხედა: - შენ იმდენი რამ იცი, Pierre, აქაური ამბებისა, დავიჯერო, ყური არ მოგიკრავს, მართლა არაფერი გაგიგონია ამაზე?

- რაოო? ერთი ამას უყურეთ! ჩვენ თურმე არა მარტო ბებერი, ბოროტი ბავშვიც ყვოფილვართ? არა, გესმით კი, ვარვარა პეტროვნა, რა მითხრა?

ყველანი ახმაურდნენ; ამ დროს კი ანაზდად ერთი ისეთი ამბავი მოხდა, რომელსაც არავინ მოელოდა.

VIII

უწინარეს ყოვლისა უნდა მოგახსენოთ, რომ ლიზავეტა ნიკოლაევნას ამ უკანასკნელ ორ-სამ წუთს ისევ რაღაც მოუსვენრობა შეუდგა. შემფოთებული სახით რაღაცას ეჩურჩულებოდა დედამისსა და მისკენ დახრილ მავრიკი ნიკოლაევიჩს. ეტყობოდა, რაღაც გადაწყვეტილება მიეღო. ბოლოს წამოდგა და წასვლა დააპირა. დედასაც აჩქარებდა, რომელსაც მავრიკი ნიკოლაევიჩი შველოდა წამოდგომაში. მაგრამ, როგორც ჩანს, განგებამ არ მოისურვა ისე წასულიყვნენ, ბოლომდე არ ენახათ ყველაფერი.

შატოვი, რომელიც ყველასაგან მივიწყებული იჯდა კუთხეში (ლიზავეტა ნიკოლაევნას ახლოს) - ალბათ თვითონაც არ იცოდა, რად იჯდა აქ და რად არ მიდიოდა, - მოულოდნელად წამოდგა სკამიდან და მტკიცე, აუჩქარებელი ნაბიჯით ნიკოლაი სტავროგინისაკენ გაემართა. სტავროგინმა შორიდანვე შეამჩნია მისი ჯიქური მზერა და ოდნავ გაეღიმა, მაგრამ შატოვის მიახლოებისთანავე ღიმილი მყის ჩამოერეცხა სახიდან.

შატოვი უხმოდ დაუდგა წინ სტავროგინს. ჩვენ ყველანი გავირინდეთ. მხოლოდ პიოტრ სტეპანოვიჩმა ვერ შეამჩნია ვერაფერი. ლიზა და დედამისი შუა ოთახში გაჩერდნენ. ხუთიოდე წამს სიჩუმე იდგა; ნიკოლაი სტავროგინს ჯერ ზვიადი გაოცება გამოეხატა სახეზე, მერე რისხვით შეჭმუხნა წარბები და უცებ...

უცებ შატოვმა მოიქნია თავისი ვეება მძიმე ხელი და მთელი ძალით სთხლიშა ლოყაში. სტავროგინი ადგილზე შექანდა.

ეს გარტყმა რაღაც სხვანაირი იყო, თუ შეიძლება ითქვას, არა ისეთი, როგორც ჩვეულებრივ იციან ხოლმე, შატოვმა აიღო და ხელისგულის ნაცვლად თავისი ვეება, ძვლიანი, წითური ბალნით დაფარული და გაჭორფლილი მუშტი სთხლიშა. ეს რომ ცხვირში მოხვედროდა, ცხვირს ჩაულეწავდა, მაგრამ ნიკოლაი სტავროგინს მუშტი მარცხენა ლოყაზე მოხვდა, ზედა ტუჩსა და კბილებზე, საიდანაც მყის სისხლმა ითქრიალა.

არ მახსოვს კარგად, ვინ იკივლა იმ წუთს, ვარვარა პეტროვნამ თუ სხვამ, ეს კია, კივილი უმაღლვე შეწყდა და ისევ ყველა თითქოს გაირინდა. თუმცა მთელი ეს ამბავი ათიოდე წამზე მეტს არ გაგრძელებულა.

მაგრამ ათიოდე წამშიც საკმაოდ ბევრი რამ მოხდა. კიდევ შევახსენებ მკითხველს, რომ ნიკოლაი სტავროგინი იმ ჯურის ხალხს ეკუთვნოდა, რომლებმაც შიში არ იციან. დუელის დროს გულგრილად შეეძლო მდგარიყო მოწინააღმდეგის დამბაჩის წინ და თვითონაც ხელი არ აუკანკალდებოდა, ისე მოჰკლავდა კაცს. ვისმე რომ მისთვის სილა გაეწნა, ჩემი აზრით, დუელში არც გამოიწვევდა, იქვე, იმ წუთში გააქრობდა. გააქრობდა სავსებით შეგნებულად და არა იმიტომ, სიბრაზისაგან გონება დაეკარგა. ის სწორედ ასეთი კაცი იყო. არც ის მგონია, ისეთი სიშმაგე გამოეცადოს როდისმე, თვალთ დაბნელებოდეს და განსჯის უნარი წართმეოდეს. უზომო გაბოროტების დროსაც, რაც ზოგჯერ სჩვეოდა, გონებას მუდამ ინარჩუნებდა და, მაშასადამე, ისიც იცოდა, რომ კაცის მოკვლისთვის კატორღაში უკრავდნენ თავს; მიუხედავად ამისა, თავის შეურაცხმყოფელს მაინც უყოყმანოდ გააცხებიანებდა სულს.

ეს უკანასკნელი ხანი მე კარგად შევისწავლე ნიკოლაი სტავროგინი და განსაკუთრებული გარემოებების წყალობით ბევრი ცნობა მაქვს დაგროვილი მის ირგვლივ, როცა ამას ვწერ. მე რომ მკითხონ, ამ კაცს აწ გარდასული დროის იმ ვაჟბატონებს შევადარებდი, რომელთა ამბავი ზღაპარივით შემორჩენია ჩვენს საზოგადოებას. მაგალითად, დეკაბრისტ ლ-ნზე ამბობდნენ, მთელი სიცოცხლე ხიფათის ძიებაში იყო, ხიფათის განცდა უდიდეს ნეტარებას ანიჭებდა და ბოლოს მოთხოვნილებად ექცაო. ყმაწვილკაცობაში ყოვლად უმიზეზოდ იწვევდა თურმე დუელში ხალხს; ციმბირში დათვებს არ ეპუებოდა და მარტო დანით შეებმებოდაო, არ ერიდებოდა ციმბირის ტყეებში გაქცეულ კატორღელებსაცო, რომლებიც, აქვე ვიტყვი, და დათვზე საშიშნი არიან. ეჭვი არაა, ამ ბატონებისათვის დიახაც უცხო არ იყო შიშის გრძნობა, თორემ მეტ სიდიხჯეს გამოიჩენდნენ და ხიფათის განცდას თავიანთი ბუნების მოთხოვნილებად არ აქცევდნენ. მათ, რა თქმა უნდა, შიშის დაძლევა იტაცებდათ ყველაზე მეტად. გამარჯვების ის ნეტარი გრძნობა, რომ შენი მძლეველი არავინ არის, აი, რა ხიბლავდათ მათ. ეს ლ-ნი[150] ჯერ კიდევ გადასახლებამდე რამდენიმე ხანს მშიერი დადიოდა და რის გაჭირვებით ირჩენდა თავს, ვინაიდან მდიდარი მამის მოთხოვნები უსამართლოდ მიაჩნდა და დამორჩილება არ ისურვა. მაშასადამე, ბრძოლა მას მრავალმხრივად ესმოდა; საკუთარი ხასიათის სიმტკიცესა და ძალას მარტო დათვებთან შებმითა და დუელებით როდი სცდიდა.

მაგრამ მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ჩვენი დროის ძარღვებაწეწილ და გაორებული ბუნების ადამიანებს სრულიად ზედმეტად მიაჩნიათ იმ უშუალო და ძლიერ განცდათა მოთხოვნილება, რომელიც ეგზომ ხიბლავდა ძველი დალოცვილი დროის ამ ბობოქარი სულის ვაჟბატონებს. ნიკოლაი სტავროგინს იქნებ სასაცილოდ აეგდო ახლა ლ-ნი, იქნებ ვაჟკაცობაზე თავდადებულ მამლაცინწად მოენათლა, - თუმცადა თქმით არა ეთქვა რა. სტავროგინი დუელშიაც მოკლავდა მოწინააღმდეგეს, დათვსაც შეებმოდა, თუ საჭირო იქნებოდა, ლ-ნივით გულოვნად დაუხვდებოდა ტყეში ყაჩაღსაც, მაგრამ ეს მისთვის მხოლოდ მოსაწყენი მოვალეობის მოხდა იქნებოდა და არა სიამოვნება. ნიკოლაი სტავროგინმა ისეთი გულმოსვლა და გაბოროტება იცოდა, ლ-ნი კი არა და ვერც ლერმონტოვი მოვიდოდა მასთან; იქნებ ორთავესთვისაც ეჯობნა გაბოროტებაში, მაგრამ ეს იყო გულცივი, აუღელვებელი, თუ შეიძლება ასე ითქვას - გონისეული შემზარავი სახე გაბოროტებისა. კიდევ ვიმეორებ: ნიკოლაი სტავროგინი მე მაშინაც მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია (როცა უკვე ყველაფერი

დამთავრდა) სწორედ იმ ჯურის კაცად, ვისთვისაც სილა რომ გაერთყათ ან ამდაგვარი შეურაცხყოფა მიეყენებინათ, უმალ იქვე მოკლავდა თავის მოქიშპეს.

მაგრამ ამ შემთხვევაში კი სწორედ სულ სხვა, საკვირველი ამბავი მოხდა.

რაწამს წელში გასწორდა, ვინაიდან თითქმის ნახევრამდე გადააქანა სახეში გარტყმულმა სილამ, რომლის საზიზღარი ხმა ჯერ კიდევ ყურებში გვიწიოდა, ნიკოლაი სტავროგინი უმალ მხრებში სწვდა შატოვს, მაგრამ მაშინვე, თითქმის იმავე წუთს, უკანვე წაიღო ხელები, ზურგზე დაიჭლო და უხმოდ მიაჩერდა. ეს კია, მიტკალივით გაუთეთრდა სახე. თუმცა თვალებში კი, საოცარია, თითქოს ნელ-ნელა ჩაუქრა ცეცხლი. ათიოდე წამის შემდეგ ეს თვალები უკვე ცივად და, დარწმუნებული ვარ, რომ არ ვტყუი, - მშვიდად იყურებოდნენ, ოღონდაც ფერი მაინც საშინელი ედო. გულში რას გრძნობდა ეს კაცი, არ ვიცი, მე გარეგნობით ვმსჯელობ. მაგრამ მგონია კი, კაცს რომ, მაგალითად, გავარვარებული რკინისთვის მოეჭირა ხელი თავის ამტანობის გამოსაცდელად, მთელი ათი წამი აუტანელ ტკივილს შებრძოლებოდა და ბოლოს დაეძლია კიდევ, დაახლოებით იმას იგრძნობდა ჩემი აზრით, რაც ამ ათ წამში განიცადა სტავროგინმა.

ამ ორში პირველმა შატოვმა დახარა თავი, ალბათ იმიტომ, რომ არ შეეძლო არ დაეხარა. შემდეგ ნელა მობრუნდა და კარისკენ წავიდა. მაგრამ ახლა სულ სხვანაირად მიდიოდა: მხრები რაღაც უხერხულად აეწურა, თავი ჩაეკიდა და თითქოს რაღაცას ჩუმად ედავებოდა თავის თავს. კარს ისე მიაღწია, არც არაფერს გამოსდებია და არც არაფერი გადაუყირავებია. კარიც ისე პატარაზე გამოაღო, ძლივს გაეტია შიგ. კეფაზე აბურძგნილი თმა ახლა უფრო შესამჩნევად ეტყობოდა.

შემდეგ, ვინემ სხვები აყვირდებოდნენ, საშინლად იკივლა ვილაცამ. თვალი შევასწარ, როგორ წაეტანა ლიზავეტა ნიკოლაევნა დედას მხარზე, მავრიკი ნიკოლაევიჩს კი ხელზე, რა არის კარისკენ გაეტაცნა ისინი, მაგრამ ერთბაშად შეჰკივლა და გულწასულმა ზღართან მიადინა იატაკზე. აქამდე ყურში მიდგას, როგორ დაახეთქა კეფა ხალიჩას.

ნაწილი მეორე

თავი პირველი. ღამე

I

გავიდა რვა დღე, როცა ყველაფერმა ჩაიარა და მე ქრონიკას ვწერ, უკვე ვიცი, რაც მოხდა და როგორც მოხდა. მაგრამ მაშინ კი არაფერი ვიცოდით და ამიტომაც ბევრი რამ უცნაურად გვეჩვენებოდა. ყოველ შემთხვევაში, მე და სტეპან ტროფიმოვიჩი პირველ ხანებში შინ გამოვიკეტეთ და შიშნეულად ვუთვალთვალეზდით ამბებს შორიდან. თუმცა მე აქა-იქ მაინც დავდიოდი და ძველებურად მომქონდა მისთვის ცნობები, ურომლისოდაც ვეღარ გაეძლო.

რა ლაპარაკი უნდა, რომ ქალაქში ათასნაირი ხმა დაირხა კვირანდელ ამბებზე. ჩურჩულებდნენ, სტავროგინს სილა სტკიცესო. ლიზავეტა ნიკოლაევნას გული წაუვიდაო, ერთი სიტყვით, იქ რაც მოხდა და დატრიალდა. მაგრამ ჩვენთვის ეს იყო საკვირველი: ვინ გამოიტანა ასე მალე და ასე ზუსტად ეს ყოველივე? იქ დამსწრეთაგან, მგონი, არავის სჭირდებოდა და არავის აძლევდა ხელს მომხდარი ამბების გამჟღავნება. მსახურები მაშინ იქ არ ყოფილან. შესაძლოა ლებიადკინს ეყბედა რაღაც, ისიც იმდენად ღვარძლით არა (მაშინ ძალზე შეშინებული გავარდა, შიში კი ღვარძლსაც გაუქრობს ადამიანს), რამდენადაც თავისი ენაშეუკავებლობით. მაგრამ ლებიადკინი დასთან ერთად მეორე დღესვე უგზო-უკვლოდ გადაიკარგა; ფილიპოვის სახლში მე ის არ დამხვდა, სადღაც გადასულიყო, მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. მარია ტიმოფეევნას ამბის გამოსარკვევად შატოვს რომ მივაკითხე, ისიც ჩაკეტილი დამხვდა. ეს რვა დღე, მგონი, სახლიდან ფეხი არ გამოუდგამს, ქალაქში თავის საქმეებზედაც არ გასულა. კარი არ გამიღო. სამშაბათსაც მივაკითხე ისევ და დავუკაკუნე. ხმა არავინ გამცა. უტყუარი ნიშნებით დარწმუნებულმა, შინ არის-მეთქი, ხელმეორედ მივუკაკუნე, მაშინ კი, ეტყობა, წამოხტა ლოგინიდან, კარს მოადგა და დამიღრიალა, შატოვი შინ არააო. რა უნდა მექნა, მეც წამოვედი.

მე და სტეპან ტროფიმოვიჩი, თუმცა კი შეგვეშინდა ამის გაფიქრებისაც კი, მაინც იმ აზრზე დავდექით, რომ პიოტრ სტეპანოვიჩის მეტი სხვა არავინ გაიტანდა ამ ამბავს. თვითონ პიოტრ სტეპანოვიჩი რამდენიმე ხნის მერე მამასთან ლაპარაკისას თავგამოდებით ირწმუნებოდა, ამ ამბავზე უკვე ყველა ლაპარაკობდა, მეტადრე კლუბში, ხოლო გუბერნატორმა და მისმა მეუღლემ დაწვრილებითაც იცოდნენო. საკვირველი კიდევ ერთი ამბავი გახლავთ: როცა მეორე დღეს, ორშაბათ საღამოს, ლიპუტინს შევხვდი, მან უკვე სიტყვასიტყვით იცოდა ყველაფერი. ეჭვი არაა, პირველ წყაროდან უნდა შეეტყო. ბევრი ჩვენი მაღალი წრის მანდილოსანი „უცნაური კოჭლაუხას“ ამბითაც დაინტერესდა - „უცნაურ კოჭლაუხას“ მარია ტიმოფეევნას ეძახდნენ. ზოგმა მისი პირადი გაცნობაც მოიწადინა. ასე რომ, ვინც ლებიადკინები გადამალა, უეჭველია, ფრიად წინდახედულად მოიქცა. მაგრამ ყველაზე მეტად ლიზავეტა ნიკოლაევნას გულის წასვლაზე იყო ლაპარაკი, ეს ამბავი აინტერესებდა მთელ „მაღალ საზოგადოებას“, თუნდაც იმიტომ, რომ ლიზავეტა ნიკოლაევნა იულია მიხაილოვნას ნათესავი იყო და ის მფარველობდა. მერედა რას არ ლაპარაკობდნენ! ამ ლაპარაკს ისიც უწყობდა ხელს, რომ საქმე საიდუმლოებით იყო მოცული. ორივე ოჯახის კარი ყველასათვის დაკეტილი აღმოჩნდა. როგორც ამბობდნენ, ლიზავეტა ნიკოლაევნა ხურვებით გათანგული იწვა. ასევე ყბედობდნენ ნიკოლაი სტავროგინზე, თან საზიზღარ წვრილმანებსაც ურთავდნენ: თითქოსდა კბილი აქვს ჩამტვრეული და ყბაც გაუსივდაო. ჩუმ-ჩუმად იმასაც ამბობდნენ, ვინ იცის, მკვლელობა გადატრიალდეს, სტავროგინი ისეთი კაცი არაა, ასეთი შეურაცხყოფა ვინმეს შეარჩინოს, შატოვს უთუოდ მოკლავს, მაგრამ მალულად, როგორც კორსიკაში იციან სისხლის აღებაო. ეს აზრი ჭკუაში დაუჯდა ყველას; თუმცა ჩვენი მაღალი წრის ყმაწვილკაცობა ვითომდა არაფრად აგდებდა ამ მოსაზრებას, რა თქმა უნდა, ვითომ და არა ნამდვილად. ეს კი უნდა ვთქვა, რომ ჩვენი საზოგადოების მტრულმა განწყობამ სტავროგინის მიმართ კვლავ იჩინა თავი. დარბაისელი ხალხიც კი ცდილობდა მის გამტყუნებას, თუმცა რაში, თვითონაც არ იცოდნენ. ჩუმ-ჩუმად ამბობდნენ, ლიზავეტა ნიკოლაევნას მან შეუბღალა სახელი, შვეიცარიაში მათ შორის რაღაც ამბები იყო. ცხადია, ფრთხილი ადამიანები ენას კბილს აჭერდნენ, მაგრამ ყურდაცქვეტილნი კი ისმენდნენ ყველაფერს. იყო სხვა ხმებიც, მაგრამ ეს უკვე კერძო

და საიდუმლოდ გამოსული. მე თუ ამ უცნაურ ხმებზე მოგახსენებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მკითხველი შევამზადო ჩემი მოთხრობის შემდგომი ამბებისათვის. სახელდობრ: ზოგნი წარბშეკვრით ამბობდნენ, ღმერთმა არ იცის რატომ და რის საფუძველზე, რომ სტავროგინი რაღაც საგანგებო საქმეებზეა ჩვენს გუბერნიაში ჩამოსული, რომ გრაფ კ-ის მეოხებით პეტერბურგში რაღაც ზენა წრეებთან აქვს კავშირი, იქნებ მსახურობს კიდეც სადღაც და ვიღაც-ვიღაცეებმა რაღაც საქმეც დაავალეს. თუკი დარბაისელი და თავშეკავებული ხალხი ამ ხმების მოსმენისას ეჭვით გაიღიმებდა და წინდახედულად შენიშნავდა, მოხელე კაცი ჩამოსვლისთანავე აურზაურს არ ატეხს და ყბას არ გაისიებსო, ჩურჩულით მიუგებდნენ, ეგ ოფიციალურად კი არა, ასე ვთქვათ, კონფიდენციალურად მსახურობს და ასეთ შემთხვევაში თვით სამსახური მოითხოვს, რაც შეიძლება ნაკლებ დაემსგავსოს მოხელესო. ასეთი სიტყვები დიდ შთაბეჭდილებად ახდენდა: ჩვენში უკვე ცნობილი იყო, რომ ჩვენი გუბერნიის ერობას სატახტო ქალაქში რაღაც განსაკუთრებული ყურადღებით უცქერდნენ. ვიმეორებ, ეს ხმა მხოლოდ გამოვიდა და სტავროგინის საზოგადოებაში გამოჩენის უმაღლეს დროებით მიჩნედა. სხვა ხმების გავრცელების მიზეზი ნაწილობრივ რამდენიმე ღვარძლიანი სიტყვა იყო, რომელიც პეტერბურგიდან ახლახან ჩამობრუნებულ გვარდიის გადამდგარ კაპიტან არტემი პავლოვიჩ გაგანოვს დასცდენოდა კლუბში. ეს გაგანოვი ჩვენი გუბერნიის მდიდარი მემამულე გახლდათ, პეტერბურგის მაღალ საზოგადოებაში ნაცხოვრები და განსვენებული პაველ პავლოვიჩ გაგანოვის ვაჟი. დიახ, სწორედ იმ პატივცემული მამასახლისის ვაჟი, ვისთანაც ამ ოთხი წლის წინათ ეგზომ უჩვეულო უსიამოვნება მოუხდა სტავროგინს. ამ უსიამოვნების ამბავი მე უკვე მოგახსენეთ ჩემი მოთხრობის დასაწყისში.

მაღე ცნობილი გახდა, რომ იულია მიხაილოვნა საგანგებოდ ეწვია ვარვარა პეტროვნას, მაგრამ მოახსენეს: შეუძლოდ გახლავთ და ვერ მიგიღებთო. ისიც შეიტყვეს, რომ ორი დღის შემდეგ იულია მიხაილოვნას კაცი გაეგზავნა ვარვარა პეტროვნასთან ამბის საკითხავად. დაბოლოს, ყველგან და ყველასთან „დაცვაც“ დაუწყო ვარვარა პეტროვნას, რა თქმა უნდა, მაღალფარდოვნად და გაურკვეველად. ხოლო კვირის ამბის ირგვლივ ნართაულად ჩაკრული სიტყვები ისეთი გოროზი სახით მოისმინა, შემდეგში მისი თანდასწრებით აღარავის გაუბედავს ამაზე ლაპარაკი. სწორედ ამან განამტკიცა ის აზრი, იულია მიხაილოვნამ არა მარტო მთელი ეს საიდუმლო ამბავი იცის, არამედ ყოველგვარ წვრილმანშიაც არის გარკვეული, როგორც შინაური და ამ ამბის მონაწილეო. ბარემ აქვე შევნიშნავ, რომ იულია მიხაილოვნამ ნელინელ მოიხვეჭა ჩვენში ის დიდი გავლენა, რისკენაც ასე ილტვოდა, რაც ასე სწყუროდა და უკვე თვალნათლივ ხედავდა, როგორ „ეხვეოდა“ ირგვლივ ყველა. საზოგადოების ერთმა ნაწილმა დიახაც იწამა მისი პრაქტიკული ჭკუა და ტაქტი... მაგრამ ამაზეც მერმე იყოს. ნაწილობრივ გუბერნატორის მეუღლის მფარველობით აიხსნებოდა ის წარმატებაც, რომელსაც პიოტრ სტეპანოვიჩმა ჩვენს საზოგადოებაში მიაღწია - მაშინ ამ წარმატებამ განსაკუთრებით განაცვიფრა სტეპან ტროფიმოვიჩი.

თუმცა მე და სტეპან ტროფიმოვიჩი იქნებ ვაჭარბებდით კიდეც. ჯერ ერთი, პიოტრ სტეპანოვიჩი ჩამოსვლის უმაღლეს ელვის სისწრაფით გაეცნო მთელ ქალაქს. ჩამოვიდა იგი კვირას, სამშაბათს კი უკვე არტემი პავლოვიჩ გაგანოვთან ერთად ჩამიქროლა გაგანოვისვე ეტლით. ბატონი გაგანოვი კი ისეთი გულზვიადი და ყოყლოჩინა ვინმე

იყო, მიუხედავად მისი აღზრდილობისა, და ისეთი ხასიათი ჰქონდა, კაცი ძნელად შეეწყობოდა. გუბერნატორის სახლშიაც მშვენივრად მიიღეს ახალგაზრდა ვერხოვენსკი, იმდენად კარგად, რომ მყისვე შინაური და, ასე ვთქვათ, განებივრებული ყმაწვილის პირობაზე დაიჭირა თავი. ლამის ყოველდღე სადილობდა იუღია მიხაილოვნასთან, რომელიც ჯერ კიდევ შვეიცარიაში გაიცნო. მაგრამ გუბერნატორის სახლში მისი ასე სწრაფად გაშინაურება მაინც საკვირველი და საგულისხმო იყო. ასე თქვი თუ ისე, ამ კაცს საზღვარგარეთელი რევოლუციონერის სახელი ჰქონდა დავარდნილი, მონაწილეობდა რაღაც საზღვარგარეთულ გამოცემებსა და კონგრესებში, რაც გაზეთებითაც შეიძლება დაუმტკიცოს კაცმაო, - როგორც ღვარძლიანად მითხრა ალიოშა ტელიატნიკოვმა შეხვედრისას, სწორედ იმ ალიოშა ტელიატნიკოვმა, ვისაც ძველი გუბერნატორის ოჯახში ასევე უსვამდნენ თავზე ხელს, ახლა კი მხოლოდ გადამდგარი პატარა მოხელე იყო. მიუხედავად ამისა, ყოფილი რევოლუციონერი საყვარელ მამულში არათუ ერთი ვაი-უშველებელით შემოუშვეს, პირიქით, ლამის ხელისგულზე დაისვენს. მამასადამე, თითქოს ისეთი არც არაფერი ყოფილა. ლიპუტინმა ერთხელ კიდევ ჩამჩურჩულა, ხმები დადის, თითქოსდა პიოტრ სტეპანოვიჩმა სადღაც მოინანია ცოდვები, რამდენიმე კაცის გვარი დაასახელა, დანაშაულიც გამოისყიდა და იმის აღთქმაც დადო, შემდეგშიც გამოვადგებო ქვეყანას. ეს გესლიანი სიტყვები სტეპან ტროფიმოვიჩს რომ გადავეცი, ძალიან ჩაფიქრდა, თუმცა იმხანად არაფრის განსჯის თავი არ ჰქონდა. როგორც შემდეგში გაირკვა, ახალგაზრდა ვერხოვენსკი ჩვენთან ფრიად საპატიო ხალხის წერილებით ჩამოსულიყო, ყოველ შემთხვევაში, ერთი წერილი ჩამოეტანა გუბერნატორის მეუღლისათვის პეტერბურგის ერთი ფრიად გავლენიანი ბებერი დიდკაცის ბებერი ცოლისგან. ეს დედაბერი, სხვათა შორის, ამასაც წერდა თავის ნათლულ იუღია მიხაილოვნას, გრაფ კ-ი კარგად იცნობს პიოტრ სტეპანოვიჩს ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩის მეოხებით, დიდად დაუტკბა და „ღირსეულ ყმაწვილკაცად მიიჩნია, მიუხედავად ადრინდელი შეცდომებისა“. იუღია მიხაილოვნა უკიდურესად აფასებდა „მაღალ საზოგადოებასთან“ ამ თავის მცირეოდენ, რის გაჭირვებით შენარჩუნებულ ნაცნობობას და, რა თქმა უნდა, დიდად გაახარა ამ გავლენიანი დედაბრის წერილმა; მაგრამ აქ კიდევ რაღაც სხვა იგრძნობოდა. პიოტრ სტეპანოვიჩი ისე გაუშინაურა თავის მეუღლეს, ბ-ნი ფონ ლემბკე სულ ჩიოდა. თუმცა ამაზეც შემდეგ იყოს. აქვე შევნიშნავ, რომ დიდი მწერალიც ფრიად მოწყალედ შეხვდა ახალგაზრდა ვერხოვენსკის და მყისვე თავისთან დაპატიჟა. ასეთი გაბლენძილი კაცის მხრიდან ამისთანა პატივი ყველაზე უფრო მოხვდა გულზე სტეპან ტროფიმოვიჩს; მაგრამ მე ეს სხვანაირად ავხსენი: კარმაზინოვი ნიჰილისტს რომ პატიჟებდა, რა თქმა უნდა, მხედველობაში ჰქონდა ახალგაზრდა ვერხოვენსკის ურთიერთობა ორივე დედაქალაქის პროგრესულ ყმაწვილკაცობასთან. უახლესი რევოლუციური ახალგაზრდობა შიშის კანკალს ჰგვრიდა დიდ მწერალს. საქმის უცოდინარს ეგონა, რუსეთის მომავლის კლიტენი ამ ახალგაზრდობას უპყრია ხელთო და სამარცხვინოდ ელაქუცებოდა მათ, მით უფრო, რომ ისინი ყურადღებასაც არ აქცევდნენ.

II

ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ ერთი ორჯერ მამასაც შემოურბინა, სამწუხაროდ, ორჯერვე ჩემს არყოფნაში. პირველად ოთხშაბათს ეწვია, ანუ იმ პირველი შეხვედრის მეოთხე დღეს, ისიც საქმეზე. უნდა ითქვას, რომ მამულის ანგარიშები როგორღაც

უდავიდარაბოდ მოგვარდა მათ შორის. ვარვარა პეტროვნამ ყოველივე თავის თავზე იკისრა, ფული მან გადაიხადა, ადგილ-მამული, რა თქმა უნდა მასვე დარჩა, სტეპან ტროფიმოვიჩს კი მხოლოდ ეს შემოუთვალა, საქმე გათავებულაო. ვარვარა პეტროვნას რწმუნებულმა და კამენდინერმა ალექსეი ეგოროვიჩმა ხელმოსაწერად რაღაც საბუთი მოუტანა და სტეპან ტროფიმოვიჩმაც უხმოდ და დიდი ღირსებით მოაწერა ხელი. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ დღეებში პირდაპირ ვეღარ ვცნობდი ჩვენს ბერიკაცს. თავი ისე ეჭირა, როგორც არასოდეს, გასაოცრად სიტყვაძვირი გახდა, ასე გასინჯეთ, ერთი წერილიც არ გაუგზავნია იმ კვირის აქეთ ვარვარა პეტროვნასთვის, რაც სასწაულად ჩავთვალე. რაც მთავარია, დამშვიდებული ჩანდა. ეტყობოდა, რაღაც საბოლოო და მეტისმეტად საგულისხმოდ გადაწყვეტილება მიეღო და ახლა გულხელდაკრეფილი იჯდა და რაღაცას ელოდა, თუმცა თავდაპირველად შეუძლოდ იყო, განსაკუთრებით ორშაბათს - ქოლერინამ შემოუტია. ესეც არის, ახალი ამბების გარეშე ვეღარ გაეძლო. მაგრამ რაწამს ვუამბობდი ყველაფერს და მერე ჩემს ვარაუდებს გამოვთქვამდი, უმალ ხელს ამიქნევდა და გაჩუმდებოდა. ვაჟიშვილის ორმა ვიზიტმა მაინც მტკივნეულად იმოქმედა მასზე, თუმცა არ შეუყოყმანებია. იმ ორსავე დღეს, ვიზიტის შემდეგ დივანზე დაწოლილი მხვდებოდა თავზე ძმრიანი ტილოთი. ოღონდაც სულიერი სიმშვიდე მაინც არ დაუკარგავს.

მაგრამ ზოგჯერ ხელებს აღარ მისაგვსავებდა. ჩემი დაკვირვებით, ამ იდუმალი გადაწყვეტილების მიუხედავად, დროდადრო რაღაც ახალი, მაცთუნებელი ფიქრი მოერეოდა და ისიც თავის თავს ებრძოდა. დროდადრო-მეთქი, მაგრამ მე მაინც აღვნიშნავ ამას. ჩემი გუჟანით, ძალიანაც უნდოდა ისევე გამოეჩინა თავი, კვლავ ასპარეზზე გამოსულიყო, ომი გამოეცხადებინა და უკანასკნელი ბრძოლა გაემართა.

- Cher, მე იმათ გავაცამტვერებდი! - წამოსცდა ხუთშაბათ საღამოს, როცა ვაჟის მეორედ სტუმრობის შემდეგ ტახტზე დამხვდა წამოწოლილი. თავზე პირსახოცი ეხვია.

ამ წუთამდე მთელი ის დღე ხმა არ გაუცია ჩემთვის.

- „Fils, fils cheri[151]“ და ამისთანები, მეც ვიცი, რომ სისულელეა, მზარეული დედაკაცების ლექსიკონი, კი, ბატონო, კი, ახლა მეც ვგრძნობ ამას. მე იმისთვის არც მიჭმევია და არც მისმევია, ძუძუმწოვარა ბავშვი ბერლინიდან... - ის გუბერნიაში ფოსტით გავაგზავნე და ასე შემდეგ, კი, თანახმა ვარ... შენო, მითხრა, ჩემთვის არ გიჭმევია, ფოსტით გამაგზავნე, აქაც გამძარცვეო. მაგრამ, შე უბედურო, ვუყვირე, მთელი სიცოცხლე ხომ მაინც შემტკიოდა შენზე გული, გინდაც ფოსტით მყავდე გაგზავნილი-მეთქი! Il rit[152]. კი, ბატონო, კი, თანახმა ვარ, თანახმა... კი, ფოსტით იყოს, - დააბოლოვა ისე, თითქოს აბოდეხსო.

- Passons[153], - წამოიწყო ისევ ხუთი წუთის შემდეგ. - ტურგენევის არაფერი მესმის, ბაზაროვი[154] რაღაც ფიქტიური პირია, არარსებული; აკი მაშინ თვითონვე უარყვეს იგი, არაფერს არ ჰგავსო. ეგ ბაზაროვი რაღაც გაუგებარი ნარევია ნოზდრიოვისა და ბაირონის, c'est le mot[155]. აბა ერთი კარგად დააკვირდით, მზის გულზე გამოფენილი ლეკვებივით წკაფწკაფებენ, სიხარულისაგან ყირამალა გადადიან. ბედნიერად, გამარჯვებულად გრძნობენ თავს! თუმცა რა ბაირონი, რომელი ბაირონი! მერედა რა გულნამცეცა, კნინი ხალხია! რა მდაბიურად ბღეზიანი თავმოყვარეობისა, რა უმსგავსო წყურვილი ჰკლავთ faire du bruit autour de son nom[156], იმას კი ვერ

ამჩნევენ, რომ ეს son mon... ო, რა კარიკატურაა! ღმერთო დიდებულო, ვუყვირე, ნუთუ შენ გინდა ადამიანებს ქრისტე შენით, შენისთანა კაცით შეუცვალო-მეთქი? Il rit. Il rit beaucoup, il rit trop[157]. რაღაც უცნაური სიცილი აქვს. დედამისს ასეთი სიცილი არ ჰქონია. Il rit toujours[158].

კვლავ დუმილი.- ეგენი ეშმაკები არიან. კვირას მოლაპარაკებულნი იყვნენ... - წამოსცდა უცებ.

მე ყური ვცქვიტე: - ო, უეჭველია, ეგ შეთანხმება იყო, ამას წყალი არ გაუვა. თან რა უნიჭოდ გათამაშებული.

- მაგაზე არ ვამბობ, იცით კი, რომ ეგ ყოველივე განზრახ იყო უნიჭოდ გათამაშებული, რა არის იმათ შეემჩნიათ... ვისთვისაც საჭირო იყო. გესმით თუ არა?

- არა, არ მესმის.

- Tant mieux. Passons[159]. დღეს ძალიან გაჯავრებული ვარ.

- თქვენც რა ედავებით ხოლმე, სტეპან ტროფიმოვიჩ? - ვუსაყვედურე მე.

- Je voulais convertir[160]. იცინეთ, იცინეთ. Cette pauvre დეიდა elle entendra de belles choses[161]. ოჰ, ჩემო მეგობარო, დამიჯერებთ კი, რომ წელან თავი პატრიოტად ვიგრძენი! თუმცა ჩემს თავს მე მუდამ რუსად ვგრძნობდი... ნამდვილი რუსი არც შეიძლება სხვანაირი იყოს, თუ არა თქვენისთანა და ჩემისთანა. Il y a la dedans quelque chose d'aveugle et de louche[162].

- უეჭველია-მეთქი, - მივუგე.

- ჩემო კარგო, იცით კი, რომ სიმართლე მუდამ დაუჯერებელია? სიმართლე რომ დასაჯერებელი გახდეს, უთუოდ ტყუილი უნდა შეურიო. ხალხი მუდამ ასე იქცეოდა. ვინ იცის, აქ ისეთი რამ იყოს, რაც ჩვენ არ გვესმის. როგორ გგონიათ, არის აქ ისეთი რამე, რაც ჩვენ არ გვესმის, ამ გამარჯვებულ წკავწკავში? მე ვისურვებდი ყოფილიყო. დიახ, ვისურვებდი...

მე გავჩუმდი. ისიც დიდხანს დუმდა.

- ამბობენ, ფრანგული ჰკუაო... - წამოილულლულა უცებ სიცხიანი კაცივით, - მაგრამ ეს ტყუილია, მუდამ ტყუილი იყო. ფრანგულ ჰკუას ცილი რად უნდა დასწამო? ეს უბრალოდ რუსული სიზარმაცეა, ჩვენი დამამცირებელი უძლურება იდეის შექმნაში, ჩვენი საზიზღარი პარაზიტობა ხალხთან რიგებში, Ils sont tout simplement des paresseux[163], ფრანგული ჰკუა რა შუაშია. ო, რუსები უნდა მავნე პარაზიტებივით გაიჟლიტონ კაცობრიობის საკეთილდღეოდ! ჩვენ სულ სხვა მიზნები გვქონდა, სულ სხვა; მე არაფერი მესმის. უკვე აღარაფერი მესმის! გესმის კი, ვუყვირე, გესმის კი, თუ გილიოტინა ასე მოგწონთ და ის არის თქვენთვის მთავარი, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ თავების წაცლა უფრო ადვილია, ვინემ იდეის შექმნა-მეთქი! Vous etes des paresseux! Votre drapeau est une guenille, une impuissance[164]-მეთქი. ეგ ურმები, თუ როგორა აქვთ: „კაცობრიობისათვის პურის მომტანი ურმების რახრახი“ სიქსტის მადონაზე უფრო სასარგებლო არისო[165], თუ როგორა აქვთ... une betise dans ce genre[166]. მაგრამ იცით თუ არა, იცი თუ არა-მეთქი, ვუყვირე, რომ ადამიანს უბედურებაც სწორედ ისევე სჭირია, როგორც ბედნიერება! Il rit. შენო, მითხრა, აქ

„ხავერდის დივანზე წამოგორებულხარ, ბონმოებს[167] აშანშალებ (მან უფრო უხამსად გამოთქვა). თან შენობითაც რომ მელაპარაკება; კი, ბატონო, კარგია, თუ სიამტკბილობით ხარ მამასთან, მაგრამ თუ ჩხუბობ!

წუთით ორივე ვდუმდით.

- Cher, - დაასკვნა უცებ და სწრაფად წამოიწია, - იცით თუ არა, რომ ყოველივე ეს უთუოდ რაღაცით დამთავრდება?

- მაგას რა თქმა უნდა.

- Vous ne comprenez pas. Passons[168]. მაგრამ... ჩვეულებრივ თუ ამქვეყნად ბოლო არაფერსა აქვს, აქ უთუოდ იქნება, უთუოდ!

სტეპან ტროფიმოვიჩი წამოდგა, ძალზე აღელვებულმა გაიარ-გამოიარა ოთახში და მერე ისევ უღონოდ დაეშვა დივანზე.

პარასკევ დილას ახალგაზრდა ვერხოვენსკი სადღაც მაზრაში გაემგზავრა და ორშაბათამდე არ ჩამოსულა. მისი გამგზავრების ამბავი ლიპუტინისაგან გავიგე. მისივე ლაპარაკიდანვე შევიტყვე, რომ ლებიადკინები, ძმაც და დაც, სადღაც გაღმა, გორშეჩნაიას უბანში იმყოფებოდნენ. „მევე გადავიყვანე“, - დასძინა ესეც. მერე ლებიადკინებზე ლაპარაკი უცებ გაწყვიტა და მომახალა, ლიზავეტა ნიკოლაევნა მავრიკი ნიკოლაევიჩის მიჰყვება ცოლად, მართალია, ჯერ არ გამოუცხადებიათ, მაგრამ ნიშნობა უკვე იყო და საქმე მოთავებულიაო. მეორე დღეს ლიზავეტა ნიკოლაევნასაც შევხვდი მავრიკი ნიკოლაევიჩის თანხლებით. ავადმყოფობის შემდეგ პირველად გამოისეირნა ცხენით. შორიდან შემომანათა თვალები, გამიცინა და მეგობრულად დამიქნია თავი. ეს ყოველივე სტეპან ტროფიმოვიჩს ვაცნობე. მაგრამ მისი ყურადღება მარტო ლებიადკინების ამბავმა მიიქცია.

ამ რვა დღის მანძილზე ჩვენი უცნაური მდგომარეობის აღწერის შემდეგ ახლა უკვე ჩემი ქრონიკის მომდევნო ამბებს მოგახსენებთ, ასე ვთქვათ, საქმის ცოდნით და მასთან ისეთი სახით, როგორც ეს ყოველივე გაირკვა და გამომჟღავნდა ახლა. დავიწყებ სწორედ იმ კვირის მერვე დღიდან, ანუ ორშაბათ საღამოდან - ვინაიდან „ახალი ისტორია“ სინამდვილეში იმ საღამოდან დაიწყო.

III

საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, სტავროგინი მარტო იყო თავის კაბინეტში. ეს მაღალჭერიანი, ხალიჩებით მოფენილი, ძველი ყაიდის მძიმე ავეჯით მორთული ოთახი ადრევეც ერჩია სხვებს. კუთხეში იჯდა ტახტზე, საგარეოდ გამოწყობილი, მაგრამ წასვლას კი თითქოს არსად ფიქრობდა. მაგიდაზე აბაჟურიანი ლამპა იდგა. მაგრამ ამ დიდ ოთახში მისი შუქი კუთხეებსა და კედლებს ვერ სწვდებოდა. ნიკოლაი სტავროგინი ღრმად ჩაფიქრებული იყურებოდა, სახეზე დაღლა ეტყობოდა, ოღნავ გამხდარიყო კიდეც. ყბა მართლაც გასიებოდა. რომ ამბობდნენ, კბილი ჩაუმტვრიესო, ტყუილი გამოდგა. კბილი მხოლოდ მოერყა და ახლა ისევ გაუმაგრდა. ზემო ტუჩიც შიგნიდან ჰქონდა გახეთქილი, მაგრამ ესეც უკვე მოშუშებოდა. გასიებული ყბა რომ მთელი კვირა არ დაუცხრა, მისივე ბრალი იყო, ექიმი არ მიიკარა და დროზე არ გააჭრევინა. ელოდა, თავისთავად გამოირწყებო. თუმცა ექიმს კი არა, დედასაც არ იკარებდა, წუთით თუ შემოუშვებდა თავისთან, ისიც დღეში ერთხელ და უთუოდ

ბინდისას, როცა სანთლები ჯერ კიდევ არ იყო ანთებული. ახალგაზრდა ვერხოვენსკიც არ მიიღო, რომელიც დღეში ორჯერ თუ სამჯერ მოირბენდა ხოლმე ვარვარა პეტროვნასთან ქალაქში ყოფნისას. ბოლოს ორშაბათ დილას, სამდღიანი მგზავრობიდან დაბრუნების შემდეგ, მთელი ქალაქი რომ მოირბინა, იულია მიხაილოვნასთან ისადილა და საღამოს მისი მოლოდინით გაბეზრებულ ვარვარა პეტროვნას ეახლა, გაიგო, ყადაღა ახსნილია და სტავროგინთან შესვლა შეიძლებაო. ვარვარა პეტროვნამ თვითონვე მიაცილა სტუმარი კაბინეტის კარამდე. მათი შეხვედრა დიდი ხანია ეწადა. ვერხოვენსკიმ სიტყვა მისცა, Nicolas-დან შემოგირბნენ და ყველაფერს გაიმბობთო. ვარვარა პეტროვნამ გაუბედავად დაუკაკუნა კარზე. ხმა რომ არავინ გასცა, ადგა და ორ გოჯზე შეაღო კარი.

- Nicolas, შეიძლება პიოტრ სტეპანოვიჩი შემოგიყვანო? - ხმადაბლა ჰკითხა დედამ და ნიკოლას ვსევლოდოვიჩს სახეზე დააკვირდა. ლამპის შუქი ხელს უშლიდა და კარგად ვერ ხედავდა ვაჟს.

- შეიძლება, რა თქმა უნდა, შეიძლება! - მხიარულად შეჰყვირა ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ, თვითონ შეაღო კარი და შევიდა.

კაკუნის ნიკოლას სტავროგინს არ გაუგია, მხოლოდ დედის გაუბედავ კითხვას მოჰკრა ყური, მაგრამ პასუხი ვეღარ მოასწრო. წინ წერილი ედო, რომელიც ეს წუთია წაეკითხა და ძალზე ჩაეფიქრებინა. ვერხოვენსკის მოულოდნელმა შეძახილმა შეაკრთო, უმალ პრეს-პაპიე დააფარა წერილს, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ დამალა: წერილის ყური და თითქმის მთელი კონვერტი აშკარად ჩანდა.

- განზრახ დაგიყვირეთ ასე, ვიფიქრე, შეემზადება-მეთქი, - ვითომდა მიამიტად ჩასჩურჩულა მაგიდასთან მირბენილმა ვერხოვენსკიმ და მყის პრეს-პაპიესა და წერილის ყურს ჩაასო თვალები.

სტავროგინი არ განძრეულა, მხოლოდ დინჯად ჩაილაპარაკა: - რასაკვირველია, არც ის გამოგეპარათ, პრეს-პაპიე რომ დავაფარე წერილს.

- წერილსო? რას ამბობთ, თქვენ წერილთან მე რა მესაქმება? - შესძახა სტუმარმა. -- თავიდათავი... ისაა, - აჩურჩულდა მერე და მიხურულ კარზე ანიშნა.

- დედაჩემს მოყურადება არ სჩვევია, - ცივად შენიშნა სტავროგინმა.

- გინდაც სჩვეოდეს, - მყის მხიარულად აიმაღლა ხმა ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ და სავარძელში გაიჭიმა. - მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. ახლა იმიტომ შემოვირბინე, მინდა მარტო მოგელაპარაკოთ. ძლივს არ შემოვადწიე თქვენთან! უწინარეს ყოვლისა, ჯანზე როგორ ბრძანდებით? ვხედავ, მშვენივრად, ეგებ ხვალ მოხვიდეთ, ჰა?

- ეგებ.

- გაგვარკვიეთ ბოლოს და ბოლოს მეც და ისინიც! - ხელებს იქნევდა ვერხოვენსკი მხიარული სახით. - ნეტა გაცოდინათ, რაები არ მოვუჩმახე იმათ, თუმცა იცით ალბათ.

- ყველაფერი არ ვიცი. დედაჩემისაგან გავიგე მხოლოდ, როგორ... ფაციფუცობდით.

- არა, ისეთი არაფერი მითქვამს, - შეხტა და შებზრიალდა ვერხოვენსკი, თითქოს საშინელი საყვედური უთხრესო, -, იცით, შატოვის ცოლს დავაბრალე ყველაფერი, იმ ჭორებს, რაც თქვენ სიახლოვეზე იყო დაყრდნობა პარიზში. ჰოდა, იმკვირანდელი შემთხვევაც, რა თქმა უნდა, ამით აიხსნა.. ხომ არ მიჯავრდებით?

- წარმომიდგენია, როგორ გამოიდეთ თავი.

- აი, სწორედ მაგისი მეშინოდა. თუმცა რას ნიშნავს, „თავი გამოიდეთ?“ ეს ხომ საყვედურია. კიდევ კარგი, პირდაპირ ამბობთ. აქ რომ მოვდიოდი, ყველაზე მეტად იმის მეშინოდა, ვაითუ პირდაპირ არა თქვას-მეთქი.

- არც მიფიქრია პირდაპირობა, - წაილაპარაკა ოდნავ გაგულისებით ნიკოლაი სტავროგინმა, მაგრამ მაშინვე ჩაეცინა.

- იმაზე არა, არ შეცდეთ, იმაზე არა! - ხელი აიქნია და სეტყვასავით მიაყარა ვერხოვენსკიმ. მასპინძლის გაგულისებამ დიდად გაახარა. - ჩვენს საქმეზე თავს არ შეგაწყენთ, მეტადრე ამისთანა მდგომარეობაში. მე მხოლოდ კვირის ამბავზე მინდა გელაპარაკოთ, აუცილებელი არის და იმიტომ. თორემ რა გამოდის მართლა და მართლა! მინდა გულახდილად ვილაპარაკოთ, ეს გულახდილობა მე უფრო მჭირდება, ვინემ თქვენ - ხედავთ, როგორ ვუფრთხილდები თქვენს თავმოყვარეობას, თუმცა მართალს კი ვამბობ. ამიერიდან მუდამ გულახდილი ვიქნები.

- მაშ აქამდე გულახდილი არ იყავით?

- თქვენ იცით, რომ ბევრჯერ მიეშმაკნია.. აი, ხომ გაგაცინეთ, ძალიან კარგი, ახლა საშუალება მომეცა აიხსნათ. „მიეშმაკნია“ - თქო, განზრახ დავიკვებნე, რომ გამეჯავრებინეთ: როგორ გავბედე და ვიფიქრე, თქვენთან ეშმაკობა გამივიდოდა, და მერე ამეხსნა ყველაფერი. ხომ ხედავთ, რა გულახდილი ვარ! მაშ მომისმენთ თუ არა?

აშკარა იყო, სტუმარი განზრახ რომავდა ასეთ სისულელეებს, ეს ყველაფერი წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული და უნდოდა თავისი უტიფრობით მასპინძელი გულზე გაეხეთქა. სტავროგინი მშვიდი, ზიზღნარევი ღიმილით უსმენდა, მაგრამ ბოლოს მაინც დაეტყო ცნობისმოყვარეობა.

- მაშ, ყური მიგდეთ, - მყის აცმუტდა ვერხოვენსკი, - მე რომ აქ, ანუ ამ ქალაქში მოვდიოდი, ამ ათიოდე დღის წინათ, გადავწყვიტე მემსახიობა და სულ სხვა კაცი მეთამაშა. ისე კი აჯობებდა ჩემი საკუთარი თავი წარმომედგინა, ხომ კი? იმაზე ეშმაკური არაფერია, კაცი რომ საკუთარ თავს თამაშობ, არავინ არ დაგიჯერებს. გამოგიტყდებით და ერთი პირობა თავის მოსულელება მინდოდა, მაგრამ რაკი ეს მაინც მეორე უკიდურესობაა, ხოლო უკიდურესობა უფრო მეტ ეჭვებს ბადებს, საბოლოოდ ისევ ჩემს საკუთარ თავზე შევჩერდი. ჰოდა, რა ვარ მე? რადა ერთი საშუალო ნიჭის მქონე კაცი: არც დიდი ჭკვიანი და არც სულელი, თითქოს მთვარიდან ჩამოვარდნილი, როგორც აქაური ჭკუადამჯდარი ხალხი ამბობს. ასეა თუ არა?

სტავროგინს ოდნავ გაეღიმა.

- შესაძლოა ეგრეც იყოს.

- აჰა, მეთანხმებით - ძალიან მოხარული ვარ. ეგრეც ვიცოდი, რომ ამ აზრისა ხართ ჩემზე.. ნუ გეშინიათ, გული არ მომდის. მე იმიტომ კი არ დავიხასიათე ასე თავი, რომ შემდავებოდით: რას ბრძანებთ, უნიჭო კი არა, ჭკუით სავსე ბრძანდებითო... აჰა, ისევ ჩაგეცინათ... მაშ, ისევ შევცდი. რა თქმა უნდა, თქვენ არ იტყოდით: ჭკუით სავსე ბრძანდებითო. კეთილი და პატიოსანი, იქნებ მართლაც ასეა. Passons, როგორც მამაჩემი ამბობს. ნურც გული მოგივათ ჩემს მრავალსიტყვაობაზე. მაგალითიც აგერ გახლავთ: მე მუდამ ბევრს ვლაპარაკობ, ანუ ბევრს ვცბედობ. ვჩქარობ თანაც. ამიტომაც არაფერი გამომდის. მერედა რად ვცბედობ ამდენს და რატომ არაფერი გამომდის? იმიტომ რომ ლაპარაკი არ მეხერხება; ვისაც ლაპარაკი ეხერხება, ის მოკლედ მოსჭრის. მაშასადამე, უნიჭო ვარ, ასეა თუ არა? მაგრამ რაკი ეს უნიჭობის ნიჭი ბუნებრივად მომდგამს, ვითომ რად არ უნდა გამოვიყენო? მეც ვიყენებ. აქ რომ მოვდიოდი, ერთი პირობა ვიფიქრე, მოდი, ხმას არ ამოვიღებ, სულ დავდუმდები-მეთქი. მაგრამ ამას დიდი ნიჭი უნდა, მაშასადამე, მე არ შემიფერის. ესეც არ იყოს, სულ გაჩუმება მაინც საშიშია, ჰოდა, მეც საბოლოოდ გადავწყვიტე, ყველაფერს აჯობებს ლაპარაკი, მაგრამ უნიჭო ლაპარაკი-მეთქი. ესე იგი, იმდენი უნდა იქაქანო და იმდენი უმტკიცო შენი, ბოლოს შენვე აგერიოს, მსმენელმაც ვერაფერი გაიგოს და თავი გაგანებოს. თუ მოგაფურთხებს, კიდევ უკეთესი. შენც სამ კურდღელს ერთად დაიჭერ: ჯერ ერთი საკუთარ გულუბრყვილობაში დააჯერებ, თავსაც მოაბეზრებ და გაუგებარც დარჩები მისთვის. ამის შემდეგ ვინლა მოგაწერს იდუმალ ზრახვებს? ეს კი არადა, თითოეული დიდად იწყენს, თუკი შენზე ვინმემ უთხრა, იდუმალი ზრახვები აქვსო. თან შიგადაშიგ გავაცინებ. ამაზე კარგი რაღა იქნება. ახლა ეგენი მარტო იმისთვის მაპატიებენ ყველაფერს, რომ იქ პროკლამაციების დამწერი კაცი აქ მათზე რეგვენი გამოვედი. ხომ კი? ღიმილზე გატყობთ, მეთანხმებით.

სტავროგინს სულაც არ გაუღიმიდა. პირიქით, მოღუშული უსმენდა და ცოტაოდენი მოუთმენლობაც ეტყობოდა.

- ჰა, რაო? მგონი, სულ ერთიაო, ბრძანეთ? - ტარტარებდა ვერხოვენსკი (სტავროგინს კრინტიც არ დაუძრავს). - ცხადია, ცხადია; მერწმუნეთ, სულაც არ მინდა ჩემი ამხანაგობით ჩრდილი მოგაყენოთ. იცით რა, დღეს რაღაც მეტისმეტად შარზე ხართ; მე ალალი გულით მოვირბინე თქვენთან, თქვენ კი ყველაფერზე კრიჭაში მიდგებით. დამიჯერეთ, დღეს საჩოთიროს არაფერს შევცხები - და წინასწარვე თანახმა ვარ ყველა პირობაზე!

სტავროგინი ჯიუტად დუმდა.

- ჰა, რაო? რა თქვით? ვატყობ, ვატყობ, რომ ისევ რაღაც დავროშე. პირობას არ მიდებთ და არც დამიდებთ. მჯერა, მჯერა. ჰოდა, დამშვიდდით. თავად ვიცი, რომ ღირსი არა ვარ, ხომ კი? თქვენს სათქმელს მევე ვამბობ - რა თქმა უნდა, ესეც უნიჭობით მომდის; ყველაფერი უნიჭობით მჭირს.. ისევ გაგეცინათ? ჰა? რა თქვით?

- არაფერი, - ჩაეცინა ბოლოს სტავროგინს. - ახლავა გამახსენდა, რომ ერთხელ მართლაც უნიჭო დაგიძახეთ, მაგრამ მაშინ იქ არ იყავით. მაშასადამე, ენა მოგიტანეს... თუ შეიძლება, საქმეზე გადადით. - მე სწორედ საქმეზე ვლაპარაკობ, სწორედ იმ კვირის ამბებზე! - ატარტარდა ვერხოვენსკი. - როგორ ფიქრობთ, რა როლი გავითამაშე იმ კვირას? რასაკვირველია, ერთი სულსწრაფი და უნიჭო ადამიანის და უნიჭოდაც ჩავაჩუმე ყველა. მაგრამ ყველაფერი მაპატიეს, იმიტომ რომ, ჯერ ერთი,

მთვარიდან ჩამოვარდნილი კაცი ვარ, როგორც აქ უკვე ყველამ გადაწყვიტა, და მეორეც - მშვენიერი ამბავი მოვყევი და ყველა გიხსენით, ასეა თუ არა?

- დიახ, ისე მოყევით, ყველა დააეჭვეთ, თითქოს პირი გვქონდა შეკრული. თუმცა არც შეთანხმება გვქონდა და არც არაფერი მითხოვნია თქვენთვის.

- დიახაც, დიახაც, - აღტაცებით დაუკრა კვერი ვერხოვენსკიმ, - დიახაც ეგრე გავაკეთე, რა არის ეს ყველაფერი შეგენიშნათ; მე ხომ უმთავრესად თქვენთვის ვმამუნობდი, რომ გამომეჭირეთ და ჩრდილი მომეყენებინა. რაც მთავარია, გამერკვია, რამდენად გემინოდათ.

- ნეტავ ასეთი გულახდილი ახლა რამ გაგხადათ?

- ნუ ჯავრობთ და თვალებს ნუ მიბრიალებთ... თუმცა თვალებს არ მიბრიალებთ. ჩემი გულახდილობა გიკვირთ? სწორედ იმიტომ ვარ გულახდილი, რომ ახლა ყველაფერი შეიცვალა, დამთავრდა და წყალმა წაიღო. მე ერთბაშად შევიცვალე თქვენზე აზრი. ძველი გზა საბოლოოდ დავგმე, ახლა ძველი ხერხით აღარასოდეს მოგაყენებთ ჩრდილს, ახლა ახალი ხერხი მაქვს.

- ტაქტიკა შეცვალეთ?

- ტაქტიკა რა შუაშია. ახლა ყველაფერი თქვენი ნება იქნება, გინდათ ჰოს იტყვით, გინდათ არას, აი, ჩემი ახალი ტაქტიკა. ჩვენს საქმეზე კი, სანამ არ მიბრძანებთ, კრინტს არ დავძრავ. გეცინებათ? იცინეთ, რამდენიც გენებოთ. მეც ვიცინი. მაგრამ ახლა მართლა ვამბობ, მართლა. თუმცა მხოლოდ უნიჭო იჩქარებს ასე, ხომ კი? დაე, უნიჭო ვიყო, ოღონდ ამას კი ხუმრობაგაშვებით ვამბობ.

ვერხოვენსკიმ ეს მართლაც ისეთი უჩვეულო მღელვარებით თქვა, ნიკოლაი სტავროგინმა ცნობისმოყვარეობით შეხედა და ჰკითხა: - მაშ ჩემზე აზრი შეიცვალეთ?

- იმწამსვე, რა წამს ხელები უკან წაიღეთ. კმარა, კმარა, მეტს ნურაფერს მკითხავთ, მაინც არაფერს გეტყვით.

ახალგაზრდა ვერხოვენსკი წამოხტა და ხელები გაასავსავა, ნულარაფერს მკითხავთო. მაგრამ რომ დაინახა, არავინ არაფერს ეკითხებოდა, დაწყნარდა და ისევ სავარძელში გაიშლართა.

- ჰო, მართლა, - ატარტარდა ისევ, - ფრჩხილებში ვიტყვი, ზოგიერთმა აქ ენა წაიგდო თქვენზე, შატოვს მოკლავსო. სანამღეოსაც ჩამოდიან. ლემბკემ პოლიციის ჩარევა მოინდომა, მაგრამ იულია მიხაილოვნამ გადაათქმევინა... კმარა, კმარა, ამას მხოლოდ ცნობისთვის ვამბობ. ბარემ ამასაც გეტყვით: ხომ იცით, ლეზიადკინები იმავე დღეს გადავაბარგე. მიიღეთ ჩემი წერილი, სადაც მათ მისამართს გწერდით?

- მაშინვე მივიღე.

- ეს უკვე „უნიჭობით“ არ მომსვლია, სულით და გულით მინდოდა დახმარება. თუ უნიჭოდ გამომივიდა, ჩემი ბრალი არ არის.

- ვინ იცის, ასეც იყო საჭირო... - ჩაფიქრებით წაილაპარაკა სტავროგინმა, - ოღონდ წერილებს მეტს ნულარ მომწერთ.

- მხოლოდ ეგ ერთი მოგწერეთ, დამჭირდა და იმიტომ.

- მაშ ლიპუტინმა იცის?

- სხვა გზა არ იყო. მაგრამ ლიპუტინი, თქვენც კარგად იცით, ვერაფერს გაბედავს... ჰო, მართლა, ურიგო არ იქნებოდა ჩვენებთან მისვლა, ანუ იმათთან და არა ჩ ვ ე ნ ე ბ თ ა ნ, თორემ ისევ ყალფზე შედგებით. არა, ნუ გეშინიათ, ახლა-მეთქი, არ ვამბობ, სხვა დროს იყოს. ახლა წვიმს. მე შევატყობინებ, ისინიც შეგროვდებიან, ჩვენ სადამოს მივალთ. მშიერი ბარტყებივით პირდია გველოდებიან, რას მივუტანთ საკბილოს, ძალიან მონდომებული ხალხია, წიგნები მოამზადეს, კამათს აპირებენ. ვირგინსკი - ზოგადსაკაცობრიოზე იღებს თავს, ლიპუტინი ფურიერისტობს, თუმცა გვამში პოლიციელის სული უზის. ყველაფერში ვერ ენდობი. ის გრძელყოფს კი თავის საკუთარ სისტემაზე წაგვიკითხავს. იცით, როგორ სწყინთ, მე რომ ასე ავდებით ვექცევი და ცივ წყალს ვასხამ ხოლმე თავზე, ჰე-ჰე! მისვლა კი აუცილებელია.

- მე აქ შეფად წარმომადგინეთ? - თითქოს სხვათა შორის იკითხა ნიკოლაი სტავროგინმა. ვერხოვენსკიმ სწრაფად შეავლო თვალი და, თითქოს ვერ გაიგონაო, უმაღლეს სხვაზე გადაიტანა სიტყვა: - ჰო, მართლა, მე დღეში ორჯერ თუ სამჯერ ვეახლებოდი დიდად პატივცემულ ვარვარა პეტროვნას და იძულებული ვიყავი აქაც ბევრი მეყბედა.

- წარმომიდგენია.

- ტყუილად წარმოგიდგენიათ, მე მხოლოდ ვამშვიდებდი, არ მოკლავს-მეთქი. იცით, მეორე დღესვე იცოდა, მარია ტიმოფეევნა რომ მე გადავაბარგე გაღმა მხარეს. თქვენ უთხარით?

- არც მიფიქრია.

- ეგრეც ვიცოდი. მაგრამ თუ თქვენ არა, მაშ ვინ ეტყოდა?

- ცხადია, ლიპუტინი.

- არა, ლიპუტინი არა, - წაიდუდუნა ვერხოვენსკიმ და შეიჭმუნა, - მაგას გავიგებ. ვინ უთხრა, შატოვის ნათქვამს ჰგავს... თუმცა მოვეშვათ ამას! ისე კი პატარა ამბავი არ არის... ჰო, სულ მეგონა, დედათქვენი იმ მთავარზე მკითხავდა. აქამდე სულ მოღუშული იყო, დღეს კი გაბრწყინებული დამხვდა. ვითომ რისგან?

- სიტყვა მივეცი, ხუთი დღის შემდეგ ლიზავეტა ნიკოლაევნას ცოლობას ვთხოვ-მეთქი, - მოულოდნელად განაცხადა ნიკოლაი სტავროგინმა.

ვერხოვენსკი ოდნავ შეცბა, მერე წაილულლულა: - ჰო... გასაგებია. იცით კი, რომ ქალაქში ნიშნობაზეა ლაპარაკი? მართალი ამბავია. თუმცა არ სტყუით, ოღონდ დაუძახეთ და ეკლესიიდან გამოიქცევა. ხომ არ მიჯავრდებით ამ სიტყვებზე?

- არა.

- დღეს თქვენი გაჯავრება, ვატყობ, ადვილი არაა. მაშინებთ კიდევ. საოცრად მაინტერესებს, ხვალ რას ეტყვით იმათ, ალბათ ბევრი რამ მოამზადეთ, არ მიჯავრდებით ამაზე?

სტავროგინს ხმა არ გაუცია. ამან სულ გულზე გახეთქა ვერხოვენსკი.

- არა, მართლა უთხარით დედათქვენს ლიზავეტა ნიკოლაევნაზე? - ჰკითხა მან.

ნიკოლაი სტავროგინმა დაკვირვებით და ცივად შეხედა.

- ჰო, მესმის, მხოლოდ დასამშვიდებლად, გასაგებია.

- მართლა რომ მეთქვას? - ჯიქურ ჰკითხა სტავროგინმა.

- თუ ასეა, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, როგორც ამბობენ ხოლმე, საქმეს ეგ არას ვნებს. (ხედავთ, ჩვენ საქმეს-მეთქი, არ ვამბობ, სიტყვა ჩვენი თქვენ არ გიყვართ), მე კი... მე კი, თავად მოგეხსენებათ, და სამსახურს არ დაგაკლებთ.

- ასე გგონიათ?

- არაფერიც არ მგონია, - უმალ პირში შესვინა ვერხოვენსკიმ, - ვიცი, რომ ყველაფერი წინასწარვე გაქვთ მოფიქრებულ-მოსაზრებულნი. მხოლოდ მინდოდა მეთქვა, ნამდვილად ყველაფერში ხელს შეგიწყობთ-მეთქი, ყველგან და ყოველთვის გამიგეთ?

ნიკოლაი სტავროგინმა დაამთქნარა.

- მგონი, თავი მოგაბეზრეთ, - წამოხტა უცებ სტუმარი და თავის მრგვალ, ახალთახალ ქუდს წაეტანა, თითქოს წასვლა დააპირა. მაგრამ არც ფეხს იცვლიდა და არც ენას აჩერებდა. ხან გაივლ-გამოივლიდა და თავისივე ლაპარაკით გატაცებული მუხლზე ქუდს დაირტყამდა.

- მინდოდა კიდევ ლემბკეების ამბებით გამერთეთ, - მხიარულად შესძახა მან.

- არა, მერე იყოს, თუმცა იულია მიხაილოვნა როგორ ბრძანდება?

- საკვირველი ხალხი ხართ ეს დიდკაცები: იულია მიხაილოვნას კარგად ყოფნა სულაც არაფრად გენაღვლებათ და მაინც კითხულობთ. მომწონს, მომწონს. კარგად ბრძანდება და უზომოდ პატივსაც გცემთ, ბევრსაც მოელის თქვენგან. კვირის ამბავზე დუმს და დარწმუნებულია, თქვენი ერთი გამოჩენა ყველას ჩააჩუმებს. ღმერთი გამიწყრეს, თუ ყოვლისშემძლედ არ ჰყავდეთ წარმოდგენილი. თუმცა რა, სხვებმაც ახლა ამოუცნობ და რომანულ პიროვნებად შეგრაცხეს, უფრო მეტად, ვინემ ოდესმე - სწორედ მისწრებაა თქვენთვის. ვერ წარმოიდგენთ, რა მოუთმენლად გელიან. რომ წავედი - დიდ აღტკინებაში იყო ხალხი, ჩამოვედი - უარესი სურათი დამხვდა. ჰო, ერთხელ კიდევ დიდი მადლობა წერილისათვის. გრაფ კ-ისა ამათ ძალიან ეშინიათ. იცით, რომ ისინი, მგონი, ჯაშუშად გთვლიან? მე კვერს ვუკრავ. არ გამიწყრებით?

- არა.

- ეს არაფერია, ეს შემდეგში გამოგვადგება. ამათ აქ თავისი წესები აქვთ. რა თქმა უნდა, მე ვუწონებ. მეთაური იულია მიხაილოვნაა, გაგანოვიც თავს არ ზოგავს. გეცინებათ? მაგრამ მე ხომ ჩემი ტაქტიკა მაქვს. ვტყუი, ვტყუი და უცებ ჰკვიანურსაც გამოვურევ, სწორედ მაშინ. როცა თვითონ ვერაფერი მოუგონიათ. ხელად ირგვლივ დამეხვევიან, მე კი ისევ ტყუილებს მოვყვები ხოლმე. ჩემზე უკვე ხელი ჩაიქნიეს: „ნიჭი არ აკლია, მაგრამ რად გინდა, მთვარიდან ჩამოვარდნილსა ჰგავს“. ლემბკე სამსახურს მთავაზობს, გამოსწორება უნდა ჩემი. იცით, შავ დღეში მყავს, ხალხში

ვარცხვენ, ის კი მარტო თვალებს ქაჩავს. იულია მიხაილოვნა მიწონებს. ჰო, მართლა, გაგანოვი საშინლად გამწყრალია თქვენზე. გუშინ დუხოვოში საძაგლად მოგიხსენიათ. მეც მაშინვე ყველაფერი ვუთხარი, თუმცა, ცხადია, ყველაფერი არა. მთელი დღე მასთან ვიყავი დუხოვოში. რა დიდებული მამულია, რა მშვენიერი სახლი.

- განა ახლაც დუხოვოშია? - მძლავრად შეტოკდა სტავროგინი, ლამის წამოხტა.

- არა, ამ დილით ერთად დავბრუნდით, თვითონ ჩამომიყვანა, - ვერხოვენსკიმ ვითომ ვერც შეამჩნია ნიკოლაი სტავროგინის წამიერი აღელვება. - ეს რა მომივიდა, წიგნი დავაგდე, - დაილუნა იგი ძირს დავარდნილი კიჰსეკის[169] ასაღებად. - ბალზაკის ქალები ყოფილა, დასურათებული. არ წამიკითხავს. ლემბკეც რომანებს წერს.

- მართლა? - სტავროგინს ცნობისმოყვარეობა დაეტყო.

- დიახ, რუსულად და, რასაკვირველია, ჩუმ-ჩუმად. იულია მიხაილოვნამ იცის და არ უშლის. მაგისტანა ბოთეს მნახველი არა ვარ. თუმცა თავდაჭერა კარგი აქვს. რას იზამ, მოსდგამთ! რა გოროზი იერი, რა მედიდურება! ნეტამც ჩვენ გვეცხოს ამისთანა რამ.

- ადმინისტრაციას აქებთ?

- მოდი და ნუ აქებ! ერთადერთი, რასაც რუსეთში მიაღწიეს და რაც ბუნებრივად გამოსდით... არა, არა, აღარ ვიტყვი არაფერს. თუმცა მშვიდობით, რაღაც გამწვანებული მეჩვენებით.

- მაციებს.

- მჯერა, მჯერა, სჯობდა დაწვეთ. ჰო, ამ მაზრაში თურმე სკოპცები ყოფილან, საინტერესო ხალხია... თუმცა მერე იყოს. არა, ერთ ანეკდოტს კიდევ მოგიყვებით: მაზრაში აქ ქვეითი ჯარი დგას. პარასკევ საღამოს ბ-ცებში ოფიცრებთან ერთად ვქეიფობდი. იქ ჩვენ სამი მეგობარი გვყავს, vous comprenez?[170] ათეიზმზე ვლაპარაკობდით, რა თქმა უნდა ღმერთიც გავაუქმეთ. სიხარულით ცას დაეწივნენ, აჰყვირდნენ. ჰო, იცით, შატოვი ირწმუნება, რუსეთში თუ აჯანყებას დაიწყებ, უთუოდ ათეიზმიდან უნდა დაიწყოს. ეგებ არ ცდება. ერთი ჭაღარა, ხეპრე კაპიტანი იჯდა იქ თავისთვის ჩუმად, უცებ შუა ოთახში გამოვიდა და ხმამაღლა, თითქოს თავის თავს ეუბნებო, თქვა: მე რაღა კაპიტანი ვარ, თუ ღმერთი არ არისო? აიღო ქუდი, გაშალა ხელები და გავიდა.

- საკმაოდ ჭკვიანური აზრი უთქვამს, - მესამეჯერ დაამთქნარა ნიკოლაი სტავროგინმა.

- მართლა? მე კი ვერ მივხვდი, თქვენთვის მინდოდა მეკითხა. ჰო, კიდევ რა გითხრათ: შპიგულინებს საინტერესო ქარხანა ჰქონიათ. როგორც იცით, იქ ხუთასი მუშაა. ნამდვილი ქოლერის კერა, თხუთმეტი წელია არ გაწმენდილა, მუშებს ანგარიშში ატყუებენ. ვაჭრები კი მილიონერები არიან. გარწმუნებთ, იმ მუშებში ზოგს Internationale-ზე აქვს უკვე წარმოდგენა. გელიმებათ? სულ ცოტა მადროვეთ და თქვენი თვალით ნახავთ! ერთხელ უკვე გთხოვეთ, მადროვეთ-მეთქი და იგივეს გიმეორებთ... თუმცა, უკაცრავად, არ ვიტყვი, არა ამაზე კრინტს არ დავძრავ, ნუ იჭმუხნებით. ახლა

კი მშვიდობით. ოჰ, რა მემართება? - შემოტრიალდა ისევ. - სულ არ დამავიწყდა მთავარი: ეს წუთია მითხრეს, პეტერბურგიდან თქვენი სკივრი ჩამოვიდაო.

სტავროგინმა გაოგნებით შეხედა.

- რა სკივრი?

- რა სკივრი და თქვენი სკივრი, თქვენი ბარგი, ფრაკები, შარვლები, პერანგები; მართლა ჩამოვიდა?

- ჰო, წელან მეუბნებოდნენ რაღაცას.

- აჰ, არ შეიძლება, რომ ახლავე...

- ალექსეის ჰკითხეთ.

- იქნებ ხვალ, ჰა, ხვალ მაინც? იმ თქვენს ბარგში ჩემი პიჯაკია, ფრაკი, სამი შარვალი, შარმერის შეკერილი, თქვენივე რეკომენდაციით!

- როგორც გავიგე, აქ თურმე ჯენტლმენობაზე იდებთ თავს? - ჩაეცინა ნიკოლაი სტავროგინს. - მართლა ბერეიტორთან გინდათ ცხენოსნობა ისწავლოთ?

- ვერხოვენსკის დადრეჯით გაეღიმა და უცბად უთხრა: - იცით რა, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩ, მოდით და დავთქვათ ერთხელ და სამუდამოდ, პიროვნებას ნუ შევხებით. მე იქნებ სასაცილოც ვიყო თქვენს თვალში, მაგრამ სჯობს კი პიროვნებას მოვეშვათ, ერთხანს მაინც, ჰა? - ვერხოვენსკის ხმა აუკანკალდა.

- კარგით, მეტს აღარ ვიტყვი, - წარმოთქვა სტავროგინმა.

ვერხოვენსკიმ გაიღმიჭა, ქუდი მუხლზე დაირტყა, ფეხი შეინაცვლა და წინანდელი იერი მიიღო.

- ზოგს თქვენც მეტოქედაც მივაჩნიათ აქ ლიზავეტა ნიკოლაევნასთან, მაშ გარეგნობაზე როგორ არ ვიზრუნო? თუმცა ნეტა ვის მოაქვს ეს ამბები თქვენთან? ჰმ... ზუსტად რვა საათია. აბა წავედი. ვარვარა პეტროვნას დავპირდი, შემოვივლით-მეთქი, მაგრამ ვერ ავუსრულე. თქვენ კი დაწეით, ხვალ უფრო მხნედ იქნებით. გარეთ წვიმს და უკუნეთია, თუმცა ეტლი მელის, დამდამობით აქაური ქუჩები ცოტა საშიშია... ჰო, კარგია, რომ მომაგონა: ამ მიდამოებში ერთი ფედკა კატორღელი დაძრწის თურმე, ციმბირიდან გამოქცეული, წარმოიდგინეთ, ჩემი ნაყმევი, მამაჩემმა ამ თხუთმეტი წლის წინათ ჯარში უკრა თავი და ფულიც აიღო ამაში. საოცარი პიროვნებაა.

- უკვე ელაპარაკეთ? - თვალი შეავლო სტავროგინმა.

- ველაპარაკე. მე არ მემალება. არაფერზე დაიხვეს უკან, რა თქმა უნდა, თუ ფულს მისცემ. მაგრამ თავისი მრწამსიც აქვს, ცხადია მისი შესაფერისი. ჰო, კარგია, რომ მომაგონა: გახსოვთ, წელან რომ მითხარით ლიზავეტა ნიკოლაევნას თაობაზე, ჰოდა, თუ მართლა თქვით, ერთხელ კიდევ გაგახსენებთ, მეც არაფერზე დავიხვე უკან, მიმსახურეთ, როგორც გენებოთ. ერიჰაა, ჯოხს წაეტანეთ? წარმოიდგინეთ, ისე მომეჩვენა, თითქოს ჯოხს ეძებდით.

სტავროგინს არც ჯოხი უძებნია და არც არაფერი უთქვამს. მაგრამ რაღაც უცნაური სახით კი წამოდგა.

- უკეთუ ბატონ გაგანოვის თაობაზეც დაგჭირდეთ რამე, - წამოაყრანტალა უცებ ვერხოვენსკიმ და აშკარად ანიშნა პრეს-პაპიაზე, - იცოდეთ, მე ყველაფერს მოვაგვარებ და დარწმუნებული ვარ, გვერდს არ ამივლით.

ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ პასუხს აღარ დაუცადა და გავიდა. მაგრამ უცებ ისევ შემოჰყო კარში თავი და სულმოუთქმელად მიაყარა: - ამას იმიტომ გეუბნებით, არც შატოვს ჰქონდა, მაგალითად, იმ კვირას უფლება თავი გაეწირა, როცა მოგიახლოვდათ, ხომ ასეა? მინდა ესეც ინიშნოთ.

ვერხოვენსკიმ არც ახლა დაუცადა პასუხს და გაქრა.

IV

თუ ეგონა, სტავროგინი მისი წასვლის შემდეგ კედელს დაუშენდა მუშტებს, რისი ნახვაც ფრიად გაახარებდა, ძალიანაც შემცდარი იყო. სტავროგინი ორიოდე წუთს ღრმად ჩაფიქრებული იდგა მაგიდასთან, მერე უხალისო ღიმილი აეგრიხა პირზე, ნელა წავიდა დივანისკენ, ისევ კუთხეში მიჯდა და თითქოს დაღლილმა მიღუღა თვალი. წერილი კვლავინდებურად მოჩანდა პრეს-პაპიედან, მაგრამ ხელი აღარ უხლია.

მალე კიდევ ჩასთვლიდა. ამ დღეებში ფიქრებით ისედაც გაწამებულ ვარვარა პეტროვნას გულმა ვედარ გაუძლო, რაკი ვერხოვენსკიმ აღარ შემოუარა, და გადაწყვიტა თვითონ მიეკითხა Nicolas-სათვის, თუმცა ასეთ დროს შესვლა აკრძალული ჰქონდა. იმედს არ ჰკარგავდა, იქნებ საბოლოოდ რამე მითხრასო. წელანდელივით ნელა მიუკაკუნა კარს, ხმა რომ არავინ გასცა, შეაღო და შევიდა. რომ დაინახა, Nicolas რაღაც მეტისმეტად უძრავად ზისო, გულის კანკალით მიუახლოვდა დივანს და გაუკვირდა, ასე მალე რად დასძინებია და ისიც დამჯდარსო. სუნთქვაც არ ისმოდა მისი. ფერმკრთალი, მკაცრი სახე თითქოს გაჰყინოდა. წარბები ოდნავ შეეჭმუხნა. ჭეშმარიტად უსულო სანთლის კაცს ჰგავდა. ვარვარა პეტროვნა სამიოდე წუთი იდგა ასე სუნთქვაშეკრული და უცებ შიშმა აიტანა. ფეხაკრეფით გაბრუნდა უკან, კარში შეჩერდა, სასწრაფოდ პირჯვარი გადასახა და შეუმჩნეველად გავიდა, ახალი დარდით გულდამძიმებული.

ნიკოლაი სტავროგინს საათზე მეტი ეძინა. არ განძრეულა და ნაკვთი არ შეტოკებია სახეზე. წარბები ისევე შეჭმუხვნილი ჰქონდა. კიდევ სამი წუთი რომ დარჩენილიყო ვარვარა პეტროვნა, ალბათ ვედარ გაუძლებდა ამ საღათას ძილს და გააღვიძებდა. ერთბაშად სტავროგინმა თავისით გაახილა თვალი. ასევე უძრავად დაჰყო ათიოდე წუთი, თითქოს კუთხეში რაღაც საკვირველ საგანს ხედავს და იმას მისჩერებიაო. თუმცა იქ ახალი და საკვირველი არაფერი იყო.

დიდმა კედლის საათმა ნელი გუგუნით ჩამოჰკრა ერთხელ. Nicolas-მ ოდნავ შემფოთებით მიატრიალა თავი ციფერბლატისკენ. თითქმის იმავე წუთს ნელა გაიღო დერეფანში გამავალი კარი და კამერდინერი ალექსეი ეგოროვიჩი გამოჩნდა. ცალი ხელით თბილი პალტო, შარფი და ქუდი მოჰქონდა, მეორეთი ვერცხლის თევში. თევში ბარათი იდო.

- ათის ნახევარია, - აუწყა მან ნელი ხმით. მერე ტანსაცმელი კუთხეში დააღაგა სკამზე და თეფშით ბარათი მიართვა. დაუბეჭდავ ბარათზე ფანქრით დაწერილი ორი სტრიქონი მოჩანდა. ნიკოლაი სტავროგინმა ნაწერს თვალი გადაავლო და უკანვე დაუდო თეფშზე.

- გავალ თუ არა, მაშინვე გადაეცი. ახლა კი ჩამაცვი, - თქვა და წამოდგა.

სტავროგინს ხავერდის თხელი პიჯაკი ეცვა. მცირეოდენი ჩაფიქრების შემდეგ კამერდინერს სადარბაზო მაუდის სერთუკი მოატანინა, მერე ქუდი აიღო, დაკეტა ის კარი, საიდანაც ვარვარა პეტროვნა შემოვიდა, პრეს-პაპიედან დამალული წერილი გამოაძრო და უხმოდ გავიდა დერეფანში. ალექსეი ეგოროვიჩი უკან მიჰყვა. დერეფნიდან ქვის ვიწრო უკანა კიბით ბაღში გამავალ წინაკარში ჩავიდნენ. კუთხეში პატარა ფარანი და დიდი ქოლგა იყო მომზადებული.

- ისეთი დიდი წვიმაა, ქუჩები სულ აატალახა, - ერთხელ კიდევ მორიდებით შეახსენა ალექსეი ეგოროვიჩმა, რა არის, ბატონისთვის წასვლა გადაეთქმევინებინა. ბატონმა ქოლგა გაშალა და ხმამაღლებლივ გავიდა. სარდაფივით ჩაბნელებულ ძველ ბაღში ქარი არხევდა ნახევრადგამიშვლებულ ხეების კენწეროებს. ფეხი ეფლობოდა ქვიშიან ბილიკებში. ფრაკის ამარა, უქუდოდ გამოსული ალექსეი ეგოროვიჩი ფარნით უნათებდა გზას სამიოდე ნაბიჯზე.

- ხომ არ დაგვინახავენ? - იკითხა ანაზღად სტავროგინმა.

- ფანჯრებიდან ვერა, ყველაფერი გათვალისწინებული გახლავთ, - დინჯად მიუგო მსახურმა.

- დედას სძინავს?

- ცხრა საათზე შეიკეტა, როგორც ამ უკანასკნელ დღეებში დასჩემდა. ახლა ვერაფერს შეიტყობს. რომელ საათზე გელოდოთ? - შეჰკადრა მსახურმა.

- პირველზე, ორის ნახევარზე, ორზე გვიან არა.

- მესმის.

ბაღი ორთავემ ზეპირად იცოდა. მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით ბაღს შემოუარეს და ბაღის ქვის გალავანს მიადგნენ, მერე გალავნის კუთხეში პატარა ჭიშკარი მოძებნეს, რომელიც ვიწრო, მიყრუებულ შესახვევში გადიოდა და მუდამ დაკეტილი იყო. გასაღები ალექსეი ეგოროვიჩს აღმოაჩნდა ხელში.

- კარი არ გაიჭრიალებს? - ისევ იკითხა სტავროგინმა.

ალექსეი ეგოროვიჩმა მოახსენა, რომ კარი გუშინაც და დღესაც გაზეთა. იგი უკვე თავით ფეხამდე გაწუწულიყო, კარი გააღო და გასაღები ბატონს მიაწოდა.

- თუ შორს აპირებთ წასვლას, მოგახსენებთ, რომ აქაური ხალხი სანდო არ გახლავთ, მეტადრე მიყრუებული შუკვებია საშიში, განსაკუთრებით კი გაღმა მხარე, - ვერ მოუთმინა ისევ გულმა ბებერ მსახურს, რომლის ხელშიაც გაიზარდა ბატონიშვილი. ამ დინჯსა და გოროზ კაცს საღვთო წიგნის კითხვა უყვარდა.

- დარდი ნუ გაქვს, ალექსეი ეგორიჩ.

- ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ჩემო ბატონო, თუ კეთილ საქმეზე მიბრძანდებით.

- რა მითხარი? - შეჩერდა უკვე შუკაში გასული სტავროგინი.

ბებერმა მსახურმა მტკიცედ გაიმეორა თავისი სიტყვები. ასეთ სიტყვებს წინათ ვერასოდეს შეჰკადრებდა ბატონს.

სტავროგინმა კარი დაკეტა, გასაღები ჯიბეში ჩაიდო და შუკას გაჰყვა. ყოველ ფეხის გადადგმაზე კოჭებამდე ეფლობოდა ტალახში. ბოლოს ერთ გრძელ, ცარიელ ქუჩაზე გამოაღწია. ქალაქს ხუთი თითივით იცნობდა. მაგრამ ბოგოიავლენსკაიას ქუჩამდე კარგა შორი მანძილი იყო კიდევ. თითქმის ათი საათი იქნებოდა, როცა ფილიპოვის ძველი, ჩაბნელებული სახლის დაკეტილ ჭიშკარს მიადგა. ლეზიადკინების გადასვლის შემდეგ ქვემო სართული ცარიელი იყო, ფანჯრებიც აეჭედათ. მაგრამ შატოვის მეზონინში სინათლე კრთოდა, სტავროგინმა ჭიშკარზე დააბრახუნა, ვინაიდან ზარი არ იყო. სარკმელი გაიხსნა და შატოვმა გამოიხედა. იმ უკუნ სიბნელებაში კაცი ძნელად გაარჩევდა რასმე. შატოვი დიდხანს, მთელი ერთი წუთი აკვირდებოდა და უცებ ჰკითხა: - ეს თქვენ ხართ?

- მე გახლავართ, - მიუგო დაუპატიჟებელმა სტუმარმა.

შატოვმა სარკმელი მიხურა, ძირს ჩამოვიდა და ჭიშკარი გააღო. სტავროგინმა მაღალ დირეს გადააბიჯა, უხმოდ აუარა გვერდი და პირდაპირ კირილოვის ფლიგელისაკენ გაემართა.

V

კირილოვის ბინა ღია იყო. შესასვლელსა და პირველ ორ ოთახში ბნელოდა, უკანასკნელში კი, სადაც კირილოვი იდგა და ჩაის სვამდა ხოლმე, სინათლე ჩახჩახებდა. იქიდან სიცილი და საკვირველი შემახილები ისმოდა. სტავროგინმა სინათლეს მიაშურა, მაგრამ ზღურბლზევე გაჩერდა. სუფრაზე ჩაი იყო გაწყობილი. შუა ოთახში სახლის პატრონის ნათესავი დედაბერი იდგა, უთავსაფროდ, ქვედა კაბის ამარა, შიშველი ფეხები ფეხსაცმელში გაეყარა და კურდღლის ბეწვის მოკლე ჯუბა მოესხა. მკლავზე წლინახევრის ბალლი უჯდა. პატარას მხოლოდ პერანგი ეცვა და ტიტლიკანა ფეხები უჩანდა. ლოყები გაწითლებოდა, ქერა თმა გასწეწოდა. აკვნიდან ახლადამოყვანილს, ეტყობა, უტირია. თვალის უპეებში ცრემლი უკიაფებდა. მაგრამ იმ წუთს კი ხელებს იშვერდა, ტაშს უკრავდა და ისე ჩაბჟირებით იცინოდა, როგორც პატარებმა იციან ხოლმე. კირილოვი წინ ედგა და რეზინის დიდ წითელ ბურთს იატაკზე ათამაშებდა. ბურთი ჭერამდე ხტოდა, ბალლი „ბუ, ბუ!“ ყვიროდა, კირილოვი „ბუს“ იჭერდა, ბავშვს აძლევდა, ისიც ძირს აგდებდა და კირილოვი ისევ მისდევდა ბურთს დასაჭერად. ბოლოს „ბუ“ კარადის ქვეშ შეგორდა. „ბუ, ბუ!“ - ჭყიოდა ბავშვი. კირილოვი იატაკზე გაწვა და კარადიდან „ბუს“ გამოღებას შეეცადა. სტავროგინი ოთახში შევიდა. მის დანახვაზე ბალლი დედაბერს მიეხუტა და ტირილი მორთო. დედაბერმა უმაღლესი გაიყვანა.

- სტავროგინი ხართ? - წამოდგა კირილოვი ბურთით ხელში. მოულოდნელი ვიზიტი სულაც არ გაკვირვებია. - ჩაის დალევთ?

კირილოვი უკვე ფეხზე იდგა.

- უარს არ ვიტყვი, თუ თბილია, - უთხრა სტავროგინმა, - მთლად დავსველდი. - თბილი კი არადა, ცხელიცაა, - გაუხარდა კირილოვს, - დაბრძანდით: იატაკი დასვარეთ, მაგრამ არა უშავს. მერე სველი ჩვრით გავწმენდ.

ნიკოლაი სტავროგინმა ფინჯანი თითქმის სულმოუთქმელად დასცალა.

- კიდევ? - ჰკითხა კირილოვმა.

- გმადლობთ.

კირილოვი აქამდე ფეხზე იდგა. ახლა კი დაჯდა.

- რაზე გარჯილხართ?

- საქმეზე. აი, ეს წერილი წაიკითხეთ. გაგანოვისგან არის. გახსოვთ პეტერბურგში გეუბნებოდით.

კირილოვმა წერილი გამოართვა, წაიკითხა, მაგიდაზე დადო და მიაჩერდა.

- როგორც იცით, ეგ ბატონი გაგანოვი პირველად ამ ერთი თვის წინათ ვნახე პეტერბურგში. სამჯერ მაინც შეხვდით საზოგადოებაში ერთმანეთს. არ გავცნობივართ, მაგრამ, როგორც მაშინ გითხარით, მაინც მოახერხა თავხედობა გამოეჩინა, ის კი აღარ იცით ალბათ, რომ პეტერბურგი ჩემზე ადრე დატოვა და წამოსვლისას წერილი გამომიგზავნა. მთლად ასეთი უშვერი არა, მაგრამ საკმაოდ მოურიდებელი, უცნაური ის იყო, რომ გამოგზავნის მიზეზს არ მწერდა. მაშინვე გავუგზავნე პასუხი. გულახდილად მივწერე, ჩემზე ალბათ იმ ამბის გამო ხართ გულმოსული, რაც ამ ოთხი წლის წინათ მომიხდა-მეთქი აქაურ კლუბში მამათქვენთან. ჩემდათავად მზადა ვარ ამაზე ბოდიში მოვიხადო, მე მაშინ ავად ვიყავი და წინასწარ მოფიქრებით არ ჩამიდენია. ესეც მივწერე, ჩემი ბოდიში მხედველობაში მიიღეთ-მეთქი. გაგანოვმა არ მიპასუხა და გამოემგზავრა. აქ კი სულ გაცოფებული დამხვდა. თურმე საჯაროდ მაგინებს და საკვირველ ბრალდებებს მიყენებს. დღეს კი ეს წერილი მომივიდა, რომლის მსგავსი ალბათ არავის მისვლია. მლანძღავს და ეგ თქვენი ნაცემი სიფათიო, მწერს. იმედია, უარს არ მეტყვით სეკუნდანტობაზე.

- გგონიათ, ასეთი წერილი არავის მისვლია? - შენიშნა კირილოვმა, - გაცოფებული კაცი უთუოდ დასწერს, არა ერთხელ დაუწერიათ. პუშკინმა გეკერნს მისწერა. კეთილი, წამოვალ. ბრძანეთ, რა გნებავთ?

სტავროგინს ხვალვე ეწადა ამ საქმის მოთავება. მაგრამ ჯერ მაინც მისი ბოდიში უნდა გადაეცათ გაგანოვისთვის. ისიც ეთქვათ, რომ მეორედაც გაუგზავნიდა ბოდიშის წერილს, თუ გაგანოვიც თავის მხრივ პირობას დადებდა, აღარ მოვიწერებო. ამ უკანასკნელ წერილს კი ისე ჩასთვლიდა, ვითომც არც მიეღოს.

- ბევრს უთმობთ. არ დათანხმდება, - ჩაილაპარაკა კირილოვმა.

- თქვენ ის მითხარით, გადასცემთ თუ არა ჩემს პირობებს?

- გადავცემ, ოღონდ არ დათანხმდება.

- მეც ვიცი, არ დათანხმდება.

- მაგას დუელი სწყურია. ბრძოლის პირობებზე რას იტყვით?

- საქმეც ისაა, ხვალვე მინდა მოვრჩე ყველაფერს. ცხრა საათზე მასთან მიხვალთ. ის მოგისმენთ და უარს გეტყვით, შემდეგ ალბათ თერთმეტისათვის თავის სეკუნდანტს შეგახვედრებთ. სეკუნდანტთან ყველაფერზე მოილაპარაკებთ, მაგრამ ისე კი მოაწყვეთ, პირველსა თუ ორ საათზე ყველანი ადგილზე ვიყოთ. დუელი, ცხადია, დამბაჩებით იქნება. მეტადრე ამას გთხოვთ: ბარიერებს შუა მანძილი ათი ნაბიჯი იყოს. ბარიერებიდან კი თითოეული ათ ნაბიჯზე დაგვაყენოთ. ნიშანზე ერთმანეთისაკენ წავალთ. ჩვენ-ჩვენს ბარიერამდე უნდა მივიდეთ, თუმცა გასროლა მანამდეც შეიძლება მგონი, მეტი არაფერი.

- ათი ნაბიჯი ძალიან ახლოა, - შენიშნა კირილოვმა.

- კარგი, თორმეტი იყოს, ოღონდ მეტი არა. გესმით, იმ კაცს მართლა უნდა ბრძოლა. დამბაჩები დაგიტენიათ?- კი. დამბაჩებიც მაქვს; სიტყვას მივცემ, იმ დამბაჩიდან რომ არ გისვრიათ. მისმა სეკუნდანტმაც ასეთივე სიტყვა უნდა მომცეს. ორი წყვილი იქნება, ჩვენც წილს ვყრით, ლუწი თუ კენტი, მისი თუ ჩვენი?

- ჩინებულია.

- დამბაჩები გაჩვენოთ?

- კარგი იქნება.

კირილოვი კუთხეში ჩაცლუცქდა თავისი ჩემოდნის წინ. ჩემოდანი ჯერაც არ ჰქონდა ამოლაგებული, თუ რამ დასჭირდებოდა, თანდათანობით იღებდა ხოლმე. ჩემოდნის ძირიდან პალმის ხის ყუთი გამოაძვრინა, წითელი ხავერდით გამოკრული, საიდანაც ორი ჩინებული, მეტად ძვირფასი დამბაჩა ამოიღო.

- ყველაფერი მაქვს, თოფისწამალი, ტყვიები, ვაზნები. მოიცათ, კიდევ რევოლვერსაც გაჩვენებთ.

კირილოვმა ახლა სხვა ყუთი ამოათრია ექვსლულიანი ამერიკული რევოლვერით.

- რამდენი და რა ძვირფასი იარაღი გქონიათ.

- დიახ, ძალიან. მეტისმეტად.

ლატაკსა და თითქმის მათხოვარ კირილოვს, რომელიც არაფრად აგდებდა თავის სილატაკეს, ეს სიმწრით შეძენილი ძვირფასი იარაღი, ეტყობა, დიდად ეამაყებოდა.

სტავროგინმა წუთით იყუჩა, შემდეგ მორიდებით ჰკითხა: - გადაწყვეტილება არ შეგიცვლიათ?

- არა, - მოუჭრა კირილოვმა და მაგიდიდან იარაღი აალაგა. კილოზე მიხვდა, რაზეც ეკითხებოდნენ.

- როდისღა? - დაუდაბლა ხმას სტავროგინმა.

კირილოვმა ამასობაში ორივე ყუთი ჩემოდანში შეინახა და თავის ადგილზე დაჯდა.

- ხომ იცით, ჩემზე არაა დამოკიდებული; როდესაც მეტყვიან, - ისე უხალისოდ წაიდუღუნა, თითქოს მხოლოდ ამ შეკითხვაზე ემძიმა პასუხის გაცემა. მისი შავი, უსიცოცხლო თვალები რაღაც კეთილი გრძნობით მისჩერებოდნენ სტავროგინს.

ნიკოლაი სტავროგინი სამიოდე წუთს დუმდა ჩაფიქრებული, მერე ოდნავ შეიკრა წარბები: - კაცმა რომ თავი მოიკლას, ჩემთვის გასაგებია და ხშირადაც მიფიქრია ამაზე, მაგრამ იქვე ეს ახალი აზრი დამბადებია: ადამიანმა რომ დიდი ბოროტება ჩაიდინო, ისეთი სამარცხვინო, თავმოსაჭრელი და ამასთან... ისეთი სასაცილო... მთელი ათასი წელი არავინ დაგივიწყოს და ათასი წელი ყველამ გაფურთხოს, უცბად კი ეს იფიქრო: „შუბლში ერთი ტყვია და მორჩა ყველაფერი“, განა სულ ერთი არ იქნება, ვინ რას იტყვის და როგორ მოგაფურთხებს ათასი წლის შემდეგ?

კირილოვი ცოტა ხანს დაფიქრდა და მერე თქვა: - ეს ახალ აზრად მიგაჩნიათ?

- კი არ მიმაჩნია... ერთხელ დაფიქრდი და ვიგრძენი, ახალი აზრი იყო.

- „აზრი იგრძენით“? - გაიმეორა კირილოვმა. - ეგ კარგია. ბევრი აზრია, რომელიც უცერივ ახლად მოგეჩვენება. კი, სწორია. მე ახლა ბევრი რამ თითქოს პირველად აღმოვაჩინე.

სტავროგინმა ყური არ ათხოვა და გააგრძელა: - ვთქვათ, ერთ დროს მთვარეზე ცხოვრობდით და იქ ჩაიდინეთ ეს სასაცილო და საძაგელი რაღაც... მერე აქ ჩამოხვედით. მაგრამ დანამდვილებით იცით, ვიდრემდე მთვარე იარსებებს, ყბად აიღებენ და ათასი წელი აფურთხებენ იმ მთვარეზე შენს სახელს. თუმცა თუკი აქა ხართ და მთვარეს აქედან უყურებთ, ნეტა რაში გენაღვლებათ, იქ რა ჩაიდინეთ, ანდა იქაურები თუ გაფურთხებენ?

- ვერაფერს გეტყვით, - მიუგო კირილოვმა და მიუგო ყოველგვარი დაცინვის გარეშე, მხოლოდ ფაქტის აღსანიშნავად, - მე მთვარეზე არ ვყოფილვარ.

- ის ვისი ბავშვი იყო წელან?

- დედაბრის დედამთილია ჩამოსული; არა, რძალი... თუმცა სულ ერთი არაა. სამი დღეა ავად არის. ღამიანობით ბაღს მუცელი სტკივა, ტირის. დედას სძინავს, დედაბერს კი ჩემთან მოჰყავს. ბურთით ვართობ. ჰამბურგში ვიყიდე და სავარჯიშოდ წამოვიღე. ამბობენ, ზურგს ამაგრებსო. გოგოა.

- ბავშვები გიყვართ?

- მიყვარს, - საკმაოდ გულგრილად მიუგო კირილოვმა.

- მაშ, სიცოცხლეც გიყვართ?

- ჰო, მიყვარს. რაზე მკითხეთ?

- თავის მოკვლას რომ აპირებთ.

- მერე რა? სიცოცხლე ცალკეა, ეს ცალკე. სიცოცხლე არსებობს, სიკვდილი არა.

- საიქიო ცხოვრება იწამეთ?

- არა, საიქიო კი არა, სააქაო. არის წუთები, როდესაც ადამიანისთვის დრო უცბად გაჩერდება და საუკუნოდ ასე იქნება.

- გგონიათ, თქვენც დაგიდგებათ ეს წუთები? -

- დიახ..

- არა მგონია ჩვენს დროში მოხდეს. აპოკალიფსში ერთი ანგელოზი იფიცება, ჟამი არღა იქნებაო, - თითქოს ჩაფიქრებით წაილაპარაკა სტავროგინმა. დაცინვა არც მის ხმაში იგრძნობოდა.

- ვიცი. ეგ მართლა სწორად არის ნათქვამი: გარკვევით და ზუსტად. ადამიანი რომ სრულ ბედნიერებას მიაღწევს, მაშინ ჟამი არღა იქნება, ვინაიდან აღარც არის საჭირო. დიახ, ეგ მართალი უთქვამთ.

- დროს სად გააქრობენ?

- არსად არ გააქრობენ. დრო საგანი არ არის, დრო იდეაა. გონებაში გაქრება.

- ძველთაძველი ფილოსოფიაა, დასაბამიდან ასე იმეორებენ, - რაღაც ზიზღნარევი გულდაწყვეტით წაიბურტყუნა სტავროგინმა.

- დიახ, ძველთაძველია და დასაბამიდან ასე იმეორებენ! სხვანაირად არც იქნება არასდროს! -კირილოს ისე აუბრიალდა თვალები, თითქოს ეს აზრი ლამის გამარჯვებას უდრიდა მისთვის.

- ოჰო, თურმე ბედნიერიც ხართ, კირილოვ?

- დიახ, ვარ, - უბრალოდ მიუგო კირილოვმა.

- განა ამას წინათ არ ჯავრობდით და ბრაზობდით ლიპუტინზე?

- ჰმ... ახლა აღარ ვლანძღავ. მაშინ არ ვიცოდი ჩემი ბედნიერება. ფოთოლი თუ გინახავთ, ხის ფოთოლი?

- მინახავს.

- ამას წინათ ვნახე. ყვითელი იყო, აქა-იქ მწვანეს გადაიკრავდა. კიდევბი შემოღობოდა. ქარი აღმა-დაღმა დააქროლებდა. როცა ათი წლის ვიყავი, ზამთარში თვალებს დავხუჭავდი და ფოთოლს წარმოვიდგენდი - ხასხასა მწვანეს, ზედ მზე დაკაშკაშებდა. თვალს გავახელდი, აღარ მეჯერა, ისეთი კარგი იყო, და ისევ დავხუჭავდი თვალებს.

- ეგ ალეგორიაა?

- არა... რატომ? ალეგორია კი არა, ფოთოლზე ვამბობ, მხოლოდ ფოთოლზე. ფოთოლი კარგია. ყველაფერი კარგია.

- ყველაფერი?

- ყველაფერი. ადამიანმა არ იცის თავისი ბედნიერება და უბედური იმიტომ არის. მარტო იმიტომ. ყველაფრის მიზეზი ესაა მხოლოდ! ვინც ამას ჩასწვდება, იმავ წუთს

ბედნიერი გახდება. დედამთილი მოკვდება, გოგონა დარჩება - ყველაფერი კარგია. უცბად მივხვდი ამას.

- თუ შიმშილით მოკლეს, თუ გოგონა შეურაცხვეს და პატივი ახადეს - ესეც კარგია?

- კარგია, ვინც ბავშვს თავს გაუჭეჭყავს, ესეც კარგია, ვინც არ გაუჭეჭყავს, ესეც ყველაფერი კარგია. ვინც იცის, რომ ყველაფერი კარგია, კარგად იქნება. რომ იცოდნენ, კარგად ვართო, კარგად იქნებიან. ვიდრემდე არ იციან, კარგად ვართო, ცუდად იქნებიან. აი, ეს არის მთავარი, სხვა არაფერი!

- როდის იგრძენით, ბედნიერი რომ ხართ?

- წინა სამშაბათს, არა, ოთხშაბათს, უკვე ოთხშაბათი იყო. შუალამის ხანს.

- მიზეზი რა იყო?

- არ მახსოვს. ისე, ოთახში დავდიოდი... თუმცა სულ ერთი არაა. საათი გავაჩერე, სამის ოცდაჩვიდმეტი წუთი იყო.

- იმის ნიშნად, დროც უნდა გაჩერდეს?

კირილოვს არა უთქვამს რა. მერე ისევ გააგრძელა: - ხალხმა არ იცის თავისი სიკარგე და იმიტომ არიან ცუდნი. გაიგებენ და პატივისაც აღარ ახდიან გოგონას. ჩახვდებიან თავიანთ სიკარგეს და მაშინვე კარგები გახდებიან. დიახ, ყველანი.

- თქვენ ხომ გაიგეთ, მამ კარგი ხართ?

- ვარ.

- ამაში კი გეთანხმებით, - მოლუმვით ჩაილაპარაკა სტავროგინმა.

- ვინც ასწავლის, კარგები ხართო, ის დაასრულებს ქვეყნის საქმეს.

- ვინც ასწავლა, ჯვარზე გააკრეს.

- ის მოვა და სახელი მისი იქნება კაც-ღმერთი.

- ღმერთკაცი?

- კაც-ღმერთი-მეთქი, რამეთუ განსხვავება არის.

- ლამპარი თქვენ დაანთეთ?

- მე.

- იწამეთ?

- დედაბერი ანთებს ხოლმე, უყვარს... დღეს კი არ ეცალა, - წაიდუღუნა კირილოვმა.

- ჯერ არ ლოცულობთ?

- მე ყველაფერს ვლოცავ. ხედავთ, ობობა მიცოცავს კედელზე, მე ვუცქერი და მაღლიერი ვარ მისი, რომ მიცოცავს.

კირილოვს ისევ წამოერთო თვალები და სტავროგინს ჯიქურ მიაჩერდა, ისიც ზიზღით უყურებდა, ოღონდ მოღუშულ სახეზე დაცინვა არ ეტყობოდა. მერე ადგა, ქუდი აიღო და უთხრა: - სანაძლეოს დავდებ, რომ ჩემს მეორე მოსვლაზე ღმერთსაც იწამებთ.

კირილოვიც წამოდგა.

- რატომ?

- რომ გაიგოთ, ღმერთი მწამსო, ალბათ იწამებთ; მაგრამ ჯერ არ იცით და იმიტომ არ გწამთ, - ჩაეცინა ნიკოლაი სტავროგინს.

კირილოვი ჩაფიქრდა.

- სწორი არა ხართ, აზრი გადააბრუნეთ. ხუმრობთ, დიდკაცებს მოდგამთ. გაიხსენეთ, რას ნიშნავდით ჩემთვის, სტავროგინ.

- მშვიდობით კირილოვ.

- ღამლამობით მოდით ხოლმე. როდის მოხვალთ?

- ხვალის ამბავი ხომ არ დაგავიწყდათ?

- სულ დამავიწყდა. ნუ გეშინიათ, არ დამეძინება. ცხრა საათზე იქ ვიქნები. რა დროსაც მინდა, იმ დროს ვიღვიძებ. დავწვები და ვამბობ: შვიდზე-მეთქი და შვიდზე ვიღვიძებ; ათზე-მეთქი - ათზე ვიღვიძებ.

- ნიკოლაი სტავროგინმა კირილოვის ფერნაკლულ სახეს შეხედა.

- დიდებული თვისებები გქონიათ.

- წამოვალ, ჭიშკარს გაგიღებთ.

- ნუ შეწუხდებით, შატოვი გამიღებს.

- ჰოო, შატოვი. აბა მშვიდობით.

VI

იმ ცარიელი სახლის პარმადი, სადაც შატოვი იდგა, დაკეტილი არ იყო. მაგრამ შესასვლელში ისე ბნელოდა, სტავროგინმა მეზონინის კიბე ვერ დაინახა და ხელის ფათურით დაუწყო ძებნა. ამ დროს ზემოდან კარი გაიღო და სინათლე გამოიჭრა. შატოვი არ გამოსულა, მხოლოდ კარი გამოადლო. ზღურბლზე შემდგარ სტავროგინს იგი კუთხეში დაუხვდა. მაგიდასთან იდგა და ელოდა.

- მიმიღებთ საქმეზე? - ჰკითხა ზღურბლიდან სტუმარმა.

- შემოდით და დაჯექით. კარი დაკეტეთ, თუმცა არა, მე თვითონ დავკეტავ.

შატოვმა კარი დაკეტა, მაგიდასთან მობრუნდა და პირდაპირ დაუჯდა. ამ კვირას გამხდარიყო, ახლა კი, მგონი, სიცხეც უნდა ჰქონოდა.

- რაზე დამტანჯეთ და არ მოდიოდით? - თავაუღებლივ წაიჩურჩულა შატოვმა.

- დარწმუნებული კი იყავით, რომ მოვიდოდი?

- არა, მეგონი, მაბოდებდა... იქნებ ახლაც მაბოდებს... დაიცათ.

შატოვი წამოიწია და ზედა თაროდან რაღაც საგანი ჩამოიღო. ეს რევოლვერი იყო.

- ერთ ღამეს მაბოდებდა, მეგონა, ჩემს მოსაკლავად მოხვიდოდით. ჰოდა, დილაადრიან იქ მუქთახორა ლიამშინისაგან უკანასკნელი ფულით ეს რევოლვერი ვიყიდე; არ მინდოდა დაგნებებოდით. მერე გონს მოვედი... არც თოფისწამალი მაქვს და არც ტყვიები. მას აქეთ გდია თაროზე. დაიცათ...

შატოვი წამოიწია და სარკმლის გამოღება დააპირა.

- რისთვის აგდებთ? - შეაჩერა სტავროგინმა, - ჯერ ერთი ფული ღირს, მეორეც - ხვალ ხალხი იტყვის, შატოვის ფანჯარასთან რევოლვერები ყრიაო. უკანვე დადევით, აი ასე, ახლა დაჯექით. ერთი ეს მითხარით, რატომ ინანიებთ ჩემთან, მეგონა, ჩემს მოსაკლავად მოხვიდოდითო? შესარიგებლად არც ახლა მოვსულვარ, აუცილებელ საქმეზე მინდა მოგელაპარაკოთ. ჯერ ის ამიხსენით, იმიტომ ხომ არ გამარტყით, თქვენ ცოლთან რომ მქონდა საქმე?

შატოვმა ისევ დახარა თავი.

- თქვენც იცით, რომ არა.

- არც იმიტომ, რომ დარია პავლოვნაზე იმ სულელური ჭორებისა გჯერათ?

- არა, არა, რასაკვირველია, არა! სისულელეა! დამ თავიდანვე მითხრა... - მოუთმენლად და მკვახედ თქვა შატოვმა და ფეხიც კი დაჰკრა იატაკს.

სტავროგინმა მშვიდად განაგრძო: - მაშასადამე, ორთავე სწორად მივხვდით. დიახ, არ სცდებით: მარია ტიმოფეევნა ლეზიადკინა ჩემი კანონიერი მეუღლე გახლავთ, ამ ოთხნახევარი წლის უკან დავიწერე იმაზე ჯვარი პეტერბურგში. თქვენ ხომ მისი გულისთვის გამარტყით?

- შატოვი გაოგნებული დუმდა. ბოლოს რაღაც უცნაურად შეხედა სტავროგინს და წაიბურღლუნა: - მივხვდი, მაგრამ არ მჯეროდა.

- გამარტყით კი?

შატოვს სახე წამოენთო და უაზროდ აბლუკუნდა: - გაგარტყით იმიტომ, რად გაირყვენი... რად ტყუით. მე მაშინ ანგარიშის გასწორება არ მინდოდა; მეც არ ვიცოდი, რომ გაგარტყამდით... იმიტომ გაგარტყით, ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდით ცხოვრებაში...

- მესმის, მესმის, სიტყვები დაზოგეთ. ვწუხვარ, რომ კარგად ვერ ხართ. მე თქვენთან გადაუდებელი საქმე მქონდა.

შატოვს თითქოს გააჟრჟოლა და წამოიწია.

- მომკლა თქვენმა ლოდინმა. თქვით, რა საქმე გაქვთ, მერე... მეც გეტყვით ჩემსას....

შატოვი დაჯდა. სტავროგინი ყურადღებით დააცქერდა.

- ეს სულ სხვა საქმე გახლავთ. ზოგი გარემოების გამო იძულებული გავხდით ასეთი დრო ამერჩია აქ მოსასვლელად. იცოდეთ, მოკვლას გიპირებენ.

შატოვმა გაოგნებით შეხედა. მერე თქვა: - ვიცი, რომ საფრთხე მელის. მაგრამ თქვენ საიდან გაიგეთ?

- მეც თქვენსავით იმ საზოგადოებას ვეკუთვნი და მისი წევრი ვარ.

- თქვენ... და იმ საზოგადოების წევრი?

- გატყობთ, ყველაფერს მოელოდით ჩემგან და ამას კი არა. - ჩაეცინა სტავროგინს. - მაგრამ ერთი ეს მითხარით, უკვე იცოდით, რომ მოკვლას გიპირებენ?

- აზრადაც არ მომსვლია და არც ახლა მგონია თქვენი სიტყვების მიუხედავად... თუმცა ამ რეგვენებს რა არ მოუვათ თავში! - გაცოფებით დაახეთქა მაგიდას მუშტი შატოვმა. - მე მაგათი არ მეშინია! მაგათთან მე ყველაფერი გავწყვიტე! იმან ოთხჯერ მაინც შემომირბინა და მითხრა, შენი ნებააო. თუმცა კერძოდ, რა იცით ამ ამბისა?

- ნუ გეშინიათ, არ გატყუებთ. - ისე ცივად განაგრძო სტავროგინმა, თითქოს მხოლოდ მოვალეობას იხდის და მეტი არაფერი. - გინდა გამომცადოთ, რა ვიცი? ვიცი, რომ იმ საზოგადოებაში ორი წლის წინათ შეხვედით საზღვარგარეთ, ჯერ კიდევ ძველი ორგანიზაციის დროს, სწორედ თქვენი ამერიკაში გამგზავრების წინ და, მგონი, სულ მალე ჩვენი უკანასკნელი საუბრის შემდეგ. ამერიკიდან თქვენ ბევრს მწერდით ამ საუბარზე. ჰო, უკაცრავად, წერილითვე რომ ვერ გიპასუხეთ და მხოლოდ...

- ფული გამომიგზავნეთ, მოითმინეთ, - შეაჩერა შატოვმა, საჩქაროდ უჯრა გამოსწია და იქიდან ქაღალდის ათთუმნიანი ამოაძვრინა, - აი, ინებეთ, თქვენი გამოგზავნილი ასი მანეთი. უთქვენოდ იქ დავიღუპებოდი. რომ დედათქვენი არა, კარგა ხანს ვერ დაგიბრუნებდით: ეს ასი მანეთი იმან გამომიგზავნა სამადლოდ ამ ცხრა თვის წინ, ჩემი ავადმყოფობის შემდეგ. მაგრამ განაგრძეთ თუ შეიძლება.

შატოვს სული ეხუთებოდა.

- ამერიკაში აზრები შეგეცვალათ და შვეიცარიაში რომ დაბრუნდით, უარის თქმა დააპირეთ წევრობაზე. მათ არაფერი გიპასუხეს, ოღონდ დაგავალეს, აქ, რუსეთში ვილაცისაგან რაღაც სტამბა ჩაგებარებინათ და მანამ შეგენახათ, სანამ ვინმე არ მოგაკითხავდათ წასაღებად. ზუსტად ყველაფერი არ ვიცი, მაგრამ დაახლოებით, მგონი ასეა, არა? იმ იმედით, რომ ეს მათი უკანასკნელი დავალება იქნებოდა და მერე თავს დაგანებებდნენ, თქვენ დათანხმდით. ასე იყო თუ ისე, ეს ყველაფერი სულ შემთხვევით გავიგე, მათგან არა. მაგრამ ის კი, მგონი, დღემდე არ იცით, რომ ეგ ვაჟბატონები სულაც არ ფიქრობენ თქვენს გაშვებას.

- ეს რა უაზრობაა! - შეჰღრიალა შატოვმა. - მე პატიოსნად განუწყუბადე, არაფერს თქვენსას არ ვიზიარებ-მეთქი! მეც მაქვს უფლება, ისე მოვიქცე, როგორც ჩემი სინდისი და ჭკუა მიკარნახებს... მე ამას არ მოვითმენ! არავითარ ძალას არ...

- იცით რა, ნუ ყვირით, - დინჯად შეაჩერა ნიკოლაი სტავროგინმა, - ეგ ვერხოვენსკი ისეთი კაცია, გასაკვირი არ იქნება, ყური ჰქონდეს ახლა მოდებული თქვენს კარზე ან არადა სხვას ასმენინებდეს. იმ ლოთ ლეზიადკინსაც, მგონი, თქვენი მეთვალყურეობა

ჰქონდა დავალებული, ისევე, როგორც თქვენ მისი, არა? ერთი ეს მითხარით, დაგეთანხმათ ვერხოვენსკი მაგ წინადადებაზე?

- დამეთანხმა, მითხრა, სრული ნება გაქვსო...

- მაშ გატყუებთ. კირილოვი რომ კირილოვია და მაგათ წრეს არ ეკუთვნის, იმანაც კი მიაწოდა თქვენზე ცნობები. აგენტები ბლომად ჰყავთ, ზოგმა არ იცის, თუ მაგათ საზოგადოებას ემსახურება. თქვენ მუდამ გითვალთვალეზდნენ. სხვათა შორის, პიოტრ ვერხოვენსკი აქ თქვენი საქმის საბოლოოდ გადასაწყვეტადაა ჩამოსული და სრული უფლებაც აქვს, თუ საჭირო იქნა, გაგაქროთ, რაკი მეტისმეტად ბევრი რამ იცით და შეიძლება გასცეთ. გიმეორებთ, ყოველივე ეს ნამდვილად ვიცი, ისიც უნდა დავუმატო, რატომღაც დარწმუნებულნი არიან, რომ გამცემი ხართ და თუ აქამდე არ გაგიციათ, შემდეგში გასცემთ მართალია?

შატოვს პირი მოედრიცა ამის გაგონებაზე. მაგრამ პირდაპირ პასუხს თავი აარიდა და ღვარძლით ჩაილაპარაკა: - გამცემი რომც ვიყო, სად უნდა გავცე? თუმცა ჯანდაბას ჩემი თავი! მაგრამ თქვენ, სტავროგინ, თქვენ რა გაქვთ საერთო ამ უტიფარ, ამ უნიჭო ლაქიებთან? თქვენ და მათი საზოგადოების წევრი! ეს ეკადრება ნიკოლაი სტავროგინს! - სასოწარკვეთით გაასავსავა ხელები შატოვმა, თითქოს ამაზე სამწუხაროს ვერაფერს შეიტყობდა და საკუთარი საფრთხის გაგებაზე ამან უფრო დასცა თავზარი.

ნიკოლაი სტავროგინი მართლა გაოცდა.

- უკაცრავად და, მგონი, ისე მიყურებთ, თითქოს მე მზე ვიყო და თქვენ კი ერთი პატარა ქინქლა. ეს ამერიკიდან გამოგზავნილ წერილშიაც შევამჩნიე.

შატოვმა უეცრივ გააწყვეტინა: - მე... მე... ეეჰ, არ ღირს ჩემზე ლაპარაკი! თუ შეგიძლიათ თქვენი ამბავი ამიხსენით... ჩემს კითხვაზე მიპასუხეთ! - იმეორებდა იგი სიცხიანივით. - ბატონი ბრძანდებით. მოვალეცა ვარ მეტი გულახდილობა გამოვიჩინო იმის შემდეგ, რაც გითხარით. მეკითხებით, რა საერთო მაქვს ამ ნაძირალებთან? მართალი თუ გნებავთ, ამ საზოგადოებას სულაც არ ვეკუთვნი, არც ახლა და არც წინათ. მე მისი წევრი არ ვყოფილვარ და ამიტომ თქვენზე მეტი უფლება მაქვს დავმორდე ამ ხალხს. პირიქით, იმთავითვე განვუცხადე, თქვენი ამხანაგი არა ვარ-მეთქი, ხოლო თუ რამეში დავებმარე, ეს იყო მარტოოდენ უსაქმური კაცის დახმარება. მე მხოლოდ მცირე წვლილი მიმიძღვის მათი საზოგადოების რეორგანიზაციაში ახალი გეგმის მიხედვით, ესაა და ეს. მაგრამ ახლა სხვა ჭკუაზე დადგნენ, გადაწყვიტეს, ჩემი გაშვებაც საშიშია და, მგონი, მეც განაჩენი გამომიტანეს.

- ოო, მაგათ სულ განაჩენები გამოაქვთ, სულ ქაღალდზე დაწერილი, ბეჭედ დასმული და სამ-ნახევარი კაცის ხელმოწერილი. ნეტავ თუ გჯერათ ამისი!

- ნაწილობრივ მართალი ხართ, - კვლავ გულგრილად განაგრძო სტავროგინმა. - ეჭვი არაა, როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება, აქ უფრო ფანტაზია სჭარბობს: ეს ერთი მუჟა ხალხი მეტისმეტად აზვიადებს თავის წონასა და გავლენას. მართალი თუ გნებავთ, ჩემი აზრით, მთელი მათ წრეს მარტოოდენ ვერხოვენსკი შეადგენს და დიდ გულმოწყალებასაც იჩენს, რომ თავის თავს ამ საზოგადოების აგენტად თვლის მხოლოდ. თუმცა ძირითადი იდეა სხვა ამგვარ იდეებზე ნაკლები არ გახლავთ. მაგათ კავშირი აქვთ international-თან. რუსეთშიაც გაიჩინეს აგენტები, საკმაოდ

ორიგინალურ ხერხსაც მიაგნეს... მაგრამ, ცხადია, მხოლოდ თეორიულად. რაც შეეხება მათ აქაურ განზრახვებს, არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენი რუსული ორგანიზაციების საქმიანობა ისეთი ბნელი და თითქმის მუდამ ისეთი მოულოდნელი რაღაც არის, ჩვენში მართლაც შეიძლება ყველაფერი სცადოს კაცმა. ისიც მიიღეთ მხედველობაში, რომ ვერხოვენსკი ჯიუტი კაცია.

- ეგ არის ბალღინჯო, უვიცი, ბრიყვი, რუსეთისა მას არაფერი ესმის, - ბრაზით შეჰყვირა შატოვმა.

- ცუდად გცნობიათ ეგ კაცი. რუსეთის რომ საერთოდ ამ ხალხს ცოტა ესმის, ეგ მართალია, მაგრამ მგონი, ჩვენზე სულ ცოტათი ნაკლებ. თანაც ვერხოვენსკი ენთუზიასტია.

- ვერხოვენსკი და ენთუზიასტი?

- დაიხ, არის წუთები, როცა ტაკიმასხარობას თავს ანებებს და ნახევრად გიჟი ხდება. გაიხსენეთ თქვენივე სიტყვები: იცით კი, რა შეუძლია ერთ კაცსო? ნუ გეცინებათ, მშვენივრადაც შეძლებს ჩახმახს გამოჰკრას თითი. მაგ ხალხს სჯერა, რომ მეც გამცემი ვარ. საქმეს თავს ვერ აბამენ და ამიტომ ყველას გამცემად აცხადებენ.

- ხომ არ გეშინიათ?

- არა... მაინცდამაინც არა... მაგრამ თქვენი საქმე კი სულ სხვაა. ამიტომაც გაგაფრთხილეთ, მე თუ მკითხავთ, საწყენი არ უნდა იყოს ბრიყვებისაგან საფრთხის მოლოდინი. ჭკუა აქ არაფერ შუაშია; განა ჩვენისთანები გაუმეტებიათ. მაგრამ უკაცრავად, თორმეტის ჩეთვერი ყოფილა, - საათს შეხედა სტავროგინმა და წამოდგა, - მინდა ერთი რამ გკითხოთ. შატოვი უმალ წამოხტა.

- ღვთის გულისათვის!

სტავროგინმა გაკვირვებით შეხედა.

- ესე იგი?

- მკითხეთ, ღვთის გულისათვის, მკითხეთ, - იმეორებდა უზომოდ აღელვებული შატოვი, - იმ პირობით კი, მერე მეც მოგცეთ შეკითხვა. გემუდარებით, ნება მომეცით... არ შემეძლია... აბა მკითხეთ!

სტავროგინმა ცოტა შეიცადა და მერე განაგრძო: - გავიგე, მარია ტიმოფეევანაზე რაღაც გავლენა გქონიათ, თქვენი ნახვა და მოსმენა ჰყვარებია. სწორია?

- კი... მისმენდა ხოლმე... - ოდნავ დაიბნა შატოვი.

- მე ვაპირებ ამ დღეებში საჯაროდ გამოვაცხადო ჩვენი ქორწინების ამბავი.

- რა აზრით ამბობთ? სამწუხაროა აქ არაფერია: ჯვრისწერის მოწმენი აქ არიან. მაშინ პეტერბურგში ეს ყველაფერი კანონიერად მოხდა. თუ აქამდე არ გამომჟღავნდა, მარტო იმიტომ, ჯვრისწერის ორმა მოწმემ, კირილოვმა და ვერხოვენსკიმ, დაბოლოს თვით ლეზიადკინმაც (ის ახლა ჩემი ნათესავი გახლავთ) პირობა დადეს, არ გავთქვამთო.

- მაგას არ ვამბობ... მიკვირს, ასე მშვიდად რომ ლაპარაკობთ... თუმცა განაგრძეთ! გამიგონეთ. ძალა ხომ არავის დაუტანებია თქვენთვის, ჯვარი დაიწერეთ?

- არა, ძალა არავის დაუტანებია, - გაეღიმა სტავროგინს შატოვის ამ კითხვაზე.

- აბა თავის ბავშვზე რას ლაპარაკობს? - ციებიანივით კანკალებდა შატოვი.

- ბავშვზე ლაპარაკობსო? ოჰო! ეგ არ ვიცოდი, პირველად მესმის. თავის დღეში ბავშვი არ ჰყოლია და არც შეიძლება ჰყოლოდა: მარია ტიმოფეევნა ქალწული გახლავთ.

- ეგრეც მეგონა! მაშ მომისმინეთ!

- რა იყო, რა მოგდით?

შატოვმა სახეზე ხელები აიფარა, პირი იბრუნა, მერე უეცრივ სტავროგინს მხარში სწვდა და დაუყვირა: - ის მაინც თუ იცით, ეს რისთვის ჩაიდინეთ ან ამ წამებას ახლად რად კისრულობთ?

- ჭკვიანური და გესლიანი კთხვავა, თუმცა მეც მინდა ახლა გაგაკვირვოთ: დიახ, ვგონებ, ვიცი, მაშინ რად დავიწერე ჯვარი და, თქვენი თქმისა არ იყოს, ამ „წამებას“ ახლად რად ვკისრულობ.

- მოვეშვათ ამას... ამაზე მერმე. ცოტა დაიცათ; მთავარი ვთქვათ, მთავარი: ორი წელია გელით.

- მართლა?

- რამდენი ხანია გელით, სულ თქვენზე ვფიქრობ. თქვენ ერთადერთი კაცი ხართ, ვისაც ძალუძს... ჯერ ამერიკიდან მოგწერეთ ამაზე.

- კარგად მახსოვს ის თქვენი გრძელი წერილი.

- თანახმა ვარ; ექვსი თაბახი იყო. ჩუ, არაფერი თქვათ! მითხარით: შეგიძლიათ კიდევ ათი წუთი მაჩუქოთ სალაპარაკოდ, ოღონდ ახლავე, ამ წუთს... გამაწამა თქვენმა ლოდინმა!

- ბატონი ბრძანდებით, ნახევარი საათი იყოს, თუკი ხელს გაძლევთ, მხოლოდ მეტი არა.

- ოღონდ კილო შეიცვალეთ, - გაშმაგებით გააგრძელა შატოვმა, - გესმით, მე მოვითხოვ, თუმცა უნდა შეგეხვეწოთ... გესმით, რას ნიშნავს, მოვითხოვ-მეთქი, როცა უნდა შეგეხვეწოთ?

სტავროგინს ჩაეცინა: - მესმის, ამ გზით ყოველივე ჩვეულებრივზე ამაღლდებით უფრო ზენაარი მიზნებისთვის. სამწუხაროდ, გაციებთ, მგონი.

- მე პატივისცემას მოვითხოვ, პატივისცემას-მეთქი! - გაიძახოდა შატოვი. - ჩემზე არ გეუბნებით, ჯანდაბას ჩემი თავი, სხვას დასდეთ პატივი, იმას, რასაც ახლა რამდენიმე სიტყვით გეტყვით... ჩვენ ორი არსება ვართ და უსაზღვროებაში შევხვდით ერთმანეთს... ამ სამყაროში უკანასკნელად დასთმეთ ეგ კილო და ადამიანურად ილაპარაკეთ! ერთხელ მაინც ილაპარაკეთ ადამიანურად. ჩემთვის კი არა, თქვენთვის

გთხოვთ. იცით თუ არა, ის სილა მარტო იმიტომ უნდა მაპატიოთ, რომ საშუალება მოგეცით ეგ თქვენი უსაზღვრო ძალა გამოგეცადათ... ისევ გელიმებათ ზიზღიანი მედიდურობით? ო, როდისღა გამიგებთ, როდისღა! დაანებეთ თავი მაგ თქვენს ბატონკაცობას! გაიგეთ, რომ მოვითხოვ ამას, მოვითხოვ, თორემ არასგზით არ ვიტყვი, არაფერს, არასგზით.

გაშმაგებამ შატოვი სიგიჟემდე მიიყვანა. სტავროგინმა წარბი შეიკრა და თითქოსდა უფრო ფრთხილად დაიჭირა თავი.

- მე თუ კიდევ ნახევარი საათი დავრჩი, თუმცა ყოველი წუთი ჩემთვის ძვირფასია, - ხაზგასმით თქვა მან, - მერწმუნეთ, მხოლოდ იმიტომ, გულისყურით მოგისმინოთ და... დარწმუნებული ვარ, თქვენგანაც ახალს ბევრს შევიტყობ.

სტავროგინი დაჯდა.

- დაბრძანდით! - შესძახა შატოვმა და თვითონაც დაჯდა.

სტავროგინმა ისევ გაიმეორა: - ნება მიბოძეთ შეგახსენოთ, რომ მარია ტიმოფეევნას თაობაზე ვაპირებდი რაღაც მეთხოვნა, ყოველ შემთხვევაში, მისთვის ეს მეტად ბევრს ნიშნავს...

- მერე? - შატოვმა ისევ შეიკრა წარბები და ისეთნაირად მიაჩერდა, თითქოს ფიქრის ძაფი გაუწყვიტეს და ვერ მიმხვდარა, რას ეკითხებიანო.

- მაგრამ არ დამამთავრებინეთ, - ღიმილით დაასრულა სტავროგინმა.

- ეე, რა დროს ეგაა! - ჩახვდა ბოლოს შატოვი, ზიზღით აუქნია ხელი და პირდაპირ თავის მთავარ სათქმელზე გადავიდა.

VII

- იცით, ვინ არის დედამიწაზე ერთადერთი ხალხი „ღმერთშემოსილი“, ვინაც მოწოდებულია მომავალში განაახლოს ეს ქვეყანა და ახალი ღმერთის სახელით იხსნას, ვისაც ერთადერთს უჭირავს ხელთ ახალი ცხოვრებისა და ახალი სიტყვის კლიტენი... - რისხვით გადმოიწია სკამიდან თვალეზანთებული შატოვი და თავისდა უნებურად მარჯვენა ხელის თითი ასწია, - იცით, ვინ არის ეს ხალხი და რა ჰქვია ამ ხალხს?

- მაგ თქვენი კილოთი აუცილებლად უნდა დავასკვნა და, მგონი, საჩქაროდაც, რომ ეს რუსი ხალხია...

შატოვი კინალამ წამოხტა.

- იცინით კიდევ, ჰოი, თქვენი მოდგმა და ჯილაგი!

- ნუ აღელდებით, ძალიან გთხოვთ. პირიქით, სწორედ ასეთ რასმე ველოდები.

- ასეთ რასმე ელოდით? მაშ ამ სიტყვებს ვერა სცნობთ?

- ვცნობ და კიდევ ვხვდები, საითაც უკაკუნებთ. ეგ სიტყვები და გამოთქმაც - ხალხი „ღმერთშემოსილი“ დასკვნა გახლავთ ამ ორი წლის წინათ საზღვარგარეთ მომხდარ

ჩვენი საუბრისა, თქვენი ამერიკაში გამგზავრებამდე ცოტა ადრე... ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც ახლა მაგონდება.

- ეგ მთლიანად თქვენი სიტყვებია და არა ჩემი. თქვენი საკუთარი და არა მხოლოდ დასკვნა ჩვენი საუბრისა. არც „ჩვენი“ საუბარი ყოფილა: იყო მხოლოდ მოძღვარი, დიად სიტყვათა მღალადებელი და შეგირდი, მკვდრეთით აღმდგარი, შეგირდი - მე, მოძღვარი, - თქვენ.

- მაგრამ, თუ გაიხსენებთ, სწორედ ამ ჩემი სიტყვების შემდეგ შეხვედით იმ საზოგადოებაში და მხოლოდ მერე გამგზავრეთ ამერიკაში.

- დიახ, სწორედ ამაზე მოგწერეთ ამერიკიდან, მე ყველაფერი მოგწერეთ. დიახ, მე ვერ შევძელი ის ამომეგლიჯა გულიდან, რასაც ბავშვობიდან შესისხლხორცებული და შეზრდილი ვიყავი, რასაც შევალე მთელი ჩემი აღტაცება და იმედები, მთელი ჩემი სიძულვილი და ცრემლი... ძნელია ღმერთის გამოცვლა. მე მაშინ არ დაგიჯერეთ, არ მინდოდა დაჯერება, ჰოდა, წყალწაღებული ამ ბინძურ ორმოს მოვეჭიდე... მაგრამ თესლი ჩარჩა და აღმოცენდა. არა, მართალი მითხარით, წაიკითხეთ კი ბოლომდე ჩემი ამერიკიდან გამოგზავნილი წერილი? ეგებ არც წაიკითხეთ?

- იქიდან სამი გვერდი წავიკითხე, პირველი ორი და უკანასკნელი, შუაშიც თვალი გადავაავლე. თუმცა სულ კი ვაპირებდი...

- ეე, კარგით ერთი, ჯანდაბის იქითაც ყოფილა! - ჩაიქნია ხელი შატოვმა, - თუ ახლა ხელს იღებთ მაშინდელ ნათქვამზე, რისთვისღა ამბობდით... აი, რა მტანჯავს ახლა.

- მე მაშინაც არ მიხუმრია. რომ გარწმუნებდით, იქნებ თქვენზე უფრო ჩემს თავზე ვზრუნავდი, - ჩაილაპარაკა სტავროგინმა.

- არ გიხუმრიათ! ამერიკაში სამი თვე ჩალაზე ვეგდე ერთ... უბედურთან ერთად. მისგან გავიგე, თურმე იმ დროს, როცა მე გულში მითესლავდით ღმერთისა და მამულის რწმენას, იმავე დროს და იქნებ იმავე დღეებში იმ უბედურს, იმ შეპყრობილ კრილოვს გული და სული მოუწამლეთ... სიცრუე და ცილი არწმუნებინეთ და ტვინი უღრმეთ... წადით და დატკბით ახლა მისი მზერით, ის თქვენი ქმნილებაა. თუმცა, მგონი უკვე დატკბით.

- უნდა მოგახსენოთ, რომ კირილოვმა ეს წუთია თავისი პირით მითხრა, ბედნიერი და დიდებული ადამიანი ვარო. მართალია, ეს ყველაფერი თითქმის ერთსა და იმავე დროს მოხდა, მაგრამ, ვიმეორებ, მე არც თქვენ და არც ის არ მომიტყუებიათ.

- ახლა ათეისტი ხართ?

- დიახ.

- მაშინ?

- მაშინაც ათეისტი ვიყავი.

- დასაწყისში გთხოვეთ, ჩვენს საუბარს პატივი დადეთ-მეთქი. თქვენი ჭკუის პატრონი როგორმე უნდა მიმხვდარიყავით ამას, - აღფოთებით წაიბურტყუნა შატოვმა.

- მე არ ავდექი და არ წავედი თქვენი პირველი სიტყვების შემდეგ, საუბარი არ შეწყვიტე, ვზივარ და მორჩილად გპასუხობთ, როცა მეკითხებით და... მიყვებით. მამასადამე, პატივი დაგდეთ.

შატოვმა ხელი ჩაიქნია: - გახსოვთ თქვენი სიტყვები: ათეისტი არ შეიძლება რუსი იყოს, ათეისტი უმალ რუსობას დაკარგავსო. გახსოვთ ეს?

- მართლა? - თითქოს გაიკვირვა სტავროგინმა.

- გიკვირთ? არ გახსოვთ? მერედა რა ზუსტად გამოიცანით და დაახასიათეთ რუსული სულის ეს მთავარი ნიშან-თვისება. როგორ დაგავიწყდათ? მეტსაც მოგაგონებთ, მაშინ ესეც თქვით: არამართლმადიდებელი რუსი ვერ იქნებაო.

- მგონი, ეგ სლავიანოფილების აზრი უნდა იყოს.

- არა, ახლანდელი სლავიანოფილები მაგაზე ხელს აიღებენ. ახლა ხალხი დაჭკვიანდა. მაგრამ თქვენ უფრო შორს შეტოპეთ: გწამდათ, რომის კათოლიციზმი ქრისტიანობა აღარ არისო, ამტკიცებდით, რომმა ის ქრისტე იწამა, რომელიც ეშმაკის მესამე ცთუნებამ სძლიაო. კათოლიკეებმა რომ გამოაცხადეს, ამქვეყნიური მეუფეობის გარეშე ქრისტე ფეხს ვერ მოიკიდებსო, ამით ანტიქრისტე აღიარეს და მთელი დასავლეთი დაღუპესო. სწორედ თქვენ ამბობდით, საფრანგეთი რომ ეწამება, მხოლოდ და მხოლოდ კათოლიკობის გამო ეწამება, რამეთუ უარჰყო რომის გახრწნილი ღმერთი და ახალი კი ვერ ჰპოვაო. აი, რას ღაღადებდით მაშინ! კარგად მახსოვს ჩვენი საუბარი.

- მე არ ვტყუოდი, როცა ასე ვლაპარაკობდი. რომ მწამდეს, უეჭველია, ახლაც იგივეს გავიმეორებდი. მაგრამ, გარწმუნებთ, ჩემი წინანდელი შეხედულებების გამეორება სულაც არ მსიამოვნებს. არ შეიძლება შეწყვიტოთ? - დინჯად უთხრა სტავროგინმა.

- რომ მწამდესო? - შეჰყვირა შატოვმა. ყური არ უთხოვებია სტავროგინის სიტყვებისთვის. - მაშ ვინ ამბობდა, მათემატიკური სიზუსტით რომ დამიმტკიცონ, ჭეშმარიტება ქრისტეს მიღმა არსებობსო, მაინც ქრისტეს ვარჩევდი და არა ჭეშმარიტებასო? თქვენ არ ამბობდით ამას?

- ნება მიბოძეთ, მეც გითხრათ ბოლოს, რისთვის გჭირდებათ ეს.. ღვარძლიანი გამოცდა? - აუწია ხმას სტავროგინმა.

- ეს გამოცდა მოთავდება და აღარასოდეს გამეორდება.

- დაგიჟინიათ, სივრცისა და დროის გარეშე ვართო.

- გაჩუმდით! - უყვირა შატოვმა. - მე ერთი ბრიყვი და მოუქნელი ვინმე ვარ და არც მეშინია სასაცილო გამოვჩნდე: მომცემთ კი ნებას, გაგიმეოროთ თქვენი მაშინდელი მთავარი აზრი... ო, მარტო ათი სტრიქონი, მხოლოდ დასკვნა.

- ბრძანეთ ბატონო, თუკი მხოლოდ დასკვნა არის...

სტავროგინი შეტოკდა, საათისთვის უნდოდა შეეხედა, მაგრამ არ შეეხედა.

შატოვი ისევ გადმოიხარა სკამიდან, წამით ისევ ასწია თითი, სტავროგინს რისხვით მიაჩერდა და ისე დაიწყო, თითქოს დაწერილს კითხულობსო: - ჯერ არც ერთ ერს არ

მოუწყვია თავისი ცხოვრება მეცნიერებისა და გონების საწყისებზე. მაგალითი ჯერ არ ყოფილა. თუ იყო, მხოლოდ წუთიერად და ისიც სიბრყვიით. სოციალიზმი უკვე თავისი შინაარსით ათეიზმია, რამეთუ პირველივე სტრიქონიდან აცხადებს, რომ ის ათეისტური მოძღვრებაა და განზრახული აქვს მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერებისა და გონების საწყისებზე მოაწყოს ყველაფერი. გონება და მეცნიერება ადამიანთა ცხოვრებაში მუდამ მხოლოდ მეორეხარისხოვან და დამხმარე როლს თამაშობდა დასაბამიდან; ასეც იქნება ჟამთა დასასრულამდე. ხალხებს სულ სხვა ძალა ქმნის და ამოდრავებს, სხვა ძალა წარმართავს. მაგრამ რა წარმოშობს ამ ძალას, არავინ იცის და ვერავინ ახსნის. ეს არის დაუცხრომელი სურვილი ჩასწვდე ყველაფერს ბოლომდე და ამავე დროს უარყო იგი. ეს არის ძალა საკუთარი ყოფიერების განუწყვეტელი დასტურყოფისა და უარყოფელი სიკვდილისა. სიცოცხლის არსი ანუ, როგორც საღვთო წერილი ამბობს - „მდინარენი წყაროსა ცხოველისა“, რომლის დაშრეტით ასე იმუქრება აპოკალიფსი. საწყისი ესთეტიკური და საწყისი ზნეობრივი, ფილოსოფოსების თქმით. „ღმერთის ძიება“ - მეთქი, ვიტყოდი მე უბრალოდ. მიზანი კაცობრიობისა, მიზანი ყოველი ერისა მისი არსებობის მანძილზე არის მარტოოდენ ღმერთის ძიება, დიახ, უთუოდ საკუთარი ღმერთის ძიება და რწმენა მისი, ვითარცა ერთარსებისა, ჭეშმარიტისა. ღმერთი არის სინთეზური პიროვნება მთელი ხალხისა, ამ ხალხის არსებობის დასაბამიდან დასასრულამდე. ჯერ არასოდეს მომხდარა, ყველა ერსა თუ რამდენიმეს ერთი საერთო ღმერთი ჰყოლოდათ, თითოეულს მუდამ თავისი ჰყავდა. ცალკეულ ხალხთა გაქრობის ნიშანი საერთო ღმერთის აღიარება გახლავთ. როცა ღმერთები საერთო ხდება, ისპობა ღმერთებიც და ისპობა რწმენაც თვით ხალხთან ერთად. რაც უფრო ძლიერია ხალხი, მით განსაკუთრებულია ღმერთი მისი. არ არსებულა ჯერ ხალხი რელიგიის გარეშე, ანუ სიკეთისა და ბოროტების ცნების გარეშე. ყოველ ხალხს საკუთარი ცნება აქვს სიკეთისა და ბოროტის, საკუთარი სიკეთე და ბოროტება გააჩნია. როცა ხალხებს საერთო ცნება ექმნებათ სიკეთესა და ბოროტებაზე, მაშინ იწყება მათი გადაგვარება და მაშინ იშლება სხვაობა სიკეთესა და ბოროტებას შორის. გონებას თავის დღეში არ ძალუძდა სიკეთისა და ბოროტების განსაზღვრა, ანდა ბოროტების სიკეთისაგან დაახლოებით მაინც გარჩევა. პირიქით, ნიადაგ სამარცხვინოდ და უბადრუკად ურევდა ერთმანეთში; მეცნიერება კი მუშტი-კრივით წყვეტდა საკითხს. განსაკუთრებით ნახევარმეცნიერებამ გამოიჩინა თავი, რომელსაც კაცობრიობა ახლანდელ საუკუნემდე არ იცნობდა და რომელმაც შავ ჭირზე, შიმშილსა და ომებზე მეტი უბედურება მოუტანა ხალხს. ნახევარმეცნიერება ეს ისეთი დესპოტია, რომლის მსგავსი ჯერ არ უხილავს კაცობრიობას. ამ დესპოტს თავისი ქურუმები და მონები ჰყავს, რომლებიც ბრმად სცემენ თაყვანს. მისი შიშით კანკალებს მეცნიერებაც და სამარცხვინოდ კვერს უკრავს ყველაფერში. ეს თქვენი სიტყვებია, სტავროგინ, საკუთრივ თქვენი, ნახევარმეცნიერების გარდა; ეს ჩემია, ვინაიდან მე თვითონ ნახევარმეცნიერებას წარმოვადგენ და, მაშასადამე, მით უფრო მძულს იგი. თქვენს აზრებსა და სიტყვებში არაფერი შემიცვლია, ერთი სიტყვაც კი.

- არა მგონია, არ შეგეცვალოთ, - თავდაჭერით შენიშნა სტავროგინმა, - თქვენ ისეთი გზებით ირწმუნეთ, რომ უნებურად გადაასხვავდეთ. თუნდაც ის, რომ ღმერთი ხალხურობის უბრალო ატრიბუტამდე დაგყავთ...

სტავროგინი ახლა იმდენად შატოვის სიტყვებს აღარ უკვირდებოდა, რამდენადაც თვით მას ადევნება ყურადღებით თვალს.

- ღმერთი ხალხურობის ატრიბუტამდე დამყავს? - შეჰყვირა შატოვმა, - პირიქით, მე ხალხი ამყავს ღმერთამდე. ან ყოფილა კი ოდესმე სხვანაირად? ხალხი ეს სხეულია ღვთისა. ყოველი ერთი მანამდე რჩება ერთად, ვინემ საკუთარი ღმერთი ჰყავს და სხვა დანარჩენ ღმერთებს შეურიგებლივ ჰგმობს ვინემ სწამს, რომ მისი ღმერთი სხვა ღმერთებს დაამარცხებს და განდევნის. ასე სწამდათ ყველას დასაბამიდან, ასე სწამდათ, ყოველ შემთხვევაში, დიდ ერებს, ვინც ასე თუ ისე რჩეულნი იყვნენ და კაცობრიობას მიუძღვებოდნენ. სინამდვილეს ვერსად გაექცევი. ებრაელები მხოლოდ ჭეშმარიტი ღმერთის მოლოდინით სულდგმულობდნენ და ქვეყნიერებას ჭეშმარიტი ღმერთი დაუტოვეს. ბერძნები ბუნებას აღმერთებდნენ და მსოფლიოს თვისი რელიგია უანდერძეს ანუ ფილოსოფია და ხელოვნება. რომმა ხალხი გააღმერთა სახელმწიფოს სახით და კაცობრიობას სახელმწიფო დაუტოვა ანდერძად. საფრანგეთი მთელი თავისი გრძელი ისტორიის მანძილზე მხოლოდ რომაული ღმერთის იდეის განხორციელება და განვითარება იყო, ხოლო თუ თავისი რომაული ღმერთი ბოლოს უფსკრულში გადაისროლა და ათეიზმი ირწმუნა, რასაც ჯერჯერობით სოციალიზმად ნათლავენ, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ათეიზმი რომის კათოლიციზმზე უფრო ჯანსაღია. თუ დიდ ერს არა სწამს, რომ მარტოდენ მან მიაკვლია ჭეშმარიტებას (დიახ, სწორედ მან და მარტოდენ მან). თუ არა სწამს, რომ მარტოდენ მას ძალუმს და მარტოდენ ისაა მოწოდებული ყველა მკვდრეთით აღადგინოს და იხსნას თავისი ჭეშმარიტებით, ის ეთნოგრაფიის მასალაა და არა დიდი ერთი. ჭეშმარიტად დიდი ერთი ვერასოდეს შეურიგდება მსოფლიოში მეორეხარისხოვანსა და გინდაც პირველხარისხოვან როლს, ის მხოლოდ და მხოლოდ პირველობას დაიჩემებს. ვინც ამ რწმენას დაკარგავს, ის ერთი აღარ არის. მაგრამ ჭეშმარიტება ერთია. მაშასადამე, ხალხთა შორის მხოლოდ ერთს შეუძლია ჰყავდეს ჭეშმარიტი ღმერთი, მიუხედავად იმისა, რომ სხვებსაც სწამთ თავიანთი ღმერთების სიდიადე და ყოვლისშემძლეობა. ეს ერთადერთი ხალხი „ღმერთშემოსილი“ - რუსი ხალხია და... ნუთუ მართლა ისეთ ბრიყვად მთვლით, სტავროგინ, არ ვიცოდე, ეს სიტყვები ან მოძველებული აზრებუდაა, მოსკოველ სლავიანოფილთა წისქვილებზე ათიათასჯერ გადაფქვილი, ან სრულიად ახალი, უკანასკნელი, ერთადერთი სიტყვა განახლებისა და მკვდრეთით აღდგომის.. ჰო, იცინეთ, იცინეთ. ჩემთვის არაფერს ნიშნავს ახლა თქვენი დაცინვა, არაფერს ნიშნავს, რომ ჩემი ერთი სიტყვაც არ გესმით! ჰოი, როგორ მძულს ამ წუთას ეგ თქვენი ამაყი სიცილი და მზერა!

შატოვი ზეზე წამოხტა. გაცოფებისაგან პირზე დორბლივ კი მოადგა. სტავროგინი არ წამომდგარა, მხოლოდ გასაოცარი თავშეკავებით უთხრა: - პირიქით, შატოვ, პირიქით, თქვენმა მგზნებარე სიტყვებმა ძალზე ბევრი რამ მომაგონეს. თქვენმა სიტყვებმა ჩემი განწყობა მომაგონა ამ ორი წლის უკან. ახლა აღარ გეტყვით წელანდელივით, ჩემს მაშინდელ აზრებს, დაამატეთ-მეთქი. ისიც კი მგონია, რომ ის ჩემი აზრები უფრო დამოუკიდებელი, უფრო თამამი იყო. კიდევ მესამედ გიმეორებთ, რომ დიახაც მინდა ყველაფერში დაგეთანხმოთ, რაც ახლა ილაპარაკეთ, უკანასკნელ სიტყვამდეც კი, ოღონდ...

- კურდღელია საჭირო, ხომ?

- რაა?

შატოვს ღვარძლიანად გაეცინა და ისევ დაჯდა.

- თქვენივე უნამუსო სიტყვებით: „კურდღლის სოუსს ვერ გააკეთებ, თუ კურდღელი არ დაიჭირე, ღმერთს ვერ იწამებ, თუ ღმერთი არა გყავს“. ეს თურმე პეტერბურგში გითქვამთ, ნოზდრიოვისა არ იყოს, იმასაც კურდღლის დაჭერა უკანა ფეხებით უნდოდა.

- უნდოდა კი არა, იკვებნიდა, დავიჭირეო. ჰო, ბარემ ერთი კითხვით მეც შეგაწუხებთ, მეტადრე რომ, მგონი, ახლა ამის სრული უფლება მაქვს. ერთი ეს მითხარით: თქვენი კურდღელი უკვე დაჭერილია თუ ისევ გარბის?

- მე გიკრძალავთ ასეთ ლაპარაკს. სხვა სიტყვებით მკითხეთ-მეთქი, სხვა სიტყვებით! - მთელი ტანით აკანკალდა შატოვი.

- კი, ბატონო, სხვა სიტყვებით გკითხავთ, - კუმტად შეხედა სტავროგინმა, - მითხარით, თქვენ თვითონ გწამთ თუ არა ღმერთი?

- მე რუსეთი მწამს, მართლმადიდებლობა მწამს მისი... მწამს ქრისტეს სხეული... მწამს, რომ მეორედ მოსვლა რუსეთში მოხდება... მწამს.. - ალუღლულდა გააფთრებით შატოვი.

- ღმერთი თუ გწამთ-მეთქი. ღმერთი?

- მე.. მე ვიწამებ ღმერთს.

სტავროგინს კუნთი არ შეტოკებია სახეზე. შატოვი აღზნებით, გამომწვევად უყურებდა, ლამის თვალებით სჭამდა.

- მე ხომ არ ვამბობ, სულ არ მწამს-მეთქი! - აღმოხდა ბოლოს. - მე მხოლოდ ის დაგანახეთ, რომ უბედური, მოსაწყენი წიგნი ვარ და მეტი არაფერი. ჯერჯერობით მეტი არაფერი!.. მაგრამ ჯანდაბას ჩემი თავი! თავიდათავი თქვენა ხართ და არა მე... მე ერთი უნიჭო კაცი ვარ და მხოლოდ სისხლი შემიძლია გავიღო ჩემი, სხვა არაფერი, როგორც ყოველ უნიჭო კაცს. ჯანდაბას ჩემი სისხლიც! მე თქვენზე ვამბობ, ორი წელია ვზივარ და გელით... ახლა თქვენთვის ვტლინკაობ დედიშობილა ეს ნახევარი საათი. თქვენ, მარტო თქვენ შეგიძლიათ იმ დროშის აღმართვა...

შატოვმა აღარ დაამთავრა, სასოწარკვეთილი მაგიდას დაეყრდნო და ხელეში ჩარგო თავი.

- საკვირველია პირდაპირ, რატომ ყველა მე მაჩეჩებს იმ რაღაც დროშას? - წამოიძახა სტავროგინმა. - ვერხოვენსკიც კი დარწმუნებულია, თითქოს მე „შემიძლია მათი დროშა აღმართო“, ყოველ შემთხვევაში, ასე გადმომცეს. დაჩემებული აქვს, რომ მე უნდა გავწიო სტენკა რაზინობა მათთვის, იმიტომ რომ „ბოროტების საკვირველი ნიჭი მაქვს“, - როგორც უთქვამს თურმე.

- რაო? „ბოროტების საკვირველი ნიჭი?“

- დიახ.

შატოვს ღვარძლიანად გაეცინა.

- ჰმ, მართალს ამბობენ, რომ პეტერბურგში პირუტყვულსა და ავხორცულ საიდუმლო საზოგადოებას ეკუთვნოდით და მარკიზ დე სადი შეგირდად არ გამოგადგებათ?

მართლა იტყუებდით და რყვნიდით ბავშვებს? მართალი თქვით, ტყუილი არ გაბედოთ, - შატოვმა სულ დაჰკარგა გონი, - ნიკოლაი სტავროგინი ტყუილს ვერ ეტყვის მის გამსილაქებელ შატოვს! თქვით ყველაფერი და თუ მართალი გამოდგა, ახლავე, ამ წუთას გაგათავებთ.

სტავროგინი დიდხანს, ძალიან დიდხანს დუმდა. სახე გაუფითრდა, თვალები წამოენთო. მერე თქვა: - ეგ სიტყვები ვთქვი, მაგრამ ბავშვები არ გამირყვნია.

- მაგრამ ხომ მაინც თქვით! - შატოვი ანთებულ თვალებს არ აშორებდა, - მართლა ირწმუნებოდით, ჩემთვის ერთი ფასი აქვს ავხორცობას თუ გმირობას, გინდაც ეს გმირობა კაცობრიობისთვის თავის განწირვა იყოსო? მართლა გითქვამთ, ესეც და ისიც ჩემთვის ერთნაირად ღამაზია, ერთნაირ სიამეს მანიჭებსო?

- ეგრე ვერ გიპასუხებთ... არ მინდა გიპასუხოთ, - წაიდუღუნა სტავროგინმა, რომელსაც შეეძლო ადგომა და წასვლა, მაგრამ არ დგებოდა და არ მიდიოდა.

- არც მე ვიცი, რად არის ბოროტება ცუდი და სიკეთე მშვენიერი, მაგრამ ეს კი ვიცი, რად დაეკარგათ სტავროგინისთანა ვაჟბატონებს ამ განსხვავების შეგრძნება, - არ ისვენებდა აკანკალებული შატოვი, - იცით კი, რად დაიწერეთ მაშინ ჯვარი, რად ჩაიდინეთ ეს სამარცხვინო და უნამუსო საქმე? სწორედ იმიტომ, რომ გენიალობამდე უაზრო და სამარცხვინო იყო! ოო, თქვენ უფსკრულმა არ შეგამინათ, გაბედულად გადაეშვით უფსკრულში. ცეცხლთან თამაში არ იკმარეთ. ჯვარი იმიტომ დაიწერეთ, სულიერმა ტანჯვამ, სინდისის ქენჯნამ ავხორცული სიტკბოება მოგანიჭათ. ეს სულიერი უილაჯობა იყო... საღი აზრის წინააღმდეგ გაღამქრებამ მოგხიბლათ! სტავროგინი და ბაჯაჯღანა, ჭკუასუსტი, მათხოვარი კოჭლაუხა! ნეტა რა იგრძენით, გუბერნატორს რომ ყური მოაკვნიტეთ? ავხორცული სიტკბოება? იგრძენით ხომ, მუქთახორა და უსაქმურო ბატონიშვილო?

სტავროგინს თანდათან ეკარგებოდა ფერი. ბოლოს ნაძალადევად ჩაიცინა: - ფსიქოლოგი ყოფილხართ, თუმცა ჩემი ქორწინების მიზეზებში ნაწილობრივ ცდებით... მაინც ვინ მოგაწოდათ ეს ცნობები? კირილოვმა? ის ხომ არ ესწრებოდა..

- ფერფური მიგდით?

- გამაგებინეთ, რა გნებავთ ჩემგან? - სტავროგინმა ახლა კი აუმაღლა ხმას. - ნახევარი საათია მამათრახებთ, მე კი ვზივარ და გისმენთ. ამის შემდეგ თავაზიანად მაინც უნდა გაგესტუმრებინეთ... თუკი მართლა სხვა გონივრული მიზანი არ გქონდათ.

- სხვა გონივრული მიზანი?

- მოვალეც იყავით ბოლოს და ბოლოს თქვენი მიზანი აგეხსნათ. სულ ველოდი, აგერ-აგერ მეტყვის მეთქი, მაგრამ ღვარძლისა და ბრაზის მეტი ვერაფერი ვნახე. გთხოვთ კარი გამიღოთ. სტავროგინი წამოდგა. შატოვი გიჟივით ეცა და მხარში ჩააფრინდა.

- მიწა დაჰკოცნე, ცრემლით გაალტვე, შენდობა გამოთხოვე!

სტავროგინმა თვალები დახარა და მწარედ აღმოხდა: - მე იმ დილას არ... მოგკალით... ხელები უკან წავიღე...

- დაამთავრეთ, დაამთავრეთ! ამის ნაცვლად მოხვედით და გამაფრთხილეთ, საფრთხე გელისო, ლაპარაკი არ ამიკრძალებთ, ხვალ საჯაროდ გინდათ განაცხადოთ თქვენი ქორწინების ამბავი... განა სახეზე არ გატყობთ, რაღაც ახალ საშინელ ფიქრს აუტანიხართ... სტავროგინ, ღმერთმა რად დამსაჯა ასე, მთელი სიცოცხლე თქვენი მწამდეს? მე, მორცხვი კაცი, განა სხვას ამას ვეტყვოდი? სტავროგინის გარდა განა სხვას ვისმე გადავუშლიდი ჩემს გულს? განა სხვასთან გავამასხრებდი ჩემი შეხებით ამ დიად აზრს, რომ სტავროგინს არ ესმინა? განა თქვენ ნატერფალს არ დავკოცნი, როცა წახვალთ? ვერა, ვერ ამოგიღებთ გულიდან, ნიკოლაი სტავროგინ!

- რა ვქნა, ვერ შეგიყვარებთ, შატოვ, - ცივად მიუგო სტავროგინმა.

- ვიცი, ვერ შემეყვარებთ და ვიცი, არ ტყუით. გამიგონეთ, მე კიდევ ვუშველი საქმეს, კურდღელს დაგიჭერთ!

სტავროგინი დუმდა.

- თქვენ ათეისტი ხართ, იმიტომ რომ ბატონიშვილი ბრძანდებით, უკანასკნელი ბატონიშვილი. თქვენ დაკარგეთ კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარი, ვინაიდან საკუთარი ხალხის აღარა გესმით რა. მოდის ახალი თაობა, მოდის პირდაპირ ხალხის წიაღიდან და ჩვენ მისას ვერაფერს გავიგებთ. ვერც თქვენ, ვერც მამა-შვილი ვერხოვენსკები და ვერც მე. ვინაიდან მეც ბატონიშვილთა ჯილაგისა ვარ, დიახ, მე - თქვენი ყმა პაშკას შვილი... გამიგონეთ, იშრომეთ და შრომით ჰპოვეთ ღმერთი; ეს არის ყველაფრის დედაარსი, ანდა გაქრით, ვით საზიზღარი ობი. გეუბნებით, შრომით ჰპოვეთ-მეთქი.

- ღმერთი შრომით? რა შრომით?

- გლეხური შრომით. წადით, დასთმეთ თქვენი სიმდიდრე... ოჰ! გეცინებათ, გემინიათ, მასხრად არ აგიგდონ?

სტავროგინს არ გაუცინია.

- გგონიათ, ღმერთი შრომით შეიძლება მოიპოვო, ისიც გლეხური შრომით? - გაიმეორა ისე, თითქოს რაღაც ახალი, საგულისხმო გაიგო, და უცებ სულ სხვას გადასწვდა, - რა კარგი გამახსენეთ: იცით კი, რომ სულაც არა ვარ მდიდარი და არც დასათმობი არაფერი მაქვს? ის კი არადა, მარია ტიმოფეევნასაც ვერ უზრუნველვყოფ... ჰოდა, თქვენთვის მინდოდა მეთხოვა: თუ შეიძლება ნურც შემდგომში მიატოვებთ მარია ტიმოფეევნას, მარტო თქვენ გაქვთ იმ უბედურის ჭკუაზე გავლენა... რა იცი, რა მოხდება.

შატოვმა ხელი აიქნია.

- კარგი, კარგი, მარია ტიმოფეევნაზე რაცა თქვით, თავისთავად ეგრე იქნება... გამიგონეთ ტიხონი ნახეთ.

- ვინ ვნახო?

- ტიხონი, ყოფილი არქიელია. ახლა ავად არის და ქალაქში ცხოვრობს, ღვთისმშობლის მონასტერში.

- ეგრას ნიშნავს?
 - არაფერს. უამრავი ხალხი დადის მასთან. მიდით, რას კარგავთ? ჰო, რას კარგავთ?
 - პირველად მესმის... მაგ ჯურის ხალხს არასოდეს შევხვედრივარ. გმადლობთ, მივალ.
 - აი, აქეთ წამოდით, - გაუნათა შატოვმა კიბე და მერე ჭიშკარი გაუღო. - მიბრძანდით.
 - მეტად აღარ მოვალ, შატოვ, - თქვა სტავროგინმა და დირეს გადააბიჯა.
- გარეთ კვლავინდებურად წვიმდა და ბნელოდა.

თავი მეორე. ღამე (გაგრძელება)

I

სტავროგინმა ბოგოიავლენსკაიას ქუჩა გაიარა და თავდაღმართს დაადგა. ტალახში ფეხი უსრიალებდა. ერთბაშად ნისლიანი და თითქოს ცარიელი სივრცე გადაიშალა - ეს უკვე წყლისპირი იყო. სახლები ქოხმახებმა შეცვალა, ქუჩა უამრავ ჩიხებში ჩაიკარგა. სტავროგინმა დიდხანს იარა ღობე-ღობე ნაპირის გასწვრივ. გზა არ არევია, თუმცა, მგონი, არც ფიქრობდა ამაზე. სულ სხვას შეეპყრო მისი ფიქრი და გონება. გაკვირვებით მიიხედ-მოიხედა, როცა ღრმა ფიქრში წასულმა უეცრივ ჩვენს გრძელ ხიდზე ამოჰყო თავი. ირგვლივ კაცის ჭაჭანება არ იყო. გაიოცა კიდეც, მოულოდნელად რომ ვიღაცა ამოეტუზა გვერდით და ჩვენი ცივილიზებული მეშჩანებისა თუ ქარვასლის თმახუჭუჭა ნოქრების დარად თამამად, გატყლარჭულად ჩაულაპარაკა: - უკაცრავად და ქოლგაში ხომ არ შემიზიარებთ, მოწყალეო ბატონო ჩემო?

სტავროგინმა ნაბიჯი შეანელა და ზემოდან დახედა მაწანწალას, რომელიც თითქმის „მხარდამხარ“ ადევნებოდა და მართლა კინალამ შემოუძვრა ქოლგაში. სიბნელე იყო და ამიტომ კარგად ვერ გაარჩია. ეს კია, ტანდაბალი უნდა ყოფილიყო. შექეიფიანებულ მდაბიოსა ჰგავდა. ეცვა თხლად და ჩამობრანძულად. გაბურძგნილ გრუზა თმაზე სველი კარტუზი მოეგდო. საჩიხე ნახევრად ჩამოგლეჯოდა. შავგვრემანი და ხმელ-ხმელი ჩანდა. დიდრონი და, რა თქმა უნდა, შავი თვალები ამ სიბნელეშიც ცეცხლივით უბრიალებდა და ისეთივე ყვითელ ფერს დაიკრავდა, როგორც ბოშებს აქვთ ხოლმე. ორმოციოდე წლის იქნებოდა. ნასვამი არ უნდა ყოფილიყო.

- იცი კი, ვინა ვარ? - ჰკითხა ნიკოლაი სტავროგინმა.
- ვინა და ბატონი სტავროგინი, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი; იმ კვირია სადგურზე მაჩვენეს თქვენი თავი, რა წამს მანქანა გაჩერდა. თუმცაღა ადრეც ბევრი გვსმენია თქვენზე.
- პიოტრ სტეპანოვიჩისაგან? შენ... ფედკა კატორღელი ხარ?

- ფეოდორ ფეოდოროვიჩი ნათლობის წიგნით, ბატონო ჩემო. მშობელი დედა დღემდე ცოცხალი მყავს და აქა ცხოვრობს. ღვთისნიერი დედაბერია, ცალი ფეხი სამარეში აქვს, ყოველ ცისმარე დღე კი ღმერთის ლოცვა-ვედრებაშია. მოგეხსენებათ, ტყუილად ყოფნას ტყუილად შრომა სჯობიაო.

- კატორღიდან გამოიქეცი?

- ადგილ-სამყოფელი გამოვიცვალე, მხოლოდ იმიტომ, რომ კატორღა მქონდა მისჯილი, ბატონო, და კარგა ხანსაც უნდა მეცადა.

- აქ რას აკეთებ?

- დღეს დღეზე ვაგორებ. ბიძაჩემმაც წინა კვირას აქაურ ციხეში დალია სული, ყალბი ფულებისთვის იჯდა. მეც ალაპი გადავუხადე, ოციოდე ქვა ძალღებს მივაშავე - ესაა და ეს მთელი ჩემი საქმიანობა. გარდა ამისა, პიოტრ სტეპანოვიჩი ვაჭრის პასპორტს მპირდება, რუსეთში რომ ყველგან გამომადგეს, ჰოდა, ვუცდით მის წყალობას. მამაჩემმა ანგლიცკი კლუბში წაგაგო, მე კი ეს უადამიანობად და უსამართლობად მიმაჩნიაო, იძახის. სამ მანეთიანს ხომ არ მიბოძებთ, ბატონო ჩემო, ძვალი გავითხო და ჩაი დავლიო?

- მაშ აქ მიდარაჯებდი. მე ასეთი რამ არ მიყვარს. ვინ დაგავალა?

- დავალებით არავის დაუვალებია, ბატონო, მარტოოდენ თქვენი საქვეყნოდ ცნობილი კაცთმოყვარეობის იმედი მქონდა. ჩვენი შემოსავალი, მოგეხსენებათ, რაც არის, გინდ ყოფილა და გინდ არა. აგერ პარასკევს რომ მუცელი ამოვიყორე, მას აქეთ პირში ლუკმა არ ჩამსვლია, ერთი დღე არა, მეორე დღე არა, მესამე დღე არა. იცოცხლე, წყლით გავიბერე, წყალს რა დაღევეს მდინარეში, მუცელს სულ ჭყაპაჭყუპი გააქვს... ხომ არაფერს მიბოძებს თქვენი მოწყალება? აქ შორიანხლოს ნათლიდელა მელოდება, მაგრამ უფულოდ ვერ გავეკარები.

- ჩემი სახელით რას დაგპირდა პიოტრ სტეპანოვიჩი?

- დაპირებით არაფერს, ისე კი სიტყვიერად მითხრა, იქნებ მის მოწყალებას რამეში დაჭირდე, თუ საქმე ისე შეტრიალდაო. მაგრამ რაში, ეს არ აუხსნია. პიოტრ სტეპანოვიჩი, ასე ვთქვათ, მოთმინებაში მცდის და არაფერში მენდობა.

- ეგ რატომდა?

- პიოტრ სტეპანოვიჩი - ასტროლომი კაცია, ყველა მნათობებისა იცის, მაგრამ ისიც შეიძლება გააკრიტიკოს კაცმა. მე, ბატონო, აღსარებასავით მოგახსენებთ, იმიტომ რომ თქვენზე ბევრი გამიგონია. პიოტრ სტეპანოვიჩი სხვა კაცია, თქვენ სხვა ბრძანდებით, იმას თუ ერთი უთხრეს კაცზე - სალახანააო, სალახანობის მეტს ვერაფერს დაინახავს. თუ უთხრეს, ბრიყვიაო, მორჩა, მისთვის სულ ბრიყვად დარჩება. მე კი ეგებ სამშაბათობითა და ოთხშაბათობით ვიყო მხოლოდ ბრიყვი, ხუთშაბათს კი მაგაზე მეტი ჭკუა გამოვიჩინო. ახლა იცის, რომ პასპორტს დიდად მონატრული ვარ, - რუსეთში უამისობა არ იქნება. ჰოდა, ჰგონია ახლა, ჩემი სული ხელში უჭირავს. პიოტრ სტეპანოვიჩი, გეტყვით მე თქვენ, ამქვეყნად იოლად გავა ფონს. წარმოიდგენს ვინმეზე, ასეთია და ასეთიო და მორჩა, მერე აღარაფერს დაგიდევთ. თანა ცდიდი მუნწი ვინმეა. მაგას ჰგონია, უიმისოდ თქვენს შეწუხებას ვერ გავბედავ. მე კი მაღალი

დმერთივით გეტყვით, ბატონო, აგერ უკვე მეოთხე ღამეა ამ ხიდზე გელით, იმიტომ რომ უმისოდაც შემძლია ჩემს საკუთარ გზას ვეწიო. იმის ყმობას მაინც თქვენი ყმობა მირჩევნია.

- ვინ გითხრა, შუალამისას აქ გამოვივლიდი?

- ეგ კი შემთხვევით გავიგე, უფრო კაპიტან ლეზიადკინის სიბრიყვით, ენაზე არაფერი ამაგრდება. ასე რომ, თქვენი მოწყალებობისაგან სამი დღისა და სამი ღამის ყურყუტის საფასურში სამი მანეთი მერგება, რომ გავიწუწე კი, ამაზე არაფერს ვიტყვი, წყენას როგორმე გადავყლაპავ.

- მე მარცხნივ და შენ მარჯვნივ. ხიდი უკვე გავიარეთ ყური მიგდე, ფეოდორ, ჩემი სიტყვა ერთხელ და სამუდამოდ დაიხსომე. მე ასე მიყვარს. ერთ კაპიკსაც არ მოგცემ, ამას იქით არც ხიდზე და არც არსად დამხვდე, მე შენ არაფერში მჭირდები და არც დამჭირდები. თუ არ დაგიჯერებია, შეგკრავ და პოლიციაში წაგათრევ. აბა მოუსვი!

- ერიჰაა, გზაში რომ გაგართეთ და არ მოგაწყინეთ, ამისი მაინც მიწყალობეთ.

- მოუსვი-მეთქი!

- გააგნებთ კი ამ შუკვებში? გზას მაინც მიგასწავლით. ხომ იცით, რა აქაური ქალაქი და რა ეშმაკის ბუდე - ერთია.

სტავროგინი რისხვით მოუტრიალდა: - გეუბნები, შეგკრავ-მეთქი!

- იქნებ გადაიფიქროთ, ბატონო. ობლის დაჩაგვრა ადვილია.

- უყურე ამას, რა თავდაჯერებულია!

- მე თქვენი მჯერა, ბატონო, ჩემი კი არა.

- აკი გითხარი, არ მჭირდები-მეთქი!

- სამაგიეროდ მე მჭირდებით, ბატონო, მე. რა ვქნა, აქეთობას დაგაცდით ისევ.

- სიტყვას გაძლევ, რომ გნახო - შეგკრავ.

- მაშ სარტყელს მოგიშაადებთ. გზა დამილოცნია, ბატონო, რაც უნდა იყოს, ობოლი კაცი ქოლგაში შეიზიარეთ. მარტო ამისთვის სამუდამო მაღლიერი დაგრჩებით.

მაწანწალა ჩამორჩა. სტავროგინი მთელი გზა შეფიქრიანებული ჩანდა. ეს ციდან ჩამოვარდნილი კაცი დიახაც დარწმუნებული იყო, რომ სტავროგინს უცილობლად დასჭირდებოდა და მეტისმეტად უტიფრადაც აცხადებდა ამას. ერთი სიტყვით, არავინ ებოდიშებოდა. მაგრამ იქნებ ყველაფერში არც ტყუოდა მაწანწალა, სწორედ მართალი გულით ჰპირდებოდა სამსახურს და სწორედ პიოტრ სტეპანოვიჩის უჩუმრად. ეს კი ყველაზე საგულისხმო იყო.

II

სტავროგინი ქალაქის განაპირას, ერთ უკაცრიელ შუკაში, ორღობეებშია განმარტოებით მდგარ ახალ აშენებულ ხის სახლს მიადგა. იქით ბოსტნების მეტი არაფერი ჩანდა. ერთ სარკმელში განზრახ არ მიეხურათ დარაბები. რაფაზე

გამოდგმული სანთელი, ეტყობა, დაგვიანებულ სტუმარს ელოდა. ოცდაათი ნაბიჯილა უკლდა სტავროგინს, როცა პარმალზე მაღალ-მაღალი კაცი დალანდა. ალბათ მასპინძელს გული გადალეოდა ლოდინით და გზის დასაზვერად გამოსულიყო.

- თქვენ ბრძანდებით? თქვენა? - მოისმა მისი მოუთმენელი და თითქოს შიშნარევი ჩურჩული.

- დიახ, მე, - გაეხმაურა სტავროგინი, როცა პარმალს მიაღწია და ქოლგა დაკეცა.

- მაღლობა ღმერთს! - ადგილზე აცმუკდა და დაფაცურდა კაპიტანი ლებიადკინი, - ქოლგა აქ მომეცით, ვაჰ, როგორ დასველებულა. აგერ კუთხეში გავშლი. მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით.

ოთახის კარი პირთამდე ღია იყო. შიგ ორი სანთელი პარპალებდა.

- რომ თქვენი სიტყვა არა, უთუოდ მოვალო, იმედს დაგვარგავდი.

- პირველს ჩეთვერი აკლია, - საათს დახედა სტავროგინმა და ოთახში შევიდა.

- ისიც ამ წვიმაში და ამ სიშორეზე... საათი მე არ მაქვს, ფანჯრიდან კი ბოსტნების მეტი არაფერი ჩანს. ჩამორჩები კაცი ცხოვრებას, აბა რა იქნება... თუმცა არ ვდრტვინავ, ბატონო, ვერ ვბედავ, ვერა და იმიტომ, რა ვქნა, მოუთმენლობამ გამტანჯა მთელი კვირა განაჩენის მოლოდინში.

- რა თქვით?

- ჩემი ბედის განაჩენს ველი-მეთქი, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი. დაბრძანდით. - ლებიადკინი წელში მოიდრიკა და დივნის წინ მაგიდაზე მიუთითა.

ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩმა მიიხედ-მოიხედა. პაწაწა, დაბალჭერიან ოთახში მხოლოდ აუცილებელი ავეჯი იდგა, ახალი გათლილი ხის სკამები და მაგიდები. ხმელ დივანთან ცაცხვის პატარა მაგიდა ჩანდა. კუთხეში მიდგმულ მეორე ასეთივე მაგიდაზე რაღაც დაეწყოთ და ზემოდან გაქათქათებული ხელსაწმენდი გადაეფარებინათ. ოთახში ყველაფერი კრიალებდა. კაპიტანი ლებიადკინი ეს რვა დღე აღარ დამთვრალა. სახე შეშუპებოდა და გაყვითლებოდა. თვალებს მოუსვენრად აცეცებდა. აშკარა იყო, არ იცოდა, საიდან და როგორ დაეწყო ლაპარაკი.

- ზოსიმე ბერივით ვცხოვრობ[171], ბატონო, განმარტოება, სილატაკე, წვეთი სასმელი არა - ძველი რაინდების აღთქმის თანახმად.

- თქვენი აზრით, ძველი რაინდები ასეთ აღთქმას დებდნენ?

- ვითომ შემეშალა? ვაი რომ უსწავლევლობით მომდის ყველაფერი! ყოველივე ჩავიხშე და ჩავიკალ! დამიჯერებთ, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი, პირველად აქ მოვედი გონს და სამარცხვინო ჩვევები უარყავ - არც ერთი ჭიქა, არც ერთი ყლუპი! ვზივარ აქ ჩემთვის და ეს ექვსი დღეა განცხრომას ვეძლევი. კედლებსაც კი საკმევლის სუნი ასდის, ბუნებას მაგონებს, მერედა რა ვიყავი აქამდე?

არც ღამე თავშესაფარი, დღისითაც ძალღებრ წანწალი, -[172]

პოეტის გენიალური თქმისა არ იყოს! ოჰ, ოჰ... როგორ გაწუწულხართ... ჩაის არ ინებებთ?

- ნუ შეწუხდებით.

- სამოვარი რვა საათიდან დულდა და ჩაქრა... როგორც ამქვეყნად ყველაფერი. ამბობენ, თავის დროზე მზეც ჩაქრებაო... თუმცა, თუ გნებავთ, მოგიგვარებთ, აგაფიას არ სძინავს.

- ერთი მითხარით, მარია ტიმოფეევნა...

- აქ გახლავთ, აქა, - ხმა დაუმდაბლა ლეზიადკინმა და მეორე ოთახის მიხურულ კარზე უჩვენა: - ნახვას ინებებთ?

- არ სძინავს?

- არა, არა, რა ბრძანებაა? პირიქით, მთელი საღამო გელოდათ. გაიგო თუ არა, მაშინვე მოირთო და მოიკაზმა. - ლეზიადკინმა ჩაქირქილება დააპირა, მაგრამ მაშინვე ხმა ჩაიწყვიტა.

სტავროგინი შეიჭმუნა.

- როგორ არის?

- როგორ? თავად მოგეხსენებათ (კაპიტანმა შეწუხებით აიჩეჩა მხრები), ახლა კი... ახლა ზის და კარტს არჩევს...

- კარგი, მერე იყოს, ჯერ თქვენთან მოვათავებ.

სტავროგინი სკამზე დაჯდა.

კაპიტანმა დივანზე დაჯდომა ვერ გაბედა. უმაღლესი მეორე სკამი მიიწია და სმენად იქცა.

- იქ რა გიღვეთ სუფრის ქვეშ? - უცებ იქით მიიხედა სტავროგინმა.

- რადა თქვენივე სიკეთის წყალობა, - მიტრიალდა ლეზიადკინიც, - ასე ვთქვათ, ახალი ბინის დასალოცად. თან შორი გზაც ვიგულისხმე და ბუნებრივი დაღლაც, - ჩაიხითხითა კაპიტანმა, წამოდგა, ფეხის წვერებზე მიუახლოვდა მაგიდას და ფრთხილად გადასწია სუფრა. იქ საუზმე ყოფილიყო მომზადებული: ლორი, ხბოს ხორცი, სარდინები, ყველი, პატარა მომწვანო გრაფინი და ბორდოს ყარყარა ბოთლი; საუზმე სუფთად და კოხტადაც იყო გაწყობილი.

- თქვენ იზრუნეთ?

- დიახ, გუშინვე და როგორც შევიძელ... მარია ტიმოფეევნას, მოგეხსენებათ, ესეთები არ ადარდებს. თავიდათავი, თქვენი სიკეთის წყალობაა, მხოლოდ თქვენი, მასპინძელი აქ თქვენა ხართ და არა მე. მე, ასე ვთქვათ, მხოლოდ თქვენი ნოქარი გამოვდივარ, ვინაიდან, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი, სულით მაინც დამოუკიდებელი გახლავართ! ამ უკანასკნელ სიმდიდრეს ნულა წამართმევთ! - გული აუჩუყდა კაპიტანს.

- ჰმ!.. სჯობს ისევ დაჯდეთ.

- მადლობელი გახლავართ, დიახ, მადლობელი და დამოუკიდებელი (ლეზბიანობის დაცვა). აჰ, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი, ამ გულში იმდენი ბოღმა დაგროვდა, ისე გამაწყალა ლოდინმა! ახლა გადაწყვეტთ ჩემსა და იმ... იმ უბედურის ბედს, მერე კი... მერე წინანდელივით, ძველებურად ყველაფერს გადმოგიშლით, როგორც ამ ოთხი წლის წინათ! ხომ ღირსსა მხდით მაშინ და მისმენდით, სტრიქონებს კითხულობდით ჩემსას... მაშინ თქვენს ფალსტაფს მემახდნენ, შექსპირის ფალსტაფს, მაგრამ რა დიდ რასმე წარმოადგენდით ჩემთვის. ახლა გულგასახეთქი იმდენი მაქვს, თქვენგან ველი მხოლოდ რჩევასა და ნუგეშს! პიოტრ სტეპანოვიჩი საძაგლად მექცევა!

სტავროგინი ცნობისმოყვარეობით უსმენდა და დაკვირვებით მიჩერებოდა. კაპიტან ლეზბიანობის, მართალია, ლოთობაზე ხელი აეღო, მაგრამ მთლიანად დაწყობილ ჭკუაზე მაინც ვერ იყო. ამისთანა ლოთი კაცი მთელი ცხოვრება თითქოს გაბრუნებული, ტვინნარდობი რჩება და მუდამ დამთხვეულივით არის, თუმცა ეშინება არ აკლია ხოლმე.

- როგორც გატყობთ, კაპიტანო, ამ ოთხი წლის მანძილზე სულ არ გამოცვლილხართ, - ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს ოდნავ მოუღბა ხმა, - მართალს ამბობენ თურმე, ადამიანის ცხოვრების მეორე ნახევარი პირველ ნახევარში დაგროვილი ჩვევებისაგან შედგებაო.

- ვაჰ, ვაჰ, რა ჭკვიანური სიტყვაა! ცხოვრების გამოცანა ახსენით და ეგაა! - შესძახა კაპიტანმა ნაწილობრივ ცბიერად და ნაწილობრივ მართლა აღტაცებულმა, ვინაიდან ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები უყვარდა. - რაც კი არ გითქვამთ, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი, განსაკუთრებით ერთი დამამახსოვრდა. ჯერ კიდევ პეტერბურგში ბრძანეთ: - მართლაც დიდი ადამიანი უნდა იყო, რომ საღმა აზრმაც არ შეგაყოყმანოსო. მაშ!

- ან სულელი.

- კი, ბატონო, სულელიც, მაგრამ თქვენ რომ მთელი სიცოცხლე ამისთანა მოსწრებულ სიტყვებს აფრქვევთ, იმათ რითი მოაქვთ თავი? აბა დასცდეს ერთი ამისთანა რამ ან ლიპუტინსა და ან პიოტრ სტეპანოვიჩს! ოჰ, რა სასტიკად მექცეოდა პიოტრ სტეპანოვიჩი!..

- თვითონ როგორ იქცეოდით, კაპიტანო?

- სიმთვრალე, ბატონო, სიმთვრალე და თანაც უამრავი მტერი! მაგრამ ახლა მორჩა ყველაფერი, მე, ვითარცა გველმა, პერანგი გამოვიცვალე. იცით კი, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი, რომ ანდერძს ვწერ და უკვე დავწერე კიდევ?

- საინტერესოა. რას ტოვებთ და ვის უტოვებთ?

- მამულს, კაცობრიობასა და სტუდენტებს. მე გაზეთში ერთი ამერიკელის ბიოგრაფია წავიკითხე, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი. მთელი თავისი უზარმაზარი ქონება თურმე ფაბრიკებისა და გამოყენებითი მეცნიერებისათვის უანდერძია, ჩონჩხი აკადემიის სტუდენტებისთვის, ტყავი კი - დოღზე გადასაკრავად და ზედ დღედაღამ ამერიკის ეროვნული ჰიმნის საბრაგუნებლად. ვაი რომ პიგმეები ვართ ამერიკის ჩრდილოეთ შტატების აზრთა გაქანებასთან შედარებით; რუსეთი ეს ბუნების შეცდომაა და არა ჭკუისა. აბა, ვთქვათ და ჩემი ტყავი აკმოლინსკის ქვეითი ჯარის პოლკს შევწირო

დოღზე გადასაკრავად, რამეთუ სამსახური იქ დავიწყე, და ანდერძი ჩავწერო, ყოველდღე პოლკის წინაშე რუსეთის ეროვნული ჰიმნი დაუკარით-მეთქი, უთუოდ ლიბერალიზმად ჩამითვლიან და აკრძალავენ... ამიტომაც მარტო სტუდენტებით დავკმაყოფილდი. მინდა ჩემი ჩონჩხი აკადემიას ვუანდერძო, ოღონდაც იმ პირობით, შუბლზე უკუნისიდან უკუნისამდე ეს იარლიყი ეკრას: „იყო თავისუფალი მოაზროვნე და მოინანია კიდეც ეს“, დიახ!

კაპიტანი მართლა გატაცებით ლაპარაკობდა და მართლაც მოსწონდა ალბათ ამერიკელის ანდერძი. მაგრამ ამასთან კაი თაღლითიც იყო და სტავროგინის გაცინება უნდოდა. ადრეც ხომ მისი მასხარას როლი ჰქონდა ნაკისრი. მაგრამ ნიკოლაი სტავროგინმა გაიცინა კი არადა, პირიქით, დაეჭვებით ჰკითხა: - მაშასადამე, სიცოცხლეშივე აპირებთ ანდერძის გამოქვეყნებას და ჯილდოს მიღებას?

ლებიადკინი დაბნეული მიაჩერდა: - გინდაც ეგრე იყოს, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩ? ვერ ხედავთ, ბედმა რა მიყო! ლექსების წერასაც მოვეშვი, გახსოვთ კი, როგორ გართობდათ ერთ ხანობას ჩემი ლექსები სასმელის სმისას? მაგრამ მორჩა კალმის საქმე. მხოლოდ ერთი კი დავწერე, როგორც გოგოლმა „უკანასკნელი ამბავი“ [173], გახსოვთ, რუსეთს რომ აუწყა, იგი გულიდან „ამომიმღერდაო“. ჰოდა, მეც ამოვიმღერე და მორჩა!

- რა ლექსი?

- „თუ ასული ფეხს მოიტეხს!“

- რაო?

კაპიტანსაც ეს უნდოდა. თავის ლექსებს უზომოდ აფასებდა, მაგრამ გაიძვერა ბუნების პატრონს ისიც სიამოვნებდა, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი რომ მისი ლექსებით დიდად ერთობოდა და გულიანად ხარხარებდა. ჰოდა, ორ კურდღელს ერთად იჭერდა: თავის ჭიასაც ახარებდა და სამსახურებრივ ვალსაც იხდიდა. მაგრამ ამჟამად მესამე, საგანგებო მიზანიც ჰქონდა: ლექსის კითხვით ერთ ამბავში უნდოდა თავის გამართლება. ყველაზე მეტად რატომღაც ამ ამბავში გრძნობდა თავს დამნაშავედ.

- „თუ ასული ფეხს მოიტეხს“, ესე იგი ცხენის ჭენების დროს. ეჰ, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩ, გინდ ფანტაზიად ჩამითვალეთ და გინდ ბოდვად, მაგრამ პოეტს ხომ ბოდვაც ეპატიება. ერთხელ ვიხილე ცხენზე ამხედრებული და გაოცებულმა ეს ვკითხე ჩემს თავს: „რა მოხდება-მეთქი?“ - ანუ იმ შემთხვევაში, ფეხი რომ მოიტეხოს-მეთქი. ცხადია, ყველა ხელის მთხოვნელი დაეფანტება, საქმროები შემოეცლება, მორგენ ფრიო, კარგად ბრძანდებოდეთო, მხოლოდ პოეტი შერჩება ერთი, გულდაკოდილი და ერთგული პოეტი. ტილი რაა, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩ, და ტილსაც ძალუმს გამიჯნურება, კანონით არ ეკრძალება, მაგრამ იწყინა კი წერილიცა და ლექსიც. ამბობენ, თქვენც გაბრაზებულხართ თურმე. სამწუხაროა. არც კი მჯეროდა. აბა ვის რას დაუშავებს, მე თუ რამე წარმოვიდგინე ოცნებაში! თანაც სინდისს ვფიცავარ, ლიპუტინის ბრალია ყველაფერი; შემომიჩნდა, გაგზავნე და გაგზავნეო, ყოველ კაცსა აქვს ნება მიწერ-მოწერისაო. ჰოდა, მეც გავგზავნე.

- მგონი, ხელის თხოვნასაც აპირებდით?

- მტრები, ბატონო, მტრები და მტრები!

- თქვით ლექსი, - მკაცრად გააწყვეტინა სტავროგინმა.

- ბოდვა, ბოდვაა და მეტი არაფერი.

მაგრამ მაინც გაიჭიმა, ხელი გაიშვირა და დაიწყო: ლამაზთა მეფემ მოიტეხა ფეხი და ერთობ

საინტერესო გახდა უფრო, უფრო მწყაზარი, და უარესად ტრფობის ალი გულს შემოენტო

თუმც სიყვარულის ცეცხლით ბევრჯერ იყო დამწვარი.

- კარგი, კმარა - ხელი აუქნია სტავროგინმა. - პიტერზე ვოცნებობ, განახლება მწყურია, - საჩქაროდ სხვაზე გადახტა ლებიადკინი, - მწყალობელო! მქონდეს იმედი, გამგზავრების სახსრებზე უარს არ მეტყვიო? როგორც მზეს, ისე გელოდით მთელი კვირა.

- უკაცრავად თქვენთან, მაგრამ ფული თითქმის აღარ დამრჩა. ან კი რატომ უნდა მოგცეთ?

ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი უეცრად გაბრაზდა. ცივად და მოკლედ ჩამოუთვალა კაპიტანს მისი ცოდვები: როგორ ლოთობდა და ტყუოდა, როგორ ფლანგავდა მარია ტიმოფეევას ფულს, როგორ გამოაპარა მარია ტიმოფეევანა მონასტრიდან, რა თავხედურ წერილებს იწერებოდა და იმუქრებოდა, საიდუმლოებას გავამხელო, რა ცილი შესწამა დარია პავლოვნას და სხვა და სხვა. კაპიტანი ტოკავდა, ხელს იქნევდა, პასუხის გაცემა უნდოდა, მაგრამ სტავროგინმა ხმა არ ამოაღებინა.

- ესეც არ იყოს, რომ იწერებით, საგვარეულოს თავი მოგვეჭრაო, აბა რა თავის მოჭრა გამოდის, თუკი თქვენი და სტავროგინის კანონიერი მეუღლე ბრძანდება?

- მაგრამ ქორწინებას ხომ ყადაღა ადევს, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩ, ქორწინება ხომ საბედისწერო საიდუმლოებითაა მოცული. თქვენგან ფულს ვიღებ. ფული რაში და რისთვისო? მეკითხებიან. მე კი ენა მაქვს დაბმული და ვერაფერს ვამბობ ჩემი დისა და ჩემი საგვარეულო ღირსების საზიანოდ.

კაპიტანმა ხმა აღიმალა: უყვარდა ეს თემა და დიდი იმედიც ჰქონდა მისი. მაგრამ ის კი არ უგრძნო გულმა, რომ გადაწყვეტილი აქვს ამ დღეებში, ალბათ ხვალ ან ზეგ, საჯაროდ განაცხადოს თავისი ქორწინების ამბავი „როგორც პოლიციაში, ისე საზოგადოებაში“. ამგვარად, საგვარეულო ღირსებისა და დახმარება-შემწეობის საკითხიც თავისთავად გადაიჭრება. კაპიტანმა თვალეხი გადმოკარკლა, ნათქვამი ვერც გაიგო.

- მერედა... ჭკუანაკლული რომაა?

- მე ასე გადავწყვიტე

- დედათქვენი... რას იტყვის?

- ეს მისი ნებაა.

- ხომ უნდა შეიყვანოთ ცოლი ოჯახში?
- იქნებ შევიყვანო კიდეც. ეს თქვენი საქმე არაა და არც გეკითხებით.
- რას ჰქვია არ მეკითხება! მე რაღას მიპირებთ? - შეჰყვირა კაპიტანმა.
- ცხადია, თქვენ არავინ შეგიყვანთ ოჯახში.
- ნათესავი რომ ვარ?
- მაგისტანა ნათესავებს ახლოს არავინ იკარებს. ჰოდა, თქვენვე განსაჯეთ, ფული რატომ უნდა მოგცეთ?
- ეგ შეუძლებელია, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი, იქნებ გადაიფიქროთ, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი, თავის დაღუპვა არ მოინდომოთ... რას იტყვის საზოგადოება?
- ძალიანაც არ მეშინია თქვენი საზოგადოების. მომეპრიანა და ხომ ვითხოვე თქვენი და შექეიფიანებულმა ერთი ბოთლი ღვინის ნაძლეფში, ახლა მინდა და საჯაროდ ვაცხადებ... დამიშლის ვინმე?

სტავროგინის ხმაში ისეთი გაგულისება გაისმა, თავზარდაცემულ ლეზიადკინს ყოველგვარი ეჭვი გაუქრა.

- მერე მე რაღა მეშველება, მთავარი ხომ მე ვარ აქ!.. იქნებ ხუმრობთ, ჰა, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი?
- არა, არ ვხუმრობ.
- როგორც გენებოთ, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი, და მე კი არ მჯერა... მაშინ საჩივარს შევიტან.
- დიდი ბრიყვი ყოფილხართ.
- კი, ბატონო, ვიყო, მაგრამ მეტი რა დამრჩენია! - სულ დაებნა თავგზა კაპიტანს, - ადრე კუთხეს მაინც გვაქირავებდნენ მაგის მომსახურებაში, ახლა რა მეშველება, თუ მთლად მიმაგდეთ?
- აკი პეტერბურგში აპირებთ წასვლას კარიერის შესაცვლელად, ჰო, მართალი არის, ყური რომ მოვკარი, პეტერბურგში აპირებს წასვლას დასაბეზღებლად და პატიების სათხოვნელად?

კაპიტანი პირდაღებული და თვალდაჭყეტილი იჯდა, ხმას არ იღებდა.

- გამიგონეთ, კაპიტანო, - გადმოიხარა სტავროგინი საოცრად სერიოზული სახით. აქამდე ისე ორაზროვნად ლაპარაკობდა, ტაკიმასხარობას ნაჩვევ ლეზიადკინს უკანასკნელ წუთამდე მაინც ეჭვი ეპარებოდა: მართლა ჯავრობდა მისი ბატონი თუ მხოლოდ ხუმრობდა, მართლა ჰქონდა ეს გიჟური განზრახვა, ქორწინების საჯაროდ გამოცხადება თუ აშინებდა მხოლოდ? მაგრამ სტავროგინის უჩვეულო პირქუში გამომეტყველების დანახვაზე კაპიტანს ტანში გააჟრჟოლა. - გამიგონეთ და მართალი მითხარით, ლეზიადკინ: დააბეზღეთ ვინმე თუ ჯერ ვერ მოასწართ? თქვენი სისულელით წერილი ხომ არ გაგზავნეთ სადმე?

- არა, და... არც მიფიქრია.

კაპიტანი გაშეთებული იყურებოდა.

- ნუ ტყუით, პეტერბურგში იმიტომაც გინდათ წასვლა. ან იქნებ რამე წამოგცდათ ვისმესთან? სიმართლე თქვით, რაღაც-რაღაცეებს უკვე მოვკარი აქ ყური.

- სიმთვრალეში ლიპუტინთან დამცდა. ლიპუტინი ორგულია. მე მას ჩემი გული გადავუშალე, - წაიჩურჩულა საცოდავმა კაპიტანმა.

- გული იქით იყოს და დოყლაპიობა მართლა არ უნდა გამოიჩინოს კაცმა. თუ ამას ფიქრობდით, გულში მაინც ვერ შეინახეთ. ახლა ჭკვიანები აღარ ყბედობენ, პირი აქვთ დაცული.

- ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩ! - აცახცახდა კაპიტანი. - თქვენ ხომ მაგ ხალხში არ ურევიახართ, მე ხომ თქვენზე არ...

- ეგლა გაკლდათ, მეწველი ფური გაგეცათ.

- ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩ, თავად იფიქრეთ, თავად განსაჯეთ აბა! -

სასოწარკვეთილმა და ატირებულმა კაპიტანმა უმალ მოხსნა გულა და ამ ოთხი წლის მანძილზე მთელი თავისი ამბავი გადმოუშალა, ამბავი იმ ბრიყვი კაცისა, ვინც ისეთ რამეში გაეხა, რაც მისი საქმე არ იყო და რისი მნიშვნელობაც ღვინოში ჩამხრჩვალს უკანასკნელ წუთამდე არ ესმოდა. უამბო, რომ ჯერ კიდევ პეტერბურგში, სულ პირველად, მხოლოდ მეგობრულ გულისთქმას აყოლილმა, ვითარცა სტუდენტმა, თუმცა სტუდენტი არ იყო, თავისი უვიცობით რაღაც-რაღაც ქაღალდები მოჰფანტა კიბეებზე, ათობით დაჰყარა კარებთან, ზარის სახელურებში შეჩურთა გაზეთის მაგიერ, მოაბნია თეატრებში, ხალხს ჩაუტენა ქუდებში, ჯიბეებში, მერე ფული მისცეს ამაში. კარგად მოეხსენება, რა შემოსავალი აქვს, დიახ, რა შემოსავალი! შემდეგ ორი გუბერნიის მაზრაშიც წაიღო გასავრცელებლად „ეს ოხრობა“ - ჰოი, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩ, იმახდა იგი, - ყველაზე მეტად ის მაშფოთებს, რომ ეს სამოქალაქო და უპირატესად სამამულო კანონების წინააღმდეგი იყო. შიგ ეწერა, ფიწლებით შეიარაღებული გამოდითო, იცოდეთ, თუ დილას ღარიბ-ღატაკი გამოხვალთ, საღამოს მდიდარი დაბრუნდებითო, - აბა, უყურეთ ერთი! კაცს იმათ წაკითხვაზე ჟრუანტელი მივლიდა და მაინც ვავრცელებდი. ხან ხუთი-ექვსი სტრიქონი იყო მხოლოდ გამანშალებული მთელი რუსეთის სახელზე: „ჩქარა დაკეტეთ საყდრები, მოსპეთ ღმერთი, გააუქმეთ ქორწინება, მოსპეთ მემკვიდრეობის უფლება, დანები მოიმარჯვეთ ხელში“, ღმერთმა იცის, კიდევ რა ოხრობა არა! აი, ამ ხუთსტრიქონიანი ქაღალდის გამო კინაღამ არ ჩავვარდი, პოლკის ოფიცრებმა მცემეს და რა მცემეს, თუმცა, ღმერთმა უშველოთ, გამომიშვეს კი. შარშანაც კინაღამ არ დამიჭირეს, როცა ყალბი ხუთთუმნიანი კოროვაევი გადავეცი; მადლობა ღმერთს, კოროვაევი სიმთვრალეში გუბურაში ჩავარდა და დაიხრჩო, პირში ველარ წამიყენეს. აქაც, ვირგინსკის ოჯახში, სოციალური ცოლის თავისუფლებას ვქადაგებდი. ივნისის თვეშიაც... - ის მაზრაში მიმოვყარე ქაღალდები. ამბობენ, კიდევ გაიძულეხენო... პიოტრ სტეპანოვიჩმა ერთბაშად გამომიცხადა, ჭკუით უნდა იყო და გაგვიგონო; დიდი ხანია მემუქრება აბა იმ კვირასაც როგორ მომეცა! კი, მონა ვარ, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩ, ჭია ვარ, მაგრამ ღმერთი არა ვარ, დერჟავინისგან მარტო ამით

განვსხვავდები[174]. ჩემი შემოსავალიც ხომ უნდა იკითხოთ, ბატონო, ჩემი შემოსავალიც!

სტავროგინმა გულისყურით მოისმინა ყველაფერი.

- ბევრი მართლა არ მცოდნია. თუმცა გასაკვირი თქვენგან არაფერია.. გამიგონეთ, - დაფიქრდა ცოტა ხნით, - თუ გინდათ, ასე უთხარით იმათ, ჰო, თვითონ იცით, ვის, ვითომ ლიპუტინი ტყუის, ვითომც მხოლოდ დაშინება გინდოდათ ჩემი, გეგონათ, მეც გარეული ვიყავი ამ საქმეში და უფრო მეტი ფულის გამოტყუება გასურდათ... გასაგებია?

- ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩ, თქვენი ჭირიმე, მაშ მართლა მელის საფრთხე? თქვენდა გელოდით, რომ მეკითხა.

სტავროგინს ჩაეცინა და წამოდგა: - ფული რომც მოგცეთ, არა მგონია, პეტერბურგში ვინმემ გაგიშვათ... თუმცა დროა უკვე მარია ტიმოფეევნას მივაკითხო.

- ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩ, მარია ტიმოფეევნას რაღას უპირებთ?

- რაცა ვთქვი.

- მაშ ესეც მართალია?

- მაინც არ გჯერათ?

- მაშ მართლა გაცვეთილ ფეხსაცმელივით გადამაგდებთ?

- მაგაზე კიდევ დავფიქრდები, - გაეცინა სტავროგინს, - აბა, წავედი.

- თუ მიბრძანებთ, პარმალზე გავალ... შემთხვევით არაფერი გავიგონო... პაწაწკინტელა ოთახებია...

- ეგ კარგი თქვით, პარმალზე დაიცადეთ. ქოლგაც წაიღეთ.

- ქოლგა ხომ თქვენია... ღირსი ვარ ვითომ? - მთლად დადნა კაპიტანი.

- ქოლგის ღირსი ყველაა.

- ვიშ, რა ხელის ერთი დაკვრით მოხაზავთ ხოლმე ადამიანის უფლებათა minimum-ს...

მაგრამ ეს უკვე უაზრო ლულლული იყო. ამ ახალ ამბებმა სულ რეტი დაასხა კაპიტანს. თუმცა პარმალზე რომ გავიდა და ქოლგა გაშალა, ამ ვირეშმაკა კაცს კვლავინდებურად დამაწყნარებელი ფიქრი აეკვიატა, ჩემი ჭკუაში მოტყუება უნდათო. ხოლო თუ ასეა, მაშასადამე, ჩემი ეშინიათო.

„თუ ეშმაკობენ და მატყუებენ, ვითომ რა მიზნით?“ - უტრიალებდა თავში.

ქორწინების საქვეყნოდ გამოცხადება კაპიტანს სისულელედ მიაჩნდა: „თუმცა ამისთანა ობროდისაგან ყველაფერი მოსალოდნელია; ხალხის საბოროტოდ არის გაჩენილი. მაგრამ ვთქვათ და კვირანდელი ამბის შემდეგ თვითონვე დაფრთხა, თანაც ისე, როგორც არასდროს? ალბათ იმიტომაც მოვარდა და მარწმუნებს, საჯაროდ გამოვაცხადებო, ეშინია, მე არ შევუყარო ქვეყანა. ჰეი, არ შეცდე, ლეზიადკინ! მერედა

დამე რატომ მოდის, რას მოიპარება, თუკი გახმაურება სწადია? ხოლო თუ ემინია, მაშასადამე, ახლა, ამ რამდენიმე დღის შიში აქვს... ჰეი, არ მოტყუვდე, ლეზიადკინ!..

პიოტრ სტეპანოვიჩითაც მაშინებს. ვა, ვა, საშიშია და ეგრე; არა, საშიში თუა, ეს არის სწორედ, ნეტა რა ჯანდაბამ წამომაცრანტალებინა ლიპუტინთან. ემმაკმა იცის, რას აწყობენ ის ქაჯები, ვერაფრით ვერ გავარკვიე. ისევე აფუთფუთდნენ, როგორც ხუთი წლის წინათ. ნეტა ვისთან უნდა დამებუზდებინა? სიბრიყვით ხომ არავისთან მიგიწერიათო? ჰმ. მაშასადამე, კაცმა შეიძლება სიბრიყვითაც მიწერო? რჩევას ხომ არ მაძლევს! პეტერბურგში ამიტომ მიდიხარო. უყურე ამ გაიძვერას, სიზმარი მე ვნახე და ეგ მიხსნის! გეგონება, თვითონ მაგულიანებს წასვლაზე. აქ ორი რამ უნდა იყოს: ან მართლა ემინია, თვითონაც გასვრილია და იმიტომ, ან არადა... ან არადა, არაფრის ემინია და მე მაქეზებს, დააბეზლო! ვა, ვა, საშიშია და ეგრე, ფრთხილად, ლეზიადკინ, არ შეცდე!..“

ამ ფიქრებში აღარც მიყურადება გახსენებია ლეზიადკინს. თუმცა მიყურადება ძნელი იყო, - ხმადაბლა ლაპარაკობდნენ და სქელი კარიდან მხოლოდ გაურკვეველი ხმები ისმოდა. კაპიტანმა გადააპურჭყა და ჩაფიქრებული ისევ პარმალზე გამოვიდა სასტვენად.

III

მარია ტიმოფეევნას სამყოფი კაპიტნის ოთახზე ორჯერ დიდი იყო. იქაც ისეთივე ხისგან ნაჩორკნი ავეჯი იდგა. მაგრამ დივნის წინ მაგიდას ლამაზი ჭრელი სუფრა ევარა და ზედ ლამპა ენთო. იატაკზე მშვენიერი ხალიჩა ეფინა; საწოლს მთელ სიგრძეზე გაჭიმული ფარდა ჰყოფდა. მაგიდასთან კიდევ ერთი რბილი სავარძელი იდგა. თუმცა მარია ტიმოფეევნა შიგ არ ჯდებოდა. როგორც ძველ ბინაში, აქაც ხატი ეკიდა კუთხეში და წინ ლამპარი ენთო. მაგიდაზე კვლავ კარტი, სარკე, სიმღერების წიგნი, და, წარმოიდგინეთ, ფუნთუშაც იდო. ორი ფერადსურათებიანი წიგნიც შემატებოდა. ერთი რომელიღაც პოპულარული მოგზაურობის ნაწყვეტები - ყმაწვილთა საკითხავი. მეორე - რაინდულ მოთხრობათა კრებული, ისიც ნაძვის ხისა და ქალთა ინსტიტუტებისთვის გამიზნული. სხვადასხვა ფოტოსურათების ალბომიც იყო. კაპიტანმა მართალი თქვა, მარია ტიმოფეევნა სტუმარს ელისო. მაგრამ ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს იგი დივანზე მიძინებული დახვდა, თავი ღაზლის ბალიშზე მიედო. სტუმარმა უხმაუროდ მოიხურა კარი და მძინარეს დააცქერდა.

კაპიტანმა ტყუილი თქვა, მარია ტიმოფეევნა მოირთო და მოიკაზმაო. ისევ ის თალხი კაბა ეცვა, როგორც წინა კვირას ვარვარა პეტროვნასთან. კეფაზე ისევე ჰქონდა დახვეული თავისი ერთი ბლუჯა თმა და გამხმარ კისერსაც არაფერი უფარავდა. ვარვარა პეტროვნას ნაჩუქარი შავი შალი დაკეცილი ედო დივანზე. ისევ ფერ-უმარილით წაეთხუპნა სახე. წუთიც არ გასულა სტავროგინის შემოსვლიდან, რომ ქალმა თვალი გაახილა და წამოჯდა, თითქოს იგრძნო მისი მზერა. მაგრამ სტუმარსაც რაღაც უცნაური დაემართა: გაუნძრევლად იდგა კარტან და თვალდაუხამხამებლად მისჩერებოდა სახეში. იქნებ მეტისმეტად მოღუშული უყურებდა, იქნებ ზიზღი და ბოროტი სიხარულიც გამოეხატა მისი შიშის დანახვაზე - თუკი ნამძინარეზე მართლა არ მოეჩვენა მარია ტიმოფეევნას; საწყალმა ერთი წუთი შეიცადა და უცბად საშინელმა შიშმა დაუპრანჭა სახე, აკანკალებული ხელები აიქნია და შეშინებული

ბავშვივით ატირდა. კიდევ ერთი წამი და იკივლებდა. მაგრამ სტუმარი გონს მოეგო, წამში შეეცვალა სახე და ალერსიანი ღიმილით მიუახლოვდა.

- მაპატიეთ, მარია ტიმოფეევნა, მძინარეს მოულოდნელად წაგადექით და შეგაშინეთ.
- უთხრა და ხელი გაუწოდა.

ამ ალერსიანმა სიტყვებმა შიში გაუქარვა ქალს, თუმცა მაინც შემკრთალი იყურებოდა. ეტყობოდა, რაღაცის გამოცნობას ლამობდა. ხელიც შიშით გამოუწოდა. ბოლოს ოდნავ გაეღიმა.

- გამარჯობა, თავადო, - წაიჩურჩულა და რაღაც უცნაურად დააკვირდა.

- იქნებ ცუდი სიზმარი ნახეთ? - ალერსიანად შესცინა სტავროგინმა.

- საიდან იცით, რომ ვნახე?..

მარია ტიმოფეევნას ერთბაშად ისევ აუკანკალდა ტანი და უკან გადაქანდა. ხელიც თითქოს თავდასაცავად აიფარა და კვლავ სატირლად მოემზადა.

- გონს მოდით, რა იყო, რის გეშინიათ. ნუთუ ვერ მიცანით? - ამშვიდებდა სტავროგინი, მაგრამ ამჯერად დიდხანს ვერ დაამშვიდა; ქალი ისევ უხმოდ შეჰყურებდა და ისევ მწარე საგონებელს მისცემოდა. საბრალო თავში რაღაც მძიმე ფიქრი უტრიალებდა, რაღაცის მოფიქრებას ლამობდა. ხან თვალებს ძირს დახრიდა, ხან სწრაფად ახედავდა და შეათვალიერებდა. ბოლოს, თითქოს რაღაც გადაწყვიტაო, მტკიცედ წარმოთქვა: - თუ შეიძლება გვერდით დამიჯექით, რომ მერე შეგხედოთ. ნუ გეშინიათ, ახლა მე თვითონ არ შეგხედავთ, ძირს დავიხედავ. ნურც თქვენ შემომხედავთ, ვინემ არ გთხოვთ. ჰო, დაჯექით, რას უყურებთ. - დასძინა მოუთმენლად: სტავროგინი დაჯდა; ერთხანს სიჩუმე იყო.

- ჰმ! მიკვირს პირდაპირ, - ჩაილაპარაკა მარია ტიმოფეევნამ ლამის ზიზღით. - ვიცი, რომ ცუდი სიზმრები მომეძალა, მაგრამ ასე მაინც რად მესიზმრეთ?

- მოდით, სიზმრებს მოვეშვით, - აკრძალვის მიუხედავად მოუთმენლად მოუტრიალდა სტავროგინი და ისევ მიაშტერდა, თითქოსდა წელანდელივით. ამჩნევდა, მარია ტიმოფეევნასაც ძალიან უნდოდა მისკენ გამოხედვა, მაგრამ თავს იმაგრებდა და ჯიუტად იცქირებოდა ძირს.

- გამიგონეთ, თავადო... - ხმა აღიმალლა უცებ ქალმა.

- პირს რად იბრუნებთ, რად არ მიცქერით, რას ჰგავს ეს კომედია? - ვედარ მოითმინა სტავროგინმა.

მარია ტიმოფეევნას თითქოს არც გაუგია, შეწუხებული და უსიამო სახით მესამეჯერ გაუმეორა მტკიცედ: - გამიგონეთ, თავადო, კარეტაში რომ მითხარით, ქორწინების ამბავს საქვეყნოდ გავაცხადებო, მაშინვე მეცა ელდა, გათავდა-მეთქი ჩემი საიდუმლო. ახლა აღარ ვიცი, რა ვიფიქრო. აშკარად ვხედავ, ვერ გამოვდგები. არა, მორთვით კი მოვირთვები, ხალხის მიღებაც, მგონია, შევძლო: რა დიდი ამბავია ჩაიზე კაცის დაპატიჟება, თუ ლაქიებიცა გყავს, მაგრამ სხვები რა თვალთ შეხედავენ ამ ამბავს. მაშინ, იმ კვირა დილას, ბევრი რამ შევამჩნიე იმ სახლში. ის ლამაზი ქალიშვილი სულ მიყურებდა, მეტადრე, თქვენ რომ შემოხვედით. ხომ თქვენ შემოხვედით მაშინ?

დედამისი ერთი სასაცილო ბებრუხანაა. ჩემმა ლებიადკინმაც გამოიჩინა თავი; არ გამეცინოს-მეთქი, სულ ჭერში ვიყურებოდი. კარგადაა იქ ჭერი მოხატული. მისი დედა ილუმენია უნდა იყოს; მეშინია იმ ქალის, თუმცა შავი შალი კი მაჩუქა. ეტყობა, სულ სხვანაირად უთხრეს ჩემზე. არა, არ მწყენია, მაგრამ ვიჯექი და ვფიქრობდი: მე რა მაგათი ნათესავი ვარ-მეთქი? რა თქმა უნდა, გრაფინიას მხოლოდ სულიერი ამბები მოეთხოვება, საოჯახო საქმეებისთვის ლაქიებიც ჰყავს, - უცხოელ მოგზაურებს ქალბატონივით უნდა დახვდეს. მაგრამ იმ კვირას კი ჩემი იმედი ყველას გაუქრა. მარტო დაშაა ანგელოზი. ძალიან მეშინია, ისეთი არაფერი უთხრან ჩემს თავადს, გული არ ატკინონ.

სტავროგინს პირი მოელრიცა: - მაგაზე ნუ შეწუხდებით.

- თუმცა შერცხვეს ჩემი, სიბრალული მაინც გადასწონის სირცხვილს. რა თქმა უნდა, კაცს გააჩნია. განა არ იცის, ისინი რომ ჩემზე შესაბრალისები არიან.

- ჩანს, ძალიან გატკინეს გული, მარია ტიმოფეევნა?

- მე? სულაც არა, - გულუბრყვილოდ ჩაიცინა ქალმა, - შემოგხედეთ მაშინ ყველას: ყველა ჯავრობთ, ერთმანეთს ეჩხუბებით, შეიყრებით და ერთი გულიანად ვერ გაგიცინიათ. ამდენი სიმდიდრე გაქვთ და გემოზე ვერ გიმხიარულიათ. გული ამერია პირდაპირ. თუმცა ახლა არავინ მეცოდება ჩემი თავის მეტი.

- გავიგე, უჩემოდ თქვენი ძმა გაწვალებდათ?

- ეგ ვინ გითხრათ? სისულელეა; ახლა უარეს დღეში ვარ. ახლა სულ ცუდ სიზმრებს ვხედავ. იმიტომ რომ თქვენ ჩამოხვედით. ნეტა რად ჩამოხვედით?

- ისევ მონასტერში ხომ არ გინდათ წასვლა?

- ეგრეც მიგრძნობდა გული, რომ ისევ ამას მეტყობდით! ძალიან არ გამაკვირვებთ მაგ თქვენი მონასტრით! ან რილასთვის წავიდე იქ, რა გულით მივიდე? ახლა აღარავინ მყავს! გვიანაა ჩემთვის შესამედ ცხოვრების დაწყება.

- რაღაცაზე ძალიან გაჯავრებული ხართ, ჩემი ხომ არ გეშინიათ, გადამიყვარაო?

- თქვენი დარდი სულაც არა მაქვს. იმის მეშინია, მე თვითონ არ გადავიყვარო ვინმე.

მარია ტიმოფეევნას ზიზღით გაეღიმა და მერე თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა.

- ალბათ რაღაც დიდი ბრალი მიმიძღვის ჩემს თავადთან, ოღონდ არ ვიცი, რა. ესაა ჩემი უბედურება. ეს ხუთი წელი სულ იმის შიში მქონდა, ის მკლავდა დღე და ღამე, რაღაც ბრალი მიმიძღვის-მეთქი მასთან. ვლოცულობ, ვლოცულობ და სულ კი ამ ჩემს დიდ დანაშაულზე ვფიქრობ. ჰოდა, აკი მართალი ყოფილა.

- რა ყოფილა, რაზე ამბობთ?

მარია ტიმოფეევნას მისი კითხვა არც გაუგია.

- იმისი მეშინია მარტო, გუნება ხომ არ შეეცვალა. ხომ არ შეიძლება მართლა იმ კაცუნებს მიუდგეს. გრაფინიამ კარეტაში კი ჩამსვა, მაგრამ რომ შემჭამოს, ის უნდა. ყველას პირი აქვს შეკრული - ნუთუ იმასაც? ნუთუ იმანაც მიღალატა? (მარია

ტიმოფეევნას ნიკაპი და ტუჩები აუკანკალდა) ეი, გამიგონეთ, წაგიკითხავთ გრიშკა ოტრეპიევის ამბავი, შვიდ ტამარში რომ შეაჩვენეს?

სტავროგინს ხმა არ გაუცია.

- თუმცა ახლა კი მოვბრუნდები და შემოგხედავთ, - უცბად გადაწყვიტა მარია ტიმოფეევნამ, - თქვენც მოვბრუნდით და შემომხედეთ, ოღონდ კარგად დამაკვირდით. მინდა საბოლოოდ დავრწმუნდე.

- მე დიდი ხანია გიყურებთ.

- ჰმ, მეტისმეტად გასუქებულხართ, - წაილაპარაკა მარია ტიმოფეევნამ, მერე რაღაც უნდოდა დაემატებინა, მაგრამ ანაზღადა წელანდელმა შიშმა დაუძმანჭა სახე, ახლა უკვე მესამედ, ისევ უკან გადაქანდა და ხელი აიფარა.

- რა დაგემართათ? - შეჰყვირა თითქმის გაცოფებულმა სტავროგინმა.

მაგრამ შიშმა იმწამსვე გადაუარა ქალს. სახე რაღაც ეჭვიანმა და უსიამო ღიმილმა მოუქანჯა.

- ძალიან გთხოვთ ადგეთ და შემოხვიდეთ, თავადო, - უთხრა მტკიცედ და დაბეჯითებით.

- შემოვიდე? სად შემოვიდე?

- მთელი ეს ხუთი წელი სულ ის მედგა თვალწინ, როგორ შემოვიდოდა ჩემი თავადი. ადექით ახლა და იმ ოთახში გადით. მე აქ ვიჯდები, წიგნს დავიჭერ, ვითომც არ გელით, უცბად კი თქვენ შემოხვალთ ხუთი წლის მოგზაურობის შემდეგ. მინდა ვნახო, როგორ გამოვა.

სტავროგინმა კბილები დააღრჭიალა და რაღაც ჩაიდუღუნა. მერე მაგიდას დაარტყა ხელისგული.

- კმარა, მარია ტიმოფეევნა, ძალიან გთხოვთ, ყური დამიგდოთ. ჰქენით სიკეთე და მთელი ყურადღება, თუ შეგიძლიათ, მე მომაპყარით. მთლად გიჟი ხომ არა ხართ მართლა და მართლა! - ვეღარ შეიკავა სტავროგინმა თავი. - ხვალ ჩვენი ქორწინების ამბავს გავამხელ. ნუ წუხხართ, დარბაზებში არ იცხოვრებთ, ეგ ფიქრი თავიდან ამოიღეთ. წამომყვებით და იცხოვრებთ ჩემთან, ოღონდ აქედან ძალიან შორს? შვეიცარიის მთებში არის ერთი ადგილი... ნუ გეშინიათ, თავის დღეში არ მიგატოვებთ და საგიჟეთში არ წაგიყვანთ... ფული იმდენი კი მექნება, სათხოვრად არავის მივადგე. მოახლე გეყოლებათ; საზრუნავი არაფერი გექნებათ. რასაც მოისურვებთ და რისი შესრულებაც შემეძლება, ყველაფერს მიიღებთ. ილოცეთ, ისეირნეთ, როგორც გენებოთ, ისე მოიქცით, მე ხელს არ შეგიშლით, მეც სულ იქ ვიქნები. გინდათ მთელი სიცოცხლე ხმას არ გაგცემთ, გინდათ ყოველდღე თქვენი ამბები მიაშხეთ, როგორც პეტერბურგში მიაშხობდით ხოლმე, დაქირავებულ კუთხეში რომ ცხოვრობდით. თუ მოისურვებთ, წიგნებს წაგიკითხავთ. ოღონდ იცოდეთ, მთელი სიცოცხლე სულ ერთ ადგილზე უნდა იცხოვროთ, ისიც იცოდეთ, უკაცრიელი ადგილია. წამომყვებით? არ ინანებთ, გულს არ გამიწყალებთ ტირილით, არ დამწყველით?

მარია ტიმოფეევანამ დიდი გულისწყურით მოუსმინა და დაფიქრებული ერთხანს დუმდა.

- რაღაც არ მჯერა, - წაილაპარაკა ბოლოს დაცინვითა და ზიზღით, - გამოდის, მთელი ორმოცი წელი იქ, იმ მთებში უნდა დავყო.

ქალს გაეცინა სტავროგინს სახე მოექუშა.

- მერედა დავყოთ ორმოცი წელი.

- ჰმ. არაფრის დიდებით არ წამოვალ.

- მეც არ წამომყვებით?

- თქვენ ვინა ბრძანდებით, რომ წამოგყვით? ორმოცი წელი იყურყუტე მაგასთან მთაზე - იფ, რა კარგი მოიგონა! არა, რა მომთმენი ხალხი წამოვიდა ახლა! ვერა, ვერ დავიჯერებ, რომ შევარდენი ჭოტად იქცა. ჩემი თავადი ეგეთი არ გახლავთ! - ამაყად ასწია თავი მარია ტიმოფეევანამ.

სტავროგინს რაღაც აზრმა გაჰკრა და სწრაფად ჰკითხა: - თავადს რატომ მეძახით, ან... მე ვინ გგონივართ?

- რაოო? განა თავადი არა ხართ?

- თავის დღეში არ ვყოფილვარ.

- მაშ თქვენი პირით აღიარებთ, რომ თავადი არა ხართ? -

- გეუბნებით, თავის დღეში არ ვყოფილვარ-მეთქი.

- ღმერთო! - გაასავსავა ქალმა ხელები. - ყველაფერს მოველოდი მისი მტრებისგან და ასეთ უტიფრობას კი არა! ცოცხალი თუ არის მაინც? მოჰკალი თუ რა უქენი, გამოტყდი! - შეჰკვივლა გააფთრებით და სტავროგინს ეცა.

- ვინა გგონივარ მაინც? - სახე დაემანჭა ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს და ზე წამოიჭრა. მაგრამ ქალის შემინება უკვე ძნელი იყო.

- ეშმაკმა იცის შენი თავი, ვინა ხარ და საიდან გამოტყვრი! - გაჰკვიოდა იგი. - განა არა, მთელი ეს ხუთი წელი გული მიგრძნობდა, გული, ამ ხრიკებს! მე კი ვზივარ აქ და მიკვირს: ეს ბრუტიანი ჭოტი საიდან გამოტყვრა-მეთქი. არა, გენაცვა, ცუდი მსახიობი ყოფილხარ, ლებიადკინზე უარესი. ჩემ მაგივრად მოიკითხე გრაფინია და გადაეცი, შენზე ჰკვიანები გამოგზავნოს. გამოტყდი, დაგიქირავა, ხომ? სამოწყალოდ სამზარეულოში დაგაყენა? თქვენ ტყუილებს კარგად ვხედავ, კარგად გატყობთ ყველას, რაცა ბრძანდებით!

სტავროგინმა მკლავზე მაგრად მოუჭირა ხელი. მარია ტიმოფეევანა სახეში უყურებდა და ხარხარებდა: - ჰგავხარ კი, ძალიან ჰგავხარ, ეგებ ნათესავიც იყო მისი. არა, რა ეშმაკი ხალხია მაინც! ოღონდაც ჩემი შევარდენია და თავადი, შენ კი - ბუკიოტი და ვაჭრუკანა! ჩემს უნდა ღმერთს მოუხრის ქედს, უნდა არ მოუხრის. შენ კი შატუნია (ვენაცვალე იმას) გაგასილაქა, ჩემმა ლებიადკინმა მიაძბო. რას დაფრთხი მაშინ, რომ შემოხვედი? ნეტა ვინ შეგაშინა? მე რომ ის შენი წამხდარი სახე დავინახე, როცა

დავეცი და ხელი შემაშველე, - თითქოს გულში ეჭვის ჭია შემიძვრა: ის არაა-მეთქი, ვიფიქრე, არა! ჩემს შევარდენს ჩემი არასოდეს შერცხვებოდა-მეთქი იმ ქალიშვილის წინაშე! ო, ღმერთო ჩემო! ეს ხუთი წელი მარტო იმით ვცოცხლობდი, ჩემი შევარდენი სადღაც შორს მთებში დანავარდობს, მხეს შესცინის-მეთქი. თქვი, ცრუმარქვიავ, რამდენი მოგცეს? დიდი ფულით მოგისყიდეს? მე კაპიკსაც არ მოგცემდი. ჰა-ჰა-ჰა! ჰა-ჰა-ჰა!

- უჰ, შე იდიოტო შენა! - კბილები დააღრჭიალა სტავროგინმა. ხელი ახლაც არ გაუშვია.

- მომწყდი, ცრუმარქვიავ! - მბრძანებლურად შეუტია ქალმა. - მე ჩემი თავადის ცოლი ვარ. მაგ შენი დანის არ მეშინია!

- დანისაო!

- კი, კი, დანის! შენ ჯიბეში დანა გაქვს. გგონია, მეძინა და ვერ დავინახე. კი დავინახე, წელან რომ შემოხვედი და დანა ამოიღე!

- ეგ რა თქვი, შე უბედურო, რა სიზმრები გაქვს ასეთი! - შეღრიალა სტავროგინმა, მერე ისეთი ძალით ჰკრა ხელი, დივანს მიახეთქა და გავარდა, მაგრამ მარია ტიმოფეევნა მყის ფეხზე წამოხტა, კოჭლობ-კოჭლობით მისდია პარმალამდე, სადაც შეშინებულმა ლეზიადკინმა ძლივს გააკავა, და ხარხარით მიაკივლა სიბნელეში: - გრიშკა ოტ-რე-პი-ევ, ანა-თე-მა!

IV

„დანა, დანა!“ - იმეორებდა გაცოფებული სტავროგინი და ამ ტალახში გზის განურჩევლად მიაბოტებდა. ზოგჯერ უნდოდა გიჟივით გადაეხარხარა, მაგრამ რატომღაც თავს იკავებდა. გონს მხოლოდ ხიდზე მოეგო, სადაც წელან ფედკა დაუხვდა. ფედკა ახლაც იქ უდარაჯებდა. მის დანახვაზე ქუდი მოიშვლიპა, გაიკრიჭა და ენად გაიკრიფა. სტავროგინმა ზედაც არ შეხედა. გაოცებული იყო, რამ დაავიწყა ეს კაცი, როცა თვითონ სულ „დანა, დანა“ იმეორებდა. ბოლმამორეული მობრუნდა უცებ, მაწანწალას საყელოში წაატანა ხელი და მთელი ძალით ხიდს დაანარცხა. მაწანწალამ გაბრძოლება დააპირა, მაგრამ მალე მიხვდა, ამისთანა მოწინააღმდეგესთან ვერაფერს გახდებოდა, და გაინაბა, აღარ გაუძალიანდა. ჩაჩოქილი და ხელებგადმოტრიალებული მშვიდად ელოდა დასასრულს, შიში არაფრისა ჰქონდა.

ის არ შემცდარა. სტავროგინმა მარცხენა ხელით თბილი ყელსახვევი მოიხსნა მაწანწალასთვის ხელების შესაკრავად. მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა და ხელი ჰკრა. მაწანწალა თავლის დახამხამებაში წამოიჭრა, მოტრიალდა და მის ხელში მოკლე, ფართოპირიანმა სახარაზო დანამ იელვა.

- დანა გადააგდე, ახლავე შეინახე, გესმის, ახლავე! - მსწრაფლ ხელი აუქნია სტავროგინმა. დანა ასევე თვალის დახამხამებაში გაქრა.

სტავროგინმა ხმამაღვლელივ განაგრძო გზა; ენაჩაგდებული გაიძვერაც ერთი ნაბიჯით უკან მიჰყვებოდა. ასე გაიარეს ხიდი და წყლისპირას გავიდნენ. ამჯერად მარცხნივ შეუხვიეს. ამ გრძელი, უკაცრიელი შუკით ქალაქის შუაგულში უფრო მალე გავიდოდნენ, ვინემ ბოგოიავლენსკაიას ქუჩით.

- მართალს ამბობენ შენზე, ამას წინათ ჩვენს მაზრაში საყდარი გაქურდაო? - ჰკითხა უცებ სტავროგინმა.

- სწორე გითხრათ, თავიდან სალოცავად შევედი, - თითქოს არაფერი მომხდარაო, დინჯად, თავდაჭერილად მიუგო მაწანწალამ; წელანდელი შინაურულობის ნატამალი არ ეტყობოდა. ეს უკვე საქმიანი კაცი იყო, რომელსაც, მართალია, ტყუილ-უბრალოდ აწყენინეს, მაგრამ რომელმაც წყენის დავიწყებაც იცის. - განგებამ რომ იქ შემიყვანა, ვიფიქრე, ეს რა ღვთის წყალობა მეღირსა-მეთქი! ეკ, ჩემს ობლობას რა ვუთხრა, ბატონო, ჩვენისთანა კაცი წუთისოფელში დახმარების გარეშე ვერ გასძლებს. მაგრამ დამიჯერებთ კი, ბატონო, აკი დამსაჯა და მაზარალა ღმერთმა ცოდვებისათვის: საცეცხლურში და დიაკვნის აბზინდებში მარტოოდენ თორმეტი მანეთი მომცეს. ნიკოლოზ სათნომყოფელის წმინდა ვერცხლის თასმაც სულ მუქთად წაიღეს: სიმილიორისა[175] არისო, თქვეს.

- დარაჯს ყელი გამოსჭერი?

- მე და იმ დარაჯმა ჯერ ერთად გავწმინდეთ იქაურობა, მერე ალიონზე, ღელის პირას ჩხუბი მოგვივიდა, ტომარას ვინ აიკიდებსო. სულო ცოდვილო და ცოტა შევუმსუბუქე ტვირთი.

- შენც ადექი და სხვებსაც გამოსჭერ ყელი, სხვებიც გაძარცვე.

- სიტყვასიტყვით იგივეს მეუბნება პიოტრ სტეპანოვიჩიც, იმიტომ რომ დიდი ქვაწვია და გულქვა კაცია დახმარების საქმეში. იმას ხომ არაფერი სწამს ჩვენი გამჩენისა, რომელმაც ერთი მუჭა მიწისაგან შეგვქმნა. ამბობს, ეს ყველაფერი, უკანასკნელი მხეციც კი, ბუნების გაჩენილიაო. ვერც ის შეუგნია, რომ ჩვენი ყისმათის კაცი დახმარების გარეშე ვერ გაძლებს. ავუხსნი ამას და ლენჩივით მოგამტერდება, გაგაკვირვებს კიდევ. დამიჯერებთ კი, როცა კაპიტანი ლეზიადკინი, ვისთანაც თქვენ ახლა ბრძანდებოდით, ფილიპოვის სახლში იდგა, მთელი ღამე ღია რჩებოდა ხოლმე კარი. გაღებულს მკვდარივით ეძინა, ჯიბეებიდან კი ფული იატაკზე უცვიოდა. ჩემი თვალით მინახავს, ვინაიდან ჩვენს საქმეში საიდანმე შემოსავალი არ ჰქონდეს კაცს, ეს არაფრით არ იქნება...

- შენი თვალით ნახე? იქაც შესულხარ თუ?

- იქნებ შევედი კიდევ, ოღონდ ეს არავინ იცის.

- მერედა რად არ გამოსჭერ ყელი?

- გავიანგარიშე და თავი შევიკავე. რახან დავრწმუნდი, ცოტას მოვითმენ და ასორმოცდაათ თუმანს ჩავიჯიბავ-მეთქი, გიჟი ვიყავი თხუთმეტი თუმანისთვის გამეფუჭებინა საქმე. იმიტომ რომ ლეზიადკინს (ჩემი ყურით მსმენია) სიმთვრალეში მუდამ დიდი იმედი ჰქონდა თქვენი. აქ სამიკიტნოსა თუ დუქანს ვერ ნახავთ, გაღებულს ეს არ ეტრაბახოს. ჰოდა, სხვებმაც რომ დამიმოწმეს, ასე ამბობსო, მეც მთელი ჩემი იმედები თქვენს ბრწყინვალეებაზე დავამყარე. მე, ბატონო, ვითარცა მამასა და ძმას გეუბნებით, პიოტრ სტეპანოვიჩი თუ სხვა სულიერი ამას თავის დღეში ვერ შეიტყობს ჩემგან. მაშ, მიბოძებთ სამ მანეთს, თქვენო ბრწყინვალეებაზე? ნულა მკლავთ კაცს, გამაგებინეთ ჭეშმარიტი სიმართლე, იმიტომ რომ დახმარების გარეშე ჩვენ ვერა და ვერ გავძლებთ.

სტავროგინმა ერთი ხმამალა გადაიხარხარა, ჯიბიდან საფულე ამოიღო, სადაც ხუთ თუმნამდე ქალაღის წვრილი ფული ჰქონდა, და ჯერ ერთი გადაუგდო დასტიდან, მერე მეორე, მესამე, მეოთხე. აფრიალებული ფულები ტალახში ცვიოდა, ფედკა ვიშვიშით მისდევდა უკან და ბოჭავდა. ბოლოს სტავროგინმა მთელი დასტა გადაუფრიალა და ხარხარით გაუყვა შესახვევს. მაწანწალა კი ისევ ტალახში დახობავდა ფულების საძებრად და იმ სიბნელეში მთელი ერთი საათი კიდევ ისმოდა მისი ვიშვიში.

თავი მესამე. ორთაბრძოლა

I

დუელი მეორე დღეს, ნაშუადღევს ორ საათზე შედგა, ისე გახელებით ეწადა გაგანოვს თავის მოქიშპესთან შებმა. ვერანაირად ვერ აეხსნა თავისი მტრის საქციელი და სიბრაზე ახრჩობდა. აგერ უკვე მთელი თვე განუსჯელად შეურაცხყოფდა და მაინც მოთმინებიდან ვერ გამოეყვანა. რაკი გამოსაწვევად პირდაპირი საბაზი არ ჰქონდა, თვითონ ნიკოლას სტავროგინს უნდა გამოეწვია იგი. იმის აღიარება, რაც გულში ედო და რაც ამოქმედებდა, ანუ სტავროგინისადმი ავადმყოფური სიძულვილი ოთხი წლის წინათ მიყენებულ საგვარეულო შეურაცხყოფის გამო, რატომღაც ერცხვინებოდა. ესეც არ იყოს, ამისთანა საბაზი არც თვითონ მიაჩნდა საკმარისად, მეტადრე, რომ სტავროგინმა ორჯერ თავმდაბლად შემოუთვალა ბოდიში. გულში გადაწყვიტა, უნამუსო ლაჩარი არისო. ვერ წარმოედგინა, როგორ შეარჩინა შატოვს სილა; ამიტომაც გაბედა და ის ზედმიწევნით უხეში წერილი გაუგზავნა, რომელმაც აიძულა ნიკოლასი ვსევოლოდოვიჩი დუელში გამოიწვია იგი. ამ წერილის გაგზავნის შემდეგ მოუთმენლად ელოდა გამოწვევას, ხან იმედი მიეცემოდა და ხან ისევ უიმედობა აიტანდა. თუმცა ყოველი შემთხვევისათვის მაინც დაიგულა სეკუნდანტად მავრიკი ნიკოლაევიჩ დროზდოვი, რომელიც მისი სკოლის ამხანაგი და მეგობარი იყო და განსაკუთრებულ პატივსაც სცემდა. ამგვარად, მეორე დილას, ცხრა საათზე გამოცხადებულ კირილოვს ნიადაგი უკვე მომზადებული დახვდა. სტავროგინის ბოდიშები და წარმოუდგენელი დათმობანი პირველსავე სიტყვებიდან გასაოცარი სიფიცხით უარყო. მავრიკი ნიკოლაევიჩს მხოლოდ წინა დღეს გაეგო საქმის ვითარება და ამ გაუგონარ დათმობათა მოსმენისას გაკვირვებისაგან პირი დაალო. მაშინვე გადაწყვიტა, როგორმე შერიგებაზე დაეყოლიებინა მეგობარი, მაგრამ რომ შენიშნა, არტემი პავლოვიჩი სიბრაზისაგან აცახცახდა, აღარაფერი უთქვამს. ამხანაგისთვის სიტყვა რომ არ ჰქონოდა მიცემული, მაშინვე ადგებოდა და წავიდოდა. თუ დარჩა, მხოლოდ იმიტომ, მეტოქეების შეხვედრისას მაინც ელონა რამე. კირილოვმა გამოწვევა გადასცა. სტავროგინის ყველა პირობა მაშინვე უსიტყვოდ იქნა მიღებული. დაუმატეს მხოლოდ ერთი მუხლი და ისიც ძალიან სასტიკი. სახელდობრ: თუ პირველი გასროლა უშედეგოდ დამთავრდებოდა, მეორედ ესროლათ, თუ მაშინაც არაფერი მოხდებოდა - მესამედ. კირილოვი მოიღუშა, შეევაჭრა, მესამედ არაო, მაგრამ რომ არაფერი გამოუვიდა, დაყაბულდა, იმ პირობით კი, სამი იყოს, ოღონდ მეოთხე გასროლა არაფრით არ იქნებაო. ეს დაუთმეს. ასე რომ, ნაშუადღევს ორ საათზე შეხვდნენ კიდევ ერთმანეთს ბრიკოვოს პატარა ჭალაში, ქალაქგარეთ, რომელსაც ერთ მხარეს სკვორეშნიკი და მეორე მხარეს შპიგულინების ფაბრიკა ესაზღვრებოდა. წვიმა

აღარ მოდიოდა, მაგრამ იქაურობა ატალახებული იყო. დაბლა ჩამოსულ ლეგა ღრუბლის ნაგლეჯებს ქარი მიაქროლებდა შრიალებდა კენწეროები და ძირში ირყეოდა ხეები. ძალზე მჭმუნვარე დილა იყო.

გაგანოვი და მავრიკი ნიკოლაევიჩი ლამაზი შარაბანით მოგრიალდნენ, შიგ წყვილი ცხენი ება. ეტლს არტემი პავლოვიჩი მართავდა. მსახურიც თან ახლდა. იმავე წუთს სტავროგინი და კირილოვი გამოჩნდნენ ცხენებით, მსახურიც ცხენით იყო. კირილოვი ჯერ ცხენზე არ მჯდარა, მაგრამ შიში არ ეტყობოდა, გამართულად ეჭირა ტანი; მარჯვენა ხელი დამბაჩების მძიმე ყუთისთვის მოეხვია - მსახურს არ ანდო, მარცხენაში სადავე ჰქონდა, რომელსაც გამოუცდელივით წარამარა ექაჩებოდა. ცხენიც თავს აქიცილებდა და ყალყზე შესადგომად იწეოდა, თუმცა მხედარს ვერ აშინებდა. ეჭვიანმა გაგანოვმა, რომელსაც ყველაფერზე უმაღლესი მოსდიოდა ხოლმე გული, მათი ცხენებით გამოცხადება ახალ შეურაცხყოფად ჩათვალა: მამასადამე, გამარჯვებაში დარწმუნებულნი არიან, რახან ეტლის მოყვანა საჭიროდ არ მიიჩნიესო. შარაბანიდან სიბრაზისაგან გამწვანებული გადმოვიდა და მავრიკი ნიკოლაევიჩს უთხრა, ხელები მიკანკალებსო. ნიკოლაი სტავროგინს სალამზე არ უპასუხა და ზურგი შეაქცია. სეკუნდანტებმა წილი ჰყარეს: წილი კირილოვის დამბაჩებს ხვდა. მერე ბარიერიდან ნაბიჯები გადათვალეს, მოქიშპეები თავ-თავიანთ ადგილებზე დააყენეს, ეტლი და ცხენები მსახურებს სამასიოდე ნაბიჯის მოშორებით გააყვანინეს. შემდეგ იარაღი დატენეს და მოქიშპეთ გადასცეს.

სამწუხაროდ, ამბავს დაჩქარება უნდა და აღწერის დრო აღარ რჩება, მაგრამ არც ისე შეიძლება, სულ არაფერი ვთქვა. მავრიკი ნიკოლაევიჩი დაღონებული და შეწუხებული იყურებოდა. სამაგიეროდ, კირილოვს გულგრილად და დინჯად ეჭირა თავი, ნაკისრი მოვალეობის ყოველ წვრილმანში დიდ სიზუსტეს იჩენდა, ოღონდაც ყოველგვარი ფაციფუცის გარეშე და არც საქმის საბედისწერო დასასრული აინტერესებდა. თითქოს. სტავროგინი ჩვეულებრივზე უფრო ფერწასული ჩანდა, საკმაოდ მსუბუქი პალტო ეცვა და თეთრი თივთიკის ქუდი ეხურა. ძალზე დაღლილი სახე ჰქონდა, შიგადაშიგ იღუშებოდა და უგუნებობის დამალვას არც ცდილობდა. მაგრამ ყველაზე საყურადღებო ამ წუთს არტემი პავლოვიჩი გახლდათ, რომელზეც არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ მოგახსენოთ ცალკე.

II

აქამდე ჩვენ შემთხვევა არა გვექონია აგვეწერა მისი გარეგნობა. არტემი პავლოვიჩი მაღალ-მაღალი კაცი იყო, თეთრყირმიზა, საკმაოდ ჩასუქებული, როგორც ხალხში ამბობენ, კარგად ნაპატიები, თხელი, ქერა თმა ჰქონდა. ხნოვანებით ასე ოცდაცამეტისა იქნებოდა. სახით თითქოს ლამაზიც იყო. სამსახურს პოლკოვნიკის ჩინით დაანება თავი. გენერლობამდე რომ მიეღწია, ალბათ კიდევ უფრო მედიდური იერი ექნებოდა და ვინ იცის, მართლაც კარგი მეომარი გენერალი დამდგარიყო.

მისი დახასიათებისას არ შეიძლება ისიც არ ავლნიშნო, რომ სამსახურიდან გამოსვლის მთავარი მიზეზი ის შეურაცხყოფა იყო, რაც ამ ოთხი წლის წინათ ნიკოლაი სტავროგინმა მიაყენა მამამისს. ვერა და ვერ მოენელებინა ეს შეურაცხყოფა და დარწმუნებულ იყო, გვარი შემირცხვინესო. სამსახურში დარჩენა უპატიოსნოდ მიაჩნდა, პოლკსა და ამხანაგებს ჩირქსა ვცხებო, თუმცა ამხანაგებიდან არავინ არაფერი იცოდა ამ ამბისა. ერთხელ წინათაც დააპირა სამსახურის თავის დაწებება,

უფრო ადრე, ვინემ ეს შეურაცხმყოფელი ამბავი მოხდებოდა და მიზეზიც სხვა იყო, მაგრამ ვერ გადაწყვიტა. ეს პირველი საბაზი, ანუ სამსახურიდან გამოსვლის მიზეზი 19 თებერვლის მანიფესტი გახლდათ გლახათ განთავისუფლების თაობაზე. არტემი პავლოვიჩი ჩვენი გუბერნიის ერთ-ერთი უმდიდრესი მემამულე იყო. მანიფესტის შემდეგ მის ქონებას ბევრი არაფერი დაკლებია, იმდენი გაგებაც ჰქონდა, ამ ღონისძიების ჰუმანურობა და რეფორმის ეკონომიკური სარგებლობაც ელიარებინა. მაგრამ მანიფესტის გამოცხადების შემდეგ თავი თითქოს შეურაცხყოფილად იგრძნო. ეს იყო რაღაც შეუცნობელი გრძნობა, ოღონდაც ბევრად უფრო ძლიერი ამ შეუცნობლობის გამო. თანაც მამის სიცოცხლეში ასეთი ნაბიჯის გადადგმა ვერ გაებდა. მაგრამ პეტერბურგში იმ შესანიშნავ გვამთა შორის, რომელთა ნაცნობობაზე ფრიად იდებდა თავს, სახელი გაითქვა ვითარცა „კეთილშობილური“ აზროვნების მქონემ. ეს ძალზე გულჩახვეული კაცი იყო. იმასაც ვიტყვი, რომ იგი ეკუთვნოდა რუსეთში ჯერ კიდევ შემორჩენილ თავად-აზნაურთა იმ უცნაურ წარმომადგენლებს, რომელნიც მეტისმეტად დიდად აფასებენ თავიანთი გვარის სიძველესა და სიწმინდეს. ამასთან ჭირივით სძულდა რუსეთის ისტორია და რუსული ადათ-ჩვეულებანი, ცოტა არ იყოს, ღორობად მიაჩნდა. ის დიდგვაროვანი და მდიდარი ოჯახიშვილებისათვის განკუთვნილ საგანგებო სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა, სადაც მიიღო განათლება და სადაც პატარაობიდანვე ძვალ-რბილში გაუჯდა ზოგიერთი პოეტური შეხედულებანი: მოსწონდა ციხე-კოშკები, შუასაუკუნეების ყოფა-ცხოვრება, ამ ცხოვრების გარეგნული მხარე, რაინდობა; ჯერ კიდევ ბავშვობაში ლამის ტიროდა სირცხვილისაგან, მოსკოვის სამეფოს ხანაში რომ მეფეს რუსი ბოიარინის გაწკეპლვის უფლება ჰქონდა. ეს მძიმე, ეს მეტისმეტად მკაცრი შეხედულების, თავისი საქმის ჩინებული მცოდნე და მოვალეობის შესანიშნავი შემსრულებელი კაცი, სულის სიღრმეში მეოცნებე გახლდათ. ამბობდნენ, კრებებზე ლაპარაკი შეუძლია და ენამხეობის ნიჭიც აქვსო; მაგრამ ოცდაცამეტი წლის მანძილზე პირზე კლიტე ედო. პეტერბურგის მაღალ საზოგადოებაში, სადაც ეს უკანასკნელი ხანია ტრიალებდა, ფრიად ზვიადად ეჭირა თავი. კაცი კინალამ გაგიჟდა, როცა საზღვარგარეთიდან დაბრუნებულ ნიკოლაი სტავროგინს პეტერბურგში შეეყარა. ახლაც, დუელის წინ, საოცრად დელავდა. სულ შიში ჰქონდა, დუელი არ ჩაიშალოსო. მცირედი დაყოვნებაც კანკალსა ჰგვრიდა. სახე მტკივნეულად დაეწმანა, როცა კირილოვმა გასროლის ნიშნის მიცემის მაგიერ შერიგებაზე წამოიწყო ლაპარაკი, თუმცაღა თვითონვე განაცხადა, მოვალეობის მოსახდელად ვამბობო.

- ამას მხოლოდ მოვალეობის მოსახდელად მოგახსენებთ: ახლა, როცა დამბაჩები ხელში გაქვთ და საქმე ნიშანზეა მიმდგარი, სეკუნდანტი მოვალეა ერთხელ კიდევ გკითხოთ, ხომ არ შერიგდებით?

მავრიკი ნიკოლაევიჩი აქამდე გაჩუმებული იდგა. მაგრამ გუშინდლიდან მოყოლებული გულში იტანჯებოდა, რად ავყევი და ხელი რად შევუწყვეო. ამიტომაც მაშინვე მხარი აუბა კირილოვს: - ბატონ კირილოვს სავსებით ვეთანხმები... დუელის წინ რომ შერიგება არ შეიძლება - მცდარი აზრია, მხოლოდ ფრანგების მოგონილი... ესეც არ იყოს, ვერც შეურაცხყოფას ვხედავ აქ, ადრევე მინდოდა მეთქვა... ვინაიდან ხომ შემოთვალეს ბოდიში, ასე არ არის?

მავრიკი ნიკოლაევიჩი წამოენთო. ამდენი და ისიც ასე ალელვებით იშვიათად ულაპარაკია.

- მე კიდევ ვიმეორებ, მზადა ვარ ყოველნაირ მობოდიშებაზე, - უმაღლესი დამოწმის სტავროგინი.

გაცოფებულმა გაგანოვმა ფეხი დაჰკრა მიწას, გაშმაგებით მიუტრიალდა მავრიკი ნიკოლაევიჩს და შესძახა: - ერთი გააგებინეთ, მავრიკი ნიკოლაევიჩ, ამ კაცს (გაგანოვმა დამბაჩა სტავროგინს მიაშვირა), თუ მართლა ჩემი სეკუნდანიტი ხართ და არა მტერი, რომ ეს შეუძლებელია, რომ ასეთი დათმობანი უფრო მეტი შეურაცხყოფაა! ჩემგან შეურაცხყოფას ეგ არაფრად აგდებს!.. სირცხვილად არ მიაჩნია დუელის წინ ზურგი მაქციოს! ვინა ვგონივარ ამის შემდეგ... ჩემი სეკუნდანიტი მაინც არ იყო! ალბათ გინდათ გამაბრაზოთ და მიზანს ავაცდინო. - გაგანოვმა ისევ დაჰკრა ფეხი მიწას, პირიდან ღორბლები სცვიოდა.

- მოლაპარაკება დამთავრდა, მე ვითვლი, ბატონებო! - შესძახა კირილოვმა. - ერთი! ორი! სამი!

სამის გაგონებაზე მოქიშპენი ერთმანეთისკენ დაიძრნენ. გაგანოვმა მყისვე ასწია დამბაჩა და მეხუთე თუ მეექვსე ნაბიჯიდან გაისროლა. წამით შედგა და რა დარწმუნდა, ავაცდინეო, ბარიერს სწრაფად მიუახლოვდა. ბარიერთან მივიდა სტავროგინი, დამბაჩა ძალიან ძალა ასწია და არც დაუმიზნა, ისე ისროლა. შემდეგ ცხვირსაცოხი ამოიღო და მარჯვენა ხელის ნეკი შეიხვია. ახლად შეამჩნიეს, რომ ბ-ნ გაგანოვს სულ მთლად არ აეცდინა, ოღონდაც ტყვია რბილზე დაცურებულყო და პატარაზე გაეფხაჭნა. კირილოვმა მაშინვე გამოაცხადა, თუ მოქიშპენი დაკმაყოფილებულად არ თვლიან თავს, დუელი გრძელდება.

გაგანოვი კვლავ მავრიკი ნიკოლაევიჩს მიუბრუნდა და ამოიხრიალა (ყელი გაშრობოდა): - ვაცხადებ, რომ ამ კაცმა (ისევ სტავროგინს მიაშვირა დამბაჩა) განგებ ისროლა ჰაერში... მოფიქრებულად... და ისევ შეურაცხყო! მაგას დუელი არ უნდა!

- თუკი წესებს არ გადავალ, ჩემი ნებაა, როგორც გავისვრი, - მტკიცედ წარმოთქვა სტავროგინმა.

- აუხსენით და გააგებინეთ, რომ ნება არა აქვს! - ყვიროდა გაგანოვი.

- მე სავსებით ვეთანხმები ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩის აზრს, - ხმა აღიმადლა კირილოვმა.

გაცოფებული გაგანოვი ყურს არ უგდებდა: - რისთვის მზოგავს? მე მაგის დაზოგვა არაფერში მჭირდება... მიმიფურთხებია.. მე...

სტავროგინს მოთმინება გამოელა.

- სიტყვას გამღევეთ, თქვენი შეურაცხყოფა სულაც არ მიფიქრია. ჰაერში იმიტომ გავისროლე, ამიერიდან აღარ მინდა ვინმე შემომაკვდეს, თქვენ იქნებით თუ სხვა. თქვენ ეს არ გეხებათ. ესეც კია, თავი შეურაცხყოფილად არ მიმაჩნია და მწყინს, რომ გული მოგდით ამაზე. მაგრამ ჩემი უფლებების შელახვას არავის დავანებებ.

- თუ სისხლის დაღვრა არ უნდოდა, ჰკითხეთ ერთი, მე რაღად მიწვევდა? - დრიალებდა გაგანოვი. ის მხოლოდ მავრიკი ნიკოლაევიჩს მიმართავდა.

- აბა როგორ არ გამოეწვიეთ, თუკი არაფერი გესმოდათ? - ჩაერია კირილოვი. -
სხვანაირად როგორ მოგიშორებდათ თავიდან!

- ერთს კი შევნიშნავ, - მავრიკი ნიკოლაევიჩს, ეტყობა, უჭირდა ლაპარაკი: - თუ
მოწინააღმდეგე წინასწარ აცხადებს, ჰაერში ვისვრიო, დუელის გაგრძელება მართლაც
არ შეიძლება... ასე ვთქვათ, საგულისხმო და... სრულიად გასაგები მიზეზების გამო...

ახლა უკვე მთლად გაუწყდა მოთმინების ძაფი სტავროგინს.

- მე სულაც არ მითქვამს, სამივეჯერ ჰაერში ვისვრი-მეთქი! თქვენ რა იცით, რა მიდევს
გუნებაში და ხელმეორედ როგორ ვისვრი... ჩემი მხრივ არაფრით ვაფერხებ დუელს.

- თუ ასეა, დუელი შეიძლება გაგრძელდეს, - მიუბრუნდა მავრიკი ნიკოლაევიჩი
გაგანოვს.

- ბატონებო, თქვენს ადგილებზე! - დაიძახა კირილოვმა.

ისევ გავარდა დამბაჩები, ისევ ააცდინა გაგანოვმა და ისევ ჰაერში გაისროლა
სტავროგინმა. თუმცა ეს გასროლა კიდევ სადავო იყო: სტავროგინს რომ დაეყინებინა,
წესის მიხედვით ვისროლო, ვერავინ შეედავებოდა, ვინაიდან დამბაჩას მართლა
მოწინააღმდეგეს უმიზნებდა, თუმცა მიზანს არშინზე მალა იღებდა ქუდიდან.
მეორე გასროლისას კიდევ უფრო დაბლა აიღო მიზანი და უფრო მართალივით
გამოუვიდა. მაგრამ გაგანოვის გადარწმუნება უკვე ძნელი იყო.

- ისევ თავისას აგრძელებს! - აღრჭიალებდა იგი კბილებს. - მაგრამ სულ ერთია!
გამომიწვია და მეც ჩემი უფლებით ვისარგებლებ. მინდა მესამედ ვისროლო... რაც არ
უნდა მოხდეს.

- სრული უფლებაც გაქვთ, - მოუჭრა კირილოვმა. მავრიკი ნიკოლაევიჩმა აღარაფერი
თქვა. მოქიშპენი მესამედ დააყენეს და ნიშანიც მისცეს; ამჯერად გაგანოვი
ბარიერამდე მივიდა და იქიდან დაუმიზნა. მანძილი თორმეტი ნაბიჯი იყო. ხელები
ისე უკანკალებდა, ნიშანში მოხვედრა საეჭვო იყო. სტავროგინს დამბაჩა დაეშვა და
გაუნძრევლად იდგა.

- დიდხანს უმიზნებთ, დიდხანს! - სასწრაფოდ დაიძახა კირილოვმა. - ისროლეთ!
ისროლეთ-მეთქი! - ტყვია გავარდა. სტავროგინს ქუდი თავიდან გადაუვარდა.
ნასროლი საკმაოდ მარჯვე გამოდგა, ტყვიას ძალზე დაბლა გაეხვრიტა ქუდი; ცოტა
კიდევ და, ყველაფერი გათავებული იქნებოდა. კირილოვმა ქუდს ხელი დაავლო და
სტავროგინს მიუტანა.

- ისროლეთ, მოწინააღმდეგე გიცდით, ნუ აჩერებთ! - საოცარი მღელვარებით შესძახა
მავრიკი ნიკოლაევიჩმა, რა დაინახა, სტავროგინი კირილოვთან ერთად ქუდს
ათვალიერებს და სროლა სულ დაავიწყდაო. სტავროგინი შეკრთა, გაგანოვს შეხედა,
მერე მიტრიალდა და ყოვლად უბოდიშოდ განზე, ჭალის მიმართულებით გაისროლა.
დუელი დამთავრდა გაგანოვი მიწასთან გასწორებული იდგა. მავრიკი ნიკოლაევიჩი
მიუახლოვდა და რაღაც უთხრა, მაგრამ იმას თითქმის არაფერი გაუგია. კირილოვმა
წასვლის წინ ქუდი მოუხადა მავრიკი ნიკოლაევიჩს. მაგრამ სტავროგინს არც ეს
გახსენებია; ბარიერთან აღარ მიბრუნდა, თავისი დამბაჩა კირილოვს მიაჩეჩა და ჩქარი

ნაბიჯით გასწია ცხენებისკენ. გაბოროტებული იყურებოდა, ხმას არ იღებდა. კირილოვიც დუმდა. მერე შესხდნენ ცხენებზე და ოთხით გააჭენეს.

III

- რატომ არაფერს ამბობთ? - მოუთმენლად შეუძახა კირილოვს, როცა უკვე სახლს მიუახლოვდნენ.

- რა უნდა ვთქვა? - კირილოვი კინაღამ არ გადმოვარდა ცხენიდან, რომელიც ყალყზე შედგა.

სტავროგინმა თავს სძლია და ნელა ჩაილაპარაკა: - არ მინდოდა იმ ბრიყვის წყენა და, მგონი, მაინც ვაწყენინე.

- დიახ, აწყენინეთ, - მოუჭრა კირილოვმა, - და არც ბრიყვია, რომ იცოდეთ.

- რაც შემეძლო, ყველაფერი ვიღონე.

- არა.

- აბა რა უნდა მექნა?

- არ გამოგეწვიათ.

- კიდევ ერთი სილა ჩამეყლაპა?

- დიახ, ჩაგეყლაპათ!

სტავროგინს ბრაზი მოერია.

- უკვე აღარაფერი მესმის! რატომ მაინცდამაინც ჩემგან მოითხოვენ იმას, რასაც სხვებს არ თხოვენ? რატომ მე უნდა ავიტანო ყველაფერი და ავიკიდო ის ტვირთი, რასაც სხვები არ კისრულობენ?

- მე მგონი, ტვირთს თვითონ ეძებთ.

- მე ვეძებ?

- დიახ.

- შეამჩნიეთ?

- დიახ.

- ასე შესამჩნევია?

- დიახ.

წუთით დუმილი ჩამოვარდა. სტავროგინს შეფიქრიანებული, გაკვირვებული სახე ჰქონდა.

- მოკვლა არ მინდოდა და იმიტომ არ ვესროლე, გარწმუნებთ, სხვა არაფერი მიფიქრია, - წაილაპარაკა შემფოთებით, თითქოს თავს იმართლებსო.

- არ უნდა გეწყენინებინათ.
 - აბა რა მექნა?
 - უნდა მოგეკლათ.
 - გული გწყდებათ, რომ არ მოვკალი?
 - მე არაფერზე მწყდება გული. მეგონა, მართლა გინდოდათ მოკვლა. არ იცით, რას ეძებთ.
 - ტვირთს ვეძებ, - ჩაეცინა სტავროგინს.
 - თუ სისხლის დაღვრა არ გინდოდათ, იმას რაღად აკვლევინებდით თავს?
 - რომ არ გამომეწვია, ისე მაინც მომკლავდა.
 - ეგ თქვენ არ გეხებათ. იქნებ არც მოეკალით.
 - მარტო მიმბეგვავდა, არა?
 - არც ეგ გეხებათ. ზიდეთ თქვენი ტვირთი, თორემ დამსახურებად არ ჩაგეთვლებათ.
 - დამსახურებას არ დავეძებ!
 - მე მეგონა, დაეძებდით, - საოცრად გულგრილად დაასკვნა კირილოვმა.
- ეზოში შევიდნენ.
- ამოხვალთ ჩემთან? - ჰკითხა სტავროგინმა.
 - არა, შინ წავალ, მშვიდობით. - კირილოვი დაქვეითდა და დამბაჩების ყუთი ამოიიღლიავა.
- სტავროგინმა ხელი გაუწოდა.
- თქვენ მაინც ხომ არ მიწყრებით?
 - სულაც არა! - კირილოვი ხელის ჩამოსართმევად გამობრუნდა. - თუ ტვირთი ჩემი მემსუბუქება, ჩემი ბუნებაა ასეთი, თქვენი ბუნება სხვაა და ალბათ იმიტომ გემძიმებათ. სასირცხვილო აქ არაფერია.
 - რაცა ვარ, ვიცი და არც ძლიერებას ვჩემულობ.
 - ნურც დაიჩემებთ; ძლიერი არა ხართ. ჩაის დასალევად მოდით.
- სტავროგინი შეცბუნებული შევიდა სახლში.

IV

ალექსეი ეგოროვიჩმა მაშინვე მოახსენა, ვარვარა პეტროვნა შინ არ გახლავთო. ძალზე გახარებოდა ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩის ცხენით გასეირნება რვა დღის ავადმყოფობის შემდეგ და თვითონაც კარეტის შებმა ებრძანებინა, ადრინდელივით

სუფთა ჰაერზე გასასვლელად, ვინაიდან ეს რვა დღეა დაავიწყდა, როგორია სუფთა ჰაერიო.

- მარტო წავიდა თუ დარია პავლოვნაც გაჰყვა? - სიტყვა გააწყვეტინა სტავროგინმა. შუბლი შეიკრა, როცა გაიგო, დარია პავლოვნამ უქეიფობის გამო უარი თქვა წასვლაზე და თავისთან გახლავთო.

- გამიგონე, ბებერო, - უცრივ გადაწყვიტა სტავროგინმა, - დღეს მთელი დღე უდარაჯე. თუ დაინახო, ჩემკენ მოდის, მაშინვე გააჩერე და უთხარი, ეს რამდენიმე დღე მაგის მიღება არ შემძლია... უთხარი, თვითონ გთხოვს ამას... დრო მოვა და თვითონ დაგიძახებს-თქო, - გესმის?

- გადავცემ, - დაღონებით წაილაპარაკა ალექსეი ეგოროვიჩმა. ზევით არ აუხედავს.

- ვინემ არ დაინახო, ჩემთან მოდის, მანამდე არა უთხრა რა.

- ნუ წუხხართ, არ შევცდები. აქამდეც ჩემი მეოხებით ხდებოდა შეხვედრები, ხელისშემწყობი მუდამ მე გახლდით.

- ვიცი. ოღონდ მანამდე არა, ვინემ შემოსვლას არ დააპირებს. თუ შეგიძლია ჩაი მომიტანე ჩქარა.

კამერდინერი გავიდა. თითქმის იმწამსვე გაიღო იგივე კარი და ზღურბლზე დარია პავლოვნა გამოჩნდა. მშვიდად იყურებოდა, ოღონდ ფერწასული ჩანდა.

- საიდან? - შესძახა სტავროგინმა.

- აქ ვიდექი და მის გასვლას ველოდი. გავიგონე, რაც დააბარეთ და როგორც კი გამოვიდა, მარჯვნივ წალოს მოვეფარე. ვერ დამინახა.

- დიდი ხანია მინდოდა გამეწყვიტა, დაშა... დროებით... ამ დღეებში მაინც.. წუხელ ვერ მიგიღეთ, თქვენი ბარათის მიუხედავად. მინდოდა თვითონ მომეწერა, მაგრამ წერა არ მეხერხება, - სტავროგინი გაჯავრებით, თითქოს ზიზღით ლაპარაკობდა.

- მეც ვფიქრობდი, გავწყვიტოთ-მეთქი. ვარვარა პეტროვნა რაღაცას უკვე ეჭვობს.

- ეჭვობს და იეჭვოს.

- სადარდებელი რად უნდა მიემატოს. მაშასადამე, საბოლოოდ, ხომ?

- მაინცდამაინც ბოლოს ელით?

- დიახ, ველი.

- ამქვეყნად ბოლო არაფერსა აქვს.

- აქ ექნება. მაშინ დამიძახეთ და მოვალ. ახლა კი მშვიდობით.

- რა ბოლო ექნება? - ჩაეცინა სტავროგინს

დაშამ წაუყრუა.

- ხომ არ დაიჭერთ ან... სხვისი სისხლი ხომ არ დაღვართ?

- სისულელე იყო, ნუ გეშინიათ, არავინ მომიკლავს. თუმცა დღესვე ყველაფერს გამცნობენ. კარგად ვერა ვარ.

- მე წავალ. ქორწინების ამბავს დღეს გააცხადებთ? - ჭოჭმანით ჰკითხა ქალმა.

- დღეს არა, ხვალ არა, ზეგ კი შეიძლება ყველა ამოვწყდეთ და ახიც იქნება. თავი დამანებეთ, ბოლოს და ბოლოს თავი დამანებეთ.

- არ დალუპავთ იმ... მეორე შეშლილს?

- შეშლილებს არ დავლუპავ, არც ერთსა და არც მეორეს, მაგრამ ჭკვიანი კი, მგონი, დავლუპო: მე ისეთი სულმდაბალი და საზიზღარი ვარ, დაშა, ვინ იცის, „ბოლოს“ მართლა დაგიძახოთ, თქვენი თქმისა არ იყოს, და თქვენც მოხვალთ, ჭკუა ვერ გიშველით. თავს რატომ ილუპავთ?

- ვიცი, საბოლოოდ მარტო მე შეგრჩებით და... ველი ამას.

- რომ არ დაგიძახოთ და გაგექცეთ?

- ეგ არ მოხდება, დამიძახებთ.

- ამ სიტყვებში ზიზღი ბევრია.

- ხომ იცით, მარტო ზიზღი არაა.

- მაშასადამე, ზიზღი მაინც არის?

- არა, ცუდად გამომივიდა. ღმერთმა ხომ იცის, როგორ მინდა, თავის დღეში არ დაგჭირდეთ.

- არც ესაა ნაკლებ ნათქვამი. მეც არ მინდა თქვენი დალუპვა.

- ვერც დამლუპავთ ვერასდროს, ეს თქვენ ყველაზე უკეთ იცით, - სწრაფად და დაბეჯითებით თქვა დარია პავლოვნამ. - თუ თქვენთან არა, სხვაგან წავალ მოწყალეების დად, მომვლელად, ავადმყოფებს დავადგები, ან წიგნების დამტარებელი ვიქნები, სახარებას გავყიდი. ასე მაქვს გადაწყვეტილი. მე არავისი ცოლობა არ შემიძლია. ვერც ამისთანა სახლში ვიცხოვრებ. მე სულ სხვა მინდა... თქვენ კარგად იცით.

- არა, არ ვიცი და ვერც გამიგია, რა გინდათ; მე მგონია, თქვენ ისევე ამომიჩემეთ, როგორც მომვლელი ქალი ამოიჩემებს ერთ რომელიმე ავადმყოფს, ან როგორც გასვენებების მოყვარული დედაბერი ერთ მკვდარს დაადგამს თვალს, უფრო ლამაზიანო. ეგრე უცნაურად რად მომაჩერდით?

- ძალიან ავად ხართ? - თანაგრძნობით ჩააკვირდა დაშა. - ღმერთო! და ამისთანა კაცს უნდა უჩემოდ გაძლოს!

- გამიგონეთ, დაშა, ახლა სულ რაღაც მოჩვენებები დამჩემდა. ერთმა ჭინკამ გუშინ ხიდზე ლეზიადკინისა და მარია ტიმოფეევნას მოკვლა შემომთავაზა, რა არის ჩემი ქორწინების ამბავი ისე მოსპოს, კვალიც არ დარჩეს. ბედ სამი მანეთი მთხოვა, მაგრამ

გარკვევით მაგრძნობინა, მთელი ოპერაცია ას ნახევარი თუმანი ეღირებაო. უყურე ერთი, რა ანგარიშიანი ჭინკაა! ბუღალტერია! ჰა-ჰა!

- დარწმუნებული ხართ, რომ მოჩვენება იყო?

- მოჩვენება კი არადა, ფედკა კატორღელი იყო, კატორღიდან გამოქცეული ყაჩაღი. მე კი, იცით, რა ვქენი; რაც საფულეში ფული მქონდა, ყველა მივეცი. ახლა ალბათ დარწმუნებულია, ბე მივიღეო!..

- ღამე შეგხვდათ და ასეთი წინადადება მოგცათ? ნუთუ ვერ ხედავთ, რა ქსელში გხვევენ?

- ჯანდაბას მაგათი თავი, იცით რა, თვალეზზე გატყობთ, ერთი კითხვა გიტრიალებთ თავში, - ბოროტი ღიმილით დაუმატა სტავროგინმა.

- გაჩუმდით, მე არც საკითხავი და არც არავითარი ეჭვი არა მაქვს, - შეშინდა ქალი.

- მაშასადამე, გჯერათ, ფედკას არ მივაკითხავ?

- ოჰ, ღმერთო ჩემო, - გაასავსავა ქალმა ხელები, - ასე რად მტანჯავთ?

- კარგით, კარგით, მაპატიეთ ბრიყვული ხუმრობა, ეს ცუდი ჩვევები ალბათ იმათგან გადმომედო. იცით, წუხანდელი ღამიდან საშინლად მინდა სულ ვიცინო და ვიცინო. ასე მგონია, სიცილით ვარ დამუხტული-მეთქი. ჩუ! დედა მოვიდა; ხმაზე ვცნობ მის კარეტას.

ღამამ ხელი სტაცა.

- ღმერთმა დაგიფაროთ მაგ ავი ანგელოზისაგან... და მალე მიხმეთ!

- ავი ანგელოზი კი არადა, ერთი პატარა, სამაგელი, ცინგლიანი ჭინკაა, უდღეური. მგონი, ისევ გინდათ რაღაც მკითხოთ და ვერ ბედავთ?

ღამამ მწარე საყვედურით შეხედა და კარისკენ გატრიალდა.

- ყური მიგდეთ! - ბოროტმა ღიმილმა სახე დაუმანჭა სტავროგინს. - თუ... ვთქვათ, მივაკითხო და მაინც დაგიძახოთ, მაშინაც მოხვალთ?

ღამა არ მობრუნებულა. სახეზე ხელები აიფარა და გავიდა.

- მაშინაც მოვა! - ჩაილაპარაკა ზიზღით მცირე ჩაფიქრების შემდეგ სტავროგინმა, - მომვლელი, ჰმ!.. თუმცა ვინ იცის, მეც ეგ მჭირდება.

თავი მეოთხე. საყოველთაო მოლოდინი

I

დუელის ამბავი უმაღლესად გახმაურდა ჩვენს საზოგადოებაში. მაგრამ საკვირველი ის იყო, რა ერთსულოვნებით დაუჭირა ყველამ მხარი ნიკოლაი სტავროგინს. ბევრმა მისმა

ყოფილმა მტერმა მყის მის მეგობრად აღიარა თავი. საზოგადოებრივი აზრის ამ მოულოდნელი შეტრიალების მიზეზი უმთავრესად ერთი პიროვნების რამდენიმე მეტისმეტად მოსწრებული სიტყვა აღმოჩნდა, ვისაც აქამდე არაფერი ეთქვა და ვისმა ნათქვამმაც საოცარ გულისხმაში ჩააგდო ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა. საქმე ასე იყო: სწორედ ამ ამბის მეორე დღეს ჩვენი გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის მეუღლეს მთელი ქალაქი ეწვია დღეობაზე. ამ წვეულებას იუღია მიხაილოვნაც ესწრებოდა, უფრო სწორედ, პირველობდა. ისა და ლიზავეტა ნიკოლაევნა ერთად მობრძანდნენ. ლიზავეტა ნიკოლაევნა ესოდენ ტურფა სანახავი იყო და ესოდენ მხიარულად ეჭირა თავი, ბევრ ჩვენს მანდილოსანს უმაღლესი ალუძრა. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მისი და მავრიკი ნიკოლაევიჩის დანიშვნა უკვე საეჭვო არ უნდა ყოფილიყო. როცა იმ საღამოს ერთმა გადამდგარმა და გავლენიანმა გენერალმა, რომელზეც ქვემოთ მექნება ლაპარაკი, ხუმრობით ჰკითხა, მართალია თუ არაო, ლიზავეტა ნიკოლაევნამ პირდაპირ უპასუხა, დანიშნული ვარო. და რა გგონიათ? ჩვენი მანდილოსნებიდან არც ერთმა არ დაიჯერა ეს ამბავი. ჯიუტად იმეორებდნენ, აქ რაღაც რომანი იმალება, რაღაც უკუღმართი ოჯახური საიდუმლოება, რომელიც შვეიცარიაში მოხდა და ისიც უთუოდ იუღია მიხაილოვნას მონაწილეობითო. კაცმა არ იცის, ასე ჯიუტად რად ეჭიდებოდნენ ამ ხმებს, ან რად ურევდნენ ამ ამბავში ასე დაჟინებით იუღია მიხაილოვნას. შემობრძანდა თუ არა, ყველა იუღია მიხაილოვნას მიაჩერდა რაღაც უცნაურად, ყველა თითქოს რაღაცას მოელოდა მისგან. უნდა შევნიშნოთ, რომ დუელის თაობაზე იმ საღამოს მაინც თავშეკავებით და ჩუმად ლაპარაკობდნენ. ჯერ ერთი, სულ ახალი ამბავი იყო და მეორეც - გარემოება ახლდა ისეთი. არც ის იცოდნენ, ხელისუფლება რას გადაწყვეტდა. რამდენადაც ცნობილი იყო, ორივე დუელანტი არავის შეუწუხებია გამოძახებით. ყველამ იცოდა, მაგალითად, რომ ბ-ნი გაგანოვი დილაადრიან თავის მამულში, დუხოვოში გაემგზავრა და წასვლა არავის დაუშლია მისთვის. ცხადია, გაფაციცებით ელოდნენ, პირველად ვის წამოსცდებოდა სიტყვა და ვინ დააკმაყოფილებდა საზოგადოების მოუთმენლობას. ყველას ამ ზემოხსენებული გენერლის იმედი ჰქონდა და არც შემცდარან.

ჩვენი კლუბის წევრებში ამ ყველაზე წარმოსადგე, მამულებით არცთუ ისე მდიდარს, მაგრამ უცნაურად მოწყობილი ტვინის პატრონს, თანაც ქალების დიდ მოტრფიალეს, ძალიან უყვარდა. სხვათა შორის, დიდ შეკრებულობაში გენერლური რიხით სწორედ იმაზე წამოეწყო საუბარი, რაზეც ყველა თავშეკავებით ჩურჩულებდა და ხმამაღლა თქმა ვერ გაეხდებოდა. სწორედ ეს წარმოადგენდა ჩვენს საზოგადოებაში მის, ასე ვთქვათ, განსაკუთრებულ დანიშნულებას. მერედა, როგორი ენის მოჩლექა და გაბრტყელებული ლაპარაკი სჩვეოდა. ალბათ ეს ჩვევა ჩვენი საზღვარგარეთ მოგზაურ რუსებისაგან ჰქონდა გადმოღებული ან არადა იმ ჩვენი მდიდარი ბატონკაცებისაგან, ვინც ყველაზე მეტად გაეკოტრებინა გლეხთა რეფორმას. სტეპან ტროფიმოვიჩმა ერთხელ კიდევ შენიშნა, რაც უფრო მეტად გაკოტრებულია ჩვენი ბატონკაცი, მით უფრო იჩლექს ენას და აბრტყელებს სიტყვებსო. თუმცა ეს ენის ჩლექა და სიტყვების გაბრტყელება თვითონაც იცოდა, ეს კია, თავისთავს ვერ ამჩნევდა.

გენერალმა საქმის დიდ მცოდნესავით წამოიწყო საუბარი. გარდა იმისა, რომ ბ-ნი გაგანოვის შორეული ნათესავი გახლდათ, თუმცაღა მასთან ნაჩხუბარი და, მგონი, სასამართლოშიც ედავებოდა რაღაცას, წინათ თვითონაც ორჯერ ჰქონდა დუელი და ერთ-ერთის მიზეზით კავკასიაშიც იყო ჯარისკაცად გაგზავნილი. ვიღაცამ ვარვარა

პეტროვნა ახსენა, რომელიც ეს მეორე დღეა გამოსულიყო ვიზიტებზე „ავადმყოფობის შემდეგ“, უფრო სწორად, ვარვარა პეტროვნა კი არა, მის ეტლში შებმული ოთხი თაგვისფერი ბედაური სტავროგინისეულ სანაშენოდან. ჰოდა, გენერალმაც მაშინვე შენიშნა, დღეს „ყმაწვილი სტავროგინი“ ცხენზე ამხედრებული ვნახეო. უმაღლესი ყველანი გაიტრუნენ. გენერალმა ტუჩები ააცმაცუნა, ხელში ნაწყალობევი ოქროს საბურნუთე შეათამაშა და უცბად გამოაცხადა: - ვწუხვარ, რომ რამდენიმე წლის წინათ აქ არ ვიყავი... მაშინ კარლსბადში გახლდით... ჰმ. ძალზე მაინტერესებს ეგ ყმაწვილი კაცი, მაშინ ბევრი მითქმა-მოთქმა დამხვდა მაგაზე. ჰმ. მართალს ამბობენ, შეშლილიაო? მაშინ ვიღაცამ თქვა. ახლა კი მითხრეს, ვიღაც სტუდენტმა შეურაცხყოფა მიაყენა კუზინების თანდასწრებით და ის კი შიშით მაგიდის ქვეშ შეძვრაო. გუშინ კი სტეპან ვისოცკი მეუბნება, სტავროგინს იმ.. გაგანოვთან დუელი ჰქონიაო. ისიც თურმე მარტო იმისთვის მიუშვირა შუბლი, გაცოფებული კაცი თავიდან მოეშორებინაო, ასე მხოლოდ ოციანი წლების გვარდიელებს თუ სჩვეოდათ. დადის კი ვინმესთან აქა?

გენერალი გაჩუმდა, თითქოს პასუხს ელისო. საზოგადოებრივი მოუთმენლობა დაკმაყოფილებული იყო. ყველამ თვალი იუღია მიხაილოვნას მიაპყრო. იუღია მიხაილოვნას გული მოუვიდა ამაზე და ხმამაღლა თქვა: - გაუგებარი ნეტა რა არის აქ? რა გასაკვირია, სტავროგინმა თუ გაგანოვი გამოიწვია და სტუდენტს კი პასუხი არ გასცა? აბა თავის ნაყმევს ხომ ვერ გამოიწვევდა მართლა და მართლა დუელში.

დიახ, ეს ღირსშესანიშნავი სიტყვები იყო, მარტივი და ნათელი აზრი, რომელიც აქამდე რატომღაც არავის მოსვლია თავში. ამ სიტყვებს საოცარი შედეგი მოჰყვა. ჭორებს, წვრილმანურ, ანეკდოტურ მითქმა-მოთქმას ერთბაშად დაუკარგა ფასი. ამბავს სულ სხვა მნიშვნელობა მიეცა. დაინახეს სულ სხვა კაცი, ვინც ყველამ შეცდომით შეაფასა, ვისაც თურმე იდეალური შეგნება ჰქონდა საკუთარი ღირსებისა. ამ კაცს მიუტევებელი შეურაცხყოფა მიაყენა სტუდენტმა, ე.ი. განათლებულმა ადამიანმა, რომელიც უკვე ყმა აღარ არის. მაგრამ ამ შეურაცხყოფას ის არაფრად აგდებს, ვინაიდან შეურაცხმყოფელი მაინც მისი ნაყმევია. საზოგადოებაში ერთი ამბავი და მითქმა-მოთქმა; ჭკუამჩატე საზოგადოება ზიზღით უცქერის გასილაქებულ კაცს; ის კი არაფრად აგდებს საზოგადოების აზრს, რომელსაც ჭეშმარიტი გაგება არ გააჩნია და მაინც მსჯელობს ასეთ რამეებზე.

- დიახ, დიახ, ივან ალექსანდროვიჩ, ჩვენ ვსხედვართ და ბევრს ვლაპარაკობთ კიდევ პატიოსნებასა და ღირსებაზე, - ამბობდა კლუბში ერთი ბერიკაცი, რომელსაც თვითგვემის კეთილშობილური საღერდელი აშლოდა.

- დიახ, პიოტრ მიხაილოვიჩ, დიახ, - გატაცებით უკრავდა კვერს მეორე, - მოდი და ილაპარაკე ამას იქით ყმაწვილკაცობაზე

- ყმაწვილკაცობის ამბავი არაა აქ, ივან ალექსანდროვიჩ, - იძახდა მესამე, - ყმაწვილკაცობის საკითხი არა დგას აქ; ეს ვარსკვლავია მოვლენილი და არა ვინმე ჩვეულებრივი ყმაწვილკაცი. ასე უნდა ამას გაგება.

- ჩვენც ეგ გვინდა, ბატონო; ხალხი აღარ დაგვრჩა, აღარ.

- საქმეც ის იყო, რომ ეს „ახალი კაცი“ „წმინდა სისხლის აზნაურობის“ გარდა გუბერნიის ერთ-ერთი უმდიდრესი მემამულეც ბრძანდებოდა და, მაშასადამე,

მომავალში მათი შემწეც და მოღვაწეც იქნებოდა. თუმცა ჩვენი მემამულეების სულისკვეთებაზე ზემოთაც გაკვრით მოგახსენეთ.

ჩვენი ბერიკაცები აზარტშიაც კი შევიდნენ.

- არა, ის ინიშნეთ, თქვენო აღმატებულება, სტუდენტი გამოიწვია კი არადა, ხელები უკან წაიღო, - გაიძახოდა ერთი.

- და არც ახლანდელ სასამართლოში წააჩიქჩიქა, - უმატებდა მეორე.

- თუმცადა ახლანდელ სასამართლოში აზნაურის პირადი შეურაცხყოფისათვის თხუთმეტ მანეთს მიუსჯიდნენ, ჰი-ჰი-ჰი!

- არა, თქვენ მე მკითხეთ ახლანდელი სასამართლოების ამბავი, - ცოფებს ყრიდა მესამე, - თუ ქურდობაზე და თაღლითობაზე წაგასწრეს, ჩქარა შინ გაიქეცი, სანამ დრო გაქვს, და საკუთარი დედა მოჰკალი. მყისვე გაგამართლებენ, მანდილოსნები კი ესტრადიდან ბატისტის ცხვირსახოცებს დაგიქნევენ. მაშ, სრული ჭეშმარიტება გახლავთ!

- დიახ, დიახ, ჭეშმარიტება გახლავთ!

რა თქმა უნდა, ანეკდოტებიც ბლომად გავრცელდა. გაიხსენეს ნიკოლაი სტავროგინისა და გრაფ კ-ის ახლო ნაცნობობა, გრაფი კ-ის საყოველთაოდ ცნობილი მკაცრი, განცალკევებული შეხედულებანი უკანასკნელი რეფორმების თაობაზე, მისი შესანიშნავი, თუმცა ამ უკანასკნელ ხანს რამდენადმე შეფერხებული მოღვაწეობაც. ჰოდა, ყველამ გადაწყვიტა, ნიკოლაი სტავროგინი გრაფ კ-ის ერთ-ერთ ქალზეა დანიშნულიო. მერე რა, რომ საამისოდ არავითარი საბაზი არ ჰქონდათ. რაც შეეხება უცნაურ შევიცარიულ თავგადასავლებსა თუ ლიზავეტა ნიკოლაევნას, ამაზე ლაპარაკს ჩვენი ქალბატონებიც კი მოეშვნენ ბოლოს. ბარემ იმასაც შევნიშნავ, რომ დროზდოვებმა ამასობაში უკვე მოასწრეს ყველასთან სადარბაზოდ მისვლა. ლიზავეტა ნიკოლაევნა ყველამ ერთხმად ჩვეულებრივ ქალად აღიარა, რომელიც თავისი სუსტი ნერვებით კეკლუცობდა. ნიკოლაი სტავროგინის ჩამოსვლის დღეს მისი გულის წასვლის ამბავი სტუდენტის უგვანო საქციელით გამოწვეულ შიშს მიაწერეს. ერთი სიტყვით, რასაც წინათ ფანტასტიკურად ბერავდნენ, ახლა იმას სულ უბრალოდ ახურდავებდნენ. ვიღაც კოჭლაუხას ამბავი ხომ საბოლოოდ დავიწყებას მიეცა. გახსენებაც კი რცხვენოდათ. გინდაც ასი კოჭლაუხა ჰყოლოდა - ახალგაზრდა ვინ არ ყოფილა? სამაგალითოდ მიაჩნდათ სტავროგინის რიდი და კრძალვა დედისადმი, რა სიკეთე და სიქველე არ აღმოუჩინეს, სიამოვნებით იხსენიებდნენ მის განსწავლულობას, რაიც გერმანულ უნივერსიტეტებში შეემინა ოთხი წლის მანძილზე. უტაქტობად ჩაითვალა ბოლოს ბ-ნი გაგანოვის საქციელიც: კაცმა კაცი ვერ იცნოო. იულია მიხაილოვნას კი საბოლოოდ დაუმკვიდრდა უდიდესი შორსმჭვრეტელის სახელი.

ასე რომ, თვით ნიკოლაი სტავროგინის გამოჩენას საზოგადოებაში ყველა უზაკველი სიდინჯით შეხვდა, ყველამ მოუთმენელი, იმედით სავსე მზერა მიაპყრო. ნიკოლაი სტავროგინმა უმალ გოროზი დუმილი არჩია და ამით ყველას უფრო მოაწონა თავი, ვინემ ბევრი რომ ელაპარაკა. ერთი სიტყვით, მოდაში იყო და ყველაფერი მოხდენილად გამოსდიოდა. გუბერნიის საზოგადოებაში თუ ერთხელ გამოჩნდი, მერე ველარსად დაიძალეები. ნიკოლაი სტავროგინიც წინანდელი დახვეწილი

თავაზიანობით ასრულებდა ყველა საგუბერნიო ადათ-წესებს. მხიარულიაო, ამას არავინ იძახდა: კაცმა ამდენი განიცადა და გადაიტანა, სხვებს კი არა ჰგავს, საფიქრალი განა ცოტა აქვსო. ახლა იმ სიამაყესა და გოროზობასაც დიდად უფასებდნენ, რისთვისაც ასე ამოიძულეს ამ ოთხი წლის წინათ.

ყველაზე მეტად ვარვარა პეტროვნა ხარობდა და ზეიმობდა. ვერ ვიტყვი, ძალიან წყდებოდა თუ არა გული ლიზავეტა ნიკოლაევნაზე, რა თქმა უნდა, აქ საგვარეულო სიამაყემაც უშველა საოცარია, მაგრამ ვარვარა პეტროვნამაც უცებ დაიჯერა, Nicolas-ს გრაფ -კ-ის ოჯახში ჰყავსო „არჩეული“, რაც მთავარია, სხვებივით ყოვლად უნიადაგო ხმების საფუძველზე. ვაჟისთვის პირდაპირი კითხვისა ემინოდა. თუმცა ერთი-ორჯერ ვერ მოითმინა და ხუმრობით შეაპარა, ჩემთან გულგახსნილი არა ხარო. ნიკოლაი ვსევლოდოვიჩი იღიმებოდა და დუმდა. დუმილი თანხმობის ნიშნად ჩაეთვალა. მაგრამ კოჭლაუხას ამბავი ვარვარა პეტროვნას მაინც არ ავიწყდებოდა და არა. ლოდოდ აწვა გულზე, საზარელ სიზმრებად და მოჩვენებებად გადაქცეოდა, და ამავე დროს გრაფ -კ-ის ქალებზე ოცნებობდა. მაგრამ ამაზე მერმე იყოს. თქმა არ უნდა, ყველა კვლავ დიდზე დიდი პატივით განიძსქვალა ვარვარა პეტროვნას მიმართ, ეს კია, ნაკლებ სარგებლობდა ამით, საზოგადოებაში იშვიათად გამოდიოდა.

თუმცა გუბერნატორის მეუღლეს კი დიდის ამბით ეწვია. რასაკვირველია, იულია მიხაილოვნას ზემოთმოყვანილ ღირსშესანიშნავ სიტყვებს თავადაზნაურობის წინამძღოლის მეუღლის საღამოზე ვარვარა პეტროვნასავით არავინ მოუხიბლია. ამ სიტყვებმა დიდი ლოდი მოაშორეს მის გულს და ბევრი ის გამოცანა გადაუჭრეს, რაც ასე ტანჯავდა იმ უკუღმართი კვირიდან მოყოლებული. განაცხადა კიდევ: ამ ქალს თურმე ვერ ვცნობდიო! მისთვის ჩვეული პირდაპირობით და გატაცებით აუწყა იულია მიხაილოვნას, მადლობის სათქმელად გეახელითო. იულია მიხაილოვნას გულში ეამა, მაგრამ თავი შორს დაიჭირა. იმხანად ერთობ სჯეროდა თავისი წონისა და გავლენის, მგონი, ზედმეტადაც კი. სხვათა შორის ლაპარაკში ჩაურთო, სტეპან ტროფიმოვიჩის მოღვაწეობასა და განსწავლულობაზე არასოდეს არაფერი მსმენიაო.

- ყმაწვილი ვერხოვენსკი მე დავიახლოვე, იმიტომ რომ ჯერ ახალგაზრდაა და რაც მოსდის, უგუნურებით მოსდის, მაგრამ ცოდნა კი დიდი აქვს. იმას მაინც ვერავინ იტყვის მასზე, ყოფილი კრიტიკოსი არისო.

ვარვარა პეტროვნამ მაშინვე მიაგება, სტეპან ტროფიმოვიჩი არასოდეს არ ყოფილა კრიტიკოსი, პირიქით, მთელი სიცოცხლე ჩემს ოჯახში გაატარა. ხოლო თუ რით გაითქვა სახელი კარიერის დასაწყისში, „ეს მთელ ქვეყანას მშვენივრად მოეხსენება“, ამ ბოლო ხანს კი ესპანეთის ისტორიაზე მუშაობს და პატივიც ამით დაიმსახურა. განზრახული აქვს გარეთვე გერმანიის ახლანდელ უნივერსიტეტების მდგომარეობაზე და კიდევ რაღაც დრეზდენის მადონაზე დაწეროსო. ერთი სიტყვით, ვარვარა პეტროვნამ არ დაანება იულია მიხაილოვნას სტეპან ტროფიმოვიჩის აუგად ხსენება.

- სიქსტის მადონაზე, დრეზდენში რომ არის? Chere ვარვარა პეტროვნა, ორი საათი ვიჯექი ამ სურათის წინ და იმედგაცრუებული წამოვედი. ვერაფერი გავიგე და დიდად გაკვირვებული დავრჩი. კარმაზინოვმაც მითხრა, ძნელი გასაგები არისო. ახლა ყველა, რუსებიცა და ინგლისელებიც, ვერაფერს პოულობენ მაგ სურათში, მისი სახელი სულ ძველების გაბუქულია.

- მაშ ახლა სხვა მოდა არის?

- მე მგონია, არც ჩვენი ახალგაზრდობის უგულვებელყოფა ვარგა. გაიძახიან, კომუნისტები არიანო, ჩემი აზრით, კი უნდა დავზოგოთ და გავუფრთხილდე. ახლა მე ყველაფერს ვკითხულობ - ყველა გაზეთს, კომუნებს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებას, - ყველაფერი მომდის, ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა იცოდე, სად ცხოვრობ და რა ხალხში ცხოვრობ. მთელ ცხოვრებას ხომ ფანტაზიებში ვერ გაატარებ. მე დავფიქრდი და გადავწყვიტე დავუყვავო ყმაწვილკაცობას და ამით შევაჩერო ისინი უფსკრულის პირას. მერწმუნეთ, ვარვარა პეტროვნა, მხოლოდ ჩვენ, საზოგადოებას ძალგვიძს კეთილი გავლენითა და სწორედ დაყვავებით შევაჩეროთ ისინი და უფსკრულში გადაჩეხას გადავარჩინოთ, საითაც მათ ამ ბებრუცუნების სულსწრაფობა და მოუთმენლობა უბიძგებთ. თუმცა რა კარგია, სტეპან ტროფიმოვიჩის ამბავი რომ გამახსენეთ. ეგ ჩინებული აზრი მომაწოდეთ: ჩვენს ლიტერატურულ საღამოზე გამოგვადგება. იცით, გასართობების დღეს ვაწყობ ხელმოწერით, ჩვენი გუბერნიის ღარიბი გუბერნანტი ქალების დასახმარებლად. სად არ არიან ისინი რუსეთში გაბნეულნი. მარტო ჩვენს მაზრაში ექვსი იქნება. გარდა მაგისა, ორი ტელეგრაფისტი ქალი გვყავს, ორი აკადემიაში სწავლობს, საშუალება არა აქვთ, თორემ სხვებიც უარს არ იტყოდნენ სწავლაზე. რუსი ქალის ხვედრი საშინელია, ვარვარა პეტროვნა! ამჟამად ეს არის მთავარი საკითხი, სახელმწიფო საბჭოს სხდომაც მოეწყო ამაზე. ამ ჩვენს საკვირველ რუსეთში რასაც მოისურვებ, იმას გააკეთებ. ამიტომაც მხოლოდ მთელი საზოგადოების დაყვავებითა და უშუალო გულთბილი თანაგრძნობით შეგვიძლია ეს დიადი საერთო საქმე ჭეშმარიტი გზით წარვმართოთ. ღმერთო ჩემო, განა ბევრია ჩვენში ნათელი პიროვნება! რა თქმა უნდა, მოიძებნებიან, მაგრამ გაფანტულნი არიან. მაშ, შევერთდეთ და ძალაც მოგვემატება. ერთი სიტყვით, ჯერ ლიტერატურული დილა მექნება, მერე პატარა საუზმე, მერე შესვენება, და იმავე დღეს საღამოს მეჯლისი. გვინდოდა საღამო ცოცხალი სურათებით დაგვეწყო, მაგრამ, მგონი, ბევრ ხარჯს მოითხოვს, ამიტომ ხალხისთვის ერთი ან ორი კადრილი მოეწყობა ნიღბებითა და სახასიათო კოსტიუმებით, რაიც გარკვეული ლიტერატურული მიმდინარეობის გამომსახველი იქნება. ეს მოსწრებული აზრი კარმაზინოვმა მოგვაწოდა; ძალიან ბევრს მეხმარება. იცით, თავის უკანასკნელ ნაწარმოებს წაგვიკითხავს, ჯერ არავინ იცნობს. წერას თავს ანებებს; ეს მისი უკანასკნელი წერილი საზოგადოებასთან გამოთხოვება იქნება. მშვენიერი რამაა, სათაურად „Merci“ ამ ფრანგულ სათაურს ურო მოსწრებულად თვლის. მეც ამასვე ვფიქრობ და ვურჩიე კიდევ. მე მგონია, სტეპან ტროფიმოვიჩმაც შეიძლება წაგვიკითხოს რამე, თუკი მოკლე და... ძალიან მეცნიერული არ იქნება. მგონი, პიოტრ სტეპანოვიჩი და ვიღაც სხვა წაიკითხავენ რაღაც ამდაგვარს. პიოტრ სტეპანოვიჩი შემოვირბენთ და პროგრამას გაგაცნობთ, თუმცა, თუ ნებას დამრთავთ, მე თვითონ მოგართმევთ.

- თქვენც უარი არ მითხრათ, შესაწირ ფურცელზე მეც მოვაწერო ხელი. სტეპან ტროფიმოვიჩს ყოველივეს გადავცემ და ჩემი მხრივაც შევეხვეწები.

საბოლოოდ მოხიბლული დაბრუნდა ვარვარა პეტროვნა შინ; იულია მიხაილოვნას ქომაგად იქცა და გულში რატომღაც უფრო განრისხდა სტეპან ტროფიმოვიჩზე. ის საწყალი კი შინ იჯდა და წარმოდგენა არ ჰქონდა არაფერზე.

- პირდაპირ შეყვარებული ვარ ამ ქალში, ვერ გამიგია, ასე როგორ ვცდებოდი, - ეუბნებოდა თავის ვაჟსა და იმ საღამოს წუთით შემორბენილ პიოტრ სტეპანოვიჩს.

- ბერიკაცს მაინც უნდა შეურიგდეთ, კაცი დარდით აღარ არის. არც ასე გარიყვა შეიძლება. გუშინ ეტლით რომ მიბრძანდებოდით, შემოგხვდათ და თავი დაგიკრათ, თქვენ კი პირი იბრუნეთ. ჩვენ მაგას ისევ გამოვიყვანთ ასპარეზზე მაგაზე რაღაც-რაღაც იმედებს ვამყარებ, კიდეც გამოგვადგება, - მოახსენა ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ.

- დიახ, დიახ, წაიკითხავს ალბათ რასმე.

- მარტო ეგ არა. ამ საღამოსაც მინდოდა შემერბინა მასთან. მაშ გადავცე თუ არა?

ვარვარა პეტროვნა შეყოყმანდა: - როგორც გენებოთ, თუმცა არ ვიცი კი, როგორ გადასცემთ... ვფიქრობდი, მე თვითონ მომელაპარაკა და საამისო დღე და ადგილი დამენიშნა. - ვარვარა პეტროვნა შეიჭმუხნა.

- არა, დღის დანიშვნა არა ღირს. უბრალოდ გადავცემ.

- კარგით, გადაეცით, თუმცა ისიც უთხარით, დღეს აუცილებლად დაგინიშნავს-თქო. აუცილებლად უთხარით.

ვერხოვენსკი გაიკრიჭა და გავარდა. რამდენადაც მახსოვს, ეს დღეები რაღაც მეტისმეტად გაბოროტებული ჩანდა და თითქოს ყველას უდიერად ექცეოდა. საკვირველია, რომ ყველა რატომღაც უთმენდა და რატომღაც მიაჩნდათ, ამ კაცს განსაკუთრებული საზომით უნდა მიუდგეო. იმასაც შევნიშნავ, რომ ნიკოლაი სტავროგინის დუელმა მეტისმეტად გააბრაზა. მისთვის ეს მოულოდნელი ამბავი იყო. კაცი გამწვანდა თურმე, როცა უამბუს. ვინ იცის თავმოყვარეობაც შეელახა: მხოლოდ მეორე დღეს გაიგო, როცა უკვე ყველამ იცოდა.

- თქვენ არც გქონდათ უფლება დუელში გასულიყავით, - ჩაუჩურჩულა სტავროგინს, როცა მეხუთე დღეს კლუბში შემთხვევით შეხვდა. საოცარია და ეს ხუთი დღე არსად შეხვედრიან ერთმანეთს, თუმცა ახალგაზრდა ვერხოვენსკი თითქმის ყოველდღე დაცუნცულეზდა ვარვარა პეტროვნასთან.

ნიკოლაი სტავროგინმა უგულისყუროდ შეხედა, თითქოსდა არც ესმის, რას ეუბნებიანო, და უხმოდ ჩაუარა გვერდი. ბუფეტში გადიოდა კლუბის დიდი დარბაზიდან.

- შატოვთანაც ბრზანდებოდით... მარია ტიმოფეევნას ამბავიც გინდათ საჯაროდ გამოაცხადოთ, - უკან გაეკიდა ვერხოვენსკი და დაუდევრად წაეტანა მხარში.

სტავროგინმა მისი ხელი უმაღლ მოიცილა და მრისხანედ მოუტრიალდა. ვერხოვენსკიმ შეხედა და უცნაურმა ღიმილმა გაუწელა ტუჩები. წამიც და სტავროგინმა გზა გააგრძელა.

II

ვარვარა პეტროვნასაგან პირდაპირ ბერიკაცთან მოირბინა ვერხოვენსკიმ. ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ჯავრი ამოეყარა ერთი ძველი შეურაცხყოფისათვის, რაზეც

აქამდე არაფერი ვიცოდი. თურმე ნუ იტყვით, და მათი უკანასკნელი შეხვედრის დროს, სწორედ გასული კვირის ხუთშაბათ დღეს, სტეპან ტროფიმოვიჩს რაღაც დავა მოუვიდა ვაჟთან და ბოლოს ჯოხითაც იფრინა. ეს ამბავი მაშინ ჩემთვის არ გაუშხელია. მაგრამ ახლა კი, რა წამს მისი ვაჟი შემოიჭრა თავისი დაუდევარი ქედმაღლური ღიმილით და კვიმატი თვალები დააცეცა ქეთ-იქით, სტეპან ტროფიმოვიჩმა მყის მანიშნა, არ წახვიდეო. მაშინ გახდა ჩემთვის ნათელი მათი ჭეშმარიტი დამოკიდებულება და მაშინ მოვისმინე ყველაფერი ჩემი ყურით.

სტეპან ტროფიმოვიჩი ტახტზე იყო მიწოლილი. იმ ხუთშაბათს აქეთ გამხდარი და გაყვითლებული ჩანდა. შვილი უბოდიშოდ ამოუჯდა გვერდით, ფეხები ამოიკეცა და იმაზე მეტი ადგილი დაიკავა, ვინემ მამის რიდი და კრძალვა მოითხოვდა. სტეპან ტროფიმოვიჩმა უხმოდ და ღირსებით უტია ადგილი.

მაგიდაზე წიგნი იყო გადაშლილი. ეს გახლდათ რომანი „რა ვაკეთოთ?“ [176]. ვაი რომ უნდა გამოვტყდე და ვამხილო ჩემი მეგობრის ერთი საოცრად სულმოკლე ზრახვა: ის ფიქრი, რომ დროა მოემზავს განდევნობას და ერთხელ კიდევ უკანასკნელად შეეხება თავის მტრებს, უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს მის გულში. ეს წიგნიც, ჩემი ვარაუდით, მარტოდმარტო იმ მიზნით ემოვა და იმიტომ სწავლობდა, „აჭყვირებულებთან“ უეჭველი შეტაკების დროს წინასწარვე ცოდნოდა მათი საბუთები მათივე „კატეხიზმოს“ მიხედვით [177] და მომზადებულს ზარ-ზეიმით გაეცამტვერებინა ისინი ვარვარა პეტროვნას თვალში. ო, როგორ აწამებდა ეს წიგნი! არაერთხელ გადაუსვრია სასოწარკვეთილებებში მოსულს, ადგილიდან წამომხტარა და გაშმაგებულს დაუწყია ოთახში სირბილი.

- კი, თანახმა ვარ, ავტორის ძირითადი იდეა მართალია, - მეუბნებოდა ადგზნებული, - სწორედ ესაა საშინელება! ეს ხომ ჩვენი იდეაა, სწორედ ჩვენი, ჩვენ დავეთესეთ იგი, პირველად ჩვენ აღმოვაცენეთ, ჩვენ მოვუმზადეთ ნიადაგი, - ჩვენ შემდეგ ნეტა ახალი რაღა უნდა ეთქვას! მაგრამ, დიდება შენდა ღმერთო, როგორაა ნათქვამი, დამახინჯებული, გათახსირებული! - იმახდა ის და თითებს უკაკუნებდა წიგნს. - განა ჩვენ ამ დასკვნებისაკენ ვისწრაფოდით? ვინ იცნობს აქ პირვანდელ იდეას?

ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ წიგნი აიღო, სათაური წაიკითხა და ჩაიცინა: - განათლებას ესწრაფები? ადრევეც უნდა გექნა, თუ გინდა, უკეთესსაც მოგიტან.

სტეპან ტროფიმოვიჩმა არც ახლა გასცა ხმა. მე კუთხეში ვიჯექი დივანზე.

ვაჟმა მაშინვე უთხრა, რისთვისაც იყო მოსული. სტეპან ტროფიმოვიჩი უზომოდ განცვიფრდა, დაფრთხა და ძალზე აღშფოთდა კიდევ.

- მართლა ხომ არ ჰგონია მაგ იულია მიხაილოვნას, ვეახლები და წავიკითხავ!

- რომ იცოდე, დიდად იქ არავის სჭირდება. პირიქით, მხოლოდ იმიტომ გეფერებიან, ვარვარა პეტროვნას მოუქონონ თავი. თუმცა არა მგონია უარი გაბედო, იქნებ თვითონაც გერჩის გული, - გაიკრიჭა პიოტრ სტეპანოვიჩი, - შენისთანა ბებრუხანებს ჯოჯოხეთური პატივმოყვარეობა ჰკლავთ. გამიგონე, შენებურად არ გააჭიანურო და ხალხი არ მოაწყინო. რაო, რა გაქვს იქ, ესპანეთის ისტორიაზე წერ? სამი დღით ადრე მომეცი და გადავხედავ. თორემ დაამინებ ყველას.

რა თქმა უნდა, განზრახ იკბინებოდა ასე უხეშად და ტლანქად. განზრახ გამოჰყავდა ისე, თითქოს სტეპან ტროფიმოვიჩთან სხვანაირი, უფრო თავაზიანი ლაპარაკი არ შეიძლებოდა. სტეპან ტროფიმოვიჩი ჯიუტად არ იმჩნევდა შეურაცხყოფას. მაგრამ თანდათან უფრო შეადრწუნა ამ ახალმა ამბავმა.

- მერედა თვითონ, თვითონ დაგაბარა... ასე გადაეციო? - ჰკითხა ფერდაკარგულმა.

- არა, მაგან დღე და ადგილიც უნდა დაგინიშნოს ახსნა-განმარტებისათვის; კიდევ შემორჩა თქვენი ძველი სანტიმენტალობის ნაშთი. ოცი წელი ეკეკლუცებოდი და დააჩვიე ამ სასაცილო რამეებს. მაგრამ ნუ წუხხარ, ახლა ასე აღარ იქნება; წარამარა იმას იმახის, მხოლოდ ახლა ამეხილა თვალიო. მე პირდაპირ ვუთხარი, ეგ თქვენი მეგობრობა მარტოდენ საკუთარი გულის ჭუჭყის გადმონთხევა იყო-მეთქი და სხვა არაფერი. იცი, შვილოსა, ბევრი რამ მიაშობო. ფუი, რას ლაქიობდი თურმე მთელი ეს წლები. შენ მაგიერ სირცხვილით დავიწვი.

- მე ვლაქიობდი? - ველარ მოითმინა სტეპან ტროფიმოვიჩმა.

- უფრო უარესი, მუქთახორა იყავი, ანუ შენი საკუთარი სურვილით ლაქიობდი. შრომა გვეზარება, ფულის მადა კი დიდი გვაქვს. ახლა თვითონაც ჩახვდა. ყოველ შემთხვევაში, რა არ მიაშობო შენზე. ვაჰ, რამდენი ვიცინე, ძმაო, შენს წერილებზე; შემრცხვა კიდევ და შემეზიზნა. მაგრამ წარყვნილები ხართ ყველანი, წარყვნილები! მათხოვრობამ არ შეიძლება კაცი არ გარყვნას - ამისი აშკარა მაგალითი შენა ხარ!

- ჩემი წერილები გაჩვენა?!

- ყველა. თუმცა ყველას რა წამაკითხებდა? ფუი, რამდენი ქალაღი დაგიხარჯავს, მე მგონია, ორი ათასზე მეტი წერილი იქნება... იცი, ბებერო, ერთი პირობა რომ კინაღამ ცოლად არ გამოგყვა? შენი სიყვეყით გაუშვი ეს შემთხვევა ხელიდან! რა თქმა უნდა, შენი თვალსაზრისით ვამბობ, თუმცა იმას მაინც სჯობდა, რასაც ახლა გიპირებდნენ, დიახ, იმ გაპამპულებასა და „სხვის ცოდვებზე“ ჯვარის დაწერას ფულის გულისათვის.

- ფულის გულისთვისო! თვითონ თქვა, ფულის გულისთვისო! - შეჰბღავლა სტეპან ტროფიმოვიჩმა.

- ტყუილია თუ? მაგრამ მე თვითონ დაგიცავი! თუ გამართლებს, მარტო ეს გამართლებს. თვითონვე მიხვდა, სხვებივით შენც ფული გჭირია და ამ თვალსაზრისით იქნებ მართალიც იყო. ორჯერ ორივით დავუმტკიცე, ორივე რომ მოგებული რჩებოდი; ის, როგორც კაპიტალისტი, შენ, როგორც მისი სანტიმენტალური ტაკიმასხარა. თუმცა ფულზე არ ჯავრობს, მერე რა რომ მეწველი ფურივით წველიდი. მხოლოდ ის ხეთქვას გულზე, ოცი წელი ასე რომ სჯეროდა შენი, ასე რომ ასულელე და მისი კეთილშობილება გამოიყენე, ამდენ ხანს აფრქვევინე ტყუილები. ვცრუობდიო, თვითონ თავის დღეში არ გამოტყდება, მაგრამ ვაი შენი ბრალი, ორჯერ უფრო მეტად მოგხვდება ამისთვის. ვერ გამიგია, როგორ ვერ მიხვდი. ოდესმე რომ ძმრად ამოგედინებოდა ყველაფერი. მუდამ უჭკუო ხომ არ იყავი. გუშინ ვურჩიე, დავრდომილთა სახლში მიაბარეთ-მეთქი. ნუ გეშინია, რიგიანი სახლი იქნება, მგონი, ეგრეც მოიქცეს. გახსოვს, უკანასკნელად რა მომწერე ხ-ის გუბერნიაში, ამ სამი კვირის წინ?

სტეპან ტროფიმოვიჩი თავზარდაცემული წამოიჭრა.

- მართლა ხომ არ აჩვენე?

- მაშ არადა! პირველ ყოვლისა ეგ ვაჩვენე. სწორედ ის, რომელშიც მატყობინებდი, მჩაგრავს, ჩემი ნიჭისა შურსო, ჰოდა, კიდეც „სხვის ცოდვებზე“ მწერენ ჯვარსო. არა, მართლა, რა თავმოყვარეობა გქონია, შვილოსა! რამდენი ვიცინე. ისე კი ძალიან მოსაწყენი წერა გცოდნია; საშინელი სტილი გაქვს. ხშირად არც ვკითხულობდი, ერთი ახლაც გაუხსნელი მიგდია; ხვალ გამოგიგზავნი, მაგრამ მაგ შენმა უკანასკნელმა წერილმა ყველას გადააჭარბა! სიცილით მოვკვდი პირდაპირ!

- მტარვალო! შეჩვენებულო! - შებღავლა სტეპან ტროფიმოვიჩმა.

- ფუი, ეშმაკმა დალახვროს, შენთან ლაპარაკი არ შეიძლება. გამიგონე, წინა ხუთშაბათივით მოგდის ისევ გული?

სტეპან ტროფიმოვიჩი რისხვით გასწორდა წელში: - როგორ მიბედავ, რა ენით მელაპარაკები?

- რა ენით? ნათლად და გასაგებად!

- მითხარი, შე შეჩვენებულო, ბოლოს და ბოლოს შვილი ხარ თუ არა ჩემი?

- შენ უკეთ მოგეხსენება. თუმცა ყოველი მამა ასეთ შემთხვევაში თვალებს იბრმავებს...

- ხმა, კრინტი! - აცახცახდა სტეპან ტროფიმოვიჩი.

- ხომ ხედავ, ყვირი და იგინები, იმ ხუთშაბათისა არ იყოს, ჯოხი კინალამ დამარტყი, მე კი რა ვქენი, მხოლოდ საბუთი მოგინახე მაშინ. მთელი საღამო ჩემოდანში გეძებე, ცნობისმოყვარეობამ ამიტანა. ნუ გეშინია, იქ პირდაპირ არაფერია ნათქვამი. ეს მხოლოდ დედაჩემის წერილია იმ პოლონელთან, თუმცა დედაჩემის ხასიათი რომ ვიცი...

- კიდევ ერთი სიტყვა და სახეში გხეთქავ.

ახალგაზრდა ვერხოვენსკი მე მომიტრიალდა: - მიკვირს ამ ხალხისა! იცით, წინა კვირიდან ამ ყოფაში ვართ. კიდევ კარგი, დღეს მაინც დაგვესწარით და განსჯით. ჯერ ფაქტიდან დავიწყებ: ეგ მაყვედრის, დედაშენზე ეგეთებს რად ლაპარაკობო, მაგრამ პირველმა ვინ მიბიძგა? პეტერბურგის გიმნაზიაში რომ ვსწავლობდი, ეგ არ იყო ღამეში ორჯერ მალვიძებდა, მეხვეოდა და დედაკაცივით ბღაოდა? რა გგონიათ, რას მიყვებოდა ხოლმე? რასა და აი, ასეთ ანეკდოტებს დედაჩემზე! პირველად მაგისაგან შევიტყვე.

- ოო, მე ამას ზეგაგებით ვამბობდი მაშინ! თურმე ვერაფერი გაიგე, ვერაფერი.

- მაგრამ შენი მხრივ მეტი უნამუსობაა, დიახ, დიახ, მეტი. მე თუ მკითხავ, ჩემთვის სულ ერთია. მე შენზე ვამბობ; თორემ ჩემი მხრივ ნუ გეშინია: დედაჩემს არაფერში ვამტყუნებ; გინდ შენ ყოფილხარ, გინდა პოლონელი, ჩემთვის ერთია. ჩემი რა ბრალია, თქვენ თუ ბერლინში ბრიყვულად მოიქეცით. ან ჭკვიანური რა მოგეთხოვებოდათ. მოდი და ნუ გაიცინებს კაცი თქვენზე! ნეტა რა მნიშვნელობა აქვს შენთვის, ვარ თუ არა შენი შვილი? გამიგონეთ, - ხელახლა მომიბრუნდა ახალგაზრდა

ვერხოვენსკი, - მთელი სიცოცხლე ჩემზე მანეთი არ დაუხარჯავს, თექვსმეტ წლამდე თვალთ არც ვუნახივარ, მერე აქ გამძარცვა, ახლა კი გაყვირის, მთელი სიცოცხლე შენზე შემტკიოდა გულიო, მსახიობივით მეგრიხება. ნეტა ვარვარა პეტროვნა ხომ არ გგონივარ!

ახალგაზრდა ვერხოვენსკი წამოდგა და ქუდი აიღო.

- წყეულიმც ყოფილხარ დღეის იქით! - ხელები აღაპყრო მკვდარივით გაფითრებულმა სტეპან ტროფიმოვიჩმა.

ახალგაზრდა ვერხოვენსკი განცვიფრდა კიდევ: - უყურე ერთი, სადამდე მიიყვანს კაცს სიბრყვე! აბა, მშვიდობით, ძველო, ამიერიდან აქ ჩემს ფეხს ვერ ნახავ. არ დაგავიწყდეს, წერილი დროზე მომაწვდინო, შეეცადე სისულელეებით არ გააჭრელო: ფაქტები, ფაქტები და ფაქტები, რაც მთავარია, მოკლედ. მშვიდობით!

III

თუმცა აქ სხვა გარეშე მიზეზებსაც ჰქონდა ადგილი. ახალგაზრდა ვერხოვენსკის, მგონი, რომ მართლაც უნდოდა ბერიკაცი ისეთ სასოწარკვეთამდე მიეყვანა, მოთმინებიდან გამოსულს საჯარო აურზაური აეტეხა. ეს კი სულ სხვა, შორეული მიზნებისთვის სჭირდებოდა, რაზეც შემდეგში მოგახსენებთ. ამისთანა დიახაც ფანტასტიკური ანგარიშები და ვარაუდები იმხანად კარგა ბლომად დაჰგროვებოდა. სტეპან ტროფიმოვიჩის გარდა კიდევ სხვა წამებულებიც ჰყავდა ამოჩემებული და, როგორც შემდეგში გამოირკვა, საკმაოდ ბევრიც. მაგრამ განსაკუთრებით ერთის იმედი ჰქონდა. ის თავად ბატონი ფონ ლემბკე გახლდათ.

ბ-ნი ფონ ლემბკე ბუნებისაგან იმ გამორჩეულთა ტომს ეკუთვნოდა, რომლის წარმომადგენლები რუსეთში კალენდრის მიხედვით ასიათასობით დაითვლებიან, თუმცა ალბათ თვითონაც არ უწყიან, რა მტკიცედ შედუღებულ კავშირს წარმოადგენენ. ცხადია, ეს გახლავთ მთელი ტომის თავისთავადი, უსიტყვო და მოლაპარაკების გარეშე არსებული კავშირი, ასე ვთქვათ, ზნეობრივი ვალდებულება, რის მიხედვით ამ ტომის ყველა წევრმა ყველგან და ყველანაირ ვითარებაში ერთმანეთს უნდა დაუჭიროს მხარი. ანდრეი ანტონოვიჩს ბედმა არგუნა ერთ-ერთ იმ უმაღლეს რუსულ სასწავლებელში ესწავლა, სადაც მხოლოდ გავლენიანი ნაცნობებითა თუ სიმდიდრით დაჯილდოებული ოჯახიშვილები სწავლობენ. ამ სასწავლებლის აღზრდილები, როგორც კი კურსს დაამთავრებდნენ, მაშინვე ერთ-ერთი სახელმწიფო დაწესებულების უმაღლეს თანამდებობაზე ინიშნებოდნენ. ანდრეი ანტონოვიჩს ორი ბიძა ჰყავდა, ერთი - ინჟინერ-პოლკოვნიკი, მეორე - მეფუნთუშე. მაგრამ უმაღლეს სასწავლებელში მაინც გაძვრა და იქ ბევრი თვისტომიც ჰპოვა. ლემბკე მხიარული ამხანაგი გამოდგა, სწავლაში საკმაოდ უნიჭო, მაგრამ ყველას უყვარდა. როცა უფროს კლასებში ბევრი ყმაწვილი, მეტწილად რუსები, უკვე თანამედროვე საკითხებზე მსჯელობდნენ და თანაც ისეთი სახით, თითქოს დაამთავრებენ თუ არა სწავლას, მაშინვე ამ საკითხებს გადაჭრიანო, ანდრეი ანტონოვიჩი კვლავ ბავშვივით ცელქობდა და ოინბაზობდა. ლემბკეს უნიჭო და ცინიკური ოინები ყველას აცინებდა და იმასაც მიზნად ეს ჰქონდა დასახული. ხან ისე უცნაურად მოიხოცავდა ცხვირს, როცა მასწავლებელი ლექციაზე რასმე შეეკითხებოდა, - ამხანაგებსა და მასწავლებელსაც გააცინებდა; ხან დორტუარში

რაიმე ცინიკურ ცოცხალ სურათს წარმოადგენდა და ყველანი ტაშს უკრავდნენ. ხან „ფრა-დიავოლოს“ [178] უვერტიურას დაუკრავდა ცხვირით (და ფრიად ოსტატურადაც). გარდა ამისა, განზრახ ბელეშად დადიოდა, ამას რატომღაც დიდ ჭკუამახვილობად თვლიდა. უკანასკნელ კლასში რუსულად დაიწყო ლექსების წერა, - საკუთარი ენის გრამატიკაში ერთობ მოიკოჭლებდა, როგორც ეს მისი ტომის ხალხიდან ბევრს მოსდგამს რუსეთში. ლექსების სიყვარულმა ერთ უჟმურსა და დაბეჩავებულ ამხანაგს დაახლოვა, რომელიც გალატაკებული რუსი გენერლის შვილი იყო და სასწავლებელში დიდი ლიტერატორის ბედს უწინასწარმეტყველებდნენ. იმან წყალობის თვალთ შეხედა. მაგრამ მოხდა ისე, რომ სასწავლებლის დამთავრებიდან სამი წლის შემდეგ ეს უჟმური ამხანაგი, რომელსაც რუსული ლიტერატურის ტრფიალმა სამსახურს თავი დაანებებინა და ისეთ დღეში ჩააგდო, შუა შემოდგომაზე საზაფხულო პალტოს ამარა, თითებგამოყრილი ფეხსაცმელებით დადიოდა, შემთხვევით შეხვდა ანიჩკოვის ხიდთან თავის protégé „ლემბკას“, როგორც სასწავლებელში ეძახდნენ. და რა გგონიათ? პირველად ვერც კი იცნო და განცვიფრებული გაჩერდა. მის წინ უნაკლოდ მორთული წითურაქილვაშებიანი ყმაწვილი იდგა, რომელსაც ცხვირზე პენსნე წამოეცვა, ლაქის ფეხსაცმელები, ახალთახალი ხელთათმანები, შარმერისეული განიერი პალტო ეცვა და ილიაში პორტფელი ამოეჩარა. ლემბკემ ამხანაგს დაუყვავა, თავისი მისამართი მისცა და მიიპატიჟა, როგორმე საღამოთი შემომიარეო. ახლა თურმე „ლემბკა“ კი არა, ფონ ლემბკე გამხდარიყო. ამხანაგი მართლაც ესტუმრა, იქნებ სულაც ჯიბრზე. საკმაოდ უშნო, წითელი მაუდით მოფენილ კიბეზე შვეიცარი გამოეგება და ვინაობა ჰკითხა. ზევით ზარმა გაიწკრიალა. სტუმარს მოლოდინი გაუცრუვდა. „ლემბკა“ თურმე არც ისე მდიდრულად ცხოვრობდა. ერთი პატარა, ჩაბნელებული და ჩაჟამებული ოთახი ჰქონდა. ოთახს დიდი მუქი მწვანე ფარდა ჰყოფდა ორად; საკმაოდ დაძველებული მუქი მწვანე რბილი ავეჯი იდგა, ვიწრო, მაღალ ფანჯრებზე მუქი მწვანე ფარდები ეკიდა. ფონ ლემბკე თურმე თავის შორეულ ნათესავსა და მწყალობელ გენერალთან ცხოვრობდა. სტუმარს გულთბილად და ფრიად თავაზიანად შეხვდა. ილაპარაკეს ლიტერატურაზეც, ოღონდაც ზომიერების ფარგლებში. თეთრჰალსტუხიანმა ლაქიამ წყალწყალა ჩაი და ხმელი ნამცხვარი მოართვათ. ამხანაგმა ჯიბრზე სელტერის წყალი მოითხოვა. მორთმევით კი მოართვეს, მაგრამ ცოტა დაგვიანებით. ამასთან ლემბკეს თითქოს შერცხვა ლაქიის მეორედ გამოძახება და დასაქმება. ესეც კია, თვითონვე შესთავაზა, საუზმეს ხომ არ ინებებთო. მაგრამ, ეტყობა, დიდად კმაყოფილი დარჩა, როცა სტუმარმა უარი თქვა და ბოლოს წავიდა. ერთი სიტყვით, ლემბკეს კარიერა ახლა იწყებოდა და იმ თავის თვისტომ, მაგრამ მედიდურ გენერალთან დროებით შეკედლებულიყო.

იმხანად ლემბკე გენერლის მეხუთე შვილს ეტრფოდა და, მგონი, იმასაც სწყალობდნენ. მაგრამ ამალია, როცა დრო მოვიდა, ერთ გერმანელ მექარხნეს, ბებერი გენერლის ბებერ ამხანაგს მიათხოვეს. ანდრეი ანტონოვიჩს ბევრი ცრემლი არ დაუღვრია. ადგა და ქალაღდიდან თეატრი გააკეთა. აიწეოდა ფარდა, გამოდიოდნენ მსახიობები, ხელეებს აქნევდნენ; ლოჟებში მაყურებლები ისხდნენ, ორკესტრანტები ვიოლინოს უკრავდნენ, კაპელმაისტერი ჯოხს იქნევდა. პარტერში კავალრები და ოფიცრები ტაშით აჯილდოვებდნენ. ყველაფერი ქალაღდისა იყო, ყველაფერი ფონ ლემბკეს მოეფიქრებინა, თავისი ხელით გამოეჭრა და დაეწებებინა. მთელი ნახევარი წელი მოანდომა ამას. გენერალმა საგანგებოდ საღამო მოაწყო და თეატრის საჩვენებლად შინაურები მოიწვია. გენერლის ხუთივე ქალი, ახლად გათხოვილი

ამალია, მისი მექარხნე თუ სხვა ქალბატონები თავიანთი გერმანელი კავალრებით გულისყურით ათვალიერებდნენ თეატრს და აქებდნენ. მერე იცეკვეს. ლემბკე ერთობ კმაყოფილი დარჩა და მალე მოინელა დარდი.

განვლო წლებმა და ლემბკეს კარიერაც მოეწყო. ლემბკეს სულ დიდი-დიდი ადგილები ეჭირა, უფროსებად სულ თავისი თვისტომები ჰყავდა. ბოლოს საკმაოდ დიდი ჩინიც მოიპოვა თავის წლებთან შედარებით. რა ხანია გადაწყვეტილი ჰქონდა ცოლის თხოვა და რა ხანია ჩუმ-ჩუმად ეძებდა საცოლეს. უფროსების უჩუმრად ერთი ჟურნალის რედაქციაში მოთხოვნაც გაგზავნა, მაგრამ არ დაუბეჭდეს. სამაგიეროდ, მთელი მატარებელი გამოსჭრა ქალაქიდან და მშვენიერიც გამოუვიდა. ხალხი ჩემოდნებით, საკვებით, ბავშვებითა და ფინიებით გამოდიოდა სადგურიდან და ვაგონებში სხდებოდნენ. კონდუქტორები და მომსახურენი წინ და უკან დადიოდნენ. დაიწვრიალებდა ზარი და მის ხმაზე მატარებელიც ნელ-ნელა დაიძვრებოდა. ამის ჩირთიფირთს მთელი წელი მოუნდა. მაგრამ ცოლის თხოვა მაინც აუცილებელი იყო. ნაცნობებიც საკმაოდ ბევრი ჰყავდა, მეტწილად გერმანელები; მაგრამ რუსებშიც ტრიალებდა, რა თქმა უნდა, უფროსების წრეში. ბოლოს, ოცდათვრამეტი წლის ასაკში მემკვიდრეობაც მიიღო. მეფუნთუშე ბიძა გარდაეცვალა და ანდერძით ცამეტი ათასი დაუტოვა. ახლა საქმე ადგილზედა იყო. ბატონი ფონ ლემბკე ფრიად თავმდაბალი ბუნების კაცი გახლდათ, მერე რა, რომ დიდ-დიდი ადგილები ეჭირა. ძალიანაც კმაყოფილი დარჩებოდა, თუკი სახაზინო სამსახურში რაიმე დამოუკიდებელ ადგილს მისცემდნენ, სადაც მისი საქმე სახაზინო შემოს მიღება იქნებოდა ან ამის მსგავსი შემოსავლიანი რამ. მეტი არც არაფერი უნდოდა მაგრამ ამ დროს რომელიმე მინასა თუ ერნესტინას ნაცვლად ბედმა უეცრივ იუღია მიხაილოვნას შეჰყარა. მისმა კარიერამ ერთი საფეხურით მაღლა აიწია. თავმდაბალმა, ყველაფერში ზომიერმა ფონ ლემბკემ იგრძნო, რომ პატივმოყვარეობა შეიძლება მასაც ჰქონოდა.

იუღია მიხაილოვნას ძველი ანგარიშით ორასამდე ყმა ჰყავდა. გარდა ამისა, პროტექციაც კაი მაგარი მოჰყვებოდა. მეორეს მხრივ, ფონ ლემბკე ლამაზი კაცი იყო, იუღია მიხაილოვნა კი უკვე ორმოცს გადაცილებული. საკვირველი ის იყო, რომ ლემბკეს ნელ-ნელა მართლაც შეუყვარდა ქალი. ჯვრისწერის დილას ლექსი გაუგზავნა. იუღია მიხაილოვნას დიახაც სიამოვნებას ჰგვრიდა ყოველივე ეს, ლექსიც კი მოეწონა. ორმოცი წელი ხუმრობა არ გახლავთ. მალე ფონ ლემბკემ გარკვეული ჩინი და გარკვეული ორდენიც მიიღო და ჩვენს გუბერნიაში დაინიშნა.

ჩვენთან ჩამობრძანებამდე იუღია მიხაილოვნამ ბევრი უჩიჩინა თავის მეუღლეს. მისი აზრით, ლემბკე უნიჭო კაცი არ იყო, იცოდა, როგორ შემოსულიყო და როგორ გამოეჩინა საზოგადოებაში თავი, ღრმააზროვანი ყურის დაგდება და დუმილი სჩვეოდა, ფრიად რიგიანი ქცევები და თავდაჭერაც ჰქონდა, სიტყვით გამოსვლაც შეეძლო, რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტი აზრებიც გააჩნდა, უახლესი და უცილობელი ლიბერალიზმითაც შეეძლო თავის გამოჩენა. მაგრამ იუღია მიხაილოვნა მაინც შფოთავდა, რაღაც ძალიან ნაკლებ ხალისს იჩენს, კარიერის ამდენი ძიების შემდეგ ახლა მოსვენებულ ცხოვრებას ნატრობსო. იუღია მიხაილოვნას უნდოდა თავისი პატივმოყვარეობა ჩაენერგა მისთვის. ის კი ადგა და კირხის წებვას შეუდგა; პასტორი საქადაგებლად გამოდიოდა, მლოცველებს გულზე დაეკრიფათ ხელები და სასოებით უსმენდნენ. ერთი ქალბატონი ცრემლს იწმენდა ცხვირსახოცით, ერთი ბერიკაცი ცხვირს იხოცავდა; დაბოლოს პატარა ორგანიც ჟღერდა, რომელიც საგანგებოდ შეუკვეთა და გამოიწერა შვეიცარიიდან ხარჯების მიუხედავად. იუღია მიხაილოვნამ

ეს რომ გაიგო, შეშინდა კიდეც, ნამუშევარი წაართვა და თავის უჯრაში ჩაკეტა. სამაგიეროდ, ნება მისცა რომანი დაეწერა, ისე რომ არავის შეეტყო. მას აქეთ დაეკარგა ქმრის იმედი და გადაწყვიტა მხოლოდ საკუთარ თავს დანდობოდა. საუბედუროდ, გვარიანი ჭკუამჩატეობა გამოიჩინა და ზომიერების გრძნობამაც უმტყუნა. ბედმა მეტისმეტად დიდხანს ამყოფა შინაბერად. იდეა იდეაზე მოედალა ამ პატივმოყვარე და ცოტა არ იყოს გამწარებულ ქალს. მოინდომა გუბერნიის მმართველ-გამგებელი ყოფილიყო, ოცნებობდა. ახლავე შემოეკრიბა ირგვლივ ხალხი, აერჩია გეზი, ერთი სიტყვით, თავისი ზრახვები ჰქონდა. ფონ ლემბკე დაფრთხა კიდეც, მაგრამ მოხელის ალღომ მალე უკარნახა, რომ გუბერნატორობა სულაც არ იყო ძნელი. პირველმა ორმა-სამმა თვემ ფრიად დამაკმაყოფილებლადაც ჩაიარა. მაგრამ ამასობაში ახალგაზრდა ვერხოვენსკი გამოეჩხირა და ყველაფერი უკუღმა დატრიალდა.

ყმაწვილი ვერხოვენსკი იმთავითვე უპატივცემულოდ მოეკიდა ანდრეი ანტონოვიჩს, როგორღაც დაჯახნა კიდეც იუღია მიხაილოვნა ხომ როგორ დაჰკანკალებდა მეუღლის სახელსა და პატივს, მაგრამ ამაზე კი განზრახ ხუჭავდა თვალს. ყოველ შემთხვევაში, არაფრად აგდებდა. ყმაწვილ კაცს ძალიან სწყალობდა. იგი ჭამდა, სვამდა და ლამის ეძინა მათთან. ფონ ლემბკემ თავის დაცვა მოინდომა, ხალხში „ყმაწვილო“, ეძახდა, მოწყალედაც უთათუნებდა მხარზე ხელს, მაგრამ არაფერმა გასჭრა: ვერხოვენსკი სერიოზული ლაპარაკის დროსაც თითქოს სულ დასცინოდა, საზოგადოებაში კი ისეთ რაღაცეებს ახლიდა პირში, კაცი სახტად რჩებოდა. ერთხელ შინ დაბრუნებულ ფონ ლემბკეს ყმაწვილი კაცი მის კაბინეტში დაუხვდა, უბოდიშოდ წამოგორებულიყო დივანზე და ეძინა. ასეც უთხრა, შინ რომ არ დამხვდით, დავწექი და ბარემ გამოვიძინეო. ფონ ლემბკემ იწყინა და კვლავ მეუღლეს მიაშურა საჩივლედად. მეუღლემ სასაცილოდ აიღო მისი ფხუვიანობა და გესლიანად დაუმატა, ეტყობა, თავი კარგად ვერ დაიყენე, რატომ ჩემთან ვერ ბედავს „ეს ბიჭი“ ასეთ უსაქციელობასო. რა ვუყოთ, ჯერ გულუბრყვილო და გაურყვნელი ყმაწვილია და საზოგადოების წესები არ იცისო. ფონ ლემბკე გაიფხორა და ცხვირი ჩამოუშვა, მაგრამ იუღია მიხაილოვნამ ამჯერად მაინც შეარიგა ისინი. ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ ბოდიშის მაგიერ რაღაც გაიხუმრა, ოღონდ ისე ტლანქად, სხვა დროს ალბათ ისევე შეურაცხყოფად ჩაუთვლიდნენ, მაგრამ ახლა მონანიებაში ჩამოართვეს. სამწუხაროდ, ანდრეი ანტონოვიჩმა თავიდანვე დიდი შეცდომა დაუშვა და თავისი რომანი აჩვენა. ეგონა, პოეტური სულის ყმაწვილიაო, თანაც მსმენელს დიდი ხანია ნატრობდა. ჰოდა, გაცნობის პირველსავე დღეებში ადგა და ერთ საღამოს ორი თავი წაუკითხა. ყმაწვილმა უსმინა, უსმინა, მოწყენა არ დაუმაღავს, უზრდელადაც დაამთქნარა, ერთხელაც არ შეაქო. წასვლისას კი თხოვა, შინ გამატანეთ, მოცლილობის ჟამს წავიკითხავ და ჩემს აზრს მოგახსენებთო. ანდრეი ანტონოვიჩმა მისცა. ის იყო და ის, ხელნაწერი აღარ დაუბრუნა, თუმცა ყოველდღე დაცუნცულელებდა მათთან. რომ შეეკითხებოდნენ, იცინოდა. ბოლოს განაცხადა, იმ დღესვე დამეკარგა ქუჩაშიო. იუღია მიხაილოვნამ ეს რომ გაიგო, საშინლად გაურისხდა თავის მეუღლეს.

- კირხაზეც ხომ არ გითქვამს? - შეშინდა ქალი.

ფონ ლემბკე ამ ამბებმა ფრიად ჩააფიქრა, ჩაფიქრება კი ექიმებისაგან აკრძალული ჰქონდა. გარდა იმისა, რომ გუბერნიაში ბევრი სადავიდარაზო საქმე გამოუჩნდა, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ - სხვა რამ აწუხებდა, თავმოყვარეობის გარდა სხვა რამ უკლავდა გულს. ცოლის შერთვას თუ ასეთი ოჯახური უსიამოვნება და ჩხუბი მოჰყვებოდა, ამას როგორ წარმოიდგენდა ანდრეი ანტონოვიჩი, როცა მინასა თუ

ერნესტინაზე ოცნებობდა. ანდრეი ანტონოვიჩმა იგრძნო, ოჯახურ კინკლაობას ვერ გავუძლებო. იულია მიხაილოვნა ბოლოს და ბოლოს გულახდილად მოელაპარაკა ქმარს.

- გულმოსვლა არ გეკადრება, სხვა რომ არაფერი, სამჯერ მასზე გონიერი ხარ და საზოგადოებაშიც მეტი წონა გაქვს. ხომ იცი, რა აზრებს მისდევდა წინათ და ჯერაც ვერ დაუღწევია თავი მათი გავლენისაგან. ვფიქრობ, ცელქობით უფრო მოსდის; ასე ერთბაშად ვერც გადააჩვევ, ნელ-ნელა უნდა ვიმოქმედოთ. ყმაწვილკაცობას მოფრთხილება უნდა. მეც დაყვავებით ვაჩერებ უფსკრულის პირას.

- ეშმაკმა იცის, რაებს არ ბედავს, - ჯავრობდა ფონ ლემბკე, - ტოლერანტულად [179] როგორ მოვუსმინო, როცა ჩემი თანდასწრებით ხალხში ამბობს, მთავრობა განზრახ ათრობს ხალხს არყით, რა არის პირუტყვად აქციოს, აჯანყებაზე აღარ იფიქროსო. ერთი ჩემი მდგომარეობაც წარმოიდგინე, ამისთანებს რომ ხალხში მეუბნება.

ფონ ლემბკეს მოაგონდა, რა ლაპარაკი ჰქონდა ყმაწვილ ვერხოვენსკისთან ამ ცოტა ხნის წინათ. ფონ ლემბკე თურმე ორმოცდაცხრამეტი წლიდან მოყოლებული საკუთარ, ინტიმურ კოლექციას აგროვებდა რუსული და საზღვარგარეთული პროკლამაციებისას. იმიტომ კი არა, ამისთანების მოყვარული იყო, უბრალოდ, მიზანშეწონილად მიაჩნდა მათი შეგროვება. ჰოდა, ყმაწვილი კაცი რომ თავის ლიბერალიზმით განეიარაღებინა, ადგა და ეს კოლექცია აჩვენა. ახალგაზრდა ვერხოვენსკი მიუხვდა ზრახვას და უხეშად მიახალა, ზოგიერთი პროკლამაციის ერთ სტრიქონში უფრო მეტი აზრია, ვინემ რომელიმე კანცელარიის მთელ საქმიანობაში, „გინდათ თქვენის ჩათვლით“.

ლემბკე შეიშმუშნა.

- მაგრამ ესენი ჩვენში ჯერ ნაადრევია, მეტისმეტად ნაადრევი, - უთხრა თითქმის ხვეწნით და პროკლამაციებზე მიუთითა.

- არა, ნაადრევი არ გახლავთ, რახან გემინიათ, მაშასადამე, ნაადრევი არ არის.

- აქ, მაგალითად, წერია, საყდრები დაანგრეთო.

- მერედა რა? ჭკვიანი კაცი ხართ და, რა თქმა უნდა, აღარც თქვენა გწამთ. თავადაც კარგად მოგეხსენებათ, რწმენა რომ ხალხის გასაპირუტყვებლად გინდათ. ტყუილის თქმას სიმართლე სჯობია!

- კი, ბატონო, კი, თანახმა ვარ, მაგრამ ჩვენში მაინც ნაადრევია, - იქმუხნებოდა ფონ ლემბკე.

- აბა სადაური მთავრობის კაცი ხართ, თუკი საყდრების დანგრევასა და პეტერბურგის კეტებით დარბევაზე თანხმდებით და მხოლოდ დრო მიგაჩნიათ სადავოდ?

ლემბკე ძალიან შეწუხდა, ასე უხეშად რომ გამოიჭირეს.

- ეგ მე არ მითქვამს, არა. ყმაწვილი კაცი ხართ, რაც მთავარია, ჩვენს მიზნებს არ იცნობთ და იმიტომ სცდებით. იცით, რას გეტყვით, ჩემო კარგო პიოტრ სტეპანოვიჩ, თქვენ ხომ მთავრობის მოხელეებს გვეძახით? გვეძახით. დამოუკიდებელ მოხელეებად გვთვლით? გვთვლით. მაგრამ მიზრძანეთ ერთი, როგორ ვიქცევით?

პასუხისმგებლობა ჩვენ გვაკისრია, საბოლოო ჯამში კი ჩვენს ისევე ვემსახურებით საერთო საქმეს, როგორც თქვენ. ჩვენ მხოლოდ იმას ვამაგრებთ, რასაც თქვენ ძირს უთხრით და რაც უჩვენოდ დაინგრეოდა: განა თქვენი მტრები ვართ, სულაც არა. ჩვენ მხოლოდ გეუბნებით: გაგვიძეხით, წინ წაიყვანეთ საქმე, დაანგრეთ კიდეც, რაც ძველი და დასანგრევია; მაგრამ, როცა საჭირო იქნება, აღვირს მოგქაჩავთ და თქვენვე გიხსნით, რამეთუ უჩვენოდ მხოლოდ შეანჯღრევთ რუსეთს და წესიერ სახეს დაუკარგავთ. ჩვენს ამოცანას კი ის შეადგენს, წესიერი სახე შევუნარჩუნოთ. შეიგნეთ, რომ ჩვენ და თქვენ ერთმანეთისთვის აუცილებელნი ვართ, ისე როგორც ინგლისში თორები და ვიგები; დიახ, ჩვენ თორები ვართ, თქვენ - ვიგები, სწორედ ასე მიმაჩნია მეც.

ანდრეი ანტონოვიჩი პათოსით ლაპარაკობდა. ჭკვიანური და ლიბერალური საუბრის ტრფიალი ჯერ კიდეც პეტერბურგში დასჩემდა. თანაც უცხო არავინ უგდებდა ყურს. ახალგაზრდა ვერხოვენსკი დუმდა და უჩვეულო სიდინჯითაც ეჭირა თავი. ამან უფრო მეტი ცეცხლი შეუნთო ორატორს.

- იცით, რას გეტყვით, მე აქ „გუბერნიის ბატონ-პატრონი“ ვარ და უამრავი მოვალეობა მაკისრია. მაგრამ ვერც ერთი ვერ შემისრულებია. მეორე მხრივ, ისიც მართალია, რომ მე აქ არაფერი საქმე არ მაქვს. მთელი საიდუმლოება ის გახლავთ, რომ ყველაფერი მთავრობის თვალსაზრისზეა დამოკიდებული. დაარსოს მთავრობამ რესპუბლიკა, თუ პოლიტიკა მოითხოვს ამას ანდა ხალხის დასაშოშმინებლად არის საჭირო, მაგრამ ამასთან, პარალელურად, გუბერნატორის ძალაუფლებაც გაზარდოს და ჩვენ, გუბერნატორები, რესპუბლიკას ჩავნთქავთ; თუმცა რესპუბლიკას კი არადა, ყველაფერს ჩავნთქავთ; ყოველ შემთხვევაში, მე მზად ვარ ამისთვის... ერთი სიტყვით, თუ მთავრობამ მიბრძანა ტელეგრაფით *activite devorante*[180], მეც *activite devorante*-ს გავაჩაღებ. ასეც გამოვაცხადე აქა: „მოწყალეო ბატონებო, საგუბერნიო დაწესებულებათა გაწონასწორებისა და აყვავებისათვის საჭირო გახლავთ ერთი რამ და ეს ერთი გუბერნატორის ძალაუფლების გაძლიერებაა-მეთქი“. ხედავთ, ყველა ეს დაწესებულებანი - საეროებო იქნება თუ სასამართლოსი - ასე ვთქვათ, გაორებული ცხოვრებით უნდა ცხოვრობდნენ, ანუ საჭიროა, რომ ისინი არსებობდნენ (მე თანახმა ვარ, რომ საჭიროა), მაგრამ მთავრობის თვალსაზრისსა და ნება-სურვილზე. თუ საჭირო იქნებოდა ეს დაწესებულებანი, უმაღლ გამოვაჩენ. აღარ იქნება საჭირო და ვერც ვერავინ აღმომიჩენს. აი, როგორ მესმის მე *activite devorante*. ეს კი გუბერნატორის ძალაუფლების გაძლიერების გარეშე შეუძლებელი გახლავთ. მე და თქვენ ახლა პირისპირ ვლაპარაკობთ. იცით, მე უკვე შევთვალე პეტერბურგში, გუბერნატორის სახლს სადარბაზოსთან საგანგებო გუმაგი სჭირია-მეთქი. პასუხს ველი.

- ერთი კი არა ორი გჭირიათ.

- ორი რატომ? - წინ გაუჩერდა ფონ ლემბკე; - ერთი არ გეყოფათ პატივის მოსახვეჭად. უთუოდ ორია საჭირო.

ანდრეი ანტონოვიჩს სახე დაუგრძელდა.

- მიკვირს პირდაპირ, რაებს ბედავთ, პიოტრ სტეპანოვიჩ. ჩემი გულკეთილობის იმედი გაქვთ და იმიტომ იკბინებით ასე მწარედ. რაღაც *bourru bienfaisant*[181]-დ მოგაქვთ თავი...

- რაც გნებავთ ის იფიქრეთ. მაგრამ გზას კი თქვენ გვიკაფავთ და გამარჯვებისთვის ნიადაგს გვიმზადებთ, - წაილაპარაკა ვერხოვენსკიმ.

- ვისზე ამბობთ და რა გამარჯვებაზე ამბობთ? - მიაშტერდა ფონ ლემბკე, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

იულია მიხაილოვნა ერთობ უკმაყოფილო დარჩა, ამ საუბრის ანგარიში რომ ჩააბარეს.

- აბა რა ვქნა, შენ თავზე ხელი უსვა და მე აგდებით ველაპარაკო, ისიც პირისპირ, როგორ იქნება... - თავს იმართლებდა ფონ ლემბკე, - თუკი ჩემი კეთილი გულით რამე წამომცდა...

- მეტიმეტი კეთილი გულიც არ ვარგა. ეგ არ ვიცოდი, პროკლამაციების კოლექცია რომ გქონდა. თუ შეიძლება მაჩვენე.

- მითხრა... ერთი დღით მათხოვეთო...

- და თქვენ ეგეც ათხოვეთ! - გაჯავრდა იულია მიხაილოვნა. - რა უტაქტო ხართ მართლა და მართლა!

- ახლავე კაცს გავუგზავნი და გამოვართმევ.

- არ მოგცემთ.

ფონ ლემბკე ისე აპილპილდა, ზეზეც წამოხტა.

- ნეტა ვინ მიგდია, მისი მეშინოდეს და ვერაფერი გავუბედო?

- დაჯექით და დაწყნარდით, - შეაჩერა იულია მიხაილოვნამ. - მე გეტყვით მაგ პირველი კითხვის პასუხს: ეგ მე შესანიშნავი რეკომენდაციებით წარმომიდგინეს, ნიჭიერი კაცია და ზოგჯერ ძალიან ჭკვიანურად ლაპარაკობს. კარმაზინოვი მარწმუნებს, თითქმის ყველგან ჰყავს ნაცნობები და დიდზე დიდი გავლენა აქვს პეტერბურგის ახალგაზრდობაზეო. უკეთუ მე მისი მეშვეობით ყველა ეგ ხალხი გარს შემოვიკრიბე, ამით დალუპვას ავაცდენ და მათ პატივმოყვარეობას ახალ გეზს მივცემ. ეგ კი ჩემი ერთგულია სულით ხორცამდე და ყველაფერს მიჯერებს.

- სანამ ჩვენ მაგათ თავზე ხელს ვუსვამთ, ეშმაკმა იცის... რას არ მოიმოქმედებენ. რა თქმა უნდა, ეგ კარგი აზრია... თუმცა ყური მოვკარი... - ის მაზრაში ისევ პროკლამაციები დაუყრიათო, - უმწეოდ თავს იცავდა ფონ ლემბკე.

- ეგ ხმა ჯერ ზაფხულში გაავრცელეს, პროკლამაციები, ყალბი ფული და რაღაც უბედურება ნახესო. მაგრამ აქამდე ერთიც ვერ აღმოაჩინეს. ვინ გითხრათ?

- ფონ ბლიუმმა მითხრა.

- ოჰ, მომაცილეთ ეგ თქვენი ბლიუმი და მეორედ აღარ მიხსენოთ!

იულია მიხაილოვნა ისე გაცეცხლდა, წუთით ხმაც კი ჩაუწყდა. ფონ ბლიუმი გუბერნატორის კანცელარიის მოხელე იყო იულია მიხაილოვნას ჭირივით სძულდა. თუმცა ამაზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

- ვერხოვენსკის დარდი ნუ გექნება, გენაცვა, - დაასკვნა ქალმა. - მაგ ოინების მონაწილე რომ იყოს, ისე აღარ ილაპარაკებს, როგორც შენ თუ სხვებს გელაპარაკებათ. ყბედები საშიში არ არიან. იმასაც ვიტყვი, თუ რამე მოხდა, პირველი მაგისაგან შევიტყობ. ეგ სულით ხორცამდე ჩემი ერთგულია, დიახ, სულით ხორცამდე.

ზარემ აქვე შევნიშნავ, იულია მიხაილოვნას ეს თავდაჯერება და პატივმოყვარეობა რომ არა, იქნებ აღარც ასეთი ამბები დაეტრიალებინათ ამ უგვან ხალხს ჩვენში. ბევრში ის მართლაც დამნაშავე გახლავთ!

თავი მეხუთე. ზეიმის წინ

I

ეს უკვე მერამდენედ დაინიშნა და გადაიდო იმ ზეიმის დღე, რომელსაც ჩვენი გუბერნიის გუბერნანტ ქალთა სასარგებლოდ აწყობდა ხელმომწერით იულია მიხაილოვნა. გუბერნატორის მეუღლეს იმ დღეებში გვერდიდან არ მოსცილებია ახალგაზრდა ვერხოვენსკი. მისი დავალებებით დარბოდა პატარა მოხელე ლიამმინი, ერთ დროს სტეპან ტროფიმოვიჩის ხშირი სტუმარი და ამჟამად ფორტეპიანოზე ოსტატური დაკვრისათვის გუბერნატორის სახლში მიღებული. იქ ტრიალებდა ლიპუტინიც, რომელსაც იულია მიხაილოვნა გუბერნიის მომავალი დამოუკიდებელი გაზეთის რედაქტორობას უპირებდა; კიდევ რამდენიმე გათხოვილი თუ გასათხოვარი ქალი და ბოლოს კარმაზინოვის, რომელიც სხვებივით არ ფაციფუცობდა, მაგრამ ხმამაღლა კი აცხადებდა კმაყოფილი სახით, ლიტერატურის კადრილის დაწყებისას ყველას გავაოცებო. ხელმომწერი და შემწირველი აუარება გამოჩნდა, თითქმის მთელი რჩეული საზოგადოება; მაგრამ არა რჩეულთაც ეძლეოდათ დასწრების უფლება. თუკი ფულს ჩამოვიდოდნენ. იულია მიხაილოვნას თქმით, საზოგადოების ფენების აღრევა ზოგჯერ დასაშვებაც იყო, „თორემ აბა ისე ვინ გაანათლებთ მათ?“ ჩამოყალიბდა შინაური კომიტეტი, სადაც გადაწყდა, ზეიმი დემოკრატიული უნდა გამოვიდესო. ხელმომწერთა ასეთმა მოზღვავებამ დიდი მადაც აღძრა; უნდოდათ გასაოცარი რაღაც მოეწყობოთ და ამიტომაც გაუთავებლივ სდებდნენ ზეიმის დღეს. ჯერ ვერ გადაეწყვიტათ, სად გაემართათ საღამოს მეჯლისი: სახლში თუ ვარვარა პეტროვნასთან სკვორემნიკში? სკვორემნიკი საკმაოდ შორს იყო, მაგრამ კომიტეტიდან ბევრს დაეჭინებინა, იქ უფრო მეტი „ხალვათობა“ იქნებაო. ვარვარა პეტროვნას ძალიან უნდოდა მის სახლში გაემართათ. საკვირველი იყო, ასე რად ელაქუცებოდა ეს ამაყი ქალი იულია მიხაილოვნას. ალბათ ის თუ მოსწონდა, იულია მიხაილოვნაც რომ მისდათავად ლამის ფეხქვეშ გაგებოდა ნიკოლაი სტავროგინს და ისე ევლებოდა თავს, როგორც არავის. კიდევ გავიმეორებ: ახალგაზრდა ვერხოვენსკი მთელი ეს ხანი კვლავ განაგრძობდა გუბერნატორის სახლში ჩუმ-ჩუმად ერთხელვე გავრცელებული აზრის დანერგვას, სტავროგინს საიდუმლო კავშირი აქვს საიდუმლო წრესთან და აქ რაღაც დავალებით არის ჩამოსულიო.

უცნაურ ჭკუაზე კი დადგნენ მაშინ ყველანი. მეტადრე ქალთა საზოგადოებას ემჩნეოდა რაღაც მეტისმეტი ამჩატება; კაცმა არ იცის, რა ქარმა მოიტანა ეს

განწყობილება და ასე რამ გაათამამა ყველანი. რაღაც დარდიმანდული, მხიარული ხანა დადგა, თუმცა ყოველთვის სასიამოვნო-მეთქი, ვერ ვიტყვი. მოდაში შემოვიდა ერთგვარი აღრეულობა გონებისა. თუმცა ბოლოს მაინც იუღია მიხაილოვნას, მის წრესა და გავლენას დაბრალდა ყველაფერი. მაგრამ არა მგონია ყველაფერი მარტო იუღია მიხაილოვნას ბრალი ყოფილიყო. პირიქით, თავდაპირველად ყველანი ერთმანეთს ეცილებოდნენ ახალი გუბერნატორის მეუღლის ქება-დიდებაში, საზოგადოება გააერთიანა და გაამხიარულაო. რამდენიმე სასკანდალო ამბავიც მოხდა, რომელშიც იუღია მიხაილოვნა სულაც არ ერია; მაგრამ მაშინ ყველა მხოლოდ იცინოდა და სეირს უყურებდა, დამშლელი კი არავინ იყო. მართალია, საზოგადოების ერთ ნაწილს განზე ეჭირა თავი, მაშინდელ საქმეებს სხვა თვალთა უყურებდა, მაგრამ ბუზღუნით არც ისინი ბუზღუნებდნენ; ილიმბოდნენ კიდეც.

მახსოვს, იმხანად როგორღაც თავისთავად ჩამოყალიბდა საკმაოდ დიდი წრე, რომლის ცენტრი მართლაც იუღია მიხაილოვნას სასტუმრო იყო. ამ ვიწრო წრის ყმაწვილთა შორის წესადაც დადგინდა და არც არავინ უშლიდათ შიგადაშიგ საკმაოდ თავგასული ოინები ჩაედინათ. იმ წრეში რამდენიმე ფრიად ტურფა ქალბატონიც ერია. ყმაწვილკაცობა აწყობდა პიკნიკებს, საღამოებს, ხანდახან ცხენებით თუ ეტლებით დასეირნობდნენ ქალაქში. ემებდნენ ფათერაკებს, ზოგჯერ თვითონვე იგონებდნენ და თხზავდნენ, რა არის მხიარული ანეკდოტი გამოსვლოდათ. ჩვენს ქალაქს ასე აბუჩად იგდებდნენ, თითქოს ერთი რომელიღაც ქალაქი გლუპოვო ყოფილიყო. ამ ყმაწვილებს გამქირდავებსა და გამკილავეებს ემახდნენ, ვინაიდან არაფერს თაკილობდნენ. აი, მაგალითად, ერთ აქაურ პორუჩიკს ახალგაზრდა მოხდენილი ცოლი ჰყავდა, გაჭირვებისაგან დაბეჩავებული და დაგლახავებული. ჰოდა, ერთ საღამოზე ეს ახალგაზრდა ქალი ცერცეტულად ჩაუჯდა ბანქოს, იმ იმედით, მოსასხამის ფულს მაინც მოვიგებო. მაგრამ ამის მაგივრად თხუთმეტი მანეთი წააგო. რაკი არც ფული ჰქონდა გადასახდელი ქმრისაც ძალიან ეშინოდა, ყმაწვილმა ქალმა გაიხსენა ძველი სითამამე და გადაწყვიტა იქვე ჩუმად დასესხებოდა ფულს ჩვენი ქალაქის თავის სამაგელ და წლებთან შედარებით ნაადრევად გათახსირებულ ვაჟს. იმან არათუ უარი უთხრა, ხარხარით მიადგა მის ქმარს და ეს ამბავი ხმამაღლა ამცნო. პორუჩიკს მართლაც ძალიან უჭირდა, ჯამაგირის მეტი სხვა შემოსავალი არ გააჩნდა. ჰოდა, მიიყვანა ცოლი შინ და გოდებისა და დაჩოქილი ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, მის ობტში ამოვიდა. ამ აღმამფოთებელმა ამბავმა მარტო სიცილი გამოიწვია ქალაქში. პორუჩიკის საბრალო ცოლი იუღია მიხაილოვნას წრეს არ ეკუთვნოდა. მაგრამ ამ „კავალკადის“ ერთ-ერთი ქალბატონი, ექსცენტრიული და თამამი არსება თურმე იცნობდა. ერთხელაც შეუარა, უბოდიშოდ დაავლო ხელი და თავისთან წაიყვანა სტუმრად. იქ ხელად დაეხვივნენ ჩვენი ოინბაზები, მოეფერნენ, საჩუქრებით აავსეს და ოთხი დღე ქმართან არ გამოუშვეს. ქალი იმ თამამი ქალბატონის სახლში ცხოვრობდა, მთელი დღე დასეირნობდა ამ დაუდეგარ საზოგადოებასთან ერთად ქალაქში, ერთობოდა და ცეკვავდა საღამოებზე. ყველანი ჩასჩიჩინებდნენ, ქმარს უჩივლეს და საქმე აღძარიო. არწმუნებდნენ, ჩვენ ამოგიდგებით მხარში, მოწმეებად წამოგყვებითო. ქმარს შიშით ხმა ვერ ამოვლო. როდის-როდის მიხვდა საცოდავი ქალი, რა ხათაბალაში ჩაიგდო თავი, შიშისაგან ცოცხალმკვდარი მეოთხე დღეს, ბინდისას, გაექცა თავის მფარველებს და ისევ პორუჩიკს მიადგა. დანამდვილებით არავინ იცის, რა მოხდა ცოლ-ქმარს შორის, მაგრამ ხის დაბალ სახლში, სადაც პორუჩიკი იდგა ბინად, ორი კვირა არ გაღებულა ორი დარაბა. იუღია მიხაილოვნა ამ ამბის გაგებისას დიდად განურისხდა ოინბაზებს

და თამამი ქალბატონის საქციელით ფრიად უკმაყოფილო დარჩა. თუმცა იმ ქალბატონმა პორუჩიკის ცოლი მოტაცების პირველსავე დღეს წარუდგინა. ასეა თუ ისე, ეს ამბავი ყველას მალე მიავიწყდა.

შემდეგ ერთ წვრილფეხა მოხელეს, დარბაისელი ოჯახის პატრონს მეორე მაზრიდან ჩამოსულმა ასევე წვრილფეხა ყმაწვილმა მოხელემ სთხოვა ქალაქში სიტურფით განთქმული მისი ჩვიდმეტი წლის გოგონა ცოლად გაეტანებინა. მაგრამ უცბად ხმა გამოვიდა, ქორწინების პირველ დამეს ახალგაზრდა ქმარი ფრიად უდიერად მოეპყრა ტურფა გოგონას და შური იძია მისი შეგინებული ღირსებისათვისო. ლამის უთენია შემოურბინა ყველას ამ მხიარული ამბის საუწყებლად ლიამშინმა, რომელიც ისე დათვრა თურმე ქორწილში, ღამე იქ გაუთევია და ამ ამბის თითქმის მოწმე ყოფილა. თვალის დახამხამებაში მოიყარა თავი ათიოდე კაცმა და ცხენებზე შესხდნენ. ზოგმა დაქირავებული კაზაკური ცხენებიც მოაყვანინა, როგორც, მაგალითად, ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ და ლიპუტინმა. ეს ჭადარა კაცი ჩვენი თავქარიანი ახალგაზრდობის თითქმის ყველა ამ სასკანდალო შემთხვევების მონაწილე იყო. როცა ნეფე-დედოფლის ორცხენა დროშკა ქუჩაში გამოგრიალდა ადათის მიხედვით ჯვრისწერის მეორე დღეს ვიზიტებზე ჩამოსასვლელად, კავალკადა მხიარული ყიჟინით შემოეხვია დროშკას და მთელი დილა ქალაქში დაჰყვებოდა. ოღონდ ოჯახებში არ შეჰყოლიან და გარეთ, ჭიშკართან უცდიდნენ. არც ნეფე-დედოფლისთვის მიუყენებიათ შეურაცხყოფა. მაგრამ მითქმა-მოთქმა მაინც დიდი გამოიწვია. მთელი ქალაქი ამაზე ალაპარაკდა. რა თქმა უნდა, ყველა ხარხარებდა. ახლა კი მართლა განრისხდა ფონ ლემბკე და იულია მიხაილოვნას კვლავ ერთი ამბავი დააწია. იულია მიხაილოვნაც ძალიან გაჯავრდა და დააპირა ოინბაზეები შინ აღარ შემოეშვა, მაგრამ მეორე დღესვე აპატია ყველას. ახალგაზრდა ვერხოვენსკის გადაეთქმევინებინა, ერთი ორი სიტყვა შეეწია კარმაზინოვსაც, რომელსაც საკმაოდ მოსწრებულად ჩაეთვალა ეს „ოინი“.

- აქ ასე სჩვევიათ, - უთხრა თურმე, - ყოველ შემთხვევაში, დამახასიათებელი და... გაბედულიც გახლავთ; აბა უყურეთ, ყველა იცინის, მარტო თქვენ ერთი ბრაზობთ.

მაგრამ ზოგი ოინი უკვე აუტანელი იყო და სხვა ელფერიც დაჰკრავდა.

ქალაქში გამოჩნდა წიგნების დამტარებელი, კერძოდ კი სახარების გამყიდველი ერთი დარბაისელი, თუმცაღა წარმოშობით მდაბიო ქალი. წიგნების დამტარებლებზე იმხანად საინტერესო წერილები გამოქვეყნდა სატახტო ქალაქის გაზეთებში და ამიტომ ყველა ამ ქალზე ალაპარაკდა. თაღლითმა ლიამშინმა სკოლაში მასწავლებლის ადგილის მოლოდინში უქმად მოხეტიალე ერთი სემინარიელის დახმარებით წიგნის დამტარებელ ქალს, ვითომც წიგნის ყიდვის მიზნით, უჩუმრად ჩაუდო ტომარაში ბილწი საზღვარგარეთული სურათების მთელი დასტა. როგორც შემდეგში გაირკვა, ეს სურათები განზრახ ამ საქმისთვის შემოეწირა ერთ ფრიად დარბაისელ, ორდენიან ბერიკაცს, რომლის გვარს აქ არ დავასახელებ და რომელსაც, მისივე თქმით, „ჯანსაღი სიცილი და მხიარული ოინები“ ჰყვარებია. როცა საწყალ ქალს ქარვასლასთან ეს წმინდა წიგნები ამოუღია, სურათებიც ამოცვენილა. ამტყდარა ერთი ჩოჩქოლი, სიცილი; შექუჩულ ხალხში აქა-იქ ლანძღვა გაისმა. პოლიციას რომ არ მოესწრო, ვინ იცის, ცემა ტყეპამდეც მისულიყო საქმე. წიგნის დამტარებელი საპყრობილეში ჩასვეს. მხოლოდ სადამოს გაათავისუფლეს მავრიკი ნიკოლაევიჩის შუამდგომლობით, რომელსაც ეს საზიზღარი ამბავი შეეტყო. ქალი ქალაქიდან გააძევეს. იულია მიხაილოვნამ გადაწყვიტა ლიამშინი ახლოს აღარ გაეკარებინა.

მაგრამ იმავ საღამოს ჩვენები ყველანი ეწვივნენ, ლიამზინიც მიუყვანეს და სთხოვეს, ფორტეპიანოზე რაღაც ახალი გამოიგონა და მოუსმინეთო. ეს მართლაც ფრიად თავშესაქცევი გამოდგა, სათაურიც სასაცილო ჰქონდა: „საფრანგეთ-პრუსიის ომი“ [182]. იწყებოდა „მარსელიოზის“ მრისხანე ჰანგით: Qu'un sang impur abreuve nos sillons! [183]

ჟღერდა ამაყი გამოწვევა, მომავალ გამარჯვებათა რწმენა და აღტაცება. უეცრად ჰიმნის ოსტატურად ვარირებულ ხმებში სადღაც ბოლოდან, შეპარვით, მაგრამ ძალიან ახლოს „Mein lieber Augustin“ [184]-ის ბიწიერი ხმა ჩაერთო. „მარსელიოზა“ ამას ვერ ამჩნევს, მარსელიოზა“ თავისი სიდიადის მწვერვალზე ცურავს განცხრომით: მაგრამ „Augustin“-ი თანდათან მძლავრობს, „Augustin“-ი თანდათან კადნიერდება და აგერ მისი ტაქტი უკვე „მარსელიოზას“ ტაქტს ემთხვევა. „მარსელიოზას“ ცოტა არ იყოს გული მოდის; ამჩნევს უკვე „Augustin“-ს, უნდა განდევნოს, მოიშოროს აბეზარი ბუზივით, მაგრამ „Mein lieber Augustin“-ი უკვე კალთაში ჩააფრინდა, მხიარულად და უტიფრად ჟღერს. „მარსელიოზაც“ რაღაც უეცრივ ლენჩდება. ველარ ძალავს თავის სიბრაზესა და წყენას: ეს არის უკვე აღშფოთებული გოდება, ტირილი და ფიცილი განგებისაკენ ხელაპყრობით: Pas un pouce de notre terrain, pas une pierre de nos forteresses! [185]

მაგრამ უკვე იძულებულია „Mein lieber Augustin“-ს შეუწყოს ხმა. მისი ჰანგი სულელურად გადადის „Augustin“-ის ჰანგში, ნებდება და ქრება. მხოლოდ შიგადაშიგ თუ ისევ აღიმაღლებს ხმას „qu'un sang impur..“ და მყისვე სამარცხვინოდ გადახტება იმ საზიზღარ ვალსზე. „მარსელიოზა“ საბოლოოდ მორჩილდება ბედს: ეს გახლავთ ბისმარკის მკერდზე აქვითინებული ჟიულ ფავრი, რომელმაც ყველაფერი, ყველაფერი დასთმო... მაგრამ ახლა უკვე „Augustin“-იც მძვინვარებს: ისმის ჩახრინწული ბგერები, იგრძნობა უხვად ნაყლურწი ლუდი, გაშმაგებული კვებნა-ბაქიობა, მილიარდების, კარგი სიგარების, შამპანურისა და მძევლების მოთხოვნა; „Augustin“-ი გამაყრუებლად ღრიალებს. საფრანგეთ-პრუსიის ომი მთავრდება. ჩვენები ტაშს უკრავენ. იულია მიხაილოვნა ღიმილით ამბობს: რა ვქნა, როგორ გავაგდოო და ზავიც შეიკრა. მართლა კი ჰქონდა რაღაც ნიჭი იმ არამზადას. სტეპან ტროფიმოვიჩი ერთხელ მიმტკიცებდა, დიდი ნიჭის ადამიანი დიდი არამზადაც შეიძლება იყოს, ერთი მეორეს არ გამორიცხავსო. შემდეგ ხმა გამოვიდა, ეს პიესა ლიამზინმა ერთ თავის ნაცნობს მოჰპარაო, ნიჭიერსა და მორიდებულ ყმაწვილს, რომელსაც ჩვენს ქალაქში გზად გამოველო და მისი ვინაობა დღესაც არავინ იცოდა. მაგრამ ეს იქით იყოს. ის არამზადა ლიამზინი რამდენიმე წელი სტეპან ტროფიმოვიჩთანაც დაძვრებოდა, მის საღამოებზე ხან ურიკრიკებს, ხან ყრუანჩელა დედაბრის აღსარებასა თუ ბავშვის დაბადებას წარმოადგენდა. ახლა კი იულია მიხაილოვნასთან ზოგჯერ თვით სტეპან ტროფიმოვიჩსაც ასახიერებდა ხოლმე „ორმოციანი წლების ლიბერალის“ სახით და ხალხს სიცილით ხოცავდა. ჰოდა, იმდენად საჭირო კაცი შეიქნა, მისი გაგდება არაფრით აღარ შეიძლებოდა. თანაც ახალგაზრდა ვერხოვენსკის ყურმოჭრილ ყმად იქცა, რომელმაც თავის მხრივ ამ ხანებში უკვე საკვირველად დიდი გავლენა მოიხვეჭა იულია მიხაილოვნაზე...

ამ არამზადას არც ვახსენებდი, იმხანად ერთი აღმაშფოთებელი ამბავი არ მომხდარიყო და, როგორც სხვები ირწმუნებოდნენ, ისიც არ ყოფილიყო ამაში გარეული. ამ ამბავს კი ჩემს ქრონიკაში გვერდს ვერ ავუვლი.

ერთ დილას მთელ ქალაქს მოედო ხმა მეტად უდიერ საქციელზე. ჩვენი ვეებერთელა ბაზრის მოედნის შესავალში ღვთისმშობლის ძველი საყდარი იდგა, ჩვენი ძველისძველი ქალაქის შესანიშნავი სიძველის ძეგლი. გალავნის კარიბჭესთან, კედელში, რკინის გისოსიან ჩარჩოში ოდითგანვე ღვთისმშობლის დიდი ხატი ესვენა. ერთ ღამეს ეს ხატი გაძარცვეს, სახატის შუშა ჩალეწეს და ხატს რამდენიმე თვალმარგალიტი ააცალეს, არ ვიცი, ძალიან ძვირფასი თუ არა. მაგრამ რაც მთავარია, ხატი გაძარცვის გარდა შებილწეს კიდევ. როგორც ამბობდნენ, ხატის ჩალეწილი შუშის უკან დილით ცოცხალი თაგვი იპოვესო. ახლა, ოთხი თვის შემდეგ, უკვე დასტურ ცნობილია, ეს ბოროტება ფედკა კატორღელმა რომ ჩაიდინა მაგრამ ამ ამბავს რატომღაც ლიამშინსაც უკავშირებენ. მაშინ ლიამშინზე ეჭვი არავის მიუტანია, ახლა კი ყველა იმას გაიძახის, თაგვი მაგან შეაგდოო. მახსოვს, ჩვენი მთავრობა დაიბნა კიდევ. გალავანთან დილიდანვე ირეოდა ხალხი. ერთნი რომ მიდიოდნენ, მეორენი მოდიოდნენ. მოსულნი პირჯვარს იწერდნენ და ხატს ემთხვეოდნენ. საიდანღაც საეკლესიო ლანგარი გაჩნდა, ლანგართან ბერი დადგა და ხალხი ზედ შესაწირავს ყრიდა. მხოლოდ ნაშუადღევს სამ საათზე მოისაზრა მთავრობამ, ხალხს შეიძლება ებრძანოს მივიდეს, პირჯვარი დაიწეროს, ემთხვიოს, შესაწირავი გაიღოს და გაიაროსო. ამ უბედურმა შემთხვევამ საშინლად იმოქმედა ფონ ლემბკეზე. როგორც გადმომცეს, იულია მიხაილოვნას ეთქვა მერე, რომ იმ უკუღმართ დღიდან შეემჩნია ქმრისათვის ის უცნაური მჭმუნვარება და დაღონება, რაც ჩვენი ქალაქიდან წასვლამდე არ მოშორებია. იგი ორი თვის წინ გაემგზავრა თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის შემდეგ შვეიცარიაში დასასვენებლად და, მგონი, ეს მჭმუნვარება დღემდე არ გადაჰყრია.

მახსოვს, ნაშუადღევს პირველ საათზე შევიარე მაშინ მოედანზე; ბრბო მდუმარედ იდგა, ყველა კუმტად იყურებოდა. ერთი ჩასუქებული და სახეგაყვითლებული ვაჭარი მოვიდა დროშკით, ჩამოვიდა, მდაბლად სცა თაყვანი ხატს, ემთხვია, მანეთი შეწირა, კრუსუნით აძვრა ისევ დროშკაზე და წავიდა. შემდეგ ერთი ეტლიც მოგრიალდა, შიგ ჩვენი ორი ქალბატონი იჯდა ორი ჩვენი ოინბაზის თანხლებით. ყმაწვილკაცები (თუმცა ერთი სულაც არ გახლდათ ყმაწვილი) გადმოვიდნენ ეტლიდან, საკმაოდ უბოდიშოდ გაიკვლიეს გზა ხალხში და ხატთან მივიდნენ. ქუდი არც ერთს არ მოუხდია, ერთმა პენსნეც კი მოიმარჯვა. ხალხში უკმაყოფილო დრტვინვა შეიქნა. პენსნეიანმა ვაჭბატონმა ფულით გაჭედილი პორტმონე ამოიღო და სპილენძის კაპიკიანი დააგდო ლანგარზე. მერე სიცილით და ლაპარაკ-ლაპარაკით გატრიალდნენ ეტლისკენ. ერთბაშად მავრიკი ნიკოლაევიჩის თანხლებით ლიზავეტა ნიკოლაევნამ მოაჭენა ცხენი, ლიზავეტა ნიკოლაევნა დაქვეითდა, აღვირი თავის მხლებელს დაუტოვა - მავრიკი ნიკოლაევიჩი მისი ბრძანებით ცხენზე დარჩა - და სწორედ იმ წუთს მიუახლოვდა ხატს, როცა ლანგარზე კაპიკი დააგდეს. ლიზავეტა ნიკოლაევნას სახეზე აღშფოთების აღმური მოედო. მსწრაფლ მოიხადა მრგვალი ქუდი, წაიძრო ხელთათმანები, ხატის წინ, იმ ჭუჭყიან ტროტუარზე მუხლებით დაეცა და სამჯერ მდაბლად სცა თაყვანი. შემდეგ საფულე ამოიღო, მაგრამ საფულეში მხოლოდ რამდენიმე აბაზიანი აღმოაჩნდა. მაშინ ბრილიანტის საყურეები მოიხსნა, ლანგარზე დადო და აღელვებით ჰკითხა ბერს: - შეიძლება მივართვა ხატს მოსართავად?

- აკრძალული არ არის. შენაწირი ყოველი კურთხეულია.

ხალხი ჩუმად იდგა, ხმა არავის ამოუღია. ლიზავეტა ნიკოლაევნა იმ თავისი გატალახიანებული კაბით ცხენზე შეჯდა და გაქუსლა.

II

ორი დღის შემდეგ ლიზავეტა ნიკოლაევნა ქუჩაში ვნახე, მრავალრიცხოვანი საზოგადოების თანხლებით სადღაც მიემგზავრებოდა. სამ ეტლს ცხენოსნების ამაღაც ახლდა ლიზავეტა ნიკოლაევნამ მიმიხმო, ეტლი გააჩერებინა და დამიჟინა, უნდა წამოგყვითო. ეტლში ჩემთვისაც აღმოჩნდა ადგილი. მორთულ-მოკაზმულ მანდილოსნებს სიცილით წარუდგინა ჩემი თავი. მე კი ამიხსნა, ძალზე საინტერესო ექსპედიციას ვაპირებთო. სულ კისკისებდა და მეტისმეტად ბედნიერი ჩანდა. ამ ბოლო ხანს რაღაც გიჟმაჟური სიმხიარულე დასჩემებოდა. მგზავრობა მართლაც ექსცენტრიული განეზრახათ. გაღმა მხარეს, ვაჭარ სევასტიანოვის სახლში მიდიოდნენ, რომლის ფლიგელში ეს ათი წელია უზრუნველად ცხოვრობდა არა მარტო ჩვენში, ახლომახლო გუბერნიებსა და სატახტო ქალაქებშიც კარგად ცნობილი ნეტარი ქადაგი სემიონ იაკოვლევიჩი[186]. ქვეყნის ხალხი დადიოდა მასთან, მეტადრე ჩამოსულები. მივიდოდნენ, თაყვანს სცემდნენ, შესაწირავს დაუტოვებდნენ და მის ნაქადაგევს განგებასავით ელოდნენ. შენაწირი შიგადაშიგ საკმაოდ დიდი თანხა გამოდიოდა. თუ სემიონ იაკოვლევიჩი იქვე თადარიგს არ დაიჭერდა, შემოსავალი მაშინვე ეკლესიას ეგზავნებოდა, მეტწილად ჩვენი ღვთისმშობლის მონასტერს. მონასტრიდან საამისოდ მუდამ ერთი ბერი მორიგეობდა სემიონ იაკოვლევიჩის კარზე. მთელი საზოგადოება დიდ მხიარულებას გამოელოდა ამ მგზავრობიდან. ეს ქადაგი არავის ენახა ჯერ. მხოლოდ ლიამშინი ყოფილიყო ერთხელ და ახლა ირწმუნებოდა, სემიონ იაკოვლევიჩმა ჩემზე უბრძანა, ცოცხით იფრინეთ აქედან და მისდათავად ორი დიდი მოხარშული კარტოფილი მომაყოლა ზურგშიო. ცხენოსანთა შორის ახალგაზრდა ვერხოვენსკის მოვკარი თვალი, დაქირავებულ კაზაკურ ცხენზე შეყუწცულიყო. მხედრებში ნიკოლაი სტავროგინიც დავინახე. დროდადრო ისიც გაერეოდა ხოლმე ამისთანა გასართობებში და მაშინ მუდამ მხიარულად ეჭირა თავი, თუმცაღა კვლავინდებურად ძლივს წამოაცდენინებდა კაცი თითო-ოროლა სიტყვას. როცა ექსპედიციამ ხიდი ჩაიარა და ქალაქის სასტუმროს გაუსწორდა, უცბად ვიღაცამ თქვა, სასტუმროს ნომერში ჩამოსულ კაცს მოუკლავს თავი და ახლა პოლიციას ელიანო. უმაღლესად განიზრახა ამ თავისმომკვლელის ნახვა: ჩვენს მანდილოსნებს თავისმკვლელი არასოდეს ენახათ. მახსოვს, ერთმა ქალბატონმა ესეც კი განაცხადა: ყველაფერმა ისე მოგვაბეზრა თავი, ოღონდაც გაგვართოს და მორიდება რას მიქვიაო. პარმალთან რამდენიმე კაცი დარჩა; დანარჩენები ერთად შეცვივდნენ ჩაბინძურებულ დერეფანში. გამიკვირდა, მათ შორის რომ ლიზავეტა ნიკოლაევნაც დავინახე. თავისმკვლელის ოთახი ღია იყო და, ცხადია, შესვლა ვერავინ აგვიკრძალა. სულ ახალგაზრდა ბიჭს, თითქმის ბავშვს, მოეკლა თავი, ასე ცხრამეტი წლისას... საცოდავს ლამაზი სახე ჰქონდა, გრუზა ქერა თმა და მშვენიერი გადატკეცილი შუბლი. უკვე გაცივებულიყო და სახე მარმარილოსაგან ნაქანდაკევს მიუგავდა. მაგიდაზე მისი წერილი იდო, ჩემს სიკვდილში ბრალი არავის უდევს, ოთხასი მანეთი „დავამღერე“ და თავს იმიტომ ვიკლავო. სწორედ ასე ეწერა: „დავამღერე“. ოთხ სტრიქონში სამი გრამატიკული შეცდომა აღმოჩნდა. განსაკუთრებით ერთი ჩასუქებული მემამულე ვიშვიშებდა, რომელსაც გვერდით ოთახი ეჭირა. თურმე ბიჭის ოჯახის მეზობელი ყოფილიყო. მისი ნათქვამით გაირკვა, რომ ბიჭი ქვრივ დედას, დებს და დეიდებს ქალაქში

გამოეგზავნათ ნათესავ ქალთან, რომ მისი დახმარებით გასათხოვარი დის მზითვევისათვის რაღაც-რაღაცები ეყიდა. გულის კანკალით ჩაუბარებიათ წლოვით ნაგროვები ოთხასი მანეთი და ურიცხვი დარიგებებითა და ლოცვა-კურთხევით გამოუსტუმრებიათ ქალაქში. აქამდე თურმე ძალზე წესიერი და საიმედო ყმაწვილი იყო. ქალაქში ამ სამი დღის წინათ ჩამოვიდა. ნათესავ ქალთან არ მივიდა, სასტუმროში დაიჭირა ოთახი და პირდაპირ კლუბისკენ გაემართა, იმ იმედით, იქ სადმე უკანა ოთახში ვინმე ჩამოსულ კარტის ან ბილიარდის მოთამაშეს წავაწყდებო. მაგრამ იმ საღამოს არც ბილიარდის თამაში ყოფილა და არც კარტისა. სასტუმროში შუადამისას მობრუნდა, მოუთხოვია შამპანური, ჰავანური სიგარები და ექვსი თუ შვიდი კერძისაგან შემდგარი ვახშამი. მაგრამ შამპანურმა ძალე დაათრო, სიგარებმა გული ურია, შემოტანილი ვახშამი ხელუხლებელი დარჩა და ლამის უგონოდ მიეგდო დასადინებლად. მეორე დღეს ჩიტვიტ წამოფრინდა, მყისვე გაღმა მხარეს, გარეუბანში დაბანაკებულ ბოშათა ურდოში გასწია, რომლის ამბავი წინა დღეს კლუბში შეეტყო და სასტუმროში ორი დღე აღარ გამოჩენილა. ბოლოს გუშინ, ნაშუადღევს ასე ხუთ საათზე მობრძანდა თურმე შექვიფიანებული, მყისვე დაწვა და საღამოს ათ საათამდე ეძინა. გამოღვიძების შემდეგ კატლეტი, ერთი ბოთლი შატო-დ'იკემი, ყურძენი, ქალაღი, საწერ-კალამი და ანგარიში მოითხოვა.

განსაკუთრებული არაფერი ემჩნეოდა, კარგ გუნებაზეც კი ყოფილა. ეტყობა, შუადამისას მოიკლა თავი, მაგრამ საკვირველი კია, რომ გასროლის ხმა არავის გაუგონია. დღეს, ნაშუადღევს პირველ საათზე მოაგონდათ თურმე, კარზე დაუკაკუნეს, მაგრამ პასუხი ვერ მიიღეს და კარი შეამტვრირეს. შატო-დ'იკემის ბოთლი ნახევრამდე დაცლილი გახლდათ, ყურძენიც ნახევარი თეფშილა აღმოჩნდა.

სამლულიანი პატარა რევოლვერი შიგ გულში დაეხალა. სისხლი ცოტა გამოსულიყო; რევოლვერი ხელიდან გავარდნოდა და ხალიჩაზე ეგდო. თვითონ დივანზე იყო მიწოლილი. ალბათ მაშინვე დალია სული; სახეზე მშვიდი, თითქმის ბედნიერი გამომეტყველება გადაჰფენოდა. ჩვენები დახარბებული ცნობისმოყვარეობით დაჰყურებდნენ. მოყვასის უბედურება უცხო თვალს, ვინც არ უნდა იყოს იგი, მუდამ სიამეს ჰგვრის. ჩვენი მანდილოსნები უხმოდ შეჰყურებდნენ ამ სურათს, მამაკაცთა საზოგადოებამ კი დიდი მახვილი ჭკუა და მაგარი გული გამოიჩინა. ერთმა შენიშნა, ეს საუკეთესო გამოსავალია და უფრო ჭკვიანურს ვერც ვერაფერს მოიგონებდაო.

მეორემ დაასკვნა - გინდაც წამით, მაგრამ თავის გემოზე იცხოვრაო. მესამემ უცბად დაახალა: რა მიზეზია, ჩვენში რომ ასე გახშირდა თვითმკვლელობა, ფესვები ხომ არ მოერყათ, ნიადაგი ხომ არ გამოეცალათო? რეზონიორს ყველამ მტრულად შეხედა.

სამაგიეროდ, ტაკიმასხარა ლიამშინმა ერთი მტევანი ყურძენი დაითრია თეფშიდან, მას სიცილით მიბაძა მეორემ, მესამემ შატო-დ'იკემისაკენაც გაიწვდინა ხელი, მაგრამ პოლიცმაისტერმა შეაჩერა, რომელიც ამასობაში მოსულიყო. მან განკარგულებაც გასცა, „ოთახი დაცალეთო“. სანახაობით გამძღარი საზოგადოება უსიტყვოდ გაეცალა იქაურობას, თუმცა კი ლიამშინი რაღაცას ჩაცვიტებით ჩასჩინებდა პოლიცმაისტერს. გზის მეორე ნახევარმა ორჯერ მეტ მხიარულებასა, სიცილსა და მასხარაობაში ჩაიარა.

ბოლოს, ნაშუადღევს პირველ საათზე მივადექით ვაჭრის ვეებერთელა სახლს. ალაყაფის კარი ღია იყო და ფლიგელში ყველას უშვებდნენ. გვითხრეს, სემიონ იაკოვლევიჩი სადილს გეახლებათ, მაგრამ ხალხს კი იღებსო. ყველანი ერთად შევედით. ჩვენი ქადაგის კარგა მოზრდილ მისაღებ ოთახს - სასადილოც ეს იყო - სამი ფანჯარა ჰქონდა. ფიცრის ხარიხა, რომელიც კაცს წელამდე მოსწვდებოდა, ოთახს ორ თანაბარ ნაწილად ჰყოფდა. ჩვეულებრივი მნახველები ხარიხის გაღმა რჩებოდნენ. ის

ბედნიერი კი, ვისაც ქადაგი თვალს დაადგამდა, ხარიხის პატარა კარიდან შედიოდნენ და მისი ბრძანებით ტყავის ძველ სავარძლებსა თუ დივანზე ჩამოსხდებოდნენ. თვითონ მუდამ დიდ რბილ სავარძელში იჯდა. ჩვენი ქადაგი საკმაოდ ზორბა, გაფიჭვინებული, სახეგაყვითლებული, წვერგაპარსული კაცი იყო, ასე ორმოცდათხუთმეტი წლისა. მოტვლეპილ თავზე აქა-იქ შემორჩენოდა ქერა, მეჩხერი თმა, მარჯვენა ლოყა გასიებოდა და ყბაც ოდნავ გვერდზე მოქცეოდა. მარცხენა ნესტოსთან დიდი მეჭეჭი აჯდა. თითქოსდა ნამძინარევი წვრილი თვალები დინჯად, მშვიდად იყურებოდნენ. ეცვა გერმანულ ყაიდაზე: შავი სერთუკი, საკმაოდ თეთრი ხამი პერანგი, ოღონდ უჟილეტოდ და უჰალსტუხოდ. მგონი, ფეხები ტკიოდა და ამიტომ რბილი ფეხსაცმელი ეცვა. გაგონილი მქონდა, წინათ მოხელე იყო და რალაც ჩინიც ჰქონდაო. ბერიკაცს უკვე მოეთავებინა თევზის წვნიანი და ახლა მარილმოყრილ, მოხარშულ კარტოფილს შეექცეოდა. სხვა არაფერს ჭამდა. ჩაი კი ძალიან უყვარდა და ბევრსაც სვამდა. თავს სამი მსახური დასტრიალებდა, რომელთაც ვაჭარი აძლევდა ჯამაგირს. ერთს ფრაკი ეცვა, მეორე მეარტელეს ჰგავდა, მესამე - მნათეს. იქ კიდევ ერთი თექვსმეტიოდე წლის მკვირცხლი ბიჭი დაფუსფუსებდა. ერთი დარბაისელი, ჭაღარა, მსუქანი ბერიც დავინახე ყულაბით ხელში. ერთ-ერთ მაგიდაზე ვეებერთელა სამოვარი თუხთუხებდა და ლანგარზე ორ დუჟინამდე ჭიქა ეწყო. მის მოპირდაპირე მაგიდაზე შენაწირი ელაგა: შაქრის თავები და გირვანქობით შაქარი, ორიოდე გირვანქა ჩაი, წყვილი ნაქარგი ფლოსტები, ფულიარის ყელსახვევი, მაუდისა და ტილოს ნაჭრები თუ სხვ. ფულადი შენაწირიდან თითქმის ყველაფერი ბერის ყულაბაში ცვიოდა. ოთახში ბლომად იყო ხალხი - ერთ დუჟინამდე მარტო მნახველები იქნებოდნენ. ერთი მდაბიო, ჭაღარა, ღვთისმოსავი მოხუცი და ერთი ხმელ-ხმელი, ჩაი ბერი ქადაგთან ისხდნენ. ბერი დინჯად, თვალედახრილი იჯდა. დანარჩენები ხარიხის აქეთ იდგნენ. ისინიც მეტწილად მდაბიოები იყვნენ, გარდა ერთი ჩასქელებული, რუსულად გამოწყობილი სამაზრო ქალაქიდან ჩამოსული წვეროსანი ვაჭრისა, კიდევ ერთი ხნიერი, გასაცოდავებული აზნაურის ქვრივისა და ერთი მემამულისა. იმ ვაჭარზე ყველა ამბობდა, ასი ათასის პატრონი არისო. ყველანი უხმოდ ელოდნენ ბედის განაჩენს. ოთხიოდე კაცი მუხლებზე იდგა. ყველაზე მეტად ერთი სქელ-სქელი, ასე ორმოცდახუთი წლის მემამულე იქცევდა ყურადღებას, რომელიც ზედ ხარიხასთან დაჩოქილიყო, გამოსაჩენ ადგილას და მოწიწებით უცდიდა, როდის აღირსებდა სიტყვას ქადაგი. თურმე უკვე ერთი საათი იდგა მუხლებზე, ის კი ზედაც არ უყურებდა.

ჩვენი მანდილოსნები ხარიხასთან შექუჩდნენ და მხიარული ჩურჩულ-ხითხითი ატეხეს. სხვა მნახველები განზე გასწიეს და ყველას ჩამოეფარნენ. მხოლოდ მემამულეს ვერ უყვეს ძვრა, ისე ჩაფრენოდა ორივე ხელით ხარიხას. ყველანი ხარბად მიაცქერდნენ ქადაგს და ლორნეტები, პენსნეები და, წარმოიდგინეთ, ბინოკლებიც მოიმარჯვეს. ყოველ შემთხვევაში, ლიამშინ ბინოკლი დავუნახე ხელში. ქადაგმა დინჯად, ზანტად გადმოგვაწვლო პატარა თვალები და ბოხი, ჩახრინწული ხმით ამოიძახა: - ამომჭვრეტელნი! ამომჭვრეტელნი!

ჩვენებს გაეცინათ: „ამომჭვრეტელნი“ რას ნიშნავსო? მაგრამ სემიონ იაკოვლევიჩი ისევ დადუმდა და ისევ თავის კარტოფილს მიუბრუნდა. ბოლოს ხელსახოცით მოიწმინდა პირი და ჩაი მიართვეს.

ჩაის ჩვენი ქადაგი მარტო არ მიირთმევდა, მნახველებსაც მიიპატიჟებდა ხოლმე, ოღონდ ყველას არა. ხან მდიდრებსა და დიდკაცებს გვერდს აუქცევდა და გლეხსა თუ

რომელიმე დაყრუებულ დედაბერზე მიათითებდა, ჩაი მიათითებდა, ხან გლახაკებს და მათხოვრებს ზედაც არ შეხედავდა და რომელიმე ჩასუქებულ მდიდარ ვაჭარს გააბედნიერებდა. გამასპინძლებაც სხვადასხვანაირი იცოდა, ერთისთვის რომ ჩაის დააშაქრინებდა, მეორეს კვნიტით მიაყოლებინებდა, მესამეს კი სულაც უშაქროდ გადააყლოვრწებდა. ამჯერად მისი წყალობა ჩამოსულ ჩია ბერსა და ღვთისმოსავ მოხუცს ხვდა. პირველს დაშაქრული ჩაი ერგო, მეორეს - უშაქრო. მონასტრის ყულაბიან ბერს კი - არაფერი, თუმცა აქამდე წყალობის გარეშე არასოდეს დარჩენილა.

- სემიონ იაკოვლევიჩ, მეც მითხარით რამე, რამდენი ხანია თქვენს ხილვას ვნატრობ, - ღიმილით და თვალების ჭუტვით წაიჟღურტულა იმ გამოპრანჭულმა მანდილოსანმა, რომელმაც წელან გამოაცხადა, ოღონდ გავერთოთ და მორიდება რას მიქვიანო. ქადაგმა ყურიც არ ათხოვა. მუხლებზე მდგარმა მემამულემ ისე ღრმად ამოიხვნეშა, გეგონებოდა, ვეება საბერველი დაფუყესო.

- დაშაქრული ამას! - თითი მიაშვირა უცებ ქადაგმა ასი ათასის პატრონ ვაჭარზე; ვაჭარი წამოვიდა და მემამულეს ამოუდგა გვერდში.

- დაუმატეთ შაქარი! - ბრძანა ქადაგმა, როცა ჩაი დაასხეს. ვაჭარს კიდევ ჩაუყარეს ერთი ულუფა. - კიდევ, კიდევ! - ჩაჰყარეს მესამედ და ბოლოს მეოთხედაც. ვაჭარმა ხმაამოუღებლივ შესვა ეს სიროფი.

- ღმერთო დიდებულო! - აჩურჩულდნენ ხალხში და პირჯვარი გადაიწერეს. მემამულემ კვლავ ღრმად ამოიხვნეშა.

- ჩვენო მამავ! სემიონ იაკოვლევიჩ! - ისე მკვახედ დასჩხავლა ჩვენებისაგან კედელს მიჭყლეტილმა გასაცოდავებულმა ქვრივმა, მისგან საკვირველიც იყო, - ერთი საათია, შემოგვევლე, შენს წყალობას ველი. მითხარი რამე, განმსაჯე მე უპატრონო.

- ჰკითხე, - მიუთითა ქადაგმა თავის მედავითნეს. იგი ხარიხას მიადგა და ხმადაბლა ჰკითხა ქვრივს: - შეასრულეთ თუ არა სემიონ იაკოვლევიჩის ნაბრძანები?

- აბა რას შევასრულებდი, მამავ და მწყალობელო, იმათთან რას გავხდებოდი! კაციჭამიები არიან, საოლქო სასამართლოში მიჩივლეს, სენატში ჩივილსაც მექადნებიან! მერე ვის უჩივიან, ვის, მშობელ დედას!.. - შეჰბღავლა ქვრივმა.

- მიეცით მაგას! - მიათითა ქადაგმა ერთ თავ შაქარზე. ბიჭმა მაშინვე სტაცა ხელი შაქარს და ქვრივს მიუტანა.

- ოჰ, მამავ და მწყალობელო, დიდია შენი სიკეთე. ამდენი რად მინდა? - იბღავლა ისევ ქვრივმა.

- კიდევ, კიდევ მიეცით! - ასაჩუქრებდა ქადაგი.

მიუტანეს კიდევ თავი შაქარი. „კიდევ, კიდევ“ - არ ცხრებოდა ქადაგი. მიათთვეს მესამე და ბოლოს მეოთხეც. ქვრივს შაქრის თავები შემოუწყვეს ირგვლივ. მონასტრის ბერს ოხვრა აღმოხდა: წინათ ეს ყველაფერი მონასტერს ეგზავნებოდა.

- ამდენი რად მინდა? - ვიშვიშებდა ქვრივი, - მარტო რა მაჭმევს, ხომ გული ამირია!.. ვითომ წინასწარმეტყველებად ჩავთვალო, მამავ და მწყალობელო?

- ეგრეც არის, ეგრეც უნდა ჩათვალო, - ჩაილაპარაკა ვიღაცამ ხალხში.

- კიდეც გირვანქა მაგას, კიდეც! - არ ცხრებოდა სემიონ იაკოვლევიჩი.

მაგიდაზე ერთი თავი შაქარი კიდეც დარჩენილიყო, მაგრამ რაკი ქადაგმა გირვანქის ბოძება ბრძანა, ქვრივს გირვანქა მიართვეს.

ხალხი ოხრავდა და პირჯვარს იწერდა: - ღმერთო, ღმერთო! ჭეშმარიტად იწინასწარმეტყველა.

- დაიტკბეთ და დაიშაქრეთ გული თქვენი სიკეთითა და მადლით და მერე მოდით და უჩივლეთ საკუთარ შვილებს, სისხლსა და ხორცსა თქვენსას, აი, რას მოასწავებს ემბლიმა ესე, - დინჯად და მედიდურად განუმარტა ცოტა არ იყოს განაწყენებულმა ჩასუქებულმა მონასტრის ბერმა, რომ გვერდი აუარეს და ჩაი არ მიართვეს.

ქვრივი ერთბაშად გაჯავრდა: - რას ამბობ, მამავ და თვალო, მაგათ მე ქამანდით მიმათრიეს და კინაღამ ცეცხლში შემაგდეს, როცა ვერხიშინებს სახლი ეწვოდათ. სკივრში მკვდარი კატა ჩამიგდეს, რა საძაგლობას არ მიკეთებენ...

- გააგდე, გააგდე აქედან! - უცებ ხელები აიქნია ქადაგმა. მედავითნე და ბიჭი გამოვარდნენ. მედავითნემ ხელი გაუყარა ქვრივს და ისიც ნირწამხდარი წაჩანჩალდა კარისკენ, თუმცა ცალი თვალი მაინც უკან რჩებოდა, მოაქვს თუ არა ბიჭს ნაჩუქარი შაქრის თავებიო.

- ერთი წართვი, ერთი! - უბრძანა ქადაგმა მასთან დარჩენილ მეარტელეს. ისიც კისრისტეხით გაეკიდა მიმავალთ. სამივე მსახური მალე დაბრუნდა ქვრივისთვის ერთხელ ნაჩუქარი და ახლა წართმეული შაქრით, თუმცა ქვრივს სამი თავი მაინც ერგო.

- სემიონ იაკოვლევიჩ, სიზმარში ვნახე, ჭკა წყლიდან ამოფრინდა და ცეცხლში შევარდა. რას უნდა ნიშნავდეს? - გაისმა უკნიდან ვიღაცის ხმა.

- ყინვებს, - წარმოთქვა ქადაგმა.

- სემიონ იაკოვლევიჩ, რატომ არაფერი მიპასუხეთ, რა ხანია თქვენი ხილვა მინდა, - დაიწყო ისევ ჩვენმა მანდილოსანმა.

სემიონ იაკოვლევიჩმა არც ახლა ათხოვა ყური და უცებ დაჩოქილი მემამულისკენ გაიშვირა თითი.

- ჰკითხე!

მონასტრის ბერი, ვისაც ეს დაავალეს, დინჯად მიუახლოვდა მემამულეს.

- რა შესცოდეთ? ან ხომ არაფერი დაგავალეს შესასრულებლად?

- არ იჩხუბო, ცემა-ტყეპას თავი დაანებეო, - უპასუხა მემამულემ ხრინწიანი ხმით.

- შეასრულეთ?

- ვერ შევძელი, საკუთარ თავს ვერ მოვერიე.

- გააგდეთ, გააგდეთ აქედან! ცოცხით, ცოცხით გააგდეთ! - ხელები აიქნია სემიონ იაკოვლევიჩმა. მემამულე განაჩენის შესრულებას არ დაელოდა, წამოხტა და კისრისტეხით გავარდა ოთახიდან.

- ოქრო დაუტოვებია, - გამოაცხადა ბერმა და იატაკიდან ნახევართუმნიანი აიღო.

- იმას მიეცით! - თითი ატაკა ასი ათასის პატრონს ქადაგმა. იმანაც უარის თქმა ვერ გაბედა და გამოართვა.

- ოქროს ოქრო უყვარსო, - ველარ მოითმინა მონასტრის ბერმა.

- ამას კი შაქრიანი ჩაი, - უცებ მავრიკი ნიკოლაევიჩისაკენ გაიშვირა ხელი სემიონ იაკოვლევიჩმა. მსახურმა ჩაი დაასხა და შეცდომით პენსნიანი ფრანტისკენ გაემართა.

- მაღალ-მაღალს, მაღალ-მაღალს-მეთქი, - მიაძახა ქადაგმა.

მავრიკი ნიკოლაევიჩმა თავი დახარა და ჭიქა გამოართვა. არ ვიცი, რატომ და ჩვენებს კი სიცილი წასკდათ.

- მავრიკი ნიკოლაევიჩ! - მიუბრუნდა უცებ ლიზა. - იმ დაჩოქილი ვაჟბატონის მაგივრად ახლა თქვენ დაიჩოქეთ.

მავრიკი ნიკოლაევიჩმა განცვიფრებით შეხედა.

- დაიჩოქეთ, მავრიკი ნიკოლაევიჩ, დაიჩოქეთ, მინდა ვნახო, როგორ დაიჩოქებთ. თუ არადა ჩემთან ფეხი აღარ მოდგათ. ძალიან გთხოვთ მასიამოვნეთ! - იმეორებდა ჯიუტად ლიზა.

არ ვიცი, რისი თქმა უნდოდა ლიზას, მაგრამ რაღაც ისტერიკული დაჟინებით კი მოითხოვდა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, მავრიკი ნიკოლაევიჩი ლიზას ამ ჟინიან ახირებას მისადმი იმ ბრმა, შეუგნებელი სიძულვილით ხსნიდა, რაც ამ ბოლო ხანებში ხშირად წამოუვლიდა ხოლმე ქალს. და რომელსაც დროდადრო ვერ მორეოდა. თუმცა კი იცოდა, რომ ეს სიბრაზით არ იყო გამოწვეული, რომ ლიზას უყვარდა და დიდ პატივსაც სცემდა.

მავრიკი ნიკოლაევიჩმა ჭიქა მის უკან მდგარ ვიღაც დედაბერს გადასცა, ხარხის კარი გააღო, მიუპატიჟებლად შეაბიჯა სემიონ იაკოვლევიჩის სამყოფელში და შუა ოთახში დაიჩოქა. ამ მგრძნობიარე და უემშაკო კაცს, ვგონებ, ძალიან ატკინა გული ლიზას ტლანქმა, გამქირდავმა საქციელმა და ალბათ იფიქრა, ჩემს დამცირებას რომ დაინახავს, შერცხვებო. რა თქმა უნდა, მის მეტს არავის მოუვიდოდა თავში ასეთი გულუბრყვილო ხერხით ქალის მორჯულება. სასაცილო სანახავი იყო ეს უშნოდ აწოწილი, მუხლებზე აღუშფოთებლად მდგარი კაცი. მაგრამ ჩვენები არ იცინოდნენ. მისმა მოულოდნელმა საქციელმა ყველაზე რაღაც მტკივნეულად იმოქმედა. ყველა ლიზას მისჩერებოდა.

- ზეთისცხება, ზეთისცხება! - წაიდუდუნა სემიონ იაკოვლევიჩმა.

ლიზა უეცრივ გაფითრდა, შეჰკვივლა და მისკენ გაექანა. წამიც და ისტერიკული სურათის მოწმენი გავხდით. ლიზა ორივე ხელით იდაყვში ჩაფრენოდა მავრიკი ნიკოლაევიჩს და წამოსადგომად ექაჩებოდა.

- ადექით, ახლავე ადექით! - უკიოდა გონებადაკარგული. - გესმით თუ არა, ამ წუთას ადექით! როგორ გაბედეთ დაჩოქება.

მავრიკი ნიკოლაევიჩი წამოდგა. ლიზა სახეში ჩაშტერებოდა და თვალებში შიში უკრთოდა.

- ამომჭვრეტელნი! ამომჭვრეტელნი! - გაიმეორა ისევ ქადაგმა.

ლიზამ კვლავ აქეთ გამოათრია მავრიკი ნიკოლაევიჩი. ჩვენები აჩოქქოლდნენ. ჩვენს ეტლში მჯდარმა მანდილოსანმა, ალბათ შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად, პრანჭვა-გრეხით მიმართა ისევ ქადაგს.

- ნუთუ არაფერს მიწინასწარმეტყველებთ, სემიონ იაკოვლევიჩ? მე კი როგორი იმედი მქონდა თქვენი.

- შენი... ასე და ასეო! - მოუტრიალდა უცებ გამძვინვარებული ქადაგი და ისეთი უწმაწური სიტყვა მოაყოლა, ჩვენი მანდილოსნები წივილ-კივილით გაცვივდნენ ოთახიდან. კავალრებმა კი ჰომერული ხარხარი ატეხეს. ასე დამთავრდა ჩვენი სტუმრობა სემიონ იაკოვლევიჩთან.

მაგრამ აქ კიდევ ერთი უცნაური ამბავი მოხდა. გამოგიტყდებით და, ჩვენი მგზავრობა სულაც ამიტომ მოვყევი დაწვრილებით.

ამბობენ, როცა ყველანი ერთად კარს ეცენ, მავრიკი ნიკოლაევიჩთან ხელგაყრით მიმავალი ლიზა ამ ჭექჭევამი ნიკოლაი სტავროგინს შეეფეთაო. უნდა ითქვას, იმ კვირანდელი ამბების შემდეგ კი ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ არც ერთხელ არ ულაპარაკიათ. მეც დავინახე, როგორ შეეჩხხნენ ისინი კარში: ისე მომეჩვენა, თითქოს გაჩერდნენ და რაღაც უცნაურად შეხედეს-მეთქი ერთმანეთს. ესეც კია, იმდენ ხალხში მე იქნებ კარგად ვერ დავინახე. მაგრამ სხვები დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ, ნიკოლაი სტავროგინს რომ შეხედა, ლიზამ სწრაფად ასწია ხელი და უთუოდ გაარტყამდა, ის რომ არ გარიდებოდაო. ვინ იცის, მისი სახის გამომეტყველება არ მოეწონა, ან იქნებ მისმა ჩაცმინებამ გააბრაზა, მეტადრე მავრიკი ნიკოლაევიჩთან იმ ამბის შემდეგ. მართალი მოგახსენოთ, მე არაფერი დამინახავს, თუმცა ყველა ირწმუნებოდა, დავინახეთო. მაგრამ იმ ალიაქოთში აბა ყველა როგორ დაინახავდა. მაშინ ეს ამბავი არ დავიჯერე. მახსოვს კი, უკან რომ ვბრუნდებოდით, ნიკოლაი სტავროგინი მთელი გზა ცოტა არ იყოს ფერდაკარგული იყო.

III

თითქმის იმავე დროს და სწორედ იმავე დღეს ბოლოს და ბოლოს შეხვდნენ ერთმანეთს სტეპან ტროფიმოვიჩი და ვარვარა პეტროვნა. ეს პაემანი დიდი ხანია განზრახული ჰქონდა ვარვარა პეტროვნას და დიდი ხანია შეუთვალა კიდევ თავის მეგობარყოფილს, მაგრამ აქამდე რატომღაც სულ სდებდა და სდებდა. შეხვედრა სკვორეშნიკში მოხდა, სადაც ვარვარა პეტროვნა ჩამობრძანებულიყო. იგი დიდ გაწამაწიაში გახლდათ. წინა დღეს საბოლოოდ იქნა გადაწყვეტილი, მომავალი ზეიმი თავად-აზნაურთა წინამძღოლის მეუღლის სახლში გამართულიყო. მაგრამ ჰკვიანმა ვარვარა პეტროვნამ სწრაფად იაზრა, რომ ზეიმის შემდეგ ვერავინ დაუშლიდა თვითონაც მოეწყო სკვორეშნიკში დიდი ზეიმი და ხელახლა დაეპატიჟა მთელი ქალაქი. მაშინ ყველა თავისი თვალით დარწმუნდებოდა, ვისი სახლი იყო უკეთესი,

სად უკეთესი მასპინძლობა იცოდნენ და სად უფრო დიდი გემოვნებით მართავდნენ მეჯლისს. ვარვარა პეტროვნას კაცი ველარ იცნობდა. იმ ამაყი, მიუკარებელი „მაღალი წრის ქალბატონის“ მაგივრად, როგორც სტეპან ტროფიმოვიჩი უწოდებდა ხოლმე, ახლა ერთ ჩვეულებრივ ფუქსავატ ქალად ქცეულიყო. თუმცა იქნებ ჩანდა მხოლოდ ასე.

ვარვარა პეტროვნამ დაცარიელებულ სახლში მთელი ოთახები დაიარა მისი ერთგული მსახური ალექსეი ეგოროვიჩისა და დეკორატიული საქმის დიდოსტატ ფომუშკას თანხლებით. იყო ერთი ბჭობა და მსჯელობა: რა ავეჯი, სურათები და მორთულობა ჩამოეზიდათ ქალაქიდან და სად დაედგათ; როგორ მოერთოთ ორანჟერეის ყვავილებით; სად დაეკიდათ ახალი ფარდები, სად გაემართათ ბუფეტი, ანდა ორი გაემართათ თუ ერთი? და სხვა და სხვა. აი, სწორედ ამ გაწამაწიის დროს მოიგუნება ვარვარა პეტროვნამ ეტლის გაგზავნა სტეპან ტროფიმოვიჩის ჩამოსაყვანად.

სტეპან ტროფიმოვიჩი დიდი ხანია გაფრთხილებული იყო და ყოველდღე ელოდა სწორედ ასეთ უეცარ მოწვევას. ეტლში რომ ჯდებოდა, პირჯვარი გადაიწერა, - მისი ბედი წყდებოდა. სტეპან ტროფიმოვიჩს თავისი მეგობარი დიდ დარბაზში დახვდა. პატარა დივანზე იჯდა კედელთან, პატარა მარმარილოს მაგიდასთან და ფანქარი და ქალაღი ეკავა ხელში: ფომუშკა არშინით ზომავდა ქანდარებისა და ფანჯრების სიმაღლეს, ვარვარა პეტროვნა კი იწერდა და გვერდზე რაღაცას ინიშნავდა. თავი არ აუღია, ისე მიესალმა სტეპან ტროფიმოვიჩს, საჩქაროდ ხელი გაუწოდა და ანიშნა, გვერდით მომიჯექითო. სტეპან ტროფიმოვიჩმა სალმის ნიშნად რაღაცა ჩაიბურღუნა.

- ხუთიოდე წუთი ვიჯექი და ველოდი. „გული ხელით მეჭირა“, - მიამბობდა მერე სტეპან ტროფიმოვიჩი. - ჩემ წინ ის ქალი აღარ იყო, ვისაც ოცი წელია ვიცნობდი. მაგრამ იმ ფიქრმა, ყველაფერი გათავდა-მეთქი, ისეთი ძალა შთამბერა, თვითონაც კი განცვიფრდა. გეფიცებით, ამ უკანასკნელ წუთებში ჩემმა სიმტკიცემ გააკვირვა.

ვარვარა პეტროვნამ უეცრივ ფანქარი დადო და სტეპან ტროფიმოვიჩს მიუბრუნდა.

- სტეპან ტროფიმოვიჩ, ჩვენ უნდა მოვილაპარაკოთ. ვიცი, თქვენებურად ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები გექნებათ მომზადებული, მაგრამ მე მგონია, სჯობს პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ, არა?

სტეპან ტროფიმოვიჩი შეაძრწოლა კიდევ ვარვარა პეტროვნას ამ მკვახე სიტყვებმა.

- დამაცათ, ჯერ მე მათქმევინეთ და შემდეგ თქვენ თქვით, თუმცა არ ვიცი, რა გაქვთ კიდევ სათქმელი? - სხაპასხუპით აყრიდა ვარვარა პეტროვნა. - ჩემს წმინდა მოვალეობად მიმაჩნია ის ოცი თუმნის პენსია სიკვდილამდე გაძლიოთ; თუმცა წმინდა მოვალეობად რატომ? უბრალოდ, შეთანხმებად ჩავთვალოთ, ეს უფრო რეალური იქნება, ხომ კი? თუ გნებავთ, დავწეროთ კიდევ. ჩემი სიკვდილის შემთხვევაში უკვე გაცემული მაქვს შესაფერი განკარგულება. ახლა, პენსიის გარდა, ბინის. მოსამსახურისა თუ სხვა რომ ხარჯი ჩემგან გეძლევათ. ფულზე რომ ვიანგარიშოთ, ას ორმოცდაათი თუმანი გამოვა, ასე არ არის? დაგიმატებთ კიდევ ოცდაათ თუმანს სხვადასხვა გასავლისათვის, მთლიანად სულ სამასი თუმანი იქნება. ხომ გეყოფათ წლიურ ხარჯად? მგონი, ცოტა არ უნდა იყოს? თუმცა, თუ

მოულოდნელი რამ გამოტყვრა, კიდევ დავუმატებ. ჰოდა, ბატონო ჩემო, გამომიგზავნეთ ჩემი ხალხი უკან და იცხოვრეთ თქვენს ნებაზე, სადაც გენებოთ და როგორც გენებოთ, გინდ პეტერბურგში, გინდ მოსკოვში, გინდ საზღვარგარეთ და გინდ აქ, ოღონდ ჩემთან არა, გამიგეთ?

სტეპან ტროფიმოვიჩმა დაღონებით, დინჯად მიუგო: - დიდი ხანი არაა, რაც იმავე ბაგეთაგან ასევე დაჟინებით სულ სხვა მოთხოვნა მოვისმინე. მე დავმორჩილდი და... თქვენს ნებაზე ავცეკვდი. Oui, la comparaison peut etre premise. C'etait comme un petit cozak du Don, qui sautait sur sa proper tombe[187]. ახლა კი...

- მოითმინეთ, სტეპან ტროფიმოვიჩ, მოითმინეთ, რამდენი ლაპარაკი იცით! კი არ ცეკვავდით, თეთრ ჰალსტუხსა და თეთრ პერანგში გამოპრანჭული, თმაგაპამადებული და სუნამოდაპურებული მობრძანდით ჩემთან. გარწმუნებთ, თვითონაც ძალიან გინდოდათ ცოლის შერთვა; ეს სახეზეც გეწერათ და, მერწმუნეთ, არცთუ ძალიან გშვენოდათ. თუ მაშინვე არ გითხარით, მხოლოდ იმიტომ, რომ არ ვიკადრე. დიახ, დიახ, ძალიანაც გინდოდათ ცოლის შერთვა, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი სისაძაგლე დაწერეთ ჩემსა და თქვენს საცოლეზე. ახლა სულ სხვა ამბავია ან რა შუაშია აქ cozak du Don და რაღაც თქვენი საფლავი? არ მესმის, რად მოიტანეთ ეს შედარება. პირიქით, იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ, მე ძალიან გამიხარდება.

- დავრდომილთა სახლში?

- დავრდომილთა სახლშიო? სამი ათასი შემოსავლის პატრონს დავრდომილთა სახლში რა უნდა. აჰ, მომაგონდა, - ვარვარა პეტროვნას ჩაეცინა, - პიოტრ სტეპანოვიჩმა, მგონი, ერთხელ გაიხუმრა დავრდომილთა თავშესაფარზე. მაგრამ ეს ხომ სულ სხვანაირი თავშესაფარია, მაგაზე მართლა ღირს დაფიქრება ფრიად საპატივცემულო ხალხისთვის გახლავთ, პოლკოვნიკები ცხოვრობენ. ახლა ერთ გენერალსაც უნდა მოხვედრა. თქვენი ფულით იქ უზრუნველად, მოსვენებით იცხოვრებთ და მსახურებიც გეყოლებათ. მეცნიერებას მოჰკიდებთ ხელს და პრეფერანსის მოთამაშენიც არ მოგაკლდებიან.

- Passons[188].

ვარვარა პეტროვნას არ ეჭაშნიკა ეს სიტყვები.

- Passons? რაკი ასეა, სათქმელი აღარაფერი მაქვს. მე უკვე ყველაფერი გაცნობეთ. ამიერიდან ცალ-ცალკე ვიცხოვრებთ.

- და მეტი არაფერი? ოცი წლის სიახლოვის შემდეგ ასე უნდა დავმორდეთ ერთმანეთს? გათავდა ყველაფერი?

- ოჰ, როგორ გიყვართ მაღალფარდოვანი სიტყვები, სტეპან ტროფიმოვიჩ. ახლა ეს მოდაში აღარ არის. ის ხალხი თუმცა ტლანქად ლაპარაკობს, სამაგიეროდ უბრალოდ. რას დაიჩემეთ, ოცი წელიო! ეს ოცი წელი მარტო საკუთარი თავმოყვარეობის ამბავი იყო ორივე მხრივ და მეტი არაფერი. წერილებს ჩემთვის კი არა, შთამომავლობისთვის წერდით. თქვენ სტილისტი ხართ და არა მეგობარი, მეგობრობა სინამდვილეში მხოლოდ გაბუქული სიტყვაა: გულის ჭუჭყის გადმონთხევა...

- ღმერთო ჩემო, სულ სხვისი სიტყვები! გაზეპირებული გაკვეთილები! თქვენც ჩაგაცვს თავიანთი მუნდირი? თქვენც ცაში ფრინავთ, მზეს ეტანებით; Chere, chere, რა იაფად გაგიყიდიათ თავისუფლება!

ვარვარა პეტროვნა გაცეცხლდა: - მე თუთიყუში არა ვარ, სხვისი სიტყვები ვიმეორო. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩემიც ბლომად დამიგროვდა. რა გამიკეთეთ ამ ოცი წლის მანძილზე? ჩემივე გამოწერილი წიგნებიც გენანებოდათ ჩემთვის, თუმცა მკინძავი რომ არა, ისევე გაუჭრელი დაგრჩებოდათ. რა მომეცით წასაკითხად, პირველ ხანებში რომ გთხოვდით, მიწინამძღვრეთ-მეთქი? კაპფიგის[189] მეტი არაფერი. ჩემი განვითარებისა გეშინოდათ და თავს იზღვევდით. ახლა კი ყველა თქვენ დაგცინით. გამოგიტყდებით და მუდამ კრიტიკოსაც მიმაჩნდით. თქვენ ლიტერატურის კრიტიკოსი ხართ და მეტი არაფერი. გახსოვთ, რა ირონიულად შემომხედეთ და ქედმაღლური სახე მიიღეთ, პეტერბურგში რომ მივდიოდით და გზაში გითხარით, ჟურნალი მინდა გამოვცე და მთელი სიცოცხლე ამას შევწირო-მეთქი?

- არა, არა, ეგ სულ სხვა იყო... ჩვენ მაშინ დევნისა გვეშინოდა...

- არა, სწორედ ეგ იყო. ან პეტერბურგში რისა უნდა გშინებოდათ?! გახსოვთ კი, თებერვალში რომ ხმა დავარდა, რა შეშინებული მოვარდით ჩემთან და მთხოვეთ, მოწმობა დამიწერეთ, განზრახული ჟურნალი მე სულაც არ მეხება, ახალგაზრდობა ჩემთან კი არა, თქვენთან დადის, მე მხოლოდ შინაური მასწავლებელი ვარ და თქვენთან იმიტომ ვცხოვრობ, თანაც გასამრჯელო მთლიანად არა გაქვთ მოცემულიო? ასე იყო თუ არა? გახსოვთ თუ არა? ჰო-ჰო, რა ვაჟკაცი ბრძანდებოდით მუდამ, სტეპან ტროფიმოვიჩი.

- ეგ მხოლოდ წუთიერი სულმოკლეობა იყო და ისიც ჩვენ ორს შორის, - მწუხარედ შესძახა სტეპან ტროფიმოვიჩმა, - ნუთუ ამ წვრილმანებისათვის უნდა გავწყვიტოთ ყველაფერი? ნუთუ სხვა არაფერი გაგვახსენდება ამდენი ხნის შემდეგ?

- დიდი ანგარიშიანი კაცი ბრძანდებით. კაცმა რომ გკითხოთ, ალბათ მე გამომიყვანთ თქვენს მოვალედ. საზღვარგარეთიდან რომ ჩამოხვედით, გახსოვთ, რა ამპარტავნულად მიყურებდით, ხმა არ ამომალეხინეთ. ხოლო მე რომ ჩამოვედი და მოვინდომე ჩემი შთაბეჭდილებები გამეზიარებინა და მადონაზე მეამბნა, აღარ მომისმინეთ და ისე ქედმაღლურად ჩაიღიმეთ, თითქოს არ შეიძლებოდა მეც თქვენსავით მეგრძნო და განმეცადა.

- ეგ სხვაზე იყო, ალბათ სხვაზე, J'ai oublie[190]...

- არა, სწორედ ამაზე იყო. ან სატრაბახო რა გაქვთ ჩემთან, როცა ეგ ყველაფერი სისულელეა და მხოლოდ თქვენი გაბუქული. ახლა მადონა აღარავის მოსწონს და არც არავინ კარგავს იმაზე დროს, გარდა გადაყრუებული ბებრებისა. ეს უკვე დამტკიცებულია.

- ვითომ დამტკიცებულაც?

- დიახ, დიახ, არაფრის მაქნისია. აი ამ ტოლჩაში წყალს ჩაასხამ და გამოგადგება. აი ამ ფანქრით რაღაცას დაწერ. მაგრამ მაგ ქალს კი ყველა ქალი სჯობია სინამდვილეში. აბა, ერთი დახატეთ ვაშლი და გვერდით ნამდვილი ვაშლი დაუდეთ - ნეტა რომელს

აირჩევთ? არა მგონია, არჩევანში შეცდეთ[191]. აი, რა დარჩა ყველა მაგ თქვენი თეორიებიდან, შეეხო თუ არა თავისუფალი კვლევა-ძიების პირველი სხივი.

- დიახ, დიახ.

- იცინეთ, იცინეთ. მაგრამ გახსოვთ, რას მეუბნებოდით, მაგალითად, მოწყალეობაზე? სინამდვილეში მოწყალეობის გაცემით მინიჭებული სიამოვნება ამპარტავნული და უზნეო სიამოვნებაა, ეს მდიდარი კაცის განცხრომაა, აქაოდა, სიმდიდრე და ძალაუფლება მაქვსო და მათხოვარზე მაღლა ვდგავარო.. მოწყალეობა ათახსირებს გამკითხავსაც და გაკითხულსაც და ვერც მიზანს აღწევს, ვინაიდან მხოლოდ ამრავლებს გლახაკებს. ზარმაცებს აღარ უნდათ ხელის განძრევა და, როგორც მოთამაშენი სათამაშო მაგიდას, ისე ეხვევიან მოწყალეობის გამცემთ მერედა რას მიაღწევ იმ საცოდავი გროშებით? მეასედსაც ვერ დააკმაყოფილებ. თქვით, ბევრი გაგიციათ თქვენს სიცოცხლეში? ალბათ ათიოდე ორშაურნიანი, მეტი არა. ან უკანასკნელად როდის გაიღეთ? მგონი, ორი თუ ოთხი წლის წინათ. თქვენ მხოლოდ ყვირილი შეგიძლიათ და საქმეს ხელს უშლით. მოწყალეობის გაცემა ახლანდელ საზოგადოებაშიაც უნდა აიკრძალოს კანონით. ახალი წყობილებისას ღარიბები აღარ იქნებიან.

- ჰოი, რამდენი სხვისი სიტყვაა! მაშ, უკვე წყობილებაზეც მიდგა საქმე? ღმერთო, შენ უშველე ამ უბედურს!

- დიახ, მიდგა, სტეპან ტროფიმოვიჩ; თქვენ მუდამ მიმაღავდით ამ ახალ იდეებს, ახლა უკვე საყოველთაოდ ცნობილს, გეშინოდათ, ჩემზე გავლენა არ დაგეკარგათ. ახლა იმ იულიამაც კი ასი ვერსით გამისწრო. მაგრამ მეც ამეხილა თვალი. როგორც შემემლო, მე ყველგან გიცავდით, სტეპან ტროფიმოვიჩ. ახლა ყველა თქვენ გადანაშუალებთ.

- კმარა, კმარა! აბა რა გისურვოთ, ნუთუ ის, რომ მოინანიოთ ყველაფერი!?! - ასადგომად წამოიწია სტეპან ტროფიმოვიჩი.

- ერთი წუთით დაბრძანდით, სტეპან ტროფიმოვიჩ, კიდევ ერთი რამ უნდა გკითხოთ. ლიტერატურულ დილაზე გამოსვლას გთხოვენ და მე დამავალეს ამის გადმოცემა. მევე მოგიწყვეთ ეს. თქვით, რას წაიკითხავთ?

- რასა და სწორედ იმ დედოფალთა დედოფალზე, კაცობრიობის იმ იდეალზე, სიქსტის მადონაზე, რომელსაც, თქვენი აზრით, ჭიქაც და ფანქარიც სჯობია.

ვარვარა პეტროვნა დიდად გააოცა და შეაწუხა ამ ამბავმა.

- მაშ ისტორიიდან არ წაიკითხავთ? ნეტა თუ გგონიათ, ვინმე მოგისმენთ. რას ჩააცივდით ამ მადონას! ან რად გინდათ მაინცდამაინც ხალხი დააძინოთ? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სტეპან ტროფიმოვიჩ, თუ ვამბობ, მხოლოდ თქვენი სიკეთისთვის ვამბობ. განა არ სჯობს, ესპანეთის სამეფო კარის ერთი პატარა, მაგრამ საინტერესო ამბავი აიღო შუა საუკუნეების ისტორიიდან, უფრო სწორად, ერთი ანეკდოტი და სხვა ანეკდოტებითა და მოსწრებული სიტყვებით შეავსოთ. თქვენებურად. იქ ისეთი მდიდრული სამეფო კარი ყოფილა, ისეთი ქალები ჰყოლიათ, ისეთი ამბები ხდებოდა, მოწამვლა თუ სხვა.. კარმაზინოვმა თქვა, საკვირველი იქნება, თუ ესპანეთის ისტორიიდანაც საინტერესო არაფერი შეირჩაო.

- ეგ კარმაზინოვი, ეგ უტვინო ჩერჩეტი მირჩევს მე თემას!

- კარმაზინოვს თითქმის სახელმწიფო მოღვაწის ჭკუა აქვს, ნურც მეტისმეტად გაკადნიერდებით, სტეპან ტროფიმოვიჩ!

- თქვენი კარმაზინოვი გადარძუმებული, გამოფიტული, გულბილწობით სავსე ქალაჩუნაა! Chere, chere, დიდი ხანია თქვენც დაგიმონეს! ღმერთო ჩემო!

- გაბლენძილობისთვის ახლაც ჭირივითა მძულს, მაგრამ ჭკუას კი მართლა ვერ წაართმევ, გიმეორებთ, რამდენადაც შემემლო, ყველგან გიცავდით. ან რა სავალდებულოა უთუოდ სასაცილო და მოსაწყენ კაცად გამოიყვანოთ თავი? პირიქით, გამოდით ესტრადაზე, გაიღიმეთ, ვითარცა გასული საუკუნის დარბაისელმა წარმომადგენელმა. მოჰყევით სამი ანეკდოტი, როგორც გჩვევიათ ხოლმე ზოგჯერ, მოსწრებულად და გონებაშეხილურად. რა ვუყოთ, რომ ბებერი ხართ, იმ საუკუნეს ეკუთვნით და იმათ ჩამორჩით; თუკი თქვენვე სიცილით აღიარებთ ამას, მაშინ ყველა დაინახავს, რა სასიამოვნო, კეთილი და ენამოსწრებული გადმონაშთი ხართ ძველისა... დიახ, კაცი ძველი დუღაბისა და ამავე დროს იმდენად მოწინავე, რომ თვითვე მშვენივრად შეუძლია შეაფასოს ზოგ შეხედულებათა ის უმსგავსობა, რასაც აქამდე მისდევდა. რა იქნებ მასიამოვნოთ და ასე მოიქცეთ.

- Chere, კმარა! ნუ მთხოვთ, არ შემიდლია. თუ წავიკითხავ, მხოლოდ მადონაზე წავიკითხავ და ისეთ ვაი-უშველებელს ავტებ, ან ყველა მაგათ გავაცამტვერებ, ანდა მარტო მე გავაცამტვერდები!

- მარტო თქვენ გაცამტვერდებით, სტეპან ტროფიმოვიჩ, სხვა არავინ!

- ჩემი ბედიც ეგ ყოფილა. მე მოვყვები იმ უნამუსო, იმ აქოთებული და გათახსირებული ლაქიის ამბავს, ვინც პირველი აცოცდება კიბეზე მაკრატლით ხელში და დიადი იდეალის ღვთაებრივ სახეს ჩამოფხრეწს ერთობის, შურისა და... სტომაქის სახელით. დავწყვილი და შევაჩვენებ მათ და მერე, მერე...

- საგიჟეთში, არა?

- შესაძლებელია, მაგრამ დამარცხებული თუ გამარჯვებული მე მოვიკიდებ ჩემს აბგას, ჩემს მათხოვრულ აბგას, მივატოვებ ჩემს ავლა-დიდებას, თქვენს საჩუქრებს, პენსიონს, აღთქმულ წყალობას და ფეხით გავუყვები ჩემს გზას, გუვერნიორად დავუდგები ვინმე ვაჭარს და ან იქ, ან სადმე ღობისძირას დავლევ სულს. მე ვთქვი და Alea jacta est![192]

- სტეპან ტროფიმოვიჩი კვლავ ზეზე წამოდგა. წამოდგა თვალეზანთებული ვარვარა პეტროვნაც.

- მთელი ეს წლები ვიცოდი, რომ მარტო ის გასულდგმულებთ, მე და ჩემს ოჯახს ცილი დაგვწამოთ და თავი მოგვჭრათ! რა გინდათ მაგით თქვათ, ვაჭარს გუვერნიორად დავუდგები და ღობისძირას დავლევ სულსო? ეგ მხოლოდ ღვარძლია, ცილისწამება და მეტი არაფერი!

- თქვენ ყოველთვის ზიზღით მიცქერდით; მაგრამ მე მაინც რაინდად ვრჩები, ჩემი დედოფლის ერთგულ რაინდად, ვისი აზრიც ჩემთვის ყველაზე ძვირად ფასობს. ამ წუთიდან მე არაფერს მივიღებ თქვენგან. მე უანგაროდ გეთაყვანებით.

- რა სისულელეა!

- ჩემი პატივისცემა არასოდეს გქონიათ. კი ბატონო, მე უამრავი ცოდვა მომდგამდა. კი ბატონო, მუდამ თქვენს კმაყოფაზე ვიყავი, როგორც ნიჰილისტები ამბობენ ახლა. მაგრამ სხვის კმაყოფაზე ყოფნა არასოდეს ყოფილა ჩემი უმაღლესი პრინციპი. ეს ისე მოხდა, თავისთავად, მეც არ ვიცი, როგორ... მუდამ მეგონა, ჩვენ შორის იყო კიდევ რაღაცა, რაც სმა-ჭამაზე მაღლა დგას-მეთქი. არამზადა არასოდეს ვყოფილვარ! მაშ, გზას უნდა გავუდგე და საქმე გამოვასწორო! გზა გვიანია ჩემთვის, გარეთ უკვე გვიანი შემოდგომაა, ნისლში გახვეული მინდვრები, ბებრულ ჭირხლს დაუფარავს მომავალი გზა ჩემი, ქარი კი ჩამდმუის სამარის კარის სიახლოვეს... მაგრამ მივდივარ, მივდივარ, ახალ გზას ვადგები: აღვსილი, სპეტაკი გრძნობით, ერთგული ტკბილი ოცნების...[193]

მშვიდობით, ჩემო ოცი წლის ოცნებანო!

სტეპან ტროფიმოვიჩმა ქუდი აიღო. სახე დანამოდა ღვარად მომსკდარი ცრემლით.

- ლათინურისა მე არაფერი მესმის, - წაილაპარაკა ვარვარა პეტროვნამ და ძლივს შეიკავა თავი...

ვინ იცის, მასაც ახრჩობდა ცრემლი, მაგრამ აღშფოთებამ და ჟინიანობამ ერთხელ კიდევ სძლია...

- მე ვიცი მხოლოდ, რომ ეს ყველაფერი მასხარაობაა. თავის დღეში ვერ შეასრულებთ თქვენს ეგოისტურ მუქარას. არსადაც არ წახვალთ, არც ვაჭართან და არც სხვა ვინმესთან. იცხოვრებთ აქ, პენსიონსაც კარგად აიღებთ, სამშაბათობით იმ თქვენ უმსგავს მეგობრებს შეჰყრით და ბოლოს ჩემს ხელში დალევთ სულს. მშვიდობით, სტეპან ტროფიმოვიჩ.

- Alea jacta est! - მდაბლად დაუკრა თავი სტეპან ტროფიმოვიჩმა და მღელვარებისაგან ცოცხალ-მკვდარი დაბრუნდა შინ.

თავი მეექვსე. პიოტრ სტეპანოვიჩი გაწამაწიაშია

I

ზეიმის დღე საბოლოოდ გადაწყდა და დაინიშნა, მაგრამ ფონ ლემბკე ისეთი დაღონებული და დაფიქრებული ჩანდა ამ დღეებში, ისეთი უცნაური და ავი წინაგრძნობები ტანჯავდა, იულია მიხაილოვნა დიდად შეაშფოთა. ესეც კია, რომ ყველაფერი რიგზე ვერ იყო. ჩვენს წინანდელ ღმობიერ გუბერნატორს საქმეები მაინცდამაინც კარგად ვერ დაეტოვებინა. ამჟამად ქოლერის საშიშროება ახლოვდებოდა; აქა-იქ საქონლის ჭირმაც იჩინა თავი. ქალაქებსა და სოფლებში მთელი ზაფხული ხანძარი მძვინვარებდა. ხალხში უფრო და უფრო მკვიდრდებოდა უსაფუძვლო ხმები, ვიღაც განზრახ გვბუგავსო და გვწვავსო. ძარცვა-გლეჯამ წინანდელზე ორჯერ იმატა. მაგრამ ეს ამბები მაინც ჩვეულებრივად ჩაითვლებოდა,

თუ რომ სხვა უფრო საფუძვლიან მიზეზებს არ დაერღვია აქამდე სვებდნიერი ანდრეი ანტონოვიჩის სულიერი სიმშვიდე.

ყველაზე მეტად ის აოცებდა იულია მიხაილოვნას, რომ მისი ქმარი დღითიდღე უფრო სიტყვაძვირი და, რაც მთავარია, გულჩათხრობილი ხდებოდა. საამისო კი ახარა ჰქონდა? მართალია, იშვიათად ედავებოდა ცოლს და მეტწილად ყველაფერს უთმობდა. იულია მიხაილოვნას დაჟინებით გატარდა, მაგალითად, გუბერნატორის ძალაუფლების გაძლიერების მიზნით ორი-სამი საეკვო და თითქმის უკანონო ღონისძიება. იმავე მიზნით უკანონოდ დააფარეს ხელი იმ ხალხს, ვინც, მაგალითად, სამართალში მიცემისა და გაციმბირების ღირსი იყო, იულია მიხაილოვნას მოთხოვნით კი ჯილდოზე წარადგინეს. ზოგიერთ საჩივარსა და შეკითხვაზე წესად შემოიღეს სისტემატურად არ გაეცათ პასუხი. ეს ყველაფერი შემდეგში გამომზეურდა. ლემბკე არა მარტო ყველაფერს აწერდა ხელს, იმასაც არ უფიქრდებოდა, რაოდენ დიდი წილი ედო იულია მიხაილოვნას მის მოვალეობათა აღსრულების საქმეში. სამაგიეროდ, დროდადრო იმისთანა „სულელურ წვრილმანებზე“ ატეხდა დავიდარაბას და ყალყზე შედგებოდა, იულია მიხაილოვნა სახტად რჩებოდა. ცხადია, აჯანყების ეს წუთები ანაზღაურების მოთხოვნილება გახლდათ სხვა დღეებში გამოჩენილი მორჩილებისთვის. ხომ გამჭრიახი ქალი იყო იულია მიხაილოვნა, სამწუხაროდ, მაინც ვერ ჩასწვდა ამ კეთილშობილ ბუნებას. ვაი რომ საამისოდ არ ეცალა და ეს გახდა მიზეზი ბევრისაგან ბევრი გაუგებრობისა.

მე მართებულად არ მიმაჩნია და ვერც მოვახერხებ ალბათ ზოგიერთ ამბავზე მოგახსენოთ. არც ადმინისტრაციულ შეცდომებზე მსჯელობა გახლავთ ჩემი საქმე და, საერთოდ, სულაც არ შეეხები ამ ადმინისტრაციულ მხარეს. ქრონიკის დასაწყისში მე სულ სხვა ამოცანები მქონდა დასახული. ესეც არ იყოს, ბევრ რასმე გამოამჟღავნებს ალბათ ამჟამად ჩვენს გუბერნიაში წარმოებული კვლევა-ძიება, თუ მოთმინებას ვიქონიებთ. მაგრამ ზოგ ამბავს მაინც გვერდს ვერ ავუვლი.

მე ისევ იულია მიხაილოვნაზე განვაგრძობ. საწყალ ქალს (მე ძალიან მწყდება მასზე გული) ჩვენში პირველი ნაბიჯიდანვე დასახულ იმ მეტისმეტად ექსცენტრიულ საშუალებათა გარეშე შეეძლო ყველაფრისთვის მიედწია, რაც ასე ხიბლავდა და იზიდავდა (დიდება იყო ეს თუ სხვა რამ). მაგრამ იქნებ ნამეტნავი პოეტური ბუნებისაგან, ან იქნებ იმიტომ, რომ ბევრჯერ გასცრუებია სიყმაწვილეში იმედები, ეს კია, ბედის ჩარხის შეტრიალებასთან ერთად რატომღაც უცბად წარმოიდგინა თავი მოწოდებულად და ლამის მირონცხებულად, „ვისაც შარავანდედი დაედგა თავზე“. მთელი უბედურება კი სწორედ ამ შარავანდედში იყო; ის ხომ მართლა შინიონი არ არის, ყველამ წამოიცვას თავზე. მაგრამ მოდი და ამ ჭეშმარიტებაში დაარწმუნე ქალი. პირიქით, ის მოიგებს, ვინც დაემოწმება და კვერს დაუკრავს. კვერის დამკვერელნი კი, იცოცხლე, ბევრი გამოუჩნდა. საწყალი ქალი მყისვე გახდა სხვადასხვა მიმართულების სათამაშო ბურთი, თუმცა კი იმავე დროს ფრიად ორიგინალური აზრების მქონედ წარმოედგინა თავი. ლიქნის ბევრმა ოსტატმა მოითხო მის გვერდით ხელი და კარგად გამოიყენა მისი გულუბრყვილობა. მერედა რა დომხალი გამოუდიოდა ვითომდა დამოუკიდებლობის სახელით. იულია მიხაილოვნას მოსწონდა დიდი მემამულეებიც, მოსწონდა არისტოკრატებიც, მომხრე იყო გუბერნატორის ძალაუფლების გაძლიერებისაც, არ იწუნებდა დემოკრატიულ ელემენტსაც, ახალ დაწესებულებებსა და წყობილებას, იტაცებდა თავისუფალი აზროვნება, მოსოციალისტო იდეები, მოსწონდა გოროზობა არისტოკრატთა

თავგასულობაც. ოცნებად ჰქონდა გადაქცეული ყველა გაებდნიერებინა და შეერიგებინა, უფრო სწორად, ყველას გაედმერთებინა იგი. ჰყავდა გამორჩეული ხალხიც: ახალგაზრდა ვერხოვენსკი, მაგალითად, ძალიან მოსწონდა, რაკი ის აშკარად ეპირფერებოდა. მოსწონდა კიდევ ერთი საკვირველი მიზეზის გამოც, რაც ძალიან კარგად ასურათებს ამ საწყალ ქალს: ერთთავად იმედი ჰქონდა, ვერხოვენსკი სახელმწიფო შეთქმულებას გამიმძღავნებსო. დიახ, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ასე კია. რატომღაც დარწმუნებული იყო, გუბერნიამი უთუოდ სახელმწიფო შეთქმულება არსებობსო. ახალგაზრდა ვერხოვენსკი ზოგ შემთხვევაში გაჩუმებით და ზოგში ქარაგმებით უფრო უმტკიცებდა ამ უცნაურ აზრს. ქალს წარმოდგენილი ჰქონდა, რუსეთში ყოველგვარ რევოლუციურ მოძრაობასთან კავშირი აქვს გაბმული და ამავე დროს ჩემი ერთგული და მალმერთებელი არისო. შეთქმულების გამჟღავნება, პეტერბურგიდან გამოგზავნილი მადლობა, ბრწყინვალე კარიერა, ახალგაზრდებზე „მოფერებით“ ზემოქმედება მათი უფსკრულის პირას გასაჩერებლად, - ეს ყველაფერი მშვენივრად თვისდებოდა მის ფანტასტიკურ ტვინში. ხომ იხსნა და დაიმორჩილა ახალგაზრდა ვერხოვენსკი (ამაში ეჭვი არ ეპარებოდა), ასევე იხსნის სხვებსაც. მათგან არავინ, არავინ დაიღუპება, იგი ყველას იხსნის. იგი მათ დაახარისხებს; ისეთნაირად მოახსენებს იმათზე; მოიქცევა ისე, როგორც უზენაესი ჭემმარიტება მოითხოვს და იქნებ ისტორიამ და მთელმა რუსულმა ლიბერალიზმმა დალოცოს და აკურთხოს მისი სახელი; შეთქმულება კი მაინც გამჟღავნებული იქნება. მოკლედ, ორ კურდღელს ერთად დაიჭერს.

მაგრამ ამისთვის საჭირო იყო, ანდრეი ანტონოვიჩს ზეიმისთვის მაინც გამოკეთებოდა გუნება და დამშვიდებულიყო. ჰოდა, ამ მიზნით ახალგაზრდა ვერხოვენსკი მიუვლინა ქმარს, იქნებ მისებური დამამშვიდებელი ხერხი იხმაროს და ჭმუნვა გადააყრევინოსო. იქნებ აცნობოს და უთხრას რამე, ასე ვთქვათ, პირველ წყაროდანო. მისი მოხერხების დიდი იმედი ჰქონდა იულია მიხაილოვნას. ყმაწვილი ვერხოვენსკი დიდი ხანია უკვე აღარ ყოფილა ბატონ ფონ ლემბკეს კაბინეტში. სწორედ მაშინ მიეჭრა, როცა პაციენტი ყველაზე ცუდ გუნებაზე გახლდათ.

II

მოხდა ისეთი ამბავი, რასაც ფონ ლემბკე ვერაფრით ვერ წაუყრებდა. მაზრაში (სადაც ამას წინათ ყმაწვილმა ვერხოვენსკიმ წაიქეიფა) ერთ პოდპორუჩიკს მისმა უფროსმა სიტყვიერი საყვედური გამოუცხადა მთელი ასეულის წინაშე. პოდპორუჩიკი ახალგაზრდა კაცი იყო, პეტერბურგიდან ახლახან ჩამოსული, უჟმური, გულჩათხრობილი და შესახედად ერთი მედიდური ვინმე, თუმცა ჩასქელებული, დაბალი და ლოყებლაჟღაჟა. საყვედური ვერ აიტანა, დახარა თავი და ისეთი მოულოდნელი ღმუილით ეცა უფროსს, მთელმა ასეულმა პირი დაალო. ჯერ გაარტყა და მერე მთელი ძალით ჩააფრინდა კბილებით მხარში. ძლივს მოაგლიჯეს. ნამდვილად შექანებულიყო უბედური, ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელ ხანს ყოვლად უცნაური საქციელი დასჩემებოდა. მაგალითად, თავის ბინიდან სახლის პატრონის ორი ხატი გამოყარა და ერთი ნაჯახითაც დაჩეხა. მათ მაგივრად ფოხტის, მოლემოტისა და ბიუხნერის[194] თხზულებანი დაასვენა ხატივით და სამივეს სანთელი დაუნთო წინ. წიგნები იმდენი უნახეს, კაცი იფიქრებდა, დიდად ნაკითხი იქნებო. ორმოცდაათი ათასი ფრანკი რომ ჰქონოდა, ეგებ მარკიზის კუნძულებზე გამგზავრებულიყო, იმ „კადეტისა“ არ იყოს, რომელსაც ბატონი გერცენი ერთ-ერთ

თავის თხზულებაში ესოდენ მხიარული იუმორით იხსენიებს[195]. დაჭერისას პოდპორუჩიკს მთელი დასტა პროკლამაციები აღმოუჩინეს სახლშიაც და კიბეებშიც.

პროკლამაციები თავისთავად დიდ არაფერს წარმოადგენდა და, ჩემი აზრით, არც თავის შეწუხებად ღირდა. ცოტა კი არ გვინახავს ისინი. ამასთან არც ახლები იყო: როგორც მერე თქვეს, ზუსტად ასეთი აღმოუჩენიათ ხ-ის გუბერნიაში ამას წინათ. ლიპუტინიც ამ თვე-ნახევრის წინ მაზრასა და მეზობელ გუბერნიაში ყოფილა საქმეზე და ირწმუნებოდა, ზუსტად ეგეთი პროკლამაციები ვნახე იქაცო. მაგრამ ანდრეი ანტონოვიჩი უფრო იმან განაცვიფრა, შპიგულინების ქარხნის მმართველმა რომ სწორედ იმ დღეებში ორი თუ სამი დასტა ზუსტად ისეთი პროკლამაციები წარადგინა პოლიციაში, როგორც პოდპორუჩიკს აღმოუჩინეს. თურმე ღამით დაუყრიათ ქარხანაში, დასტები გაუხსნელი იყო და მუშებიდან ვერავის მოესწრო წაკითხვა. მაგრამ ამ სულელურმა ფაქტმა ანდრეი ანტონოვიჩი მაინც საგონებელში ჩააგდო და საქმე არასასიამოვნო, გაზვიადებული სახით წარმოუდგა.

ამ შპიგულინების ქარხანაში ახალი დაწყებული იყო სწორედ ის „შპიგულინისეული ისტორია“ [196], რომლის ირგვლივ ამდენი ლაპარაკი ატყდა ჩვენში და რომელიც ასეთივე ვარიანტებით მოხვდა დედაქალაქის გაზეთების ფურცლებზე. სამიოდე კვირის წინ იქ ერთი მუშა აზიური ქოლერით გამხდარა ავად და მომკვდარა. შემდეგ კიდევ რამდენიმე კაცი ჩაწვა. ქალაქში ყველა შიშის ზარმა აიტანა, ქოლერა რომ მათ მეზობელ გუბერნიაში აღმოჩნდა. აქვე აღვნიშნავ, რომ ამ დაუპატიჟებელი სტუმრის დასახვედრად ჩვენში შეძლებისდაგვარად დამაკმაყოფილებელი სანიტარიული ზომები მიიღეს, მაგრამ შპიგულინების ქარხანა, რომლის პატრონები მილიონერები და დიდი გავლენის ხალხი იყო, რატომღაც გამორჩათ მხედველობიდან. ჰოდა, ერთბაშად ყველანი აყაყანდნენ, ავადმყოფობის კერა იქ არის; ქარხანაში და მეტადრე მუშების ბინებში ისეთი სიბინძურე სუფევს, ქოლერა რომც არ ყოფილიყო, იქ მაინც გაჩნდებოდაო. რა თქმა უნდა, მყისვე მიიღეს ზომები. ანდრეი ანტონოვიჩმა ენერგიულად დაიჟინა, დაუყოვნებლივ ყველაფერი შეასრულეთო. ქარხანა სამიოდე კვირაში მოიყვანეს წესრიგში, შპიგულინებმა კი ერთბაშად დაკეტეს, რატომ, კაცმა არ იცის. შპიგულინებიდან ერთი მძა ნიადაგ პეტერბურგში ცხოვრობდა, მეორემ დაჰკრა ფეხი და მოსკოვს გაემგზავრა, როცა მთავრობამ ქარხნის დასუფთავების განკარგულება გამოსცა. ქარხნის მმართველი მუშების დათხოვნას შეუდგა და, როგორც ახლა გამომჟღავნდა, უტიფრადაც მოატყუა ისინი. მუშებმა დრტვინვა დაიწყეს, სამართლიანად გაგვისწოროს ანგარიშით, მერე ადგნენ და თავიანთი სიბრყვიით პოლიციაში მივიდნენ, თუმცა იქ აურზაური არ აუტეხიათ. სწორედ ამ ხანებში მოუტანეს ანდრეი ანტონოვიჩს მმართველის გამოგზავნილი პროკლამაციები.

ახალგაზრდა ვერხოვენსკი კაი შინაური და მეგობარი კაცივით შეუვარდა კაბინეტში, მეტადრე რომ იუღია მიხაილოვნას დავალებით მიდიოდა. მსახური წინასწარ არ შეუგზავნია. მის დანახვაზე ფონ ლემბკემ შუბლი შეიკრა და მაგიდასთან გაჩერდა. მანამდე კაბინეტში ბოლთას სცემდა და რაღაცაზე ეთათბირებოდა თავისი კანცელარიის მოხელე ბლიუმს. ეს მოუქნელი და უჟმური გერმანელი, იუღია მიხაილოვნას დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, გუბერნატორს თან ჩამოეყვანა პეტერბურგიდან. ყმაწვილი ვერხოვენსკის შემოსვლისას ბლიუმი კართან მიდგა, მაგრამ არ გასულა. ვერხოვენსკის მოეჩვენა, ლემბკემ და ბლიუმმა ერთმანეთს გადახედეს და რაღაც ანიშნესო.

- ოჰო, ძლივს არ მოგიხელთეთ, ჩვენო გულჩახვეულო ქალაქის თავო! მაშ, ესეც შეემატა თქვენს კოლექციას? - სიცილით შესძახა სტუმარმა და მაგიდაზე დადებულ პროკლამაციას ხელი დაადო.

ანდრეი ანტონოვიჩი აპილპილდა, სახე მოეღრცა.

- ამ წუთას გაუშვით ხელი! - შეჰყვირა სიბრაზისაგან აკანკალებულმა, - არ გაბედოთ, მოწყალეო ბატონო, და...

- რა იყო, ხომ არ გაჯავრდით?

- უნდა მოგახსენოთ, მოწყალეო ბატონო, რომ ამიერიდან აღარ მოვითმენ მაგ თქვენს sans façon[197] და გთხოვთ ისიც გაიხსენოთ...

- ფუი, ეშმაკმა დალახვროს, მგონი, მართლა არ ბრაზობს!

- ხმა, კრინტი! - ფეხი დაჰკრა ხალიჩას ფონ ლემბკემ, - არ გაბედოთ და...

ღმერთმა იცის, რით დამთავრდებოდა ეს ყოველივე. სამწუხაროდ, სხვა ყველაფრის გარდა კიდევ იყო ერთი გარემოება, რაზეც ახალგაზრდა ვერხოვენსკის კი არადა, იუღია მიხაილოვნასაც არ ჰქონდა წარმოდგენა. საწყალი ანდრეი ანტონოვიჩი იქამდე მისულიყო, უკანასკნელ ხანებში თავის მეუღლესა და ვერხოვენსკიზე ეჭვიანობდა გულში. ეს ეჭვიანობა კი მარტოობისას, განსაკუთრებით ღამდამობით, უსიამოვნოზე უსიამოვნო წუთებს ატარებინებდა.

- მე კი მეგონა, თუ კაცი ორი დღე ზედიზედ შუადამემდე გიკითხავს თავის რომანს შენი აზრის გასაგებად, აღარც ოფიციალობას გამოეკიდება-მეთქი მერე... იუღია მიხაილოვნა შინაურივით მიღებს; თქვენი რა გაიგოს კაცმა? ჰა, ბატონო, თქვენი რომანიც, - ამყადაც კი წარმოთქვა ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ და მაგიდაზე ლურჯ ქალღმერთში გულდაგულ შეხვეული კარგა მოზრდილი რვეული დადო.

ლემბკე გაწითლდა და შეიშმუშნა.

- სად იპოვეთ? - ჰკითხა თავდაჭერით და სიხარული ვეღარ დამალა, თუმცა კი ძალიან უნდოდა დაემალა.

- წარმოგიდგენიათ, კომოდის უკან გადაგორებულა. ეტყობა, შესვლისთანავე კომოდზე ვისროლე. სამი დღეა, რაც მიპოვეს, ისიც იატაკის მორეცხვისას. კაი საქმე კი გამიჩინეთ!

ლემბკემ გოროზად დახარა თავი.

- ორი ღამე არ მიძინია თქვენი წყალობით. სამი დღის წინათ ნახეს, მაგრამ არ მოგიტანეთ, სულ ვკითხულობდი, დღისით არ მეცალა და ღამდამობით ვუჯექი. იცით რა? არ მომეწონა: ეს ჩემი აზრი არ გახლავთ. თუმცა მიმიფურთხებია, მე კრიტიკოსი არა ვარ და არც ვყოფილვარ არასოდეს. მაგრამ ვერ მოვწყდი, ბატონო ჩემო, ვერ მოვწყდი, თუმცა უკმაყოფილო ვიყავი! მეოთხე და მეხუთე თავი ეს... ეს... ეშმაკმა არ იცის, რა არის! მერე და რამდენი იუმორი ჩაგირთავთ შიგ, რა ვიხარხარე. არა, როგორ ახერხებთ მაინც კაცის გამასხარავებას. ისიც ასე sans que cela paraisse[198]. მეცხრესა და მეთეს რაც შეეხება, სულ სიყვარულზეა, ეს ჩემი საქმე არ გახლავთ; ისე

კი ეფექტური არის; იგრენევის წერილზე კინაღამ ავფშლუკუნდი, თუმცა ოსტატურად კი გყავთ გამოყვანილი... იცით, გულს აუჩვილებთ და ამავე დროს თითქოს მის სიყალბესაც შეპარვით აგრძნობინებთ კაცს. მიგიხვდით თუ არა? მაგრამ დაბოლოებისათვის მართლა შემომელახებოდით. აბა რას ქადაგებთ, ჰა? ძველის კვალობაზე ოჯახურ ბედნიერებას, გამრავლებას, გამდიდრებას? გაბედნიერდნენ, გამდიდრდნენ და არხეინად ცხოვრობენო. რას ბრძანებთ! მკითხველი ხომ მოხიბლეთ, მე რომ ვარ, მეც ვერ მოვწყდი, მეტი რა გინდათ. მაგრამ მით უარესი. ჩვენი ბრიყვი მკითხველი ჭკვიანმა ხალხმა ცოტა უნდა შეანჯღრიოს და გამოაფხიზლოს, თქვენ კი... თუმცა კმარა, მშვიდობით. სხვა დროს ნულარ გამიჯავრდებით; მინდოდა ორიოდე საჭირო სიტყვა მეთქვა და ამიტომ მოვედი; მაგრამ რაღაც ისე კი შემხვდით...

ანდრეი ანტონოვიჩმა ამასობაში თავისი რომანი მუხის კარადაში ჩაკეტა და ბლიუმს თვალთ ანიშნა, გაგვეცალეო. ბლიუმი დაღრეჯილი სახით მიიმალა.

ლემბკემ წარბი შეიკრა, თუმცა გაბრაზება აღარ ეტყობოდა, მაგიდას მიუჯდა და წაიბურტყუნა:.

- ისე კი არ შეგხვდით, უბრალოდ... ამ უსიამოვნო ამბებმა... დაბრძანდით და მითხარით ეგ თქვენი ორი სიტყვა. რა ხანია არ მინახავხართ, პიოტრ სტეპანოვიჩ, ოღონდაც ამის შემდეგ ნულარ შემოიჭრებით ხოლმე თქვენებურად... ხომ იცით, ზოგჯერ კაცს ისეთი საქმეები აქვს!..

- მე თუ შემოვიჭერი...

- ვიცი, ვიცი და მწამს, განზრახ არ გიქნიათ, მაგრამ ხანდახან ისეთ გაწამაწიაშია კაცი... დაბრძანდით-მეთქი.

ყმაწვილი ვერხოვენსკი დივანზე გაიშხლართა და ფეხები მოიკეცა.

III

- ნეტა რა გაწამაწიაში ხართ, ამ სისულელეებს ხომ არ გულისხმობთ? - თავი გაიქნია პროკლამაციებისკენ. - მაგისტანებს, რამდენსაც გნებავთ, იმდენს მოგიტანთ, ჯერ კიდევ ხ-ის გუბერნიაში გავეცანი.

- ანუ იქ რომ იყავით, მაშინ, არა?

- აბა იქ რომ არ ვყოფილიყავი, რას ვნახავდი. ზემოთ, მგონი, ნაჯახიც ახატია. ნება მიბოძეთ ერთი (ვერხოვენსკი პროკლამაციას მისწვდა); აკი ვთქვი, ნაჯახია-მეთქი. სწორედ ის არის, ზუსტად ის...

- დიახ, ნაჯახი ახატია. ხომ ხედავთ, ნაჯახია.

- მერედა ნაჯახისა შეგეშინდათ?

- ნაჯახის კი არ შემეშინდა... აქ სულ სხვა ამბავია.

- რა ამბავია? ის, რომ ქარხნიდან მოიტანეს? ჰე-ჰე-ჰე. იცით კი, რომ მაგ თქვენს ქარხანაში თვითონ მუშები დაიწყებენ მალე პროკლამაციების წერას.

- ეს როგორ? - მკაცრად მიაჩერდა ფონ ლემბკე.

- როგორ და ისე. მაგათ კაცმა თვალი არ უნდა მოაშოროს. ეჰ, მეტისმეტად ლმობიერი კაცი ბრძანდებით, ანდრეი ანტონოვიჩ; რომანებს წერთ. აქ კი მამაპაპური მათრახია საჭირო.

- რას ნიშნავს მამაპაპური მათრახი, ჭკუას ხომ არ მარიგებთ? ქარხანა გაწმინდეს. მე ვბრძანე და გაწმინდეს.

- მუშებში კი ამბობია. ზურგი უნდა აუჭრელოთ ყველას და საქმეც მორჩება.

- ამბობიო? რაებს ჩმახავთ; მე ვბრძანე და გაწმინდეს.

- ეჰ, ანდრეი ანტონოვიჩ, რა ლმობიერი კაცი ბრძანდებით!

- ჯერ ერთი, სულაც არა ვარ ლმობიერი, მეორეც... - ლამის ისევ იწყინა ფონ ლემბკემ. ამ ყმაწვილ კაცთან უჭირდა ლაპარაკი და, თუ ელაპარაკებოდა, მხოლოდ იმიტომ, ახალი ხომ არაფერი წამოცდებოდა.

- ერიჰაა, ესეც ძველი ნაცნობი! - გააწყვეტინა ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ და პრეს-პაპიედან ახალი ფურცელი გამოაძვრინა. ისიც პროკლამაცია იყო, საზღვარგარეთ დაბეჭდილი, ოღონდ ლექსად, - მგონი, ზეპირად ვიცი. ვნახოთ აბა! დიახ, „ნათელი პიროვნება“ ყოფილა. საზღვარგარეთ ვნახე ეს ნათელი პიროვნება. სად გამოქვეყნეთ?

- თქვენ ამბობთ, საზღვარგარეთ ვნახეო? - შეტოკდა ფონ ლემბკე.

- მაშ, მაშ, ოთხი თუ ხუთი თვის წინათ.

ლემბკემ გამომცდელი თვალთ შეხედა: - რაღაც ბევრი რამ კი გინახავთ საზღვარგარეთ.

ვერხოვენსკიმ ყური არ ათხოვა, ფურცელი გაშალა და ხმამაღლა წაიკითხა ლექსი: ნათელი პიროვნება[199]

დიდგვაროვანთა არ იყო გვარის, ის გაიზარდა შიგ ხალხში მდგარი, მაგრამ დევნილმა მეფის რისხვითა

და ბოიართა ბოროტი შურით, აღარ ჩათვალა ტანჯვა არაფრად, სასჯელი ან სხვა დავიდარაბა, აღდგა უშიშრად და ხალხს აუწყა

ძმობა, ერთობა, თავისუფლება.

და რომ დაეწყო მას აჯანყება, იგი გაექცა მეფის კაზემატს, მეფის მათრახებს, მეფის მარწუხებს

და მიაშურა უცხო მხარეებს.

ხალხი კი მძიმე ბედქვეშ მგმინავი, აჯანყებისთვის გამზადებული, თვით სმოლენსკიდან შორ ტაშკენტამდე

სტუდენტს ელოდა მოუთმენელად.

საყოველთაოდ ელოდა ყველა, რომ უყოყმანოდ, შეუდრეკელად

დაემხოთ ბოლოს ბოიარები, სახელმწიფო და მეფის ჯარები, რომ ყოფილიყო მიწა საერთო, აწ და მარადის რომ უარეყოთ -

ძველი სამყაროს ბოროტებანი!

- ალბათ იმ ოფიცერს უნახეთ, არა? - ჰკითხა ვერხოვენსკიმ.

- მაშ იმ ოფიცერსაც იცნობთ?

- ვიცნობ და ეგრე. ორი დღე ერთად ვიქეიფეთ. მაშინაც ეტყობოდა, თავის ჭკუაზე ვერ იყო.

- იქნებ ძალიან კარგადაც იყო.

- საიდან ატყობთ? კაცი რომ დაკბინა, იმიტომ?

- არა, თქვენ ის მიბრძანეთ, თუ ეს ლექსი საზღვარგარეთ ნახეთ და მერე კი იმ ოფიცერსაც უნახეთ...

- რაო? საკვირველია! ხომ არ მცდით, ანდრეი ანტონოვიჩ? იცით, რას გეტყვით, - საოცრად დადინჯდა უცებ ვერხოვენსკი, - რაც მე საზღვარგარეთ ვნახე, იმის თაობაზე უკვე მოვახსენე დაბრუნების შემდეგ, საცა საჭირო იყო, და ჩემი მოხსენება დამაკმაყოფილებლად ჩათვალეს, თორემ ამ ქალაქს ჩემი ჩამოსვლით ვერ გავაბედნიერებდი. ჩემი საქმეები ამ მხრივ მოთავებულად მიმაჩნია და მოვალე არ ვარ ვინმეს ანგარიში ჩავაბარო. არა იმიტომ, დამსმენი გახლავართ, უბრალოდ, სხვანაირი მოქცევა არ შემემლო. ის ხალხი, ვინც იუღია მიხაილოვნას ჩემზე მოსწერა, საქმეში გარკვეული იყო და მოიწერეს, როგორც პატიოსან ადამიანზე... თუმცა ჯანდაბას ეს ყველაფერი; მე იმიტომ მოვედი, ერთი სერიოზული ამბავი მეთქვა. კიდევ კარგი, ის თქვენი ბუხრის მწმენდავი გაისტუმრეთ აქედან. მე დიდი საქმე მაქვს, ანდრეი ანტონოვიჩ, ერთი რამე უნდა გთხოვოთ.

- მთხოვოთ? ჰმ, ბატონი ბრძანდებით, გამოვტყდები და დიდად მაინტერესებს, თუმცა კი საკმაოდ მაკვირვებთ, პოტრ სტეპანოვიჩ!

ფონ ლემბკე აღელვებული ჩანდა. ვერხოვენსკიმ ფეხი ფეხზე შემოიდო.

- პეტერბურგში ბევრი რამ გულახდილად ვაღიარე, მაგრამ სხვაზე კი, აი თუნდაც, მაგალითად, ამაზე (თითი დაჰკრა „ნათელ პიროვნებას“) ხმა არ ამომიღია; ჯერ ერთი იმიტომ, სალაპარაკოდ არ ღირდა, მეორეც - მხოლოდ იმაზე ვუპასუხე, რაც მკითხეს. არ მიყვარს ასეთ რამეებში მეტიჩრობა. ჩემი აზრით, განსხვავებაც ეს არის უნამუსოსა და პატიოსანს შორის, ვინც მხოლოდ გარემოებამ აიძულა... თუმცა ამას მოვეშვით. ახლა კი, ბატონო ჩემო... ახლა, როცა ამ ბრიყვებმა... ერთი სიტყვით, როცა ეს ამბავი გამომჟღავნდა და უკვე ყველაფერი იცით, ვატყობ კი, თქვენგან არაფერი დაიმალევა, ისე გიჭრით თვალი და ისეთი გულჩათხრობილი კაცი ხართ, ეს ჩერჩეტები კი მაინც თავისას განაგრძობენ, მე... მე... მოკლედ, მე მოვედი რომ გთხოვოთ, ერთი კაცი გადამარჩინოთ, ერთი ისეთივე ჩერჩეტი და, მგონი, გიჟიც. გადაარჩინოთ იმიტომ, რომ ყმაწვილია, იმიტომ რომ ბევრი უბედურება გამოიარა, იმიტომ რომ ჰუმანური კაცი ბრძანდებით... მარტო საკუთარ რომანებში ხომ არა ხართ მართლა ჰუმანური! - გესლიანად მოსხიპა სიტყვა ვერხოვენსკიმ.

ერთი სიტყვით, იგრძნობოდა კაცი პირდაპირი, რომელსაც ჰუმანურ გრძნობათა მოჭარბება და იქნებ მეტისმეტი პატიოსნება ხდიდა ასე მოუქნელ პოლიტიკოსად. რაც მთავარია, ჩანდა მისი ჰკუამოკლეობა და ეს მყისვე გასაოცარი სიმახვილით შეამჩნია ფონ ლემბკემ. ის დიდი ხანია ამას ეჭვობდა. განსაკუთრებით ამ ბოლო კვირას, როცა კაბინეტში დამდამობით მარტო რჩებოდა და თავის გულში ათასნაირად უკუერთებდა, იუღია მიხაილოვნას ასე რით მოაწონა თავიო.

- ვისზე მთხოვთ და რას ნიშნავს ეს ყველაფერი? - მედიდურად იკითხა ფონ ლემბკემ და შეეცადა ცნობისმოყვარეობა არ დაემჩნია.

- ეგ... ეგ.. ფუი, დასწყევლოს ღმერთმა... არა, რა ჩემი ბრალია, თქვენი რომ მწამს. რა ჩემი ბრალია, უკეთილშობილეს და, რაც მთავარია, გამჭრიახი ჰკუის კაცად რომ მიმაჩნისართ... ვისაც გაგებაც აქვს და... ფუი, დასწყევლოს ღმერთმა...

საცოდავი, ეტყობა, თავს ვედარ მორეოდა.

- არა, ისიც გამიგეთ, სახელი რომ გითხრათ, ხომ გავეცი და ვუღალატე? ვუღალატე თუ არა? ჰო თუ არა?

- კი მაგრამ, თუ არ მეტყვით, როგორღა გავიგო?

- აი სწორედ მაგ თქვენი ლოგიკით მოტეხავთ ხოლმე მუდამ კაცს, დალაზვროს ემმაკმა... ეგ... ეგ „ნათელი პიროვნება“, ეგ „სტუდენტი“ - შატოვი გახლავთ... აი, ვთქვი და გავათავე!

- შატოვი? რომელი შატოვი?

- ვინა და ის „სტუდენტი“ შატოვი, ვისაც აქ ახსენებენ. ამ ჩვენს ქალაქში ცხოვრობს. აი, ის ნაყმევი, სილა რომ გააწნა.

ლემბკემ თვალეზი მოწკურა.

- ვიცი, ვიცი! მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, კერძოდ რა ბრალდება და, რაც მთავარია, რაზე შუამდგომლობთ?

- რადა გადარჩენა მინდა მისი, გესმით! მე ხომ მაგას ჯერ რვა წლის წინათ ვიცნობდი, რა იცით, იქნებ მეგობარიც იყო ჩემი, - ცხარობდა ვერხოვენსკი. - თუმცა რა ვალდებული ვარ ჩემი წინანდელი ცხოვრების ანგარიში ჩაგაბაროთ, - ხელი ჩაიქნია მან, - ყველაფერი ეს სისულელეა, სამ-ნახევარი კაცი თუ იქნება, იმ საზღვარგარეთელებთან ერთად ათიც არ დაითვლება, რაც მთავარია - თქვენი ჰუმანური გულისა და ჰკუის იმედი მაქვს. თქვენ გაიგებთ, რომ ეს გაუბედურებული, დამთხვეული კაცის სულელური ოცნებაა... და არა რაღაც საშინელი სახელმწიფო შეთქმულება!..

ვერხოვენსკის ლამის სული შეეხუთა.

- ჰმ, ვხედავ, ის ნაჯახიანი პროკლამაციები მაგის ბრალია, - თითქმის ზვიადად დაასკვნა ლემბკემ, - მაგრამ ერთი ესეც მიბრძანეთ, მარტო ეგ როგორ მოახერხებდა პროკლამაციების ყველგან დაყრას, აქ, პროვინციებში, ხ-ის გუბერნიაში, ან... ან საიდან მოიტანა?

- აკი გეუბნებით, დიდი-დიდი ხუთ კაცი იყოს. ჰა და ჰა, ათი; მე რა ვიცი?

- არ იცით?

- აბა საიდან უნდა ვიცოდე, დასწყევლოს ღმერთმა?

- ის ხომ იცით, შატოვი რომ ერთ-ერთი მონაწილეა?

- ეეჰ! - ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ ისევ ჩაიქნია ხელი, თითქოსდა მოსაუბრის გამჭრიახობამ ფარ-ხმალი დააყრევინა, - მაშ კარგი, გეტყვით სიმართლეს: პროკლამაციებისა არაფერი ვიცი, სულ არაფერი, ჯანდაბას მაგათი თავი, გესმით, რას ჰქვია არაფერი?... ჰო, რა თქმა უნდა, ეს პოდპორუჩიკი ურევია, კიდევ ერთი ვიღაც, შემდეგ აქაც არის ერთი... ჰოდა, იქნებ შატოვიც, კიდევ ერთი სხვაც, ესაა და ეს, გლახაკები და უზადრუკები... მაგრამ მე მინდა შატოვზე გთხოვოთ, ის მინდა გადამირჩინოთ, ვინაიდან ეს ლექსი მისია, მისი საკუთარი, საზღვარგარეთაც მისი მეოხებით დაიბეჭდა. აი, რაც ვიცი დანამდვილებით, პროკლამაციებისა კი სულ არაფერი ვიცი.

- თუ ლექსი მისია, პროკლამაციებიც მისი იქნება. მაგრამ რა საბუთით მიგაქვთ შატოვზე ეჭვი?..

ახალგაზრდა ვერხოვენსკის თითქოს საბოლოოდ გაუწყდა მოთმინების ძაფი, ჯიბიდან საფულე იძრო, საფულიდან ბარათი, მაგიდაზე დააგდო და შესძახა: - აი, საბუთი!

ლემბკემ ბარათი გაშალა. ბარათი ნახევარი წლის წინათ დაეწერათ საზღვარგარეთ გასაგზავნად. ორიოდ სიტყვისაგან შედგებოდა: „ნათელ პიროვნებას“ აქ ვერ დავბეჭდავ, საერთოდ არც არაფერი შემიძლია; დაბეჭდეთ საზღვარგარეთ.

ივ. შატოვი

ლემბკე ვერხოვენსკის მიაშტერდა. ვარვარა პეტროვნა მართალს ამბობდა, გამოთავყვანებული თვალები აქვსო.

- იცით, ეს რას ნიშნავს, - წამოვარდა ვერხოვენსკი, - იმას, რომ ეს ლექსი აქ დაწერა, ამ ნახევარი წლის წინათ, მაგრამ აქაურ საილუმლო სტამბაში ვერ დაბეჭდა და ამიტომ ითხოვს, საზღვარგარეთ დაბეჭდეთო... გასაგებია?

- დიახ, გასაგებია, მაგრამ ვისა თხოვს? აი, რა არ არის გასაგები, - უცბიერესი ირონიით შენიშნა ლემბკემ.

- ვისა და კირილოვს, ბარათი კირილოვს მისწერა საზღვარგარეთ... არ იცით ვითომ? მე ისა მწყინს, რომ მაგ ლექსის ამბავი თუ ყველაფერი ალბათ რა ხანია უკვე იცით, ჩემთან კი თავს იკატუნებთ მხოლოდ! მაშ საიდან გაჩნდა თქვენს მაგიდაზე? რატომ მტანჯავთ და მაწვალებთ, თუ ასეა?

ვერხოვენსკიმ შუბლიდან სიმწრის ოფლი მოიწმინდა.

- იქნებ კი ვიცი რაღაც... - მარჯვედ დაიძვრინა თავი ლემბკემ. - მაგრამ ეგ კირილოვი ვინღაა?

- ვინა და ჩამოსული ინჟინერი, სტავროგინის სეკუნდანტი, შეპყრობილი და გიჟი; მაგ თქვენს პოდპორუჩიკს იქნებ მართლაც ხურვებამ აურია ტვინი, მაგრამ ეგ რომ წმინდაწყლის გიჟია, თავს დავდებ ამაზე. ეჰ, ანდრეი ანტონოვიჩ, მთავრობამ რომ იცოდეს, ეს რა ხალხია, ხელი არ მოუტრიალდება მაგათზე. უნდა მოხვეტო ყველა და პირდაპირ წყალში გადაუძახო. ჯერ შვეიცარიაში და მერე კონგრესებზე კარგად გავიცანი ეგენი.

- საიდანაც აქაურ მოძრაობას ხელმძღვანელობენ?

- ვინ ხელმძღვანელობს, სამ-ნახევარი კაცი? მაგათ რომ უყურო, გული შეგიწუხდება. ან რა მოძრაობაზე ლაპარაკობთ? პროკლამაციებზე ხომ არა? იმასაც არ უკვირდებით, რა ხალხი ჰყავთ გადაბირებული? ხურვებისაგან შეშლილი პოდპორუჩიკი და ორი-სამი სტუდენტი! აი, თქვენ ჰკვირანი კაცი ხართ და მე გეკითხებით: რატომ უფრო დარბაისელ ხალხს ვერ იმხრობენ, რატომ სულ სტუდენტები და ოცდაორი წლის ლაწირაკები ეტანებიან? ან კი რა ბევრი ეგენი არიან? ვინ იცის, მილიონი ძალი ეძებს ახლა მათ კვალს. მაგრამ ბევრი კი აღმოაჩინეს? შვიდიოდე კაცი. გეუბნებით, მაგათი ყურება გულს შეგიწუხებს-მეთქი და მეტი არაფერი.

ლემბკე გულდასმით უსმენდა, თუმცა მისი სახე ამას მეტყველებდა: ეგ საკენკი სხვას დაუყარეო.

- მოითმინეთ, თქვენ მიმტკიცებთ, ბარათი საზღვარგარეთ არის მიწერილი; მაგრამ აქ რომ მისამართი არ სწერია; მაშ საიდან იცით, ბატონ კირილოვის სახელზეა დაწერილი და... მართლაც ბატონმა შატოვმა დაწერა?

- მოატანინეთ ახლავე შატოვის ხელნაწერი და შეადარეთ. კანცელარიაში არ შეიძლება არ იყოს მისი ხელმოწერა. ხოლო კირილოვის მისამართით რომ არის, ეს თვითონ კირილოვმა მაჩვენა მაშინ...

- მაშასადამე, თქვენც...

- დიახ, მაშასადამე, მეც, განა ცოტა რამ მაჩვენეს იქა. ამ ლექსს რაც შეეხება, ეგ თითქოს განსვენებულ გერცენს დაუწერია შატოვისათვის, როცა ეგ საზღვარგარეთ ხეტიალობდა, ეშმაკმა არ იცის, შეხვედრის სამახსოვროდ, შესაქებად თუ რეკომენდაციის მიზნით... შატოვი კი ახალგაზრდობაში ავრცელებს, აბა ნახეთ, გერცენი რა აზრის არისო ჩემზე.

- ჰოო, - მიხვდა ბოლოს ლემბკე. - მეც არ ვიფიქრე, პროკლამაცია კიდევ გასაგებია, მაგრამ ლექსი რა შუაშია-მეთქი?

- თქვენა და ვერ მიხვდებოდით, ეშმაკმა უწყის, რამ წამომაცრანტალებინა ახლა ეს ამბავი! გამიგონეთ, შატოვი დამითმეთ, სხვები კი, გინდაც იმ კირილოვის ჩათვლით, ეშმაკსაც წაუღია. ეგ კირილოვი ახლა ფილიპოვის სახლში იმალება, სადაც შატოვი დგას. მაგ ხალხს მე არ ვუყვარვარ, რატომ დაბრუნდიო... მაგრამ შატოვს თუ დამითმობთ, ყველას ლანგრით მოგართმევთ, გამოგადგებით, ანდრეი ანტონოვიჩ! მაგ უბადრუკ ჯგუფში, ჩემი აზრით, ცხრა-ათი კაცი უნდა იყოს. მე თვითონ ვადევნებ თვალს, ჩემით. სამი კაცი უკვე ვიცით: შატოვი, კირილოვი და ის პოდპორუჩიკი. დანარჩენებს ჯერჯერობით მხოლოდ ვ ს წ ა ვ ლ ო ბ... თუმცა მთლად ბეცი არც მე ვარ. აქაც იგივე ამბავია, რაც ხ-ის გუბერნიაში; პროკლამაციებით ორი სტუდენტი,

ერთი გიმნაზიელი, ორი ოც-ოცი წლის კარგი ოჯახიშვილი ყმაწვილი, ერთი მასწავლებელი და ერთი სამოცი წლის ღვინისგან გამოთაყვანებული გადამდგარი მაიორი დაიჭირეს, ეს არის და ეს, მერწმუნეთ, მეტი არავინ, გაუკვირდათ კიდეც, მეტი რომ ვერ ნახეს. მაგრამ ჩვენ კიდეც ექვსი დღე გვჭირდება. მე უკვე ვიანგარიშე; ექვსი დღე კიდეც დავიცადოთ, ექვსი დღე ხელი არ ახლოთ და მაგათ ყველას ერთად გაგიკოჭავთ. არ დაიცდით და ბუდიდან გაფრინდებიან. ოღონდაც შატოვი დამითმეთ. შატოვს მე ვიცავ... თუმცა კი აჯობებს ჩუმიად დაიბაროთ, გინდაც აქ, კაბინეტში, და მეგობრული გამოცდა მოუწყოთ, ყველაფერი მიახლოთ... ალბათ ფეხებში ჩაგივარდებათ და ატირდება! ეგ ნერვიული, უბედური კაცია; მაგისი ცოლი სტავროგინთან დაეთროდა. მოეფერეთ, დაუყვავეთ და თვითონვე დაგიფქვავთ ყველაფერს, ოღონდ ექვსი დღე მაცალეთ... რაც მთავარია, იუღია მიხაილოვნასთან არაფერი დაგცდეთ. საიდუმლოდ შეინახეთ. შემღებთ შეინახოთ?

ლემბკემ თვალეზი ჭყიტა.

- როგორ, ნუთუ იუღია მიხაილოვნასთვის არაფერი გაგიმხელიათ?

- ღმერთმა დამიფაროს! ეეჰ, ანდრეი ანტონოვიჩ! იცით, რას გეტყვით: იუღია მიხაილოვნას მეგობრობას მე ძალზე ვაფასებ. დიდ პატივსა ვცემ... და სხვა და სხვა... მაგრამ მოტყუებით არ მოვტყუვდები. მე თავის დღეში არ ვედავები, მოგეხსენებათ, მაგასთან დავა რა საფრთხილოც არის. სიტყვა შეიძლება კი გადავუკრა, ეს მოსწონს ხოლმე, მაგრამ რომ სახელები ან სხვა რამ გავუმხილო, როგორც თქვენ გაგიმხილეთ ახლა, არამც და არამც! მე რატომ მოგმართავთ ახლა? იმიტომ, რომ მამაკაცი ხართ, დარბაისელი კაცი, ძველი სამსახურებრივი გამოცდილებით. ბევრი რამ გინახავთ, ვფიქრობ, ჯერ კიდეც პეტერბურგის მაგალითებიდან იცით, ასეთ საქმეებში რა ნაბიჯის გადადგმაცაა საჭირო, ხოლო მისთვის რომ ეს ორი სახელი მეთქვა, ქვეყანას შეყრიდა... იუღია მიხაილოვნას ხომ აქედან ნებავს პეტერბურგის განცვიფრება. არა, არა, მეტისმეტად ფიცხი გახლავთ, ბატონო ჩემო, მეტისმეტად ფიცხი.

- დიახ, დიახ, გაფიცხება მართლაც სჩვევია, - წაიდუღუნა ანდრეი ანტონოვიჩმა. თითქოს ეამა და ამავე დროს ეწყინა კიდეც, ეს უმეცარი როგორ ბედავს იუღია მიხაილოვნაზე ასე მოურიდებლად ლაპარაკსო. ხოლო ახალგაზრდა ვერხოვენსკის თავის მხრივ კიდეც ეცოტავა და იფიქრა, მეტი ცეცხლის შენთებაა საჭიროო, რომ პირმოთნეობით საბოლოოდ დაემორჩილებინა „ლემბკა“.

- სწორედაც რომ გაფიცხება სჩვევია, - კვერი დაუკრა მან, - დიახ, ბატონო, გენიალური ქალია, ლიტერატორი, მაგრამ ჩიტუნებს კი მართლა დაგვიფრთხობს. ექვს დღეს კი არადა, ექვს საათს ვერ მოითმენს. ეეჰ, ანდრეი ანტონოვიჩ, ქალისთვის დიდი სასჯელია ექვსი დღის ვადა! მოგეხსენებათ, ცოტა გამოცდილება მეცა მაქვს ამ საქმეებში; მეც ვიცი რაღაც, თქვენც ხომ იცით, მეც შემძლია რაღაც ვიცოდე. განა სათამაშოდ გთხოვთ ექვს დღეს, მე საქმისათვის ვამბობ.

- როგორც მსმენია, საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ, მგონი, მოგინანიებიათ... სადაც ჯერ არს? - თითქოს გაუბედავად იკითხა ლემბკემ.

- ეჰ, რაც იყო, იყო.

- ცხადია, მე არც ვაპირებ გამოკითხვას... მაგრამ, მგონი, აქამდე სულ სხვანაირად ლაპარაკობდით, მაგალითად, ქრისტიანულ სჯულზე, საზოგადო დაწესებულებებსა და ბოლოს მთავრობაზე...

- მერე რა, რომ ვლაპარაკობდი. მე ახლაც იგივეს ვამბობ, ოღონდ ამ აზრებს სულ სხვანაირად უნდა განხორციელება და არა ისე, როგორც ეგ ბრიყვები სჩადიან. აბა რა გმინობაა, კაცს მივარდე და მხარში უკბინო? განა თვითონ არ დამეთანხმეთ, ოღონდაც ნაადრევიაო, ბრძანეთ.

- არა, მაგაზე კი არ დაგეთანხმეთ და გითხარით, ნაადრევია-მეთქი.

- თურმე რა აწონილ-დაწონილი გქონიათ ყოველი სიტყვა, ჰე-ჰე! რას ნიშნავს ფრთხილი კაცი! - მხიარულად შენიშნა ვერხოვენსკიმ, - იცით რა, მამავ და ბატონო, გაცნობა მინდოდა თქვენი და იმიტომაც ვლაპარაკობდი ასე. მართო თქვენ კი არა, სხვებსაც ასე ვეცნობი. ეგების სულაც თქვენი ხასიათის გამოცნობა მსურდა.

- ჩემი ხასიათი რაში გჭირდებათ?

- აბა მე რა ვიცი (ვერხოვენსკის კვლავ ჩაეცინა). იცით რა, ჩემო ძვირფასო და დიდად პატივცემულო ანდრეი ანტონოვიჩ, ეშმაკი კი ხართ, მაგრამ მაინც გეტყვით, აქამდე ჯერ არ მისულა საქმე და ალბათ არც მივა, გესმით? იქნებ გესმით, ჰა?
საზღვარგარეთიდან ჩამოსვლის შემდეგ ახსნა-განმარტება კი მივეცი, სადაც ჯერ არს - ვერ გამიგია, რატომ არ შეიძლება გარკვეული შეხედულების კაცმა თავისი გულწრფელი შეხედულებების სასიკეთოდ იმოქმედოს... მაგრამ იქ ჩემთვის ჯერ არავის დაუვალვია თქვენი ხასიათის ამოცნობა და არავითარი ამისთანა დავალება იქიდან ჯერ არ მიკისრია. აბა თავად ჩაუკვირდით: ხომ შემემლო თქვენთვის არ გამემხილა ის ორი სახელი და პირდაპირ იქ მეცნობებია, სადაც პირვანდელი ახსნა-განმარტება მივეცი. მე რომ ფულების ან რაიმე გამორჩენისათვის ვცდილობდე, ცხადია, ვერაფერი ანგარიშიანი კაცი ვიქნები, ვინაიდან მადლობას თქვენ გეტყვიან და არა მე. მე მხოლოდ შატოვისთვის ვცდილობ, - დაატანა კეთილშობილურად ვერხოვენსკიმ. - მხოლოდ შატოვისთვის, ძველი მეგობრობა მახსოვს და იმიტომ... ხოლო როცა კალამს აიღებთ იქ მისაწერად, თუ გნებავთ, მეც შემაქეთ... უარს არ ვიტყვი, ჰე-ჰე! თუმცა დიდხანს შევრჩი და არც ამდენი უნდა მეყბუდა! - დასძინა თითქმის თავაზიანად და წამოდგა.

- პირიქით, ძალიან მოხარული ვარ, რომ საქმე, ასე ვთქვათ, თანდათან გაირკვა, - ასევე თავაზიანად წამოდგა ფონ ლემბკეც, ეტყობა, უკანასკნელმა სიტყვებმა გასჭრა. - მადლობას მოგახსენებთ მაგ სამსახურზე და მერწმუნეთ, ჩემი მხრივ ცდას არ დავაკლებ, თქვენი ერთგულების ამბავი...

- თქვენ მხოლოდ ეს ექვსი დღე მაცალეთ, ამ ექვს დღეს ხელი არ გაანძრიოთ და მე სხვა არაფერი მინდა!

- ბატონი ბრძანდებით...

- არა, მე კი არ გიშლით ან რა ნება მაქვს დაგიშალოთ. ხომ არ შეიძლება მართლა და მართლა თვალი არ ადევნოთ, ოღონდ დროზე ადრე ნუ დააფრთხობთ. მე თქვენი ჭკუისა და გამოცდილების იმედი მაქვს. თუმცა მწვეარ-მეძებრები თქვენც ბევრი

გეყოლებათ, ჰე-ჰე! - დაუდევრად (როგორც ყმაწვილებს სჩვევიათ ხოლმე)
წამოაყრანტალა ვერხოვენსკიმ.

- არც მთლად ასეა, - თავაზიანად გაიღიმა ლემბკემ. - როგორც ყმაწვილებს გგონიათ...
ჰო, ბარემ ერთ პატარა კითხვაზეც მიპასუხეთ: თუ ეგ კირილოვი სტავროგინს
სეკუნდანტად ჰყავდა, მაშასადამე, ამ შემთხვევაში ბატონი სტავროგინიც...

- სტავროგინი რა შუაშია?

- ესე იგი, თუ ასეთი მეგობრები არიან?

- ერიჰაა! ეშმაკი კი ხართ, მაგრამ ამაში დიდი იაღლიში მოგივიდათ. გამაოცეთ კიდეც
მეგონა, თქვენ იცოდით მისი ამბები. ჰმ, სტავროგინიო! არა, ეს სრულიად
საწინააღმდეგო გახლავთ, დიახ, სრულიად... Avis au lecteur[200].

- რას ბრძანებთ! ვითომ არ სცდებით? - უნდობლად შესძახა ლემბკემ. - იულია
მიხაილოვნა ამბობს, პეტერბურგიდან შემატყობინეს, ეგ კაცი, ასე ვთქვათ,
გარკვეული დავალებით არისო...

- მე არაფერი ვიცი, სრულიად არაფერი... Adieu! Avis au lecteur! - აშკარად გაერიდა
პასუხს ვერხოვენსკი და კარს მიაშურა.

- მოითმინეთ, პიოტრ სტეპანოვიჩ, მომითმინეთ, - მიაძახა ლემბკემ, - კიდეც ერთი
პატარა საქმე და აღარ დაგაკავებთ.

ფონ ლემბკემ მაგიდის უჯრიდან კონვერტი ამოიღო.

- აი, კიდეც ერთი ეგზემპლარი იმავე კატეგორიისა. ამით დაგიმტკიცებთ, რა დიდი
ნდობა მაქვს თქვენი. წაიკითხეთ და მითხარით, რა აზრისა ხართ?

ეს ანონიმური წერილი ლემბკეს მისამართით გამოეგზავნათ და მხოლოდ გუშინ
მიეღო. ახალგაზრდა ვერხოვენსკის დაცეცხლა, როცა ეს წაიკითხა: „თქვენო
აღმატებულეზავ!

რამეთუ წარჩინებით ასე გეკუთვნით. გაცნობებთ, რომ მზადდება თავდასხმა
გენერალ ხალხსა და მამულზე; ვინაიდან ასე ეწყობა საქმე. ჩემი ხელით
გამივრცელებია მრავალი და მრავალი წელი. აგრეთვე უღმერთობაც. მზადდება
ამბოხი, პროკლამაციებს კი, ვინ მოთვლის, რამდენი ათასია! თითოეულს ასი კაცი
გაჰყვება ენაგადმოგდებული, თუ მთავრობამ წინასწარ არ იზრუნა და არ ჩამოართვა,
რამეთუ ბევრი რამ არის შიგ ალთქმული ჯილდოდ. მდაბიო ხალხი ბრიყვია, არაყი
უფრო აბრიყვებს... ხალხი არც მართალს დაინდობს და არც მტყუნას. ჰოდა, მეშინია
რა ორივე მხარის, ვინანიებ, რაშიც მონაწილე არ ვყოფილვარ. თუ გნებავთ მამულის
გადარჩენა, აგრეთვე ეკლესიებისა და ხატების, მე მკითხეთ ყველაფერი. ოღონდაც იმ
პირობით, მესამე განყოფილებიდან ტელეგრაფით დაუყოვნებლივ გამომიგზავნონ
შეწყალება მარტო მე ერთს, სხვებს კი პასუხი მოსთხოვონ. მეკარის სარკმელზე ყოველ
საღამოს სანთელი გამოდგით და ეს იქნება ნიშანი. დავინახავ, დავრწმუნდები და
გეახლებით ვემთხვიო მოწყალე მარჯვენას, დედაქალაქიდან გამოწვდილს; ოღონდ
იმ პირობით, პენსიონი დამენიშნოს, თორემ რით ვიცხოვრო? თქვენ კი არ ინანებთ,
იმიტომ რომ ვარსკვლავს მიიღებთ. ეს უნდა უჩუმრად მოხდეს, თორემ კისერს
მომიგრეხენ.

თქვენს აღმატებულებას მუხლმოდრეკით ეაჯება

კაცი სასოწარკვეთილი.

მონანიებული უღმერთო Incognito“.

წერილი თურმე გუშინ დაეგდოთ მეკარის ოთახში, როცა იქ არავინ იყო.

- თქვენ რას იტყობით? - ჯიქურ ჰკითხა ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ.

- მე ვიტყვოდი, ეს ანონიმური პაშკვილია, ტაკიმასხარას დაწერილი.

- ალბათ ასეცაა. კაცი ადვილად ვერ გაგაცურებთ.

- რადგან სულელურადაა დაწერილი.

- სხვა დროს მიგიღიათ ასეთი პაშკვილები?

- ერთი-ორჯერ, ისინიც ანონიმური.

- აბა გვარს ვინ მოაწერს. სხვადასხვა ხელით ნაწერი?

- დიახ, სხვადასხვა ხელით.

- ისევ ამისთანა ტაკიმასხარული?

- დიახ, ამისთანა ტაკიმასხარული და... საზიზღარი.

- ჰო, რახან ადრე გზავნიდნენ, ახლაც იმიტომ გამოგზავნეს.

- ჩემი აზრით, ისინი განათლებული ხალხია და ასე სულელურად არ მოიწერდნენ.

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა.

- მაგრამ მართლაც რომ იცოდეს რამე?

- მაგას ვერ დავიჯერებ, - ცივად მოუჭრა ვერხოვენსკიმ, - მაშ რაღაც ნიშნავს ტელეგრამა მესამე განყოფილებიდან და პენსიონიო? წმინდა წყლის პაშკვილია.

- დიახ, დიახ, - შერცხვა ლემბკეს.

- იცით რა, მოდით დავიტოვებ ამ წერილს. უთუოდ მოგიძებნით მაგ კაცს, იმ ხალხზე ადრე მაგას მოგიძებნით.

- კარგით, წაიღეთ, - დაეთანხმა მცირე ყოყმანის შემდეგ ფონ ლემბკე.

- აჩვენეთ ვისმე?

- როგორ გეკადრებათ! არავის.

- არც იულია მიხაილოვნას?

- ოჰ, ღმერთმა დამიფაროს, და არც თქვენ აჩვენოთ ღვთის გულისათვის! - შესძახა შეშინებულმა ლემბკემ. - თავზარი დაეცემა... საშინლად გამირისხდება.

- დიახ, პირველ რიგში თქვენ მოგხვდებათ; იტყვის, ალბათ დაიმსახურეთ და იმიტომ გწერენ ასეო. ქალების ლოგიკა მე მკითხეთ. აბა კარგად ბრძანდებოდეთ. იქნებ სამ დღეშიაც წარმოგიდგინოთ მაგის შემთხვეული. რაც მთავარია, პირობა არ დაივიწყოთ!

IV

ახალგაზრდა ვერხოვენსკის ჭკუა საკმაოდ უჭრიდა, მაგრამ ფედკა კატორღელმა მაინც სწორი თქვა მასზე: „თუ კაცზე ერთი აზრი შეიქმნა, მორჩა, მერე სულ ამ აზრით იქნება“. ფონ ლემბკესაგან დაარხინებული წამოვიდა, ექვსი დღით მაინც გავაჩერეო. ეს ექვსი დღე მეტისმეტად სჭირდებოდა. ის კი არ იცოდა, რარიგ ცდებოდა, როცა ანდრეი ანტონოვიჩი ერთხელ და სამუდამოდ დოყლაპიად წარმოიდგინა და ყველა იმედი ამაზე დაამყარა.

როგორც ყოველი ეჭვიანი კაცი, ანდრეი ანტონოვიჩიც გაურკვეველი მდგომარეობიდან თავის დაღწევის შემდეგ მუდამ მეტისმეტი მიმნდობი ხდებოდა ხოლმე. საქმის ახლებურმა შეტრიალებამ თავდაპირველად საკმაოდ გამოუკეთა გუნება, თუმცა სხვა ახალი თავსატეხი გაუჩინა. ასე იყო თუ ისე, ძველი ეჭვები მაინც გაუქარწყლდა. თანაც ამ უკანასკნელმა დღეებმა ისე გაასავათა და მოლალა, რომ აღარ უნდოდა ამ ამბებზე ფიქრი. მაგრამ ვაი რომ მალე ისევ აიტანა შფოთმა. პეტერბურგში ხანგრძლივმა ცხოვრებამ წარუშლელი დაღი დაასვა. „ახალი თაობის“ ოფიციალურსა და, წარმოიდგინეთ, საიდუმლო მხარესაც საკმაოდ კარგად იცნობდა, ცნობისმოყვარე კაცი გახლდათ და პროკლამაციებს აგროვებდა, მაგრამ მთავარი ამ ამბებში მუდამ გაუგებარი რჩებოდა მისთვის. ახლა ხომ სულ დაეხნა თავგზა: მთელი არსებით გრძნობდა, ახალგაზრდა ვერხოვენსკის სიტყვებში რაღაც ყოვლად შეუსაბამო იყო, - „თუმცა ეშმაკმა იცის იმ „ახალი თაობის“ თავი, რას ფიქრობენ და რას აკეთებენ!“ - ფიქრობდა და აღარ იცოდა, რა გადაეწყვიტა.

სწორედ ამ დროს რაღაც ეშმაკად ბლიუმმა შემოჰყო თავი. თურმე შორიახლო ტრიალებდა და ახალგაზრდა ვერხოვენსკის წასვლას უცდიდა. ბლიუმი შორეულ ნათესავად მოხვდებოდა ანდრეი ანტონოვიჩს, რომელიც ამ ნათესაობას მთელი ცხოვრება მალავდა. მომიტევოს მკითხველმა, თუკი ამისთანა უმნიშვნელო კაცსაც ცოტაოდენ ადგილს დავუთმობ ჩემს ქრონიკაში. ბლიუმი „უიღბლო“ გერმანელების რიცხვს ეკუთვნოდა, თუმცა ნიჭი არ აკლდა. „უიღბლო“ გერმანელები ზღაპარი არ გეგონოთ, ისინი მართლაც არსებობენ რუსეთშიაც კი და საკუთარი ტიპიც ჰყავთ. ანდრეი ანტონოვიჩი მთელი სიცოცხლე უნაზეს თანაგრძნობას იჩენდა მისდამი. როგორც კი წარჩინების უფრო მაღალ საფეხურზე ააბიჯებდა, ბლიუმსაც მისდამი დაქვემდებარებულ ადგილებზე დაუპირებდა დაწინაურებას, მაგრამ ბლიუმს ბედი არსად სწყალობდა. ხან იმ ადგილს იქაურ შტატს დაუტოვებდნენ, ხან უფროსობა შეიცვლებოდა, ერთხელ კი ლამის სამართალში მისცეს სხვებთან ერთად. ის ყველაფერში მეტისმეტად კანონის კაცი იყო, ხშირად თავისდა საზიანოდაც, ხასიათითაც დიდი უჟმური. ამ მაღალ-მაღალ, ბეჭებში მოხრილ და მგრძნობიარე გულის წითურ გერმანელს სახე მუდამ ჩამოსტიროდა. მაგრამ მთელი თავისი თვინიერების მიუხედავად, დიდი კერპი და ჯიუტი ვინმე იყო და ამ თავის სიკერპეს მუდამ უადგილო ადგილას იჩენდა. ისა და მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი მუდამ ანდრეი ანტონოვიჩის მალმერთებელი იყო. ანდრეი ანტონოვიჩის გარდა თავის დღეში არავის ჰყვარებია ბლიუმი. იულია მიხაილოვნამ იმთავითვე აითვალისწინა

იგი, მაგრამ ქმრის სიჯიუტეს ვერ მოერია. ცოლ-ქმარს პირველად ამაზე მოუვიდათ უსიამოვნება ქორწინების პირველივე დღეებში, როცა იულია მიხაილოვნამ მოულოდნელად შეიტყო აქამდე მისგან ასე გულდაგულ დამალული ბლიუმის არსებობისა და მისი სამარცხვინო ნათესაობის ამბავი. ანდრეი ანტონოვიჩი ლამის მუხლმოდრეკით ემუდარა, გულისამაჩვილებლად უამბო ბლიუმის მთელი თავგადასავალი და მათი მეგობრობის ამბავი პატარაობის წლებიდან. მაგრამ იულია მიხაილოვნამ სამუდამოდ შერცხვენილად ჩასთვალა თავი და რამდენჯერმე გულიც კი შეიღონა. ფონ ლემბკემ არასდიდებით არ დაუთმო, განუცხადა, ბლიუმს არაფრის გულისთვის არ მოვიშორებო, ასე რომ გააოცა კიდევ იულია მიხაილოვნა და ბოლოს ისიც იძულებული გახდა ბლიუმის არსებობას შეირგებოდა, იმ პირობით კი, ნათესაობას უფრო გულდაგულ დამალავდნენ და ბლიუმს სახელსა და მამის სახელსაც შეუცვლიდნენ, ვინაიდან მასაც რატომღაც ანდრეი ანტონოვიჩი ერქვა. ბლიუმი ჩვენში არავის გასცნობია, გარდა ერთი გერმანელი მეაფთიაქისა. ჩვეულებისამებრ მომჭირნე და კარჩაკეტილ ცხოვრებას მიჰყო ხელი. ბლიუმისთვის რა ხანია ცნობილი იყო ანდრეი ანტონოვიჩის ლიტერატურული ცოდვებიც. მეტწილად მას უკითხავდა ხოლმე ლემბკე საიდუმლოდ თავის რომანებს. ისიც ექვს-ექვს საათობით იჯდა გაჯგიმული, ოფლში იწურებოდა, თავს ძალას ატანდა, არ დამეძინოსო, და ნაძალადევადაც ელიმებოდა. შინ კი თავის გრძელკანჭება და გაფშევილ ცოლთან ერთად ოხრავდა და წუხდა მათი კეთილისმყოფლის ამ სავალალო სიყვარულზე რუსული ლიტერატურისადმი.

ფონ ლემბკემ გატანჯული სახით შეხედა ბლიუმს. ეტყობა, აღარ უნდოდა ახალგაზრდა ვერხოვენსკის მოსვლით გაწყვეტილი საუბრის განახლება და საჩქაროდ მიაგება: - ძალიან გთხოვთ, ბლიუმ, მომასვენე.

- მაგრამ ეს დიახაც დელიკატურად შეგვიძლია მოვაწყოთ, სრულიად ფარულად, - მოწიწებით, მაგრამ ჯიუტად ამბობდა წელში მოხრილი ბლიუმი და ნელ-ნელა უახლოვდებოდა ანდრეი ანტონოვიჩს.

- იცი, ბლიუმ, იმდენად ერთგული და დაუზარელი კაცი ხარ, რომ ჩემდა უნებურად მუდამ გული მიკანკალებს შენს დანახვაზე.

- ასე ცხარე-ცხარე სიტყვებს იტყვით ხოლმე და მერე ნასიამოვნები არხეინად დაიძინებთ, ამით კი თქვენს თავსვე ვნებთ მხოლოდ.

- ბლიუმ, ახლა დავრწმუნდი, რომ აქ სულ სხვა ამბავია, სულ სხვა.

- მაგ ცბიერი, უტიფარი ყმაწვილის სიტყვებით ხომ არა, რომელსაც თქვენვე არ ენდობით? ფარისევლურად შეგიქოთ თქვენი ლიტერატურული ნიჭი და თვალი აგიხვიათ.

- ბლიუმ, შენ არაფერი გაგეგება; შენი გეგმა სისულელეა, მე შენთვის მითქვამს. ჩვენ ვერაფერს აღმოვაჩენთ. ატყდება ერთი ამბავი, სიცილს დაგვაყრიან, იულია მიხაილოვნაც...

- უთუოდ აღმოვაჩენთ, რასაც ვეძებთ, - ბლიუმმა გულზე მიიდო მარჯვენა ხელი და მისკენ მტკიცედ გადააბიჯა, - ჩვენ მოულოდნელად გავჩხრეკავთ, დილაადრიან, არც პიროვნებას შეურაცხყოფთ და კანონით დადგენილ ყველა წესსაც ზუსტად დავიცავთ. ყმაწვილი კაცები, ლიამშინი და ტელიატნიკოვი ირწმუნებიან, რასაც

ემებთ, ნახავთო. ეგენი იქ მრავალგზის ყოფილან. ბატონ ვერხოვენსკის ყურადღებას არავინ აქცევს. გენერლის მეუღლე სტავროგინა რა ხანია უკვე აღარა სწყალობს. ყოველი პატიოსანი კაცი, თუკი მართლა არსებობს პატიოსანი კაცი ამ უწესო ქალაქში, დარწმუნებულია, ურწმუნოებისა და სოციალური მოძღვრების კერა იქ არისო. მაგასთან ინახება ყველა აკრძალული წიგნი, რილეევის „ფიქრები“, გერცენის ყველა ნაწარმოები... ყოველი შემთხვევისათვის, მიახლოებითი კატალოგი მაქვს...

- ოჰ, ღმერთო ჩემო, ეგ წიგნები ყველასა აქვს; რა მიამიტი ხარ, ჩემო საწყალო ბლიუმ! ბლიუმმა ყურიც არ ათხოვა.

- პროკლამაციებიც ბლომად ჰქონია. ბოლოს და ბოლოს უთუოდ მივაგნებთ აქაური პროკლამაციების კვალს. ეგ ყმაწვილი ვერხოვენსკი ერთობ საეჭვოდ მიმაჩნია.

- შენ მამა და შვილი ერთმანეთში გერევა. მათ შორის განხეთქილებაა, შვილი ამკარად დასცინის მამას.

- ეგ მხოლოდ და მხოლოდ თვალთმაქობაა.

- ფიცი ხომ არ დადე, ბლიუმ, ჯვარზე მაცვა! აბა დაფიქრდი, ეგ, რაც უნდა იყოს, გამოჩენილი კაცია. პროფესორი იყო, ყველა იცნობს, ერთ ამბავს ატეხს, მთელი ქალაქი ყბად აგვიღებს, ყველაფერს დავღუპავთ... ისიც იფიქრე, იუღია მიხაილოვნას რა დაემართება!

ბლიუმს არაფერი ეყურებოდა და გულში იბაგუნებდა მუშტებს.

- დოცენტი იყო, მარტოოდენ დოცენტი, ჩინითაც გადამდგარი კოლეჟსკი ასესორი გახლავთ, წარჩინება არავითარი. სამსახურიდან იმიტომ დაითხოვეს, ექვი აიღეს, მთავრობის საწინააღმდეგო ზრახვები აქვსო. ფარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა და ალბათ ახლაც იმყოფება. ამჯერად ასეთი არეულ-დარეულობა რომ გამომქლავნდა, თქვენ ვალდებულიც ბრძანდებით. მაგრამ ნამდვილ დამნაშავეს ექომავებით და წარჩინებას ხელიდან უშვებთ.

- ჩუ, იუღია მიხაილოვნა მოდის! აქედან დამეკარგე, ბლიუმ! - შესძახა ფონ ლემბკემ, მეორე ოთახიდან მეუღლის ხმა რომ გაიგონა.

ბლიუმი შეკრთა, მაგრამ თავისას არ მოეშვა.

- მაშ, ნება დამრთეთ, - იძახდა ჩაცვიებით და გულზე იღებდა ხელეხს.

- მომწყდი-მეთქი აქედან! - კბილები დააღრჭიალა ანდრეი ანტონოვიჩმა, - რაც გინდა ჰქენი... მერე... ოჰ, ღმერთო ჩემო!

ფარდა აიწია და იუღია მიხაილოვნა გამოჩნდა. ბლიუმის დანახვაზე ისე მედიდურად გაჩერდა და ისე ზვიადად გადმოხედა, თითქოს მისი აქ ყოფნაც კი დიდად შეურაცხყოფდა. ბლიუმმა უხმოდ, მოწიწებით დახარა თავი და წელში მოხრილი, ოდნავ ხელეზგაფარჩხული თითის წვერებზე გაეშურა კარისკენ.

ფონ ლემბკეს ისტერიკული წამომახილი იქნებ მართლაც დასტურად ჩათვალა ბლიუმმა, ან იქნებ მთელი არსებით სწამდა, საქმე გამარჯვებით დაგვირგვინდებაო, და იმიტომ ითვალთმაქცა ამ შემთხვევაში თავისი კეთილისმყოფლის სასიკეთოდ. ეს

კია, უფროსისა და მისი ხელქვეითის ამ საუბარს, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ისეთი მოულოდნელი და სასაცილო ამბავი მოჰყვა, ისე გახმაურდა და იულია მიხაილოვნას ისეთი რისხვა გამოიწვია, ანდრეი ანტონოვიჩს საბოლოოდ დაუბნია თავგზა და ამ შფოთიან დღეებში სულ დაუკარგა სულის სიმხნევე.

V

ახალგაზრდა ვერხოვენსკის იმ დღეს ბევრი სარბენი საქმე აღმოაჩნდა. ფონ ლემბკედან საჩქაროდ ბოგოიავლენსკაიას ქუჩაზე გასწია, მაგრამ კარმაზინოვის ბინას რომ ჩაუარა ბიკოვის ქუჩაზე, უცებ შედგა. ჩაიცინა და შევიდა. ძალიან გაუკვირდა, იქ რომ მოახსენეს - გელოდებიანო, ვინაიდან თავისი მოსვლის ამბავი წინასწარ არავისთვის უცნობებია.

დიდი მწერალი თურმე მართლაც ელოდა. ელოდა გუშინაც და, წარმოიდგინეთ, სამი დღის წინათაც. ამ ოთხი დღის უკან თავისი ხელნაწერი „Merci“ მიეცა (რომლის წაკითხვა იულია მიხაილოვნას ლიტერატურულ დილაზე გადაეწყვიტა) და დარწმუნებული იყო, დიდი პატივიც დასდო ყმაწვილ კაცს, თავისი დიდებული ნაწარმოები რომ წინასწარ წააკითხა. ახალგაზრდა ვერხოვენსკი კარგად ამჩნევდა, ეს განებივრებული, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის ეგზომ ქედმაღალი და მიუკარებელი ვაჟბატონი, ეს „თითქმის სახელმწიფო ჭკუის“ კაცი რაღაც ძალიან რომ ელაქუცებოდა. თუ არ ვცდები, ყმაწვილი კაციც მიხვდა ბოლოს, რომ დიდ მწერალს იგი რუსეთში არსებული ყოველი ფარული მოძრაობის მოთავედ თუ არა, ყოველ შემთხვევაში, რუსული რევოლუციის საიდუმლოებათა ერთ-ერთ ყველაზე მცოდნედ და ახალგაზრდობაზე უდავო გავლენის მქონედ მიაჩნდა. „რუსეთის უჭკვიანესი კაცის“ განწყობილება კი დიახაც აინტერესებდა ახალგაზრდა ვერხოვენსკის, მაგრამ აქამდე გარკვეული მიზეზების გამო თავს არიდებდა ამის გამოძიებას.

დიდი მწერალი თავისი დის, კამერჰერისა და მემამულის მეუღლის სახლში იყო დაბინავებული. ცოლსა და ქმარს დიდად ეამაყებოდათ სახელგანთქმული ნათესავი და ფეხქვეშ ეგებოდნენ, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ამჟამად მოსკოვში იმყოფებოდნენ. სტუმრის მიღება კამერჰერის შორეულ ნათესავს, ერთ ლატაკ დედაბერს ხვდა წილად, რომელიც დიდი ხანია მათთან შეკედლებულიყო და მთელი ოჯახი მას ებარა. მთელი სახლი ფეხისწვერებზე დადგა ბატონ კარმაზინოვის ჩამოსვლის შემდეგ. დედაბერი ლამის ყოველდღე აგზავნიდა ცნობებს მოსკოვში, ლამით როგორ მოისვენა და რა მიირთვა სტუმარმა. ერთხელ ტელეგრამაც კი გაგზავნა, ქალაქის თავთან გამართული წვეულების შემდეგ ამა და ამ წამლის ერთი კოვზი შესვაო. კარმაზინოვის ოთახში ქალს შესვლა ვერ გაეებდა, თუმცა დიდი მწერალი ზრდილობიანად, ოღონდაც ცივად ექცეოდა და მხოლოდ საქმეზე ელაპარაკებოდა. ახალგაზრდა ვერხოვენსკის შემოსვლისას საუზმეს მიირთმევდა, კატლეტსა და ნახევარ ჭიქა წითელ ღვინოს. ეს გახლდათ მისი დილის ულუფა. ახალგაზრდა ვერხოვენსკი წინათაც ყოფილა და მუდამ ამ კატლეტის ჭამაზე შესწრებია, მაგრამ ერთხელაც არ მიუპატიჟია. კატლეტს კარმაზინოვი უთუოდ პატარა ფინჯან ყავასაც დააყოლებდა. ლაქიას მუდამ ფრაკი ეცვა, რბილი წაღები და ხელთათმანები.

- აა, თქვენა ბრძანდებით! - წამოიწია კარმაზინოვი დივნიდან, ხელსახოციტ პირი მოიწმინდა და უწრფელესი სიხარულიტ გაიწია საკოცნელად ჩვენი

სახელგანთქმული ადამიანების ჩვეულებებისამებრ. მაგრამ ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ უკვე გამოცდილებით იცოდა, საკოცნელად გამოიწევდა და ლოყას კი მოგიშვერდა მხოლოდ. ჰოდა, თვითონაც ლოყა მიაგება. კარმაზინოვმა არ შეიმჩნია, დივანზე დაჯდა და სტუმარს თავაზიანად მიუთითა მოპირდაპირე სავარძელზე. ისიც სავარძელში გაიშხლართა.

- ხომ არ დამეწვევით საუზმეზე? - ამჯერად თავის ჩვეულებას უღალატა მასპინძელმა, მაგრამ ისე კი, ზრდილობიანი კაცი, რა თქმა უნდა, უარს იტყოდა. სტუმარმა მყისვე მოინდომა საუზმე. მასპინძელს წუთით წყენამ და გაოცებამ გადაჰკრა სახეზე. მერე ნერვიულად დაურეკა მსახურს და, მიუხედავად თავისი გაზრდილობისა, ხმაც კი აღიმადლა ზიზღით, როცა სტუმრისთვის საუზმის მოტანა ბრძანა.

- რას ინებებთ, კატლეტსა თუ ყავას? - ჰკითხა ხელმეორედ.

- კატლეტსაც და ყავასაც, ღვინოც მოიტანონ, უთხარით, ძალიან მომშივდა, - მიუგო ვერხოვენსკიმ და ყურადღებით შეათვალიერა მასპინძლის ჩაცმულობა. ბატონ კარმაზინოვს საშინაო დაბამბული ჯუბა ეცვა, ჟაკეტით სადაფის ღილებით ჩაწიკვიკებული, მაგრამ იმდენად მოკლე, რომ საკმაოდ დამრგვალებულ ღიძსა და ბარძაყებს ზემოთ ჩათუნთულებულ ნაწილებს ვერ უმაღავდა. თუმცა კაცია და გუნებაო. მუხლებზეც, სითბოს მიუხედავად, შალის კუბოკრული პლედი შემოეხვია.

- ავად ხომ არა ხართ? - შენიშნა სტუმარმა.

- არა, მაგრამ აქ ისეთი ჰავაა, მეშინია, მართლა ავად არ გავხდე, - წამოიჩხავლა მწერალმა სიტყვების ტკეპნითა და ბატონკაცური ენის ჩლექით. - მე გუშინაც გელოდით.

- განა მე დაგპირდით მოსვლას?

- არა, მაგრამ ჩემი ხელნაწერი ხომ თქვენთან არის... წაიკითხეთ?

- ხელნაწერი? რა ხელნაწერი?

- როგორ, არ მოგიტანიათ? - განცვიფრებისაგან დიდმა მწერალმა ჭამას თავი ანება და ვერხოვენსკის შიშით მიაჩერდა.

- აჰ, იმ „Bonjour“-ზე ამბობთ...

- „Merci“.

- თუნდაც ეგრე იყოს, მართალი გითხრათ, სულ დამავიწყდა და არ წამიკითხავს, ვერ მოვიცალე, რა იქნა, არ ვიცი, ჯიბეში არ მიდევს... მაგიდაზე თუ დამრჩა. ნუ გეშინიათ, არ დაიკარგება...

- არა, მირჩევნია ახლავე გავგზავნო თქვენსა კაცი, ვაითუ ვინმემ მოიპაროს.

- ნეტა ვის რაში უნდა? ან ეგრე რამ შეგაშინათ? იულია მიხაილოვნამ მითხრა, მუდამ რამდენიმე ცალს ამზადებსო. ერთს საზღვარგარეთ უგზავნის ნოტარიუსს, მეორეს პეტერბურგში, მესამეს მოსკოვშიო. კიდევ, მგონი, ბანკშიც ინახავთ.

- ხომ შეიძლება მოსკოვი გადაიწვას და ჩემი ხელნაწერი დაიღუპოს. არა, არა, მირჩევნია ახლავე გავგზავნო კაცი.

- დაიცათ, თურმე აქა მქონია! - ვერხოვენსკიმ ჯიბიდან საწერი ქაღალდების დასტა ამოიღო. - ცოტა დამჭმუჭვნია. წარმოიდგინეთ, მაშინ რომ გამოგართვით, მას აქეთ ცხვირსახოცთან ერთად უკანა ჯიბეში მდებია. აღარც კი მახსოვდა.

კარმაზინოვმა უმაღლესტა ხელნაწერი, დიდი მზრუნველობით დაათვალიერა, ფურცლები გადაითვალა და თვალწინ რომ ჰქონოდა, იქვე, ცალკე მაგიდაზე დაიდო.

- მგონი, ბევრს არ უნდა კითხულობდეთ? - ვეღარ მოითმინა და წაუსისინა დიდმა მწერალმა.

- არა, არც ისე ბევრს.

- რუსული ბელეტრისტიკიდან ალბათ არაფერს?

- რუსული ბელეტრისტიკიდან? მოიცათ, მგონი, რაღაც წამიკითხავს... „გზად“, „გზაში“... თუ „გზაჯვარედინზე“, კარგად არ მახსოვს. მას აქეთ ხუთიოდე წელი იქნება. აღარ მცალია.

ერთხანს დუმილი ჩამოვარდა.

- როგორც კი ჩამოვედი, ყველანი დავარწმუნე თქვენზე, მეტისმეტად ჭკვიანი კაცია-მეთქი. ახლა, მგონი, ყველა თქვენს ქებაშია.

- მადლობას მოგახსენებთ, - დინჯად მიაგება სტუმარმა.

საუზმე მოიტანეს. ვერხოვენსკი მადიანად დააცხრა კატლეტს, თვალის დახამხამებაში გადასანსლა, ღვინო დააყოლა და ყავაც შეხვრიპა.

კარმაზინოვმა უკანასკნელი ლუკმა მიირთვა და უკანასკნელი ყლუპი მოსვა. „ეს ხეპრე ალბათ კარგად ჩახვდა ჩემი სიტყვების გესლს... - ფიქრობდა გულში და ცალი თვალით სტუმარს უჭვრეტდა. ტყუის, ხელნაწერიც, რა თქმა უნდა, ხარბად გადაიკითხა. თუმცა იქნებ არ ტყუის და მართლა შტერია. მიყვარს, გენიოსი კაცი რომ ცოტას მოიშტერებს. იქნებ მართლა იმათი გენიოსია; თუმცა ჯანდაბას მაგისი თავი“.

კარმაზინოვი დივნიდან წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. ნასაუზმევს ჩვეულებად ჰქონდა ასეთი მოციონი.

- მალე მიემგზავრებით აქედან? - ჰკითხა ვერხოვენსკიმ და პაპიროსი გააბოლა.

- მართალი გითხრათ, მამულის გასაყიდად ჩამოვედი და ახლა ჩემს მოურავზე ვარ დამოკიდებული.

- ამბობენ, იქ ომის შემდეგ ეპიდემია იყო მოსალოდნელიო. მგონი, იმიტომაც ჩამოხვედით?

- არა, სულ იმიტომ არა, - დინჯად ჩამარცვლა ისევ ბატონმა კარმაზინოვმა და ერთი კუთხიდან მეორეში მოტრიალებისას კვლავ ოდნავ აიქნია მარჯვენა ფეხი. - ისე კი მართლაც დიდხანს ვაპირებ სიცოცხლეს, - კარმაზინოვს გესლიანად ჩაეცინა. - ეს

ჩვენი რუსი ბატონკაცები რაღაც მეტისმეტად ადრე ჩაჩანაკდებიან. მე კი არ მინდა მალე დავჩანაკდე, ამიტომაც საზღვარგარეთ ვფიქრობ სამუდამოდ გადაბარგებას; იქ ჰავაც უკეთესია, შენობებიც ქვისგან ნაშენი და სხვა დანარჩენიც უფრო გამძლე. სანამ ცოცხალი ვარ, ევროპას, მგონი, არაფერი მოუვიდეს. თქვენ როგორ ფიქრობთ?

- აბა რა ვიცი.

- ჰმ. იქ თუ მართლა დაემხო ბაბილონი და თუ მართლა დიდი ნგრევა მოჰყვა (მაგაში სავსებით გეთანხმებით, თუმცა კი მგონია, ჩემს სიცოცხლეში არაფერი მოხდეს), რუსეთში დასანგრევიც არაფერი გვაქვს, თუ შედარებით ვიტყვით. დაინგრევა კი არადა, ყველაფერი ტალახივით აიზილება, კურთხეულ რუსეთს ყველაზე ნაკლებ ძალუმს ამქვეყნად რასმე გაუმკლავდეს. უბირი ხალხი კიდეც ჰა, რუსთა ღმერთს ეჭიდება და იმით უდგას სული. მაგრამ უკანასკნელი ცნობებით რუსთა ღმერთს წყალი შეუდგა და გლეხთა რეფორმასაც ძლივს გაუძლო, ყოველ შემთხვევაში, კარგა მოყანყალდა. აქ კიდეც რკინიგზები გაჩნდა, აქ კიდეც თქვენც გაჩნდით და... არა, რუსთა ღმერთი მე არა მწამს.

- ევროპელთა ღმერთი?

- არც ერთიც არა მწამს. მე ცილი დამწამეს რუსი ახალგაზრდობის წინაშე. მე მუდამ თანავუგრძნობდი მის ყოველ ახალ მოძრაობას. მე მაჩვენეს აქაური პროკლამაციები. ყველას უკვირს, ყველას ფორმა აშინებს, მაგრამ თავისდა შეუგნებლად მაინც სწამთ მათი ყოვლისშემძლეობა. ყველას დიდი ხანია ძირი მორყეული აქვს, ყველამ დიდი ხანია იცის, რომ ვერაფერს მოეჭიდება. თუნდაც იმიტომ მწამს საიდუმლო პროპაგანდის გამარჯვება, რომ რუსეთი გახლავთ ახლა მთელ მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს და სადაც ხელს არავინ გაანძრევს. შესანიშნავად მესმის, რად გაიხიზნენ საზღვარგარეთ შეძლებული რუსები და ყოველწლიურად რად იზრდება მათი რიცხვი. ეს ინსტიქტის ამბავია და მეტი არაფერი. გემი რომ იძირება, პირველი ვირთხები გარბიან. კურთხეული რუსეთი ფიცრისგან ნაგები ქვეყანა არის, ლატაკი და... საშიში ქვეყანა, სადაც ბატონებად ქედმაღალი გლახაკნი სხედან, დანარჩენი უმრავლესობა კი ხუხულებში ცხოვრობს. შენ ოღონდ გამოსავალი მიუთითე და ყველაფერზე სიხარულით დაიყოლიებ. მარტოდენ მთავრობა არ ჰყრის ჯერჯერობით ფარ-ხმალს, თუმცა სიბნელეში იქნევს კეტს და თავისიანებსვე უბრაგუნებს. აქ ყველაფერი განწირულია. რუსეთს, როგორც ახლა არის, მომავალი არ გააჩნია. მე გერმანელობა ვირჩიე და დიდ პატივადაც მიმაჩნია ჩემთვის.

- არა, თქვენ პორკლამაციებზე მოათავეთ, რაკი დაიწყეთ. როგორ უყურებთ?

- რაკი ასე აფრთხობს ყველას, მაშასადამე, ძალაც დიდი აქვს. ისინი დაუფარავად ამხელენ სიცრუეს და ამტკიცებენ, რომ არც ხელმოსაჭიდი და არც დასაყრდენი არ გაგვაჩნია. ხმა მარტოდმარტო მათ აღიმალეს, მაშინ როცა ყველა დუმს. სწორედ ის გიმორჩილებს კაცს (ფორმის მიუხედავად), რომ ჭეშმარიტებას ასე გაბედულად გაუსწორეს თვალი, რაც ჯერ არავის გაუბედავს. მხოლოდ რუს თაობას აქვს უნარი ჭეშმარიტებას პირდაპირ თვალებში შეხედოს. ევროპაში ასე ჯერ არ გაკადნიერებულან: იქ ქვისაგან ნაგები სახელმწიფოა, იქ კიდეც შემორჩათ დასაყრდენი. რამდენადაც ვატყობ და რამდენადაც განსჯა შემიძლია, რუსული რევოლუციური იდეის მთელ არსს სინდისის უარყოფა შეადგენს. მე მომწონს, ასე

უშიშრად და თამამად რომ გამოთქვამენ ამას. არა, ევროპაში ამას ჯერ ვერავინ გაიგებს, ჩვენში კი სწორედ ამას ჩააფრინდებიან. რუსი კაცისთვის სინდისი ზედმეტი ტვირთია და მუდამაც ტვირთი იყო, მთელი მისი ისტორიის მანძილზე. მიეცო „უფლება უსინდისობისა“ და ამით მიიმხრობ მას. მე ძველი თაობის კაცი ვარ და გამოგიტყდებით, ჯერ კიდევ მწამს სინდისი, ხომ იცით, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. მე მხოლოდ ძველი ფორმები მომწონს, თუმცა ეს იქნებ სულმოკლეობით მომდის. რას იზამ, ამ წუთისოფელს გალევა უნდა.

კარმაზინოვი უცებ გაჩუმდა.

„ამას უყურე, მე ვლასპარაკობ, ეს კი ჩუმად ზის და გულში იხვევს ყველაფერს, - იფიქრა მან, - იმიტომაც მოვიდა, პირდაპირ ვკითხო. მეც ავდგები და ვკითხავ“.

- იულია მიხაილოვნამ მთხოვა, როგორმე გამოსტყუე, რა სიურპრიზს ამზადებს ზეგინდელ მეჯლისისთვისო? - ანაზდად ჰკითხა ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ.

- ჰო, ეგ მართლა სიურპრიზი იქნება და მართლაც განვაცვიფრებ ყველას... - წელში გაიმართა კარმაზინოვი, - მაგრამ არკი გეტყვით.

ვერხოვენსკი არ ჩასციებია.

- აქ თურმე ვიღაც შატოვი ყოფილა, მე კი თვალითაც არ მინახავს, - ჩაურთო დიდმა მწერალმა.

- ძალიან კარგი პიროვნებაა. რაზე იკითხეთ?

- ისე, თურმე რაღაც-რაღაცებს ლაპარაკობს. იმან არ იყო სტავროგინს სილა გაარტყა?

- ჰო, იმან.

- სტავროგინზე რა აზრისა ხართ?

- რა ვიცი; მუსუსი ვინმე უნდა იყოს.

სტავროგინი საზოგადოებაში ზედაც არ უყურებდა კარმაზინოვს და დიდმა მწერალმა ამიტომაც ამოიძულა.

- მაგ თქვენს მუსუსს ალბათ პირველს ჩამოჰკიდებენ ხეზე, ჩვენში რომ პროკლამაციების ნაქადაგევი განხორციელდეს, - ჩაიხითხითა მან.

- შესაძლოა უფრო ადრეც, - მოუჭრა ვერხოვენსკიმ.

- ასეც იქნება, - კვერი დაუკრა მეტისმეტი სიდინჯით კარმაზინოვმა. ახლა აღარ იცინოდა.

- ეგ უკვე ერთხელაც თქვით და მე გადავეცი.

- მართლა თუ? - გაეცინა ისევ კარმაზინოვს.

- ასე თქვა, თუ მე ხეზე ჩამომკიდებენ, მაგისთვის გაჯობვაც საკმარისი იქნება, გლეხივით ზურგზე ტყავი აადრონო.

ვერხოვენსკიმ ქუდი აიღო და წამოდგა. კარმაზინოვმა ორივე ხელი გაუწოდა გამოსათხოვრად.

- იცით რა, თუ ის ამბავი განხორციელდა... რაზეც ამბობენ... თქვენი აზრით, როდისთვის მოხდება? - წაიწრიპინა მან დამაქრული ხმით და სულ სხვა კილოთი. სტუმრისთვის ხელები არ გაუშვია.

- მე საიდან ვიცი, - ცოტა უხეშადაც მიახალა ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ. ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს.

- დაახლოებით მაინც? - სულ შაქარივით დადნა კარმაზინოვი.

- მოასწრებთ მამულის გაყიდვასა და აქედან გაქცევას, - უფრო უხეშად წაიდუღუნა ვერხოვენსკიმ და უფრო მეტი დაკვირვებით შეხედეს ერთმანეთს.

წუთით დუმილი გამეფდა.

- მაისის დამდეგს დაიწყება და ღვთისმშობლის საფარვლობას მოთავდება, - თქვა უცებ ვერხოვენსკიმ.

- გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ, - გრძნობით უთხრა კარმაზინოვმა და ხელი მაგრად მოუჭირა.

„შიში ნუ გაქვს, მოასწრებ, შე ვირთხავ, გემიდან გაქცევას!“ - ფიქრობდა ქუჩაში გამოსული ვერხოვენსკი. „არა, ეს თითქმის „სახელმწიფო ჭკუა“ რომ ასე დაბეჯითებით იძიებს დღესა და საათს და ასეთი მოწიწებით მადლობას მიხდის ცნობისათვის, ჩვენ რაღა გვაქვს საჭოჭმანო? (პიოტრ სტეპანოვიჩს ჩაეცინა) ჰმ. თურმე არც ისეთი უჭკუო ყოფილა... ეს მართლაც გასაქცევად გამზადებული ვირთხა. მაგისტანა ნამდვილად არ დაგასმენს!“

ახალგაზრდა ვერხოვენსკი ფილიპოვის სახლისკენ გაქანდა ბოგოიაველენსკაიას ქუჩაზე.

VI

კირილოვი ახლაც მარტო დაუხვდა. შუა ოთახში იდგა ფეხებგაჩაჩხული, აწეულ ხელებს უცნაურად ატრიალებდა და ვარჯიშობდა. იატაკზე ბურთი ეგდო. დილას აქეთ გაშლილ სუფრაზე ჩაი უკვე გაცივებულიყო. ვერხოვენსკი წუთით ზღურბლზე შედგა, მერე შევიდა და მხიარულად შესძახა: - აი თურმე როგორ უვლით თავს. რა მშვენიერი ბურთია. ვაჰ, რას ხტის; ეგეც სავარჯიშოდ გაქვთ?

კირილოვმა სერთუკი ჩაიცვა.

- დიახ, სავარჯიშოდ. დაბრძანდით, - მოუჭრა ცივად.

- წუთით შემოგირბინეთ, თუმცა დავჯდები კი. ვარჯიში იქით იყოს და პირობა კი მინდა შეგახსენოთ. „ასე ვთქვათ“, ჩვენი ვადა ახლოვდება, - ახალგაზრდა ვერხოვენსკის უკბილო ხუმრობა გამოუვიდა.

- რა პირობა?

- როგორ თუ რა პირობა? - შეხტა კიდეც შიშით ახალგაზრდა ვერხოვენსკი.
 - ეს არც პირობა იყო და არც ვალდებულება. მე სიტყვა არავისთვის მიმიცია. თქვენი მხრივ შეცდომაა.
 - გამიგონეთ, რა ჭკუაზე ხართ? - ახლა კი მართლა წამოხტა ვერხოვენსკი.
 - ჩემს ჭკუაზე.
 - როგორ თქვენსაზე?
 - როგორზეც ადრე ვიყავი.
 - ეგ როგორ გავიგო? რასაც წინათ ფიქრობდით, იმასვე ფიქრობთ?
 - დიახ. ოღონდ პირობა არაფერი გვქონია და არც სიტყვა მომიცია. მაშინაც ჩემი ნება იყო და ახლაც ჩემი ნებაა.
- კირილოვი მკვახედ და ზიზღით ლაპარაკობდა, ვერხოვენსკი გულდამშვიდებული დაჯდა.
- კი, ბატონო, კი, ოღონდ ნუ შესცვლით და იყოს თქვენი ნება. სიტყვები გაბრაზებთ. რაღაც მეტისმეტი ბრაზიანი გახდით ამ ბოლო დროს. იმიტომაც არ მოვდიოდი თქვენსა. თუმცა ეჭვი არ მეპარებოდა, რომ არ გვიღალატებდით.
 - ეჭვი მართლაც არ უნდა შეგეპაროთ, თუმცა არ მიყვარხართ და არც ღალატისა მწამს რამე და არც უღალატობის.
 - იცით რა, - აწრიალდა ისევ ვერხოვენსკი, - კარგად უნდა მოვილაპარაკოთ, რომ არაფერში შევცდეთ. ეს საქმე სიზუსტეს ითხოვს, თქვენ კი საშინლად ამიბნიეთ თავგზა. ვთქვა თუ არა?
 - თქვით, - მოუჭრა კირილოვმა და კუთხისკენ გაიხედა.
 - თავის მოკვლა დიდი ხანია გადაწყვიტეთ... ანუ ასეთი იდეა გქონდათ. სწორად ვთქვი თუ არა? ხომ არაფერი შემშლია?
 - ახლაც ეგ იდეა მაქვს.
 - ჩინებულია. ისიც ინიშნეთ, რომ არავის უიძულებიხართ.
 - ეგლა მაკლდა, რა სისულელეს ამბობთ.
 - კი, ბატონო, კი. დიახაც სისულელეა. აბა სისულელე არ არის კაცს უთხრა, გინდა თუ არა თავი მოიკალიო. ჰოდა, განვაგრძობ: საზოგადოების წევრი ჯერ კიდეც ძველი ორგანიზაციის დროს იყავით და მაშინ გამოუტყდით საზოგადოების ერთ წევრს.
 - კი არ გამოვუტყედი, ვუთხარი.
 - ეგრე იყოს. მართლაც სასაცილოა „გამოტყდომა“, აღსარება არის თუ რა? უბრალოდ უთხარით და ძალიან კარგი.

- არაფერი კარგი არ არის და ძალიანაც აჭიანურებთ. მე მოვალე არა ვარ ანგარიშები ჩაგაბაროთ და ვერც გამიგებთ, მე რას ვფიქრობ. მე თავის მოკვლა იმიტომ მინდა, ეს იმიტომ ვიფიქრე, არ მსურს სიკვდილის მეშინოდეს... თუმცა ეს თქვენ არ გესმით... რა? ჩაი გინდათ? ცივია. მოიცათ, სხვა ჭიქას მოგიტანთ.

ახალგაზრდა ვერხოვენსკი მართლაც წაეტანა ჩაიდანს და ცარიელ ჭურჭელს დაუწყო ძებნა. კირილოვი გავიდა და კარადიდან სუფთა ჭიქა გამოუტანა.

- ახლა კარმაზინოვთან ვისაუზმე. იმდენი მელაპარაკა, ოფლმა დამასხა, აქ გამოვიქეცი და მთლად ოფლში გავიღვარე. ვკვდები, ისე მწყურია, - შენიშნა სტუმარმა.

- დალიეთ, ცივ ჩაის არაფერი ჯობს.

კირილოვი ისევ დაჯდა, ისევ კუთხეს მიაბჯინა თვალები და ისევ ხმით განაგრძო: - საზოგადოებას მაშინ აზრად მოუვიდა, ჩემი თავის მოკვლა გამოეყენებინა, როცა აქ უბედურებას დაატრიალებდით და დამნაშავეებს ძებნას დაუწყებდნენ, მე თავს მოვიკლავდი, წერილს დავტოვებდი, ეს ყველაფერი მე ჩავიდინე-მეთქი, და მთელი წელი თქვენზე ექვს არავინ მიიტანდა.

- გინდაც, რამდენიმე დღე, ერთი დღეც კი ძვირად გვიღირს.

- კეთილი, ამიტომ მითხრეს, თუ გინდათ, მოიცადეთო. მეც ვუთხარი, სანამ საზოგადოება არ მეტყვის, მეც მოვიცდი, ჩემთვის სულ ერთია-მეთქი.

- ის პირობაც ხომ გახსოვთ, სიკვდილის წინ წერილი უთუოდ ჩემი თანდასწრებით დაგეწერათ, რუსეთში ჩამოსვლის შემდეგ კი... ჩემს განკარგულებაში ყოფილიყავით, ცხადია, მხოლოდ ამ შემთხვევაში, თორემ ისე თავისუფალი ხართ, - თავაზიანად დაატანა ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ.

- პირობა კი არ დავდე, დავეთანხმე მხოლოდ, ჩემთვის სულ ერთი იყო და იმიტომ.

- ჩინებულია, ჩინებული, მე სულაც არ მინდა შეგილახოთ თავმოყვარეობა, ოღონდ...

- თავმოყვარეობა აქ არაფერ შუაშია.

- ხომ გახსოვთ, ას ოცი ტალერი რომ შეგიგროვეს გზისთვის, მაშასადამე, ფული აიღეთ.

კირილოვი გაცეცხლდა.

- სულაც არა. ამაში ფულს არავინ ართმევს.

- ზოგჯერ ართმევენ.

- ტყუიხართ, პეტერბურგიდან მე წერილი გავგზავნე - ის ას ოცი ტალერი კი თქვენ ჩაგიტვალეთ ხელში... თუ არა დაიტოვეთ, მაშასადამე, გაგზავნილი იქნება.

- კარგი, კარგი, არ გედავებით, გაგზავნილია. მთავარია, გადაწყვეტილება არ შეიცვალოთ.

- არ შევიცვლი. როცა მოხვალთ და მეტყვით, „დროა“, ყველაფერს ავასრულებ. რაო, მალე იქნება?

- ბევრიც არ დარჩა... მაშ, გახსოვდეთ, წერილს ერთად ვწერთ, იმავე დამეს.

- გინდ დღისით იყოს. თქვენ ამბობთ, პროკლამაციები უნდა ვიკისრო?

- კიდევ სხვაც.

- ყველაფერს არ ვიკისრებ.

- რას არ იკისრებთ? - შეწრიალდა ისევ ვერხოვენსკი.

- რაც არ მომინდება. კმარა. მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს.

ვერხოვენსკიმ თავი შეიმაგრა და ახლა სხვაზე გადაიტანა სიტყვა: - მოხვალთ ამ საღამოს ვირგინსკისთან? დღეობა აქვს. ამ მიზეზით ვიკრიბებით.

- არ მსურს.

- თუ შეიძლება მოდით. საჭიროა. ვინ იქნება, რამდენი იქნება, მნიშვნელობა აქვს... თქვენ კი ისეთი... ფატალური სახე გაქვთ

კირილოვს გაეცინა.

- ეგრე გგონიათ? კარგით, მოვალ; ოღონდ ამიტომ არა. როდის?

- ჰო, ადრე მოდით, შვიდის ნახევარზე. იცით, თუ გინდათ შემოდით, დაჯექით და ნურავის დაელაპარაკებით. ოღონდ ფანქარი და ქაღალდი იქონიეთ.

- ეგ რისთვის?

- თქვენ რას კარგავთ. ამას საგანგებოდ გთხოვთ. იჯექით ჩუმად, ისმინეთ და შიგადაშიგ ვითომ რაღაც ჩაინიშნეთ. გინდა დახატეთ.

- სისულელეა. ეგ რად გინდათ?

- ხომ ამბობთ, ჩემთვის ყველაფერი სულ ერთიაო.

- არა, მითხარით რატომ?

- იმიტომ რომ, რევიზიაზე ჩამოსული საზოგადოების ერთი წევრი მოსკოვში დარჩა. მე კი აქ ზოგიერთებს ვუთხარი, შეიძლება რევიზორმა ჩამოგვიაროს-მეთქი; მაგათ რევიზორი თქვენ ეგონებით, ხოლო იმასაც რომ გაიგებენ, სამი კვირაა აქა ხართ, უფრო მეტად გაოცდებიან.

- ეგ თქვენი მოჩმახულია. არავითარი რევიზორი არა გყავთ მოსკოვში.

- არ არის და ნუ არის, ჯანდაბას იმისი თავი, თქვენ რას კარგავთ, რა ძნელი საქმე ეს არის? საზოგადოების წევრი ხომ ხართ?

- კეთილი, უთხარით ჩემზე, რევიზორიაო. ვიჯდები და ხმას არ ამოვიღებ. ქაღალდსა და ფანქარს კი არ წამოვიღებ.

- რატომ?

- არ მინდა და იმიტომ.

ახალგაზრდა ვერხოვენსკი სიბრაზისაგან გამწვანდა, მაგრამ თავი შეიმაგრა, ადგა და ქული აიღო.

- ეგ ისევ თქვენთანაა? - ჰკითხა ხმადაბლა.

- ჩემთან.

- ძალიან კარგი. ნუ წუხხართ, მალე მოგაშორებთ.

- მე არ ვწუხვარ. ღამის სათევად მოდის მხოლოდ. დედაბერს რძალი მოუკვდა და საავადმყოფოშია. ორი დღეა მარტო ვარ. მესერში გამომძვრალი ფიცარი ვაჩვენე. იქიდან შემოდის და ვერავინ ხედავს.

- მალე წავიყვან.

- თქვა, ღამის გასათევი ბევრგან მაქვსო.

- ტყუის, ეძებენ უკვე, აქ კი ჯერჯერობით არავინ შეამჩნევს. ელაპარაკებით ხოლმე?

- დიახ, მთელი ღამე. ძალიან გლანძღავთ. ღამე აპოკალიფსი ვუკითხე. ჩაიც დავალევი. ყურს უგდებდა მეტისმეტადაც კი. მთელი ღამე.

- დასწყევლოს ღმერთმა, აქ არ გააქრისტიანოთ.

- ქრისტიანიც არის. ნუ გეშინიათ, ყელს მაინც გამოსჭრის. ვის გინდათ გამოსჭრას?

- არა, ეგ არ მჭირდება; სხვა რამისთვის მყავს... შატოვმა იცის ფედკას ამბავი?

- შატოვს არც ვხედავ და არც ველაპარაკები.

- იჩხუბეთ?

- არა, არ გვიჩხუბია. ოღონდ პირს კი ვარიდებთ ერთმანეთს. ამერიკაში მეტისმეტად დიდხანს მოგვიხდა ერთად ყოფნა.

- ახლა იმას შევუვლი.

- როგორც გენებოთ.

- იქნებ მე და სტავროგინმა შემოვიაროთ იქიდან, ათი საათისათვის.

- მობრძანდით.

- იმასთან დიდი სალაპარაკო მაქვს... იცით რა, მაჩუქეთ ეს ბურთი: თქვენ რაღად გჭირდებათ? მეც სავარჯიშოდ მინდა. გნებავთ, ფულს მოგცემთ.

- ისე წაიღეთ.

ვერხოვენსკიმ ბურთი უკანა ჯიბეში ჩაიღო.

- სტავროგინის საწინააღმდეგოს ვერაფერს მათქმევინებთ, - წაილაპარაკა კირილოვმა, როცა სტუმარს კარი გაუღო. სტუმარმა გაკვირვებით მოხედა, მაგრამ არაფერი უპასუხა.

კირილოვის უკანასკნელმა სიტყვებმა საგონებელში ჩააგდო ვერხოვენსკი. მაგრამ დაფიქრების დრო აღარ ჰქონდა, უკმაყოფილო იერი კიბეზევე ჩამოიშორა და შატოვთან მომღიმარე შევიდა. შატოვი შინ იყო. ცოტა უქეიფოდ ჩანდა. ჩაცმული იწვა ლოგინზე.

- ბედი არ გინდა! მართლა ავად ხართ? - ზღურბლიდანვე შესძახა ვერხოვენსკიმ, რომელსაც ღიმილი უმაღ ჩამოერეცხა და თვალებში გაბოროტებამ გაუელვა.

- ავად სულაც არა ვარ, - აღელვებით წამოხტა შატოვი, - თავი მტკივა ცოტა...

ამ მოულოდნელმა სტუმრობამ შატოვი დააბნია და შეაშინა.

- მე ისეთ საქმეზე ვარ მოსული, უქეიფობა არ გამოგვადგება, - საჩქაროდ წამოიწყო ვერხოვენსკიმ. კილო მბრძანებლური ჰქონდა. - ნება მომეცით დავჯდე (დაჯდა), თქვენ კი ისევ საწოლზე ჩამოჯექით, აი ასე. დღეს ვირგინსკის დღეობაა და ამ საბაბით ჩვენები იქ მოიყრიან თავს; თუმცა სხვა არც არაფერი იქნება, ზომები მიღებულია. მე და ნიკოლაი სტავროგინი ერთად მოვალთ. თქვენი ახლანდელი აზრები რომ ვიცი, რა თქმა უნდა, არ წაგიყვანდით. იმიტომ კი არა, თქვენი დაბეზლების გვეშინია, უბრალოდ არ მინდა დაგტანჯოთ. მაგრამ ახლა ისე შეტრიალდა საქმე, უნდა წამოხვიდეთ. იქ ისეთ ხალხს შეხვდებით, ვისთანაც საბოლოოდ გადავწყვეტთ, როგორ დატოვებთ საზოგადოებას და ვის გადასცემთ იმას, რაც გაბარიათ. ვერავინ ვერაფერს შეამჩნევს; სადმე კუთხეში გაგიყვანთ. რა საჭიროა ყველამ იცოდეს. მართალი გითხრათ, თქვენი გულისთვის ენად გავიკრიფე კაცი. მგონი, დავიყოლიე, რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ სტამბასა და ნაწერებს ჩააბარებთ. მერე გზა ხსნილი გაქვთ.

შატოვი მოღუშული და გულმოსული უსმენდა. წედანდელი შიში აღარ ეტყობოდა.

- საჭიროდ არ მიმაჩნია ვიღაც-ვიღაცებს ჩავაბარო ანგარიში, - მოუჭრა მოკლედ, - ვისი რა საქმეა ჩემი გაშვება.

- ტყუილად გგონიათ, თქვენ ბევრი რამ იცით. ამიტომ კავშირის პირდაპირ გაწყვეტის უფლება არ გქონდათ. დაბოლოს, გარკვევით ამაზე არასოდეს გაგიცხადებიათ, ისინი ორჭოფულ მდგომარეობაში ჩააყენეთ.

- ჩამოვედი თუ არა, მაშინვე მივწერე გარკვევით.

- არა, გარკვევით არა, - სიტყვა შეუბრუნა ვერხოვენსკიმ. - მაგალითად, მე „ნათელი პიროვნება“ გამოგიგზავნეთ, აქ დაბეჭდეთ და ჯერჯერობით სადმე თქვენთან შეინახეთ-მეთქი. ორი პროკლამაციაც მოვაყოლე. თქვენ კი უკან გამოგზავნეთ და ისე ორჭოფულად მოიწერეთ, კაცი გარკვეულ აზრს ვერ გამოიტანდა.

- მე პირდაპირ ვთქვი უარი დაბეჭდვაზე.

- პირდაპირ არ გითქვამთ. მოიწერეთ: „არ შემიძლია“, მიზეზი კი არ ახსენით. „არ შემიძლია“ როდი ნიშნავს „არ მინდას“. ხომ შეიძლებოდა ეფიქრათ, უფულობის გამო

ვერ ბეჭდავთ. ასეც ჩათვალეს, საზოგადოებასთან მაინც არა წყვეტს კავშირსო, მაშასადამე, შეიძლება კიდევ რამე მივანდოთო. მაშასადამე, საფრთხეში ჩაიყენეს თავი. ახლა ამბობენ, ჩვენი მოტყუება უნდოდა, რამე მნიშვნელოვანი გაგვენდო და მერე დავესმინეთო. მე თავგამოდებით გიცავდით. ის თქვენი ორპწკარიანი წერილიც ვაჩვენე, როგორც გასამართლებელი საბუთი. მაგრამ ახლა რომ გადავიკითხე, მე თვითონ დავრწმუნდი, ეს ორი პწკარი გარკვევით არაფრის მთქმელია და კაცი მართლა შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს.

- ეგრე გულდაგულ ინახავთ ჩემს წერილს?

- ეგ არაფერი, მე რომ ვინახავ; ახლაც ჩემთან არის.

- არის და იყოს, ჯანდაბის გზა ჰქონია! - გაცეცხლდა შატოვი. - რაში მენაღვლება, თუ იმ თქვენს რეგვენებს ჰგონია, დავგასმინაო! ნეტა ერთი რას მიზამთ?

- ჩაინიშნავენ და რევოლუციის გამარჯვების პირველსავე დღეს ჩამოგახრჩობენ.

- როცა ძალაუფლებას ხელთ ჩაიგდებთ და რუსეთს დაიპყრობთ, არა?

- ნუ იცინით. გიმეორებთ, მე გიცავდით-მეთქი. ერთი სიტყვით, გირჩევთ დღეს მოხვიდეთ. აბა ტყუილუბრალს ლაპარაკი და ყალბი სიამაყის გამოჩენა რას გარგებთ? არ სჯობია პატიოსნად დავშორდეთ ერთმანეთს? ხომ უნდა ვისმე გადააბაროთ დაზგა, შრიფტი და ძველი ნაწერები. აი ამაზე ვისაუბრებთ.

შატოვს თავი ჩაელუნა, ფიქრებს წაელა. ვერხოვენსკი აღმაცერად უყურებდა.

- მოვალ, - ჩაიდუდუნა ბოლოს შატოვმა და უცებ თავი ასწია: - სტავროგინი იქნება?

- უეჭველად იქნება.

- ჰე, ჰე!

წუთით იყუჩეს. შატოვი ზიზღნარევი ღიმილით იყურებოდა.

- დაიბეჭდა ის თქვენი საზიზღარი „ნათელი პიროვნება“, მე რომ აქ არ დავბეჭდე?

- დაიბეჭდა.

- გიმნაზიელები დაარწმუნეთ, თვითონ გერცენმა ჩაგვიწერაო ალბომში?

- დიახ, თვითონ გერცენმაო.

სამიოდე წუთს ისევ დუმდნენ. ბოლოს შატოვი საწოლიდან წამოდგა.

- აქედან გამეცალეთ, არ მინდა თქვენ გვერდით ვიჯდე.

ვერხოვენსკი მაშინვე წამოდგა.

- მივდივარ, ოღონდ ეს მითხარით: კირილოვი მარტოა ახლა თავის ფლიგელში, მოახლე არ ჰყავს?

- მარტოა. გასწით, არ შემიძლია თქვენთან ერთ ოთახში ყოფნა.

„იფ, რა კაი სანახავი ხარ ახლა! - ფიქრობდა გამხიარულებული ვერხოვენსკი, ქუჩაში რომ გამოვიდა, - საღამოსაც კაი შვილი იქნები, სწორედ ეგეთი მჭირდები, უკეთესს ვერც ვინატრებდი. რუსთა ღმერთი მწყალობს ალბათ!“

VII

როგორც ჩანს, ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ იმ დღეს ბევრი ირბინა და კარგადაც მოაკვარახჭინა თავისი საქმეები, ვინაიდან საღამოს ექვს საათზე სტავროგინთან მისულს სახე კმაყოფილებით უბრწყინავდა. მაგრამ სტავროგინთან არ შეუშვეს. ისა და მავრიკი ნიკოლაევიჩი ის წუთია კაბინეტში შეკეტილიყვნენ. ამ ამბავმა დიდ საგონებელში ჩააგდო. კაბინეტის კართან დაჯდა, რომ სტუმრის გამოსვლა არ გამოპარვოდა. ოთახიდან ლაპარაკის ხმა ესმოდა, მაგრამ სიტყვები ვერ გაერჩია. ვიზიტი დიდხანს არ გაგრძელებულა. მალე ხმაური გაისმა, შემდეგ ვიღაცამ ხმამაღლა და მკვახედ შესძახა რაღაც, მერე კარი გაიღო და მავრიკი ნიკოლაევიჩი გამოვიდა. სახეზე ფერი არ ედო. ვერხოვენსკი ვერ შეამჩნია და სწრაფად ჩაუარა გვერდი. ისიც მაშინვე კაბინეტში შევარდა.

არ შემიძლია დაწვრილებით არ მოგახსენოთ ამ ორი მეტოქის უცნაური შეხვედრის ამბავი.

ეს ასე მოხდა: ნიკოლაი სტავროგინი ნასადილევს კაბინეტში თვლემდა ტახტზე, როცა ალექსეი ეგოროვიჩმა მოულოდნელი სტუმრის მობრძანება აუწყა. ამ გვარის გაგონებაზე სტავროგინი ტახტიდან წამოხტა, თავის ყურებს არ უჯერებდა. მაგრამ მყის გამარჯვებული და ქედმაღლური ღიმილი აეგრიხა ტუჩებზე. თუმცა ამავე დროს რაღაც გაოგნებული და უნდოც. მავრიკი ნიკოლაევიჩი შემოსვლისთანავე გააოცა ამ ღიმილმა, ყოველ შემთხვევაში შუა ოთახში გაჩერდა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა: მივიდეს მასპინძელთან თუ უკან გატრიალდეს? მასპინძელმა მყისვე იცვალა გამომეტყველება, მისკენ დინჯად გადადგა ნაბიჯი და ხელი გაუწოდა. სტუმარმა არ ჩამოართვა, უხერხულად მიიწია სკამი და დაუპატიჟებლად ჩამოჯდა. ხმა არ ამოუღია. სტავროგინი ოდნავ მოშორებით ჩამოჯდა ტახტზე და მავრიკი ნიკოლაევიჩს მიაჩერდა, რას იტყვისო.

- თუ შეგიძლიათ, შეირთეთ ლიზავეტა ნიკოლაევნა, - მიახალა უცებ მავრიკი ნიკოლაევიჩმა, მაგრამ თხოვნა იყო, დათმობა თუ ბრძანება, კაცი ვერ გამოიცნობდა.

ნიკოლაი სტავროგინი დუმდა. სტუმარი პასუხის მოლოდინში ჯიქურ უყურებდა.

- თუ არ ვცდები (თუმცა ეს უკვე ექვს გარეშეა), ლიზავეტა ნიკოლაევნა თქვენზეა დანიშნული, - ჩაილაპარაკა ბოლოს სტავროგინმა.

- დიახ, დანიშნულია, - მტკიცედ და გარკვევით დაუდასტურა მავრიკი ნიკოლაევიჩმა.

- ხომ არ... წაიჩხუბეთ?... მაპატიეთ, მავრიკი ნიკოლაევიჩ.

- არა, მე „ვუყვარვარ და პატივსა მცემს“, როგორც თვითონ თქვა. მისი ნათქვამი კი ყველაზე ძვირფასია.

- ეჭვი არ მეპარება.

- მაგრამ ისიც იცოდეთ, ეკლესიაშიც რომ ვიყოთ და ჯვარს ვიწერდეთ, ერთი თქვენი დაძახება კმარა, ყველა მიატოვოს და თქვენთან გამოიქცეს.

- ჯვრისწერიდან?

- ჯვრისწერის მერეც.

- ვითომ არ სცდებით?

- არა. სძულხართ, მუდამ გულწრფელად სძულხართ. მაგრამ ამ სიძულვილში ყოველ წამს და წუთს სიყვარული და... სიგიჟე გამოკრთის... გულწრფელი, უზომო სიყვარული და სიგიჟე! და პირიქით, ჩემდამი სიყვარულში, ისეთივე გულწრფელში - ყოველ წამსა და წუთს სიძულვილი გამოკრთის - უდიდესი სიძულვილი! წინათ ვერასოდეს წარმოვიდგენდი ასეთ... მეტამორფოზებს.

- მაინც მიკვირს, ჩემთან როგორ მობრძანდით და მეუბნებით, ლიზავეტა ნიკოლაევნა ითხოვეთო: გაქვთ კი საამისო უფლება? თვითონ ხომ არ გამოგზავნათ?

მავრიკი ნიკოლაევიჩმა წარბი შეიკრა, წუთით თავი დახარა და მერე უპასუხა: - მაგ სიტყვებს მხოლოდ ნიშნისმოგების სურვილი გალაპარაკებთ. განა არ ვიცი, კაცს რომ უთქმელადაც გაუგებთ, ან რა დროს წვრილმანი პატივმოყვარეობის ამბებია? მეტი რაღა გნებავთ? რა საჭიროა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები და ყველაფრის თქმა! ბატონი ბრძანდებით, თუკი ასე გსურთ ჩემი დამცირება, გეტყვით ყველაფერს. მე არც უფლება მაქვს და არც არავის დაუვალებია ჩემთვის. ლიზავეტა ნიკოლაევნამ არაფერი იცის, მისმა საქმრომ კი საბოლოოდ დაკარგა ჭკუა და საგიჟეთშია წასაყვანი; კიდევ მეტი, თქვენვე გეახლათ ამის საუწყებლად. ამქვეყნად მხოლოდ თქვენ ძალგიძთ მისი გაბედნიერება. მე კი - გაუბედურება. თქვენ ეცილებით ყველას. მოსვენებას არ აძლევთ, მაგრამ ცოლად კი არ ირთავთ რატომ, არ ვიცი. თუ ამის მიზეზი საზღვარგარეთ მომხდარი უსიამოვნებაა და შესარიგებლად ჩემი მსხვერპლად მოტანაა საჭირო - კი, ბატონო, შემიწირეთ მსხვერპლად. მე მის ტანჯვას ვერ ვუყურებ, არ შემიძლია. მე არც ნებას გრთავთ და არც გიბრძანებთ. ამიტომ არც თავმოყვარეობას გილახავთ. რომ გდომებოდათ ჩემი ადგილი დაგეჭირათ, ეს ჩემი ნებართვის გარეშეც შეგეძლოთ და არც ეს გიჟური წინადადება იქნებოდა საჭირო. მეტადრე რომ ჩვენი ქორწილი ამ ჩემი ნაბიჯის შემდეგ უკვე შეუძლებელია. რა პირით უნდა მივიყვანო საკურთხეველთან? ჩემი აქ მოსვლა და მისი ამბების გამხელა მის დაუძინარ მტერთან ისეთი უნამუსობაა, მე ამას ვერ ავიტან.

- ჩვენი ქორწილის დღეს მოიკლავთ თავს?

- არა, უფრო გვიან. ჩემი სისხლით რად შევუბლავო საქორწინო სამოსელი. თუმცა იქნებ არც მერე მოვიკლა თავი.

- ამას ჩემს დასამშვიდებლად ამბობთ?

- განა რას ნიშნავს თქვენთვის ერთი ზედმეტი წვეთი სისხლი?

მავრიკი ნიკოლაევიჩი გადაფითრდა და თვალები წამოენთო. წუთით დუმილი გამეფდა.

- მაპატიეთ ეს კითხვები, - დაიწყო ისევ სტავროგინმა. - ზოგი რამ მართლაც არ უნდა მეკითხა, მაგრამ ერთზე კი, მგონი, სრული უფლება მაქვს: საიდან დაასკვნით, ლიზავეტა ნიკოლაევნასადმი რომ რაღაც გრძნობები მაქვს? მე ვგულისხმობ ღრმა გრძნობას, ვინაიდან ეს რომ არ გწამდეთ, ჩემთან არ მოხვიდოდით და ასეთ... რამეს არ შემომთავაზებდით.

მავრიკი ნიკოლაევიჩი შეკრთა კიდევ.

- როგორ? განა ამისთვის არ იკლავდით თავს და ახლაც არ იკლავთ?

- მე ჩემს გრძნობებზე ვერავისთვის ვერ ვილაპარაკებ, გარდა იმ ქალისა, რომელიც მიყვარს. უკაცრავად და ასეთია ჩემი ბუნება. სამაგიეროდ, გულწრფელად გამოგიტყდებით: მე ცოლი მყავს, ამიტომ სხვა ქალის თხოვა ან მისთვის „თავის მოკვლა“ ჩემთვის უკვე შეუძლებელია.

მავრიკი ნიკოლაევიჩი განცვიფრებისაგან სავარძელზე გადაექანა. რამდენიმე ხანს გაუნძრევლად მიშტერებოდა სტავროგინს.

- წარმოიდგინეთ, ეს არც მიფიქრია, - წაილულლულა ბოლოს, - მაშინ, იმ დილას რომ თქვით, ცოლი არა მყავსო... მეც დაგიჯერეთ...

სტუმარს ზაფრანის ფერი დაედო.

- თუ ამას იქით ლიზავეტა ნიკოლაევნასთვის თავი არ დაგინებებიათ და გაგიუბედურებიათ, იცოდეთ, ჯოხით გაგიპობთ თავს! - დაახეთქა მუშტი მაგიდას მავრიკი ნიკოლაევიჩმა, წამოხტა და სწრაფად გავიდა.

კაბინეტში შევარდნილ ახალგაზრდა ვერხოვენსკის მასპინძელი უცნაურ გუნებაზე დაუხვდა.

- ეს თქვენა ხართ! - ხმამაღლა გადაიხარხარა სტავროგინმა მისი ცნობისმოყვარე სახის დანახვაზე, - რაო, კარზე გქონდათ ყური მოდებული? ნეტა რისთვის გარჯილხართ? მგონი, რაღაც დაგპირდით... ჰო! მახსოვს: „ჩვენებთან“ წასვლა. დიდი სიხარულით წამოვალ, ამაზე დროულს ახლა ვერაფერს მოიგონებდით.

სტავროგინმა ქუდს დაავლო ხელი და ორივე მაშინვე გამოვიდნენ.

- წინასწარ გეცინებათ „ჩვენებთან“ წასვლაზე? - მხიარულად ცმუტავდა ვერხოვენსკი და ხან აგურის ვიწრო ტროტუარზე ახტებოდა, ხან ისევ შუა ქუჩაში მიცუხცუხებდა ტალახში, ვინაიდან მის თანამგზავრს მთელი ტროტუარი დაეკავებინა.

- სულაც არ მეცინება, - მხიარულად პასუხობდა სტავროგინი, - პირიქით, დარწმუნებული ვარ, სულ დარბაისელი ხალხი გეყოლებათ.

- დიახ, „უჟმური ყეყეჩები“, როგორც თქვენა ბრძანეთ ერთხელ.

- არაფერი ჯობია ზოგჯერ უჟმურ ყეყეს.

- ეგ მავრიკი ნიკოლაევიჩს ჩაუნისკარტეთ?! თავს დავდებ, თუ იმის სათქმელად არ მოვიდა, საცოლეს დაგიტომობთო. ჩემი წაქეზებული კია. არ დაგვიტომობს და ჩვენ თავად წავართმევთ, ხომ კი?

კარგად იცოდა ვერხოვენსკიმ, რა სახიფათოც იყო ამაზე ლაპარაკი, მაგრამ გაურკვევლობას ყველაფერი ერჩია ხოლმე, მით უმეტეს, თუ აღელვებულიც იყო.

- მაინც გაქვთ იმედი, რომ დამეხმარებით? - ჰკითხა სტავროგინმა.

- თუკი მიხმობთ. ისე კი იცოდეთ, ერთი ყველაზე კარგი გზა არსებობს.

- ვიცი თქვენი გზა.

- არა, არ იცით. ეს ჯერ საიდუმლოა. მხოლოდ გახსოვდეთ, ეს საიდუმლო ფული ღირს.

- ეგეც ვიცი, რამდენი ღირს, - წაიდუდუნა სტავროგინმა.

- რამდენიო? რა თქვით? - შეხტა ახალგაზრდა ვერხოვენსკი.

- ჯანდაბას თქვენი თავი და თქვენი საიდუმლო-მეთქი! თქვენ ის მითხარით, იქ ვინ გეყოლებათ? ვიცი, დღეობაზე მივდივართ, მაგრამ მაინც ვინ იქნება?

- ვინც გნებავთ! კირილოვიც კი იქნება.

- წრის ყველა წევრი?

- დასწყევლოს ღმერთმა, რა გაჩქარებთ! ჯერ ერთი წრეც არ შეგვიქმნია.

- მაშ ამდენი პროკლამაციები როგორღა მოჰფანტეთ?

- სადაც ჩვენ მივდივართ, იქ მხოლოდ ოთხი კაცია წევრი. დანარჩენები ჯერჯერობით ერთმანეთს ჯაშუშობენ და მე მიყაჭავენ ყველაფერს. საიმედო ხალხია. ამ ხალხს ორგანიზება უნდა გაუკეთო, მერე კი გუდა-ნაბადი აიკრა. თუმცა რაღას გიხსნით, წესდება თქვენ თვითონ არ დაწერეთ?

- მერედა გაბრკოლებთ რამე? ძნელად ხერხდება?

- რამ უნდა დამაბრკოლოს? ამაზე იოლი რა იქნება. ერთი უნდა გაცინოთ: იცით, ყველაზე ძლიერ რა მოქმედებს ამ ხალხზე? რადა მუნდირი. მუნდირის ჯადოს ვერავინ უძლებს. მეც განზრახ ვიგონებ ჩინებსა და თანამდებობებს: ეს მდივნებიო, ეს ფარული მეთვალყურენიო, ხაზინადარნიო, თავმჯდომარენიო, ეს რეგისტრატორნიო, მათი თანაშემწენიო - ამ ანკესზე ყველა ეგება. ამასთან სანტიმენტალობაც დიდი ძალაა. იცით, სოციალიზმი ჩვენში უპირატესად სანტიმენტალობის წყალობით ინერგება. მაგრამ ვაი რომ ეს კბენია პოდპორუჩიკები გვიფუჭებენ საქმეს. შიგადაშიგ გამოერევიან ხოლმე. შემდეგ წმიდაწყლის თაღლითები მოდის. კაი ხალხია. ბევრ რამეში გამოსადეგი, ოღონდ სულ თვალი უნდა გეჭიროს. ამას კი ბევრი დრო უნდა. მაგრამ ყველაზე დიდი ძალა, ყველაფრის შემდუღებელი და შემკვრელი ის არის, რომ საკუთარი აზრებისა ესირცხვილებათ. აი, ძალა ეს არის თუ არის! ნეტა ვინ იყოს ის „მადლიანი“ და ვინ იმუშავა ასე, რომ ერთი საკუთარი აზრი არავის დაუტოვა თავში?! ესირცხვილებათ!

- მაშ რაღაზე იკლავთ თავს?

- აბა უპატრონო ეკლესიას როგორ არ უნდა დაეპატრონო! ვითომ მართლა არ გჯერათ, რომ გავიმარჯვებთ? ეჰ, მონდომებაა საქმე, თორემ რწმენა კი არის. სწორედ ამისთანების წყალობით გავიმარჯვებთ. მე გეუბნებით, ოღონდ შეუძახე,:

ლიბერალობა გაკლია-თქო, და წყალში გადავარდებიან. ეგ სულელები მაყვედრიან, ყველა მოატყუეო შენი ცენტრალური კომიტეტითა და უთვალავი განშტოებებითო. ერთხელ თქვენც მისაყვედურეთ. მაგრამ მოტყუებას აქ სად ხედავთ? ცენტრალური კომიტეტი - აგერ მე და თქვენა ვართ. განშტოებანი კი რამდენიც გნებავთ, იმდენი იქნება.

- სულ კი ამისთანა ნაძირალებისაგან შემდგარი!

- მასალად ეგენიც გამოდგებიან.

- მაშ, ჩემი იმედი ისევ გაქვთ?

- მოთავე თქვენ ხართ, ძალაც თქვენ გაქვთ; მე მხოლოდ გვერდზე გეყოლებით, მდივნად. მოგეხსენებათ, ნავში ჩავჯდებით, ნიჩბებს მოვუსვამთ ნეკერჩხლისა, აფრასა გავშლით აბრეშუმისა, წინ დავსვამთ ქალსა მზეთუნახავსა, ჩვენს ლიზავეტა ნიკოლავენას... თუ როგორ არის, დალაზვროს ეშმაკმა, იმ სიმღერაში.

- შეგეშალათ! - გადაიხარხარა სტავროგინმა. - არა, მე უკეთეს არაკს გეტყვით. აგერ თქვენ თითებზე ითვლით, რა და რა საშუალებებით ჩამოაყალიბოთ ის წრეები. თანამდებობა და სანტიმენტალობა - კარგი შრემია შესაწებებლად, მაგრამ უკეთესი წამალიც არსებობს: შეაგულიანეთ წრის ოთხი წევრი მეხუთე მოკლას, გაცემას გვიპირებს-თქო, და იმ სისხლით ყველას ხელ-ფეხს შეუკრავთ, მონებად გაიხდით, ვერც აჯანყებას გაგიბედავენ და ვერც ანგარიშს მოგთხოვენ. ჰა-ჰა-ჰა!

„დაიცა... თუ ეგ სიტყვები არ განანო, - გაიფიქრა ვერხოვენსკიმ, - ამ სადამოსვე არ განანო. მეტისმეტად გაგივიდა თავს“.

ასე ან თითქმის ასე უნდა ეფიქრა ახალგაზრდა ვერხოვენსკის. ამასობაში ვირგისნკის სახლსაც მიუახლოვდნენ.

- რა თქმა უნდა, იქ საზღვარგარეთიდან ჩამოსულ წევრად და რევიზორად წარმომადგინეთ, ვისაც Internationale-თან აქვს კავშირი? = იკითხა უცებ სტავროგინმა.

- რევიზორი კი არა, საზღვარგარეთიდან ჩამოსული დამფუძნებელი წევრი ხართ. რომელმაც უმნიშვნელოვანესი საიდუმლოებანი იცის. ხომ იტყვით სიტყვას?

- ეგ საიდან მოიტანეთ?

- ახლა მოვალე ხართ თქვათ.

გაოცებული სტავროგინი შუა ქუჩაში გაჩერდა ფარნის შორიახლოს. ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ უტიფრად გაუყარა თვალი თვალში. სტავროგინმა გადააფურთხა და გზა განაგრძო.

- თქვენ კი იტყვით სიტყვას? - ჰკითხა მოულოდნელად ვერხოვენსკის.

- არა, თქვენ მოგისმენთ.

- ჯანდაბას თქვენი თავი! მართლაც კაი აზრი მომეცით!
- რა აზრი? - წინ გამოუხტა ვერხოვენსკი.
- იქ კი ვიტყვი რაღაცას, სამაგიეროდ მერე გვერდებს დაგიზელთ.
- ჰო, იცით, წელან კარმაზინოვს რა ვუთხარი: ვითომ თქვენა თქვით, როზგებით ზურგზე ტყავი უნდა ააძრონო.
- ეგ მე არასოდეს მითქვამს, ჰა-ჰა!
- მერე რა უშავს. Se non e vero[201]...
- გმადლობთ, გულწრფელად გმადლობთ.
- იცით, კიდევ რა თქვა კარმაზინოვმა: ეგ თქვენი მოძღვრება სინამდვილეში სინდისის უარყოფაა, უსინდისობის აშკარა უფლებით კი ყველაზე უფრო გაიყოლიებ რუს კაცსო.
- დიდებული სიტყვებია! ოქრო სიტყვები! - შესძახა სტავროგინმა, - შიგ კაკალ გულში მოახვედრა. უსინდისობის უფლებათ - მაშ არადა, ყველა ჩვენთან მოცვივა, იქ კაცი აღარ დარჩება! გამიგონეთ, ვერხოვენსკი, პოლიციიდან ხომ არ ხართ? ჰა?
- ეგ რომც იფიქროს კაცმა, არ უნდა თქვას.
- მესმის, მაგრამ ჩვენ ხომ შინაურები ვართ.
- არა, ჯერჯერობით პოლიციიდან არა ვარ. კმარა, მივედით უკვე. აბა, სტავროგინ, შესაფერი სახე მიიღეთ; მაგ ხალხთან რომ მივდივარ, მუდამ ასე ვაკეთებ. რაც შეგიძლიათ, მოიღუშეთ, მეტი არაფერია საჭირო; ამაზე იოლი რა არის.

თავი მეშვიდე. ჩვენებთან

I

ვირგინსკის საკუთარი ერთსართულიანი სახლი ედგა მურავინაის ქუჩაზე, უფრო სწორად, ეს სახლი ცოლს ეკუთვნოდა. მდგმურებს ისინი არ იყენებდნენ. დღეობის მიზეზით თხუთმეტიოდე სტუმარს მოეყარა თავი, მაგრამ ჩვეულებრივ პროვინციულ დღეობას არ ჰგავდა. ვირგინსკებმა ცოლქმრობის დასაწყისშივე ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტეს, სტუმრების დაპატიჟება დღეობაზე მტკნარი სისულელეაო და არც არაფერი „საზეიმო ამბავია“. რამდენიმე წლის მერე თითქმის სულ ჩამოშორდნენ საზოგადოებას. ვირგინსკის ყველა ახირებულ კაცად თვლიდა, ამბობდნენ, განმარტოება უყვარს და ყველას ქედმაღლურად ელაპარაკებო. ისე კი არც ნიჭი აკლდა და შეძლებითაც არა უშავდა. რაც შეეხება m-me ვირგინსკაიას, ის ხელებით ბეზიაქალი იყო და ამიტომ საზოგადოების ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგა, ფოფოდიანზეც დაბლა, მიუხედავად იმისა, რომ მის ქმარს ოფიცრის ჩინი ჰქონდა. თუმცა თავმდაბლობას კაცი ვერ დასწამებდა. როცა პრინციპის გულისათვის იმ არამზადა კაპიტან ლეზიადკინთან ასეთი სულელური კავშირი დაიჭირა და ჩვენმა

ყველაზე გულმოწყალე ქალბატონებმაც კი ზიზღით აქციეს ზურგი, m-me ვირგინსკაიას არაფრად ჩაუგდია ეს ამბავი. მაგრამ საკვირველი კია, რომ ეს ჩვენი გოროზი ქალბატონები საჭიროების შემთხვევაში მაინც არინა პროხოროვნას (ანუ ვირგინსკაიას) არჩევდნენ ქალაქის სამი მეანიდან. არინა პროხოროვნას მაზრიდანაც კი მოსდიოდა მოწვევა მემამულე ქალებისაგან, იმდენად სწამდათ მისი ცოდნა, ბედნიერი ხელი და სიმარჯვე გაჭირვების ჟამს. ასე რომ დასასრულ იგი მარტოოდენ მდიდარ ოჯახებში დაიარებოდა. ფულზე ერთობ წუწკი ვინმე გახლდათ. საკუთარი ძალის შეგრძნებამ ბოლოს და ბოლოს სულ გაათავხედა. თავის ნერვებსუსტ მშობიარეებს დიდგვაროვან ოჯახებიდან იქნებ განზრახ აშინებდა ნიჰილისტური ხასიათის გამოხდომებით ანდა „წმიდათაწმიდა“ საგნების გაქაჩაქებით. აშინებდა სწორედ იმ წუთებში, როცა ეს „წმიდათაწმიდა“ იქნებ ყველაზე მეტად საჭირო იყო ადამიანისთვის. ჩვენი შტაბს-ექიმი და ამავე დროს მეანი როზანოვი გადაჭრით ამტკიცებდა, როცა ერთხელ მშობიარე ტკივილისაგან კიოდა და ყოვლისშემძლე ღმერთს შველას ეხვეწებოდა, არინა პროხოროვნას სწორედ ასეთმა სიტყვებმა „ტყვიის გავარდნასავით“ იმოქმედა ავადმყოფზე და ისე დააფრთხო, მშობიარობა დააჩქარებინაო. მაგრამ ამ თავისი ნიჰილისტობის მიუხედავად არინა პროხოროვნა ადამიანურ ადათებზედაც არ ამბობდა უარს, თუკი ეს მისთვის სახეირო იქნებოდა. მაგალითად, თავისი აყვანილი ბავშვის ნათლობას არამც და არამც არ დააკლდებოდა. მერედა რა მოპრანჭული გამოცხადდებოდა ხოლმე ნათლობაზე, ჩაიცვამდა მწვანე აბრეშუმის შლეიფიან კაბას, თმას დალალეზად ჩამოუშვებდა, თუმცა კი სხვა დროს ბელეშობასა და სიბინძურეს არაფერი ერჩივნა. მართალია, ნათლობის საიდუმლოების შესრულებისას მუდამ „ისეთი უტიფარი სახით“ იდგა, ეკლესიის მსახურთ საქციელს უკარგავდა, მაგრამ ნათლობის დასრულების შემდეგ შამპანურს უთუოდ თავისი ხელით ჩამოატარებდა (სწორედ ამიტომ მიდიოდა მორთულ-მოკაზმული) და კაი შვილი იყავი „უფეშქაშოდ“ სასმისის აღება გაგებედა.

ვირგინსკისთან ამჟამად თავშეყრილ სტუმრებს (თითქმის სულ მამაკაცებს) ისეთი სახე ჰქონდათ, თითქოს შემთხვევით მოსულიყვნენ საქმეზე. არც სუფრა იყო გაშლილი და არც კარტს თამაშობდა ვინმე. ვეებერთელა, ძველი ცისფერი შპალერით გაკრულ სასტუმროს შუაგულში ორი მაგიდა მიედგათ ერთმანეთზე და არცთუ მთლად სუფთა სუფრა გადაეფარებინათ. ზედ ორი სამოვარი თუხთუხებდა. მაგიდის ბოლოში უშველებელ ლანგარზე ოცდახუთი ჭიქა დაეწყით და კალათიც ჩვეულებრივი ფრანგული თეთრი პურის ნაჭრებით აევსოთ, როგორც კეთილშობილ ვაჟთა თუ ქალთა პანსიონებში იციან ხოლმე. ჩაის დიასახლისის და ასხამდა. ეს იყო ქერა, უწარბო, ოცდაათი წლის შინაბერა ქალი, ჩუმი და გესლიანი არსება, რომელიც ახალ იდეებს მისდევდა და რომლისაც ღვთის რისხვასავით ეშინოდა თვითონ ვირგინსკის. ქალი მხოლოდ სამი იყო: დიასახლისი, მისი უწარბო და, და ვირგინსკის გაუთხოვარი, პეტერბურგიდან ახლახან ჩამობრძანებული და. არინა პროხოროვნა ოცდაშვიდი წლის წარმოსადეგი, შესახედავად გვარიანი ქალი იყო. ახლა ოდნავ თმაგაწეწილი, საშინაო მომწვანო ფერის კაბით იჯდა და ყველას ისე უყურებდა, თითქოს უნდა დაარწმუნოს: მე არაფრისაც არ მეშინიაო. არინა პროხოროვნას ვირგინსკის ახლახან ჩამოსული გაუთხოვარი და ამოჯდომოდა გვერდით, ქალი სტუდენტის და ნიჰილისტის, ისიც გვარიანი შესახედაობისა, ბურთივით ჩამრგვალებული, ტანდაბალი და ლოყებლაჟდაჟა. ახლაც სამგზავრო კოსტიუმი ეცვა, ხელში ქალაღდების შეკვრა ეკავა და მოუსვენრად აცეცებდა თვალებს აქეთ-იქით. თვითონ ვირგინსკი ამ საღამოს რაღაც უქეიფოდ გრძნობდა თავს, მაგრამ მაინც

გამოსულიყო სტუმრებთან და სავარძელში იჯდა სუფრასთან. სტუმრებიც ისე რიგად ჩამომსხდარიყვნენ, გეგონებოდა, მართლა კრება აქვთო. ეტყობოდა, ყველა რაღაცას ელოდა; ამ მოლოდინში კი გარეშე საქმეებზე ლაპარაკობდნენ. სტავროგინისა და ვერხოვენსკის შემოსვლისთანავე ყველა უცებ ჩაჩუმდა.

რომ უფრო გასაგები იყოს მკითხველისათვის, არ შეიძლება ზოგი განმარტება არ მოვიშველიო.

მე მგონი, ეს ბატონები მართლაც რაღაც განსაკუთრებული ამბის შესატყობად შეგროვილიყვნენ და წინასწარაც იყვნენ გაფრთხილებულნი. ისინი ჩვენი უძველესი ქალაქის ყველაზე გაქანებულ ლიბერალებს წარმოადგენდნენ და ვირგინსკისაც ფრიად გულდაგულ შეერჩია ამ „სხდომისათვის“. იმასაც შევნიშნავ, რომ ზოგი მათგანი (თუმცა ფრიად მცირე რიცხვი) ახლა პირველად იყო აქ. ცხადია, სტუმრების უმრავლესობამ გარკვევით იცოდა, კერძოდ რაზე დაიბარეს ისინი. ისიც მართალია, რომ ახალგაზრდა ვერხოვენსკი საზღვარგარეთიდან ჩამოსულ ემისრად მიაჩნდათ მაშინ. ეს აზრი ყველამ რატომღაც ერთბაშად ირწმუნა და, ბუნებრივია, გულშიც ეამათ. ისიც უნდა ითქვას, დღეობის საბაბით შეგროვილ ამ მოქალაქეთა შორის რამდენიმეს უკვე გარკვეული წინადადებანი ჰქონდა მიცემული. ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ მოასწრო და ჩვენშიაც ისეთივე „ხუთეული“ შეაკოწიწა, როგორც მოსკოვში, და კიდევ ჩვენი მაზრის ოფიცრობაშიც ჰყოლია. ამბობენ, ხ-ის გუბერნიაშიც ჰყავდა ერთი ასეთი წრეო. სწორედ ეს ხუთი რჩეული უჯდა ახლა საერთო სუფრას და ისე ოსტატურად მიეღოთ ჩვეულებრივი სტუმრის იერი, კაცი ეჭვს ვერ მიიტანდა. რაკი ახლა საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს, მათ გვარებსაც მოგახსენებთ: ეს გახლდათ პირველ ყოვლისა ლიპუტინი, შემდეგ თვითონ ვირგინსკი, მერე ქალბატონ ვირგინსკიას გრძელყურა ძმა შიგალოვი, ლიამშინი და ბოლოს ვიღაც ტოლკაჩენკო, ორმოციოდე წლის ძალზე უცნაური პიროვნება. იმაზე ამბობდნენ, ხალხი ძირისძირობამდე ჰყავს შესწავლილი, უპირატესად თაღლითები და ავაზაკები და დუქნებშიაც განგებ ამისთვის დადისო (თუმცა არა მგონია, მარტო ამისთვის ევლო). თავის მოწონების მიზნით მუდამ მდაბიური ტანსაცმელი და გაპოხილი ჩექმები ეცვა. თვალებსაც ცბიერად ჰუტავდა და ლაპარაკში ხალხურად უქცევდა. ერთი-ორჯერ სტეპან ტროფიმოვიჩის საღამოზე მოიყვანა იგი ლიამშინმა, მაგრამ ჩვენზე დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინა. ქალაქში მაშინ გამოჩნდებოდა, როცა უადგილოდ იყო ხოლმე, ისე კი რკინიგზაზე მსახურობდა. ამ ხუთმა მოღვაწემ თავიანთი პირველი ჯგუფი იმ იმედით შეადგინა, ეს ჯგუფი მხოლოდ ერთეულს წარმოადგენს რუსეთში გაფანტულ ასობით თუ ათასობით ამისთანა ხუთეულებს შორისო. ყველა ისინი კი რომელიღაც ცენტრალურ, საიდუმლო ორგანიზაციას ექვემდებარებიან, რომელიც თავის მხრივ ორგანულად არის დაკავშირებული ევროპის მსოფლიო რევოლუციასთანო. სამწუხაროდ, ისიც უნდა ავლნიშნო, რომ მათ შორის უკვე იმ ხანებშიაც იჩინა თავი განხეთქილებამ. მართალია, ჯერ კიდევ გაზაფხულიდან ელოდნენ ისინი ახალგაზრდა ვერხოვენსკის, მისი ჩამოსვლის ამბავი ჯერ ტოლკაჩენკომ და მერე შიგალოვმა ამცნოთ; მართალია, დიდ სასწაულებს გამოელოდნენ მისგან და ულაპარაკოდ, პირველი დამახებისთანავე შევიდნენ წრეში, მაგრამ ხუთეულის შედგენისთანავე ცხვირები ჩამოუშვეს, ალბათ იმიტომ, ასე ჩქარა რად დავთანხმდითო. წრეში შესვლის მიზეზი უფრო სირცხვილი იყო, რა არის არავის წამოემახებინა მერე, შეეშინდათ და შესვლა ვერ გაბედესო. მაგრამ ახალგაზრდა ვერხოვენსკის მაინც უნდა დაეფასებინა მათი გმირობა და

სანაზღაუროდ რაიმე უმნიშვნელოვანესი ანეკდოტი ეამბნა. ვერხოვენსკი კი თავს სულაც არ იწუხებდა ამ კანონიერი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და არათუ ზედმეტს ჰყვებოდა, პირიქით, მკაცრად და აგდებულად ექცეოდა მათ, რაც ყველას ძალზე აბრაზებდა. შიგალიოვი აქეზებდა კიდევ სხვებს, „ანგარიში მოვთხოვოთ“, თუმცა ახლა, ამდენ უცხო ხალხში, რა ანგარიშის მოთხოვნა შეიძლებოდა.

უცხოებს რაც შეეხება, ჩემი ფიქრით, პირველი ხუთეულის ზემოხსენებულ წევრებს ექვი ჰქონდათ, რომ ვირგინსკის სტუმრებში იმ საღამოს იმავე ფარული ორგანიზაციის და იმავე ვერხოვენსკის თაოსნობით ქალაქში დაარსებული უცნობი ჯგუფების წევრებიც არიან. ისე რომ ბოლოს ყველანი ისეთნაირი ექვის თვალით უჭვრეტდნენ ერთმანეთს და ისეთნაირად იბღინებოდნენ, კრებამ ფრიად უცნაური, და წარმოიდგინეთ, ცოტა რომანული ელფერიც მიიღო. თუმცა რამდენიმეზე აქ მართლაც არ შეიძლებოდა ექვის მიტანა. მაგალითად, ვირგინსკის ახლო ნათესავი მაიორი, რომელიც ამისთანა საქმეებში უბრალო იყო, დაუპატიჟებლად სწვეოდათ და არ შეიძლებოდა არ მიეღოთ. ვირგინსკის მაიორის მხრივ დაბეზღებისა არ ეშინოდა, რადგან ეს მაიორი, თავისი ჰკუთხელობის მიუხედავად, მთელი სიცოცხლე ისეთ ადგილებში დამკრებოდა, სადაც უკიდურესი ლიბერალები ეგულებოდა; თვითონ არ თანაუგრძნობდა, მაგრამ მოსმენა კი ძალიან უყვარდა. კიდევ მეტიც, კაცს უკვე სახელი ჰქონდა გატეხილი: ახალგაზრდობის წლებში თურმე მის ხელში გაიარა „კოლოკოლისა“ და პროკლამაციების მთელმა დასტებმა. მართალია, შიშით არ გადაუშლია, მაგრამ გავრცელებაზე კი უარის თქმას დიდ უნამუსობად ჩათვლიდა - რას იზამ, ასეთია ზოგი რუსი დღემდე. რაც შეეხება დანარჩენ სტუმრებს, ნაწილი ან გულში ჩაკლული კეთილშობილური თავმოყვარეობისაგან ნაღველგასიებული ხალხი იყო ან არადა სიყმაწვილის პირველ კეთილშობილურ გულისთქმას აყოლილი ჭაბუკები. პირველთა რიცხვს ეკუთვნოდა ორი-სამი მასწავლებელი, ამათგან ერთი კოჭლი, ასე ორმოცდახუთ წელს მიტანებული, დიდი ენამწარე და საოცრად პატივმოყვარე კაცი, რომელიც გიმნაზიაში ასწავლიდა, და კიდევ ორი-სამი ოფიცერი. ამ ოფიცრებიდან ერთი სულ ახალგაზრდა არტილერისტი იყო, ჩუმი, უთქმელი ყმაწვილი, რომელიც ახლახან ჩამოსულა რომელიღაც სამხედრო სასწავლებლიდან, ნაცნობების გაჩენა ვერ მოესწრო და ახლა პირდაპირ ვირგინსკისთან ამოეყო თავი. იგი ლაპარაკში არ ერეოდა, მაგრამ ხელში ფანქარი ეჭირა და ყოველ წამს რაღაცას ინიშნავდა უბის წიგნაკში, რასაც ყველა ამჩნევდა და რატომღაც თვალს არიდებდა. იყო კიდევ ერთი უსაქმოდ მოყიალე სემინარიელი, რომელმაც ლიამშინთან ერთად ის ბილწი ფოტოგრაფიები მიაჩეჩა წიგნების დამტარებელ ქალს. ამ ზორბა ყმაწვილს უტიფრად ეჭირა თავი და ყველას ეჭვით უყურებდა. პირზე მამხილებელი და ამასთან თვითკმაყოფილი ღიმილი დასთამაშებდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ აქ გახლდათ ჩვენი ქალაქის თავის ვაჟიც, სწორედ ის სამაგელი და ნაადრევად გათახსირებული ბიჭი, რომელზეც პორუჩიკის ახალგაზრდა ცოლთან დაკავშირებით მოგახსენეთ. იმას მთელი საღამო კრინტი არ დაუძრავს. დაბოლოს იყო კიდევ ერთი თვრამეტი წლის გულფიცხი და თმაგაჩეჩილი გიმნაზიელი, რომელიც ისეთი მოღუშული იჯდა, თითქოს ეს წუთია შეურაცხყოფა მიაყენესო. თავისი თვრამეტი წელი, ეტყობა, ვერ მოენელებინა. ეს პირზე რძემუშრალი ყმაწვილი, როგორც შემდეგში აღმოჩნდა ჩვენდა გასაკვირად, თურმე გიმნაზიის უფროს კლასებში ჩამოყალიბებულ შეთქმულთა დამოუკიდებელი ჯგუფის მეთაური ყოფილა. შატოვზე არაფერი მითქვამს: ის მაგიდის უკან, კუთხეში იჯდა, სკამი ცოტა წინ

წამოეწია, თვალეზი დაეხარა და კუმტად დუმდა. უარი განაცხადა ჩაიზე და არც ქუდი გაუშვია მთელი ამ ხნის მანძილზე ხელიდან, თითქოს ამით სურდა ემცნო, სტუმარი კი არა ვარ, საქმეზე მოვსულვარ და როცა მინდა, ავდგები და წავალო. კირილოვიც იქვე შორიახლოს იჯდა ჩუმად, მაგრამ ქვევით კი არ იყურებოდა, პირიქით, ყოველ მოსაუბრეს უმოძრაოდ მიაშტერებდა თავის უსიცოცხლო თვალეზს და ყველაფერს აუღელვებლად ისმენდა. ზოგ სტუმარს იგი არასოდეს ენახა და ახლა მალულად უჭვრეტდნენ. არ ვიცი, იცოდა თუ არა m-me ვირგინსკაიამ ხუთეულის არსებობის ამბავი. ვფიქრობ, ყველაფერი იცოდა და სწორედ ქმრისაგან. სტუდენტი ქალი, რა თქმა უნდა, არაფერში მონაწილე არ იყო. მაგრამ იმასაც თავისი სადარდელები გააჩნდა; აქ მხოლოდ ერთი ორი დღე ფიქრობდა დარჩენას, მერე კი სხვადასხვა ქალაქებში აპირებდა წასვლას, სადაც უნივერსიტეტები ეგულეზოდა, რა არის „საცოდავი სტუდენტების ტანჯვა გაეზიარებინა და აემხედრებინა ისინი“. თანაც, მგონი, რამდენიმე ასეული ცალი თავისივე შეთხზული ლითოგრაფირებული მოწოდება მიჰქონდა. საკვირველი ის იყო, რომ გიმნაზიელმა ნახვისთანავე აითვალისწინა იგი და იმანაც ასევე შეიჯავრა გიმნაზიელი. მაიორი ქალს მკვიდრ ბიძად ეკუთვნოდა და ათი წლის შემდეგ დღეს პირველად ნახა როცა სტავროგინი და ვერხოვენსკი შემოვიდნენ, სტუდენტი ქალს ლოყები ააღმურებოდა. ეს წუთია ბიძასთან მოსვლოდა დავა ქალთა საკითხის თაობაზე.

II

ვერხოვენსკი თითქმის არავის მისალმებია და სუფრის თავში დაუდევრად გადაითხლაშა სკამზე ზიზლიანი და მედიდური სახით. სტავროგინმა თავაზიანად დაუკრა იქ მყოფთ თავი. მაგრამ სტუმრებმა თითქოს ვერ შეამჩნიეს, თუმცა მათ მოსვლას კი ელოდებოდნენ. სტავროგინი დაჯდა.

- სტავროგინ, ჩაის დალევთ? - გოროზად ჰკითხა დიასახლისმა.

- გეახლებით.

- სტავროგინს ჩაი, - უბრძანა ქალმა თავის დას, - თქვენ არ ინებებთ? (ეს კითხვა ვერხოვენსკის ეკუთვნოდა).

- რა თქმა უნდა, ვინებებ, სტუმარს როდის ეკითხებიან. თან ნალებიც მოაყოლეთ, თორემ თქვენთან ჩაი კი არადა, რაღაც უბედურებაა დღეობა მაინც არ ერქვას.

- დღეობები თქვენცა გწამთ? - გაეცინა უცებ სტუდენტი ქალს, - ეს წუთია ამაზე ვლაპარაკობდით.

- მოძველებული ამბავია, - ჩაიბუზღუნა გიმნაზიელმა სუფრის მეორე ბოლოში.

- მოძველებული კი არადა, ჩვენდა სამარცხვინოდ ყოვლად უწყინარი ადათების გადაგდებაც ჩვენში დღემდე ახალი ამბავია, - ლამის სკამიდან გადმოვარდა სტუდენტი ქალი და მერე გამძვინვარებით დაატანა, - თუმცაღა უწყინარი ადათები არ არსებობს.

გიმნაზიელი საოცრად აღელდა: - მე მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ადათები მოძველდა და მართლაც აღმოფხვრა უნდა-მეთქი. დღეობა კი იმდენად საყოველთაოდ ცნობილი სისულელეა და იმდენად მოძველებული, ამაზე ძვირფასი

დროის დაკარგვა არა ღირს, ისედაც უამრავი დროა დაკარგული ჩემი აზრით, ენის
ლესვა, მგონი, უფრო საჭირო საგნებზე იქნებოდა უკეთესი...

- ისე აჭიანურებთ, კაცი ვერაფერს გაიგებს, - გამოსძახა სტუდენტმა ქალმა.

- მე მგონი, ხმის უფლება ყოველ კაცსა აქვს, მაშასადამე, მეც შემიძლია სხვებივით
ჩემი აზრი გამოვთქვა...

- ხმის უფლებას არავინ გართმევთ. მარტო ის გთხოვს, მეტისმეტად ნუ გააჯანჯლეთ,
თორემ ვერავინ ვერაფერი გაიგო, - გააწყვეტინა დიასახლისმა.

- უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ჩემი უპატივცემულობაა. თუ აზრი ვერ დავამთავრე, ეს
არ ნიშნავს, აზროვნება არ შემეძლოს, პირიქით, მე ფრიად... - სასოწარკვეთილ
გიმნაზიელს საბოლოოდ დაეხნა სათქმელი.

- თუ ლაპარაკი არ შეგიძლიათ, გაჩუმდით მაინც, - მიახალა სტუდენტმა ქალმა.

- მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ბატონ სტავროგინთან გინდათ ახლა ჭკუა
გამოიჩინოთ და მეტი არაფერი! - შეხტა გიმნაზიელი და სირცხვილისაგან ისე
აილანძა, თავის მობრუნება ვერ გაბედა.

- ეგ ბინძური აზრი მხოლოდ თქვენს გაუნათლებლობას მოწმობს. ძალიან გთხოვთ,
აღარაფერი მითხრათ, - აღშფოთდა სტუდენტი ქალი.

- სტავროგინ, - დაიწყო დიასახლისმა, - თქვენამდე აქ ოჯახის უფლებებზე იყო დავა,
ეს ოფიცერი კამათობდა (დიასახლისმა თავის ნათესავ მაიორისკენ გაიქნია თავი). რა
თქმა უნდა, მე არ შეგაწუხებდით ამ ძველისძველი აბდაუბდით, მაგრამ საიდან
გაჩნდა მაინც ოჯახის უფლება-მოვალეობანი იმ ადათის სახით, როგორც ახლა
გვევლინება? რას იტყვით ამ კითხვაზე?

- როგორ საიდან გაჩნდა? - ჩაჰკითხა სტავროგინმა.

- მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ ღმერთის რწმენა ჭექა-ქუხილმა შექმნა, - გამოხტა ისევ
სტუდენტი ქალი და თვალები ჯიქურ მიაშტერა სტავროგინს, - საყოველთაოდ
ცნობილია, რომ პირველყოფილმა კაცობრიობამ ელვა-ქუხილის შიშით გააღმერთა
უხილავი მტერი, რაკი თავისი უძლურება იგრძნო. მაგრამ საიდან გაჩნდა ეს ცრუ
წარმოდგენა ოჯახზე? საიდან გაჩნდა თვით ოჯახი?

- ეგ სხვა საკითხია და... - დააპირა ჩარევა დიასახლისმა.

- მე მგონია, პასუხის გაცემა ცოტა უხერხულიც გახლავთ, - მიუგო სტავროგინმა.

- რაო, რაო? - შეხტა ისევ სტუდენტი ქალი.

მასწავლებელთა ჯგუფში ჩაიხიბითხითეს, სუფრის მეორე ბოლოში ლიამშინი და
გიმნაზიელიც აჰყვნენ, ხრინწიანი ხარხარი აუტყდა ნათესავ მაიორსაც.

- ვოდევილებს კარგად დაწერდით, - მიუბრუნდა დიასახლისი სტავროგინს.

სტუდენტი ქალი მართლა აღშფოთდა.

- დიახაც უკადრისი საქციელია, არ ვიცი კი თქვენი სახელი, - მოუჭრა მოკლედ.

- შენც ნუ ეჩრები! გასათხოვარი ქალი ხარ და მოკრძალება გმართებს, შენ კი ისე ცმუკავ, თითქოს ნემსებზე იჯდე, - მიახალა მაიორმა.

- თუ შეიძლება გაჩუმდით, ფამილიარულად ნუ მომმართავთ, და ეგ უხამსი შედარებანი მეორედ აღარ გამიბედოთ. პირველად გხედავთ და თქვენი ნათესაობა არაფრად მიმაჩნია.

- მე ხომ ბიძა ვარ შენი. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ მიტარებიხარ ხელით, მუძუმწოვარა რომ იყავი!

- მერე ვინ შეგეხვეწათ, მატარეთო. ალბათ თვითონვე გსიამოვნებდათ, ბატონო არათავაზიანო ოფიცერო. ისიც უნდა მოგახსენოთ, შენობით ნუ მელაპარაკებით, თუ არ მომმართავთ როგორც მოქალაქეს, ერთხელ და სამუდამოდ გიკრძალავთ.

მაიორმა მუშტი დაახეთქა მაგიდას და მის პირდაპირ მჯდარ სტავროგინს მიუბრუნდა.

- ამას უყურე ერთი! არა, ბატონო, მე ლიბერალობაც მიყვარს და თანამედროვეობაც, ჭკვიანურ ლაპარაკსაც სიამოვნებით მოვისმენ, მაგრამ მხოლოდ მამაკაცებისგან და არა ქალებისაგან, არა ამისთანა თანამედროვე ბოლოქანაქარებისგან, ბატონო! შენ მანდ ნუ ცმუკავ! - შეუტია მაიორმა სტუდენტ ქალს, რომელიც სკამიდან წამოხტომას ლამობდა, - არა, სიტყვას მეც ვითხოვ, მეც შეურაცხყოფილი გახლავართ.

- სხვებს ხელს უშლით და თვითონ კი ლაპარაკი არ შეგიძლიათ, - აღშფოთებით წაიდუღუნა დიასახლისმა.

- არა, მე უნდა ვთქვა, - ცხარობდა მაიორი და ისევე სტავროგინს უყურებდა, - ახალი მოსული ბრძანდებით და ამიტომ თქვენი იმედი მაქვს, ბატონო სტავროგინ, თუმცა არ გიცნობთ. უმამაკაცებოდ. ეგენი ბუზებივით გაწყდებიან, - აი, ჩემი აზრი. მთელი მაგათი ქალთა საკითხი - ეს მხოლოდ ორიგინალობის უკმარობაა. მერწმუნეთ, ქალთა საკითხი სულ მამაკაცებმა გამოუგონეს თავისდა ჭირად, - მადლობა ღმერთს, ცოლი არა მყავს. თავისით ვერაფერს იგონებენ, ყველაფერს მამაკაცები უთხზავენ! აგერ, ბატონო, მაგალითიც მე ეგ ხელით რამდენჯერ მიტარებია, ათი წლისა რომ იყო, მასთან მაზურკას ვცეკვავდი ხოლმე. დღეს ჩამოვიდა და, ბუნებრივია, ხელებგაშლილი შევეგებე. მან კი მეორე სიტყვიდანვე მომახალა, ღმერთი არ არისო. მესამე სიტყვიდან მაინც ეთქვა, მეორედან რალა იყო. ცხვირში აქვთ სული და იმიტომ! ვთქვათ, ჭკვიან ხალხს არა სწამს, მაგრამ ეს ხომ ჭკუისაგან მოსდით, შენ კი, შე ბარეილო, ღმერთისა რა გესმის? შენ ხომ ეს სტუდენტმა გასწავლა, რომ ესწავლებინა, კანდელი დაანთეო, ხომ კანდელსაც დაანთებდი-მეთქი.

- ტყუით, ყველაფერს ტყუით, დიდი ბოროტი კაცი ყოფილხართ. წელან ხომ დაგიმტკიცეთ თქვენი უსუსურობა, - ისე აგდებით მიუგო სტუდენტმა ქალმა, თითქოს ამისთანა კაცი ლაპარაკის ღირსადაც არ მიაჩნია. - მე ის გითხარით წელან, ჩვენ ყველას კატეხიზმითი გვასწავლეს-მეთქი: „თუ პატივსა სცემს მამასა შენსა და მშობელსა შენსა, დღეგრძელიც იქნები და სიმდიდრეც მოგეცემა“. ასე არის ათ მცნებაში. ჰოდა, თუ ღმერთმა საჭიროდ სცნო სიყვარულის წილ ჯილდოს დანიშვნა, მაშასადამე, ეგ თქვენი ღმერთი უზნეო არის-მეთქი. აი, რა სიტყვებით დაგიმტკიცეთ წელან და არა მეორე სიტყვიდან. ისიც იმიტომ, გული რომ გამიწყალეთ თქვენი

უფლებებით. ვისი რა ბრალია, ჭკუა თუ არ გაქვთ და აქამდე ვერაფერს მიხვდით. თავმოყვარეობა გაწუხებთ და ბრაზობთ - აი, თქვენი თაობის მთელი გამოცანა.

- აი შე ბატისტინა! - წაილაპარაკა მაიორმა.

- თქვენ კი ყეყეჩი!

- ჰო, ჰო, ილანძღე, ილანძღე!

- კი მაგრამ, კაპიტონ მაქსიმოვიჩ, აკი თქვენ თვითონ ბრძანეთ, ღმერთი არ მწამსო, - წამოიკნავლა სუფრის მეორე ბოლოდან ლიპუტინმა.

- მერე რა რომ ვუბრძანე, ჩემი საქმე სხვაა! მე იქნებ მწამს კიდევ, მაგრამ სულ მთლად არა; მე თუმცა სულ მთლად არა მწამს, მაინც არ ვიტყვი, ღმერთი უნდა დაიხვრიტოს-მეთქი. ჰუსარი რომ ვიყავი, მაშინაც სულ ღმერთის საკითხი მაფიქრებდა. ლექსებში ისე წერია, თითქოს ჰუსარი სმისა და ქეიფის მეტს არაფერს აკეთებს. კი, ბატონო, იქნებ მეც ვქეიფობდი, მაგრამ, დამიჯერებთ, ღამე წინდების ამარა წამოვხტებოდი და ხატის წინ სულ პირჯვარს ვიწერდი, ღმერთო, რწმენა ჩამინერგე-მეთქი, ვინაიდან მაშინაც მაწვალებდა, არსებობს თუ არა ღმერთი-მეთქი? დღისით, რა თქმა უნდა, გაერთობი და რწმენაც თითქოს გინელდება. საერთოდაც შემიმჩნევია, რომ დღისით კაცს თითქოს რწმენა გიქრება.

ვერხოვენსკიმ გულიანად დაამთქნარა და დიასახლისს მიუტრიალდა.

- კარტი ხომ არ გაქვთ?

- მესმის და თანაგვიგრძნობთ მაგ კითხვაზე! - შეხტა და შებზრილდა სტუდენტი ქალი, რომელსაც აღშფოთებისაგან ლოყები ასწითლებოდა.

- ამ სულელურ ლაპარაკში ოქროს დრო იკარგება, - მოსჭრა დიასახლისმა და მწყრალად გადახედა თავის ქმარს.

სტუდენტი ქალი წელში გასწორდა: - მე მინდოდა კრებისათვის მემცნო სტუდენტების ტანჯვისა და პროტესტის ამბავი, მაგრამ რაკი დროს ასეთ უზნეო ლაპარაკში ვკარგავთ...

- არ არსებობს არც ზნეობრივი და არც უზნეო რამ... - უმაღ პირში ეცა გიმნაზიელი.

- სანამ თქვენ გასწავლიდნენ, მე ეს უკვე ვიცოდი, ბატონო გიმნაზიელო.

გიმნაზიელი გამძვინვარდა.

- მე კი ვამტკიცებ, რომ ბავშვი ხართ და პეტერბურგიდან ჩვენს გასანათლებლად ჩამობრძანდით, თუმცა ჩვენ ისედაც ვიცით ყველაფერი. რაც შეეხება იმ მცნების უზნეობას: „პატივ ეც მამასა შენსა და დედასა შენსაო“, რომელიც სწორადაც ვერ თქვით, ეს ჯერ კიდევ ბელინსკის სიტყვებით იცის მთელმა რუსეთმა.

- აღარ მოედება ამას ბოლო? - ქმარს მიუტრიალდა m-me ვირგინსკაია, რომელსაც დიასახლისის პირობაზე ძალიან ერცხვინებოდა ამ უბადრუკი საუბრისა, მეტადრე რომ მის ოჯახში პირველად მოწვეულ სტუმრებს ღიმილი და გაოცება შეამჩნია.

- ბატონებო, - ხმა აღიმაღლა ვირგინსკიმ, - თუ ვისმე ან სალაპარაკო ან განსაცხადებელი აქვს საქმის ირგვლივ, ჩემი წინადადებაა, დროს ნუ დაგვარგავთ და დავიწყობ.

- გავბედავ და ერთ კითხვას დავსვამ, - წამოილაპარაკა აქამდე მდუმარედ და უჩვეულო სიდინჯით მჯდომმა კოჭლმა მასწავლებელმა, - მინდა ვიცოდე, აქ ჩვენ სხდომა გვაქვს თუ სტუმრად მოსულ ჩვეულებრივ მოკვდავთა შეკრებილობას წარმოვადგენთ? ვკითხულობ ამას მხოლოდ საკითხის გასარკვევად.

„კვიმატმა“ კითხვას ყველაზე შთაბეჭდილება მოახდინა; ჯერ ერთმანეთს გადახედეს, ვინ რას იტყვისო, და მერე შეთქმულებივით ვერხოვენსკისა და სტვაროგინს მიაჩერდნენ.

- ჩემი წინადადებაა კენჭი ვყაროთ: „სხდომა არის თუ არა?“ - გამოაცხადა m-me ვირგინსკაიამ.

- მე სავსებით ვეთანხმები ამ წინადადებას. თუმცა ცოტაოდენ გაურკვეველი კი არის, - მხარი დაუჭირა ლიპუტინმა.

- მეც ვეთანხმები, მეც, - გაისმა შემახილები.

- მეც მგონია, ეს უფრო წესრიგს დაამყარებს, - დაემოწმა ვირგინსკიც.

- მაშასადამე, კენჭი ვყაროთ! - განაგრძო დიასახლისმა. - ლიამშინ, გთხოვთ, ფორტეპიანოს მიუჯდეთ. იქიდანაც შეგიძლიათ ხმის მიცემა, როცა კენჭს ვყრით.

- აღარ კმარა, რაც ვაბრაზუნე?

- ძალიან გთხოვთ დაჯდეთ და დაუკრათ. არ გინდათ საქმეს გამოადგეთ?

- გეფიცებით, კაციშვილი არ გვისმენს, არინა პროხოროვნა, - თქვენი ფანტაზიაა მხოლოდ. ფანჯრები მაღალზეა, ან ვინ რას გაიგებს, გინდაც მოგვაყურადოს.

- ჩვენც არ გვესმის, რა ხდება, - წაიბუზღუნა ვილაცამ.

- მე კი ვამტკიცებ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა-მეთქი, - თქვა დიასახლისმა და ვერხოვენსკის მიუტრიალდა, - თუ ჯაშუშები არიან სადმე, დაე გაიგონონ, რომ აქ დღეობაა და ვუკრავთ.

- ფუი, დალახვროს ეშმაკმა! - შეიკურთხა ლიამშინი, ფორტეპიანოს მიუჯდა და ლამის მუშტებით დააბრაზუნა ვალსი.

- ვისაც სხდომა სურს, ვთხოვ, მარჯვენა ხელი ასწიოს, - გამოაცხადა m-me ვირგინსკაიამ.

ნაწილმა ხელი ასწია, ნაწილმა არა. ზოგმა ასწია და ისევ დაუშვა. დაუშვა და ისევ ასწია.

- ფუი, დასწყევლოს ღმერთმა! ვერაფერი გავიგე, - დაიძახა ერთმა ოფიცერმა.

- ვერც მე, - დაიძახა მეორემ.

- მე გავიგე, - დაიძახა მესამემ, - თუ ჰო, ხელი უნდა ასწიო.
- ჰო რაღაც ნიშნავს?
- ნიშნავს, სხდომა არისო.
- არა, არ ნიშნავს.
- მე სხდომას მივეცი ხმა, - ხმამაღლა მიმართა m-me ვირგინსკაიას გიმნაზიელმა.
- მაშ ხელი რად არ ასწიეთ?
- თქვენ გიყურებდით, თქვენ არ ასწიეთ და არც მე ავწიე.
- რა სისულელეა, მე იმიტომ არ ავწიე, ჩემი წინადადება იყო. ბატონებო, ახლა პირიქით ვიტყვი: ვინც სხდომის მომხრეა, იჯდეს და ხელი არ ასწიოს, ვინც არაა მომხრე, მარჯვენა ხელი ასწიოს.
- ვინც არაა მომხრე? - ჩაჰკითხა გიმნაზიელმა.
- თქვენ რა, ჯიბრზე იქცევით ასე? - შეუტია განრისხებულმა m-me ვირგინსკაიამ გიმნაზიელს.
- არა, ბატონო, ვინც მომხრეა თუ არაა მომხრე, ხომ ზუსტად უნდა გაირკვეს ეს? - გაისმა აქა-იქ.
- ვინც არაა მომხრე, არაა მომხრე.
- ჰოდა, რა ვქნათ, ავწიოთ თუ არ ავწიოთ, ვინც მომხრენი არა ვართ? - შესძახა ოფიცერმა.
- ეეჰ, კონსტიტუციას თურმე მიჩვეული არა ვყოფილვართ! - წამოიძახა მაიორმა.
- ბატონო ლიამშინ, ჰქენით სიკეთე და გაჩერდით. ისე აბრაახუნებთ, არაფერი ისმის, - მიმართა კოჭლმა მასწავლებელმა.
- ღმერთმანი, არინა პროხოროვნა, ყურს არავინ გვიგდებს, - წამოხტა ლიამშინიც. - არ მინდა დაკვრა და მორჩა! მე სტუმრად მოვედი, საბრაახუნებლად კი არა!
- ბატონებო, ერთხმად მიპასუხეთ: სხდომა არის თუ არა? - გამოაცხადა ვირგინსკიმ.
- სხდომაა, სხდომა! - მიამახეს ყოველი მხრიდან.
- თუ ასეა, ხმის მიცემა აღარაა საჭირო. კმაყოფილი ხართ, ბატონებო, თუ ისევ კენჭი ვყაროთ?
- არ გვინდა, არა, მივხვდით!
- იქნებ არის ვინმე, ვისაც არ უნდა სხდომა?
- არა, არა, ყველას გვინდა.
- რა არის მაინც სხდომა? - დაიძახა ერთმა, მაგრამ პასუხი არავინ გასცა.

- პრეზიდენტი უნდა ავირჩიოთ, - შესძახეს აქეთ-იქიდან.

- ცხადია, მასპინძელი, მასპინძელი!

- რაკი ასეა, ბატონებო, - დაიწყო ამორჩეულმა ვირგინსკიმ, - მე ისევ ჩემს პირველ წინადადებას გავიმეორებ: ვისაც საქმის ირგვლივ აქვს სალაპარაკო თუ გასაცხადებელი, დროს ნუ დაგვარგავთ და დავიწყობ.

ყველა გაჩუმდა. ყველამ კვლავ სტავროგინსა და ვერხოვენსკის მიაპყრო მზერა.

- ვერხოვენსკი, ხომ არ განაცხადებთ რამეს? - პირდაპირ ჰკითხა დიასახლისმა.

- არაფერს, - დაამთქნარა ვერხოვენსკიმ და გაიზომორა, - თუმცა ერთ ჭიქა კონიაკს კი ვისურვებდი.

- სტავროგინ, თქვენ არ ინებებთ?

- არა, არ ვსვამ.

- მე გეკითხებით, ლაპარაკს ხომ არ ინებებთ-მეთქი და არა კონიაკს.

- ლაპარაკს? არა, არ მსურს.

- კონიაკს ახლავე მოგართმევენ, - მიუბრუნდა დიასახლისი ვერხოვენსკის.

სტუდენტი ქალი, რომელიც აქამდე სულ ასადგომად იწეოდა, ახლა მართლა წამოდგა.

- მე ჩამოვედი უბედურ სტუდენტთა ტანჯვის ამბავი მომეხსენებინა და ამავე დროს ისინი ყველგან აგვემხედრებინა...

მაგრამ მაგიდის მეორე თავში უკვე კონკურენტი გამოუჩნდა და ქალმაც სიტყვა გაწყვიტა. ყველა მას მიაჩერდა გრძელყოფილი შიგალიოვი უჟმური სახით წამომდგარიყო ადგილიდან და მელანქოლიურად დაედო წინ სქელი რვეული. ამ რვეულის დანახვამ ბევრი დააბნია. მაგრამ ლიპუტინს, ვირგინსკისა და კოჭლ მასწავლებელს თითქოს კმაყოფილება დაეტყობ.

- სიტყვას ვითხოვ, - კუმტად განაცხადა შიგალიოვმა.

- ბრძანეთ, - ნება დართო ვირგინსკიმ.

ორატორი დაჯდა, ნახევარ წუთს იყუჩა და მერე მედიდურად დაიწყო: - ბატონებო...

დიასახლისის დამ, რომელიც ჩაის ასხამდა და ახლა კონიაკის მოსატანად წასულიყო, თითებშუაგაჩრილი კონიაკის ჭიქა, ულანგროდ და უთეფშოდ, ბოთლთან ერთად წინ დაუდგა ვერხოვენსკის და ზიზღით უთხრა: - აჰა, თქვენი კონიაკიც!

ორატორი ზვიადად დადუმდა.

- არა უშავს, განაგრძეთ, მე არ გისმენთ, - დაუძახა ვერხოვენსკიმ და ჭიქა შეივსო.

- ბატონებო, ვითხოვ რა თქვენს ყურადღებასა და, როგორც ქვემოთ დაინახავთ, თქვენს დახმარებას დიდად მნიშვნელოვანი საკითხის გადასაჭრელად, ჯერ შესავალს მოგახსენებთ, - დაიწყო ხელახლა შიგალიოვმა.

- არინა პროხოროვნა, მაკრატელი ხომ არ გექნებათ? - იკითხა ანაზად ვერხოვენსკიმ.

- მაკრატელი რად გინდათ? - თვალები გაუფართოვდა დიასახლისს.

- ფრჩხილების დაქნა დამავიწყდა, სამი დღეა ვაპირებ, - ვერხოვენსკი უშფოთველად ათვალიერებდა თავის გრძელსა და ჭუჭყიან ფრჩხილებს.

არინა პროხოროვნას სახე აუპილპილდა მის მულს კი თითქოს მოეწონა ეს თხოვნა.

- მგონი, წელან აქ ვნახე, ფანჯარაზე, - წამოდგა იგი და მაკრატელი მაშინვე მიუტანა. ვერხოვენსკიმ ზედაც არ შეხედა, მაკრატელი გამოართვა და ფრჩხილების დაქნას შეუდგა. არინა პროხოროვნამ რომ დაინახა, მაკრატელი მართლა საქმისთვის სჭირებიაო, თავის გაფხაკუნებისა შერცხვა. შეკრებილებმა უხმოდ გადახედეს ერთმანეთს. კოჭლი მასწავლებელი ღვარძლითა და შურით ადევნებდა თვალს ვერხოვენსკის. შიგალიოვმა ისევ განაგრძო: - მე არ დავიშურე, ბატონებო, ჩემი ენერგია მომავალი საზოგადოების სოციალური წყობის საკითხის შესწავლისათვის და დავრწმუნდი, რომ სოციალური სისტემის ყველა ფუძემდებელი, უძველესი დროიდან მოყოლებული ჩვენს 187... წლამდე, მეოცნებენი, მეზღაპრენი და ბრიყვები იყვნენ, ეწინააღმდეგებოდნენ საკუთარ თავს, ვერ ერკვეოდნენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში და არც იმ უცნაური ცხოველისა ესმოდათ რამე, რომელსაც ადამიანი ჰქვია. პლატონი, რუსო[202], ფურიე, ალუმინის სვეტები[203] თუ სხვა და სხვა მხოლოდ და მხოლოდ ბელურების საკენკად გამოდგება. ჰოდა, რაკი ჩვენ ყველანი ბოლოს და ბოლოს მოქმედებას ვაპირებთ, რაკი მომავალი საზოგადოების მოწყობის გეგმა სწორედ ახლა გვჭირდება, რომ მერე ტვინი აღარაფერზე ვიჭყლიტოთ, მე გთავაზობთ მსოფლიოს მოწყობის ჩემს საკუთარ სისტემას. აი, ბატონებო, ესეც! - დაჰკრა მან ხელი რვეულს. - მე მინდოდა კრებისათვის შეძლებისდაგვარად შემოკლებული სახით გადმომეცა ჩემი წიგნი; მაგრამ ვატყობ, რომ საჭირო იქნება აუარება ზეპირი განმარტებების მოშველიება. ამიტომაც მთელი წიგნის გადმოცემისათვის ათი საღამო მაინც დამჭირდება, ანუ იმდენი, რამდენი თავიც გახლავთ ჩემს წიგნში (გაისმა სიცილი), გარდა ამისა, წინასწარ მოგახსენებთ, რომ ჩემი სისტემა დამთავრებული არ არის (კვლავ სიცილი). მე დამაბნია საკუთარმა მონაცემებმა და ჩემი დასკვნა პირდაპირ ეწინააღმდეგება იმ პირვანდელ იდეას, საიდანაც გამოვდივარ. ვიწყებ რა უსაზღვრო თავისუფლებით, მე ვამთავრებ უსაზღვრო დესპოტიზმით. თუმცა იმასაც დავამატებ, რომ ეს საზოგადოებრივი საკითხი არავითარ შემთხვევაში სხვანაირად არც გადაწყდება.

სიცილმა უფრო იმპლავრა. იცინოდნენ მეტწილად ახალგაზრდები, ვისაც, ასე ვთქვათ, ნაკლებ გაეგებოდა ამ საკითხებისა. დიასახლისი, ლიპუტინი და კოჭლი მასწავლებელი უკმაყოფილო ჩანდნენ...

- თუკი თქვენვე ვერ ჩამოაყალიბებთ საკუთარი სისტემა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდით, ჩვენ რაღა გვეთქმის? - ფრთხილად ჩაურთო ერთმა ოფიცერმა.

- მართალი ბრძანდებით, ბატონო ოფიცერო, - მკვახედ მოუტრიალდა შიგალიოვი, - უფრო იმიტომ, რომ სიტყვა „სასოწარკვეთილება“ იხმარეთ. დიახ,

სასოწარკვეთილებამდე მივდიოდი; მიუხედავად ამისა, რასაც ჩემს წიგნში მოგახსენებთ, - იმას ვერაფერი შეცვლის, სხვა გამოსავალი არ არსებობს. სხვას ვერავინ ვერაფერს მოიგონებს. ამიტომაც დროს აღარ დავკარგავ, ახლავ ვიწვევ მთელ საზოგადოებას ათი საღამოს განმავლობაში ჩემი წიგნის მოსმენის შემდეგ თავისი აზრი გამოთქვას. თუ წევრები არ მოისურვებენ ყური დამიგდონ, სჯობს ახლავ დავიშალოთ, - მამაკაცებმა სახელმწიფო სამსახური განაგრძონ, ქალები კი სამზარეულოს დაუბრუნდნენ, ვინაიდან თუ ჩემს წიგნს უარყოფთ, სხვა გამოსავალს ვერ ნახავთ. ვე-რა-ვი-თარს! დროის დაკარგვით კი თქვენს თავსვე ავნებთ, რამეთუ შემდეგში უთუოდ ამასვე დაუბრუნდებით.

კრება აჩოჩოლდა. „გიჟია თუ ვინ არის?“ გაისმა ხმები.

- მაშასადამე, ყველაფერი შიგალიოვის სასოწარკვეთილებაზეა დამოკიდებული. საჭირბოროტო საკითხი ახლა ისე დგას: იყოს თუ არა შიგალიოვი სასოწარკვეთილი? - დაასკვნა ლიამშინმა.

- შიგალიოვის სასოწარკვეთილება პირადული საკითხი გახლავთ, - განაცხადა გიმნაზიელმა.

- ჩემი წინადადებაა კენჭი ვყაროთ, რამდენად ეხება საერთო საქმეს შიგალიოვის სასოწარკვეთილება და, ამგვარად, ღირს თუ არა მისი მოსმენა, - მხიარულად გადაწყვიტა ოფიცერმა.

- არც ეგრე გახლავთ, ბატონებო, საქმე, - ჩაერია ბოლოს კოჭლი მასწავლებელი. მისი ოდნავ დამცინავი ღიმილი კაცს საგონებელში ჩააგდებდა, მართლა ლაპარაკობს თუ მასხრობსო. - დიახ, ბატონებო, არც ეგრე გახლავთ საქმე. ბატონი შიგალიოვი ფრიად ერთგულად მოეკიდა თავის ამოცანას, ამასთან მეტისმეტი თავმდაბალი კაციც გახლავთ, მე გავეცანი მის წიგნს. მისი აზრით, საკითხი რომ საბოლოოდ გადაიჭრას, კაცობრიობა ორ თანაბარ ნაწილად უნდა დაიყოს. ერთ მეთედ ნაწილს მიეცემა პიროვნული თავისუფლება და განუსაზღვრელი ძალაუფლება დანარჩენ ცხრა მეთედზე. ეს ცხრა მეთედი კი დაკარგავს საკუთარ მე-ს, ასე ვთქვათ, ჯოგად იქცევა. მერე უსაზღვრო მორჩილებისა და მთელ რიგ გარდაქმნათა წყალობით პირველყოფილი უმანკოებას დაიბრუნებს და პირველყოფილ სამოთხისდაგვარ სამოთხეს შექმნის, ეს კია, შრომა მაინც დასჭირდებათ. ავტორის მიერ წამოყენებული ღონისძიებანი კაცობრიობის ცხრა მეთედის დასამორჩილებლად და ჯოგად გადასაქცევად მთელი თაობების ხელახლა აღზრდის გზით ფრიად საყურადღებო გახლავთ, ემყარება ბუნებრივ მონაცემებს და დიახაც ლოგიკურად არის დასაბუთებული. შეიძლება არ დაეთანხმო ზოგიერთ დასკვნას, მაგრამ ჭკუას და ცოდნას ავტორს ვერ წაართმევ. სამწუხაროდ, პირობები არ გვიწყობს ხელს, ათი საღამო რომ მოვუსმინოთ ავტორს, თორემ ბევრ საინტერესო რამეს გავიგებდით.

M-me ვირგინსკაია კოჭლ მასწავლებელს მიუტრიალდა: - დავიჯერო, ამას მართლა ლაპარაკობთ იმ კაცზე, რომელმაც არ იცის, ხალხს რა უქნას და ცხრა მეთედს მონებად აქცევს? ეგ ეჭვი დიდი ხანია მქონდა მაგაზე, - ქალი შემფოთებულიც კი ჩანდა.

- თქვენს ძმაზე ამბობთ ამას? - ჰკითხა კოჭლმა მასწავლებელმა.

- რა შუაშია ნათესაობა? დამცინით თუ რა არის?

- ეგეც არ იყოს, არისტოკრატებისთვის იმუშაო და ღმერთებივით ემონო მათ, ჩემი აზრით, დიდი უნამუსობაა! - შეუტია სტუდენტმა ქალმა.

- უსინდისობას კი არა, ამქვეყნიურ სამოთხეს გთავაზობთ, სხვა სამოთხე დედამიწაზე არც შეიძლება იყოს, - ზვიადად დაასკვნა შიგალიოვმა.

- მე კი სამოთხის ნაცვლად კაცობრიობის მაგ ცხრა მეთედს, თუკი სხვა გზას ვერ გამოვუნახავდი, ავდგებოდი და ავაფეთქებდი. დავტოვებდი მხოლოდ განათლებული ხალხის პატარა წრეს და ისინიც იცხოვრებდნენ და იბედნიერებდნენ მეცნიერების საფუძვლებზე, --შესძახა ლიამშინმა.

სტუდენტი ქალი გაცხარდა: - მაგის თქმა მხოლოდ ტაკიმასხარას შეუძლია!

- არ დაგავიწყდეს, რომ ეგ ტაკიმასხარა გამოსადეგი კაცია, - ჩაუჩურჩულა m-me ვირგინსკაიამ...

შიგალიოვი ფიცხლივ მიუბრუნდა ლიამშინს: - ვინ იცის, იქნებ მართლაც ეგრე სჯობდეს! ალბათ არც იცით, რა ღრმა აზრი გამოთქვით, გულმხიარულო ბატონო ჩემო. მაგრამ ვინაიდან ეგ თქვენი იდეა თითქმის განუხორციელებელია, ისევ ამქვეყნიურ სამოთხეს უნდა დავჯერდეთ, როგორც აქ შეარქვეს.

- გვარიანი აბდაუბდა კია! - წამოსცდა ვერხოვენსკის. იგი გულგრილად იჯდა და თავაუღებლივ იქნიდა ფრჩხილებს.

- ვითომ რატომაა აბდაუბდა? - მყისვე მიატანა კოჭლმა მასწავლებელმა, რომელიც თითქოს მის დალაპარაკებას ელოდა, რომ პირში სცემოდა, - რატომ მაინცდამაინც აბდაუბდა? ბატონი შიგალიოვი ნაწილობრივ კაცთმოყვარე ფანატიკოსი გახლავთ; მაგრამ გაიხსენეთ, რომ ფურიეს, განსაკუთრებით კაბეტსა[204] და თვით პრუდონსაც[205] აუარება დესპოტური და ფანტასტიკური საკითხის გადაწყვეტა აქვთ. ბატონი შიგალიოვი ეგებ მათზე გაცილებით ფხიზლად სწყვეტს საკითხს. მერწმუნეთ, მის წიგნს რომ წაიკითხავთ, თითქმის შეუძლებელია ზოგ რამეში არ დაეთანხმოთ. ვინ იცის, იქნებ რეალიზმს ყველაზე ნაკლებ შორდება და მისი ამქვეყნიური სამოთხე თითქმის ნამდვილი სამოთხეც იყოს; სწორედ ის სამოთხე, რომლის დაკარგვაზე დღემდე ოხრავს მთელი კაცობრიობა, თუკი მართლა არსებობდა იგი ოდესმე.

- ეგრეც ვიცოდი, არ ამცდება-მეთქი, - წაიდუდუნა ისევ ვერხოვენსკიმ.

კოჭლ მასწავლებელს უფრო და უფრო მოეკიდა ბრაზი: - ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მომავალ სოციალურ წყობაზე ლაპარაკი და მსჯელობა თითქმის გარდუვალი და აუცილებელი გახლავთ თანამედროვე მოაზროვნე ადამიანისათვის. გერცენი მთელი სიცოცხლე მხოლოდ ამაზე ფიქრობდა. ბელინსკი, როგორც ჩემთვის დასტურ ცნობილია, მთელი საღამოები თავის მეგობრებს ეკამათებოდა მომავალ სოციალურ წყობაზე და წინასწარ სწყვეტდა ყოვლად წვრილმან, ასე ვთქვათ, საშინაო საკითხებსაც კი.

- ზოგი ჭკუასაც კარგავს, - ჩაურთო მოულოდნელად მაიორმა.

- ის არა სჯობს, რაღაცაზე მაინც მოილაპარაკო და შეთანხმდე, ვინემ დიქტატორივით იჯდე და ხმა არ ამოიღო, - წაისისინა ლიპუტინმაც, ბოლოს რომ გადაწყვიტა თითქოს იერიშზე გადასვლა.

- განა შიგალიოვზე ვთქვი, აბდაუბდაა-მეთქი, - წაიდუღუნა ვერხოვენსკიმ და ოდნავ ასწია თავი, - იცით, ბატონებო, ჩემი აზრით, ეს წიგნები, ეს ფურთი, ეს კაბეტები, ყველა ეს „შრომის უფლებანი“, ეს შიგალიოვისეული სამოთხენი რომანებს ჰგავს და მათი დაწერა ასიათასობით შეიძლება. ესთეტიკური დროსტარება გახლავთ. ვიცი, ვიცი, ამ პატარა ქალაქში მოგწყინდათ და იმიტომაც დაეხარბეთ ასე ნაწერებს.

- უკაცრავად, ბატონო, - შეტოკდა სკამზე კოჭლი მასწავლებელი, - რა თქმა უნდა, პროვინციელები ვართ და საცოდავი პროვინციელებიც, მაგრამ მაინც გავგეგება, ამქვეყნად ჯერ ისეთი არაფერი მომხდარა, თავში ვიცეთ, რატომ გამოგვეპარაო. აგერ სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოტანილი უცხოური პროკლამაციების მეოხებით გვთავაზობენ, შეერთდით და ჯგუფები ჩამოაყალიბეთ, თქვენი ერთადერთი მიზანი საყოველთაო განადგურება იქნებაო. ვინაიდან როგორც არ უნდა უწამლო ამ ქვეყანას, მაინც ვერ მოარჩენ, ხოლო ას მილიონ კაცს თუ თავს წააგდებინებ და ტვირთს შეიმსუბუქებ, თხრილს უფრო იოლად გადაახტებიო. ეჭვი არაა, დიდებული აზრია, მაგრამ ისევე არ ეთანხმება სინამდვილეს, როგორც თქვენგან აახლა ასე მასხარად აგდებული „შიგალიოვის სამოთხე“.

- მე აქ საკამათოდ არ მოვსულვარ, - წამოცდა ეს მრავლისმეტყველი სიტყვა ვერხოვენსკის და სანთელი ახლოს მიიდგა, თითქოს ვერც შეამჩნია, რა წამოცდაო.

- აფუს, აფუს, რომ საკამათოდ არ მოსულხართ და აფუს, რომ თქვენმა ტუალეტმა ეგრე გაგიტაცათ ახლა.

- ჩემი ტუალეტი რას გიშლით?

- ასი მილიონი თავის ამბავი ისევე ძნელად განსახორციელებელი გახლავთ, როგორც ქვეყნიერების პროპაგანდით გარდაქმნა. იქნებ უფრო ძნელიც იყოს, მეტადრე რუსეთში, - ისევე გაბედა ჩარევა ლიპუტინმა.

- ყველა კი რუსეთის იმედით არის ახლა, - წაილაპარაკა ერთმა ოფიცერმა.

- ეგეც გვსმენია, ჩვენი იმედით არიანო, - სიტყვა ჩამოართვა კოჭლმა მასწავლებელმა, - ვიცით, ვიცით, რომ ჩვენი დიდებული მამულისკენაა მომართული იდუმალი index[206]-ი, ვინაიდან ყველაზე უფრო შესწევს ძალა განახორციელოს ეს დიადი ამოცანა. მაგრამ, იცით, რას გეტყვით: ეს ამოცანა რომ პროპაგანდის გზით ნელ-ნელა გადაიჭრას, მე პირადად რაღაცას მაინც ვიგებ, ენას მაინც მოვიქავებ და ვისიამოვნებ, უფროსებისგან კი იქნებ ჩინიც მივიღო სოციალური საქმის სამსახურისათვის. მეორე შემთხვევაში კი, ანუ ამოცანის სწრაფი გადაწყვეტისა და ასი მილიონი თავის წაგდებინების შემთხვევაში, რა ჯილდო უნდა მივიღო? დაიწყებ პროპაგანდას და იქნებ ენაც მოგჭრან.

- თქვენ ნამდვილად მოგაჭრიან, - უთხრა ვერხოვენსკიმ.

- ხომ ხედავთ. ჰოდა, რახან ორმოცდაათ, სულ ცოტა ოცდაათ წელზე ადრე ძალზე ხელშემწყობ პირობებშია ამ ხოცვა-ჟლეტას ვერ მორჩები, - მართლა ცხვრები კი არ

არიან, ყელი გამოგაჭრევიონ - განა არ სჯობს გუდა-ნაზადი აიკრა, სადმე ცხრა მთას იქით, მყუდრო კუნძულზე გადასახლდე და იქ უმფოთველად დახუჭო თვალები? დამიჯერეთ, - კოჭლმა მასწავლებელმა მრავლისმეტყველად დააკაკუნა თითი მაგიდაზე, - ასეთი პროპაგანდით მხოლოდ ემიგრაციას შეუწყობთ ხელს, სხვას არაფერს!

კოჭლმა მასწავლებელმა გამარჯვებული სახით დაამთავრა სიტყვა. ეს გუბერნიის ჭკუის კოლოფი გახლდათ. ლიპუტინი ვერაგულად იკრიჭებოდა, ვირგინსკი დაღონებული ჩანდა, დანარჩენები კი, მეტადრე მანდილოსნები და ოფიცრები, გაფაციცებით უგდებდნენ ყურს კამათს. ყველა ხედავდა, ასი მილიონი თავის აგენტი რომ კედელს მიაკრეს, და ელოდნენ, ახლა რაღას იზამსო.

ვერხოვენსკიმ წელანდელზე უფრო გულგრილი სახე მიიღო და თავგაბეზრებული კაცივით წაილულლულა: - ეგ თქვენ კარგად თქვით. ემიგრაციაში წასვლა - ურიგო აზრი არ არის, მაგრამ თუკი საერთო საქმეს დღითიდღე მეტი და მეტი ჯარისკაცი აწყდება და იმ ვნებას, რასაც გული გიგრძნობთ, არად აგდებენ, მაშ უთქვენოდაც მოგვარდება ყველაფერი. აქ, შვილოსა, ახალი რელიგია მოდის ძველის სანაცვლოდ; ამდენი ჯარისკაცი იმიტომაც ეხვევა, ეს საქმე დიდი საქმე გახლავთ. თქვენ კი ემიგრაციაში წაბრძანდით! მყუდრო კუნძულზე რა გინდათ, გირჩევთ დრეზდენს მიაშუროთ. ჯერ ერთი, ამ ქალაქში თავის დღეში არ ყოფილა ეპიდემია, თქვენ კი, ვითარცა განათლებულ კაცს, ალბათ სიკვდილისა გეშინიათ. მეორეც - რუსეთის საზღვართან ახლოს არის და საყვარელი მამულიდან შემოსავალს უფრო მალე მოგაწვდიან. მესამეც - ეგრეთწოდებულ ხელოვნების საგანძურად ითვლება, თქვენ კი ესთეტიკოსი კაცი ბრძანდებით, თუ არ ვცდები, სიტყვიერების ყოფილი მასწავლებელი. დაბოლოს, პატარა შვეიცარიას წარმოადგენს, ეს კი პოეტური აღმაფრენისათვის გამოგადგებათ, ვინაიდან ალბათ ლექსებსაც წერთ. ერთი სიტყვით, ყველა სიკეთე ერთად იქნება!

ატყდა ჩოჩქოლი. მეტადრე ოფიცრები ამოდრავდნენ. წამი და ყველანი აყაყანდებოდნენ. მაგრამ გახელებული კოჭლი მასწავლებელი მისივე წამოეგო ანკესს.

- დაიცათ, ბატონო, იქნებ არც ჩვენ გავექცეთ საერთო საქმეს! ამას გაგება უნდა...

- რომ შემოგთავაზოთ, ხუთეულში შემოდით-მეთქი, შემოხვალთ თუ არა? - მიახალა მოულოდნელად ვერხოვენსკიმ და მაკრატელი მაგიდაზე დადო.

ყველანი თითქოს თოფნაკრავივით შეხტნენ. ამ უცნაურმა კაცმა ერთბაშად ჩამოიხსნა ნიღაბი. „ხუთეულიც“ კი ახსენა პირდაპირ.

- არც ერთი პატიოსანი კაცი არ გაექცევა საერთო საქმეს, - შეიშმუშნა კოჭლი მასწავლებელი, - მაგრამ...

- არა, ბატონო, მაგრამ აქ არაფერ შუაშია, - უხეშად გააწყვეტინა ვერხოვენსკიმ. - ბატონებო, მე პირდაპირი პასუხი მინდა. კარგად მესმის, ჩემი აქ ჩამოსვლა და თქვენი შეკრება მავალეებს კიდევ გავხსნა ფრჩხილები (ესეც ერთი ახალი ცნობა), მაგრამ თუ თქვენი აზრები არ გავიგე, ვერაფერს ვიტყვი. ლაპარაკს აღარ გავაგრძელებ - ბოლოს და ბოლოს კიდევ ოცდაათი წელი ხომ არ უნდა ვილაყბოთ, არ გვეყო, რაც ილაყბეს, - და პირდაპირ გვეითხებით, რა გირჩევნიათ: კვლავ ასე ჩანჩალი, სოციალური რომანების წერა, კაცობრიობის ბედის ქალაქზე გადაწყვეტა კანცელარიული გზით,

მანამდე კი დესპოტიზმმა პირიდან გველიჯოს გემრიელ-მგერიელი ლუკმები, თუ საქმის სწრაფი გადაჭრა, რა გზითაც არ უნდა იყოს, რაც ბოლოს და ბოლოს კაცობრიობას ხელ-ფეხს გაუხსნის და საშუალებას მისცემს თავის ჭკუაზე მოაწყოს ქვეყანა, მოაწყოს სინამდვილეში და არა ქალაქდზე იმახიან: „ასი მილიონი თავიო“, - იქნებ ეს მეტაფორაცაა, თუმცა ან ამან რად უნდა შეგვაშინოს, თუკი დესპოტიზმი ას წელიწადში ას მილიონს კი არადა, ხუთას მილიონ თავს ჩანთქვას, ვინემ ჩვენ ოცნებებითა და წერით ვიქნებით გართული? ისიც ინიშნეთ, რომ გადადებულ ავადმყოფს ვერა ქალაქდის რეცეპტები ვერ მოარჩენს, პირიქით, თუ დავაყოვნეთ, შეიძლება ჩვენც დაგვღუპოს და ის ახალი ძალებიც დაგვისნეულოს, რომელთა იმედი კიდევ შეიძლება გვქონდეს. კი, სავსებით გეთანხმებით, ლიბერალური ენამზეობა და ყბედობა ერთობ სასიამოვნო რამ არის, საქმე კი მუდამ იკბინება... თუმცა მე დიდი მოლაპარაკე არ გახლავართ; აქ იმიტომ მოვედი, ამბები გამცნოთ. ამიტომ ვთხოვ მთელ დარბაისელ საზოგადოებას კენჭის უყრელად პირდაპირ განაცხადოს, რა ურჩევნია: კუს ნაბიჯით ჭაობში ჩანჩალი თუ ერთი ფეხის დაკვრით ჭაობზე გადახტომა?

- მე გადახტომის მომხრე ვარ! - ალტაცებით შესძახა გიმნაზიელმა.

- მეც, - მხარი დაუჭირა ლიამშინმა.

- არჩევანში, რასაკვირველია, არავინ შეცდება, - ჩაილაპარაკა ერთმა ოფიცერმა, მერე მეორემ, შემდეგ კიდევ ვიღაცამ. რაც მთავარია, იმან უფრო აუჩქროლათ გული, ვერხოვენსკი რომ „ამბების საცნობად“ მოსულიყო და დაჰპირდათ კიდევ, ვილაპარაკებო.

ვერხოვენსკიმ თვალი მოავლო საზოგადოებას.

- ბატონებო, გატყობთ, თითქმის ყველა პროკლამაციების აზრს იზიარებთ.

- ყველა, ყველა, - წამოიძახა უმრავლესობამ.

- მართალი გითხრათ, მე უფრო ჰუმანურ გადაწყვეტას ვემხრობი, - ჩაილაპარაკა მაიორმა, - მაგრამ სადაც ყველა, იქაც მე.

- მაშასადამე, არც თქვენ ხართ წინააღმდეგი? - მიუბრუნდა კოჭლ მასწავლებელს ვერხოვენსკი.

კოჭლ მასწავლებელს სახე აელანდა: - მე თუ ვეთანხმები, ასე ვთქვათ... მარტოოდენ იმიტომ, არ მინდა დავარღვიო...

- აი, ეგეთები ხართ ყველანი! ნახევარი წელი ლიბერალური ენამზეობის ეშხით კამათობთ, ბოლოს კი სხვებთან ერთად მაინც ხმას აძლევთ! ბატონებო, კარგად ჩაუკვირდით, მართლა მზადა ხართ ყველა? (მზად რისთვის? - გაურკვეველი, მაგრამ ფრიად მაცდური კითხვა).

- რა თქმა უნდა, ყველა... - გაისმა ხმები, თუმცა ერთმანეთს კი მისჩერებოდნენ.

- იქნებ მერე იწყინოთ, ასე მალე რად დავთანხმდითო? თქვენ ხომ ასე იცით მუდამ.

ყველა აღელდა, თუმცა მიზეზი სხვადასხვა ჰქონდათ. კოჭლი მასწავლებელი ვერხოვენსკის ეცა.

- ნება მიბოძეთ გითხრათ, რომ ამისთანა კითხვებს თავისი მიზეზები აქვს. მაგ უცნაურ კითხვაზე თუ დაგეთანხმებით, ეს კიდევ არ ნიშნავს...

- უცნაური რითი არის?

- იმით, რომ ამისთანა კითხვებს ასე არ სვამენ.

- მასწავლეთ და ვისწავლი. განა არ ვიცოდი, პირველი რომ თქვენ იწყენდით.

- რა უფლების ძალით გვათქმევინეთ თანხმობა? ვინ მოგცათ უფლება ასეთი კითხვები მოგვცეთ?

- ადრევე უნდა გეფიქრათ ამაზე! რაღად მიპასუხეთ? დათანხმდით და მერე იკბინეთ თითზე?

- ჩემი აზრით კი მაგ თქვენი კითხვის ქერქეტული გულახდილობა იმას მოწმობს, რომ არც უფლება გაქვთ და არც ვისმე დაუვალებია ეს თქვენთვის. უბრალოდ, საკუთარი ცნობისმოყვარეობა გამოქმედებდათ.

- მაგას რაზე ამბობთ, რაზე? - თითქოს შიშით შეჰყვირა ვერხოვენსკიმ.

- იმაზე, რომ აფილიაციები[207], როგორ სახისაც აარ უნდა იყოს, პირისპირ ხდება და არა ოცი კაცის თანდასწრებით! - დაურიდებლად მიახალა კოჭლმა მასწავლებელმა, ისე იყო გაჯავრებული. ვერხოვენსკიმ მყის შეშინებული სახე მიიღო და საზოგადოებას მოუტრიალდა.

- ბატონებო, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია განვაცხადო, ეს ყველაფერი სისულელეა და მეტისმეტად გადავამლაშეთ ლაპარაკში. მე ჯერ არავისი აფილიაცია მომიხდენია და არც არავის აქვს უფლება ჩემზე თქვას, მოახდინაო. უბრალოდ, ჩვენ ჩვენს შეხედულებებზე გვქონდა ლაპარაკი. ხომ ასეა? მაგრამ ასეა თუ ისე, დიდად შემაშფოთეთ კი, - მიუბრუნდა იგი კოჭლ მასწავლებელს, - როგორ მეგონა, რომ ასეთ უბრალო რამეებზე აქ მარტო ორ კაცს შორის შეიძლებოდა ლაპარაკი. იქნებ გაცემისა გეშინიათ? ნუთუ ჩვენ შორისაც აღმოჩნდება გამცემი?

ყველანი აღელდნენ, ალაპარაკდნენ.

- ბატონებო, თუ ასეა, ყველაზე მეტად მე უნდა მეშინოდეს. ამიტომაც გთხოვთ, ერთ კითხვაზე მიპასუხოთ, რა თქმა უნდა, თუ მოისურვებთ.

- რა კითხვაა? რა კითხვა? - აყაყანდნენ ირგვლივ.

- ამ კითხვის შემდეგ ნათელი იქნება. ერთად დავრჩეთ თუ უსიტყვოდ დავიხუროთ ქუდები და ყველა ჩვენ-ჩვენს გზას ვეწიოთ.

- კითხვა? კითხვა თქვით!

- თითოეულმა ჩვენგანმა რომ შეიტყოს, პოლიტიკური მკვლელობა მზადდებაო, წავა და გათქვამს, გინდაც იცოდეს. რა მოელის ამისთვის, თუ შინ იჯდება და ამბავთა

მსვლელობას დაელოდება? აზრი აქ სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს. ამ კითხვის პასუხი ნათლად გვამცნობს - დავიშალოთ თუ ერთად დავრჩეთ არა მარტო ამ ერთ საღამოს. უკაცრავად და პირველი თქვენ მიპასუხეთ, - მიუბრუნდა ის კოჭლ მასწავლებელს.

- მე რატომ?

- იმიტომ, რომ თქვენ წამოიწყეთ ყველაფერი. თუ შეიძლება, თავს ნუ იძვრნით, აქ ხრიკები არ გიშველით. თუმცა ნება თქვენია.

- მაპატიეთ, მაგრამ ასეთი კითხვა შეურაცხყოფა გახლავთ.

- არა, არა, ბატონო, თუ შეიძლება ბრძანეთ.

- ფარული პოლიციის აგენტი თავის დღეში არ ვყოფილვარ, - დაიწმინხა კოჭლი მასწავლებელი.

- თუ შეიძლება, უფრო ზუსტად, ნუ გვაყოვნებთ.

მასწავლებელი ისე გაბრაზდა, პასუხიც არ გასცა და თავის მტანჯველს სათვალისაგან გაბოროტებით შეაცქერდა.

- ჰო თუ არა? გასცემთ თუ არა? - ხმას აუმაღლა ვერხოვენსკიმ.

- რა თქმა უნდა, არ გავცემ! - ორჯერ უფრო აუწია ხმას კოჭლმა.

- ცხადია, არც არავინ გასცემს, - დაიძახა ბევრმა.

- თუ შეიძლება, ახლა თქვენ მიბრძანეთ, ბატონო მაიორო, გასცემთ თუ არა? ისიც ინიშნეთ, თქვენ განზრახ გეკითხებით.

- არ გავცემ.

- მაგრამ რომ შეგეტყვოთ, ვიღაც აპირებს ჩვეულებრივი მოკვდავის გამარცხვას და მოკვლას, ხომ წახვიდოდით და აცნობებდით?

- რასაკვირველია, მაგრამ ეს ხომ სამოქალაქო ამბავია, აქ კი პოლიტიკურ დაბეზულებაზეა ლაპარაკი. საიდუმლო პოლიციის აგენტი არასოდეს ვყოფილვარ.

- არც სხვა ყოფილა, - დაიძახეს ისევ აქეთ-იქიდან... - ტყუილუბრალო კითხვაა. პასუხი ყველას ერთი აქვს. გამცემები აქ არ არიან!

- ეს ბატონი რატომ ადგა? - შეჰყვირა სტუდენტმა ქალმა.

- ეგ შატოვია. რატომ ადექით, შატოვ? - მიაძახა დიასახლისმა.

შატოვი მართლაც ფეხზე იდგა, ქუდი ხელში ეჭირა და ვერხოვენსკის უყურებდა. ეტყობა, რაღაც უნდოდა მისთვის ეთქვა, მაგრამ ყოყმანობდა. სახე გაფითრებული და გაბოროტებული ჰქონდა. მაგრამ მაინც თავი შეიკავა, აღარაფერი თქვა და უხმოდ გავიდა ოთახიდან.

- თქვენთვისვე არ ვარგა, შატოვ! - უცნაურად დაადევნა ვერხოვენსკიმ.

- სამაგიეროდ შენისთანა ჯაშუშისა და არამზადისათვის ვარგა! - გამოსძახა შატოვმა და გავიდა.

შეიქნა ისევ ერთი ყაყანი და შემახილები.

- ესეც შენი გამოცდა! - დაიძახა ერთმა.

- მართლაც რომ საჭირო ყოფილა! - დაიძახა მეორემ.

- ვითომ გვიან ხომ არ არის? - შენიშნა მესამემ.

- ვინ მოიწვია? ვინ მიიღო? რა კაცია? ვინ არის შატოვი? გაგვცემს თუ არა? - ისმოდა ყოველი მხრიდან.

- გამცემი რომ ყოფილიყო, თავს მოიკატუნებდა. მაგან კი მოგვაფურთხა და წავიდა, - ჩაურთო ვიღაცამ.

- აგერ სტავროგინიც დგება. არც სტავროგინმა უპასუხა კითხვაზე, - დაიყვირა სტუდენტმა ქალმა.

სტავროგინი მართლაც წამოდგა. სუფრის მეორე თავში კირილოვიც ამდგარიყო.

- მოითმინეთ, ბატონო სტავროგინ, - მკვახედ მიუტრიალდა დიასახლისი, - ჩვენ აქ ყველამ ვუპასუხეთ კითხვაზე, თქვენ კი უპასუხოდ რატომ მიდიხართ?

- საჭიროდ არ მიმაჩნია ამ კითხვაზე ვუპასუხო, რაც თქვენ გაინტერესებთ, - ჩაიბურტყუნა სტავროგინმა.

- ჩვენ აქ საფრთხეში ჩავიგდეთ თავი, თქვენ კი არა, - იყვირა რამდენიმე ხმამ.

- მერე მე რა, თუ ჩაიგდეთ? - ბოროტაც გაეცინა სტავროგინს და თვალეზი დააკვესა.

- როგორ თუ რა? - შესძახეს აქეთ-იქიდან. ბევრი სკამიდანაც წამოხტა.

- მოითმინეთ, ბატონებო, მოითმინეთ, - გაჰყვიროდა კოჭლი მასწავლებელი, - არც ბატონ ვერხოვენსკიმ გასცა პასუხი, მხოლოდ კითხვა დასვა.

ამ შენიშვნამ გასაოცარი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველამ ერთმანეთს გადახედა. სტავროგინმა პირში შეჰხარხარა კოჭლ მასწავლებელს და გავიდა. კირილოვი უკან მიჰყვა. ვერხოვენსკი დერეფანში დაეწია.

- რას მიშვრებით? - წაილულლულა მან და ღონივრად ჩააფრინდა მკლავში. სტავროგინმა უხმოდ გამოგლიჯა ხელი.

- კირილოვთან დამხვდით, მოვალ... ჩემთვის აუცილებელია, აუცილებელი....

- ჩემთვის, არა, - მოუჭრა სტავროგინმა.

- სტავროგინი დაგხვდებათ, - გადაჭრა კირილოვმა. - სტავროგინ, თქვენთვისაც აუცილებელია იქ მოსვლა. რაღაცას გაჩვენებთ.

ისინი გავიდნენ.

თავი მერვე. ივან-უფლისწული

ვერხოვენსკიმ ჯერ „სხდომაზე“ დაბრუნება დააპირა არეულობის დასაწყენარებლად, მაგრამ მერე ხელი ჩაიქნია და ორი წუთის შემდეგ უკვე წასულებს მისდევდა. გზაში ერთი ჩიხი მოაგონდა, იფიქრა, ფილიპოვის სახლთან ის უფრო მალე გამიყვანსო. ჩიხში მუხლებამდე ტალახი იდგა. სტავროგინსა და კირილოვს მართლაც ფილიპოვის სახლის ჭიშკართან დაეწია.

- მოხვედით უკვე? - უთხრა კირილოვმა. - კარგია. შემობრძანდით.

დერეფანში გაჩაღებულ სამოვარს აუარეს გვერდი.

- აკი თქვით, მარტო ვარო? - ჰკითხა სტავროგინმა.

- ახლავე ნახავთ, ვინც არის ჩემთან, - წაილულლულა კირილოვმა, - მობრძანდით.

ვერხოვენსკიმ შესვლისთანავე ამოიღო ლემბკესაგან წამოღებული ანონიმური წერილი და სტავროგინს წინ დაუდო. სამივენი დასხდნენ. სტავროგინმა უხმოდ წაიკითხა წერილი.

- მერედა რა? - იკითხა მან.

- ეგ იმისთანა არამზადაა, მართლაც ასე მოიქცევა. ხომ თქვენი კაცია, მასწავლეთ, რა ვუყო. მერწმუნეთ, ხვალვე შეიძლება მიადგეს ლემბკეს.

- ჰოდა, მიადგეს.

- როგორ თუ მიადგეს? განა არ შეიძლება რამე მოუხერხდეს?

- ტყუილად გგონიათ, ეგ კაცი რომ ჩემზეა დამოკიდებული. ანკი რაში მენადვლება. მე ხომ არაფერს მემუქრება, მარტო თქვენ გემუქრებათ.

- თქვენც.

- არა მგონია.

- ნუთუ არ გესმით, მაშინ რომ სხვები არ დაგინდობენ? გამიგონეთ, სტავროგინ, ტყუილად რად ხარჯავთ სიტყვებს, დავიჯერო, ფული გენანებათ?

- ვითომ ფულზეა საქმე? - უთუოდ, ორასი ან minimum ას-ნახევარი თუმანი უშველის ყველაფერს. გინდა ხვალ მომეცით, გინდა დღეს. ხვალ სალამოსვე პეტერბურგში გავისტუმრებ, მაგასაც ხომ ეს უნდა. თუ გნებავთ, მარია ტიმოფეევნასაც გავაყოლებ - ესეც ინიშნეთ.

ვერხოვენსკი რაღაც საშინლად დაბნეული ჩანდა, არ უფიქრდებოდა, რას ლაპარაკობდა. სტავროგინმა გაოცებით შეხედა.

- მარია ტიმოფეევნას გაგზავნა მე სულაც არ მჭირდება.

- ეგებ არ გინდათ, ჰა? - იქედნურად ჩაელიმა ვერხოვენსკის.

- ეგებ არც მინდა.

- ერთი სიტყვით, იძლევი თუ არა ფულს? - გაბორბლებით შეუყვირა მოთმინება-დაკარგულმა ვერხოვენსკიმ. სტავროგინმა დინჯად ახედ-დახედა.

- ფულს ნუ მოელოთ.

- ეჰეი, სტავროგინ! რაღაც გაიგეთ ან რაღაც გაკვაჭეთ უკვე! აიწყვიტეთ, ხომ, თავი?!

ახალგაზრდა ვერხოვენსკის სახე დაპრანჭა, ტუჩის კუთხეები აუკანკალდა და უცებ ყოვლად უსაგნოდ გაიცინა.

- ხომ მოგცათ მამათქვენმა მამულის ფული, - მშვიდად შენიშნა ნიკოლაი სტავროგინმა, - mamam-მა ექვსი თუ რვა ათასი ჩაგითვალათ სტეპან ტროფიმოვიჩის მაგივრად. ჰოდა, ის ას-ნახევარი თუმანი ბარემ თქვენი ჯიბიდან გაიღეთ. ბოლოს და ბოლოს სანამდე უნდა ვიხადო სხვების ვალი, არ მეყო, რაც ვარიგე... - თავისივე სიტყვებმა ღიმილი მოჰგვარა სტავროგინს.

- ოჰო, ოხუნჯობთ კიდევ...

სტავროგინი წამოდგა, ვერხოვენსკიც უმაღლეს ფეხზე გაჩნდა და ანგარიშმიუცემლად ზურგით მიეყრდნო კარს, თითქოს გზა გადაუღობაო. სტავროგინმა ხელი გასწია, რომ გზიდან ჩამოეშორებინა, მაგრამ უცებ შედგა და უთხრა: - შატოვს არ დაგიტომობთ. - ვერხოვენსკი შეკრთა. ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს.

- წელანვე გითხარით, შატოვის სისხლი იმიტომ გჭირდებათ, თქვენი ჯგუფები შეაწებოთ-მეთქი, - თვალეხი დააკვესა სტავროგინმა. - რა მშვენივრად მოახერხეთ წელან შატოვის გაგდება; ძალიან კარგად იცოდით, თქვენ წინაშე ტყუილის თქმით თავს არ დაიმდაბლებდა და არ იტყოდა, არ გავცემო. მაგრამ მე რაში გჭირდებით ნეტა, რომ საზღვარგარეთიდან მოყოლებული გადამეკიდეთ და ველარ მოგიშორეთ? ის მიზეზები, რაც აქამდე მოგყავდათ, სულ ბოდვა და მონაჩმანია. ამასობაში კი ისეთნაირად აწყობთ საქმეს, ლეზიადკინს ას-ნახევარი მივცე და ამ ფულის ეშხით ფედკას მოვაკვლევი. ვიცი, იმასაც ფიქრობთ, რომ ჩემი ცოლის მოკვლაც მინდა. გგონიათ, მკვლელობაში გამრევთ და მერე თქვენს იქით გზა აღარ მექნება? მაგრამ რად გინდათ ჩემი ხელში ჩაგდება? რა ეშმაკად გინდივართ? ბოლოს და ბოლოს ერთხელ და სამუდამოდ გაარკვიეთ, ვარ თუ არა თქვენი კაცი და თავი გამანებეთ.

- ფედკა თვითონ მოვიდა თქვენთან? - სუნთქვა შეეკრა ვერხოვენსკის.

- დიახ, თვითონ. მისი ფასიც ას-ნახევარი თუმანია... თუ გინდათ, ჰკითხეთ და დაგიმოწმებთ, აგერ, თვითონაც აქ არის... - ხელი გაიშვირა სტავროგინმა.

ვერხოვენსკი ელვის სისწრაფით მოტრიალდა. სიბნელეში ვიღაც ატუზულიყო კართან. ეს ფედკა იყო, ჯუბამოსხმული, მაგრამ შინაურივით თავშიშველი. თეთრი, სწორი კბილები დაეკრიჭა. შავ, მოყვითალო თვალეხს ქურდულად აცეცებდა და ბატონებს უთვალთვალეხდა, თითქოს რაღაცას ვერ ჩამხვდარიყო. ეტყობა, ეს წუთია კირილოვს შემოეყვანა და გაკვირვებული მზერა სწორედ კირილოვისთვის მიეპყრო. ზღურბლზე გადმობიჯებას და ოთახში შემოსვლას არ აპირებდა.

- აქ განზრახ გყავდათ დამალული, რომ ჩვენი ვაჭრობა მოესმინა და ფულის მოცემაც ენახა? = ჰკითხა სტავროგინმა, მაგრამ პასუხს არ დაელოდა და გატრიალდა.

ვერხოვენსკი ჭიშკართან დაეწია. სახე შეშლოდა. სტავროგინს იდაყვზე წაეტანა.

- გაჩერდი! ფეხი არ გადადგა!

სტავროგინმა იდაყვი გამოსწია, მაგრამ ვერ გამოგლიჯა სიბრაზისაგან თვალთ დაუბნელდა: მარცხენა ხელით თმაში სწვდა, მთელი ძალით მიწას დაახეთქა და ჭიშკარში გავიდა. ოცდაათი ნაბიჯი არ ექნებოდა გავლილი, ვერხოვენსკი ისევ წამოეწია.

- შევრიგდეთ, ისევ შევრიგდეთ, - ჩურჩულებდა აკანკალებული. სტავროგინმა მხრები აიჩჩია, მაგრამ არ გაჩერებულა და თავი არ მოუტრიალებია.

- გამიგონეთ, გინდათ ხვალვე მოგვაროთ ლიზავეტა ნიკოლაევნა? ჰა, გინდათ თუ არა? რად არ მპასუხობთ? მითხარით, რა გინდათ და ყველაფერს შეგისრულებთ. გინდათ შატოვი დაგიტომოთ?

- მაშ, მართლა უპირებთ მოკვლას? - წამოიძახა სტავროგინმა.

- აბა რად გინდათ შატოვი, რად? - ლამის იხრჩობოდა წყობიდან გამოსული ვერხოვენსკი და ალბათ ვერც ამჩნევდა, რომ წარამარა წინ გამოუხტებოდა და იდაყვზე ეტანებოდა. - გამიგონეთ: დამითმია, ოღონდ შევრიგდეთ. ანგარიში თქვენზე დიდია, მაგრამ... შევრიგდეთ!

ახლა კი შეხედა სტავროგინმა და მართლა გაოცდა. მის წინ სულ სხვა კაცი იდგა, რომელიც არც ხმით და არც გამოხედვით არ ჰგავდა თავის თავს. ხმის კილოც კი შესცვლოდა; იხვეწებოდა და იმუდარებოდა. გეგონებოდათ, რაღაც უძვირფასესი განძი წაართვეს და გონს ვერ მოსულაო.

- რა იყო, რა გემართებათ? - შეუძახა სტავროგინმა. ვერხოვენსკიმ პასუხი არ გასცა. ისევ უკან მისდევდა და მუდარით შესციციწებდა. თუმცა ამ მუდარაში შეუდრეკელი ნებაც იგრძნობოდა.

- შევრიგდეთ! - წაიჩურჩულა ხელმეორედ. - გამიგონეთ, ფედკასავით მეც დანა მაქვს დამალული, მაგრამ თქვენ მაინც შეგირიგდებით.

სტავროგინს მართლა მოერია ბრაზი.

- რა ჯანდაბად გინდივართ, რა საიდუმლოა აქ ასეთი? რა ჯადო მნახეთ ბოლოს და ბოლოს?

- გამიგონეთ, ჩვენ გადავატრიალებთ ქვეყანას, - გიჟივით ბუტბუტებდა ვერხოვენსკი, - არ გჯერათ? ისე გადავატრიალებთ, ყველაფერი თავდაყირა დადგეს. მართალს ამბობს კარმაზინოვი, ხელმოსაჭიდი არაფერი გვაქვსო. კარმაზინოვი დიდი ჭკვიანი ვინმეა. კიდევ ათი ასეთი ჯგუფი რუსეთში და მე ველარავინ ჩამიგდებს ხელში.

- სულ კი მაგისტანა ბრიყვებისაგან შემდგარი, - უნდილად წამოსცდა სტავროგინს.

- ო, თავი უნდა მოისულელოთ, სტავროგინ! თუმცა არც ისეთი ჭკვიანი ბრძანდებით, კაცმა ეს გისურვოთ: გემინიათ, არ გჯერათ, გაქანების სიდიდე გაფრთხობთ და მეტი არაფერი. ან რატომ გგონიათ ბრიყვები? არც ისეთი ბრიყვები არიან. ახლა საკუთარი ჭკუით არავინ ცხოვრობს. საკუთარი ჭკუა ახლა ძალიან ცოტასა აქვს. ვირგინსკი უსპეტაკესი კაცია, მე და თქვენზე ათჯერ პატიოსანი. თუმცა ჯანდაბას მისი თავი. ლიპუტინი არამზადაა, მაგრამ მე მაგისი ერთი სუსტი მხარე ვიცი. არამზადას ვერ ნახავ, სუსტი მხარე არ ჰქონდეს. მარტო ლიამშინს ვერ მოუძებნი, სამაგიეროდ ხელში მყავს. კიდევ რამდენიმე ასეთი ჯგუფი, მეც ყველგან პასპორტები, ფული, დასამალი ადგილები, რა დიდი ამბავია თუნდაც მარტო ის, და მერე მეძებონ. ერთ ჯგუფს გამოგვაცლიან, სხვაზე კოვზი ნაცარში ჩაუვარდებათ. ჩვენ კი ქვეყანას გადავატრიალებთ... ნუთუ არ გჯერათ, მარტო მე და თქვენ რომ ვეყოფით ამას?

- შიგალიოვი გაიამხანაგეთ და მე დამეხსენით...

- შიგალიოვი გენიოსია! იცით, ფურიესთანა გენიოსი, მაგრამ ფურიეზე გაბედული, ფურიეზე ძლიერი; მე მაგას დავიახლოვებ. მაგან „თანასწორობა“ გამოიგონა!

„ალბათ სიცხე აქვს და აბოდებს, რაღაც დიდი ამბავია მის თავს“, - სტავროგინმა ერთხელ კიდევ შეავლო თვალი. არც ერთი და არც მეორე არ შეჩერებულა.

- შიგალიოვს კარგად უწერია ჯაშუშობაზე. მისი საზოგადოების წევრებში ყველანი ერთიმეორეს უთვალთვალევენ, ყოველი წევრი მოვალეა მეორე დაასმინოს. ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის. ყველა მონაა და ყველას ერთნაირი უღელი ადევს. თუ გაჭირდა, ცილისწამება და მკვლელობა, ისე კი - თანასწორობა. პირველ ყოვლისა დაეცემა განათლების, მეცნიერებისა და ტალანტების დონე. მეცნიერება და ტალანტები მხოლოდ დიდი ნიჭის ხალხისთვის არის მისაწვდომი, არ გვინდა ჩვენ დიდი ნიჭის ხალხი. დიდი ნიჭის ადამიანებს მუდამ ძალაუფლებისაკენ ეჭირათ თვალი და მუდამ დესპოტები იყვნენ. დიდი ნიჭის ადამიანები არ შეიძლება დესპოტები არ იყვნენ, ისინი მუდამგზის უფრო რყვნიდნენ ხალხს, ვინემ სარგებლობა მოჰქონდათ. მათ გააძვებენ ანდა მოჰკლავენ, ციცერონს ენას მოაჭრიან, კოპერნიკს თვალეებს დათხრიან, შექსპირს ქვებით ჩაქოლავენ, აი, შიგალიოვის მოძღვრების დედაარსი! მონები თანასწორნი უნდა იყვნენ: უდესპოტიზმოდ არც თავისუფლება ყოფილა ქვეყნად და არც თანასწორობა. მაგრამ ფარაში კი თანასწორობა უნდა სუფევდეს და ეს არის შიგალიოვის მოძღვრების არსი! ჰა-ჰა-ჰა, გიკვირთ? მე შიგალიოვს ვუჭერ მხარს!

სტავროგინი ფეხს უჩქარებდა, უნდოდა მალე მისულიყო შინ. „თუ ეს კაცი მთვრალია, ნეტა სად მოასწრო? -- გაურბინა გონებაში, - ვითომ კონიაკმა დაათრო?“

- გამიგონეთ, სტავროგინ: მთა და ბარის გასწორება სასაცილო კი არაა, ჩინებული აზრია. მე შიგალიოვს ვეთანხმები! რა ოხრად გინდა განათლება და მეცნიერება! მეცნიერების გარეშეც ათასი წელი არ დაგველევა საქმე, მაგრამ მორჩილების ამბავი კი უნდა მოვაწესრიგოთ. ქვეყნიერებას ერთი რამ აკლია მხოლოდ და ეს ერთი მორჩილებაა. სწავლის წყურვილი უკვე დიდკაცური სურვილია. ოჯახი და სიყვარული უკვე საკუთრების სურვილს ბადებს. ჩვენ ჩავკლავთ ამ სურვილს: ქვეყნად გავამეფებთ ლოთობას, ჭორებს, ჯაშუშობას, გაუგონარ გარყვნილებას; ჩანასახშივე მოვაშთობთ ყოველ გენიოსს. საყოველთაო მნიშვნელი სრული თანასწორობა იქნება. იცით, რა უპასუხეს ამას წინათ ინგლისის მუშებმა, - „ჩვენ

ხელობას დავეუფლეთ და პატიოსანი ხალხი ვართ; სხვა არაფერი გვჭირდება“.

აუცილებელი მარტოოდენ აუცილებელია - აი, სულ უშფოთველადაც ვერ გაძლებს ადამიანი. საამისოდ კი ჩვენ ვიზრუნებთ, დიახ, ჩვენ, ბატონ-გამგებელნი. მონებს ხომ ბატონიც უნდა აჰყავდეს. სრული მორჩილება, სრული გაუპიროვნება, მაგრამ ოცდაათ წელში ერთხელ შიგალიოვისეული შფოთი, კვლავ ერთმანეთის დაჭმა, რა თქმა უნდა, გარკვეულ საზღვრამდე, რა არის, ეს ცხოვრება მთლად მოსაწყენი არ გახდეს. მოწყენა ბატონკაცური გრძნობაა; შიგალიოვის ქვეყანაში ჩაკვდება ყოველგვარი სურვილი. სურვილი და განცდა ჩვენთვის იქნება განკუთვნილი, მონებისათვის კი - შიგალიოვის ქვეყანა.

- მაშ თქვენი თავი გამორიცხეთ? - წამოსცდა ისევ სტავროგინს.

- თქვენც გამორიცხული ხართ. იცით, მე ვფიქრობდი ქვეყნიერება პაპისთვის მიმეცა. გამოვიდოდა ფეხშიშველი, ეჩვენებოდა ბრბოს: „აი რა მიყვეს!“ და უმალ ყველა უკან გაჰყვებოდა, ჯარიც კი. ზევით პაპი, ირგვლივ ჩვენ, ქვემოთ შიგალიოვები. ეს კია, პაპის ამბავზე Internationale-იც უნდა დათანხმდეს; ეგრეც მოხდება. ბერიკაცი კი თვალის დახამხამებაში დათანხმდება. მეტი რა გზა ექნება. აი ნახეთ, თუ ჩემი სიტყვა არ გამართლდა. ჰა-ჰა-ჰა, სისულელეა? თქვით, სტავროგინ, სისულელეა თუ არა?

სტავროგინს გული მოუვიდა და ჩაიბურტყუნა: - კმარა, კმარა!

- კი, კი, კმარა! გამიგონეთ, პაპზე ხელს ვიღებ! ჯანდაბას შიგალიოვის სამოთხეც! ჯანდაბას პაპიც! საჭიროა დღიური ჭირ-ვარამი და არა შიგალიოვები, ვინაიდან შიგალიოვობას დიდოსტატობა უნდა. ეს იდეალია, ეს მომავლის საქმეა. შიგალიოვი ფაქიზი ოსტატია და ყოველი ფილანტროპივით ჭკუასუსტი. ეს შავი სამუშაოა, შიგალიოვს კი შავი სამუშაო ეზიზღება. გამიგონეთ: პაპი დასავლეთში დარჩება, ჩვენ კი თქვენ გვეყოლებით!

- დამეხსენით-მეთქი, მთვრალო კაცო, - წაიდუდუნა სტავროგინმა და ფეხს აუჩქარა.

- სტავროგინ, თქვენ კალმით ნახატი ვაჟკაცი ხართ! - აღმოხდა ლამის აღტაცებით ვერხოვენსკის, - იცით თუ არა, რა ლამაზი ხართ? სწორედ ის მომწონს თქვენი, რომ ხანდახან არც კი გახსოვთ ეს. ო, მე შეგისწავლეთ! მე ხშირად გითვალთვალებთ ჩუმ-ჩუმად, შეფარვით. იცით კი, რაღაც გულუბრყვილობაც იგრძნობა თქვენში? დიახ, დიახ, იგრძნობა! ალბათ გტანჯავთ და გულწრფელად გტანჯავთ ეს გულუბრყვილობა. მე სილამაზე მიყვარს. ნიჰილისტი ვარ და მაინც სილამაზე მიყვარს. ვინა თქვა, ნიჰილისტებს სილამაზე არ უყვართო? ნიჰილისტებს მხოლოდ კერპები სძულთ, მე კი, რა ვქნა, მიყვარს კერპი! თქვენ ჩემი კერპი ხართ! არავის შეურაცხყოფთ და მაინც ყველას სძულხართ; ყველას თავს უყადრებთ და მაინც ყველას ეშინია თქვენი. ამას რა სჯობს. ვერავინ გაბედავს მხარზე წაგითათუნოთ ხელი. თქვენ საოცრად ბატონკაცური ბუნება გაქვთ. ბატონკაცი რომ დემოკრატიას იწამებს, ამაზე მომხიბლავი არაფერია! ჩალად არ გიღირთ საკუთარი თუ სხვისი სიცოცხლე. სწორედ თქვენისთანა კაცი გვინდა. დიახ, სწორედ თქვენისთანა კაცი მინდა მე. თქვენს მეტს არავის ვცნობ. თქვენ ხართ წინამძღოლი, მზე, მე კი თქვენი ჭია...

ვერხოვენსკი უცებ დასწვდა და ხელზე აკოცა. სტავროგინს ტანში გააჟრჟოლა და შემინებულმა გამოგლიჯა ხელი. ორივენი შედგნენ.

- გაგიჟებულხართ! - წაიჩურჩულა სტავროგინმა.

- კი, კი გავგიჟდი! - აჩქარდა ვერხოვენსკი. - მაგრამ პირველი ნაბიჯი მე მოვიგონე. შიგალიოვი მისი წუთისოფელი ვერ მოიგონებდა პირველ ნაბიჯს. შიგალიოვები ბლომადაა! მაგრამ მხოლოდ ერთმა კაცმა მოიგონა რუსეთში პირველი ნაბიჯი და იცის, როგორც გადადგას. ეს კაცი მე ვარ. რას მომაჩერდით? მე თქვენ მჭირდებით, თქვენ; უთქვენოდ ნული ვარ, ბუზი, ბოთლში ჩამწყვდეული იდეა, უამერიკოდ დარჩენილი კოლუმბი.

სტავროგინი იდგა და შემოიღო თვალეში შეჰყურებდა.

- გამიგონეთ, ჯერ ჩვენ გადავატრიალებთ ქვეყანას, - საოცრად ჩქარობდა ვერხოვენსკი და წარამარა მარცხენა სახელოზე ეტანებოდა სტავროგინს. - მე უკვე გითხარით; ხალხის წიაღში შევატანთ-მეთქი. იცით, რომ ახლაც ძალიან ძლიერნი ვართ? ჩვენები განა მარტო ისინი არიან, ვინც ჟლეტს, ბუგავს, ტყვიას ისვრის თუ იკბინება. ასეთები მხოლოდ ხელს გვიშლიან. მე დისციპლინას ყველაზე მაღლა ვაყენებ. მე ხომ არამზადა ვარ და არა სოციალისტი, ჰა-ჰა! გამიგონეთ, ყველა ეგენი თითებზე მყავს ჩამოთვლილი: მასწავლებელი თუ ყმაწვილებს ღმერთსა და მათ დამარწმეველ აკვანს უქიაქებს, უკვე ჩვენია. ვეპილი თუ განათლებულ მკვლელს იცავს, აქაოდა, ნასწავლი კაცია და რომ არ მოეკლა, ისე ფულს ვერ ჩაიჯიბავდაო, უკვე ჩვენია. მოწაფეები თუ გლეხკაცს მოკლავენ, აბა რას ვიგრძნობთო, ისინიც ჩვენია. ბოროტმოქმედთა გამამართლებელი მსაჯულები ყველა ჩვენია. პროკურორს თუ სასამართლოზე აცახცახებს, საკმაო ლიბერალობა ვერ გამოვიჩინეო, ხომ ჩვენია და ჩვენი. ადმინისტრატორები, ლიტერატორები... ო, ჩვენები ბევრია, საოცრად ბევრი, და არც იციან ეს! მეორე მხრივ მოწაფეებისა და ბრიყვების მორჩილებამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია; მოძღვართ ბოღმა ახრჩობთ, პატივმოყვარეობამ ყველგან უსაზღვროდ იმატა, ყველას მხეცური, გაუგონარი მადა აღედრა... იცით კი, რამდენს მივაღწევთ მარტოოდენ მზამზარეული იდეებით? რომ წავედი - Littrè[208]-ს თეზისი მძვინვარებდა, ბოროტმოქმედება სიგიჟე არისო; ჩამოვედი და - ბოროტმოქმედება უკვე სიგიჟე აღარაა. პირიქით, საღი აზრი, თითქმის მოვალეობა, ყოველ შემთხვევაში, კეთილშობილური პროტესტი გახდა. „აბა რა ქნას, როგორ არ მოკლას განათლებულმა მკვლელმა, თუკი ფული უნდა და არა აქვს!“ მაგრამ ჯერ სად ხართ. რუსთა ღმერთი უკვე დააფრთხო ყოვლის „გაუფასურებამ“. ხალხი ლოთობს, დედები ლოთობენ, შვილები ლოთობენ, ტაძრები ცარიელია, სასამართლოს ეს მსჯავრი გამოაქვს: „ან ორასი წკეპლა და ან ერთი ვედრო არაყი“. ო, დააცალეთ ახალ თაობას წამოიზარდოს! ვაი, რომ დაცდა არ შეიძლება, თორემ რაც უფრო გალოთდებიან, ჩვენთვის უკეთესი იქნება! ვაი, რომ პროლეტარიატი არა გვყავს! თუმცა გვეყოლება, ისე ეწყობა საქმე...

- ვაი რომ ჩვენც ჭკუა დაგვაკლდა, - წაიბუტბუტა სტავროგინმა და გზა განაგრძო.

- გამიგონეთ, ჩემი თვალით ვნახე, ექვსი წლის ბიჭი რომ გაღეშილ დედას შინ მიათრევდა და ის კი უწმაწური სიტყვებით აგინებდა. ნუთუ გგონიათ, გამახარა ამ სურათმა? ჩვენს ხელში თუ ჩავარდა, განვკურნავთ კიდეც... თუ საჭირო იქნება, ორმოცი წლით უდაბნოში გადავასახლებთ... მაგრამ ერთი თუ ორი თაობა მაინც საჭიროა გარყვნილი იყოს; წარმოუდგენლად, გაუგონრად გარყვნილი. ადამიანი ბილწ, ლაჩარ, გულქვა თავკერძა არარაობად უნდა იქცეს, - აი, რა გვჭირდება ჩვენ! თან ცოტა „სისხლსაც“ მიეჩვიოს! რას იცინით? ჩემს თავს არ ვეწინააღმდეგები. მე

მხოლოდ ფილანტროპებსა და შიგალიოვეებს ვეწინააღმდეგები. მე გაიძვერა ვარ და არა სოციალისტი ჰა-ჰა-ჰა! აფსუს, დრო ცოტა რჩება. კარმაზინოვს დავპირდი, მაისში დავიწყებთ და ღვთისმშობლის საფარვლობას მოვრჩებით-მეთქი. მალეა? ჰა-ჰა! იცით, რას გეტყვით, სტავროგინ, რუსი ხალხის ბუნებას დღემდე არ სჩვევია ცინიკოსობა, თუმცაღა მურდალი სიტყვებით იგინებოდა. იცით თუ არა, რომ ყმას მეტი პატივისცემა ჰქონდა თავის თავისა, ვინემ კარმაზინოვს? ზურგზე ტყავს აძრობდნენ და თავისი ღმერთი მაინც შეინარჩუნა, კარმაზინოვმა კი ვერა.

- დღეს პირველად გისმენთ, ვერხოვენსკი, და გაოცებული ვარ. მაშასადამე, მართლა არა ხართ სოციალისტი და მხოლოდ პოლიტიკური... პატივმოყვარეობა გამოძრავებთ?

- გაიძვერობა, გაიძვერობა-მეთქი. თქვენ გაწუხებთ, მე ვინა ვარ? ახლავე გეტყვით, ვინცა ვარ, მაგას ვუმიზნებ სწორედ. ტყუილად კი არ გაკოცეთ ხელზე. მაგრამ ხალხმაც უნდა დაიჯეროს, ჩვენ რომ ვიცით, რა გვინდა, ისინი კი მხოლოდ „კეტს იქნევენ და თავისიანებსვე უბრაგუნებენ“. ეჰ, დრო რომ იყოს! მთელი უბედურება ისაა, დრო აღარა გვაქვს. ჩვენ გამოვაცხადებთ, ყველაფერი უნდა დაინგრეს-თქო... რატომ? იმიტომ, რომ ეს იდეაც ფრიად მაცდურია! ხალხს შენჯღრევა უნდა. ჩვენ ყველგან ხანძარს ავაგიზგიზებთ... ლეგენდებს მოვიგონებთ... მაშინ ყოველი ქვეცანი „ჯგუფი“ გამოგვადგება, მაგ ჯგუფებში ისეთ მოხალისეებს მოგიძებნით, ტყვია დაუფიქრებლად ისროლოს, პატივადაც კი ჩათვალოს და მადლიერი დარჩეს. ჰო-ჰო, რა არეულობა შეიქნება. ისე მოირყევა ყველაფერი, ძალი პატრონს ვერ იცნობს... დაიბინდება რუსეთი, ძველ ღმერთებს გაეტირება ქვეყანა... ჰოდა, აი მაშინ გამოვაჩენთ ჩვენც... იცით, ვის?

- ვისა?

- ივან-უფლისწულს.

- ვისა?

- ივან-უფლისწულს-მეთქი; მაშასადამე, თქვენ!

სტავროგინი წუთით ჩაფიქრებული იდგა. მერე უდიდესი განცვიფრებით შეხედა ამ გონგადასულ კაცს და უცებ ჰკითხა: - ანუ ცრუმარქვიას?!. ერიჰა! აი, თურმე რა გეგმა გქონიათ.

- ჩვენ ვიტყვით, „არის, მხოლოდ არ ჩნდება-თქო“, ნაზად წაიჩურჩულა ვერხოვენსკიმ. მართლა მკრთალი გეგონებოდათ. - იცით, რას ნიშნავს ეს სიტყვა: „არ ჩნდება“? მაგრამ გამოჩნდება კი, გამოჩნდება. ჩვენ სკოპცებზე უკეთეს ლეგენდას მოვიგონებთ, არის, ოღონდ არ ჩნდება-თქო. ეჰ, რა ლეგენდის მოგონება შეიძლება! რაც მთავარია, ახალი ძალა მოდის. სწორედ ეს არის ახლა საჭირო, ამას მოსტირის მთელი ქვეყანა. აბა სოციალიზმში რა ყრია: ძველი გაანადგურო და ახალი არაფერი შექმნა. აქ კი ძალაა, გაუგონარი ძალა! ჩვენ ხომ მარტო ერთხელ გვინდა ღერძი დედამიწის ასაწევად. მერე ყველა და ყოველი თავისით აღსდგება!

- მაშ მართლა გაქვთ ჩემი იმედი? - ბოროტად ჩაეცინა სტავროგინს.

- ასე ბოროტად რად ჩაიცინეთ? ნუ მაშინებთ. ახლა მე გული აჩვილებული მაქვს და ერთი ეგეთი ღიმილი შიშით გამაქრობს. გამიგონეთ: თქვენ თავს მე არავის ვაჩვენებ, არავის: ასეა საჭირო. არის, ოღონდ არავის უნახავს, იმალებათ. თუმცა იცით, შეიძლება ასი ათასიდან, მაგალითად, ერთს აჩვენო. და მოედება მთელ ქვეყანას: „უნახავთ, უნახავთ!“. ხომ ნახეს ივან ფილიპოვიჩის ღმერთი საბაოთიც, ხომ „საკუთარი“ თვალით ნახეს, როგორ აღვიდა იგი ცასა შინა ეტლით ხალხის თვალწინ. თქვენთან კი სად მოვა ივან ფილიპოვიჩი, თქვენისთანა კალმით ნახატ ვაჟკაცთან, ღმერთივით ამაყთან, რომელიც საკუთარ გამორჩენას არ დაეძებს, რომელსაც მოწამებრივი შარავანდედი ადგია თავზე და „არ ჩნდება“. თავიდათავი აქ ლეგენდაა! ერთს გადმოხედავთ და ყველას დაიმონებთ. ახალი ჭეშმარიტება მოაქვს და „არ ჩნდება“. მერე ჩვენ ორ-სამ სოლომო ბრძენისეულ განაჩენს გამოვიტანთ და ქვეყანას მოვდებთ. გაზეთები რად გვინდა - ჯგუფები, ხუთეულები გააკეთებენ ყველაფერს! ათი ათასიდან ერთის სათხოვარი რომ დავაკმაყოფილოთ, სათხოვარით ყველა ჩვენ მოგვადგება. ყოველ მაზრაში ყოველ გლეხკაცს ეცოდინება, არის სადღაც ერთი ისეთი ფულურო, სადაც სათხოვრების ჩაშვება შეიძლებაო. და მოედება მთელ ქვეყნიერებას: „ახალი, ჭეშმარიტი კანონი მოდის“, და აიქორება ზღვა, და დაემხო ბალაგანი, და მაშინ გადავწყვეტთ, როგორ აიგოს ახალი ქვის შენობა პირველად ამ ქვეყანაზე! და ავაგებთ ჩ ვ ე ნ, მარტო ჩვენ!

- სიგიჟეა და მეტი არაფერი! - წაილაპარაკა სტავროგინმა.

- რატომ, რატომ არ გინდათ? გეშინიათ? მე ხომ იმიტომ ჩაგებლაუქეთ, არაფრისა ეშინია-მეთქი. თქვენი აზრით, უფუნურებაა? მაგრამ მე ხომ ჯერ კოლუმბი ვარ უამერიკოდ. სად გაგონილა კოლუმბის გონიერება უამერიკოდ?

სტავროგინი დუმდა. ისინი უკვე მის სახლს მიადგნენ და სადარბაზოსთან გაჩერდნენ.

- გამიგონეთ, - ყურში წასჩურჩულა ვერხოვენსკიმ, - არ მინდა თქვენი ფული; თუ გინდათ, ხვალვე მოგაშორებთ მარია ტიმოფეევას... უფულოდ. ხვალვე მოგგვრით ლიზასაც. გინდათ ხვალვე მოგგვართ?

„მართლა ხომ არ შექანდა?“ - გაეღიმა სტავროგინს. პარმალზე კარი გაიღო.

- ჩვენია ამერიკა, სტავროგინ? - უკანასკნელად წაეტანა ხელზე ვერხოვენსკი.

- რაში მჭირდება? - დინჯად და გოროზად ჩაილაპარაკა სტავროგინმა.

ვერხოვენსკი გაშმაგებამ აიტანა.

- ეგრეც ვიცოდი, რომ ყველაფერი გეზარებათ! ტყუით კი, ბილწო, მრუშო, სულით მახინჯო ბატონიშვილო, ვერ დამაჯერებთ, მადა მგლისა გაქვთ!.. გაიგეთ, ანგარიში თქვენზე დიდია და ველარ ჩამოგეხსნებით! თქვენს სადარს ვერსად ვნახავ! საზღვარგარეთ მომაფიქრდა, გიყურებდით და იმიტომ, მალულად რომ არ მეყურებინა, თავში არ მომივიდოდა!..სტავროგინმა ხმა არ გასცა და კიბეს აუყვია.

- სტავროგინ! ერთი დღე მომიცია... ჰა, ორი... კარგი, სამი იყოს; სამი დღის მეტს კი ველარ დავუცდი პასუხს! - მიაძახა ვერხოვენსკიმ.

თავი მეცხრე. სტეპან ტროფიმოვიჩი გაჩხრიკეს.

ამასობაში ისეთი ამბავი დატრიალდა, მე ძალზე გამაკვირვა, სტეპან ტროფიმოვიჩს კი თავზარი დასცა. დილის რვა საათზე ნასტასია მოვარდა ჩემთან, არიქა, ბატონი „გაჩხრიკეს“. ჯერ ვერაფერი გავიგე; შემდეგ ძლივს გავარკვიე, რომ მოხელეები მოსულიყვნენ „გასაჩხრეკად“, ნაწერები ჩამოერთმიათ, ჯარისკაცს ის ნაწერები ფუთად შეეკრა და „ურიკით წაერიხინებინა“. ამ დაუჯერებელი ამბის გაგონებაზე უმაღლეს სტეპან ტროფიმოვიჩთან გავქანდი.

მე ის საკვირველ გუნებაზე დამხვდა: ხომ აღელვებული და აფორიაქებული იყო, მაგრამ ამასთან თითქოს გამარჯვებული სახეც ჰქონდა. შუა ოთახში სამოვარი თუხთუხებდა მაგიდაზე. ჭიქაში დასხმული ჩაი ხელუხლებელი იდგა. სტეპან ტროფიმოვიჩი ოთახში უაზროდ დაბორიანდებდა. ჩვეულებისამებრ წითელი ფუფაიკა ეცვა, მაგრამ ჩემს დანახვაზე საჩქაროდ ჟილეტი და სერთუკი ჩაიცვა. ეს კი თავის დღეში არ უქნია, როცა ახლობლები ამ ფუფაიკის ამარა შევისწრებდით. მაშინვე მხურვალე გრძნობით ჩამომართვა ხელი.

- Enfin un ami[209] (შვებით ამოისუნთქა მან). Cher, მხოლოდ თქვენ შემოგიტვალეთ, სხვამ არავინ იცის. ნასტასიას უნდა ვუთხრა, კარი ჩაკეტოს და არავინ შემოუშვას, ცხადია, მ ა თ გარდა... vous comprenez[210]?

მითხრა და შეშფოთებით მომაჩერდა, რას მეტყვისო. მე, რასაკვირველია, მაშინვე გამოვკითხე ყველაფერი. მისი უთავბოლო, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მიკიბულ-მოკიბული მონაყოლიდან ძლივს დავადგინე, რომ დილის შვიდ საათზე „უეცრად“ გუბერნიის მოხელე დადგომოდა თავზე...

- pardon, J'ai oublie son nom. Il n'est pas du paus[211]. ლემბკეს ჩამოყვანილი უნდა იყოს, quelque chose de bête et d'allemand dans la physionomie. Il s'appelle Rosenthal[212].

- ბლიუმი ხომ არა?

- დიახ, დიახ, ბლიუმი. სწორედ ეს გვარი მითხრა. Vous le connaissez? Quelque chose d'hebeté et de très content dans la figure, pourtant très sévère, roide et sérieux[213]. პოლიციის მოხელესა ჰგავს, სხვაზე დაქვემდებარებულს, Je m'y connais[214]. მე მეძინა. წარმოიდგინეთ, მთხოვა, წიგნები და ხელნაწერები მაჩვენეთო, oui, je m'en souviens, il a employé ce mot[215]. მე ხელი არ მახლო, წიგნები კი წაიღო... Il se tenait à distance[216]. მოსვლის მიზანი ისეთი სახით ამიხსნა, თითქოს მე... enfin il avait l'air de croire que je tomberai sur lui immédiatement et que je commencerai à le battre comme platre. Tous ces gens du bas étage sont comme ça[217], როცა რიგიან ადამიანთან აქვთ საქმე. რა თქმა უნდა, უმაღლეს ყველაფერს მივხვდი. Voilà vingt ans que je m'y préfère[218]. გამოვუღე უჯრები და მივეცი გასაღებები. ჩემი ხელით მივეცი, ჩემი ხელით მივართვი ყველაფერი. J'étais digne et calme[219]. წიგნებიდან წაიღო გერცენის საზღვარგარეთული გამოცემები, ერთი ცალი ყდაში ჩასმული „კოლოკოლი“, ჩემი პოემის ოთხივე ხელნაწერი, et enfin tout ça[220]. შემდეგ ქალაქები და წერილები, et quelques une de mes ébauches historiques, critiques et politiques[221]. ყველა მოხვეტა. ნასტასია ამბობს, ჯარისკაცმა ურიკაზე დადო და არდაგი გადააფარაო; oui, c'est cela[222], არდაგი...

ეს იყო პირწმინდა ბოდვა. აბა ვინ რას გაიგებდა აქედან? მე ისევ კითხვები დავაყარე; ბლიუმი მარტო იყო თუ არა? ვისი სახელით მოვიდა? რა უფლების ძალით? როგორ გაბედა? რითი ახსნა?

- Il etait seul, bien seu[223], თუმცა არა, კიდევ იდგა ვიღაც dans l'antichambre, oui, je m'en souviens, et puis[224]... მგონი, კიდევ ერთი სხვაც იყო, წინკარში კი ყარაული იდგა. ნასტასიას უნდა ვკითხოთ; მაგან უკეთ იცის. J'etais surexcite, voyez-vous. Il parlait, il parlait.... Un tas de choses[225]. თუმცა არა, იმას ბევრი არ ულაპარაკია, ბევრი მე ვილაპარაკე... მთელი ჩემი ცხოვრება ვუამბე, ცხადია, ჩემი ცხოვრების მხოლოდ ეს მხარე... j'etais surexcite, mais digne, je vous l'assure[226], თუმცა, მგონი, ავტირდი. ურიკა აქვე, მედუქნისაგან წამოეღოთ.

- ო ღმერთო ჩემო, ეს როგორ მოხდა? ღვთის გულისათვის, დაწვრილებით მიამბეთ, სტეპან ტროფიმოვიჩ, თქვენი მონაყოლი სიზმარი ეგონება კაცს!

- Cher, მეც სიზმარში მგონია თავი... Savez-vous, il a prononce le nom de Teliatnikoff[227]. ჩემი აზრით, სწორედ ის იმალებოდა დერეფანში. ჰო, გამახსენდა... თქვა, პროკურორს მიმართეთო, მგონი, დმიტრი მიტრიჩზე მითხრა, qui me doit encore quinze roubles de კარტში soit dit en passant. Enfin, je n'ai pas trop compris[228]. მაგრამ ეგენი რას მომატყუებენ ჭკუაში, დმიტრი მიტრიჩთან მე რა საქმე მაქვს. მგონი, ძალიან შევეხვეწე, არ გაემხილა, ძალიან შევეხვეწე, მგონი, თავიც კი დავიმცირე, comment croyez-vous? Enfin il a consenti[229]. ჰო, გამახსენდა, თვითონვე მთხოვა, უკეთესი იქნება, თუ არ გაამხელთ, ჩვენ მხოლოდ „სანახავად“ მოვედით, et rien de plus[230], სხვა სრულიად არაფერიო. თუ ვერაფერი ვნახეთ, არც არაფერი იქნებაო. ბოლოს მეგობრულადაც დავმორდით, დიახ, en amis, je suis tout-a-fait content[231].

- რას ამბობთ, სტეპან ტროფიმოვიჩ, მაგ კაცს სწორი გზა ურჩევია თქვენთვის, ამ შემთხვევაში მუდამ ასეთი წესი და გარანტიაა მიღებული, უარი როგორ უთხარით! - შევძახე მეგობრული აღშფოთებით.

- არა, მე ასე, უგარანტიოდ მირჩევნია. რა საჭიროა აურზაურის ატეხა? ჯერჯერობით ასე en amis[232] სჯობს. ხომ იცით, ჩვენ ქალაქში თუ გაიგეს... mes ennemis... et puis a quoi bon ce procureur, ce cochon de notre procureur, qui deux fois m'a manqué de politesse et qu'on a rosse a plaisir l'autze annee chez cette charmante et belle ნატალია პავლოვნას, quand il se cacha dans son boudoir. Et puis, mon ami[233], ნუ მედავებით და სულ მიბნევთ თავგზას, ძალიან გთხოვთ. იმაზე აუტანელი არაფერია, როცა გაუბედურებულ კაცს ასი მეგობარი დაადგება თავზე და ჩასჩინებს, ბრიყვულად მოიქეციო. დაბრძანდით და ჩაი დალიეთ, გამოგიტყდებით, ძალიან დავიღალე... რას მირჩევთ, ვითომ არა სჯობს, მივწვე და თავზე ძმრიანი ტილო დავიდო?

- აუცილებლად, ყინულიც არ გაწყენთ. ძალიან შეწუხებული ჩანხართ, ფერი არ გადევთ და ხელები გიკანკალებთ. დაწეკით, დაისვენეთ და მერე მიამბეთ. მე გვერდზე მოგიჯდებით და მოვიცდი.

სტეპან ტროფიმოვიჩი მაინც შეყოყმანდა, მაგრამ მე აღარ მოვეშვი. ნასტასიამ ფინჯნით ძმარი შემოიტანა. მე ტილო დავასველე და თავზე დავადევი. შემდეგ ნასტასია სკამზე ამჯრა, რა არის, ხატის წინ კანდელი დაენტო. გამიკვირდა ეს ამბავი, მით უმეტეს რომ არც კანდელი მენახა წინათ მასთან.

სტეპან ტროფიმოვიჩმა ეშმაკურად შემომხედა.

- მათი წასვლისთანავე შემოვატანინე წელან, quand on a de ces choses-la dans sa chamber et qu'on vient vous arreter[234], ეს კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. ხომ უნდა მოახსენონ, რაც ნახეს...

ნასტასიამ კანდელი დაანთო, კარს მიეყუდა, მარჯვენა ხელი ლოყაზე მიიძო და დამწუხრებული სახით მიაჩერდა თავის ბატონს.

- რამე მოიგონეთ და აქედან éloignez'la[235], - თავი გამიქნია მისკენ სტეპან ტროფიმოვიჩმა, - ვერ ამიტანია ეს რუსული გულშემატკივრობა, et puis cca m'embete[236].

თუმცა ნასტასია თავისით წავიდა. შევამჩნიე, სტეპან ტროფიმოვიჩს სულ კარისკენ ეჭირა თვალი და შემოსასვლელში ყოველ ფაჩუნს აყურადებდა.

- Il faut etre pret, voyez-vous[237], - შემომხედა მრავლისმეტყველად, - chaque moment[238]... მოვლენ, წაგიყვანენ და მორჩა, გაქრება კაცი.

- ღმერთო ჩემო! ვინ მოვა? ვინ წაგიყვანთ?

- Voyez-vous mon cher[239], მე პირდაპირ ვკითხე: რას მიპირებთ-მეთქი?

- ბარემ ისიც გეკითხათ, სად მასახლებთ-თქო! - შევყვირე აღშფოთებულმა.

- მაგ აზრით ვკითხე სწორედ, მაგრამ წავიდა და პასუხი არ გამცა. Voyez-vous: საცვლები, ტანსაცმელი, განსაკუთრებით თბილები - თუ თვითონ გითხრეს, წამოიღეო, ხომ კარგი, მაგრამ შეიძლება ფარაჯითაც გაგაგზავნონ. ჰოდა, ოცდათხუთმეტი მანეთი (დაუწია უცებ ხმას და იმ კარისკენ გააპარა თვალი, რომელშიც ნასტასია გავიდა) ჩუმად ჩავაკვებე ჟილეტის ჯიბის ნახვრეტში, აი, მოსინჯეთ... არა მგონია, ჟილეტი გამხადონ. თვალის ასახვევად კი პორტმონეში შვიდი მანეთი ჩავდე, ვითომცდა, მეტი არ გამაჩნია-მეთქი, რაც ხურდა ფული მედო მაგიდაზე. ასე რომ ვერ მიხვდებიან, თუ ფული დამალული მაქვს, იფიქრებენ, მეტი არა აქვსო. ღმერთმა იცის, დღეს სად მომიხდება ღამის გათევა.

თავი ჩავლუნე ამ უგუნურების გაგონებაზე. სად გაგონილა კაცი ისე დაიჭირონ ან გაჩხრიკონ, როგორც ის ჰყვებოდა. ცხადია, ურევდა რაღაცას. მართალია, ახლანდელი კანონები მაშინ არ იყო გამოსული. ისიც მართალია, უფრო სწორ გზას სთავაზობენ (მისივე თქმით), მაგრამ ჭკუაში მოატყუა და უარი თქვა... რასაკვირველია, წინათ, ანუ არც ისე ადრე, გუბერნატორს ყველაფერი შეეძლო, თუ უკიდურესი შემთხვევა იქნებოდა... მაგრამ აქ რა უკიდურესი შემთხვევა იყო? აი, რა მიზნედა გზა-კვალს.

- ალბათ პეტერბურგიდან იყო დეპეშა, - წამოცდა უცებ სტეპან ტროფიმოვიჩს.

- დეპეშა! თქვენზე? გერცენის წიგნზე და თქვენი პოემის გულისთვის? გაგიჟდით? როდის იყო ამაზე იჭერდნენ კაცს?

მე მართლა მომივიდა გული. სტეპან ტროფიმოვიჩსაც სახე დაემანჭა და გაიბუსა. მაგრამ ამ ჩემს ყვირილზე კი არა, ის როგორ ვიფიქრე, დასაჭერი მიზეზი არაფერი აქვსო.

- ვინ იცის, რისთვის შეიძლება დაიჭირონ კაცი ამ ჩვენს დროში? - რაღაც უცნაურად წაილაპარაკა მან. უცებ ერთმა უგუნურმა აზრმა გამკრა თავში და შევძახე: - სტეპან ტროფიმოვიჩ, ღვთის გულისათვის, როგორც მეგობარს, როგორც ჭეშმარიტ მეგობარს, მართალი მითხარით, ხომ იცით, არავის ვეტყვი: ეკუთვნით თუ არა რომელიმე ფარულ საზოგადოებას?

ჩემდა გასაკვირად, გადაჭრილი პასუხი ვერც ამაზე მომცა. თვითონაც ვერ გარკვეულიყო ამაში.

- Voyez-vous, გააჩნია, ვინ რა თვალთ შეხედავს...

- როგორ „რა თვალთ“?

- როცა კაცი მთელი სულით და გულით პროგრესისაკენ ილტვი... ყველაფერს უნდა მოელოდე. რა იცი: გგონია, არ ეკუთვნი, მაგრამ გაიხედავ და თურმე ეკუთვნი რაღაცას.

- ეგ რა პასუხია? თქვით, ჰო თუ არა?

- Cela date de petersbourg[240], მაშინ ჩვენ ჟურნალის დაარსება გვინდოდა. აი, რა იყო მიზეზი. მაშინ დროზე გამოვასწარით და დაგვივიწყეს, ახლა კი გავახსენდით. Cher, cher, განა არ იცით, ჩვენში როგორ ხდება! წაგიყვანენ, კიბიტკაში ჩაგსვამენ და ჰაიდა, ციმბირში გიკრავენ თავს სამუდამოდ. არადა, სატუსალოში გამოგალპობენ... - აღმოხდა მწარედ და უცებ მდულარე ცრემლები წასკდა. სახეზე წითელი ფულარი მიიფარა და მთელი ხუთი წუთი გულამოსკვნილი ზღუქუნებდა. ამის ნახვაზე ტანში გამზრინა. ეს კაცი, ვინც მთელი ოცი წელიწადი ჩვენი მქადაგებელი, მოძღვარი და პატრიარქი იყო, ეს ჩვენი კუკოლნიკი, ვისაც მუდამ ასე მაღლა, ასე მედიდურად ეჭირა თავი, ვისაც სულით და გულით ვეთაყვანებოდით და დიდ პატივად მიგვაჩნდა ეს, - ახლა პატარა ბალღით ზღუქუნებდა, რომელსაც მასწავლებელი ცელქობისათვის გაწვეპლვით დაემუქრა და ახლა წვეპლის მოსატანად წავიდა. შემებრალა, საოცრად შემებრალა. ეტყობა, მართლა სჯეროდა „კიბიტკის“ ამბავი, სჯეროდა ისევე, როგორც ის, რომ მე ვიჯექი მის გვერდით, და ელოდა, სწორედ დღეს, ამ დილას, ამ წუთს მოადგებოდნენ და წაიყვანდნენ. ისიც რისთვის, გერცენის თხზულებებისა და რაღაც თავისი პოემის გულისთვის! ცხოვრების ასეთი სრული უცოდინარობა გულსაც ჩაგითუთქავდა და ზიზღსაც მოგგვრიდა.

როდის-როდის შეწყვიტა ტირილი, წამოდგა და ისევ ბოლთის ცემას მოჰყვა ოთახში. ეს კია, თვალი მაინც ფანჯრისკენ ეჭირა და ყური შემოსასვლელისაკენ, ხმაური ხომ არაფერი ისმისო. ჩვენი საუბარი ასევე უთავბოლოდ გრძელდებოდა. ბევრი ვარწმუნე და ვეჩიჩინე, მაგრამ გაგიგონია, ვითომც კედლისთვის ცერცვი შემეყაროს. ყურს თითქმის არ მიგდებდა, მაგრამ ძალიან კი უნდოდა მენუგეშებინა. შევატყვე, უჩემოდ ახლა ვეღარ გაძლებდა და არაფრის დიდებით არ გამიშვებდა შინ. მეც ორ საათზე მეტ ხანს დავყავი მასთან. ამ ლაპარაკში გაახსენდა, რომ ბლიუმს ორი პროკლამაციაც ენახა და თან წაელო.

- პროკლამაციებიო! თქვენ ხომ არ... - სულელურად გადამიქანდა გული.

- ე-ე-ე, ათიოდე ცალი მომიგდეს, მაგრამ რვა უკვე გავასაღე, ბლიუმმა მხოლოდ ორი მინახა... - მიპასუხა მან ყოყმანით და უცებ აღშფოთებისაგან სახე აელანძა. (ის ხან

წყრომით და ქედმაღლურად მელაპარაკებოდა, ხან კი საწყლად და დამცირებულად).

- Vous me mettez avec ces gens-la[241], როგორ იფიქრეთ, რომ იმ გაიძვერებს, იმ პროკლამაციების მფანტველებს, იმ ჩემს ძვირფას ვაჟს, პიოტრ სტეპანოვიჩს გავუამხანაგდებოდი, avec ces esprits-forts de la lachete!..[242] ვაი ჩემი ცოდვა!

- ვა, სხვა ვინმეში ხომ არ აერიეთ... თუმცა რა სისულელეს ვამბობ!

- Savez-vous[243], - წამოსცდა უცებ, - ხანდახან მეშინია, que je ferai la-bas quelque esclandre[244]. ნუ, ნუ წახვალთ, მარტო ნუ დამტოვებთ! Ma carrier est finie aujourd'hui, je le sens[245]. იცით, იქნებ ვეცე და იმ პოდპორუჩიკივით მართლა დავკბინო ვიღაც...

სტეპან ტროფიმოვიჩმა ისე უცნაურად შემომხედა, მის თვალებში თითქოს შიში და ჩემი დაშინების სურვილიც ამოვიკითხე. მართლაც თანდათან უფრო ერეოდა ბრაზი, რაც დრო გადიოდა და კიბიტკა კი არა და არ ჩანდა. ამასობაში ნასტასიას დასჭირებოდა რაღაც და შესასვლელში გამოსულიყო. იქ კი საკიდს წამოედო და წააქცია. ამ ხმაურზე სტეპან ტროფიმოვიჩს კანკალი აუვარდა და მკვდრისფერი დაედო. მაგრამ მიზეზი რომ გამოირკვა, ერთი ამბავი დააწია ნასტასიას და სულ ფეხების ბაკუნით გააგდო სამზარეულოში. ერთი წუთის შემდეგ კი გვერდით დამიჯდა და საცოდავად შემომჩივლა: - დავიღუპე! Cher, cher, გეფიცებით, ციმბირისა არ მეშინია, ოო, je vous jure[246] (თვალებზე ცრემლიც მოადგა), მე სულ სხვა რამ მაშინებს...

სახეზე შევატყვე, რაღაც დიდი საიდუმლოს გამხელა უნდოდა ჩემთვის, რასაც, მაშასადამე, აქამდე მიმაღავდა.

- მე სირცხვილი მკლავს, - წამჩურჩულა იდუმალი ხმით.

- რა სირცხვილი? პირიქით, სტეპან ტროფიმოვიჩ, მერწმუნეთ, დღესვე გაირკვევა ყველაფერი თქვენს სასარგებლოდ დასრულდება...

- მართლა გწამთ, რომ მაპატიებენ?

- „საპატიებელი“ რა გაქვთ ნეტა! რა სიტყვებს იძახით! ისეთი რა ჩაიდინეთ! მერწმუნეთ, თქვენ არაფერი ჩაგიდენიათ!

- Qu'en savez-vous[247], მთელი ჩემი ცხოვრება.. cher... ეგენი ყველაფერს გამიხსენებენ... ხოლო თუ ვერაფერი აღმოაჩინეს, მით უარესი ჩემთვის, - დააყოლა მოულოდნელად.

- რატომ მით უარესი?

- კი, კი, მით უარესი.

- არაფერი მესმის.

- ეეჰ, მეგობარო, მეგობარო, თუ მართლა დაღუპვა და პატივის აყრა მელის, სულ ერთი არაა, ციმბირში მიკრავენ თავს თუ არხანგელსკში! მაგრამ.. მე სხვა მაშინებს (ისევ ჩურჩული, ისევ შეშინებული და იდუმალი გამომეტყველება).

- რა გაშინებთ მაინც?

- გამწკეპლავენ, - ამოღერდა ბოლოს და უსასოოდ შემაჩერდა.
- ვინ გაგწკეპლავთ? სად? რისთვის? - მივაძახე გულგახეთქილმა, ჭკუიდან ხომ არ შეიშალა-მეთქი.
- სად და იქ... სადაც ეს ამბები ხდება.
- ჰოდა, სად ხდება?
- ეე, Cher, - ჩამჩურჩულა ლამის ყურში, - უცებ შენ ფეხქვეშ გაირღვევა იატაკი, ნახევრამდე ჩაგიტანს და ეს ყველამ იცის.
- ზღაპრებია! - მივხვდი უცებ და სიცილი წამსკდა, - ძველი ზღაპრები, ნეტა თუ მართლა გჯეროდათ აქამდე?
- ზღაპრებო! ტყუილად კი არ გავრცელდებოდა ეს ზღაპრები; გაწკეპლილი არ იტყვის. ათი ათასჯერ მაინც მაქვს წარმოდგენილი ეს სურათი!
- მაგრამ თქვენ რატომ, რისი გულისთვის? ხომ არაფერი ჩაგიდენიათ?
- მით უარესი, ნახავენ, რომ არაფერი ჩამიდენია და გამწკეპლავენ.
- და თქვენც გჯერათ, პეტერბურგში მაგისტრის წაგიყვანენ!
- ჩემო მეგობარო, უკვე ვთქვი, აღარაფერზე მწყდება-მეთქი გული, *ma carrier est finie*[248]. იმ წუთიდან, რაც სკვორემნიკში გამომეთხოვა, ცხოვრებამ ჩემთვის აზრი დაჰკარგა... მაგრამ სირცხვილს, სირცხვილს რა ვუყო, *que dira-t-elle*[249], რომ გაიგებს? - შემომხედა საწყალმა სასოწარკვეთით და გაწითლდა. მეც თავი დავხარე.
- არაფერსაც არ გაიგებს და არც არაფერი მოგივათ. ისე მაკვირვებთ ამ დილით, სტეპან ტროფიმოვიჩ, ასე მგონია, დღეს პირველად გხედავთ-მეთქი.
- ჩემო მეგობარო, განა ეს შიშია. მაგრამ რომ მაპატიონ, რომ ისევ აქ ჩამომიყვანონ და არაფერი დამმართონ - მაშინ ხომ მთლად დავიღუპე კაცი. *Elle me soupçonnera toute sa vie...*[250] დიახ, ჩემზე, პოეტსა და მოაზროვნეზე, ვისაც ოცდაორი წელი ეთაყვანებოდა!
- თავშიც არ მოუვა.
- მოუვა, - წაჩურჩულა ღრმა რწმენით, - ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია ამაზე დიდმარხვის დროს, პეტერბურგში, გამომგზავრების წინ, როცა ორივეს გული გვიკანკალებდა. *Eile me soupçonnera tout sa vie...* ან როგორ გადავარწმუნო? წარმოუდგენელი ამბავია. ან ამ უბადრუკ ქალაქში ვის დააჯერებ ახლა, *c'est invraisemblable. ..Et puis les femmes...*[251] გაუხარდება კიდევ. როგორც ჭეშმარიტ მეგობარს, ძალიან, ძალიან ეწყინება, მაგრამ გულში კი გაუხარდება.. ჩემი ყელის გამოსაჭრელ დანას მევე მივცემ ხელში. ჩემს ცხოვრებას რაღა აზრი აქვს! ოცი წელი ბედნიერი იყო კაცი და... უცებ ასეთი რამ გამოგიტყვერეს!
- მან სახეზე ხელები აიფარა.

- სტეპან ტროფიმოვიჩი, არა სჯობს ახლავე შევატყობინოთ ვარვარა პეტროვნას, რაც მოხდა? - შევთავაზე მე.

სტეპან ტროფიმოვიჩი შეკრთა და დივნიდან წამოხტა.

- ღმერთმა დამიფაროს! იმის შემდეგ, რაც სკვორეშნიკში დამშვიდობებისას მითხრა? არამც და არამც, არა-სო-დეს!

სტეპან ტროფიმოვიჩის თვალები აუბრიალდა.

ასე ვისხედით, მგონი, საათზე მეტი და სულ რაღაცას ველოდით. სტეპან ტროფიმოვიჩი ისევ მიწვა, თვალებიც კი დახუჭა, ვიფიქრე, ალბათ წასთვლიმა-მეთქი. უცებ წამოხტა, პირსახოცი ჩამოიგლიჯა, სარკეს მივარდა, ხელების კანკალით გაინასკვა ჰალსტუხი და ნასტასიას დაუღრიალა, პალტო, ახალი ქუდი და ჯოხი გამომიტანეო.

- მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, - ხმა უწყდებოდა ლაპარაკისას, - არ შემიძლია, არა! ჩემი ფეხით მივალ.

- სად? - წამოვხტი მეც.

- ლემბკესთან. Cher, ასე უნდა მოვიქცე, მოვალე ვარ ასე მოვიქცე. მე მოქალაქე ვარ, ადამიანი და არა მაგათი ნაფოტი, მე მაქვს მოქალაქეობრივი უფლებანი და მოვითხოვ კიდევ ამ უფლებებს, ოცი წელია ხმა არ ამომიღია ამაზე, მთელი სიცოცხლე სულელურად უგულვებელყოფდი. ჩემს უფლებებს... მაგრამ ახლა კი მოვითხოვ. დაე, ყველაფერი მითხრას, მითხრას, რომ დეკემბა მიიღო. რა უფლება აქვს ასე მაწამოს. თუ დამნაშავე ვარ, დამიჭიროს, დამიჭიროს და მორჩეს! - ყვიროდა დორბლმორეული და ფეხებს აბაკუნებდა.

- ეგ კარგი აზრია! - ვუთხარი რაც შეიძლება დინჯად, თუმცა გული მიკანკალებდა. - აქ ჯდომას და გულის გაწყალებას მართლაც ასე აჯობებს, მაგრამ ეგ თქვენი განწყობა კი არ მომწონს; აბა როგორ წახვალთ, რა სახე გაქვთ. Il faut etre digne et calme avec Lembke.[252] ვინ იცის, მართლა ეცეთ და უკბინოთ ვისმე.

- მე ჩემი ფეხით მივალ. ლომს პირდაპირ ხახაში შევუვარდები...

- მეც გამოგყვებით.

- თქვენგან სხვას არც მოველოდი, ყაბულს ვარ მაგ ჭეშმარიტად მეგობრულ მსხვერპლზე, ოღონდ სახლამდე, მხოლოდ სახლამდე: აღარ მინდა ჩემი ამხანაგობით ამიერიდან ჩრდილი მოგაყენოთ. O, croyez-moi, je serai calme![253] მე ვგრძნობ ამ წუთის სიდიადეს, მე ვგრძნობ, a la hauteur de tout ce qu'il y a de plus sacre...[254] - მე გავაწყვეტინე: - იქნებ სახლშიაც შემოგყვით. გუმინ შემომითვალეს მაგათი სულელური კომიტეტიდან ვისოცკის პირით, რომ ხვალინდელ ზეიმზე მიწვევენ წესრიგის გამრიგედ, თუ რასაც ეძახიან... ერთი სიტყვით, მეც იმ ექვს ყმაწვილთა რიცხვში უნდა ვიყო, ვინც ლანგრების შემოტანაზე დაიჭერს თვალს, მანდილოსნებს მოემსახურება, სტუმრებს თავის ადგილზე მიაბრძანებს და მარცხენა მხარი თეთრი და წითელი ბაფთით ექნება დამშვენებული. მინდოდა უარი მეთქვა, მაგრამ ახლა კი მოვიმიზეზებ, იულია მიხაილოვნას უნდა მოველაპარაკო-მეთქი, და ერთად შევალთ.

სტეპან ტროფიმოვიჩი მისმენდა და თავს მიქნევდა, თუმცა არა მგონია, რამე გაეგო. ზღურბლზე ვიდექით.

- Cher, - გაიწვდინა ხელი ლამპრისაკენ, - cher, მე ეს არასოდეს მწამდა, მაგრამ... დე, ეგრე იყოს! (მან პირჯვარი გადაიწერა) Allons![255]

„ასე აჯობებს, - ვიფიქრე, როცა პარმალზე გავედით, - სუფთა ჰაერზე დავწყნარდებით, შინ მოვბრუნდებით და არხეინად დავიძინებთ...“

მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. გზაში ჩვენ ისეთივე ამბავი გადაგვხვდა, ისედაც შეძრწუნებულ სტეპან ტროფიმოვიჩს უარესი მეხი დასცა და გადაწყვეტილება უფრო გაუმტკიცა.. გამოგიტყდებით და არც მოველოდი, თუ ასეთ სიყოჩაღეს გამოიჩინდა, რაც ამ დილას გამოიჩინა. ჩემი საწყალი, ჩემი კეთილი მეგობარი!

თავი მეათე. ფლიბუსტიერები. საბედისწერო დილა

[256]

I

მართლაც საკვირველი ამბავი გადაგვხდა გზაში. მაგრამ სჯობს ყველაფერი თანმიყოლებით გადმოგვკეთ. ერთი საათით ადრე, ვიდრე მე და სტეპან ტროფიმოვიჩი გარეთ გამოვიდოდით, ქალაქის ქუჩებში მრავალმა ცნობისმოყვარე თვალმა ხალხის ბრბო შეამჩნია, შპიგულინების ქარხნის მუშებისაგან შემდგარი, ასე სამოცდაათამდე კაცი, რომლებიც დინჯად, თითქმის უხმოდ, საგანგებო წესრიგით მიაბიჯებდნენ. როგორც შემდეგ ამტკიცებდნენ, ისინი თურმე ქარხნის მუშებს ამოერჩიათ - შპიგულინებს ცხრასამდე მუშა ჰყავდათ - რა არის გუბერნატორს ხლებოდნენ და, რაკი ქარხნის პატრონები აქ არ იყვნენ, მისთვის შეეჩვილათ, მმართველმა ქარხნის დახურვისას ანგარიშში უტიფრად მოგვატყუაო. ეს ფაქტი ახლა ყოველ ეჭვს გარეშე გახლავთ. სხვები დღემდე უარყოფენ ამ ამორჩევის ამბავს და ამტკიცებენ, სამოცდაათი კაცის ამორჩევა ვის გაუგია, უბრალოდ, ყველაზე უფრო დაჩაგრულებმა მოიყარეს თავი და მარტო საკუთარი გაჭირვების საჩივრელად ეახლნენ; ქარხნის მუშათა საერთო „ამბოხს“, როგორც ეს შემდეგში მოინათლა, ადგილი სულაც არ ჰქონიაო. მესამენი თავდადებით ირწმუნებიან, ეს სამოცდაათი კაცი ნამდვილად პოლიტიკური მემბოხენი იყვნენ, რომლებსაც რაღაც ფურცლები შეუგდეს და ისედაც თავზეხელაღებული ხალხი სულ გააგიჟესო. მოკლედ, დღემდე არავინ იცის, ადგილი ჰქონდა თუ არა აქ ვისიმე გავლენას ან წაქეზებას. მე კი მგონია, ეს შეგდებული ფურცლები მუშებს სულაც არ წაუკითხავთ, ხოლო რომც წაეკითხათ, ერთ სიტყვასაც ვერ გაიგებდნენ, გინდაც იმიტომ, რომ ამის დამწერნი ფრიად ბუნდოვნად და გაუგებრად წერენ, თუმცა თავიანთ ზრახვებს მოურიდებლად ამჟღავნებენ. ჰოდა, რაკი მუშები მართლაც დიდ გაჭირვებაში იყვნენ, რაკი პოლიციამაც არ ინება დახმარება, რა გასაკვირია, მუშებს ეფიქრათ, განა არა სჯობს „პირადად ღენერალს“ ვეახლოთ, თუნდაც არზით შუბლზე მის პარმალთან ჩამწკრივდეთ დინჯად და რაწამს გამობრძანდება, მუხლებზე დავემხოთ და მაღალ

დმერთივით შევლადადოთო? ჩემი აზრით, ეს არც ამბოხი იყო და არც ამორჩეულთა წარგზავნა, ეს გახლდათ ძველთაგანვე ნაცადი ისტორიული ხერხი. რუს ხალხს ათადან და ბაბადან უყვარდა „პირადად ღენერალთან“ ლაპარაკი და რა შედეგიც არ უნდა მოჰყოლოდა, სიამოვნებას მაინც დიდს ჰგვრიდა.

იმიტომაც მწამს დაბეჯითებით, რომ თუ მართლა დაძვრებოდნენ მუშებში პიოტრ სტეპანოვიჩი, ლიპუტინი და თუნდაც ფედკა (ამ გარემოებაზე კი საკმაოდ ბევრი რამ მიუთითებს), თუ მართლა ელაპარაკებოდნენ, არა მგონია, ორ-სამ, დიდი-დიდი ხუთზე მეტ კაცთან ელაპარაკნათ, ისიც მხოლოდ ნიადაგის მოსასინჯად და თანაც ყოვლად უშედეგოდ. რაც შეეხება ამბოხს, თუ მართლა გაიგეს მუშებმა რამე მათი პროპაგანდიდან, ალბათ მაშინვე ერთი ყურიდან მეორეში გაუშვეს, როგორც სულელური და მათთვის შეუფერებელი რამ. ფედკაზე ამას ვერ ვიტყვი. იმას, მგონი, პიოტრ სტეპანოვიჩზე უფრო გაუმართლა ბედმა. როგორც ახლა გამოირკვა, სამი დღის შემდეგ ქალაქში გაჩენილ ხანძარში ფედკასთან ერთად მართლაც ორ მუშას მიუღია მონაწილეობა. ერთი თვის შემდეგ კიდევ სამი ყოფილი მუშა დაიჭირეს მაზრაში, რომელთაც აგრეთვე ცეცხლის წაკიდება და მარცვა ბრალდებოდათ. მაგრამ თუ ფედკამ მართლა მოახერხა მათი შეგულიანება ამისთანა საქმეზე, ამ ხუთი კაცის მეტი მაინც ვერავინ გადაიბირა, რამეთუ სხვებზე მსგავსი ხმა არ გამოსულა.

ასე იყო თუ ისე, მუშების ბრბომ მართლაც მიაღწია გუბერნატორის სახლამდე და დინჯად, უხმოდ ჩამწკრივდნენ მოედანზე. შემდეგ დააღეს პირი და გუბერნატორის მოლოდინში პარმალს მიაჩერდნენ. როგორც მითხრეს, ქუდები მაშინვე მოიშვლიპეს, იქნებ გუბერნიის ბატონ-პატრონის გამოჩენამდე ნახევარი საათით ადრე, რომელიც თითქოსდა განზრახ იმ წუთას შინ არ ბრძანდებოდა. პოლიციელები უმაღლ იქ გაჩნდნენ; ჯერ თითო-ოროლა გამოჩნდა, შემდეგ რაც შეიძლება მეტი კომპლექტით. თავდაპირველად მრისხანედ მოითხოვეს, დაიშალებოთ. მაგრამ მუშებმა ღობეს მიტანებულ ფარასავით ჯიუტად არ მოიცვალეს ფეხი და ლაკონიურად უპასუხეს, „პირადად ღენერალთან“ გვაქვს საქმეო. ეტყობა, მტკიცე გადაწყვეტილება მიეღოთ. არაბუნებრივი ღრიალი შეწყდა; უფროსობა ჩაფიქრდა, საგონებელში ჩავარდა, კოპები შეყარა და ჩურჩულით დაიწყო იდუმალი განკარგულებების გაცემა.

პოლიცმაისტერმა არჩია ლემბკეს დალოდებოდა. იმას ტყუილს ამბობენ, თითქოს დაოთხილი ტროიკა მოაჭენა და ჩამოსული არ იყო, ცემა-ტყეპაზე გადავიდაო. ჩვენს პოლიცმაისტერს მართლაც უყვარდა და მართლაც დაოთხილი დააქროლებდა თავის ყვითელზურგა დროშკას. ჰოდა, როცა ქარვასლის ვაჭრების გულის გასახარად, მისი „გაქსუებული რაშები“ სულ დაგიჟდებოდნენ, მთელი ტანით წამოიმართებოდა დროშკაში, გვერდზე საგანგებოდ მიჭედოდა ღვედს ჩაებლაუჭებოდა, მარჯვენას სივრცეში გაიშვერდა და კვარცხლბეკზე შემდგარი მონუმენტივით თვალს გადაავლებდა ხოლმე მთელ ქალაქს. მაგრამ ამ შემთხვევაში ცემა-ტყეპაზე მართლა არ გადასულა. მერე რა რომ დროშკიდან გადმოსულმა ლაზათიანად შეიკურთხა.

შეიკურთხა მხოლოდ იმიტომ, პოპულარობა არ დაეკარგა. ისიც მოჩმახული ამბავი გახლავთ, ხიშტებიანი ჯარისკაცები მოიყვანეს და ტელეგრაფითაც აცნობეს, სადაც ჯერ არს, არტილერია და კაზაკები გამოგზავნეთო: ამ ზღაპრებისა ახლა თვითონ მის მომგონთაც არ სჯერათ. სისულელეა აგრეთვე ის ამბავიც, ვითომდა სახანძრო კასრები მოათრიეს და ხალხს წყალი გადაასხესო. უბრალოდ, ილია ილიჩმა გაცხარებულ გულზე დაიყვირა, ამ საქმიდან მშრალად ვერავინ დამიძვრებაო. ალბათ ეს აქციეს კასრებად და ალბათ დედაქალაქის გაზეთების კორესპოდენციებშიაც ამ

გზით მოხვდა. ყველაზე სწორი ვარიანტი, უნდა ვიფიქროთ, ის არის, რომ ბრბოს მაშინვე იქვე მყოფი პოლიციელები შემოარტყეს ირგვლივ, ლემბკესთან კი პირველი უბნის ბოქაული აფრინეს. ისიც პოლიცმაისტერის დროშკით სკვორემნიკში გაქანდა, საითაც ნახევარი საათით ადრე ეტლით წაბრძანებულიყო ფონ ლემბკე.

მაგრამ გამოგიტყდებით და, ერთი რამ მაინც ვერ ამიხსნია: როგორ მოხდა, რომ ეს უბრალო ამბავი, ანუ მთხოვნელთა ჩვეულებრივი ბრბო - მართალია, სამოცდაათი კაცისაგან შემდგარი - თავიდანვე სახელმწიფოს საძირკვლების შემრყევ ამბოხად მონათლეს? რად მოეჭიდა ამ აზრს ბოქაულის გაგზავნიდან ოცი წუთის შემდეგ მოვარდნილი ლემბკე? მე ვიტყვოდი (თუმცა ეს ჩემი საკუთარი აზრი გახლავთ), რომ მმართველთან კუდი კუდს გადაბმულ ილია ილიჩს დიახაც ხელს აძლევდა ფონ ლემბკესთან ეს ბრბო ამ სახით წარედგინა და წარედგინა სწორედ იმიტომ, საქმის ნამდვილი ვითარება არავის გამოეკვლია. ხოლო ეს აზრი მას თვითონ ლემბკემ ჩააგონა. უკანასკნელი ორი დღის მანძილზე ლემბკემ ორჯერ დაიბარა იგი და ორჯერვე საიდუმლოდ ელაპარაკა, თუმცა საკმაოდ დაბნეულად. მაგრამ ილია ილიჩმა მაინც იაზრა აქედან, მის უფროსს ისე გაჯდომოდა თავში პროკლამაციებისა და შპიგულინების მუშათა სოციალური ამბოხებისათვის შეგულიანების ამბავი, მგონი, კიდევ დაწყებოდა გული, ეს ყოველივე მოჩმახული გამომდგარიყო.

„პეტერბურგის წინაშე თავის გამოჩენა უნდა, - გაიფიქრა ლემბკესაგან გამოსულმა ჩვენმა ცბიერმა ილია ილიჩმა, - კეთილი და პატიოსანი, ეს ჩვენც ხელს გვაძლევს“ - თუმცა დარწმუნებული ვარ, საწყალი ანდრეი ანტონოვიჩი საკუთარი წარჩინებისათვისაც არ ინდომებდა ამბოხს. ეს იყო ფრიად ბეჯითი და მუყაითი ჩინოვნიკი, თავის ქორწინებამდე ერთი უწყინარი ადამიანი. განა მისი ბრალია, რომ ჩვეულებრივი სახაზინო ხე-ტყის მმართველობასა და ასევე ჩვეულებრივი მინჰენის ცოლობაზე მეოცნებე კაცი ბედმა ორმოცი წლის თავადის ასულს გადაჰყარა, რომელმაც მისი ეგზომ ამაღლება ინდომა? მე თითქმის დანამდვილებით ვიცი, რომ სწორედ ამ საბედისწერო დილიდან გამოჩნდა ის აშკარა ნიშნები, რამაც საწყალ ანდრეი ანტონოვიჩს, როგორც ამბობენ, შვეიცარიის ცნობილ დაწესებულებაში ამოაყოფინა თავი, სადაც ამჟამად ახალ ძალებს იკრებსო. მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ სწორედ ამ დილიდან გამომჟღავნდა ეს აშკარა ნიშნები, ჩემი აზრით, ისიც უნდა დავუშვათ, რომ გუშინაც შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი ამისთანა გამოვლინებებს, თუმცა არ ცისე აშკარად. მე, მაგალითად, ყოვლად ინტიმური წყაროებიდან ვიცი (ხომ შეიძლება თვით იულია მიხაილოვნას ეამბნა ჩემთვის ამ ისტორიის მცირე ნაწილი, ეამბნა თითქმის სინანულით, რამეთუ ქალი მთლიანად არასოდეს ინანიებს დანაშაულს), რომ ანდრეი ანტონოვიჩი წინაღამით, სამ საათზე გამოეცხადა თავის მეუღლეს, გააღვიძა და ისე დაჯინებით მოსთხოვა, „ჩემი ულტიმატუმი“ უნდა მოისმინო, იულია მიხაილოვნა იძულებული გახდა საწოლიდან წამომდგარიყო ქალაღდებზე დახვეული თმით, აღშფოთებული დაბრძანებულიყო კუშეტზე და ზიზღნარევი, დამცინავი სახით მაინც მოესმინა. მაშინ კი მიხვდა პირველად, რა შორს შეეტოპა მის ანდრეი ანტონოვიჩს და პირკატა ეცა. მაგრამ არ გაამჟღავნა თავისი შიში და წინანდელზე მეტად გაჯიქდა, თუმცა წესით გონდ მოსვლა და გულის მოღობა მართებდა. იულია მიხაილოვნას (როგორც, მგონი, ყველა ცოლს) თავისებური, არაერთხელ ნაცადი ხერხი ჰქონდა, რომელსაც მისი ქმარი ხშირად გაცოფებამდე მიუყვანია. ეს ხერხი დამცინავი დუმილი გახლდათ. ხან ერთი-ორი საათი, ხან მთელი დღე, ხან კი სამი დღე გადაბმით ხმას არ გასცემდა, რაც არ უნდა ეთქვა და ექნა ქმარს, თუნდაც მესამე სართულიდან გადამხტარიყო - ამას კი ვერც ერთი

მგრძობიარე კაცი ვერ აიტანს. არ ვიცი, ქმრის დასჯა უნდოდა ამ უკანასკნელ დღეებში დაშვებული შეცდომებისა თუ იმ შურის გამო, რასაც ქალაქის გამგებელი ცოლის ადმინისტრაციული ნიჭისადმი იჩენდა; არ ვიცი, ის აშფოთებდა, ქმარმა რომ ახალგაზრდობასა თუ ჩვენ საზოგადოებაში თავდაჭერა დაუწუნა და მისი წინდახედული პოლიტიკური მიზნები ვერ დააფასა; თუ გაჯავრებული იყო ახალგაზრდა ვერხოვენსკისადმი ასეთი სულელური და უაზრო ეჭვიანობისათვის - ეს კია, გადაწყვიტა არც ახლა მოებრუნებინა გული, მიუხედავად იმისა, რომ ღამის სამი საათი იყო და არც ანდრეი ანტონოვიჩი ენახა ოდესმე ასე წყობიდან გამოსული, რომელიც მისი ბუდუარის ხალიჩებზე წინ და უკან დააბოტებდა. ანდრეი ანტონოვიჩმა, მართალია, უთავბოლოდ, სამაგიეროდ, ყველაფერი გადმოუღაგა, ყველაფერი, რაც გულში დაგუბებოდა, რამეთუ ყოველივე ეს „საზღვარს გადასულიყო“. ჯერ იქიდან დაიწყო, ყველა მე „დამცინის“ და ყველა ჩემს „გაცურებას“ ცდილობსო. „დიახ, დიახ, „გაცურებას!“ - დასჭყვივლა უცებ, ცოლის ღიმილი რომ შეამჩნია, - ფეხებზე მკიდია გამოთქმები! ტყუილია თუ!.. არა, ქალბატონო, არა, ახლა მე არც სიცილის გუნებაზე ვარ და არც ქალური კეკლუცობის თავი მაქვს. ახლა ჩვენ პრანჭია ქალის ბუდუარში კი არ გახლავართ! ვითარცა ორი განყენებული არსება შევიყარეთ საჰაერო ბურთზე, რომ სიმართლე ვუთხრათ ერთმანეთს“ (რა თქმა უნდა, ცოტა აბნეულად ლაპარაკობდა, მაგრამ სწორ აზრებს კი გამოთქვამდა). „დიახ, თქვენ, თქვენ გამომიყვანეთ ჩემი ჩვეულებრივი მდგომარეობიდან, მხოლოდ თქვენი გულისთვის დავთანხმდი ამ ადგილზე, თქვენი პატივმოყვარეობის მიზეზით... გესლიანად იღიმებით? დაიცათ, ნიშნის მოგებას ნუ ესწრაფვით. იცით კი, ქალბატონო, რომ მე შევძლებდი და მშვენივრადაც შევძლებდი ამ ადგილის კი არადა, ათი ასეთი ადგილის მოვლას, ვინაიდან ღმერთს ჩემთვის ამისი ნიჭი მოუცია, მაგრამ თქვენთან და თქვენი წყალობით, ქალბატონო, არ შემძლია, თქვენთან მე ნიჭს ვკარგავ. ორი ცენტრი ერთად ვერ იარსებებს, თქვენ კი ორი მოაწყვეთ - ერთი ჩემთან, მეორე თქვენს ბუდუარში. - ძალაუფლების ორი ცენტრი, ქალბატონო, მაგრამ მე ამას არ დავუშვებ, არა და არა! როგორც ცოლქმრობაში, სამსახურშიაც ერთი ცენტრი უნდა იყოს, ორი შეუძლებელია... ან რითი გადამიხადეთ ყოველივე ამისთვის, - განაგრძობდა გაცხარებით, - ჩვენი ცოლქმრობის მანძილზე მუდამ სულ იმას მიმტკიცებდით, არარაობა, ბრიყვი და უნამუსოც ხარო. მე კი ყოველ წამს და ყოველ საათს იძულებული ვიყავი დამამცირებლად მემტკიცებინა, არც არარაობა ვარ, არც ბრიყვი და ჩემი კეთილშობილებით ყველას ვაკვირვებ-მეთქი. განა ეს ჩვენი ორივესი დამცირება არ არის?“ აქ ანდრეი ანტონოვიჩი ფეხების ბაკუნს მოჰყვა, ასე რომ იულია მიხაილოვნა იძულებული გახდა გოროზი მედიდურობით წამომდგარიყო. ანდრეი ანტონოვიჩი მყის დაშოშმინდა, სამაგიეროდ, გული აუჩვილდა და ქვითინი წასკდა (დიახ, ქვითინი). იულია მიხაილოვნას ღრმა დუმილით გამწარებული მთელი ხუთი წუთი სულ ხელებს იბრაგუნებდა გულში. ბოლოს თავგზა დაკარგა და წამოსცდა, ვერხოვენსკიზე ვეჭვიანობო. რომ მიხვდა, უდიდესი სისულელე წამოვროშეო - სულ გამძვინვარდა და აყვირდა, ღმერთის უარყოფის ნებას არავის მივცემო, მაგ თქვენს „უღმერთო სალონს“ სულ დაგიფრთხობთო, ქალაქის გამგებელი მოვალე არის ღმერთი იწამოს და, მაშასადამე, მის ცოლსაც უნდა სწამდესო, რომ ყმაწვილ კაცებს მეტს აღარ მოვითმენო, რომ წესით თქვენ, თქვენ უნდა გეზრუნათ, ქალბატონო, საკუთარ ქმარზე და გინდაც უნიჭო ყოფილიყო (თუმცა უნიჭო სულაც არა ვარ), ჰკვიანად გამოგეყვანათ, მაგრამ პირიქით იქცევით; თქვენი ბრალია, რომ ყველა აბუჩად მიგდებს, ყველას, ყველას თქვენ ჩააგონეთ ესო!.. იფიცებოდა, ქალთა საკითხს

ძირფესვიანად მოსვობ, მაგ განწყობილებას ძირფესვიანად აღმოვფხვრიო, რომ იმ სულელურ ზეიმს გუვერნანტი ქალების სასარგებლოდ (ემმაკსაც წაუღია მათი თავი!) ხვალვე ავკრძალავ და დავფერთხავო, ხოლო პირველ შემხვედრ გუვერნანტ ქალს ხვალვე „კაზაკების“ თანხლებით გუბერნიიდან გავაძევებო. „ჯიბრზე, დიახ, ჯიბრზე!“ - გაჰკიოდა იგი. „იცით თუ არა, რომ ქარხნის მუშებს თქვენი გაიძვერები აგულიანებენ და მე ეს ვიცი? იცით თუ არა, რომ განზრახ ჰყრიან პროკლამაციებს, განზრახ-მეთქი! იცით თუ არა, რომ მე ვიცი ოთხი არამზადას სახელი და კაცი ლამის ჭკუიდან შევიშალო!!!“ აქ კი დაარღვია იულია მიხაილოვნამ დუმილი და გოროზად უპასუხა, რომ დიდი ხანია თვითონაც იცის ამ ბოროტი ზრახვების ამბავი, რომ ეს ყველაფერი სისულელეა და გულთან ასე ახლოს მიტანა არა ღირს. რაც შეეხება არამზადებს, არა მარტო იმ ოთხის სახელი იცის, არამედ ყველანი (ეს კი იცრუა იულია მიხაილოვნამ), მაგრამ ამის გამო სულაც არ აპირებს ჭკუიდან შეშლას, პირიქით, კიდევ უფრო სწამს თავისი ჭკუისა და იმედოვნებს, ყოველივე ჰარმონიულად დააბოლოოს: გაამხნევოს ყმაწვილკაცობა, გონზე მოიყვანოს ისინი, მოულოდნელად დაუმტკიცოს, რომ ყველა მათი ზრახვა იცის და მერე ახალი მიზნებიც დაუსახოს გონიერი და უფრო ნათელი საქმიანობისათვის. რომ შეიტყო, ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ ახლაც გააცურა და გაამასხარავა, რომ იულია მიხაილოვნასათვის მასზე ადრე გამეხილა ყველაფერი და უფრო მეტიც ეცნობებინა, რომ ბოლოს ეგებ სულაც თვითონ ვერხოვენსკია ამ ბოროტი ზრახვების სულისჩამდგმელი და მოთავე - სულ გაგიჟდა და გადაირია ფონ ლემბკე. „მამ, იცოდე, შე უგუნურო, მაგრამ შხამით სავსე დედაკაცო, - უცებ აიწყვიტა მან თავი, - იცოდე, რომ იმ შენს უღირს საყვარელს ახლაც დავატუსადებ, ბორკილებს გავუყრი და დილეგში ჩავამწყვდევ, არადა, ახლაც შენ თვალწინ ფანჯრიდან გადავვარდები!“ ამის გაგონებაზე სიბრაზისაგან გამწვანებულმა იულია მიხაილოვნამ უცებ ისეთივე კისკისი ატეხა, როგორც ფრანგული თეატრის სცენაზე ასი ათას მანეთად გამოწერილი კოკობზიკების როლის შემსრულებელი პარიზელი მსახიობი ქალი ქმარს შეკისკისებს ხოლმე სახეში, როცა ეს უკანასკნელი გაბედავს და ვინმეზე იეჭვიანებს. ფონ ლემბკე ჯერ ფანჯრისაკენ გაქანდა, მერე უცებ შედგა, გულ-ხელი დაიკრიფა და ავი თვალით შეაცქერდა აკისკისებულ მეუღლეს. სახეზე ზაფრანის ფერი დადებოდა. „იცოც კი, იულია, რომ შეიძლება მეც ჩავიდინო რაღაც?“ - შეჰლაღადა სულშეგუბებულმა. ამ სიტყვებზე კისკისმა უფრო იმატა. ფონ ლემბკემ კბილები დააღრჭიალა, დაიკვნესა და უცებ მივარდა - არა, ფანჯარას კი არა, - თავის მეუღლეს და მუშტი მოუღერა! გარტყმით არ გაურტყამს - არა, არა და არა; სამაგიეროდ, საბოლოოდ წახდა კაცი, უგონოდ შევარდა თავის კაბინეტში, ისევე ჩაცმული პირქვე დაემხო გაშლილ ლოგინზე, თავზე ზეწარი წაიფარა და მთელი ორი საათი იწვა ასე გაუნძრევლად: არც ძილი ეკარებოდა, არც ფიქრის თავი ჰქონდა, გულზე მძიმე ლოდი დასწოლოდა და რაღაც გაურკვეველ სასოწარკვეთილებას შეებოჭა. შიგადაშიგ ციებცხელებიანივით აკანკალებდა. აგონდებოდა ისეთი რაღაცები, რასაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა ამ ამბებთან: ხან, მაგალითად, კედლის ძველი საათი გაახსენდებოდა, რომელიც თხუთმეტი წლის წინათ ჰქონდა პეტერბურგში და წუთების ისარი მოვარდნოდა; ხან მუდამ გულმხიარული მოხელე მიღბუა დაუდგებოდა თვალწინ, აგონდებოდა, როგორ დაიჭირეს ერთხელ ალექსანდრეს ბაღში ბელურა, მაგრამ რომ გაახსენდათ, ერთ-ერთი უკვე კოლეჟსკი ასესორი იყო, ხარხართ გააყრუეს მთელი ბაღი. მგონი, მხოლოდ დილის შვიდ საათზე ჩაეძინა. დიდებულად ეძინა და საუცხოო სიზმრებიც ნახა. დილის ათ საათზე გიჟივით წამოვარდა ლოგინიდან, ერთბაშად გაახსენდა ყველაფერი და შუბლში იტკიცა ხელი;

არც ისაუზმა, არც ბლიუმი, პოლიცმაისტერი თუ თავისი მოხელე მიიღო, რომელიც იმის გასახსენებლად მოსულიყო, - კრების წევრები ამ დილას გელოდებიანო. არაფრის გაგონება და არაფრის გაგება არ უნდოდა. დაფეთებული გაიჭრა იულია მიხაილოვნას სამყოფში. იქ სოფია ანტროპოვნამ, იულია მიხაილოვნასთან რა ხანია შეკედლებულმა ბებრუცუნა აზნაურის ქალმა მოახსენა, იულია მიხაილოვნა მრავალრიცხოვანი საზოგადოების თანხლებით, სამი ეკიპაჟით ჯერ კიდევ ათ საათზე გაემგზავრა ვარვარა პეტროვნა სტავროგინასთან სკვორემნიკშიო. იქ უნდა ადგილი დაათვალიერონ უკვე მეორე, ორიოდ კვირის შემდეგ განზრახული დღესასწაულისთვის, რომელზეც სამი დღის წინათ იყვნენ შეთანხმებული ვარვარა პეტროვნასთანაო. გაოგნებული გამობრუნდა ანდრეი ანტონოვიჩი კაბინეტში. მაშინვე ბრძანება გასცა, ეტლი შეაბითო. ძლივს დაუცადა ეტლის შებმას. სულს იულია მიხაილოვნას ნახვა სწყუროდა, - ოღონდაც ერთი შეხედოს, ხუთი წუთი მის ახლოს დაჰყოს; იქნებ შეხედვის ღირსი გახადოს, წინანდებურად გაუღიმოს, აპატიოს! „რას შვრებიან, სადაა ეტლი?“ მერე მექანიკურად გადაშალა მის წინ მაგიდაზე დადებული სქელტანიანი წიგნი (ზოგჯერ ასე ჩაუთქვამდა ხოლმე წიგნს, მერე ალაღბედზე გადაშლიდა და მარჯვენა გვერდზე ზემო სამ სტრიქონს წაიკითხავდა). ახლაც წაიკითხა: „Tout est pour le mieux dans le meilleur des mondes possibles“. Voltaire „Candide“.[257] ფონ ლემბკემ გადააფურთხა და საჩქაროდ ეტლისაკენ გაიქცა: „აბა, სკვორემნიკში!“ მეეტლე ჰყვებოდა მერე, ბატონი მთელი გზა სულმოუთქმელად მიმარეკინებდა ცხენებსო. მაგრამ ბატონის სახლს რომ მიუახლოვდნენ, უცებ უბრძანა თურმე, უკა მობრუნდი და ქალაქში წამიყვანეო: „სწრაფად, რაც შეიძლება სწრაფად“. ქალაქის თხრილთან არ იყვნენ მისული - „მიბრძანა, ისევ გააჩერეო. გადმოვიდა ეტლიდან და მინდორში გადაუხვია. ვიფიქრე, რაღაც საჭიროების გამო-მეთქი, მაგრამ დადგა და ყვავილებს დაუწყო თვალიერება. ისე უცნაურად იდგა ერთხანს, ეჭვიც კი შემაპარა“. მე იმდილანდელი ამინდი გამახსენდა: ცივი, მზიანი, მაგრამ ქარიანი სექტემბრის დღე იდგა. გზიდან გადასული ანდრეი ანტონოვიჩის წინ გამიშვლებული მინდორი გადაშლილიყო. პური რა ხანია აეღოთ, ქარი არხევდა აქა-იქ შემორჩენილ ჭკნობაშეპარულ ყვითელ ყვავილებს... იქნებ საკუთარ თავს და საკუთარ ბედს ადარებდა ამ შემოდგომის სუსხით დამზრალ ყვავილებს? არა მგონია. პირიქით, მგონია, რომ სულაც არ ახსოვდა ალბათ ყვავილები, მიუხედავად მეეტლის და იმ წუთს პოლიცმაისტერის დროშკით მოგრილებული პირველი უბნის ბოქაულის ჩვენებისა, რომელიც მერე ამტკიცებდა, მე რომ მივედი, გუბერნატორს მართლაც ყვითელი ყვავილების კონა ეჭირა ხელშიო. ეს ბოქაული, გვარად ვასილი ივანოვიჩი ფლიბუსტიეროვი, ჩვენი ქალაქის სულ ახალი სტუმარი იყო. მაგრამ ისეთი ადმინისტრაციული სიფიცხე გამოიჩინა, ისე ფიცხელ დატრიალდებოდა ხოლმე ყოველი ბრძანების შესასრულებლად, რომ უფროსებში სახელი ჰქონდა გავარდნილი. ფხიზელი ის არავის უნახავს. ბოქაული ჩამოხტა დროშკიდან, მიეჭრა გუბერნატორს და ერთი სულის მოთქმით მოახსენა, „ქალაქში არეულობაა“.

- ჰა, რა იყო? - გოროზად მოუბრუნდა ანდრეი ანტონოვიჩი. სახეზე არც გაცემა გამოხატვია და, მგონი, არც გახსენებია, რომ ეტლი და მეეტლე ელოდა. თითქოსდა თავის კაბინეტში იჯდა.

- პირველი უბნის ბოქაული ფლიბუსტიეროვი გახლავართ, თქვენო ადმატებულებავ, ქალაქში ამბოხია.

- ფლიბუსტიერები? - გაიმეორა ჩაფიქრებით ანდრეი ანტონოვიჩმა.

- დიახ, თქვენო აღმატებულება. შპიგულინელები აჯანყდნენ.

- სპიგულინელები!..

თითქოს რაღაცა მოაგონა გუბერნატორს „შპიგულინელების“ სახელის გაგონებამ. შეკრთა და შუბლზე მიიღო თითო: „შპიგულინელები!“ მერე ასევე ჩაფიქრებული უსიტყვოდ გამობრუნდა, აუჩქარებლად ჩაჯდა ღია ეტლში და უბრძანა, ქალაქში წამიყვანეო. ბოქაული დროშკით უკან გამოჰყვა.

წარმოდგენილი მაქვს, რამდენი ფრიად საგულისხმო ამბავი აგონდებოდა ფონ ლემბკეს ბუნდოვნად გზაში, მაგრამ არა მგონია, რაიმე მტკიცე გადაწყვეტილება ან გარკვეული განზრახვა ჰქონოდა, ვინემ გუბერნატორის სახლის წინ მოედანზე შეგრიალდებოდა. მაგრამ რა წამს „მეამბოხეთა“ ჯიუტად ჩამწკრივებული ბრბო დაინახა, პოლიციელთა ალყა შეამჩნია, უძლურად მდგარ პოლიცმაისტერს მოატანა თვალი (სულაც იქნებ განგებ უძლურად მდგარს) და ისიც შენიშნა, რომ ყველა მას ელოდა, სისხლმა აასხა თავში. ეტლიდან გადაფითრებული ჩამოვიდა.

- ქუდები მოიხადეთ! - წაილაპარაკა სულშეგუბებულმა. - დაიჩოქეთ! - დასჭყვილა მერე მოულოდნელად, დიახ, თავისდა მოულოდნელად, სულაც იქნებ ამ მოულოდნელობით აიხსნება ის ყველაფერი, რაც შემდეგ მოხდა. განა იგივე არ ხდება ყველიერში გორიდან ციგით ჩამოსრიალებისას? სად გაგონილა გორიდან დასრიალებული ციგა შუაგზაზე გაჩერდეს? საუბედუროდ, ანდრეი ანტონოვიჩს მუდამ უშფოთველი ხასიათი ჰქონდა, თავის დღეში არავისთვის უყვირია და არავისთვის დაუბაკუნებია ფეხები, ხოლო ამისთანა ბუნების ადამიანისთვის უფრო სახიფათოა, თუ მისი ციგა რატომღაც უცბად მოწყდა გორას და ძირს დაეშვა. თვალწინ ყველაფერი დაუტრიალდა.

- ფლიბუსტიერნო! - დასჭყვილა მან კიდევ უფრო უაზროდ, მაგრამ ხმა ჩაუწყდა და გაჩერდა. ჯერ თვითონაც არ იცოდა, რას ჩაიდენდა, მაგრამ მთელი არსებით გრძნობდა კი, უსათუოდ რაღაცას ჩაიდენდა.

„ღმერთო დიდებულო!“ - აღმოხდა ვიღაცას ხალხში. ვიღაც ყმაწვილმა პირჯვარი გადაიწერა. სამმა-ოთხმა მართლა მოინდომა დაჩოქება, მაგრამ დანარჩენებმა სამი ნაბიჯით წამოიწიეს წინ და უცებ ერთად აყაყანდნენ: „თქვენო აღმატებულება... ორმოცზე ვიყავით გარიგებული... მმართველმა კი... შენ ამას არ უბრძანებდი...“ და ა.შ. და ა.შ. კაცი ვერაფერს გაარჩევდა.

ვაი რომ ანდრეი ანტონოვიჩმაც ვერაფერი გაარჩია: ყვავილების კონა ისევ ხელში ეჭირა. რომ ამბოხი იყო, ისევე ცხადად ხედავდა, როგორც სტეპან ტროფიმოვიჩი წელან „კიბიტკებს“. ხოლო თვალეზდაჭყეტილ „მეამბოხეთა“ რიგების წინ სულ მათი „შემაგულიანებელი“ პიოტრ სტეპანოვიჩი ელანდებოდა, ის პიოტრ სტეპანოვიჩი, რომელიც გუშინდლიდან მოყოლებული აჩრდილივით თან სდევდა და რომელიც ასე სძულდა...

- როზგები ახლავე! - შეჰღრიალა ისევ ისე მოულოდნელად.

სამარისებური სიჩუმე გამეფდა.

აი, როგორ მოხდა ეს ყველაფერი ზუსტი გადმოცემითა და ჩემი მიხვედრით. მაგრამ შემდეგ გადმოცემასაც აკლდება სიზუსტე და ჩემი მიხვედრაც მოიკოჭლებს. თუმცა ზოგი ფაქტი მაინც არსებობს.

ჯერ ერთი, როზგები რაღაც მეტისმეტად სწრაფად გააჩინეს. როგორც ეტყობა, საზრიან პოლიცემისტერს გუბერნატორის მოლოდინში დაეჭირა საამისო თადარიგი. ეს კია, მხოლოდ ორი კაცი გაიროზგა. თავს დავდებ, წმიდაწყლის ჭორია, თითქოს მთელი ხალხი ანდა ნახევარი მაინც გაიროზგაო. ისიც სისულელეა, ვითომც ამ დროს იქ გზად ჩავლილ ერთ ღარიბ, მაგრამ კეთილშობილ მანდილოსანს ხელი სტაცეს და გაროზგესო. თუმცა ამ ქალბატონის ამბავი ჩემი თვალთ წავიკითხე რამდენიმე ხნის შემდეგ პეტერბურგის ერთ-ერთი გაზეთის კორესპოდენციაში. როგორც ჰყვებოდნენ, სასაფლაოსთან მდებარე დავრდომილთა თავშესაფრის ერთი მცხოვრები, ავდოტია პეტროვნა ტარაპიგინა თურმე სტუმარს იყო და თავშესაფარში ბრუნდებოდა. მოედანზე რომ გამოიარა, ბუნებრივია, დაინტერესდა, სეირის მაყურებლებში გაძვრა, ეს სურათი დაინახა და, „ფუი სირცხვილო“, გადააფურთხა. ამიტომაც სტაცეს ხელი და „შეახურეს“. ეს ამბავი არა მარტო გაზეთებში გაწერეს, ცხელ გულზე ხელდახელ ფულიც შეუგროვეს ხელმოწერით. მე თვითონ ოც კაპიკზე მოვაწერე ხელი. და რა გგონიათ? თავშესაფარში თურმე ტარაპიგინას მსგავსი არავინ ცხოვრობდა! სასაფლაოზე მათ თავშესაფარს რომ მივაკითხე გამოსარკვევად, მითხრეს, ტარაპიგინას არსებობა არც გაგვიგიაო. ეს კი არადა, ძალიანაც იწყინეს, როდესაც ქალაქში დარხეული ხმები ვუამბე. მე უფრო იმიტომ მოგახსენეთ ამ არარსებული ავდოტია პეტროვნას ამბავი, რომ სტეპან ტროფიმოვიჩსაც ლამის იგივე დაემართა, რაც ამ ქალს (ეს ქალი რომ მართლაც არსებულიყო); იქნებ სულაც სტეპან ტროფიმოვიჩის ამბის მიხედვით გაავრცელეს ეს სულელური ჭორი, ესე იგი ჭორის შემდგომი განვითარებისას მისი გვარი ტარაპიგინად გადააკეთეს. ახლაც არ ვიცი, როგორ გამეპარა, როცა მოედანზე გავედით. თითქოს გულმა მიგრძნო, გადავწყვიტე მოედნის ირგვლივ შემომეტარებინა და ისე მიმეყვანა გუბერნატორის პარმაღთან. მაგრამ ცნობისმოყვარეობამ წამძლია და ერთი წუთით პირველ შემხვედრთან ამბის გამოსაკითხად შევჩერდი. რომ მოვიხედე, სტეპან ტროფიმოვიჩი ჩემ გვერდით აღარ იყო. ალღომ მყის მიკარნახა, ყველაზე საშიშ ადგილას ეძებეო. რატომღაც მიგრძნო გულმა, რომ მისი ციგაც დაშვებულიყო გორიდან. მართლაც ხალხის შუაგულში ვიპოვე. მახსოვს, ხელი რომ ვტაცე, რა დინჯად და წარმოუდგენელი სიამაყით შემომხედა.

- Cher, - მითხრა რაღაც გაბრაზებული, ჩაწყვეტილი ხმით, - თუკი ეგენი ამ მოედანზე, ჩვენ თვალწინ ასე უბოდინოდ დაპარპაშებენ და მბრძანებლობენ, აბა ეგ რაღაც იზამს... თუ ვინიცობაა დამოუკიდებელი მოქმედების საშუალება მიეცა...

აღშფოთებისაგან აკანკალებულმა და გამოწვევის უსაზღვრო სურვილით ატანილმა სტეპან ტროფიმოვიჩმა - მამხილებელი თითი ფლიბუსტიეროვს რისხვით ატაკა, რომელიც ჩვენგან ორ ნაბიჯზე იდგა და თვალდაჭყეტილი გვიცქეროდა. იმას სიბრაზისაგან თვალთ დაუბნელდა.

- ეგაო! ვინ ეგაო? შენ თვითონ ვინა ბრძანდები, ჰა? - დასწყვივლა ფლიბუსტიეროვმა და მუშტებით წამოვიდა ჩვენზე. - ვინ ბრძანდები-მეთქი? - იღრიალა გახელებულმა და გამწარებულმა (შევნიშნავ, რომ სტეპან ტროფიმოვიჩს ის მშვენივრად იცნობდა სახით). კიდევ წუთი და ალბათ ქეჩოში სტაცებდა ხელს. ბედად, ლემბკემ მოიხედა

ყვირილზე. გაკვირვებით მიაშტერდა სტეპან ტროფიმოვიჩს, თითქოს რაღაცას იგონებდნენ, და უცებ მოუთმენლად აიქნია ხელი. ფლიბუსტიეროვს ენა ჩაუვარდა. მე ვტაცე ხელი და სტეპან ტროფიმოვიჩი ხალხიდან გამოვართიე. თუმცა, ვინ იცის, იქნებ არც თვითონ იყო უარზე, რომ უკან დაეხია.

- შინ წამოდით, შინ. თუ არ მიგვბეგვებს, კიდევ ლემბკეს უნდა ვუმადლოდეთ, - ჩავციებოდი მე.

- დამტოვეთ, ჩემო მეგობარო, თქვენ მაინც რაღად უნდა დაგლუპოთ, მომავალი და კარიერა წინა გაქვთ, რაც მე შემეხება - mon heure a sonne.[258]

სტეპან ტროფიმოვიჩმა მტკიცედ ააბიჯა გუბერნატორის პარმალზე. შვეიცარი მიცნობდა; ვუთხარი, იულია მიხილოვნასთან მივდივართ-მეთქი. მისაღებ დარბაზში დავსხედით. არ მინდოდა ჩემი მეგობრის მიტოვება, მაგრამ ლაპარაკის გაბმაც ზედმეტად მიმაჩნდა. ისეთ სახე ჰქონდა, გეგონებოდათ, მამულისთვის თავს სწირავდა კაცი. სხვადასხვა კუთხეებში ვისხედით. მე შემოსასვლელი კარის ახლოს, ის მოშორებით, ჩემ პირდაპირ. ჩაფიქრებით დაეხარა თავი და ტროსტს მსუბუქად დაყრდნობოდა ორივე ხელით. განიერფარფლებიანი ქუდი მარცხენა ხელში ეკავა, ათიოდე წუთს ვისხედით ასე.

II

ერთბაშად ლემბკე შემოვიდა სწრაფი ნაბიჯით. უკან პოლიცმაისტერი მოსდევდა. ერთი კი გადმოგვხედა, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქცია და მარჯვნივ, კაბინეტისაკენ გაუხვია. სტეპან ტროფიმოვიჩი წინ გადაუდგა და გზა გადაუღობა. სტეპან ტროფიმოვიჩის მაღალმა ტანადობამ და სხვებისაგან განსხვავებულმა იერმა შთაბეჭდილება მოახდინა. ლემბკე შედგა.

- ვინ არის? - გადაულაპარაკა პოლიცმაისტერს, თუმცა სტეპან ტროფიმოვიჩისთვის თვალი არ მოუშორებია.

- გადამდგარი კოლეჟსკი ასესორი სტეპან ტროფიმოვიჩ ვერხოვენსკი გახლავართ, თქვენო აღმატებულება, - მიუგო სტეპან ტროფიმოვიჩმა და მედიდურად დახარა თავი. მისი აღმატებულება დაკვირვებულ, თუმცა საკმაოდ გამოთაყვანებულ მზერას არ აშორებდა.

- რაზე გარჯილხართ? - იკითხა წმინდა დიდკაცური ლაკონიზმით და უკმაყოფილო სახით მოუთმენლად მიუშვირა ყური. ალბათ ეგონა, ჩვეულებრივი მთხოვნელია და არზა ექნება მოტანილიო.

- დღეს თქვენი აღმატებულების სახელით მოვიდნენ ჩემთან და ბინა გამიჩხრიკეს. მე მინდა...

- გვარი? გვარი? - მოუთმენლად ჰკითხა ლემბკემ, თითქოს რაღაცას მიხვდაო. სტეპან ტროფიმოვიჩმა უფრო მეტი ღირსებით გაუმეორა თავისი გვარი.

- ა-ა! ეს... ის, ვისთანაც ბუდეა?.. მოწყალო ბატონო, თქვენ ისეთი სახელი დაიმსახურეთ... პროფესორი ხართ? პროფესორი?

- ოდესღაც პატივი მქონდა რამდენიმე ლექცია წამეკითხა N-ის უნივერსიტეტის ყმაწვილკაცობისათვის.

- ყმაწვილ-კაცობის-თვისო! - თითქოს შეკრთა ლემბკე, თუმცა თავს დავდებ, არც ის იცოდა, რაზე იყო ლაპარაკი და არც ის, ვის ელაპარაკებოდა. - მე, მოწყალეო ბატონო ჩემო, ამას ვერ დავუშვებ, - გაწყრა უცებ საშინლად. - მე ყმაწვილკაცობას ვერ დავუშვებ. ეს სულ პროკლამაციების ბრალია. ეს საზოგადოებაზე იერიშია, მოწყალეო ბატონო, საზღვაო იერიში, ფლიბუსტიერობა... რასა მთხოვთ?

- პირიქით, თქვენმა მეუღლემ მთხოვა ხვალ წამეკითხა მის ზეიმზე. მე სათხოვრად კი არა, სიმართლის საძიებლად გეახელით.

- ზეიმზეო? ზეიმი არ შედგება. მე თქვენს ზეიმს არ დავუშვებ! რაო, ლექციებიო? რა ლექციებიო? - შესძახა გაცოფებით.

- მე გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, უფრო ზრდილობიანად მელაპარაკოთ, არც ფეხები მიბაკუნოთ და არც მიყვიროთ პატარა ბიჭივით.

- გესმით კი, ვის ელაპარაკებით? - გაწითლდა ლემბკე.

- სავსებით, თქვენო აღმატებულებავ.

- მე საზოგადოებას ვიცავ, თქვენ კი საზოგადოებას ძირს უთხრით! დიახ, ძირს უთხრით-მეთქი! თქვენ... თუმცა, მგონი, მახსოვხართ: ეს თქვენ იყავით გუვერნიორად გენერლის მეუღლის სტავროგინას ოჯახში?

- დიახ... მე გახლდით გუვერნიორად... გენერლის მეუღლის სტავროგინას ოჯახში.

- მაშასადამე, მთელი ოცი წელი თქვენსა იყო ის ბუდე, რამაც ეს ყველაფერი წარმოშვა... და ეს ნაყოფი მოისხა... თუ არ ვცდები, ეს წუთია მოედანზე გნახეთ. მაგრამ გვიფრთხილდით კი, მოწყალეო ბატონო, გვიფრთხილდით. თქვენი აზრების მიმართულება ცნობილია. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მხედველობაში მყავხართ. მე, მოწყალეო ბატონო, თქვენს ლექციებს ვერ დავუშვებ, ვერა და ვერა. ასეთი თხოვნით ნუ მომმართავთ.

ლემბკემ ისევ წასვლა დააპირა.

- ვიმეორებ, შემცდარი ბრძანდებით, თქვენო აღმატებულებავ: პირიქით, მე თქვენმა მეუღლემ მთხოვა წამეკითხა, ისიც ლექცია კი არა, რაიმე ლიტერატურული ნაშრომი ხვალინდელ ზეიმზე. მაგრამ ახლა მე თვითონ ვამბობ უარს წაკითხვაზე. უმორჩილესად გთხოვთ, თუ შეიძლება ეს ამიხსენით: რატომ და რისთვის გამჩხრიკეს? რად წაიღეს ჩემგან რამდენიმე წიგნი, ნაწერები, ჩემთვის ძვირფასი წერილები და ურიკით წაარიხრიხეს ქალაქში...

ლემბკე შეკრთა, ერთბაშად ყველაფერს მიხვდა და სახე წამოუწითლდა.

- ვინ გაჩხრიკა? - მიუბრუნდა მაშინვე პოლიცმაისტერს. იმავ წუთს კარში უშნოდ აწოწილი და ბეჭებში მოხრილი ბლიუმი შემოეყუდა.

- აი, ამ მოხელემ, - მიუთითა სტეპან ტროფიმოვიჩმა. ბლიუმი დამნაშავეის სახით წამოდგა წინ, თუმცა ეტყობოდა, იხტიბარს მაინც არ იტეხდა.

- Vous ne faites que des betises[259], - მწყრალად მიუბრუნდა ბლიუმს განრისხებული ლემბკე, ერთბაშად გამოერკვა და თითქოს სულ გამოიცვალა, - მაპატიეთ... რაც მოხდა... მხოლოდ და მხოლოდ გაუგებრობაა. მხოლოდ და მხოლოდ გაუგებრობა, - წაილულლულა ერთობ დაბნეულმა და აღმური მოედო მთელ სახეზე.

- თქვენო აღმატებულება, ახალგაზრდობაში ერთი დამახასიათებელი შემთხვევის მოწმე გახლდით. ერთხელ თეატრის ტალანში ერთი კაცი მიუახლოვდა მეორეს და მთელ იმ ხალხში სილა გააწნა. მაგრამ რომ დაინახა, ეს სხვა კაცი იყო და შეცდომით მიაშვავსა იმას, ვისთვისაც უნდა გაერთყა, ბრაზიანად, თითქოს დროის დასაკარგავად არა სცალიაო, მიახალა: „თურმე შევცდი... მაპატიეთ, გაუგებრობა გახლავთ, მხოლოდ და მხოლოდ გაუგებრობა“, ზუსტად ისე, როგორც თქვენმა აღმატებულებამ ბრძანა ახლა. ის კაცი რომ მაინც გაბრაზდა და ყვირილი აუტეხა, ძალიან იწყინა: „ნეტა რა გაყვირებთ! აკი გითხარით, გაუგებრობა მოხდა-მეთქი!“

ლემბკეს ცალყბად გაეღიმა: - ეგ... ეგ მართლა ძალიან სასაცილო ამბავია, მაგრამ... ნუთუ ვერ ხედავთ, რა უბედური ვარ? - აღმოხდა მოულოდნელად და... მგონი, სახეზე ხელების აფარებაც მოინდომა.

იმდენად მოულოდნელი და გამწარებული იყო ეს ამოძახილი, ამოძახილი კი არადა, ლამის ამოქვითინება, კაცს გულს ჩაუთუთქავდა. ალბათ მხოლოდ ამ წუთს მიხვდა ნათლად ყველაფერს. სახეზე საშინელი, დამამცირებელი სასოწარკვეთილება გამოეხატა. კიდევ წუთი და ატირდებოდა. სტეპან ტროფიმოვიჩმა ჯერ გაოგნებით შეხედა, მერე უცერად თავი დახარა და გრძნობთ უთხრა: - თქვენო აღმატებულება, ნულარ შეიწუხებთ თავს ამ ჩემი ჭირვეული თხოვნით. ოღონდაც უბრძანეთ, წიგნები და წერილები დამიბრუნონ...

იმავ წუთს ერთი ხმაურით შემობრძანდა იულია მიხაილოვნა თავისი ამალით და სტეპან ტროფიმოვიჩს სიტყვა გააწყვეტინა. მაგრამ მე მინდა ეს ამბავი უფრო დაწვრილებით გიამბოთ.

III

იულია მიხაილოვნას სამყოფს ცალკე შესასვლელი ჰქონდა პარმადიდან, მარცხენა მხარეს. მაგრამ ამჯერად სამი ეკიპაჟით დაბრუნებული მთელი ეს ხალხი ერთად შემოლაგდა მისაღებ დარბაზში. ამის მიზეზი, ჩემი აზრით, სტეპან ტროფიმოვიჩის იქ ყოფნა იყო. მთელი მისი ამბები, ისევე როგორც შპიგულინების მუშებისა, იულია მიხაილოვნას ქალაქის კარიბჭესთან დაახვედრა ლიამშინმა, რომელიც რაღაც დანაშაულისთვის შინ დაეტოვებინათ და ამიტომ ყველაზე ადრე შეეტყო ყველაფერი. ღვარძლიანი სიხარულით მოახტა იგი დაქირავებულ კაზაკურ ჯაგლაგს და სკვორემნიკისკენ გაქანდა უკან გამობრუნებულ კავალკადისთვის ამ ამბების მისახარებლად. ვფიქრობ, იულია მიხაილოვნა მაინც შეაცბუნა ამ საკვირველმა ცნობებმა, მიუხედავად იმისა, რომ ეგზომ ამაღლებულ გადაწყვეტილებაზე იყო დამდგარი. თუმცა მხოლოდ წამით თუ შეაცბუნა. ამ საკითხის პოლიტიკურ მხარეს, მაგალითად, არ შეიძლება შეეწუხებინა: ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ დაარწმუნა უკვე, შპიგულინების მუშები ყველანი ტყავგასაძრობი არიანო. ვერხოვენსკი კი ეს ერთი ხანია დიდი ავტორიტეტი გამხდარიყო მისთვის. „დაიცა, თუ ყველაფერი არ გაზღვევინო“, - გაივლო ალბათ გულში. ცხადია, ქმრის მისამართით. გაკვრით

შევნიშნავ, რომ ახალგაზრდა ვერხოვენსკი, თითქოსდა განგებ, ამჯერად თან არ ახლდა და დილას აქეთ არავის ენახა. იმასაც მოგახსენებთ ბარემ, რომ ვარვარა პეტროვნა სტუმრებს თან გამოჰყვავა ქალაქში (იულია მიხაილოვნას ეტლით), რა არის ხვალინდელი ზეიმის თაობაზე კომიტეტის უკანასკნელ სხდომას დასწრებოდა. რა თქმა უნდა, მისთვისაც საგულისხმო გამოდგა ის ცნობები, რაც ლიამშინმა სტეპან ტროფიმოვიჩზე ამცნო და იქნებ გულიც აუჩქროლდა.

შეხედვისთანავე უგრძნო გულმა ანდრეი ანტონოვიჩს, მისი მშვენიერი მეუღლე რომ ყველაფერს აზღვევინებდა. მომხიბლავი ღიმილით მიუახლოვდა იულია მიხაილოვნა სტეპან ტროფიმოვიჩს, გაუწოდა ხელთათმანში გამოკვართული ხელი და ისეთნაირად მიეხალისა, თითქოს მთელი ეს დილა მარტო სტეპან ტროფიმოვიჩზე ფიქრობდა და ძალზე გაუხარდა, შინ რომ ეწვია. სიტყვაც არ უთქვამს დილანდელ ჩხრეკაზე, თითქოს არაფერი იცოდა. თავის ქმრისათვის ხმა არ გაუცია, არ გაუხედავს მისკენ - ვითომ დარბაზში არც ყოფილიყო. კიდევ მეტი, სტეპან ტროფიმოვიჩი უმალ თავის სასტუმროში გააქანა - თითქოს მას არავითარი ახსნა-განმარტება არ ჰქონდა ლემბკესთან და რომც ჰქონდა, გაგრძელებად არ ღირდა. კიდევ ვიმეორებ: ჩემი ფიქრით, იმ თავისი ამაღლებული აზრების მიუხედავად, იულია მიხაილოვნამ ამ შეთხვევაშიაც დიდი შეცდომა დაუშვა. კარმაზინოვმაც ხომ დიდებულად შეუწყო ხელი (იულია მიხაილოვნას განსაკუთრებული თხოვნით ისიც მათთან ერთად გაემგზავრა ვარვარა პეტროვნასთან, რომელიც მისი სულმოკლეობის გამო დიდად გაახარა ამ სტუმრობამ). სტეპან ტროფიმოვიჩის დანახვაზე კარშივე ატეხა ყვირილი (იგი ყველაზე ბოლოს შემოსულიყო), ხელებგაშლილი წამოვიდა მისკენ და იულია მიხაილოვნასაც კი აღარ დააცალა სიტყვის დამთავრება.

- რამდენი წელია, რა ხანია! ძლივს არ გიხილეთ... Excellent ami, - გადაეხვია იგი და, რა თქმა უნდა, საკოცნელად ლოყა მიუშვირა. დაბნეული სტეპან ტროფიმოვიჩიც იძულებული გახდა ლოყაზე ეამბორა.

- Cher, - მითხრა იმ საღამოსვე დილანდელი ამბების გახსენებისას, - იმავ წუთს ეს გავიფიქრე: ვინ უფრო უნამუსოა? ის, რომელიც ჩემი დამცირების მიზნით მეხვევა, თუ მე, რომელსაც ასე მეზიზღება და ზურგის შექცევის ნაცვლად ლოყაზე ვკოცნი... ფუჰ!

- აბა მიაბზეთ ყველაფერი, მიაბზეთ, - იჩლექდა ენას კარმაზინოვი, თითქოსდა მართლაც შეიძლებოდა ადამიანს ისე ერთბაშად ეამბნა მისთვის მთელი თავისი ცხოვრება ოცდახუთი წლის მანძილზე. მაგრამ ეს სულელური სიმჩატე დიახაც შეეფერებოდა „დიდკაცურ“ ტონს.

- თუ გახსოვთ, უკანასკნელად გრანოვსკის პატივსაცემად გამართულ სადილზე შევხვდით ერთმანეთს მოსკოვში, მას აქეთ ოცდაოთხი წელი გავიდა... - დაიწყო ფრიად დინჯად სტეპან ტროფიმოვიჩმა (ასე ვთქვათ, არცთუ ისე დიდკაცურად).

- Ce cher homme,[260] - უბოდიშოდ გააწყვეტინა კარმაზინოვმა და მხარში ერთობ მეგობრულად ჩაეჭიდა, - იულია მიხაილოვნა, აქ რას ვდგავართ, ჩქარა წაგვიყვანეთ თქვენთან, იქ დავსვამთ და ყველაფერს ვაამბობინებთ.

- მართალი თუ გინდათ, ამ გულგასიებული ქალაჩუნას ახლო მეგობარი თავის დღეში არ ვყოფილვარ, - შემომჩიოდა იმავე საღამოს სიბრაზისაგან აკანკალებული სტეპან ტროფიმოვიჩი. - ჭაბუკობიდანვე ჭირივით მძულდა... ცხადია, მასაც ასევე.

იულია მიხაილოვნას სალონი მალე სტუმრებით აივსო. ვარვარა პეტროვნა მეტად აღელვებული ჩანდა, თუმცა ცდილობდა არ დატყობოდა ეს აღელვება. თვალი შევასწარი, რა სიძულვილით გადახედა ერთი-ორჯერ კარმაზინოვს და რა წყრომით სტეპან ტროფიმოვიჩს, - ეს წყრომა ექვიანობითა და სიყვარულით იყო გამოწვეული: სტეპან ტროფიმოვიჩს რომ მყისვე წამოვარდებოდა და იქვე სცემდა. დამავიწყდა მეთქვა, რომ აქ იყო ლიზა და, რა თქმა უნდა, მავრიკი ნიკოლაევიჩიც. ასეთი უზრუნველი, მხიარული და ბედნიერი ჯერ არასოდეს მენახა ლიზა. აქვე იყვნენ ახალგაზრდა მანდილოსნები და თავაშვებული ყმაწვილები იულია მიხაილოვნას ამალიდან, რომელთაც ეს თავაშვებულობა მხიარულ ხასიათად ეთვლებოდათ, ხოლო იაფფასიანი ცინიზმი - ჭკუად. მათ შორის ორი-სამი უცხო სახეც შევამჩნიე: ერთი ჩამოსული ცმუკია პოლონელი იყო, მეორე - ზორბა, ჭარმაგი გერმანელი ექიმი, რომელიც თვითონვე აღტაცებით ხვიხვინებდა თავის დამტვრეულ რუსულზე, და ბოლოს ერთი პეტერბურგიდან ჩამობრძანებული, ავტომატური მიხრა-მოხრისა და სახელმწიფო მოღვაწის მედიდური იერის მქონე ყმაწვილი თავადიშვილი, რაღაც უსაშველოდ გრძელი საყელოთი. მაგრამ იულია მიხაილოვნა კი, ეტყობოდა, დიდად აფასებდა ამ სტუმარსა და მის შეხედულებას თავის სალონზე...

სტეპან ტროფიმოვიჩმა მოხდენილად მოიკალათა დივანში და დაიწყო: - Cher monsieur Karmazinoff, - კარმაზინოვზე არა ნაკლებ მოიხლიქა მან ენა, - cher monsieur Karmazinoff, ჩვენი დროისა და ჩვენებრ გარკვეული შეხედულებების მქონე ადამიანთა ცხოვრება, მიუხედავად ოცდახუთი წლის შუალედისა, ერთფეროვანი უნდა ეჩვენოს კაცს...

გერმანელმა სტეპან ტროფიმოვიჩის ნათქვამი ალბათ დიდ ოხუნჯობად მიიჩნია და ახვიხვინდა. სტეპან ტროფიმოვიჩი თითქოსდა გაცოცხლებით მიაჩერდა გერმანელს, თუმცა იმას აინუნში არ ჩაუგდია. თავადმაც თავისი გრძელი საყელო გერმანელისკენ მიატრიალა და პენსნეთი შეაცქერდა, ეს კია, სრულიად გულგრილად.

- ერთფეროვანი უნდა ეჩვენოს-მეთქი კაცს, - გაიმეორა სტეპან ტროფიმოვიჩმა და განზრახ გააბრტყელა სიტყვები. - ასეთი გახლდათ ჩემი ცხოვრებაც ამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე, et comme on trouve partout plus de moines que de raison[261], და მეც სავსებით ვეთანხმები ამ აზრს, ამიტომაც მოხდა, რომ მთელი მეოთხედი საუკუნე...

- C'est charmant, les moines[262], - წასჩურჩულა იულია მიხაილოვნამ გვერდით მჯდარ ვარვარა პეტროვნას.

ვარვარა პეტროვნამ არაფერი უპასუხა და ამაყად გადახედა. კარმაზინოვმა ვერ აიტანა ფრანგული წინადადების ეს წარმატება და უმაღლესი გააწყვეტინა სტეპან ტროფიმოვიჩს თავისი მჩხავანა ხმით: - რაც შემეხება მე, ამ მხრივ არხეინად გახლავართ და აგერ უკვე მეშვიდე წელია ვზივარ ჩემთვის კარლსრუეში. როცა შარშან ქალაქის საბჭომ ახალი წყალსადენი მილის გაყვანა გადაწყვიტა, ვიგრძენი, რომ კარლსრუეს წყალსადენი ჩემთვის უფრო ახლობელი და ძვირფასია, ვიდრე ჩემი საყვარელი მამულის ყველა საკითხი... რაც ეგრეთწოდებული აქაური რეფორმების დროს წამოიჭრა.

- იძულებული ვარ გითანაგრძნოთ, თუმცა გულით არა, - ამოიოხრა სტეპან ტროფიმოვიჩმა და მრავლისმეტყველად დახარა თავი.

იულია მიხაილოვნა სიხარულით აღარ იყო. საუბარმა ღრმა და გარკვეული გეზი მიიღო.

- ეგ სიბინძურის მილი იყო? - ხმამაღლა იკითხა ექიმმა.

- წყალსადენისა-მეთქი, ექიმო, წყალსადენისა და პროექტის შედგენაშიც მე მივეხმარე.

ექიმმა რიხიანად გადაიხარხარა. სხვებსაც გაეცინათ, მაგრამ ამჯერად თვითონ ექიმზე; გერმანელი კი ვერაფერს მიხვდა და ძალიან გაუხარდა, ყველანი გავაცინეო.

- უკაცრავად, მაგრამ ვერ დაგეთანხმებით, კარმაზინოვ, - საჩქაროდ ჩაერია იულია მიხაილოვნა, - კარლსრუე იქით იყოს და მისტიფიცირება კი ძალიან გიყვართ. ამიტომაც ვერ დაგიჯერებთ. რუსი მწერლებიდან აბა რომელმა გვაჩვენა ამდენი თანამედროვე ტიპი, მიაკვლია ამდენ თანამედროვე საკითხს, მიუთითა სწორედ იმ მთავარ თანამედროვე ნიშნებზე, რაიც თანამედროვე მოღვაწის ტიპს ახასიათებს? თქვენ, მარტოოდენ თქვენ და სხვა არავინ. ამის შემდეგ კი გვარწმუნებთ, მამულისადმი გულგრილი ვარ და კარლსრუეს წყალსადენის მიღები მირჩევნია ყველაფერსო? ჰა-ჰა!

- დიახ, დიახ, - აჩლიფინდა კარმაზინოვი, - რა თქმა უნდა, პოგოჟევის ტიპში სლავიანოვილთა ყველა ნაკლი ავსახე, ნიკოდიმოვში კი ზაპადნიკების ყველა მანკი..

- დავიჯეროთ, ყველა? - ჩუმად ჩაილაპარაკა ლიამშინმა.

- მაგრამ ამას სხვათა შორის ვაკეთებ, ოღონდაც ეს გამაბეზრებელი დრო მოვკლა და... თანამემამულეთა ყველა ეს გამაბეზრებელი მოთხოვნა დავაკმაყოფილო.

- ალბათ უკვე იცით, სტეპან ტროფიმოვიჩ, რომ ხვალ ჩვენ უდიდესი სიამოვნება გველის და უმშვენიერეს სტრიქონებს მოვისმენთ... - აღტაცებით განაგრძო იულია მიხაილოვნამ, - ეს გახლავთ სემიონ ეგოროვიჩის დიდებულ ბელეტრისტიკულ ნაწარმოებთა შორის ერთ-ერთი უკანასკნელი პოეტური აღმაფრენა, სახელად „Merci“. ამ პიესაში ის აცხადებს, რომ ამიერიდან წერას თავს ანებებს, არაფრის გულისთვის მეტს აღარ დაწერს, გინდაც ანგელოზი ჩამოფრინდეს ციდან ან, უფრო უკეთ, მთელმა მაღალმა საზოგადოებამ ემუდაროს გადაწყვეტილების შეცვლა. ერთი სიტყვით, სამუდამოდ სტოვებს კალამს. ხოლო ამ მოხდენილი „Merci“-თ მაღლობას უძღვნის საზოგადოებას, ამდენი წლის მანძილზე რომ ასე აღტაცებით ხვდებოდა და ასე აფასებდა მის ერთგულ სამსახურს რუსული პატიოსანი აზროვნებისათვის.

იულია მიხაილოვნა ნეტარების ზღვაში ცურავდა.

- დიახ, გამოვეთხოვები; ვეტყვი ჩემს „Merci“-ს, წავალ და იქ... კარლსრუეში... დავხუჭავ თვალებს, - კარმაზინოვს ლამის ცრემლი მოერია.

ჩვენი დიდი მწერლების მსგავსად (ჩვენ ხომ დიდი მწერლები ბლომდა გვყავს), ვერც ის იტანდა გულგრილად ქება-დიდებას და, მახვილი ჭკუის მიუხედავად, მყის დადნებოდა ხოლმე. თუმცა, ჩემი აზრით, ეს მისატყვებელი ცოდვა გახლავთ.

ამბობენ, ერთ-ერთ ჩვენებურ შექსპირს პირდაპირ წამოუროშავს, „ჩვენ, დიდ ადამიანებს ასე მოგვსდგამს“ და სხვა, და ვერც შეუნიშნავს, რა წამოსცდა.

- დიახ, იქ კარლსრუეში დავხუჭავ თვალებს. აბა სხვა რაღა დაგვრჩენია დიდ ადამიანებს, როცა ჩვენს საქმეს გავაკეთებთ. უნდა საჩქაროდ დავხუჭოთ თვალი და ჯილდოს აღარ დაველოდოთ. მეც ეგრე ვიზამ.

- მისამართი დამიტოვეთ და კარლსრუეში თქვენს საფლავს მივაკითხავ ხოლმე, - გადაიხარხარა გერმანელმა.

- ახლა მიცვალებულების გაგზავნა რკინიგზითაც შეიძლება, - მოულოდნელად ჩაურთო ერთმა ვიღაც ყმაწვილმა კაცმა.

ლიამშინი აღტაცებისაგან აჭყვირდა. იულია მიხაილოვნამ წარბი შეიკრა. ამ დროს ნიკოლაი სტავროგინი შემოვიდა.

- აკი თქვენზე თქვეს, პოლიციაში წაიყვანესო? - პირველ ყოვლისა სტეპან ტროფიმოვიჩს მიუბრუნდა იგი.

- არა, ეგ მხოლოდ კერძო შემთხვევა გახლდათ, - გაიცინა სტეპან ტროფიმოვიჩმა.

- იმედია, ეგ ამბავი ჩემს თხოვნაზე გავლენას არ მოახდენს, - ჩაერია ისევ იულია მიხაილოვნა, - და ამ უბედური შემთხვევის გამო, თუმცა არ ვიცი, რა შემთხვევაა, ასეთ მოლოდინს არ გაგვიცრუებთ და ბედნიერებას არ მოგვაკლებთ ლიტერატურულ დილაზე მოგისმინოთ.

- ვერაფერს ვიტყვი... მე... ახლა.

- ბედი არ მქონია, ვარვარა პეტროვნა... მე კი ისე ვეშურებოდი პირადად გამეცნო რუსთა შორის ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი და დამოუკიდებელი ჭკუის კაცი. და აი, აგერ სტეპან ტროფიმოვიჩი უარს გვეუბნება და ჩვენგან წასვლა სურს.

- ამ საჯაროდ წარმოთქმულ ქებას წესით ყური უნდა მოვუყრუო, - მოუჭრა სტეპან ტროფიმოვიჩმა, - მაგრამ არ მჯერა, ჩემი საცოდავი პიროვნება ასე აუცილებელი იყოს თქვენი ხვალინდელი ზეიმისათვის. თუმცაღა...

- სულმთლად ნუ გამიგიჟეთ კაცი! - შესძახა პიოტრ სტეპანოვიჩმა, რომელიც მოულოდნელად შემოიჭრა ოთახში, - ძლივს მოვიყვანე ჭკუაზე და უცებ ერთ დილას ამდენი რამ - ეს ჩხრეკაო, ეს დაჭერაო; აქ პოლიციელმა ქეჩოშიც სტაცა ხელი, ახლა კი ქალაქის გამგებლის სახლში მანდილოსნები გუნდრუკს უკმევენ! ალბათ ყოველი ძარღვი უთრთის აღტაცებისაგან; ასეთი ბენეფისი სიზმრადაც არ მოლანდებია, ჰო-ჰო, რას არ შესწამებს ახლა სოციალისტებს!

- მაგას ვერ დაგიჯერებთ, პიოტრ სტეპანოვიჩ. სოციალიზმის იდეა ისეთი დიდი იდეაა, არა მგონია, სტეპან ტროფიმოვიჩს არ ესმოდეს, - თავი გამოიღო იულია მიხაილოვნამ.

- იდეა კი დიადია, ოღონდ მიმდევარნი არ ჰყავს დიადნი. Et brisons-la, mon cher,[263] - დაასკვნა სტეპან ტროფიმოვიჩმა შვილის მისამართით და მოხდენილად წამოიძარა.

ამ დროს ერთი მოულოდნელი ამბავი მოხდა. ფონ ლემბკე კაი ხანია უკვე სალონში იმყოფებოდა, მაგრამ ყველა თვალს არიდებდა. იულია მიხაილოვნა კვლავ წინანდელ გადაწყვეტილებაზე იდგა და ადრინდელივით ზედაც არ უყურებდა თავის მეუღლეს. კართან გაჩერებული ლემბკე მოღუშული, გოროზი სახით უგდებდა ყურს საუბარს. რომ გაიგონა, დილანდელ ამბებზე ლაპარაკობდნენ, მოუსვენრად აწრიალდა, ჯერ თავადს მიაჩერდა, ეტყობა, მისმა გრძელმა გახამებულმა საყელომ განაცვიფრა; მერე, როცა ახალგაზრდა ვერხოვენსკის ხმა გაიგონა და შემოსულიც დაინახა, თითქოს შეკრთა. ჰოდა, რა წამს სტეპან ტროფიმოვიჩმა ის თავისი სენტენცია მოათავა სოციალისტებზე, ლემბკე მოულოდნელად მისკენ დაიძრა. გზაში ლიამშინს გაჰკრა გვერდი. ისიც ყასიდი გაოცებით უკან გახტა, მხარზე იტაცა ხელი და ისეთნაირად დაიმანქა, თითქოს მხარი მოამტვრიესო.

ფონ ლემბკემ შეშინებულ სტეპან ტროფიმოვიჩს სტაცა ხელი და ღონივრად მოუჭირა.

- კმარა, კმარა! ჩვენი დროის ფლიბუსტიერები უკვე გამოძვინებულა. ხმა-კრინტი. ზომები მიღებულია.. - განაცხადა ლემბკემ ენერგიულად და ხმამაღლა.

ყველაზე საოცრად იმოქმედა ამ სურათმა. ყველამ იგრძნო, რომ საქმე მთლად რიგზე ვერ იყო. მე დავინახე, როგორ ეცვალა ფერი იულია მიხაილოვნას. ეს ამბავი სულელური შემთხვევით დამთავრდა. ლემბკემ რომ გამოაცხადა, ზომები მიღებულიაო., გატრიალდა და კარისაკენ სწრაფად წავიდა. მაგრამ ორი ნაბიჯის შემდეგ ხალიჩას წამოედო, წაბორძიკდა და კინალამ არ დაეცა. წამით შეჩერდა, დახედა იმ ადგილს, სადაც ფეხი წამოედო „გამოიცვალოს“, ხმამაღლა ბრძანა და გავიდა. იულია მიხაილოვნა გაეკიდა. მისი გასვლისთანავე ერთი ხმაური ატყდა. ვერ გაარჩევდი, ვინ რას ამბობდა, ერთნი იძახდნენ, „კაცი მოიშალა“, მეორენი - „ასე სცოდნია თურმე“ მესამენი შუბლთან იტრიალებდნენ თითს, კუთხეში მდგარმა ლიამშინმა ორი თითი რქასავით დაიდგა თავზე. ჩურჩულებდნენ რაღაც ოჯახურ უსიამოვნებაზე, წასვლას არავინ აპირებდა. იულია მიხაილოვნა ხუთიოდე წუთის შემდეგ დაბრუნდა. ვერ გეტყვით, რა მოახერხა. ცდილობდა კი დამშვიდებული გვჩვენებოდა. ორჭოფულად თქვა, ანდრეი ანტონოვიჩი ცოტა აღელვებულია, მაგრამ არა უშავს, ბავშვობიდან ასე სჩვევია, „კარგად ვიცი“ მისი ამბავი და ხვალინდელი ზეიმი, რა თქმა უნდა, გუნებაზე მოიყვანსო, შემდეგ კიდევ ერთი ორი ტკბილი სიტყვა უთხრა სტეპან ტროფიმოვიჩს, ისიც მხოლოდ ზრდილობის გულისთვის, და ხმამაღლა გამოაცხადა, კომიტეტის წევრებმა ახლავე გავხსნათ სხდომაო. მაშინ კი მოისაზრეს კომიტეტის არაწევრებმა შინ წასვლა; მაგრამ ამ უკუღმართ დღეს მშვიდობით დასრულება არ ეწერა...

რა წამს ნიკოლაი სტავროგინი შემოვიდა, შევამჩნიე, რა დაკვირვებით შეხედა ლიზამ და მერე ისე გაუშტერდა მასზე თვალი - მე კი არადა, სხვებმაც მიაქციეს ყურადღება. ისიც დავინახე, როგორ გადაიხარა მისკენ მავრიკი ნიკოლაევიჩი რაღაცის სათქმელად, მაგრამ, ეტყობა, გადაიფიქრა, გასწორდა და დამნაშავესავით გადმოგვხედა ყველას. საზოგადოების ყურადღება ნიკოლაი სტავროგინმაც მიიპყრო. სახე ჩვეულებრივზე უფრო გაცრეცოდა და ძალზე უგულისყუროდ იყურებოდა. მართალია, სტეპან ტროფიმოვიჩს კი ჰკითხა დილანდელი ამბავი, მაგრამ, მგონი, იმწუთსვე გადაავიწყდა მისი არსებობა და არც დიასახლისის მისალმება გახსენებია. ლიზასთვის ერთხელაც არ შეუხედავს. დასტურ შემიძლია ვთქვა, რომ ისიც ვერ შეამჩნია, როცა იულია მიხაილოვნას სიტყვების შემდეგ - დროს ნუ დავკარგავთ და

კრება გავხსნათო, წუთით დუმილი ჩამოვარდა. მოულოდნელად ლიზამ ხმამაღლა, დიახ, განზრახ ხმამაღლა მიმართა სტავროგინს: - ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩ, ერთი კაპიტანი, გვარად ლეზიადკინი, უკადრის წერილებს მწერს. ის თქვენს ნათესავად აცხადებს თავს, ირწმუნება, მისი ცოლის ძმა ვარო. წერილებში თქვენ გიჩივით, მწერს, მის საიდუმლოებებს გაგიმხელთო. თუ მართლა თქვენი ნათესავია, აუკრძალეთ ჩემი შეურაცხყოფა, მიხსენით ამ უსიამოვნებისაგან.

რომ ეს გამოწვევა იყო და საშინელი გამოწვევა, ამას ყველა მივხვდით. რომ ეს ბრალდება გახლდათ, ესეც ცხადად იგრძნობოდა, თუმცა იქნებ თვითონ ლიზასთვისაც მოულოდნელი იყო, თითქოს თვალები დახუჭა და სახურავიდან გადაეშვაო.

მაგრამ სტავროგინის პასუხმა კი უფრო გაგვაოცა ყველა.

ლიზას დინჯად მოუსმინა, თითქოს არ გაჰკვირვებია და არც სწყენია მისი სიტყვები. მაშინვე უბრალოდ, მტკიცედ მიაგება პასუხი ამ საბედისწერო კითხვაზე: - დიახ, საუბედუროდ, მე იმ კაცის ნათესავად ვითვლები. აგერ უკვე ხუთი წელია, რაც მისი დის, დაბადებით ლეზიადკინას მეუღლე გახლავართ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამ თქვენს მოთხოვნას დაუყოვნებლივ გადავცემ და გაძლევთ პირობას, ამიერიდან აღარ შეგაწუხებთ.

ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება, რა შეძრწუნება გამოეხატა ვარვარა პეტროვნას სახეზე. იგი გიჟივით წამოიწია სკამიდან და, თითქოს თავს იცავსო, მარჯვენა ხელი ასწია. ნიკოლაი სტავროგინმა შეხედა დედას, ლიზას, ამ სურათის სხვა მაყურებელთა და უცებ რაღაც უსაზომო სიამაყით გაიღიმა; მერე აუჩქარებლად გავიდა ოთახიდან. ყველამ დავინახეთ, როგორ წამოხტა მაშინვე ლიზაც, რომ უკან გაკიდებოდა. მაგრამ გონს მოვიდა და კი არ გასდია, ნელი ნაბიჯით გავიდა. არც ის დალაპარაკებია არავის და არ შეუხედავს არავისთვის. რასაკვირველია, მავრიკი ნიკოლაევიჩი მყის უკან მიჰყვა...

თუ რა ამბავი და მითქმა-მოთქმა ატყდა ქალაქში, ამაზე არას ვიტყვი. ვარვარა პეტროვნა შინ ჩაიკეტა. ნიკოლაი სტავროგინმა, როგორც თქვეს, პირდაპირ სკვორეშნიკში გასწია, დედა აღარ უნახავს. სტეპან ტროფიმოვიჩმა საღამოს „cette chere amie“-სთან გამგზავნა, შეეხვეწე, ნება დამართოს მივიდეო. მაგრამ მე არ მიმიდეს. სტეპან ტროფიმოვიჩი თავზარდაცემული იყო, ტიროდა: „ეს რა უბედურებაა, რა უბედურება! რა სირცხვილი და თავისმოჭრა ოჯახისათვის“, იმეორებდა ყოველ წამს. თუმცა არც კარმაზინოვს ივიწყებდა და ლანძღავდა. მხნედ ემზადებოდა აგრეთვე ხვალინდელი ზეიმისთვის და... სარკის წინ ტრიალებდა. რას იზამ, ასე სჩვევია თურმე პოეტურ ბუნებას! იხსენებდა იმ მოსწრებულ სიტყვებსა და კალამბურებს, რაც თავის სიცოცხლეში ეთქვა და ცალკე რვეულშიც ჩაეწერა, უნდოდა ხვალინდელი კითხვის დროს შიგადაშიგ ჩაერთო.

- ჩემო მეგობარო, მე ამას დიადი იდეისათვის ვაკეთებ, - იმართლებდა თავს ჩემთან. - Cher ami, ოცდახუთი წელი ერთ ადგილზე კუტივით ვიჯექ და ახლა დავიძარ, საით - მეც არ ვიცი.

ნაწილი მესამე

თავი პირველი. ზეიმი. პირველი განყოფილება

I

„შპიგულინელთა“ ამბებით წინადღეს გამოწვეულმა შფოთმა ზეიმის ჩატარებას ხელი არ შეუშალა. ვგონებ, ლემბკე რომ გადაბრუნებულიყო და იმ საღამოს მომკვდარიყო, ზეიმი მაინც შედგებოდა, იმდენ რასმე გამოელოდა ამ ზეიმისაგან იულია მიხაილოვნა. ვაი რომ უკანასკნელ წუთამდე ვერ აეხილა თვალი და ვერ მიხვდა საზოგადოების გუნებ-განწყობას საბოლოოდ ხომ აღარავის ეჯერა, ამ საზეიმო დღეს რომ რაღაც უბედურება არ ატყდებოდა, ანუ. ზოგიერთის თქმით, „კვანძი არ გაიხსნებოდა“, და კმაყოფილები ხელეშსაც იფშვნეტდნენ წინასწარ. მართალია, ბევრს განზრახ მოღუშული და მოპოლიტიკოსო იერი მიეღო, მაგრამ ზოგადად თუ ვიტყვით, რუსი კაცის გულს ისე არაფერი ახარებს, როგორც საჯარო აურზაური და არეულობა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აურზაურის წყურვილის გარდა კიდევ სხვაც იგრძნობოდა: ყველა თითქოს რაღაცაზე იყო გაგულისებული, რაღაც დაუცხრომელ ღვარძლს აეტანა, თითქოსდა საშინლად მობეზრებოდათ ყველაფერი, აღარაფერი სწამდათ, ცინიკურად იყვნენ განწყობილნი, მაგრამ ესეც თითქოს ნაძალადევი იყო. მხოლოდ მანდილოსნები არ მერყეობდნენ და ისიც ერთ რამეში: იულია მიხაილოვნა დაუნდობელი სიძულვილის ღირსი არისო. მანდილოსნებიდან ყველას პირი შეეკრა ამ ერთ ამბავში, საწყალი იულია მიხაილოვნა კი ვერაფერს გრძნობდა; უკანასკნელ წუთამდე სწამდა მაინც, რომ ყველა ირგვლივ ჰყავდა „შემოკრებილი“ და კვლავ ფანატკურად ერთგულნი იყვნენ მისი.

მე უკვე გაკვრით მოგახსენეთ, ჩვენში ნაირ-ნაირი ჯურის კაცუნები გამოჩნდნენ-მეთქი. გარდატეხის ხანაში მუდამ და ყველგან თავს წამოჰყოფენ ხოლმე ამისთანა კაცუნები. მე იმ ეგრეთწოდებულ „მოწინავეებზე“ არ მოგახსენებთ, რომლებიც მუდამ ყველას წინ უსწრებენ (ეს არის მათი უმთავრესი საზრუნავი) და მეტ-ნაკლებად გარკვეული მიზანი ამოქმედებთ, თუმცა ძალიან ხშირად ყოვლად არაგონივრული. არა, მე ამას მხოლოდ ნაძირალებზე ვამბობ. ყოველ საზოგადოებაში მოიძებნება ნაძირალა ადამიანები, ყოველ გარდამავალ ხანაში ამოტივტივდებიან ხოლმე ისინი ზედაპირზე და არა მარტო მიზანი, ჭკუისა და აზრის ნიშანწყალიც არ გააჩნიათ, მხოლოდ და მხოლოდ მოუსვენრობასა და მოუთმენლობას გამოხატავენ. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ნაძირალები თავისდა უნებლიეთ თითქმის მუდამ იმ ერთი მუჭა „მოწინავეთა“ მაჩანჩალები არიან, რომელთაც უკვე გარკვეული მიზანი ამოძრავებთ. ისინიც მთელ ამ ნაგავს, საითაც მოისურვებენ, იქით უქცევენ თავს, თუკი თვითონაც მართლა იდიოტები არ არიან, თუმცა ხშირად არც უამისობაა ხოლმე. ჩვენში ხომ ამბობენ ახლა, როცა ყველაფერი უკვე მოთავდა, ახალგაზრდა ვერხოვენსკის ინტერნაციონალკა გამგებლობდა, ახალგაზრდა ვერხოვენსკი - იულია მიხაილოვნას, ეს უკანასკნელი კი მისი ბრძანებით ყველა ამ ნაძირალებს ატრიალებდაო. ჩვენი დარბაისელი ჭკუის პატრონები ახლაც ვერ მოსულან გონს გაოცებისაგან: ეს როგორ მოგვივიდა, ასე რამ დაგვაბრმავაო? რა არეული დრო იყო ასეთი და რა გარდატეხა ხდებოდა ჩვენში, ეს მე არ ვიცი და, მგონი, არც არავინ იცის - ალბათ ჩვენი ზოგიერთი უცხო-უცხო სტუმრების გარდა. ასეა თუ ისე, აქამდე ენაჩავარდნილმა ამ ნაძირალებმა უცბად ხმა აიმაღლეს და, რაც კი წმიდათაწმიდა იყო, ყველაფერს გაკრიტიკება

დაუწყეს. ხოლო ჩვენი უპირველესი ხალხი, ვინც აქამდე ეგზომ სვიანად გამგებლობდა ყველას. ისმენდა ყველაფერს და თავად ხმას არ იღებდა. ზოგიერთები კი სამარცხვინოდ ხითხითებდნენ და კვერს უკრავდნენ, ვიღაც ლიამშინები, ტელიატნიკოვები, ბატონი ტენტეტნიკოვები[264], ჩვენი შინაური, ცხვირმოუხოცავი რადიშჩევები, სევდიანად, მაგრამ მედიდურად მომღიმარე ურიკრიკები, მხიარული მოგზაურები, სატახტო ქალაქის გარკვეული მიმართულების მქონე პოეტები, პოეტები, ვისაც მიმართულებისა და ნიჭის მაგივრობას ხიფთნები და გაპოხილი ჩექმები უწევდათ; მაიორები და პოლკოვნიკები, ვინც თავიანთი წოდების უაზრობას დასცინოდნენ და ზედმეტი მანეთისთვის მზად იყვნენ მყის მოეხსნათ დაშნა და რკინიგზაზე მწერლად შემძვრალიყვნენ; გენერლები, ვინც გენერლობა ვექილობაზე გაცვალა, განათლებული შუამავალნი, განათლებამოწყურებული ვაჭრუკანები, უთვალავი სემინარიელები. ქალები, რომლებიც ქალთა საკითხში საკუთარ თავს გულისხმობდნენ, - აი ესენი გადაახტნენ უცებ ყველას თავზე; მერედა არ იკითხავთ, ვის? კლუბის წევრებს, ჩვენს დარბაისელ დიდკაცებს, ხისფეხა გენერლებს, გოროხსა და უკარება ჩვენს ბანოვანებს. მაგრამ ამ ჩვენს მინერვებს როგორ უნდა გაემტყუნოს მაშინდელი რეტდასხმა, თუკი ვარვარა პეტროვნასაც მისი შვილის თავს დამტყდარ უბედურებამდე ეს ნაძირალები თავის ჭკუაზე ატრიალებდნენ. ახლა ყველანი, როგორც მოგახსენეთ, ყველაფერს ინტერნაციონალკას აბრალებენ. ამ აზრმა ისე გაიდგა ფესვი, რომ ჩამოსულ ხალხსაც მხოლოდ ამ კუთხით უხსნიან ყველაფერს. ამ ცოტა ხნის წინ მრჩეველი კუბრიკოვი, კაცი სამოცდაორი წლისა, რომელსაც სტანისლავის ორდენი ეკიდა ყელზე, თავისი ფეხით ეახლა უფროსობას და გრძნობით აღიარა, ეს სამი თვე უეჭველად ინტერნაციონალკას გავლენის ქვეშ ვიმყოფებოდიო. როცა მისი წლებისა და დამსახურების საკადრისი პატივით სთხოვს, დამაკმაყოფილებლად აგვიხსენითო, წარდგენით ვერაფერი საბუთები წარადგინა, გარდა იმისა, მთელი ჩემი არსებით ვგრძნობდიო, მაგრამ თავის განცხადებაზე მაინც მტკიცედ იდგა. ასე რომ სხვა აღარაფერი უკითხავთ მისთვის.

კიდევ ვიმეორებ, ჩვენშიაც აღმოჩნდა წინდახედული, ფრთხილი ადამიანების პატარა ჯგუფი, რომლებიც თავიდანვე განაპირდნენ და ცხრაკლიტულშიაც შეიკეტნენ. მაგრამ აბა რომელი ცხრაკლიტული გაუძლებს ბუნების კანონს? ყოვლად წინდახედულ ოჯახებსაც ჰყავთ გასათხოვარი ქალები და ამ გასათხოვარ ქალებს ცეკვა უნდათ. ჰოდა, ბოლოს და ბოლოს ამ ხალხმაც მოაწერა ხელი გუვერნანტი ქალების დასახმარებელ ფურცელზე. მერედა რა ბრწყინვალე, რა გაუგონარ მეჯლისს ჰპირდებოდნენ; რა სასწაულებს არ ჰყვებოდნენ. იმახდნენ, ლორნეტებიანი თავადიშვილები ჩამოვლენ, მეჯლისს ათი წესრიგის გამრიგე ეყოლება, სულ ყმაწვილი კაცები და ყველას მარცხენა მხარზე ბაფთები ექნებაო; ვიღაც პეტერბურგელ მამოდრავებლებზე იმასაც ამბობდნენ, შემოსავლის გასადიდებლად კარმაზინოვი დაითანხმეს „Merci“ წაეკითხა ჩვენი გუბერნიის გუვერნანტი ქალივით გამოწყობილსო. ჰყვებოდნენ, „ლიტერატურის კადრილიც“ იქნება, ისიც საგანგებო კოსტიუმებში და ყოველი კოსტიუმი რაიმე მიმართულების გამომხატველი იქნებაო. დაბოლოს საგანგებო კოსტიუმით გამოვა და იცეკვებსო რაღაც „რუსული პატიოსანი აზროვნება“, რაც თავისთავად ყოვლად ახალ ხილს წარმოადგენდა. მაშ როგორ არ მოეწერათ ხელი? ყველამაც მოაწერა.

II

ზეიმის დღე პროგრამის მიხედვით ორ განყოფილებად იყოფოდა: ნაშუადღევადან ოთხ საათამდე ლიტერატურული დილა იქნებოდა, მეჯლისი კი საღამოს ცხრა საათზე დაიწყებოდა და მთელი ღამე გაგრძელდებოდა. მაგრამ ეს დაყოფაც უკვე თავისთავად დიდ საფრთხეს მოასწავებდა. ჯერ ერთი, საზოგადოებაში თავიდანვე განმტკიცდა აზრი, როგორც კი ლიტერატურული დილა გათავდება, ან გინდაც დილის დროს, საგანგებოდ მოწყობილ შესვენებაზე საუზმე გაიმართებაო, - რა თქმა უნდა, ეს პროგრამაში შემავალი მუქთი საუზმე იქნება შამპანურითო. ამ აზრის განმტკიცებას ხელი შეუწყო ბილეთებზე დადებულმა წარმოდგენელმა ფასმაც (ბილეთი სამი მანეთი ღირდა). აბა ტყუილ-უბრალოდ ხომ არ მოვაწერდით ხელს? ხომ თქვეს, ზეიმი ერთი დღე და ღამე გრძელდება, ჰოდა, ჭამა არ გვინდა, ხალხს მოშივდებაო. - აი, როგორ მსჯელობდნენ ჩვენთან. უნდა გამოვტყდე, ეს დამღუპველი ხმა თვითონ იუღია მიხილოვნამ გაავრცელა თავისი ქარაფმუტობით. ერთი თვის უკან, როცა ეს დიადი ჩანაფიქრი პირველად მოუვიდა თავში, ყველას ამ ზეიმზე ეტიტინებოდა აღტაცებული და დედაქალაქის გაზეთშიაც კი გაგზავნა ცნობა, სიტყვები იქნება წარმოთქმულიო. მაშინ ყველაზე უფრო ეს სიტყვები ხიბლავდა: თვითონ აპირებდა სიტყვების წარმოთქმას და ზეიმის მოლოდინში სულ მათ თხზვაში იყო. სიტყვებს უნდა აეხსნა და განემარტა ჩვენი მთავარი დროშა (რა დროშა? თავს დავდებ, საწყალმა ქალმა თვითონაც არ იცოდა), მერე კორესპონდენციების სახით დედაქალაქის გაზეთებში მოხვედრილიყო, მოელბო და მოეხიბლა ხელისუფალთა გული და შემდეგ ყოველ გუბერნიას მოსდებოდა, ყველა გაეკვირვებინა და ყველგან მიბადვის სურვილი აღედგრა. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო შამპანური, ხოლო შამპანური უზმოდ ვის გაუგონია: ასე რომ საუზმეც გახდა აუცილებელი. ეს კია, როცა მისივე მონდომებით ჩამოყალიბებული კომიტეტი საქმეს სერიოზულად მოეკიდა, მაშინვე დაუმტკიცეს, ნადიმზე თუ ვიფიქრეთ, უამრავი ფულიც რომ შეგროვდეს, გუვერნანტ ქალებს ძალიან ცოტა დარჩებათო. ამგვარად, საკითხი ასე იდგა: ან ბალთაზარის ნადიმი, სიტყვები და გუვერნანტი ქალებისთვის მხოლოდ ოთხმოცდაათი მანეთი, ან მთელი შეგროვილი თანხა გუვერნანტებს და ჩვეულებრივი ზეიმი, ისიც ფორმისთვისო. თუმცა კომიტეტს მხოლოდ იუღია მიხილოვნას შეშინება უნდოდა, თვითონ, რა თქმა უნდა, უკვე მოეძებნა მესამე გამოსავალი, კეთილგონივრული და ყველაფერის მომრიგებელი: ზეიმი ყოველ მხრივ წესიერი მოეწყობოდა, ოღონდ შამპანურის გარეშე. და თანხად ფრიად რიგიანი დარჩებოდა, ოთხმოცდაათ მანეთზე გაცილებით მეტი. მაგრამ იუღია მიხილოვნა არ დაეთანხმა კომიტეტს. მემჩანური ზომიერება მის ხასიათს არ ეგუებოდა. იქვე გადაწყვიტა, თუ პირველი აზრი განუხორციელებელია, სჯობს მეორე უკიდურესობა ვარჩიოთ, ანუ სხვა გუბერნიების გულის გასახეთქად კოლოსალური თანხა შევაგროვოთო. „ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა მიხვდეს საზოგადოება, რომ ზოგად საკაცობრიო მიზნების მიღწევა გაცილებით უფრო მაღლა დგას წუთიერ ხორციელ სიამოვნებაზე, რომ ზეიმი სინამდვილეში დიადი იდეის საჯარო აღიარებაა მხოლოდ. ამიტომ უნდა დაკმაყოფილდეს ყოვლად ეკონომიური გერმანული ყაიდის მეჯლისით, მხოლოდ და მხოლოდ ალეგორიისათვის, თუკი მართლა ასე აუცილებელია ეს სამაგელი მეჯლისი!“ ასე დაამთავრა კომიტეტზე იუღია მიხილოვნამ თავისი მხურვალე სიტყვა, იმდენად შესმაგებოდა ეს მეჯლისი. იუღია მიხილოვნა, როგორც იყო, დააშოშმინეს. სწორედ მაშინ მოიგონეს „ლიტერატურული კადრილი“ და სხვა მსგავსი ესთეტიკური ამბები ხორციელ სიამეთა სანაცვლოდ და ასანაზღაურებლად. მაშინ დათანხმდა საბოლოოდ კარმაზინოვიც „Merci“ წაეკითხა (მანამდე ხომ არ იქნა და არ აღირსა პასუხი), იმ

განზრახვით, რომ ჩვენს ღორმუცელა საზოგადოებას ჭამაზე ფიქრი საბოლოოდ თავიდან ამოვდო. ამგვარად, მეჯლისი მაინც დიდებული გამოვიდოდა, თუმცა სულ სხვა სახისა კი. ხოლო მთლად ღრუბლებში რომ არ ეფრინათ, გადაწყვიტეს მეჯლისის დასაწყისში ლიმონიანი ჩაი და მრგვალ-მრგვალი ნამცხვარი შეეთავაზებინათ საზოგადოებისათვის, შემდეგ ორშადი და ლიმონათი, სულ ბოლოს - ნაყინი და მეტი არაფერი. მაგრამ რაკი არსებობს ამქვეყნად ისეთი ხალხი, ვისაც მუდამ ყველგან შია და, განსაკუთრებით, სწყურია, - იმათთვის სულ ბოლო დარბაზში საგანგებოდ მოეწყობოდა ბუფეტი პროხორიჩის (კლუბის მთავარი მზარეულის) თაოსნობით, თუმცა კომიტეტის სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ... იქ ყველაფერი იქნებოდა, ვისაც რა მოესურვებოდა და ფულსაც თვითონ გადაიხდიდნენ. საამისოდ დარბაზის კარზე საგანგებო წარწერას გააკეთებდნენ, ბუფეტი პროგრამაში არ შედისო. მაგრამ დილით გადაწყდა, ბუფეტი სულაც არ გაეხსნათ, კითხვას ხელი არ შეუშალოსო, თუმცა ბუფეტი ხუთი ოთახის მომორებით იყო იმ თეთრი დარბაზიდან, სადაც კარმაზინოვი დათანხმდა „Merci“-ს წაკითხვას. საყურადღებოა, რომ ამ ამბავს, ანუ „Merci“-ს კითხვას კომიტეტში მეტისმეტად დიდ მნიშვნელობას აძლევდა ფრიად პრაქტიკული ხალხიც კი. რაც შეეხება პოეტური ბუნების ადამიანებს, წინამძღოლის მეუღლემ, მაგალითად, კარმაზინოვს აუწყა, კითხვის შემდეგ ჩემი თეთრი დარბაზის კედელში მყისვე მარმარილოს დაფას ჩავადგმევინებ, ზედ ოქროს ასოებით იქნება დაწერილი, ამა და ამ რიცხვში, ამა და ამ წელს, ამ დარბაზში დიდმა რუსმა და ევროპელმა მწერალმა უკანასკნელი თავისი მოთხრობა „Merci“ წაიკითხა და პირველად აქ გამოეთხოვა რუს საზოგადოებას ჩვენი ქალაქის წარმომადგენელთა სახითო. და ამ წარწერას „Merci“-ს წაკითხვიდან ხუთი საათის შემდეგ ამ დარბაზში გამართულ მეჯლისზე წაიკითხავს უკვე ყველაო. მე დანამდვილებით ვიცი, რომ თვითონ კარმაზინოვმა მოითხოვა, სანამ კითხვას არ მოვრჩები, ბუფეტი არამც და არამც არ გახსნათო, მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტის ბევრმა წევრმა შენიშნა, ეს ჩვენს წესებს ეწინააღმდეგებაო.

აი, ასე გახლდათ საქმე მაშინ, როცა მთელ ქალაქს კიდევ სჯეროდა ბალთაზარის ნადიმის ამბავი, ანუ ბუფეტი რომ კომიტეტის ხარჯზე მოეწყობოდა. სჯეროდათ ეს უკანასკნელ წუთამდე. ქალიშვილებიც კი ოცნებობდნენ ბლომა კამფეტებზე, მურაბებსა და კიდევ სხვა, არგაგონილ ნუგბარზე. ყველამ იცოდა, რომ უამრავი ფული მოგროვდა, მთელი ქალაქი აწყდებოდა, მაზრებიდანაც კი ჩამოდიოდა ხალხი და ბილეთები სამყოფი არ იყო. ისიც იცოდნენ, რომ ბილეთის ფასის გარდა საკმაოდ დიდი შესაწირიც გაიღო ზოგმა: მაგალითად, ვარვარა პეტროვნამ ბილეთში სამასი მანეთი გადაიხადა და დარბაზის მოსართავად თავისი ორანჟერეის ყვავილები გამოგზავნა. წინამძღოლის მეუღლემ (კომიტეტის წევრმა) სახლი დაუთმო და განათებაც მისი იყო; კლუბმა მუსიკა და მსახურები გამოგზავნა და მთელი დღით დაუთმო პროხორიჩი. შესაწირი სხვებმაც გაიღეს, თუმცა არც ასე ხელგაშლით, ასე რომ ერთი პირობა კიდევ იფიქრეს, ბილეთის პირვანდელი ფასი სამი მანეთიდან ორამდე ჩამოვიყვანოთო. თავდაპირველად კომიტეტს მართლა ეშინოდა, ქალიშვილები რომ სამმანეთიანი ბილეთით არ მოვიდოდნენ და აზრი გამოთქვა, საოჯახო ბილეთები მოვაწყოთ, კერძოდ, ყოველმა ოჯახმა მარტო ერთი ქალიშვილის ბილეთი შეიძინოს და გინდაც ათი ჰყავდეს, დანარჩენები უბილეთოდ მოიყვანოსო. მაგრამ ეს შიში ამაო გამოდგა: პირიქით, ქალიშვილები მოვიდნენ თუ მოვიდნენ. უღარიბესმა მოხელეებმაც კი მოიყვანეს თავიანთი გასათხოვარი ქალები. რომ ეს ქალები არა, ცხადია, თვითონ აზრადაც არ მოუვიდოდათ ხელისმოწერა. ერთმა ჩია

მდივანმა თავისი შვიდი ქალი მოიყვანა, თუ მეუღლეს არ მივათვლით, კიდევ დისწული და ყველას ხელში სამმანეთიანი შემოსასვლელი ბილეთი ეკავა. ადგილი წარმოსადგენია, რა ამბავი იყო ქალაქში! მარტო ის რად ღირდა, რომ ზეიმი ორი განყოფილებისგან შედგებოდა და ქალებს ორი გამოსასვლელი კაბა ჭირდებოდათ, დილით, ლიტერატურულ კითხვაზე და საღამოს - მეჯლისზე საცეკვაოდ. როგორც შემდეგში აღმოჩნდა, საშუალო შეძლების ხალხიდან ბევრს ამ დღისთვის ყველაფერი - თეთრეული, ზეწრები და ლამის ლეიბებიც კი დაეგირავებინა ჩვენს ურიებში. მერედა თითქოს განგებ რამდენმა ურიამ მოიკიდა ჩვენს ქალაქში ფეხი და რამდენი ემატება კიდევ წლიდან წლამდე. მგონი, მოხელე არ დარჩენილა, ჯამაგირი წინასწარ არ აელო; ზოგმა მემამულემ საქონელიც კი აღარ დაიტოვა, ოღონდაც თავისი ქალიშვილები რაც შეიძლება გამოპრანჭული მოიყვანა და სხვებს არ ჩამორჩენოდა. ასეთი მორთულ-მოკაზმულობა ჩვენს მხარეში აქამდე არ ნახულა და არ გაგონილა. ორი კვირით ადრე ქალაქში გავრცელდა უამრავი საოჯახო ანეკდოტები და ჩვენს ქილიკა ყმაწვილებს უმაღლესია მიხაილოვნას კარზე მიჰქონდათ ეს ამბები. ხელიდან ხელში გადადიოდა საოჯახო კარიკატურები. ჩემი თვალით ვნახე რამდენიმე ამგვარი ნახატი იუღია მიხაილოვნას ალბომში. ეს ყველაფერი შესანიშნავად მოეხსენებოდა იმ ოჯახებს, ვისზედაც შეეთხზათ ეს ანეკდოტები. მე მგონია, ამიტომაც შეიძულა ასე იუღია მიხაილოვნა ამ ბოლო დროს ყველა ოჯახმა. ახლა ყველა ილანძლება და გახსენებისას სულ კბილებს აღრჭიალებენ. მაგრამ თავიდანვე აშკარა იყო, კომიტეტს რომ ვისიმე გული ვერ მოეგო ან მეჯლისზე რაიმე შეცდომა დაეშვა, მაშინვე იფეთქებდა აღშფოთება და მერე რა აღშფოთება. ამიტომაც ფიქრობდა ყველა, მშვიდობიანად ეს არ დამთავრდებაო. ხოლო თუკი ყველა ასე ფიქრობდა, შეიძლებოდა კი მშვიდობიანად დამთავრებულიყო ეს ყველაფერი?

ზუსტად შუადღისას იგრილა ორკესტრმა. როგორც წესრიგის გამრიგემ, ანუ ერთ-ერთმა იმ თორმეტ „ბაფთიან ყმაწვილთაგანმა“, ჩემი თვალით ვნახე ამ სამარცხვინო დღის დასაწყისი. ჯერ იყო, სადარბაზოსთან წარმოუდგენელი ჭყლეტა შეიქნა. პოლიციიდან დაწყებული ნეტა ყველა თავიდანვე რამ დააბრმავა და რამ დაუბნელათ გონება. ნამდვილ მაყურებელს აბა რას ვერჩი: ოჯახის მამები, ჩინის მიუხედავად, არ ერეოდნენ ამ ჭყლეტაში, პირიქით ამბობენ, შეცბნენ კიდევ, ხალხის ეს უჩვეულო მოზღვავება რომ დაინახეს, ლამის იერიშით რომ მიიწეოდნენ სადარბაზოსკენ. ამასობაში ქუჩა უამრავი ეტლით გაიჭედა. ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, უტყუარი საბუთებით შემიძლია დავამტკიცო, რომ ჩვენი ქალაქის ბევრი ნაძირალა სულაც უბილეთოდ შემოამგრინა ლიამშინმა, ლიპუტინმა და კიდევ იქნებ რომელიმე ჩემისთანა გამრიგემ. ყოველ შემთხვევაში, ისეთი უცხო ხალხი გამოჩნდა, ვისაც არავინ იცნობდა ჩვენში. ალბათ მაზრებიდან თუ სხვა კუთხეებიდან იყვნენ ჩამოსულნი. რა წამს დარბაზში ფეხს შემოდგამდნენ, ეს ველურები მყისვე შეთანხმებულელებით ბუფეტს იკითხავდნენ. რომ გაიგებდნენ, ბუფეტი არ არისო, ისე მოურიდებლად იგინებოდნენ, მსგავსი არაფერი გაგვეგონა. ესეც კია, რომ ბევრი მთვრალიც იყო მათ შორის. ზოგს მართლაც ველურივით რეტს ასხამდა წინამძღოლის მეუღლის დიდებული დარბაზი. შემოსვლისას ენა ჩაუვარდებოდათ ხოლმე და პირდაღებული აცეცებდნენ თვალებს. მართლაც დიდებული გახლდათ ეს ვეებერთელა თეთრი დარბაზი, თუმცა დიდი ხნის აშენებული კი იყო: მისი ძველებურად მოხატული და მოვარაყებელი ჭერი, ქანდარა, სარკიანი იაქთალები, წითელი ფარდები, მარმარილოს ქანდაკებანი (ავი თუ კარგი, მაგრამ მაინც ქანდაკებანი), ნაპოლეონის დროინდელი ძველებური, თეთრი, ვარაყიანი მძიმე

ავეჯი, წითელი ხავერდით გადაკრული. ახლა დარბაზის ბოლოში ესტრადაც იყო ამართული იმ ლიტერატორებისათვის, ვისაც რაიმე უნდა წაეკითხათ. სკამებიც თეატრის პარტერივით იყო ჩარიგებული. მაყურებლისთვის ფართო გასასვლელები დაეტოვებინათ. მაგრამ განცვიფრების პირველი წუთების შემდეგ ყოვლად უაზრო კითხვები და განცხადებები იწყებოდა, „ეგების აღარ მოვინდომოთ კითხვაზე დასწრება... ხალხმა ბილეთი ვიყიდეთ... გაგიგონია ამისთანა უნამუსო მოტყუება... მასპინძლები ჩვენა ვართ და არა ლემბკეები!...“ ერთი სიტყვით, თითქოსდა საამისოდ შემოეშვათ. განსაკუთრებით ერთი შემთხვევა ჩამრჩა მეხსიერებაში, ამ ამბავში გუშინ დილას იულია მიხაილოვნასთან სტუმრად მყოფმა ჩამოსულმა თავადმა ისახელა თავი. ეს მაღალსაყელოიანი და ხის ტიკინასავით გაშეშებული თავადი იულია მიხაილოვნას თხოვნით დათანხმდა მარცხენა მხარზე ბაფთა მიემაგრებინა და წესრიგის გამრიგებაში ჩვენი ამხანაგი გამხდარიყო. თურმე სანთლის ამ მუნჯ ტიკინას თუ ლაპარაკი არა, მოქმედება მაინც შეეძლო. როცა ერთი ვეება ტანის გადამდგარი ჩოფურა კაპიტანი, ნაძირალებით გარშემორტყმული და ამით გულმოცემული, აღარ და აღარ მოეშვა, ბუფეტი საით არისო, - თავადმა უბნის ზედამხედველს უქნა თვალი. ბრძანება უმაღლესს უღებოდა. გამობრუჭული კაპიტანი. ლანძღვა-გინების მიუხედავად, მყის გაათრიეს დარბაზიდან. ამასობაში „ნამდვილი“ მაყურებელიც გამოჩნდა და სკამებს შუა დატოვებული სამი გასასვლელი გაავსო. უწესო ელემენტებმა ხმა ჩაიკმინდეს, მაგრამ „ჭეშმარიტ“ მაყურებლებსაც უკმაყოფილო და გაოცებული სახე ჰქონდათ. მანდილოსნებიდან ბევრი შეშინებულიც ჩანდა.

როგორც იყო, ყველანი დასხდნენ, ჩაჩუმდა მუსიკაც. აქა-იქ ჩაახველეს, ყელი ჩაიწმინდეს, გაიხედ-გამოიხედეს. ყველა რაღაც უჩვეულო სანახაობას მოელოდა - ეს კი მუდამ ცუდი ნიშანია. „ლემბკეები“ ჯერ არ ჩანდნენ. თვალს მოგჭრიდა ხავერდის, აბრეშუმის ბრილიანტების ლივლივი და ბრჭყვიალი. ჰაერში ნელსურნელება დატრიალდა. მამაკაცებს ყველას ორდენები ეკეთათ, ბერიკაცებს მუნდირებიც კი ეცვათ. როგორც იყო, წინამძღოლის მეუღლეც შემობრძანდა ლიზასთან ერთად. ესოდენ თვალწარმტაცი და ესოდენ ტურფად მორთული ლიზა არასოდეს მენახა. თმა დალალებად ეფინებოდა მხრებზე, თვალეები უბრწყინავდა, სახეზე ღიმილი დასთამაშებდა. ეტყობა, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველანი უჭვრეტდნენ, ერთმანეთში ჩურჩულებდნენ. ამბობდნენ, სტავროგინს ეძებს თვალითო. მაგრამ სტავროგინი და ვარვარა პეტროვნა იქ არ ჩანდნენ. მაშინ ვერ მივხვდი, რად ეხატებოდა სახეზე ასეთი ბედნიერება, სიხარული, ამდენი ენერგია და ძალა? მაგონდებოდა გუშინდელი ამბავი და მიკვირდა. „ლემბკეები“ კი მაინც არ ჩანდნენ და არა. ეს უკვე შეცდომა იყო. როგორც შემდეგ შევიტყვე, იულია მიხაილოვნა თურმე ახალგაზრდა ვერხოვენსკის უცდიდა. ამ უკანასკნელ ხანს ხომ უიმისოდ ფეხის გადადგმა არ შეეძლო. თუმცა თავის თავსაც არ უტყდებოდა ამაში. ფრჩხილებში შევნიშნავ, რომ ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ წინა დღეს, კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე, უარი განაცხადა წესრიგის გამრიგეთა ბაფთაზე და იულია მიხაილოვნა კინაღამ აატირა თურმე. ქალი საგონებელში ჩააგდო იმ ამბავმა (ბარემ წინასწარვე ვიტყვი), რომ ახალგაზრდა ვერხოვენსკი დილიდან გაქრა, ლიტერატურულ დილაზე არ მოსულა და საღამომდე თვალით არავის უნახავს. საზოგადოებას უკვე მოუთმენლობა დაეტყო. ესტრადაზეც არავინ ჩანდა. უკანა რიგებში ტაში დაუკრეს, როგორც თეატრში იციან ხოლმე, ბერიკაცებმა და ქალბატონებმა წარბი შეიკრეს: „ლემბკეები თავს იგდებენ“. საზოგადოების საუკეთესო ნაწილმაც ჩურჩული შექმნა,

ზეიმი, შესაძლოა, აღარც შედეგს, ლემბკე, შესაძლოა, მართლაც შეუძლოდ იყოს და სხვ. და სხვ., მაგრამ, მადლობა ღმერთს, აგერ ლემბკეებიც გამოჩნდნენ. ფონ ლემბკეს ხელგაყრილი მოჰყავდა თავისი მეუღლე. მართალი გითხრათ, მეც მიკანკალებდა გული, ვაითუ არ მოვიდნენ-მეთქი. მაშასადამე, ყველაფერი ზღაპარი გამოდგა. საზოგადოებას თითქოს გულზე მოეშვა: თავად ლემბკე საღ-სალამათად გამოიყურებოდა. რამდენადაც მახსოვს, სხვებმაც ასე დაასკვნეს. წარმოდგენილი გექნებათ, რამდენი თვალი უჭვრეტდა გუბერნატორს. იმასაც შევნიშნავ დახასიათებისათვის, რომ ჩვენი მაღალი საზოგადოებიდან უმრავლესობას არც ეჯერა, თუ ლემბკეს რაიმე ასეთი სჭირდა; მის ნამოქმედარს დიახაც ნორმალურად თვლიდნენ, იმდენადაც, რომ გუშინ დილას მოედანზე მომხდარ ამბავს მოწონებითაც შეხვდნენ. ასეც უნდა ექნა თავიდან, - ამბობდნენ დიდკაცები, - მაშ არადა. ჩამოვლენ ფილანტროპებად და ბოლოს მაინც ამით ამთავრებენ, ეს კი არ იციან, ფილანტროპიისთვისვე არის ეს საჭიროო, - ყოველ შემთხვევაში, ასე სჯიდნენ კლუბში. ოღონდაც იმას უმტყუნებდნენ, არ უნდა გაფიცებულიყო. სიდინჯე და უშფოთველობა არ უნდა დაეკარგა, მაგრამ ჯერ გამოუცდელია და იმიტომო, - იძახდნენ მცოდნენი. ასევე ხარბად მიაჩერდნენ იულია მიხაილოვნასაც. რა თქმა უნდა, როგორც მთხრობელს, მე არც მევალება და ვერც ვერავინ მომთხოვს ზუსტად და დაწვრილებით გადმოგცეთ ყველაფერი, რაც ერთ ამბავს შეეხება: ეს საიდუმლო გახლავთ და ისიც ქალის საიდუმლო. მაგრამ ეს კი ვიცი, რომ წუხელისვე შევიდა იულია მიხაილოვნა ანდრეი ანტონოვიჩის კაბინეტში და ნაშუადამემდე არ გამოსულა. ანდრეი ანტონოვიჩს აპატიეს და დაუყვავეს. ცოლ-ქმარი ყველაფერზე მორიგდა, ყველაფერი დავიწყებას მიეცა. როცა ყოველივე გაირკვა და აიხსნა, როცა ანდრეი ანტონოვიჩი მუხლებზე დადგა, რომ პატიება ეთხოვა წუხელ მომხდარ ამბავზე, რისი გახსენება ახლაც თავზარსა სცემდა, მეუღლის ნაზმა ხელმა და მერე ბაგემ შეაწყვეტინა გულმხურვალე სინანულის ნიაღვარი ამ რაინდულად გულისხმიერს, მაგრამ ახლა გრძნობებისაგან მოთენთილ კაცს. იულია მიხაილოვნას აშკარად ეტყობოდა, რა ბედნიერიც იყო. სახეგაბრწყინებული და დიდებულად მორთულ-მოკაზმული მობრძანდებოდა. ყველა სურვილი აღსრულებოდა: მისი პოლიტიკის მიზანი და გვირგვინი - ზეიმი უკვე განხორციელებული იყო. ვინემ თავის ადგილზე, ესტრადის წინ, მივიდოდნენ, ლემბკეები მარცხნივ და მარჯვნივ თავს უკრავდნენ და ესალმებოდნენ ყველას. ირგვლივ მყის დაეხვიათ ხალხი, წინამძღოლის მეუღლე ფეხზე ამდგარი შეეგება... მაგრამ ამ დროს ერთი საძაგელი რამ მოხდა: ორკესტრმა არც აცივა, არც აცხელა და უცბად ტუში დააგუგუნა, - დიახ, სუფრის ტუში, როგორსაც ჩვენ კლუბში დასცხებენ ხოლმე ოფიციალურ სადილზე ვისიმე სადღეგრძელოს შესმის დროს; ახლა კი ვიცი, რომ ეს სულ ლიამშინის ოინები იყო და ვითომდა წესრიგის გამრიგის კვალობაზე შემობრძანებულ „ლემბკეებს“ სცა ამით პატივი. რა თქმა უნდა, ყოველთვის შეეძლო თავი ემართლებინა, სიბრიყვითა თუ მეტისმეტი მონდომებით მომივიდაო... აბა რას წარმოვიდგენდი მაშინ. რომ უკვე თავის მართლებასაც აღარ დაგიდევდნენ და დღევანდელი დღით ამთავრებდნენ ყოველივეს. მაგრამ ტუშით არ მორჩა საქმე. ზოგს წყენა და გაოცება დაეტყო, ზოგმა ჩაიღიმა. ამ დროს დარბაზის ბოლოში და ქანდარაზე უცებ რამდენიმე ხმამ ვაშაო დასჭექა, ესეც თითქოს ლემბკეს პატივსაცემად. ყიჟინა რამდენიმე ხანს არ შემწყდარა. იულია მიხაილოვნა წამოენთო და თვალეები აუბრიალდა. ლემბკე მაშინვე შეჩერდა, იქით მიტრიალდა, საიდანაც ეს ხმები მოესმა, და მედიდურად, გოროზად მოავლო თვალი დარბაზს... ის საჩქაროდ დასვეს. შიშმა ამიტანა, სახეზე რომ კვლავ ის საშიში ღიმილი შევამჩნიე, როგორიც გუშინ დილას მისი მეუღლის სასტუმროში, როცა

სტეპან ტროფიმოვიჩს მიუახლოვდა. ისე მომეჩვენა, თითქოს ახლაც რაღაც გაგულისებულ და ამასთან ცოტა არ იყოს სასაცილო იერი ჰქონდა - თითქოსდა თავის მეუღლის ამაღლებულ მიზნებს ეწირებაო... იულია მიხაილოვნამ სასწრაფოდ მიმიხმო და ჩამწურჩულა, კარმაზინოვთან გაიქეცით და შეეხვეწეთ, დაიწყოსო. მაგრამ მოტრიალება ვერ მოვასწარი, უარესი სისაძაგლე მოხდა. იმ ცარიელ ესტრადაზე, საითაც მიპყრობილი იყო ყველას მზერა და სადაც სკამს, პატარა მაგიდას და ვერცხლის ლანგარზე დამდგარ ჭიქა წყალს ვხედავდით მხოლოდ, იმ ცარიელ ესტრადაზე მოულოდნელად ფრაკსა და თეთრ ჰალსტუხში გამოწყობილი, ზორზობა კაპიტანი ლეზიადკინი აიტუნა. ისე გავშტერდი, თვალებს არ ვუჯერებდი. კაპიტანმა თითქოს დაირცხვინა და სიღრმეში გაჩერდა. უცებ მაყურებლებიდან ვიღაცამ დაუძახა: „ლეზიადკინ! ეს შენა ხარ?“ რეგვენული, დაჟინჟილებული სახე კაპიტანს ამ დამახილზე სულელურად გადაებადრა (უგონოდ მთვრალი იყო). ჯერ ხელი ასწია, შუბლი მოისრისა, მერე გაბურძენილი თავი დააქნია და ორი ნაბიჯი წინ გადმოდგა, მაგრამ უცებ ისე ჩაიფრუტუნა და ისეთი ბედნიერი ხითხითი აუტყდა, რომ მთელი სხეული აუთახთახდა და თვალები სულ მოეჭუტა. ამის დანახვაზე ლამის ნახევარმა საზოგადოებამ გადაიხარხარა, ოციოდე კაცმა ტაში დასცხო. დარბაისელი ხალხი მოიღუშა და ერთმანეთს გადახედეს; თუმცა ეს ამბავი ნახევარ წუთზე მეტხანს არ გაგრძელებულა. ესტრადაზე უცებ ბაფთით მხარდამშვენებული ლიპუტინი და ორი მსახური შემოვარდნენ და კაპიტანს ფრთხილად გაუყარეს ხელი. ლიპუტინმა რაღაც ჩაუჩურჩულა. კაპიტანს სახე შეეჭმუნა, „თუ ეგრეა, რა გაეწყობა“, ჩაიბურტყუნა, მერე ვეება ზურგი მოგვაქცია და თავის გამცილებლებიანად მიიძალა. წუთიც და ლიპუტინი ისევ ესტრადაზე გაჩნდა, როგორც ყოველთვის, ახლაც დათაფლული ღიმილი დასთამაშებდა, შაქარში გარეულ ძმარს რომ მოაგონებდა კაცს. ხელში ფურცელი ეჭირა. ესტრადის კიდესთან პატარ-პატარა ნაბიჯებით მოცუნცულდა.

- ბატონებო, უყურადღებობის მიზეზით მოხდა ეს კომიკური გაუგებრობა, რაც უკვე გამოსწორებული გახლავთ. იმედია, არ შემრისხავთ, თუ ერთ-ერთი ჩვენი აქაური მელექსის მოწინებულ თხოვნას მოგახსენებთ... იმ დიდი და ჰუმანური მიზნით ატანილმა... მერე რა რომ ასეთ დღეში გახლავთ... რა მიზანმაც შეგვყარა ყველანი აქ... ცრემლი შევუმროთ ჩვენი გუბერნიის ღარიბსა და განათლებულ ქალიშვილებს... ამ ვაჟბატონმა ანუ, მე მინდა ვთქვა, ჩვენმა აქაურმა პოეტმა... რომელსაც არ უნდა თავისი ვინაობა გაამხილოს... დიდი სურვილი გამოთქვა, რომ მისი ლექსი მეჯლისის... ანუ, მე მინდოდა მეთქვა - კითხვის დაწყებამდე წაიკითხონ. მართალია, ეს ლექსი პროგრამაში არ გახლავთ... ვინაიდან ნახევარი საათის წინ მოიტანეს მხოლოდ... მაგრამ ჩვენ (ვინ ჩვენ? მე სიტყვა-სიტყვით გადმოგცემთ ამ უთავბოლო სიტყვას) მივიჩნიეთ, რაკი გასაოცარი გულუბრყვილობითაა დაწერილი და თანაც გასაოცარი მხიარულება იგრძნობა მასში, შეიძლება წაკითხულ იქნას, არა როგორც სერიოზული რამ, არამედ როგორც ზეიმისთვის შესაფერისი... ერთი სიტყვით, როგორც იდეისთვის შესაფერისი... მეტადრე სულ რამდენიმე სტრიქონია... ჰოდა, მინდოდა უმოწყალებს საზოგადოებისთვის ნებართვა მეთხოვა...

- წაიკითხეთ! - დაიროხროხა ვიღაცამ დარბაზის ბოლოდან.

- მაშ წავიკითხო, ბატონებო?

- წაიკითხეთ, წაიკითხეთ! - გაისმა ხმები.

- მაშ წავიკითხავ, ბატონებო, საზოგადოების ნებართვით, კვლავ დაიწმინა ლიპუტინი და კვლავ დაშაქრული ღიმილი გადაეფინა სახეზე. ისე მომეჩვენა, თითქოს მაინც ვერ ბედავდა და თანაც ლელავდა. მთელი მათი უტიფრობის მიუხედავად, ამ ადამიანებს ყოველთვის როდი ჰყოფნით ხოლმე სითამამე ბოლომდე. თუმცა სემინარიელზე ამას ვერ ვიტყვოდი. ლიპუტინი, რაც უნდა იყოს, ძველ თაობას ეკუთვნოდა.

- მე გაფრთხილებთ, ანუ პატივი მაქვს გაგაფრთხილოთ, რომ ეს ოდა არ გახლავთ, ბატონებო, როგორც წინათ იწერებოდა ხოლმე ზეიმებისთვის. ეს, ასე ვთქვათ, თითქმის სახუმარო შაირი გახლავთ, მაგრამ წრფელი გრძნობა, სიმახვილე და, ასე ვთქვათ, თვითრეალური სიმართლე არ აკლია.

- წაიკითხე, წაიკითხე!

ლიპუტინმა ფურცელი გაშალა. რა თქმა უნდა, ვერავინ მოასწრო მისი შეჩერება. მით უმეტეს, წესრიგის გამრიგის ბაფთა ეკეთა. მან ხმამაღლა დაიწყო: - ჩვენს თანამემამულე გუვერნანტ ქალს აქაური პოეტისაგან: გამარჯობა, გუვერნანტო!

იზეიმე და ილაღე, რეტროგრადობ თუ ჟორჟ-სანდობ, სულ ერთია, გაიხარე!

- ვაჰ, ეს ხომ ლებიადკინისა არის! დიახ, დიახ, ლებიადკინის ლექსია! - იღრიალა რამდენიმე ხმამ. აქა-იქ გაიციინეს და ტაში დაუკრეს.

შენ ასწავლი ჯერ პატარა

ბავშვებს ანბანს, ფრანგულ ენას

და მზადა ხარ გააპარო

თვალი თუნდაც მნათესკენაც.

- ვაშაა! ვაშაა!

მაგრამ ვაგლახ, ჩვენს რთულ დროში

არ წაგიყვანს აღარც მნათე, ქალიშვილო, თუ სამზითვო

რამე წინ არ მიანათე.

- მაშ, მაშ, რეალიზმიც ეგ არის, „მზითვის“ გარეშე ვერსადაც ვერ წახვალ!

მაგრამ ახლა, რომ ვზეიმობთ, მოვაგროვეთ, მოხვდა რაც ხელს

და უხვ მზითევს ცეკვა-ცეკვით

შენ გიგზავნით აურაცხელს, -

რეტროგრადი ხარ თუ სანდი, სულერთია, გაიხარე!

მზითვიანო გუვერნანტო, იზეიმე და ილაღე!

მართალი გითხრათ, ვისმენდი და ყურებს არ ვუჯერებდი. ეს ისეთი აშკარა უტიფრობა იყო, სიბრიყვეშიაც ვერ ჩამოართმევდა კაცი. ლიპუტინს კი სიბრიყვეს

ვერავინ შესწამებდა. ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის ცხადი იყო: არევ-დარევას ეშურებოდნენ. ამ იდიოტური ლექსის ზოგი სტროფი, მაგალითად უკანასკნელი, არა მგონია, მთლად სულელსაც დაეწერა. თუ არ ვცდები, ლიპუტინმა თვითონვე იგრძნო, მეტისმეტი რომ მოუვიდა: ლექსის წაკითხვის შემდეგ საკუთარი თავხედობით გაოგნებული ესტრადაზე გაჩერდა, თითქოს კიდევ უნდა რაღაც დაუმატოსო. ალბათ არ ეგონა, თუ ასე გამოვიდოდა: მაგრამ იმ ნაძირალებმაც კი, შუა კითხვისას რომ ტაში დაუკრეს, ახლა ხმა ჩაიწყვიტეს, თითქოსდა ისინიც სახტად დარჩნენ. ყველაზე სულელური ის იყო, რომ ბევრმა მათგანმა ეს ლექსი პასკვილად კი არ ჩათვალა, მართლა დაიჯერა, გუვერნანტი ქალების ჭეშმარიტ ამბავს გამოთქვამს, გარკვეული მიმართულების მქონე ლექსიაო. მაგრამ ლექსის მეტისმეტმა თავგასულმა კილომ ბოლოს ისინიც განაცვიფრა. რაც შეეხება დანარჩენ საზოგადოებას, მთელი დარბაზი არა მარტო გაკვირვებული, შეურაცხყოფილიც კი იყო. მე არ ვცდები, როცა ამას მოგახსენებთ. იულია მიხაილოვნა მეუბნებოდა მერე, კიდევ წამი და გული შემიღონდებოდაო. ერთმა დარბაისელმა ბებერმა წამოაყენა თავისი ბებერი ცოლი და დარბაზიდან გაიყვანა. ხალხმა შეშფოთებული მხერა გააყოლა. იქნებ ამ მაგალითისთვის სხვებსაც მიეხამათ, რომ იმ წუთს კარმაზინოვი არ გამოჩენილიყო ესტრადაზე ფრაკსა და თეთრ ჰალსტუხში გამოწყობილი. ხელში რვეული ეკავა. იულია მიხაილოვნა ისეთი აღფრთოვანებით მიაჩერდა, თითქოს მხსნელი ანგელოზი მოევილინა... მაგრამ მე უკვე კულისებში ვიყავი. მინდოდა ლიპუტინი მენახა.

- ეს თქვენ განზრახ გააკეთეთ! - წავატანე აღშფოთებულმა ხელი.

ლიპუტინი დაიწმინხა, მყისვე თავი მოისაწყლა და ტყუილებს მოჰყვა: - ღმერთმანი, არც მიფიქრია. ლექსი ეს წუთია მოიტანეს, ვიფიქრე, ამ ოხუნჯობთ ხალხს გავაცინებ-მეთქი...

- არაფერიც არ იფიქრეთ. ნეტა თუ ეგ უნიჭო სისაძაგლე მართლა ოხუნჯობად მიგაჩნიათ?

- დიახ, მიმაჩნია.

- ცრუობთ და მეტი არაფერი და არც ეს წუთია მოუტანიათ თქვენთვის. ეგ გუშინვე შეთხზეთ ლებიადკინთან ერთად არეულობის გამოსაწვევად. უკანასკნელი სტროფი თქვენია, მნათეზეც თქვენი მოგონილია. აბა ლებიადკინს ფრაკი რად ეცვა? მამასადამე, რომ არ გალემილიყო, წასაკითხად გყავდათ მომზადებული?

ლიპუტინმა ღვარძლით შემომხედა.

- მერედა თქვენ რა გაწუხებთ? - მკითხა საკვირველი სიმშვიდით.

- როგორ რა? ბაფთა მაინც არ გეკეთოთ... პიოტრ სტეპანოვიჩი სადღაა?

- არ ვიცი, აქ იქნება სადმე. რაზე კითხულობთ?

- იმიტომ რომ მხოლოდ ახლა მიგიხვდით ყველაფერს. უბრალოდ, შეთქმულება მოუწყვეთ იულია მიხაილოვნას, რომ ზეიმი ჩაუშალოთ...

ლიპუტინმა ისევ ცერად გადმომხედა.

- ნეტა თქვენ რაზე იწუხებთ თავს? - გაიღრიჯა, მხრები აიჩეჩა და გამშორდა.

მე თითქოს მდულარე გადამასხეს. ყველა ეჭვი დამიდასტურდა. არა, კიდევ რომ იმედი მქონდა, იქნებ ვცდები-მეთქი! რა უნდა მექნა ახლა? ერთი პირობა სტეპან ტროფიმოვიჩთან გადავწყვიტე მოთათბირება. მაგრამ ის სარკესთან იდგა და ხან იმას ამოწმებდა, როგორი გაღიმება უფრო დაშვენდებოდა, ხან ფურცელს ჩაშტერებოდა, სადაც ჩანიშნული ჰქონდა. კარმაზინოვის შემდეგ მისი გამოსვლის ჯერი იყო და ჩემთვის აღარ ეცალა. იუღია მიხაილოვნასთან გავქცეულიყავი? მაგრამ ეს ნაადრევი იყო: იუღია მიხაილოვნას მწარე გაკვეთილი სჭირდებოდა, რომ დარწმუნებულიყო, რა ხალხი ჰყავდა „შემოკრებილი“ ირგვლივ და როგორი „ფანატიკურად ერთგულებიც“ იყვნენ მისი. თუმცა არც დამიჯერებდა. ან რითი უშველიდა საქმეს? „ეე, - ვიფიქრე გულში, - ნეტა მართლა რა მრჯის, მოვიხსნი ამ ჩემს ბაფთას და შინ წავალ, ორომტრიალი რომ დაიწყება-მეთქი“. დიახ, მახსოვს, ასედაც ვთქვი, „ორომტრიალი“ რომ დაიწყება-მეთქი.

მაგრამ კარმაზინოვის მოსასმენად უნდა წავსულიყავი. უკანასკნელად გავიხედე კულისებში და იქ საკმაოდ ბევრი უცხო ხალხი შევამჩნიე, წარმოიდგინეთ, ქალებიც კი. ვინ გადიოდა და ვინ შემოდიოდა. ეს „კულისები“ დარბაზისგან ფარდით გამოყოფილი ერთი საკმაოდ ვიწრო ადგილი იყო, საიდანაც დერეფნით შეიძლებოდა სხვა ოთახებში გასვლა. ჩვენი წამკითხველები აქ ელოდებოდნენ თავიანთ რიგს. მაგრამ ყველაზე უფრო იმ წამს ერთმა ლექტორმა გამაკვირვა, სტეპან ტროფიმოვიჩის შემდეგ გამოდიოდა. ისიც, მგონი, პროფესორი თუ რაღაც ამდაგვარი უნდა ყოფილიყო (ახლაც არ ვიცი სინამდვილეში მისი ვინაობა). სადღაც ასწავლიდა, მაგრამ რაღაც სტუდენტური არეულობის გამო თავისი ნებით დაენებებინა თავი და რატომღაც ჩვენს ქალაქში ჩამოსულიყო ამ რამდენიმე დღის წინ. ისიც დიდი ამბით წარუდგინეს იუღია მიხაილოვნას და მანაც დიდი მოწიწებით მიიღო. ახლა კი ვიცი, რომ ზეიმამდე მხოლოდ ერთ საღამოზე ეწვია იუღია მიხაილოვნას, მთელი საღამო კრინტი არ დაუძრავს, ორაზროვნად იღიმებოდა თურმე იუღია მიხაილოვნას ირგვლივ შემოკრებილი საზოგადოების მასხრობა-ქილიკობაზე და ყველაზე უსიამო შთაბეჭდილება მოახდინა. ერთი რომ ქედმაღლურად ეკავა თავი და ამასთან ყველაფერს შეურაცხყოფად იღებდა. იუღია მიხაილოვნამ თვითონ სთხოვა, რამე წაგვიკითხეთ დილაზეო. ახლა წინ და უკან ბოლთას სცემდა და სტეპან ტროფიმოვიჩით რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის. ოღონდაც ძირს იყურებოდა და არა სარკეში, ეს კია, შიგადაშიგ ავხორცულად იღიმებოდა. ცხადი იყო, არც იმას ეცალა სალაპარაკოდ. ასე ორმოციოდე წლის კაცი იქნებოდა, ტანმორჩილი, მელოტი, ჭადრაწვერიანი, რიგიანად ჩაცმული. მაგრამ ჩემი ყურადღება უფრო სხვა ამბავმა მიიქცია: ყოველ მობრუნებაზე ასწევდა ხოლმე ზევით მარჯვენა მუშტს, ჰაერში გაიქნევდა და მერე ისეთი რისხვით დაუშვებდა ძირს, გეგონებოდათ, მტერი მიწასთან გაასწორაო. ასე აკეთებდა წარამარა. მე შიშმა ამიტანა და სასწრაფოდ კარმაზინოვის მოსასმენად გავიქეცი.

III

დარბაზში საქმე მაინც ვერ იყო რიგზე. წინასწარ ვაცხადებ: მე თაყვანს ვცემ გენიოსის სიდიადეს, მაგრამ არ მესმის, რად იქცევინა ზოგჯერ ეს ჩვენი ბატონი გენიოსები თავიანთი დიდებული წლების მიწურულს როგორც პატარა ბიჭები? მერე რა ვუყოთ, რომ კარმაზინოვია და ხუთი კამერჰერის სამყოფი მედიდურობა აქვს? განა შეიძლება ჩვენისთანა საზოგადოებას კაცმა მთელი საათი უკითხო ერთი წერილი? საერთოდ

შემჩნეული მაქვს, მსუბუქი ლიტერატურული კითხვის დროს, რაც უნდა გენიოსი იყო, საზოგადოებას ოც წუთზე მეტი გული არ უნდა გაუწყალო. თორემ დაუსჯელად ვერ გადარჩები. მართალია, დიდ გენიოსს საოცარი მოწიწებით შეხვდნენ ყველაზე გოროზი ბერიკაცებიც კი, მანდილოსნები ხომ ერთთავად აღტაცებულნი იყვნენ. ესეც არის, ტაში კანტიკუნტად და არეულ-დარეულად დაუკრეს. სამაგიეროდ, უკანა რიგებში წესრიგი არავის დაურღვევია, ვინემ კარმაზინოვმა არ დაილაპარაკა. თუმცა წესრიგის დარღვევაც არ ეთქმოდა ამას, უბრალოდ, გაუგებრობა გამოვიდა. მე წინათაც მოგახსენეთ, რომ საოცრად მჩხავანა ხმა ჰქონდა, ცოტა ქალურიც და ამასთან ჭეშმარიტად დიდკაცურადაც იჩლექდა ენას. ჰოდა, რამდენიმე სიტყვა რომ წარმოთქვა, უცებ ვიღაცამ ხმამაღლა გაიცინა. ამ ხეპრეს ალბათ მაღალ საზოგადოებაში არასოდეს უტრიალია და თანაც ხითხითა კაცი იყო. ოღონდ არავინ აჰყოლია, პირიქით, აქეთ-იქიდან დაუსტვინეს და ხმა ჩააწყვეტინეს. ბოლოს ბატონმა კარმაზინოვმა პრანჭვითა და განაზებული ხმით გამოაცხადა, რომ „თავდაპირველად არაფრით არ თანხმდებოდა წაკითხვაზე“ (აბა ვის რაში ჭირდებოდა ამის განცხადება), რომ „არის ისეთი სტრიქონები, რომლებიც გულიდან ისეა ამონამდერი, საზოგადოებაში ამისთანა წმიდათაწმიდას გატანა არაფრით არ შეიძლება!“ (ჰოდა, ვინ ეხვეწებოდა გატანას?) მაგრამ რაკი ასე შეეხვეწნენ, მაინც გამოიტანა, და რაკი გარდა ამისა სამუდამოდ თავს ანებებს კალამს და დაიფიცა, არასოდეს არაფერს დავწერო, ადგა და ეს უკანასკნელი ნაწარმოებიც დაწერა; და რაკი დაიფიცა, არაფრის დიდებით არასოდეს არაფერს წავიკითხავ საზოგადოებაშიო, მაშ ამ უკანასკნელ წერილსაც წაიკითხავს და ა.შ., და ა.შ. სულ ასე და ამგვარად.

მაგრამ ამას კიდევ რა უშავდა, ავტორისეული წინასიტყვაობის ამბავი ვის არ მოეხსენება? თუმცა შევნიშნავ კი, რომ ჩვენს ნაკლებ განათლებულ მაყურებლებზე, ისიც უკანა რიგებში მჯდომ ესოდენ გაღიზიანებულ ხალხზე, ყოველივე ამას შეიძლება გავლენა მოეხდინა. განა არ სჯობდა ერთი პატარა მოთხრობა წაეკითხა. დიახ, ერთი ისეთი პაწაწინა მოთხრობა, როგორსაც ადრე წერდა ხოლმე - გაპრანჭული და ნაგვირისტევი, თუმცა შიგადაშიგ მაინც გონებამახვილური? ამით ყველაფერს გადაარჩენდა. გაგიგონიათ! დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო! ღმერთო, რას არ მიედ-მოედო! დასტურ ვიტყვი, არა მარტო ჩვენს საზოგადოებას, დედაქალაქის მსმენელებსაც კი რეტს დაასხამდა. წარმოიდგინეთ ყოვლად გაპრანჭული და უაზრო ლაყბობით გაჭრელებული თითქმის ორი დაბეჭდილი თაბახი. თანაც ეს ვაჟბატონი ისე ქედმაღლურად, ისეთი დამადლებული სახით კითხულობდა, რომ ჩვენი საზოგადოება შეურაცხყოფილიც დარჩა. თემა... თუმცა ვინ გაერკვეოდა ამ თემაში? ეს იყო რაღაც ანგარიში რაღაც შთაბეჭდილებებისა და მოგონებებისა, მაგრამ რაზე? რის შესახებ? - რამდენიც არ იჭმუხნა შუბლი ჩვენმა გუბერნიის საზოგადოებამ პირველ ნახევარში, ვერაფერი გაიგო და მეორე ნახევარი მხოლოდ ზრდილობის გულისთვის მოისმინა. მართალია, ბევრი ლაპარაკი იყო შიგ გენიოსის სიყვარულზე ვიღაც არსებისადმი, მაგრამ, გამოგიტყდებით და, ცოტა უხერხული კი გამოვიდა. ჩვენს დაბალ, ჩამრგვალებულ გენიალურ მწერალს, ჩემი აზრით, სულაც არ უხდებოდა თავისი პირველი კოცნის ამბის მოყოლა... რაც მთავარია, არც კოცნა ხდებოდა ისე, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ამქვეყნად. ირგვლივ უთუოდ შავთავა ყელყელაობდა (უთუოდ შავთავა ან იმისთანა ბალახი, რომლის გამოსაცნობად ბოტანიკის წიგნში უნდა ჩაგეხედა). ამასთან ცა უთუოდ იისფერს გადაიკრავდა, თუმცა მოკვდავთ, ცხადია, ამისთანა ფერი არასოდეს შეუმჩნევიათ, კი უნახავთ, მაგრამ ვერ შეუმჩნევიათ. „მე კი შევამჩნიე და ახლა თქვენისთანა რეგვენებს ისე

ავუწერ, როგორც ყოვლად ჩვეულებრივ რასმე“. ხე, რომლის ძირს ეს საინტერესო წყვილი მოკალათებულა, უთუოდ ნარინჯისფერია; ამბავიც სადღაც გერმანიაში ხდება. უცებ გამოცხადებათ მათ პომპეუსი თუ კასიუსი ლაშქრობის წინ და ორთავეს აღტაცების ჟრუანტელი უვლით. იქ სადღაც ალმა წაიწიკვინა ბუჩქებში. გლიუკმა ლელიანში ვიოლინო ააკვნესა. პიესა, რასაც ის უკრავს, en toutes lettres[265] არის დასახელებული, მაგრამ არავის მოუსმენია, ამიტომ ისიც მუსიკალურ სიტყვაში უნდა მოიძიო. ამასობაში ნისლი ბოლქვებად იხვევა, ისე იხვევა, ნისლი კი არადა, მილიონი ბალიშის ბუმბული ეგონება კაცს. უცებ ყოველივე ქრება და დიდი გენიოსი ზამთრის თბილ დღეს ვოლგაზე გადმოდის. ორ გვერდ-ნახევარი დათმობილი აქვს ვოლგაზე გადმოსვლას, მაგრამ ბოლოს მაინც ყინულჭრილში მოადენს ზღართანს. გენიოსი იხრჩობა, - მაგრამ გგონიათ დაიხრჩო? არც უფიქრია; ეს ყველაფერი იმიტომ გააჭრელა, როცა უკვე სულ იხრჩობოდა და წყალსაც ყლაპავდა, ლობიოს მარცვლისოდენა ყინულის პაწაწინა ნატებს მოატანა თვალი, „გაყინული ცრემლივით“ გამჭვირვალესა და კამკამას. ამ ყინულის ნატებში მან გერმანია დაინახა, უკეთ, გერმანიის ცა, ხოლო მისმა წარმტაცმა ლივლივმა ის ცრემლი მოაგონა, რომელიც „გახსოვს, თვალთაგან გადმოგიგორდა, როცა აქატის ხის ქვეშ ვისხედით და შენ სიხარულით შესძახე: „ბოროტება არ არსებობს!“ „ჰო, გითხარი მე ცრემლმორეულმა, მაგრამ მაშინ არც მართალნი ყოფილან ამქვეყნად!“ ჩვენ ორივე ავქვიითინდით და საუკუნოდ გამოვეთხოვეთ ერთმანეთს.“ - ქალმა სადღაც ზღვისპირისკენ გასწია. ვაჟმა რომელიღაც გამოქვაბულებს მიაშურა. ჰოდა, ჩადის და ჩადის ამ მღვიმეებში, სამი წელი მოუნდა მოსკოვის სუხარევის კოშკიდან ჩასვლას და უცებ მიწის ქვეშ, ერთ გამოქვაბულში ამოჰყო თავი. იქ კანდელი ანთია, კანდელის წინ კი სქიმოსანი დამდგარა ლოცვად. გენიოსი უმაღლეს პაწაწინტელა რკინის სარკმელს მიეტანება და უცებ ოხვრა ესმის. გგონიათ, სქიმოსანი ოხრავს? ძალიანაც არ ენადვლება თქვენი სქიმოსანი. არა, ბატონო, ეს ოხვრა მხოლოდ თავის ტურფას პირველ ოხვრას აგონებს და ოცდაჩვიდმეტი წლის წინათ, როცა „გახსოვს, გერმანიაში აქატის ხის ძირას ვისხედით და შენ მითხარი: სიყვარული რა საჭიროა? შეხე, ირგვლივ რამდენი ხე ხარობს და მეც მიყვარხარ. გახმება ხე და მეც გადაგიყვარებ“. და აირია ისევ ნისლი, გამოჩნდა ჰოფმანი, შოპენიც რომელიღაც ჰანგი დასტვინა ალმა, უცებ ნისლიდან რომის სახურავების თავზე დაფნის გვირგვინით გამოგვეცხადა ანკ მარციუსი. „აღტაცების ჟრუანტელმა დაგვიარა ტანში ორივეს და საუკუნოდ დავშორდით ერთმანეთს“ და ა.შ. და ა.შ. ერთი სიტყვით, ეგებ ისე ვერ გადმოგცემთ და არც გადმოცემა მეხერხება, მაგრამ აზრი კი ამ ყბედობისა დაახლოებით ასეთი იყო. ან ეს რა სამარცხვინო ტრფიალი სჭირთ ჩვენი დიდი ჭკუის ადამიანებს ბრძნული კალამბურებისა! დიდი ევროპელი ფილოსოფოსნი, დიდი მეცნიერნი, გამომგონებელნი, მეცნიერების მამუშრალნი და მოწამენი - ყველა ეს ნაშრომ-ნაჯაფი ხალხი ჩვენი რუსი გენიოსისთვის მხოლოდ მზარეულები არიან, რომლებიც ჩაჩებით ხელში ეახლნენ და მის ბრძანებას ელიან. მართალია, იგი რუსეთსაც ქედმაღლურად დასცინის და ისე არაფერი ამებს მის გულს, როგორც ევროპის დიდი ჭკუის ადამიანებთან შედარებით რუსეთის ყოველმხრივი გაკოტრების აღიარება, მაგრამ არ იფიქროთ, საკუთარი თავის ჩათვლით! არა, ევროპის ამ დიდი ჭკუის ადამიანებს მან უკვე გაასწრო და უკან მოიტოვა. ისინი მხოლოდ მისი კალამბურების მასალად გამოდგებიან. სხვის იდეას ჩვენი გენიოსი საკუთარ ანტითეზას მიაწებებს და კალამბურიც გამომცხვარია. არსებობს დანაშაული, არ არსებობს დანაშაული. არ არსებობს სიმართლე, არ არსებობენ მართალნი; ათეიზმი, დარვინიზმი, მოსკოვის ზარები... მაგრამ ვაი რომ უკვე აღარც

მოსკოვის ზარებისა სწამს; რომი, დაფნის გვირგვინი... მაგრამ რომ არც დაფნის გვირგვინისა სწამს არაფერი... შემდეგ გაცვეთილ-გახუნებული ბაირონისეული კაემანი, ჰაინეს გესლი, კიდევ პეჩორინისაგან რაღაც-რაღაც ნასესხები და დატრიალდა წისქვილი... „მერე რა, მაინც მაქვთ და მაღიდეთ, მე ეს საოცრად მიყვარს; ყასიდად ვამბობ, კალამს თავს ვანებებ-მეთქი, თორემ დამაცათ, თუ კიდევ სამასჯერ არ მოგაბეზროთ თავი, არ ამოგხადოთ სული...“

თავისთავად ცხადია, ამ ამბავმა მშვიდობიანად არ ჩაიარა. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ მთელი ის ვაი-უშველებელი მისი მიზეზით დაიწყო. დარბაზში უკვე დიდი ხანია შეიქნა ჩოჩქოლი, ვინ ჩაახველა და ყელი ამოიწმინდა, ერთი სიტყვით, როგორც ლიტერატურულ კითხვაზე ხდება ხოლმე, თუკი ლიტერატორმა, ვინც არ უნდა იყოს იგი, ოც წუთზე მეტხანს გააჩერა მსმენელები. მაგრამ გენიალური მწერალი ვერაფერს ამჩნევდა, ჩლიფინებდა თავისთვის და სულაც არ ენაღვლებოდა საზოგადოება. ისე რომ ბოლოს და ბოლოს ყველა გააბრუა. უცებ უკანა რიგებიდან ვიღაცამ ხმამაღლა დაიძახა: - ღმერთო! რას მიედ-მოედება!

დარწმუნებული ვარ, კაცი უბრალოდ დაიღალა და უნებლიეთ წამოსცდა, დემონსტრაცია სულაც არ ჰქონდა გუნებაში. მაგრამ ბატონმა კარმაზინოვმა სიტყვა გაწყვიტა, დამცინავად გადახედა საზოგადოებას და შეურაცხყოფილი კამერჰერის მედიდურობით წაიჩლიფინა: - ბატონებო, მგონი, თავი მოგაბეზრეთ, არა?

აი სწორედ ეს იყო მისი შეცდომა, პირველმა თვითონ წამოიწყო და, ასე ვთქვათ, ხმის ამოღების კანონიერი საბაზი მისცა ყოველ ვიგინდარას. რომ წაეყრუებინა, ავად თუ კარგად ჩაივლიდა ყველაფერი, ჩაახველებდნენ, ყელს ჩაიწმენდნენ და ამით გათავდებოდა საქმე... იქნებ ეგონა, ამ კითხვის პასუხად ტაშს დამიკრავნო. მაგრამ ტაში არავის დაუკრავს; პირიქით, ხალხი თითქოს დაფრთხა, აიწურა და გაინაბა.

- ანკ მარციუსიც არ გინახავთ თავის დღეში, ეგ მხოლოდ ლამაზი სიტყვებისთვის მოიტანეთ, - გაისმა უცებ ვიღაცის გაღიზიანებული ხმა.

- დიახაც, - მიატანა უმაღ მეორემ, - ახლა მოჩვენებები აღარ არიან, ახლა ბუნებისმეტყველებას მისდევს ხალხი. ამას სჯობდა ბუნებისმეტყველება გესწავლათ.

- ბატონებო, ყველაფერს მოველოდი და ამისთანა შეპასუხებას კი არა, - კარმაზინოვს საოცარი განცვიფრება დაეტყო. დიდი გენიოსი კარლსრუეში სულ გადაჩვეოდა მამულს.

- სირცხვილი არაა ჩვენს საუკუნეში კაცმა წაიკითხო, ქვეყნიერება სამ თევზზე დგასო. განდეგილთან აბა როგორ ჩახვიდოდით მღვიმეში, კარმაზინოვ, ან განდეგილზე ვილა ლაპარაკობს ახლა? - სეტყვასავით მიაყარა ვიღაც ქალიშვილმა.

- მიკვირს, ბატონებო, ყველაზე მეტად ეგ სერიოზულობა მიკვირს. თუმცა... თუმცა ცამდე მართალი ბრძანდებით. ჩემზე მეტად არავინ აფასებს რეალურ სიმართლეს... - იღიმებოდა დამცინავად კარმაზინოვი, მაგრამ ძლიერ შემცბარი კი იყო. სახეზე კიდევ ეწერა: „ტყუილად გგონივართ ეგეთი, მე ხომ თქვენს მხარეზე ვარ, ოღონდ შემაქვთ, ძალიან შემაქვთ, მერედა როგორ მიყვარს ქება...“

- ბატონებო, ვატყობ, ჩემს საცოდავ პოემას და, მგონი, მეც მისამართი შეგვმლია, - აღმოხდა ბოლოს ბოლმით.

- მაშ, მაშ, ყვავს ესროლეს და ძროხას მოხვდაო. - მთელი ხმით დაიღრიალა ვიღაც რეგვენმა. ალბათ მთვრალი თუ იყო. მისი ნათქვამისთვის ყურადღების მიქცევა, რა თქმა უნდა, არ ღირდა. თუმცა აქა-იქ უდიერად ჩაიცინეს.

- ძროხასო, თქვით? - არ შეარჩინა კარმაზინოვმა. თანდათან უფრო გაანჩხლდა. - ყვავებსა და ძროხებზე, ბატონებო, თავს შევიკავებ. რა საზოგადოებაც არ უნდა იყოს, იმდენ პატივს კი ვცემ, უწყინარი შედარებანიც არ ვაკადრო. მაგრამ მეგონა კი...

- იცით, მოწყალეო ბატონო, თავს მაინცდამაინც ნუ გაგივათ... - დაიძახეს უკანა რიგებიდან.

- მაგრამ მეგონა კი, ჩემს მკითხველთან გამოთხოვების ჟამს მოსმენის ღირსს მაინც გამხდიდნენ...

- არა, არა, მოსმენა გვინდა, გვინდა, - გაბედა ხმის ამოღება პირველმა რიგმა.

- წაიკითხეთ, წაიკითხეთ! - აღტაცებით აჰყვა რამდენიმე მანდილოსანი და ტაშიც გაისმა კანტიკუნტად. კარმაზინოვს ცალყბად გაეღიმა და წამოდგა.

- მერწმუნეთ, კარმაზინოვ, ყველას დიდ პატივად მიგვაჩნია... - ვეღარ მოითმინა წინამძღოლის ცოლმაც.

- ბატონო კარმაზინოვ, ბატონო კარმაზინოვ, მე რომ ბედნიერება მღირსებოდა და ისე შემყვარებოდა ვინმე, როგორც თქვენ აგვიწერეთ, მართალი გითხრათ, ჩემი სიყვარულის ამბავს საჯარო კითხვაზე არ გამოვიტანდი... - გაისმა ზარივით ხმა დარბაზიდან. ეს ხმა პირტიტველა, წყნარ, კეთილშობილ ყმაწვილს ეკუთვნოდა, რომელიც სამაზრო სასწავლებელში ასწავლიდა და ჩვენი ქალაქის ახალი სტუმარი იყო. ახლა სკამიდანაც კი წამოიწია და სახე აუპილპილდა.

- ბატონებო, მე დავამთავრე, დასასრულს აღარ წაგიკითხავთ და გაგშორდებით. ოღონდ ნება მომეცით უკანასკნელი ექვსი სტრიქონი წაგიკითხოთ, - დაიძახა კარმაზინოვმა და აღარც დამჯდარა, ისე გააგრძელა: „მაშ მშვიდობით, ჩემო მეგობარო მკითხველო! დიახ, მშვიდობით-მეთქი, მკითხველო; არც იმაზე ვიღებ თავს, მეგობრულად დაგშორდე: მართლაც და რად უნდა შეგაწუხო? მლანძღე და მთათხე, რამდენიც გენებოს, თუ შენ ეს გასიამოვნებს. ისე კი სჯობდა სამუდამოდ დაგვევიწყებინა ერთმანეთი. მაგრამ რომც იმდენი სიკეთე გამოიჩინოთ მკითხველებმა და დაჩოქილებმა ცრემლით შემომხეხვეწოთ: ოჰ, წერე ჩვენთვის, კარმაზინოვ, წერე მამულისათვის, შთამომავლობისათვის, დაფნის გვირგვინისთვის მაინც დასწერეო, მე დიდ მადლობას მოგახსენებდით და მაინც ამას გეტყოდით: „არა, ჩემო საყვარელო მამულიშვილნო, ჩვენ საკმაოდ ვაჯახირეთ და ვაწვალეთ ერთმანეთი, Merci! დროა ჩვენი გზები გაიყაროს! Merci, merci, merci!“

კარმაზინოვმა გაპრანჭულად დახარა თავი და დამდულრულივით გაწითლებული კულისებში მიიმალა.

- არავინაც არ დაგიჩოქებს; ყოვლად უგუნური ფანტაზიაა.

- უყურე ერთი, რა თავმოყვარეობა ჰქონია!

- ეს მხოლოდ იუმორია, ბატონებო, - სცადა ახსნა ვიღაც უფრო მოსაზრებულმა კაცმა.

- არც მაგისტანა იუმორი გვინდა.
- ბატონებო, ვერა ხედავთ, რა გვაკადრა.
- ყოველ შემთხვევაში, მორჩა მაინც.
- ვაჰ, არ ამოგვხადა სული!

მაგრამ უკანა რიგების ეს უგუნური წამოძახილები (თუმცა არა მარტო უკანა რიგებისა) საზოგადოების მეორე ნაწილის ტაშის გრიალმა დაჰფარა. კარმაზინოვი ესტრადაზე გამოიძახეს. იულია მიხაილოვნასა და წინამძღოლის ცოლის მეთაურობით რამდენიმე ქალი ესტრადასთან შექუჩდა. იულია მიხაილოვნას ხელში ცოცხალი ვარდების გვირგვინში ჩადგმული საუცხოო დაფნის გვირგვინი გაჩნდა თეთრი ხავერდის ბალიშზე.

კარმაზინოვს გესლიანმა ღიმილმა გადაჰკრა: - დაფნაო! მე, რა თქმა უნდა, დიდი სიამითა და მაღლიერებით მივიღებ ამ წინასწარ გამზადებულ ჯერ კიდევ უმჭკნარ გვირგვინს, მაგრამ მერწმუნეთ, mesdames, უცებ ისეთი რეალისტი გავხდი, ამ ჩვენს საუკუნეში დაფნა მზარეულის ხელში უფრო მართებულად მიმაჩნია, ვინემ ჩემს ხელში...

- მზარეული უფრო გამოადგება კაცს და იმიტომ, - დაუძახა იმ სემინარიელმა, ვირგინსკის „სხდომას“ რომ ესწრებოდა. ხალხი ისევ აჩოჩქოლდა. ბევრი ადგილიდან წამოხტა, დაფნის გვირგვინს როგორ გადასცემენ, დავინახო.
- რას ამბობთ, მზარეულისთვის ახლა სამ მანეთს კიდევ გავიღებდი, - დაიძახა მეორემ განზრახ ხმამაღლა.
- მეც.
- მეც.
- ნუთუ მართლა არ არის აქ ბუფეტი?
- ბატონებო, ეს ხალხის აგდებაა და მეტი არაფერი.

უნდა ვადიარო, ამ თავგასულ ვაჟბატონებს მაინც კიდევ დიდი შიში ჰქონდათ ჩვენი დიდკაცებისა, გარდა ამისა, ბოქაულიც დარბაზში იყო. ათი წუთის შემდეგ ყველა ისევ თავთავის ადგილზე დაჯდა. თუმცა წელანდელი წესრიგი აღარ აღმდგარა. აი სწორედ ასეთ არეულობაში მოუხდა საწყალ სტეპან ტროფიმოვიჩს გამოსვლა...

IV

მე ერთხელ კიდევ მივაკითხე კულისებში, გულგახეთქილმა გავაფრთხილე, ყველაფერი აირ-დაირია, სჯობს არ გამოხვიდეთ, თუ გინდათ ქოლერინა მოიმიზეზეთ და ახლავე შინ წადით. მეც ბაფთას მოვიხსნი და გამოგყვებით-მეთქი. სტეპან ტროფიმოვიჩი, რომელიც ამ დროს ესტრადაზე გადიოდა, უცებ მომიბრუნდა, ქედმაღლურად შემავლო თვალი და დიდს ამბით გამომიცხადა: - რატომ გგონივართ, მოწყალეო ბატონო, სულმოკლე და უნამუსო?

მე თავი გავანებე. დარწმუნებული კი ვიყავი, როგორც ორჯერ ორი, რომ უდავიდარაბოდ ვერ გადარჩებოდა. მე რომ ასე სასოდაკარგული ვიდექი, ერთიც ვნახოთ, ისევ იმ ჩამოსულმა პროფესორმა ჩამოიარა, სტეპან ტროფიმოვიჩის შემდეგ რომ უნდა გამოსულიყო და სულ მუშტებს იქნევდა წელან. იგი ახლაც ბოლთას სცემდა ფიქრებში წასული და გესლიანი, მაგრამ გამარჯვებული ღიმილით ბურღუნებდა რაღაცას. ჩემდა უნებლიეთ (ნეტა რა ეშმაკი მწევდა ენაზე) მივედი და ვუთხარი: - იცით, ბევრი მაგალითით დავრწმუნდი, რომ, ვინც არ უნდა იყოს, საზოგადოება ოც წუთზე მეტს არავის მოუხმენს, როგორი სახელგანთქმულიც არ უნდა იყოს, ნახევარ საათსაც ვერავინ გაუძლებს.

იგი შეჩერდა და სიბრაზისაგან აცახცახდა. სახეზე უსაზღვრო მედიდურობა გამოეხატა.

- ნუ წუხდებით, - ჩამიბურღუნა ზიზლით და გამშორდა. იმავე წუთს დარბაზიდან სტეპან ტროფიმოვიჩის ხმა მომესმა.

„ეშმაკსაც წაუღიხართ ყველანი!“ - გავიფიქრე და დარბაზში გავქანდი.

სტეპან ტროფიმოვიჩი სავარძელში დამხვდა გამოჭიმული. დარბაზი კვლავ ღელავდა. წინა რიგებიდან, ეტყობოდა, მაინცდამაინც დიდი აღფრთოვანებით არავინ შეხვდა (ამ ბოლო ხანებში კლუბში რატომღაც ცხვირი აუბზუეს და წინანდელი პატივით აღარ ეპყრობოდნენ), თუმცა კიდევ კარგი, არ უსტვინეს, გუშინდლიდან რატომღაც სულ ეს უცნაური ფიქრი მიტრიალებდა, გამოსვლისთანავე დაუსტვენენ-მეთქი. მაგრამ იმ არეულობაში პირველად ვერც კი შენიშნეს. ნეტა რისი იმედი ჰქონდა. როცა კარმაზინოვსაც ასე მოექცნენ? სტეპან ტროფიმოვიჩს ფერი არ ედო სახეზე; ათი წელია საზოგადოების წინაშე არ გამოსულა. მე კარგად ვიცნობდი ამ კაცს და მღელვარებასა თუ სხვა რამ ნაცნობი ნიშნებით აშკარად შევატყვე, რომ თავის გამოსვლას ესტრადაზე ისე უყურებდა, თითქოს მისი ბედი წყდებოდა. სწორედ ამისი მეშინოდა: ეს კაცი ჩემთვის ძვირფასი იყო. წარმოიდგინეთ, რა დამემართა, კაცი მის ბაგეთაგან ეს პირველი სიტყვები გავიგონე!

- ბატონებო! - წარმოთქვა უეცარი სიმტკიცით, თუმცა ამავე დროს ხმა უწყდებოდა, - ბატონებო! ჯერ კიდევ ამ დილას მედო წინ ერთი იმ უკანონო ფურცელთაგანი, ჩვენს ქალაქში რომ მიმოფანტეს ამ ცოტა ხნის წინ, და მეთქი ვეკითხებოდი ჩემს თავს: რაშია საქმე? რა საიდუმლო იმალება-მეთქი აქ ასეთი?

დარბაზი უმაღლესად გაილურსა, ყველა თვალი მას მიაჩერდა, ზოგიერთებს შიშაც დაეტყო, - იცოდა კაცმა, როგორ მიეპყრო ხალხის ყურადღება! კულისებიდანაც კი გამოჰყვეს თავი. ლიპუტინი და ლიამშინი სმენად იქცნენ. იულია მიხიალოვანამ ისევ ხელი დამიქნია და შემფოთებულმა მიჩურჩულა: - გააჩერეთ, როგორმე გააჩერეთ! - მე მხრები ავიჩიქე. რა გააჩერებდა იმ კაცს, ვისაც ბედი სასწორზე შეეგდო? ვაი რომ მივუხვდი სტეპან ტროფიმოვიჩის სულისკვეთებას.

- ოჰო, პროკლამაციებზე ამბობს! - აჩურჩულდნენ საზოგადოებაში; დარბაზში ჩოჩქოლი შეიქნა.

- ბატონებო, მე ამოვხსენი ეს საიდუმლოება. მათი ძალა - მათ სისულელეში მდგომარეობს (სტეპან ტროფიმოვიჩმა თვალები დააკვესა). დიახ, ბატონებო, ეს რომ განზრახული, ეს რომ თვალთმაქცური სისულელე იყოს, მაშინ გენიალურიც

იქნებოდა! მაგრამ ტყუილს ვერ შევწამებთ, ვერა: ისინი არ თვალთმაქცობენ. ეს გახლავთ აშკარა, ყოვლად გულუბრყვილო და ჭკუამოკლე სისულელე, - c'est la betise dans son essence la plus pure, quelque chose comme un simple chimique[266]. ეს რომ ცოტათი მაინც უფრო ჭკვიანურად იყოს ნათქვამი, მყისვე ყველა დაინახავდა ამ ჭკუამოკლე სისულელის უბადრუკობას. ახლა კი ყველა შეცბუნებული რჩება: არავის სჯერა, თუ თავიდანვე ამისთანა მტკნარი სისულელეა, „არ შეიძლება აქ სხვა რამ კიდევ არ იყოს“, ფიქრობენ გულში და საიდუმლოს ეძებენ, უნდათ პწკარსა და პწკარს შუა ამოიკოთხონ იგი, - ჰოდა, მიზანიც მიღწეულია. ო, არასოდეს სისულელე ასეთი ზეიმით არ დაუჯილდოვებიათ, თუმცა ხშირად კი იყო ამისი ღირსი... რამეთუ, en parenthese[267], კაცობრიობის ბედ-იღბლისთვის სისულელე ისევე საჭირო გახლავთ, როგორც უდიდესი გენია...

- ორმოციანი წლების კალამბურები! - გაუბედავად დაიძახა ვილაცამ, მაგრამ ამ დამახეზაზე მთელმა დარბაზმა თავი აიწყვიტა; ყველანი აყაყანდნენ.

- ვაშა, ბატონებო, მე სისულელის სადღეგრძელოს გთავაზობთ! - შეჰყვირა სტეპან ტროფიმოვიჩმა: ისე იყო წყობიდან გამოსული, აინუნში აღარავის აგდებდა.

ვითომდა წყლის დასასხმელად მასთან მივირბინე.

- სტეპან ტროფიმოვიჩ, შეწყვიტეთ, იულია მიხაილოვნა შემოგეხვეწათ.

- მომცილდით, თქვე უსაქმურო ყმაწვილკაცო! - მთელი ხმით დამიღრიალა სტეპან ტროფიმოვიჩმა. მე გამოვიქეცი. - Messieurs![268] - განაგრძო მან. - რა საჭიროა ეგ აღელვება, ეგ აღშფოთებული შეძახილები? მე მშვიდობის რტო მოგიტანეთ, მე უკანასკნელი სიტყვის სათქმელად მოვედი. რამეთუ უკანასკნელი სიტყვა ჩემია, და ჩვენც შევრიგდებით.

- ძირს! - ბლაოდნენ ერთნი.

- ჩუმად, დააცალეთ თქმა, დააცალეთ, - გაჰკიოდნენ მეორენი. მეტადრე პირტიტველი მასწავლებელი იყო ერთ ყოფაში. რახან ერთხელ გაბედა და ხმა ამოიღო, თითქოს თავი ველარ შეეკავებინა.

- Messieurs, უკანასკნელი სიტყვა ამ საქმისა - საყოველთაო მიტევება გახლავთ. მე, უკვე დრომოჭმული მოხუცი, ზეიმით გიცხადებთ, რომ სიცოცხლე წინანდელივით ჩქეფს და ახალგაზრდა თაობაში ჯერ კიდევ არ დაშრეტილა ძალა ცხოველი. თანამედროვე ყმაწვილკაცთა ენთუზიაზმი ისევე სპეტაკი გახლავთ, როგორც ჩვენი დროისა. მოხდა მხოლოდ ერთი რამ, შეიცვალა მხოლოდ მიზანი! შეიცვალა ერთი სილამაზე მეორეთი! გაუგებრობას მხოლოდ ესა ჰქმნის, რა სჯობია - შექსპირი თუ ჩექმა, რაფაელი თუ პეტროლეი[269]?

- გვაბეზრებს თუ რა არის? - დრტვინავდნენ ერთნი.

- მაგ კითხვებით ხალხს ჩრდილს აყენებს!

- Agent-provocateur![270]

- მე კი ვაცხადებ, - დასჭყივლა უკვე ზომაზე მეტად გაფიცებულმა სტეპან ტროფიმოვიჩმა, - მე კი ვაცხადებ, რომ შექსპირი და რაფაელი - გლეხთა

განთავისუფლებაზე, ხალხოსნობაზე, სოციალიზმზე, ყმაწვილ თაობაზე, ქიმიასა და თითქმის მთელ კაცობრიობაზე მაღლა დგას, ვინაიდან ისინი ჭეშმარიტი ნაყოფი გახლავთ კაცობრიობისა და შესაძლოა ამისთანა ნაყოფი ჯერაც არ მოესხას კაცობრიობას! ეს არის უკვე მიღწეული ფორმა სილამაზისა და ამის გარეშე იქნებ სიცოცხლეს აღარ ვისურვო... ო, ღმერთო ჩემო! - სტეპან ტროფიმოვიჩმა ხელები გაასავსავა, - ათი წლის წინათ ზუსტად ამას ვუკიჟინებდი პეტერბურგში ესტრადიდან, ზუსტად ამ სიტყვებს და ზუსტად ისევე ვერ გამიგეს, ზუსტად ასევე დამცინეს და მისტვინეს მაშინ. ნეტა რით ვერ გაგიგიათ, თქვე ჭკუამოკლე ხალხო? იცით კი, რომ ინგლისელის გარეშე როგორმე კიდევ გაძლებს კაცობრიობა, გერმანიის გარეშეც გაძლებს, რუსი კაცის გარეშე ხომ გაძლებს და გაძლებს, მეცნიერების, პურის გარეშეც გაძლებს, მაგრამ სილამაზის გარეშე ვერ ისულდგმულეხს, რამეთუ მაშინ რაღა გვინდა ამ ქვეყანაზე! ამაშია მთელი საიდუმლოება, მთავარი ეს არის, დიახ, ეს! ეი, თქვენ, მანდ რომ იცინით, იცით კი, რომ მეცნიერებაც წუთით ვერ გაძლებს სილამაზის გარეშე, ეს იქნება ხეპრობა და არა მეცნიერება, ლურსმანსაც ვერ გამოიგონებს!.. ვერა, ვერ დაგითმობთ! - სულელურად დასჭექა ბოლოს და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მუშტი დაახეთქა მაგიდას.

ვინემ სტეპან ტროფიმოვიჩი ასე უთავბოლოდ ღრიალებდა, დარბაზი თანდათან აიშალა. ბევრი ადგილიდან წამოხტა, ბევრმა ესტრადას მოაშურა. მაგრამ ეს იმაზე უფრო სწრაფად მოხდა, ვინემ მე ყვეები, და ზომების მიღება ვეღარ მოასწრეს. მაგრამ იქნებ არც მოისურვეს.

- კარგია, თქვენმა მზემ, მზამზარეულზე გაფარფაშება, თქვე ცულლუტებო თქვენა! - მივარდა ესტრადას ისევ ის სემინარიელი და დიდად კმაყოფილმა დაკრიჭა კბილები. სტეპან ტროფიმოვიჩმა დაინახა და ესტრადის კიდესთან მოიჭრა: - მე არ გამოვაცხადე ახლა, ყმაწვილი თაობის ენთუზიაზმი ისევ სპეტაკი და წმინდაა, როგორც იყო და მხოლოდ სილამაზის შეცდომით გაგება ღუპავს-მეთქი! მეტი რაღა გინდათ? ხოლო თუ ამას გულმოკლეული, შეურაცხყოფილი მამა აცხადებს, მეტი მიუკერძოებელი და აუღელვებელი შეხედულება - ო, ჭკუამოკლენო! - შეიძლება კაცს მოეთხოვოს?.. უმადურნო, უსამართლონო, რატომ, რატომ არ გინდათ მორიგება!

სტეპან ტროფიმოვიჩს უცებ ისტერიკული ტირილი აუვარდა. ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა და თითებით იწმენდა. მთელი ტანი უცახცახებდა... ამ ქვეყანაზე აღარაფერი ახსოვდა.

საზოგადოება შიმშა აიტანა, თითქმის ყველა ადგილიდან წამოხტა. წამოიჭრა იულია მიხაილოვნაც და მეუღლეს ხელი წაატანა სავარძლიდან წამოსაყენებლად... სამარცხვინო სურათი გამოდიოდა.

- სტეპან ტროფიმოვიჩ! - აღტაცებით შებღავლა სემინარიელმა. - აქ, ქალაქის მიდამოებში ფედკა კატორღელი დამრწის, კატორღიდან გამოქცეული, ხალხს მარცვავს და სულ ცოტა ხნის წინათ ხელახლა შეამოაკვდა კაცი. ნება მიბოძეთ გკითხოთ: თუ რომ ამ თხუთმეტი წლის წინათ კარტის ვალისთვის ჯარში არ გეკრათ მისთვის თავი, ერთი სიტყვით, კარტში არ წაგეგოთ, თქვით, მოხვდებოდა კატორღაში თუ არა? გამოჭრიდა თუ არა ხალხს ყელს, როგორც ახლა ჭრის საარსებო ლუკმა-პურისთვის? აბა, ამაზე რას გვიბრძანებთ, ბატონო ესთეტიკოსო?

მე არ ძალმიძს ის აგიწეროთ, რაც ამას მოჰყვება. ჯერ ერთი, გააფთრებული ტაში დასცხეს. ყოველ შემთხვევაში, დარბაზის ერთი მეხუთედი მაინც გახელებით უკრავდა ტაშს. დანარჩენი საზოგადოება გასასვლელს მიაწყდა, ოღონდაც გასვლა ვერ მოახერხეს, - ტაშის დამკვრელნი ესტრადისაკენ მოიწევდნენ. შეიქნა ერთი ჩოჩქოლი და არეულობა. მანდილოსნები კიოდნენ. რამდენიმე ყმაწვილი ქალი ატირდა, შინ გვინდაო. ლემბკე გიჟივით აცეცებდა აქეთ-იქით თვალებს. იულია მიხაილოვნას სულ დაეხრა თავგზა, რაც პირველად დაემართა ჩვენს ქალაქში მოღვაწეობის ჟამს. სტეპან ტროფიმოვიჩი ხომ პირველ წუთს პირდაპირ გაანადგურა სემინარიელის სიტყვებმა, მაგრამ უცებ ორივე ხელი აღაპყრო და იბღავლა: - განვიყრი მტვერსა ფერხთაგან ჩემსა, დამიწყევლიხართ... მორჩა... გათავდა.

მერე გატრიალდა და მუშტების ქნევით გავარდა კულისებში.

- საზოგადოება შეურაცხყო!.. დააბრუნეთ ვერხოვენსკი! - ისმოდა გაშმაგებული ღრიალი. ერთი პირობა უკან გაკიდებაც მოინდომეს. დარბაზის დაწყნარება შეუძლებელი იყო, ყოველ შემთხვევაში, იმ წუთს მაინც. მაგრამ ამით არ დამთავრდა და ერთი ყუმბარა კიდევ გასკდა: მესამე მკითხველი, აი ის მანიაკი, კულისებში რომ მუშტებს იქნევდა, ერთბაშად გამოიჭრა სცენაზე.

სახე მართლა შეშლილს უგავდა. წარმოუდგენელი თავდაჯერებითა და გამარჯვებულის ღიმილით ათვალთვლებდა აჩოჩქოლებულ დარბაზს. თითქოს სიამოვნებასაც ჰგვრიდა ეს არეულობა და არც ის აშინებდა, რომ ამ ალიაქოთში უნდა წაეკითხა. პირიქით, ეტყობა, უხაროდა კიდევ. ამ ამბავმა მყის მიიქცია დარბაზის ყურადღება.

- ეს რაღა უბედურებაა? - დაიძახეს აქეთ-იქიდან. - ეს კიდევ ვინ არის? ჩუ-ჩუ! ნეტა რისი თქმა უნდა?

- ბატონებო! - კარმაზინოვივით დასჩხავლა ესტრადის კიდესთან მდგარმა მანიაკმა, ოღონდ მასავით არ ჩლიფინებდა. - ბატონებო! ოცი წლის უკან, სანამ ნახევარ ევროპასთან ომში ჩაებმებოდა, რუსეთი იდეალს წარმოადგენდა ყველა სტატსკი თუ საიდუმლო მრჩევლის თვალში. ლიტერატურა ცენზურაში მსახურობდა; უნივერსიტეტებში სამხედრო მარშს ასწავლიდნენ; ჯარი ბალეტად იქცა, ხალხი კი ბეგარას იხდიდა და ბატონის მათრახის შიშით კრინტს ვერ სძრავდა. პატრიოტიზმი ცოცხლისა თუ მკვდრისაგან ქრთამის გლეჯა გახდა. ვინც ქრთამს არ იღებდა, მუამბოხეებად ირიცხებოდა, რამეთუ ჰარმონიას არღვევდა. არყის ჭალები ხალხის ჭკუაზე მოყვანას ეწირებოდა. ევროპა თრთოდა... მაგრამ თავისი უაზრო არსებობისათვის წლის მანძილზე რუსეთს არასოდეს არ დასხმია ასეთი თავსლავი...

პროფესორმა მუშტი აღტაცებითა და რისხვით აიქნია და მერე ისეთი გამეტებით დაუშვა, თითქოს მტერი მიწასთან გაასწორაო. გაშმაგებული ღრიალი გაისმა ყოველი მხრიდან, გამაყრუებელმა ტაშმა იგრიალა, ლამის ნახევარი დარბაზი უკრავდა ტაშს. ყოვლად თვინიერი ხალხიც კი აპყოლოდა გულისთქმას: რუსეთი საჯაროდ ილანძღებოდა და მამ აღტაცებით არ ეღრიალათ?

- აი, მესმის! აი, ეს საქმეა! ვაშაა! არა, ეს ესთეტიკა აღარ გახლავთ.

მანიაკმა აღტაცებით განაგრძო: - მას აქეთ განვლო ოცმა წელმა. გამრავლდა უნივერსიტეტები. სამხედრო მარში ლეგენდად იქცა; სრულ კომპლექტს ათასობით

ოფიცერი აკლია. რკინიგზებმა შეიწირა ყოველი სახსარი და რუსეთს ობობას ქსელივით მოედო. ასე რომ, თხუთმეტიოდე წლის შემდეგ კაცი შეიძლება სადმე გაემგზავროს. ხიდები იშვიათად იწვის, ქალაქები კი რიგრიგად იბუგება წესის მიხედვით სახანძრო სეზონებში. სასამართლოებში სოლომონ ბრძენის განაჩენები გამოაქვთ. მსაჯულნი ქრთამს მარტოოდენ არსებობის გულისთვის იღებენ, რა არის შიმშილით არ ამოსძვრეთ სული. ყმები გააზატდნენ და წინანდელი ბატონების ნაცვლად ერთმანეთს დაერივნენ როზგებით. ზღვა არაყი ისმება ბიუჯეტის დასახმარებლად. ხოლო ნოვგოროდში ძველთაძველი და უმაქნისი სოფიას[271] წინ ზეიმით ამართეს ბრინჯაოს ვეება ბურთი[272] აწ გარდასულ უთაურობისა და უწესრიგობის ათასი წლის სამახსოვროდ. ევროპამ წარბი შეიკრა და კვლავაც ღელავს... რეფორმათა თხუთმეტი წელი! თუმცაღა უაზრობის და უთაურობის ყველაზე კარიკატურულ ეპოქაშიაც რუსეთს ასე არასოდეს...

უკანასკნელი სიტყვები ხალხის ღრიალმა შთანთქა. დავინახე მხოლოდ, როგორ ასწია ისევ მუშტი და ერთხელ კიდევ ძლევამოსილად დაუშვა ძირს. აღტაცებამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა: ისმოდა ყვირილი, ტაში, მანდილოსნებიდან ზოგი კიოდა: „საკმარისია! უკეთესს ვერაფერს იტყვით!“ მთვრალეებით იყვნენ ყველანი. ორატორი უცქერდა ხალხს და საკუთარი გამარჯვებით ტკბებოდა. თვალი მოვკარი, ლემბკე რომ წარმოუდგენელი აღლევებით ვიღაცას რაღაცაზე უთითებდა. ფერწასული იულია მიხაილოვნა ჩქარ-ჩქარა ელაპარაკებოდა რაღაცას თავადს... იმავე წუთს კულისებიდან ესტრადაზე ჯგროდ შემოცვივდა ექვსიოდე მეტად თუ ნაკლებ ოფიციალური პიროვნება, ორატორს ხელი ჩაავლეს და კულისებისკენ გააქანეს. ახლაც არ ვიცი, როგორ დაუსხლტა, ეს კია, ისევ ესტრადაზე გამოხტა და მუშტის ქნევით ერთხელ კიდევ დაიღრიალა: - მაგრამ რუსეთს ჯერ არასდროს არ...

ორატორს ისევ დაავლეს ხელი და გაათრიეს. დავინახე, როგორ გაიჭრა თხუთმეტიოდე კაცი კულისებისკენ ორატორის მისაშველებლად და როგორ გადაანგრიეს პატარა ტიხარი... შემდეგ დავინახე, თუმცა თვალებს არ დავუჯერე, როგორ გამოხტა საიდანღაც ესტრადაზე ჩაპუსკუნებული სტუდენტი ქალი (ვირგინსკის ნათესავი), ისევე ჩაცმული, ისევე აწითლებული და იმავე შეხვეულით ილღის ქვეშ. ირგვლივ ორი-სამი ქალი და ორი-სამი კაცი ეხვია. იქ იყო მისი მოსისხლე მტერი გიმნაზიელიც. გავიგონე მხოლოდ: - ბატონებო, მე ჩამოვედი უბედური სტუდენტების ტანჯვის ამბავი მემცნო და ყველგან აგვემხედრებინა ისინი...

მაგრამ მე უკვე გავრბოდი. ბაფთა ჯიბეში დავმალე და ჩემთვის ნაცნობი უკანა გასასვლელებით ქუჩაში გამოვადწიე. რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, სტეპან ტროფიმოვიჩს მივაშურე.

თავი მეორე. ზეიმის დასასრული

I

სტეპან ტროფიმოვიჩმა კარი არ გამიღო. ჩაკეტილში იჯდა და წერდა. მეორედ რომ მივუკაკუნე, ოთახიდან გამომძახა: - მე ყველა ანგარიში გავასწორე, მეგობარო, სხვა რაღა გინდათ ჩემგან?

- არაფერიც არ გაასწორეთ, მხოლოდ ჩაფუშეთ ყველაფერი. ღვთის გულისათვის, კალამბურებს მოეშვით ახლა, სტეპან ტროფიმოვიჩ, კარი გამიღეთ. უნდა ვიღონოთ რამე; შეიძლება აქ მოგადგნენ და შეურაცხყოფა მოგაყენონ.

მე მოვალ ვთვლიდი ჩემს თავს მკაცრად მოვქცეოდი. მეშინოდა, ამაზე მეტი უგუნურება არ ჩაედინა. ჩემდა გასაკვირად, უჩვეულო სიმტკიცეს წავაწყდი: - თქვენ პირველი ნუ მაყენებთ შეურაცხყოფას. წინანდელზე დიდ მადლობას მოგახსენებთ, ოღონდ ისევ გიმეორებთ, მე ყველას გავუსწორე ანგარიში, მტერსაც და მოყვარესაც. ახლა დარია პავლოვნას ვწერ, აქამდე უსინდისოდ მყავდა მივიწყებული. გნებავთ, ხვალ მოდით და წაუღეთ, ახლა კი „merci“.

- სტეპან ტროფიმოვიჩ, დამიჯერეთ, საქმე იმაზე უარესადაა, ვინემ თქვენ ფიქრობთ. ხომ არ გგონიათ, ვინმე გაანადგურეთ იქ? არავინაც არ გაანადგურეთ, ცარიელ შუშის ბოთლივით თვითონვე დაიმსხვერით. (ო, მე ისე უდიერად ველაპარაკე, გული მტკივა ამის გახსენებაზე!) დარია პავლოვნასთანაც სრულიად არაფერი გაქვთ მისაწერი... ან უჩემოდ რას გააწყობთ?! რა გესმით პრაქტიკული ცხოვრებისა? ალბათ კიდევ რაღაც გაქვთ განზრახული? იცოდეთ, ხელახლა გაიბამთ თავს მახეში, თუ კვლავაც რამე დააპირეთ...

სტეპან ტროფიმოვიჩი კარს მოადგა.

- რა მალე გადაგიღიათ მათი ენა და სტილი. Dieu vous pardonne, mon ami, et Dieu vous garde[273]. რომ წესიერი კაცი იყავით მაინც, ამას ყოველთვის გატყობდით, ეგებ კიდევ გეშველოთ რამე და გონზე მოხვიდეთ, après le temps[274], ცხადია, როგორც რუსებს მოგვდგამს ხოლმე. რაც შეეხება თქვენს სიტყვებს ჩემს არაპრაქტიკულობაზე, ერთ ჩემს დიდიხნის მოსაზრებას მოგაგონებთ: ამ ჩვენს რუსეთში ბევრს ხელობად გაუხდია სხვის არაპრაქტიკულობას მიაფრინდნენ ზაფხულის ბუზებივით და ყველას ეს სენი შესწამონ საკუთარი თავის გარდა. Cher, გაიხსენეთ, რა აღელვებული ვარ და ნულარ მაწამებთ. კიდევ ერთხელ მომიხსენებია merci ყველაფრისათვის. დავშორდეთ ისე, როგორც კარმაზინოვი საზოგადოებას, ანუ რაც შეიძლება სულგრძელად დავივიწყოთ ერთმანეთი. რომ შეეხვეწა თავის ყოფილ მკითხველებს, დამივიწყეთო, ეგ სულ ცბიერება იყო მაგისი; quant a moi[275], ამდენი თავმოყვარეობა არ მაწუხებს და უფრო თქვენი გამოუცდელი გულის იმედი მაქვს: აბა სად გეხსომებათ ერთი გამოუსადეგარი მოხუცი? „მეტი იცხოვრეთ“ ჩემო მეგობარო, როგორც შარშან დღეობაზე მისურვა ნასტასიამ (ces pauvres gens ont quelquefois des mots charmants et pleins de philosophie[276]). სულ ბედნიერი იყავით მეთქი, არ გისურვებთ - მოგწყინდებათ; არც უბედურებას გისურვებთ; უბრალოდ, გაგიმეორებთ ამ ხალხურ სიბრძნეს: „მეტი იცხოვრეთ“ და ეცადეთ როგორმე ძალიან არ მოიწყინოთ, ამ ფუჭ სურვილს ჩემდათავად ვამატებ. აბა მშვიდობით, მართლაც მშვიდობით. ტყუილად ნუ დგახართ, კარს არ გაგიღებთ.

სტეპან ტროფიმოვიჩი კარს მოშორდა. ამაზე მეტს ვერაფერს მივაღწიე. „აღელვების“ მიუხედავად დალაგებით, დინჯად და აუჩქარებლად ლაპარაკობდა, ეტყობა, ჩემი ჩაგონება სურდა. რა თქმა უნდა, ცოტა ნაწყენი იყო ჩემზე და ნაწილობრივ ჯავრი

უნდოდა ეყარა გუშინდელი „კიბიტკებისა“ და „როზგების“ გამო. ისიც იცოდა, ამდილანდელი საჯაროდ დაღვრილი ცრემლი, ერთგვარი გამარჯვების მიუხედავად, ცოტა სასაცილო მდგომარეობაში აგდებდა, სტეპან ტროფიმოვიჩი კი ისე ზრუნავდა მეგობრობაში ლამაზი, უნაკლო ფორმების შენარჩუნებაზე, როგორც არავინ. ო, მე არ ვადანაშაულებ, არა! მაგრამ იმ თავზარის შემდეგ მაინც რომ ჰქონდა ამაზე ფიქრის თავი და არც სარკაზმი დავიწყებოდა, ამან იყო გული რომ დამიმშვიდა: კაცი რომ ასე ლაპარაკობს და ასე იქცევა, ტრაგიკულსა და უჩვეულოს ამ წუთში არას ჩაიდენს-მეთქი. ასე განვსაჯე მაშინ და, ღმერთო ჩემო, რარიგ მოვტყუვდი! რამდენი რამ აღარ გავითვალისწინე...

გავუსწრებ თხრობას და რამდენიმე სტრიქონს მოვიყვან დარია პავლოვნას წერილიდან, რომელიც მართლაც მეორე დღესვე მიიღო ქალმა.

„Mon enfant, ხელი მიკანკალებს, მაგრამ ყველა ანგარიში კი გავასწორე. ჩემს უკანასკნელ ბრძოლას თქვენ არ დასწრებინართ; არ მობრძანდით ამ „კითხვაზე“ და კარგიც ჰქენით. მაგრამ გიამბობენ ალბათ, რომ ადამიანებით გაღარიბებულ ჩვენს რუსეთში მაინც აღმოჩნდა ერთი გულმაგარი კაცი და ამ რეგვენებს პირში მიახალა, რეგვენები ხართო, მიუხედავად იმისა, ყოველი მხრიდან სიკვდილით ემუქრებოდნენ. O, ce sont des pauvres petits vauriens et rien d plus, des petits რეგვენები - voila le mot![277] ჩემი ბედი გადაწყვეტილია; მე სამუდამოდ ვტოვებ ამ ქალაქს და მივდივარ, თვითონაც არ ვიცი, სად. ვინც მიყვარდა, ყველამ მიღალატა. მაგრამ თქვენ, უმწიკვლო და უმანკო არსებას, უსათნოეს ადამიანს, ვისი ბედიც ერთი ჟინიანი, თავნება გულის ახირებით კინალამ ჩემს ბედს დაუკავშირდა და ვინც ალბათ ზიზლით მიცქერდა, როგორ ვღვრიდი ლაჩრულ ცრემლს ჩვენს ჩაშლილ ქორწინებამდე, თქვენ, ვისაც არ შეიძლება სასაცილო კაცად არ გჩვენებოდით, როგორიც არ უნდა იყოთ, თქვენ გეკუთვნით ჩემი გულის უკანასკნელი ამოძახილი, მხოლოდ თქვენ წინ ვიხდი უკანასკნელ ვალს! არ მინდა ჩემზე საუკუნოდ უმადურის, უვიცის, ეგოისტისა და ბრიყვის წარმოდგენა დაგრჩეთ, როგორც ალბათ ყოველ ცისმარე დღე ჩაგჩიჩინებთ ერთი უმადური ქვა გული, ვისი დავიწყებაც, ვაჰმე, მაინც ვერ შევძელ...“

აი, ასე და ამდაგვარად იყო გაჭრელებული კარგა მოზრდილი ქალაღდის ოთხი ფურცელი.

მისი სიტყვების საპასუხოდ, კარს არ გაგიღებთო, სამჯერ მივუბრაახუნე მუშტი კარზე, მივაძახე, თქვენ თვითონ დღესვე სამჯერ გამომიგზავნით ნასტასიას, ოღონდ მე აღარ მოვალ-მეთქი, და საჩქაროდ იულია მიხაილოვნასკენ გავქანდი.

II

იქ აღმაშფოთებელ სურათს შევესწარი: საწყალ ქალს უსინდისოდ ატყუებდნენ და მე კი ვერაფერი მეშველა. მართლაც რა უნდა მეთქვა მისთვის? ამ ხანში ცოტა გონს მოვედი და განვსაჯე, ეს მხოლოდ ჩემი ეჭვებია, ჩემი შეგრძნებები და მეტი არაფერი-მეთქი. იულია მიხაილოვნა ატირებული დამხვდა, ისტერიკა მორეოდა, ოდეკალონის საფენებით და წყლით ასულიერებდნენ. ახალგაზრდა ვერხოვენსკი თავზე დადგომოდა და გაუჩერებლივ ქაქანებდა. თავადიც იქვე იყო, პირზე თითქოს კლიტე დაედო. იულია მიხაილოვნა ცრემლმორეული აყვედრიდა ახალგაზრდა ვერხოვენსკის „ღალატს“. იმან უფრო გამოაცა, რომ დღევანდელ მარცხს, სირცხვილს,

ერთი სიტყვით, ყველაფერს მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდა ვერხოვენსკის დაუსწრებლობას აწერდა.

ერთი დიდი ცვლილება შევამჩნიე ახალგაზრდა ვერხოვენსკისაც: რაღაც მეტისმეტი დაფიქრება და თითქმის სიდინჯე ეტყობოდა. ჩვეულებრივ ხომ ყველაფერზე სულ კბილებს კრეჭდა, გინდაც გაბრაზებული ყოფილიყო, ბრაზი კი ხშირად ერეოდა. ო, გაბრაზებული ახლაც ჩანდა, უხეშად, მოუთმენლად, გულმოსულად ლაპარაკობდა. ირწმუნებოდა, დილას შემთხვევით გაგანოვს შევუარე და იქ თავის ტკივილი და გულისრევა ამიტყდაო. მერედა, როგორ უნდოდა იულია მიხაილოვნას, რომ მოეტყუებინათ! ახლა ეს მთავარი საკითხი ირჩეოდა: შემდგარიყო თუ არა მეჯლისი ანუ ზეიმის მეორე ნახევარი? იულია მიხაილოვნა დიდ უარზე იდგა. „ამდენი შეურაცხყოფის“ შემდეგ არაფრის დიდებით არ წავალო. მოკლედ, სულით და გულით უნდოდა აეძულებინათ წასვლა და ისიც უთუოდ პიოტრ სტეპანოვიჩს. როგორც მისანს, ისე შეჰყურებდა თვალ-წარბში და ალბათ ლოგინადაც ჩავარდებოდა, ვერხოვენსკი რომ წასულიყო. მაგრამ იმას აზრადაც არ ჰქონდა წასვლა: თავგადაკლული ცდილობდა მეჯლისი შემდგარიყო და უთუოდ იულია მიხაილოვნა დასწრებოდა ამ მეჯლისს...

- აბა რა გაქვთ სატირალი! მაინცდამაინც სცენა გინდათ გამართოთ? ჯავრი ვინმეზე ამოიყაროთ?! კი, ბატონო, ჩემზე ამოიყარეთ, ოღონდ მალე, თორემ დრო მიდის. რაც დილით გავაფუჭეთ, საღამოს მეჯლისით გამოვასწორებთ. აი, თავადიც ამ აზრის გახლავთ. არ ყოფილიყო თავადი, ერთი ვნახავდი, რა გემშველებოდათ და რით დამთავრდებოდა ეს ამბები?

თავადი პირველად მეჯლისის წინააღმდეგი იყო (ანუ იულია მიხაილოვნას მეჯლისზე დასწრებას არ ემხრობოდა, თორემ მეჯლისი ასე თუ ისე მაინც უნდა შემდგარიყო). მაგრამ ორჯერ-სამჯერ რომ მისი აზრი დაიმოწმეს, თანხმობის ნიშნად რაღაც წაიზმუვლა.

სახტად დამტოვა აგრეთვე ახალგაზრდა ვერხოვენსკის უჩვეულოდ უზრდელმა კილომ. ო, მე აღშფოთებით უარვყოფ და არამც და არამც არ დავიჯერებ იმ სამაგელ ჭორებს, რაც შემდეგ გაავრცელეს იულია მიხაილოვნასა და ახალგაზრდა ვერხოვენსკიზე. ამის მსგავსი არაფერი ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო. უბრალოდ, იგი თავიდანვე ყველაფერში თვითონვე უთხზავდა ამ გეგმებს, უხეშად ეპირფერებოდა, ამ პირფერობით ხელში ჩაიჭირა და მისთვის ჰაერივით აუცილებელი გახდა.

- აი, თუ გინდათ ამას ჰკითხეთ, - შესძახა ჩემს დანახვაზე თვალეზანთებულმა იულია მიხაილოვნამ: - თავადივით ეგეც არ მომშორებია წუთით. აბა თქვით, იყო თუ არა ეს ამკარა შეთქმულება, უსინდისო, ვერაგული შეთქმულება, რომ ჩემთვის და ანდრეი ანტონოვიჩისთვის რაც შეიძლება მეტი ევნოთ? ო, პირი ჰქონდათ შეკრული! გეგმა ჰქონდათ შედგენილი. ეს პარტიაა, მთელი პარტია!

- მეტისმეტად შეტოპეთ თქვენებურად. სულ პოემები გიტრიალებთ თავში. მიხარია, ეს ბატონი რომ შემოგვესწრო (თითქოსდა დაავიწყდა ჩემი გვარი), ვინაიდან თავის აზრს გვეტყვის.

- მე ყველაფერში იულია მიხაილოვნას ვეთანხმები, - არ დავაყოვნე მეც, - შეთქმულება მეტისმეტად აშკარა გახლდათ. აი, ეს ბაფთები მოგიტანეთ, იულია მიხაილოვნა. რა თქმა უნდა, ჩემი საქმე არაა, შედეგება თუ არა მეჯლისი, მაგრამ მე წესრიგის გამრიგეობას აღარ ვიკისრებ... მაპატიეთ ეს ჩემი სიფიცხე, მაგრამ რასაც ჭკუა და რწმენა მიკარნახებს, იმას ვერ ვუღალატებ.

- გესმით, გესმით! - გაასავსავა ხელები იულია მიხაილოვნამ.

ვერხოვენსკი მე მომიბრუნდა: - მესმის და აი, რას გეტყვით: ჩემი აზრით, ყველას რაღაც გიჭამიათ და დაგიჟებულხართ. მე თუ მკითხავთ, არაფერი ისეთი არ ყოფილა, სრულიად არაფერი, რაც წინათ არ მომხდარა ამ ქალაქში. ნეტა რა შეთქმულებაზე მელაპარაკებით? კი, ულამაზოდ, სამარცხვინოდ და ბრიყვულად გამოვიდა, მაგრამ შეთქმულებას სად ხედავთ? ისიც იულია მიხაილოვნას, მათი მფარველის, მათი გამანებივრებლის წინააღმდეგ, ვინც ყოველგვარ ოინბაზობას შეუნდობდა და აპატიებდა ხოლმე? იულია მიხაილოვნა! აბა რაზე ჩაგჩიჩინებდით მთელი ეს თვე? რაზე გაფრთხილებდით? აბა რაში გჭირდებოდათ, რას გადაეკიდეთ ამ კაცუნებს! რატომ, რისთვის? საზოგადოების შესაერთებლად? იწამეთ ღმერთი, მათი შეერთება ვის გაუგონია!

- როდის მაფრთხილებდით? პირიქით, ყველაფერს მიწონებდით, ძალას მატანდით კიდევ... უნდა გამოგიტყდეთ, მაკვირვებთ პირდაპირ... თქვენ თვითონ არ მოგყავდათ ჩემთან ის უცნაური ხალხი?

- პირიქით, კი არ გიწონებდით, გედავებოდით. ისე კი მართლა მომყავდა, მაგრამ როდის? როცა ეგენი უკვე ბლომ-ბლომად ირეოდნენ აქ, ისიც მხოლოდ უკანასკნელ ხანს, „ლიტერატურის კადრილის“ შესადგენად მოგგვარეთ. იმ ხეპრეების გარეშე რას გავაწყობდით? მაგრამ თავს დავდებ, თუ დღეს ოციოდე ასეთი ხეპრე უბილეთოდ არ შეამძვრინეს.

- ნამდვილად, - დავუმოწმე მე.

- აი, ხომ ხედავთ, თქვენც მეთანხმებით. ისიც გაიხსენეთ, ამ უკანასკნელ ხანს რა განწყობა სუფევდა აქ, ამ უბადრუკ ქალაქში? ეს ყველაფერი ხომ გაუთავებელ თავხედობასა და უსირცხვილობაში გადაიზარდა. მერედა ვისი წაქეზებით? ვის ავტორიტეტს აფარებდნენ თავს? ვინ აურია ყველას თავგზა? ვინ გააბრაზა ეს წვრილფეხობა? განა თქვენს ალბომში არაა ყველა აქაური საოჯახო საიდუმლო გამოჭენებული? თქვენ არ უსვამდით თავზე ხელს ამ პოეტებსა და მხატვრებს? თქვენ არ აძლევდით ლიამშინს ხელს საამბოროდ? თქვენი თანდასწრებით არ იყო, სემინარიელმა ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი რომ გალანძღა და მის ქალს კი კუპრიანი ჩექმებით კაბაზე შეადგა? ახლა რაღად გიკვირთ, რომ საზოგადოება თქვენ წინააღმდეგ ამხედრდა?

- ღმერთო ჩემო, ეს სულ თქვენი მიზეზით იყო, სულ თქვენი მიზეზით!

- არა, ბატონო, მე გაფრთხილებდით, სულ გეჩხუბებოდით, გესმით, სულ გეჩხუბებოდით!

- პირში როგორ მეუბნებით ასეთ ცოცხალ ტყუილს!

- ჰო, რასაკვირველია, მეტი რაღა გეთქმით. ახლა ჯავრის ამოსაყრელად გჭირდებათ ვინმე; კი, ბატონო, ჩემზე ამოიყარეთ-მეთქი, აკი გითხარით. მოდით, თქვენ განგვსაჯეთ, ბატონო... (ჩემი გვარი ვერა და ვერ მოიგონა). აბა თითებზე ჩამოვთვალეთ: მე ვამტკიცებ, რომ ლიპუტინის გარდა შეთქმულება არავითარი არ ყოფილა, არა-ვი-თა-რი! ამას დაგიმტკიცებთ, ოღონდ ჯერ ლიპუტინის საქმე გავარჩიოთ. ვთქვათ და იმ რეგენი ლეზიადკინის ლექსებით გამოვიდა - მერედა ეს არის, თქვენი აზრით, შეთქმულება? სულ ადვილი შესაძლებელია, ლიპუტინს ეს დიდი ჭკუამახვილობად ჩათვალა, დიახ, დიახ, ჭკუამახვილობად. ალბათ ეგონა, ყველას გავაცინებ და გავამხიარულებო, პირველ ყოვლისა კი ჩვენს მწყალობელ იულია მიხაილოვნასო, ეს არის და ეს. არ გჯერათ? იმასაც იტყვი, მთელი თვე აქ გამეფებულ განწყობას არ შეეფერებოდაო? გინდათ ყველაფერი გითხრათ: ღმერთმანი, სხვა დროს, ვინ იცის, ყველაფერს კარგად ჩაევლო! კი, უხეში იყო, გადამლაშებულ იც, მაგრამ ხომ იყო სასაცილო, იყო თუ არა სასაცილო?

იულია მიხაილოვნა საშინლად აღშფოთდა.

- როგორ, ლიპუტინის საქციელზე მეუბნებით, ჭკუამახვილი იყო? ამ ბრიყვობაზე, უტაქტობაზე, სულმდაბლობასა და უსინდისობაზე ამბობთ ამას? ეს ბოროტი განზრახვა მიგაჩნიათ გონებამახვილურად? ო, განგებ ამბობთ! მაშ თქვენც პირი გქონიათ მათთან შეკრული!

- კი, კი, უთუოდ, მე ვიყავი უკან ჩასაფრებული, ყველაფერს მე ვატრიალებდი! ის მაინც როგორ არ გესმით, მე რომ ამ შეთქმულებაში ვყოფილიყავი გარეული, მარტო ლიპუტინით არ დამთავრდებოდა საქმე! მაშ, თქვენი აზრით, ჩემს მამიკოსთანაც მე ვიყავი მოლაპარაკებული, ამისთანა აურზაური ატეხე-მეთქი? აბა თქვით, ვისი ბრალია, რომ ჩემი მამილო სცენაზე გამოუშვეს? ვინ გიშლიდათ გუშინ, ჯერ კიდევ გუშინ, ვინ?

- Oh, hier il avait tant d'esprit, [278] როგორი იმედი მქონდა მისი, თავდაჭერაც კარგი აქვს: მე მეგონა, ისა და კარმაზინოვი... ბოლოს კი რა გამოვიდა.

- დიახ, ბოლოს კი რა გამოვიდა. მაგ tant d'esprit-ის მიუხედავად, მამილომ ყველაფერი აამტუტა. ჰოდა, მე რომ წინასწარ მცოდნოდა, ასე აამტუტებდა ყველაფერს, თქვენი ზეიმის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მონაწილე რომ ვყოფილიყავი, ხომ აღარ დაგიშლიდით გუშინ, თხა ბოსტანში არ შეუშვათ-მეთქი, ასეა თუ არა? მე კი გუშინ დაგიშალეთ, დიახ, დაგიშალეთ, იმიტომ რომ გული მიგრძნობდა. ყველაფრის წინასწარ გათვალისწინება, ცხადია, შეუძლებელია. ალბათ თვითონაც არ იცოდა, ერთი წუთის წინ რას დაახეთქებდა. ეს ნერვებაშლილი ბებრუცუნები ხომ ადამიანებს არ ჰგვანან! მაგრამ საქმეს კიდევ შეიძლება მოევლოს: საზოგადოების დასაკმაყოფილებლად ხვალვე ორი ექიმი გაუგზავნეთ ადმინისტრაციული წესით ჯანმრთელობის გამოსარკვევად, თუმცა ეს დღესაც შეიძლება მოგვარდეს, და საავადმყოფოში გადაგზავნეთ ცივ-ცივი ტილოების დასადებად. ყოველ შემთხვევაში, ნახვევს, საწყენად არ ღირდაო, და გაეცინებათ. ამას დღესვე მეჯლისზე გამოვაცხადებ, როგორც მისი ვაჟი. სხვა საქმეა კარმაზინოვი. უჭკუო ჩოჩორივით მთელი საათი გააჯანჯალა თავისი წერილი, - აი ვინ იყო, თუ იყო ჩემთან შეთქმული! მოდი, მეც ავამტუტებ აქაურობას და იულია მიხაილოვნას საქმეს გავაფუჭებო?

- ოჰ, კარმაზინოვს ნუ გამახსენებთ, quelle honte![279] პირდაპირ სირცხვილით დავიწვი ჩვენი საზოგადოების მაგიერ!

- მე კი სულაც არ დავიწვებოდი, მაგასვე შევეტრუსავდი ცეცხლზე. საზოგადოება მართალი იყო. მერე ვისი ბრალია კარმაზინოვის ამბავი? მე მოგახვიეთ თავზე? მეც თქვენსავით ვაღმერთებდი? თუმცა ჯანდაბას მისი თავი. იმ მესამე მანიაკს რაც შეეხება, ეს სხვა ამბავია. ეს არა მარტო ჩემი შეთქმულების ბრალია, აქ ყველანი შევცდით.

- აჰ, არ მითხრათ, რა საშინელებაა. რა საშინელება! ამაში მე ვარ დამნაშავე, მარტო მე!

- რასაკვირველია, ოღონდ მაგ ერთ ამბავში კი გაგამართლებთ. ეე, მაგ გულახდილი ხალხის ამბავს ვინ გაიგებს! ვის შეუძლია მათი მომწყემსვა! მაგათგან ვერც პეტერბურგში დაიზღვევენ თავს. არა, რა ამბით გაგვაცნეს მაინც ეგ კაცი! ჰოდა, უნდა დამეთანხმოთ, რომ ახლა მოვალეცა ხართ მეჯლისზე წაბრძანდეთ, პატარა ამბავი კი ნუ გგონიათ, კათედრაზე ეგ თქვენი მეოხებით ავიდა. ამიტომ თქვენვე უნდა განაცხადოთ ახლა საჯაროდ, რომ არაფერი იცოდით, რომ ეს ვაჟბატონი უკვე პოლიციის ხელშია, თქვენ კი უსინდისოდ მოგატყუეს. უნდა აღშფოთება გამოთქვათ, რომ გიჟის მსხვერპლი გახდით. ვინაიდან ის მართლა გიჟია და მეტი არაფერი. ასეც უნდა მოახსენოთ იმაზე. მაგისთანა კბენია ხალხი ჭირივით მძულს. იქნებ მე უარესებს ვლაპარაკობ, ოღონდ კათედრიდან კი არა. იმ სენატორის ამბავი მაინც არ ეკეროს ახლა ყველას პირზე.

- რომელი სენატორის? რას ამბობთ?

- მეც ვერაფერი გამიგია. არა, მართლა არაფერი გსმენიათ იმ სენატორზე, იულია მიხაილოვნა?

- სენატორზეო?

- დარწმუნებით ამბობენ, ვითომ პეტერბურგიდან აქ სენატორი დანიშნეს თქვენ მაგიერ. ბევრმა მითხრა უკვე.

- მეც მითხრეს, - კვერი დავუკარი მე.

- მაგას ვინ ამბობს? - აპილპილდა იულია მიხაილოვნა.

- ესე იგი, პირველმა ვინ თქვა? მე რა ვიცი. ამბობენ კი. ხალხი ამბობს, მეტადრე გუმინ ჭორაობდნენ. რაღაც მართალს კი ჰგავს, თუმცა ვერაფერს გაიგებ. რა თქმა უნდა, უფრო ჭკვიანი და კომპეტენტური ხალხი გაჩუმებულია, მაგრამ ყური კი დაცქვეტილი აქვთ.

- რა სიმდაბლე და... სისულელეა!

- ჰოდა, მაგ ბრიყვების ჯიბრზე სწორედ ახლა უნდა წაბრძანდეთ.

- მართალი გითხრათ, მეც ვგრძნობ, რომ მოვალე ვარ, მაგრამ... ვაითუ ისევ გაწვბილდე? ვაითუ არ შეგროვდეს ხალხი? აბა ვინ მოვა, არავინაც არ მოვა, არავინ!

- რა უცხად იცით ხოლმე გაფიცება! ისინი და არ მოვლენ? შეკერილ ახალ კაბებსა და მორთულ-მოკაზმულ ქალიშვილებს რაღას უზამენ? ამის შემდეგ კიდევ იტყვი, ქალი ვარ და ადამიანებს ვიცნობო!

- წინამძღოლის ცოლი არ მოვა, არა!

- ბოლოს და ბოლოს რა მოხდა ასეთი! ვითომ რატომ არ მოვლენ? - შესძახა გაბოროტებით და მოუთმენლად ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ.

- რა მოხდა? შევრცხვით და თავი მოგვეჭრა. აი, რა მოხდა. რა იყო, არ ვიცი. მაგრამ ჩემი იქ წასვლა შეუძლებელია.

- რატომ? რა თქვენი ბრალია მაინც? რატომ იბრალეხთ თქვენს თავზე? განა მეტი დანაშაული საზოგადოებას, თქვენს ბერიკაცებს, თქვენი ოჯახის მამებს არ მიუძღვით? არამზადები და სალახანები მაგათ უნდა მოეთოკათ, - ვინაიდან ეს ყველაფერი არამზადების და სალახანების საქმე იყო, სხვა არაფერი. არსად, არც ერთ საზოგადოებაში მარტო პოლიცია ვერაფერს გააწყობს. ჩვენში ყველა თხოულობს, სადმე თუ წავა, საგანგებო ზედამხედველი გააყოლონ დასაცავად. ის არ ესმით, რომ საზოგადოებამ თვითონ უნდა დაიცვას თავი. რას მიკეთებენ თქვენი დიდკაცები, ოჯახის მამები, ცოლები, ქალები ამისთანა შემთხვევაში? ხმას გაიკმენდენ და ცხვირს ჩამოუშვებენ. საზოგადოებრივი ინიციატივა ოინბაზების ასალაგმავადაც არ გვყოფნის.

- ოჰ, ეგ მართალი თქვით! დიახ, ხმას გაიკმენდენ, ცხვირს ჩამოუშვებენ... და თვალებს აცეცებენ.

- ჰოდა, თუ მართალია, სწორედ ეგ უნდა გამოთქვას ხმამაღლა, ამაყად და გოროზად, სწორედ იმ ბებრუცუნებსა და ოჯახის დედებს უნდა აჩვენოთ, რომ არ დამარცხდით. ოო, ვიცი, მაგას კი მოახერხებთ, მაგის ნიჭი კი მოუცია თქვენთვის ღმერთს, თუ არაფერი აგაღელვებთ. ამ სიტყვებით კვლავ ირგვლივ შემოიკრებთ ყველას, მერე კორესპონდენციები გავგზავნოთ „გოლოსსა“ და „ბირჟევიე“ [280]-ში. მოიცათ, მე მოვკიდებ ამ საქმეს ხელს, ყველაფერს მე მოგიწყობთ; რა თქმა უნდა, მეტი ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ, ბუფეტს თვალი არ მოვაშოროთ; ვთხოვოთ თავადს, ვთხოვოთ ბატონ... არა, monsieur, ვერ გაგიშვებთ, ვერა, ახლა ხელახლა ვიწყებთ ყველაფერს. მერე კი თქვენც გამოჩნდებით ანდრეი ანტონოვიჩთან ხელგაყრილი. ანდრეი ანტონოვიჩი როგორა გრძნობს თავს?

- ოო, რა უსამართლოდ, რა მცდარად სჯიდით მუდამ ამ ანგელოზ კაცზე! - მოულოდნელად აღმოხდა ლამის ცრემლმორეულ იულია მიხაილოვნას და ცხვირსახოცი თვალებთან მიიტანა. ახალგაზრდა ვერხოვენსკის წამით ენა დაემა. - რას ბრძანებთ... როდის იყო... მე მუდამ...

- არასოდეს, არასოდეს არ აფასებდით ამ კაცს!

- ქალისას ვერაფერს გაიგებ! - ჩაიბურღლუნა ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ და ნაძალადევად გაიღიმა.

- ის არის ყველაზე მართალი, ყველაზე გულისხმიერი, ანგელოზივით ადამიანი! კეთილზე კეთილი!

- რა ბრძანებაა. სიკეთეზე მე როდის მითქვამს რამე.. სიკეთეზე მე მუდამ...

- არასოდეს! მაგრამ მოვეშვათ. ჩემგან მისი დაცვა უხერხულია. წელან იმ იეზუიტმა წინამძღოლის ცოლმაც რამდენიმე გესლიანი სიტყვა გადმომკრა გუშინდელზე.

- ოო, იმას ახლა გუშინდელისთვის არ სცხელა, დღეს სხვა დარდი აქვს. ან რაში განაღვლებთ, თუ მეჯლისზე არ მოვა? რასაკვირველია, არ მოვა, ისეთ ხათაბალაში გაეზა. დამნაშავეც რომ არ იყოს, სახელი მაინც გაუტყდება, მაინც გაისვრება.

იულია მიხაილოვნამ გაოგნებით შეხედა: - არ მესმის, რას მეუბნებით; რატომ გაისვრება ვითომ?

- მე ხომ დანამდვილებით არაფერს ვამბობ. თუმცა ქალაქში კი ერთი განგაშია, ეგ მაჭანკლობდაო.

- რაო? ვის მაჭანკლობდაო?

- ერიჰაა, მაშ არაფერი იცით? - ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ ჩინებულად გაითამაშა გაკვირვება. - ვისა და სტავროგინსა და ლიზავეტა ნიკოლაევენას!

- როგორ? რაო? - მივამახეთ ყველამ.

- არა, მართლა არ იცით? ჰე-ჰე! აქ ხომ ტრაგიკული მოვლენები დატრიალდა: ლიზავეტა ნიკოლაევენა წინამძღოლის ცოლის კარეტიდან პირდაპირ სტავროგინს ჩაუხტა კარეტაში და „ამ უკანასკნელთან“ ერთად გაიპარა სკვორეშნიკში დღისით, მზისით, ამ ერთი საათის წინ, საათიც კი არ იქნება.

ყველა სახტად დავრჩით. თავისთავად ცხადია, უმაღლესი კითხვები დავაყარეთ. მაგრამ, ჩვენდა გასაკვირად, დაწვრილებით ვერც იმან თქვა ვერაფერი, თუმცაღა „შემთხვევითი“ მოწმე ყოფილიყო. საქმე თითქოს ასე მომხდარა: წინამძღოლის ცოლს ლიზა და მავრიკი ნიკოლაევიჩი „დილანდელი ზეიმიდან“ ლიზას დედასთან მოუყვანია (ქ-ნ დროზდოვას ისევ ფეხები სტკიოდა). სადარბაზოს ახლოს, ასე ოცდახუთი ნაბიჯის მოშორებით თურმე ვილაცის კარეტა იცდიდა. ლიზა სადარბაზოსთან ჩამოხტა და პირდაპირ იმ კარეტისკენ გაქანდა. კარეტის კარი გაიღო და დაიკეტა. „შემინდე!“ - დაუძახა თურმე ლიზამ მავრიკი ნიკოლაევიჩს და კარეტაც სკვორეშნიკისაკენ გაქანდა. ჩვენს შეკითხვებზე: „შეპირება ხომ არ ყოფილა? კარეტაში ვინ იჯდა?“ - ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ თქვა, ჯერ არაფერი ვიციო; რა თქმა უნდა, შეპირება იქნებოდა, ოღონდ სტავროგინი კარეტაში ვერ დავინახე. იქნებ მისი ბებერი კამერდინერი ალექსეი ეგოროვიჩი იჯდაო. რომ ვკითხეთ: „იქ როგორ აღმოჩნდით ან საიდან იცით დანამდვილებით, სკვორეშნიკში რომ წავიდნენ?“ - თქვა, იმ ქუჩაზე მივდიოდი, ჰოდა, ლიზა რომ დავინახე, კარეტასთან მივირბინე (მიირბინა და მისი ცნობისმოყვარეობის პატრონმა შიგ ვინ იჯდა, ვერ დაინახა!). რაც შეეხება მავრიკი ნიკოლაევიჩს, იგი არათუ უკან გაეკიდა ლიზას, პირიქით, წინამძღოლის ცოლი რომ აკივლდა: „სტავროგინთან გაიქცა, სტავროგინთან!“ - თვითონვე გააჩერაო. მაშინ კი გული მომეზჯინა ყელში.

- ეს ყველაფერი შენი მოწყობილია, შე გაიძვერავ შენა! მთელი დილა ამას შესწირე. სტავროგინს შენ დაეხმარე, შენ მოდი კარეტით და შენვე ჩასვი შიგ ლიზა... შენ, შენ და

შენ! იულია მიხაილოვნა, ეგ თქვენი მტერია, ეგ თქვენც დაგლუპავთ! უფრთხილდით!
- მივაძახე გაცოფებულმა და უკანმოუხედავად გამოვვარდი სახლიდან.

აქამდე მიკვირს, ეს როგორ მივახალე პირში. მაგრამ სწორად კი გამოვიცანი: როგორც შემდეგში აღმოჩნდა, ყველაფერი ისე მომხდარა, როგორც ვუთხარი. რაც მთავარია, სიყალბე ამ ამბის გადმოცემაში ემჩნეოდა. მოსვლისთანავე კი არ მოგვიყვა ამისთანა ცინცხალი ამბავი, თავი მოიკატუნა, ვითომც უმისოდაც ვიცოდით, თუმცა ასეთ მოკლე დროში აზა როგორ შევიტყობდით. ხოლო რომც გვცოდნოდა, განა გავჭრდებოდით და დავუცდიდით, ვინემ ის პირველი იტყოდა რასმე. ან ასე მოკლე დროში როგორ გაიგო, ქალაქში „ერთი განგაშია“, ყველა წინამძღოლის ცოლზე „ჭორაობს“. გარდა ამისა, მოყოლისას ერთი ორჯერ ისე მზაკვრულად ჩაიღიმა, ალბათ მართლაც ეგონა, ეს სულელები მოვატყუეო. მაგრამ მე იმისი დარდი აღარ მქონდა; ლიზას გაქცევა მართლა დავიჯერე და იულია მიხაილოვნასგან გიჟივით გამოვვარდი. ეს ამბავი გულში ეკალივით მომხვდა. ლამის ცრემლი მომერია; თუმცა იქნებ ვტიროდი კიდევ. აღარ ვიცოდი, რა მეღონა. ჯერ სტეპან ტროფიმოვიჩთან გავქანდი, მაგრამ იმ უჯიათმა კაცმა კარი არც ახლა გამიღო. ნასტასია მოწიწებული ჩურჩულით მარწმუნებდა, დასაძინებლად დაწვაო, მაგრამ არ დავიჯერე. ლიზას სახლში მსახურების გამოკითხვა მოვახერხე. გაქცევის ამბავი დამიდასტურეს, მაგრამ სხვა არაფერი იცოდნენ. ოჯახში დიდი განგაში ამტყდარიყო. ავადმყოფ ქალბატონს გული შეღონებოდა. მავრიკი ნიკოლაევიჩი თავზე ადგა. მომერიდა მავრიკი ნიკოლაევიჩის გამოძახება. ახალგაზრდა ვერხოვენსკიზე რომ ვიკითხე, მითხრეს, ეს ბოლო დღეები სულ აქ დაძვრებოდა, ზოგჯერ დღეში ორჯერაცო. მსახურებს დაღონება ემჩნეოდათ, რაღაც დიდი მოწიწებით იხსენიებდნენ ლიზას, უყვარდათ და იმიტომ. თავი რომ დაილუპა, სამუდამოდ დაილუპა, - ამაში ეჭვი არ მეპარებოდა, მაგრამ ამ ამბის ფსიქოლოგიური მხარე ვერა და ვერ ამეხსნა, მეტადრე სტავროგინთან მომხდარი გუშინდელი სცენის შემდეგ. ქალაქი დამეველო და ამ ამბით გახარებულ ნაცნობ ოჯახებში გამომეკითხა მისი ამბავი, - რაც უკვე ყველას ეცოდინებოდა, - არ ვიკადრე და ლიზას დამცირებადაც მიმაჩნდა. მაგრამ თავადაც მიკვირს, რამ წამიყვანა დარია პავლოვნასთან, თუმცა სახლში კი არ შემიშვეს (გუშინს აქეთ სტავროგინების სახლში არავის ღებულობდნენ). მეც არ ვიცი, რის თქმას ვაპირებდი და რისთვის შევირბინე? იქიდან მის ძმას მივადექი. შატოვმა კუშტად და უსიტყვოდ მომიმინა. ასეთ უჟმურ გუნებაზე ჯერ არ მენახა; საოცრად ჩაფიქრებული ჩანდა, მგონი, უძძიმდა კიდევ ჩემი მოსმენა. თითქმის არაფერი უთქვამს. წინ და უკან ბოლთის ცემას მოჰყვა და ჩვეულებრივზე უფრო აბრაგუნებდა ფეხებს. კიბეზე ჩამოსულს მომაძახა, ლიპუტინთან შეიარეთ, იქ ყველაფერს შეიტყობთო. ლიპუტინთან აღარ წავსულვარ, შუაგზიდან ისევ შატოვთან გამოვტრიალდი, კარი ნახევრად გამოვადე და იქიდან ლაკონიურად, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შევთავაზე: „მარია ტიმოფეევნას ხომ არ შეუვლით დღეს?“ შატოვმა შემიკურთხა და მეც წამოვედი. რომ არ დამავიწყდეს, აქვე ვიტყვი: შატოვი იმავე საღამოს განგებ წასულა მარია ტიმოფეევნასთან, რომელიც დიდი ხანია არ ენახა. მარია ტიმოფეევნა საღ-საღამათად, კარგ გუნებაზე დახვედრია, არყით გალეშილ ლეზიადკინს კი პირველ ოთახში ეძინა თურმე დივანზე. საღამოს ცხრა საათი იქნებოდა. ასე მითხრა თვითონ მეორე დღეს, ქუჩაში რომ შემეფეთა. ათი საათი იყო, როცა მეჯლისზე წასვლა გადავწყვიტე, არა როგორც „წესრიგის გამრიგემ“ (ჩემი ბაფთა იულია მიხაილოვნასთან დარჩა), უბრალოდ, ცნობისმოყვარეობამ მძლია: ნეტა რას ლაპარაკობენ-მეთქი ქალაქში ამ ამბების ირგვლივ? (მე თვითონ გამოკითხვას არ

ვაპირებდი). თანაც იულია მიხაილოვნასთვის მინდოდა შორიდან მაინც მომეკრა თვალი. გული მეთანაღრებოდა, წელან რომ ასე მივატოვე და გამოვიქეცი.

III

კომმარულ სიზმარივით თან დამდევეს აქამდე იმ ღამის უაზრო, უგვანო აძებები და მისი საშინელი „დასასრული“ გამთენიისას. ჩემი ქრონიკის ყველაზე მძიმე ნაწილად სწორედ ეს მიმაჩნია. მეჯლისზე დამაგვიანდა, ისე მალე დამთავრდა იგი, მაგრამ ბოლოს მაინც მივუსწარი. თერთმეტი საათი იქნებოდა, როცა წინამძღოლის მეუღლის სახლის სადარბაზოს მივალწიე. ამ მოკლე ხანში წელანდელი თეთრი დარბაზი, სადაც კითხვა მიმდინარეობდა, უკვე დაელაგებინათ და საცეკვაო დარბაზად ექციათ. კი მიგრძნობდა დილიდანვე გული, მეჯლისზე რაც იქნებოდა, მაგრამ იმას როგორ წარმოვიდგენდი, რომ მაღალი წრის ოჯახები კი არადა, ოდნავ გავლენიანი მოხელეებიც არ მოვიდოდნენ - რაც მეტისმეტად საგულისხმო ამბავი გახლდათ. ვერხოვენსკის ვარაუდი, ქალები და ქალიშვილები იქნებიანო (ყოვლად მზაკვრული ვარაუდი, როგორც ახლა დამტკიცდა), უაღრესად მცდარი გამოდგა: ოთხ მამაკაცზე ერთი ქალიც არ მოვიდოდა: მერედა არ იკითხავთ, ვინ იყვნენ ეს ქალები! პოლკის ობერ-ოფიცრების „ვიღაც“ ცოლები, საფოსტო თუ სხვა უწყებათა წვრილფეხობა, სამი ექიმის ცოლი და მათი ქალები, ორი-სამი გადატაკებული აზნაურის ქალი, იმ მდივნის შვიდივე ქალი და ერთი დისწული, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ, ვაჭრის კნეინები, - ამას ელოდა განა იულია მიხაილოვნა? ვაჭრებიდანაც ნახევარი არ მოსულიყო. რაც შეეხება მამაკაცებს, ისინი მაინც ბლომად ჩანდნენ, თუმცაღა მათ კომპლექტს მთელი ჩვენი დიდკაცობა აკლდა. თანაც მეტად საეჭვო შთაბეჭდილებას ახდენდნენ. რა თქმა უნდა, მათშიაც ერთი რამდენიმე ფრიად უწყინარი და მოკრძალებული ოფიცერი თავიანთი ცოლებით, რამდენიმე თვინიერი ოჯახის მამა, როგორც, მაგალითად, შვიდი გასათხოვარი ქალის პატრონი მდივანი იყო. ეს თვინიერი წვრილფეხა ხალხი, ასე ვთქვათ, „აუცილებლობას“ მოეყვანა აქ, ერთი მათგანის თქმისა არ იყოს. მეორე მხრივ, თითქოს წელანდელზე უფრო მეტად გაზრდილიყო იმ პიროვნებათა რიცხვი, რომლებზეც მე და ვერხოვენსკიმ ეჭვი გამოვთქვით, უბილეთოდ შემოყარესო. ისინი ჯერჯერობით ბუფეტში ისხდნენ. შემოსვლისთანავე პირდაპირ იქ მიდიოდნენ, თითქოს წინასწარვე ჰქონდათ ეს ადგილი დათქმული. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენა. ბუფეტი ოთახების ბოლოში იყო მოწყობილი, ერთ დიდ დარბაზში. იქ დამკვიდრებულიყო პროხორიჩი კლუბის ნაირ-ნაირი სასმელ-საჭმელთ. თვალი შევასწარ რამდენიმე პიროვნებას, ამ მეჯლისზე რომ იდაყვგამოყრილ სერთუკებით მოსულიყვნენ. არ ვიცი, საიდან გამოათრიეს ეს რის ვაი-ვაგლახით გამოფხიზლებული ხალხი. მე, რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ იულია მიხაილოვნას იდეა იყო, დიახაც დემოკრატიული მეჯლისი მოეწყო. „მდაბიოთათვისაც არ ეთქვათ უარი, თუკი რომელიმე მათგანი ბილეთის ფულს შემოიტანდა“. ეს სიტყვები თამამად შეეძლო ეთქვა თავის კომიტეტში, ვინაიდან დარწმუნებული იყო, ჩვენი ქალაქის გადატაკებულ მდაბიოთაგან არც ერთს არ მოუვიდოდა აზრად ბილეთის შეძენა. მაგრამ არა მგონია ამისთანა უქმური და ჩამოგლეჯილი ადამიანების შემოშვება შეიძლებოდა კომიტეტის მთელი დემოკრატიულობის მიუხედავად. მაშ ვინ შემოუშვა და რა მიზნით? ლიპუტინსა და ლიამშინს უკვე ჩამორთმეული ჰქონდათ წესრიგის გამრიგის ბაფთები (თუმცა „ლიტერატურის კადრილში“ მაინც მონაწილეობდნენ); მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა ლიპუტინის ადგილზე ის სემინარიელი დავინახე, რომელმაც სტეპან ტროფიმოვიჩთან

„შეტაკებით“ ყველაზე მეტი ალიაქოთი შეიტანა „დილაზე“, ხოლო ლიამშინის ადგილზე კი თვით ახალგაზრდა ვერხოვენსკი; აბა რაღა უნდა გამკვირვებოდა ამის შემდეგ? ლაპარაკს რომ მივყურე, პირდაპირ განმაცვიფრა ზოგის უგუნურებამ. მაგალითად, ერთ ჯგუფში ამტკიცებდნენ, სტავროგინისა და ლიზას ამბავი იულია მიხაილოვნას გაკვაჭულია და ფულიც აიღო ამაში სტავროგინისაგანო. თანხასაც კი ასახელებდნენ. ამტკიცებდნენ, ზეიმიც ამ მიზნით მოაწყო. იმიტომაც არ მოვიდა ნახევარი ქალაქი, ხოლო ლემბკე ისე შეაცბუნა ამ ამბებმა „ჭკუაზე შეიშალა“ და ახლა გიჟს „დაატარებს“. - ისმოდა სიცილ-ხარხარი, ვინ უაზროდ ხითხითებდა ჩახრინწული ხმით, ვინ ცბიერად. მეჯლისსაც საშინლად აკრიტიკებდნენ, იულია მიხაილოვნას კი უკვე დაურიდებლად ლანძღავდნენ. ერთი სიტყვით, კაცი ვერაფერს გაიგებდა ამ გამობრუჭული საზოგადოების ყბედობა-რატრატში. ბუფეტშივე შეეფარებინათ თავი ჩვეულებრივ მოქეიფეებს. იქ ნახავდით დროსტარების მოყვარულ ქალბატონებსაც, კაცი რომ ვერაფრით გააკვირვებს და შეამინებს. ესენი მეტწილად ოფიცრების ცოლები იყვნენ, ახლა ცალ-ცალკე მაგიდებზე მოკალათებულიყვნენ თავიანთი მხლებლებით და ფრიად მხიარულად შეექცეოდნენ ჩაის. თითქმის ნახევარი საზოგადოებისათვის ბუფეტი ჩინებული თავშესაფარი აღმოჩნდა. შიშის ჟრუანტელმა დამიარა იმის გაფიქრებაზე, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ ეს ზღვა ხალხი დარბაზს მოაწყდებოდა.

ჯერჯერობით კი თავადის მონაწილეობით თეთრ დარბაზში სამი საცოდავი ჯგუფი ცეკვავდა კადრილს. ქალიშვილები ცეკვავდნენ და მშობლები გახარებულები შეჰყურებდნენ. მაგრამ ამ დარბაისელი პირებიდანაც ბევრი უკვე იმაზე ფიქრობდა გულში, ცოტა კიდევ იმხიარულონ და მერე დროზე გავასწროთ აქედან, ვინემ ვაიუშველებელი „ატყდება“. რომ უთუოდ ატყდებოდა, ამაში ეჭვი აღარავის ეპარებოდა. ჩემთვის ძნელი გახლავთ იულია მიხაილოვნას სულიერი განწყობილების აღწერა. მე მასთან არ მილაპარაკნია, თუმცა საკმაოდ ახლოს მივედი. შემოსვლისას სალამზე არ მიპასუხა და ვერც შემამჩნია (მართლა ვერ შემამჩნია). სახე ნაავადმყოფარვით გაცრეცოდა, თავი ქედმაღლურად ეჭირა, მაგრამ მოუსვენრად და შემფოთებით აცეცებდა თვალებს. ეტყობოდა, თავს ძალას ატანდა და იტანჯებოდა - რატომ, რისი გულისთვის? ამას არ ერჩივნა აქედან წასულიყო და, რაც მთავარია, ქმარი წაეყვანა, მაგრამ არ მიდიოდა! რომ უკვე საბოლოოდ „ახელოდა“ თვალები და კარგს არაფერს გამოელოდა, ეს სახეზეც ეწერა. აღარც პიოტრ სტეპანოვიჩს უხმობდა მგონი, ის თვითონაც გაურბოდა. ბუფეტში დავინახე ფრიად მოლხენილ გუნებაზე). მაგრამ მეჯლისს მაინც არ ტოვებდა და ანდრეი ანტონოვიჩს წუთით არ იცილებდა. ო, უკანასკნელ წუთამდე გულწრფელი აღშფოთებით უარყოფდა, გინდაც ამ დილას ვისმე რომ მისთვის ანდრეი ანტონოვიჩის უქეიფობაზე გადაეკრა სიტყვა. მაგრამ ახლა, მგონი, ამაზეც აეხილა თვალი. მე რაც შემეხება, პირველი შეხედვისთანავე შევამჩნიე, რომ ანდრეი ანტონოვიჩი დილანდელზე უარესად გამოიყურებოდა. რაღაც არეული ჩანდა, სად იმყოფებოდა, მგონი, ვერ ერკვეოდა. შიგადაშიგ უეცრად მოტრიალდებოდა გოროზი სახით. მაგალითად, ერთი ორჯერ მე გადმომხედა ასე. ერთხელ რაღაცის თქმა დააპირა ხმამაღლა, დაიწყო კიდევ, მაგრამ აღარ დაამთავრა და მის გვერდით მყოფ თვინიერ ბებერ მოხელეს ლამის გული გადაუტრიალა. საზოგადოების ეს მორჩილი ნაწილიც შიშით გაურბოდა იულია მიხაილოვნას და ამავე დროს ისე უცნაურად და მოურიდებლად უჭვრეტდა მის მეუღლეს, ამისთანა მოკრძალებული ხალხისაგან საკვირველიც იყო.

„აი, მაშინ დამკრა თავში და ანრეი ანტონოვიჩის ამბავს მიმახვედრა,“ გამომიტყდა მერე იულია მიხაილოვნა.

დიახ, აქაც ის იყო დამნაშავე! ალბათ წელანდელი ჩემი გაქცევის შემდეგ გადაწყვიტეს მან და ვერხოვენსკიმ, მეჯლისი უთუოდ შემდგარიყო და თვითონაც დასწრებოდა ამ მეჯლისს. ალბათ ისევ მიაკითხა კაბინეტში „დილანდელ ზეიმზე“ საბოლოოდ „ტვინარეულ“ ანდრეი ანტონოვიჩს, ალბათ ისევ სცადა მთელი თავისი მომხიბლაობის ძალა და დაიყოლია იგი. ახლა კი, ვინ იცის, როგორ იტანჯებოდა და მაინც არ მიდიოდა! არ ვიცი, სიამაყემ არ მისცა ნება თუ უბრალოდ დაიბნა. ეს ქედმაღალი ქალი დამამცირებელი ღიმილით შეეცადა სხვა მანდილოსნებს გამოლაპარაკებოდა, მაგრამ ამ მანდილოსნებს მყისვე ეკარგებოდათ საქციელი, უნდოდ ან „ჰო“ ან „არას“ უპასუხებდნენ და იმწამსვე გაეცლებოდნენ.

ჩვენი ნამდვილი დიდკაცობიდან მხოლოდ ერთი მობრძანებულებიყო ამ მეჯლისზე, სწორედ ის გადამდგარი გენერალი, რომელზეც უკვე მოგახსენეთ, სტავროგინისა და გაგანოვის დუელის შემდეგ წინამძღოლის მეუღლესთან „საზოგადოების მოუთმენლობას“ პირველმა გაუხსნა-მეთქი გზა. ის ახლა მედიდურად დააბიჯებდა დარბაზებში და ისეთი სახით აკვირდებოდა ყველაფერს, თითქოსდა ზნე-ჩვეულებათა გასაცნობად მობრძანებულებიყო და არა საკუთარი სიამოვნებისთვის. ბოლოს იულია მიხაილოვნას ამოუდგა ვერდით და აღარ მოცილებია. ეტყობა, გამხნევებასა და დამშვიდებას ცდილობდა მისას. ეჭვი არაა, რომ ძალიან კეთილი კაცი იყო, წარმოშობითაც დიდგვაროვანი და ამასთან იმდენად მოხუცი, მისგან სიბრალულსაც აიტანდა კაცი. მაგრამ გულის სიღრმეში იმის შეგრძნება, რომ ეს ბებერი ყბედი შებრალეებასა და თითქმის ქომაგობას გიბედავს და თვითონაც იცის, რა პატივია შენთვის მისი აქ ყოფნა, დიახაც მწარე იყო. გენერალი კი არ ეშვებოდა და გაუჩერებლივ ლაპარაკობდა.

- ამბობენ, ყოველ ქალაქს შვიდი მართალი მაინც ჰყავსო... მგონი, შვიდიო, თუმცა რიცხვი ზუ-სტად არ მახსოვს. ვერ გეტყვით, ჩვენი ქალაქის ამ შვიდი... უდავოდ მართალი კაციდან რამდენი ესწრება ამ თქვენს მეჯლისს, მაგრამ მათი აქ ყოფნის მიუხედავად უშიშრად რაღაც ვერა ვგრძნობ თავს... Vous me pardonnez, charmante dame, n'est-ce pas?[281] ეს წუთია ბუფეტში გახლდით და ალე-გო-რიულად რომ მოგახსენოთ, მოხარული ვარ, უვნებელი რომ დავბრუნდი... ჩვენი ფასდაუდებელი პროხორიჩი იქ სულ ზედმეტია. ვგონებ, დილისთვის მისი კარვიდან ბუნდლაც არ დარჩეს. თუმცა ვხუმრობ. მე მარტო „ლი-ტე-რა-ტურის კადრილს“ ვუცდი, ვნახო, რა იქნება ასეთი, და მერე ლოგინს მივაშურებ. ნუ შეუწყრებით ნეკრესით სწეულ მოხუცს. მე ადრიაანად ვწვები ხოლმე. თქვენთვისაც მირჩევია წასვლა და „ნანა“, როგორ aux enfants[282] ეტყვიან ხოლმე. მე აქ ლამაზმანების სანახავად გახელით. ლამაზმანების ასეთ კრებულს სხვაგან ვერსად შევხვდები, თუ არ ამისთანა ადგილას... ყველანი გაღმა ცხოვრობენ, მე კი იქ ვერ მივდივარ ხოლმე. ერთი ოფიცრის ცოლი... მგონი, ეგერთა პოლკისა უნდა იყოს... დიდი ტურფა ვინმეა და... თვითონაც გრძნობს. ველაპარაკე კიდევ იმ ეშმაკის ფეხს; ცოცხალი ქალია... არც გოგონებს აკლიათ სიქორფე; ეს არის და ეს; სხვა სიკეთეს ვერ მოუძებნი. თუმცა სიამოვნებით ვუცქერი. კოკრებსაც ნახავთ; ოღონდაც ტურჩები აქვთ სქელი. საერთოდ, რუსი ქალის სილამაზე უზადო როდია და... ცოტა გატყლაპულიც... Vous me pardonnez, n'est-ce pas?[283] თუმცა თვალეები კი სულ უჟუჟუნებთ. ეგ კოკრები ორი, ჰა და ჰა, სამი წელი მომ-ხიბ-ლა-ვები არიან... მერე კი ჩათქვირდებიან ხოლმე და...

ქმრებსაც იმ სამწუხარო ინდიფერენტობის უღვიძებენ, რაიც ესოდენ უწყობს ხელს ქალთა საკითხის განვითარებას. თუკი ქალთა საკითხი მე სწორად მესმის. ჰმ, ჩინებული დარბაზია, ოთახებიც კარგი მორთული. უარესიც შეიძლება ყოფილიყო, მუსიკაც უარესი შეიძლებოდა... არ ვამბობ, უნდა იყოს-მეთქი. მანდილოსანთა ნაკლებობა ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს. მორთულობაზე არაფერს მო-გა-ხსენებთ. არც მაგ რუხიშარვლიანის რო-როკვა მომწონს. კიდევ ვაპატიებ, თუ აღტაცებისაგან მოსდის, ისიც იმიტომ, აქაური მეაფთიაქე რომაა... მაგრამ თერთმეტ საათზე მეაფთიაქესათვისაც ნაადრევია... იქ ბუფეტში ორს მოუვიდა ჩხუბი და არავინ გააძევა. თერთმეტ საათზე კი მოჩხუბრები წესით უნდა გააძევონ, რა საზოგადოებაც არ იყოს... სამ საათზე-მეთქი, არ ვამბობ, მაშინ საზოგადოების აზრს აუცილებლად უნდა გაუწიო ანგარიში, თუკი ამ მეჯლისმა სამ საათამდე გასტანა. ვარვარა პეტროვნამ პირობა არ გაამართლა და ყვავილები არ გამოგზავნა. ჰმ, ან რა ეყვავილება... pauvre mere[284] საწყალი ღიზა, გაიგეთ, რა უქნია? ამბობენ, დიდი საიდუმლო ისტორიაა... ისევ სტავროგინის ამბებია... ჰმ... მეძინება... თვლემს სულ მომერია. დაადგება კი საშველი მაგ „ლიტერა-ტურის კადრილს?“

და ჰა, „ლიტერატურის კადრილიც“ დაიწყო[285]. ამ ბოლო ხანებში, სადაც არ უნდა ჩამოვარდნილიყო ლაპარაკი მომავალ მეჯლისზე, უთუოდ „ლიტერატურის კადრილსაც“ ახსენებდნენ. როგორი იქნებოდა ეს „კადრილი“, ვერავის წარმოედგინა, ამიტომაც უსაზღვრო ცნობისმოყვარეობას ბადებდა.

წარმატებისათვის კი ამაზე საშიში არაფერი გახლავთ. ჰოდა, იმედის გაცრუებაც ამიტომ დიდი მოჰყვა!

გაიხსნა თეთრი დარბაზის აქამდე დაკეტილი გვერდითი კარი და უცებ რამდენიმე ნიღბოსანი გამოჩნდა. საზოგადოება უმაღლეს ირგვლივ შემოეხვია. ბუფეტში კაციც აღარ დარჩა, ყველამ დარბაზს მოაშურა. ნიღბოსნები საცეკვაოდ მოემზადნენ. მე წინა რიგებში გავძვერი და იულია მიხაილოვნას, ფონ ლემბკესა და გენერლის უკან დავდექი. აქამდე დაკარგული ახალგაზრდა ვერხოვენსკი მყის იულია მიხაილოვნას გვერდით გაჩნდა.

- სულ ბუფეტში გახლდით და თვალი მეჭირა, - ჩაუჩურჩულა ვითომდა დამნაშავე მოწაფესავით, რათა ქალი უფრო მეტად გაეღიზიანებინა. იულია მიხაილოვნა ბრაზით წამოენთო.

- ახლა მაინც ნულა მატყუებთ, თქვე უსინდისოვ! - წამოცდა ისე ხმამაღლა, ხალხმაც გაიგონა. უაღრესად კმაყოფილი ვერხოვენსკი იმწამსვე გაეცალა.

კაცი ვერ წარმოიდგენდა იმაზე უბადრუკ, იმაზე უგვანო, უნიჭო და უნიათო ალეგორიას, როგორიც ეს „ლიტერატურის კადრილი“ იყო. ვერავინ მოიგონებდა ჩვენი საზოგადოებისათვის უფრო შეუფერებელ ამბავს; ამბობენ კი, კარმაზინოვმა მოიგონაო. მართალია, ლიპუტინმა მოაწყო ყველაფერი იმ კოჭლი მასწავლებლის რჩევით, რომელიც ვირგინსკის საღამოზე იყო, მაგრამ იდეა მაინც კარმაზინოვს ეკუთვნოდა. როგორც ამბობენ, თვითონაც აპირებდა თურმე მორთვას და რაღაც საგანგებო, დამოუკიდებელი როლის აღებას. კადრილი ექვსი წყვილი უბადრუკი ნიღბოსნისგან შედგებოდა, - თუმცა აბა სადაური ნიღბოსნები ეთქმოდათ, როცა ყველას ჩვეულებრივად ეცვა. მაგალითად, ერთი ხნიერი საშუალო ტანის ვაჟბატონი ჩვეულებრივ ფრაკში იყო და მხოლოდ ჭადარაშერთული წვერი ჰქონდა მიწებებული

(ეს იყო და ეს მისი ნიღბოსნის მორთულობა), ცეკვისას დარბაისლური იერით ტოკავდა, ჩქარ-ჩქარა უსვამდა ფეხებს და თითქმის არ იძროდა ადგილიდან. თანაც ხმადაბლა რაღაცას ხრიწინებდა და სწორედ ამ ხრიწინით უნდა გამოგვეცნო, რომ ერთ-ერთ ცნობილ გაზეთს ასახიერებდა. ან ნიღბოსნის პირდაპირ ვიღაც ორი გოლიათი X და Z ცეკვავდა, ეს ასოები ფრაკზედაც ჰქონდათ მიკრული, მაგრამ რას ნიშნავდა ეს X და Z, ბოლომდე ამოუცნობი დარჩა. „რუსული პატიოსანი აზროვნება“ ფრაკში გამოწყობილი, სათვალისანი, შუახნის ვაჟბატონი გახლდათ, რომელსაც ხელთათმანები წამოეცვა და ფეხზე ბორკილები დაედო (დიახ, დიახ, ნამდვილი ბორკილები). იღლიაში ამ აზროვნებას პორტფელი ამოეჩარა და იქიდან რაღაც „საქმე“ უჩანდა. ჯიბიდან გახსნილ წერილს ამოეყო თავი, საზღვარგარეთიდან გამოგზავნილს, რომელშიც ყველა დაეჭვებულს უდასტურებდნენ „პატიოსანი რუსული აზროვნების“ პატიოსნებას. ამას ყოველივეს წესრიგის გამრიგენი უკვე ზეპირად მოგვახსენებდნენ, თორემ ჯიბიდან გამოჩრილ წერილს ჩვენ როგორ წავიკითხავდით. „პატიოსანი რუსული აზროვნებას“ სასმისი ეკავა მარჯვენაში, თითქოსდა სადღეგრძელოს თქმას აპირებდა. აქეთ-იქიდან ორი თმაშეკრეპილი ნიჭილისტი ქალი ამოდგომოდა და ადგილზე როკავდნენ. Vis-a-vis[286] კი ერთი ფრაკიანი ხნიერი ვაჟბატონი ცეკვავდა, ისიც ერთ-ერთი მრისხანე გაზეთი უნდა ყოფილიყო, ოღონდ არა პეტერბურგისა. ეს ვაჟბატონი ვეება კეტს იქნევდა: „თუ დაგკრავ, სულს გაგაცხებინებ“. ეს კია, „რუსული პატიოსანი აზროვნებისთვის“, სათვალისანი რომ მიშტერებოდა, თვალი ვერ გაესწორებინა და სულ განზე იყურებოდა. ხოლო pas de deux-ს[287] ცეკვის დროს ისე ტრიალებდა და იკლაკნებოდა, გეგონებოდა, სინდისი ქენჯნის და აღარ იცის, თავი სად წაიღოსო... მოკლედ, ყველაფერი აღარ დამამახსოვრდა, მაგრამ ისეთი უნიჭო და უბადრუკი რამ იყო, საშინლად შემრცხვა. საზოგადოებასაც თითქოს სწორედ ეს სირცხვილის გრძნობა დაეტყო, ბუფეტიდან გამოსულთა უჟმურ სახეებზეც იგივე აღიბეჭდა. რამდენიმე ხანს ყველა გაჩუმებული და გაოგნებული უცქეროდა ამ სურათს. გაწბილებულ კაცს კი ჩვეულებრივ ბრაზი ერევა. ჰოდა, ნელ-ნელა ჩვენი საზოგადოებაც აზუზუნდა: - ეს რა არის? - ჩაიბურდლუნა ერთ ჯგუფში ბუფეტის ერთმა მუშტარმა.

- რაღაც სისულელეა.

- ვითომ ლიტერატურააო. „გოლოსს“ აკრიტიკებენ.

- მე რა მენაღვლება მერე.

მეორე ჯგუფში: - ვირები!

- ვირები ეგენი კი არა, ჩვენა ვართ.

- ვირი რატომ ხარ?

- ვინ გითხრა, ვირი ვარო.

- აბა თუ შენ არა ხარ, მე რაღად ვიქნები.

მესამე ჯგუფში: - პანდური უნდა ამოკრა ყველას და გაყარო!

- დიახ, კისრისტეხით გაყარო!

მეოთხეში: - როგორ არ რცხვენიათ ლემბკეებს ამის ყურება?

- რატომ უნდა რცხვენოდეთ? შენ ხომ არ გრცხვენია?

- ვინ გითხრა, არ მრცხვენიაო. ეგ კი გუბერნატორი კაცია.

- შენ კი ღორი ხარ.

- ჩემს დღეში არ მინახავს ამაზე ჩვეულებრივი მეჯლისი, - გესლიანად ჩაილაპარაკა იულია მიხაილოვნას გასაგონად ერთმა ორმოციოდე წლის ჩასუქებულმა, უმარილით შეთხიპნილმა, ჭყეტელა აბრეშუმის კაბაში გამოწყობილმა ქალბატონმა, რომელიც გვერდით ედგა. ქალაქში თითქმის ყველა იცნობდა ამ ქალს, მაგრამ შინ არავინ იღებდა. საიდუმლო მრჩევლის ქვრივი იყო, ქმრისაგან ხის სახლი და მცირე პენსია დარჩენოდა, მაგრამ კარგად კი ცხოვრობდა და საკუთარი ეტლიც ჰყავდა. ორი თვის წინათ იულია მიხაილოვნას ეახლა, მაგრამ იმან არ მიიღო.

- ეგრეც ვიცოდი და ველოდი, - დააყოლა ესეც და უტიფრად ჩახედა თვალებში იულია მიხაილოვნას.

იულია მიხაილოვნამ თავი ვედარ შეიკავა: - თუკი იცოდით, რაღად შეიწუხეთ თავი და მობრძანდით?

- ჩემმა გულუბრყვილობამ მომიყვანა, ბატონო, - უმაღ მოუჭრა მკვირცხლმა ქალბატონმა და საჩხუბრად მოემზადა (ჩხუბი ძალიან უნდოდა); მაგრამ გენერალი შუაში ჩაუდგათ: - Chere dame, - ჩაულაპარაკა იულია მიხაილოვნას, - მართლა სჯობს წავიდეთ. ჩვენ მხოლოდ ხელს ვუშლით, უჩვენოდ მშვენივრად მოილხენენ. ყველაფერი შეუსრულეთ, მეჯლისი გაუმართეთ, ჰოდა, დაანებეთ თავი... ანდრეი ანტონოვიჩიც, მგონი, სულ მთლად და-მაკმა-ყოფილებლად ვერა გრძნობს თავს... რამე არ მოხდეს!

მაგრამ უკვე გვიან იყო.

ანდრეი ანტონოვიჩი კადრილის დროს წყრომით და გაკვირვებით უყურებდა მოცეკვავეებს. ხოლო საზოგადოებაში წამოძახილები რომ შეიქნა, შეშფოთებით დააცეცა თვალები. მაშინ პირველად შეამჩნია ბუფეტის ზოგიერთი მუშტარი და დიდი გაოცება გამოეხატა სახეზე. ერთბაშად ხორხოცი ატყდა: კეტიტ მოცეკვავე „არაპეტერბურგული მრისხანე გაზეთის“ გამომცემელმა, ეტყობა, ვედარ გაუძლო ბოლოს და ბოლოს „პატიოსანი რუსული აზროვნების“ სათვალეს და, სხვა გამოსავალი რომ ვედარ ნახა, უკანასკნელი ფიგურის დროს უცებ თავდაყირა დადგა და ასე წავიდა სათვალის პატრონისაკენ, რაც იმასაც ნიშნავდა, რომ „მრისხანე არაპეტერბურგული გაზეთი“ მუდამ ასე თავდაყირა ატრიალებდა საღ აზრს. თავდაყირა სიარული კი მხოლოდ ლიამშინს შეეძლო და კეტისანი გამომცემლის როლიც მასვე ეკისრა. იულია მიხაილოვნას მართლაც არ სცოდნოდა, თუ თავდაყირა ივლიდა ვინმე. „დამიმალეს, არ გამიმხილეს!“, - იმეორებდა მერე აღშფოთებული. რა თქმა უნდა, ამ ალეგორიას ვერავინ მიხვდა და ხალხის ხორხოცი მხოლოდ თავდაყირა დამდგარმა, კალთებგადმოფრიალებულმა ფრაკიანმა კაცმა გამოიწვია. ლემბკე სიბრაზისაგან აცახცახდა.

- სტაცეთ ხელი მაგ სალახანას და გადმოატრიალეთ, - დაიყვირა მან და ლიამშინისაკენ გაიშვირა თითი, - გადმოატრიალეთ... რომ თავი... თავი ზევით ჰქონდეს.. ზევით!

ლიამშინი უმაღლეს ფეხზე წამოხტა, ხორხოცმა იმძლავრა. - გაყარეთ ყველა არამზადა, ვინც იცინის! - ბრძანა ისევ ლემბკემ. ხალხი აყაყანდა და აზუზუნდა.

- ეგრე როგორ იქნება, თქვენო აღმატებულებავ!

- ხალხის ლანძღვა არ შეიძლება.

- ბრიყვი შენ თვითონა ხარ! - დაიძახა ვიღაცამ კუთხიდან.

- ფლიბუსტიერნო! - გაისმა დარბაზის მეორე ბოლოში.

ლემბკემ ამ ხმაზე უმაღლეს თავი მიატრიალა. გადაფითრებულ სახეზე უაზრო ღიმილი აეგრიხა, თითქოს რაღაცას მიხვდა და რაღაც გაახსენდაო.

- ბატონებო, - მიუბრუნდა იულია მიხაილოვნა შემოჯარულ ხალხს და თან ქმარს წასაყვანად წაეტანა, - ბატონებო, უკაცრავად, ანდრეი ანტონოვიჩი შეუძლოდ არის... უკაცრავად.. აპატიეთ, ბატონებო!

დიახ, ჩემი ყურით გავიგონე: „აპატიეთ“ რომ თქვა. ეს ყველაფერი ერთ წამში მოხდა. მაგრამ მახსოვს კი, როგორ დაფრთხა საზოგადოების ერთი ნაწილი და მაშინვე კარისკენ გაქანდა, სწორედ იულია მიხაილოვნას ამ სიტყვების შემდეგ. მახსოვს კიდევ, ვიღაც ქალმა ისტერიკულად წამოიკივლა: - ვაიმე, წელანდელივით მოუარა!

გასასვლელში კვლავ ჰყლებტა შეიქნა. და უცებ ამ არეულ ხალხში „წელანდელივით“, დიახ, ისევ „წელანდელივით“ ყუმბარასავით იფეთქა: - ხანძარია! მთელი გაღმა მხარე იწვის! არ მახსოვს, პირველად სად გაისმა ეს საზარელი ყვირილი: დარბაზებში თუ შემოსასვლელის კიბეზე, მაგრამ იმას კი ვერ აგიწერთ, ამ სიტყვებმა რა განგაში გამოიწვია. მეჯლისზე შეკრებილი საზოგადოების თითქმის ნახევარი გაღმა მხრიდან იყო - ვის ხის სახლი ედგა იქ და ვინ იქაური მცხოვრები იყო. ყველა ფანჯრებს მიაწყდა, თვალის დახამხამებაში ჩამოგლიჯეს ფარდები. მთელი გაღმა მხარე იწვოდა. მართალია, ხანძარი ეს-ესაა გაჩენილიყო, მაგრამ ცეცხლი სამ სხვადასხვა ადგილას გიზგიზებდა. ამან იყო რომ დააფეთა ხალხი.

- გადაგვწვეს! შპიგულინელებმა გადავწვეს! - ბლაოდნენ ხალხში.

მე მხოლოდ რამდენიმე სახასიათო შემახილი დამამახსოვრდა: - ეს დღეები სულ მიგრძნობდა გული, გადაგვწვავენ-მეთქი! - შპიგულინელების საქმეა, შპიგულინელებისა, სხვა არავინ იზამდა!

- აქ იმიტომაც შეგვყარეს, რომ გადავეწვიო!

ეს უკანასკნელი, ყველაზე საკვირველი ამოძახილი ვიღაც ქალს ეკუთვნოდა, ვიღაც სახლკარგადამწვარ კორობოჩკას აღმოხდა მისდა უნებურად. ყველა გასასვლელს მიაწყდა. აღარ აგიწერთ, თუ რა ზედახოცვა შეიქნა დერეფანში ქურქების, მოსახვევების, სალოპების დატაცებისას, როგორ კიოდნენ შეშინებული ქალები და ტიროდნენ ქალიშვილები. არა მგონია, ვინმეს ქურდობა ეკისრა ამ დროს, მაგრამ არც

ისაა გასაკვირი, ამ არეულობაში ბევრს ზედა ტანსაცმლისათვის ვერ მიეგნო და უიმისოდ წასულიყო, რაც გადაჭარბებული და შელამაზებული სახით მთელი ქალაქის სალაპარაკო გახდა შემდეგ. ლემბკე და იულია მიხაილოვნა ხალხმა თითქმის მიაჭყლიტა კარს.

- ყველა გააჩერეთ! არავინ გაუშვათ! - ყვიროდა ლემბკე და მოწოლილ ხალხისაკენ მუქარით იშვერდა ხელს, - ყველა გაიჩხრიკოს, დაუყოვნებლივ!

დარბაზიდან უშვერი ლანძღვა-გინება ისმოდა: - ანდრეი ანტონოვიჩი! ანდრეი ანტონოვიჩი! - განწირული ხმით ევედრებოდა იულია მიხაილოვნა.

- პირველი ეს დააკავეთ! - შესძახა ლემბკემ და თავის მეუღლეზე რისხვით მიათითა, - პირველი ეს გაჩხრიკეთ! მეჯლისი გადაწვის მიზნითაა მოწყობილი...

იულია მიხაილოვნამ შეჰკვივლა და გულწასული დაეცა (ო, რა თქმა უნდა, ეს თვალთმაქცობა აღარ იყო). მე, თავადი და გენერალი მყის მისაშველებლად მივცვივდი. სხვებიც მოგვეშველნენ ამ გაჭირვების დროს, წარმოიდგინეთ, მანდილოსნებიც კი. უბედური ქალი ამ ჯოჯოხეთიდან გამოვიყვანეთ და კარეტაში ჩავსვით. მხოლოდ თავისი სახლის სადარბაზოსთან მოვიდა გონს და პირველად ანდრეი ანტონოვიჩი იკითხა. ყველა ოცნების დამსხვრევის შემდეგ მხოლოდ ანდრეი ანტონოვიჩილა შემორჩა. ექიმს კაცი გავუგზავნეთ. მე და თავადმა ერთი საათი დავყავით იქ. სულგრძელობით ატანილ გენერალს (თუმცა თვითონაც ძალიან შეშინებული იყო) არამც და არამც არ უნდოდა „უბედური ქალის საწოლს“ მოშორებოდა, მაგრამ ორიოდე წუთის შედმეგ ექიმის მოლოდინში უკვე ყვინთავდა სავარძელში. ასევე დავტოვეთ დარბაზში.

პოლიცმაისტერმა ჩვენ ფეხდაფეხ გამოიყვანა ანდრეი ანტონოვიჩი და იულია მიხაილოვნას კარეტაში უნდოდა ჩაესვა მისი აღმატებულება. თავგამოდებით უმტკიცებდა, მოსვენება გჭირდებათო, თვითონ ხანძარზე ეჩქარებოდა. მაგრამ არ ვიცი კი, რატომ არ აიძულა. ანდრეი ანტონოვიჩის რომ მოსვენების გაგონება არ უნდოდა და ხანძარზე წასასვლელად იწეოდა, ეს კიდევ არ იყო საბუთი. ერთი სიტყვით, ბოლოს თვითონ პოლიცმაისტერმა ჩაისვა თავის დროშაში და ხანძარზე წაიყვანა. მერე ჰყვებოდა, ლემბკე მთელი გზა ხელეხს იქნევდა და ისეთ უჩვეულო ბრძანებებს იძლეოდა, შესრულება შეუძლებელი გახლდათო. შემდეგში ასეც იყო მოხსენიებული, მის აღმატებულებას „უეცარი შიშისაგან“ უკვე იმ წუთებში აუვარდა თავში ხურვებო.

კარგად მოგეხსენებათ, როგორ დამთავრდებოდა ეს მეჯლისი. დარბაზში რამდენიმე ათეული მოქეიფე და კიდევ რამდენიმე ქალბატონი დარჩა. პოლიციელებიდან არავინ იყო. მუსიკოსები არ გაუშვეს, ვინც კი წასვლა მოინდომა, ყველა მიბრიგეს. გათენებისას „პროხორიჩის“ კარავი სულ დალეწეს; უგონოდ გამოთვრნენ, კომარინსკული უბოდიშოდ დაუარეს, ოთახები გააბინძურეს. ამ ხროვის ერთი ნახევარი მხოლოდ გამთენიისას გამოცხადდა ნახანძრალზე გამოლეშილ-გამობრანგული ახალი არეულობის შესატანად... უგონოდ მთვრალმა მეორე ნახევარმა დარბაზებში გაათია ღამე და საკადრისი კვალიც დასტოვა ხავერდის დივნებსა და იატაკზე. დილით, როგორც კი შესამღებელი გახდა, ფეხებით გამოათრიეს ყველა ქუჩაში. ასე დასრულდა ჩვენი გუბერნიის გუბერნანტი ქალების სასარგებლოდ მოწყობილი მეჯლისი.

IV

ჩვენი გაღმევი საზოგადოება ხანძარმა სწორედ იმიტომ დააფრთხო, რომ ცეცხლის განზრახ წაკიდება აშკარა იყო. საოცარია, მაგრამ დაიძახეს თუ არა - „არიქა, ვიწვით!“; იმწუთსვე ისიც იყვირეს, „შპიგულინელებმა გადაგვწვეს!“. ცეცხლის წაკიდებაში რომ მართლაც სამი შპიგულინელი ერია, ახლა უკვე დიახაც კარგად არის ცნობილი, მაგრამ სამზე მეტი არა. ფაბრიკის სხვა მუშები სრულიად გამართლებული არიან ოფიციალურადაც და საზოგადოების თვალშიც. იმ სამი არამზადის გარდა (რომელთაგან ერთი უკვე დაჭერილია და გამოტყდა, ხოლო ორს ჯერაც ეძებენ), უეჭველია, რომ ფედკა კატორღელიც მონაწილეობდა. ეს არის და ეს დღეს-დღეობით ცნობილი ცეცხლის გაჩენის მიზეზის ირგვლივ; ხოლო გულში ვინ რას ფიქრობდა და როგორ სჯიდა, ეს სხვა საკითხი გახლავთ. რა ამოდრავებდა ამ სამ არამზადას ან იყო თუ არა ეს ვისიმე ჩაგონებით ჩადენილი, - ამაზე ახლაც ძნელია პასუხის გაცემა.

იმ ღამეს ძლიერი ქარი ქროდა, გაღმა მხარეს კი თითქმის სულ ფიცრული შენობები იდგა, თანაც ცეცხლი სამი მხრიდან წაეკიდებინათ, ამიტომ ხანძარი უცხად მოედო მთელ უბანს, მაგრამ დედაქალაქის კორესპონდენციებმა მაინც მეტისმეტად გაბერეს ჩვენი უბედურება: თუ მიახლოებით ვიტყვით, დაიწვა მხოლოდ გაღმა მხარის ერთი მეოთხედი (იქნებ ნაკლებიც). ფრიად თადარიგიანად და თავგამოდებით მოქმედებდა ჩვენი სახანძრო რაზმიც, თუმცა ქალაქისთვის შედარებით პატარა იყო. მაგრამ ბევრს ვერაფერს გახდებოდა, თუნდაც მცხოვრებთა დახმარებით, რომ გათენებისას ქარი არ ჩამდგარიყო. მეჯლისიდან გამოქცევის ერთი საათის შემდეგ, როცა გაღმა მხარეს მივაღწიე, ცეცხლი მთელი ძალით გიზგიზებდა. მდინარის გასწვრივ ერთი ქუჩა ცეცხლში იყო გახვეული. დღესავით ჩახჩახებდა იქაურობა. აღარ მოვყვები ხანძრის სურათის აღწერას. რუსეთში ვის არ უნახავს იგი? ცეცხლში გახვეული ქუჩის ახლომახლო შუკვებში წარმოუდგენელი ალიაქოთი სუფევდა. იცოდნენ, ცეცხლი ძალე აქაც გადმოინაცვლებდა და მობინადრეებს გარეთ გამოჰქონდათ მთელი ავლადიდება. თუმცაღა თავიანთ საცხოვრებლებს მაინც ვერ შორდებოდნენ და თავ-თავიანთ ფანჯრებთან მიმსხდარიყვნენ გარეთ გამოთრეულ ზანდუკებსა და ქვეშაგებზე. მამაკაცების ერთი ნაწილი დიდ ჯაფაში იყო, ულმოზღად ჩეხავდნენ ღობეებსა და ცეცხლთან უფრო ახლოს მდგარ ქონმახებს. ისმოდა მხოლოდ ძილგამფრთხალი ბალებების ტირილი და იმ ქალების ვიშვიში, უკვე რომ მოესწროთ თავიანთი ხარახურის გამოთრევა. სხვებს უხმოდ და ენერგიულად გამოჰქონდათ ბარგი-ბარხანა. ქარი შორს მიაქროლებდა ნაპერწკლებსა და ნაკვერჩხლებს, რომელთაც შეძლებისდაგვარად აქრობდნენ. აღმოდებულ სახლებთან ქალაქის ყოველი კუთხიდან მოვარდნილი მაყურებლები ირეოდნენ. ზოგი ცეცხლის ჩაქრობაში ეშველებოდა, ზოგი სეირის საყურებლად გაჩერებულიყო. დიდი ცეცხლი ღამით მუდამ გამაღიზიანებელ და გამახალისებელ შთაბეჭდილებას ახდენს; შუშხუნებიც ამიტომაც მოგონილი. მაგრამ შუშხუნების ცეცხლი ისე ლამაზადაა განლაგებული, ისე მსუბუქ, დარდიმანდულ გუნებაზე გაყენებს კაცს, თითქოს ერთი ჭიქა შამპანური გადაგეყლოურწოს. თანაც არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენს. სულ სხვაა ნამდვილი ხანძარი: ცალკე შიშის ზარი, ცალკე საკუთარი საფრთხის შეგრძნება, თან ამ ღამეში მობრიალე ცეცხლით გამოწვეული ხალისი, ეს ყველაფერი მაყურებელს გონებას უმღვრევს, რასაკვირველია, ვისაც სახლი არ ეწვის, და თვითონ მასაც, ასე ვთქვათ, განადგურების ინსტიქტს უღვიძებს, რაიც, საუბედუროდ, ყოველი კაცის გულში ბუდობს, რა თვინიერი ოჯახის პატრონი და ტიტულარული მრჩეველი

არ იყოს... ეს საშინელი გრძნობა თითქმის მუდამ დამატრობელი გახლავთ. „მართალი გითხრათ, მოჰგვაროს?“ აი რა მითხრა სიტყვასიტყვით სტეპან ტროფიმოვიჩმა, როცა ერთ ღამეს შემთხვევით შეესწრო ხანძარს და იქიდან სანახაობით გაბრუნებული მობრუნდა. რა ლაპარაკი უნდა, რომ ღამისეული ხანძრის მოტრფიალე პირველი თვითონვე შევარდება ცეცხლში ბავშვისა და მოხუცი ქალის გადასარჩენად. მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხი გახლავთ.

გავყევი ცნობისმოყვარეთა ბრბოს და გამოკითხვის გარეშე მივაღწიე ბოლოს ყველაზე სახიფათო ადგილს. იქ დავინახე ლემბკე, იულია მიხაილოვნას დავალებით რომ ვეძებდი. იგი საკვირველ მდგომარეობაში დამიხვდა, - ღობის ნანგრევებზე შემდგარიყო; მის მარცხნივ, ოცდაათიოდე ნაბიჯის მოშორებით თითქმის გადამწვარი, სახურავჩამონგრეული, ორსართულიანი ხის სახლის შავი ჩონჩხი ეყუდა. ფანჯრების ნაცვლად ორივე სართულზე შავი ჯურღმულები იყურებოდა, დანახშირებულ ძელებს აქა-იქ ცეცხლის ენები ლოკავდა. ეზოს სიღრმეში, დამწვარი სახლიდან ოციოდე ნაბიჯზე, უკვე ორსართულიან ფლიგელსაც მოსდებოდა ცეცხლი და მეხანძრეები იქ ტრიალებდნენ. მარჯვნივ სხვა მეხანძრეები და ხალხი საკმაოდ დიდი ფიცრული შენობის გადარჩენას ლამობდნენ. ამ სახლს უკვე რამდენჯერმე წაკიდებოდა ცეცხლი და ბოლოს და ბოლოს დაიწვა კიდევ. ლემბკეს ფლიგელისკენ მიებრუნებინა პირი, ხელებს იქნევდა და რაღაც განკარგულებებს იძლეოდა, თუმცა მის განკარგულებებს არავინ ასრულებდა. ერთი პირობა ვიფიქრე, ალბათ უკვე ყველამ ხელი აიღო იმაზე და აქ უპატრონოდ მიატოვეს-მეთქი. ყოველ შემთხვევაში, მის ირგვლივ შემოხვეულ ხალხის ბრბოში რამდენიმე ჩვენი ბატონკაცი და ტაძრის დეკანოზიც დავინახე. ლემბკეს არავინ ელაპარაკებოდა და არავინ ცდილობდა წამოეყვანა იქიდან, თუმცა კი ინტერესითა და გაოცებით უსმენდნენ. ფერდაკარგული და თვალეზანთებული ლემბკე თავშიშველი იდგა და გასაოცარ ამბებს იძახდა, ქუდი რა ხანია დაეკარგა.

- ცეცხლი განგებ წაუკიდეს! ეს ნიჰილიზმია! რაც იწვის, ეს ყველაფერი ნიჰილიზმია! - გავიგონე თავზარდაცემულმა. საკვირველი აქ უკვე აღარაფერი იყო, მაგრამ ჭეშმარიტების თვალნათლივ დანახვამ არ შეიძლება მაინც არ შეგაძრწუნოს კაცი.

- თქვენო აღმატებულებავ, - გვერდით ამოუდგა უცებ უზნის ზედამხედველი, - კარგი იქნება, თუ შინ წაბრძანებასა და მოსვენებას ინებებთ... თორემ აქ დარჩენა საშიში გახლავთ თქვენი აღმატებულებისათვის.

როგორც შემდეგ შევიტყვე, ეს უზნის ზედამხედველი განზრახ დატოვა თურმე პოლიცმაისტერმა ანდრეი ანტონოვიჩთან, თვალი გეჭიროს და როგორმე დაიყოლიე შინ წასვლაზეო. ხოლო სახიფათო მდგომარეობა თუ შეიქნა, ძალაც იხმარეო. მაგრამ ეს უკანასკნელი დავალება, ეტყობოდა, ზედამხედველის შესაძლებლობას აღემატებოდა.

- სახლკარდამწვრებს ცრემლს შეუშრობენ, მაგრამ ქალაქს დაწვავენ. ეს სულ ოთხი გაიძვერას ბრალია, ოთხ-ნახევარი გაიძვერასი. დაიჭირეთ ეს გაიძვერა! მარტო მისი მიზეზია ყველაფერი, იმ ოთხ-ნახევარს ცილი დასწამა. ის ძალით იჭრება ოჯახში, რომ ჩირქი მოსცხოს. დიდი უსინდისობაა სახლების დასაწვავად გუვერნანტი ქალები გამოიყენო! ვაიმე, რას აკეთებს! - ლემბკემ უცებ ცეცხლმოდებული ფლიგელის დანახშირებულ სახურავზე მეხანძრე დაინახა, რომელსაც ცეცხლის ენები

უტრიალებდა ირგვლივ, - ჩამოიყვანეთ, ახლავე ჩამოიყვანეთ, შიგ ჩავარდება, დაიწვება, ჩააქრეთ... იქ რას აკეთებს? - ყვიროდა იგი.

- ცეცხლს აქრობს, თქვენო აღმატებულება.

- ვერ დავიჯერებ, ცეცხლი ტვინშია და არა სახლის სახურავებზე. ჩამოათრიეთ და ყველაფერს თავი მიანებეთ! გირჩევენიათ მიანებოთ! იქნებ როგორმე თავისით ჩაქრეს! ოი, ვინ კივის კიდევ იქ? მოხუცი კივის, ვის დაავიწყდა მოხუცი ქალი?

აღმოდებული ფლიგელის ქვემო სართულში მართლაც კიოდა ამ სახლის პატრონის ოთხმოცი წლის ნათესავი ქალი, რომელიც თვითონ მობრუნებულიყო უკან, სანამ პაწია კუთხის სენაკს ცეცხლი არ წაჰკიდებია, ჩემს ბუმბულის ლეიბს გამოვათრევო. ამასობაში სენაკშიც შეატანა ცეცხლმა. მაგრამ კვამლისა და სიცხისაგან ლამის გაგუდული დედაბერი მაინც ცდილობდა დამაბუნებული ხელებით ჩამტვრეული ჩარჩოდან ლეიბის გამგრენას. ლემბკემ მის მისაშველებლად ფანჯარასთან მიირბინა, ლეიბის წვერს ჩააფრინდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაექაჩა. ამ დროს სახურავიდან აგლეჯილი ფიცარი ჩამოვარდა და უბედურს დაეცა. მართალია, არ მოუკლავს, მხოლოდ წვერი მოხვდა კისერზე, მაგრამ ანდრეი ანტონოვიჩის მოღვაწეობა კი ამით დასრულდა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენში. იგი წაიქცა და გონი დაკარგა.

როგორც იყო მოატანა პირქუშმა რიჟრაჟმა, ხანძარი შენელდა. ქარი დაცხრა და სიწყნარე ჩამოვარდა. შემდეგ წამოჟინჟლდა. მე უკვე გაღმა მხარის მეორე უბანში ვიყავი, შორს იმ ადგილიდან, სადაც ლემბკე დაეცა. იქ უცნაურ ლაპარაკს მოგვარი ყური: მოხდა ერთი გასაოცარი ამბავი: ამ უბნის ბოლოს, უშენ ადგილზე, ბოსტნებს უკან, სხვა შენობებიდან ასე ორმოცდაათ ნაბიჯზე, ერთი ახალი პატარა ხის სახლი იდგა და ამ განმარტოებულ სახლს თურმე ხანძრის დასაწყისშივე წაეკიდა ცეცხლი. ის რომ კიდევ დამწვარიყო, ცეცხლი ამ სიშორიდან ქალაქის სხვა შენობებს არ გადაედებოდა და, პირიქით, მთელი გაღმა მხარე რომ ამობუგულიყო, მარტო ეს სახლი გადარჩებოდა. მაშასადამე, ამ სახლს დამოუკიდებლად მოსდებოდა ცეცხლი და, მაშასადამე, აქ რაღაც სხვა მიზეზი იყო. მაგრამ, რაც მთავარია, ის არ დაიწვა და გათენებისას იქ გასაოცარი ამბები აღმოაჩინეს. ამ ახალი სახლის მეპატრონე მეშჩანს დაუნახავს თუ არა თავის სახლში ცეცხლი, - იგი იქვე. მახლობელ უბანში ცხოვრობდა - იმ წუთშივე იქ გაჩენილა და მეზობლების დახმარებით გვერდით კედელზე მოწყობილი ცეცხლმოდებული შეშები აქეთ-იქით გადაუყრია. მაგრამ სახლში თურმე მდგმურები ცხოვრობდნენ - ქალაქში კარგად ცნობილი კაპიტანი, მისი და და მათი ხნიერი მოსამსახურე ქალი. ჰოდა, სწორედ ამ მდგმურებს, კაპიტანს, მის დასა და მოსამსახურე ქალს იმ ღამეს, როგორც ეტყობა, გამარცვის მიზნით ყელი გამოჭრეს (აი აქეთ წამოსულა სწორედ პოლიცმაისტერი, როცა ლემბკე ლეიბს ექაჩებოდა). დილას ეს ამბავი უკვე მოედო ქალაქს, უზღვავე ხალხი, გაღმელი სახლკარდამწვრებიც მოაწყდნენ ამ უშენ ადგილს. ისე გაჭედეს იქაურობა, გაღწევას კაი ვაჟკაცობა უნდოდა. მაშინვე მიამბეს, რომ ტანგაუხდელი კაპიტანი ყელგამოჭრილი ენახათ სკამლოგინზე, რომ ალბათ გაღმეილ მთვრალს გამოუსვეს დანა, არაფერიც არ გაუგია და დაკლული ხარივით სისხლის ვეება გუბე დაუყენებია. მისი და მარია ტიმოფეევნა სულ დანით ყოფილა „დასერილი“, კართან ეგდო თურმე იატაკზე, როგორც ჩანს, გამოფხიზლებულა და მკვლელს გამაღიანებია. მოსამსახურესაც ალბათ გაჰღვიძებოდა, ვინაიდან თავი ჰქონდა გახეთქილი. სახლის პატრონის მონაყოლით,

კაპიტანს გუშინ დილას შეეველო მასთან, გახეთქილ მთვრალს კვებნა დაეწყო და ბლომად ფულიც ეჩვენებინა, ასე ოც თუმნამდე. კაპიტნის ძველი გაცვეთილი საფულე ცარიელი ნახეს იატაკზე. მაგრამ მარია ტიმოფეევას ზანდუკი ხელუხლებელი აღმოჩნდა, არც ხატისთვის აეგლიჯათ ვერცხლის ნაჭედობა და არც კაპიტნის ტანსაცმელი მოეპარათ. როგორც ეტყობა, ქურდი ჩქარობდა, თან კაპიტნის საქმეებიც კარგად იცოდა და მხოლოდ ფულისთვის მოსულიყო. ისიც იცოდა, სად ჰქონდა. სახლის პატრონი რომ იმავ წუთს არ მოვარდნილიყო, ცეცხლი სახლსაც წაეკიდებოდა და „დანახშირებული გვამების საშუალებით სიმართლის გამორკვევა გაჭირდებოდა“.

ასე გადმოსცემდნენ ამ ამბებს. ამატებდნენ სხვა ცნობებსაც: რომ ეს ბინა თვით ბატონ სტავროგინს, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს, გენერლის მეუღლე სტავროგინას ვაჟს დაექირავებინა კაპიტნისა და მისი დისათვის, რომ თავისი ფეხით ხლებოდა სახლის პატრონს და ძლივს დაეყოლიებინა გაქირავებაზე, ვინაიდან პატრონს აქ სამიკიტნოს მოწყობა უნდოდა. მაგრამ ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩს ფული არ დაუზოგავს და ნახევარი წლის ქირა წინასწარ ჩაუთვალა.

- ცეცხლი ტყუილუბრალოდ არ გაჩნდებოდა! - ისმოდა ხალხში.

უმრავლესობა მოლუშული დუმდა. ესეც კია, დიდი წყრომა არავისთვის შემიმჩნევია. ირგვლივ კვლავ სტავროგინის ამბებზე მსჯელობდნენ: რომ კაპიტნის ყელგამოჭრილი და მისი ცოლი იყო, რომ გუშინ აქაური უპირველესი ოჯახის, გენერლის მეუღლე დროზდოვას ქალი „მოტყუებით“ გაიტაცა და ახლა პეტერბურგში უპირებენ ჩივილსო. ცოლიც იმიტომ მოაკვლევინა, დროზდოვას ქალის შერთვა უნდოდაო. სკვორეშნიკი აქედან ორ-ნახევარ ვერსზე თუ იქნებოდა. მახსოვს, გულში გავიფიქრე: ეს ამბები იქ ვაცნობო-მეთქი თუ არა? თუმცა ცოდვას ვერ დავიდე და ვერ ვიტყვი, ვინმე ხალხის წაქეზებას ცდილობდა. „ბუფეტის მუშტრების“ ორ-სამ სიფათს კი მოვკარი თვალი, რომლებიც გათენებისას გამოჩნდნენ ხანძარზე, და მაშინვე ვიცანი. განსაკუთრებით ერთი ხმელ-ხმელი, მაღალი, თმახუჭუჭა და თითქოს ჭვარტლში ამოგანგლული ყმაწვილი დამამახსოვრდა. მდაბიოთაგან უნდა ყოფილიყო. როგორც შემდეგში გავიგე, ზეინკალი ყოფილა. მთვრალს არა ჰგავდა, მაგრამ მდუმარედ მდგარ მოლუშულ ბრბოსთან შედარებით გიჟივით გამოიყურებოდა. სულ რაღაცას ელაპარაკებოდა ხალხს ხელების ქნევით, მაგრამ რას, ეს აღარ მახსოვს. თუმცა რაც დალაგებით თქვა, ამაზე გრძელი არ ყოფილა: „ძმებო, ეს რა არის? სანამ უნდა გაგრძელდეს ასე?“

თავი მესამე. დასრულებული რომანი

I

სკვორეშნიკის სახლის დიდი დარბაზიდან (სადაც ვარვარა პეტროვნასა და სტეპან ტროფიმოვიჩის უკანასკნელი პაემანი შედგა) ხელისგულივით მოჩანდა ხანძარი. გათენებისას, ასე დილის ექვს საათზე, სულ უკანასკნელ ფანჯარასთან ლიზა იდგა და მინელებული ცეცხლის დაფიონს გასცქეროდა. დარბაზში მის მეტი არავინ იყო. მაქმანებით გაწყობილი გუშინდელი საგარეო ღია მწვანე მდიდრული კაბა უკვე დაჭმუჭნოდა. გაღელილ მკერდზე რომ დაიხედა, გაწითლდა და კაბა სასწრაფოდ

გაისწორა. მერე წითელი მოსახვევი აიტაცა, გუშინ შემოსვლისას სავარძელზე რომ დააგდო, და ყელზე მოიხვია. თავსაფრიდან გამოწეწილი თმა მარჯვენა მხარზე ჩამოჰყოლოდა. დაღლილი, შეფიქრიანებული ჩანდა, მაგრამ შექმუხნილ წარბქვემოდან თვალები მაინც უელავდა. ისევ მიადგა ფანჯარას და გახურებული შუბლი ცივ მინას მიადო. კარი გაიღო და სტავროგინი შემოვიდა.

- კაცი გავგზავნე ცხენით. ათი წუთის შემდეგ ყველაფერი გვეცოდინება. ჯერჯერობით კი ამბობენ, გაღმა მხრის ერთი ნაწილი, სანაპიროს ახლოს, ხიდის მარჯვნივ, მთლიანად დაიწვაო. თორმეტ საათზე დაწყებულა, ახლა მინელდა თურმე.

ნიკოლაი სტავროგინი ფანჯარასთან არ მისულა, სამიოდე ნაბიჯის მოშორებით დადგა. ლიზას თავი არ მოუტრიალებია.

- კალენდრის მიხედვით ერთი საათის წინ უნდა ერიჟრაჟა, ისევ კი ღამეა, - ჩაილაპარაკა გულმოსულმა.

- კალენდრები სულ ტყუიან, - თავაზიანი ღიმილით წამოიწყო სტავროგინმა, მაგრამ შერცხვა და სასწრაფოდ დაუმატა: - კალენდრით ცხოვრება მოსაწყენია, ლიზა.

მაგრამ ესეც უკბილოდ გამოუვიდა და თავის თავზე გაბრაზებულმა გაჩუმება არჩია. ლიზას ნაძალადევად გაეღიმა.

- ისეთ ცუდ გუნებაზე ხართ, ლაპარაკიც კი გიჭირთ. თუმცა ეგ კი სწორი თქვით: მე მუდამ კალენდრით ვცხოვრობ, ყოველი ნაბიჯი კალენდრითა მაქვს გაანგარიშებული. გიკვირთ? - ლიზა სწრაფად მოტრიალდა და სავარძელში ჩაჯდა.

- თქვენც დაბრძანდით. ჩვენ დიდხანს არ მოგვიწევს ერთად ყოფნა. ამიტომ მინდა ყველაფერი გითხრათ, რაც ენაზე მომადგება... თქვენც რატომ არ უნდა თქვათ, რაც მოგესურვებათ?

სტავროგინი გვერდით დაუჯდა და თითქმის გაუბედავად დაუჭირა ხელი.

- რა ენით მელაპარაკები, ლიზა, საიდან მოიტანე? რას ნიშნავს „დიდხანს არ მოგვიწევს ერთად ყოფნა?“ ეს უკვე მეორე გამოცანა წამოგცდა ამ ნახევარ საათში, გაღვიძების შემდეგ.

ლიზას გაეცინა.

- ჩემს გამოცანებს ითვლით უკვე? გახსოვთ, გუშინ შემოსვლისას რომ გითხარით, უსულო ნეშტი გეახლათ-მეთქი? აი, ამის დავიწყება კი საჭიროდ ჩათვალეთ. დაივიწყეთ თუ ყური არ ათხოვეთ...

- არ მახსოვს, ლიზა. უსულო ნეშტი რა შუაშია? კაცმა უნდა იცოცხლოს...

- გაჩუმიდით, მჭევრმეტყველება სულ დაკარგეთ, მე ჩემი მოვჭამე ამქვეყნად და მეყოფა. გახსოვთ ქრისტოფორ ივანოვიჩი?

- არ მახსოვს, - სტავროგინმა წარბი შეიკრა.

- ქრისტოფორ ივანოვიჩი, ლოზანაში რომ იყო, თავს ძალიან გაბეზრებდათ. კარს შემოაღებდა, „ერთი წუთით“, იტყოდა და მთელი დღე კი ჩამოჯდებოდა. არ მინდა ქრისტოფორ ივანოვიჩს დავემგვანო და თავი მოგაბეზროთ.

სტავროგინს სახე უსიამოდ შეეჭმუხნა.

- ლიზა, გულს მტკენს ეგ მწარე სიტყვები. ვიცი, თვითონაც ძვირად გიღირს ისინი. რად? რისთვის ამბობ?

- მერე თვალეზი დააკვესა: - ლიზა, გეფიცები, გუშინდელზე უფრო ახლა მიყვარხარ!

- რა უცნაური აღსარებაა! რა შუაშია აქ გუშინ და დღეს, რისთვის ადარებთ ერთმანეთს?

- შენ არ დამტოვებ, ჩვენ ერთად წავალთ დღესვე, ხომ კი, ხომ?

- ვაი, ხელს ნუ მიჭერთ ასე, მტკივა! სად უნდა წავიდეთ დღესვე? სადმე „ახალი ცხოვრებისათვის“? არა, კმარა, ცდები... არც მოთმინება მეყოფა; ვერ შევძლებ, მაღლა-მაღლა ფრენისთვის არ ვარ გაჩენილი. კიდევ ჰო, მოსკოვში რომ წავსულიყავით, სტუმრად გვევლო და ჩვენც მიგველო სტუმრები. მე სხვა რამეზე, როგორც იცით, არასოდეს მიოცნებია. არც შვეიცარიაში დამიმალავს, რაცა ვარ. მაგრამ რაკი ჩვენი მოსკოვში წასვლა არ შეიძლება, ვინაიდან ცოლი გყავთ, სალაპარაკოც არაფერია.

- მაშ გუშინ რაღა იყო, ლიზა?

- რაც იყო, იყო.

- მე მაგას ვერ დავიჯერებ, ლიზა! ეგ გულქვაობაა!

- მერედა იყოს გულქვაობა, თქვენც გაუძელით ამ გულქვაობას.

- გუშინდელი ფანტაზიისთვის დღეს სამაგიეროს მიხდით... - ღვარძლიანად ჩაეცინა სტავროგინს, ლიზა წამოპილპილდა.

- რა სულმდაბალი ფიქრია!

- მაშ რად მაჩუქეთ... „ამდენი ბედნიერება?“ მაქვს უფლება ვიკითხო?

- როგორმე უფლების გარეშეც მოინელეთ; მაგ თქვენს სულმდაბალ ვარაუდს სისულელეს ნულარ დაუმატებთ. დღეს რატომღაც მარჯვედ ვერ გამოგდით. ან იქნებ იმის გეშინიათ, საზოგადოებამ „ამდენი ბედნიერებისათვის“ არ გაგკიცხოთ? ო, თუ ასეა, ღვთის გულისათვის, ნუ ღელავთ, თქვენი ბრალი აქ არაფერია და არც პასუხი მოგეთხოვებათ. მე რომ გუშინ თქვენი კარი შემოვალე, არც იცოდით, ვინ ვიყავი. ეს მხოლოდ ჩემი ფანტაზია იყო, როგორც ახლა ბრძანეთ, მეტი არაფერი. ყველას ამაყად შეგიძლიათ გაუსწოროთ თვალი.

- ეგ შენი სიტყვები, ეგ სიცილი აგერ უკვე ერთი საათია სისხლს მიყინავს და შიშით მავსებს. ეგ „ბედნიერება“, შენ რომ ასეთი გააფთრებით იმეორებ, მე.. მე მთელ სიცოცხლედ მიღირს. განა შემიძლია ახლა დაგკარგო? ვფიცავარ, გუშინ ნაკლებ მიყვარდი. მაშ, რაღად მართმევ დღეს ყველაფერს? იცი კი, რად მიღირდა ეგ ახალი იმედის სხივი? მე სიცოცხლე გავიღე მისთვის.

- თქვენი თუ სხვისი?

სტავროგინი ზე წამოიჭრა.

- ეგ რას ნიშნავს? --უთხრა და თვალეები უმოძრაოდ მიაშტერა.

- თქვენი თუ ჩემი სიცოცხლე-მეთქი, სხვა არაფერი. გაგების უნარი სულ ხომ არ დაკარგეთ? ნუ მაშინებთ, ან რისა გეშინიათ მუდამ? დიდი ხანია შეგამჩნიეთ, სულ რაღაცის გეშინიათ... ღმერთო, როგორ გაფითრდით!

- შენ თუ რამე იცი, ლიზა, ვფიცავარ, მე არ ვიცი... და სულაც იმაზე არ მითქვამს ახლა, სიცოცხლის ფასად მიღირს-მეთქი...

- არ მესმის თქვენი, - ლიზას შიშმა ენა დაუბა.

ცოტაც და ჩაფიქრებულ სტავროგინს ღიმი აეგრიხა პირზე. უხმოდ დაჯდა, იდაყვები მუხლებს დააყრდნო და სახე ხელებში ჩამალა.

- ავი სიზმარი და ბოდვაა... ჩვენ სხვადასხვაზე ვლაპარაკობდით თურმე.

- მე არ ვიცი, რაზე ლაპარაკობდით... განა გუშინ არ იცოდით, რომ დღესვე დაგტოვებდით? იცოდით თუ არა? არ მოიტყუოთ, იცოდით თუ არა?

- ვიცოდი... - წაილაპარაკა სტავროგინმა.

- მაშ რაღა გინდათ, იცოდით და „წამიერი ბედნიერებით“ კი ისარგებლეთ. რაღა გენაღვლებათ?

- მართალი მითხარი, გუშინ რომ ჩემთან მოხვედი, იცოდი კი, რომ ერთი საათით მოხვედი მხოლოდ? -გულისტკივილით აღმოხდა სტავროგინს.

ლიზამ სიძულვილით შეხედა: - მართალი ყოფილა, ყველაზე ჭკვიანს ყველაზე საკვირველი კითხვების მოცემა შეუძლიაო. ან რა გაწუხებთ ასე? ნუთუ გრცხვენიათ, პირველი რომ ქალი გტოვებთ? იცით, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი, რაც აქა ვარ, დავრწმუნდი, რომ საოცარ სულგრძელობას იჩენთ ჩემდამი და სწორედ ეგ სულგრძელობა ვერ ამიტანია თქვენგან.

სტავროგინი ადგა და რამდენიმე ნაბიჯი გაიარა.

- მესმის, ასეც უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ როგორ მოხდა მაინც ყოველივე ეს?

- აი დარდი! თუმცა თვითონაც კარგად იცით, ყველაზე კარგად გესმით და ამის იმედიც გქონდათ. მე ხომ აზიზი ქალიშვილი ვარ, ჩემი გული ხომ ოპერებზე აღიზარდა, აი, ყველაფრის მიზეზი.

- არა.

- ეს წმინდა ჭეშმარიტებაა და ამით არც სიამაყე შეგელახებათ. მე ვერ ავიტანე ერთი ლამაზი წუთი. აქედან დაიწყო ყველაფერი. ამ სამი დღის წინ რომ საჯაროდ „შეურაცხყავით“ და თქვენ კი ასე რაინდულად მომექცეით, მოვბრუნდი შინ და მაშინვე მივხვდი, თურმე ცოლიანი იყავით და იმიტომ გამირბოდით. მე კი მეგონა, გეზიზღებოდით და, როგორც მაღალი წრის ქალიშვილს, ყველაზე მეტად ამის

მეშინოდა. მივხვდი, მე უგუნურსვე რომ მიფრთხილდებოდით და იმიტომ მერიდებოდით. ხედავთ, რარიგ გიფასებთ სულგრძელობას. მერე პიოტრ სტეპანოვიჩი მოვარდა და ყველაფერი ამიხსნა. გამომიტყდა, რომ დიდი იდეით ხართ შეპყრობილი, რომ ამ დიადი იდეის წინაშე მე და ის არარაობას წარმოვადგენთ და, მიუხედავად ამისა, მაინც მე გიბორკავთ თურმე ხელ-ფეხს. არც თავისი თავი დაივიწყა; ისიც ჩვენთან იქნებოდა. ფანტასტიკური სურათები დამიხატა, რაღაც ნავიო, ნეკერჩხლის ნიჩბებიო, ერთი რუსული სიმღერა ყოფილა ასეთი. მე მოვუწონე, ვუთხარი, პოეტი ხართ-მეთქი. სიმართლედ მიიღო. მე კი ისედაც დიდი ხანია ვიცოდი, ჩემი აღმაფრენა წამზე მეტს არ გასტანდა. ჰოდა, ავდექი და გადავწყვიტე კიდევ. ეს არის და ეს. მეტი ახსნა-განმარტება საჭირო არ არის, თორემ წავიჩხუბებთ. ნურაფრის გეშინიათ, ყველაფერს ჩემს თავზე ვიღებ. ჰო, ცუდი ვარ, ჟინიანი, იმ ნავმა შემაცდინა... იცით, მაინც მეგონა, რომ საშინლად გიყვარდით. ნუ აიგდებთ აბუჩად სულელ ქალს და ნუ დასცინებთ ამ ობოლ ცრემლს. საოცრად მიყვარს ხოლმე ჩემი თავის „შეცოდება“. ჰოდა, კმარა, კმარა. არც მე არაფრად ვვარგივარ და არც თქვენ. ორივეს მოგვხვდა წკიპურტი და ესეც გვეყოფა ნუგეშად. ყოველ შემთხვევაში, სიამაყე არ შეილახება.

სტავროგინი ხელებს იმტვრევდა და ოთახში ბორგავდა.

- სიზმარი და ბოდვია! ეგ რა უყავი თავს, შე საწყალო ლიზა?

- სანთელზე დავიწვი, მეტი არაფერი. თქვენც ხომ არ ტირით? მეტი სიღინჯე და გულქვაობა გმართებთ.

- რატომ, რატომ მოხვედი ჩემთან?

- ნუთუ არ გესმით, რა სასაცილო გამოდიხართ საზოგადოების თვალში მაგ შეკითხვებით?

- რისთვის დაილუპე თავი ასე უგვანოდ და სულელურად, რა გეშველება ახლა?

- და ამას მეუბნება სტავროგინი, ის სტავროგინი, ვისაც მასზე შეყვარებულმა ქალმა „სისხლისმსმელი სტავროგინი“ უწოდა! გამიგონეთ! აკი გითხარით უკვე: ჩემი ცხოვრება ერთი საათისათვის გაწვირე-მეთქი და ახლა მშვიდად ვარ. თქვენც შეგიძლიათ ასე გასწიროთ... თუმცა რატომ? კიდევ ბევრი ასეთი „საათი“ და „წამი“ გელით.

- იმდენი, რამდენიც შენ. ვფიცავარ, შენზე ერთი წამით მეტი არა!

სტავროგინი ბოლთას სცემდა და ვერ შენიშნა, რა სწრაფი, გამჭვალავი მზერა ესროლა ლიზამ და რა იმედით გაუბრწყინდა თვალები. მაგრამ იმედის სხივი მყისვე ჩაუქრა.

- ოჰ, რომ იცოდე, ლიზა, რად მიღირს ახლა შენთან გულწრფელობა, ოჰ, რომ შემემძლოს იმის გამხელა...

- გამხელაო? რაღაც უნდა გამიმხილოთ? ღმერთმა მაშოროს და დამიფაროს ამისგან! - თითქმის შიშით შეაწყვეტინა ლიზამ.

სტავროგინი შემფოთებული მიაჩერდა.

- უნდა გამოგიტყდეთ, ჯერ კიდევ შვეიცარიაში ვიფიქრე თქვენზე, რაღაც საშინელი, ბინძური, სისხლიანი დანაშაული აწევს სინდისზე... და ამავე დროს ძალიან სასაცილო მდგომარეობაში აგდებს-მეთქი. თუ ასეა, სჯობს მართლა არ გამიმხილოთ: თორემ სიცილს დაგაყრით. მთელი სიცოცხლე სულ დაგცინებთ... ვაიმე, ისევ გაფითრდით? აღარ ვიტყვი, არა, ახლავე წავალ, - ზიზღით წამოხტა იგი სკამიდან.

- მტანჯე, დამსაჯე, ჯავრი ამოიყარე, - შესძახა სასოწარკვეთილებით სტავროგინმა, - შენ ამის უფლება გაქვს! ვიცოდი, არ მიყვარდი, და მაინც დაგლუპე, დიახ, დიახ, „წამი გამოვიყენე“. მე იმედი მქონდა... დიდი ხანია... უკანასკნელი იმედი... როცა გუშინ ჩემთან მოხვედი, მოხვედი შენივე ფეხით, ვეღარ ვთქვი უარი გულში ჩაღვრილ იმედის სხივზე. უცბად ვიწამე და იქნებ... იქნებ ახლაც მწამს.

- მაგ კეთილშობილურ, გულახდილ სიტყვებზე ასევე გულახდილად გიპასუხებთ: მე არ მინდა თქვენი მოწყალების და ვიყო. თუ დღესვე არ მომიხერხდა სიკვდილი, იქნებ მართლაც წავიდე და სხვას დავუდგე მომვლელად, თქვენ კი არ დაგიდგებით, თუმცა ყველა უფეხოსა და უხელოზე უფრო ღირსი ხართ. რატომღაც მუდამ მეგონა, რომ ისეთ ადგილას წამიყვანდით, სადაც ადამიანის სიმაღლე ბოროტი ობობა იქნებოდა და მთელი ჩვენი სიცოცხლე იმ ობობასთვის უნდა შიშით გვეცქირა და გვეკანკალა. ასე გაივლიდა ჩვენი სიყვარული. ისევ დაშენკას მიაკითხეთ, ის ყველგან გამოგყვებათ.

- ვერც ახლა დაივიწყეთ იგი?

- საცოდავი ფინია! ჩემგან მოკითხვა გადაეცით. ნეტა თუ იცის, რომ შვეიცარიაშივე გყავდათ უკვე ამორჩეული სიბერის წლებში მომვლელად? წინდახედულობას ამას ჰქვია! ვაი, ვინ არის?

დარბაზის სიღრმეში კარი პატარაზე გაიღო. ვიღაცამ თავი შემოჰყო და სწრაფად მიიმალა.

- შენა ხარ, ალექსეი ეგორიჩ? - გასძახა სტავროგინმა.

- ეს მე ვარ, მე, - ხელმეორედ შემოჰყო თავი ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ, - გამარჯობათ, ლიზავეტა ნიკოლაევნა, ყოველ შემთხვევაში, დილა მშვიდობისა. ეგრეც ვიცოდი, რომ ორივე ამ დარბაზში დამხვდებოდით. მე მხოლოდ ერთი წუთით, ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი, გულამოგლეჯილი მოვრბოდი... მხოლოდ ორი სიტყვა მაქვს სათქმელი!

სტავროგინი კარისკენ წავიდა, მაგრამ სამი ნაბიჯიდან ისევ ლიზასკენ გამოტრიალდა.

- თუ ახლა რამე გაიგო, ლიზა, იცოდე: ბრალი ჩემია.

ლიზა შეკრთა და შიშით შეხედა. სტავროგინი საჩქაროდ გავიდა.

II

ის ოთახი, საიდანაც ვერხოვენსკიმ შემოიხედა, დიდი, ოვალური მოყვანილობის მისაღები იყო. მის მოსვლამდე აქ ალექსეი ეგორიჩი იჯდა, რომელიც ვერხოვენსკიმ

შემოსვლის უმაღლესი გააძევა. სტავროგინმა დარბაზის კარი მოიხურა და გაჩერდა. ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ დაკვირვებით შეავლო თვალი.

- აბა?

- უკეთუ იცით რაიმე, - საჩქაროდ დაიწყო სტუმარმა, - თავისთავად ცხადია, არც ერთის ბრალი არ არის, მეტადრე თქვენი, რამეთუ ყველაფერი ისე წაეწყო... და ისე დაემთხვა... მოკლედ რომ ვთქვათ, იურიდიულად თქვენ არაფერი შეგეხებათ. გასაფრთხილებლად გამოვექანე.

- დაიწვენენ? ყელი გამოჭრეს?

- საქმეც ეგაა, რომ ყელი გამოჭრეს და არ დაიწვენენ. მაგრამ პატიოსნებას გეფიცებით, ჩემი ბრალი არაა, თუმცა კი ეჭვობთ ალბათ - ხომ ეჭვობთ, ჰა? სიმართლე თუ გინდათ, ერთი პირობა მართლა გამკრა თავში ამ აზრმა. განა თქვენვე არ მიკარნახეთ, თუმცა მაღიზიანებდით მხოლოდ (აბა მართლა როგორ იტყოდით), ოღონდ მე მაინც ვერაფრით ვერ გავბედავდი ან რა ხეირი იყო ჩემთვის, ჩემთვის-მეთქი... (სიტყვასავით აყრიდა იგი). მაგრამ აბა უყურეთ, როგორ დაემთხვა ყველაფერი ერთმანეთს: ჩემი ფულიდან (გესმით, ჩემიდან, თვითონ ხომ იცით, თქვენი მანეთიც არ იყო) იმ ტუტრუცანა ლოთ ლებიადკინს ამ სამი დღის წინ სადამოზე ოცდასამი თუმანი მივეცი, - გესმით, ამ სამი დღის წინ და არა გუშინ, ლიტერატურული „კითხვის“ შემდეგ; კარგად ინიშნეთ: ეს ფრიად მნიშვნელოვანი დამთხვევაა, ვინაიდან მაშინ არ ვიცოდი დანამდვილებით, წამოვიდოდა თუ არა ლიზავეტა ნიკოლაევნა თქვენთან. ეს ჩემი საკუთარი ფული კი მხოლოდ იმიტომ მივეცი, ამ სამი დღის წინ რომ იყოჩაღეთ და ის თქვენი საიდუმლო გაამხილეთ. მეტს არაფერს ვიტყვი... თქვენი საქმეა... რაინდობა გამოიჩინეთ... მე კი, თითქოს კეტი დამკრეს თავში. მაგრამ რამეთუ ეგ თქვენი ტრაგედიები ერთობ მომბეზრდა - ინიშნეთ, ხუმრობაგაშვებით ვამბობ - თუმცა სლავურ გამოთქმას ვხმარობ, - რაკი ეს ყველაფერი ჩემს გეგმებსაც ვნებდა, სიტყვა მივეცი თავს ლებიადკინები თქვენ უჩუმრად უთუოდ პეტერბურგში გამესტუმრებინა, მით უმეტეს, რომ თვითონაც იქით იქაჩებოდა. ერთი შეცდომა კი მომივიდა. ფული თქვენი სახელით მივეცი; შეცდომაა თუ არა? იქნებ არც იყოს შეცდომა, ჰა? ახლა ყური მიგდეთ, როგორ შეტრიალდა საქმე... - ლაპარაკით გატაცებული ვერხოვენსკი სულ ახლოს მივიდა და სერთუკის ლაცკანზე წაეტანა სტავროგინს (ღმერთმანი, იქნებ განგებაც). სტავროგინმა ღონივრად დაჰკრა მაჯაზე.

- რას შვრებით, ხელი არ მომამტვრიოთ... მთავარი ისაა, როგორ შეტრიალდა საქმე, - ატარტარდა ისევ ვერხოვენსკი, დარტყმა თითქოს არც გაკვირვებია, - სადამოზე ფული მივეცი, რომ ისა და მისი და მეორე დღეს დილაუთენია გამგზავრებულიყვნენ. ამასთან იმ გაიძვერა ლიპუტინს ვთხოვე, შენ ჩასვი და გაამგზავრე-მეთქი. მაგრამ იმ ოხერ ლიპუტინს თურმე საზოგადოების გამასხარავება მოუნდა - იქნებ მოჰკარით ყური, ლიტერატურულ დილაზე რა ქნა? ჰოდა, ყური მიგდეთ ახლა: გამოთვრნენ, ლექსი შეთითხნეს, აქედან ნახევარი ლიპუტინის დაწერილია; მერე ფრაკში გამოაწყო ლებიადკინი და, სანამ ესტრადაზე გამოიყვანდა, სადღაც დამალა. მე კი დამარწმუნა, უკვე გავგზავნეო. ამასობაში ლებიადკინი უგონოდ დათვრა. შემდეგ, მოგეხსენებათ, რაც მოხდა. მერე ლიპუტინმა სახლში მიიყვანა ცოცხალ-მკვდარი და ჩუმად ოცი თუმანი ამოაცალა ჯიბიდან, ხურდა დაუტოვა მხოლოდ. მაგრამ საუბედუროდ ლებიადკინს ეს ოცი თუმანი დილითვე სატრაბახოდ გამოუჩენია იქ, სადაც არ უნდა

გამოეჩინა. ფედკაც ამას ელოდა, ამასთან კირილოვთანაც მოჰკრა ყური რაღაც-რაღაცებს (მოიგონეთ თქვენი გადაკრულები?!) ჰოდა, იხელთა კიდეც დრო. აი თუ გნებავთ მთელი სიმართლე. ის მაინც მეთა, რომ ფედკა ხახამშრალი დარჩა. განა არა, ასი თუმნის იმედი ჰქონდა იმ წუპაკს! ჩქარობდა და, მგონი თვითონვე შეეშინდა ხანძრისა... დამიჯერებთ, მაგ ხანძრის ამბავმა პირდაპირ თავში დამკრა. არა, ეშმაკმა იცის, ეს რა არის! სად გაგონილა ეგეთი თვითნებობა... იცით, არაფერს დაგიძალავთ, იმდენ იმედს ვამყარებ თქვენზე: კი, ეგ აზრი მეც დიდი ხანია მიტრიალებდა თავში, იმდენად ხალხური და პოპულარული საშუალებაა, მაგრამ კრიტიკულ დროისთვის ვინახავდი, იმ ძვირფასი წუთისთვის, როცა ყველანი აღვსდგებოდით და... მაგათმა კი ახლა მომინდომეს თვითნებურად, მერედა როდის? როცა ყველას მიძალვა და გატრუნვა გვმართებს! არა, ეს ისეთი თვითნებობაა!.. ერთი სიტყვით, ჯერ არაფერი ვიცი, იქ ორ შპიგულინელზეა რაღაც ლაპარაკი... მაგრამ თუ ჩვენებიც ურევია ამაში, თუ ერთმა მათგანმა მაინც მოითხო იქ ხელი ვაი იმას! ხედავთ, რას ნიშნავს, ცოტა თუ მიუშვი სადავე! არა, არა, ეგ დემოკრატიული ვიგინდარები და მათი ხუთეულები ვერაფერი იმედია; აქ ერთი საყოველთაო დიდებული კერპია საჭირო, დესპოტური ძალა, რომლის დასაყრდენი რამე შემთხვევითი თუ გარეშე კი არ იქნება... მაშინ ის ხუთეულებიც მორჩილად ამოიძუებენ კუდს და რაც ჩვენ გვინდა, იმას გააკეთებენ. რამდენიც არ უნდა იძახოს ახლა ყველამ, სტავროგინს ცოლის დაწვა უნდოდა და ქალაქიც იმიტომ გადაწვაო, ეს ხომ...

- მაშ ყველა იძახის?

- არა, ჯერჯერობით, მართალი გითხრათ, არაფერი გამიგონია, მაგრამ ხალხს პირს ვინ აუკრავს, მეტადრე, ვისაც სახლ-კარი დაეწვა: Vox populi vox dei.[288] რა დიდი ამბავი უნდა სულელური ხმის დარხევას?.. ოღონდაც თქვენ რა გაქვთ საშიში. იურიდიულადაც ცამდე მართალი ხართ და სინდისის წინაშეც. ხომ არ გინდოდათ? ხომ არა? გასამტყუნარ საბუთს ვერავინ მოგინახავთ, მხოლოდ და მხოლოდ დამთხვევაა. აი, თუ მართლა ფედკამ არ გაიხსენა, რაც იმ დღეს კირილოვთან წამოგცდათ (ნეტა რა გალაპარაკებდათ?), თუმცა არც ეს ამტკიცებს არაფერს. ფედკას კი მე მოვუკეტავ პირს. დღესვე მოვუკეტავ...

- გვამები სულ არ დამწვარა?

- გაგიგონიათ! მაგ თაღლითმა თავი ვერაფერს მოაბა. კიდეც კარგი, ეგრე მშვიდად ხართ... მართალია, დანაშაული არაფერში მიგიძღვით, ფიქრადაც არ გქონიათ, მაგრამ ხომ იცით მაინც... თან რა მშვენივრად გაგეჩარხათ საქმე; ახლა თავისუფალი ქვრივი ბრძანდებით და ამ წუთას შეგიძლიათ ფულიანი, მშვენიერი ქალი შეირთოთ, რომელიც ისედაც უკვე ხელთა გყავთ. თურმე რა შესძლებია გარემოებათა უბრალო, უხემ დამთხვევას - ჰა?

- მემუქრებით კიდეც, ჰკუისკოლოფო?

- კარგით, კარგით, ჰკუისკოლოფიც გავხდი უკვე; ან რა კილოთი მელაპარაკებით? გიხაროდეთ უნდა, თქვენ კი... კაცი საგანგებოდ გამოვექანე ამბის მოსატანად... ან რატომ უნდა დაგემუქროთ და დაგაშინოთ? თქვენი ნება-სურვილით უნდა დამყვეთ და არა შიშით. თქვენ ხომ მზე და სინათლე ხართ... ეგ მე მეშინია თქვენი, თქვენ კი არა! განა მავრიკი ნიკოლაევიჩი ვარ... წარმოგიდგენიათ, დროშკით მოვექრივარ და უცებ მავრიკი ნიკოლაევიჩი არ დავინახე, ბალის უკან გალავანთან იჯდა... სულ

გალუმპოდა შინელი. ვინ იცის, მთელი ღამე იქ ყურყუტებდა! სასწაული თუ გინდათ ესაა! რამდენი გიჟი ჰყავს ამქვეყნად ღმერთს!

- მავრიკი ნიკოლაევიჩი? მართლა ამბობთ?

- მართლა, მართლა. გალავანთან ზის. აქედან სამასი ნაბიჯი იქნება. საჩქაროდ ჩავუარე გვერდით, მაინც მომკრა თვალი. არ იცოდით? კიდევ კარგი, არ დამავიწყდა თქმა. აი, ვინ არის საშიში, მეტადრე თუ რევოლვერიც აქვს. კაცმა მთელი ღამე იყურყუტა ამ წუნწუხში, ბუნებრივია, გულზე იქნება გასიებული - მაშ არადა. რა დღეშია, ჰა-ჰა! როგორ გგონიათ, რატომ ზის?

- რა თქმა უნდა, ლიზავეტა ნიკოლაევნას ელოდება.

- ერიჰაა! ნეტა თუ ჰგონია, რომ გაჰყვება? ისიც... ამ წვიმაში... აი... შტერი!

- ახლავე გაყვება.

- ჰე-ჰე! ესეც ახალი ამბავი! მაშასადამე... მოიცათ, ახლა ხომ სულ შეიცვალა საქმე: რაღა ჯანდაბად უნდა ეგ მავრიკი? კაცი დაქვრივდით, განთავისუფლდით, გინდათ ხვალვე დაიწერთ ჯვარს. მაგან ჯერ არ იცის ეს ამბები, - მე მომანდეთ, ხელად გაგიჩარხვთ ყველაფერს. სად არის, ერთი უნდა გავახარო.

- გაახაროთ?

- აბა, რა წავიდეთ.

- გგონიათ, გვამების ამბავს ვერ მიხვდება? - უცნაურად მოწკურა თვალები სტავროგინმა.

- რა თქმა უნდა ვერა, - ვერხოვენსკიმ სულ მოისულელა თავი, - იურიდიულად ხომ... ეეჰ, მოგცლიათ ერთი! გინდაც მიხვდეს! არ გცოდნიათ ქალების ამბავი, როცა უნდათ, ყველაფერზე თვალს დახუჭავენ; თანაც ამაზე უკეთეს გამოსავალს რას ნახავს, რაც უნდა იყოს, თავი აქვს მოჭრილი. ისიც დაუმატეთ, რაები ველაპარაკე „ნავზე“. შევატყვე, შვილიც ბრძანებულა. ნუ გეშინიათ, ისე გადააბიჯებს გვამებს, უკან არ მოიხედავს - მეტადრე რომ თქვენ ამ საქმეში ერთი ბეწო ბრალი არ მიგიძღვით, ხომ ასეა? მაგ გვამების ამბავს მერმისისთვის გამოიზოგავს და ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ წამოგაკეცავთ. ქალი არ არის, ქმრის წარსულიდან ამისთანა რამ არ ჰქონდეს შემონახული ყოველი შემთხვევისათვის. თუმცა ვინ იცის... ერთი წლის მერე რა იქნება? ჰა-ჰა-ჰა!

- თუ დროშკითა ხართ მოსული, ბარემ მიუყვანეთ მავრიკი ნიკოლაევიჩს. ეს წუთია მითხრა, მძულხარ და შენთან არ დავრჩებიო. ჩემს კარეტაში, რა თქმა უნდა, არ ჩაჯდება.

- ერიჰაა! არა, მართლა მიდის? ვითომ რა მიზეზით? - ყეყეჩივით შეხედა ვერხოვენსკიმ.

- ალბათ მიხვდა, რომ არ მიყვარს... თუმცა ეს ყოველთვის იცოდა.

ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ უსაზღვროდ გაიოცა: - ნუთუ მართლა არ გიყვართ? მაშ წუხელ რაღად დასტოვეთ და, როგორც კეთილშობილმა კაცმა, მაშინვე არ

გამოუცხადეთ, არ მიყვარხართ-თქო? თქვენი მხრივ ეს დიდი უსინდისობაა. ან მე რა უნამუსოდ გამომიყვანეთ მის თვალში?

სტავროგინს უცებ სიცილი წასკდა.

- ჩემს მაიმუნზე მეცინება, - დააყოლა მაშინვე.

- ოო, მიმიხვდით პამპულაობას, - მხიარულად გადაიხარხარა ვერხოვენსკიმაც, - თქვენი გაცინება მინდოდა, თორემ შემოსვლისთანავე შეგატყვევთ, რაღაც „უბედურება“ გჭირდათ. კოვზი ხომ არ ჩაგივარდათ ნაცარში, ჰა? იცით, სანამძლეოს ჩამოვალ, მთელი ღამე ალბათ გვერდიგვერდ სკამებზე ისხედით დარბაზში და ეს ძვირფასი დრო სულ მაღალ-მაღალ საგნებზე დავაში დაკარგეთ, - შესძახა მან და აღტაცებისგან ღამის გაიგუდა... - უკაცრავად, უკაცრავად; მე რა, მე ხომ გუშინვე ვიცოდი დანამდვილებით, სისულელის მეტი არაფერი გამოვიდოდა; მხოლოდ გასართობად მოგვვარეთ და თან იმის დამტკიცებად მინდოდა, ჩემთან არ მოგწყინდებათ-მეთქი; სამასჯერ მაინც გამოგადგებით ამისთანა საქმეებში. მიყვარს, ხალხს რომ ვასიამოვნებ. ხოლო თუკი თქვენ აღარ გჭირდებათ, რისი იმედიც მქონდა და რისთვისაც გეახელით ახლა, მაშინ...

- მაშ მხოლოდ გასართობად მომგვარეთ?

- აბა რისთვის?

- იმისთვის არა, რომ ცოლის მოკვლაზე გეიძულებინეთ?

- მერედა თქვენ მოჰკალით თუ? ღმერთო, ეს ვისთან მაქვს საქმე!

- სულ ერთია, თქვენ ხომ მოჰკალით.

- მერედა მე მოვკალი? ახლა არ გითხარით, ერთი ბეწო დამნაშავე არა ვარ-მეთქი? არა, მართლაც უკვე მეშინია თქვენი.

- განაგრძეთ, რასაც ამბობდით: „თუ თქვენ აღარ გჭირდებათო, მაშინ...“

- მაშინ მე მომანდეთ-მეთქი. მშვენივრად მოვახერხებ მავრიკი ნიკოლაევიჩს მივაჩეჩო ცოლად. იქნებ ისიც გგონიათ, მე მოვიყვანე მავრიკი ნიკოლაევიჩი და დავსვი ბაღში? კაცის მისი შიშით ახლაც მაკანკალებს. უნდა გენახათ, როგორ გამოვიძურწე მის დანახვაზე, თქვენ კი მეუბნებით, დროშკით მიუყვანეო... ვთქვათ და, მართლა რევოლვერი აქვს?.. კიდეც კარგი, ჩემი წამოვიღე (ვერხოვენსკიმ ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო, სტავროგინს დაანახვა და მყისვე უკან ჩაიღო) - ვიფიქრე, შორი გზაა-მეთქი... თუმცა ამ ამბავს თვალის დახამხამებაში მოგიგვარებთ: გული ახლა სწორედ მავრიკიზე შეჰკვნესის... ყოველ შემთხვევაში, უნდა შეჰკვნესოდეს... ღმერთმანი, მეცოდება კიდეც! როგორც კი მავრიკის მივგვრი, უმალ თქვენ გაგიხსენებთ, შეგაქვებთ კიდეც, იმას კი პირში გამოლანძღავს - ქალის გულის ამბავი ვინ არ იცის! ისევ იცინით? ძალიან მიხარია, ეგრე მხიარულს რომ გხედავთ. მაშ, წავიდეთ. პირდაპირ მავრიკიზე დავუწყებ ლაპარაკს, იმათი მოკვლის ამბავს კი... ახლა არ ვეტყვი, ასე არ სჯობია? სულ ერთია, მერე გაიგებს.

- რას გაიგებსო? ვისი მოკვლის ამბავს? რა თქვით მავრიკი ნიკოლაევიჩზე? - კარი შემოაღო უცებ ლიზამ.

- ოჰო! ყურს გვიგდებდით?

- რა თქვით ახლა მავრიკი ნიკოლაევიჩზე? მოჰკლეს?

- ოო, მაშასადამე, ვერ გაიგონეთ! დამშვიდდით, მავრიკი ნიკოლაევიჩი სალ-სალამათად გახლავთ, შეგიძლიათ დარწმუნდეთ, აგერ იქა ზის, გზაზე, ბაღის გალავანთან, მთლად გალუმპული... ალბათ მთელი ღამე იქ გაათენა... მე რომ მოვედი, დამინახა.

- ტყუიხართ, თქვენ თქვით, „მოკლესო“... ვინ მოკლეს?

- მოკლეს მხოლოდ ჩემი ცოლი, მისი ძმა ლეზიადკინი და მათი მოახლე, - მტკიცედ განაცხადა სტავროგინმა.

ლიზა შეკრთა და მკვდარივით გაფითრდა.

- საკვირველი და მხეცური მკვლელობაა, ლიზავეტა ნიკოლაევნა, მხოლოდ და მხოლოდ გაძარცვის მიზნით ჩადენილი, - მყის აქაქანდა ვერხოვენსკი, - ფედკა კატორღელის ავაზაკობა, თვითონ იმ ბრიყვი ლეზიადკინისვე მიზეზით, ყველას უჩვენა ფული... ამიტომ მოვქროდი ასე... მეხივით დამეცა თავზე. სტავროგინი კინაღამ წაიქცა, ეს რომ ვაცნობე. აქ ბჭობა გვქონდა: გვეთქვა თუ არა თქვენთვისაც?

- ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩ, მართალს ამბობს ეს კაცი? - ძლივს ამოღერდა ლიზამ.

- არა, ტყუის.

- როგორ თუ ვტყუი! - შეკრთა ვერხოვენსკი. - ეს რას ნიშნავს კიდევ!

- ღმერთო ჩემო, ჭკუაზე შევიშლები! - შესძახა ლიზამ.

- როგორ არ გესმით, რომ ამ კაცს ახლა ჭკუა არ მოეკითხება! - რაც ძალი და ღონე ჰქონდა შეჰყვირა ვერხოვენსკიმ, - რაც უნდა იყოს, კაცს ცოლი მოუკლეს. ვერა ხედავთ, რა ფერი ადევს... მთელი ღამე თქვენთან არ გაატარა, წუთით არ მოგცილებიათ, ეჭვის მიტანა მასზე როგორ შეიძლება?

- ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩ, ღვთის წინაშე მითხარით, ხართ თუ არა დამნაშავე და ვფიცავარ, თქვენს სიტყვას განგებასავით ვიწამებ და ცხრა მთას იქით გამოგყვებით, ღმერთია მოწამე, გამოგყვებით! ფინიასავით აგედევნებით...

- აბა რად აწამებთ ამ ქალს, ფანტასტიკურო ადამიანო! - გამძვინვარდა ვერხოვენსკი. - ლიზავეტა ნიკოლაევნა, ღმერთს გეფიცებით, გინდათ თავი გამიჩიქვით, ბრალი არაფერში მიუძღვის, პირიქით, კაცი მკვდარია და ბოდავს, ხომ ხედავთ. ფიქრადაც კი არ ჰქონია... ყოველივე იმ ავაზაკებმა მოიმოქმედეს, ალბათ ერთ კვირაში მოძებნიან ყველას და მათრახით ტყავს გააძრობენ... ეს ფედკა კატორღელისა და შპიგულინელების ნამოქმედარია, მთელი ქალაქი ამაზე ყაყანებს, მეც იმიტომ გეუბნებით.

- მართალია? მართალია? - მთელი ტანით ცახცახებდა ლიზა უკანასკნელი განჩინების მოლოდინში.

- მე არ მომიკლავს და არ მინდოდა მოეკლათ, მაგრამ ვიცოდი, რომ მოკლავდნენ და მკვლელებს ხელი არ შევუშალე. დამტოვეთ, ლიზა, - თქვა სტავროგინმა და დარბაზში შეტრიალდა.

- ლიზამ სახეზე ხელები აიფარა და ოთახიდან გავიდა. ვერხოვენსკი ჯერ იმას გაეკიდა, მაგრამ მაშინვე გამობრუნდა, დარბაზში შევარდა და სტავროგინს გაცოფებული ეცა.

- ეგრე ხომ? მაშ არაფრისა გეშინიათ? - ბურღუნებდა დორბლმორეული და სხვა ველარაფერი ეთქვა.

სტავროგინი უხმოდ იდგა შუა დარბაზში. მარცხენათი თმა ჩაებლუჯა და დაბნეული ილიმებოდა. ვერხოვენსკიმ ღონივრად მოქაჩა სახელოზე.

- ჭკუაზე ხომ არ შეიშალებთ? მაშ ამ გზას დაადექით ახლა? ყველას დაასმენთ და თქვენ თვითონ მონასტერში თუ ჯანდაბასა და დოზანაში წახვალთ... მაგრამ სად წამიხვალთ, ხომ ჩემი ხელით მოგკალით, თუნდაც ჩემი არ გეშინოდეთ!

- ეს თქვენ კაკანებთ აქა? - შეხედა ბოლოს სტავროგინმა და უცებ გონს მოეგო. - ახლავე უკან დაედევნეთ, კარეტა მიუყვანეთ, ჩასვით, არ მიატოვოთ... გაიქეციტ, გაიქეციტ-მეთქი, რაღას უყურებთ! შინამდე მიაცილებთ, რომ არავინ არაფერი გაიგოს და იქ არ წავიდეს... მოკლულები არ ნახოს... ძალით ჩასვით კარეტაში.. ალექსეი ეგორიჩ! ალექსეი ეგორიჩ!

- მოიცათ, რა გაყვირებთ! ახლა ალბათ მავრიკის ჰყავს უკვე ჩახუტებული... მავრიკი თქვენს კარეტაში არ ჩაჯდება... მოიცათ-მეთქი! აქ თქვენს კარეტაზე უფრო ძვირფასი საკითხი წყდება!

ვერხოვენსკიმ ისევ იმიშვლა რევოლვერი. სტავროგინმა დინჯად შეხედა და მშვიდი, თითქმის შემარიგებელი ხმით უთხრა: - ხო, მომკალით.

ვერხოვენსკი სიბრაზისაგან აცახცახდა.

- ფუი ეშმაკს, რას არ მოუგონებს კაცი თავის თავს! ღმერთმანი, მართლა ღირსი ხართ მოგკლათ კაცმა! ჭეშმარიტად უნდა მიეფურთხებია თქვენთვის ლიზას... „ნავი“ კი არადა, ერთი ძველი, დახვრეტილი, უვარგისი ხის ორჩხომელი ხართ და მეტი არაფერი!.. ღვარძლმა მაინც მოგიყვანოთ ჭკუაზე, ღვარძლმა მაინც-მეთქი! ეეჰ! ვითომ სულ ერთი არ იქნებოდა თქვენთვის, თუკი თავი გაქვთ გამეტებული და ტყვიას უშვერთ შუბლს?!

სტავროგინს უცნაურად ჩაეცინა.

- იქნებ ჰოც მეთქვა, რომ ეგეთი ტაკიმასხარა არ ყოფილიყავით... და ცოტა მეტი ჭკუა გქონოდათ...

- მე კი ვარ ტაკიმასხარა, მაგრამ ჩემი მეორე ნახევარი რომ ტაკიმასხარა იყოს, ეს არ მინდა! გესმით თუ არა ჩემი?

ესმოდა, როგორ არ ესმოდა სტავროგინს, იქნებ მხოლოდ მას ესმოდა. აკი გაოცდა შატოვი, სტავროგინმა რომ უთხრა ვერხოვენსკი ენთუზიაზმის კაციაო.

- ახლა აქედან მომწყდით, ხვალ კი იქნებ რაღაც გამოვწურო ჩემს თავს. ხვალ მოდით.

- ჰო? ჰოს იტყვიო?

- რა ვიცი!.. ჯანდაბას თქვენი თავი, მომწყდით აქედან!

სტავროგინი დარბაზიდან გავიდა.

- იქნებ ასეც სჯობდეს, - წაიბურტყუნა ვერხოვენსკიმ და რევოლვერი ჯიბეში ჩაიღო.

III

ლიზავეტა ნიკოლაევნა შორს არ იყო წასული, როცა ვერხოვენსკი დაეწია. მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯით გამორებოდა სახლს, ალექსეი ეგორიჩს შეეჩერებინა.

თავშიშველი მოხუცი ახლაც ერთი ნაბიჯით მიჰყვებოდა უკან ფრაკის ამარა და მოწიწებით ემუდარებოდა, ეტლს დაელოდეთო. შიშისაგან ლამის ტიროდა.

- გასწი აქედან, ბატონს ჩაი მიაართვი, მიმტანი არავინაა, - ხელი ჰკრა ვერხოვენსკიმ და ლიზავეტა ნიკოლაევნას მკლავი გაუყარა.

ლიზას ხელი არ გამოუგლეჯია. მგონი, ჯერაც ვერ გამორკვეულიყო.

- ჯერ ერთი, სწორი გზით არ მიბრძანდებით, - ატიტყინდა ვერხოვენსკი, - ჩვენ აქეთ უნდა წავიდეთ, ბალისკენ, იქით რა გვინდა. მეორეც, ფეხით რა წაგიყვანთ, თქვენს სახლამდე სამი ვერსი მაინც იქნება, მსუბუქადაც გაცვიათ. ცოტა მოითმინეთ. მე დოღის დროშკითა ვარ, ცხენი აქვე ეზოშია, ხელად მოგიგრიალეხთ, ჩაგსვამთ და ისე მიგიყვანთ, კაციშვილმა ვერ დაგინახოთ.

- რა კეთილი ხართ... - წყნარად ჩაილაპარაკა ლიზამ.

- რას ბრძანებთ, ამისთანა დროს ჩემს ადგილზე ყოველი ჰუმანური კაცი...

ახლა კი შეხედა ლიზამ და განცვიფრდა: - ოჰ, ღმერთო ჩემო, მე ის მოხუცი მეგონეთ!

- გამიგონეთ, ძალიან მიხარია, რომ ამ ამბავს ასე შეხვდით და იმ მცდარ შეხედულებას არ იზიარებთ. ჰოდა, რაკი ასეა საქმე, ხომ არა სჯობს ამ ბებერს დავავალო ეტლის მოძებნა. სულ ათი წუთი დაჭირდება. ჩვენ კი დავბრუნდეთ და მანამდე პარმაღზე დავუცადოთ, ჰა?

--მე მინდა... ის მოკლულები სად არიან?

- ოჰ, ეს კიდევ რა ფანტაზიაა! სწორედ მაგისი მეშინოდა... არა, ამ სამაგლობას სჯობს მოვეშვათ; რა თქვენი საქმეა იმ სურათის ნახვა.

- ვიცი, სად არიან, ის სახლი ვიცი.

- მერე რა, რომ იცით! ვის გაუგონია, ამ წვიმაში, ამ ნისლში (ეს რა მოვალეობა ვიკისრე!)... ყური მიგდეთ, ლიზავეტა ნიკოლაევნა, ორში ერთი ირჩიეთ: თუ ინებებთ და ჩემს დროშკაში ჩაჯდებით, მოიცადეთ და ნაბიჯი აღარ გადადგათ. თორემ კიდევ ოცი ნაბიჯი და მავრიკი ნიკოლაევიჩს გადაეყრებით.

- მავრიკი ნიკოლაევიჩს! სად არის? სად?

- თუ იმას გინდათ გაჰყვეთ, ბატონი ბრძანდებით, ცოტა კიდევ გაგაცილებთ და გაჩვენებთ, სადაც ზის. მე კი, ნურას უკაცრავად, და ახლა ვერ დავენახვები.

- ღმერთო, თურმე მე მელოდება, - შედგა უცებ ღიზა და სახე აელეწა.

- რა სათქმელია, თუ ჩამორჩენილი კაცი არ არის! იცით რა, ღიზავეტა ნიკოლაევნა, ეს ჩემი საქმე არ არის და არც მეხება, როგორც თქვენ თვითონ მოგეხსენებათ; მაგრამ თქვენთვის მე სიკეთე მინდა... თუკი ჩვენი „ნავი“ არაფრად გამოდგა, თუკი ეს მხოლოდ ძველი, გადასაგდები, დამძალი ორჩხომელია...

- ოჰ რა დიდებულია! - შესძახა ღიზამ.

- დიდებულიაო და ცრემლი კი ჩამოგდით. აქ ვაჟკაცობა გმართებთ, ღიზავეტა ნიკოლაევნა, მამაკაცს არაფერში არ უნდა ჩამორჩეთ. ჩვენს საუკუნეში, როცა ქალი... ფუი, ეშმაკიც დასწყევლის (ვერხოვენსკიმ კინალამ არ გადააფურთხა)! რაც მთავარია, არც უნდა ინანოთ: ვინ იცის, ასე უკეთესიც არის. მავრიკი ნიკოლაევიჩი ხომ... ერთი სიტყვით, მგრძნობიარე კაცია, თუმცა სიტყვაძვირი. იქნებ მართლაც ასე სჯობდეს, რა თქმა უნდა, იმ პირობით, თუ ჩამორჩენილი შეხედულებებისა არ გახლავთ...

- დიდებულია, დიდებული! - ისტერიკულად კისკისებდა ღიზა.

- ფუი, ეშმაკიც დასწყევლის... - გამოცვალა უცებ კილო ვერხოვენსკიმ, - ღიზავეტა ნიკოლაევნა, მე ხომ თქვენი გულისთვის ვლაპარაკობ... სხვა აბა რა მრჯის... განა გუშინ არ დაგეხმარეთ, როცა თვითონვე მოისურვეთ, განა დღესაც არ... აგერ, ხედავთ, სადა ზის მავრიკი ნიკოლაევიჩი, ჩვენ ვერ გვხედავს. ღიზავეტა ნიკოლაევნა, „პოლინკა საქსი“ თუ წაგიკითხავთ?

- ეგ რა არის?

- ერთი ასეთი მოთხრობაა, „პოლინკა საქსი“ ჰქვია. სტუდენტობისას წავიკითხე... იქ ერთმა მდიდარმა მოხელემ თავისი ცოლი დალატისათვის აგარაკზე დაამწყვდია... ჯანდაბას მისი თავი! აი, ნახეთ, თუ მავრიკი ნიკოლაევიჩმა გზამივე არ გთხოვათ ცოლობა. ჯერ ვერა გვხედავს.

- ვაი, ნურც დაგვინახავს! - გიჟივით შეჰყვირა უცებ ღიზამ. - წავიდეთ აქედან, წავიდეთ! ტყეში, მინდორში!

ღიზა უკანვე გაიქცა.

- ღიზავეტა ნიკოლაევნა, ეს რა სულმოკლეობაა, - გამოეკიდა ვერხოვენსკი. - ან რატომ არ გინდათ დაგინახოთ? პირიქით, ამაყად შეხედეთ თვალებში... თუ იმას გულისხმობთ... ასე ვთქვათ, კდემამოსილებას... ეს ხომ სისულელეა, ეს ხომ ჩამორჩენილობაა... სად მიდიხართ მაინც, სად? ერიჰაა, როგორ მირბის, თუ ასეა, ისევ სტავროგინთან დავბრუნდეთ, ჩემს დროშკაში ჩავსხდეთ... აბა სად მირბიხართ? იქ მინდორია... შეხე, დაეცა!..

ვერხოვენსკი შედგა. ღიზა ჩიტვიტ მიფრინავდა, თვითონაც არ იცოდა, სად. ვერხოვენსკი ორმოცდაათიოდე ნაბიჯზე ჩამორჩენოდა. ღიზამ კოლბოხზე წაიბორძიკა და დაეცა. იმავე წუთს საშინლად შეჰყვირა მავრიკი ნიკოლაევიჩმა, რომელსაც დაენახა, როგორ გაიქცა ღიზა, როგორ დაეცა და ახლა მისკენ მორბოდა.

ვერხოვენსკი თვალის დახამხამებაში შეიძურწა სტავროგინის სახლის ჭიშკარში, რომ იქ სასწრაფოდ ჩამჯდარიყო თავის დროშკაში.

შიშისაგან აკანკალებული მავრიკი ნიკოლაევიჩი უკვე წამომდგარ ლიზასთან იყო, მისკენ დაეხარა თავი და მისი ხელი ეჭირა. იგი შეაძრწუნა მათი შეხვედრის ამ საშინელმა სურათმა და ცრემლი ღვარად მოსკდა თვალთაგან. მან დაინახა, როგორ გიჟივით გარბოდა მინდორში მისი სალოცავი და სათაყვანებელი ქალი ასეთ დროს, ასეთ ამინდში, მარტოდენ კაბის ამარა. გუშინდელი მდიდრული კაბა დაჭმუჭნოდა და ტალახში ამოსვროდა... კაცმა ვედარაფერი თქვა, უსიტყვოდ მოიხადა შინელი და აცახცახებული ხელებით მოახურა მხრებზე. უცებ იგრძნო, რომ ქალის ბაგე მის ხელს შეეხო და შეჰყვირა: - ლიზა, მე არაფერი შემიძლია, მაგრამ ნუ გამაგდებთ, ნუ!

- ჰო, ჰო, ჩქარა წავიდეთ აქედან, აქ არ დამტოვოთ! - თვითონვე წაეტანა ლიზა ხელზე და თან გაიყოლა. მერე უცებ შიშნეულად ხმას დაუწია, - მავრიკი ნიკოლაევიჩ, მე იქ ძალიან ვვაჟკაცობდი, მაგრამ ახლა სიკვდილისა მეშინია. ვიცი, მოვკვდები, ძალიან ძალე მოვკვდები, მაგრამ მეშინია, მეშინია სიკვდილის... - ჩურჩულებდა იგი და ხელს ღონივრად უჭერდა.

მავრიკი ნიკოლაევიჩმა სასოწარკვეთით მიმოიხედა.

- ოჰ, ვინმე მაინც გამოჩნდეს, ვინმემ მაინც გამოიაროს! ფეხებს დაისველებთ... გონს დაკარგავთ!

- არა უშავს, არა, - ამშვიდებდა ლიზა, - თქვენთან ისე არ მეშინია, ხელი მომკიდეთ, აი ასე, წამიყვანეთ... სად მივდივართ, შინ? არა, ჯერ მინდა მოკლულები ვნახო. ამბობენ, მის ცოლს ყელი გამოჭრესო, თვითონ კი მითხრა, მე გამოვჭერიო; ეს ხომ ტყუილია? ჩემი თვალით მინდა ის მოკლულები ვნახო... ისინი ხომ ჩემი გულისთვის... ამ ღამეს იმათ გამო გადამიყვარა... ვნახავ და ყველაფერს გავიგებ. ჩქარა, ჩქარა, მე ის სისხლი ვიცი... იქ ხანძარია... მავრიკი ნიკოლაევიჩ, ჩემო მეგობარო, ნუ მაპატიებთ მე უნამუსოს! რად უნდა მაპატიოთ? რატომ ტირით? გამარტყით სილა და აქვე, ამ მინდორში ჩამამაღლე!

- ახლა ვერავინ გაგვიცხავთ, ყველაზე ნაკლებ კი მე, ღმერთმა შეგინდოთ! - მტკიცედ წარმოთქვა მავრიკი ნიკოლაევიჩმა.

ყველაფერს ვერ აღწერს კაცი, რასაც ისინი ლაპარაკობდნენ. ამავე დროს ხელიხელგაყრილნი ხანძრისაკენ გიჟივით მიიჩქაროდნენ. მავრიკი ნიკოლაევიჩს კიდევ იმედი ჰქონდა. ურემი მაინც გამოივლისო. მაგრამ ახლომახლო არავინ ჩანდა... თქორს შეებურა მთელი არემარე, ყოველივე თვალგაუტან ტყვისფერ ნისლს ჩაენთქა. რა ხანია უკვე დღე იდგა და მაინც გეგონებოდა, ჯერ არ უნათიაო. უცებ ნისლის ამ ბნელ ფარდას ერთი საკვირველი კაცი გამოეყო და მათკენ წამოვიდა. ახლა რომ იმ სურათს წარმოვიდგენ, ასე მგონია, ლიზავეტა ნიკოლაევნას ადგილზე თვალებს არ დავუჯერებდი, მაგრამ ლიზამ კი მყისვე იცნო და სიხარულით შეჰკვივლა. ეს კაცი სტეპან ტროფიმოვიჩი გახლდათ. როგორ გამოიქცა და როგორ განახორციელა ეს უგუნური განზრახვა, ამაზე შემდეგ მოგახსენებთ. ვიტყვი მხოლოდ, რომ დილითვე შეემცივნებინა, მაგრამ ვერც ავადმყოფობამ შეაჩერა. ატალახებულ მიწაზე მედგრად მოაბიჯებდა. ეტყობა, ამ გამოუცდელ, კაბინეტის კაცს ეს განზრახვა თავისი ჭკუით კარგად მოეფიქრებინა. ეცვა „სამგზავრო“, ანუ სახელოებიანი შინელი, შინელზე

ტყავის პრიალა ბალთიანი განიერი ქამარი ერტყა, შარვალი ახალთახალ, მაღალყელიან ჩექმებში ჩაეტანებინა. წარმოდგენა ალბათ დიდი ხანია ასე უხატავდა ყარიბად გამგზავრებულ კაცს. ქამარი და ჰუსარული ყაიდის მაღალყელიანი ჩექმები ამ რამდენიმე დღის უკან შეემინა, თუმცა ასეთი ჩექმებით სიარულს ნაჩვევი არ იყო. განიერფარფლებიანი ქუდი, კისერზე შემოხვეული დაზლის ყელსახვევი, მარჯვენა ხელში ჯოხი, მარცხენაში პაწია, მაგრამ გატენილი საკვოიაჟი აგვირგვინებდა მის ჩაცმულობას. ჯოხთან ერთად მარჯვენაში გამლილი ქოლგაც ეჭირა. პირველ ვერსზე იმ ქოლგის, ჯოხისა და საკვოიაჟის თრევა ცოტა გაუჭირდა, მეორეზე კი ერთობ ემძიმა.

- არა, მართლა თქვენ ხართ, - შესძახა ლიზამ და პირველი უნებლიე სიხარულის შემდეგ დაღონებითა და გაოცებით მიაჩერდა.

- Lise! - შეჰყვირა სტეპან ტროფიმოვიჩმაც - და მისკენ გაექანა. ისიც თითქოს ციებცხელებიანსა ჰგავდა. - Chere, chere, ნუთუ თქვენც... ამ ნისლში? უყურეთ: დაფიონი ჩანს! Vous etes malheureuse, n'est-ce pas?[289] გამჩნევთ, გამჩნევთ, ნულა მომიყვებით და ნულარც მე მკითხავთ რასმე. Nous sommes tous malheureux, mais il faut les pardonner tous pardonons, Lise,[290] და სამუდამოდ გავთავისუფლდეთ. ამ ქვეყანასთან რომ ანგარიში გაასწორო და სრული თავისუფლება მოიპოვო, - Il faut pardonner, pardonner et pardonner.[291]

- რად დაიჩოქეთ?

- იმიტომ რომ მე ამ ქვეყანას ვეთხოვები და თქვენი სახით მთელ ჩემს წარსულს მინდა გამოვეთხოვო! - სტეპან ტროფიმოვიჩი ატირდა და ლიზას ორივე ხელი თვალებზე მიიდო. - მე მუხლს ვიდრეკ იმის წინაშე, რაც ჩემს ცხოვრებაში მშვენიერი იყო, ვეამბორები და მაძლობას ვუხდი! ახლა ორად გაიყო ცხოვრება ჩემი: იქით დარჩა ის უგუნური ადამიანი, ცაში აფრენას რომ ოცნებობდა vingt deux ans![292] აქეთ გულმოკლული და გათოშილი ბებერი გუვერნიორი... chez ce marchand, s'il existe pourtant ce marchand...[293] მაგრამ როგორ დასველებულხართ, Lise! - შეჰყვირა სტეპან ტროფიმოვიჩმა და ფეხზე წამოხტა. იგრძნო, რომ მუხლები მასაც დაუსველა ნაწვიმარმა მიწამ, - ან კაბის ამარა რამ წამოგიყვანათ?... თანაც ფეხით, ისიც ამ მინდორში... ტირით? Vous etes malheureuse?[294] ვაჰ, რაღაცას კი მოვკარი ყური... მაგრამ საიდან მოდიხართ მაინც? - შეშინებული აყრიდა კითხვებს და თან ღრმა გაოცებით შეჰყურებდა მავრიკი ნიკოლაევიჩს, - mais savez-vous l'heure qu'il est?[295]

- სტეპან ტროფიმოვიჩ, თუ გაიგეთ იმ მოკლული ხალხის ამბავი... მართალია? მართალი?

- ეგ ხალხიო! მთელი ღამე ვხედავდი მაგათი გმირობის დაფიონს, სხვანაირი ბოლო არც ეწერათ... (სტეპან ტროფიმოვიჩს ისევ აუელვარდა თვალები). ველარ გავუმელ და ბოდვას, ამ ავადმყოფურ სიზმარს და მივრბივარ, მივრბივარ რუსეთის საძებრად, existe-t-elle la Russie? Bah, c'est vous, cher capitaine![296] მუდამ მწამდა, რომ სადმე გმირულ საქმეზე გნახავდით.. აი, წაიღეთ ჩემი ქოლგა - ან რა სავალდებულოა მაინცდამაინც ფეხით სიარული? ღვთის გულისათვის, ქოლგა მაინც გამომართვით, მე, სულ ერთია, სადმე დავიქირავებ ეტლს. ფეხითაც იმიტომ წამოვედი, Stasie (ანუ ნასტასია) მთელ ქუჩას შემიყრიდა, სად მიდიხარო. შემლებისამებრ Incognito-დ გამოვიპარე, „გოლოსში“ კი წერენ, ყველგან მარცვა-გლეჯაო, მაგრამ ვიფიქრე,

როგორ შეიძლება კაცს გზაზე გამოსვლისთანავე ავაზაკი დაეცეს-მეთქი. მგონი, თქვით, chere Lise, ვიღაც მოჰკლესო? O mon Dieu, ცუდადა ხართ?

- წავიდეთ, წავიდეთ! - შესძახა ლიზამ ისტერიკულად და წასვლა დააპირა, მაგრამ უცებ ისევ მობრუნდა, - მოიცათ, სტეპან ტროფიმოვიჩ, მოიცათ, ჩემო საბრალოვ, პირჯვარი მაინც გადაგწერთ. იქნებ უფრო ჭკვიანური ყოფილიყო, შემეკარით და არ გამეშვით, მაგრამ მირჩევნია პირჯვარი გადაგწერთ. თქვენც ღმერთს შეავედრეთ „საწყალი“ ლიზა, - ოღონდ თავს დიდად ნუ შეიწუხებთ. მავრიკი ნიკოლაევიჩ, ქოლგა დაუბრუნეთ ამ დიდ ბავშვს, აი, ასე.. წავიდეთ! ჰო, წავიდეთ!

როცა ისინი იმ საბედისწერო სახლს მიადგნენ, სახლის წინ შეყრილ ხალხს უკვე ყურები ჰქონდა გამოჭედილი სტავროგინის ამბებითა და იმით, თუ რაოდენ ხელსაყრელი იყო მისთვის ცოლისთვის ყელი გამოეჭრა, მაგრამ მაინც ვიმეორებ, უმრავლესობა უხმოდ და უმოძრაოდ ისმენდა ყველაფერს. იჭაჭებოდნენ მხოლოდ ლოთიფოტები და იმ ხელების ქნევით მოლაპარაკე მდაბიოსავით „თავაწყვეტილნი“. ამ მდაბიოს ყველა დინჯ კაცად იცნობდა, მაგრამ თუ რამე შეაძრწუნებდა, რას აკეთებდა, თვითონაც არ უწყობდა. მე არ დამინახავს ლიზასა და მავრიკი ნიკოლაევიჩის მოსვლა. გაოცებამ ადგილზე გამაქვავა, როცა ლიზას ჩემგან კარგა შორს, ხალხში მოვკარი თვალი, მავრიკი ნიკოლაევიჩი მაშინ არც შემინიშნავს. არ ვიცი, ერთი ორი ნაბიჯით ჩამორჩა თუ ხალხმა აღარ გაუშვა. ლიზა ისე მიაღწევდა წრეს, ვერაფერს ამჩნევდა ირგვლივ. გეგონებოდა, საავადმყოფოდან ხურვებიანი გამოქცევიათო. რა ლაპარაკი უნდა, ყველამ მაშინვე მიაქცია ყურადღება: შეიქნა დრტვინვა, ერთგან კიდევ დაიძახეს: „ეგ სტავროგინის ხასაა!“ მეორეგან: „მოკვლა არ იკმარეს, სეირის საყურებლადაც მოდიან!“ უცებ დავინახე, ვიღაცამ როგორ ამართა და დაუშვა მუშტი ლიზას თავზე. ლიზა წაიქცა. მავრიკი ნიკოლაევიჩმა ერთი საშინლად შეჰყვირა. მისაშველებლად გაიწია და მასა და ლიზას შუა მდგარ ვიღაც კაცს მთელი ძალით მუშტი ჩასცხო. მაგრამ იმავე წუთს უკანიდან ორივე ხელებით ჩაეჭიდა ის მდაბიო. რამდენიმე წამს კაცი ვერაფერს გაარჩევდა ამ ორომტრიალში, მგონი, ლიზა წამოდგა, მაგრამ ისევ ჩაარტყეს და წააქციეს. უცებ ხალხი გაიფანტა. დაცარიელებულ წრეში მხოლოდ წაქცეული ლიზა და დასისხლიანებული, გაგიჟებული მავრიკი ნიკოლაევიჩი დარჩნენ. მავრიკი ნიკოლაევიჩი ყვიროდა, ტიროდა, ხელებს იმტვრევდა. ზუსტად ვერ გეტყვით, რა მოხდა შემდეგ. მახსოვს მხოლოდ, ლიზა რომ უცებ ასწიეს და გამოიყვანეს. მე უკან მივდევდი; ჯერ კიდევ ფეთქავდა და იქნებ გონზეც იყო. ის მდაბიო და კიდევ სამი კაცი დაიჭირეს. ეს სამი დღემდე უარყოფს, ამ ბოროტებაში ხელი არ გვირევიანო, დაჟინებით ირწმუნებიან, შემთხვევით დაგვიჭირესო. იქნებ მართალნიც იყვნენ. ვერც იმ მდაბიოს აახსნევიან დალაგებით მომხდარი ამბავი, თუმცაღა ცხადად ედებოდა ბრალი. მართალია, შორს ვიდექი, მაგრამ მოწმის პირობაზე მეც უნდა მიმეცა ჩვენება ძიებისათვის. ჰოდა, განვაცხადე, ეს ყველაფერი სრულიად შემთხვევით მოხდა, ისიც შესაძლოა ხალხი მართლა იყო ამხედრებული, მაგრამ მთვრალეები იყვნენ და გარჩევის უნარი აღარ ჰქონდათ-მეთქი. ამ აზრისა ვარ დღესაც.

თავი მეოთხე. უკანასკნელი გადაწყვეტილება

I

იმ დილას ბევრს ენახა ახალგაზრდა ვერხოვენსკი; ყველამ გაიხსენა, ერთობ აფორიაქებულ გუნებაზე იყო. ნაშუადღევს ორ საათზე გაგანოვთან შეერბინა. სოფლიდან წინა დღის ჩამოსულ გაგანოვს სტუმრები ბლომად დახვეოდა და ერთი გაცხარებული სჯა-ბაასი ჰქონდათ მომხდარ ამბებზე. ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ ყველაზე მეტი ილაპარაკა და ძალაუნებურად ყველას ყურადღება მიიპყრო; იგი მუდამ „ენალაქლაქა, ქარაქუცა სტუდენტად“ ითვლებოდა ჩვენში, მაგრამ ახლა იულია მიხაილოვნაზე ლაპარაკობდა და აბა ეს თემა ვის არ დააინტერესებდა ამ საყოველთაო არეულობის ჟამს. მისი ყოფილი მესაიდუმლოს კვალობაზე ბევრი ფრიად ახალი და მოულოდნელი წვრილმანი ამცნო საზოგადოებას. შემთხვევით (და ცხადია, მისდა უნებურად) წამოსცდა, რა ეთქვა იულია მიხაილოვნას ქალაქის ცნობილ გვამებზე და ამით ბევრი გაანაწყენა. ისე დაბნეულად ლაპარაკობდა, გეგონებოდა, ეს უემშაკო, პატიოსანი კაცი, მისდა სამწუხაროდ, იძულებულია ამისთანა დაბურდული საქმეები ახსნას და ახლა აღარ იცის, რით დაიწყოს და რით დაამთავროსო. საკმაოდ მოუფიქრებლად წამოაყრანტალა ისიც, იულია მიხაილოვნამ სტავროგინის ყოველი საიდუმლო იცოდა და ის იყო ამ ხრიკების სული და გულიო. ეს უბედური ლიზა თურმე მასაც უყვარდა, მაგრამ ისე „მოუწყო“ საქმე, თითქმის მასვე მიაცილებინა სტავროგინის კარეტამდე. „ჰო, იცინეთ, იცინეთ, ბატონებო, თქვენ რა გიჭირთ, მაგრამ მე რა ვიცოდი, თუ ასე დამთავრდებოდა!“ - დაასკვნა ბოლოს. სტავროგინზე რომ შემფოთებული კითხვები მიაყარეს, პირდაპირ განაცხადა, ლებიადკინების უბედურება, მისი აზრით, პირწმინდა შემთხვევის ამბავია და თვითონ ლებიადკინისვე ბრალია, ფული რომ გამოაჩინაო. ეს ამბავი განსაკუთრებით კარგად ახსნა. ერთ-ერთი მსმენელის შენიშვნაზე, თავს ნუ „იკატუნებთ“, იულია მიხაილოვნას სახლში სვამდით, ჭამდით, ლამის გეძინათ და ვერაფერი ლამაზი საქციელია, პირველი თქვენ რომ სჭირთ თავსო, ვერხოვენსკიმ ასე იმართლა თავი: „იმიტომ კი არ ვჭამდი და ვსვამდი, ფული არ მქონდა და არც ჩემი ბრალია, რომ მპატიჟებდნენ. ვიყო თუ არა მადლიერი, ეს ჩემი საქმეა, ბატონო ჩემო, და ჭკუას ვერავინ მასწავლის“.

ერთი სიტყვით, ვერხოვენსკიმ მაინც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე. „კი, ფუქსავატი, დაბნეული ყმაწვილია, მაგრამ იულია მიხაილოვნას სისულელეები რა მისი ბრალია? პირიქით, თვითონვე უშლიდა...“

ორი საათისათვის უცბად ხმა გავარდა, სტავროგინი, რომელზეც ამდენი ლაპარაკია ატეხილი, ნაშუადღევს მატარებლით მოულოდნელად პეტერბურგს გაემგზავრაო. ამ ამბავმა დიდი ცნობისწადილი აღძრა: ბევრმა წარბი შეიკრა. ვერხოვენსკის კი ისეთი ელდა ეცა, ამბობენ, ფერი ეცვალა და უცნაურად წამოძახა: „ვინ გაბედა და გაუშვა?“ გაგანოვისაგან მაშინვე გამოვარდა. მაგრამ კიდევ ორ-სამ ოჯახში უნახავთ თურმე.

დაბინდებისას იულია მიხაილოვნასთანაც მოახერხა შეძრომა, თუმცა დიდი ვაი-ვაგლახით. იულია მიხაილოვნას არამც და არამც არ უნდოდა მისი მიღება. მხოლოდ სამიოდე კვირის შემდეგ, პეტერბურგში გამგზავრების წინ გამიმხილა იულია მიხაილოვნამ ეს ამბავი. წვრილმანები არ მოუყოლია, ოღონდაც ძრწოლით შენიშნა, უსაზღვროდ განმაცვიფრაო, მე თუ მკითხავთ, უბრალოდ დააშინა, თუ რამე „გითქვამს“, მაშინდელი ზრახვებისთვის აუცილებელი იყო. იულია მიხაილოვნამ არაფერი იცოდა მისი ზრახვებისა. მარტო ხუთი დღის შემდეგ მიხვდა, რატომ

ეპარებოდა ამ კაცს მის დუმილში ეჭვი და რატო ეშინოდა მისი ხელახალი აღშფოთებისა...

საღამოს რვა საათზე, როცა უკვე კარგა შეღამდა, ქალაქის განაპირას, ფომას შესახვევში მდგარ ერთ პატარა, გადაბრეცილ სახლში, სადაც პრაპორჩიკ ერკელს[297] ჰქონდა დაქირავებული ბინა, უკლებლივ შეგროვილიყვნენ ჩვენები, ხუთივე კაცი. საერთო კრება თვით ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ მოიწვია, მაგრამ რატომღაც დაიგვიანა და წევრებს ერთი საათი ალოდინა. პრაპორჩიკი ერკელი სწორედ ის ახლახან ჩამოსული ოფიცერი გახლდათ, ვირგინსკის დღეობაზე ფანქრითა და უბის წიგნაკით რომ იჯდა მთელი საღამო. ამ მიყრუებულ შესახვევში, ორი ბებერი მეჩმანი დის სახლში დაეჭირა ეს განმარტოებული ბინა. მალე უნდა გამგზავრებულიყო; მის ბინაში თავმოყრა ყველაზე უფრო შეუმჩნეველი იქნებოდა. ამ უცნაურ ყმაწვილს ვერავინ დააცდენინებდა სიტყვას. რა მოლაპარაკე საზოგადოებაშიც არ უნდა მჯდარიყო, გინდაც ზედიზედ ათი საღამო, და რა უჩვეულო საგნებზე არ ყოფილიყო სჯა-ბაასი, მის ხმას ვერ გაიგონებდი. მოლაპარაკეებს ბავშვური, გულუბრყვილო თვალებით შესცქეროდა და გასაოცარი გულისყურით ისმენდა ყველაფერს. ლამაზი, ჭკვიანური სახე ჰქონდა. ხუთეულს არ ეკუთვნოდა, ჩვენებს ეგონათ, რაღაც განსაკუთრებული დავალება აქვს ვიღაცისაგან მიცემული წმინდა აღმასრულებელი ხასიათისო. ახლა უკვე ცნობილია, რომ არავითარი დავალება არ ჰქონდა და, მგონი, არც თვითონ იცოდა, რას აკეთებდა. ყველაფერი მარტოდენ ვერხოვენსკის უსაზღვრო ერთგულებამ ჩაადენინა, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინათ გასცნობოდა. სხვა რომელიმე სულით ხორცამდე გახრწნილ პიროვნებას რომ გადაჰყროდა და იმას რაიმე სოციალურ-რომანტიკული საბაბით მისთვის ავაზაკების გუნდის შექმნა დაეკისრებინა, ხოლო გამოსაცდელად ებრძანებინა, პირველი შემხვედრი გლეხი მოჰკალ და გაძარცვეო, უთუოდ ამასაც გააკეთებდა. მისი სწეული დედა სადღაც სხვაგან ცხოვრობდა და თავისი მცირე ჯამაგირის ნახევარს ერკელი მას უგზავნიდა. წარმომიდგენია, როგორც ჰკოცნიდა და გულში იხუტებდა ალბათ დედამისი ამ საცოდავ, ქერა თავს, როგორ დაჰკანკალებდა ზედ და ღმერთს ევედრებოდა მის ბედნიერებას! რა ვქნა, ძალიან მეცოდება ერკელი და ამდენი იმიტომ ვილაპარაკე.

ჩვენები ერთობ აღელვებული იყვნენ. წუხანდელმა ამბებმა ყველას თავზარი დასცა და, მგონი, დააფრთხო კიდევ. პატარ-პატარა აურზაურის მოწყობაში აქამდე კი იღებდნენ ბეჯით მონაწილეობას, მაგრამ თუ ყველაფერი ასე დასრულდებოდა - ქალაქში ხანძარი გაჩნდებოდა, ლეზიადკინებს ყელს გამოსჭრიდნენ, გამხეცებული ბრბო ლიზას ამისთანა ამბავს დააწევდა, ეს არ ეგონათ და არც პროგრამაში ჰქონდათ გათვალისწინებული. ყოველივე ამას ისინი თავიანთ ხელმძღვანელის დესპოტიზმსა და გულჩახურულობას აბრალებდნენ. ერთი სიტყვით, ვერხოვენსკის მოლოდინში ისე შეაგულიანეს ერთმანეთი, რომ ისევ გადაწყვიტეს კატეგორიული პასუხი მოეთხოვათ მისთვის, ხოლო თუ წინანდელივით ერთხელ კიდევ დაიმკრენდა თავს, მყისვე დაეშალათ ხუთეული და მის მაგივრად „იდებების საპროპაგანდო“ ახალი ფარული საზოგადოება დაეარსებინათ, თანასწორობისა და დემოკრატიის საწყისებზე. განსაკუთრებით ლიპუტინი, შიგალიოვი და ხალხის ავანჩავანის მცოდნე იღებდნენ ამაზე თავს; ლიამშინი დუმდა, თუმცა ისეთი სახით, თითქოს თანახმა იყო. ვირგინსკი ყოყმანობდა, ჯერ პიოტრ სტეპანოვიჩს მოვუსმინოთ, რას იტყვისო. ასეც შეთანხმდნენ, მაგრამ ვერხოვენსკი არ ჩანდა და არა; ასეთმა დაუდევრობამ სულ მთლად მოუშხამა ყველას გუნება. ერკელს კრინტი არ დაუძრავს, მხოლოდ სამოვარი

აადულებინა და ჩაის ჭიქები თვითონვე შემოიტანა ლანგრით, რომ მოახლე აღარ შემოეშვა.

ვერხოვენსკიმ მხოლოდ ცხრის ნახევარზე იკადრა მოსვლა. სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა დივნის წინ მდგარ მაგიდას, სადაც წევრები ჩამომსხდარიყვნენ; ქული არ დადო და ჩაიზედაც უარი განაცხადა. გაბოროტებული, ქედმაღალი იერი ჰქონდა, მაშინვე დაყნოსა, „ამბოხს“ მიპირებენო.

- ვინემ ჩემსას ვიტყოდე, სჯობს თქვენი გადმოალაგოთ, რაღაც ისე გაფხორილები ჩანხართ, - თქვა და ღვარძლიანი ღიმილით მოავლო თვალი აქ მყოფთ.

ლიპუტინმა „ყველას სახელით“ დაიწყო. სიბრაზისაგან ხმა უკანკალებდა, როცა გამოაცხადა, ასე თუ გაგრძელდა, კისერს ჩვენვე მოვიტეხთო. არა, კისრის მოტეხის არავის ეშინია, მზადაც არიან, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ საერთო საქმისთვის იქნება საჭირო (საერთო ჩოჩქოლი და მოწონება), ამიტომ მათ წინასწარ უნდა გააგებინონ და წინასწარ გაანდონ ყველაფერი, „თორემ ისე რა გამოვა?“ (ისევ ჩოჩქოლი და აქა-იქ ხორხისმიერი ამოძახილები). ასე ბრმად მოქმედება მათთვის დამამცირებელიც და სახიფათოც არის... განა იმიტომ, რომ ეშინიათ, უბრალოდ, როცა ერთი მოქმედებს და სხვები კი მხოლოდ მაჩანჩალა პაიკები არიან, ერთს შეიძლება შეცდომა მოუვიდეს და სხვები ჩაცვივდნენ. (შეძახილები: დიახ, დიახ! ერთობლივი მოწონება).

- ნეტა რა ეშმაკი გინდათ კიდევ?

- ბატონ სტავროგინის ოინებს რა კავშირი აქვს საერთო საქმესთან? - იფეთქა ლიპუტინმა. - გინდაც საიდუმლოდ მართლა ეკუთვნოდეს იმ ცენტრს, თუ მართლა არსებობს ეს ფანტასტიკური ცენტრი, ჩვენ რაში გვეხება. მაგრამ მკვლევლობის გამო რომ პოლიცია ფეხზე დადგა, როგორ გგონიათ, კვალს არ გამოყვებიან და სათავეს არ აღმოაჩენენ?

- ეგ სტავროგინი თქვენც დაგლუპავთ და ჩვენც, - დასძინა ხალხის ავანჩავანის მცოდნემ.

- საერთო საქმისთვისაც უსარგებლო გახლავთ, - უნდილად დააბოლოვა ვირგინსკიმ.

- ნეტა რას მიედ-მოედები! მკვლევლობა შემთხვევის ამბავია, ფედკამ გამარცვის მიზნით ჩაიდინა.

- ჰმ. უცნაური დამთხვევა კი გახლავთ, - დაიწმახნა ლიპუტინი.

- მაშ თუ გნებავთ იცოდეთ, თქვენი ბრალის ყველაფერი.

- როგორ ჩვენი?

- ჯერ ერთი, ლიპუტინ, ამ ოინებში თქვენი ხელიც ურევია, მეორეც - ხომ გიბრძანეს, ლებიადკინს ფული მიეცი და გაამგზავრო, თქვენ კი რა ჰქენით? რომ გაგემგზავრებინათ, არაფერიც არ მოხდებოდა.

- განა თვითონ არ თქვით, კარგი იქნებოდა ლექსის წასაკითხად გამოგვეშვაო?

- თქმა ბრძანება კი არ არის! ბრძანება გამგზავრება იყო.

- ბრძანებაო. საკმაოდ უცნაური სიტყვაა. პირიქით, სწორედ თქვენ ბრძანეთ, გამგზავრება შეაჩერეთო.

- შეცდით და მაგ შეცდომით თქვენი სიბრიყვე და თვითნებობა დაამტკიცეთ. ის ხალხი ფედკამ მოკლა გამარცვის მიზნით. ყური მოჰკარით ჭორებს და ყველანი დაფრთხით. სტავროგინი სულელი კი არ არის, აი ამისი საბუთიც: ვიცე-გუბერნატორთან ლაპარაკის შემდეგ თორმეტი საათის მატარებლით გაემგზავრა. რამე რომ ყოფილიყო, დღისით, მზისით პეტერბურგში არავინ გაუშვებდა.

- ჩვენ არც ვამტკიცებთ, ბატონმა სტავროგინმა თვითონ მოკლაო, - გესლიანად გააწყვეტინა ლიპუტინმა, - შესაძლოა სულაც არაფერი იცოდა ჩემსავით. თვითონაც კარგად მოგეხსენებათ, რომ არაფერი ვიცოდი, თუმცაღა ჩემი დასაკლავი დანა მე თავად გამოვჩიჩქნე.

ვერხოვენსკის სახე მოექუფრა: - მამ ვისა სდებთ ბრალს?

- ვისა და ვისაც ქალაქის გადაწვა სჭირდებოდა. - თავის დაძვრენაზე ცუდი არაფერია. თუმცა აჰა, წაიკითხეთ და სხვებსაც აჩვენეთ; ცნობისთვის გამოგადგებათ.

ვერხოვენსკიმ ჯიბიდან ლემბკესთან გაგზავნილი ლებიადკინის წერილი ამოიღო და ლიპუტინს გადასცა. ლიპუტინმა წაიკითხა და გაოცებულმა ჩაფიქრებით გადააწოდა მეზობელს; წერილმა მსწრაფლ ჩამოიარა ყველა.

- მართლა ლებიადკინის ნაწერია? - შენიშნა შიგალიოვმა.

- კი, მისი ხელია, - განაცხადეს ლიპუტინმა და ტოლკაჩენკომ (ანუ ხალხის ავანჩავანის მცოდნემ).

ვერხოვენსკიმ წერილი უკანვე გამოართვა და გაიმეორა: - მე ეს მხოლოდ ცნობისთვის მოგეცით, შეგატყვეთ, ლებიადკინის ამბავმა როგორ აგიჩვილათ გული. ამგვარად, ბატონებო, ვიდაც ფედკა სრულიად შემთხვევით გვაშორებს ამისთანა საშიშ კაცს. მამ, მამ, რა შესძლებია ზოგჯერ, შემთხვევას! არის თუ არა ჭკუის სასწავლი მაგალითი, ჰა?

წევრებმა სასწრაფოდ გადახედეს ერთმანეთს.

- ახლა კი, ბატონებო, ჩემი ჯერი დადგა და მე მოგცემთ შეკითხვებს, - გასწორდა წელში ვერხოვენსკი, - მითხარით, რა უფლების ძალით წაუკიდეთ უნებართვოდ ქალაქს ცეცხლი?

- რაო! ჩვენ წავუკიდეთ ცეცხლი? ჩვენ გვაბრალეხთ საკუთარ ცოდვებს! - შესძახეს აქეთ-იქიდან.

- ვიცი, ვიცი რომ მეტისმეტად შესტოპეთ, - ჯიუტად განაგრძობდა ვერხოვენსკი, - მაგრამ ესეც ხომ იუღია მიხაილოვნას ოინები არ იყო. მე აქ იმიტომ შეგკრიბეთ, ბატონებო, აგიხსნათ და გაგარკვიოთ, რა სულელურად გაიბით მახეში თავი და რამდენი რამ ჩააგდეთ კიდევ საფრთხეში.

- უკაცრავად და ჩვენ ახლა თქვენთვის გვინდოდა გამოგვეცხადებინა, თუ რა დესპოტურობა და არათანასწორობა იყო წევრების გვერდის ავლა და ესოდენ

მნიშვნელოვანი და ამასთან უცნაური ღონისძიების მიღება, - თითქმის აღშფოთებით განაცხადა აქამდე მდუმარე ვირგინსკიმ.

- მაშასადამე, ყველაფერზე უარს ამბობთ? მე კი ვამტკიცებ, რომ დასწვით თქვენ, მარტო თქვენ და სხვა არავინ. ბატონებო, ტყუილი არ გაგივათ, მე ზუსტი ცნობები მაქვს. თქვენმა თვითნებობამ საერთო საქმეც საფრთხეში ჩააგდო. თქვენ მხოლოდ ერთ კვანძს წარმოადგენთ კვანძთა უთვალავ ქსელისა და მოვალენი ხართ ბრმად დაემორჩილოთ ცენტრს. მაგრამ სამმა თქვენთაგანმა კი შპიგულინელები წააქეზა ყოველგვარი მითითებების გარეშე და ხანძარიც გაჩნდა.

- ვინ სამმა? ვინ არის ჩვენში ეს სამი?

- სამი დღის წინათ ღამის ოთხ საათზე თქვენ, ტოლკაჩენკო, ფომკა ზავიალოვს ამაზე ეჭურჩულებოდით „კესანეს“ დუქანში.

- რას ამბობთ, მე მხოლოდ ერთი სიტყვა ვუთხარი, - შეხტა სკამზე ტოლკაჩენკო, - დილას რომ გაჯოხეს, იმიტომ; გულში სხვა არაფერი მქონია, მაგრამ ვნახე, რა გაღეშილი იყო და მაშინვე თავი მივანებე. რომ არ გაგეხსენებინათ, არც მომაგონდებოდა. გაგონილა სიტყვას ხანძარი გაეჩინოს?!

- ეგ იმას ჰგავს, კაცმა ნაპერწკლიდან დენტის ქარხანა ააფეთქოს და გაიკვირვოს, მე რა შუაში ვარო.

- კი მაგრამ, თქვენ საიდან გაიგეთ, რაც მე იმას დუქნის კუთხეში ჩავჭურჩულე ყურში?
- მოისაზრა ბოლოს ტოლკაჩენკომ. - მაგიდის ქვეშ ვიჯექი და გავიგონე. ნუ წუხხართ, ბატონებო, მე თქვენი ყოველი ნაბიჯი ვიცი. ოჰო, იქედნურად გეცინებათ, ბატონო ლიპუტინ? მე, მაგალითად, ისიც ვიცი, რომ ამ ოთხი დღის წინ სულ ჩქმეტით დაალურჯეთ ცოლი საწოლში.

ლიპუტინმა პირი დაადო და ფერი ეცვალა.

(შემდეგ გაირკვა, რომ ლიპუტინის გმირობის ამბავი ვერხოვენსკის მოახლე აგაფიასაგან შეეტყო, რომელსაც თურმე თავიდანვე აძლევდა ფულს ჯაშუშობაში).

- მეც შემიძლია ფაქტის დადასტურება? - წამოდგა უცებ შიგალიოვი.

- დაადასტურეთ.

შიგალიოვი დაჯდა და სალაპარაკოდ მოემზადა: - რამდენადაც გავიგე, თავად დაგვიხატეთ ფრიად მჭევრმეტყველურად, თუმცაღა მეტისმეტად თეორიულად კვანძების ქსელით დაფარული რუსეთის სურათი. ყოველ ამ მოქმედ ჯგუფს, თავის მხრივ პროზელიტების შემქმნელსა და გაუთავებელ განშტოებებად დაქსაქსულს, გამუდმებული პროპაგანდით ძირი უნდა გამოეთხარა ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, დაესადგურებინა სოფლებში შეშფოთება, დაეთესა ცინიზმი და უკმაყოფილება, გაექარწყლებინა ყველაფრის რწმენა, აღედრა უკეთესისკენ ლტოლვის სურვილი და ბოლოს ხანძრების მეოხებით, რამეთუ ეს უპირატესად ხალხური საშუალებაა, დათქმულ დროს სასოწარკვეთლებამდე მიეყვანა ქვეყანა, თუკი საჭირო შეიქნებოდა. არის თუ არა ეს თქვენი სიტყვები, რომელიც მე შევეცადე სიტყვასიტყვით გამეხსენებინა? არის თუ არა ეს თქვენი მოქმედების პროგრამა,

აქამდე ჩვენთვის უცნობი და ლამის ფანტასტიკური ცენტრალური კომიტეტის რწმუნებულის პირობაზე რომ გვამცნეთ?

- გახლავთ, ოღონდ ნამეტნავად აჭიანურებთ.

- ყველას აქვს უფლება, როგორც შეუძლია, ისე ილაპარაკოს. თქვენ მიგვახვედრეთ, რომ მთელ რუსეთში დაქსაქსული საყოველთაო ქსელის ცალკეული კვანძი ახლა რამდენიმე ასეულს აღწევსო. გამოთქვით ის ვარაუდიც, უკეთუ ყოველი კვანძი თავის საქმეს მარჯვედ შეასრულებს, მაშინ მთელი რუსეთი დათქმულ ვადაზე, ნიშნის მიცემისთანავე...

ვერხოვენსკიმ სავარძელში გვერდი ინაცვლა.

- ფუი, ეშმაკმა დალახვროს, უთქვენოდაც ბევრი საქმე მაქვს!

- ბატონი ბრძანდებით, შევამოკლებ და დასასრულ ამას შეგეკითხებით: ჩვენ უკვე მოწმენი გავხდით აურზაურის, მოწმენი გავხდით მოსახლეობის უკმაყოფილების, დავესწართ და მონაწილეობაც მივიღეთ აქაური ხელისუფლების ჩამოგდებაში, დაბოლოს ჩვენი თვალთ ვიხილეთ ხანძარი. მაშ რაღა არ მოგწონთ? განა ეს თქვენი პროგრამა არ იყო? რაღაში გვდებთ ბრალს?

- რასა და თვითნებობაში! - დორბლები გადმოჰყარა ვერხოვენსკიმ, - სანამ მე აქ ვარ, ვინ მოგცათ უფლება ჩემი ნებართვის გარეშე იმოქმედოთ! კმარა. დასმენის წერილი უკვე მზადაა და ხვალ ან ამაღამ ყველას დაგვიჭერენ. დიახ, უტყუარი ცნობაა.

ახლა კი ყველამ დაალო პირი.

- და განა მარტო ხანძრის წაქეზებისათვის, დაგვიჭერენ როგორც ხუთეულს. დამსმენმა უკვე იცის ქსელის არსებობის ამბავი, აი, რას მიაღწიეთ!

- ეგ ალბათ სტავროგინი იქნება! - შესძახა ლიპუტინმა.

- რაო... სტავროგინი აქ რა შუაშია? - შეცბა უცებ ვერხოვენსკი და იმავე წუთს გამოერკვა, - ფუი ეშმაკს. ვინ არის და შატოვია! ვფიქრობ, უკვე ყველამ იცით, შატოვი რომ ერთ დროს ჩვენს საქმეს ეკუთვნოდა. უნდა გაგიმჟღავნოთ, რომ სათვალთვალოდ ისეთი ხალხი მივუჩინე, ეჭვსაც ვერ მიიტანს. ჩემდა გასაკვირად შევიტყვე, თურმე არც ქსელის ამბავია მისთვის საიდუმლო... ერთი სიტყვით, ყველაფერი იცის. ოღონდაც ძველი ცოდვები არ გაუხსენონ და თავის გადასარჩენად ჩვენ ყველას ჩაგვყრის. აქამდე კიდევ ყოყმანობდა და მეც ვზოგავდი. მაგრამ ამ ხანძრით ხელ-ფეხი გაუხსენით და ახლა აღარ ყოყმანობს. ხვალვე ყველას ციხეში ჩაგვყრიან, როგორც ხანძრის გამჩენებსა და პოლიტიკურ დამნაშავეებს.

- მართალი კია? ან შატოვმა საიდან იცის?

ენით აუწერელმა მღელვარებამ შეიპყრო ყველა.

- ამას წყალი არ გაუვა. მე ვერ გეტყვით, როგორ და რა გზით გამოვიკვლიე ყველაფერი, მაგრამ ჯერჯერობით ეს შემძლია გაგიკეთოთ: ერთი კაცის საშუალებით შატოვზე ვიმოქმედო და ერთი დღით გადავადებინო დაბეზლება, ისე რომ თვითონ

ექვი არ აიღოს, ოღონდ ერთ დღეზე მეტი არა. მაშასადამე, ზეგამდე შეგიძლიათ არხეინად იყოთ.

ყველა დუმდა.

ბოლოს და ბოლოს მოვიშორეთ თავიდან და ეს იქნება! - იყვირა პირველმა ტოლკაჩენკომ.

- აქამდეც უნდა გვექნა! - ღვარძლიანად ჩააკერა ლიამშინმა და მაგიდას მუშტი დაჰკრა.

- კი მაგრამ, როგორ მოვიშორეთ? - წაიბურტყუნა ლიპუტინმა.

ვერხოვენსკიმ არც აცივა, არც აცხელა და მაშინვე თავისი გეგმა გადმოალაგა: შატოვს ხვალ, კარგა დადამებულზე საიდუმლო სტამბის გადაბარების მიზნით იმ უკაცრიელ ადგილას მიიტყუებენ, სადაც ეს სტამბაა ჩამარხული და „იქ მოათავებენ ყველაფერს“. აქ აღარ მოყვები, კიდევ რა წვრილმანებზე ილაპარაკა ვერხოვენსკიმ და რა ზუსტად განმარტა შატოვის ახლანდელი ორჭოფული დამოკიდებულება ცენტრალურ საზოგადოებასთან, რაიც უკვე მოეხსენება მკითხველს.

- ეგ ყველაფერი სწორია, მაგრამ ესეც ხომ... დაახლოებით ისეთივე ამბავია და... ხალხში ექვებს აღძრავს, - შეყოყმანდა ლიპუტინი.

- უეჭველია, - დაემოწმა ახალგაზრდა ვერხოვენსკი, - მაგრამ ესეც გათვალისწინებული გვაქვს, ჩვენ შეგვიძლია ეს ექვი თავიდან ავიცილოთ.

ვერხოვენსკი ასევე დაწვრილებით მოჰყვა კირილოვის ამბავს; როგორ აქვს გადაწყვეტილი მას თავის მოკვლა, როგორ დადო პირობა, ნიშანს დაველოდები და სიკვდილის წინ ბარათს დავტოვებ, სადაც ყველაფერს ჩემს თავზე დავიბრალებო (მოკლედ, რაც მკითხველს უკვე მოეხსენება).

- რომ მტკიცედ აქვს თავის მოკვლა გადაწყვეტილი - თუმცა ეს ფილოსოფიური გადაწყვეტილება მე სიგიჟეთ მიმაჩნია, მალე შეიტყვეს იქ (განაგრძობდა ვერხოვენსკი). იქ კი არაფერს დაჰკარგავენ, თუკი საერთო საქმეს გამოადგება. ჰოდა, რა ნახეს, კაცს მართლა ჰქონდა ეს გადაწყვეტილი და მოსასვლელი ფული მისცეს (რატომღაც რუსეთში უნდოდა მაინცდამაინც სიკვდილი), და დავალებაც მიანდეს. პირობა დადო, დავალებას შევასრულებო (და შეასრულა კიდევ), გარდა ამისა სიტყვაც ჩამოართვეს, თავს მაშინ მოიკლავდა, როცა ეტყოდნენ. ის ყველაფერზე დათანხმდა. გეტყვით მხოლოდ, რომ ჩვენს საზოგადოებაში ეს კაცი განსაკუთრებული უფლებებითაა შემოსული და თვითონაც სურს საქმეს გამოადგეს; სხვას ვერაფერს გაგიმხელთ. ხვალ, შატოვის მერე, წერილს დავაწერინებ, შატოვის სიკვდილის მიზეზი მე ვარო. ეს ფრიად დამაჯერებელი იქნება: ისინი მეგობრები იყვნენ, ამერიკაში ერთად იმგზავრეს, იქ რალაცაზე ჩხუბი მოუვიდათ, ამას ყოველივეს წერილში ახსნის... შეიძლებოდა სხვა რამეც გვეკარნახა, მაგალითად, პროკლამაციებისა და ნაწილობრივ ხანძრის ამბავი ეკისრა. თუმცა ამაზე კიდევ ვიფიქრებ. ნუ გეშინიათ, ყველაფერზე ხელს მოგვიწერს, ჩამორჩენილი კაცი არ არის.

ამ ამბავმა ყველა დააეჭვა, ყველას ფანტასტიკურად ეჩვენა, თუმცა კირილოვზე რალაცეები ყურმოკრული ჰქონდათ, მეტადრე ლიპუტინს.

- უცებ რომ გადაიფიქროს და აღარ მოინდომოს. ასეა თუ ისე, მაინც გიჟია და, მაშასადამე, მთლად მასზე დანდობა არ შეიძლება, - თქვა შიგალიოვმა.

- ფიქრი ნუ გაქვთ, ბატონებო, მოინდომებს, - მოუჭრა ვერხოვენსკიმ, - პირობის მიხედვით წინადლით უნდა გავაფრთხილო, მაშასადამე, დღეს. ახლა იქ მივდივარ და ლიპუტინსაც ვიწვევ წამომყვეს, თავისი ყურით მოისმინოს და, გნებავთ, დღესვე დაგიმოწმოს, მართალი ვთქვი, თუ არა. თუმცა, როგორც გენებოთ, ბატონებო, - გაწყვიტა უცებ სიტყვა ვერხოვენსკიმ, თითქოს გული მოუვიდა თავის თავზე, ამისთანა კაცუნებს ამდენს რას ვებოდიშებიო, - თუ ამ საქმეს ვერ გადავწყვეტთ, ჩვენი კავშირი დღეიდან ირღვევა, მიზეზი ამისა მხოლოდ თქვენი ურჩობა და ღალატი იქნება. ამგვარად, ამ წუთიდან ჩვენ ერთმანეთს ვცილდებით. მაგრამ იცოდეთ, რაც შატოვის დაბეზღების შემდეგ მოგივათ, იმას ერთი სხვა პატარა უსიამოვნებაც დაემატება. ამ უსიამოვნებაზე მე უკვე მოგახსენეთ ჩვენი კავშირის დაარსების დღეს. მე რაც შემეხება, ბატონებო, არ იფიქროთ, თქვენი ძალიან მეშინოდეს ან.. მიჯაჭვული ვიყო თქვენზე... თუმცა ეს სულ ერთია.

- ჩვენ თანახმა ვართ, - განაცხადა ლიამშინმა.

- სხვა გზა არც დაგვრჩენია, - ჩაიბურღლუნა ტოლკაჩენკომ. - თუ ლიპუტინი მართლა დაგვიმოწმებს კირილოვის ამბავს...

- მე არა ვარ მომხრე; მთელი ჩემი არსებით ვეწინააღმდეგები ამ სისხლიან გადაწყვეტილებას! - წამოდგა ზეზე ვირგინსკი.

- მაგრამ? - ჰკითხა ვერხოვენსკიმ.

- რა მაგრამ?

- თქვენა თქვით მაგრამ, და მეც გელით.

- მაგრამ, მგონი, არ მითქვამს... მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, თუ სხვები დათანხმდებიან, მაშინ...

- მაშინ?

ვირგინსკი დუმდა.

- ჩემი აზრით, კაცმა შეიძლება არაფრად ჩააგდოს საკუთარი სიცოცხლე, - ხმა ამოიღო უეცრად ერკელმა, - მაგრამ თუ ამით საერთო საქმე დაშავდება, ვფიქრობ არ შეიძლება არაფრად ჩააგდოს საკუთარი სიცოცხლე...

ერკელს სათქმელი დაეზნა და გაწითლდა. მისი დალაპარაკება იმდენად მოულოდნელი იყო, ყველა გაოცებით მიაჩერდა, თუმცა აქამდე ყველა საკუთარ ფიქრებს წაელო.

- მე საერთო საქმეს ვუჭერ მხარს, - წარმოთქვა უცებ ვირგინსკიმ.

ყველანი წამოდგნენ. გადაწყვეტილი იყო ხვალ ნაშუადღევსთვის ერთხელ კიდევ შეხმიანებოდნენ ერთმანეთს და საბოლოოდ შეთანხმებულიყვნენ, ერთად შეყრა კი საჭირო აღარ იყო. მერე ის ადგილი დაასახელეს, სადაც სტამბა იყო ჩამარხული,

დაინაწილეს, ვინ რას იკისრებდა და შეასრულებდა. ამის შემდეგ ლიპუტინმა და ვერხოვენსკიმ დაუყოვნებლივ კირილოვისაკენ გასწიეს.

II

შატოვი რომ დააბეზლებდათ, ჩვენებმა ყველამ დაიჯერა; ახალგაზრდა ვერხოვენსკისთვის რომ ისინი მხოლოდ უბრალო პაიკებს წარმოადგენდნენ, ესეც სწამდათ. თუმცა ხვალ რომ უკლებლივ გამოცხადდებოდნენ ადგილზე და შატოვის ბედიც გადაწყდებოდა, ესეც იცოდნენ. გრძნობდნენ, ბუზებივით რომ გაეხვივნენ ვეება ობობას ქსელში; გრძნობდნენ და გულზე სკდებოდნენ, მაგრამ შიშით კი კანკალებდნენ.

ახალგაზრდა ვერხოვენსკი დიახაც დამნაშავე იყო მათთან: იმის ნაცვლად, თავი შეეწუხებინა და ისე მაინც შეელამაზებინა სინამდვილე, ხუთეულის წევრებს თავი რომაელ მოქალაქეებად თუ რაღაც ამდაგვარად წარმოედგინათ და თანხმობა გაადვილებოდათ, ადგა და ყველაფერი ისე გამოიყვანა, თითქოს მათ მხოლოდ საკუთარი ტყავის გადარჩენის შიში ამოქმედებდათ. ეს კი უზრდელობა იყო და მეტი არაფერი. ვინ არ იცის, რომ ამქვეყნად ყველგან არსებობისათვის ბრძოლაა და სხვა პრინციპი არ არსებობს, მაგრამ მაინც...

ახალგაზრდა ვერხოვენსკის კი რომაელებისათვის არ სცხელოდა, სტავროგინის გაქცევამ ისეთი თავზარი დასცა და ისე დაუბნია დავთრები. ტყუილი თქვა, სტავროგინი ვიცე-გუბერნატორს შეხვდაო; საქმეც ის იყო, რომ ისე წავიდა, არავინ უნახავს, დედასაც არ დამშვიდობებია - და, რაც მთავარია, არავის შეუწუხებია პასუხის მოთხოვნით (უფროსობა იძულებული შეიქნა საგანგებო პასუხი გაეცა შემდეგ ამაზე). ახალგაზრდა ვერხოვენსკი მთელი დღე ამ ამბების გასარკვევად დარბოდა, მაგრამ ჯერხნობით ვერაფერი გარკვეა. თავის დღეში ასეთი გულისხმეთქვა არ ჰქონია, ან შეეძლო კი ასე ერთბაშად აეღო ხელი სტავროგინზე! აი, ამიტომაც ვერ დაუწყო ჩვენებს ლოლიაობა. არადა, როგორ უბორკავდნენ ისინი ხელ-ფეხს: შატოვი რომ არა, უმაღლეს სტავროგინს გაეკიდებოდა უკან. მაგრამ, ყოველი შემთხვევისათვის, ხუთეულის საბოლოო შედეგადება იყო საჭირო. ამდენი ნაშრომი წყალში რად ჩავყარო, ვინ იცის, რაში გამომადგებაო; ასე მსჯელობდა ალბათ.

შატოვი რომ ყველას დაასმენდა, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. ჩვენებს სულ ტყუილები მოუჭირა დასმენის წერილზე, ეს წერილი თვალთ არ უნახავს და არც არაფერი სმენოდა, მაგრამ მის არსებობაში ისე იყო დარწმუნებული, როგორც იმაში, ორჯერ ორი რომ ოთხია. ეგონა, შატოვი ახლა კი ვეღარ მოითმენს ლიზას დაღუპვას, მარია ტიმოფეევას სიკვდილს და საბოლოოდ გადაწყვეტსო. იქნებ ჰქონდა კიდეც საამისო საბუთი. ისიც ცნობილია, შატოვი რომ პირადად ეჯავრებოდა; ოდესღაც ჩხუბი მოსვლოდათ, ვერხოვენსკი კი ისეთ კაცი იყო, შეურაცხყოფას არავის შეარჩენდა. დარწმუნებულად ვარ, რომ თავიდათავი მიზეზი ეს გახლდათ.

ჩვენში ვიწრო აგურის ტროტუარები იყო. ახალგაზრდა ვერხოვენსკი შუა ტროტუარზე მიაბიჯებდა და აინუნში არ აგდებდა, უადგილობის გამო რომ ლიპუტინი ან ერთი ნაბიჯით უნდა ჩამორჩენოდა ან არადა, თუ გვერდზე გამოყოლა და ლაპარაკი სურდა, ტალახი ეზილა. ვერხოვენსკის უცებ ის სურათი დაუდგა თვალწინ, ამას წინათ თვითონაც რომ ლიპუტინივით მისდევდა სტავროგინს და

ტალახში მიცუხცუხებდა, სტავროგინს კი მასავით მთელი ტროტუარი დაეკავებინა. ამის გახსენებაზე სიბრაზემ ლამის დაახრჩო.

ლიპუტინიც მისდათავად ბოღმით იყო სავსე. ვერხოვენსკის შეეძლო როგორც უნდა ისე მოქცეოდა სხვებს, მაგრამ მას რა სინდისით უკეთებდა ამას? ლიპუტინმა ხომ ყველაზე მეტი იცოდა, ყველაზე ახლოს იდგა და ყველაზე ჩახედული კაცი იყო საქმეში და თუ უშუალოდ არა, მუდმივად მაინც მონაწილეობდა აქამდე ყველაფერში. ოო, ძალიან კარგად იცოდა, ვერხოვენსკის რომ ახლაც შეეძლო უკიდურეს შემთხვევაში მისი დაღუპვა. მაგრამ ახალგაზრდა ვერხოვენსკი უკვე დიდი ხანია სძულდა, სძულდა მისი ქედმაღლობისთვის და არა იმიტომ, შიში ჰქონდა მისი. ახლა როცა ამისთანა საქმის გაკეთება იკისრეს, ჩვენებიდან ყველაზე უფრო ლიპუტინს მოსდიოდა ბრაზი. იცოდა, კარგად იცოდა, რომ ხვალ „ყურმოჭრილ მონასავით“ პირველი დაერჭობოდა ადგილზე და თანაც ყველას მოუთრევდა. ჰოდა, რომ შესძლებოდა ხვალამდე ვერხოვენსკი ისე მოეკლა, თვითონ არაფერში გაბმულიყო, უთუოდ იქვე გაათავებდა.

ამ ფიქრებში ჩაფლული ლიპუტინი უხმოდ მისდევდა თავის მწვალებელს. არც ვერხოვენსკის ახსოვდა, მგონი, მისი არსებობა და მხოლოდ დროდადრო უხეშად თუ წაჰკრავდა გვერდში იდაყვს. უცებ ერთ ჩვენს დიდ ქუჩაზე ვერხოვენსკი შედგა და დუქნისკენ შეუხვია.

- სად მიდიხართ, დუქანში რა გინდათ? - ბრაზი წაეკიდა ლიპუტინს.

- ბიფშტექსი მინდა ვჭამო.

- რას ამბობთ, მანდ უამრავი ხალხი ირევა.

- მერედა რა?

- რადა... დაგვაგვიანდება. ათია უკვე.

- იქ არ დაგვაგვიანდება.

- სამაგიეროდ, მე დამაგვიანდება! ჩვენები უკვე მელიან.

- დიდი ამბავი; თქვენს ადგილზე სწორედაც არ ვეახლებოდი. თქვენი გადამკიდე დღეს არ მისადილია. კირილოვთან კი რაც გვიან მივალთ, უკეთესია.

ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ ცალკე ოთახი დაიჭირა. ლიპუტინი მოშორებით სავარძელში ჩაჯდა და გამწყრალი შეაცქერდა. ვერხოვენსკი არ ჩქარობდა, მადიანად ილუკმებოდა, წამდაუწუმ მსახურს იხმობდა. ჯერ მდოგვი შეაცვლევინა, მერე ლუდი მოატანინა. ლიპუტინისთვის ხმა არ გაუცია, ღრმა ფიქრს მისცემოდა. ამ კაცს ერთდროულად ორი საქმის გაკეთება შეეძლო, მადიანად ჭამაც და ღრმა ფიქრიც. ლიპუტინი ლამის ისტერიკაში ჩავარდა, იმ ზომამდე შესძაგდა, თვალი ვერ მოეშორებინა. უთვლიდა ყოველ ლუკმას, სიძულვილით უყურებდა, როგორ ალებდა ის პირს, როგორ თქვლევდა მსუქან ლუკმებს. ჭირივით შეძულდა თვითონ ბიფშტექსიც. ბოლოს თითქოს თვალი აუჭრელდა, თავბრუ დაესხა, ხან შეაციებდა და ხან შეახურებდა.

- უქმად ჯდომას გირჩევნიათ ეს წაიკითხოთ, - მიუგდო რაღაც ქაღალდი ვერხოვენსკიმ. ლიპუტინმა სანთელთან მიიტანა გადაჩხაპნილ-გადმოჩხაპნილი, წვრილად ნაწერი ფურცელი. სანამ იგი რის ვაი-ვაგლახით ჩაიკითხავდა, ვერხოვენსკის უკვე ფული გადაეხადა და გარეთ გადიოდა. ლიპუტინმა ქუჩაში დაუბრუნა ნაწერი.

- თქვენთან იყოს, მერე მოგელაპარაკებით მაგაზე. თუმცა რას იტყვით მაინც?

- ვიტყვი, რომ ამისთანა პროკლამაცია... მასხრობაა და მეტი არაფერი.

ლიპუტინი ღვარძლმა კინაღამ დაახრჩო. იგრძნო, რომ რაღაც ძალამ აიტაცა და ახლა ველარაფერი შეაჩერებდა, მთელი სხეული უცახცახებდა.

- თუ ამისთანა პროკლამაციები გავავრცელებთ, ჩვენივე სისულელე და საქმის გაუგებრობა თითოთ საჩვენებელს გაგვხდის.

- აბა მე სხვანაირად მიმაჩნია, - ვერხოვენსკის ნაბიჯი არ შეუნელებია.

- მე კი სხვანაირად; ნუთუ თქვენ შეთხზეთ?

- ეგ თქვენ არ გეხებათ.

- მე რომ მკითხოთ, „ნათელი პიროვნება“ საზიზღარი ლექსია, გერცენი ამისთანა ლექსს თავის დღეში არ დაწერდა.

- ტყუით; კარგი ლექსია.

- მე ისიც მაოცებს, მაგალითად, ისეთნაირ საქმეებს რომ გვავალებენ, რაც ყველაფერს დაღუპავს. ევროპაში, ბუნებრივია, ყველაფრის დაღუპვა ისურვოს კაცმა, იქ პროლეტარიატი ჰყავთ. ჩვენ კი აქ მხოლოდ მოხალისენი ვართ და ბაქიბუქის მეტს, მგონი, არაფერს ვაკეთებთ, - გაუტია და გაუტია ლიპუტინმა.

- მეგონა, ფურიერისტი იყავით.

- ფურიეს სულ სხვა რამ აქვს, დიახაც, სულ სხვა.

- ვიცი, ვიცი, რა სისულელეცა აქვს.

- არა, ფურიეს სისულელე არ აქვს... უკაცრავად და ვერაფრით ვერ დაგიჯერებთ, მათში რომ აჯანყება მოხდეს.

ლიპუტინს ისე დასცხა, ღილებიც კი შეიხსნა.

- ჰოდა, გეყოფათ. ახლა კი, რომ არ დამავიწყდეს, - დაუდევრად აუგდო სიტყვა ბანზე ვერხოვენსკიმ, - ეს წერილი თქვენ უნდა ააწყოთ და დაბეჭდოთ, როცა შატოვის სტამბას ამოვთხრით და ჩაიბარებთ. სასწრაფოდ უნდა ააწყოთ და ბლომდაც დაბეჭდოთ, რომ მთელი ზამთარი გასავრცელებლად გეყოთ. სახსრების ამბავს შემოგითვლიან. იცოდეთ, ბევრი დაბეჭდეთ, სხვა ადგილებიდანაც მოითხოვენ.

- უკაცრავად და ამას ვერ ვიკისრებ... უარს ვამბობ.

- არა, იკისრებთ. მე ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციით ვმოქმედობ და უნდა დამემორჩილოთ.

- მე კი მგონია, რომ იმ ჩვენს საზღვარგარეთულ ცენტრებს რუსეთისა აღარაფერი ახსოვთ, მის სინამდვილეს სავსებით მოწყდნენ და ამიტომ რაღაც-რაღაცებს ბოდავენ... ის კი არადა, ჩემი აზრით, რუსეთში ჩვენს მეტი ხუთეული არ არის და არც არავითარი ქსელი არ არსებობს, - ლიპუტინს ბოლოს სულიც კი შეეხუთა.

- თქვენი სირცხვილი, რომ საქმისა არ გწამდათ და მაინც გაჰყევით... როგორც მე მომყვებით ახლა ფინიასავით.

- არა, არ მოგყვებით, ბატონო ჩემო. ჩვენ სრული უფლება გვაქვს მივატოვოთ და ახალი საზოგადოება შევქმნათ.

- რე-გვე-ნო! - მრისხანედ დასჭექა ვერხოვენსკიმ და თვალები დააკვესა.

რამდენიმე ხანს ასე იდგნენ ერთმანეთის პირისპირ. მერე ვერხოვენსკი გატრიალდა და მტკიცედ განაგრძო გზა.

„ავდგები და უკან გავბრუნდები, თუ ახლა არ წავედი, მერე ვერასოდეს ვერ გავბრუნდები“, გაუელვა ლიპუტინს: ათიოდე ნაბიჯი ასე ფიქრობდა, მეთერთმეტეზე კი ერთმა ახალმა აზრმა გაჰკრა თავში და აღარ გაბრუნდა.

ფილიპოვის სახლის შორიახლოს ვერხოვენსკიმ და ლიპუტინმა შუკაში შეუხვიეს, უფრო სწორად, ერთ შეუმჩნეველ ბილიკს მესერ-მესერ გაჰყვნენ. მესრის ძირას თხრილი გადიოდა. ფლატეზე ფეხი ცურდებოდა და მესერს უნდა მოსჭიდებოდნენ. ასე იარეს რამდენიმე ხანს. გადაბრეცილი მესრის ყველაზე ბნელ კუნჭულში ვერხოვენსკიმ ერთი ფიცარი გამოაძრო და ხვრელში გაძვრა. გაცეცხული ლიპუტინიც უკან მიჰყვა. შემდეგ ფიცარი ისევ თავის ადგილზე ჩადგეს. ამ საიდუმლო ხვრელით დაძვრებოდა ხოლმე ფედკა კირილოვთან.

- შატოვმა არ უნდა შეიტყოს ჩვენი აქ ყოფნა, - მკაცრად ჩასჩურჩულა ვერხოვენსკიმ ლიპუტინს.

III

კირილოვი ამ დროს მუდამ თავის ტყავის დივანზე იჯდა და ჩაის სვამდა. ახლაც იქ დახვდათ. ფეხზე არ წამოდგა, მაგრამ წელში კი გაიმართა და შეშფოთებით მიაჩერდა შემოსულთ.

- არ შემცდარხართ, სწორედ იმ საქმეზე გეახელით, - უთხრა ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ.

- დღეს?

- არა, ხვალ... ამ დროისათვის.

ვერხოვენსკი სასწრაფოდ მიუჯდა მაგიდას და შეშფოთებით შეხედა აღელვებულ კირილოვს, რომელიც მალე დამშვიდდა და ჩვეულებრივ იყურებოდა.

- აი, ესენი არ მიჯერებენ თქვენს ამბავს. ხომ არ გეწყინათ, ლიპუტინი რომ მოგიყვანეთ?

- დღეს არა, ხვალ კი მარტო მინდა ვიყო.

- ხომ იცით, ჩემსობას უნდა მოხდეს.

- მე არ მინდა თქვენ იყოთ.

- გახსოვთ პირობა, რასაც მე გიკარნახებთ, ის უნდა დაწეროთ და ხელი მოაწეროთ.

- ჩემთვის სულ ერთია. დიდხანს დარჩებით ახლა აქ?

- ერთი კაცის ნახვა მინდა და ნახევარ საათს გავჩერდები. ეს ნახევარი საათი როგორმე უნდა მოითმონოთ.

კირილოვმა აღარაფერი თქვა. ლიპუტინი განზე იჯდა, მღვდელმთავრის სურათქვეშ. ის წელანდელი ფიქრი უფრო და უფრო უმტკიცდებოდა. კირილოვი ზედაც არ უყურებდა. ლიპუტინს ადრევე სმენოდა მისი თეორია და მუდამ სასაცილოდ არ ჰყოფნიდა; მაგრამ ახლა დუმდა და კუმტად იხედებოდა აქეთ-იქით.

- ჩაიზე მართლაც არ ვიტყვოდი უარს, ეს წუთია ბიფშტექსი გეახელით და იმედი მქონდა თქვენთან ჩაის დავაყოლებდი, - მაგიდას მიუჩოჩდა ვერხოვენსკი.

- მიირთვით.

- წინათ თქვენ თვითონ მეპატიჟებოდით, - ცალყბად გაიღრიჭა ვერხოვენსკი.

- რა განსხვავებაა. ლიპუტინმაც დალიოს.

- არა, არ შემიძლია.

- არ გინდათ თუ არ შეგიძლიათ? - მოულოდნელად მოუბრუნდა ვერხოვენსკი.

- აქ სწორედ ვერ დავლევ, - ხაზგასმით წარმოთქვა ლიპუტინმა. ვერხოვენსკიმ კოპები შეჰყარა...

- მისტიციზმის სუნი უდის. ეშმაკმა იცის, რა ხალხი ხართ!

პასუხი არავინ გასცა. წუთით სიჩუმე ჩამოვარდა.

- მაგრამ ის კი ვიცი, ვერავითარი ცრუმოწმუნეობა ვერ დაუშლის ვერც ერთ ჩვენგანს თავისი მოვალეობა შეასრულოს, - მკვახედ გააგრძელა ვერხოვენსკიმ.

- სტავროგინი გაემგზავრა? - იკითხა კირილოვმა.

- გაემგზავრა.

- ეგ კარგი ჰქნა.

ვერხოვენსკიმ ისევ დააკვესა თვალები, მაგრამ არაფერი თქვა.

- ოღონდ პირობა შეასრულეთ და ჩემთვის სულ ერთია, გულში რას ფიქრობთ.

- მე შევასრულებ.
- თუმცა მუდამ მწამდა, რომ დამოუკიდებელი და პროგრესულად მოაზროვნე კაცი იყავით და პირობას შეასრულებდით.
- მეცინება თქვენზე.
- მაგას რა სჯობს, თუ გაგაცინეთ. მუდამ მიხარია, კაცს რომ ვაამებ.
- ძალიან გინდათ თავი მოვიკლა და გეშინიათ, არ ავდგე და უარი არა ვთქვა?
- თქვენი გეგმა თქვენვე დაუკავშირეთ ჩვენს საქმეებს. მაგ გეგმის იმედით ზოგი რამ უკვე მოვიმოქმედეთ, ახლა უარის თქმა ღალატი იქნება.
- ძალას ვერ დამატანთ.
- ვიცი, ვიცი, თქვენი ნებაა, ჩვენ არავინ გვკითხავს, მაგრამ უნდა კი აღსრულდეს ეს თქვენი ნება.
- და თქვენი სისამაგლენიც მე ვიკისრო?
- გამიგონეთ, კირილოვ, ხომ არ დაფრთხით? თუ უარს ამბობთ, ბარემ თქვით და გაათავეთ.
- არა, არ დაფრთხი.
- აბა ამდენ შეკითხვას რატომ იძლევით?
- მალე წახვალთ?
- ესეც კიდევ ერთი შეკითხვა. კირილოვმა ზიზღით შეავლო თვალი.
- აი, ხომ ხედავთ, იმიტომ გინდათ წავიდე, რომ მარტო დარჩეთ და ფიქრს მიეცეთ. - ვერხოვენსკის თანდათან უფრო ერეოდა ბრაზი და შესაფერისი კილო ვერ მოენახა. - მაგრამ თქვენთვისვეა უარესი ამდენი ფიქრი. მე თუ მკითხავთ, სჯობს ფიქრს მოეშვათ. მართალი გითხრათ, მაშინებთ კიდევ. - მე მარტო ის მაწუხებს, იმ დროს რომ თქვენისთანა ქვებუდანი მეყოლება გვერდით.
- აბა ეგ კი სულ ტყუილად გაწუხებთ, თუ გნებავთ, იმ დროს ავდგები და პარმალზე გავალ. სიკვდილის წინ ამისთანა გრძნობიერების გამჟღავნება... დიახაც საშიშია. მე რომ პარმალზე გავალ, ისე წარმოიდგინეთ, ვითომც არაფერი მესმის და თქვენზე უზომოდ დაბლა ვდგავარ.
- არა, უზომოდ არა. ნიჭიერი კაცი ხართ, მაგრამ სულმდაბლობის გამო ბევრი რამ არ გესმით.
- მიხარია, ძალიან მიხარია. უკვე გითხარით, რომ ძალიან მიხარია, თუკი ასეთ დროს... გაგართობთ.
- არაფერი არ გესმით.
- მე... პატივისცემით მაინც გისმენთ.

- არაფერი თქვენ არ შეგიძლიათ. აი ახლაც კი ვერ დაგიმალავთ წვრილმანი ღვარძლი, თუმცაღა ამის გამოჩენა ვერაფერი სახეიროა თქვენთვის. თუ გამაბრაზეთ, იქნებ ავდგე და კიდევ ნახევარი წლით გადავდო.

ვერხოვენსკიმ საათს დახედა.

- თქვენი თეორიისა თავის დღეში არაფერი გამეგებოდა, მაგრამ ვიცი კი, ჩვენთვის არ მოიგონეთ და, მაშასადამე, უჩვენოდაც შეასრულებთ. ისიც ვიცი, რომ თქვენ კი არ შეჭამეთ იდეა, იდეამ შეგჭამათ თქვენ და, მაშასადამე, არც გადადებთ.

- როგორ თქვით? მე შემჭამა იდეამ?

- დიახ.

- და არა მე იდეა? ეგ მომწონს. პატარა ჭკუა მაინც გქონიათ. მაგრამ რითაც თქვენ გინდათ გამაბრაზოთ, ის ჩემთვის საამაყოა.

- ჰოდა, შესანიშნავია, ბატონო, იამაყეთ, ეგრეც არის საჭირო.

- კმარა, ჩაი დალიეთ და წაბრძანდით.

- მეტი რა გზაა, ეშმაკმა დალახვროს, - წამოდგა ვერხოვენსკი, - მაგრამ ჯერ რომ ადრეა! გამიგონეთ, კირილოვ, ვნახავ კი მიასნიჩიხასთან იმ კაცს? ხომ არ მომატყუა იმ დედაკაცმა?

- ვერ ნახავთ, ვინაიდან აქ არის და არა იქ.

- აქ არის? აქ სად არის, ეშმაკმა წაიღოს?

- სამზარეულოში ზის, ჭამს და სვამს.

- როგორ გაბედა? იმას იქ უნდა მოეცადა... სისულელეა! არც პასპორტი აქვს და არც ფული.

- არ ვიცი. დასამშვიდობებლად მოვიდა გამზადებული მიდის და აღარ მობრუნდება. თქვენზე თქვა, არამზადაა და მის ფულს აღარ დაველოდებო.

- აა! ეშინია, რომ... თუმცა ახლაც ვინ დამიშლის, თუკი... სად არის, სამზარეულოში?

კირილოვმა გვერდითი კარი შეაღო პაწაწინა ბნელ ოთახში, ამ ოთახიდან სამი საფეხურის ჩავლით პირდაპირ სამზარეულოს იმ გადაღობილში მოხვდებოდა, სადაც ჩვეულებრივ მზარეულ ქალს ეძინა ხოლმე. ახლა იქ ფედკა გამოჭიმულიყო ხატების ქვეშ ფიცრის მაგიდასთან. წინ ნახევარშტოფიანი, თეფშით პური, ჯამით ცივი ძროხის ხორცი და კარტოფილი ედგა და ზანტად შეექცეოდა. უკვე შემთვრალი ჩანდა. ტყაპუჭიანად იჯდა და, ეტყობა, პირდაპირ აქედან აპირებდა გამგზავრებას. გადაღობილში უკვე თუხთუხებდა სამოვარი. აგერ ერთი კვირაა, რაც ფედკა ყოველდღე თვითონ აჩაღებდა სამოვარს და ჩაის აყენებდა „ალექსეი ნილიჩისათვის, დამლამობით უჩაიოდ ვერ გაუძლიათ“. დარწმუნებული ვარ, ხორცი და კარტოფილი კირილოვმა დილითვე შეუწვა თავისი ხელით ფედკას.

- ეგ რა თავხედობაა? რატომ იქ არ დაიცადე, სადაც გიბრძანეს? - ჩაგორდა კიბეზე ვერხოვენსკი და მაგიდას მუშტი დაახეთქა.

ფედკა წელში გაიმართა.

- დაიცა, დაიცა, პიოტრ სტეპანოვიჩ, ვერ უნდა გაარჩიო, რა კეთილშობილ კაცთან ხარ სტუმრად. ბატონ კირილოვს, ალექსეი ნილიჩს, შენისთანა კაცმა ჩექმები უნდა უწმინდოს, რამეთუ ეგ ნასწავლი კაცია, შენ კი ნული ხარ და მეტი არაფერი, ფუი! - თავმომწონედ დაუმარცვლა ფედკამ და კოხტად გააწიტა გვერდზე. ცხადი იყო, რაღაც გადაწყვეტილება მიელო და ჯერჯერობით ეს მედიდური თავშეკავებული კილო აერჩია. მაგრამ ახალგაზრდა ვერხოვენსკის დაკვირვებისათვის არ ეცალა და ვერ შეამჩნია, რამდენად სახიფათო იყო ეს სიმშვიდე. თანაც იგი სულ სხვა წარმოდგენისა გახლდათ ფედკაზე. დღევანდელმა უკუღმართმა ამბებმაც მთლად რეტი დაასხა... ლიპუტინი ცნობისმოყვარეობით იჭყიტებოდა ბნელი სენაკიდან.

- გინდა თუ არა საიმედო პასპორტი და ბლომად ფული? ჰო თუ არა?

- იცი, რას გეტყვი, პიოტრ სტეპანოვიჩ, შენ მე თავიდან უნამუსოდ მომეჩევი, მოტყუება დამიპირე. შენ ახლა ჩემს თვალში ადამიანის მურდალი ტილი ხარ და მეტი არაფერი. უცოდველი ხალხის სისხლში დიდ ფულს მპირდებოდი და ბატონი სტავროგინის მაგივრად მეფიცებოდი, თუმცაღა მარტო შენი ტუტუცობა ყოფილა თურმე. მე აქ სულ სუფთად გამოვდივარ, ას-ნახევარი თუმანი კი არადა, გროშიც არ ამიღია. ისიც ვიცით, ბატონმა სტავროგინმა რომ გაგასილაქა. ახლა ისევ მემუქრები და ფულს მპირდები, მაგრამ რა საქმისთვის, არ ამბობ. როგორც ვხვდები, გინდა პეტერბურგში გამგზავნო, რა არის ბატონ ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩ სტავროგინზე ჩემი საშუალებით ჯავრი ამოიყარო; ამისთანა მოკლე ჭკუის გგონივარ. ამაშიც კაცის მკვლელი გამოდიხარ. იცი კი, რა გეკუთვნის ჯერ იმისთვის, რომ შენი გათახსირებული ბუნებით ჩვენი ღმერთის, ჩვენი ჭეშმარიტი შემომქმედის რწმენა დაკარგე? რაღა შენა და რაღა ერთი ურჯულო თათარი თუ მორდოველი, ალექსეი ნილიჩმა, ვითარცა ფილოსოფოსმა, ჭეშმარიტი ღმერთი, შემოქმედი და გამჩენი ჩვენი, ბევრჯერ აგიხსნა, აპოკალიფსის წიგნიდან ქვეყნის გაჩენა, მომავლის ბედი და ყოველი სულდგმულისა და ყოველი მხეცის გარდაქმნის ამბავი გამცნო. მაგრამ კერპივით დამუნჯებული და დაყრუებული მაინც შენსაზე დგახარ და პრაპორშიკ ერკელევს იგივე დამართე, რაც იმ ავსულმა მაცთუნებელმა, ათეისტად წოდებულმა...

- ამ ლოთს ვერ უყურებ! ხატებს მარცვავს და ღმერთს კი ქადაგებს!

- კი, გამიძარცვავს, პიოტრ სტეპანოვიჩ, მართალს გეტყვი, არ მოგატყუებ, ოღონდაც მარგალიტი ამიცილია. მაგრამ შენ საიდან იცი, რომ მამაზეციერმა არ მაპატია, ვითარცა ობოლს, დაჩაგრულს და თავშესაფრის უქონელ კაცს. არ წაგიკითხავს განა წიგნებში, როგორ მოსტაცა ოდესღაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს მარგალიტი ერთმა ვაჭარმა, ზუსტად ასეთივე ლოცვა-ვედრებით და მერე საჯაროდ დაუბრუნა მუხლმოდრეკილმა მთელი ფული, მოწყალე დედამ ღვთისამ კი მთელი ხალხის თვალწინ საფარველი გადააფარა. ამ ამბავმა მაშინ დიდი სასწაული მოახდინა და მთავრობამაც სახელმწიფო დავთრებში ჩააწერინა ყველაფერი. შენ კი თავგი შეუშვი, მაშასადამე, ღმერთი შებილწე. შენ რომ უფალს ჩემს ბატონად არ გაეჩინე, შენ რომ სიყრმეში ამ მკლავებით არ მეტარებინე, იცოდე, მანდვე, მაგ ადგილზე გაგათავებდი!

ვერხოვენსკის ცოფი მოერია: - თქვი, ნახე თუ არა დღეს სტავროგინი?

- შენ ვინა გდიხარ, რომ მე დამკითხო. ბატონი სტავროგინი შენი საქციელით განცვიფრებულია და არათუ დავალება ან ფული მოუცია, არც სდომებია თურმე ეს საქმე. შენ გამაბრიყვე და გამაბედვინე.

- ფულს მიიღებ, ორი ათასს პეტერბურგში ერთად ჩაგითვლიან და კიდევ სხვასაც დაგიმატებენ.

- ტყუიხარ, ჩემო კარგო, მეცინება კიდევ, ამისთანა ჭკუათხელი რომა ხარ. შენთან შედარებით ბატონი სტავროგინი ისე მაღლა დგას, რამდენიც არ უნდა უყეფო სულელ ფინიასავით ქვემოდან, მაინც ვერაფერს დააკლებ. ფურთხის ღირსადაც არა გთვლის.

- იცი თუ არა, შე არამზადავ, რომ აქედან ერთ ნაბიჯს არ გადაგადგმევენებ და პირდაპირ პოლიციაში გიკრავ თავს? - გამშაგდა ახალგაზრდა ვერხოვენსკი.

ფედკა ზეზე წამოვარდა და თვალები ბოროტად დააკვესა. ვერხოვენსკიმ რევოლვერი იძრო. მაგრამ ვინემ ის ნიშანში ამოღებას მოასწრებდა, ფედკა ელვის სისწრაფით მოტრიალდა და მთელი ძალით ლოყაში გაუშალა სილა. მერე მეორეც, მესამეც, მეოთხეც მიაყოლა. ვერხოვენსკის რეტი დაესხა, თვალები გადმოეკარკლა, რაღაც წაიბურტყუნა და უცებ მთელი ტანით იატაკზე გაიშხლართა.

- აჰა, ჩამიბარებია! - ძღვეამოსილად დაიძახა ფედკამ, თვალის დახამხამებაში აიტაცა კარტუზი, მერხიდან ფუთა გამოაძრო და გაუჩინარდა. ვერხოვენსკი უგონოდ ხროტინებდა. ლიპუტინს ეგონა, უკვე გათავდაო. კირილოვი მყისვე შემოიჭრა სამზარეულოში, - წყალი! - დაიძახა, ვედროდან რკინის ციცხვით წყალი ამოიღო და თავზე დაასხა. ვერხოვენსკი შეინძრა, თავი ასწია, წამოჯდა და უაზროდ დაიწყო ცქერა.

- აბა როგორა ხართ? - ჰკითხა კირილოვმა.

ვერხოვენსკიმ დაკვირვებით შეხედა, თუმცა ცნობაზე ჯერ არ იყო. მაგრამ სამზარეულოს კარში ლიპუტინის თავი რომ დაინახა, თავისებურად მურდლად გაიღრიჯა, რევოლვერს სტაცა ხელი და უცებ ფეხზე წამოხტა.

- იმ არამზადა სტავროგინივით თუ ხვალ თქვენც გაქცეულხართ, იცოდეთ, დედამიწის მეორე ნახევარშიც მოგძებნით... ბუზივით გაგსრესთ... ჩამოგახრჩობთ.. გესმით! - ეცა იგი კირილოვს და რევოლვერი შუბლზე მიაბჯინა. სიბრაზისაგან ფერი წასვლოდა და ენა ებლუკებოდა, მაგრამ თითქმის იმავ წუთს მოეგო გონს, რევოლვერი ჯიბეში ჩაიდო და ხმამოუღებლივ გამოვარდა სახლიდან. ლიპუტინი უკან გაჰყვა. შემდეგ ისევ იმ ხვრელში გაძვრნენ და ისევ მესერ-მესერ გამოჰყვნენ თხრილს. ვერხოვენსკი გამალებული მიაბოტებდა, ლიპუტინი ძლივს ეწეოდა. უცებ პირველსავე გზაგასაყარზე შედგა და გამომწვევად მოუბრუნდა: - რას იტყვით?

ლიპუტინს ახსოვდა რევოლვერის ამბავი და შიშისაგან ახლაც ცახცახებდა. მაგრამ თავისდა უნებლიეთ სულ სხვა კი წამოსცდა: - მე ვიტყოდი, „სმოლენსკიდან ტაშკენტამდე არცთუ ისე მოუთმენლად მოელიან სტუდენტსაო“.

- ნახეთ, დღეს რას სვამდა ფედკა?

- რასა და არაყს.

- ჰოდა, იცოდეთ, ეს მისი უკანასკნელი არაყი იყო. გირჩევნიათ კარგად დაიხსომოთ შემდეგისთვის. ახლა კი მომწყდით თავიდან. ხვალამდე არ დაგინახოთ... მაგრამ იცოდეთ, ჭკუით იყავით, თორემ!..

ლიპუტინი კისრისტეხით გავარდა შინ.

IV

კარგა ხანია ლიპუტინს სხვის სახელზე ჰქონდა მომზადებული პასპორტი. აბა ვინ წარმოიდგენდა, რომ ეს თადარიგიანი, თავისი შინაურების სულთამხუთავი, სხვა რომ არა, მოხელე კაცი (თუმცა კი ფურიერისტი), დაბოლოს კაპიტალისტი და მევახშე ამისთანა ფანტასტიკურ აზრს ჩაიდებდა თავში - ყოველი შემთხვევისათვის მზად ჰქონოდა პასპორტი და მისი მეოხებით საზღვარგარეთ გაპარულიყო, თუკი... მაშ მართლაც ვერასოდეს ჩამოეყალიბებინა ხეირიანად, სახელდობრ რას გულისხმობდა ეს თუკი...

მაგრამ ახლა კი თავისთავად და ყოვლად მოულოდნელად ჩამოუყალიბდა. როცა ვერხოვენსკიმ ქუჩაში მიახალა, რეგენი ხარო, გზაში ერთი თავზე ხელადებული გადაწყვეტილება მიიღო: ხვალვე დილაუთენია დაეკრა ფეხი და საზღვარგარეთ გაქცეულიყო! ვინც ამას არ დაიჯერებს, ვისაც არ სწამს, რომ ასეთი ფანტასტიკური ამბები ჩვენს სინამდვილეში ახლაც ხდება, დაე ჩვენს საზღვარგარეთ გადახვეწილ ახლანდელ რუს ემიგრანტთა ბიოგრაფიაში ჩაიხედოს. არც ერთი მათგანი უფრო გონივრულად და წინდახედულად არ გაქცეულა. ისეთივე მოუთოკავი მოჩვენებანი უბნევდათ გონებას და მეტი არაფერი.

მიიჭრა თუ არა შინ, პირველ ყოვლისა, ოთახი ჩაკეტა, საკი გამოათრია და გაფაციცებით შეუდგა ჩალაგებას. მისი მთავარი საზრუნავი მხოლოდ ფული იყო, რამდენი და როგორ გადაერჩინა. დიახ, სწორედ გადაერჩინა, ვინაიდან, მისი აზრით, დაყოვნება ერთი საათითაც აღარ შეიძლებოდა, დილაუთენია უკვე გზაში უნდა ყოფილიყო. არც ის იცოდა, მატარებელში როგორ ჩაჯდებოდა; გადაწყვეტილი ჰქონდა ქალაქიდან მეორე თუ მესამე სადგურზე ჩამჯდარიყო, იქამდე კი ფეხით ევლო. როცა ამ ფიქრებში გართული ანგარიშმიუცემლად ალაგებდა ბარგს - უცებ გაჩერდა, ყველაფერს თავი ანება, ერთი ღრმად ამოიკვნესა და დივანზე გაიშხლართა.

ლიპუტინმა მთელი არსებით შეიგრძნო, რომ გაქცევით კი გაიქცევა, მაგრამ შატოვის ამბამდე თუ შატოვის ამბის შემდეგ, ამის გადაწყვეტა ახლა არამც და არამც არ ძალუძს; რომ ის ახლა მხოლოდ უსულო სხეულია, ინერციული ხორცის გროვა, რომელსაც რაღაც უცხო, საშინელი ძალა ამოძრავებს. ჰოდა, მიუხედავად იმისა, რომ პასპორტი მზადა აქვს, რომ შეუძლია შატოვის ამბამდე გაიქცეს (აბა სხვა რა აჩქარებდა ასე?), გაიქცევა არა შატოვის ამბამდე, არამედ სწორედ შატოვის ამბის შემდეგ და ეს უკვე გადაწყვეტილი და ბეჭედდასმულია. საშინელ შიშსა და ცახცახში, ოხვრასა და გულისლევაში გაატარა მთელი ის დღე ჩაკეტილმა. თვითონვე უკვირდა და ვერ გაეგო, რა მოსდიოდა, მაგრამ მეორე დღის თერთმეტ საათზე ერთმა ამბავმა ბიძგი მისცა და გადაწყვეტილება უცებ მიაღებინა. როცა დილას კარი გააღო და თავისიანებთან გამოვიდა, შეიტყო, რომ კატორღიდან გამოქცეული, ყველას მეხის დამცემი, საყდრების მძარცველი, კაცისმკვლეელი და ცეცხლის გამჩენი ავაზაკი

ფედკა, რომელსაც ჩვენი პოლიცია დასდევდა და ხელში კი ვერ ჩაეგდო, ალიონზე მოკლული ენახათ ქალაქიდან შვიდიოდე ვერსზე, დაბა ზახარინოს გადასახვევთან. ამ ამბავზე უკვე მთელი ქალაქი ლაპარაკობდა. ლიპუტინი გიჟივით გავარდა შინიდან ამბის დაწვრილებით გასაგებად და გაიგო, ფედკა თურმე თავგატეხილი უნახავთ და პოლიციასაც უკვე საკმაოდ დიდი ეჭვი და ზოგიერთი უტყუარი საბუთიც აქვს, რომ მისი მკვლელი შპიგულინელი ფომკა იყო. სწორედ ის ფომკა, ვისთანაც ერთად დახოცა მან ლეზიადკინები, ცეცხლი წაუკიდა მათ ბინას და მერე კი გზაზე ჩხუბი მოუვიდა ვითომდა ლეზიადკინისაგან გატაცებული დიდძალი ფულის გადამალვის გამო... ლიპუტინმა ახალგაზრდა ვერხოვენსკისაც მიაკითხა ბინაზე. უკანა კიბიდან უთხრეს საიდუმლოდ, პიოტრ სტეპანოვიჩი შუადამის პირველ საათამდე არ დაბრუნებულა შინ, მაგრამ მერე მთელი ღამე არხეინად ეძინა დილის რვა საათამდეო. ავაზაკ ფედკას სიკვდილში საკვირველი არაფერი იყო, ამისთანა ხალხს მეტწილად ასეთი ბოლო აქვს. მაგრამ იმ საბედისწერო სიტყვების ასე ჩქარა გამართლების შემდეგ, „ეს ფედკას უკანასკნელი არაყია ამ საღამოს“, ლიპუტინი ახლა აღარ ყოყმანობდა. ბიძგი მიცემული იყო. ეს ამბავი მძიმე ლოდად დაეცა და სამუდამოდ გაწყვიტა წელში. შინ მობრუნებულმა საკს წიხლი ჰკრა და უსიტყვოდ შეაგდო ლოგინქვეშ. საღამოს კი დანიშნულ დროს შატოვთან შესახვედრად პირველი გამოცხადდა დათქმულ ადგილზე, თუმცაღა პასპორტი კვლავ ჯიბეში ედო...

თავი მეხუთე. სტუმარი ქალი

I

ლიზას თავს დამტყდარმა უბედურებამ და მარია ტიმოფეევანას სიკვდილმა თავზარი დასცა შატოვს. მე უკვე მოგახსენეთ, იმ დილას ერთი წუთით ვნახე და რაღაც არეული მეჩვენა-მეთქი. სხვათა შორის, მითხრა, წუხელ ცხრა საათზე (მაშასადამე, ხანძრამდე სამი საათით ადრე) მარია ტიმოფეევანასთან ვიყავიო. დილაადრიან დახოცილთა სანახავად წასულა. რამდენადაც ვიცი, იმ დილას ჩვენება არსად მიუცია, მაგრამ დღის ბოლოს ისეთმა მღელვარებამ და ფორიაქმა მოიცვა... დარწმუნებით შემძლია ვთქვა, ერთი პირობა კინალამ არ ადგა და ყველაფრის გასამხელად არ წავიდა. რა იყო ეს ყველაფერი - თავად უწყობდა. რა თქმა უნდა, ვერაფერსაც ვერ მიაღწევდა და მხოლოდ თავის თავს ჩაიგდებდა. საბუთი არაფერი გააჩნდა ამ ბოროტმოქმედთა გასამძღავენებლად. თვითონაც მხოლოდ ეჭვი ჰქონდა და ეს ეჭვი მარტო მის თვალში უდრიდა უტყუარ საბუთს. მაგრამ ოღონდაც ის „არამზადები გაესრისა“, - პირადად მისი სიტყვებია, - და თავის თავს აღარ დარდობდა. ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ ნაწილობრივ სწორად აუღო ალღო მის განწყობილებას, კარგად იცოდა, რა სახიფათო იყო, სახვალიოდ რომ გადადო ის საშინელი განზრახვა. ამის მიზეზი მისი ჩვეულებრივი თავდაჯერება და ამ „კაცუნების“ ზიზღი იყო, განსაკუთრებით შატოვისა, დიდი ხანია აგდებით უყურებდა ამ „ქალაჩუნა დოყლაპიას“, როგორც თვითონ ეძახდა ჯერ კიდევ საზღვარგარეთ. იმედი ჰქონდა, ამ უემძაკო კაცს როგორმე მოუვლიდა, თვალს არ მოაშორებდა და პირველი საშიშროებისთანავე გზას გადაუკეტავდა. მაგრამ „არამზადები“ დროებით მხოლოდ ერთმა სრულიად მოულოდნელმა და მათგან სავსებით გაუთვალისწინებელმა გარემოებამ გადაარჩინა...

სადამოს რვა საათზე (სწორედ ამ დროს ერკელთან შეკრებილი ჩვენები დაგვიანებულ ახალგაზრდა ვერხოვენსკის დიდი აღშფოთებითა და მღელვარებით უცდიდნენ) შატოვი, რომელსაც თავი სტკიოდა და ცოტა ამცივებდა კიდეც, საწოლზე იყო გაშლართული სიბნელეში; თავის ფიქრებს ებრძოდა, ბრაზით სკდებოდა და საბოლოოდ ვერაფერი გადაეწყვიტა. გული უგრძობდა, მაინც არაფერი გამოვაო. მერე რული მოეკიდა და რაღაც მაჯლაჯუნასავით დააწვა ძილში. ესიზმრა, თითქოს ლოგინზე წევს გათოკილი და განძრევა არ შეუძლია. ამასობაში კი ისე უბრაზუნებენ მესერზე, ჭიშკარზე, კარზე, კირილოვის ფლიგელთან, მთელ სახლს ზანზარი გააქვს. შორიდან კი ნაცნობი ხმა საბრალისად უხმობს და ეს ხმა გულს უკუმშავს, შატოვი უცებ გამოფხიზლდა და ლოგინზე წამოჯდა. გაუკვირდა, როცა გარედან მართლაც ბრაზუნი მოესმა, თუმცა არც ისე მაგარი, როგორც ძილში ეჩვენა. ხოლო უცნაური და „გულისშემკუმშველი“ ხმა საბრალისად კი არა, პირიქით, მოუთმენლად და გაანჩხლებით ეძახის ჭიშკართან ვიღაც სხვასთან ერთად. შატოვი წამოხტა და სარკმელში თავი გაჰყო.

- ვინ არის? - იკითხა და შიშისაგან გააცივა.

- თუ შატოვი ბრძანდებით, - ამოსძახეს მკვახედ, - კეთილინებეთ და პირდაპირ და პატიოსნად თქვით, შემომიშვებთ თუ არა შინ?

ასეც არის. მან ეს ხმა იცნო!

- Marie, შენ ხარ?

- მე ვარ, მე, მარია შატოვა და გარწმუნებთ, მეეტლეს ერთ წუთსაც ვეღარ გავაჩერებ.

- მოვდივარ... ოღონდ სანთელს ავანთებ... - ძლივს ამოღერდა შატოვმა და ასანთის მოსაძებნად დატრიალდა. მაგრამ როცა გჭირდება, ასანთს ვერასოდეს იპოვი. სანთლიანი შანდალიც ძირს დაუვარდა. როცა კი ქვემოდან ისევ მოესმა მოუთმენელი ძახილი, ყველაფერს თავი ანება და კისრისტეხით ჩავარდა ჭიშკრის გასაღებად.

- თუ შეიძლება, ეს საკი დამიჭირეთ, ვინემ ამ ხეპრეს გავუსწორდები, - ასე შეეგება ქალბატონი მარია შატოვა და დრეზდენში ნაყიდი საკმაოდ მჩატე, პატარა, ბრინჯაოსფერი ლურსმნებით მოჭედილი იაფფასიანი ტილოს საკი მიაჩეჩა თვითონ კი მეეტლეს ეცა.

- გარწმუნებთ, ზედმეტს თხოულობთ. ვისი რა ბრალია, თუ თქვენვე არ გცოდნიათ ეს სულელური ქუჩა და ეს ტუტუცური სახლი და ერთი საათი ტყუილუბრალოდ მათრიეთ ამ ბინძურ ქუჩაში. აჰა, ეს თქვენი ექვსი შაური და იცოდეთ, მეტს არ მიიღებთ.

- ეეჰ, ქალბატონო, შენ თვითონ არ მიმითითე, ვოზნესენსკაზეაო, ეს კი ბოგოიავლენსკა არის. ვოზნესენსკას ქუჩა აგერ სად არის აქედან. ლაფშა სულ ტყუილად გავქაფე.

- აქაური ხართ და ვოზნესენსკაიას თუ ბოგოიავლენსკაიას ეს სულელური ქუჩები ჩემზე უკეთ უნდა გცოდნოდათ. ან რატომ ტყუით: თავიდანვე გითხარით, ფილიპოვის სახლი მინდა-მეთქი, და თქვენვე დამიმოწმეთ, ვიცო. ხვალ თუ გინდათ წადით და მომრიგებელ მოსამართლესთან მიჩვილეთ, ახლა კი თავი დამანებეთ.

- აჰა, ეს შაურიც წაიღეთ! - სასწრაფოდ იძრო ჯიბიდან შატოვმა შაურიანი და მეეტლეს მისცა.

- ძალიან გთხოვთ, ეგ არ გაბედოთ! - წამოიფოფრა ისევ m-me შატოვა, მაგრამ მეეტლემ უკვე დასძრა თავისი „ლაფშა“. შატოვმა ქალს ხელი დაავლო და ჭიმკრისაკენ გაიტაცა.

- ჩქარა, Marie, ჩქარა... ეს ყველაფერი წვრილმანებია. რარიგ დასველებულხარ! ნელა, აქ ასავლელია, აფსუს, სინათლე არ არის, - მაღალი კიბეა, ხელი მაგრად მომკიდე. აი ჩემი სენაკიც. მაპატიე, რომ ბნელა... ახლავე!

შატოვმა შანდალი აიღო, მაგრამ ასანთი კიდევ კარგა ხანს ვერ მოძებნა. ქალბატონი შატოვა შუა ოთახში უხმოდ და გაუნძრევლად იდგა.

- მაღლობა ღმერთს, ძლივს არა! - გაუხარდა ბინის განათება შატოვს. მარია შატოვამ სწრაფად მოათვალიერა სენაკი.

- კი მითხრეს, ცუდად ცხოვრობსო, მაგრამ ასეთ სურათს მაინც არ ველოდი, - ზიზღით წაილაპარაკა მან და საწოლისაკენ წავიდა.

- ოჰ, როგორ დავიღალე! - უილაჯოდ ჩამოჯდა Marie ხმელ ლოგინზე. - თუ შეიძლება საკი დადეთ და სკამზე დაბრძანდით, წინ ნუ ამეტუზეთ. თუმცა თქვენი ნებაა. მე მხოლოდ დროებით გეწვიეთ, ვინემ სამუშაოს მოვძებნიდე. აქაურობისა არაფერი ვიცი და არც ფული მაქვს. მაგრამ თუ შეგაწუხებთ, გთხოვთ ახლავე მითხრათ, როგორც პატიოსანმა კაცმა. ხვალ რაღაცას გავყიდი და სასტუმროს ფულს გადავიხდი, ოღონდაც უნდა გაისარჯოთ და სასტუმრომდე მიმაცილოთ... ოჰ, როგორ დავიღალე!

შატოვი აცახცახდა და გულ-ხელი ვედრებით დაიკრიფა: - სასტუმრო? სასტუმროში რა გინდა, Marie, რისთვის, რატომ?

- ჰოო, თუ სასტუმრო არ დამჭირდა, ერთმანეთში მაინც ახლავე უნდა გავარკვიოთ ყველაფერი. გაიხსენეთ, შატოვ, რომ ქენევაში ორი კვირა და რამდენიმე დღე ცოლ-ქმარი ვიყავით. აგერ უკვე სამი წელია დაშორებული ვართ, თუმცა დიდი ჩხუბის გარეშე, ერთი წუთით არ იფიქროთ, თითქოს ძველებური სისულელეების განსაახლებლად ჩამოვედი. მე სამუშაოს საძებრად დავბრუნდი და რა დგან ჩემთვის სულ ერთი იყო, სად ვიცხოვრებდი, ისევ ამ ქალაქში ვარჩიე ჩამოსვლა. პატიების თხოვნას არ ვაპირებ. თუ შეიძლება ეს სისულელე გულშიაც არ გაივლოთ.

- ოჰ, Marie! ამას სულ ტყუილად მეუბნებით, სულ ტყუილად, - გაურკვევლად ბურტყუნებდა შატოვი.

- მაშ თუ იმდენი განათლება გაქვთ, რომ ესეც შეგიძლიათ გაიგოთ, იმასაც დავუმატებ, ახლა თუ პირდაპირ თქვენ მოგადექით, ნაწილობრივ იმიტომაც, გაიძვერად არასოდეს გთვლიდით და იქნებ სხვა... ვიგინდარებზე უკეთესად მიმაჩნდით!..

ქალს თვალები აენთო, ალბათ იმ „ვიგინდარებისაგან“ ბევრი სიმწარე უგემნია.

- არც ის იფიქროთ, დაცინვა მინდოდა, როცა გითხარით, კეთილი ხართ-მეთქი. მე ეს ლამაზი სიტყვებისათვის არ მითქვამს, ლამაზი სიტყვები ჭირივით მძულს, თუმცა რა სისულელეებს ვამბობ. რომ საკმაო ჭკუა გაქვთ და კაცს სულს არ შეუწუხებთ, მუდამ

მჯეროდა... ოჰ, კმარა, დავიღალე! - ქალმა გატანჯული, დაღლილი თვალები მიაპყრო.

შატოვი ოთახის მეორე თავში, ხუთ ნაბიჯზე იდგა მისგან. გაუბედავად, მაგრამ რაღაც განახლებული გრძნობით უსმენდა, რაღაც უჩვეულო ნათელი გადაჰფენოდა სახეზე. ამ ძლიერი სულის კაცს, მუდამ რომ ყალყზე იდგა, უცებ მოუღბა და გაუნათდა გული და რაღაც უჩვეულო, მოულოდნელი სიმი აუჟღერდა. სამი წლის განშორებას, ცოლთან სამი წლით დაცილებას მისი გულიდან არაფერი ამოუშლია. ეს სამი წელი იქნებ ყოველდღე ოცნებობდა ამ ძვირფას არსებაზე, რომელმაც ოდესღაც „მიყვარხარ“-ო უთხრა. მე რომ შატოვის ამბავი ვიცი, დარწმუნებული ვარ, ოცნებაშიაც ვერ წარმოიდგენდა, რომელიმე ქალს მისთვის „მიყვარხარ“ - ო ეთქვა. შატოვი საკვირველად მორცხვი, პატიოსანი კაცი იყო. თავი მაიმახად მიაჩნდა, ჭირივით სძულდა საკუთარი სახე და ხასიათი, სჯეროდა, რომ მისთანა მაიმახი მხოლოდ ბაზარ-ბაზარ იყო სატარებელი ხალხის გასართობად. ამიტომაც ყველაზე მეტად პატიოსნებას აფასებდა. თუკი რაიმეს იწამებდა, მუდამ ფანატიკურად მისდევდა. უჟმური ბუნების, ამაყი, ბრაზიანი და უთქმელი იყო. ამქვეყნად მხოლოდ ერთადერთ არსებას უყვარდა იგი ორი კვირა (შატოვს სჯეროდა, მუდამ სჯეროდა ეს ამბავი!); ამ არსებას მუდამ თავის თავზე წარმოუდგენლად მალა აყენებდა, თუმცა მის შეცდომებზე თვალს არასოდეს ხუჭავდა. შატოვი ამ ქალს ყველაფერს, ყველაფერს აპატიებდა (აპატიებდა კი არა, მისთვის რომ გეკითხა, დამნაშავე თვითონ იყო ყველაფერში). და ეს ქალი, ეს მარია შატოვა ახლა უცებ მის სახლში გაჩნდა, მას ესტუმრა... არა, ეს დაუჯერებელი ამბავი იყო! კაცს ისეთი რეტი დაესხა, რაღაც ისეთ საშინელებას და ამავე დროს ისეთ დიდ ბედნიერებას მოასწავებდა მისთვის, რომ არ ძალუძდა და იქნებ არც სურდა გამოფხიზლება. ეს სიზმარი იყო, მაგრამ ქალმა რომ გაწამებული თვალები მიაპყრო, მაშინ კი მიხვდა, მისი საყვარელი არსება იტანჯებოდა, იქნებ ვიღაცამ შეურაცხყო და გაამწარა. გული ჩაწყდა შატოვს. სიბრაღულით დააკვირდა ქალის ნაკვეთს. ამ დაღლილ სახეს კარგა ხანია დაჰკარგოდა ქორფა იერი, თუმცა მის თვალში წინანდელივით ახლაც ვერავინ შეედრებოდა (სინამდვილეში ეს საკმაოდ მკვრივი აგებულების, შატოვზე მაღალი, ოცდახუთი წლის ქალი იყო. ღია ფერის გრუზა თმა და მოგრძო, ფერმკრთალი სახე ჰქონდა. დიდრონი მუქი თვალები ახლა სიციხიანივით უპრიალებდა). იმ უდარდელი, ხალისიანი, გულმართალი ქალის ნაცვლად, ვისაც ასე კარგად იცნობდა, შატოვის წინ მარღვებაშლილი, გულგატეხილი არსება იდგა, ყველაფრის რწმენა რომ დაკარგოდა და შეუჩვეველს ეს თვითონვე ემძიმებოდა. ის ავად იყო, მართლა ავად. ამიტომაც სძლია შატოვმა შიშს, მივიდა და ხელები დაუჭირა: - Marie, თუ ღმერთი გწამს, გული ნუ მოგივა, მაგრამ იქნებ ძალიან დაიღალე... ჩაის ხომ არ დალევდი, ჰა? ჩაი ხომ კაცს ძალას მატებს? იქნებ დაგელია?..

- დავლევ, რასაკვირველია, დავლევ. წინანდელივით რა ბავშვივით იქცევით. თუ გაქვთ, დამალევინეთ. რა ვიწროდა ხართ! როგორ ცივა თქვენთან!

- ოო, შეშას ახლავე ამოვიტან... შეშა კი მაქვს! - აწრიალდა შატოვი. შეშა... თუმცა... ჩაის ახლავე გავაჩენ, - ჩაიქნია უცებ ხელი და ქუდი აიტაცა.

- სად მიხვალთ? მაშ ჩაიც არა გაქვთ შინ?

- ამ წუთას, ყველაფერს ამ წუთას გაგიჩენ... მე... - შატოვმა თაროდან რევოლვერი ჩამოიღო.

- რევოლვერს გავყიდი... ან დავაგირავებ...

- ნუ სულელობთ, ეგ როდის იქნება! თუ არა გაქვთ, მე მოგცემთ, თექვსმეტი შაური უნდა მქონდეს. ესაა მთელი ჩემი ქონება. ასე მგონია, საგიჟეთში მოვხვდი.

- არა, შენი ფული არ მინდა, მე ახლავე, ამ წუთას, ურევოლვეროდაც ვიშოვი...

შატოვი შურდულივით გავარდა კირილოვთან. ახალგაზრდა ვერხოვენსკი და ლიპუტინი, ვგონებ, მხოლოდ ორი საათის შემდეგ ესტუმრნენ კირილოვს. შატოვი და კირილოვი ერთ ეზოში იდგნენ. ერთმანეთს თითქმის არ ხვდებოდნენ, როცა კი ხვდებოდნენ, არ ესალმებოდნენ: ამერიკაში მეტისმეტად „დიდხანს“ იყვნენ ერთად.

- კირილოვ, თქვენ ჩაი ყოველთვის გაქვთ. გიდგათ სამოვარი?

კირილოვი ბოთას სცემდა ოთახში (მთელი ღამე ასე დააბიჯებდა კუთხიდან კუთხეში), შატოვის დანახვაზე შედგა და თვალი დაკვირვებით შეავლო, თუმცა დიდად არ განცვიფრებულა.

- ჩაი მაქვს, შაქარიც და სამოვარიც. ოღონდ სამოვარი რად გინდათ, ჩაი ცხელია. დაჯექით და მიირთვით.

- კირილოვ, ამერიკაში ჩვენ ერთ ლოგინში ვიწექით... ცოლი ჩამომივიდა... მომეცით ჩაი... სამოვარია საჭირო.

- ჰო, ცოლისათვის სამოვარი დაგჭირდებათ. მაგრამ სამოვარი მერე იყოს. ორი მაქვს, ახლა ჩაიდან ჩაიღებ. ცხელია, ამაზე ცხელი არ შეიძლება. რაც მაქვს, წაიღეთ, შაქარი, პური... პური ბლომდაა. ხბოს ხორციცაა. მანეთიანიც მაქვს.

- მოიტა, მეგობარო, ხვალ დაგიბრუნებ! ეეჰ, კირილოვ!

- ეს ის ცოლია, შვეიცარიაში რომ გყავდათ? ჩინებულია. ისიც კარგია, ეგრე რომ შემოვარდით.

შატოვმა ჩაიდან იდაყვქვეშ ამოიღო, ორივე ხელში შაქარი და პური დაიჭირა.

- ეეჰ, კირილოვ, კირილოვ! იმ... იმ უბედურ ფანტაზიებზე რომ ხელი აგელოთ და ეგ ათეისტური ბოდვა დაგევიწყებინათ... ბადალი არ გეყოლებოდათ!

- ვხედავ, ცოლი გყვარებიათ! კარგია, კარგი, მეტადრე შვეიცარიის ამბების შემდეგ. თუ კიდევ დაგჭირდეთ ჩაი, მომაკითხეთ, რა დროც არ იყოს. მე მთელი ღამე არ მძინავს. სამოვარსაც აგიდულებთ, აი, მანეთიანი წაიღეთ. ახლა ცოლთან წადით, მე დავრჩები, თქვენზე და თქვენს ცოლზე ვიფიქრებ.

მარიას თითქოს გაუხარდა შატოვის მალე დაბრუნება. ჩაის ხარბად მიეტანა. თუმცა სამოვარი აღარ დასჭირვებია: ნახევარ ფინჯანზე მეტი ვერ შესვა და პურიც მხოლოდ ერთი ლუკმა შეატანა. ხბოს ხორცზე ზიზღით და გაგულისებით თქვა უარი.

- შენ ავად ხარ, Marie, ყველაფერი ავადმყოფობის ბრალია... - შატოვი მოკრძალებით დასტრიალებდა თავს.

- ავად, ვარ, აბა რა. თუ შეიძლება დაჯექით. ჩაი ვის გამოართვით?

შატოვმა მოკლედ უამბო კირილოვზე. ქალს თურმე გაგონილი ჰქონდა მისი ამბავი.

- ვიცი, რომ გიჟია. ჰოდა, კმარა სულელები განა ცოტაა? მაშ ამერიკაში იყავით? მითხრეს, წერილი მოგიწერიათ.

- მე.. პარიზში მივწერე.

- კმარა, თუ შეიძლება სხვა რამეზე ილაპარაკეთ: სლავიანოფილი ხართ? ეს იწამეთ?

- კი არ ვიწამე... რუსობა ვერ შევძელი და სლავიანოფილად ვიქეც. - შატოვს ცალყბად გაეღიმა ამ თავის უადგილო და ნაძალადევ ხუმრობაზე.

- მაშ, რუსი აღარა ხართ?

- არა.

- ეგ ყველაფერი სისულელეა. აღარ უნდა დაჯდეთ ბოლოს და ბოლოს, რა წრიალებთ აქეთ-იქით? გგონიათ, მაზოდებს? თუმცა იქნებ მაზოდებს. მთელ სახლში ორნი ვართო, ამბობთ?

- კი, ორნი... ქვემოთ...

- კაი ჭკვიანებს შეგიყრიათ თავი. ქვემოთ რა? რატომ თქვით ქვემოთო?

- არა, არაფერი.

- რა არაფერი? მინდა ვიცოდე.

- მე მინდოდა მეთქვა, ახლა ორნი ვართ-მეთქი ეზოში, წინათ კი ლეზიადკინებიც იდგნენ...

ქალმა უცებ თავი ასწია.

- წუხელ რომ ყელი გამოჭრეს, ის ქალი? ვიცი, ჩამოსვლისთანავე გავიგე. თქვენთან ხანძარიც იყო?

- კი, Marie, იყო და მეც იქნებ დიდი უნამუსო ვარ, იმ არამზადებს რომ ვაპატიე... - წამოხტა შატოვი, გაშმაგებულმა ხელები ასწია და გააბოტ-გამოაბოტა.

მაგრამ Marie მის პასუხებს უგულისყუროდ ისმენდა. ის მხოლოდ კითხვებს აყრიდა. ამიტომაც ვერაფერს მიხვდა.

- კაი ამბები კი ხდება ამ თქვენს ქალაქში. ოო, რა უნამუსობაა. რა არამზადები არიან ყველანი! აღარ დაჯდებით ბოლოს და ბოლოს, რად მიშლით მარღვებს! - ქალმა უილაჯოდ გადააგდო თავი ბალიშზე.

- კი, Marie, კი... იქნებ დაწვე, ჰა, Marie? - Marie-მ პასუხი არ გასცა და თვალები მილულა. სახე მიცვალებულს უგავდა. ძილმა მაშინვე წაართვა თავი. შატოვმა

მიიხედ-მოიხედა, სანთელი გაასწორა, ერთხელ კიდევ შეშფოთებით ჩააცქერდა სახეში, ხელები მოკუმშა და ფეხაკრეფით გავიდა დერეფანში. იქ, კიბის თავზე, კედელს მიეკრა და ათიოდე წუთს არ განძრეულა. ალბათ კარგა ხანს არ გაინძრეოდა, ქვემოდან რომ ქურდული ნაბიჯების ხმა არ გაეგონა. კიბეზე ვიღაც ამოდიოდა. შატოვს გაახსენდა, ჭიშკარი რომ არ დაკეტა.

- ვინ არის? - იკითხა ჩურჩულით.

უცხო სტუმარს ხმა არ გაუღია, მძიმე-მძიმედ ამოდიოდა. ამოვიდა და კიბის თავში გაჩერდა. სიბნელეში სახის გარჩევა ძნელი იყო.

- შატოვი ხართ? - ფრთხილად ჰკითხა უცებ სტუმარმა.

შატოვმა უთხრა, ვინც იყო, და ხელიც გასწია მის შესაჩერებლად. უცნობმა დაასწრო და თვითონ სტაცა ხელი. შატოვს ისე გააჟრჟოლა, თითქოს საზარელ ქვემძრომს შეხებოდეს.

- გაჩერდით, არ შემოხვიდეთ, - გადაუჩურჩულა საჩქაროდ, - ოთახში ახლა ვერ შეგიყვანთ. ცოლი ჩამომივიდა. სანთელს გამოვიტან.

სანთლის შუქზე ყმაწვილი ოფიცერი დაინახა, სახე ეუცნაურა, სახელი კი ვერ მოიგონა.

- ერკელი გახლავართ, - უთხრა ყმაწვილმა, - ვირგინსკისთან მნახეთ.

- მახსოვს. იჯექით და რაღაცას იწერდით. გამიგონეთ, - შატოვს სისხლმა აასხა თავში და გააფთრებით გაიწია მისკენ, თუმცა ხმა არ აუმაღლებია, - ახლა ისე ჩამომართვით ხელი, ეს ნიშანი იყო. მაგრამ იცოდეთ, ეგ თქვენი ნიშანი ფეხებზე მკიდია! არც ვცნობ... და არც მინდა... იცით თუ არა, რომ შემძლია ამ წუთში დაგაგოროთ კიბეზე?

- არა, მე არაფერი ვიცი. ისიც არ ვიცი, ასე რატომ აღელდით, - დინჯად, თითქმის გულუბრყვილოდ მიუგო სტუმარმა, - ჩემი მოსვლის მიზანია ერთი რამ გაცნობოთ. რაც მთავარია, მეჩქარება. თქვენთან ინახება დაზგა. ის თქვენ არ გეკუთვნით, მაგრამ, როგორც იცით, მაინც პასუხისმგებელი ბრძანდებით. მე დამავალეს თქვენთვის გადმომეცა, ხვალ, საღამოს შვიდ საათზე ეს დაზგა ლიპუტინს გადააბაროთ. იმის თქმაც დამავალეს აგრეთვე, რომ ამიერიდან არავინ არაფერს მოგთხოვთ.

- არაფერს?

- დიახ, არაფერს. თქვენი თხოვნა დაკმაყოფილებულია და ამის შემდეგ თავისუფალი ბრძანდებით. დამავალეს, ესეც უთუოდ გაცნობოთ.

- ვინ დაგავალათ?

- ვინც ეს ნიშანი მითხრა.

- საზღვარგარეთიდან ჩამოდიოთ?

- ეს თქვენთვის, მგონი... სულ ერთია.

- ფუი, დალახვროს ეშმაკმა, აქამდე სად იყავით, თუკი დაგავალეს?

- მე მითითება მქონდა, თანაც მარტო არ ვიყავი.

- ვიცი, ვიცი, რომ მარტო არ იქნებოდით. ფუი, დალახვროს ეშმაკმა! რატომ ლიპუტინი არ მოვიდა?

- მაშასადამე, მე ხვალ, ზუსტად ექვს საათზე გამოგივლით. იქ ფეხით წავალთ. ჩვენ სამის მეტი არავინ იქნება.

- ვერხოვენსკი?

- ვერხოვენსკი ხვალ დილას თორმეტ საათზე ქალაქიდან მიემგზავრება.

- ეგრეც მეგონა, - წაიხურჩულა გაცოფებულმა შატოვმა და მუშტი თეძოზე დაირტყა, - მაშ მირბის ეგ მუდრეგი!

აღელვებული შატოვი ფიქრს მიეცა. ერკელი თვალს არ აშორებდა, დუმდა და ელოდა.

- კი მაგრამ, როგორ უნდა წაიღოთ? ხომ არ გგონიათ, ასე ხელს დაავლებთ და წაიღებთ?

- მაგას არ ვაპირებთ. თქვენ მხოლოდ ადგილს გვიჩვენებთ, სადაა ჩამარხული, და ჩვენც დავრწმუნდებით, მართლა იქ არის. მიახლოებით კი ვიცით, სად უნდა იყოს, მაგრამ თვითონ ადგილი არ ვიცით. განა სხვასაც უჩვენეთ ის ადგილი?

შატოვმა ახედ-დახედა.

- ჯერ პირზე რძე არ შეგშრობიათ და უკვე ასეთ საქმეებში გაებით თავიან-ფეხიანად? თუმცა რა, ისინი სწორედ თქვენისთანა ღლაპებს დაეძებენ! აბა, გასწით! უუჰ! იმ წუპაკმა ყველა გაგაცურათ და თვითონ კი გაიქცა.

ერკელი მშვიდი, ნათელი თვალებით შეჰყურებდა, თითქოს ვერაფერს ხვდებოდა.

- მაშ გაიქცა არა ვერხოვენსკი! - გაშმაგებით დააკრაჭუნა კბილები შატოვმა.

- ჯერ ხომ არ წასულა, ხვალ მიდის მხოლოდ, - მშვიდად გაუმეორა ერკელმა, - საგანგებოდ ვთხოვე, მოწმედ დაგვესწარით-მეთქი (წამოსცდა გულუბრყვილო ბიჭივით). სამწუხაროდ, უარი მითხრა, გამგზავრება მოიმიზეზა; მართლა რაღაც ძალიან იჩქარის.

შატოვმა ერთხელ კიდევ დანანებით ახედ-დახედა ამ დოყლაპიას და მერე ისე ჩაიქნია ხელი, თითქოს გაიფიქრა: „სიბრაალულის რა ღირსი ხარ!“.

- კარგი, წამოვალ, - მოუჭრა უცებ, - ახლა კი მომწყდით აქედან!

- მაშ, ხვალ სრულ ექვსზე გეახლებით, - თავაზიანად გამოეთხოვა ერკელი და ნელა დაეშვა კიბეზე.

- ყეყეჩი! - ვეღარ მოითმინა და ზემოდან ჩასძახა შატოვმა.

- რა ბრძანეთ? - ამოსძახა ერკელმა.

- არაფერი, გასწით-მეთქი.

- მე მეგონა, რაღაცა თქვით.

II

ერკელი იმისთანა „ყეყეჩი“ იყო, თავის ჭკუით რომ ვერაფერს მოიფიქრებს, თორემ სხვისი ნაკარნახევის შესასრულებლად ჭკუაც ეყოფოდა და სიემშაკეც. იგი ყმაწვილური გატაცებით და გზნებით იყო ერთგული „საერთო საქმისა“, უფრო სწორად, ახალგაზრდა ვერხოვენსკისა, და მისი მითითებით მოქმედებდა. როცა ჩვენებმა უკანასკნელ სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღეს და ხვალინდელი დღისათვის როლები დაინაწილეს, ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ ერკელს ელჩობა დააკისრა და ათი წუთი ცალკე ელაპარაკა. ეს პატარა, მოკლე ჭკუის კაცუნა ნიადაგ სხვისი ნება-სურვილის მორჩილი იყო და აღმასრულებლის როლი მისთვის სულიერ მოთხოვნილებას შეადგენდა; ო, რა თქმა უნდა, თუკი „საერთო“ ანუ „დიადი“ საქმე მოითხოვდა. თუმცა არც ამას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა. ერკელისთანა ფანატიკოს კაცუნებს იდეის სამსახური იმ ადამიანის სამსახურად მიაჩნიათ, ვინც მის თვალში ამ იდეას ანსახიერებს. ეს გულკეთილი და მგრძობიარე გულის ბიჭი შესაძლოა ყველაზე გულქვა გამომდგარიყო შატოვის სხვა მკვლელთა შორის და თვალის არ დაეხამხამებინა, შატოვი რომ მის წინ დაეკლათ, თუმცა არც პირადი მტრობა ჰქონდა მისი და არც სიძულვილი. ერკელს ისიც დაავალეს, კარგად დაკვირვებოდა, რა მდგომარეობაში დაუხვდებოდა შატოვი. ჰოდა, შატოვი რომ კიბეზე შეხვდა და ცხელ გულზე უნებლიეთ წამოსცდა, ცოლი ჩამომივიდაო, - ერკელს იმდენი ეშმაკობა ეყო, ცნობისმოყვარეობა არ გაემყდავნებინა, მიუხედავად იმისა, რომ თავში გაუელვა, შატოვის ცოლის დაბრუნება ჩვენი საქმის დაგვირგვინებაში დიდ გავლენას იქონიებსო...

სინამდვილეში მართლაც ასე მოხდა: თუ იხსნა, მხოლოდ ამ ამბავმა იხსნა „არამზადები“ შატოვის შურისძიებისაგან და ამან შეუწყოთ ხელი შატოვი „თავიდან მოეშორებინათ“... ცოლის ჩამოსვლამ ისე ააღელვა შატოვი, ისე დაუბნია თავგზა, იმდენი სხვა საზრუნავი და საფიქრალი გაუჩინა, რომ ჩვეულებრივი წინდახედულება წაართვა და თავშიაც არ მოსვლია, რომ აქ რაიმე განსაცდელი ელოდა. პირიქით, მაშინვე დაიჯერა, ვერხოვენსკი ხვალ ქალაქიდან მირბისო. ასეც ექვობდა თავიდან! ოთახში შებრუნებული შატოვი ისევ კუთხეში მიჯდა, იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო, თავი ხელებშუა ჩარგო და მწარე ფიქრებს მიეცა...

მაგრამ შიგადაშიგ მაინც ფეხაკრეფით მიადგებოდა ხოლმე საწოლს და ცოლს დახედავდა: „ღმერთო, ხვალ დილას ალბათ ხურვება ექნება, თუმცა, მგონი, ახლაც აქვს! რასაკვირველია, გაცივდა. ამისთანა სუსხს მიჩვეული არაა. თანაც მესამე კლასის ვაგონში იჯდა ამ თხელი ბურნუსის ამარა, იქ კი როგორ უბერავს და ასხამს წვიმა... რა სინდისით მივატოვო ახლა, ჩემი მეტი ვინ ჰყავს პატრონი! ღმერთო, რა პაწაწკინტელა საკია, რა მჩატე, დაჩუტული, ათ გირვანქასაც არ იწონის! საწყალი, როგორ დაღლილა, რამდენი გაჭირვება უნახავს! ამაყია და არ ჩივის. მაგრამ რარიგ აშლია ძარღვები! ავადმყოფობის ბრალია, ანგელოზსაც კი გააანჩხლებს სენი. ალბათ როგორ უხურს შუბლი, რარიგ ჩაშავებია თვალები... და მაინც რა ლამაზი სახე აქვს, რა გრუზა თმა, რა...“

შატოვი საჩქაროდ მოსწყვეტდა მზერას, საჩქაროდ გაეცლებოდა საწოლს, თითქოს ეშინოდა, ამ უბედურ და გატანჯულ არსებისათვის, მისი შველა და დახმარება რომ

სჭირდებოდა, სხვა თვალთ არ შეეხედა, „რა დროს იმედებია! ო, რა საზიზღარი, რა სულმდაბალი პირუტყვია ადამიანი!“ მიჯდებოდა ისევ კუთხეში, აიფარებდა სახეზე ხელებს, გაიტაცებდა ისევ ოცნებები, ისევ იგონებდა ყველაფერს და ისევ უღვივდებოდა იმედები.

„ოჰ, დავიღალე, ოჰ, როგორ დავიღალე!“ - უწიოდა ყურებში მისი მისუსტებული, ჩახლეჩილი ხმა: „ღმერთო! რა სინდისით უნდა მივატოვო, როცა თექვსმეტი შაურის მეტი არაფერი გააჩნია: როგორ გამომიწოდა თავისი პაწაწა, გაცვეთილი საფულე! ჩამოვედი, სამსახური მინდა ვიშოვო - ნეტა რა იცის სამსახურის, ან რა იციან რუსეთისა ამ თავისნება, ჟინიანმა ბავშვებმა, საკუთარი, თავისივე შექმნილი ფანტაზიებით რომ ცხოვრობენ? ბრაზობს კი საწყალი, რატომ არ ჰგავს რუსეთი მათ საზღვარგარეთულ ნაოცნებარს. ჰოი, უბედურნო, ჰოი, გულუბრყვილონო! მართლა რა ცივა აქა...“

შატოვს გაახსენდა, Marie-მ რომ უთხრა, ცივაო, და ღუმელის ანთებას შეჰპირდა. „შემას კი შემოვიტან, მაგრამ ვაითუ გავაღვიძო. თუმცა მაინც შემოვიტან. ხბოს ხორცს რა ვუყო? რომ ადგეს, იქნებ ჭამა მოუნდეს... თუმცა მერე ვნახოთ. კირილოვს მთელი ღამე არ სძინავს. რა დავახურო? რა მაგრად სძინავს. მაგრამ სცივა ალბათ, ოჰ, როგორ სცივა ალბათ!“

შატოვი ისევ საწოლს მიადგა. ქალს კაბა აწეოდა და მარჯვენა ფეხი მუხლამდე გამოსჩენოდა. შატოვს შერცხვა და პირი იბრუნა. მერე თბილი პალტო გაიხადა და დაახურა. შიშველი ფეხისთვის ცდილობდა არ დაეხედა. თვითონ ძველი სერთუკის ამარა დარჩა.

ცეცხლის დანთებამ, ფეხაკრეფით სიარულმა, მძინარის ცქერამ, კუთხეში სკამზე ოცნებამ და ისევ მძინარის ჭვრეტამ ბევრი დრო წაიღო. გავიდა ორი-სამი საათი. ამასობაში კირილოვი ვერხოვენსკიმ და ლიპუტინმა მოინახულეს. შატოვს კუთხეში ჩათვლიმა. ქალმა დაიკვნესა. Marie-ს გაღვიძებოდა, მას უხმობდა და ისიც დამნაშავესავით წამოხტა.

--Marie! როგორ ჩამძინებია... ო, რა საზიზღარი ვარ!

ქალი წამოიწია, განცვიფრებით მიიხედ-მოიხედა, ეს სად ვარო, და უცბად აღშფოთებისაგან აცახცახდა.

- დალილს თქვენს საწოლზე ჩამძინებია. როგორ გაბედეთ და არ გამაღვიძეთ? როგორ იფიქრეთ, ზედმეტ ტვირთად ვაპირებ დაგაწვეთ?

- აბა როგორ გაგაღვიძებდი, Marie?

- როგორ და ჩვეულებრივად. თქვენ ერთი საწოლი გაქვთ და ისიც მე დავიკავე. სულელურ მდგომარეობაში კი არ უნდა ჩამაყენოთ. ხომ არ გგონიათ, თქვენი წყალობის იმედით ჩამოვედი? ახლავე დაწეკით თქვენს ლოგინში, მე კი კუთხეში, სკამებზე გამიშალეთ...

- ამდენი სკამი სადა მაქვს, Marie, ან რა დავაგო?

- მაშინ იატაკზე დავწვები. თქვენ ხომ იატაკზე უნდა დაწვეთ. მე მინდა ახლავე იატაკზე დავწვე, ამ წუთას!

ქალი წამოდგა, მაგრამ ფეხის გადადგმა რომ დააპირა, უეცრივ საშინელმა ტკივილმა მოუარა, მუხლთ მოეკვეთა, ერთი საშინლად დაიკვნესა და ლოგინზე დაეცა. შატოვი თვალის დახამხამებაში მასთან გაჩნდა.

Marie-მ თავი ბალიშში ჩარგო, მისი ხელი ჩაბლუჯა და სიმწრისაგან ლამის დაუმტვრია თითები თითქმის მთელი ერთი წუთი.

- Marie, გენაცვალე, აქ მე ნაცნობი ექიმი მყავს, ფრენცელი... თუ გინდა, გავიქცევი და მოგიყვან.

- ნუ სულელობთ!

- რატომ ვსულელობ? მითხარი, Marie, რა გტკივა? თბილს დაგადებ... მაგალითად, თუ მუცელი... ეს მე უეჭიმოდაც შემიძლია... მდოგვის ცომსაც...

- ეს რა უნდა იყოს? - ასწია ქალმა თავი და რაღაც უცნაური შიშით მიაჩერდა. - რაზე ამბობ, Marie, - ვერ მიუხვდა შატოვი, - რაზე მეკითხები? ო, ღმერთო, არაფერი მესმის, Marie, მაპატიე, რომ ვერ გავიგე.

- ეეჰ, მომეშვით ერთი, რა თქვენი საქმეა, სასაცილოც კი იქნებოდა, - მწარედ ჩაეცინა ქალს, - მელაპარაკეთ რამე. იარეთ ოთახში და მელაპარაკეთ. ნუ დამდგომიხართ თავზე და ნუ მიყურებთ, მეხუთასჯერ გეხვეწებით!

შატოვი ისევ ბოლთის ცემას მოჰყვა. თავს ებრძოდა, ქალისკენ არ მიეხედა.

- Marie, გემუდარები, არ გამიჯავრდე, აგერ ხბოს ხორცი დევს, ჩაიც... წედან ისე ცოტა შეჭამე...

Marie-მ ზიზღით და ბრაზით აუქნია ხელი. სასოწარკვეთილმა შატოვმა ენაზე იკბინა.

- გამიგონეთ, მე აქ მინდა სამკინძაო გავხსნა ამხანაგურ საწყისებზე[298]. თქვენ აქაური მცხოვრები ხართ. როგორ გგონიათ, გამოვა რამე?

- ეეჰ, Marie, ჩვენთან აქ წიგნს არავინ კითხულობს, სადაა წიგნები. ან ვინ აკინძავს წიგნს?

- ვისზე ამბობთ?

- აქაურ მკითხველზე და აქაურ მცხოვრებზე საერთოდ.

- ჰოდა, ეგრე თქვით, თორემ ვერ გავიგე, ვისზე ამბობთ. გრამატიკა არ გცოდნიათ.

- ასე ითქმის, Marie, - წაილულლულა შატოვმა.

- ეჰ, თავი დამანებეთ ერთი მაგ თქვენი თქმით, გული ნუ გამიწყალეთ. რატომ არ აკინძავს აქაური მცხოვრები წიგნს?

- იმიტომ რომ წიგნის კითხვა და მისი აკინძვა განვითარების ორი სხვადასხვა საფეხურია, ორი დიდი ერა. ადამიანი ჯერ ნელ-ნელა ეჩვევა წიგნს, მიჩვევას კი საუკუნეები უნდა. წიგნსაც არ უფროთხილებდა, არაფრად აგდებს. აკინძვა კი წიგნის პატივისცემას ნიშნავს, იმის მაჩვენებელია, რომ არათუ შეუყვარდა წიგნი, ჭკვიანურ

საქმედაც მიიჩნია. ამ დონემდე რუსეთს ჯერ არ მიუღწევია. ევროპა დიდი ხანია შეუდგა წიგნების კინძვას.

- პედანტური აზრი კია... მაგრამ ჭკვიანურად ნათქვამი, ძველი დრო მომაგონდა. ამ სამი წლის წინათ ზოგჯერ საკმაოდ მოსწრებული აზრები მოგდიოდათ თავში. - ქალმა ესეც ზიზღით და ჟინიანად წაილაპარაკა.

შატოვს გული აუჩუყდა.

- Marie, oh, Marie! რომ იცოდე, რამდენმა რამემ ჩაიარა ამ სამ წელიწადში! გაიგე, თითქოს მრწამსის შეცვლისთვის ზიზღით გიხსენებოვარ. მაგრამ არ იკითხავ, ვის ვულალატე? ჭეშმარიტი ცხოვრების მტრებს, დრომოჭმულ ლიბერალებს, პიროვნებისა და თავისუფლების მტრებს, მკვდარი, უსიცოცხლო იდეების გახრწნილ მოძღვართ! ნეტა რა ჰყრია მათში, რა გააჩნიათ: დახავსებული ჭკუა, ყველაზე საზიზღარი, ყველაზე მდაბიური უნიჭობა, შურისგან წარმომდგარი თანასწორობა, თანასწორობა საკუთარი ღირსების გარეშე, როგორც ლაქიებს სწამთ და როგორც ოთხმოცდაცამეტში სწამდათ ფრანგებს... რაც მთავარია, ყველგან არამზადები, არამზადები და არამზადები არიან!

- ჰო, არამზადები მართლაც ბევრია. - მწარედ აღმოხდა ქალს, რომელსაც თავი ბალიშზე გადაეგდო, უმოძრაოდ იწვა, თითქოს განძრევისა ემინაო, ჭერს დაღლილი, მაგრამ აპრიალეული თვალებით მიჩერებოდა. გაცრეცილ სახეზე დახეთქილი ტუჩები მოუჩანდა. - მაშ შენც გესმის, Marie, შენც! - შესძახა შატოვმა. Marie-ს უარის ნიშნად თავის გაქნევა უნდოდა, მაგრამ უცებ ისევ მოუარა კრუნჩხვებმა, ისევ ჩამალა სახე ბალიშში და მასთან მივარდნილ, შიშისაგან გონგადასულ შატოვს ლამის ისევ გადაუმტვრია თითები.

- Marie, Marie! ეს შეიძლება სახუმარო აღარ იყოს.

- გაჩუმიდით... არა, არა! - იძახდა გაცოფებული ქალი, რომელიც ისევ პირაღმა დაწოლილიყო. - სიბრალოდით ნუ მიყურებთ, არ გაბედოთ ჩემი შებრალება! იარეთ, იარეთ-მეთქი და ილაპარაკეთ რამე...

გონდაკარგული შატოვი ისევ ალულლულდა.

- აქ რას აკეთებთ? - ზიზღით გააწყვეტინა ქალმა.

- ერთი ვაჭრის კანტორაში დავდივარ. თუმცა რომ მომენდომებინა, Marie, აქაც ბლომად ფულს ვიმოვიდი.

- მით უკეთესი თქვენთვის...

- ოჰ, ცუდად არ გამიგო, Marie, ეს სიტყვამ მოიტანა.

- კიდევ რას აკეთებთ? რას ქადაგებთ ახლა? თქვენ ხომ უამისოდ ვერ გაძლებთ, ბუნება გაქვთ ისეთი!

- ღმერთს ვქადაგებ, Marie.

- რომელიც თქვენვე არ გწამთ. ეგ ჩემთვის მუდამ გაუგებარი იყო.

- მოვეშვათ ამას, Marie, სხვა დროს ვილაპარაკოთ.

- ის მარია ტიმოფეევნა ვინ იყო აქ?

- ამაზეც მერე ვილაპარაკოთ, Marie.

- როგორ მიბედავთ ასეთ შენიშვნებს! მართაღს ამბობენ, მისი სიკვდილიც იმ... იმ ადამიანების ავკაცობას მიეწერებაო?

- დიახაც რომ მიეწერება, - კბილები გააკრაჭუნა შატოვმა.

Marie-მ უცებ თავი ასწია და გულისტკივილით წამოიძახა: - არასოდეს არ გამიბედოთ ამაზე ლაპარაკი, გესმით, არასოდეს!

ქალს ისევ მოუარა კრუნჩხვებმა და ისევ ლოგინზე დაეცა. ეს უკვე მესამეჯერ იყო. მაგრამ ახლა კი არ კვნესოდა, სიმწრისაგან გმინავდა და კიოდა.

- ოი, რა აუტანელი კაცი ხართ, რა აუტანელი! - ბორგავდა იგი და ლოგინთან მდგარ შატოვს ხელის კვრით იშორებდა.

- Marie, შენ ოღონდ მითხარი და მე ყველაფერს გავაკეთებ... გინდა ვივლი, ვილაპარაკებ...

- ნუთუ ვერა ხედავთ, რომ უკვე დამეწყო?

- რა დაგეწყოთ, Marie?

- მე რა ვიცი? მე განა ვიცი ამისი რამე?... ო, წყეულო! აქედანვე დამიწყევლია ყველაფერი!

- Marie, მითხარი, რა გჭირს... თორემ... ისე რა გავიგო?

- თქვენ ერთი უმაქნისი, უსარგებლო ყბედი ხართ! ოო, წყეულიმც ყოფილა ამქვეყნად ყველაფერი!

- Marie, Marie!

შატოვს მართლა ეგონა, ჭკუაზე შეიშალაო.

- ნუთუ ვერ ხედავთ, მშობიარობა დამეწყო? - თავი წამოსწია Marie-მ და სახეზე საშინელი მძულვარება გამოეხატა, - წყეულიმც იყოს ეს ბავშვიც!

შატოვმა ბოლოსდა მოისაზრა ყველაფერი.

- რატომ თავიდანვე არ მითხარი, Marie? - შესძახა მან და ქუდს ხელი სტაცა.

- აბა რა ვიცოდი, თორემ თქვენთან რა მომიყვანდა? მითხრეს, ათი დღის შემდეგ ელოდეთ! სად მიდიხართ, სად, არ გაბედოთ!

- ბებია ქალს მოგიყვან! რევოლვერს გავყიდი, ახლა ფული გვინდა!

- არ გაბედოთ და ბებია ქალი არ მომიყვანოთ, ვინმე დედაბერი მომინახეთ, უბრალო დედაკაცი, საფულეში თექვსმეტი შაური მაქვს... სოფლის დედაკაცები ხომ უბებიოდაც მშობიარობენ... თუ ჩავძაღვლები, ახია ჩემზე...

- დედაკაცსაც მოგიყვან და ბებია ქალსაც. ოღონდაც მარტო როგორ დაგტოვო, Marie?

მაგრამ რომ განსაჯა, ქალის დატოვება ისევ ახლა სჯობდა, შემდეგ დახმარების გარეშე დარჩენას, შატოვმა ყური აღარ ათხოვა Marie-ს კვნესასა და გააფთრებულ კივილს და თავისი ფეხების იმედით კისრისტეხით დაეშვა კიბეზე.

III

პირველად კირილოვს მიადგა. შუალამის პირველი საათი იქნებოდა. კირილოვი შუა ოთახში იდგა.

- კირილოვ, ჩემი ცოლი მშობიარობს!

- რა თქვით?

- მშობიარობს, უნდა მორჩეს-მეთქი.

- არ... სცდებით?

- ოო, არა, არა, კრუნჩხვები დაეწყო!.. ვინმე დედაბერი უნდა ვნახოთ, ახლავე ამ წუთს... აქ მუდამ ბლომად გყავდათ დედაბრები...

- სამწუხაროა, რომ მშობიარობა არ შემიძლია, - ჩაფიქრებით ჩაილაპარაკა კირილოვმა, - არა, ის კი არა, მშობიარობა არ შემიძლია, არამედ არ შემიძლია ვამშობიარო. ანუ... ვერა, ვერ გამომიტყვამს.

- ესე იგი ვერ დაეხმარებით მშობიარობის დროს. მე ამას არც გთხოვთ. დედაბერი მინდა, ვინმე დედაკაცი, მომვლელი.

- დედაბერს გიშოვით, ოღონდ ამ წუთას იქნებ ვერა. თუ გნებავთ, მე მის მაგიერ...

- არა, ეგ არ შეიძლება. მე ახლა ვირგინსკაიასთან უნდა გავიქცე, ბებიაქალთან.

- ო, ეგ წუპაკი დედაკაცი!

- მართალია, კირილოვ, მაგრამ ეგ ყველას სჯობია აქ! ოო, ყველაფერი ეს უსიხარულოდ მოხდება, ზიზღით, წყევლა-კრულვით, ღვთის გმობით - ეს დიდზე დიდი საიდუმლო - ქვეყნად ახალი არსების მოვლინებისა. ის უკვე ახლავე წყევლის ბავშვს!..

- თუ გნებავთ, მე...

- არა, არა-მეთქი, ოღონდ სანამ მე მივირბენდე (ვირგინსკაიას ძალით მოვათრევე), ხანდახან მიდით და ჩემს კიბეს მიაყურეთ, არ შეხვიდეთ კი, შეეშინდება, არამც და არამც არ შეხვიდეთ, მხოლოდ მიაყურეთ... უბედურება არაფერი მოხდეს. თუ სხვა საშველი არ იქნება, მაშინლა შედით.

- მესმის. აგერ ეს მანეთიანიც წაიღეთ. ხვალ მინდოდა ქათამი მეყიდა, ახლა აღარ მინდა. ჩქარა გაიქეცით, სულ ირბინეთ, სამოვარი მთელი ღამე იდუღებს.

თუ რას უპირებდნენ ჩვენები შატოვს ან საერთოდაც თუ რამე საფრთხე ელოდა, კირილოვმა არაფერი იცოდა. იცოდა მხოლოდ, რომ შატოვს რაღაც ძველი ანგარიშები ჰქონდა „იმ ხალხთან“. მართალია, ნაწილობრივ თვითონაც იყო გარეული ამ საქმეში საზღვარგარეთიდან შემოთვლილი მითითებების გამო (თუმცა ეს მითითებები ფრიად ზერელე იყო, ვინაიდან უშუალო მონაწილეობას არაფერში იღებდა), მაგრამ ამ ბოლო ხანს ყველაფერს თავი ანება, ყოველგვარ საქმეებს განზე გაუდგა, მეტადრე „საერთო საქმეს“ და შინ ჩაიკეტა, თავის ფიქრებს მიეცა. არც კირილოვთან მისულ ახალგაზრდა ვერხოვენსკის დაუძრავს პირდაპირ თუ მოიარებით შატოვზე კრინტი, თუმცა კი სხდომაზე განაცხადა, ლიპუტინი წამომყვეს და თავის ყურით მოისმინოს, კირილოვი რომ „შატოვის საქმეს“ თავის თავზე დაიბრალებსო. ალბათ ნაადრევად მიიჩნია და კირილოვსაც არ ენდო. არჩია ისევ სახვალიოდ გადაედო, როცა ყველაფერი მოთავდებოდა და კირილოვისთვისაც „სულ ერთი“ იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა კირილოვზე ვერხოვენსკი. ლიპუტინს არ გამოჰპარვია, რომ დაპირების მიუხედავად შატოვზე სიტყვა არ იყო თქმული. მაგრამ იმდენად იყო აღელვებული, ამაზე სადავოდ აღარ ეცალა.

ქარივით მიქროდა შატოვი მურავინაიას ქუჩაზე და ამ გაუთავებელ გზას წყევლიდა.

ვირგინსკის სახლში ყველას დიდი ხანია ეძინა და კარზე დიდხანს მოუხდებოდა კაკუნნი, ამიტომაც უბოდიშოდ მიადგა დარაბას და მთელი ძალით დაურთო მუშტები. ჯაჭვზე დაბმული ძალლი იქაჩებოდა და გაავებული ჰყეფდა ეზოში. მალე სხვა ძაღლები აჰყვნენ და ერთი გნისი შეიქნა.

- ვინ აბრაახუნებს და რა გნებავთ? - გაისმა ბოლოს თვითონ ვირგინსკის თავაზიანი ხმა, რისი ღირსიც ასეთი „თავხედობა“ სულაც არ იყო. გაიღო დარაბა და მერე სარკმელი.

- მანდ ვინ ოხერი გდია? - დასჭყვივლა ამისთანა „თავხედობის“ საკადრისად ვირგინსკის ნათესავმა შინაბერამ.

- ეს მე ვარ, შატოვი, ცოლი ჩამომივიდა, საცაა უნდა იმშობიაროს.

- ჰოდა, იმშობიაროს, მოწყდით აქედან!

- არინა პროხოროვნას წაყვანა მინდა, უიმისოდ ფეხს არ გავადგამ!

- მეტი საქმე არა აქვს, ვიღაც ვიგინდარებთან იაროს. ღამლამობით ყველასთან როდი მიდის... გასწით მაკშეევასთან და აქ ნუ გვიბრაახუნებთ! - კაპასობდა ქალი. ვირგინსკი, ეტყობა, აწყნარებდა, შინაბერა კი არ ეპუებოდა და ხელის კვრით იმორებდა.

- აქედან ფეხსაც არ მოვიცვლი! - დაიყვირა ისევ შატოვმა.

- მოითმინეთ, მოითმინეთ! - გამოსძახა ბოლოს ვირგინსკიმ, შინაბერა რომ დააშოშმინა, - ხუთი წუთი მოითმინეთ, შატოვ, არინა პროხოროვნას გავადვიძებ. თუ შეიძლება, ნუ ყვირით და ნუ აბრაახუნებთ. ღმერთო, რა საშინელებაა! ხუთი წუთის შემდეგ ფანჯარას არინა პროხოროვნა მოადგა: - ცოლი ჩამოგივიდათ? - გადმოსძახა ქალმა სარკმლიდან. შატოვს გაუკვირდა, რომ გაბრაახება არ ემჩნეოდა და, როგორც

ყოველთვის მბრძანებლურად ლაპარაკობდა. თუმცა არინა პროხოროვნას სხვანაირი ლაპარაკი არც სჩვეოდა.

- დიახ, ცოლი, და საცაა უნდა იმშობიაროს.

- მარია იგნატიევნა?

- დიახ, მარინა იგნატიევნა, რა თქმა უნდა, მარია იგნატიევნა!

დუმილი ჩამოვარდა. შატოვი იცდიდა. სახლში ჩურჩული გაისმა.

- დიდი ხანია ჩამოვიდა? - იკითხა ისევ m-me ვირგინსკაიამ.

- დღეს საღამოს, რვა საათზე. თუ შეიძლება დააჩქარეთ.

სახლიდან ისევ ჩურჩული გაისმოდა, თითქოს რაღაცაზე ბჭობდნენ.

- გამიგონეთ, ხომ არ სცდებით? თვითონ გამოგზავნათ ჩემთან?

- არა, თვითონ არა. მითხრა, ვინმე უბრალო დედაკაცი მომიყვანეო, ხარჯში არ უნდა ჩამაგდოს. მაგრამ ნუ გეშინიათ, მე გადაგიხდით.

- კარგით, წამოვალ, თუნდაც არაფერი მომცეთ. მარია იგნატიევნას დამოუკიდებელ შეხედულებებს მუდამ პატივს ვცემდი, თუმცა იქნებ არ ვახსოვარ. გაქვთ, რაც საჭიროა?

- არაფერიც არა მაქვს, მაგრამ ყველაფერს გავაჩენ...

„ამ ადამიანებშიც ყოფილა დისულოგნება!“ - ფიქრობდა ლიამშინისაკენ მიმავალი შატოვი. „ადამიანი და მისი შეხედულება - ეს ორი სხვადასხვა რამეა, ერთმანეთისაგან განსხვავებული. მეც იქნებ ბევრი დავაშავე მათთან!.. ყველამ, ყველამ დავაშავეთ... რა კარგი იქნება, ყველა შეიგნებდეს ამას...“

ლიამშინთან ბევრი ბრახუნი არ დასჭირვებია, გაუკვირდა კიდეც, ლიამშინმა რომ იმწუთსვე გამოაღო სარკმელი. ლოგინიდან ფეხშიშველა და საცვლების ამარა წამომხტარიყო. არც სურდოს შეყრისა შეეშინდა. მერედა როგორ უფროთხილდებოდა თავის ჯანს. მაგრამ ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. მთელი საღამო შიშით ცახცახებდა და ჩვენების სხდომიდან წამოსვლის შემდეგ ვერა და ვერ დაიძინა. სულ დაუპატიჟებელი, არასასურველი სტუმრები ელანდებოდა. ყველაზე მეტად ის აწამებდა, შატოვი დაბეზლებას აპირებსო. და აგერ უცებ ფანჯარაზე არ აუტეხეს ბრახუნი!..

შატოვის დანახვამ ისე დააფრთხო, თვალის დახამხამებაში მიაჯახუნა სარკმელი და ისევ ლოგინში შეძვრა. შატოვმა გაშმაგებული ყვირილი და ბრახუნი მორთო. რომ დარწმუნდა, შატოვი მარტო არისო, ორიოდ წუთის შემდეგ ისევ გაბედა სარკმლის გაღება.

- ამ შუალამისას რა უფლების ძალით მიმტვრევთ ფანჯარას? - რისხვით შეუტია ლიამშინმა, თუმცა კი შიშით სული ეპარებოდა. - აი, დაიბრუნეთ თქვენი რევოლვერი და თხუთმეტი მანეთი მომეცით.

- მთვრალი ხომ არა ხართ? ამისთანა ყაჩაღობა გაგიგონია, რომ გავცივდე, რას ფიქრობთ? დაიცათ, პლედს მაინც მოვიხურავ.

- ახლავე მომეცით თხუთმეტი მანეთი. თუ არ მოგიციათ, გათენებამდე ასე ვიდრიალებ და ასე გიბრახუნებთ. ჩარჩოს ჩაგიმტვრევთ.

- მე კი ყარაულს დავუმახებ და ვირის აბანოში ჩავასმევინებ თქვენს თავს.

- მერე, მე მუნჯი ვარ თუ? მე ვეღარ დავუმახებ ყარაულს? ყარაულისა ვის უფრო უნდა ეშინოდეს, მე თუ თქვენ?

- აი, რა უსინდისო აზრები გქონიათ... ვიცი, ვიცი, რაზედ გადმომკარით... დაიცათ, დაიცათ, ღვთის გულისათვის, ნულარ აბრახუნებთ, ამ შუადამისას ფულის თხოვა სად გაგონილა? თუ მთვრალი არ ხართ, რა ჯანდაბად გინდათ ფული?

- ცოლი ჩამომივიდა. ათ მანეთს გიკლებთ, მეტი რა გინდათ. ერთხელაც არ მისვრია. აჰა, წაიღეთ-მეთქი რევოლვერი.

ლიამშინმა მექანიკურად გადაჰყო ხელი სარკმელში, რევოლვერი გამოართვა, მერე ცოტა ხანს შეიცადა და უცებ ისევ გამოჰყო თავი.

- ტყუით, ცოლი ჩამომივიდაო, არავინაც არ ჩამოგსვლიათ. უბრალოდ, აქედან გინდათ გაიქცეთ და მეტი არაფერი... - წაილულლულა თითქოს უგონოდ. ზურგში ჟრუანტელივით უვლიდა.

- აბა სად უნდა გავიქცე, რეგვენო? გაქცევის ამბავი მაგ თქვენს ვერხოვენსკის მოჰკითხეთ, მე კი არა. ეს წუთია ბებიქალთან ვიყავი, ვირგინსკაიასთან და მაშინვე დამთანხმდა, წამოგყვებო. ცოლს მუცელი ასტკივდა. ფული მჭირდება, მოიტათ-მეთქი!

უამრავმა ახალმა მოსაზრებამ გაუელვა გამოქექილ ლიამშინს თავში. ყველაფერი სულ სხვანაირად შეტრიალდა, მაგრამ შიშმა მაინც სძლია გონებას.

- კი მაგრამ... ცოლთან რომ არ ცხოვრობთ?

- მაგ სიტყვებისთვის თავს გაგიხეთქავთ.

- ოჰ, ღმერთო ჩემო, მაპატიეთ, მესმის, მესმის. ამ ამბავმა სულ რეტი დამასხა... ვიცი... ვიცი... არა, მართლა მოვა არინა პროხოროვნა? ახლა არა თქვით, მოვაო? მაგას ვერ დაგიჯერებთ. ხომ ხედავთ, როგორ ტყუით ყოველ ნაბიჯზე.

- ის ალბათ ჩემთან ზის უკვე. ნუ მაყოვნებთ; თქვენ რეგვენი იყოთ, რა ჩემი ბრალია?

- მე რეგვენი არ გახლავართ. უკაცრავად და არაფრით არ შემიძლია...

თავგზააბნეულმა ლიამშინმა მესამედ დააპირა სარკმლის მიკეტვა, მაგრამ შატოვმა ისე იბღავლა, იმწამსვე გამოაღო.

- ეს ხომ ძალმომრეობაა პიროვნებაზე? რა გინდათ ჩემგან, ჰო, რა გინდათ, ვერ იტყვით ადამიანურად! ისიც არ ღამეში!

- თხუთმეტი მანეთი-მეთქი, შე უტვინოვ!

- ვა, იქნებ აღარ მინდა ეს რევოლუციური დავიბრუნო. ძალა ხომ არაა. თქვენ იყიდეთ და მორჩა, გაგიგონია, ძალით მომაჩეჩოთ. ამ შუალამისას სად გაგიჩინოთ ამდენი ფული?
- ფული შენ ყოველთვის გაქვს. თანაც ათი მანეთი დაგიკელი. მაგრამ შენი ურია თავის ამბავი ვინ არ იცის.

- ზეგ მოდით, გესმით, ზეგ დილას-მეთქი, სრულ თორმეტ საათზე და ერთად მოგცემთ, გესმით თუ არა?

შატოვმა მესამეჯერ დაუშინა მუშტები ჩარჩოს: - ახლავე მომეცით ათი მანეთი, ხვალ დილაადრიან კი ხუთი.

- არა, ზეგ დილას მოგცემთ ხუთ მანეთს, ხვალ, ღმერთმანი, არ მექნება. ტყუილად გაირჯებით, სუ ტყუილად.

- კარგი, ათი იყოს. რა არამზადა ხართ!

- რას იგინებთ ნეტავი? მოიცათ, სანთელი ავანთო; აგერ შუშაც ჩამიმტვრიეთ... შუალამისას გაგონილა კაცის ასე გინება? ჰა, წაიღეთ! - ლიამშინმა სარკმლიდან ფული გადააწოდა. შატოვმა ხელიდან გამოგლიჯა. ეს ხუთმანეთიანი იყო.

- ღმერთმანი, მეტი არ შემიძლია; რომ მომკლათ, არ შემიძლია, ზეგისთვის მთლიანად მოგიხერხებთ, ახლა არამც და არამც არ შემიძლია.

- ფეხს არ მოვიცვლი-მეთქი! - იბლავლა შატოვმა.

- აი, ამასაც დაგიმატებთ, კიდევ ამას, მეტს კი ვერა. რამდენიც არ უნდა იღრილოთ და რაც არ უნდა ქნათ, არ მოგცემთ, არა და არა! - ლიამშინი სიმწრისაგან მთლად ოფლში გაიღვარა. ის ორი ქალაღდის ფული, რომელიც დაუმატა, თითო მანეთიანები იყო. შატოვს სულ შვიდი მანეთი დაუგროვდა.

- ჯანდაბას შენი თავი, ხვალ მოგადგები, არ დაგიხვედრებია რვა მანეთი, იცოდე, ცემით გაგხეთქავ.

„კი, შინ თუ დაგხვდი, ბრიყვო!“ - გაუელვა თავში ლიამშინს. დაიცათ, სად მირბიხართ? - მიაყვირა გაქცეულ შატოვს. დაიცათ-მეთქი, დაბრუნდით არა, მართლა ჩამოგივიდათ ცოლი?

- ჩერჩეტო! - გადააფურთხა შატოვმა და შინისაკენ გაქანდა.

IV

უნდა მოგახსენოთ, რომ არია პროხოროვნამ არაფერი იცოდა გუშინდელი სხდომის გადაწყვეტილებაზე. თავზარდაცემული და დაოსებული დაბრუნდა შინ ვირგინსკი. გამბედაობა არ ეყო ცოლისთვის გაემხილა სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება. მაგრამ გულმა მაინც ვერ მოუთმინა და ის კი გაანდო, ვერხოვენსკიმ გამოაცხადა, შატოვი დაბეზლებას გვიპირებს, თუმცა მე მაინცდამაინც არ მჯერაო. არინა პროხოროვნას შიშით გული გაუსკდა. ამიტომაც მაშინვე დასთანხმდა შატოვს წყალობაზე, მიუხედავად იმისა, მთელი წუხანდელი ღამე ერთმა მშობიარემ თეთრად გაათენებინა. ვირგინსკის ცოლი მუდამ დარწმუნებული იყო, შატოვისთანა ნამპირალა ყოველგვარ მოქალაქეობრივ უსინდისობას იკადრებსო. მაგრამ მარია იგნატიევნას

ჩამოსვლამ სულ შეუცვალა გუნება. შატოვის შემფოთებული სახე, მისი განწირული მუდარა, დაგვეხმარეთ და გვიშველეთო, გამცემის სულში მომხდარ ცვლილებაზე მოწმობდა: კაცი, რომელიც სხვების დასაღუპად საკუთარ თავსაც გაიმეტებდა, ამ დროს სულ სხვანაირად მოიქცეოდა და ილაპარაკებდა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, არინა პროხოროვნამ გადაწყვიტა ყველაფერი თავისი თვალთ შეემოწმებინა. მისი გადაწყვეტილებით ვირგინსკიც კმაყოფილი დარჩა - თითქოს რვა ფუთი სიმძიმე მოეხსნა ზურგიდან! ეს კი არადა, იმედიც მოეცა, შატოვის მოქმედება იმდენად არ ეთანხმებოდა ვერხოვენსკის ვარაუდს... შატოვი არ შემცდარა; არინა პროხოროვნა მას უკვე Marie-სთან დაუხვდა, მოსვლისთანავე გაუგდია კიბესთან ატუზული კირილოვი, საჩქაროდ გასცნობია Marie-საც, რომელსაც ვერას გზით ვერ მოაგონა მათი ძველი ნაცნობობა. ქალი მას „უსაძაგლეს მდგომარეობაში“ ანუ გაბოროტებული, მარღვებაშლილი და „სასოწარკვეთილი“ დახვედრია. მაგრამ არინა პროხოროვნას ხუთი წუთი არ დასჭირვებია მისი შიშისა და ეჭვების გასაქარწყლებლად.

- ნეტა რას აგიჩემებიათ, ძვირიანი ბებია ქალი არ მინდაო? - ეუბნებოდა იგი იმ წუთს, როცა შატოვი შევიდა, - წმინდაწყლის სისულელეა და შემცდარი წარმოდგენა, თქვენი არანორმალური მდგომარეობით გამოწვეული. რომელიმე ყრუ დედაკაცისა თუ დედაბრის ხელში შესაძლოა ცუდად წასულიყო თქვენი საქმე. ხარჯი და დავიდარაბა კი იმაზე მეტი შეგხვდებოდათ, ვინემ ძვირიანი ბებია ქალი მოგთხოვდათ. ან საიდან იცით, მე რომ ძვირს ვიღებ? შემდეგ გადამიხადეთ, ნუ გეშინიათ, ბევრს არ გამოგართმევთ. საქმის კეთილად დასასრულს კი გპირდებით. ჩემს ხელში სიკვდილისა ნუ გეშინიათ, თქვენისთანები მინახავს. ბავშვსაც, თუ გინდათ, ხვალვე თავშესაფარში მოგიტავსებთ, იქიდან კი სადმე სოფელში მივაცემინებ აღსაზრდელად და საქმეც მორჩება, ხოლო როცა ფეხზე წამოდგებით და რაიმე ჭკვიანურ საქმეს მოჰკიდებთ ხელს, ბინისა და მოვლის საფასურსაც მალე გადაუხდით შატოვს. არა მგონია, მაინცდამაინც ბევრი დაეხარჯოს...

- მაგაზე არ ვამბობ... რა უფლება მაქვს კისერზე დავაწვე...

- მესმის, მესმის, რაციონალური და მოქალაქეობრივი გრძნობებია. ოღონდ მერწმუნეთ, შატოვს თითქმის არაფერი დაეხარჯება, ფანტაზიებს რომ მოეშვას და ცოტა ჭკუას დაატანოს ძალა. ნუ ჩაიდენს, ბატონო, სისულელეებს, ნუ შეყრის ქვეყანას და ენაგადმოგდებული ნუ ირბენს ქალაქში. ეგ რომ თავის ნებაზე მიუშვა, რაც ექიმებია, ყველას აქ მოყრის. აკი ჩემს ქუჩაზე მთელი ძაღლები წამოჰყარა. ექიმები თქვენ არ გჭირდებათ, ხომ გითხარით, მე ყველაფერს ვკისრულობ-მეთქი, თუ მაინცდამაინც, დედაბერი მოიყვანოს მოსავლელად, ეგ არაფერი დაუჯდება. თუმცა თვითონ რას მიკეთებს, სისულელეების ჩადენას ისევ აქ დაგვეხმაროს. ხელიც აქვს და ფეხიც, აფთიაქში გაგვეგზავნება. ეს, მე მგონი, დიდი წყალობა არ იქნება და თქვენს გრძნობებს არ შეურაცხყოფს, ან რა წყალობაზე მეუბნებით! განა მაგან არ მოგიყვანათ ამ მდგომარეობამდე? განა მაგან არ წაგაჩხუბათ იმ ოჯახს, სადაც გუვერნანტად იდექით, რომ ეგოისტური მიზნით თქვენზე ჯვარი დაეწერა? ჩვენც ვიცით, ბატონო, ეგ ამბები... ესეც კია, თავისი ფეხით მოგვივარდა გიჟივით და მთელი ქუჩა აიკლო ღრიალით. მე, ბატონო, ძალით არავის ვეკვებები, თუ მოვედი, ისევ თქვენი ხათრით მოვედი. ჩემი პრინციპია, ყველა ჩვენგანმა მხარი დაუჭიროთ ერთმანეთს. მე ეს იქვე განვუცხადე; ხოლო თუ ზედმეტად მიგაჩნევართ, დაგემშვიდობებით და წავალ. ოღონდაც მერე სანანებელი არ გაგიხდეთ, შველა ადრევე შეიძლებოდაო.

არინა პროხოროვნა სკამიდანაც კი წამოდგა.

Marie ისე იყო ტკივილებისაგან გაწამებული, ისე უმწეოდ გრძნობდა თავს და, სიმართლე თუ გნებავთ, ისე ეშინოდა იმისა, რაც ელოდა, ვეღარ გაბედა ამ ქალის გაშვება. მაგრამ ჭირის დღესავით კი შეიძულა უცებ. ის სულ სხვას ლაპარაკობდა, არა იმას, რასაც Marie გრძნობდა და განიცდიდა გულში! მაგრამ იმ წინასწარმეტყველებამ, გამოუცდელი ბებია ქალის ხელში შეიძლება ვერ გადარჩეო, ზიზღს სძლია. სამაგიეროდ, შატოვს დაადგა იმ წუთიდან შავი დღე. ბოლოს იქამდე მივიდა, არათუ აუკრძალა, ნუ მიყურებო, საწოლთან ზურგშექცევით დააყენა. ქალს თანდათან უმატა ტკივილებმა. უფრო გააფთრებული იწყებდებოდა და ილანძლებოდა.

- ეჰეი! ისა სჯობს ოთახიდან გავაგდოთ, - გადაწყვიტა არინა პროხოროვნამ. - ადამიანის სახე აღარა აქვს, გაშინებთ და მეტი არაფერი; მკვდრისფერი დაედო პირდაპირ! თქვენ რა გაწუხებთ ნეტავი, რა სასაცილო ადამიანი ხართ! აი სეირი!

შატოვი დუმდა. გადაწყვეტილი ჰქონდა ხმა არ ამოელო.

- სულელი მამებიც მინახავს ამისთანა დროს, ლამის ჭკუიდან გადადიან. მაგრამ ისინი ხომ მაინც...

- ან გაჩუმდით და ან დამტოვეთ, რომ სული ამომძვრეს! მეტი სიტყვა არ გამაგონოთ! არ მინდა, არა! - აკივლდა Marie.

- სულ გაჩუმება როგორ იქნება, თუკი მართლა ჭკუიდან არ გადასულხართ. თუმცა ეგრეც გთვლით ახლა. სხვა რომ არა, საქმეზე უნდა ვილაპარაკოთ: გაქვთ თუ არა მომზადებული რამე? თქვენ მიპასუხეთ, შატოვ, ამას ახლა არაფერი მოეკითხება.

- მაინც რა არის საჭირო?

- მაშასადამე, არაფერი გქონიათ. არინა პროხოროვნამ ჩამოთვალა, რაც იყო საჭირო, მართალი რომ ითქვას, ბევრი არ მოუთხოვია და ძალიან ცოტათი დაკმაყოფილდა. ზოგი რამ შატოვსაც აღმოაჩნდა. Marie-მ გასაღები გაუწოდა, ჩემს საკშიაც მოძებნეო. შატოვს ხელები უკანკალებდა და უცხო საკეტს კარგა ხას ვერ მოარგო გასაღები. Marie-ს მოთინება დაეკარგა. როცა კი არინა პროხოროვნა მიახტა შატოვს გასაღების გამოსაგლეჯად, თავი მოიკლა და არამც და არამც არ დაანება მის საკში ჩაეხედა. კვილით დააქცია იქაურობა, მხოლოდ და მხოლოდ შატოვმა გახსნასო.

ზოგი რამ კირილოვისაგანაც უნდა წამოელოთ. რა წამს შატოვი გავიდა, Marie-მ გააფთრებული ყვირილი მორთო. მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა შატოვმა გულამოგლეჯით ამოირბინა კიბე და დაარწმუნა, ერთი წუთით წავალ, რაც აუცილებელია გამოვართმევ და მყისვე უკან დავბრუნდებიო.

- თქვენ გულს ვინ მოიგებს, ქალბატონო, - გაეცინა არინა პროხოროვნას, - ხან კედლისკენ შებრუნდით, არ გაბედოთ ჩემი შეხედვაო; ხან კი ტირილით აქცევთ აქაურობას, წუთითაც რომ გაგშორდეთ. კაცს მართლა რაღაცას აფიქრებინებთ. კარგი, კარგი, ნუ იღუშებით, ვიხუმრე მხოლოდ.

- ის ვერ გაბედავს რამე იფიქროს.

- კი, კი, ასე რომ არ ჰყვარებოდეთ, ქუჩაში ენაგადმოგდებული რაღად ირბენდა და მთელი ქალაქის ძაღლებს რატომღა შეჰყვრიდა! მეც ჩარჩო ჩამიმტვრია.

V

კირილოვი კვლავ ბოლთასა სცემდა კუთხიდან კუთხეში. ისე წაელო თავის ფიქრებს, სულ გადავიწყნოდა შატოვის ცოლის ჩამოსვლის ამბავი. ვერაფრით ვერ მიხვდა, რას ეუბნებოდა შატოვი.

- ჰო, მართლა, - გაახსენდა ბოლოს და თითქოს წუთით ძლივს მოწყდა ერთ აკვიატებულ ფიქრს, - ჰოო... დედაბერიო... ცოლი თუ დედაბერი? მოიცათ: ცოლიც და დედაბერიც, ხომ? მახსოვს. ვიყავი: დედაბერი მოვა, ოღონდ მოგვიანებით. წაიღეთ ბალიში. კიდევ რა გინდათ? ჰო, მართლა... შატოვ, თუ გქონიათ მარადიული ჰარმონიის წუთები?

- იცით რა, კირილოვ, თქვენთვის მართლა აღარ შეიძლება ამდენი უძილობა.

კირილოვი გონს მოეგო. საოცარია და, ასე დალაგებით არასოდეს ულაპარაკნია. ეტყობოდა, ეს ყველაფერი უკვე დიდი ხანია მომწიფებოდა გონებაში, იქნებ ჩაწერილიც ჰქონდა.

- არის ზოგჯერ ისეთი წამები, ეს ხუთი-ექვსი წამია მხოლოდ, როცა შენს სულში მარადიული ჰარმონია ისადგურებს. ამას მიწიერი არაფერი აქვს. მე არც ზეციურს დავარქმევდი, უბრალოდ მიწიერი ადამიანი ამას ვერ გაუძლებს, ან ფიზიკურად უნდა შეიცვალოს ან მოკვდეს. ეს არის ნათელი, უდავო შეგრძნება. თითქოს უცბად შეიგრძნობ მთელ ბუნებას და უცებ ამბობ: კი, ეს მართალიაო. როცა ღმერთმა ეს ქვეყანა გააჩინა, გაჩენის ყოველი დღის ბოლოს ასე ამბობდა: „ეს მართალია, კარგია“. ეს... გულაჩუყება არაა, ეს უბრალოდ სიხარულია. თქვენ აღარც პატიება გჭირდებათ ვისიმე, ვინაიდან საპატიებელი აღარაფერია. თქვენ არამცთუ გიყვართ, ეს სიყვარულზე მეტიცაა! საშინელი ის არის, რომ ყველაფერი ისე საზარლად ცხადია და ასე დიდად სასიხარულო. ეს კიდევ ხუთი წამი რომ გაგრძელდეს, შენი სული ვერ გაუძლებს და გაქრება. ამ ხუთ წამში მე მთელ სიცოცხლეს განვიცდი და მთელ სიცოცხლეს არ დავიშურებ ამ წამებისათვის. ათი ასეთი წამის გასაძლებლად ფიზიკური გარდაქმნაა საჭირო. მე მგონია, ადამიანმა ადამიანი აღარ უნდა შობოს. რა საჭიროა ბავშვები, რა საჭიროა განვითარება, უკეთუ მიზანი მიღწეულია? სახარება ამბობს, მკვდრეთით აღდგომის შემდეგ აღარავინ შობს, ყველანი ღვთის ანგელოზები გახდებიანო. ეს ქარაგმაა. თქვენი ცოლი შობს?

- კირილოვ, ეს ხშირად მოგდით?

- სამ დღეში, ხან კვირაში ერთხელ.

- ზნე გივლით?

- არა.

- მაშ, მოგივლით. ფრთხილად, კირილოვ, გაგონილი მაქვს, ზნე სწორედ ასე იწყებაო. ერთმა ავზნიანმა დაწვრილებით ამიწერა, რასა გრძნობს ავი ზნის მოვლის წინ, ზუსტად ასე. იმანაც ეს ხუთი წამი აღნიშნა და ასე თქვა, ხუთ წამზე მეტს ადამიანი

ვერ გაუძლებსო. გაიხსენეთ მაჰმადის დოქი, საიდანაც წვეთი წყალი არ გადმოღვრილა, ვიდრე იგი თავისი ცხენით სამოთხეს შემოუქროლებდა[299]. დოქი იგივე ხუთი წამია. მეტისმეტად ჰგავს მაგ თქვენს ჰარმონიას, მაჰმადს კი ავი ზნე სჭირდა. უფრთხილდით, კირილოვ, არ მოგიაროთ!

- ვერ მოასწრებს, - ჩაეცინა კირილოვს.

VI

ღამე ნელა იწურებოდა. შატოვს ლანძღავდნენ, გარეთ აგდებდნენ, ისევ უხმობდნენ. სიკვდილის შიშს Marie უკვე უკანასკნელ საზღვრამდე მიეყვანა. კიოდა, სიცოცხლე მინდა, უთუოდ, უთუოდ! სიკვდილისა მეშინიაო. არინა პროხოროვნა რომ არა, საქმე ცუდად იქნებოდა. მან ნელ-ნელა დაიმორჩილა თავისი პაციენტი. Marie ახლა ბავშვივით უგონებდა ყოველ სიტყვას. არინა პროხოროვნას მართლა დიდებულად სცოდნია თავისი საქმე, მაგრამ უფრო სიმკაცრით გადიოდა ფონს, ვინემ დაყვავებით. რიჟრაჟმა მოატანა. არინა პროხოროვნამ მოიგონა, შატოვი ეს წუთია კიბეზე გავიდა სალოცავადო, და სიცილი წასკდა. Marie-ს ღვარძლიანად ჩაეცინა, ამ სიცილმა თითქოს შვება მოჰგვარა. მალე შატოვი საბოლოოდ გააძევეს ოთახიდან. წვიმიანი და ცივი დილა იდგა. როგორც წელან, ერკელის მოსვლამდე, ახლაც კუთხეში, კედლისკენ დადგა პირით. ფოთოლივით ცახცახებდა, არაფერზე ფიქრი არ უნდოდა, მაგრამ ფიქრი მაინც, როგორც სიზმარში, ყველაფერს ებლაუჭებოდა. წარამარა იტაცებდა ოცნება და მყისვე დამპალი ძაფივით უწყდებოდა. ოთახიდან კვნესის ნაცვლად უკვე აუტანელი ცხოველური ღმუილი ისმოდა. უნდოდა ყურები დაეცო და აღარ მოესმინა, მაგრამ ძალა არ ეყო, მერე მუხლებზე დაეცა და ანგარიშმიუცემლად „Marie, Marie“-ო იმეორებდა. და როცა ოთახიდან ახალშობილის სუსტი, უღონო ღნავილი მოესმა, შატოვი შეკრთა, ზეზე წამოხტა, პირჯვარი გადაიწერა და ოთახში შევარდა. არინა პროხოროვნას ხელებში პატარა, წითელი, ტყვავებდაკიდული არსება ფართხალებდა, ისეთი უსუსური, თითქოს სულის ერთი შებერვა კმაროდა მის გასაქრობად, მაგრამ ისე კი ჰყაოდა, თითქოს მასაც სრული უფლება ჰქონდა ამქვეყნად ცხოვრებისა... Marie გონმიხდილი იწვა. შემდეგ ერთი წუთით გაახილა თვალი და უცნაურად, ძალიან უცნაურად შეხედა შატოვს: მისი მზერა ახლა სულ სხვას გამოხატავდა. რას - დანამდვილებით ვერ იტყოდა შატოვი, მაგრამ არ ახსოვდა, ქალს ოდესმე ასე შეეხედოს მისთვის.

- ბიჭია? ბიჭი? - მისუსტებული ხმით ჰკითხა არინა პროხოროვნას.

- ბიჭი გახლავთ! - დაუძახა მან და ბავშვის გახვევას შეუდგა.

ვინემ გახვეულ ბავშვს ლოგინის გარდიგარდმო ორ ბალიშშუა დააწვენდა, არინა პროხოროვნამ წუთით შატოვს მისცა ხელში დასაკავებლად. Marie-მ, თითქოს არინა პროხოროვნას შიშით, შატოვს მალულად დაუქნია თავი. შატოვი მიხვდა და ბაღლი საჩვენებლად მიუყვანა.

- რა... რა ლამაზია... - უძლურად გაეღიმა ქალს.

არინა პროხოროვნამ შატოვს შეხედა და გადაიკისკისა: - ფუი, როგორ უყურებს! რა სახე აქვს!

- გაიხარეთ, არინა პროხოროვნა... ეს დიდი სიხარულია... - შატოვს სულელურად გაბადროდა სახე. Marie-ს ამ ორ სიტყვას უზომოდ გაუხარებია.

- რა დიდი სიხარული გაქვთ მაინც ამისთანა? - იცინოდა არინა პროხოროვნა და თან ჯარასავით ტრიალებდა, იქაურობა წესრიგში მოჰყავდა.

- ახალი სიცოცხლის მოვლენა ამქვეყნად, არინა პროხოროვნა, ეს დიადი, ამოუხსნელი საიდუმლოა ბუნებისა. აფსუს, რომ არ გესმით! - ლულულულებდა აღტაცებისაგან გაბრუებული შატოვი, რომელსაც თითქოს ტვინი ერეოდა და რაღაც ძალა მისდა უნებლიეთ ალაპარაკებდა.

- იყო ორი და გაჩნდა უცებ მესამე, გაჩნდა ახალი სიცოცხლე, მთლიანი, დასრულებული, როგორსაც ადამიანის ხელი ვერასოდეს შექმნის; ახალი აზრი და ახალი სიყვარული, ამის წარმოდგენაც კი შეგაშინებს კაცს... ამაზე დიადი რა შეიძლება იყოს ამქვეყნად!?

- ამას უყურე, სად გაუტია! უბრალოდ, ორგანიზმის შემდგომი განვითარებაა და მეტი არაფერი, რის საიდუმლო, რა საიდუმლო, - გულწრფელად იცინოდა არინა პროხოროვნა. - ასე ყოველი ბუზი სასწაულად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ იცით, რას გეტყვით: ზედმეტი ადამიანი ამქვეყნად არ უნდა გაჩნდეს: ჯერ ისე მოაწყვეთ ქვეყანა, ზედმეტი არავინ იყოს და მერე გააჩინეთ. თორემ ზეგ ბავშვთა თავშესაფარში გაგიხდებთ წასაჩიქიქებელი... თუმცა ასეც უნდა მოხდეს.

შატოვმა თავი ძირს დახარა და მტკიცედ წარმოთქვა: - ეგ თავის დღეში ჩემგან თავშესაფარში არ წავა!

- იშვილებთ?

- განა ჩემი შვილი არ არის?

- რა თქმა უნდა, კანონითაც შატოვია. მაინცდამაინც დიდ ქველმოქმედად ნუ მოგაქვთ თავი. ბრტყელ-ბრტყელი სიტყვების გარეშე არ შეგიძლიათ. კარგი, კარგი ოღონდ აი რას გეტყვით, ბატონებო, - არინა პროხოროვნა, როგორც იქნა, მილაგებას მორჩა, - უკვე ჩემი წასვლის დროა. დილას ისევ შემოგივლით და საღამოსაც დაგხედავთ, თუ საჭირო იქნა. ახლა კი, როცა ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა, სხვებსაც უნდა მივაკითხო, რა ხანია მელოდებიან. თქვენ, მგონი, შატოვ, იქ დედაბერი გიცდით. დედაბერიც იყოს, მაგრამ არც თქვენ მიატოვოთ, ქმარიკო, გვერდით მიუჯექით, იქნებ რამე დასჭირდეს. მარია იგნატიევნა, ვატყობ, უკვე აღარ გაგაგდებთ... არა, არა, ვხუმრობ...

შატოვმა ჭიშკრამდე მიაცილა.

- ძალიან კი გამაცინეთ, შატოვ, მთელი სიცოცხლე არ დამავიწყდება, - უთხრა იქ არინა პროხოროვნამ, - ფულს მე თქვენგან არ ავიღებ. ძილშიაც გამეცინება ალბათ. თქვენ რომ ამ საღამოს გიყურეთ, ამაზე სასაცილო არაფერი მინახავს.

არინა პროხოროვნა ფრიად კმაყოფილი გაუდგა გზას. შატოვის მოქმედებიდან დღესავით ნათელი იყო, რომ ის „მამობას აპირებს და იმაზე ბოთე კაცის წარმოდგენა არ შეიძლება“. ამის სათქმელად სხვა ავადმყოფთან მიმავალმა გზის გაგრძელება არ დაიზარა და ვირგინსკის შეურბინა.

- Marie, არინა პროხოროვნამ დამიბარა, ცოტა ხანს არ დაიძინოსო, თუმცა ვიცი, გაგიჭირდება... - გაუბედავად უთხრა შატოვმა. - მე აგერ ფანჯარასთან დავჯდები და გიყარაულე, ხომ?

შატოვი დივნის უკან, ფანჯარასთან ჩამოჯდა. მარია იგნატიევნა მას ვერ ხედავდა. არ გაუვლია ერთ წუთს, რომ ქალმა დაუძახა და ზიზღით სთხოვა, ბალიში გამისწორეო. შატოვმა გაუსწორა. Marie გულმოსული მისჩერებოდა კედელს.

- ოჰ, ეგრე არა... არა... რა ტლანქი ხართ!

შატოვმა ხელმეორედ გაუსწორა.

- ჩემკენ დაიხარეთ, - გიჟივით წამოსცდა უცებ ქალს. არც ახლა შეუხედავს მისთვის.

შატოვი შეკრთა, მაგრამ დაიხარა.

- უფრო დაბლა... ახლოს, - ანაზღად ქალის მარცხენა მკლავი ყელზე შემოეჭდო შატოვს და შუბლზე მისი სველი ტუჩების შეხება იგრძნო.

- Marie!

ქალს ტუჩები უცახცახებდა, თავს ებრძოდა. უცებ თვალანთებულმა წამოიწია, შესძახა: - ნიკოლაი სტავროგინი დიდი არამზადაა! - და მოსხეპილივით ჩაემხო ბალიშში, შატოვის ხელი ჩაბლუჯა და ისტერიკული ქვითინი წასკდა.

ამ წუთიდან Marie-ს აღარ მოუშორებია შატოვი, სასთუმალთან ძალით დაისვა, ლაპარაკის თავი არ ჰქონდა, მაგრამ თვალს კი არ აცილებდა და ნეტარებით შეჰღიმიდა. თითქოს ყველაფერი გარდაიქმნა. შატოვი ხან პატარა ბიჭივით ტიროდა, ხან გაბრუებული და აღტაცებული, თვითონაც არ იცოდა, რაეზ ამბობდა, Marie-ს ხელებს უკოცნიდა. ისიც ნეტარებით უსმენდა, თუმცა იქნებ ერთი სიტყვაც არ ესმოდა. უღონო ხელს თმაზე უსვამდა, თითებით უვარცხნიდა და მისი ცქერით ტკებოდა. შატოვმა უამბო კირილოვის ამბავი, არწმუნებდა, „ცხოვრებას ახლებურად“ დავიწყებითო, „მარად“ ერთად ვიქნებითო, ესაუბრებოდა ღმერთზე ეუბნებოდა, ყველანი კარგები არიანო... აღტაცებულებმა შემდეგ ისევ ამოიყვანეს ჩვილი და დახედეს.

- Marie, - შესძახა შატოვმა, ბავშვი ხელში ეჭირა, - მორჩა ძველი ბოდვები, თავის შერცხვენა და სრული უსიცოცხლობა! მოდი, ვიშრომით და სამივენი ახალ გზას დავადგეთ; კი, კი, სამივენი! ჰო, მართლა, რა დავარქვათ, Marie?

- რა დავარქვათ, ამას რა დავარქვათ? - ჰკითხა ქალმა განცვიფრებით და ერთბაშად სახეზე საშინელი მწუხარება აღებეჭდა, ხელები გაასავსავა, საყვედურით შეხედა და ისევ ბალიშში ჩაემხო.

- რა იყო, Marie? - შესძახა შემინებულმა შატოვმა.

- როგორ იფიქრეთ, რომ... ო, რა უმადური ხართ!

- Marie, მაპატიე, Marie... მე მხოლოდ ვიკითხე, რა დავარქვათ-მეთქი. მე რა ვიცოდი....

- რა და ივანი, ივანი, - ასწია Marie-მ ცრემლით მორწყული აწითლებული სახე, - როგორ იფიქრეთ, მე სხვა სახელს, სხვა უმსგავსო სახელს დავარქმევდი.

- დამშვიდდი, Marie, ვაი, როგორ გაქვს ძარღვები აშლილი!

- ეს კიდეც ახალი უხეშობაა; ძარღვების აშლას აწერთ ყველაფერს? თავს დავდებ, ის... უმსგავსო სახელიც რომ დამერქმია, მაშინვე კვერს დამიკრავდით, ვერც შეამჩნევდით! თქვე უმადურებო, სულმდაბლებო!

რა ლაპარაკი უნდა, რომ ერთი წუთის შემდეგ ისევ შერიგდნენ. შატოვმა ძლივს დაიყოლია Marie დაეძინა. Marie-მ დაიძინა, მაგრამ მისი ხელი მაინც არ გაუშვია, წარამარა იღვიძებდა, შეხედავდა, ხომ აქ არისო, და ისევ ხუჭავდა თვალებს.

კირილოვმა „მოსალოცად“ დედაბერი გამოგზავნა. ჩაი, ცხელ-ცხელი კატლეტები, ბულიონი და თეთრი პურ გამოატანა „მარია იგნატიევნასთვის“. მელოგინემ ხარბად დალია ბულიონი, დედაბერმა ბავშვს მჩვრები გამოუცვალა. Marie-მ შატოვსაც შეაჭამა ძალით კატლეთი.

დრო გადიოდა. ქანცმილეულ შატოვს სკამზე მიეძინა. თავი Marie-ს ბალიშზე ედო.

არინა პროხოროვნამ დაპირებისამებრ შემოიარა. ასეთ სურათს რომ წაესწრო, სიცილით გააღვიძა ისინი, Marie-ს რაც საჭირო იყო, უთხრა, ბავშვს დახედა და შატოვს ხელმეორედ გაუმეორა, არ დატოვოთ! შემდეგ ისევ გაემასხრა „ცოლ-ქმარს“, ცოტა არ იყოს, ქედმაღლურად და ზიზღით და წელანდელივით კმაყოფილი წავიდა.

კარგა შებინდებული იყო, როცა შატოვს გამოეღვიძა. საჩქაროდ აანთო სანთელი და დედაბრის მოსაყვანად გაიქცა. კიბეზე რომ ჩადგა ფეხი, ვიღაცის ქურდული, ნელი ნაბიჯები გაიგონა და გაოცებული შედგა. ეს ერკელი იყო.

- არ შემოხვიდეთ! - წასჩურჩულა შატოვმა, ხელი სტაცა და ისევ ჭიშკრისაკენ გაათრია. - აქ დამიცადეთ, ახლავე გამოვალ, თქვენი ამბავი სულ არ გამხსენებია! ეს რა მომაგონეთ!

შატოვს ისე ეჩქარებოდა, კირილოვთანაც აღარ შეუვლია. დედაბერი გამოიხმო მხოლოდ. Marie-ს სასო წარეკვეთა და აღშფოთდა კიდეც, როგორ იფიქრე ჩემი მარტო დატოვებაო.

- ეს უკანასკნელი ნაბიჯია, Marie! - აღტაცებით შესძახა შატოვმა. - ხვალიდან კი ახალ გზას დავადგებით და იმ საშინელებას აღარასოდეს გავიხსენებთ!

შატოვმა ძლივს დააშოშმინა ქალი. შეფიცა, სრულ ცხრა საათზე აქ ვიქნებო, შემდეგ გადაკოცნა Marie და ბავშვი და ერკელისკენ გამოიქცა.

ისინი სკვორეშნიკში უნდა წასულიყვნენ. იქ, სტავროგინების ბაღის ბოლოში, ერთ მივარდნილ ადგილას, ფიჭვნარის პირას ჩაემარხა შატოვს მისთვის მინდობილი სტამბა ამ წლინახვერის უკან. ეს იყო უკაცრიელი და უდაბური ადგილი, საბატონო სახლთან კარგა მანძილით მოშორებული, ფილიპოვის სახლიდან სამი-ოთხი ვერსის სავალზე.

- ფეხით რა წაგვიყვანს? ეტლს დავიჭირავებ.

- ძალიან გთხოვთ, არ დაიქირაოთ, - შეესიტყვა ერკელი. - ასე დამაბარეს საგანგებოდ, არამც და არამც ეტლით არაო. მეეტლევ ხომ მოწმე გახლავთ. - ფუი, დალახვროს ეშმაკმა! თუმცა სულ ერთია, ოღონდ კი მოვრჩე ყველაფერს!

მათ ფეხს აუჩქარეს.

- ერკელ, ჩემო ბიჭო! - შესძახა შატოვმა. - როდესმე თუ ყოფილხართ ბედნიერი?

- თქვენ, მგონი, ძალიან ბედნიერი ხართ ახლა, - უთხრა ერკელმა და დაკვირვებით შეავლო თვალი.

თავი მეექვსე. მძიმე ღამე

I

ვირგინსკის იმ დღეს მთელი ორი საათი დასჭირდა, რომ ყველა ჩვენთან ჩამოევიდა და ეუწყებინა, შატოვი არ დაგვაბეზღებს, ცოლი ჩამოუვიდა, ბავშვი შეეძინა და რამდენადაც ადამიანის გული ვიცი, წარმოუდგენელია ამისთანა დროს ავი რამ განიზრახოსო. მაგრამ ერკელისა და ლიამშინის გარდა შინ ვერავინ შეისწრო. ერკელმა უხმოდ, თვალდაუხამხამებლად მოუსმინა ეს ყველაფერი. ვირგინსკის კითხვაზე კი: ექვს საათზე გაუვლით თუ არაო? ასევე თვალდაუხამხამებლად, ღიმილით მიუგო: რა თქმა უნდა, გავუვლიო.

ლიამშინი ლოგინში დაუხვდა, თავი საბანში ჩაერგო. მგონი, მართლაც ავად იყო. ვირგინსკის დანახვაზე გული გადაუქანდა. ლაპარაკი არ აცალა, მყისვე ხელები აუქნია, თავი გამანებეთო. თუმცა შატოვის ამბები გულდასმით მოისმინა. იმ ცნობამ, შინ არავინ დამხვდაო, რატომღაც დიდად შეაცბუნა. ფედკას სიკვდილის ამბავი უკვე სცოდნოდა (ლიპუტინს ეამბნა) და მისდათავად საჩქაროდ და არეულად უამბო ვირგინსკის. ვირგინსკიც შეზარა ამ ამბავმა, მაგრამ როცა პირდაპირ ჰკითხა: უნდა წავიდეთ თუ არაო? - ლიამშინმა ისევ ხელები აუქნია და შეეხვეწა, მე არაფერ შუაში ვარ, არაფერი არ ვიცი და დამეხსენითო.

დაძმარებული, აფორიაქებული დაბრუნდა შინ ვირგინსკი, მძიმე ლოდად აწვა, რომ ამ ამბავს თავისიანებს ვერ გაუმხელდა. მიჩვეული იყო, ცოლისთვის ყველაფერი ეამბნა. იქნებ ლიამშინივით მასაც მოეავადმყოფებინა თავი და ჩაწოლილიყო, რომ აღგზნებულ გონებაში ერთი ახალი მოსაზრება არ წამოჭროდა. ამ ახალმა მოსაზრებამ არათუ გული გაუმაგრა, მოუთმენლობითაც აავსო და დროზე ადრე წავიდა თავშეყრის ადგილზე.

ეს იყო უკაცრიელი, მიყრუებული კუთხე სტავროგინების უზარმაზარი ბაღის ბოლოში. მე შემდეგ საგანგებოდ წავედი მის სანახავად. წარმომიდგენია, რა შემზარავი იქნებოდა შემოდგომის იმ სუსხიან საღამოს. აქედან უკვე ბებერი აღკვეთილი ტყე იწყებოდა. სიბნელეში ძლივს გაარჩევდა თვალი უზარმაზარ, ასწლოვან ფიჭვებს. ორ ნაბიჯზე აღარაფერი ჩანდა. ახალგაზრდა ვერხოვენსკის, ლიპუტინსა და ერკელს ფარნები მოეტანათ. არავინ იცის, როდის და რატომ, რომელ უხსოვარ დროს აეგოთ აქ გაუთლელი ქვებისაგან საკმაოდ ულაზათო გამოქვაბული.

სკამები და მაგიდა რა ხანია უკვე დამპალიყო. აქედან ორასიოდე ნაბიჯზე, მარჯვნივ, სტავროგინების ბაღის მესამე გუბურა თავდებოდა. საბატონო სახლიდან დაწყებული ეს სამი გუბურა ერთმანეთის მიყოლებით ერთ ვერსზე გასდევდა ბაღს. ხმაური, ყვირილი და სროლის ხმა აქედან ძნელად მიაღწევდა სტავროგინების დაცარიელებულ სახლს. გუშინ ნიკოლაი სტავროგინის გამგზავრებისა და ალექსეი ეგოროვიჩის ქალაქში გადაბარების შემდეგ მთელ სახლში ხუთ-ექვს მსახურზე მეტი არ დარჩენილა, ისიც თითქმის ყველა საპყარი ყოველ შემთხვევაში, დანამდვილებით შემძლია ვთქვა, ამ მსახურებიდან კიდევ რომ ვისმე გაეგონა განწირული ყვირილი, მხოლოდ დაფრთხებოდა და ფეხს მაინც არ მოიცვლიდა თბილი ღუმლიდან თუ ჩათბუნებული საწოლიდან.

შვიდის ოც წუთზე შატოვის მოსაყვანად გაგზავნილი ერკელის გარდა თითქმის ყველა ადგილზე იყო. ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ ამჯერად აღარ დააგვიანა. ის და ტოლკაჩენკო ერთად მოვიდნენ. ტოლკაჩენკო შეფიქრიანებული და მოღუშული იყურებოდა. მისი მოჩვენებითი თავხედობა და ფახიფუხოზა უკვალოდ გაქრა. ახალგაზრდა ვერხოვენსკის ერთ ნაბიჯზე არ სცილდებოდა, გეგონებოდა, მისი უსაზღვრო ერთგულებით განიმსჭვალაო. წარამარა ყურში ეპუტუნებოდა. ვერხოვენსკი ან წაუყრუებდა ანდა თავიდან მოსაშორებლად რაღაცას წაიბურტყუნებდა ხოლმე.

შიგალიოვი და ვირგინსკი ახალგაზრდა ვერხოვენსკის უკვე ადგილზე დახვდნენ. მაგრამ დაინახეს თუ არა, მაშინვე განზე გადგნენ უბრად. ეტყობოდა, განზრახ დუმდნენ. ვერხოვენსკიმ უბოდიშოდ მიანათა იმათ ფარანი და თავხედურად შეათვალიერა. სალაპარაკოდ მომზადებულანო, გაუელვა თავში.

- ლიამშინი არ მოსულა? - ჰკითხა ვირგინსკის. - ვინა თქვა, ავად არისო?

- მე აქა ვარ, - წინ წამოდგა ლიამშინი, რომელიც ხის უკან მდგარიყო. თბილი პალტო ეცვა და პლედი ისე შემოეფუთნა, ფარნის შუქზეც ძნელად იცნოდა კაცი.

- მაშასადამე, ლიპუტინილა გვაკლია? ამ სიტყვებზე გამოქვამულიდან უხმოდ გამოვიდა ლიპუტინიც. ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ ისევ ასწია ფარანი.

- იქ რატომ იმალებოდით?

- მე მგონი, მოძრაობის... თავისუფლება ჩვენთვის არავის წაურთმევია, - წაიბურტყუნა ლიპუტინმა, თუმცა ამით რისი თქმა უნდოდა, მგონი, თვითონაც არ იცოდა.

- ბატონებო, - ახლა კი აღიმაღლა ხმა ვერხოვენსკიმ, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, - ვფიქრობ, კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ მიეთმოეთობა აღარას გვარგებს. გუშინ ჩვენ ყველაფერი ვთქვით, გარკვევითა და პირდაპირ, მაგრამ სიფათებზე გატყობთ, რაღაც გაქვთ სათქმელი - თუ ასეა, დავაჩქაროთ. დალახვროს ეშმაკმა, ისედაც ცოტა დრო დაგვრჩა, ერკელმა წუთი წუთზე შეიძლება მოიყვანოს იგი...

- მოიყვანს კიდევ, - რატომღაც ჩაურთო ტოლკაჩენკომ.

- თუ არ ვცდები, ჯერ სტამბის გადაბარება უნდა მოხდეს? - ისევ იკითხა ლიპუტინმა, მაგრამ რატომ იკითხა, თითქოს არც ეს იცოდა.

- მაგას რა კითხვა უნდა, ტყუილად ხომ არ დავკარგავთ, - სახეში მინათა ფარანი ვერხოვენსკიმ. - განა გუშინ არ შევთანხმდით, ის მხოლოდ ადგილს გვიჩვენებს, სადაც ჩამარხა, მერე ჩვენ თვითონ ამოვთხრით-თქო. როგორც ვიცით, სადაც აქ უნდა იყოს, ამ გამოქვაბულის ერთ-ერთი კუთხიდან ათი ნაბიჯის დაშორებით... კი მაგრამ, პირობა როგორ დაგავიწყდათ, ლიპუტინ, ხომ დავთქვით, თქვენ მარტო შეხვდებოდით და ჩვენ შემდეგ გამოვიდოდით... მაკვირვებს პირდაპირ თქვენი შეკითხვა, ან იქნებ ისე იკითხეთ?

ლიპუტინი კუმტად დუმდა. სხვებიც ჩუმად იყვნენ. ქარი აშრიალებდა ფიჭვების კენწეროებს.

- იმედია, ბატონებო, თავის მოვალეობას ყველა შეასრულებს, - მოუთმენლად მოსხიპა ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ.

- მე ვიცი, რომ შატოვს ცოლი ჩამოუვიდა და მის ცოლს ბავშვი ეყოლა, - აღელვებით და ხელების ქნევით წამოიწყო ვირგინსკიმ, თუმცა სიტყვები ყელში ეხირებოდა. - რამდენადაც ადამიანის გულის ამბავი ვიცი... დარწმუნებული ვარ, ახლა არ გაგვცემს... ახლა ბედნიერია... წელან ყველას ჩამოვუარე და შინ ვერავინ ვნახე... იქნებ აღარც იყოს არაფერი საჭირო...

ვირგინსკის სუნთქვა შეეკრა და გაჩერდა. ვერხოვენსკიმ მისკენ გადადგა ნაბიჯი.

- რომ უცებ გაბედნიერებულიყავით, ბატონო ვირგინსკი, გადადებდით თუ არა დაბეზლებას-მეთქი, არ ვიტყვი, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, მაგრამ იმ სახიფათო სამოქალაქო საქმის შესრულებას, რაც გაბედნიერებამდე გქონდათ გადაწყვეტილი და მოვალეობად მიგაჩნდათ?

- არა, არ გადავდებდი! არამც და არამც არ გადავდებდი! - რაღაც უაზრო სიფიცხით აღმოხდა ვირგინსკის და მთელი ტანით შეტოკდა.

- არამზადობას ისევ გაუბედურებას არჩევდით, ხომ?

- დიახ, დიახ... თუმცა პირიქით... ისევ არამზადობას ვარჩევდი... ესე იგი... არამზადობას არა, პირიქით, არამზადობას ისევ გაუბედურება მერჩია...

- მაშ, იცოდეთ, შატოვს ჩვენი დაბეზლება თავის უწმინდეს, თავის მოქალაქეობრივ ვალად მიაჩნია. საბუთი ამისი ის არის, რომ საკუთარ თავსაც არ ინდობს. თუმცა მთავრობა დაბეზლებისთვის, რა თქმა უნდა, ბევრს აპატიებს. მაგისტანა კაცი არაფრის გულისათვის არ აიღებს ხელს განზრახვაზე. არავითარი ბედნიერება არ დააბრკოლებს; ერთი დღის შემდეგ თითებს დაიკვნეტს და ისევ თავისას გააკეთებს. ესეც არ იყოს, მე დიდ ბედნიერებად არ მიმაჩნია, სამი წლის შემდეგ კაცს რომ ცოლი ჩამოუვიდეს სტავროგინის ბავშვზე მოსარჩენად.

- მაგრამ არც დაბეზლების წერილი უნახავს ვისმე თავისი თვალთ, - ჩაურთო უეცრივ შიგალიოვმა.

- ეგ წერილი მე ვნახე, - შეჰყვირა ვერხოვენსკიმ, - ეგ წერილი არსებობს, ბატონებო. რას სულელობთ, მართლა და მართლა!

ვირგინსკის ბრაზი წაეკიდა.

- მე კი წინააღმდეგი ვარ... მთელი ჩემი არსებით წინააღმდეგი. მე მინდა... დიახ, მე მინდა: როცა მოვა, ყველა ერთად გამოვიდეთ და ვკითხოთ: თუ მართალია, მოინანიოს, პატიოსანი სიტყვა მოგვცეს და გავუშვათ. ასე იქნება თუ ისე - სასამართლო უნდა მოვუწყოთ. თორემ რასა ჰგავს, ყველანი დავიმალოთ და მერე თავს დავესხათ!

- პატიოსან სიტყვას დაენდო და საერთო საქმე ალაღბედზე შეაგდო, დიდი უტვინობაა, ბატონებო! რა დროს ახლა ამისთანა სისულელეებია! გესმით კი, რას სჩადით ასეთი განსაცდელის ჟამს?...

- მე უარს ვამბობ, უარს, - თავისას გაიძახოდა ვირგინსკი.

- რას ყვირით, რომ ყვირით, ნიშანს ვერ გავიგონებთ. შატოვი, ბატონებო... (ფუი ემძაკს, რა დროს ეს სისულელეებია!) მე ერთხელ უკვე მოგახსენეთ, შატოვი სლავიანოფილია-მეთქი, ანუ ყველაზე დიდი სულელი ვინმე... თუმცა ჯანდაბას ყველაფერი! თქვენ მხოლოდ მაბნევთ და მეტი არაფერი!.. შატოვი, ბატონებო, გაბოროტებული კაცი გახლავთ. უნდოდა თუ არ უნდოდა, მაინც საზოგადოებას ეკუთვნოდა, ამიტომაც უკანასკნელ წუთამდე იმედი ჰქონდა, იმ ბოღმით სავსე კაცს საერთო საქმისთვის მოვიხმარ-მეთქი. ჰოდა, მოცემული მითითებების მიუხედავად, ვინდობდი და ვუფრთხილდებოდი... დიახ, ასჯერ მეტად ვინდობდი, ვინემ ღირსი ბრძანდებოდა! ბოლოს კი მაინც დაგვაბეზლა, ემძაკსაც წაუღია მისი თავი!.. მაგრამ თქვენ კი, ბატონებო, თავს ველარ დაიძვრენთ!! ვერც ერთი ვერ დატოვებთ საერთო საქმეს, უფლებას არავინ მოგცემთ! კი, ბატონო, თუ ასე გინდათ, ჰკოცნეთ და გულში ჩაიხუტეთ ეგ თქვენი შატოვი, მაგრამ საერთო საქმე პატიოსან სიტყვაზე შეაგდოთ, ამას არავინ გაპატიებთ! ასე მხოლოდ ღორები და მთავრობისაგან მოსყიდულები იქცევიან!

- ვის ხედავთ აქ მთავრობისაგან მოსყიდულს? - გამოსცრა ისევ ლიპუტინმა.

- ვისა და იქნებ თქვენ. ახლა მაინც გაჩუმდით, ლიპუტინ, ნეტა ვიცოდეთ, რა გალაქლაქებთ ტყუილად. მოსყიდული, ბატონებო, იმას ჰქვია, ვინც განსაცდელის ჟამს ლაჩრობას გამოიჩენს. ერთი რეგენი ყოველთვის შეიძლება აღმოჩნდეს და შიშისაგან გონდაკარგული უკანასკნელ წუთს დასაბეზლებლად გაიქცეს: „ვაიმე, ოღონდ მაპატიეთ და ყველას გავთქვამ!“ მაგრამ იცოდეთ, ბატონებო, ახლა დაბეზლება ველარ გიშველით. დიდი-დიდი ორი მუხლი ჩამოგაკლონ, ციმბირს კი მაინც ვერ აიცილენთ. თუმცა ციმბირის გარდა სხვა მახვილიც მოინახება. ეს მახვილი კი მთავრობისაზე უფრო სჭრის.

სიბრაზისაგან ვერხოვენსკიმ გადაამლაშა კიდეც. შიგალიოვი სამი ნაბიჯით მიუახლოვდა.

- წუხელ ეს საქმე რომ ავწონ-დავწონე, - დაიწყო მან მისთვის ჩვეული მეთოდურობით (ვგონებ, მიწაც რომ გასკდომოდა ფეხქვეშ, იოტისოდენად არ შეიცვლიდა თავის მეთოდურ გადმოცემას), - ჰოდა, რომ განვსაჯე, გადავწყვიტე, ეს მკვლელობა არათუ ძვირფასი დროის დაკარგვა არის, რისი გამოყენებაც უფრო არსებითად შეიძლებოდა, არამედ ჩვენთვის დამლუპველი გადახვევაცაა ნორმალური გზიდან. ეს კი მუდამ ყველაზე საზიანო გახლდათ საქმისთვის და მუდამ ათეული წლოებით აბრკოლებდა მის წარმატებას. ვინაიდან ამას არავითარი საერთო არ გააჩნია წმინდა

სოციალისტებთან და მეტწილად ჭკუამჩატე და პოლიტიკური მიზნების მადევარი ხალხის გავლენით ხდება. მე აქ მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზანმა მომიყვანა, აქ მყოფთა საყურადღებოდ ჩემი პროტესტი განვაცხადო განზრახული საქმის წინააღმდეგ და მერე აქაურობა დავტოვო, მიუხედავად იმისა, რაღაც დიდზე დიდ საფრთხეს გვიქადით და გვაშინებთ. მე თუ მივდივარ, განა იმიტომ, ამ საფრთხისა მეშინია ან შატოვი მეცოდება, მე მის კოცნას სულაც არ ვაპირებ, მივდივარ იმიტომ, რომ ეს საქმე თავიდან ბოლომდე ჩემს პროგრამას ეწინააღმდეგება. რაც შეეხება მთავრობისაგან მოსყიდვას, ჩემი მხრით ნურაფრის შეგეშინდებათ: მე არავის დავასმენ.

შიგალიოვმა ზურგი იბრუნა და წავიდა.

- ეშმაკმა დალახვროს, ახლა შატოვს შეხვდება გზაზე და გააფრთხილებს! - შეჰყვირა ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ და რევოლვერი იძრო. ჩახმახმა დაიჩხაკუნა.

შიგალიოვი კვლავ მოტრიალდა.

- შატოვი რომ შემხვდეს, იქნებ მივესალმო კიდევ, თქმით კი არაფერს ვეტყვი, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ.

- იცი თუ არა, ბატონო ფურიე, ეგ საქციელი შესაძლოა ძვირად დაგიჯდეთ?

- მე ფურიე არ გახლავართ. იმ გულის ამრევ, განყენებულ დოცლასპიას რომ მადარებთ, თვითონვე ამტკიცებთ, ჩემი ხელნაწერის ერთი სტრიქონიც არა გაქვთ წაკითხული, თუმცაღა ხელთ გქონდათ. რაც შეეხება შურისძიებას, გეტყვით, რომ სულ ტყუილად შეაყენეთ ჩახმახი. ახლა ეს თქვენთვისაც იქნება საზიანო. ხოლო თუ იმას მექადნებით, ხვალ ან ზეგ იძიებთ შურს, გარწმუნებთ, ტყუილად აიტეხავთ ხათაბალას, ჩემი მოკვლით ვერაფერს მოიგებთ: მე მომკლავთ, მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც ისევ ჩემს სისტემას აღიარებთ; მშვიდობით.

იმავე წუთს, გუბურის მხრიდან, ასე ორასიოდე ნაბიჯზე, სტვენა მოისმა. ლიპუტინმა მაშინვე სტვენით უპასუხა, როგორც გუშინ იყვნენ შეთანხმებულნი (საამისოდ დილას ბაზარზე გაიარა და ერთ კაპიკად ღირებული თიხის სათამაშო სასტვენი იყიდა - უკბილო იყო და თავის იმედი არ ჰქონდა). შატოვს ეჭვი არ აღძვრია. ერკელმა გზაშივე გააფრთხილა, სტვენით უნდა შეეხებიანო.

- ნუ წუხხართ, მე სხვა გზით წავალ, ისინი ვერც შემამჩნევენ, - წაიჩურჩულა დინჯად შიგალიოვმა და აუჩქარებლად გასწია ჩაბნელებული ბალისაკენ.

ახლა დანამდვილებით არის ცნობილი ამ საზარელი ამბის ყოველი წვრილმანი. ერკელსა და შატოვს პირველი ლიპუტინი შეეგება გამოქვაბულთან. შატოვი არ მიესალმა და არც ხელი ჩამოართვა.

- აბა სად გაქვთ ბარი და მეორე ფარანი? - აჩქარებით თქვა ხმამაღლა. - რისა გეშინიათ, გინდაც ზარბაზნები ისროლოთ, სკვორემნიკში მაინც ვერავის გააგონებთ. აი, აქ, აგერ არის, ამ ადგილზე...

შატოვმა გამოქვაბულის უკანა კუთხიდან ათიოდე ნაბიჯის მოშორებით დაჰკრა ფეხი მიწას. იმას იქით უკვე ტყე იწყებოდა. იმავე წუთს ხეს ამოფარებული ტოლკაჩენკო გამოვარდა და უკნიდან ეცა. ერკელმა იდაყვები დაუკავა. ლიპუტინი წინიდან

მიეჭრა. სამივემ მიწაზე წააქცია და ზედ დააწვნენ. მაშინ ახალგაზრდა ვერხოვენსკი გამოვარდა რევოლვერით. როგორც ამბობენ, შატოვს მოუსწრია თავის მობრუნება და მისი ცნობა. ამ სურათს სამი ფარანი ანათებდა. შატოვს უცებ განწირულად დაუყვირია, მაგრამ ხმა მალე ჩააწყვეტინეს: ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ პირდაპირ შუბლში მიაბჯინა რევოლვერი და ჩახმახს გამოჰკრა. გასროლის ხმა ძლიერი არ ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, სკვორეშნიკში არაფერი გაუგიათ. შიგალიოვს სამასიოდე ნაბიჯი არ ექნებოდა გავლილი, ყვირილსა და გასროლას, რა თქმა უნდა, გაიგონებდა. მაგრამ როგორც შემდეგში დაკითხვაზე თქვა, თავი არ მოუტრიალებია და არ შეჩერებულა. შატოვმა მაშინვე დალია სული. განსჯის უნარი მხოლოდ ვერხოვენსკის შერჩა იმ წუთს - თუმცა არა მგონია, სულ მთლად მშვიდად ყოფილიყო. იგი მუხლებზე ჩაცუცქდა და საჩქაროდ მოუსინჯა ჯიბეები მოკლულს. შატოვს ფული არ აღმოაჩნდა (საფულე მარია იგნატიევნას ბალიშქვეშ დარჩა). მარტო ორი-სამი უბრალო ნაგლეჯი უნახეს: ერთი კანტორის წერილი იყო, მეორე - რომელიღაც წიგნის სათაური და მესამე - ერთი ძველი საზღვარგარეთული ღუქნის ანგარიში, რომელსაც, კაცმა არ იცის, რატომ ინახავდა ჯიბეში ეს ორი წელი. ქალაქდები ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ ჩაიდო ჯიბეში, რომ აიხედა და დაინახა, ყველა მკვდარს დაშტერებოდა და განძრევას არავინ ფიქრობდა, ბრაზი ყელში მოაწვა და უშვერი გინება დაიწყო. გონზე მოსული ტოლკაჩენკო და ერკელი გამოქვაბულისაკენ გაიქცნენ და იქიდან დილიდანვე მომზადებული ორი ოც-ოც გირვანქიანი ქვა მოათრიეს. ქვებზე უკვე თოკები დაეხვიათ, თავიდანვე იყო გადაწყვეტილი, გვამი მახლობელ (ანუ მესამე) გუბურაში ჩაეგდოთ. ამიტომ ეს ქვები ახლა ფეხებსა და ყელზე მოაბა შატოვს ვერხოვენსკიმ. ტოლკაჩენკოსა და ერკელს ქვები ეჭირათ და რიგრიგობით აწოდებდნენ. პირველად ერკელმა მისცა. სანამ ახალგაზრდა ვერხოვენსკი ბურდღუნითა და ლანძღვა-გინებით თოკს ფეხებზე მოაბამდა მკვდარს, ტოლკაჩენკოს თავისი ქვა ხელში ეკავა და მთელი ტანით მისკენ მოწიწებით გადაქანებულიყო, რა არის პირველი მოთხოვნისთანავე მიეწოდებინა. თავში არ მოსვლია, ტვირთი ჯერჯერობით მიწაზე დაედო. მაგრამ როცა ვერხოვენსკიმ ორივე ქვა მოაბა და იქ მყოფთა სიფათების დასანახად წამოდგა, ისეთი უცნაური და მოულოდნელი რამ მოხდა, თითქმის ყველა განაცვიფრა.

როგორც უკვე მოგახსენეთ, ტოლკაჩენკოსა და ერკელის გარდა ყველა გულხელდაკრეფილი იდგა ირგვლივ. მართალია, ვირგინსკიც სხვებთან ერთად მივარდა შატოვს, მაგრამ არც ხელი უხლია და არც წაქცევაში მიშველებია. ლიამშინი მხოლოდ გასროლის შემდეგ გაჩნდა მათთან. იმ ათი წუთის განმავლობაში, ვინემ გვამს თოკებს მოაბამდნენ, ყველას თითქოს წაერთვა აზრი და გონება. გვამის ირგვლივ შეჯგუფებულნი შიშსა და შემფოთებაზე მეტად გაკვირვებას მოეცვა. ლიპუტინი ყველაზე წინ იდგა, გვამის გვერდით. ვირგინსკი ზურგს უკან ამოდგომოდა და ფეხის წვერებზეც კი დგეოდა, უკეთ დავინახო. ლიამშინი ვირგინსკის ამოფარებოდა, იქიდან ხანდახან შემინებული იყურებოდა და მაშინვე იმალებოდა. როცა ვერხოვენსკი ფეხზე წამოდგა, ვირგინსკის უცებ მთელი ტანი აუცახცახდა, ხელები გაასავსავა და მწუხარედ შესძახა: - არა, არა, ეს სულ სხვაა! სულ სხვა!..

ეგებ კიდევ რაღაც დაემატებინა ამ დაგვიანებული წამოძახილისთვის, მაგრამ ლიამშინმა აღარ აცალა, უკნიდან მთელი ძალით ჩაეხვია და რაღაც არაადამიანური ხმით შეჰღრიალა. არის წუთები, როცა ადამიანი შიშისაგან ისეთი ხმით დაიყვირებს,

მისგან რომ არც მოელი და კიდევ შეგზარავს. ლიამშინმაც იმ წუთს ადამიანური ხმით კი არა, მხეცივით იღრიალა, პირდაღებული, თვალეზადმოკარკლული აბაკუნებდა ფეხებს და შეუჩერებლივ ღმუოდა. ვირგინსკის ისე შეეშინდა, თვითონაც გიჟივით შეჰყვირა და ისეთი გამძვინვარებით დაუწყო ცემა და ფხაჭნა უკნიდან, მისგან ძნელი წარმოსადგენი იყო. ბოლოს ერკელის დახმარებით ძლივს მოიშორა ლიამშინი და ათიოდე ნაბიჯით განზე გახტა. ლიამშინმა ახლა ახალგაზრდა ვერხოვენსკის მოატანა თვალი და მისკენ გაქანდა. მაგრამ გვამს ფეხი წამოდო, ვერხოვენსკის მკერდზე დაეცა და ისე მაგრად ჩაეკონა, ვერც ვერხოვენსკიმ, ვერც ტოლკაჩენკომ და ვერც ლიპუტინმა მთელი ერთი წუთი ვერაფერი გააწყვეს. ვერხოვენსკი ყვიროდა, თავში მუშტებს ურტყამდა, ბოლოს ძლივს დაუსხლტა, რევოლვერი იძრო და ხახაში დაუმიზნა აწივლებულ ლიამშინს, მაგრამ ის ვერც რევოლვერმა გააჩუმა. მაშინ ერკელმა თავისი ფულარის ცხვირსახოცი დაჭმუჭნა, პირში მარჯვედ ჩაუჭურთა და წივილიც შეწყდა. ტოლკაჩენკომ ამასობაში ხელები გაუკრა დარჩენილი თოკის ნაგლეჯით.

- რა საკვირველი ამბავია, - გოცებით წაილაპარაკა ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ და შემფოთებით მიაჩერდა გიჟს.

ეტყობოდა, შეცბუნებული იყო.

- მე მაგაზე სულ სხვა წარმოდგენა მქონდა, - დასძინა მერე ჩაფიქრებით. ლიამშინთან დროებით ერკელი დატოვებს. გვამი საჩქაროდ უნდა მოეშორებინათ იქიდან. ასეთ ღრიანცელში მართლაც შეიძლებოდა ვიღაცას რაიმე გაეგონა. ტოლკაჩენკომ და ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ ფარნები ასწიეს და გვამს მხრებში დაავლეს ხელი, ლიპუტინმა და ვირგინსკიმ კი ფეხებში. ქვები კიდევ უფრო ამძიმებდა ტვირთს. გუბურამდე ორას ნაბიჯზე მეტი იქნებოდა. ყველაზე ღონიერი ტოლკაჩენკო იყო. თქვა კიდევ, ფეხი შევუწყოთ და ისე ვიაროთო, მაგრამ ყური არავინ ათხოვა. ვერხოვენსკი მარჯვნიდან მიდიოდა, შატოვის თავი მხარზე ედო, მარცხენა ხელი კი ქვემოდან ამოედო ქვისთვის. მთელი ნახევარი გზა ტოლკაჩენკოს თავში არ მოსვლია ქვის თრევაში მიშველებოდა, ვინემ ვერხოვენსკიმ არ შეუკურთხა. მისი ღრიალი უცხოდ გაისმა ამ სიჩუმეში. ყველა უხმოდ მიაბიჯებდა. მხოლოდ გუბურასთან აღმოხდა ისევ ტირილის ხმაზე ილაჯგამოლეულ ვირგინსკის: - არა, არა, ეს სულ სხვაა! სულ სხვა!..

სკვორეშნიკის მესამე გუბურა, სადაც გვამი უნდა ჩაეგდოთ, ბალის ყველაზე უდაბურ ადგილას მდებარეობდა. აქ იშვიათად თუ გაივლიდა ვინმე, მეტადრე ამ ზამთრის პირზე. გუბურის პირას ბალახი აქოჩრილიყო. სწორედ აქ დადგეს ფარნები, ასწიეს გვამი, გააქან-გამოაქანეს და გუბურაში ისროლეს. გაისმა ყრუ დგაფუნი, რომლის ხმა დიდხანს არ შეწყვეტილა. ვერხოვენსკიმ ფარანი ასწია. სხვებიც ცნობისმოყვარეობით დააჩერდნენ წყალს. მაგრამ ველარაფერი დაინახეს: ქვებმობმული გვამი თვალის დახამხამებაში წავიდა ფსკერისკენ. წყალი აიმღვრა და ისევ მალე დატბორდა. ყველაფერი გათავებული იყო.

- ბატონებო, - მიუბრუნდა იქ მყოფთ ახალგაზრდა ვერხოვენსკი, - ახლა ჩვენ დავიშლებით. უეჭველია, ყველანი იმ სიამაყეს უნდა განიცდიდეთ, რასაც კაცს მოვალეობის ნებაყოფლობითი შესრულება მოჰგვრის ხოლმე. სამწუხაროდ, ამჟამად მეტისმეტად აღელვებული ბრძანდებით ამისთანა გრძნობებისათვის. დარწმუნებული ვარ, ხვალ იგრძნობთ ამ სიამაყეს. ლიამშინის სამარცხვინო საქციელი

მე თანახმა ვარ ბოდვად ჩავთვალო, მით უმეტეს რომ დილიდანვე, როგორც თქვეს, ავად ყოფილა. თქვენც, ვირგინსკი, როცა განსჯის უნარი დაგიბრუნდებათ, მაშინვე მოისაზრებთ, რომ საერთო საქმის ინტერესების პატიოსან სიტყვაზე შეგდება არ შეიძლებოდა და სწორედ ისე უნდა მოვქცეულიყავით, როგორც მოვიქცით. მომავალი დაგიმტკიცებთ, რომ დაბეზლების წერილი არსებობდა. მე თანახმა ვარ დავიწყებას მივცე თქვენი შემახილები. საშიშროებას რაც შეეხება, გული საგულეს გქონდეთ. თავში არავის მოუვა რომელიმე ჩვენგანზე ეჭვი აილოს, თუკი, რა თქმა უნდა, თქვენც უხმობთ ჭკუას. ამგვარად, ყველაფერი თქვენზე და თქვენს რწმენაზეა დამოკიდებული. იმედი მაქვს, ეს რწმენა ხვალ კიდევ უფრო გაგიმტკიცდებათ. სხვათა შორის, იმიტომაც შეერთდით თანამოაზრეთა თავისუფალი კავშირის ცალკეულ ორგანიზაციაში, რომ საერთო საქმის დროს ერთმანეთს გაუზიაროთ ენერგია, როგორც ახლა, და, თუ საჭირო იქნება, კიდევ უთვალთვალთ ერთიმეორეს. თქვენი მოწოდებაა გამოაცოცხლოთ დახავსებული საქმე. ეს არ უნდა დაივიწყოთ. ჯერჯერობით თქვენ მოგეთხოვებათ ყოველივე დაანგრიოთ: სახელმწიფოცა და მისი ზნეობაც. დავრჩებით მხოლოდ ჩვენ და ძალაუფლებაც ჩვენი იქნება, როგორც წინასწარ შევთანხმდით. ჭკვიანებს გავიამხანაგებთ, სულელებს კისერზე მოვაჯდებით. ამან არ უნდა შეგაცბუნოთ. თავისუფლების ღირსი რომ გახდეს, თაობა ხელახლა უნდა აღიზარდოს. კიდევ მრავალი ათასი შატოვი შეგვხვდება გზაზე. ჩვენ დავირაზმებით და ყველაფერს ხელთ ვიგდებთ. რაც უპატრონოდ გდია, სირცხვილია ხელიდან გაუშვა. ახლა მე კირილოვთან მივდივარ, ჰოდა, დილისათვის უკვე ის საბუთიც მექნება, რომელსაც იგი სიკვდილის წინ მთავრობის სახელზე დაწერს და ყველაფერს თავის თავზე დაიბრალებს. ეს ფრიად დამაჯერებელი იქნება. ჯერ ერთი შატოვთან მტრულად იყო; ისინი ერთად ცხოვრობდნენ ამერიკაში, მაშასადამე, იმ ხანში წაჩხუბებასაც მოასწრებდნენ. ცნობილია, შატოვმა შეხედულება გამოიცვალა; მაშასადამე, შეხედულების გამო მტრობდნენ ერთმანეთს, ერთმანეთის დაბეზლებისა ემინოდათ, - ეს კი ყველაზე დაუნდობელი სახეა მტრობისა. ყველაფერი ასეც იქნება დაწერილი. დაბოლოს იმასაც ახსენებს, ფედკა რომ ერთხანს მასთან, ფილიპოვის სახლში იმალებოდა. ამგვარად, ეს ამბები ყოველ ეჭვს გააქარწყლებს თქვენზე და იმ ბატისტვინებს თავგზას აუბნევს. ხვალ, ბატონებო, ჩვენ არ შევხვდებით ერთმანეთს. სულ მოკლე ხნით დაგტოვებთ, მაზრაში მაქვს საქმე. მაგრამ ზეგ ცნობებს მიიღებთ ჩემგან. გირჩევდით კი ხვალ დახლიდან ფეხი არ მოიცვალოთ. შეგიძლიათ იმოქმედოთ მასზე და, რაც მთავარია, აუხსნათ, რომ სულმოკლეობა და ლაჩრობა თვითონ მას ავნებს. რაც შეეხება თქვენს ნათესავს შიგალიოვს, ბატონო ვირგინსკი, და პირადად თქვენც, მე არ მინდა არც ერთში ეჭვი შევიტანო: ის ჩვენ არ გაგვეცმს. თუმცა მისი საქციელი ფრიად საწყენია. ესეც კია, რომ ჯერჯერობით საზოგადოების დატოვებაზე არაფერი განუცხადებია. ამიტომაც მისი გამოტირება ნაადრევია. აბა დავაჩქაროთ, ბატონებო, წასვლა. მართალია, ბატისტვინები არიან, მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არ სტკივა...

ვირგინსკი და ერკელი ერთად წავიდნენ. ვინემ ლიამშინს ტოლკაჩენკოს გადააბარებდა, ერკელმა იგი ახალგაზრდა ვერხოვენსკის მოჰგვარა. უთხრა, უკვე გონს მოეგო, ნანობს და პატიებას ითხოვს, თვითონაც არ იცის, რამ მოუარაო. ვერხოვენსკი მართლ გაუდგა გზას. გალმიდან აპირებდა ბალის შემოვლას. ეს ყველაზე გრძელი გზა იყო. გაუკვირდა კიდევ, როცა შუაგზაზე ლიპუტინი წამოეწია.

- ლიამშინი გაგვეცმს, პიოტრ სტეპანოვიჩ!

- არა, გონს მოეგება და მიხვდება, რომ ჩვენი გაცემით პირველი თვითონ ამოჰყოფს თავს ციმბირში. ახლა ვერავინ გაგვცემს! ვერც თქვენ.

- თქვენ კი?

- ლალატი რომ დააპიროთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყველას ციხეში ამოგალპობთ, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ თქვენ არ გვიღალატებთ. ამის გასაგებად მომდევდით მთელი ორი ვერსი?

- პიოტრ სტეპანოვიჩ, ჰა, პიოტრ სტეპანოვიჩ, ჩვენ ხომ აღარასოდეს შევხვდებით ერთმანეთს?

- ეს საიდან მოიტანეთ?

- ერთ რამეს გკითხავთ და მიპასუხეთ.

- აბა რას მკითხავთ? ისე კი კარგს იზამთ, თუ თავიდან მომწყდებით.

- ერთი კითხვა მაქვს, ერთი, ოღონდ არ მომატყუოთ: მარტო ჩვენი ხუთეულია ამქვეყნად თუ კიდევ ბევრია? მე ზენა გაგებით გეკითხებით, პიოტრ სტეპანოვიჩ, ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს.

- გატყობთ გააფთრებაზე. იცით თუ არა, ლიპუტინ, რომ ლიამშინზე საშიში თქვენა ხართ?

- ვიცი, ვიცი, მაგრამ პასუხი, თქვენი პასუხი!

- რა სულელი ყოფილხართ! განა სულ ერთი არ არის ახლა, ერთი ხუთეული ხართ თუ ათასობით.

- მაშასადამე, ერთი ყოფილა, ასეც მიგრძნობდა გული! - შესძახა ლიპუტინმა. - კი, კი, მიგრძნობდა, რომ ერთი იყო...

სხვა პასუხს ლიპუტინი არ დალოდებია, გატრიალდა და სიბნელეში გაუჩინარდა.

ახალგაზრდა ვერხოვენსკი წამით ჩაფიქრებული იდგა. მერე მტკიცედ თქვა: - ვერა, ვერავინაც ვერ გაგვთქვამს. მაგრამ ხუთეული ხუთეულად უნდა დარჩეს და მორჩილებაც გამოიჩინოს, თორემ... არა, ეს რა მურდალი ხალხი ყოფილა მაინც!

II

ვერხოვენსკიმ თავდაპირველად შინ შეიარა და კოხტად, აუჩქარებლად ჩაალაგა ჩემოდანში ყველაფერი. დილის ექვს საათზე სწრაფი მატარებელი გადიოდა. ეს მატარებელი საცდელად გაეშვათ ამ ცოტა ხნის წინათ და ჯერჯერობით კვირაში ერთხელ დადიოდა. ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ, მართალია, ჩვენებს უთხრა, მაზრაში დროებით მივემგზავრებიო, მაგრამ, როგორც შემდეგში აღმოჩნდა, გუნებაში სულ სხვა ჰქონდა გადაწყვეტილი. ჩემოდნის ჩალაგების შემდეგ დიასახლისსაც გაუსწორა ანგარიში. იგი ადრევე ჰყავდა გაფრთხილებული. მერე ეტლი დაიჭირა და თავის ბარგიანად სადგურთან მცხოვრებ ერკელთან გაემართა. ღამის პირველი საათი იქნებოდა, როცა კირილოვის სახლში შეიპარა ფედკას საიდუმლო ხვრელით.

ახალგაზრდა ვერხოვენსკი ერთობ უგუნებოდ იყო. სხვა დიდი უსიამოვნებების გარდა (სტავროგინზე ჯერაც ვერაფერი შეეცყო), დღისით, მგონი, საიდუმლო ცნობა მოსვლოდა (თუ არ ვცდები პეტერბურგიდან), ამ მოკლე ხანში ხიფათი გელისო. თუმცა დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი. რა თქმა უნდა, ჩვენს ქალაქში ახლა ბევრი ლეგენდა დადის ამ დღის ირგვლივ, მაგრამ თუ ვინმემ რამე იცის დანამდვილებით, ალბათ მხოლოდ იმათ იციან, ვისაც დიახაც მართებს ამის ცოდნა. მე კი ჩემდათავად ასე მგონია, ახალგაზრდა ვერხოვენსკის ჩვენი ქალაქის გარდა შესაძლოა სხვაგანაც ჰქონოდა საქმეები და მართლაც შეიძლება მიეღო საიდუმლო ცნობა და გაფრთხილება. ლიპუტინის ცინიკური სასოწარკვეთილი ეჭვების მიუხედავად, დარწმუნებულიც კი ვარ, ჩვენი ქალაქის გარდა შეიძლება მართლაც კიდევ ორ-სამ ალაგას ჰყოლოდა ხუთეული, მაგალითად, დედაქალაქებში. ყოველ შემთხვევაში, თუ ეს არა, რაღაც კავშირი და ქსელი ექნებოდა გაბმული - და შესაძლოა მეტისმეტად კურიოზულიც. მისი გამგზავრებიდან სამი დღის შემდეგ პეტერბურგიდან ჩვენს ქალაქში ბრძანება მოვიდა, ახალგაზრდა ვერხოვენსკი დაუყოვნებლივ დააპატიმრეთო - ოღონდ ჩვენს ამბებზე თუ სხვაზე, არ ვიცი. ამ ბრძანებამ კიდევ უფრო გააძლიერა ის შემადრწუნებელი, თითქმის მისტიკური შიშის გრძნობა, რაც ჩვენს მთავრობასა და აქამდე ამჩატებულ განწყობაზე მყოფ საზოგადოებაში გამოიწვია სტუდენტი შატოვის იდუმალი და მრავლისმომასწავლებელი მკვლელობის გამომჟღავნებამ და იმ უცნაურმა გარემოებებმა, რაიც ამ ამბავს დაერთო. ჩვენში დატრიალებულ ამ უაზრო უბედურებებს ესლა აკლდა. მაგრამ ბრძანებამ დააგვიანა: ახალგაზრდა ვერხოვენსკი უკვე პეტერბურგში იმყოფებოდა სხვის გვარზე, და რომ დაყნოსა, ხიფათი მელისო, მყის საზღვარგარეთ გაიპარა... თუმცა მეტისმეტად გავუსწარი თხრობას...

გაბოროტებული, გამომწვევი სახით შევიდა ახალგაზრდა ვერხოვენსკი კირილოვთან. თითქოს იმ მთავარი საქმის გარდა, რასაც აქ მოეყვანა, კიდევ სხვა, პირადი ჯავრიც ჰქონდა ამოსაყრელი კირილოვზე. კირილოვს, ვგონებ, გაუხარდა მისი მოსვლა. ეტყობოდა, ავადმყოფური მოუთმენლობით ელოდებოდა, ჩვეულებრივზე უფრო ფერწასული ჩანდა, მისი შავი თვალები მძიმედ, უსიცოცხლოდ იყურებოდნენ.

- მეგონა, აღარ მოხვიდოდით, - უთხრა დინჯად. შესაგებებლად არ წამომდგარა დივნის კუთხიდან. ვერხოვენსკი წინ დაუდგა და დაკვირვებით დააცქერდა.

- მაშასადამე, საქმე დამშია, ჩვენს განზრახვაზე ხელს არ ავიღებთ. ბარაქალა, ბარაქალა! - დამცინავად გაიღიმა მან და მერე ბილწად გაიმასხრა. - მერე რა, თუ დამაგვიანდა, თქვენგან მაინც არ მეკუთვნის სამდურავი, სამი საათი ზედმეტი გაჩუქეთ.

- მე საჩუქარი არ მჭირდება, ან შენ რა უნდა მაჩუქო... ბრიყვო!

- რაო? - შეტოკდა ახალგაზრდა ვერხოვენსკი, მაგრამ მაშინვე თავს მოერია. - რა ფხუკიანი ყოფილხართ! ერიჰაა, გაბრაზებული ხომ არა ვართ, ჰა? - მოუჭრა კვლავ დიდგულად და დაცინვით, - ამ წუთებში მეტი სიდინჯე გმართებთ. ამას სჯობია ახლა თავი კოლუმბად წარმოიდგინოთ, მე კი - წრუწუნად და ჩემგან არაფერი იწყინოთ. გუშინაც იგივე გირჩიეთ.

- მე არ მინდა ჩემს თვალში წრუწუნა იყო.

- ვითომ ქათინაურად მივიღო? თუმცა ჩაიც გაგცივებიათ, - მაშასადამე, ყველაფერი ყირაზე დგას. არა, ამ ამბავს კარგი სუნი არ უდის. ბიჭოს! ფანჯარაზე რა გიდევთ! (იგი ფანჯარას მიადგა). ოჰო, მოხარშული ქათამია ბრინჯით!.. ხელი რატომ არ გიხლიათ? მაშასადამე, ისეთ გუნებაზე ვართ, ქათამმაც კი...

- მე ვჭამე, თქვენ არავინ გეკითხებათ. გაჩუმდით!

- რასაკვირველია, თანაც თქვენთვის სულ ერთია. ჩემთვის კი სულ ერთი არ არის: წარმოიდგინეთ, დღეს არ მისადილია. ჰოდა, რაკი ჩემი ვარაუდით ეს ქათამი უკვე აღარ დაგჭირდებათ.. ჰა, რას იტყვით?

- ჭამეთ, თუ შეგიძლიათ.

- გმადლობთ. მერე ჩაისაც დავაყოლებ.

ახალგაზრდა ვერხოვენსკი მაშინვე მიუჯდა მაგიდას დივნის მეორე თავში და ხარბად დაიწყო ჭამა. თან თავის მსხვერპლსაც უთვალთვალეზდა. კირილოვი გაბოროტებული ზიზღით მისჩერებოდა, თითქოს თვალი ვერ მოეწყვიტა.

- ჰო, მართლა, საქმეზე რას მეტყვით? - ასწია უცებ თავი ვერხოვენსკიმ, თუმცა ჭამა არ შეუწყვეტია. - მაშასადამე, უკან არ ვიხევთ? წერილზე რა აზრისა ხართ?

- მე ამ საღამოს გადავწყვიტე, ჩემთვის სულ ერთია. დავწერ. პროკლამაციებზე ხომ?

- დიახ, პროკლამაციებზე, მე გიკარნახებთ. თქვენთვის ხომ სულ ერთია. ნუთუ ამისთანა დროს წერილის შინაარსი შეგაწუხებდათ?

- შენი საქმე არაა.

- რა თქმა უნდა, არა, თუმცა მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი იქნება: რომ თქვენ და შატოვი პროკლამაციებს ავრცელებდით, სხვათა შორის, ფედკას დახმარებით, რომელიც თქვენს ბინაში იმალებოდა. ის ამბავი, ფედკა რომ თქვენთან იმალებოდა და გეხმარებოდათ, ფრიად მნიშვნელოვანი გახლავთ, ყველაზე უფრო მეტადაც. ხომ ხედავთ, არაფერს გიმალავთ.

- შატოვი? ის აქ რა შუაშია? არა, შატოვზე არ დავწერ.

- კი, მაგრამ რა განაღვლებთ? იმას უკვე ვედარაფერს ავნებთ.

- შატოვს ცოლი ჩამოუვიდა. წედან გაეღვიმა და ქალი გამომიგზავნა, შატოვი სად არისო?

- სად არისო, თქვენთან გამოგზავნა საკითხავად? ჰმ, კარგი ამბავი არ არის. იქნებ ისევ გამოგზავნოს: ჩემი აქ ყოფნა კი არავინ არ უნდა იცოდეს...

ახალგაზრდა ვერხოვენსკი შემფოთებით აწრიალდა.

- ვერ გაიგებს, ისევ დაიძინა. მასთან ბეზიაქალია, ვირგინსკაია.

- მით უარესი... იქნებ მართლა ვერ გაიგონოს, ჰა? ურიგო არ იქნებოდა პარმალის კარი დაგვეკეტა.

- ვერაფერსაც ვერ გაიგონებს. ხოლო თუ შატოვი მოვა, აგერ იმ ოთახში დაგმალავთ.

- შატოვი არ მოვა. თქვენ დაწერეთ, რომ ორგულობისა და ლალატისათვის ამ სადამოს... ეჩხუბეთ და... მისი სიკვდილის მიზეზი ხართ.

- მოკვდა! - შეჰყვირა კირილოვმა და დივნიდან წამოხტა.

- დღეს სადამოს რვა საათზე მოკვდა. უფრო სწორად, წუხელ რვა საათზე, ახლა ხომ შუადღის პირველი საათია.

- შენ მოჰკალი, შენ!.. გუშინვე მიგრძნობდა გული.

- მაშ არ გიგრძნობდათ! აი, ამ რევოლვერით მოკვდა (ვერხოვენსკიმ რევოლვერი ამოიღო, ეტყობა, საჩვენებლად, მაგრამ აღარ შეუნახავს. მარჯვენაში მომარჯვებული ეკავა). - ისე კი მართლა საკვირველი კაცი ხართ, კირილოვ, ხომ თვითონვე იცოდით, რომ საქმე ასე დამთავრდებოდა. რა შუაშია აქ, გული მიგრძნობდაო? რამდენჯერ დაგიღეჭეთ ეს ამბავი. შატოვი დაბეზღებას გვიპირებდა: მე ვუთვალთვალე, მისი ცოცხლებში დატოვება არასგზით არ შეიძლებოდა. განა თქვენც არ გქონდათ დავალებული მისი თვალთვალი? ხომ თვითონვე მითხარით ამ სამი კვირის უკან?

- ხმა გაიკმინდე! ჟენევაში რომ სახეში მოგაფურთხა, შენ იმისთვის მოჰკალი!

- იმისთვისაც და სხვა რამისთვისაც. დიახ, ბევრი სხვა რამისთვისაც. თუმცა მისდამი ღვარძლი არ მქონია. რატომ წამოხტით? რას მეჭიმებით? ოჰ!.. თურმე აი რა გვდომებია!

ვერხოვენსკი წამოხტა და რევოლვერი ასწია. კირილოვმა დილიდანვე მომზადებული და დატენილი თავისი რევოლვერი ფანჯრიდან აიტაცა. ვერხოვენსკიმ იარაღი დაუმიზნა. კირილოვს ბოროტად გაეცინა.

- გამოტყდი, არამზადავ, შეგეშინდა, მომკლავსო, და რევოლვერი იმიტომ წამოიღე... ნუ გეშინია, არ მოგკლავ... თუმცა... თუმცა...

კირილოვმა ისევ დაუმიზნა რევოლვერი, თითქოს ძალა არ ყოფნიდა უარი ეთქვა იმ სიამოვნებაზე, რასაც ვერხოვენსკის მოკვლა მიანიჭებდა. ვერხოვენსკი იდგა და ელოდა, უკანასკნელ წუთამდე ელოდა, თუმცაღა შეიძლებოდა პირველს თვითონ დახვრეტოდა შუბლი: ამ „მანიით შეპყრობილისგან“ გასაკვირი არაფერი იყო. მაგრამ „მანიით შეპყრობილმა“ ბოლოს ხელი დაუშვა. სუნთქვა შეკვროდა, მთელი სხეული უთრთოდა, ხმა ვერ ამოეღო.

- გვეყოფა ხუმრობა, - დაუშვა ვერხოვენსკიმაც იარაღი. - თავიდანვე ვიცოდი, რომ ხუმრობდით. მაგრამ ცეცხლს კი ეთამაშებოდით. მე შემედლო ჩახმასს გამომეკრა. - სტუმარი ისევ არხეინად მიუჯდა მაგიდას, ეს კია, ჩაის დასხმისას ხელი ოდნავ უძიგბიგებდა. კირილოვმა რევოლვერი მაგიდაზე დადო და ბოლთის ცემას მოჰყვა.

- მე არ დავწერ, შატოვი მოგვკალი-მეთქი... ახლა არაფერსაც აღარ დავწერ. წერილს ვერ მიიღებ!

- ვერა?

- ვერა.

ვერხოვენსკი სიბრაზისაგან გამწვანდა.

- ფუი, რა უნამუსობაა! თავიდანვე ვიცოდი, ასეც იქნებოდა. ჩემთვის ახალი არაფერი გითქვამს. როგორც გენებოთ. რომ შემემლოს ძალით დაგაწერინოთ, დაგაწერინებდით. ისე კი მართლა არ გქონიათ ნამუსი, - ვერხოვენსკის ბოღმა ყელში მოაწვა და თავს ვეღარ სძლია. - მაშინ ფულები გამოგვტყუეთ და ყველაფერი აღგვითქვით... მაგრამ აქედან პირში ჩალაგამოვლებული არ წავალ, იცოდეთ. სხვა რომ არა, იმას მაინც ვნახავ, შუბლს რომ გაიხვრეტო.

- მე მინდა ახლავე წაეთრიო აქედან, - დაუდგა წინ კირილოვი.

სტუმარმა ისევ რევოლვერზე იტაცა ხელი.

- არა, გეთაყვა, მე ამას ვერ ვიზამ. ხომ შეიძლება ღვარძლმა და ლაჩრულმა შიშმა ისევ ყველაფერი გადაგადებინოთ და ხვალ დასაბეზღებლად გაიქცეთ, რომ კვლავ ფულები ჩაიჯიბოთ. ამაში ხომ ფულს იძლევიან. თქვენისთანა კაცუნები ყველაფერზე ხელს მოაწერენ. ჯანდაბას თქვენი თავი! მაგრამ ნუ წუხხართ, მე ყველაფერი გავითვალისწინე. აქედან ასე არ წავალ, იმ არამზადა შატოვივით თავი არ გაგიხვრიტოთ, თუ ვინიცობაა დაფროთხით და განზრახვა გადადევით; ეშმაკსაც წაუღიხართ!

- ჩემი სისხლიც გწყურია?

- გაიგეთ, ღვარძლი არ მამოქმედებს. ჩემთვის სულ ერთია, ასე იქნება თუ ისე. მე მინდა ჩვენს საქმეზე გულმშვიდად ვიყო. ხომ თვითონ ნახეთ, ადამიანის ნდობა არ შეიძლება. მე არ ვიცი, რად აიხირეთ თავის მოკვლა და არც ჩემი მოგონილია ეს ამბავი. თქვენ თვითონ ჩემზე ადრე განუცხადეთ საზოგადოების წევრებს საზღვარგარეთ. ისიც ხომ გახსოვთ, თქვენთვის არავის დაუტანებია ძალა, თქვი რამეო. მაშინ არც კი გცნობდნენ. თვითონვე გადაუშალეთ გული, გრძნობებმა გძლიათ. ვისი ბრალია, რომ ამის იმედით შეიმუშავეს მაშინ თქვენივე თანხმობითა და წინადადებით (არ დაივიწყოთ: თქვენი წინადადებით-მეთქი) აქაური მოქმედების გეგმა, რისი შეცვლა ახლა არამც და არამც არ შეიძლება. თქვენ უკვე ბევრი რამ იცით. უცებ რომ მოგიაროთ და ხვალ დასაბეზღებლად გაიქცეთ, როგორ გგონიათ, ჩვენთვის ეს ხელსაყრელი იქნება? არა, ბატონო, თქვენ პირობა დადეთ, სიტყვა მოგვეცით, ფული მიიღეთ. ამას ხომ ვერ უარყოფთ.

ვერხოვენსკი გაცხარდა კიდევ, მაგრამ კირილოვი აღარ უსმენდა. ჩაფიქრებული დადიოდა წინ და უკან.

- შატოვი მეცოდება, - თქვა და ისევ წინ გაუჩერდა სტუმარს.

- მეც მეცოდება. ხომ არ გგონიათ...

- ხმა ჩაიწყვიტე, შე არამზადავ! - დაიღრიალა კირილოვმა და ისეთი საშინელი სახით გაიწია სტუმრისკენ, მის განზრახვაში ეჭვი არავის შეუვიდოდა, - მოგკლავ!

- ჰო, ვცრუობ, ვცრუობ, თანახმა ვარ, არ მეცოდება. კარგი, გეყოფათ! - შიშით წამოხტა ვერხოვენსკი და ხელი აუქნია.

კირილოვი უცბად დაშოშმინდა და ისევ ბოლთის ცემას მოჰყვა.

- მე არ გადავდებ. სწორედ ახლა მინდა მოვიკლა თავი! ყველა არამზადაა!
- აი, ეგ კარგი აზრია, რა თქმა უნდა, ყველა არამზადაა. პატიოსან კაცს ამქვეყნად არ გაემლება. ჰოდა...
- შე ბრიყვო შენა, მეც იმისთანა არამზადა ვარ, როგორც შენ და სხვები, პატიოსნების არაფერი მცხია... პატიოსანი მუდამ სანთლით სამეზარი იყო...
- ძლივს არ მიხვდა. თქვენი ჭკუის პატრონმა აქამდე როგორ არ იცოდით, კირილოვ, რომ ამქვეყნად ყველა ერთნაირია, ესაა, ზოგი ჭკვიანი და ზოგი უჭკუო. მაშასადამე, თუ ყველა არამზადაა (თუმცა რა სისულელეა), არა არამზადა არ შეიძლება არსებობდეს?
- ეჰე! მართლა ამბობ, არ ხუმრობ? - განცვიფრებით შეხედა კირილოვმა. - რა გატაცებით და უბრალოდ თქვი... ნუთუ შენისთანა კაცს მართლა შეიძლება რამე სწამდეს?
- კირილოვ, თუ რატომ იკლავთ თავს, ეს არც მაშინ მესმოდა და არც ახლა მესმის. ვიცი მხოლოდ, ასე გწამთ... და მტკიცედაც გწამთ. მაგრამ თუ სურვილი გაქვთ, ასე ვთქვათ, რაც გულში გიდევთ, ყველაფერი ამოანთხიოთ, ბატონი ბრძანდებით, მიმსახურეთ... ოღონდ დროც იგულისხმეთ...
- რომელი საათია?
- ოჰო, ორი ყოფილა, - დახედა საათს ვერხოვენსკიმ და პაპიროსი გააბოლა.
„მთლად უიმედოდ, მგონი, არაა საქმე“, - გაიფიქრა გულში.
- მე შენთვის სათქმელი არაფერი მაქვს, - წაიდუდუნა კირილოვმა.
- მახსოვს, რაღაცას მეუბნებოდით ღმერთზე... ერთხელ კიდევაც ამიხსენით, მგონი, ორჯერაც. თუ თავს მოიკლავთ, ღმერთად იქცევით... ხომ არ ვცდები?
- დიახ, ღმერთად ვიქცევი.
- ვერხოვენსკის არც კი გაუღიმიო, მშვიდად ელოდებოდა. კირილოვმა გამჭვალავად შეხედა.
- ჰოი, რა მატყუარა პოლიტიკოსი და ინტრიგანი ბრძანდებით. გგონიათ, ფილოსოფიაზე მალაპარაკებთ, აღტყინებაში მომიყვანთ, ბრაზს დამიცხრობთ და შემირიგებთ. მერე კი წერილს დამტყუებთ, შატოვი მე მოვკალი-მეთქი.
- ვერხოვენსკის პასუხი თითქმის ბუნებრივი გულწრფელობით ჟღერდა: - მე რომ არამზადა ვიყო, ამით რა გემატებათ, კირილოვ, განა ამ უკანასკნელ წუთებში თქვენთვის სულ ერთი არაა! შეიძლება კი იმაზე დავა, შენ ასეთი ხარ და მე ისეთიო? რას დავამტკიცებთ? მით უმეტეს, რომ ორთავე...
- არამზადები ვართ.
- კი, ბატონო, არამზადები, მაგრამ ეს ხომ სულ ლიტონი სიტყვებია.

- მთელი სიცოცხლე იმას ვნატრობდი, ლიტონი სიტყვები არ ყოფილიყო. მხოლოდ ამიტომ ვცოცხლობდი. ახლაც ყოველდღე ამას ვნატრობ, ლიტონი სიტყვები არ იყოს-მეთქი.

- რას იზამ, ყველა უკეთეს ხვედრს დაეძებს ამ ქვეყანაზე. ყოველ სულდგმულს თავისებური კომფორტი უნდა. ესაა და ეს. დიდი ხანია ცნობილია.

- შენ ამბობ, კომფორტით?

- ღირს კი სიტყვებზე ვიკინკლაოთ!

- არა, ეგ შენ კარგად თქვი, დაე კომფორტი იყოს. ღმერთი აუცილებელია და ამიტომაც უნდა იყოს.

- ჰოდა, ძალიან კარგი.

- მაგრამ მე ვიცი, ღმერთი არ არის და არც შეიძლება იყოს.

- ეგ უფრო ახლოა სიმართლესთან.

- ნუთუ არ გესმის, რომ ამისთანა გაორებული ფიქრით არ შეიძლება ადამიანმა იცოცხლოს?

- მაშ თავი მოიკლას?

- როგორ არ გესმის, რომ მარტო ამიტომ შეიძლება ადამიანმა თავი მოიკლას? როგორ არ გესმის, რომ იმ თქვენი ათასი მილიონი ადამიანიდან შეიძლება ერთი აღმოჩნდეს ისეთი, რომელიც არ ინდომებს და ვერც აიტანს ასეთ სიცოცხლეს.

- მე მხოლოდ ის მესმის, რომ, მგონი, ყოყმანობთ... ეს კი არ ვარგა.

კირილოვი შუბლშეკრული დააბიჯებდა ოთახში. ეს შენიშვნა არ გაუგია.

- სტავროგინიც იდეამ შეჭამა.

- რა თქვით? - ცქვიტა ყურები ვერხოვენსკიმ. - რა იდეაზე ამბობთ? თვითონ გითხრათ რამე?

- არა, ჩემით მივხვდი: სტავროგინს თუ სწამს, არ სწამს, რომ სწამს. თუ არ სწამს, არ სწამს, რომ არ სწამს.

- არა, სტავროგინი უფრო ჭკვიანია... - გაანჩხლებით წაილაპარაკა ვერხოვენსკიმ. ლაპარაკის ასეთმა შეტრიალებამ და კირილოვის ფერწასულმა სახემ შეაშფოთა.

„დასწყევლოს ღმერთმა, თავს არ მოიკლავს, - ფიქრობდა იგი, იმთავითვე ვგრძნობდი ამას. ტვინნაღრმობია და მეტი არაფერი. ეს რა ვიგინდარა ხალხია!“

- შენ უკანასკნელს გხედავ და არ მინდა ცუდად დაგშორდე, - წამოსცდა უცებ კირილოვს.

ვერხოვენსკიმ პასუხი შეაგვიანა. „დალახვროს ეშმაკმა, ეს რაღა დარდუბალაა?“ - გაიფიქრა ისევ.

- დამიჯერეთ, კირილოვ, პირადად თქვენ არას გერჩით, და მუდამაც...

--შენ არამზადა ხარ და ცრუ ჭკუა გაქვს . მეც შენისთანა ვარ და თავს მოვიკლავ, შენ კი იცოცხლებ.

- ანუ ჩემისთანა სულმდაბალი სიცოცხლეზე უარს არ იტყვის, ეს გინდათ თქვამთ?

ვერხოვენსკიმ აღარ იცოდა, გაეგრძელებინა თუ არა საუბარი. გულში გადაწყვიტა, ცოტას კიდევ მოვიციდი, ვნახო, საქმე როგორ შეტრიალდებაო, კირილოვის ქედმაღლური და აგდებული კილო ადრევეც აღიზიანებდა და ახლა რატომრაც უფრო უშლიდა მარღვებს. იქნებ იმიტომ, რომ კირილოვი ერთი საათის შემდეგ უნდა მომკვდარიყო (ვერხოვენსკი ამას ითვალისწინებდა) და, როგორც ნახევრად გათავებულ კაცს ამისთანა ყოყოჩობის უფლება არ ჰქონდა.

- მგონი, ტრაბახობთ კიდევ, თავს მოვიკლავო?

- მუდამ მიკვირდა, ეს ხალხი ცოცხალი როგორაა-მეთქი. - კირილოვს არც ეს შენიშვნა გაუგონია.

- ჰმ, ეგ არაა უჭკუო აზრი, თუმცა...

- მაიმუნო, შენ გინდა გული მომიგო და კვერს იმიტომ მიკრავ. გაჩუმდი მაინც, როცა არაფერი გესმის. თუ ღმერთი არ არის, მაშინ მე ვარ ღმერთი.

- აი, ეგ კი ვერასოდეს გამეგო თქვენი: ვითმ რატომ ხართ ღმერთი?

- თუ ღმერთი არის, ყველაფერი მისი ნებაა და მის ნებას ვერ გადავალ. თუ არ არის, ყველაფერი ჩემი ნებაა და მოვალე ვარ ჩემი თვითნებობა გამოვავლინო.

- თვითნებობა? ან რატომ ხართ მოვალე?

- იმიტომ, რომ ყველაფერი ჩემი ნება გახდა. ნუთუ ამ პლანეტაზე ისეთი არავინ მოიძებნება, ღმერთი უარყოს, თვითნებობა ირწმუნოს და მერე გაბედოს ეს თვითნებობა გამოავლინოს? ეს იგივეა, გლახაკმა მემკვიდრეობა მიიღოს და შიშით სალაროს ვერ გაეკაროს, იქნებ ვერ შევძლო მისი მეპატრონეობაო. მე ერთმა მინდა თვითნებობა გამოვავლინო. თუ სხვამ არა, მე ერთი გავაკეთებ ამას.

- ჰოდა, გააკეთეთ.

- მე მოვალე ვარ თავი მოვიკლა, ვინაიდან ჩემი თვითნებობის მთავარი მუხლია - შენი ხელით მოიკლა თავი.

- მარტო თქვენ ხომ არ იკლავთ თავს? თავისმკვლელები ბევრნი არიან.

- იმათ რაღაც მიზეზი აქვთ. მაგრამ უმიზეზოდ, მხოლოდ თვითნებობის გამოსავლენად - მე ერთი ვიქნები.

„თავს არ მოიკლავს“, - ისევ გაურბინა თავში ვერხოვენსკის.

- იცით რა, - უთხრა გაგულისებით, - მე თქვენს ადგილზე თვითნებობის გამოსავლენად ჩემს თავს კი არა, სხვას მოვკლავდი. საქმისთვისაც უფრო აჯობებდა.

თუ არ გეშინიათ, გეტყოდით, ვისაც. მაშინ შეიძლებოდა დღეს აღარ მოგეკლათ თავი. ამაზე შევთანხმდებოდით.

- სხვისი მოკვლა ჩემი თვითნებობის ყველაზე საზიზღარი გამოვლინება იქნება. მთელი შენი ბუნება ამაში ჩანს. მე შენისთანა არა ვარ: მე მინდა უზენაესი გამოვლინება და თავს მოვიკლავ.

„კიდევ კარგი, თავისით მოიფიქრა“, - ღვარძლიანად წაიბურტყუნა ვერხოვენსკიმ.

- მე მოვალე ვარ ურწმუნოება გამოვაცხადო, - დააბიჯებდა ოთახში კირილოვი. - ჩემთვის ყველაზე დიდი იდეაა ის, რომ ღმერთი არ არსებობს. ამას ადასტურებს კაცობრიობის ისტორია. ადამიანს სხვა არაფერი უკეთებია, გარდა ღმერთის გამოგონებისა, თავი რომ არ მოეკლა და ეცოცხლა. მთელი მსოფლიოს ისტორია დღემდე ეს არის... მსოფლიო ისტორიაში მე ერთმა არ მოვინდომე პირველად ღმერთის მოგონება. დაე გაიგონ ეს ერთხელ და სამუდამოდ.

„არა, არ მოიკლავს თავს“, - შიში იტანდა ვერხოვენსკის.

- ვინ უნდა გაიგოს ნეტა? - აგულიანებდა იგი: -აქ ჩვენს მეტი არავინ არის. ლიპუტინს ხომ არ გულისხმობთ?

- ყველამ უნდა გაიგოს, ყველა გაიგებს, რამეთუ არა არს რა დამალული და არა არს რა გაუმჟღავნებელი. აი, ამან თქვა.

კირილოვმა აღტაცებით მიაშვირა თითი მაცხოვრის ხატს, რომლის წინ ლამპარი კიაფობდა. ვერხოვენსკი საშინლად გაბრაზდა.

- მაშასადამე, მისი მაინც გწამთ და ლამპარიც დაგინთიათ. იმიტომ ხომ არა, „ვაითუ იქ მაინც რაღაც იყოს?“

კირილოვმა წაიყრუა.

- იცით, ჩემი აზრით, გულში ხუცესზეც უფრო მეტად გწამთ.

- ვისი? იმისი? - გაჩერდა კირილოვი და თვალები ერთ წერტილზე მიეყინა. - ყური მიგდე და ისმინე აზრი ღიადი: იყო ამქვეყნად ერთი დღე და იმ დღეს დედამიწაზე სამი ჯვარი იდგა. ერთს, იმ ჯვარზე გაკრულს, ისე სწამდა, მეორეს უთხრა: დღეს ჩემთან ერთად სამოთხეში მოხვდებიო. დასრულდა დღე, ორივე მოკვდა. იარეს, იარეს და ვერც სამოთხე ნახეს, ვერც მკვდრეთით აღდგომა იხილეს. ნათქვამი არ ახდა. მისმინე: ეს კაცი იყო უდიდესი არსება ამ ქვეყანაზე, მისთვის ღირდა მხოლოდ ესულდგმულა ქვეყნიერებას. მთელი პლანეტა, ყოველივე, რაც მასზე არის, ამ კაცის გარეშე სიგიჟეა და სხვა არაფერი. არც მანამდე და არც მერმე მისი მსგავსი არც შექმნილა და არც შეიქმნება, რა სასწაულიც არ უნდა მოხდეს. სასწაულიც სწორედ ის არის, მისი მსგავსი არ ყოფილა და არც იქნება. ხოლო თუ ასეა, თუ ბუნების კანონებმა ისიც არ დაინდეს, თავისივე სასწაულიც გასწირეს, ისიც იძულებული გახადეს ამ ცრუ წუთისოფელში ეცხოვრა და სიცრუისთვის მომკვდარიყო, მაშასადამე, ეს პლანეტა სიცრუეა, სიცრუეზე დგას და ყველაფერი მხოლოდ ადამიანის დაცინვაა. მაშასადამე, თვით პლანეტის კანონები სიცრუე და ეშმაკისეული ვოდევია. მაშ, მიპასუხე, ღირს კი სიცოცხლე, თუ შენ ადამიანი ხარ?

- ეგ მეორე ამბავია. როგორც გატყობთ, აქ ორი სხვადასხვა მიზეზი აღგრევიან; ეს კი ფრიად არასაიმედო გახლავთ. მაგრამ ვთქვათ და ღმერთი თქვენა ხართ? ვთქვათ და მიხვდით, ყველაფერი სიცრუეა და ეს სიცრუე ძველი ღმერთის ბრალი იყო?

- ძლივს არ გაიგო! - აღტაცებით აღმოხდა კირილოვს. - მაშასადამე, შესაძლებელი ყოფილა გაგება, თუკი შენისთანა კაცმა გაიგო! ახლა ხომ გესმის, ერთადერთი ხსნა ისღა არის, ყველას დაუმტკიცო ეს აზრი. მერედა ვინ დაუმტკიცებს? ვინა და მე! ვერ გამიგია, როგორ შეიძლება სცოდნოდა ათეისტს, ღმერთი არ არისო, და მაშინვე თავი არ მოეკლა? იცოდე, ღმერთი არ არის და ის არ იცოდე, შენ თვითონ ღმერთი ხარ - ამაზე მეტი უაზრობა არ შეიძლება; ეს ნიშნავს, მაშინვე მოიკლა თავი. თუ იცი - მეფეთა მეფე ხარ და თავს არ მოიკლავ, სახელმორჩმულად იცხოვრებ, მაგრამ ერთმა კი, დიახ, იმან, ვინც პირველი მიხვდა ამას, უთუოდ უნდა მოიკლას თავი. თორემ ისე ვინ დაამტკიცებს? ჰოდა, დასამტკიცებლად მე უთუოდ მოვიკლავ თავს. მე ჯერ მხოლოდ იძულებით ვარ ღმერთი. მე უბედური ვარ, რამეთუ მოვალე ვარ თვითნებობა გამოვაავლინო. ყველანი იმიტომ არიან უბედურები, ეშინიათ თვითნებობის გამოვლინების. ადამიანი იმიტომ იყო აქამდე ასე უბედური და ღატაკი, ეშინოდა თვითნებობის გამოვლინების და ცუდლუტ მოწაფესავით ჩუმ-ჩუმად თვითნებობდა. მე ძალიან უბედური ვარ, რამეთუ ძალიან მეშინია. შიში დიდი ღვთის რისხვას ადამიანისათვის... მაგრამ მე განვაცხადებ თვითნებობას, მე მოვალე ვარ ვიწამო, რომ არა მწამს. მე დავიწყებ და დავამთავრებ, მე გაგხსნი კარს და ყველას ვიხსნი. მხოლოდ ეს იხსნის ადამიანებს და უკვე შემდეგი თაობიდან მოყოლებული ფიზიკურად გარდაქმნის მათ. ვინაიდან, რამდენი არ ვიფიქრე, ახლანდელ ფიზიკურ მდგომარეობაში ადამიანი ძველი ღმერთის გარეშე ვერ იარსებებს. მე სამი წელი ვეძებდი ჩემი ღვთაების ატრიბუტს და ვიპოვე იგი: ჩემი ღვთაების ატრიბუტი - თვითნებობაა! აი, ამით შემიძლია მხოლოდ დავამტკიცო ჩემი ურჩობა და ჩემი ახალი საშინელი თავისუფლება. რამეთუ ის საშინელზე საშინელია. მე ვიკლავ თავს, რომ დავამტკიცო ჩემი ურჩობა და ჩემი ახალი საშინელი თავისუფლება.

კირილოვს არაბუნებრივად გადაუფითრდა სახე. მის გამოხედვას კაცი ვერ გაუძლებდა. ციებცხელებიანივით აძიგძიგებდა. გეგონებოდა, სადაცაა წაიქცევასო.

- მოიტა კალამი! - ზემთაგონებით შესძახა უცებ კირილოვმა, - შენ მიკარნახე და ყველაფერზე მოგიწერ ხელს. იმასაც დაწერ, შატოვი მე მოვკალი-მეთქი. მიკარნახე, ვინემ სიცილის გუნებაზე ვარ. არ მეშინია, რას იფიქრებენ ის ქედმაღალი მონები! შენი თვალით ნახავ, საიდუმლო ყოველი გამჟღავნებული იქნება! შენ კი მოისპობი და გაისრისები... მე ვიწამე! ვიწამე!..

ვერხოვენსკი ზეზე წამოხტა, თვალის დახამხამებაში მიაწოდა სამელნე, ქალღი და კარნახს მოჰყვა. შიშით გული უსკდებოდა, საქმე არ ჩამეფუშოს, ეს წუთი ხელიდან არ გავუშვაო.

„მე, ალექსეი კირილოვი, ვაცხადებ, რომ...“

- დაიცა! არ მინდა! ვის ვუცხადებ?

კირილოვს ციებცხელებიანივით აკანკალებდა. თითქოს ერთბაშად მოაფიქრდა ამ განცხადების დაწერა და სხვა ყველაფერი დაავიწყდა, თითქოს მისმა ტანჯულმა

სულმა წუთიერი გამოსავალი ჰპოვა და გამდაფრებით ჩაებლაუჭა მას: - ვის ვუცხადებ? მინდა ვიცოდე, ვის?

- არავის, ყველას, იმას, ვინც პირველი წაიკითხავს. დაზუსტება რა საჭიროა? მთელ ქვეყნიერებას!

- მთელ ქვეყნიერებას? ბარაქალა! არც სინანული უნდა იყოს. არ მინდა სინანული. არც მთავრობის სახელზე მინდა!

- არა, არა, რა ეშმაკად გვინდა მთავრობა! დაწერეთ, რაღას უყურებთ, თუ მართლა წერთ!.. - ისტერიკულად დასჭყვილა ვერხოვენსკიმ.

- დაიცა! ჯერ თავზე კაცის სიფათს დავხატავ და ენას გამოვავოფინებ.

- ნუ სულელობთ! სიფათი რა ჯანდაბად გინდათ, - გაჯავრდა ვერხოვენსკი. - წერილის კილო ამცნობს ყველაფერს.

- კილოო! ეგ მომწონს. კი, კი, კილო! დიდებულია! მიკარნახე ეგ შენი კილო.

„მე, ალექსეი კირილოვი, - მტკიცედ კარნახობდა ვერხოვენსკი, რომელიც კირილოვს თავზე ადგა და მისი აკანკალებული ხელით გამოყვანილ ყოველ ასოს თვალს ადევნებდა, - მე, კირილოვი, ვაცხადებ, რომ დღეს... ოქტომბრის თვის საღამოს რვა საათზე ბაღში მოვკალი სტუდენტი შატოვი, მოვკალი იგი ღალატის, პროკლამაციების გამვრცელებელთა და ფედკას დაბეზულების გამო. ფედკაც ფილიპოვის სახლში იმალებოდა ჩვენთან და ათი ღამე აქ გაათია. მეც დღესვე ვიკლავ თავს რევოლვერით, მაგრამ არ იფიქროთ, ამის მიზეზი სინანული და - თქვენი შიში იყოს. ვიკლავ იმიტომ, რომ ჯერ საზღვარგარეთ მქონდა თავის მოკვლა გადაწყვეტილი“.

- მეტი არაფერი? - განცვიფრებითა და აღშფოთებით წამოიძახა კირილოვმა.

- ერთი ზედმეტი სიტყვაც არა! - ხელი ჩაიქნია ვერხოვენსკიმ და წერილის გამოგლეჯა დააპირა.

- დამაცა! - კირილოვმა წერილს ხელი დაადო. - დამაცა-მეთქი! მე მინდა დავასახელო, ვისთან ერთად მოვკალი. ფედკა აქ რა შუაშია? ან ხანძარზე არაფერი ვთქვა? მე მინდა ყველაფერი ჩავწერო და გარდა ამისა ერთი კარგად მოგილანძლო... კილოთი, კილოთი-მეთქი, გესმის!

- საკმარისია, კირილოვ, დამიჯერეთ, საკმარისია! - ლამის ევედრებოდა ვერხოვენსკი და შიშით თრთოდა, წერილი არ დახიოსო: - თუ გინდათ დაგიჯერონ, გაუგებრად უნდა დაწეროთ, სწორედ ასე, ამისთანა ქარაგმებით. სიმართლე მხოლოდ პატარაზე გამოაჩინოთ, რომ გააღიზიანოთ. თვითონ ჩვენზე მეტ ტყუილებს დაამატებენ და თავის მოგონილს ჩვენსაზე უფრო დაიჯერებენ. ამას რა სჯობია! მომეცით წერილი. ეგრეც დიდებულია. მომეცით-მეთქი!

ვერხოვენსკი ისევ წაეტანა წერილს გამოსაგლეჯად. კირილოვი თვალეზაყვილი უსმენდა, თითქოს უნდა მოისაზროს, რას ეუბნებიან, მაგრამ, მგონი, მოსაზრების უნარი დაკარგოდა.

- დასწყევლოს ღმერთმა, ხელიც არ მოუწერია! რას დაგიჭყეციათ თვალები, ჩქარა მოაწერეთ ხელი! - დაუტატანა ვერხოვენსკიმ.

- მე მინდა გამოვლანძლო... ჰო, გამოვლანძლო... - წაიბურტყუნა კირილოვმა, მაგრამ კალამი კი აიღო და ხელი მოაწერა.

- მოაწერეთ: Vive la republique[300], და მორჩა.

- ვაშაა! - აღტაცებით შებღავლა კირილოვმა - Vive la republique democratique, sociale et universelle ou la mort!...[301] არა, არა, ასე არა. - Ziberte egalite, fraternite on la mort![302] ასე სჯობია, ასე სჯობია, - მოაწერა მან სიამოვნებით თავისი გვარი.

- გეყოფათ, გეყოფათ, - ჩასჩინებდა ვერხოვენსკი.

- დაიცა, კიდევ ცოტა... იცი, მე კიდევ ერთხელ მოვაწერ ფრანგულად: „de Kiriloff, gentilhomme russe et citoyen du monde.[303] ჰა-ჰა-ჰა! - გადაიხარხარა კირილოვმა. - არა, არა, დაიცა, უკეთესი მოვიგონე, ევრიკა: gentilhomme-seminariste russe et citoyen du monde civilize![304]. ეს სჯობია ყველაფერს... - წამოხტა დივნიდან კირილოვი, ფანჯრიდან ელვის სისწრაფით აიტაცა რევოლვერი, მეორე ოთახში გავარდა და კარი მაგრად მიიხურა. ვერხოვენსკი მთელი ერთი წუთი ჩაფიქრებული იდგა და კარს უყურებდა.

„თუ ამწამსვე გაისროლა, ხომ კარგი; ფიქრებს თუ მიეცა - დაილუპა საქმე“.

მერე წერილი აიღო, ჩამოჯდა და ხელახლა გადაიკითხა. განცხადების რედაქცია ამჯერადაც მოეწონა.

„ახლა ჩვენ რა გვინდა? ის, რომ დროებით ავურიოთ გზა-კვალი და ეჭვები ავიციდინოთ. ბალიო? ქალაქში ბალი არავისა აქვს. მაშასადამე, თვითონვე მოისაზრებენ, სკვორეშნიკში იქნებაო. სანამ ამას მოისაზრებენ, დრო გავა, სანამ მოძებნიან, ამასაც დრო უნდა, გვამს ნახავენ - მაშასადამე, წერილი არ ტყუის, მაშასადამე, ყველაფერი მართალია, მაშასადამე, ფედკაზეც მართალი წერია. ფედკა კი რას ნიშნავს? ეს ნიშნავს ხანძარს, ლებიადკინებს. მაშასადამე, ფილიპოვის სახლიდანაა წამოსული ყველაფერი და თვითონ კი წარმოდგენაც არ ჰქონდათ, თვალსა და ხელს შუა გამოეპარათ. ეს სულ რეტს დაასხამთ! ჩვენებზე ეჭვიც არ შეეპარებათ; შატოვი, კირილოვი, ფედკა, ლებიადკინი, აი, ვინ ყოფილან. ოღონდ რატომ ამოხოცეს ერთმანეთი, ეს კიდევ ახალი თავსატეხი ექნებათ. დალახვროს ეშმაკმა, სროლა რატომ არ ისმის!..“

ვერხოვენსკის დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა წერილის რედაქცია, მაგრამ ყური მაინც კარისკენ ეჭირა. ერთბაშად ბრაზმა აიტანა. შეშფოთებით დახედა საათს; უკვე გვიანი იყო, ხოლო კირილოვი ათი წუთია, რაც გავიდა... ვერხოვენსკიმ სანთელს დაავლო ხელი და იმ ოთახის კარს მიადგა, სადაც კირილოვი ჩაიკეტა. თავში გაუელვა, კიდევ ოცი წუთი და სანთელი დაილევა. სხვა კი არა აქვს. მერე სახელურს მოჰკიდა ხელი და მიაყურადა. იქიდან ჩქამი არ ისმოდა. უეცრივ შეალო კარი და სანთელი მალა ასწია. იმავე წუთს ღმუილით გამოქანდა მისკენ ვიღაც. ვერხოვენსკიმ მთელი ძალით მიაჯახუნა კარი და ზედ მიაწვა. იქ კვლავ სამარისებური სიჩუმე გამეფდა.

ერთხანს ასე იდგა სანთლით ხელში. აღარ იცოდა, რა ექნა, კარის გაღებისას კარგად ვერ მოასწრო იქაურობის დათვალიერება, წამით მხოლოდ ოთახის სიღრმეში ფანჯარასთან ატუზული კირილოვის სახე დალანდა, მხეცური გააფთრებით რომ გამოქანდა მისკენ. ვერხოვენსკის შეამაგმაგა, სანთელი საჩქაროდ მაგიდაზე დადო, ჩახმახი შეაყენა და ფეხაკრეფით გაიქცა ოთახის მეორე ბოლოში. კირილოვი თუ შემოვარდებოდა რევოლვერით ხელში და მაგიდას ეცემოდა, ნიშანში ამოღებას და გასროლას მაინც დაასწრებდა.

კირილოვი რომ თავს მოიკლავდა, ახლა უკვე აღარ სჯეროდა! „შუა ოთახში იდგა და ფიქრობდა, - ელვის სისწრაფით უტრიალებდა თავში, - მერე რა ბნელი, საშინელი ოთახია... ღრიალით გამოქანდა ჩემკენ - აქ შეიძლება მხოლოდ ორი რამ ვიგულისხმოდ: ან ხელი შევეშალე, ჩახმახის გამოკვრას რომ აპირებდა ან... იდგა და ფიქრობდა, მე როგორ მოვეკალი. კი, ნამდვილად ჩემს მოკვლას ფიქრობდა.. იცის, ისე არ წავალ, ეგ არ მოვკლა, თუკი თვითონ ილაჩრა. მაშასადამე, რომ არ მოვკლა, უნდა დამასწროს და თვითონ მომკლას... რა სიჩუმეა იქ! შეგზარავს კიდეც: ვაითუ უცებ გამოალო კარი... ღორობა ის არის, ღმერთი რომ მღვდელზე უფრო სწამს... არასგზით არ მოიკლავს თავს!.. რაღაც ძალიან მომრავლდნენ ეგენი, გაიძახიან: ჩვენით მოვიფიქრეთო. წუპაკები!.. დასწყევლოს ღმერთმა, სანთელს რა ვუყო! თხუთმეტ წუთში ჩაქრება... დროზე უნდა მოვრჩე ყველაფერს, რაღაც არ უნდა დამიჯდეს.. ახლა ხელს აღარაფერი შემეშლის... ამ წერილის წაკითხვის შემდეგ არავის მოუვა თავში, მე თუ მოვკალი. ეს რომ დავკეცო და იატაკზე დავაგდო დაცლილი რევოლვერის გვერდით, მის ხელთან, აუცილებლად იფიქრებენ, თვითონ მოიკლა თავიო... დალახვროს ეშმაკმა, როგორ მოვკლა? მე რომ კარი შევადლო, ისევე გამოქანდება და დამასწრებს. ჯანდაბას მისი თავი, რაც იქნება, იქნება, მაინც ვერ მომახვედრებს, ამაცდენს!“

ასე ეწამებოდა ვერხოვენსკი, თან განზრახულის გარდუვალობა ჰგვრიდა შიშს, თან თავისი გაუბედაობა. ბოლოს სანთელი აიღო და ისევ კარს მიადგა. მარცხენა ხელით, რომელშიც სანთელი ეკავა, სახელურს დააწვა. სახელურმა დაიტკაცუნა. რა უშნოდ გამოუვიდა. „პირდაპირ მესვრის“! გაუელვა თავში. სანთელი ასწია, რევოლვერი მოიმარჯვა და მთელი ძალით კარს ფეხი ჰკრა. მაგრამ არც არავის უსვრია და არც არავის დაუყვირია. ოთახში არავინ იყო.

შეკრთა ვერხოვენსკი. ოთახს სხვა კარი არ ჰქონდა, რომ იქიდან გაპარულიყო. სანთელი უფრო მაღლა ასწია და დაკვირვებით მიმოიხედა: არა, არავინ ჩანდა. ჯერ ხმადაბლა დაუძახა კირილოვს, მერე ხმას აუწია. არავინ გაეხმინა.

„ნუთუ ფანჯრიდან გადახტა?“

ერთი ფანჯრის სარკმელი მართლაც ღია იყო. „რა სისულელეა, სარკმელში ხომ ვერ გაძვრებოდა?“ ვერხოვენსკი პირდაპირ ფანჯარას მიადგა. „ვერა, ვერ გაძვრებოდა“, - გაუელვა თავში და იმწამსვე მოტრიალდა. უჩვეულო სურათმა ადგილზე გააქვავა.

ფანჯრის პირდაპირ, კედელთან, კარის მარჯვნივ, კარადა იყო. ამ კარადის მარჯვნივ, კუთხეში კირილოვი იდგა. იდგა უმოძრაოდ და უცნაურად, - ხელები ჩამოემშვა და მთელი ტანით ისე აკვროდა კედელს, თითქოს იმალებოდა, დიახ, დიახ, ნამდვილად იმალებოდა. ვერხოვენსკი მხოლოდ მისი სხეულის გამოკვეთილ ნაწილებს ხედავდა. ცოტა მარცხნივ რომ გადაედგა ნაბიჯი, კირილოვს უკეთ დაინახავდა და ამ უცნაურ გამოცანასაც ახსნიდა, მაგრამ ვერ გაეხედა. გულმა ბაგაბუფი დაუწყყო... უცებ

სიბრაზისაგან სისხლმა აასხა თავში: ერთი კი შეჭლრიალა და ფეხების ბაკუნით იმ საშინელი ადგილისაკენ გაექანა.

მაგრამ იქ ისევ მონუსხულივით შედგა. თავზარი დაეცა, რომ მის გაცოფებულ ღრიალზე და ფეხების ბაკუნზე კირილევი არც კი განძრეულა, თითქოსდა მართლა ქვისა თუ სანთლის ქანდაკება იყო, სახეზე მიწისფერი ედო, შავი თვალები უმოძრაოდ მიმტერებოდა სივრცეს. ვერხოვენსკიმ სანთელი ჯერ მალა ასწია და მერე დაუშვა, რომ უკეთ დაენახა მისი სახე. კირილოვი არ უყურებდა, თუმცა ის კი შეამჩნია, ცალ თვალს რომ მაინც ადევნებდა. თავში გაურბინა, მოდი, სანთელს ზედ სახეზე მივადებ „არამზადას“ და რომ დაეწვება, ვნახავ ერთი, რას იზამსო. უეცრივ მოეჩვენა, კირილოვს ნიკაპი შეუტოკდა და ტუჩებზე თითქოს დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა. მაშინ კი აცახცახებული და წონასწორობადაკარგული კირილოვს მხარში ჩააფრინდა.

ის, რაც ამას მოჰყვა, ისეთი უგვანო რამ იყო და ისეთი სისწრაფით მოხდა, ვერხოვენსკის დალაგებით შემდეგში ვერა და ვერ მოეგონებინა. კირილოვს რომ მხარში წაეტანა, მან ელვის სისწრაფით დაამგერა თავი და სანთელი ხელიდან გააგდებინა. შანდალი წკრიალით დაეცა იატაკზე და სანთელი ჩაქრა. იმავე წუთს ვერხოვენსკიმ საშინელი მწვავე ტკივილი იგრძნო მარცხენა ნეკში და შეჰყვირა. შემდეგ მარტო ის ახსოვს, რომ რევოლვერი სამჯერ მთელი ძალით ჩასცხო თავში კირილოვს, რათა კბილები გაეშვებინებინა. ბოლოს ძლივს გამოგლიჯა თითი და ოთახიდან გავარდა. სიბნელებში ძლივს გააგნო გზა. უკან კი საზარელი ღრიალი მოსდევდა: - ახლავე, ახლავე, ახლავე, ახლავე...

ერთი ათჯერ მაინც განმეორდა ეს ყვირილი. ვერხოვენსკი კი გარბოდა და გარბოდა. უკვე პარმალზე იყო, როცა რევოლვერმა იგრილა. მაშინ კი გაჩერდა ბნელ დერეფანში და ხუთი წუთი ყოყმანობდა, დავბრუნდე თუ არაო. ბოლოს მაინც შებრუნდა, მაგრამ სანთელი არ ჰქონდა. იატაკზე კი მონახავდა ხელიდან გაგდებულ შანდალს, მაგრამ ნამწვს რით ანთებდა? უცებ მოაგონდა, გუშინ ფედკას სამზარეულოში რომ შეუვარდა, იქ კუთხეში თითქოს ასანთის დიდ წითელ კოლოფს მოჰკრა თვალი თაროზე. ხელის ფათურით გაემართა მარცხნივ, მოძებნა სამზარეულოს კარი, დერეფანში გავიდა და კიბეზე დაეშვა. თაროზე, სწორედ იმ ადგილას, როგორც ახსოვდა, სიბნელებში მოძებნა ასანთის უხმარი კოლოფი. არ გაუკრავს, ისე ამოვიდა ზევით. კარადასთან, სწორედ იმ ადგილას, სადაც თითში ჩაფრენილ კირილოვს რევოლვერი ჩასცხო თავში, გაახსენდა ნაკბენი ნეკი და იმავე წუთს აუტანელი ტკივილი იგრძნო. მაგრამ კბილი კბილს დააჭირა, რის ვაი-ვაგლახით ანთო ნამწვი, მერე შანდალში ჩადგა და მიმოიხედა: ფანჯარასთან კირილოვის ცხედარი ეგდო, ფეხებით ოთახის კუთხისაკენ. მარჯვენა საფეთქელში დახლილ ტყვიას თავის ქალა გაეხვრიტა და მარცხენაში გასულიყო. იატაკს სისხლისა და ტვინის შხეფები აჩნდა. რევოლვერი ხელში შერჩენოდა თავისმკვლელს. სული ალბათ იმ წუთშივე გაეცხო. ვერხოვენსკიმ ეს ყველაფერი ბეჯითად შეამოწმა, ფეხზე წამოდგა, ფეხაკრეფით გამოვიდა ოთახიდან, კარი გამოიხურა, სანთელი პირველ ოთახში დადგა მაგიდაზე, ცოტა ხანს დაფიქრდა, გადაწყვიტა, ცეცხლს არ გააჩენსო, და აღარ ჩააქრო, შემდეგ ერთხელ კიდევ შეავლო თვალი მაგიდაზე დადებულ წერილს, ანგარიშმიუცემლად ჩაიცინა, რატომღაც ფეხაკრეფით გამოიძურწა სახლიდან, გაძვრა ფედკას ხვრელში და ფიცარი ისევე კოხტად ჩადგა თავის ადგილას.

III

დილის ექვს საათს ათი წუთი აკლდა, როცა სადგურზე ჩამომდგარი კარგა გრძელი მატარებლის წინ ბოლთას სცემდნენ ახალგაზრდა ვერხოვენსკი და მის გასაცილებლად გამოსული ერკელი. ბარგი უკვე ჩაებარებინათ და საკიც მეორე კლასის ვაგონში შეეტანათ, სადაც ვერხოვენსკის ამოერჩია ადგილი. პირველი ზარი უკვე ჩამოჰკრეს, ახლა მეორეს ელოდნენ. ახალგაზრდა ვერხოვენსკი თამამად იყურებოდა აქეთ-იქით და ვაგონში შემავალთ ათვალთვლიერებდა. მაგრამ ახლო ნაცნობებიდან ვერავის მოჰკრა თვალი. მხოლოდ ორ კაცს მიესალმა - ერთი ვაჭარი იყო, რომელსაც შორიდან იცნობდა, მეორე - სოფლის ახალგაზრდა მღვდელი. იგი ორი სადგურის იქით, თავის სამრევლოში მიდიოდა. ამ უკანასკნელ წუთებში ერკელს, ეტყობა, უფრო სერიოზულ საგნებზე უნდოდა ჩამოეგდო სიტყვა, თუმცა რაზე, იქნებ თვითონაც არ იცოდა, მაგრამ ვერ გაებედა კი. რატომღაც ისე ეჩვენებოდა, თითქოს ვერხოვენსკის მასთან ყოფნა უმძიმდა და მოუთმენლად ელოდა, როდის ჩამოჰკრავდნენ ზარს.

- რა თამამად იყურებით აქეთ-იქით, - ძლივს შეჰკადრა მან, თითქოს გაფრთხილება უნდოდა.

- რატომაც არა? ჯერჯერობით ნაადრევია ჩემი დამალვა. დარდი ნუ გაქვთ. მე მხოლოდ იმისი მეშინია, ლიპუტინმა რაღაც ეშმაკად არაფერი დაყნოსოს და აქ არ მოვარდეს.

- პიოტრ სტეპანოვიჩ, ეგენი საიმედო ხალხი არ გახლავთ, - მტკიცედ გამოთქვა თავისი გულისნადები ერკელმა.

- ლიპუტინზე ამბობთ?

- ყველაზე, პიოტრ სტეპანოვიჩ.

- სისულელეა. გუშინდელმა ამბავმა ყველას ხელ-ფეხი შეუკრა. ვერავინ გვიღალატებს. თავს ვინ დაილუპავს, თუ მართლა ჭკუა არ დაკარგა?

- საქმეც ეგაა, რომ დაკარგავენ, პიოტრ სტეპანოვიჩ.

ეს აზრი ალბათ ვერხოვენსკისაც მოუვიდა თავში და ერკელის შენიშვნამ ამიტომ უფრო გააზრაზა.

- თქვენც ხომ არ დაგაფრთხეს, ერკელ? ყველაზე მეტად თქვენი იმედი მაქვს. ახლავა დავრწმუნდი, რა ხალხიც ყოფილა. მაგათ თავს თქვენ გაბარებთ, ერკელ, დღესვე სიტყვიერად გადაეცით ყველაფერი. ამ დილასვე შემოუბრინეთ, ჩემი წერილობითი მითითებები ხვალ ან ზეგ წაუკითხეთ, როცა მოსმენის თავი ექნებათ... მერწმუნეთ, ხვალვე ჭკუაზე მოვლენ, ისე საშინლად დაფრთხებიან, ცვილივით ჩაგადნებიან ხელში... რაც მთავარია, თვითონ არ გაიტეხოთ გული.

- აჰ, პიოტრ სტეპანოვიჩ, ნეტავ არ მიდიოდეთ.

- მე ხომ სულ რამდენიმე დღით მივდივარ. ხელად დავბრუნდები უკან.

- გინდაც პეტერბურგში მიდიოდეთ, პიოტრ სტეპანოვიჩი, განა არ მესმის, ეს საერთო საქმისთვის არის საჭირო, - თავდაჭერით, მაგრამ მტკიცედ წარმოთქვა ერკელმა.

- მე სხვას არც მოველოდი თქვენგან, ერკელ. თუ მიხვდით, რომ პეტერბურგში მივდივარ, იმასაც მიხვდებოდით, გუშინ რომ იმათთვის მეთქვა, ასე შორს მივემგზავრები-მეთქი, გული გაუსკდებოდათ. აკი თქვენი თვალით ნახეთ, რა შვილებიც ბრძანდებიან. ხომ იცით, მე ამას ჩვენი საერთო, ჩვენი დიდი საქმისთვის ვაკეთებ და არა იმიტომ, აქედან გავიპარო, როგორც ეს ვიღაც ლიპუტინს ჰგონია.

- გინდაც საზღვარგარეთ წაბრძანდეთ, პიოტრ სტეპანოვიჩი, განა არ მესმის. განა არ მესმის, რომ თავს უნდა გაუფრთხილდეთ, ვინაიდან თქვენ ყველაფერი ხართ, ჩვენ კი - არარაობა. მე ვიცი, პიოტრ სტეპანოვიჩი, მე ყველაფერი ვიცი

საწყალ ბიჭს ხმაც კი აუკანკალდა.

- გმადლობთ, ერკელ... ვაი, მტკივან თითზე მომიჭირეთ ხელი (მტკივანი თითი ვერხოვენსკის შავი ქალაღიით ჰქონდა საგანგებოდ შეხვეული), - მაგრამ კიდევ გიმეორებთ, პეტერბურგში ამბების დასაყნოსად მივდივარ და იქნებ მეორე დღესვე გამოვბრუნდე. აქაც გაგანოვის მამულში დავსახლდები სხვების თვალის ასახვევად. თუკი ისინი ფიქრობენ, რომ შეიძლება ყველანი ჩავცვივდეთ, პირველი მე წავუძღვები წინ და მივიღებ სასჯელს. თუ ვინიცობა პეტერბურგში შემავიანდა, იმწუთსვე გაცნობებთ... ხომ იცით, რა გზითაც, თქვენ კი იმათ გადასცემთ.

ჩამოჰკრეს მეორე ზარი.

ოჰო, ხუთი წუთი დარჩა გასვლამდე. იცით, რას გეტყვით, ერკელ, მე არ მინდა აქაური ჯგუფი დაიშალოს არ იფიქროთ, მაინცდამაინც დიდად მენადვლებოდეს, საერთო ქსელის ამისთანა კვანძები ისედაც ბლომადაა, ეგ ერთი ჩემთვის დიდ ბედენას არ წარმოადგენს; მაგრამ ზედმეტი ჯგუფი, მოგხსენებათ, საქმეს არ ავნებს. თუმცა თქვენი არ მეშინია, მიუხედავად იმისა, თითქმის მარტოვას გტოვებთ ამ მაიმახებთან. არხეინად ბრძანდებოდეთ, არავინაც არ გაგცემს, ვერ გაბედავენ... აა, თქვენც დღეს მიემგზავრებით? - ერთბაშად შეიცვალა კილო ვერხოვენსკიმ და მხიარულად შეეხმიანა მხიარული სახით მისასალმებლად მისკენ წამოსულ ერთ ყმაწვილს, - არ ვიცოდი, დღეს თუ თქვენც მოჰყვებოდით მატარებელს. საით, დედიკოსთან?

ამ ყმაწვილის დედა მეზობელ გუბერნიაში ცხოვრობდა და დიდძალი მამულების პატრონი იყო. ყმაწვილი კი იულია მიხაილოვნას შორეულ ნათესავად ერგებოდა და ჩვენს ქალაქში ეს ორი კვირა სტუმრად ბრძანდებოდა ჩამოსული.

- არა, ცოტა შორს, რ...ში მივემგზავრები. რვა საათი რა გაძლებს მატარებელში! თქვენ კი პეტერბურგში? - შესცინა ყმაწვილმა კაცმა.

- რატომ იფიქრეთ, მაინცდამაინც პეტერბურგში მივემგზავრები? - მხიარულად გაიცინა ვერხოვენსკიმ.

ყმაწვილმა კაცმა ხელთათმანში გამოკვართული თითი დაუქნია.

- დიახ, დიახ, გამოიცანით, - ყურში იდუმალ წასჩურჩულა ვერხოვენსკიმ, - იულია მიხაილოვნა წერილებს მატანს. იქ ორი-სამი პიროვნება უნდა ვინახულო. თუ ვინ,

კარგად მოგეხსენებათ. თუმცა ჯანდაბას იმათი თავი, მართალი თუ გნებავთ. ეშმაკსაც წაუღია ეს თანამდებობა!

- ნეტა რამ დააფრთხო ასე? - გადაუჩურჩულა ყმაწვილმა კაცმაც: - მეც კი არ მიმიღო გუშინ; ჩემი აზრით, ქმრისა სულ ტყუილად ეშინია, პირიქით, ისე ლამაზად წაიქცა ხანძარზე, ასე ვთქვათ, თავიც კი გაწირა კაცმა.

- თქვენ ეგა თქვით და, - გაეცინა ვერხოვენსკის, - მაგრამ რა ქნას, ეშინია, ვაითუ აქედან უკვე აფრინესო წერილები... ხომ იცით, ვიღაც-ვიღაც ვაჟბატონებმა... ერთი სიტყვით, აქ მთავარი სტავროგინია, უფრო სწორად თავადი კ...ი... ოჰ, ნუ იტყვით, მთელი ამბავია; შესაძლოა გზაში ზოგი რამ გაიმბოთ, რასაც რაინდობა არ დამიშლის... ეს ჩემი ნათესავი გახლავთ, პრაპორშჩიკი ერკელი, მაზრიდან არის, - გააცნო მან ერკელი, რომელსაც ყმაწვილმა რამდენჯერმე ცერად გადახედა. ახალგაზრდა კაცმა ქუდზე მიიღო ხელი. ერკელმა თავი დახარა.

- რვა საათი ვაგონში ყურყუტს რა გაუძლებს, ვერხოვენსკი, იცით რა, აქ ჩვენთან პირველი კლასით ბერესტოვიც მოემგზავრება, პოლკოვნიკია, დიდი სასაცილო პიროვნება, ჩვენს მეზობლად აქვს მამული. ცოლად გარინა ჰყავს (nee de Garine), თვითონაც რიგიანი კაცია. იდეებიც კი აქვს. აქ ორი დღით იყო ჩამოსული. იერალაშის თამაშზე გიჟდება. ხომ არ ჩავსხდომოდით, ჰა? მეოთხეც უკვე ამორჩეული მყავს - ჩვენი ტ-ელი წვეროსანი ვაჭარი პრიპუხლოვი, მილიონერი, მერწმუნეთ, ნამდვილი მილიონერია... გაგაცნობთ, დიდი საინტერესო ფულის ტომარაა, რამდენს ვიცინებთ.

- იერალაშს მართლაც სიამოვნებით ვითამაშებ, მით უმეტეს ვაგონში ძალიან მიყვარს, მაგრამ მე რომ მეორე კლასში ვარ?

- რა ბრძანებაა, იქ რა გინდათ! ჩვენთან გადმოდით. ახლავე ვუბრძანებ ობერ-კონდუქტორს პირველ კლასში გადმოგიყვანონ რა გაქვთ, საკი? პლედიც?

- დიდებულია წავიდეთ!

ვერხოვენსკიმ წამოიღო საკი, პლედი, წიგნი და იმწამსვე დიდი ხალისით გადაბარგდა პირველი კლასის ვაგონში. ერკელი ეხმარებოდა.

ჩამოჰკრა მესამე ზარმა.

- აბა, ერკელ, - ჰაიჰარად გამოუწოდა ხელი ვაგონის სარკმლიდან ვერხოვენსკიმ, - რას იზამ, ახლა ამათ უნდა ვეთამაშო კარტი.

- რისთვის მიხსნით, პიოტრ სტეპანოვიჩ, მე ყველაფერი მესმის, პიოტრ სტეპანოვიჩ!

- მაშ, კარგად მენახეთ, - უთხრა ვერხოვენსკიმ და მაშინვე პირი იბრუნა. ის ყმაწვილი ეძახდა თურმე პარტნიორების გასაცნობად. ეს იყო და ეს, ერკელს მეტი აღარ უნახავს თავისი პიოტრ სტეპანოვიჩი!

შინ ერთობ დაღონებული დაბრუნდა ერკელი. ის კი არ აღონებდა, ვერხოვენსკიმ რომ ასე უცბად მიატოვა ყველანი... არამედ იმ ყმაწვილის დამახეზაზე რომ უცბად შეაქცია ზურგი... ან ეს რა იყო, მხოლოდ კარგად მენახეთო, გადმოსძახა, ხელი მაინც ჩამოერთმია მაგრად.

ყველაზე მეტად ამაზე წყდებოდა გული. საწყალს უკვე რაღაც ეჭვი უღიტიწებდა გულში, რაღაც გუშინდელ საღამოსთან დაკავშირებით, თუმცა ჯერ თვითონაც ვერ გარკვეულიყო ამაში.

თავი მეშვიდე. სტეპან ტროფიმოვიჩის უკანასკნელი მოგზაურობა

I

დარწმუნებული ვარ, იმ უგუნური გადაწყვეტილების ვადის მოახლოება გულს უკუმშავდა სტეპან ტროფიმოვიჩს. დარწმუნებული ვარ, წინა ღამეს, იმ საშინელ ღამეს, შიშმა უღმერთოდ აწამა იგი. ნასტასია ჰყვებოდა შემდეგ, დასაძინებლად გვიან დაწვა და კიდევ ეძინაო. მაგრამ მერე რა: ხომ ამბობენ, სიკვდილის წინა მისჯილებსაც მაგრად სძინავთო. მართალია, გზას დღის სინათლეზე დაადგა, დღის სინათლე კი ნერვიულ კაცს მუდამ მხნეობას მატებს (ვირგინსკის ნათესავ მაიორს, როგორც კი გათენდებოდა, ღმერთი უკვე აღარ სწამდა), მაგრამ დარწმუნებული ვარ, წინათაც შიშის ზარი აიტანდა იმის გაფიქრებაზე, რომ ოდესმე მარტო და ისიც ამისთანა მდგომარეობაში გაუდგებოდა გზას. როცა Stasie[305] და ის თავისი ოცი წლის მანძილზე გამთბარი ბუდე დატოვა და მარტოდმარტო აღმოჩნდა გზაზე, მარტოობის ეს საშინელი გრძნობა პირველ წუთებში ალბათ სხვა უიმედო და განწირულმა ფიქრებმა შეუმსუბუქა. წინასწარვეც რომ სცოდნოდა, თუ რა საშინელება მოელოდა, გზას მაინც დაადგებოდა! მიუხედავად ყველაფრისა, ეს ამბავი რაღაც სიამაყითა და აღტაცებით ავსებდა. დიახ, მას შეეძლო დათანხმებოდა ვარვარა პეტროვნას დიდებულ პირობებს და დარჩენილიყო მის კარზე comme un[306] „ჩვეულებრივი მუქთახორა!“, მაგრამ არ იკადრა სამადლოს დარჩენა. პირიქით, ყველაფერი მიატოვა, გაშალა „ბაირალი დიადი იდეისა“ და აგერ მიჰყვება კიდევ შარაგზას, რათა ამ იდეას თავი შესწიროს! ალბათ ასე გრძნობდა და ასე წარმოედგინა სტეპან ტროფიმოვიჩის თავისი საქციელი.

შემდეგ არაერთხელ შევკითხვივარ ჩემს თავს: რატომ გაიქცა ფეხით, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, და ეტლი არ დაიქირავა? თავდაპირველად ასე ვხსნიდი ჩემს გულში: ამის მიზეზი ორმოცდაათწლიანი გამოუცდელობა და დიდი მღელვარება იყო-მეთქი, ყველაფერზე რომ ფანტასტიკურად გაუმრუდა წარმოდგენა. ალბათ საგზაო მოწმობასა და ცხენებზე ზრუნვა (გინდაც ექვნიებიან ცხენებზე) მეტისმეტად უბრალოდ და პროზაულად ეჩვენა, ხოლო ყარიბად გაჭრა, თუნდაც ქოლგით ხელში, უფრო ლამაზი შურისძიება გამოდიოდა მის თვალში. მაგრამ ახლა კი, როცა ყველაფერი უკან დარჩა, ვფიქრობ, საქმე გაცილებით მარტივად იყო: ჯერ ერთი, ეტლის დაჭერისა შეეშინდა, ვარვარა პეტროვნამ არ გამიგოს და ძალით არ დამაბრუნოსო. ვარვარა პეტროვნა კი მართლაც ასე მოიქცეოდა, ისიც დამორჩილდებოდა და დიდებულ გადაწყვეტილებაზეც სამუდამოდ უარის თქმა მოუხდებოდა. მეორეც - გზის მოწმობა რომ აიღო კაცმა, ხომ უნდა იცოდე, სად მიდიხარ. ამის გადაწყვეტა კი ყველაზე დიდ სატანჯველს წარმოადგენდა სტეპან ტროფიმოვიჩისათვის და არამც და არამც არ შეეძლო. იცოდა, იმის თქმა, ამა და ამ ქალაქში მივდივარო, მყის სულელურსა და შეუძლებელს გახდიდა მისივე თვალში

საკუთარ გადაწყვეტილებას. აბა რა უნდოდა კერძოდ ამ ქალაქში და არა სხვაგან სადმე? ეძიოს ce marchand?[307] მაგრამ რომელი marchand? აქ უკვე მეორე და ყველაზე საშინელი კითხვა იზადებოდა. სინამდვილეში იმ marchand-ზე საშინელი მისთვის არაფერი იყო, ვის სამებრადაც კისრისტეხით გამოექანა და ვისი პოვნა მართლაც ყველაზე მეტად აფრთხობდა. არა, ამას ისევ შარაგზა სჯობია; გაჰყვეს იმ შარაგზას, იაროს და არაფერზე იფიქროს, ვინემ შესაძლებელი იქნება არ იფიქროს. შარაგზა - ეს გრძელი, უსასრულო რამ არის, ვით სიცოცხლე და ოცნება ადამიანისა. შარაგზას აზრი მაინც აქვს. საგზაო მოწმობაში კი აბა რა აზრია? საგზაო მოწმობა ეს სამარეა აზრისა... მაშ, vive la grande route,[308] შემდეგ კი რასაც ღმერთი ინებებს.

ლიზას მოულოდნელი შეხვედრის შემდეგ, რომელიც უკვე აგიწერეთ, სტეპან ტროფიმოვიჩი უფრო გამალებით გაუდგა გზას. შარაგზა სკვორემნიკიდან ნახევარი ვერსის მოშორებით გადიოდა. თავდაპირველად ვერც შენიშნა, რომ ამ გზას ადგას. იმ წუთს არაფრის განსჯის თავი არ ჰქონდა. თქორი ხან გადაიღებდა და ხან ისევ წამოუშენდა, მაგრამ ვერც წვიმას გრძნობდა. ისიც ვერ შეამჩნია, როგორ გადაიგდო საკი მხარზე და როგორ გაუადვილა ამან სიარული. ვერსი თუ ვერს-ნახევარი ექნებოდა გავლილი, რომ უცებ შედგა და მიმოიხედა. ატალახებულ, ბორბლებით გადათხრილ, ტირიფებით შემორაგულ გზას ბოლო არ უჩანდა. მარჯვნივ გატიტვლებული, უკვე დიდი ხნის მოძვილი ყანები გაჭიმულიყო, მარცხნივ ბუჩქნარი და მის უკან პატარა ტყე მოჩანდა. შორს კი, შორს თვალი ძლივს გაარჩევდა ირიბად მიმავალ რკინიგზის ხაზს და მატარებლის კვამლს. მაგრამ ხმა აქამდე ვერ აღწევდა. გული შეეკუმშა სტეპან ტროფიმოვიჩს, მაგრამ მხოლოდ წამით. უნებლიეთ ამოიხვნეშა, საკი ტირიფის ძირას დადო და დასასვენებლად ჩამოჯდა. დაჯდომისას თითქოს შეაკანკალა და პლედი წამოიხურა. რომ შეამჩნია, წვიმა მოდისო, ქოლგა გაშალა დიდხანს იჯდა ასე, ქოლგის ტარი მაგრად ჩაებლუჯა და შიგადაშიგ ტუჩებს აცმაცუნებდა. გონებაში სხვადასხვა სახეები ერეოდა. „Lise, Lise, - ფიქრობდა იგი, - ce Maurice-სთან ერთად. უცნაური ხალხია... ან ის რა უცნაური ხანძარი იყო იქ, ან ეს რა თქვეს, ვინ მოუკლავთო?... მე მგონი, Stasie-მ ჯერ არაფერი იცის და ალბათ ყავაზე მელოდება. მაინც როდის იყო კარტში კაცი წავაგე? ჰმ... ჩვენს რუსეთში, იმ ეგრეთწოდებული ბატონყმობის დროს... ოჰ, ღმერთო ჩემო, მაშ ფედკა რა იყო?“

კანკალმა აიტანა სტეპან ტროფიმოვიჩი და მიიხედ-მოიხედა: „ვაითუ აქ სადმე ბუჩქებში ფედკა იმალება, აკი ამბობენ. სადღაც ამ მიდამოებში ყაჩაღების გუნდი ჰყავსო? ო, ღმერთო ჩემო, მაშინ მე ყველაფერს ვეტყვი, ვეტყვი, რომ დამნაშავე ვარ.. რომ ეს ათი წელი მისი გულისთვის მე აქ უფრო ვიტანჯებოდი, ვინემ იგი იქ, ჯარში... და ჩემს პორტმონეს მივცემ. ჰმ, j'ai en tout quarante roubles; il prendra les roubles et il me tuera tout de meme“.[309] შიშისაგან რატომღაც ქოლგა დაკეცა და გვერდზე მოიღო. შორს, ქალაქის მხრიდან ურემი გამოჩნდა. სტეპან ტროფიმოვიჩი შემფოთებით მიაჩერდა.

Grace a Dieu,[310] ურემი ყოფილა, ტაატით მოდის. ურემი საშიში არაა. აქაური ჯანგაცლილი ცხენებია... მუდამ ვიძახდი, ყველაფერში ჯიშია-მეთქი... თუმცა ამას პიოტრ ილიჩი ამბობდა კლუბში, მაშინ იყო სწორედ მოვუგე, et puis[311] უკან ვიღაცა უზის... მგონი, დედაკაცი უნდა იყოს. დედაკაცი და გლეხი - ceia commence a etre rassurant.[312] დედაკაცი უკანა ზის, გლეხი წინ - დიახ, დიახ, c'est tres rassurant[313]. უკან ძროხაა რქებით გამობმული, c'est rassurant au plus haut degre“.[314]

ურემი ნელ-ნელა გაუპირდაპირდა. ნამდვილი, მაგარი გლახური ურემი იყო. დედაკაცი გატენილ ტომარაზე შესკუპებულიყო, გლახი კოფოზე იჯდა და სტეპან ტროფიმოვიჩის მხარეს გადმოეკიდა ფეხები. ურემის უკან მართლაც რქებით მიბმული წიქარა ძროხა მოჩანჩალებდა. დედაკაცი და გლახი თვალეზდაჭყეტილი უყურებდნენ სტეპან ტროფიმოვიჩს. ისიც ზუსტად ასევე მისჩერებოდა. ათიოდე ნაბიჯით წინ რომ გაუშვა, უცებ ადგა და გამოედევნა. ურემის გვერდით უფრო იმედიანად გრძნობდა თავს. მაგრამ მალე კვლავ დაავიწყდა ყველაფერი და კვლავ არეულ ფიქრს მიეცა. იმას კი ვერ გრძნობდა, რომ გლახისა და დედაკაცისათვის მასზე უფრო გულისხმაში ჩამგდები საგანი ამ წუთას შარაგზაზე არაფერი მოიძებნებოდა.

- ნუ გვიწყენთ, ბატონო, და სადაური ბრძანდებით? - ველარ მოითმინა დედაკაცმა, როცა სტეპან ტროფიმოვიჩმა შემთხვევით შეხედა. ჩამკვრივებული, შავთვალწარბა და თეთრყირმიზა ქალი იყო, ასე ოცდაშვიდი წლისა. წითელი ბაგე ღიმილს გაეპო და თეთრი, სწორი კბილები უელავდა.

- მე... მე მეკითხებით? - მწუხარედ გაიოცა სტეპან ტროფიმოვიჩმა.

- ვაჭარი იქნება ალბათ, - დაბეჯითებით ჩაილაპარაკა გლახმა. ისიც ბრგე ვაჟკაცი იყო, ასე ორმოციოდე წლისა. ბრტყელ, საკმაოდ ჭკვიანურ სახეს დიდი წითური წვერი უმშვენებდა.

- არა, ვაჭარი არა, მე... მე... moi c'est autre chose.[315] - ესლა მოახერხა სტეპან ტროფიმოვიჩმა და ყოველი შემთხვევისათვის საზიდარს ცოტა ჩამორჩა. ახლა უკვე ძროხას მიჰყვებოდა გვერდით.

- ბატონი იქნება ვინმე, - გადაწყვიტა უცხო სიტყვების გაგონებაზე გლახმა და სადავე მოქაჩა.

ცნობისმოყვარეობამ ისევ სძლია დედაკაცს: - იმიტომაც არა, გიყურებთ და ვფიქრობ, სასეირნოდ ხომ არ მობრძანდება-მეთქი?

- მე, მე მეკითხებით მაგას?

- უცხოელები პოეზდით ჩამოდიან, ჩექმებიც თითქოს აქაურ ნახელავს არ გიგავთ...

- სამხედროს ჩექმაა, - თავმომწონედ ჩაურთო გლახ-კაცმა.

- არა, მე სამხედრო არა ვარ, მე...

„ეს რა კვიმატი დედაკაცი ყოფილა, - ჯავრობდა გულში სტეპან ტროფიმოვიჩი, - ან როგორ მათვალთქებენ... mais, enfin...[316] თითქოს რაღაც დავუშავე, თუმცა არაფერი კი დამიშავებია მათთვის“.

დედაკაცმა რაღაც უჩურჩულა გლახს.

- თუ გვიკადრებთ და დაბრძანდებით, ბატონო, წაგიყვანთ.

სტეპან ტროფიმოვიჩი ერთბაშად გამოერკვა.

- კი, კი, ჩემო კეთილებო, დიდი სიამოვნებით, ძალიან დავიღალე, მაგრამ მანდ როგორ ამოვიდე?

„რა საოცარია, - ფიქრობდა გულში, - ამდენი ხანია ძროხას მოვდეგ და ის კი ვერ მოვიფიქრე, დამსვით-მეთქი, მეთხოვა... ეს „ნამდვილი ცხოვრება“ მართლაც ძალიან თავისებური ყოფილა...“

- საით მიბრძანდებით მაინც? - ცოტა არ იყოს ეჭვით იკითხა გლუხკაცმა. ცხენი არ გაუჩერებია.

სტეპან ტროფიმოვიჩი ერთბაშად ვერ მიხვდა, რას ეკითხებოდნენ.

- იქნებ ხატოვოში გნებავთ?

- ხატოვოში? არა, ხატოვოში არა... კარგად არც ვიცნობ. ისე კი გამიგია.

- სოფელზე მოგახსენებთ, აქედან ცხრა ვერსი იქნება.

- სოფელზე? C'est charmant[317], იმიტომაც არა, თითქოს მეუცნაურა რაღაც...

სტეპან ტროფიმოვიჩი კვლავ ფეხით მიაბოტებდა. ურემზე ჯერჯერობით არავინ დასვა. თავში ერთმა ბრძნულმა აზრმა გაჰკრა: - იქნებ გეშინიათ, რომ... პასპორტი თან მაქვს, პროფესორი გახლავართ, ანუ, თუ გნებავთ, მასწავლებელი... ოღონდ მთავარი, მთავარი მასწავლებელი. Oui, c'est comme ca qu'on peut traduire.[318] დამსვით და სამაგიეროდ... ნახევარი შტოფი არაყი ჩემზე იყოს.

- ათი შაური გვიბოძეთ, ბატონო, დიდი ცუდი გზა არის.

- ჩვენც ცოდონი ვართ, - მიატანა დედაკაცმა.

- ათი შაური? კარგი, ათი შაური იყოს. C'est encore mieux, j'ai en tout quarante roubles, mais...[319]

გლუხმა ცხენი გააჩერა. სტეპან ტროფიმოვიჩი რის ვაივაგლახით აფოფხდა ურემზე და დედაკაცის გვერდით ტომარაზე შეყუნცდა. ფიქრები მაინც ჯარასავით უტრიალებდა თავში. დროდადრო თვითონაც უკვირდა, რომ გულისყური ასე დაფანტოდა და რაც საფიქრალი იყო, იმაზე ვერ ფიქრობდა. გულს უკლავდა და სწყინდა კიდეც თავისი ასეთი ავადმყოფური ჭკუის სისუსტე.

- ძროხა... ძროხას რა უნდა უკან? - ჰკითხა თავის მხრივ დედაკაცს.

- რას ამბობთ, ბატონო! გეგონება, ძროხა თავის დღეში არ გინახავთო, - ჩაიჭუჭკუა დედაკაცმა.

- ქალაქში ვიყიდეთ. გაზაფხულის პირზე მთელი საქონელი ჭირმა გაწყვიტა. ჩვენს არემარეში ნახევარიც ვერ გადარჩა. შავ დღეში ვართ.

გლუხმა ისევ გადაუჭირა მათრახი ნაურმალში წაფორხილებულ ცხენს.

- ჰო, რუსეთში ჭირი ხშირად იცის... საერთოდაც ჩვენ, რუსები... კი, კი, ხდება ხოლმე, - აღარ დააბოლოვა სტეპან ტროფიმოვიჩმა...

- თუ მასწავლებელი ბრძანდებით, ხატოვოში რა გინდათ? ან იქნებ გზის გაგრძელებას აპირებთ?

- მე... არა, თითქოს არ ვაპირებ... C'est-a-dire, [320] ერთ ვაჭართან მაქვს საქმე.

- სპასოვში ხომ არა?

- ჰო, ჰო, სწორედ სპასოვში, რა განსხვავებაა.

- სპასოვში თუ მიდიოდით, ისიც ფეხით, მაგ თქვენი ჩექმებით ერთ კვირას ვერ ჩააღწევდით, - ჩაიხითხითა დედაკაცმა.

- დიახ, დიახ, ეგეც სულ ერთია, mes amis,[321] სულ ერთია, - მოუთმენლად გააწყვეტინა სტეპან ტროფიმოვიჩმა.

„ეს რა ცნობისმოყვარე ხალხს გადავეყარე; თუმცა ქალი კაცზე უკეთ ლაპარაკობს. როგორც ვატყობ, ცხრამეტი თებერვლის შემდეგ ცოტა უფრო გამართულად დაუწყიათ ლაპარაკი... ან რაში ეკითხებათ, სპასოვში მივდივარ თუ სხვაგან? ფულს მივცემ, რაღას ჩამციებიან?“..

- სპასოვში თუ აპირებთ, პარახოდზე უნდა დაჯდეთ, - აღარ ეშვებოდა გლეხი.

- კი, კი, სწორია, - გატაცებით დაატანა დედაკაცმა, - იმიტომ რომ ურმით თუ წახვალთ, კაი ოცდაათი ვერსით დაიშორებთ გზას.

- ორმოციმთაც დაიშორებს.

- ხვალ ორი საათისთვის სწორედ უსტიევოში ჩაუსწრებთ პარახოდს, - დაასკვნა დედაკაცმა.

სტეპან ტროფიმოვიჩი ჯიუტად დუმდა. გაჩუმდნენ შემკითხველებიც. გლეხი ხანგამოშვებით მათრახს გადაუჭერდა ცხენს; დედაკაცი თითო-ოროლა სიტყვას გადაუგდებდა. სტეპან ტროფიმოვიჩს ჩასთვლიდა. ძალიან გაუკვირდა, როცა დედაკაცმა კისკისით გააღვიძა და დაინახა, ერთ დიდ სოფელში, სამფანჯრიანი ქოხის წინ იდგნენ.

- ჩაგთვლიმათ, ბატონო?

- რა იყო? სადა ვართ? ეეჰ... სულ ერთი არაა? - ამოიხვნეშა სტეპან ტროფიმოვიჩმა, ურმიდან ჩამოფოფხდა და დაღვრემით მოათვალიერა იქაურობა. საშინლად ეუცხოვა ამ სოფლის სურათი.

- ჰო, სულ არ დამავიწყდა ათი შაურის მოცემა - უჩვეულოდ დაფაცურდა სტეპან ტროფიმოვიჩი, შეეშინდა ალბათ, მარტო არ დამტოვონო.

- ოთახში შევიდეთ და იქ გავსწორდეთ, - მიიპატიჟა გლეხმა.

- კი, კი, მოგეწონებათ, - გაამხნევა დედაკაცმა.

სტეპან ტროფიმოვიჩმა მორყეულ პარმაღზე ააბიჯა.

„ეს რა ხდება ჩემს თავს“, - გაიფიქრა დიდი გაკვირვებითა და შიშით, მაგრამ ქოხში მაინც შევიდა. „Elle l'a voulu“, [322] - მწარედ უჩხვლიტა რაღაცამ გულში და კვლავ ყველაფერი დაავიწყდა. ისიც არ ახსოვდა, რომ ქოხში იყო.

ამ ნათელ, საკმაოდ სუფთა ქოხს სამი ფანჯარა და ორი ოთახი ჰქონდა. სასტუმრო ბაკი არ იყო, მაგრამ მგზავრები ჩვეულებისამებრ აქ ჩერდებოდნენ ხოლმე. სტეპან ტროფიმოვიჩმა დაურიდებლად გაიარა ოთახი, წინა კუთხეში მიჯდა და ფიქრებს მიეცა. საღმის მიცემა დაავიწყდა. სამი საათი წვიმიან გზაზე ჩანჩალის შემდეგ სითბომ საამოდ დაუარა ძვალ-რბილში. ის კი არადა, არამდე რომ ჟრუანტელი უვლიდა, როგორც ნერვიულად აღზნებულ ადამიანებს სჩვევია, სითბომ ეს ჟრუანტელიც რაღაც საამო გახადა. დიასახლისი ღუმელთან ბლინებს აცხობდა. ბლინების სურნელებამ ცხვირში შეულიტინა სტეპან ტროფიმოვიჩს და ბალღური ღიმილით წაიწია დიასახლისისაკენ: - რა არის? ბლინებია? Mais... c'est charmant,[323] - ალუღლუღდა იგი.

- თუკი ინებებთ, ჩემო ბატონო, - მაშინვე შესთავაზა დიასახლისმა.

- დიახ, ვინებებ, სწორედაც ვინებებ და... ჩაისაც გეახლებოდით, - გამოცოცხლდა სტეპან ტროფიმოვიჩი.

- სამოვარი დავდგა? არც მაგაზე დაგზარდებით, ჩემო ბატონო.

მაღე ლურჯად დაფოთლილ დიდ თევშზე ნამდვილი გლეხური ბლინები გაჩნდა, სიფრიფანა, ერბომოსხმული, უგემრიელესი ბლინები. სტეპან ტროფიმოვიჩმა სიამოვნებით გაუსინჯა გემო.

- ჰოი, რა ნოყიერი და გემრიელია! ზედ რომ კიდევ un doigt d'eau de vie.[324]

- არაყი ხომ არ გნებავთ, ჩემო ბატონო?

- დიახ, დიახ, მხოლოდ ცოტა, un tout petit rien.[325]

- მაშ შაურისა, არა?

- შაურისა, დიახ, შაურისა, შაურისა იყოს, მხოლოდ un tout petit rien, - ნეტარების ღიმილით იმეორებდა სტეპან ტროფიმოვიჩი.

გლეხს ოღონდ რამე დაავალე და, თუ შეუძლია, შენთვის არაფერს დაიზარებს. მაგრამ არაყი თუ მოსთხოვე, ჩვეულებრივი გულითადობა ისეთი აღტაცებული ფაციფუციტ შეეცვლება, თითქოს შენი ნათესავი და მოყვარე იყოს. რომ იცოდეს, თვითონ წვეთი არ შეხვდება, მაინც ისეთი ფრენა-ფრენით გაგეგზავნება, გეგონება, შენ მაგივრად იმას ელის ეს სიამოვნება... არ გასულა სამი-ოთხი წუთი (დუქანი ორ ნაბიჯზე იყო), რომ სტეპან ტროფიმოვიჩის წინ არაყი და დიდი მომწვანო სასმისი გაჩნდა.

- ეს ამდენი მე?! - დიდად გაიოცა სტეპან ტროფიმოვიჩმა. - არაყი მუდამ მქონდა სახლში, მაგრამ თუ ერთ შაურად ამდენი მოვიდოდა, ეს არ ვიცოდი.

სტეპან ტროფიმოვიჩმა სასმისი შეავსო და იმ კუთხისაკენ გასწია, სადაც მისი თანამგზავრი შავთვალწარბა დედაკაცი მოკალათებულიყო ტომარაზე, ასე რომ გაუწყალა გული შეკითხვებით. დედაკაცი ჯერ გაიპრანჭა ადათისამებრ, მერე ადგა, როგორ ქალებს სჩვევიათ ხოლმე, სამი ყლუპი გადაჰკრა, სახე ძალზე შეიწუხა, თავი მდაბლად დაუკრა და სტეპან ტროფიმოვიჩს სასმისი დაუბრუნა. მანაც თავი დაუკრა და თავმომწონედ მიუჯდა ისევ სუფრას.

რაღაც ზემთაგონებით დაპატიჟა იმწამს დედაკაცი. მანამდე ეს გუნებაშიც არ ჰქონია.

„დიდებულად, დიახ, დიდებულად ვიცი, ხალხს როგორ მოვექცე, სულ ამას ვეუბნებოდი იმათ“, - გაიფიქრა კმაყოფილმა და დანარჩენი არაფერი თვითონ დაისხა. ჭიქა ნაკლები გამოვიდა, მაგრამ მთელ სხეულში კი საამოდ დაუარა და ცოტა თავშიაც აუვარდა.

„Je suis malade tout a fait, mais ce n'est pas trop mauvais d'etre malade“.[326]

- ხომ არ შეიძენთ, ჩემო ბატონო? - მოესმა ამ დროს ვიღაც ქალის მშვიდი ხმა.

აიხედა სტეპან ტროფიმოვიჩმა და გაოცდა. მის წინ მანდილოსანი იდგა - une dame et elle en avait l'air,[327] ასე ოცდაათ წელს გადაცილებული. ეცვა ქალაქურად, თალხი ფერის კაბაზე ნაცრისფერი შალი მოესხა. სტეპან ტროფიმოვიჩს მყის თვალში მოუვიდა მისი მოკრძალებული, სანდომიანი სახე. ეტყობა, ეს წუთია შემობრუნებულიყო ქოხში. მისი ბარგი, პატარა მუშამბის ჩანთა და პორტფელი, რომელიც შემოსვლისთანავე მოხვდა თვალში, სტეპან ტროფიმოვიჩის გვერდით იდო მერხზე. ქალმა ჩანთიდან ორი პატარა, ლამაზი, ყუაზე ჯვარამოტვიფრული წიგნი ამოიღო და სტეპან ტროფიმოვიჩს გაუწოდა.

- Eh... mais je crois que c'est l'Evangile.[328] დიდი სიამოვნებითაც... ოო, ახლა მესმის... მგონი... Vous etes ce qu'on appelle[329] წიგნის დამტარებელი ბრძანდებით. ბევრი მსმენია და წამიკითხავს... ათი შაური ღირს?

- შვიდი შაური, ჩემო ბატონო.

- დიდი სიამოვნებით, je n'ai rien contre l'“Evangile, et...[330] რა ხანია მინდოდა გადამეკითხა.

ახლად მოაგონდა სტეპან ტროფიმოვიჩს, სახარება რომ აგერ უკვე ოცდაათი წელია არ წაუკითხავს და მხოლოდ შვიდი წლის უკან გაიხსენა რაღაც რენანის წიგნის „Vie de Jesus“[331] მიხედვით. ხურდა არ ეგულებოდა და ისევ ოთხივე თუმნიანი ერთად ამოიღო. ფულის დახურდავება დიასახლისმა იკისრა. მაშინდა შენიშნა სტეპან ტროფიმოვიჩმა, ქოხში რომ კარგა ბლომა ხალხს მოეყარა თავი, რომლებიც დიდი ხანია უთვალთვალეზენ და მასზე ლაპარაკობენ. მსჯელობა იყო აგრეთვე ხანძრის ამბებზეც. ყველაზე მეტს ქალაქიდან ახლახან მობრუნებული ურმის პატრონი ქაქანებდა. იმასაც იძახდნენ, ცეცხლი ძალითაა გაჩენილი და აქ შპიგულინელები ურევიაო.

„გზაში რაზე არ მელაპარაკა და ხანძარზე კი კრინტი არ დაუძრავს“, - რატომღაც გაუელვა გუნებაში სტეპან ტროფიმოვიჩს.

- სტეპან ტროფიმოვიჩ, ბატონო, თქვენ გხედავთ ჩემი თვალები? ამას კი ვეღარ წარმოვიდგენდი!.. ვერ მიცანით განა? - შესძახა ერთმა წვერგაპარსულმა ხნიერმა კაცმა, რომელსაც გრძელსაყელოიანი ფარაჯა ეცვა და შესახედად ნაყმევსა ჰგავდა. სტეპან ტროფიმოვიჩი შეცბა თავის სახელის გაგონებაზე და წაიბუტბუტა: - უკაცრავად, და რაღაც არ მახსენდებით.

- დაგვიწყებოვართ, ბატონო! მე ანისიმი გახლავართ, ანისიმ ივანოვი, ცხონებული ჩვენი ბატონის, გაგანოვის მსახური. თქვენ და ვარვარა პეტროვნა რამდენჯერ

მინახავხართ ჩვენს ნეტარხსნებულ ავდოტია სერგეევნასთან. თქვენთან რამდენჯერ გამოუტანებია ჩემთვის წიგნები. ერთი ორჯერ პეტერბურგული კანფეტებიც მოგართვით მისგან...

სტეპან ტროფიმოვიჩს ღიმი მოერია.

- კი, კი, მახსოვხარ, ანისიმ. აქ ცხოვრობ?

- სპასოვის ახლოს, ვ-ის მონასტერთან, ავდოტია სერგეევნას დის, მარფა სერგეევნას კარზე. იქნებ გაიხსენოთ: მეჯლისზე რომ მიბრძანდებოდა, ეტლიდან გადმოხტა და ფეხი მოიტეხა. ამჟამად მონასტრის ახლოს ცხოვრობს, მეც თან ვახლავარ. ახლა გუბერნიაში მივემგზავრები, როგორც თქვენი მოწყალე თვალი ხედავს, ჩემიანები მინდა მოვინახულო...

- კი, როგორ არა, როგორ არა.

- თქვენმა ნახვამ დიდად გამახარა, ბატონო. თქვენი წყალობა ბევრი მახსოვს, - ანასიმს სახე გაბადროდა. - მაინც საით მიბრძანდებით, ბატონო, ისიც, თუ არ ვცდები, მარტოკა.. მგონი, მარტოკას ჯერ არსად გიმგზავრიათ?

სტეპან ტროფიმოვიჩმა შიშნულად შეხედა.

- კი, სპასოვში მივდივარ... Il me semble que tout le monde va a Spassof...[332]

- ფეოდორ მატვევიჩთან ხომ არა? ვაჰ, რა გაუხარდება, ძველად დიდ პატივს გცემდათ. ახლაც ბევრჯერ გიხსენებთ ხოლმე...

- კი, კი, ფეოდორ მატვევიჩთანაც.

- კაია, კაია... აი ამ გლეხებს კი უკვირთ თქვენზე, ბატონო, ასე ამბობენ, შარაგზაზე ფეხით მომავალი ნახესო. რა აჯამი ხალხია.

- მე... მე... სანადლეო მქონდა დადებული, ანისიმ, აი როგორც ინგლისელებმა იციან, ფეხით ჩავალ-მეთქი, ჰოდა...

სტეპან ტროფიმოვიჩს შუბლსა და საფეთქლებზე ოფლმა დაასხა.

- კაია, კაია... - აღარ ეშვებოდა ანისიმი. სტეპან ტროფიმოვიჩს მეტის ატანა აღარ შეეძლო. ისე შერცხვა, მზად იყო ქოხი დაეტოვებინა. ამ დროს სამოვარი შემოუდგეს მაგიდაზე. რაღაც საქმეზე გასული წიგნის დამტარებელი ქალიც შემობრუნდა. როგორც მხსნელ ანგელოზს, ისე მიეხარა სტეპან ტროფიმოვიჩი და ჩაი შესთავაზა. ანისიმიც მოეშვა და გაშორდა.

გლეხებში მართლაც გაკვირვებული მითქმა-მოთქმა იყო: „ვინ არის, რა კაცია? გზაზე ნახეს, ფეხით მოდიოდა. იმახის, მასწავლებელი ვარო. უცხოელივით კი აცვია. ჭკუაზეც ვერ უნდა იყოს, პატარა ბალღივით არეულად პასუხობს, გეგონება, ვიღაცას გამოქცევია. ფულიც აქვს!“ ერთი პირობა გადაწყვიტეს, უფროსებს ვაცნობოთო, იმიტომ რომ ქალაქშიც არეულობა არისო, მაგრამ ანისიმმა ერთ წუთში მოაგვარა ყველაფერი. დერეფანში გავიდა და იქ აუწყა ყველას, ვისაც მოსმენა სურდა, რომ სტეპან ტროფიმოვიჩი მასწავლებელი კი არა, „დიდი მეცნიერი კაცია, დიდ მეცნიერებას მისდევს, თვითონაც აქაური მემამულე ბრძანდება და ეს ოცდაორი წელი

გენერლის მეუღლე სტავროგინას ოჯახში ცხოვრობს, ყველაზე საპატიო კაცის პირობაზე. ქალაქშია დიდ პატივს სცემენ, თავად-აზნაურთა კლუბში ერთ ღამეში თუმნიანებს აგებს და ჩინითაც სოვეტნიკია, ანუ იგივე, რაც პოდპოლკოვნიკი ჯარში, ნამდვილ პოლკოვნიკზე მარტო ერთი ჩინით დაბალი. ხოლო ფული გენერლის მეუღლე სტავროგინას წყალობით მუდამაც ჩეჩქივით ჰქონდა“, და სხვადასხვა.

„Mais c'est une dame, et tres comme il faut“[333] გაიფიქრა ანისიმის შემოტევის შემდეგ სულმოთქმულმა სტეპან ტროფიმოვიჩმა და სიამოვნებით შეაცქერდა თავის მეზობელ წიგნის დამტარებელ ქალს, კვნიტი შაქრით რომ შეექცეოდა ლამბაქიდან ჩაის. „Ce petit morceau de sucre ce n'est rien...“[334] რაღაც კეთილშობილური და დამოუკიდებელი იგრძნობა ამ ქალში, ამასთან რაღაც სილბოც. Le comme il faut tout pur.[335] ოღონდაც თავისებურად“.

მალე შეიტყო სტეპან ტროფიმოვიჩმა, რომ ის სოფია მატვეენა ულიტინა იყო. ცხოვრობს კ-ში, თავის ქვრივ დასთან, და თვითონაც ქვრივია. მისი ქმარი ფელდფეელი იყო, დამსახურებისათვის პოდპორუჩიკობა მიეღო და სევასტოპოლში დაღუპულიყო.

- თქვენ ჯერ ახალგაზრდა ჩანხართ, vous n'avez pas trente ans.[336]

- ოცდაათოთხმეტისა გახლავართ, - გაეღიმა სოფია მატვეენას.

- როგორ, ფრანგულიც იცით?

- ცოტ-ცოტას ვამტვრევ. ოთხი წელი ერთ კეთილშობილ ოჯახში ვცხოვრობდი და იქ ყმაწვილებისგან ვისწავლე.

სოფია მატვეენა თურმე თვრამეტი წლისა დაქვრივდა, მას შემდეგ რამდენიმე ხანს სევასტოპოლში დაჰყო „მოწყალების დად“, შემდეგ სხვადასხვა ადგილას ცხოვრობდა. ახლა კი დადის აგერ და სახარებას ჰყიდის.

„Mais mon Dieu,[337] თქვენ ხომ არ შეგემთხვათ ჩვენს ქალაქში ის უცნაური, დიახ, დიახ, ფრიად უცნაური ამბავი?

ქალს სახე წამოუწითლდა. აღმოჩნდა, რომ მართლაც მას შეემთხვა.

- Ces vauriens, ces malheureux!..[338] - აღშფოთებისაგან ხმა აუკანკალდა სტეპან ტროფიმოვიჩს. გული შეუკუმმა იმ მწარე, იმ სამულველმა მოგონებებმა. წუთით კვლავ ფიქრებმა წაიღო.

„ვაჰ, ისევ გასულა, - გამოერკვა იგი, როცა ქალი გვერდით ვერ დაინახა, - რა მალიმალ გადის, რაღაც საქმე აქვს; შეწუხებულიც ჩანს... Bah, je deviens egoiste...“[339]

სტეპან ტროფიმოვიჩმა თავი ასწია და ისევ ანისიმი დაინახა, მაგრამ ამჯერად მისთვის ფრიად საშიშ გარემოცვაში. მთელი ქოხი გლეხებით იყო სავსე და ისინი ანისიმს შემოეყარა: აქ იყო ქოხის პატრონი, მისი ნაცნობი გლეხი, ვიღაც ორი სხვა გლეხი (როგორც მერე აღმოჩნდა - მეეტლეები), კიდევ ერთი ჩია, გლეხურად ჩაცმული, თუმცადა გაპარსული მდაბიო, ცოტა გადაკრულში მყოფი, ყველაზე მეტს რომ ლაქლაქებდა. ყველა მათგანს სტეპან ტროფიმოვიჩის სახელი ეკერა პირზე. მისი ნაცნობი გლეხი ირწმუნებოდა, ნაპირის მოვლა ორმოცი ვერსით გზის გაგრძელებას

ნიშნავსო, პარახოდით უნდა იმგზავროსო. შეჭიკჭიკებული მდაბიო და ქობის პატრონი ფიცხად ესიტყვებოდნენ: - შენ, ჩემო ძმაო, მართალი ხარ, მისი მაღალკეთილშობილებისთვის პარახოდით უფრო ახლოა, მაგრამ ეს შენი პარახოდი რომ აღარ მოდის.

- მოვა, მოვა, ერთი კვირა კიდევ ივლის, - ყველაზე მეტად იქაჩებოდა ანისიმი.

- ეგრე კია! მაგრამ რომ არეულად დადის, უსტიევოში ზოგჯერ სამ-სამი დღე უცდიან ხოლმე. დროა ისეთი და იმიტომ.

- ხვალ იქნება, ხვალ, ზუსტად ორ საათზე მოვა, სპასოვში უკვე საღამოთი იქნებით, ჩემო ბატონო, - თავგამოდებით ირწმუნებოდა ანისიმი.

„Mais qu'est ce qu'il a cet home?“[340] - შიშით ცახცახებდა სტეპან ტროფიმოვიჩი.

ახლა მეეტლეები წამოდგნენ წინ და უსტიევომდე სამი მანეთი მოითხოვეს. სხვებიც აყაყანდნენ, ფასი ზომიერია, ასეც ღირს, მთელი ზაფხული აქედან უსტიევომდე ამ ფასად ჩაჰყავდათ ხალხიო.

- მე... აქაც კარგად ვარ.. წასვლა არ მინდა, - ლულულულებდა სტეპან ტროფიმოვიჩი.

- ცამდე მართალი ბრძანდებით, ბატონო, ჩვენს სპასოვში რა ჯობს ახლა ყოფნას, მერე და ფეოდორ მატვეევჩისაც როგორ გაუხარდება თქვენი ნახვა.

- Mon Dieu, mes amis, [341] ეს ჩემთვის ისეთი მოულოდნელი ამბავია.

ამასობაში სოფია მატვეევნაც დაბრუნდა. შეწუხებული, დაღონებული ჩამოჯდა მერხზე და დიასახლისს შესჩვილა: - ვერა, ველარ მოვხვდები სპასოვში!

- განა თქვენც სპასოვში მიემგზავრებით? - შეტოკდა სტეპან ტროფიმოვიჩი.

თურმე ერთი მემამულე ქალი, ნადეჟდა ეგოროვნა სვეტლიცინა გუმინ დაპირებოდა სოფია მატვეევნას, ხატოვოში დამელოდე და სპასოვამდე ჩაგიყვანო, მაგრამ აღარ გამოუარა.

- რა მეშველება ახლა? - იმეორებდა სოფია მატვეევნა.

- Mais, ma chere et nouvelle amie,[342] მეც ხომ შემიძლია ჩაგიყვანოთ იქ, რა ჰქვია იმ სოფელს - სადამდეც ეტლი დავიქირავე? ხვალ კი - ხვალ ერთად გავემგზავრებით სპასოვში.

- განა თქვენც სპასოვში მიბრძანდებით?

- Mais, que faire, et je suis enchante![343] უდიდესი სიამოვნებით წაგიყვანთ. აი, ამათ უნდათ თურმე და კიდევ გავურიგდი... ვის გავურიგდი თქვენგან? - სტეპან ტროფიმოვიჩს უცხად საოცრად მოუნდა სპასოვში წასვლა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ისინი უკვე დახურულ ბრიკაში სხდებოდნენ; სტეპან ტროფიმოვიჩი გამოცოცხლებული და სრულიად კმაყოფილი ჩანდა. სოფია მატვეევნა თავის აზგინად გვერდით ედგა და მადლიერი იღიმებოდა. ანისიმი ეხმარებოდათ და ბრიკასთან ფაცურობდა.

- გზა დამილოცნია, ბატონო ჩემო, ვაჰ, ვაჰ, რარიგ გამახარა თქვენმა ნახვამ!
- მშვიდობით, ჩემო კეთილო, მშვიდობით.
- ფეოდორ მატვეევიჩსაც ინახულებთ, ბატონო...
- კი, ჩემო კეთილო, კი... ფეოდორ პეტროვიჩსაც... ოღონდ მშვიდობით.

II

- იცით, ჩემო მეგობარო, ხომ ნებას დამრთავთ, მეგობარი გიწოდოთ, n'est-ce pas?[344] - დაიდრა თუ არა ბრიჰკა, მაშინვე წამოიწყო სტეპან ტროფიმოვიჩმა, - იცით, მე... J'aime le peuple, s'est indispensable, mais il me semble que je ne l'avais vu de pres. Stasie... cela va sans dire qu'elle est aussi du peuple... mais le vrai people,[345] დიახ, ნამდვილ ხალხს, ვისაც ამ დიდ შარაგზაზე შეხვდება კაცი, მგონი, სხა საქმე არაფერი აქვს. გარდა იმისა, მე სად მივდივარ... თუმცა წყენა იქით იყოს. მე ცოტა თითქოს მერევა სათქმელი, მაგრამ ალბათ ვჩქარობ და იმიტომ.

- ვგონებ, შეუძლოდ უნდა ბრძანდებოდეთ, ბატონო, - მოკრძალებით უთხრა სოფია მატვეევნამ, თუმცა დაკვირვებით კი უყურებდა.

- არა, არა შევიფუთნები და გამივლის, ისე კი მართლა გრილი ქარი უბერავს, ზედმეტად გრილიც. მაგრამ ჩვენ ამას არად ჩავაგდებთ. მთავარი სათქმელი მე სხვა მქონდა. ჩემო chere et incomparable amie,[346] თითქოს ბედნიერი ვარ და ამის მიზეზი თქვენა ბრძანდებით. ბედნიერება კი ჩემთვის სასურველი არ არის, მაშინვე შევუნდობ ხოლმე ჩემს მტრებს...

- მაგაზე კარგი რა არის, ბატონო?

- ყოველთვის არა, ჩემო chere innocente[347] მეგობარო. L'Evangille... Voyez vous, desormais nous le precherons ensemble,[348] და მეც ხალისით გავყიდი მაგ თქვენს ლამაზ წიგნებს, დიახ, ვგრძნობ, რომ ეს კარგი აზრია, quelque chose de tres nouveau dans ce genre.[349] ხალხი მორწმუნეა, c'est admis[350], მაგრამ ხალხმა სახარება ჯერ არ იცის, მე მოვუთხრობ სახარებას... ზეპირ თხრობაში შეიძლება ამ შესანიშნავი წიგნის შეცდომები გაასწორო, თუმცა ამ წიგნის დიდი პატივისმცემელი ვარ. მე აქაც შემიძლია სიკეთე მოვიტანო. მე მუდამ შემეძლო სიკეთე მომეტანა, ამას ყოველთვის ვეუბნებოდი იმათ et a cette chere ingrate...[351] ოო, უნდა ვაპატიოთ და შევუნდოთ ყველას, უპირველეს ყოვლისა, შევუნდოთ და ვაპატიოთ მუდამ და ყოველთვის... იმედია, ჩვენც შეგვინდობენ. რამეთუ ყველანი ერთმანეთის წინაშე დამნაშავენი ვართ... დიახ, დამნაშავენი!..

- ეგ რა კარგი ბრძანეთ.

- დიახ, დიახ... მეც ვგრძნობ, რომ ძალიან კარგად გამომდის. აი ნახეთ, იმათაც რა კარგად ველაპარაკო, მაგრამ მთავარი ნეტა რა უნდა მეთქვა? ტვინი მერევა და აღარ მახსოვს... ხომ ნებას დამრთავთ აღარ დაგშორდეთ? მე ვგრძნობ, რომ თქვენი მზერა... იცით, მე თქვენი თავის დაჭერაც მაკვირვებს; ბატონობით მელაპარაკებით, ლამბაქზე ფინჯანს წამოაქცევთ ხოლმე... იმ უმსგავსო შაქრის კვინტთან ერთად; მაგრამ ამასთან რაღაც ისეთი მომხიბლავი გაქვთ, როგორც მე გატყობთ... ოო, ნუ წითლდებით, ვით

მამაკაცის, ჩემი ნუ შეგეშინდებათ. Chere et incomparable, pour moi une femme c'est tout.[352] მე ვერ გავძლებ, თუ ქალი გვერდით არ მეგულება, მხოლოდ გვერდით... მგონი, საშინლად ავურიე... ველარ მომიგონებია, რისი თქმა მინდოდა. ოო, ბედნიერია ის, ვისაც ღმერთი ცხოვრების გზაზე ქალს შეახვედრებს... და მეც, მგონი, აღტაცებული ვარ. ამ შარაგზაზე შეიძლება თურმე ეზიარო დიად აზრს! ჰო, აი რა მინდოდა მეთქვა - სწორედ ამაზე მინდოდა, ახლად გამახსენდა, თორემ სულ მეზნეოდა. ან ნეტა რისთვის წამოგვიყვანეს აქეთ? იქაც მშვენივრად ვიყავით. აქ კი - cela deviant trop froid A propos, j'ai en tout quarante roubles et voila cet argent.[353] ჰო, ჰო, გამომართვით, მე ამისთანების არაფერი ვიცი, თუ არ დავკარგე, ვიღაც წამართმევს მაინც... ვგონებ, მეძინება; რაღაც თავი მიბრუნის, ძალიან მიბრუნის. ოჰ, რა კეთილი ხართ, რას მახურავთ?

- შეგაცივათ ალბათ, ბატონო, ჩემი საბანი წაგახურეთ, ფულს რაც შეეხება...

- ოჰ, ღვთის გულისათვის, n'en parlons plus, parce que cela me fait mal[354]. ოჰ, რა კეთილი ხართ!

სტეპან ტროფიმოვიჩმა უცბად გაწყვიტა სიტყვა და რაღაც ძალიან მალე ჩაეძინა. ძილში სულ აძიგძიგებდა და აჟრჟოლებდა. ეს ჩვიდმეტი ვერსი ისეთი ოღროჩოღრო გზა იყო, ბრიკა საშინლად ჯაყჯაყებდა. სტეპან ტროფიმოვიჩს მალიმალ ეღვიძებოდა. წამოწევდა თავს ყურთბალიშიდან, სოფია მატვეენამ რომ ამოუღო თავქვეშ, ხელს სტაცებდა და „აქა ხართ?“ ჰკითხავდა, თითქოს ეშინოდა, არ მიმატოვოსო. არწმუნებდა, ძილში სულ კბილებდაკრეჭილი ყბა მესიზმრება და მზარავსო. სოფია მატვეენას დიდად აშფოთებდა მისი მდგომარეობა.

მეეტლემ მგზავრები ერთი დიდი ქოხის წინ გააჩერა. ქოხს ოთხი ფანჯარა ჰქონდა. ეზოში სხვადასხვა ფიცრული ნაგებობანიც ჩანდა. სტეპან ტროფიმოვიჩს გამოეღვიძა, სწრაფად ჩამოვიდა ბრიკიდან და მეორე, ყველაზე დიდ ოთახში შევიდა. ფრიად დაფაცურებული იყო, თუმცა ნამძინარევი სახე კი ჰქონდა. მაშინვე გამოუცხადა დიასახლისს, ეს ოთახი ჩემი უნდა იყოსო. „კარი დაკეტეთ და სხვა არავინ შემოუშვათ, parce que nous avons a parler. Oui, j'ai beaucoup a vous dire, chere amie.[355] ნუ გეშინიათ, ფულს გადაგიხდით!“ - ხელი აუქნია დიასახლისს. დიასახლისი მაღალი, ძვალმსხვილი, ულვაშიანი ქალი იყო, ასე ორმოციოდე წლისა, ნახშირივით შავი თმა ჰქონდა.

სტეპან ტროფიმოვიჩი ძლივს ატრიალებდა ენას, თუმცა ძალიან ჩქარობდა. დიასახლისი წარბშეკრული იდგა. უარი არ უთქვამს, მაგრამ მისი დუმილი კარგს არაფერს მოასწავებდა. სტეპან ტროფიმოვიჩს არაფერი შეუმჩნევია, საჩქაროდ მოითხოვა (ძალზე კი ჩქარობდა), ახლა წადით და რაც შეიძლება მალე მოგვართვით სადილი, წუთი არ დააგვიანოთო.

ეს კი ველარ მოითმინა ულვაშიანმა დედაკაცმა: - აქ სასტუმრო ბაკი ხომ არ გგონიათ, ბატონო, მგზავრებისთვის ჩვენ სადილს არ ვამზადებთ. კიბოების მოხარშვა თუ სამოვრის დადგმა კიდევ ჰო, შეიძლება. სხვა კი არაფერი გვაქვს. ცოცხალი თევზი მხოლოდ ხვალისთვის იქნება.

სტეპან ტროფიმოვიჩმა ისევ აუქნია ხელი. მე გადაგიხდით, გადაგიხდით, ოღონდ ჩქარა-ჩქარაო, - იმეორებდა განრისხებული. ბოლოს თევზის წვნიანსა და შემწვარ

ქათამზე მორიდდნენ. დიასახლისმა განაცხადა, მთელ სოფელში ქათამს ვერსად იშოვო, მაგრამ საშოვნელად წასვლაზე კი მაინც დათანხმდა, ოღონდაც ისეთ სახით, თითქოს დიდი წყალობა მოიღო.

დედაკაცის გასვლისთანავე სტეპან ტროფიმოვიჩი დივანზე ჩამოჯდა და სოფია მატვეევნაც გვერდით მოისვა. ეს საკმაოდ დიდი ოთახი (რომელიც გადატიხრული იყო და ტიხარს იქით საწოლი იდგა), უბადრუკი დივან-სავარძლები, ძველი ყვითელი, გაცვეთილი შპალერი, კედლებზე მითოლოგიური შინაარსის საშინელი ლითოგრაფიები, წინა კუთხეში ჩარიგებული ხისა თუ სპილენძის ხატები, სხვადასხვა ყაიდის უცნაური ავეჯი ფრიად საცოდავ შთაბეჭდილებას ახდენდა თავისი ქალაქური და ამავე დროს ადამჟამური სოფლური იერით. მაგრამ სტეპან ტროფიმოვიჩს ყურადღებაც არ მიუქცევია ამისთვის და არც ფანჯარაში გაუხედავს, საიდანაც ათიოდე საჟენის მოშორებით ვეებერთელა ტბა მოჩანდა.

- ძლივს არ დავრჩით მარტო, აღარავინ არ შემოვუშვათ! მე მინდა მთელი ჩემი ცხოვრება გიამბოთ, თავიდან მოყოლებული.

სოფია მატვეევნამ შეშფოთებით გააწყვეტინა სიტყვა.

- იცით თუ არა, სტეპან ტროფიმოვიჩ...

- Comment, vous savez deja mom nom?[356] - გაუხარდა სტეპან ტროფიმოვიჩს.

- ანისიმ ივანოვიჩისაგან გავიგე, წელან რომ ელაპარაკებოდით. ჩემი მხრივ მინდა მოგახსენოთ...

ქალმა კარს გახედა, ხომ არავინ გვისმენსო. და მერე საჩქაროდ უამბო ჩურჩულით, რა უბედურ სოფელშიაც მოხვდნენ. მისი გადმოცემით, აქაური გლეხები, რომლებიც მეთევზეებად ითვლებიან, ზაფხულობით მგზავრებს ტყავს აძრობენ და ამით ირჩენენ თავს. ამ მიყრუებულ სოფელში შარაგზა არ გადის. მაგრამ გემი კი ჩერდება და ხალხიც იმიტომ ჩამოდის. ხოლო როცა გემს დააგვიანდება - ეს კი უამინდობის გამო ხშირად ხდება - რამდენიმე დღეში ისე გაიჭედება სოფელი, თავისუფალი ქოხი აღარ რჩება. გლეხებიც ამას ელიან, ყველაფერს მაშინვე ერთი სამად აძვირებენ. მათი მასპინძელიც გულზვიადი და მედიდური გლეხია. აქაურებთან შედარებით მდიდარ კაცად ითვლება, ამბობენ, მარტო მისი ბადე ასი თუმანი ღირსო.

სტეპან ტროფიმოვიჩი საყვედურით შესცქეროდა სოფია მატვეევნას გამოცოცხლებულ სახეს და რამდენჯერმე შეეცადა შეეჩერებინა. მაგრამ ქალმა მაინც დაამთავრა თავისი სათქმელი: ამ ზაფხულს თურმე უკვე ყოფილიყო აქ „ერთ ქალაქელ კეთილშობილ ქალბატონთან“ ერთად, ორი დღე ელოდნენ გემს და ისეთ უბედურ ყოფაში ჩაცვივდნენ, იმ დღეების მოგონება ახლაც კი ზარავს. „თქვენ კი, სტეპან ტროფიმოვიჩ, ცალკე ოთახი მოითხოვეთ... ამას იმიტომ გეუბნებით, ბატონო, მინდა აქედანვე იცოდეთ... იქ, იმ ოთახში უკვე იცდიან მგზავრები, ერთი ხნიერი კაცი, ერთიც ახალგაზრდა და კიდევ ერთი ქალბატონი ყმაწვილებით. ხვალ ორი საათისათვის მთელი ქოხი გაიჭედება. გემი ორი დღეა არ მოსულა და ხვალ უთუოდ მოვა. ჰოდა, ცალკე ოთახის, სადილისა და კიდევ სხვა მგზავრების წყენინებისთვის იმდენს გამოგართმევენ, ბატონო, ამდენი დიდ ქალაქშიაც არ დაგიჯდებოდათ...“

სტეპან ტროფიმოვიჩი ჭემმარიტად იტანჯებოდა: - Assez, mon enfant, [357] გევედრებით; nous avons notre argent, et après - et après le bon Dieu.[358] მიკვირს კიდევ, თქვენისთანა ამაღლებული გრძნობების ქალი და... Assez, assez, vous me tourmentez,[359] - აღმოხდა ისტერიკულად: - ჩვენ წინ მთელი მომავალია, თქვენი კი... ამ მომავლის შიშს მიღვიძებთ.

სტეპან ტროფიმოვიჩმა მაშინვე გადმოუშალა მთელი თავისი თავგადასავალი. ისე ჩქარობდა, თავდაპირველად კაცი ვერაფერს გაუგებდა. შემოიტანეს თევზის წვნიანი, იმას ქათამი მოაყოლეს, მერე სამოვარიც მოართვეს, სტეპან ტროფიმოვიჩი კი ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა... ეს გაუთავებელი ლაპარაკი ცოტა ავადმყოფურად ეჩვენებოდა ადამიანს, მაგრამ ის ხომ მართლაც ავად იყო. გონების ეს უეცარი დამაბვა, რა თქმა უნდა, შემდეგ უფრო მისუსტებდა მის ისედაც მისუსტებულ ორგანიზმს. შეწუხებულ სოფია მატვეევნას უკვე უგრძნობდა გული. ჯერ ბავშვობიდან დაიწყო სტეპან ტროფიმოვიჩმა, როცა „გული ქორფა ჰქონდა და მინდორ-ველად დანავარდობდა“. მხოლოდ ერთი საათის შემდეგ მიაღწია თავისი ორი ქორწინებისა და ბერლინში ცხოვრების ამბავს. ო, მე დაცინვას სულაც არ ვფიქრობ. მისთვის ეს მართლაც მეტად ბევრს ნიშნავდა და, თანამედროვის. ეს ქალი უკვე ამოერჩია თავისი მომავალი ცხოვრების თანამგზავრად და, ასე ვთქვათ, ეშურებოდა თავისი ამბის განდობასა და ზიარებას. ამ ქალისათვის საიდუმლოდ არ უნდა დარჩენილიყო მისი გენიოსობა... იქნებ დიახაც აჭარბებდა სოფია მატვეევნას შეფასებაში, მაგრამ უქალოდ გაძლება სტეპან ტროფიმოვიჩს არ ძალუძდა. თვითონაც ატყობდა სახეზე, ქალს მისი თითქმის არაფერი ესმოდა, მთავარიც კი ვერ გაეგო.

„Ce n'est rien, nous attendrons[360], ჯერჯერობით კი გული უკარნახებს...“

- ჩემო მეგობარო, ჩემთვის მთავარი თქვენი გულია! - შესძახებდა ხოლმე შუა ლაპარაკში. - ოღონდაც ეგრე საყვარლად, ეგრე მომხიბლავად მიყურეთ ხოლმე! ო, ნუ წითლდებით! აკი გითხარით.

ყველაზე უფრო მაშინ დაებნა ტვინი საწყალ სოფია მატვეევნას, როცა სტეპან ტროფიმოვიჩმა მთელი დისერტაცია წაუკითხა იმაზე, თუ როგორ არ ესმოდა არავის მისი და როგორ „ილუპებიან რუსეთში ნიჭიერი ადამიანები“. ეს ყველაფერი ძალიან ჰკვიანური იყო, ბატონო, დაღონებით ჰყვებოდა შემდეგ ქალი. სოფია მატვეევნა თვალდაჭყეტილი ისმენდა ყველაფერს და აშკარად იტანჯებოდა. როცა სტეპან ტროფიმოვიჩი იუმორზე გადავიდა და მასხარად აიგდო ეს ჩვენი „მოწინავე, გაბატონებული ხალხი“, დარდიან გულზე სოფია მატვეევნამაც სცადა მის კვალობაზე ერთი-ორჯერ ჩაქირქილება, მაგრამ ისე საცოდავად გამოუვიდა, სტეპან ტროფიმოვიჩიც კი შეცბა და მთელი თავისი გაბოროტება ახლა ნიჰილისტებსა და „ახალ თაობას“ დაატეხა თავს. ამან ხომ სულ დააფრთხო ქალი. ცოტაოდენი შვება მაშინდა იგრძნო, როცა მთხრობელი რომანზე გადავიდა, თუმცა ეს შვება ნაადრევი გამოდგა. ქალი მაინც ქალია, გინდაც მონაზვნის სამოსელი ეცვას. სოფია მატვეევნა იღიმებოდა, თავს აქიცინებდა, წითლდებოდა, თვალებს ძირს ხრიდა და სტეპან ტროფიმოვიჩს უფრო მეტ ალტყინებასა და შთაგონებას უღვივებდა. იმ ზომამდეც კი, რომ ბევრი ტყუილიც გამოურია. ვარვარა პეტროვნა მის გადმოცემაში უტურფეს შავგვრემან ქალად იქცა („რომლის სილამაზეს მოჯადოებული ჰყავდა მთელი პეტერბურგი და ევროპის მრავალი ქალაქი“), მისი ქმარი კი „სევასტოპოლში ტყვიამ გაგმირა“, რამეთუ ცოლის სიყვარულის უღირსად იგრძნო თავი და თავის მეტოქეს,

ანუ იმავე სტეპან ტროფიმოვიჩს დაუთმო იგი... „ნუ, ნუ წითლდებით, ჩემო სათნო, ჩემო ქრისტიანო! - ეუბნებოდა სოფია მატვეევნას და თითქმის თვითონვე სჯეროდა, რასაც ჰყვებოდა, - ეს იყო ისეთი ამაღლებული, ისეთი სპეტაკი გრძნობა რომ ერთმანეთისთვის არასოდეს გაგვიმხელია“. ამის მიზეზი შემდგომ გადმოცემაში უკვე ერთი ქერა ასული გამოდიოდა (არ ვიცი, თუ დარია პავლოვნას არა, სხვას ვის გულისხმობდა სტეპან ტროფიმოვიჩი). ეს ქერა ასული დიდად ნაწყალობები იყო შავგვრემანი ქალისაგან და შორეული ნათესავის კვალობაზე მის სახლში გაიზარდა. შავგვრემანმა რომ შეამჩნია, ქერა ასულს სტეპან ტროფიმოვიჩი უყვარსო, გულში ჩაიმარხა ყველაფერი. ქერა ასულმა თავის მხრივ რომ შენიშნა, შავგვრემან ქალს სტეპან ტროფიმოვიჩი უყვარსო, იმანაც ყველაფერი ჩაიკლა გულში. ამგვარად მთელი ოცი წლის მანძილზე სამივენი საკუთარ კეთილშობილებას შეეწირნენ და ყველაფერი გულში ჩაიხშეს. „ვაჰმე, რა სიყვარული იყო, რა სიყვარული!“ - ქვითინით იძახდა გულწრფელად აღტაცებული სტეპან ტროფიმოვიჩი. - მე მოწმე ვიყავი, დღითიდღე როგორ მშვენივრებოდა იგი (შავგვრემანი ქალი), „გული მიკვდებოდა“, როცა ის გვერდით ჩამივლიდა თავისი სიტურფით თითქოს დარცხვენილი (ერთხელ ასეც თქვა: თავისი სიმსუქნით დარცხვენილი). ბოლოს მიატოვა ყველაფერი, უარი თქვა ამ ოცი წლის ავადმყოფურ სიზმარზე, - დიახ, vingt ans![361]. და ახლა ადგას ამ დიდ გზას... შემდეგ ისევ სოფია მატვეევნას მიუბრუნდა და ტვინაღზუნებულმა ახსნა დაუწყო, თუ რას ნიშნავდა მათი დღევანდელი „ესოდენ უეცარი და საბედისწერო შეხვედრა უკუნისიდან უკუნისამდე“. სოფია მატვეევნა საშინლად დააფრთხო ამ სიტყვებმა და დივნიდან წამოდგა. ხოლო როცა სტეპან ტროფიმოვიჩმა მის წინ მუხლის მოყრა დააპირა, ტირილი დაიწყო. მოსალამოვდა. ისინი უკვე რამდენიმე საათი ისხდნენ ამ ჩაკეტილ ოთახში...

- არა, უნდა გამიშვათ, - ლულლულდებდა ქალი, - რას იტყვის ხალხი...

როდის-როდის იხსნა თავი სოფია მატვეევნამ და სტეპან ტროფიმოვიჩმა წასვლის ნება დართო. შეჰპირდა კიდეც, რომ ახლავე დაწვებოდა და დაიძინებდა. გამოთხოვებისას შესჩივლა, თავი ძალიან მტკივაო. სოფია მატვეევნას თავისი საკი და ბარგი იმთავითვე პირველ ოთახში დაეტოვებინა. სახლის პატრონებთან ფიქრობდა ღამის გათევას. მაგრამ იმ ღამეს ძილი არ დასცალდა.

ღამით სტეპან ტროფიმოვიჩს ჩემთვისა და ყველა მისი მეგობრებისთვის კარგად ცნობილმა ქოლერინამ შემოუტია - რაც ჩვეულებრივ ემართებოდა ხოლმე დიდი განცდებისა თუ სულიერი მღელვარების შემდეგ. საწყალმა სოფია მატვეევნამ მთელი ის ღამე თეთრად გაათენა. ავადმყოფის გამო წარამარა გარეთ გადიოდა სახლის პატრონების ოთახის გავლით, რისთვისაც იქ მწოლიარე მგზავრები და დიასახლისი სულ ებუზღუნებოდნენ და ბოლოს ლანძღვაც დაუწყეს, როცა გამთენიისას სამოვრის გაჩაღება დააპირა. სტეპან ტროფიმოვიჩი მთელი ეს ხანი თითქოს ბურანში იყო, თითქოს სიზმარში ხედავდა, სამოვარს რომ აჩაღებენ, რაღაცას ასმევენ (ყოლოს ჩაის), მუცელზე, მკერდზე თბილს ადებენ, მაგრამ ყოველ წამს და წუთს კი გრძნობდა, რომ ის გვერდით იყო. შედიოდა და გადიოდა, ლოგინიდან წამოაყენებდა და ისევ დააწვენდა. ნაშუადღევს სამ საათზე თითქოს ოდნავ მოიხედა, წამოიწია, ფეხები ძირს ჩამოუშვა და ანგარიშშიუცემლად უცებ ქალის წინ დაემხო. ეს არ იყო წედანდელი მუხლის მოყრა, იგი უბრალოდ ფეხებში ჩაუვარდა და კაბის ქობა დაუკოცნა ქალს...

- როგორ გეკადრებათ, მე რა ღირსი ვარ ამისი, - ლულულუღებდა ქალი და ცდილობდა ისევ ლოგინზე დაეწვინა ავადმყოფი.

სტეპან ტროფიმოვიჩმა სასოებით დაიკრიფა გულ-ხელი.

- ჩემო მხსნელო, vous etes noble comme une marquise![362] მე კი დიდი უსინდისო! მთელი ჩემი სიცოცხლე უსინდისო ვიყავი.

- დამშვიდდით, - ემუდარებოდა სოფია მატვეევნა.

- წელან სულ ტყუილები გითხარით, ჩემი უსაქმურობით და ნებივრობით, ჩემივე თავის განსადიდებლად, - ყველაფერი ტყუილი იყო, უკანასკნელ სიტყვამდე. ვაჰმე, რა უსინდისო ვარ, რა უსინდისო!

სტეპან ტროფიმოვიჩს ახლა სხვა სენმა მოუარა და ეს სენი საკუთარი თავის ისტერიკული გაკიცხვა გახლდათ. მე უკვე მოგახსენეთ ამაზე, როცა ვარვარა პეტროვნასადმი გაგზავნილ წერილებზე ვლაპარაკობდი. შემდეგ უეცრივ ღიზა მოიგონა, მათი გუშინდელი შეხვედრა: „ღმერთო, რა საშინელება იყო, - მის თავზე ალბათ რაღაც უბედურება ტრიალებდა, მე კი არაფერი ვკითხე, არ გავიგე! ჩემს თავზე ვფიქრობდი მხოლოდ! ვაიმე, რა დაემართა, თქვენ ხომ არ იცით, რა დაემართა?“ - ევედრებოდა სოფია მატვეევნას.

შემდეგ ფიცს მოჰყვა, რომ „არ უღალატებს“, არა და არა, რომ მას ისევ დაუბრუნდება (ე.ი. ვარვარა პეტროვნას), „ჩვენ ერთად მივალთ ყოველდღე მის პარმალთან (ე. ი. ისა და სოფია მატვეევნა), ჩუმად შევხედავთ, როგორ ჩაჯდება დილ-დილობით კარეტაში და გასასეირნებლად წაბრძანდება... ოო, მე მინდა მეორე ლოყაშიც გამარტყას სილა; ეს ჩემთვის დიდი ნეტარება იქნება! მე ჩემს მეორე ლოყას მივუშვერ, comme dans votre livre.[363] ახლადა მივხვდი მხოლოდ, თუ რას ნიშნავს მეორე... „ყვრიძალი“. წინათ მე ეს არ მესმოდა!“

ეს ორი დღე ყველაზე საშინელი დღეები იყო სოფია მატვეევნას ცხოვრებაში და ახლაც ძრწოლის გარეშე ვერ მოუგონებია. სტეპან ტროფიმოვიჩი ისე ავად შეიქნა, რომ ამჯერად ზუსტად ნაშუადღევის ორ საათზე მოსულ გემს ვეღარ გაჰყვა. ქალმა კი მარტო ვერ დატოვა და სპასოვში ვეღარ წავიდა. სტეპან ტროფიმოვიჩს, მისი თქმით, ძალზე გაუხარდა თურმე გემის წასვლა.

- ძალიანაც კარგი, ძალიანაც კარგი, - ბუტბუტებდა იგი, - სულ იმის შიში მქონდა, ვაითუ წავიდეთ-მეთქი. აქ ისე კარგად ვარ, აქაურობა მირჩევნია ყველაფერს... ხომ არ დამტოვებთ? ოო, ვიცი, ვიცი, არ მიმატოვებთ!

მაგრამ „აქ“ არც ისე კარგად იყო საქმე. თუ რა დღეში იყო ქალი, ამაზე სტეპან ტროფიმოვიჩს ფიქრიც არ უნდოდა. ის ოცნებებში ცურავდა, თავის ავადმყოფობას არად აგდებდა, სისულელეა, გამივლისო, იმახდა დაუდევრად. მისი ფიქრი მხოლოდ იმას დასტრიალებდა, როგორ გაუდგებოდნენ ისა და სოფია მატვეევნა გზას და როგორ გაჰყიდდნენ „ამ წიგნებს“. სთხოვა კიდევ, სახარება წამიკითხეთო.

- დიდი ხანია აღარ წამიკითხავს.. დედანში. ვაითუ მკითხოს ვინმემ და შემემალოს. ხომ უნდა ვიყო მომზადებული.

სოფია მატვეევნა გვერდით დაუჯდა და წიგნი გადაშალა.

- რა მშვენივრად კითხულობთ, - შეაწყვეტინა სტეპან ტროფიმოვიჩმა პირველსავე სტრიქონზე და აღტაცებულმა გაურკვევლად დაატანა: - ვხედავ, რომ არჩევანში არ შევმცდარვარ! - ის სულ აღტაცებული იყო. სოფია მატვეევნამ მთაზე თქმული ქადაგება წაუკითხა.

- Assez, assez, mon enfant,[364] მეტი არ გინდათ... ნუთუ გგონიათ, რომ ეს არ კმარა!

სტეპან ტროფიმოვიჩმა უილაჯოდ მილულა თვალები. იგი ძალიან მისუსტებული იყო, მაგრამ ცნობა არ დაკარგვია. სოფია მატვეევნამ იფიქრა, ალბათ დაძინება უნდაო, და წამოდგა.

- მე მთელი ჩემი წუთისოფელი ვტყუოდი, ჩემო კეთილო, - შეაჩერა სტეპან ტროფიმოვიჩმა. - მართალს რომ ვამბობდი, მაშინაც მხოლოდ ჩემდა საამებლად ვლაპარაკობდი და არა ჭეშმარიტების გულისთვის. წინათაც ვიცოდი, მაგრამ ახლა უფრო ნათლად დავრწმუნდი... ვაჰმე, სად არიან ის მეგობრები, ვისაც ჩემი მეგობრობით შეურაცხვეოდი? ყველას, ყველას! Savez-vous,[365] მე იქნებ ახლაც ვტყუი; ნამდვილად ვტყუი. რაც მთავარია, თვითონვე მჯერა ჩემი ტყუილების. მნელი ყოფილა ამ ქვეყანაზე ისე იცხოვრო, არ მოიტყუო... და... შენივე ტყუილი არ დაიჯერო, დიახ, სწორედ ასეა! მაგრამ მოიცათ, ამაზე მერე... ჩვენ ერთად, ერთად ვივლით! - დასძინა დიდი ენთუზიაზმით.

- სტეპან ტროფიმოვიჩ, „გუბერნიიდან“ ექიმი ხომ არ ჩამოვიყვანოთ? - შეჰკადრა სოფია მატვეევნამ.

სტეპან ტროფიმოვიჩი დიდად განცვიფრდა.

- რისთვის? Est-ce que je suis si malade? Mais rien de serieux.[366] უცხო ხალხი აბა რად გვინდა? იქ რომ შეიტყონ, რა გვეშველება? არა, არა, არავინ არ გვინდა, ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ ერთად!

- იცით, - დაატანა მცირეოდენი დუმილის შემდეგ, - კიდევ წამიკითხეთ რამე, ის ადგილი, სადაც თვალს ჩაკრავთ.

სოფია მატვეევნამ გადაშალა.

- დიახ, დიახ, სადაც შემთხვევით გადაშლით, - გაუმეორა სტეპან ტროფიმოვიჩმა და კითხვა დაიწყო.

- „და ანგელოზსა და ლავდიკისა ეკლესიისასა მიუწერე...“

- ეგ რა არის? საიდან?

- ეს აპოკალფსი გახლავთ.

- O, je m'en souviens, oui, l'Apocalypse. Lisez, lisez,[367] მე მაგ წიგნზე ჩვენი მომავალი ჩავთქვი. ანგელოზიდან წაიკითხეთ, ანგელოზიდან.

- „და ანგელოზსა ლავდიკისა ეკლესიისასა მიუწერე, ვითარმედ: ამას იტყვის ამინ, მოწამე იგი სარწმუნოი და ჭეშმარიტი, დასაბამი დაბადებულთა ღმრთისათაი: ვიცნი საქმენი შენნი, რამეთუ არცა გრილი ხარ, არცა ტფილი. ჯერ-იყო, რაითამცა ანუ გრილი იყავ, ანუ ტფილი. არამედ ესრეთ ნელ-ტფილი ხარ და არცა გრილი, არცა

ტფილი; მეგულების აღმოგდებაი შენი პირისაგან ჩემისა, რამეთუ იტყვ: მდიდარ ვარ და განვმდიდრდი და არარაი მეხმარების. დაარა უწყი, რამეთუ შენ ხარ უბადრუკ და საწყალობელ და გლახაკ და ბრმა და შიშუელ“.

- ასე წერია თქვენს წიგნში! - თვალეზი წამოენთო სტეპან ტროფიმოვიჩს და თავი წამოსწია. - ეგ დიდებული ადგილი მე არასოდეს წამიკითხავს, გესმით: უფრო გრილი, ვინემ ტფილი, გრილი, ვინემ ტფილი, ვინემ მხოლოდ ტფილი. ო, მე დავამტკიცებ, ოღონდ ნუ მიმატოვებთ, ნუ! ჩვენ დავამტკიცებთ, დავამტკიცებთ!

- არ მიგატოვებთ, არა, სტეპან ტროფიმოვიჩ! - ქალმა მისი ხელები გულთან მიიტანა და ცრემლმორეული შეაჩერდა. (რა ვქნა, ძალიან შემეცოდაო იმ წუთს, - ჰყვებოდა მერე).

სტეპან ტროფიმოვიჩს ტუჩები აუცახცახდა.

- მაინც რა გზას დავადგეთ, სტეპან ტროფიმოვიჩ? არაფერი შევატყობინოთ თქვენს ნაცნობებს ან ნათესავებს?

ამ სიტყვებმა ისე დააფრთხო სტეპან ტროფიმოვიჩი, ქალმა ინანა კიდევ, ხელმეორედ რამ მათქმევინაო. აკანკალებული ევედრებოდა სოფია მატვეევნას, არავის შეატყობინოთ, მსგავსი არაფერი განიზრახოთო. ფიციც კი დაადებინა: - არავინ, არავინ არ გვინდა! მარტო ჩვენ ორნი უნდა დავრჩეთ, მარტო ჩვენ ორნი, nous partirons ensemble.[368]

ამ უბედურებას ისიც დაერთო, რომ შიში სახლის პატრონებსაც შეეპარათ და ბუზღუნებდნენ, სოფია მატვეევნას არ უსვენებდნენ. სოფია მატვეევნამ ქირა გადაუხადა, აჩვენა, ფული რომ კიდევ დარჩა და ამით დროებით ცოტა დააშოშმინა. სახლის პატრონმა ახლა სტეპან ტროფიმოვიჩის „საცხოვრებელი მოწმობა“ მოითხოვა. ავადმყოფმა მედიდური ღიმილით მიაშვირა თითი თავის პაწაწინტელა საკს. სოფია მატვეევნამ საკში მისი სამსახურიდან გადადგომის ბრძანება თუ ამდაგვარი რაღაც იპოვა. სტეპან ტროფიმოვიჩს სხვა ცნობა არც ჰქონია თავის ცხოვრებაში. მასპინძელი ამ საბუთმა მაინცდამაინც ვერ დაამშვიდა. იძახდა, სადაც გინდათ წაიყვანეთ, ჩემი სახლი საავადმყოფო კი არაა. რომ მოკვდეს, ვინ იცის, რა თავში საცემი გაგვიხდესო. სოფია მატვეევნამ ექიმზე ჩამოუგდო სიტყვა, მაგრამ მასპინძლის სიტყვებით „გუბერნიიდან“ ექიმის ჩამოყვანა იმდენი დაჯდებოდა, ამაზე ფიქრიც ზედმეტი იყო. ქალი გულშემოყრილი დაუბრუნდა თავის ავადმყოფს, რომელიც კიდევ უფრო მისუსტებული დახვდა.

- ახლა ის ადგილიც წამიკითხეთ.. ღორებზე, - უთხრა უცებ.

- რაზე, ბატონო? - ელდა ეცა სოფია მატვეევნას.

- ღორებზე-მეთქი... მანდვეა... ces cochons...[369] მახსოვს, ეშმაკნი შევიდნენ ღორებში და ყველანი დაიხრჩვენ. უთუოდ წამიკითხეთ. მერე გეტყვით, რისთვისაც მჭირდება. მინდა სიტყვასიტყვით გავიხსენო.

სოფია მატვეევნამ კარგად იცოდა სახარება და ხელად მოძებნა ლუკას სახარებაში ის ადგილი, რაიც მე ეპიგრაფად წავუმძღვარე ჩემს ქრონიკას. აქ ერთხელ კიდევ მოვიყვან: „და იყო მუნ კოლტი ღორთაი მრავალი, მძოვარი მთასა ზედა; და

ევედრებოდეს მას, რაითა უბრძანოს მათ ღორებსა მას შესვლაი. და თავადმან უბრძანა მათ. და გამოვიდეს ეშმაკნი იგი კაცისა მისგან და შევიდეს ღორთა მათ. და მიჰმართა ყოველმან კოლტმან კბოდესა მის და ტბად დაიშთვნეს. ვითარცა იხილეს მწყემსთა მათ საქმე ესე, ივლტოდეს და შევიდეს და უთხრეს ქალაქსა და დაბნებსა. და გამოვიდეს ხილვად, რომელი-იგი იქმნა, და მოვიდეს იესოისა და იხილეს კაცი იგი მჯდომარე, რომლისაგან ეშმაკნი იგი განსრულ იყვნეს, შემოსილი და გონიერი, ფერხთა თანა იესოისთა, და შეეშინა, რამეთუ უთხრეს რომელთა-იგი ეხილვა, ვითარ-იგი ცხოვნდა ეშმაკეული“.

- იცით, ჩემო კეთილო, - წარმოთქვა აღელვებულმა სტეპან ტროფიმოვიჩმა, - savez-vous, - ეს შესანიშნავი... არაჩვეულებრივი ადგილი მთელი ცხოვრება იყო ჩემთვის ლოდი შებრკოლებისა... dans ce livre...[370] ამიტომაც ეგ ადგილი ბავშვობიდანვე დამამახსოვრდა. ახლა მე ერთი რამ მომივიდა ფიქრად; une comparaison.[371] ახლა ბევრი რამ მომდის თავში. იცით, ეს ზუსტად უდგება ჩვენს რუსეთს. ეს ეშმაკნი, გამოსულნი სნეულისაგან და შესულნი ღორებში, - ეს სულ მუწუკები და წყლულებია, უწმინდურება და სიბინძურე, ეშმაკნი და ეშმაკეულნი, რომელთაც შეჭირვებული ჰყავთ ჩვენი ტკბილი სხეული, ჩვენი დიდი რუსეთი საუკუნეთა მანძილზე! Oui, cette Russie, que j'aimais toujours.[372] მაგრამ აზრი ზენარი და ნება ზენარი მოევლინება მას ზეციდან, როგორც იმ ეშმაკებისაგან შეპყრობილ შემლილს და გამოვლენ მისგან ყველა ეს ეშმაკნი, ეს უწმინდურება, მთელი ის სიბილწე, ზედაპირზე ბალღამად გამოსული... და თვითონვე შეიხვეწებიან, გაგვიშვიო, ღორებში შევალთო. თუმცა იქნებ უკვე შესულნიც არიან! დიახ, დიახ, ეს ჩვენ ვართ, ჩვენ და ისინიც. პეტრუშაც... et les autres avec lui.[373] დიახ, იქნებ მე პირველი, ყველაზე წინ და გაგიჟებულნი, გაცოფებულნი გადავეშვებით ყველა კბოდესა მას ტბად და დავიშთვებით. გზაც იქითა გვქონია, ჩვენგან სხვა სიკეთე არც გამოდნება. მაგრამ სნეული კი ცხოვნდება და იხილავს მას ყველა „მჯდომარესა... ფერხთა თანა იესოისათა“... და გოცებულნი შეაცქერდებიან... ჩემო კარგო, vous comprendrez après.[374] ახლა კი ძალიან მალეღვებს... Vous comprendrez après... nous comprendrons ensemble.[375]

სტეპან ტროფიმოვიჩს ყველაფერი აერია და მალე ცნობა დაჰკარგა. ასე გაგრძელდა მთელი მეორე დღე. სოფია მატვეევნა გვერდით ეჯდა და ცრემლად იღვრებოდა. ეს სამი ღამე თითქმის თვალი არ მოუხუჭავს. სახლის პატრონებსაც პირს არიდებდა. გრძნობდა, რაღაცას აპირებენო. ხსნა მხოლოდ მესამე დღეს მოევლინა. დილას სტეპან ტროფიმოვიჩი გონს მოვიდა, იცნო ქალი და ხელი გაუწოდა. სოფია მატვეევნას იმედი მიეცა და პირჯვარი გადაიწერა. ავადმყოფმა ფანჯარაში გახედვა ისურვა; „Tiens, un lac,[376] - წაილაპარაკა მან, ოჰ, ღმერთო, მე კი არ დამინახავს“. იმავე წუთს ქოხთან ვილაცის ეტლი მოგრიალდა. შეიქნა ერთი ალიაქოთი და ფაციფუცი.

III

ეს გახლდათ ვარვარა პეტროვნა. იგი ოთხცხენიანი ეტლით მობრძანდა ორი ლაქიისა და დარია პავლოვნას თანხლებით. სასწაული აქ არაფერ შუაში იყო: ანისიმი ისე შეაწუხა ცნობისმოყვარეობამ, ქალაქში ჩასვლის მეორე დღესვე შეიარა ვარვარა პეტროვნას სახლში და მსახურებს უამბო, სტეპან ტროფიმოვიჩი სოფელში ვნახე მარტოდმარტო, გლეხებს შარაგზაზე უპოვიათ ფეხით მომავალი, ახლა კი სპასოვში, უსტიევოსკენ გაემგზავრა სოფია მატვეევნასთან ერთად. ვარვარა პეტროვნა მისდა

თავად ფრიად იყო შეშფოთებული და სადაც შეემლო, ყველგან ეძებდა თავის დაკარგულ მეგობარს. ამიტომაც მაშინვე მიჰგვარეს ანისიმი. მოისმინა თუ არა ანისიმის ნაამბობი, რაც მთავარია, სტეპან ტროფიმოვიჩის გამგზავრება უსტიევოში ერთ ბრიკაში ვიღაც სოფია მატვეევნასთან ერთად, ვარვარა პეტროვნა ხელდახელ აიბარგა და უმაღლეს უსტიევოში გაექანა. სტეპან ტროფიმოვიჩის ავადმყოფობაზე წარმოდგენა არ ჰქონდა.

მისმა მრისხანე, მბრძანებლურმა ხმამ სახლის პატრონებიც კი დააფრთხო და შეაშინა. ვარვარა პეტროვნა აქ მხოლოდ ამბის გამოსაკითხად გაჩერდა, დარწმუნებული იყო, სტეპან ტროფიმოვიჩი უკვე სპასოვში იქნებოდა. მაგრამ რომ გაიგო, აქ არის და ავადმყოფი წევსო, აღელვებული შევიდა ქოხში.

- აბა სად არის? აჰა, ეს შენა ბრძანდები! - დაუცაცხანა მას ეს წუთია მეორე ოთახიდან გამოსულ სოფია მატვეევნას. - მაგ უტიფარი სახით მივხვდი, რომ შენ იქნებოდი. აქედან დაიკარგე, უსირცხვილოვ! შენი ჭაჭანება არ ვნახო ამ სახლში. ახლავე გააგდეთ აქედან, თორემ მთელი სიცოცხლე ციხეში ამოგალპობ. ჯერჯერობით სხვაგან სადმე დაამწყვდიეთ: ქალაქში ერთხელ უკვე იჯდა ციხეში და ახლაც ჩაჯდება. შენ, სახლის პატრონო, არ გაბედო და ჩემს აქ ყოფნაში არავინ შემოუშვა. მე გენერლის მეუღლე სტავროგინა გახლავარ, მთელ სახლს მე ვქირაობ. შენ კი, ჩემო კარგო, ანგარიშს ჩამაბარებ ყველაფერში.

ნაცნობი ხმის გაგონებამ თავზარი დასცა სტეპან ტროფიმოვიჩს და ააცახცახა. ვარვარა პეტროვნა უკვე ტიხართან იყო. თვალეზაბრიალებულმა ფეხით მიიწია სკამი, ზურგს დაეყრდნო და დამას უბრძანა: - ცოტა ხანს გარეთ გადი, სახლის პატრონთან დამელოდე. რას დაგიცქვეტია ყურები? კარიც მაგრად გაიხურე.

რამდენიმე ხანს იგი გაავებული დაჰყურებდა სტეპან ტროფიმოვიჩის შეშინებულ სახეს.

- როგორ გიკითხოთ, ჰა, სტეპან ტროფიმოვიჩ? ხომ კარგად ისეირნეთ? - აღმოხდა უცებ ღვარძლიანად.

- Chere, - ალუღლუღდა ზარდაცემული სტეპან ტროფიმოვიჩი, - მე ვეზიარე რუსულ სინამდვილეს... Et je precherai l'Evangile...[377]

- ჰოი, უსირცხვილო, უმადურო ადამიანო! - შეჰკვივლა უცებ ვარვარა პეტროვნამ და ხელები გაასავსავა. - ჩემი თავის მოჭრა და შერცხვენა არ იკმარეთ... ახლა კიდევ ვიღაცას გადაეკიდეთ... ჰოი, უტიფარო, გარყვნილო ბებერო!

- Chere...

სტეპან ტროფიმოვიჩს შიშისაგან ხმა ჩაუწყდა და მხოლოდ თვალეზაბრიალი მიჩერებოდა.

- ვინ არის ის ქალი?

- C'est un ange... C'était plus qu'un ange pour moi,[378] მან მთელი დამე... ო, ნუ ჰყვირით. ნუ ჰყვირით, ნუ შეაშინებთ, chere, chere...

ვარვარა პეტროვნა უმაღლესე წამოიჭრა და შეშინებულმა „წყალი, წყალი ჩქარა!“ იკვილა. სტეპან ტროფიმოვიჩი მალე მოვიდა გონს. მაგრამ ვარვარა პეტროვნას შიშმა მაინც არ გაუარა და ფერდაკარგული დაჰყურებდა მეგობრის შეცვლილ სახეს. ახლადა მიხვდა, რა მძიმედ იყო ავად სტეპან ტროფიმოვიჩი.

- დარია, - წასჩურჩულა მაშინვე დარია პავლოვნას, - ახლავე ექიმ ზალცფიშთან აფრინე კაცი. ეგორიჩი წავიდეს: აქ ცხენები დაიქირაოს, ქალაქიდან კი სხვა ეტლი წამოიყვანოს. შეღამებისას რომ აქ იყვნენ.

დამა ბრძანების შესასრულებლად გაქანდა. სტეპან ტროფიმოვიჩი კვლავ თვალეზღაპრული და შეშინებული იცქირებოდა, გათეთრებული ტუჩები უთრთოდა.

- დაიცა. სტეპან ტროფიმოვიჩ, დაიცა, გეთაყვა! - ეხვეწებოდა პატარა ბავშვივით, - ცოტა ხანს მოიცადე, აგერ დარია მობრუნდება და... ოჰ, ღმერთო ჩემო, დიასახლისო, დიასახლისო, შენ მაინც მოდი, დალოცვილო!

მოთმინებაგამწყდარი ვარვარა პეტროვნა თვითონ გავარდა დიასახლისთან.

- ახლავე, ამ წუთს უკანვე მომგვარეთ ის დედაკაცი. დააბრუნეთ, დააბრუნეთ-მეთქი!

საბედნიეროდ, სოფია მატვეევნა შორს არ იყო წასული, თავის ბოხჩა-ფუთიანად ჭიშკარში მიუსწრეს და მოაბრუნეს. ისე იყო შეშინებული, ხელ-ფეხი უკანკალებდა. ვარვარა პეტროვნა ქორივით დააცხრა და სტეპან ტროფიმოვიჩთან შეათრია.

- აჰა, მოგიყვანეთ ეს ქალიც. ხომ ხედავთ, არ შემიჭამია.

სტეპან ტროფიმოვიჩმა ხელი გამოსტაცა ვარვარა პეტროვნას, თვალეზღაპრული მიიტანა და გულამოსკვნილი ქვითინი წასკდა. მთელი ტანი უკანკალებდა.

- დაწყნარდი, ჰო, დაწყნარდი, გენაცვალე, აბა, გეყოფა! ოჰ, ღმერთო ჩემო, დაწყნარდით-მეთქი! - გააფთრებით შეუტია ვარვარა პეტროვნამ. - ოჰ, მტარვალო, და სულთამხუთავო, ჩემი ცხოვრების სულთამხუთავო!

- ჩემო კარგო! - ძლივს გადაულულულა სტეპან ტროფიმოვიჩმა სოფია მატვეევნას, - თუ შეიძლება გარეთ დაიცადეთ, მე აქ რაღაც მაქვს სათქმელი...

სოფია მატვეევნა მაშინვე გავიდა.

- Cherie, chere... - სული ეხუთებოდა სტეპან ტროფიმოვიჩს.

- დაიცათ, სტეპან ტროფიმოვიჩ, ცოტა ხანს ნულარ ილაპარაკებთ, დაისვენეთ. აჰა, წყალი დალიეთ, დალიეთ-მეთქი!

ვარვარა პეტროვნა ისევ სკამზე ჩამოჯდა. სტეპან ტროფიმოვიჩს მისი ხელი ჩაებღუჯა. დიდხანს არ მისცა ქალმა ლაპარაკის ნება. სტეპან ტროფიმოვიჩმა მისი ხელი ტუჩებთან მიიტანა და კოცნიდა. ვარვარა პეტროვნას კბილი კბილზე დაეჭირა და განზე იყურებოდა.

- Je vous aimais![379] აღმოხდა ბოლოს ავადმყოფს. ეს სიტყვები, ისიც ასეთი ხმით წარმოთქმული, თავის დღეში არ სმენია ვარვარა პეტროვნას.

- ჰმ, - წაიდუღუნა მან.

- Je vous aimais toute ma vie... vingt ans![380]

ქალს არც ახლა გაუღია ხმა. მთელი ორი-სამი წუთი დუმდა და უცებ ჩუმად წაუსისინა: - დაშასთან რომ მიდიოდი, სუნამო დაიპკურე...

სტეპან ტროფიმოვიჩს ენა ჩაუვარდა.

- ახალი ჰალსტუხი გაიკეთე...

დუმილი კიდევ ორ წუთს გაგრძელდა.

- სიგარა გახსოვს?

- ჩემო მეგობარო, - შეძრწუნებით წაიჩიფჩიფა სტეპან ტროფიმოვიჩმა.

- სადამო ხანს, ფანჯარასთან, სიგარით რომ იდექით, მთვარე რომ ანათებდა... ტალავერში საუბრის შემდეგ.. სკვორეშნიკში? გახსოვს თუ არა, - წამოხტა ვარვარა პეტროვნა, ბალიშს ორივე ყურში ჩააფრინდა და მაგრად შეანჯღრია, - გახსოვს თუ არა, შე ფუქსავატო, უნამუსო, სულმოკლე, ქარაფშუტა ადამიანო! - უსისინებდა გააფთრებული ვარვარა პეტროვნა. ბოლოს უშვა ხელი ბალიშს, სკამზე დაეცა და სახეზე ხელები აიფარა. - მორჩა! - მოსხიპა მან და წელში გასწორდა. - ოც წელს ვედარ დაიბრუნებ; მეც კაი სულელი ვარ.

- Je vous aimais, - გულ-ხელი დაიკრიფა ისევ სტეპან ტროფიმოვიჩმა.

- რას აიხირე aimais და aimais! - წამოხტა ისევ ვარვარა პეტროვნა. - თუ ახლავე არ დაგიძინიათ, იცოდეთ, რომ... თქვენ მოსვენება გჭირდებათ; დაიძინეთ, ახლავე დაიძინეთ-მეთქი, თვალეები დახუჭეთ. ვაიმე, იქნებ საუზმე გინდათ? რასა ჭამთ? რასა ჭამს ნეტავ? ოჰ, ღმერთო ჩემო, ის დედაკაცი სადაა?

ვარვარა პეტროვნამ კვლავ ფეხზე დააყენა მთელი სახლი. მაგრამ სტეპან ტროფიმოვიჩმა მისუსტებული ხმით წაილულლულა: ახლა მართლა une heure[381] წავიძინებ, მერე კი - un bouillon, un the... enfin, il est si heureux.[382]

სტეპან ტროფიმოვიჩმა თავი დადო ბალიშზე და თითქოს დაიძინა (ალბათ თავი მოიკატუნა). ქალმა ცოტა შეიცადა და მერე ფეხაკრეფით გამოვიდა გადატიხრულიდან.

ვარვარა პეტროვნა სახლის პატრონების სამყოფში დაბრძანდა, მასპინძლები ოთახიდან გაყარა, დაშას უბრძანა ის დედაკაცი მომიყვანეთ, და დაკითხვას შეუდგა.

- ახლა ყველაფერი დაწვრილებით მიამბე, გეთაყვა, აგერ გვერდით დამიჯექი. აბა?

- მე რომ სტეპან ტროფიმოვიჩს შევხვდი...

- დაიცა, გაჩუმდი. გაფრთხილებ, არაფერი მოიტყუო და დამალო, თორემ ქვესკნელში ვერ დამემალე. აბა გისმენ!

- სტეპან ტროფიმოვიჩს მე... ხატოვოში რომ ჩამოვედი... - ლამის სული შეეხუთა სოფია მატვეენას.

- გაჩერდი ერთ წუთს, რომ გაუტიე, რას გაუტიე? ჯერ ის მითხარი, შენ თვითონ რა ჩიტი ბრძანდები?

სოფია მატვეევნამ რის ვაი-ვაგლახით მოკლედ მოუყვა თავისი თავგადასავალი სევასტოპოლიდან მოყოლებული. ვარვარა პეტროვნას არ შეუჩერებია, სკამზე გამართული იჯდა და ჯიქურ შეჰყურებდა თვალებში.

- რამ დაგაშინა ასე? თვალს რატომ არ მისწორებ? მე მიყვარს, კაცი რომ თვალებში მიყურებს და სიტყვას არ შემარჩენს. განაგრძე.

სოფია მატვეევნამ უამბო, როგორ შეხვდა სტეპან ტროფიმოვიჩს, რა უთხრა წიგნებზე, როგორ გაუმასპინძლდა ვიღაც დედაკაცს არყით...

- ეგრე, ეგრე, ერთი წვრილმანიც არ გამოტოვო, - აქეზებდა ვარვარა პეტროვნა. ქალი მოჰყვა, როგორ გაუდგნენ ისინი გზას, რაები ელაპარაკა გზაში სტეპან ტროფიმოვიჩმა, უკვე „ძალიან ავადმყოფმა“, როგორ უამბობდა რამდენიმე საათი ზედიზედ მთელ თავის თავგადასავალს.

- მითხარი, რა მოჰყვა.

სოფია მატვეევნას ენა დაება. აღარ იცოდა, რა ეთქვა.

- აბა რა მოვყვე, ქალბატონო, თითქმის ვერაფერი გავიგე, - წაილაპარაკა ლამის ტირილით ქალმა.

- ტყუიხარ, რაღაცას მაინც გაიგებდი.

- სულ ერთ შავთმიან ქალბატონზე მიყვებოდა, - აღმური მოედო სახეზე სოფია მატვეევნას, თუმცა ის კი არ გამოჰპარვია, ვარვარა პეტროვნა რომ ქერათმიანი იყო და „შავგვრემანთან“ საერთო არაფერი ჰქონდა.

- შავთმიანზე? მერე რა მოჰყვა? აბა თქვი!

- რომ ის ქალბატონი ძალიან იყო მასზე შეყვარებული, მთელი სიცოცხლე, თითქმის ოცი წელი, მაგრამ ვერ ბედავდა თქმას, ეკრძალებოდა, იმიტომ რომ ძალზე მსუქანი გახლდათ...

- ბრიყვი! - მოსჭრა ვარვარა პეტროვნამ, თუმცა ჩაფიქრებული კი ჩანდა.

სოფია მატვეევნა თითქმის ტიროდა.

- კარგად ვერაფერს მოვყვები, ქალბატონო, დიდად შემაშინა მისმა ავადმყოფობამ, თანაც ვერაფერი გავიგე, მოგეხსენებათ, როგორ ჭკვიანი გახლავთ...

- მაგისი ჭკუა რა შენისთანა დოცლაპიას საქმეა. ცოლობა გთხოვ?

ქალს შეაცახცახა.

- შეუყვარდი? თქვი! ცოლად გამომყევო, გითხრა? - შეუტია ვარვარა პეტროვნამ.

- თითქმის ეგრეც იყო, - აფშლუკუნდა სოფია მატვეევნა. - ოღონდ მე ეს არად ჩავაგდე, ავად გახლდათ და იმიტომ, - დაატანა მტკიცედ და თავი ასწია.

- რა გქვია, როგორ გეძახიან?

- სოფია მატვეევნა, ჩემო ბატონო.

- მაშ, იცოდე, სოფია მატვეევნა, მაგაზე საძაგელი, მაგაზე ქარაფშუტა კაცი არ მოიძებნება... ღმერთო ჩემო! რაო, საზიზღარი ვინმე გგონივარ?

სოფია მატვეევნას თვალები ლამის გადმოუცვივდა.

- სულთამხუთავად მთვლი, მისი ცხოვრების დამღუპველად?

- ეგ როგორ იქნება, ქალბატონო, როცა თქვენ თავად ტირით?

ვარვარა პეტროვნას მართლაც ცრემლებით ავსებოდა თვალები.

- ჰო, კარგი, დაჯექი. ნუ მიფრთხიხარ. აბა ერთხელ კიდევ პირდაპირ შემომხედე თვალებში. რამ გაგაწითლა? დაშა, მოდი აქ, შეხედე. ამას გული მართლა წმინდა აქვს?...

სოფია მატვეევნა, მგონი დაფრთხა კიდეც, როცა ვარვარა პეტროვნამ ლოყაზე ხელი მოუთათუნა.

- მაგრამ ვაი, რომ სულელი ხარ, არ გეპატიება, ისეთი სულელი. კეთილი, ჩემო კარგო, შენთვისაც მოვიცლი. ვატყობ, ეს ყველაფერი სისულელეა. ჯერჯერობით აქ იყავ, ბინას დაგიქირავენ, საჭმელიც ჩემი იქნება... ვინემ არ მოგიკითხავ.

სოფია მატვეევნამ დააპირა უარის თქმა, წასვლა მეჩქარებო.

- რა გაქვს საჩქარო. მაგ შენს წიგნებს ყველას მე ვიყიდი. შენ კი დარჩი აქ. კარგი, კარგი, სიტყვა არ გამაგონო. რომ არ ჩამოვსულიყავი, ხომ მაინც არ დატოვებდი?

- არამც და არამც არ დავტოვებდი, - ნელა, მაგრამ დაბეჯითებით თქვა სოფია მატვეევნამ და თვალები მოიწმინდა.

ექიმი ზალცფიში შუალამისას ჩამოიყვანეს. ეს იყო ფრიად დარბაისელი და საკმაოდ გამოცდილი მოხუცი ექიმი. ამ ცოტა ხნის წინათ რაღაც უსიამოვნება მოსვლოდა თავის უფროსებთან და ამის გამო ადგილიც დაკარგა. ვარვარა პეტროვნა იმავე წუთიდან მის „ქომაგად“ იქცა. ექიმმა ყურადღებით გასინჯა ავადმყოფი, ყველაფერი გამოჰკითხა და ფრთხილად ამცნო ვარვარა პეტროვნას, „სწეულის“ მდგომარეობა ფრიად საეჭვოა ავადმყოფობის გართულების გამო და კაცი ყველაფერს უნდა მოელოდესო. ვარვარა პეტროვნა მთელი ოცი წლის მანძილზე იმდენად იყო შეჩვეული, სტეპან ტროფიმოვიჩისაგან კაცი სერიოზულს არაფერს უნდა მოელოდესო, რომ თავზარი დაეცა და გაფითრდა: - ნუთუ ასე უიმედოდაა საქმე?

- როგორ შეიძლება სულ უიმედო იყოს, მაგრამ...

ვარვარა პეტროვნამ მთელი ღამე ფეხზე გაათენა. როგორც კი ავადმყოფმა თვალი გაახილა და გონზე მოვიდა (ცნობა ჯერჯერობით არ დაჰკარგვოდა. თუმცა ღონე კი თანდათან ელეოდა), მაშინვე თავზე დაადგა და გადაჭრით მოსთხოვა: - სტეპან ტროფიმოვიჩ, ყველაფერს უნდა მოველოდეთ. მე მღვდლის მოსაყვანად გავგზავნე კაცი. ვალი პირნათლად უნდა მოიხადოთ.

ქალმა იცოდა მისი შეხედულებანი და უარისა ძალიან ეშინოდა. ავადმყოფმა გაკვირვებით შეხედა. ვარვარა პეტროვნამ იფიქრა, უარს მეუბნებაო, და დაუყვირა: - სისულელეები არ დამიწყით ახლა! ცუდლუტობის დრო აღარ არის. საკმაოდ იპამპულეთ.

- კი... მაგრამ ნუთუ ასეა ჩემი საქმე?

სტეპან ტროფიმოვიჩი ჩაფიქრებული დათანხმდა. დიდი გაკვირვებით შევიტყვე მერე ვარვარა პეტროვნასაგან, რომ სიკვდილისა სულაც არ შეშინებოდა. ან იქნებ არ დაიჯერა და თავისი ავადმყოფობა კვლავ უბრალო უქეიფობა ეგონა.

მღვდელს მან სიამოვნებით უთხრა აღსარება და ასევე სიამოვნებით ეზიარა. მერე ყველანი შემოვიდნენ, სოფია მატვეევნა, მსახურებიც და ზიარების მიღება მიულოცეს. ყველანი თავშეკავებით იცრემლებოდნენ, მის ჩამომჰკნარ სახესა და გათეთრებულ, აცახცახებულ ტუჩებს რომ უყურებდნენ.

- Oui, mes amis[383], ოღონდაც მიკვირს, ასე... რამ აგაწრიალათ ყველა. ხვალ ალბათ ავდგები და გზასაც გავუდგებით... Toute cette ceremonie...[384] რასაც მე, ცხადია, დიდ პატივსა ვცემ.

- ძალიან გთხოვთ, მამაო, ავადმყოფს არ მოსცილდეთ, - საჩქაროდ შეაჩერა ვარვარა პეტროვნამ მღვდელი, რომელიც შესამოსელის გახდას აპირებდა. - როგორც კი ჩაის შემოიტანენ, გთხოვთ, მაშინვე ღვთაებრივზე დაუწყით საუბარი და რწმენა განუმტკიცოთ.

მღვდელმა არ გააწბილა. ყველანი ავადმყოფის სარეცელს შემოხვეოდნენ, ზოგი იჯდა, ზოგი იდგა.

- ჩვენს ცოდვილ დროში, - დინჯად დაიწყო მღვდელმა, ხელში ჩაის ფინჯანი ეკავა, - რწმენა მამა ზეციერისა ადამიანის ერთადერთი სასოებაა ამ ტანჯვისა და ვაების წუთისოფელში, ისევე როგორც მართალთათვის აღთქმული საუკუნო ნეტარება...

სტეპან ტროფიმოვიჩი გამოცოცხლდა და ტუჩებზე ოდნავ დამცინავმა ღიმმა გადაურბინა.

- Mon pere, je vous remercie, et vous etes bien bon, mais...[385]

- არავითარი mais, რა შუაშია აქ mais! - წამოიჭრა სკამიდან ვარვარა პეტროვნა და შეჰყვირა: - მამაო, ეგ ისეთი კაცია... ერთი საათის შემდეგ ხელახლა დაგჭირდებათ მისი ზიარება! აი რა კაცი გახლავთ!

სტეპან ტროფიმოვიჩი თავშეკავებით იღიმებოდა.

- ჩემო მეგობარნო, - წარმოთქვა მან, - ღმერთი ახლა თუნდაც იმიტომ არის ჩემთვის აუცილებელი, რომ ადამიანს მარტოოდენ მისი სიყვარული შეუძლია მარად...

არ ვიცი, მართლა ირწმუნა, არ ვიცი, ზიარების საიდუმლოების დიდებულებამ მოახდინა გავლენა მის მგრძნობიარე ბუნებაზე. სილამაზე მუდამ უჩვილებდა ხოლმე გულს, ოღონდაც მტკიცედ და, როგორც ამბობენ, დიდი გრძნობით წარმოთქვა რამდენიმე, თავის წინანდელ შეხედულებათა სულ საწინააღმდეგო სიტყვა.

- უკვდავება თუნდაც იმიტომ მომენიჭება, ღმერთი არ იქნება ისე უსამართლო, გულში ჩამიქროს მისი სიყვარულის ერთხელ ანთებული ლამპარი: სიყვარულზე მვირფასი კი განა რა არის? სიყვარული ყოფიერებაზე მაღლა დგას. სიყვარული ყოფიერების გვირგვინია და შეიძლება კი ყოფიერება მას არ ჰმონებდეს? თუ მე შევიყვარე იგი და სიხარული მომგვარა ამ სიყვარულმა, - შეიძლება კი გამაქროს მეც, ჩემი სიხარულიც და არად გვაქციოს? თუ ღმერთი არის, მეც უკვდავი ვარ! Voila ma profession de foi.[386]

- ღმერთი არის, სტეპან ტროფიმოვიჩი, გარწმუნებთ, არის, - ემუდარებოდა ვარვარა პეტროვნა, - ერთხელ მაინც გამოიჩინეთ ჭკუა თქვენს ცხოვრებაში და განუდექით სისულელეებს! (მე მგონი, ვარვარა პეტროვნა მაინცდამაინც კარგად ვერ მიხვდა მის profession de foi-ს).

- ჩემო მეგობარო, - ალტყინება თანდათან უფრო ერეოდა სტეპან ტროფიმოვიჩს, თუმცაღა ხმა მალიმალ უწყებოდა, - როცა მივხვდი... რას ნიშნავდა, მეორე ყვრიმალი მიუშვირეო, მე... სხვასაც მივხვდი... J'ai menti toute ma vie,[387] მთელი ჩემი სიცოცხლე, მე მინდა... თუმცა ხვალ.. ხვალ ყველა ერთად გავეშურებით.

ვარვარა პეტროვნა ატირდა. ავადმყოფი თითქოს ვიღაცას ეძებდა თვალებით.

- აქ არის, აქ! - სტაცა ხელი ქალმა სოფია მატვეენას და მიუყვანა. სტეპან ტროფიმოვიჩმა ნაზად გაუღიმა და ძალამოცემულმა შესძახა: ჰოი, ნეტავ კიდევ მაცოცხლა! სიცოცხლის ყოველი წამი და წუთი ადამიანისთვის დიდი ნეტარება უნდა იყოს... უთუოდ უნდა იყოს! ადამიანი მოვალეცაა ასე მოაწყოს ცხოვრება. ეს სიცოცხლის კანონია, ფარული, მაგრამ ჭეშმარიტი კანონი... ოო, ნეტავ მაჩვენა პეტრუშა... ყველა.. შატოვიც!

აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ შატოვის ამბავი ჯერ არავინ იცოდა, არც დარია პავლოვნამ, არც ვარვარა პეტროვნამ და არც ქალაქიდან სულ ბოლოს ჩამოსულმა ზალცფიშმა.

სტეპან ტროფიმოვიჩს თანდათან მეტი ღელვა დაეუფლა, რაც მის ძალ-ღონეს აღემატებოდა.

- თუნდაც იმის წარმოდგენა, რომ არსებობს რაღაც ჩემზე უსაზომოდ სამართლიანი და ბედნიერი, უკვე მეც მავსებს უსაზღვრო სასოებით, როგორც არ უნდა ვიყო და რაც არ უნდა მქონდეს ჩადენილი! ადამიანმა უნდა იცოდეს და სწამდეს, რომ არის სადღაც უკვე სრულქმნილი ბედნიერება ყველასთვის და ყოველივესთვის, რაიც მისთვის საკუთარ ბედნიერებაზე უფრო მეტად საჭიროა... ყოფიერების ერთადერთ კანონს ის შეადგენს, ადამიანს მუდამ შეეძლოს მუხლმოდრეკა უსაზომოდ დიადის წინაშე. ადამიანებს რომ ეს უსაზომოდ დიადი წაართვა, ისინი ვერ იცოცხლებენ, სასოწარკვეთილება მოუღებთ ბოლოს. უსაზღვრო და უსასრულო ისევ აუცილებელია ადამიანისთვის, როგორც ის პატარა პლანეტა, სადაც ადამიანი ცხოვრობს.. ჩემო მეგობრებო და კეთილებო: გაუმარჯოს დიად აზრს, უკვდავ, უსაზომო და დიადს, ყოველმა კაცმა მუხლი უნდა მოიდრიკოს იმის წინაშე, რასაც დიადი აზრი ჰქვია. დიადი ხომ ყველაზე სუელსაც სჭირდება. პეტრუშა... ვაი როგორ მინდა ყველა ისინი ვნახო ახლა. იმათ არ იციან, არა, რომ ეს უკვდავი, დიადი აზრი მათშიც არსებობს!

ექიმი ზალცფიში არ ყოფილა ზიარებაზე. მაგრამ რომ შემოვიდა და ეს სურათი დაინახა, საშინლად აღშფოთდა და იმ წუთშივე დაიფრინა ყველა, ავადმყოფის აღელვება არ შეიძლება.

სტეპან ტროფიმოვიჩი სამი დღის შემდეგ მიიცვალა. გონს არ მოსულა. ჩაქრა ისე, როგორც სანთელი. ვარვარა პეტროვნამ წესი იქვე აუგო და მერე თავისი საწყალი მეგობრის ცხედარი სკვორეშნიკში გადაასვენა. მისი საფლავი ეკლესიის გალავანშია და უკვე მარმარილოს ქვაც ადევს. წარწერას და რკინით შემოღობვას გაზაფხულისთვის ფიქრობენ. რვა დღე არ ყოფილა ქალაქში ვარვარა პეტროვნა. რომ ჩამოვიდა, სოფია მატვეევნაც ჩამოიყვანა ეტლით. მგონი, სამუდამოდ იტოვებს თავისთან. შევნიშნავ, რომ რა წამს სტეპან ტროფიმოვიჩმა ცნობა დაჰკარგა (ეს იმ დილასვე მოხდა), ვარვარა პეტროვნამ მაშინვე გააძევა ქობიდან სოფია მატვეევნა და უკანასკნელ წუთამდე თვითონ ადგა თავზე და უვლიდა ავადმყოფს. მაგრამ როგორც კი სტეპან ტროფიმოვიჩმა სული დალია, დაუყოვნებლივ მოაყვანინა და უთხრა (უფრო სწორად უბრძანა), სამუდამოდ ჩემთან უნდა დასახლდე სკვორეშნიკში.

სოფია მატვეევნა ძლიერ დააფრთხო ამ წინადადებაზე, მაგრამ ვარვარა პეტროვნას არაფრის გაგონება არ სურდა.

- ნუ სულელობ! მეც შენთან ერთად ვივლი სახარების გასაყიდად, ამქვეყნად ახლა აღარავინ დამრჩა!

- ვაჟი ხომ გყავთ, - შეჰბედა ზალცფიშმა, - მე ვაჟი აღარ მყავს! - მოუჭრა ვარვარა პეტროვნამ, თითქოს ენამ უყივლაო.

თავი მერვე. დასასრული

ყველა ჩადენილი უხამსობა და სიაკვაცე იმაზე გაცილებით მალე გამჟღავნდა, ვინემ ახალგაზრდა ვერხოვენსკი ვარაუდობდა. ქმარი რომ მოუკლეს, იმ ღამეს საბრალო მარია იგნატიევნას გამთენიისას გამოელვობდა. შატოვი რომ თავის გვერდით ვერ დაინახა, ენით აუწერელმა მღელვარებამ მოიცვა. არინა პროხოროვნას დაქირავებულმა მოახლემ, რომელიც ღამეს უთევდა, ვერასდიდებით ვერ დაამშვიდა, ჰოდა, ინათა თუ არა, მაშინვე არინა პროხოროვნასთან გაიქცა. ავადმყოფი დაარწმუნა, იმას ეცოდინება, სადაა თქვენი ქმარი და როდის დაბრუნდებაო. ამასობაში არინა პროხოროვნას უკვე შეეტყო ქმრისაგან სკვორეშნიკში იმღამინდელი მათი ნამოქმედარი და დიდად შეშფოთებული იყო. ვირგინსკი ღამის თერთმეტ საათზე მობრუნებულიყო შინ, სახემშლილი და გაგიჟებული. ხელების მტვრევით დაემხო თურმე ლოგინზე და სულ ქვითინით იმეორებდა: „ეს ის არაა, ეს სულაც არაა ის!“ რა თქმა უნდა, არინა პროხოროვნამ ბოლოს ყველაფერი დააფქვევინა, - თუმცა მის გარდა სხვა არავისთვის გაუმხელია. ცოლმა ლოგინში დატოვა და მკაცრად ჩააგონა: „თუ ტირილი გინდა, ისევ ბალიშში იქვითინე, არავინ გაგიგონოს. დიდი ბრიყვი იქნები, თუ ხვალ რამე დაგეტყო“. არინა პროხოროვნა დიახაც ჩააფიქრა ამ ამბებმა და ყოველი შემთხვევისათვის თადარიგი დაიჭირა: ნაწერები, წიგნები თუ პროკლამაციები გადაძალა და, მგონი, კიდევ მოსპო. ისიც იაზრა, რომ სინამდვილეში თვითონ მას, მის დას, დეიდას, სტუდენტ ქალს და იქნებ გრძელყურა ძმასაც საშიშროება არაფერი ელოდათ. როცა დილას მომვლელი ქალი მოუვარდა შინ,

დაუფიქრებლად გაჰყვა მარია იგნატიევნასთან. საოცრად უნდოდა იმის შეტყობა, მართალი იყო თუ არა მისი ქმრის გუმინდელი ნაბოდვარი ახალგაზრდა ვერხოვენსკის ვარაუდებზე კირილოვთან დაკავშირებით ყველასდა სასარგებლოდ.

მაგრამ მარია იგნატიევნას ვეღარ მიუსწრო. მარტო დარჩენილ ქალს ვერ მოეთმინა, წამომდგარიყო ლოგინიდან, ჰაიჰარად გადაეცვა, რაც ხელში მოხვდა - იმ ამინდისთვის ფრიად თხლად - და კირილოვთან წასულიყო, იმისგან უფრო გავიგებ ნამდვილსო. ადვილი წარმოსადგენია, როგორ იმოქმედებდა ახალნალოგინებ ქალზე, რაც იქ ნახა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, სიკვდილის წინ დაწერილი კირილოვის წერილი, მაგიდაზე რომ იდო, ზარდაცემულს არ შეუნიშნავს და არ წაუკითხავს. მარია იგნატიევნა გამოიქცა თავის ოთახში, ბავშვს ხელი დაავლო და გარეთ გავარდა. წვიმიანი და ნისლიანი დილა იყო. მიყრუებულ ქუჩაში კაციშვილი არ ჰაჰანებდა. ქალი ქლოშინით მირბოდა ამ ცივ, ატალახებულ ქუჩებში. ბოლოს ვიღაცის სახლს მიადგა და კარზე დააბრაზუნა. მაგრამ არ გაუღეს. მეორე სახლიდანაც კარგა ხანს არავინ გამოხედა. ქალმა ახლა მესამე სახლის კარს დაურთო მუშტები. ეს ჩვენი ვაჭრის ტიტოვის სახლი გამოდგა. მარია იგნატიევნას წივილ-კივილმა მთელი სახლი ფეხზე დააყენა, შეშლილივით ირწმუნებოდა, ქმარი მომიკლესო. შატოვი და მისი ამბავი ნაწილობრივ გაგონილი ჰქონდათ ტიტოვის სახლში; თავზარი დაეცათ, როცა შეიტყვეს, ეს ერთი დღის ნალოგინები ქალი ამისთანა ცივ ამინდში თხლად ჩაცმული დარბოდა ქუჩებში ნახევრად შიშველი ახალშობილით ხელში. ჯერ იფიქრეს, ალბათ ბოდავსო, მით უმეტეს, რომ ვერაფრით ვერ გაარკვიეს, ვინ იყო მოკლული: კირილოვი თუ მისი ქმარი? მარია იგნატიევნამ შეამჩნია, არ მიჯერებენო, და გაქცევა დააპირა. მაგრამ აღარ გაუშვეს. ამბობენ, ისე კიოდა და იბრძოდა, ძლივს გააკავესო. მერე ფილიპოვის სახლში მივიდნენ. ორი საათის შემდეგ უკვე მთელმა ქალაქმა იცოდა კირილოვის თვითმკვლელობისა და მისი უკანასკნელი წერილის ამბავი. პოლიციამ ქალი დაჰკითხა, რომელიც ჯერ ისევ გონზე იყო; მაშინდა გაიგეს, კირილოვის წერილი რომ არ წაეკითხა. მაგრამ ის კი ვერ ათქმევინეს, საიდან დაასკვნა, მისი ქმარიც რომ მოკლული იყო. მარტო ამას ყვიროდა: „თუ ის მოკლულია, ჩემი ქმარიც მოკლული იქნება; ისინი ერთად იყვნენ!“ ნაშუადღევს უკვე ცნობა დაკარგა და მერე აღარც მოსულა გონს, ორი-სამი დღის შემდეგ კიდევ გათავდა. გაცივებული ახალშობილი დედაზე ადრე მოკვდა. როდესაც არინა პროხოროვნამ ვერც მარია იგნატიევნა და ვერც ბავშვი ნახა ადგილზე, მაშინვე იაზრა, საქმე ცუდად არისო, და შინ გაქცევა დააპირა. მაგრამ ჭიშკართან მაინც გაჩერდა და მომვლელი ქალი გაგზავნა. წადი და ფლიგელში რომ ბატონი ცხოვრობს, იმას ჰკითხე, თქვენთან ხომ არ არის მარია იგნატიევნა ანდა ხომ არაფერი იცით მისიო? ამბის გასაგებად გაგზავნილი ქალი ისეთი კივილით გამოვარდა უკან, ლამის მთელი ქუჩა შესძრა. არინა პროხოროვნამ უტყუარი საბუთით გააჩუმა, ნუ ყვირი და ნურც ნურავის ეტყვი მომხდარ ამბავს, თორემ ციხეში ჩაგსვამენო, თვითონ კი ეზოდან გაიძურწა.

თავისთავად ცხადია, იგი იმ დილასვე შეაწუხეს, როგორც მელოგინის ბებიაქალი. მაგრამ ბევრი ვერაფერი წამოაცდევინეს: ფრიად საქმიანად და აუღელვებლად მოჰყვა, რა ნახა და გაიგონა შატოვთან. მომხდარ ამბავზე კი განაცხადა, არაფერი ვიცი და არაფერი მესმისო.

თუ რა აურზაურს გამოიწვევდა ქალაქში ეს ახალი „შემთხვევა“ და ახალი მკვლელობა, ალბათ თქვენც მოგეხსენებათ! მაგრამ ამ უკანასკნელ ამბებში კიდევ სხვა

რაც იგრძნობდა: მაშასადამე, თურმე მართლა არსებობდა მკვლევების, ცეცხლის გამჩენების, რევოლუციონერების და მეამბოხეების საიდუმლო საზოგადოება. ლიზას საზარელი სიკვდილი, სტავროგინის ცოლის მკვლელობა, თვითონ სტავროგინი, ხანძარი, გუვერნანტი ქალების სასარგებლოდ მოწყობილი მეჯლისი, იულია მიხაილოვნას თავაშვებული სალონი... ასე გასინჯეთ, სტეპან ტროფიმოვიჩის გაუჩინარებაც კი ყველამ რაღაც საეჭვოდ მიიჩნია. დიდი ჩურჩული და მითქმა-მოთქმა იყო ნიკოლაი სტავროგინის თაობაზე. დღის ბოლოს ახალგაზრდა ვერხოვენსკის გამგზავრების ამბავიც გამომჟღავნდა. მაგრამ საკვირველია, რომ ამის ირგვლივ ყველაზე ნაკლებ ლაპარაკობდნენ. იმ დღეს ყველას მხოლოდ „სენატორის“ ამბავი ეკერა პირზე. ფილიპოვის სახლთან მთელი დილა არ დაშლილა ხალხი. კირილოვის წერილმა მართლაც შეცდომაში შეიყვანა ხელისუფალნი. უმაღლეს დაიჯერეს კირილოვის მიერ შატოვის მოკვლის ამბავი და „მკვლელის“ თვითმკვლელობაც. დაბნევის მიუხედავად, ხელისუფლებამ მაინც გამოიჩინა ფხა. კირილოვის წერილში ესოდენ გაურკვეველად ნახსენებ „ბაღს“ არავისთვის აუბნევია გზა-კვალი, ახალგაზრდა ვერხოვენსკის ვარაუდისდა მიხედვით პოლიცია მყისვე სკვორემნიკში გაქანდა, რისი მიზეზიც არა მარტო ის იყო, რომ ბაღი ჩვენს ქალაქში სხვას არავის ჰქონდა, უბრალოდ ალღომაც უკარნახათ. ამ ბოლო დღეებში მომხდარი საშინელებანი, თუ უშუალოდ არა, ნაწილობრივ მაინც სკვორემნიკთან იყო დაკავშირებული. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ (შევნიშნავ, რომ ვარვარა პეტროვნა დილაადრიან გაემგზავრა სტეპან ტროფიმოვიჩის სამებრად. ამ ამბებისა მან არაფერი იცოდა). გუბურაში კვალის მიხედვით. მკვლელობის ადგილზე შატოვის ქუდი იპოვეს, რომელიც ასე დაუდევრად დავიწყებოდათ მკვლევებს. გვამის სამედიცინო შემოწმებამ თუ სხვა ნიშნებმა პირველი ნაბიჯიდანვე აღძრა ეჭვი, კირილოვს ამხანაგებიც უნდა ჰყოლოდაო. გამოირკვა შატოვ-კირილოვის ფარული საზოგადოების არსებობა. ვინლა იყვნენ ეს ამხანაგები? ჩვენებიდან იმ დღეს ეჭვი არავისზე შეპარვიათ. შეიტყვეს, რომ კირილოვი განდევილად ცხოვრობდა, დიახ, იმდენად განდევილად, რომ ის ფედკა, რომელსაც ასე დაემბდნენ ყველგან, ამდენი ხნის განმავლობაში მასთან იმალებოდა, როგორც ამას წერილი იუწყებოდა. რაც მთავარია, ყველას ის აღონებდა, ამ დახლართული ამბების თავი და ბოლო რომ მაინც გაუგებარი რჩებოდა. ძნელი წარმოსადგენია, რა არეულ-დარეულ დასკვნებამდე მივიდოდა ჩვენი თავგზაარეული საზოგადოება, ლიამშინის წყალობით მეორე დღესვე ერთბაშად რომ არ გახსნილიყო საქმე.

ლიამშინს სწორედ ის დაემართა, რაც ბოლოს ახალგაზრდა ვერხოვენსკისაც კი უგრძნო გულმა. ლიამშინს მართლა უმტყუნა გამძლეობამ. ტოლკაჩენკოსა და მერე ერკელის მეთვალყურეობის ქვეშ მთელი მეორე დღე ლოგინში გაატარა მორჩილად, პირით კედლისკენ მიბრუნებულმა, ხმას არავის სცემდა და არც შეკითხვებზე პასუხობდა. ამგვარად, ქალაქში მომხდარ ამბებზე იმ დღეს არაფერი გაუგია. მაგრამ ტოლკაჩენკომ მშვენივრად შეიტყო ყველაფერი, იმ საღამოსვე მიატოვა ლიამშინი, ვისი მეთვალყურეობაც ახალგაზრდა ვერხოვენსკიმ დაავალა, და ქალაქიდან მაზრაში გაემგზავრა, უბრალოდ რომ ვთქვათ, გაიქცა: ჭეშმარიტად, ყველას თავგზა აებნა, როგორც ერკელმა იწინასწარმეტყველა. ბარემ აქვე შევნიშნავ, რომ ლიპუტინიც იმავე დღეს გაქრა ქალაქიდან ნაშუადღევამდე, მაგრამ ისე კი მოხდა, მისი გაუჩინარების ამბავი მხოლოდ მეორე დღის საღამოს შეიტყო უფროსობამ. როცა ლიპუტინის გაქცევით დამფრთხალი, მაგრამ შიშით ენაჩაგდებული მისი ოჯახი დაჰკითხა. მაგრამ მე ისევ ლიამშინზე განვაგრძობ. რა წამს კი მარტო დაიგულა თავი (ტოლკაჩენკოს

იმედით ერკელი უფრო ადრე წასულიყო შინ), მაშინვე გამოვარდა სახლიდან და, რა თქმა უნდა, მაშინვე შეიტყო ყველაფერი. შინ აღარ გაუვლია, ისე დააპირა გაქცევა. მაგრამ ამ უკუნ ღამეში ისეთი საშინელი და ძნელი მოეჩვენა ეს გადაწყვეტილება, ორი-სამი ქუჩის გავლის შემდეგ შინ მობრუნდა და მთელი ღამე ჩაკეტილში გაატარა. თუ არ ვცდები, დილას თავის მოკვლა დააპირა, მაგრამ არ გამოუვიდა. ასე იყო ჩაკეტილი თითქმის ნაშუადღევამდე. მერე უცებ დაჰკრა ფეხი და უფროსობას მიაშურა. ამბობენ, სულ მუხლებზე ხოხავდა, ქვითინებდა, მოთქვამდა, იატაკს კოცნიდა, ღრიალებდა, ამისთანა წარჩინებული ხალხის ჩექმის კოცნის ღირსიც არ ვარო. ის დაამშვიდეს და კიდევ დაუყვავეს. როგორც თქვეს, დაკითხვა სამ საათს გაგრძელდა. ლიამშინი ყველაფერში გამოტყდა, არაფერი დაუმალავს. თვითონვე ასწრებდა შეკითხვებს, რაზეც არავინ ეკითხებოდა, იმასაც ჰყვებოდა. თურმე ყველაფერი საკმაოდ კარგად სცოდნია და საკმაოდაც საჩინო გახადა საქმე: შატოვისა და კირილოვის ტრაგიკულმა ამბავმა, ხანძარმა, ლებიადკინების სიკვდილმა თუ სხვა რამეებმა მეორეხარისხოვან ადგილზე გადაინაცვლა. პირველ ადგილზე ახალგაზრდა ვერხოვენსკი, ფარული საზოგადოება, ორგანიზაცია, ქსელი წამოიწია. კითხვაზე: რა საჭირო იყო ამდენი ხალხის ამოხოცვა, ამისთანა აურზაური და უგვანო საქმეებიო? - მაშინათვე გულმხურვალედ მიაგება პასუხი, იმიტომ რომ „სახელმწიფო საძირკვლები სისტემატურად შეგვერყია, საზოგადოება სისტემატურად გაგვეხრწნა, ყველა დაგვეშინებინა და აურზაური გამოგვეწვია. ხოლო ამ საშუალებებით ძირმორყეული, დამაბუნებელი, მოდუნებული და ცინიკური, ურწმუნო აზრებით შეპყრობილი საზოგადოება, - რომელსაც მაინც აქვს რაღაც ხელმძღვანელი იდეისა და თავდაცვის დაუმრეტელი წყურვილი - უცბად გვეგდო ხელთ და აჯანყების დრომაც აგვეფრიალებინა. ამასობაში კი ხუთეულების გაბნეულ ქსელს უკვე ეყოლებოდათ ხალხი დარაზმული, ყოველგვარი პრაქტიკული საშუალებანი გამონახული და ყველა სუსტი ადგილი აღნუსხული“. ბოლოს დასძინა, რომ მათ ქალაქში მომხდარი სისტემატური არეულობა მხოლოდ პირველი ცდა იყო ახალგაზრდა ვერხოვენსკის მხრიდან; ასე ვთქვათ, შემდგომი მოქმედების პროგრამა, ყველა ხუთეულისთვის განკუთვნილი. ასე ფიქრობს იგი (ლიამშინი) და ეს პირადად მისი ვარაუდია.

„ამიტომაც უნდა მიიღონ მხედველობაში, თუ რაოდენ გულახდილად და კეთილსინდისიერად აღიარა მან ყველაფერი. მაშასადამე, შემდეგაც შეიძლება გამოადგეს და ემსახუროს „ხელისუფლებას“, პირდაპირ კითხვაზე: ხუთეული ბევრი არის თუ არაო? - თქვა, რომ ურიცხვი და უთვალავია, რომ მთელი რუსეთი მათი ქსელითაა დაფარული. ჩემი აზრით, სრულიად გულწრფელადაც თქვა, მიუხედავად იმისა, დამამტკიცებელი საბუთი ვერაფერი წარმოადგინა, გარდა საზღვარგარეთ დაბეჭდილი საზოგადოების პროგრამისა და შემდგომ მოქმედებათა განვითარების სისტემის პროექტისა. ეს უკანასკნელი საკუთრივ ახალგაზრდა ვერხოვენსკის ხელით იყო შავად ნაწერი. თურმე ნუ იტყვით. „სახელმწიფო საძირკვლების შერყევის“ ამბავი ლიამშინს სიტყვასიტყვით ამ პროექტიდან მოუყვანია, თუმცა ირწმუნებოდა, ეს ჩემი საკუთარი მოსაზრებააო. ძალიან სასაცილოდ და დაუკითხავად ჩაურთო იულია მიხაილოვნაზე, ის არაფერ შუაშია და მხოლოდ გაასულელესო. მაგრამ ყველაზე საყურადღებო ის გახლდათ, რომ ნიკოლაი სტავროგინი მართლაც დიდი თავგამოდებით დაიცვა. განაცხადა, ფარული საზოგადოების წევრი არასოდეს ყოფილა, არც ახალგაზრდა ვერხოვენსკისთან იყო შეთქმულიო (ლიამშინს წარმოდგენა არ ჰქონდა, რა იდუმალ და სასაცილო იმედეს ამყარებდა ახალგაზრდა ვერხოვენსკი სტავროგინზე). მისი თქმით, ლებიადკინების სიკვდილი მარტო ახალგაზრდა ვერხოვენსკის მოწყობილია, სტავროგინმა ამის შესახებ არაფერი

იცოდა. ამით უნდოდა სტავროგინი ვერაგულად გაეხვია თავის ბადეში და ხელში ჩაეგდო. მაგრამ მადლობის მაგიერ, რისი იმედიც ასე ქერქეტულად ჰქონდა ალბათ ვერხოვენსკის, „კეთილშობილი“ ნიკოლაი ვსევოლოდოვიჩი დიდად აღაშფოთა და დაამწუხრაო. დაბოლოს ისიც დასძინა სტავროგინზე, ასევე ნაჩქარევად და დაუკითხავად, მაგრამ ეტყობა კი განზრახ, რომ ის ძალიან დიდი პიროვნებაა, თუმცა ეს ჯერჯერობით საიდუმლოებით არის მოცულიო. რომ ის ჩვენს ქალაქში, ასე ვთქვათ, incognito-დ იყო ჩამოსული რაღაც დავალებით და ადვილი შესაძლებელია ახლაც ისევე გვეწვიოს პეტერბურგიდან (ლიამშინი დარწმუნებული იყო, სტავროგინი პეტერბურგში იმყოფებოდა), ეს კია, სულ სხვა სახით და სხვა გარემოებაში, ისეთი ხალხის თანხლებით, რომელზეც სულ ჩქარა შეიძლება ჩვენშიაც ალაპარაკდნენო. ეს ყველაფერი, მისი სიტყვებით, „ნიკოლაი სტავროგინის ფარული მტრის“ ახალგაზრდა ვერხოვენსკისაგან შეეცყო.

მე აქ ცოტა გავუსწრებ თხრობას. ორი თვის შემდეგ ლიამშინი გამოტყდა, სტავროგინი მაშინ განზრახ დავიცავი, იმედი მქონდა, დახმარებას გამიწევს პეტერბურგში, ორი მუხლით შემიმსუბუქებს სასჯელს და გადასახლებაშიც ფულსა და სარეკომენდაციო წერილებს მომაშველებსო. მისი სიტყვებიდან ჩანს, თუ რა გადაჭარბებული და გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდა მას ნიკოლაი სტავროგინზე.

იმავე დღეს დააპატიმრეს ვირგინსკი და ცხელ გულზე მთელი მისი ოჯახი. (არინა პროხოროვნა, მისი და, დეიდა და სტუდენტი ქალი დიდი ხანია უკვე თავისუფალნი არიან; ამბობენ, შიგალიოვსაც უთუოდ მალე გამოუშვებენ, ვინაიდან დამნაშავეთა არც ერთ კატეგორიას არ განეკუთვნებაო. მაგრამ ეს ჯერ მხოლოდ ვარაუდებია). ვირგინსკი მაშინვე გამოტყდა ყველაფერში: ის ავადმყოფი და სიცხიანი დააპატიმრეს. როგორც ამბობენ, თითქმის გაუხარდა და თურმე ასე თქვა: გულზე მომეშვაო. ხმა გამოვიდა, ჩვენებებს გულახდილად იძლევა, მაგრამ თავის ღირსებას არ კარგავს და არც ერთ თავის „ნათელ იმედზე“ უარს არ ამბობს, თუმცა კი ამავე დროს სწყევლის და კრულავს იმ პოლიტიკურ გზას (სოციალურის საპირისპიროდ), რასაც ასე მოულოდნელად და ქერქეტულად დაადგა „გარემოებათა ქარაშოტის“ წყალობითო. მკვლელობაში მისი მონაწილეობა მისთვის შემამსუბუქებელი გარემოებებით ირკვევა, ასე რომ სასჯელის შემსუბუქების იმედი იმანაც შეიძლება იქონიოს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენში ასე ირწმუნებიან.

მაგრამ არა მგონია, ერკვლს ეშველოს რამე. ის დაპატიმრების დღიდან ან დუმს ანდა სიმართლეს ამახინჯებს. აქამდე სიტყვა ვერ წამოაცდევინეს, რომ თავის საქციელს ნანობს. მიუხედავად ამისა, ყველაზე სასტიკ მსაჯულებშიაც კი მისმა ახალგაზრდობამ და უმწიობამ ერთგვარი სიბრალული გამოიწვია. ამკარა იყო, იგი მხოლოდ თვალთმაქცი პოლიტიკოსის ფანატიკურ მსხვერპლს წარმოადგენდა. ისიც გამომჟღავნდა, როგორ ეპყრობოდა იგი დედას, რომელსაც თავისი მცირედი ჯამაგირის თითქმის ნახევარს უგზავნიდა. დედამისი ახლა ჩვენს ქალაქშია. ეს უძლური და სნეული ქალი, უდროოდ მოტეხილი და დაბერებული, ტირის და ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ფეხებში უვარდება მოსამართლეებს, რომ შვილი გადაურჩინონ. კაცმა არ იცის, ბოლო რა იქნება, მაგრამ ერკელი ჩვენში ბევრს ებრალება.

ლიპუტინი პეტერბურგში დააპატიმრეს, სადაც მთელი ორი კვირა დაჰყო. მას ყოვლად დაუჯერებელი და აუხსნელი ამბავი დაემართა. ამბობენ, სხვის სახელზე

პასპორტიც ედო ჯიბეში, ფულიც ბლომად ჰქონდა და სრულიად თავისუფლად შეეძლო საზღვარგარეთ გაპარვა, მაგრამ პეტერბურგში კი დარჩა და არსად არ წავიდაო. რამდენიმე ხანს თურმე სტავროგინსა და ახალგაზრდა ვერხოვენსკის დაემებდა. მერე უცებ სმას მიჰყო ხელი და ისეთ გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა, თითქოს სულ დაკარგა ჭკუა. იგი პეტერბურგის ერთ-ერთ სამეძაო სახლში დააპატიმრეს მთვრალი. ხმები დადის, ახლა საკმაოდ მხნედ უჭირავს თავი, სულ ყალბ ჩვენებებს იძლევა. მომავალ სასამართლოსთვის დიდი ამბით ემზადება და იმედს არ ჰკარგავსო. თურმე სიტყვით გამოსვლასაც აპირებს. ტოლკაჩენკო გაქცევიდან ათი დღის შემდეგ დაიჭირეს სადღაც მაზრაში. იგი გაცილებით უფრო თავაზიანად იქცევა, არ ტყუის, პასუხს არ გაუბრძის, რაც იცის, ყველაფერს ამბობს, თავს არ იმართლებს, ყველაფერს თავმდაბლად აღიარებს, მაგრამ ენამზებობას ისიც არ იშლის; ყველაფერს დაწვრილებითა და ხალისით ჰყვება, ხოლო თუ საქმე ხალხის ცოდნასა და მის რევოლუციურ ელემენტებს შეეხო, პოზიირობს და შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობს. ყური მოვკარი, სასამართლოზე ისიც აპირებს სიტყვით გამოსვლას. მოკლედ, ეს ორი მაინცდამაინც შეშინებული არა ჩანს და ეს ამბავი დიახაც საკვირველია.

ვიმეორებ, საქმე ჯერ კიდევ დასრულებული არ არის. ახლა, როცა სამი თვე გავიდა ჩვენმა საზოგადოებამ სული მოითქვა და ძველი ცულლუტობანი მოათავა, მან უკვე ყველაფერზე საკუთარი შეხედულება შეიქმნა, იმდენადაც კი, ახალგაზრდა ვერხოვენსკის ზოგი ლამის გენიოსად თვლის, ყოველ შემთხვევაში, „გენიალურ ნიჭის კაცად“. „მაშ, მაშ, რას ნიშნავს ორგანიზაცია, ჩემო ბატონო!“ - ამბობენ კლუბში და თითო მალლა მიაქვთ. მაგრამ ამას მხოლოდ ცოტანი თუ ამბობენ და ისიც სხვათა შორის. სხვები, პირიქით, იძახიან, ამ კაცმა სინამდვილის სრულიად არაფერი იცოდა, საშინლად განყენებულად აზროვნებდა, ტვინი მხოლოდ ერთი მიმართულებით ჰქონდა მახინჯად განვითარებული და ამიტომაც ასე ქერქეტულად იქცეოდა, თუმცა ნიჭი კი არ აკლდაო. რაც შეეხება მისი ზნეობის შეფასებას, ამაზე ყველას ერთი აზრი აქვს და სადავოდ არავის მიაჩნია.

მართალი გითხრათ, აღარ ვიცი, ვინ დამრჩა კიდევ სახსენებელი. მავრიკი ნიკოლაევიჩი სადღაც გადაიკარგა. ბებრუხანა დროზდოვას ამ ამბებმა საბოლოოდ დაუკარგა გონი და ქვეყნად აღარაფრის გაგება არა აქვს... თუმცა კიდევ ერთი ფრიად მძიმე ამბავი მაქვს მოსაყოლი და მოკლედ მოგახსენებთ.

ვარვარა პეტროვნა პირდაპირ ქალაქში დაბრუნდა. მაშინვე გაიგო, რა ამბებიც დატრიალებულიყო მის არ ყოფნაში, საშინლად შეძრწუნდა და თავის ოთახში ჩაიკეტა. სადამო ხანი იყო. დადლილ-დაქანცულები ყველანი ადრე დაწვნივ დასადინებლად.

დილას მოახლემ დარია პავლოვნას საიდუმლოდ გადასცა წერილი, მისი სიტყვით, წერილი წუხელ გვიან მოეტანათ, როცა ყველას ეძინა, და ამიტომ გაღვიძება ვერ გაბედა. ის ვიღაც უცნობ კაცს გადაეცა ალექსე ეგორიჩისთვის სკვორემნიკში. ალექსეი ეგორიჩს კი მაშინვე თვითონ ჩამოეტანა და იმწამსვე უკანვე სკვორემნიკში გაბრუნებულა. დარია პავლოვნა გულამგერებული დაჰყურებდა წერილს და გახსნა ვერ გაბედა. იცოდა, ვისგანაც იყო. ნიკოლაი სტავროგინი იწერებოდა. „ალექსეი ეგორიჩს დარია პავლოვნასათვის საიდუმლოდ გადასაცემად“, ეწერა კონვერტზე.

აი, სიტყვასიტყვით ეს წერილიც. ერთი გრამატიკული შეცდომაც არ შემისწორებია ჩვენი რუსი ბატონიშვილისათვის, რომელიც მთელი თავისი ევროპული განათლების მიუხედავად, მშობლიურ გრამატიკაში ცოტა მოიკოჭლებდა.

„ჩემო კარგო დარია პავლოვნა, ოდესღაც თქვენ სიტყვა ჩამომართვით, „მომვლელი“ თუ დაგჭირდა, შემომითვალეთო. მე ორი დღის შემდეგ მივემგზავრები და აღარ დავბრუნდები. წამოხვალთ ჩემთან?

შარშან მე გერცენივით ურის კანტონის მოქალაქედ ჩავეწერე[388] და ეს არავინ იცის. იქ უკვე ნაყიდი მაქვს პატარა სახლი. თორმეტი ათასი მანეთი კიდევ დამრჩა, ჩვენ წავალთ აქედან და სამუდამოდ იქ ვიცხოვრებთ. მე არ ვაპირებ იქიდან ოდესმე ფეხის მოცვლას.

ეს ადგილი ხეობაში მდებარეობს. ძალიან მოსაწყენი და პირქუში ადგილია. ირგვლივ მთებია აყუდებული და თვალსა და ფიქრს ზღუდავს. ვარჩიე იმიტომ, რომ იქ პატარა სახლი იყიდებოდა. თუ არ მოგეწონებათ, გავყიდი და სხვაგან ვიყიდი.

მე კარგად ვერა ვარ. იმედია, იქაური ჰაერი ჰალუცინაციებისაგან მომარჩენს. ასეთია ჩემი ფიზიკური მდგომარეობა. სულიერს რაც შეეხება, თქვენ ყველაფერი იცით; თუმცა ვითომ ყველაფერი?

მე ბევრი რამ გიამბუთ ჩემი ცხოვრებიდან. მაგრამ ყველაფერი არა. წარმოიდგინეთ, თქვენც არა! ჰო, ბარემ აქვე გეტყვით, რომ სინდისის წინაშე დამნაშავე ვარ ცოლის სიკვდილში. იმის შემდეგ მე არ მინახიხართ და იმიტომ გეუბნებით. დამნაშავე ვარ ლიზავეტა ნიკოლაევნასთანაც, მაგრამ ეს უკვე თქვენც იცით; ეს ყველაფერი თითქმის იწინასწარმეტყველეთ.

ისე კი სჯობია არ ჩამოხვიდეთ. მე რომ გიხმობთ, დიდი უსინდისო საქციელია. რად უნდა შემომწიროთ მთელი ცხოვრება? თქვენთან ყოფნა მე მუდამ მსიამოვნებდა, ნალვლიან გულზე თქვენ გვერდით თავს კარგად ვგრძნობდი: მარტო თქვენთან შემემძლო მელაპარაკა ჩემს ამბებზე. მაგრამ ეს კიდევ არაფერს ნიშნავს. თვითონ შემომთავაზეთ, „მომვლელად“ გამოგყვებითო - ეს თქვენი სიტყვებია. რა საჭიროა ასეთი თავგანწირვა? ისიც ინიშნეთ, რომ არ მეცოდებით, უკეთუ გიხმობთ და გელით. ყოველ შემთხვევაში, პასუხი შემომითვალეთ, მე ძალიან უნდა გავემგზავრო აქედან. მაშინ მარტო წავალ.

ურის კანტონისაგან არაფერს გამოველი. უბრალოდ მივემგზავრები. ეს პირქუში ადგილი განზრახ არ შემირჩევია. რუსეთში მე არაფერი მაკავებს, - აქაც ყველაფერი ისევე მეუცხოება, როგორც ყველგან. თუმცადა ყველაზე ნაკლებ აქ მიყვარდა ცხოვრება, მაგრამ აქაც კი ვერაფერი შევიძულე!

მე ყველგან ვცადე ჩემი ძალა. თქვენვე მირჩიეთ ეს „საკუთარი თავის შესასწავლად“. სადაც არ ვცადე, ყველგან უზღუდო გამოდგა იგი. თქვენ თვალწინ გადავყლაპე თქვენი ძმისაგან გაწეული სილა; საჯაროდ ვაღიარე ჩემი ქორწინების ამბავი. მაგრამ რაში მომეხმარა ეს ძალა - ეს არც წინათ ვიცოდი და არც ახლა ვიცი, თუმცა შვეიცარიაში ერთობ მაქეზებდით ამაზე და მეც მჯეროდა თქვენი. როგორც წინათ, მე ახლაც ძალმიძს მოვიწადინო კეთილი საქმე და სიამოვნება ვიგრძნო მისგან. მაგრამ იქვე შემიძლია ბოროტების ჩადენა და იმაშიც სიამოვნება ვპოვო. როგორც ერთი, ისე მეორე გრძნობა ადრინდელივით მუდამ კნინი რჩება, ძლიერი არასოდეს არ არის.

ჩემი სურვილები მუდამ უძალოა. ისინი ვერასოდეს მიმორჩილებენ. მდინარე შეიძლება მორით გადასცურო, ნაფოტით კი ვერა. ამას თუ ვამბობ, მხოლოდ იმიტომ, არ იფიქროთ, თითქოს ურის კანტონში რაღაც იმედებით მივემგზავრები.

მე არც ახლა ვადანაშაულებ ვისმე. ვეცადე გარყვნილების მორევში ჩაფლობა და მთელი ძალა ამას შევალე. მაგრამ არ მიზიდავს გარყვნილება. უკანასკნელ ხანს თვალყურს მადევნებდით. იცით თუ არა, იმ ჩვენს ყველაფრის უარყოფლებს რომ გაბოროტებით ვუყურებდი და მშურდა მათი იმედებისა? მაგრამ ტყუილად კი გეშინოდათ: მე იმათი ამხანაგი ვერ გავხდებოდი, რადგან საერთო არაფერი მქონდა მათთან. სასაცილოდ ასაგდებად თუ ღვარძლის გამო კი ვერ ავყევი. განა იმიტომ, სასაცილო მაშინებს, სასაცილო მე ვერასოდეს შემაშინებს, - უბრალოდ, მაინც წესიერი კაცის ჩვევები მქონდა და ეს ყველაფერი გულს მირევდა. მაგრამ უფრო მეტი ღვარძლი და შური რომ მქონოდა ამ ადამიანებისა, იქნებ მართლაც ავყოლოდი. ამით განსაჯეთ, რაოდენ ადვილი იყო ჩემთვის ყველაფერი და რაოდენ ვიბორგე ცხოვრებაში!

ჩემო კარგო მეგობარო, სულგრძელო და ნაზო არსებავ, მე რომ იმთავითვე გამოვიცანი! იქნებ ოცნებობთ და იმედი გაქვთ, იმდენ სიყვარულს მაგრძნობინებთ და იმდენ მშვენიერს გამიზიარებთ თქვენი მშვენიერი გულიდან, ბოლოს და ბოლოს მეც რაღაც მიზანს დამისახავთ? არა, სჯობს ახლავე გაფრთხილდეთ: ჩემი სიყვარული ჩემსავით კნინი იქნება, თქვენ კი - უბედური. თქვენმა ძმამ მითხრა, ვინც თავის მიწა-წყალს მოწყდება, ის თავის ღმერთებს - ანუ მთელ თავის მიზნებს - დაკარგავსო. კაცმა შეიძლება დაუსრულებლივ იდავო ყველაფერზე, მაგრამ ჩემგან კი უარყოფის მეტი არაფერი გადმონთხეულა, ისიც ყოველგვარი სულგრძელობის გარეშე და უძალო. თუმცა არც უარყოფა გამომდიოდა. ყველაფერი მუდამ კნინი და ღუნე იყო. სულგრძელმა კირილოვმა იდეას ვერ გაუძლო და თავი მოიკლა. მაგრამ ხომ ვიცი, სრულ ჭკუაზე ვერ იყო და სულგრძელიც იმიტომ გახლდათ. მე ვერასოდეს დავკარგავ ჭკუას და ვერც იდეას ვიწამებ მასავით. ამიტომ ვერასოდეს, ვერასოდეს მოვიკლავ თავს!

ვიცი, რომ წესით უნდა მოვიკლა თავი და მავნე მწერივით გავქრე პირისაგან მიწისა. მაგრამ მეშინია თავის მოკვლისა, რამეთუ მეშინია სულგრძელობა გამოვიჩინო. ვიცი, რომ ესეც მოტყუება და თვალთმაქცობა იქნება - უკანასკნელი მოტყუება და თვალთმაქცობა სხვა მრავალ თვალთმაქცობათა შორის. ჰოდა, ღირს კი თავის მოტყუება დიდსულოვნების გასათამაშებლად? აღშფოთება და სირცხვილი მე არასოდეს მომერევა, მაშასადამე, არც სასოწარკვეთილება შემიპყრობს.

მაპატიეთ, რომ ამდენს გწერთ. ეს შემთხვევით მომივიდა, მე უკვე გონს მოველ. კაცმა შეიძლება ას გვერდშიაც ვერაფერი თქვას და ათი სტრიქონიც საკმარისი იყოს. ჰოდა, ათი სტრიქონიც კმარა, რომ „მომვლელი“ იხმო.

რაც წამოვედი, მას აქეთ მეექვსე სადგურზე ვცხოვრობ სადგურის უფროსთან. ჩვენ ხუთიოდე წლის წინ პეტერბურგში ერთად ვატარებდით დროს და მაშინ დავუახლოვდი. ჩემი იქ ყოფნა არავინ იცის. მომწერეთ მის სახელზე. გიგზავნით მისამართს.

ნიკოლაი სტავროგინი“.

დარია პავლოვნამ მაშინვე ვარვარა პეტროვნას მიუტანა წერილი. მან წაიკითხა და დაშას სთხოვა, გარეთ დამიცადე, მინდა ერთხელ კიდევ მარტო გადავიკითხო. მაგრამ მალე ისევ მოიხმო.

- წახვალ? - ჰკითხა თითქმის გაუბედავად.

- წავალ.

- მაშ, მოემზადე, ერთად წავიდეთ!

დაშამ გაკვირვებით შეხედა.

- აბა აქ რაღა დამრჩენია? განა სულ ერთი არ არის? მეც ურის კანტონში ჩავეწერები და იმ ხეობაში ვიცხოვრებ... ნუ გეშინია, ხელს არ შეგიშლით.

ჩალაგება მაშინვე დაიწყო, რათა ნაშუადღევის მატარებელზე მიესწროთ. მაგრამ არ გასულა ნახევარი საათი, სკვორემნიკიდან ალექსეი ეგორიჩი გამოეცხადათ. მოახსენა, ნიკოლაი სტავროგინი უეცრივ ჩამობრძანდა დილის მატარებლით, ახლა სკვორემნიკში გახლავთ, მაგრამ ისეთ მდგომარეობაშია, არაფერს ლაპარაკობს, მთელი ოთახები მოიარა და თავის სამყოფში შეიკეტა...

- მე მისი ბრძანების გარეშე გადავწყვიტე ჩამოვსულიყავი და თქვენთვის მომეხსენებინა ეს ამბავი, - დაატანა ალექსეი ეგორიჩმა ხაზგასმით.

ვარვარა პეტროვნამ ერთი შეხედა გამჭვალავად და სხვა აღარაფერი უკითხავს. თვალის დახამხამებაში კარეტა მზად იყო. ვარვარა პეტროვნამ დაშაც წაიყვანა. ამბობენ, გზაში სულ პირჯვარს იწერდაო.

ნიკოლაი სტავროგინის „სამყოფში“ ყველა კარი ღია იყო, თვითონ კი არსად ჩანდა.

- მეზონინში ხომ არ აბრძანდა? - მორიდებით იკითხა ფომუშკამ.

უნდა აღვნიშნო, რომ ნიკოლაი სტავროგინის სამყოფში ვარვარა პეტროვნას რამდენიმე მსახური შეჰყვა. სხვები დარბაზში იცდიდნენ. ასეთი კადნიერება თავის დღეში არავის გაუბედავს. ვარვარა პეტროვნამ ეს ყველაფერი შენიშნა, მაგრამ არაფერი თქვა.

ავიდნენ მეზონინშიც. იქ სამი ოთახი იყო. მაგრამ სტავროგინი ვერსად ნახეს.

- იქ ხომ არ აბრძანდებოდა? 0 მიათითა ვიღაცამ კოშკის ოთახზე. მუდამ დაკეტილი კოშკის კარი ახლა მართლაც ყურთამდე ღია იყო. იქ ხის გრძელი, ვიწრო და ხვეული კიბე აღიოდა.

- მე იქ არ ავალ. აბა იქ რისი გულისთვის ავიდოდა? - მსახურებს მოუბრუნდა ვარვარა პეტროვნა, სახეზე მკვდრისფერი დადებოდა. ისინი უხმოდ შეჰყურებდნენ. დაშა ცაბცახებდა.

ვარვარა პეტროვნა კიბეზე ავარდა, დაშა უკან მიჰყვა, მაგრამ შევიდა თუ არა, შეჰკვივლა და გულწასული დაეცა.

ურის კანტონის მოქალაქე იქვე, კარს უკან ეკიდა. პატარა მაგიდაზე ქალღმადის ნაგლეჯი ეგდო. ზედ ფანქრით ეწერა: „არავის დააბრალოთ. მე თვითონ“. იმ მაგიდაზევე ელაგა ჩაქური, საპნის ნაჭერი და, როგორც ეტყობა, ყოველი შემთხვევისათვის მომარაგებული დიდი ლურსმანი. წინასწარვე მომზადებული აბრეშუმის მაგარი ზონარი, რომელზედაც ნიკოლაი სტავროგინს ჩამოეხრჩო თავი, გულდაგულ იყო გასაპნული. აშკარა იყო, ყველაფერი ადრევე მოეფიქრებინა და თავისი განზრახვა სრულ ჭკუაზე მყოფს შეესრულებინა.

ჩვენმა ექიმებმაც გვამის გაკვეთისას სავსებით უარყვეს შეშლილობა.

[1] ჰანზეატური - წარმოდგება სიტყვა „ჰანზადან“, რაც ზუსტად ამხანაგობას, კავშირს ნიშნავს. ჰანზა ეწოდება ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქების სავაჭრო და პოლიტიკურ კავშირს, რომელიც საშუალო საუკუნეებში შეიქმნა და XVII საუკუნემდე იარსება. განაუ - გერმანიის ძველი ქალაქია მდ. კინცინგის და მდ. მაინის შესართავთან. სტეპან ტროფიმოვიჩის მეცნიერულ-პედაგოგიური მუშაობის დახასიათებისას დოსტოვესკი გამარჯებულად გადმოგვცემს ზოგიერთ ამბავს გრანოვსკის ცხოვრებიდან. გრანოვსკის სამაგისტრო დისერტაცია „ვოლინი, იომსბურგი და ვინეტა“ შუასაუკუნეების ქალაქებს ეხებოდა.

[2] დოსტოვესკის მხედველობაში ჰქონდა ალბათ 1840-იანი წლების ჟურნალი „ოტეჩესტვენე ზაპისკი“.

[3] 1847 წელს გრანოვსკიმ გამოაქვეყნა სტატია „რაინდი ბაიარდი“, სადაც ხოტბას ასხამდა, „უშიშარ რაინდ“ ბაიარდის ზნეობრივ კეთილშობილებას.

[4] გრანოვსკის ბედზე გავლენა იქონია ერთმა წერილმა, პეტრაშეველებს გაჩხრეკისას რომ აღმოუჩინეს. ეს გახლდათ ა. პლეშჩევის წერილი, რომელიც მიუწერია მას ს. დუროვისათვის 1849 წლის 26 მარტს. ის წერდა, რომ გრანოვსკის „დიდი გავლენა აქვს სტუდენტებზეო“, ცდილობს „კარგი რამ ჩაუთესოს მათ სულში“ და რაღაც გააკეთოს „საერთო საქმისთვისო“. ამის მეოხებით გრანოვსკი „არაკეთილსაიმედო“ პიროვნებად ჩათვალეს და ფარული მეთვალყურეზი მიუჩინეს.

[5] 1849 წელს გრანოვსკი იძულებული გახდა საგანგებო „ახსნა-განმარტება“ მიეცა მოსკოვის მიტროპოლიტ ფილარეტისათვის, ვინაიდან მის მიერ მოსკოვის უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციებს ანტირელიგიური ხასიათი დასწამეს.

[6] დოსტოვესკი აქ ირონიულად იხსენიებს პეტრაშეველების ჯგუფს, (1845-1849), რომლის წევრი თვითონაც იყო ახალგაზრდობაში. პეტრაშეველებს - დეკაბრისტების გამათავისუფლებელი იდეების მემკვიდრეებს - ბატონყმური წყობის დამხობა სურდათ, ბევრი მათგანი უტოპიური სოციალიზმის მომხრე იყო.

[7] ფურიე შარლი (1772-1837) - უტოპიური სოციალიზმის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი XIX საუკუნის დამდეგს. პეტრაშეველებზე მას დიდი გავლენა ჰქონია. როგორც დოსტოვესკის წერილებიდან ჩანს, იგი 1840-იან წლებში გატაცებული ყოფილა ფურიეს საწარმო-სამომხმარებლო ასოციაციის („ვალანგის“) იდეით.

[8] სტეპან ტროფიმოვიჩის თხზულების დახასიათებისას დოსტოევსკის გამოყენებული აქვს რუსი ლიტერატორის ვ. ს. პეჩორინის (1807-1885) რომანტიკული პოემა „სიკვდილის ზეიმი“ (1833-1834). პეჩორინის პოემა დაბეჭდეს გერცენმა და ოგარიოვმა კრებულში „XIX საუკუნის არალეგალური ლიტერატურა“ (1861).

[9] ეს სიტყვები ამოღებულია ნ. ა. ნეკრასოვის პოემა „დავითის ნადირობიდან“ (1866).

[10] ნ. ვ. კუკოლნიკი (1809-1868) - რელიგიურ-მონარქისტული ხასიათის დრამების, მოთხრობებისა და ლექსების ავტორი.

[11] ტოკვეილი - უფრო სწორად - ა. ტოკვილი (1805-1859), ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულების ფრანგი ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე. მისი მთავარი მეცნიერული შდ „ძველი წყობილება და რევოლუცია“ 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციას ეხება.

[12] პოლ დე კოკი (1794-1871) - ფრანგი მწერალი, რომანისტი, მისი ნაწარმოებები წვრილბურჟუაზიულ საზოგადოების ზნე-ჩვეულებებს ასახავს.

[13] 1860-იანი წლებიდან რევოლუციონერ დემოკრატთა ბრძოლის უმთავრეს საშუალებად პროკლამაციების გავრცელება ხდება. - როგორცაა, მაგალითად, „ახალ თაობას“, „ველიკორუსი“ (1861), „ახალგაზრდა რუსეთი“ და სხვ.

[14] 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანი წლების დასაწყისში ლიტერატურისა და პრესის წარმომადგენლები საზოგადოებრივი აზრისათვის გარკვეული გზების მისაცემად ხშირად კოლექტიურ პროტესტებს მიმართავდნენ, სადაც საჯაროდ ამხელდნენ ცალკეულ პირთა „მახინჯ“ ქცევებს, რაც საზოგადოებრივ-ზნეობრივი თვალსაზრისით რეაქციულ ცრურწმენათა, ბატონყმურ შეხედულებათა და სხვ. გამოვლენას წარმოადგენდა.

[15] 1862 წელს ეპეტერბურგში ორთოგრაფიის საკითხებზე რამდენიმე სხდომა ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სატახტო ქალაქის რუსული ენის მასწავლებლები და ჟურნალისტები. სხდომაზე, სხვათა შორის, საკითხი იდგა სიტყვის ბოლოში ასო ზ-ის გაუქმების შესახებ. ერთ-ერთ სხდომაზე ვინმე კადინსკიმ (ბროშურა „რუსული გრამატიკის გამარტივების“ ავტორმა) წინადადება შეიტანა რუსული ბგერები ლათინური ასოებით გამოეხატათ. ორთოგრაფიულ სხდომებს პრესაში ცხოვლად გამოეხმაურნენ, ერთ-ერთ ასეთ გამოხმაურებას წარმოადგენდა ფელეტონი „ორთოგრაფიული დავა“, რომელიც დოსტოევსკის ჟურნალ „ვრემიაში“ დაიბეჭდა (№ 3, 1862 წ.) [16] 1860 წლებში პეტერბურგში შტეინბოკის პასაჟში (ამჟამად ლენინგრადის პასაჟი) იკრიბებოდა ქალაქის პროგრესული ახალგაზრდობა, იმართებოდა დისკუსიები და სხვ.

[17] როგორც ჩანს, დოსტოევსკის მხედველობაში აქვს რევოლუციურ-დემოკრატიული პროკლამაცია „ახალგაზრდა რუსეთი“, რომელმაც საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. იგი 1862 წ. გამოუშვა პ. ზაიჩნევესკიმ. პროკლამაციაში, სხვათა შორის, წამოყენებული იყო მოთხოვნები იმაზე, რომ რუსეთი გარდაქმნილიყო თავისუფალი ოლქების „რესპუბლიკურ-ფედერაციულ კავშირად“, მუდმივი არმია თანდათანობით შეცვლილიყო ნაციონალური გვარდიით, პოლონეთისათვის მიეცათ სრული თავისუფლება, გაუქმებულიყო მონასტრები, ლაპარაკი იყო ქალთა სრულ თანასწორუფლებიანობაზე, ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდის ორგანიზაციაზე,

მემკვიდრეობის უფლებების გაუქმებაზე („ახალგაზრდ რუსეთის“ სრული ტექსტი გამოქვეყნდა „სამოციანი წლების პოლიტიკურ პროცესებში“, იხ. „ცენტრალური არქივი“, ნაწილი 1, 1963 წ., გვ. 259-269).

[18] ა. ა. კრაევსკი (1810-1889) უპრინციპო, გაქნილი გამომცემელი და ჟურნალისტი, რომელიც იმდენად მოხერხებული გამოდგა საგამომცემლო საქმეში, რომ სახლიც კი შეიძინა. დოსტოევსკი კრაევსკის შესახებ წერდა „...ბ-ნმა კრაევსკიმ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის წლებში ვერ მოასწრო ლიტერატორი გამხდარიყო, არაფერი გაუკეთებია ლიტერატურაში, ყველაფერი საქმედ აქცია და თავისი საქმეებიც ამის წყალობით ჩინებულად მოაგვარა“ (იხ. წერილი „კალამბურები ცხოვრებასა და ლიტერატურაში“, ჟურნალი „ეპოქა“. 1864, № 10).

[19] დამარცხება (იტალ.) [20] ეს გახლავთ გალაშქრება პისარევის ზოგიერთი შეხედულების წინააღმდეგ. პისარევი უარყოფდა „წმინდა ხელოვნებასა“ და იდეალისტურ ესთეტიკას და მთელ რიგ წერილებში („რეალისტები“, „პუშკინი და ბელინსკი“ და სხვ.) ხელოვნებისა და კერძოდ პუშკინის შემოქმედების შეფასებისას ანტიისტორიული, მცდარი, ვიწრო უტილიტარული აზრები გამოთქვა.

[21] ისე მომექცნენ, როგორც უვარგის ჩაჩსო (ფრანგ.) [22] „ვეკ“ - ერთკვირეული ორგანო, გამოდიოდა პეტერბურგში 1861-1862 წლებში. ლ. ლ. კამბეკი - ჟურნალისტი. „სემეინი კრუგისა“ (1854-1860) და „ს. პეტერბურგსკი ვესტნიკის“ (1861-1862) გამომცემელი. „ვეკი, ვეკი, ლევ კამბეკი“ - ეს გამოთქმა მწერალმა პირველად თავის პოლემიკურ სტატიაში იხმარა - „ისევ ახალგაზრდული კალამი“ („ვრემია“, 1863, № 3) და მაშინდელი სატირული ჟურნალების ლექსების პაროდიას წარმოადგენს. ამით დოსტოევსკის უნდოდა ხაზი გაესვა იმდროინდელ საგაზეთო-საჟურნალო პაექრობის „უაზრობისა“ და „წვრილმანობისათვის“.

[23] შეუძლია მომიწამლოს სიცოცხლე (ფრანგ.) [24] იგულისხმება ძველი ბერძენი ფილოსოფოს-იდეალისტის პლატონის (დაახ. 428-348 ჩვ. ე.) საუბრები თავის მოწაფეებთან ათენის გარეუბნის ბაღში საღამოობით.

[25] სადაც არ უნდა ვიყო (ფრანგ.) [26] მაკარისა და ხბორების ქვეყანაში (ფრანგ.) [27] მე ვარ (ფრანგ.) [28] და მეტი არაფერი! დიახ, მ-მეტი არაფერი! (ფრანგ.) [29] ლიპუტინი - როგორც ავტორის უბის წიგნაკებიდან ჩანს, ლიპუტინის პროტოტიპი (თუ ერთ-ერთი პროტოტიპი) გახლავთ ა. პ. მილიუკოვი (1817-1897) - ზომიერი ლიბერალური მიმართულების მქონე პედაგოგი, ლიტერატორი და ლიტერატურის ისტორიკოსი. მილიუკოვს კავშირი ჰქონდა პეტრაშეველების ჯგუფთან, მაგრამ 1860-იანი წლების პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია.

[30] იმ სემინარიელთა შორის (ფრანგ.) [31] როგორც ჩანს, ეს სიტყვები პაროდიაა ჩერნიშევსკის რომანში „რა ვაკეთოთ?“ გამოთქმულ შეხედულებებზე სიყვარულის, ქორწინებისა და ეჭვიანობის შესახებ.

[32] აქაც ირონიულადაა მოხსენიებული ერთი ადგილი რომანიდან „რა ვაკეთოთ?“.

[33] ანუ ნაპოლეონ III-ის ჩამოგდებისა და მესამე რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ (1870).

[34] ლაპარაკია რომის პაპთა საერთო უფლების გაუქმების შესახებ.

[35] ჩემო ძვირფასო (ფრანგ.) [36] რაშელი ელიზა (1821-1858) - ცნობილი ფრანგი მსახიობი ქალი.

[37] დედოფლის თაიგული (სუნამო) (ფრანგ.) [38] დ. ე. გრიგოროვიჩის (1822-1899) მოთხრობა „ბედმავე ანტონი“ დიდი პოპულარულობით სარგებლობდა. მოთხრობაში ასახულია ყმა გლეხების ცხოვრების მძიმე პირობები.

[39] ანტონ პეტროვი (ანტონ პეტრეს ძე სიდოროვი; (1824/?) - 1861) - ყოფ. ყაზანის გუბერნიის ს. ბეზდნის ყმაგლეხი, ბეზდნის გლეხთა აჯანყების მეთაური. აჯანყების მიზეზი 1861 წლის რეფორმით გამოწვეული უკმაყოფილება იყო. ბეზდნის აჯანყების მონაწილეთა სასტიკმა დასჯამ (თვითონ პეტროვი დახვრიტეს) მეტად დიდი გამოხმაურება გამოიწვია საზოგადოებაში.

[40] პეტერშულე - წმინდა პეტრეს სახელობის ვაჟთა გერმანული საშუალო სასწავლებელი პეტერბურგში.

[41] ჩვენი კურთხეული რუსეთისათვის (ფრანგ.) [42] მაგრამ ამას გარკვევა უნდა (ფრანგ.) [43] ალბათ ლაპარაკია რომან „ლელიაზე“ (1839).

[44] იგულისხმება ბელინსკის წერილი, რომელიც მან გოგოლს გამოუგზავნა ზალცბრუნიდან 1847 წლის ივლისში.

[45] ჩვენ შორის იყოს (ფრანგ.) [46] შატოვი აქ გულისხმობს უტოპიურ სოციალიზმის იდეების ფრანგ მქადაგებელს (ფურიეს, კაბეს, ლერუს და სხვ.).

[47] საუბარია შექსპირის ისტორიული ქრონიკის „მეფე ჰენრიხ IV“-ის გმირებზე.

[48] „გოლოსი“ - გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1863-1883 წწ.

[49] კონსიდერანი ვიქტორ (1808-1893) - ფრანგი სოციალისტ-უტოპისტი, ფურიეს მოწაფე.

[50] ფალანსტერა (უფრო სწორად - ფალანსტერი) - შესანიშნავი სასახლე, სადაც, ფურიეს მიხედვით, უნდა ეცხოვრათ და ეშრომათ საწარმოო-სამომხმარებლო ასოციაციის („ფალანგის“) წევრებს ახალი საზოგადოებრივი წყობის დროს.

[51] დიდად კეთილო მეგობარო (ფრანგ.) [52] ეს გაჭიანურებული რუსული სიტყვები!. (ფრანგ.) [53] ხომ იცით, ჩვენში... ერთი სიტყვით (ფრანგ.) [54] რა არის თავისი ძალაუფლება გამოიჩინოს (ფრანგ.) [55] არა, ეს საინტერესო ამბავია მაინც (ფრანგ.) [56] თქვენ იცით ეს ფსალმუნები და იობის წიგნი (ფრანგ.) [57] ტურფაზე ტურფა ქალები (ფრანგ.) [58] და თავისი ძალა გამოაჩინა (ფრანგ.) [59] ნეტა რამ მოგაფიქრათ! (ფრანგ.) [60] იცით (ფრანგ.) [61] რა ქედმაღლურად (ფრანგ.) [62] მართლა თუ? (ფრანგ.) [63] ჩემო კეთილო მეგობარო (ფრანგ.) [64] რა ლამაზი ბაღია! (ფრანგ.) [65] მაგრამ, ჩემო ძვირფასო (ფრანგ.) [66] ესეც არ იყოს, რაკი ბერებს მუდამ უფრო ხშირად ხვდება კაცი, ვინემ საღ აზრს (ფრანგ.) [67] პასკალი ბლეზ (1623-1662) - გამოჩენილი ფრანგი მათემატიკოსი, ფიზიკოსი და ფილოსოფოსი. მისი „წერილები პროვინციელს“ ამხელს იეზუისტების პირმოთნეობასა და ზნეობრივ დაცემულობას.

[68] იცით, ჩემო ძვირფასო (ფრანგ.) [69] თანაც (ფრანგ.) [70] ძვირფასო, ძვირფასო მეგობარო!.. (ფრანგ.) [71] ყველაფერი აღიზიანებს, თუმცა გულით კეთილია (ფრანგ.)

[72] ო, საკმაოდ სულელური ამბავია! მე თქვენ გელოდით, ჩემო კეთილო მეგობარო, რომ მეამბნა (ფრანგ.) [73] ყველა ნიჭიერი და მოწინავე ადამიანები რუსეთში იყვნენ, არიან და იქნებიან ნიადაგ კარტის მოთამაშენი და ლოთობას გადაყოლილნი (ფრანგ.) [74] თუმცა ჩვენ შორის რომ ვთქვათ (ფრანგ.) [75] ის ხომ სულ ბავშვია! (ფრანგ.) [76] აღსანიშნავია, რომ სტეპან ტროფიმოვიჩის პროტოტიპმა ტ. გრანოვსკიმ დაბეჭდა წერილი „ესპანური ეპოსი“ 1854 წელს „ოტეჩესტვენის ზაპისკაში“.

[77] ჰო, მე შემცდა. მაგრამ... ეს სულ ერთია (ფრანგ.) [78] დიახ, დიახ, არ შემოდლია (ფრანგ.) [79] თავისი ძვირფასი შვილის (ფრანგ.) [80] მაქსიმუმი (ფრანგ.) [81] თავის ძვირფას ვაჟს (ფრანგ.) [82] ისეთი დოყლაპია ვინმეა! (ფრანგ.) [83] მაინც დიდი გლახაკია (ფრანგ.) [84] ბოლოს და ბოლოს სასაცილოცაა (ფრანგ.) [85] მე მონა ვარ, ბადენგე (ფრანგ.) ბადენგე - ფრანგი კალატოზი, ვისი ტანსაცმლითაც გაიპარა ტახტის მემკვიდრე ლუდოვიკო ნაპოლეონ ბონაპარტი (შემდგომში საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ III) გამის ციხიდან 1846 წლის 25 მაისს, სადაც იგი დამწყვდეული ჰყავდა მეფე ლუი ფილიპს. სიტყვის გადატანითი მნიშვნელობით ბადენგე ფიქტიურ პიროვნებას ნიშნავს.

[86] ფრანგ. confident - გულის მესაიდუმლე, სანდო პირი.

[87] როგორც ცნობილია, დოსტოევსკი, „კარმაზინოვის წერილის“ გადმოცემისას ტურგენევი ნარკვევ „ტრიპმანის დასჯის“ პაროდის იძლევა (იხ. ი. ნიკოლსკის „ტურგენევი და დოსტოევსკი“, სოფია, 1921 და ა. დოლინინის წერილი „ტურგენევი „ეშმაკში“, დაბეჭდილია კრებულში - „დოსტოევსკი“ II, 1925).

[88] ტენიერი (1610-1690) - გამოჩენილი ფლამანდიელი მხატვარი.

[89] მიმიფურთხებია ამისთვის! (ფრანგ.) [90] „კაცი, რომელიც იცინის“ (ფრანგ.) [91] მიმიფურთხებია ამ სისულელეებისათვის, მე თავისუფალი კაცი ვარ და ვაცხადებ ამას! ჯანდაბაში წასულა კარმაზინოვიცა და ლემბკეც! (ფრანგ.) [92] რა თქმა უნდა, უარს არ მეტყვით დახმარებაზე, ვითარცა მეგობარი და მოწმე (ფრანგ.) [93] დიახ ასეა (ფრანგ.) [94] რაღაც ამდაგვარი (ფრანგ.) [95] მე მახსოვს. თანაც (ფრანგ.) [96] პატარა იდიოტს ჰგავდა (ფრანგ.) [97] რას ბრძანებთ! (ფრანგ.) [98] ჩვენი საცოდავი მეგობრის (ფრანგ.) [99] ჩვენი ფხუვიანი მეგობარი (ფრანგ.) [100] იგულისხმება „მშვიდობისა და თავისუფლების ლიგის“ კონგრესი, რომელიც 1867 წლის სექტემბერში ჩატარდა ჟენევაში გარიბალდის, ვ. ჰიუგოს, გერცენის, ბაკუნინისა და სხვათა მონაწილეობით. დოსტოევსკის, ალბათ, მხედველობაში აქვს ბაკუნინის ანარქისტული გამოსვლა კონგრესის ერთ-ერთ სხდომაზე, რომელსაც თვითონ ესწრებოდა.

[101] მაგრამ ეს გაივლის (ფრანგ.) [102] ფრანგ. frapper - განცვიფრებული, გაოცებული.

[103] ამ ამბავში ხომ გამომყვებით? (ფრანგ.) [104] დიდებულო და მოწყალეო ღმერთო! (ფრანგ.) [105] და მე კვლავ ვიწამე (ფრანგ.) [106] ღმერთი? ღმერთი, რომელიც მაღლა სუფევს იქ და რომელიც ასეთი დიდებული და მოწყალეა? (ფრანგ.) [107] რასაც მინდა, ყველაფერს მისრულებს (ფრანგ.) [108] ღმერთო ჩემო! ძლივს არ ველირსე ბედნიერ წუთს! (ფრანგ.) [109] თქვენ და ბედნიერება ერთად მეწვიეთ! (ფრანგ.) [110] მე ისე აღელვებული ვიყავი, თანაც უქეიფოდ, თანაც... (ფრანგ.) [111] ეგ აქაური ფანტაზიორია, ყველაზე კარგი და ყველაზე ბრაზიანი კაცი ამქვეყნად... (ფრანგ.) [112]

და მადლსაც მოისხამთ (ფრანგ.) [113] იგულისხმება სევასტოპოლის დაცვა 1854-1855 წლებში.

[114] ბოლოს და ბოლოს სასაცილოც კია (ფრანგ.) [115] კარგი ვაჟკაცი ჩანს (ფრანგ.) [116] ამ ლიპუტინის ამბავი, რაც სრულიად არ მესმის (ფრანგ.) [117] რა უმადური ვინმე ვარ! (ფრანგ.) [118] ყველაფერი გადაწყდა (ფრანგ.) [119] რა საშინელებაა (ფრანგ.) [120] ეს ანგელოზია (ფრანგ.) [121] მართალი გითხრათ (ფრანგ.) [122] და ბოლოს (ფრანგ.) [123] ოცი წელია (ფრანგ.) [124] ეგ მტარვალი გახლავთ. ბოლოს და ბოლოს (ფრანგ.) [125] ამ ხალხს ბუნება და ადამიანთა საზოგადოება სულ სხვანაირად წარმოუდგენია, ვინემ ღმერთს შეუქმნია და სინამდვილეში არის (ფრანგ.) [126] მაგრამ სჯობს სხვაზე ვილაპარაკოთ (ფრანგ.) [127] შვეიცარიაში (ფრანგ.) [128] ეს სისულელე იყო, მაგრამ რას იზამ, ყველაფერი გადაწყდა (ფრანგ.) [129] ერთი სიტყვით, ყველაფერი მორჩა (ფრანგ.) [130] უფალმა ღმერთმა (ფრანგ.) [131] თუკი ამქვეყნად სასწაული არსებობს (ფრანგ.) [132] და ყველაფერი ნათელი გახადოს (ფრანგ.) [133] ეგრეთ წოდებულ (ფრანგ.) [134] დამტოვებულ ჩემო მეგობარო (ფრანგ.) [135] ხედავთ (ფრანგ.) [136] 1865 წელს პეტერბურგში დაარსდა „პირუტყვთა დაცვის საზოგადოება“.

[137] ა. ა. ფეტის ლექსი „მე მოვედი მოგესალმო“ (1843), რომელსაც ლებიადკინი აქ თავისებურად ამახინჯებს.

[138] რა მოგდით, ლიზა! (ფრანგ.) [139] ძვირფასო კუზინა (ფრანგ.) [140] ჩემო ძვირფასო, ღირსეულო მეგობარო, რა შეშფოთებულს... (ფრანგ.) [141] შაკიკი (ფრანგ.) [142] მოკლედ, ეს ხელიდან წასული კაცია, ციხიდან გამოქცეული, კატორღელი თუ ამის მსგავსი რაღაც... (ფრანგ.) [143] ეგ უნამუსო კაცია, ჩემი აზრით, გამოქცეული კატორღელი, თუ ამის მსგავსი რაღაც (ფრანგ.) [144] გადაკეთებული პწკარი ნ. კუკოლნიკის ლექსიდან „ეჭვი“.

[145] დ. ვ. დავიდოვი (1784-1839) – 1812 წლის სამამულო ომის გმირ, ნაპოლეონის წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლების ერთ-ერთი ინიციატორი; პოეტი და მწერალი.

[146] პეტია, შვილო ჩემო (ფრანგ.) [147] ტაკიმასხარა (ფრანგ.) [148] სრულიად მართალი ბრძანდებით (ფრანგ.) [149] დიდებულისა (ფრანგ.) [150] დეკაბრისტი მ. ს. ლუნინი (1787-1845).

[151] ვაჟი, ძვირფასი ვაჟი (ფრანგ.) [152] ის იცინის (ფრანგ.) [153] მოვეშვათ ამას (ფრანგ.) [154] ბაზაროვი - ტურგენევის „მამებისა და შვილების“ მთავარი გმირი. ავტორის ჩანაფიქრით იგი 1860-იანი წლების დემოკრატიზაციულ-რეფორმულ ტიპური წარმომადგენელია. იმდროინდელმა მოწინავე კრიტიკოსებმა ამ გმირს სხვადასხვა შეფასება მისცეს. პისარევმა წერილში „ბაზაროვი“ („რუსკოე სლოვო“, 1862, № 3) იგი „ახალი ადამიანის“ ნათელ, მართალ გამოხატულებად მიიჩნია, ანტონოვიჩმა კი ბაზაროვი უარყოფითად შეაფასა.

[155] დიახ, ასე (ფრანგ.) [156] ერთი ამბავი ატეხონ თავის სახელის ირგვლივ (ფრანგ.) [157] ის იცინის. ის ბევრს იცინის, მეტისმეტად ბევრს იცინის (ფრანგ.) [158] ის სულ იცინის (ფრანგ.) [159] მით უკეთესი. მოვეშვათ ამას (ფრანგ.) [160] მინდოდა გადამერწმუნებინა (ფრანგ.) [161] კაი-კაი ამბებს კი გაიგებს (ფრანგ.) [162] ეს რაღაც

ბნელი და გაურკვეველი საქმეა (ფრანგ.) [163] უბრალოდ ზარმაცები არიან და ეგაა (ფრანგ.) [164] თქვენ ზარმაცები ხართ! თქვენი დროშა - ჭინჭია, უძლურების განსახიერება (ფრანგ.) [165] აქ იგულისხმება კამათი (1853), ა. ი. გერცენსა და ვ. ს. პეჩორინს შორის მეცნიერებისა და რელიგიის საკითხებზე.

[166] რაღაც ამისთანა აზრად (ფრანგ.) [167] ბონმო (ფრანგ.) - ლამაზ-ლამაზი სიტყვები.

[168] თქვენ არ გესმით. მოვეშვათ ამას (ფრანგ.) [169] ინგლ. keepsake - მდიდრულად დასურათებული გამოცემა.

[170] გამიგეთ? (ფრანგ.) [171] იგულისხმება ალბათ სოლოვეცის მონასტრის დამაარსებელი განდეგილი ზოსიმე (XV საუკ.) [172] ლებიადკინს არაზუსტად მოჰყავს ორი პწკარი პ. ვიაზემსკის ლექსიდან - „მხატვარ ორლოვსკის ხსოვნაზე“, რომელშიც ავტორს სულ სხვა რამ აქვს ნაგულისხმევი.

[173] „რჩეულ ადგილებში მეგობრებთან მიმოწერიდან“ (I ანდერძი) გოგოლს ნახსენები აქვს „გამოსათხოვარი მოთხრობა“, რომელიც „თავისით აღმოხდა გულიდან“, მაგრამ მის სიცოცხლეში „არ შეიძლება გამოქვეყნდეს“. როგორც ეტყობა, ეს ნაწარმოები მერე არც დაწერილა.

[174] დერჟავინი თავის ოდაში - „ღმერთო“ (1874) წერდა - „მეფე ვარ, მონა ვარ, ჭია ვარ, - ღმერთი ვარ!“

[175] ფრანგ. simile l'or - სპილენძის და თუთიის შენადნობი, ოქროს ჩამოგავს.

[176] სტეპან ტროფიმოვიჩის სიტყვებს რომანზე „რა ვაკეთოთ?“, დოსტოევსკის აზრით, უნდა გამოეხატა ლიბერალური წრეების დამოკიდებულება ჩერნიშევსკის რომანისადმი.

[177] ჩერნიშევსკის რომანს 1860-1870-იან წლებში მართლაც დიდი გატაცებით კითხულობდნენ რუსეთის მოწინავე ადამიანები.

[178] „ფრა-დაივოლო“ ფრანგი კომპოზიტორის ობერის (1782-1871) კომიკური ოპერა.

[179] ფრანგ. tolerant - მოთმინება.

[180] თავდაუზოგავი აქტივობა (ფრანგ.) [181] ქველი ხეპრე (ფრანგ.) [182] „საფრანგეთ-პრუსიის ომი“ 1790-1871 წლების განმავლობაში მიმდინარეობდა. ბურჟუაზიულ-რესპუბლიკელი ჟიულ ფავრი (1809-1880), რომელიც იმპერიის დაცემის შემდეგ ე. წ. „ნაციონალური დაცვის“ ხელისუფლების საგარეო მინისტრი გახდა, თავდაპირველად ამაყად აცხადებდა, არ დაეთმო მტრისთვის „არც ერთი მტკაველი საფრანგეთის მიწა“, მაგრამ ბისმარკთან შემდგომი მოლაპარაკების დროს ზავის პირობებზე იძულებული იყო დაეკმაყოფილებინა გერმანიის ტერიტორიული და ფინანსური პრეტენზიები. „მარსელიოზას“ და გერმანული მდაბიური სიმღერის „Augustin“-ის პაექრობას, რომელშიც უკანასკნელი იმარჯვებს, დოსტოევსკის აზრით, უნდა გამოეხატა საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის იდეების წაბილწვა და შერყევა XIX საუკუნის საფრანგეთის ბურჟუაზიული სინამდვილის უზადრუკ პირობებში.

[183] დაე მოირწყას ჩვენი ყანები უწმინდურ სისხლით! (ფრანგ.) [184] „ჩემი საყვარელი ავგუსტინი“ (გერმ.) [185] არც ერთი გოჯი ჩვენი მიწისა, ერთი ქვაც არა ჩვენ სიმაგრეთა! (ფრანგ.) [186] სემიონ იაკოვლევინის სახით დოსტოევსკიმ თავისებურად წარმოგვიდგინა მოსკოველი სალოსი, ცრუ „ქადაგი“ და „წინასწარმეტყველი“ ივანე იაკობის ძე კორეიშა (1780-1872).

[187] დიახ, ეს შედარება დასაშვებია, ვით საკუთარ საფლავზე მობუქნავე დონელი კაზაკი (ფრანგ.) [188] მოვეშვათ ამას (ფრანგ.) [189] კაპფიგი ბ. (1802-1872) - ფრანგი ლიტერატორი, მონარქიული სულისკვეთებით გამსჭვალული, მეცნიერულად მდარე ისტორიული ნაწარმოებების ავტორი.

[190] მე დამავიწყდა (ფრანგ.) [191] აქ დოსტოევსკი ვარვარა პეტროვნას სიტყვებით კარიკატურულად წარმოგვიდგენს ჩერნიშევსკის ცნობილ თეზისს, რომ „ხელოვნების ქმნილებანი ვერ შეედრება სინამდვილის მშვენიერ ქმნილებებს“ („ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან“, ჩერნიშევსკი.) [192] წილი ნაყარია! გადაწყდა! (ლათ.) [193] პუშკინის ლექსიდან „ბედშავი რაინდი“.

[194] კარლ ფოხტი (1817-1895), გერმანელი ბუნებისმეტყველი; იაკობ მოლემოტი (1822-1893), ფიზიოლოგი; ლუდვიგ ბიუხნერი (1824-1899), გერმანელი ფიზიოლოგი; XIX საუკუნის ეგრეთ წოდებული ვულგარული მატერიალიზმის გამოჩენილი წარმომადგენელი.

[195] გერცენი თავის „ნამყო და ნააზრევში“ წერს, რომ ლონდონში 1858 წელს მას ერთი ყმაწვილი ეწვია, რომელიც გარეგნობით კადეტს ჩამოგავდა, და აუწყა, ოცდაათი ათასი ფრანკი მაქვს და მარკიზის კუნძულებზე მივემგზავრები სოციალისტურ საწყისებზე კოლონიის დასაარსებლად. ეს გახლდათ სარატოველი მემამულე პავლე ალექსანდრეს ძე ბახმეტევი. ის ახალ ზელანდიაში გაემგზავრა და არა მარკიზის კუნძულებზე, როგორც ეს გერცენს აქვს ნათქვამი. შემდგომ უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

[196] „შპიგულინისეულ ისტორიას“ სარჩულად დაედო ნევის მაფსართავი მანუფაქტურის (ყოფ. შტიგლიცა) მუშების გაფიცვა პეტერბურგში 1870 წლის მაის-ივნისში. გაფიცვა რომანში ცალმხრივად არის აღწერილი.

[197] მოურიდებლობას (ფრანგ.) [198] უწყინარი სახით (ფრანგ.) [199] ეს ლექსი წარმოადგენს ავტორის პაროდის ოგარიოვის ლექსზე - „სტუდენტი“, რომელიც ცნობილი გახდა „ნაროდნაია რასპრავის“ მონაწილეთა პროცესზე და შეტანილ იქნა სასამართლოს სტენოგრაფიულ ანგარიშებში.

როგორც ი. ოქსმანი შენიშნავს („დოსტოევსკის ერთი პაროდის ბედი“ – „კრასნი არქივი“, 1923, ტ. III, გვ. 301-303), დოსტოევსკის პაროდია მოულოდნელად გამოიყენეს რევოლუციონერებმა მთავრობის წინააღმდეგ აგიტაციისთვის: იგი გაამრავლეს და გაავრცელეს, როგორც რევოლუციური პროკლამაცია.

[200] მკითხველისდა საგულისხმოდ (ფრანგ.). (აქ: „თქვენ უკვე გამცნეს“).

[201] გინდაც მართალი არ იყოს (იტალ.) [202] რომანში ისინი ნახსენები არიან, როგორც მომავალი სამართლიანი საზოგადოებრივი წყობის პროექტის ავტორები. პლატონის შეხედულებები მომავალი სახელმწიფოს შესახებ გადმოცემულია მის

ნაწარმოებებში „სახელმწიფო“, „კანონები“, „პოლიტიკოსი“. რუსო, როგორც „სოციალური სისტემის შემქმნელი“, ყველაზე უფრო სრულად წარმოგვიდგება მის „საზოგადოებრივ ხელშეკრულებაში“ (1762).

[203] იგულისხმება მომავალი სოციალისტური საზოგადოება ჩერნიშევსკის რომანში „რა ვაკეთოთ?“. ვერა პავლოვნას „მეოთხე სიზმარში“ მოთხრობილ ბროლის სასახლეებს ალუმინის სვეტები აქვს.

[204] კაბეტი ეტიენ (უფრო სწორად - კაბე, (1788-1856) - ფრანგი მწერალი, უტოპიური სოციალიზმის მქადაგებელი, მის რომანში „მოგზაურობა იკარიაში“ (1840) აღწერილია მომავალი სოციალისტური საზოგადოება. რომანი ცნობილი გახდა რუსეთში XIX საუკუნის 40-იან წლებში.

[205] პრუდონ პიერ-ჟოზეფ (1809-1865) - ფრანგი პუბლიცისტი და ეკონომისტი, ანარქიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

[206] ნიშანი (ლათ.) [207] ფრანგ. affiliation - საზოგადოებაში მიღება.

[208] ემილ ლიტრე (1801-1881) - ფრანგი ფილოსოფოსი და ფილოლოგი.

[209] ძლივს არ ვეღირსე მეგობარს (ფრანგ.) [210] გამიგეთ? (ფრანგ.) [211] უკაცრავად, მისი სახელი აღარ მახსოვს. აქაური არ არის (ფრანგ.) [212] რაღაც ლენჩი გამომეტყველება აქვს, გერმანელს ჩამოგავს, როზენტალი ჰქვია (ფრანგ.) [213] იცნობთ კი? რაღაც ძალიან შტერი და გაბღენძილი მეჩვენა, თუმცა გოროზობა და მედიდურობა არ აკლია (ფრანგ.) [214] ეს არ შემცდება (ფრანგ.) [215] ჰო, მახსოვს სწორედ ეს სიტყვა იხმარა (ფრანგ.) [216] განზე იდგა (ფრანგ.) [217] ერთი სიტყვით, თითქოს ეგონა, მყისვე ვეცემი და მუშტებს დავუშენ. ასეთია მდაბიო ხალხი (ფრანგ.) [218] აგერ ოცი წელია, ველოდი ამას (ფრანგ.) [219] დინჯად და ღირსებით მეჭირა თავი (ფრანგ.) [220] მოკლედ ეს ყველაფერი (ფრანგ.) [221] რამდენიმე ჩემი ისტორიული, კრიტიკული და პოლიტიკური ჩანაწერიც (ფრანგ.) [222] დიახ, სწორედ (ფრანგ.) [223] მარტო იყო, სულ მარტო (ფრანგ.) [224] დერეფანში, ჰო, გამახსენდა, და თანაც... (ფრანგ.) [225] მე, იცით, აღელვებული გახლდით. ილაპარაკა და ილაპარაკა... ძალიან ბევრი ილაპარაკა (ფრანგ.) [226] ძალზე აღელვებული გახლდით, მაგრამ, მერწმუნეთ, ღირსება არ დამიკარგავს (ფრანგ.) [227] იცით, ტელიატნიკოვის გვარი ახსენა (ფრანგ.) [228] იმას ჩემი, სხვათა შორის, თხუთმეტი მანეთი მართებს, კარტში მოვუგე, ერთი სიტყვით, კარგად ვერ გავიგე (ფრანგ.) [229] თქვენ როგორ გგონიათ? ბოლოს დამეთანხმა (ფრანგ.) [230] სხვა არაფერიო (ფრანგ.) [231] მეგობრულად, მე სავსებით კმაყოფილი დავრჩი (ფრანგ.) [232] მეგობრულად (ფრანგ.) [233] ჩემი მტრები... ან მაგ პროკურორთან რა მესაქმება, მაგ ჩვენს ღორ პროკურორთან. ეგ არ იყო, ორჯერ უზრდელად რომ მომექცა და ეგ არ იყო, შარშან გემოზე რომ მიბეგვეს, იმ მომხიბლავი ნატალია პავლოვნას ბუდუარში რომ დაიძალა, თანაც, ჩემო მეგობარო (ფრანგ.) [234] კაცს რომ შინ ასეთი რაღაცეები გაქვს და დასაჭერად მოგადგებიან (ფრანგ.) [235] მომაშორეთ (ფრანგ.) [236] გულს მიწყალებს პირდაპირ (ფრანგ.) [237] იცით, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო (ფრანგ.) [238] ყოველ წუთსა და წამს (ფრანგ.) [239] იცით, ჩემო ძვირფასო (ფრანგ.) [240] ეს პეტერბურგში დაიწყო (ფრანგ.) [241] ერთ დაფაზე როგორ მაყენებთ ამ კაცუნებთან (ფრანგ.) [242] იმ უნამუსობის მქადაგებლებს (ფრანგ.) [243] იცით რა (ფრანგ.) [244] რაღაც უბედურება არ ავტეხო (ფრანგ.) [245] ვგრძნობ, ჩემი ცხოვრება დღეს გათავდა (ფრანგ.) [246] გეფიცებით

(ფრანგ.) [247] თქვენ რა იცით (ფრანგ.) [248] ჩემი ამბავი გათავებულია (ფრანგ.) [249] ის რას იტყვის (ფრანგ.) [250] მთელი სიცოცხლე ეჭვი იქნება ჩემზე (ფრანგ.) [251] ეს დაუჯერებელია.. არ იცით ქალების ამბავი (ფრანგ.) [252] ლემბკესთან თავი ღირსებითა და დინჯად უნდა გეჭიროთ (ფრანგ.) [253] ოო, მერწმუნეთ, არ ავლელდები! (ფრანგ.) [254] რა წმიდათაწმიდა უნდა დავიცვა (ფრანგ.) [255] წავიდეთ (ფრანგ.) [256] ფლიბუსტიერები - მეკობრეები.

[257] „ყველაფერი მშვენივრად ეწყობა ამ ჩვენს მშვენიერზე მშვენიერ ქვეყანაში“. ვოლტერი, „კანდიდი“ (ფრანგ.) [258] ჩემმა ჟამმა დაჰკრა (ფრანგ.) [259] მხოლოდ სისულელეებს სჩადიხართ (ფრანგ.) [260] ძვირფასო (ფრანგ.) [261] ხოლო რაკი ამქვეყნად ბერები ჭარბობენ საღ მოაზროვნეთ (ფრანგ.) [262] რა მშვენივრად იყო თქმული ბერებზე (ფრანგ.) [263] და მოვრჩეთ ამით, ჩემო ძვირფასო (ფრანგ.) [264] მხედველობაშია გოგოლის „მკვდარი სულების“ მეორე ტომის ერთ-ერთი გმირი, მეოცნებე ტენტეტნიკოვი.

[265] მთლიანად (ფრანგ.) [266] ეს გახლავთ წმინდაწყლის სისულელე, ასე ვთქვათ, უბრალო ქიმიური ელემენტისდაგვარი (ფრანგ.) [267] უნდა ითქვას (ფრანგ.) [268] ბატონებო! (ფრანგ.) [269] ფრანგ. pétrole - ნავთი.

[270] აგენტი-პროვოკატორი (ფრანგ.) [271] ტამარი ნოვგოროდში.

[272] რუსეთის ათასი წლის აღსანიშნავად ამართული ძეგლი.

[273] დაე, შეგინდოთ შეგიწყალოთ უფალმა, ჩემო მეგობარო (ფრანგ.) [274] დროთა ვითარებაში (ფრანგ.) [275] რაც შემეხება მე (ფრანგ.) [276] ამ საწყალ ხალხში ხშირად გაიგონებ მშვენიერ ბრძნულ სიტყვებს (ფრანგ.) [277] ისინი საცოდავი არარაობანი არიან და მეტი არაფერი, საცოდავი რეგვენები, - დიახ, ასეა (ფრანგ.) [278] ოჰ გუშინ ისეთი ენამოსწრებული იყო (ფრანგ.) [279] რა სირცხვილი იყო! (ფრანგ.) [280] „ბირჟევიე ვედომოსტი“, გაზეთი, გამოდიოდა 1870-იან წლებში.

[281] უკაცრავად და, ხომ შემინდობთ, მშვენიერო ქალბატონო? (ფრანგ.) [282] ბავშვებს (ფრანგ.) [283] ხომ არ შემრისხავთ? (ფრანგ.) [284] საცოდავი დედა (ფრანგ.) [285] აქ დოსტოევსკი სატირულად აღწერს 1860-1870 წლების პერიოდული პრესის სამ ორგანოს - „გოლოსს“, „დელოსს“ და „მოსკოვსკიე ვედემოსტის“.

[286] პირდაპირ (ფრანგ.) [287] პა დე დე (ფრანგ.) [288] ხმა ღვთისა და ხმა ერისაო (ლათ.) [289] უბედური ხართ, უბედური? (ფრანგ.) [290] ჩვენ ყველა უბედური ვართ, მაგრამ იმათაც უნდა შევუნდოთ, ლიზა (ფრანგ.) [291] შენდობა, შენდობა და შენდობაა საჭირო. (ფრანგ.) [292] მთელი ოცდაორი წელი! (ფრანგ.) [293] ვინმე ვაჭრისა, თუკი ეს ვაჭარი მართლაც არსებობს (ფრანგ.) [294] უბედური ხართ? (ფრანგ.) [295] იცით კი, რომელი საათია? (ფრანგ.) [296] მაგრამ არსებობს კი ეს რუსეთი? ოჰ, ეს თქვენ ხართ, ძვირფასო კაპიტანო! (ფრანგ.) [297] როგორც სასამართლო ანგარიშებიდან ირკვევა, ვერხოვენსკის ერთგული მიმდევარი ერკელი თავისი თვისებებით ბევრ რამეში წააგავს ივანოვის მკვლელობის მეხუთე მონაწილეს - ნ. ნიკოლაევის.

[298] ავტორი აქ გადაკვრით ახსენებს ვერა პავლოვნას სახელოსნოს რომანში „რა ვაკეთოთ?“, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია 1860-იან წლებში.

[299] მუსლიმური ლეგენდის მიხედვით, ერთხელ ღამით გაბრიელ მთავარანგელოზის მიერ გაღვიძებულმა მაჰმადმა თვალის დახამხამებაში შემოუქროლა თავისი შესანიშნავი რაშით იერუსალიმს, აფრინდა ზეცაში, ესაუბრა ღმერთს, ანგელოზებს, წინასწარმეტყველთ და ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ დაბრუნებისას ლოგინი ჯერ კიდევ თბილი დაუხვდა, ხოლო შემთხვევით წაქცეული დოქიდან წვეთი წყალი არ გადმოღვრილიყო (იხ. ა, მიუღერი, ისლამის ისტორია, სპბ., 1895, ტ. I, გვ. 95-96).

[300] გაუმარჯოს რესპუბლიკას (ფრანგ.) [301] გაუმარჯოს დემოკრატიულ, სოციალურ და საერთაშორისო რესპუბლიკას ან სიკვდილი! (ფრანგ.) [302] თავისუფლება, ერთობა, ძმობა ან სიკვდილი! (ფრანგ.) [303] კირილოვი, რუსი აზნაური და მსოფლიოს მოქალაქე. (ფრანგ.) [304] რუსი აზნაური - სემინარიელი და ცივილიზებული მსოფლიოს მოქალაქე! (ფრანგ.) [305] ნასტასია (ფრანგ.) [306] როგორც. (ფრანგ.) [307] ის ვაჭარი. (ფრანგ.) [308] გაუმარჯოს შარაგზას. (ფრანგ.) [309] სულ ორმოცი მანეთი მაქვს; ფულსაც წამართმევს და მაინც მომკლავს. (ფრანგ.) [310] მადლობა ღმერთს. (ფრანგ.) [311] თანაც (ფრანგ.) [312] ამან კი ცოტა დამამშვიდა. (ფრანგ.) [313] საიმედო უნდა იყოს. (ფრანგ.) [314] ესეც უაღრესად საიმედოა. (ფრანგ.) [315] მე სულ სხვა გახლავართ. (ფრანგ.) [316] ბოლოს და ბოლოს. (ფრანგ.) [317] დიდებულია. (ფრანგ.) [318] დიახ, დიახ, ზუსტად ასე ითარგმნება. (ფრანგ.) [319] ეს კიდევ უკეთესი, სულ ორმოცი მანეთი მაქვს, მაგრამ... (ფრანგ.) [320] ესე იგი. (ფრანგ.) [321] ჩემო მეგობრებო. (ფრანგ.) [322] მან ასე ინდომა. (ფრანგ.) [323] ეს ხომ საუცხოოა! (ფრანგ.) [324] ცოტა არაყიც. (ფრანგ.) [325] ერთი ყლუპი. (ფრანგ.) [326] ავად კი ვარ, მაგრამ არც ისე ცუდი ყოფილა ავადმყოფობა. (ფრანგ.) [327] დიახ, ნამდვილი მანდილოსანი. (ფრანგ.) [328] ოჰო, ეს მგონი სახარებაა. (ფრანგ.) [329] ეგრეთ წოდებული. (ფრანგ.) [330] სახარების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. (ფრანგ.) [331] „იესოს ცხოვრების“ (ფრანგ.). ერნესტ ჟოზეფ რენანი (1823-1892) ფრანგი იდეალისტი ფილოსოფოსი, რელიგიის ისტორიკოსი.

[332] როგორც ვატყობ, ყველა სპასოვში მიდის... (ფრანგ.) [333] დიახ, ეს ნამდვილი მანდილოსანი გახლავთ და ძალზე წესიერიც. (ფრანგ.) [334] კვნიტი შაქარი - ეს კიდევ არაფერს ნიშნავს. (ფრანგ.) [335] სავსებით წესიერი ქალი ჩანს. (ფრანგ.) [336] ოცდაათისაც არ იქნებით. (ფრანგ.) [337] ღმერთო ჩემო. (ფრანგ.) [338] ჰოი, ის არარაობა, ის უბედური ადამიანები! (ფრანგ.) [339] ო, რა ეგოისტი ვხდები. (ფრანგ.) [340] რას გადამეკიდა ეს კაცი? (ფრანგ.) [341] ღმერთო ჩემო, ჩემო კეთილებო. (ფრანგ.) [342] კი მაგრამ; ჩემო ძვირფასო ახლო მეგობარო. (ფრანგ.) [343] რატომაც არა, დიდი სიხარულითაც! (ფრანგ.) [344] ხომ მართლა? (ფრანგ.) [345] მე მიყვარს ხალხი, ეს აუცილებელია, მაგრამ, მგონი, ახლოს არასოდეს შევხვედრივარ. ნასტასიაც, რა თქმა უნდა, ხალხიდან არის... მაგრამ ნამდვილ ხალხს. (ფრანგ.) [346] ძვირფასო, უებრო მეგობარო. (ფრანგ.) [347] ძვირფასო გულუბრყვილო. (ფრანგ.) [348] სახარება.. იცით, ჩვენ ამიერიდან ერთად ვიქადაგებთ მას. (ფრანგ.) [349] რაღაც სრულიად ახალი ამ მხრივ. (ფრანგ.) [350] ეს ნამდვილია. (ფრანგ.) [351] და იმ ჩემთვის ძვირფას, უმადურ ქალს. (ფრანგ.) [352] ჩემო ძვირფასო და შეუდარებელო, ქალები ჩემთვის ყველაფერს ნიშნავს. (ფრანგ.) [353] რაღაც ძალიან ცივა. სხვათა შორის სულ ოთხი თუმანი მაქვს. აჰა, გამომართვით. (ფრანგ.) [354] ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ. ძალიან მაწყენინებთ. (ფრანგ.) [355] ვინაიდან ჩვენ სალაპარაკო გვაქვს. დიახ, მე ბევრი მაქვს თქვენთვის სათქმელი, ძვირფასო მეგობარო. (ფრანგ.) [356] როგორ, ჩემი სახელი იცით? (ფრანგ.)

[357] კმარა, ჩემო კარგო. (ფრანგ.) [358] ჩვენ ფული გვაქვს, მერე კი ღმერთი გვიშველის. (ფრანგ.) [359] კმარა, კმარა, ნულა მაწამებთ. (ფრანგ.) [360] არა უშავს, დრო კიდევ ბევრია. (ფრანგ.) [361] ოცი წლის. (ფრანგ.) [362] თქვენ კეთილშობილი ხართ, როგორც მარკიზა (ფრანგ.) [363] როგორც თქვენს წიგნშია. (ფრანგ.) [364] კმარა, კმარა, ჩემო კარგო. (ფრანგ.) [365] იცით. (ფრანგ.) [366] განა მე ისე ავადა ვარ? საამისო არაფერია. (ფრანგ.) [367] ოო, მახსოვს კი, აპოკალიფსი, წაიკითხეთ, წაიკითხეთ. (ფრანგ.) [368] ჩვენ ერთად უნდა წავიდეთო. (ფრანგ.) [369] ეგ ღორები. (ფრანგ.) [370] მაგ წიგნში. (ფრანგ.) [371] ერთი შედარება. (ფრანგ.) [372] დიახ, რუსეთი, რომელიც მე მუდამ მიყვარდა. (ფრანგ.) [373] და სხვები მასთან ერთად. (ფრანგ.) [374] თქვენ მერე მიხვდებით. (ფრანგ.) [375] თქვენ მერე მიხვდებით... ჩვენ ერთად მიხვდებით. (ფრანგ.) [376] უყურე, აქ თურმე ტბა ყოფილა. (ფრანგ.) [377] და ამიერიდან სახარებას ვიქადაგებ. (ფრანგ.) [378] ანგელოზია... ჩემთვის ანგელოზზე მეტიც. (ფრანგ.) [379] მე თქვენ მიყვარდით. (ფრანგ.) [380] მე მთელი სიცოცხლე მიყვარდით... ოცი წელი! (ფრანგ.) [381] ერთი საათი (ფრანგ.) [382] ბულიონი, ჩაი... მე მართლაც ძალიან ბედნიერი ვარ. (ფრანგ.) [383] დიახ, ჩემო მეგობარნო. (ფრანგ.) [384] მთელი ეს ცერემონია. (ფრანგ.) [385] მამაო, დიდ მადლობას მოგახსენებთ, დიდი სიკეთე გამოიჩინეთ, ოღონდ. (ფრანგ.) [386] აი, ჩემი რწმენა სჯულისა. (ფრანგ.) [387] მე მთელი სიცოცხლე ვტყუოდი. (ფრანგ.) [388] ური - შვეიცარიის ერთ-ერთი კანტონი. 1850 წელს გერცენმა უარი განაცხადა მეფის მთავრობის მოთხოვნით რუსეთში დაბრუნებაზე. 1851 წლის მაისში გერცენი, მისივე თხოვნით, მოქალაქედ მიიღეს არა ურის კანტონში, როგორც ნათქვამი აქვს დოსტოევსკის, არამედ ფრეიბერგის კანტონში.